
დიდი ხმელეთის სახსოვარი


21 იანვარი - ანტი ტფილელის
27 იანვარი - ნინო ქავქავაძეთ ლებისა /ნინოს/
1 თებერვალი - ანტონ მარტყოფელისა
8 თებერვალი - ლვთის კალმოსნებისა
11 თებერვალი - ეშოტ კალაპაკტისა
26 თებერვალი - შიო მღვიმელის /შიოს/
25 მარტი - ლმერთის თავლადებულის
11 აპრილი - ქეზი ლ ლიდები ქართულის ენისა
14 მაისი - თამარ მეფის /თამარის/
20 მაისი - იოანე ზედაზნელის ცხედრის მოძრა
26 მაისი - ეფთვიმე ათონელის
1 ივნისი - წმიდა ნინოს მოსვლა საქართველოში
4 ივნისი - ლვთის კარეგნელის /მაკარის/
30 ივნისი - შალვა ახალციხელის
4 ივლისი - არსენის ლ ლიაკარისაბის
10 ივლისი - გიორგი ათონელის



/ აღვნიშნავთ ძირითად დღეებს /

25 ივლისი - იოვანე ათონელისა
2 აგვისტო - ილიას მართლისა /ჭაობაძე/
11 აგვისტო - ევსტათი მცხეთელისა
10 სექტემბერი - შუშანიკისა
28 სექტემბერი - ანნა იოსებ არიმათიელისა
1 ოქტომბერი - ბიძინა, შალვა, ილიწასრისა
15 ოქტომბერი - ბერით ლ კონსტანტინესი
მოწამეთათვა, ორწითელა
18 ოქტომბერი - გრიგოლ ხანძთელისა
13 ნოემბერი - ანი ათასი წამებულისა
23 ნოემბერი - კონსტანტი კეხრისა
30 ნოემბერი - გიორგი - მიქაელისა
12 დეკემბერი - ანიბოს ნეკრესელისა
13 დეკემბერი - ქრისტინე გორგასლისა
15 დეკემბერი - ილი წინასწარისა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ქართველი ერის მამა

გამომცემლობა „განათლება“
თბილისი — 1988

63.3(2г)
ს 262

4306020300 — 070
С ——————————— 149 — 88
М-602(08) — 88

© გამომცემლობა „განათლება", 1988

ISBN 5-505-00411-3

ილია ჭავჭავაძე ბრძანებდა:

„ერი თავის გმირებში ჰპოულობს თავის სულსა და გულსა, თავის მწვრთნელსა, თავის ღონეს და შემძლებლობას, თავის ხატსა და მაგალითს. ამიტომაც იგი ზოგს იმათგანს წმინდანების გვირგვინითა ჰმოსავს და ჰლოცულობს. ზოგს დიდ-ბუნებოვანობის შარავანდედითა, და თაყვანსა სცემს სასოებით და მადლობითა. ამიტომაც საჭიროა იმათი ხსოვნა, იმათი დაუვიწყარობა".

და, ისევ ილია:

„სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება".

. .

ეს წიგნიც ეძღვნება და მოგვითხრობს სწორედ იმ გმირებზე, რომლებიც ეწამნენ და სიცოცხლე შესწირეს —

მამულს,


ენას,

სარწმუნოებას.

ქართული ანბანი.

(ასომთავრული-მრგვლოვანი)

ა — ⴀ	ი — ⴈ	ყ — ⴟ
ბ — ⴁ	კ — ⴉ	შ — ⴠ
გ — ⴂ	ლ — ⴊ	ჩ — ⴡ
დ — ⴃ	მ — ⴋ	ც — ⴢ
ე — ⴄ	ნ — ⴌ	ძ — ⴣ
ვ — ⴅ	ო — ⴍ	წ — ⴤ
ზ — ⴆ	პ — ⴎ	ჭ — ⴥ
თ — ⴇ	ჟ — ⴏ	ხ — ⴦
ი — ⴈ	რ — ⴐ	ჯ — ⴧ
კ — ⴉ	ს — ⴑ	ჰ — ⴨
ლ — ⴊ	ტ — ⴒ	ჱ — ⴩
მ — ⴋ	უ — ⴓ	ჲ — ⴪
ნ — ⴌ	ფ — ⴔ	ჳ — ⴫
ო — ⴍ	ქ — ⴕ	ჴ — ⴬
პ — ⴎ	ღ — ⴖ	ჵ — ⴭ
ჟ — ⴏ	ყ — ⴗ	ჶ — ⴮
რ — ⴐ	შ — ⴘ	ჷ — ⴯
ს — ⴑ	ჩ — ⴙ	ჸ — ⴰ
ტ — ⴒ	ც — ⴚ	ჹ — ⴱ
უ — ⴓ	ძ — ⴛ	ჺ — ⴲ
ფ — ⴔ	წ — ⴜ	ჽ — ⴳ
ქ — ⴕ	ჭ — ⴝ	ჾ — ⴴ
ღ — ⴖ	ხ — ⴞ	ჿ — ⴵ
ყ — ⴗ	ჯ — ⴟ	
შ — ⴘ	ჰ — ⴠ	
ჩ — ⴙ	ჱ — ⴡ	
ც — ⴚ	ჲ — ⴢ	
ძ — ⴛ	ჳ — ⴣ	
წ — ⴜ	ჴ — ⴤ	
ჭ — ⴝ	ჵ — ⴥ	
ხ — ⴞ	ჶ — ⴦	
ჯ — ⴟ	ჷ — ⴧ	
ჰ — ⴠ	ჸ — ⴨	
ჱ — ⴡ	ჹ — ⴩	
ჲ — ⴢ	ჺ — ⴪	
ჳ — ⴣ	ჽ — ⴫	
ჴ — ⴤ	ჾ — ⴬	
ჵ — ⴥ	ჿ — ⴭ	
ჶ — ⴦		
ჷ — ⴧ		
ჸ — ⴨		
ჹ — ⴩		
ჺ — ⴪		
ჽ — ⴫		
ჾ — ⴬		
ჿ — ⴭ		



ფარნავაზი

„შენ, ჰე, ფარნავაზ ჰქმენ ერთ-მთავრობა,
შენ მოეც ქართველს წიგნი პირველი,
შენ დაუმკვიდრე ერსა ერთობა
და ერთობისა წესი და ძალი“*.

რისტეს შობამდე IV საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი.

კაოთლის მთავარ ეალაქში, მცხეთაში, იჯდა მამასახლისი, სახელად სამარა.

პონტოდან ძლიერი ლაშქრით მოვიდა სარდალი აზონ, ტომით პონტოელი ქართველი, მავრამ ქართველთაგან „ბერძნად“ წოდებული. აზონს ალექსანდრე მაკედონელის თანანებპრძოლ სარდლადაც მიიჩნევდნენ.

მოვიდა იგი ძლიერი ჯარით და ძლიერი სახელით.

დაიპყრო მცხეთა, გული ქართლისა.

დაახოცვინა მამასახლისი სამარა და მისი ძმა.

და ასე დაჯდა აზონ ქართლის ერისთავად. დაჯდა და მცხეთის აკროპოლისზე აღმართა ორი ვერცხლის კერპი — გაც და გაიმ.

მოკლულ სამარას ძმას სამი წლის ვაჟიშვილი დარჩა, სახელად — ფარნავაზ.

დედამ მამით დაობლებული შვილი კავკასიონის მთებში გახიზნა და იქაურ მთიელ ქართველობაში გაზარდა. ჭაბუკობაში ფეხშედგმულმა ფარნავაზმა არ დაიშალა, დედასთან ერთად მცხეთაში დაბრუნდა და თავის მამულში დასახლდა.

მალე ფარნავაზს ხმა გაუვარდა, ვითარცა მომხიბლავ ვაჟკაცს, სწავლულ მწიგნობარს, უებრო მხედარს, მეომარს და სწორუპოვარ მრნადირეს.

აზონის ყურსაც მისწვდა ფარნავაზის საქმენი სავაჟკა-

---

* გრიგოლ ორბელიანი.

ცონი. თვითონ აზონი ნადირობის დიდი მოყვარული იყო და ფარნავაზიც სწორედ მონადირული ხელოვნებისთვის დაიახლოვა და დაიმეგობრა.

დედას კი აშინებდა ფარნავაზის სიახლოვე მეშურნე და მესისხლე აზონთან.

„შვილო ჩემო, ეკრძალე აზონს, ნურას უჩვენებ სიკეთეს და ღირსებას შენსას, თორემ, ვაითუ მოგკლან!“ — შეშფოთებით ეტყოდა ხოლმე დედა შვილს. ფარნავაზი დედას ამშვიდებდა, ამხნევებდა და მოძალადე მეგობარს კვლავ დანდობილად დასდევდა ტყესა თუ ღრეში.

გამოხდა ხანი და ერთ დილას ფარნავაზმა ღამეული სიზმარი უამბო დედას: ვითომ იგი სადღაც უკაცრიელ სახლში მომწყვდეულიყო, საიდანაც გასასვლელიც არსაით ჩანდა; უცებ სარკმლიდან მზის სხივი შემოიჭრა, ფარნავაზს წელზე შემოერტყა, განზიდა და გაიყვანა; მერე სადღაც ველზე გავიდა და შედგა; უცებ მზე ზეციდან ძირს ჩამოეშვა და ფარნავაზის წინ მის სიმაღლეზე დადგა; ჭაბუკმა მზისკენ ხელი გაწვართა, პირიდან სხივოსანი ცვარი ჩამოჰხოცა და საკუთარი პირიც იმ მზიურ-ნამცვრევით დაიბანა!..

ეს საამური ძილისშორისი დედას დაუტევა და თვითონ მარტოდმარტო წავიდა სანადიროდ.

დიღმის ველზე რომ გააღწია, ირმის ჯოგი წამოეყარდა. მონადირემ წამსვე მშვილ-ისარი გამართა და ცხენს ქუსლი ჰკრა. ირმები ტფილისის ტაფობისაკენ გაფრინდნენ. ფარნავაზმა ისარი დაადევნა. ერთი მოწყვეტით ჩამოსხლტა ჯოგს, მაინც სისხლდენით მიჰქროდა დაჭრილი ირემი. ბოლოს, მწუხრის ჟამს, ვეღარ გაუძლო და ერთ კლდის ძირს მუხლი ჩაიკრიფა. ფარნავაზიც მივიდა, ცხენიდან გარდაბდა და დაუძლურებულ ნადირს კისერზე მკლავი გადახვია.

ის ღამე ერთად გაათიეს ადამიანმა და ნადირმა.

დილით კოკისპირული წვიმა დაასხა. ფარნავაზმა კლდეს თვალი მოავლო, — თავშესაფარს რასმე ეძებდა.

უცებ კლდის ძირში ქვა-ნაშალი შენიშნა, — თითქოს კლდეში შესასვლელი ოდესღაც ვიღაცას ამოექოლოს.

სასწრაფოდ ჩუგლუგი მოიმარჯვა და კლდე-ნაქოლის გამორღვევას შეუდგა. იგი შევიდა გამოქვაბულში და გაიხარა,

რომ გადასაწვიმებელ ადგილს მიაგნო. მაგრამ უფრო დიდი სიხარული მას წინ ედო.

როცა ფარნავაზმა გამოქვაბულს თვალი უფრო გულისყურით მოავლო, დაინახა საგანძური აურაცხელი ოქრო-ვერცხლისა!

განცვიფრებითა და სიხარულით აღვსილმა ჭაბუკმა გამოქვაბულის კარი ისევ ამოქოლა და სახლისაკენ გაქუსლა. იქ მან დედას და თავის სამ დას გაანდო ეს მოულოდნელი და სასიხარულო ამბავი.

ხუთი ღამის განმავლობაში ფარნავაზს, მის დებსა და დედას, ყველასაგან საიდუმლოდ და შეუმჩნევლად, გამოჰქონდათ ის საგანძური გამოქვაბულიდან. გამოჰქონდათ და სხვა, მათთვის უფრო საიმედო და მარჯვე ადგილას ინახავდნენ.

როცა ეს საქმეც მოათავა, ფარნავაზმა თავისი მსახური აფრინა დასავლეთ საქართველოში და ეგრისის მაშინდელ ერისთავს, ქ უ ჯ ი ს შეუთვალა:

„მე ვარ ფარნავაზი, შენი ნათესავი ქართველი, შენებრ ქართლოსის შთამომავალი, აწ მოკვდინებულ სამარას ძმისწული. ხელთა მაქვს დიდძალი ხვასტაგი, ოქრო და ვერცხლი. მომეცი ნება, მოვიდე შენთან, რამეთუ ვეძმოთ ძმანი ერთურთსა, მოვიხმაროთ ხვასტაგი ესე და ერთიან ძალით შევებათ აზონ ერისთავსა“.

ქუჯიმ დიდად გაიხარა ფარნავაზის შემონათვალზე და სასწრაფოდ პასუხიც აახლა:

„აღსდექ და მოდი ჩემთან, შევერთოთ ერთურთსა, ძმაო ჩემო. შევერთდეთ, რამეთუ განიხარონ ყოველთა ქართველთა“.

ფარნავაზი დედისა და დების თანხლებით მცხეთიდან იდუმალ გაუჩინარდა და კოლხეთს გადავიდა.

ქუჯიმ დიდის პატივითა და სიხარულით მიიღო მცხეთელი სტუმრები. მაშინვე მტკიცე ფიცით შეეკრნენ ერთურთს, რომ ერთიანი ძალით იბრძოლებდნენ აზონის დასამხობად.

ქუჯიმ ისიც კი განსაზღვრა, ვინ უნდა ყოფილიყო გაერთიანებულ ქართველთა ბელადი და „უფალი“. მან ფარნავაზს უთხრა:

„თავი და თავი ქართლოსიანნი აღმოსავლეთ ქართველები

არიან, ამიტომ შენ გმართებს უფლობა ჩვენი. ახლა წადი, ნუ დაიშურებ ხვასტაგსა შენსა და ამრავლე ლაშქარი; და შემდგომაც, თუ ღვთის შეწევნით გავიმარჯვებთ, კვლავ შენ იქნები უფალი ჩვენი, ხოლო მე ქვეშევრდომი შენი“.

ქუჯის დიდსულოვნებითა და სიბრძნით აღტაცებულმა შეჰყარა აღმოსავლეთ და დასავლეთ ქართველთა საომარი ძალები, კავკასიონითგან მოირთო ოვსნი და ლეკნი, რომლებიც აზონს დახარკულნი ჰყავდა.

ეტყობა, აზონის მომხრეთა ბანაკშიც არ ყოფილა მტკიცე ერთიანობა. როცა გადამწყვეტი ბრძოლის დღე მოახლოვდა, აზონის ლაშქარი ათასმა რჩეულმა მხედარმა მიატოვა და ფარნავაზის ბანაკს შეუერთდა.

აზონმა მოპირდაპირის ძლიერ ძალებს ბრძოლა ვერ შეჰბედა, მცხეთა მიატოვა, კლარჯეთს გადავიდა და იქ გამაგრდა.

ფარნავაზმა დაიპყრო მცხეთა და სრულიად ქართლი და შეუდგა კლარჯეთისაკენ საომარ სამზადისს. მან ძღვენი გაუგზავნა და შეჰწეობა სთხოვა სირიის მაშინდელ ხელმწიფეს, ანტიოქე I სოტერს. ამანაც ფრიად გაიხარა ქართველთა ახალგაზრდა ბელადის ძღვენითა და სამოკავშირეო წინადადებით. მან ფარნავაზს „შვილი“ უწოდა, უძვირფასესი გვირგვინი გამოუგზავნა და თან თავის ქვეშევრდომ სომხეთის მმართველებს ფარნავაზისთვის დამხმარე ძალთა გაგზავნა უბრძანა.

ფარნავაზი, ქუჯის თანხლებით, ქართველთა გაერთიანებული ძალებით, დაიძრა არტანუჯისაკენ.

აზონიც ელოდებოდა პონტოდან მოსული ახალი საომარი ძალებით.

ბრძოლა მოხდა არტაანის, ანუ „ქაჯთა ქალაქის“ მახლობლად. სისხლიანი რკენა ფარნავაზის გამარჯვებით გათავდა. აზონი ბრძოლაში დაიღუპა. მისი ლაშქრის დიდი ნაწილიც განადგურდა. დანარჩენები ტყვედ ჩაუვარდნენ გამარჯვებულებს. მთელი კლარჯეთი თავის დედას — ქართლს შეუერთდა.

ასე შეიქნა ფარნავაზი ქართველთა პირველი გამაერთიანებელი და განთქმულ ფარნავაზიანთა დინასტიის დამაარსებელი.

ეს ამბავი მოხდა ქრისტეს შობამდე IV—III საუკუნეთა მიჯნაზე.

ფარნავაზი ჯერ მხოლოდ 27 წლისა იყო, მაგრამ ახლად შექმნილ დიდ ქართულ სახელმწიფოს სიბრძნითა და კეთილგონიერებით განაგებდა. იგი გამეფებისთანავე შეუდგა შინასახელმწიფოებრივი რეფორმების გატარებას.

მან ჯერ განახორციელა ადმინისტრაციული რეფორმა: საქართველო დაჰყო საერისთავოებად, რომელთაც სათავეში ჩაუყენა ერისთავები. სულ იყო რვა საერისთავო: არგვეთი (შორაპანსა და ლიხს შორის), კახეთი (არაგვსა და ჰერეთს შორის), ხუნანი (გარდაბანი, მდინარე ბერდუჯიდან ტფილისსა და გაჩიანამდე), სამშვილდე (ტაშირი და აბოცი), წუნდა (ჯავახეთი, კოლა და არტაანი), ოძრხე (სამცხე და აჭარა), კლარჯეთი (არსიანითგან შავ ზღვამდე) და ეგრისი (სამეგრელო და სვანეთი. სწორედ ეგრისის ერისთავი იყო ქუჯი).

შიდა ქართლს (ტფილისიდან ტაშისკარამდე) ვითარცა ცალკე საერისთავოს, განაგებდა სპასპეტი, მთავარსარდალი, რომელიც იმავე დროს ყველა საერისთავოთა ზედამდგომად და მეფის პირველ ვაზირად ითვლებოდა.

ჟამიდან ჟამზე თვითონ მეფე პირადად ეწვეოდა ხოლმე საერისთავოებს, ადგილზე მოიკითხავდა და გაიკითხავდა ყველა საჭირბოროტო საკითხს. უფრო ხშირად იგი სტუმრობდა კლარჯეთს და ეგრისს.

ფარნავაზი მეგობრობდა და მოყვრობდა თავის ერთგულ თანამებრძოლებთან, მოკავშირეებთან და ქვეშევრდომებთან. მას ცოლად ჰყავდა ჩრდილო კავკასიელ დურძუკთა ბელადის ასული, ხოლო თავის დათაგან ერთი ოვსთა მეფეს მისცა ცოლად, მეორე კი — ერთგულ ქუჯის, ეგრისის ერისთავს.

ფარნავაზმა ხელი მიჰყო დიდ აღმშენებლობითს საქმიანობას. მან გაამშვენიერა და ქვის კედელ-ზღუდეებით გაამაგრა სატახტო ქალაქი მცხეთა და მისი აკროპოლისი არმაზციხე, სადაც აღმართა კერპი არმაზ. მეფემ აღადგინა ყველა ქალაქი და ციხესიმაგრე, რომელიც კი მანამდე მტრის შემოსევას თუ სტიქიურ უბედურებას დაენგრია. ამას გარდა,

დაიწყო ახალ ციხეთა და ქალაქთა მშენებლობა. ასე აშენდა შორაპნისა და დიმის ციხეები. ეგრისის შუაგულში ქუჯიმ აღაშენა ქალაქი ციხე-გოჯი.

იმავე IV—III საუკუნეთა მიჯნაზე ფარნავაზმა განახორციელა ყველაზე დიდი კულტურული ღონისძიება: „განავრცო ენა ქართული, და არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა, და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული“*... რასაკვირველია, ყოველივე ეს მან გააკეთა ქართულ ანბანზე დაფუძნებით. ჯერჯერობით მხოლოდ ეს აღარ ვიცით დაზუსტებით: ფარნავაზმა ქართული ანბანი, ვითარცა ქართული მწიგნობრობის უცილობელი საძირკველი, ადრეული საუკუნეებიდან აიღო (რაც უფრო სარწმუნოა), თუ თვითონ მის დროს და მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა. ასეა თუ ისე, ერთი რამ სავსებით უეჭველია: ქართული ანბანი, რომლის საფუძველზეც ფარნავაზმა განავრცო ენა ქართული და „შექმნა მწიგნობრობა ქართული“, — არაუგვიანეს ქრისტეს შობამდე III საუკუნის დამდეგისა, ძალაში შედის, ვითარცა უდიდესი ეროვნულ-კულტურული მოვლენა.

65 წელიწადი იმეფა ფარნავაზმა, და მიიცვალა შობითგან 92 წლისა.

დაიკრძალა და განისვენა მისგანვე აღმართული არმაზის ფერხთა ქვეშე.

---

* ქართული ენისა და მწიგნობრობის ფარნავაზისეული რეფორმის აქ მოხსენებულ ცნობას (რომელიც ეკუთვნის „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთ თვალსაჩინო ავტორ-ისტორიკოსს, ლეონტი მროველს), ფრიად განამტკიცებს ახლახან არაგვის ხეობაში, დავათში ნაპოვნი და გაშიფრული ძველი ქართული ანბანი (იხ. გ. აბრამიშვილი, ზ. ალექსიძე, დავათის სტელები, აღმოჩენა არაგვის ხეობაში, გაზ. „კომუნისტი“, 19. V. 1985).



პირველი იყო კურთი

აქართველოში ქრისტესა და ქრისტიანობაზე პირველი სიტყვა და პირველი განსჯა იწყება და განეფინება ქრისტეს დროიდანვე, ანუ I საუკუნის 30-იან წლებიდან.

ამ დროს ქართლში (იბერიაში) მეფედ იჯდა ფარნავაზიანთა დინასტიის მეათე წარმომადგენელი მ ი რ დ ა ტ პ ი რ ვ ე ლ ი, ანუ ა დ ე რ კ ი, რომელმაც გააერთიანა „ყოველი ქართლი და ეგრისი“, მერე „უმატა სიმაგრეთა ქართლისათა, ქალაქთა და ციხეთა და უმეტეს მოამტკიცნა ზღუდენი ქალაქისა მცხეთისანი, წყლისა იმიერ და ამიერ“.

სამასი წელიწადი გასულიყო მას შემდგომ, რაც ქართველნი, სარწმუნოებით წარმართნი, თაყვანს სცემდნენ კერპებს — არმაზს, გაცსა და გაიმს, რომელთა ქანდაკებანი აღმართულიყვნენ საქართველოს მაშინდელი სატახტო ქალაქის, მცხეთის მთავარი ციხესიმაგრის — არმაზ-ციხის თავზე.

და, აი, ქართველთა მთავარი სალოცავის, არმაზის აღმართვიდან გასულიყო სამი საუკუნე, როცა პალესტინიდან მცხეთაში მოვიდა ამბავი იესო ქრისტეს ღვთაებრივი მოვლინებისა, ახალი საღვთისმეტყველო-სარწმუნოებრივი ქადაგებისა, იუდაისტ-ფარისეველთაგან და რომაელთაგან შეპყრობისა და სამართალში მიცემისა. ბრალმდებელ ებრაელთა წრემ მოციქულები გამოუგზავნა მცხეთის ებრაელობას თხოვნით: ქართლიდანაც გაეგზავნათ „მეცნიერნი სჯულისანი“, რომლებიც მონაწილეობას მიიღებდნენ ქრისტეს მხილებაში და მისთვის სასიკვდილო განჩინების გამოტანაში.

და მცხეთელებმა პალესტინაში გასაგზავნად შეარჩიეს ე ლ ი ო ზ მ ც ხ ე თ ე ლ ი და ლ ო ნ გ ი ნ ო ზ კ ა რ ს ნ ე ლ ი.

გამგზავრების წინ ელიოზი დედამისმა საგანგებოდ დაარიგა: წასვლით წადი, მაგრამ არამც და არამც ქრისტეს გასამტყუნებლად არც სიტყვა დასძრა და არც მის სასიკვდილო განჩინებაში წილი არ დაიდოო.

როცა ელიოზმა და ლონგინოზმა პალესტინაში ჩააღწიეს, უკვე გვიან იყო. ქრისტესთვის სასიკვდილო განაჩენი უკვე გამოეტანათ. საქართველოდან წარგზავნილებმა მხოლოდ ქრისტეს ჯვარცმას მიუსწრეს გოლგოთაზე. მიუსწრეს და დიდი პატივიც ერგოთ: როცა წამებული უფლის ტანსაცმელზე იქ დამსწრეებმა წილი განიგდეს, კვართი წილად ხვდათ სწორედ ელიოზსა და ლონგინოზს.

გოლგოთის ტრაგედიას სასწაულებრივი გამოძახილი მოჰყვა მცხეთაში: ელიოზის დედას მოესმა ჯვარზე უფლის გალურსმვის ხმა და შესძახა მწარედ ატირებულმა: „მშვიდობით, მეფობაო ჰურიათაო, რამეთუ მოჰკალთ თავისა თქუენისა მაცხოვარი და იქმნენით მკვლელნი შემოქმედისა. ვაი თავსა ჩემსა, რომე არა წინავე მოვკვდი, რათა არა ჰსმენოდა ყურთა ჩემთა აღსასრული ღვთაებრივისა!“ შესძახა და სულიც განუტევა უფალზე მგლოვიარე მცხეთელმა ქალმა.

ხოლო, ელიოზი და ლონგინოზი მცხეთაში დაბრუნდნენ უფლის კვართით.

ელიოზს პირველი მივარდა მისი დაი, კვართი ჩამოართვა, მკერდში ჩაიკრა, ბევრი იტირა და ტირილითვე მიიცვალა.

ელიოზის სახლს (რომელიც მდებარეობდა „მიწურვით ხიდისა ქარსა მოგუეთისასა“) აუარება ხალხი მიაწყდა. ყველას ეწადნიერებოდა ხილვა სასწაულებრივი კვართისა და სასწაულებრივად აღსრულებული ახალგაზრდა ქალისა.

მოვიდა მეფე ადერკიც. ისიც ძალიან მოიხიბლა ღვთაებრივი საფოსლის ხილვით და კიდევაც მოინდომა მისით საკუთარი ტანის დამშვენება. მოინდომა და მიწვდა კიდეც ხელით, მაგრამ ვერ იქნა და ვერც მეფემ და ვერც მისმა მხლებლებმა მიცვალებულს მკერდზე დაკრეფილი ხელებიდან ვერ ამართვეს კვართი უფლისა.

და, ელიოზმა თავისი დაი, ქრისტეს კვართთან ერთად, დამარხა იქვე მცხეთას, „სანატრელითა დამარხვითა“.

ხოლო იქ, პალესტინაში, ახალი სასწაულები დატრიალ-

და: ჯვარცმული, გარდამოხსნილი და დაკრძალული ქრისტე მისი ვნებითგან მესამე დღეს აღსდგა, მეორმოცე დღეს კი ზეცად ამაღლდა. მალე ამის შემდეგ ქრისტეს მშობელმა მარიამმა და მოციქულებმა ქვეყნად ქრისტიანობის გასავრცელებლად „წილ-იგდეს“, და საქართველოს გაქრისტიანება წილად ხვდა თვითონ ღვთისმშობელს (აქედან წარმოსდგა გამოთქმა: „ღვთისმშობლის წილხვდომილი საქართველო“).

მარიამმა თავის მაგივრად საქართველოში წარმოგზავნა ქრისტეს ორი მოციქული ანდრია პირველწოდებული და სვიმონ კანანელი. წინასწარ მარიამმა მოატანინა ფიცარი, დაიბანა („მოინათლა“) პირი, ფიცარი სახეზე დაიდო და ზედ ზუსტად ამოკვართა ხატი თვისი. სწორედ ეს ხატი თავის სანაცვლოდ გამოატანა ღვთისმშობელმა ქრისტეს მოწაფეებს საქართველოში. ამ „ხელთუქმნელი ხატით“ ხელში მოაქციეთ ჩემი წილხვდომილი ქართველები და თავდებიც ვიქნებიო, „არავინ მტერთაგანი მძლე ექმნას მათ“, — ასეთი იყო ქრისტეს დედის დანაბარები და ასედაც მოუთხრობდნენ ყველას საქართველოში მოსული ანდრია და სვიმონი.

ქართლის შუაგულში კერპები ძლიერნი იყვნენ და კერპთა უმტკიცესი თაყვანისმცემელი მეფე ადერკიც იქვე იჯდა, მცხეთაში. ამიტომ მოციქულებმა თავისი საგანმანათლებლო მოღვაწეობა დაიწყეს დასავლეთ საქართველოდან. ანდრია პირველწოდებული სამეგრელოს აქრისტიანებდა, სვიმონ კანანელი — აფხაზეთს. აქვე, აფხაზეთში გარდაიცვალა სვიმონი და აქვე დაასაფლავეს, ნიკოფსიაში.


ანდრიამ კი, სამეგრელოს შემდეგ, ჯიქეთის გაქრისტიანება დააპირა, მაგრამ იქ სასტიკი წინააღმდეგობა შეხვდა, უეჭველი სიკვდილიც დაემუქრა და იძულებული გახდა ლტოლვილად გამობრუნებულიყო. იგი სამეგრელოდან გადავიდა მესხეთში და, მესხთა თხოვნით იქ, აწყურის ეკვდერში დაასვენა ხელთუქმნელი ხატი ღვთისმშობლისა.

კლარჯეთის ერისთავმა ტკბილად გაისტუმრა ღვაწლმოსილი მოწაფე ქრისტესი ტაოსა და აჭარისაკენ.

ხოლო, მეფე ადერკი დიდად განარისხა დასავლეთ და სამხრეთ საქართველოში წარმართული კერპების ჰსხვრეკამ და ახალი რელიგიის გავრცელებამ. მან სამეგრელოში ეპის-

თავები გაგზავნა ლაშქრით, ჯვრები და ხატები მოასპობინა, ხალხს ქრისტიანობაზე ხელი ააღებინა და ისევ წარმართობისაკენ შემოაბრუნა. მერე შემოსწყრა ადერკ მეფე კლარჯეთის ერისთავსაც, რადგან მან „მშვიდობით განუტევა ანდრია მოციქული“.

ასე იწყებდა შემოსვლას ქრისტიანობა საქართველოში. იწყებდა, იზრდებოდა და ვითარდებოდა შრომით, ბრძოლით, ჭირთა თმენით და მტკიცე შეუპოვრობით. ასეთი მძიმე გზებით ვიდოდა და ვრცელდებოდა სამასი წლის სიგრძეზე იგი მთელს რომის იმპერიაში, რომლის საქვეშევრდომო ორბიტაში, მრავალ ევროპელ და აზიელ ხალხებთან ერთად, შედიოდა ქრისტეს სამშობლო პალესტინაც და ღვთისმშობლის წილხვდომილი საქართველოც.



ნიჩო

განმანათლებელი

ესამე საუკუნის დასასრულიდან რომის მსოფლიო სახელმწიფო მხოლოდ გარეგნულად ინარჩუნებდა ერთიანობას. ნამდვილად კი იგი ორი ნაწილისაგან — აღმოსავლეთ და დასავლეთ იმპერიებისაგან შედგებოდა. მალე თვით რომს, „მსოფლიოს ცენტრსა და მარადიულ ქალაქს“, აღმოსავლეთში ახალი სატახტო დაუპირისპირდა. იგი ააგო იმპერატორმა კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე მ ბოსფორის სრუტისა და მარმარილოს ზღვის შესაყარში, ძველი ბერძნული კოლონიის, ბიზანტიონის ადგილზე. დამაარსებლის სახელის მიხედვით, ქალაქს ეწოდა „კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ო პ ო ლ ი ს“ („კონსტანტინეს ქალაქი“), რომლის კურთხევა და ახალ სატახტოდ გამოცხადება, დიდი ზეიმითა და ზარზეიმით მოხდა 330 წლის 11 მაისს. აქედანვე დაედო საფუძველი „აღმოსავლეთ რომის იმპერიას“, მეორენაირად — „ბიზანტიის იმპერიას“.

ეს ის დროა, როცა მთელ რომის იმპერიაში, ატლანტის ოკეანედან მესოპოტამიამდე, სრულად გავრცელებულიყო ქრისტიანობა, რომელიც აქამდე მთელი სამი საუკუნის მანძილზე, მოღწეულიყო ვითარცა დევნილი და წამებული რელიგია.

და, რომის იმპერატორთაგან კონსტანტინე აღმოჩნდა პირველი, რომელმაც გონივრულად შეაფასა ძალა და საკგებლიანობა ქრისტიანობისა უწინარესად მისი უზენაესი ხელისუფლების განმტკიცებისათვის: მძლავრი კრიზისებით შერყეულ იმპერიას სწორედ ერთიანი, მონოთეისტური რელიგიურ-იდეოლოგიური საძირკველი ესაჭიროებოდა, ხოლო

ასეთ ერთიან იდეოლოგიად, მანამდელი მრავალღმერთიანული, ლოკალური რელიგიებისაგან განსხვავებით, სწორედ ქრისტიანობა უნდა გამომდგარიყო. ამიტომ კონსტანტინემ მის წინამორბედ იმპერატორთა ანტიქრისტიანული პოლიტიკა დაგმო და ქრისტიანობა მთელს იმპერიაში ნებადართულ მოძღვრებად გამოაცხადა. მისივე ნებით, 325 წელს, ქალაქ ნიკეაში, მოწვეულ იქნა პირველი მსოფლიო საეკლესიო კრება.

როგორც ეტყობა, კონსტანტინეს ხელმწიფობის ჟამს, ქრისტიანობა ფართოდ და მტკიცედ ყოფილა გავრცელებული საქართველოშიც. ამაზე ნათლად მეტყველებს თუნდაც ის ამბავი, რომ ნიკეის მსოფლიო საეკლესიო ყრილობის მონაწილე 318 ეპისკოპოსიდან 111-ე ნომრით მოხსენიებულია ბიჭვინტის ეპისკოპოსი სტრატოფილე. ამდენად, დასავლეთ საქართველოში, უკვე IV საუკუნის პირველ მეოთხედში, ქრისტიანობა ისე ფართოდ ყოფილა გავრცელებული, რომ აქ საეპისკოპოსო ეპარქიებიც კი არსებულა!..

330 წლის მახლობლად ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა აღმოსავლეთ საქართველოში — იბერიაში.

მაშინ აქ მეფედ იჯდა მირიან მესამე.

ქართლში ახალი მოძღვრების გამოცხადებისა და ქართველი ხალხის მონათვლის („მოქცევის“) მთავარი გმირი შეიქნა ახალგაზრდა ქალი, სახელად — ნინო.

მისი სამშობლო იყო კაპადოკია — ქვეყანა, დასაგამითვე დასახლებული ქართველური ტომებით.

ჰყავდა წარჩინებული მშობლები: მამა — ზაბილონ, დედა — სუსანა.

ზაბილონ კაპადოკიელს ჭაბუკობითვე სახელი გაეთქვა ნიჭით, სიმამაცით, სიქველით, და მიუღწევია რომის იმპერიის მხედართუფროსობისათვის. მალე იგი ქრისტეს სჯულზე მოქცეულა და სხვაც მრავალი მოუქცევია. მერე იერუსალიმს წასულა ქრისტეს წმიდა ადგილთა მოსახილველად და სათაყვანოდ, თან მთელი თავისი ქონება წაუღია და ქვრივ-ობოლთა და უპოვართათვის დაურიგებია. მოსწონებია და ცოლად შეურთავს ქრისტიანი ქალი სუსანა — იერუსალიმის პატრიარქის დაი. აქვე, იერუსალიმში დაორკეცებულა სუსანა.

ცოლ-ქმარი კაპადოკიაში დაბრუნებულა, ზაბილონის მშობლიურ ქალაქში, კალასტროში.

აქ დაიბადა ნინო.

როცა თერთმეტი წლისა გახდა, მშობლებმა ყველაფერი მიჰყიდ-მოჰყიდეს, ისევ იერუსალიმს ჩავიდნენ და ფული მთლიანად მათხოვრებს, საპყართ და ქვრივ-ობლებს დაურიგეს. აქვე დასახლდნენ და შეუდგნენ ქრისტიანულ ღვთისმსახურებას.

ნინომ ბიძასთან, იერუსალიმის პატრიარქთან ისწავლა ქრისტეს მოძღვრება და საქრისტიანო მსახურობა. კარგად რომ ისწავლა და შეისისხლხორცა, ბიძას ლოცვა-კურთხევა გამოსწირა, მშობლებს დაემშვიდობა და წარმართ ადამიანთა ქრისტეს სჯულზე მოქცევას შეუდგა.

ასე, ქრისტეს მოძღვრების ქადაგებით, ნინომ მიაღწია „სამეფოსა ჰრომს“.

აქ იგი დაუახლოვდა ორ ქალს — რიფსიმესა და გაიანეს. ორივე გააქრისტიანა. მალე მათ გარდა ნინომ კიდევ ორმოცდაათამდე წარმართი მოაქცია ქრისტეს სჯულზე.

ამასობაში რომში ქრისტიანთა მორიგი დევნა და ხოცვა-ჟლეტა დაიწყო.

ნინო, რიფსიმე და გაიანე რომიდან გამოიქცნენ და დიდის გაჭირვებით მოაღწიეს სომხეთს.

რიფსიმე და გაიანე სომხეთში დარჩნენ, სომეხთა მოსაქცევად.

ხოლო, ნინო, „ზეგარდმო მინიშნებით“, წამოემართა საქართველოსკენ.

მოდიოდა იგი, ქალწული უმშვენიერესი, სულით უმანკო და სხეულით უზადო, ტანად ალვა და პირად სახიერი, გონებით ნათელიერი და რწმენით შეგრძნებული, ყვავილ-ბალახთა მესაიდუმლე და მესასწაულე აქიმ-მკურნალი.

სამი თვე მოდიოდა, ხან ფეხზე ხამლით, ხან ფეხშიშველი, ხელში არგანით, მკერდზე ჯვარცმით.

მეოთხე თვეს, ივნისში, ჯავახეთს შემოდგა ფეხი.

ქალი შეაძრწუნა მთებმა, რომელთაც ზაფხულშიაც არ მოეხადათ თეთრი ნაბდები.

დადგა თავფარავნის ტბასთან და იქვე დაივანა ორი დღე-ღამე.

თვალსა და გულს აჩვევდა ქართულ მიდამოს, გასაოცარ მიწას და ზეცას. ინახად მჯდარი გემოს უსინჯავდა თავფარავნულ თევზს. იხიბლებოდა აქაურ მწყემსთა თავაზიანობითა და სტუმართმოყვარეობით.

აქვე პირველად მოისმინა „არმაზ“ და „ზადენ“, რომელთაც მასპინძელი მწყემსები მოუხმობდნენ, მათ მიმართ ლოცვას აღავლენდნენ და ზორვას უმართავდნენ.

აქვე ამ უცნაური კერპების თაყვანისმცემლებს პირველად უხილავთ უცხო ქალწულის ქრისტიანული ლოცვა-ვედრება და ქრისტესათვის ცრემლის თხევა.

აქვე ნინომ შეიტყო, რომ ეს გულკეთილი ადამიანები ყოფილან მცხოვრებნი „დიდისა ქალაქისა მცხეთისანი, სადაც ღმერთნი ღმერთობენ და მეფენი მეფობენ“.

და ნინოც წამოვიდა ამა „დიდისა ქალაქისაკენ“.

კიდევ დიდხანს იარა ხამლით და უხამლოდ.

გზაზე მგზავრებს აჰყვა, მტკვარი გადმოიარა და მოვიდა ურბნისს.

ერთი თვე აქ დადგა და ისწავლა აქაური ხალხი, მათი ცხოვრება, ზნე და ჩვევა.

მერე დადგა დღე, როცა ხალხი დაიძრა „დიდად ქალაქად, სამეუფოდ, მცხეთად, მოვაჭრებად სახმართა რათამე და ზორგად წინაშე არმაზ ღმრთისა მათისა“.

და ნინოც გაჰყვა ხალხის მდინარებას.

მივიდა მცხეთას და იხილა ქალაქი საარაკო მშვენიერებით.

ორი მდინარის შესაყარში გაშლილიყო სამეუფო ქალაქი ქართლოსიანებისა. მჭიდროდ და მრავლად დასახლებული, სახლები ტანსრული ხუროთმოძღვრული ანაგებით, წითელი კრამიტის სახურავებით, შუაგულში სამეფო სრა-სასახლით და ქალაქის თავზე უმტკიცესი აკროპოლისით. მდინარეთა მხრიდან მაღალი მთები დასცქეროდნენ მცხეთას.

ქალაქი ხალხს ვეღარ იტევდა „გამოვიდა ერი ურიცხვი, ვითარცა ყვავილნი ველისანი“.

ატყდა ცემა ბუკთა, საყვირთა და ზინზილაკთა.

სასახლიდან გამობრძანდა დედოფალი ნანა, და მის კვალდაკვალ — მეფე მირიან.

„და ნელად მოვიდოდა ერი და შეამკუნეს ყოველნი ფოლოცნი თვითოფერითა სამოსლებითა და ფურცლითა“.

მეფე-დედოფალი წინ მიუძღოდა ხალხს. პროცესია მთისკენ, არმაზ-ციხისკენ მიემართებოდა.

ნინოც მიჰყვებოდა.

„იგი ხედვიდა საკვირველებასა მიუწვდომელსა და ენითა გამოუთქმელსა“.

არმაზის მთაზე იდგა კერპი, თვითონ არმაზი, სპილენძის ბუმბერაზი, თავზე მუზარად-ჩაბალახით, ტანზე ოქროს ჯაჭვსაჭურვლით, ხელში ელვამკრთომელი მახვილით, სახით ზვიადი და მრისხანე, კუშტად შეკრულ წარბთა ქვეშე — ერთი თვალი ზურმუხტის ედგა, ხოლო მეორე ბივრილიონის.

არმაზს ორის მხრიდან თითო მომცრო ქანდაკნი ედგა: მარჯვნივ — ოქროსი, სახელად გაც, ხოლო მარცხნივ — ვერცხლისა, სახელად გაიმ.

ხალხი შეუდგა ლოცვას და ზორვას კერპთა წინაშე...

დღე იყო შავღრუბლიანი და უნათლო.

შუადღე გადავიდა.

საკერპო მისტერია ჯერ არ დასრულებულიყო, ზეცად ატყდა ჭექა-ქუხილი და წვიმაც დაუშვა კოკისპირულად. ელვას და ჭექას მალე საშინელი სეტყვაც მოჰყვა.

ხალხი მთიდან მოწყდა და დაბლობისაკენ დაეშვა.

მოსაღამოვდა. წვიმა ქარიშხლად იქცა. მთელი ღამე გრიგალი, ღვარნაფშვენი, ლეშხი, სეტყვის ხრიალი და ჭექა-გრუხუნი არყევდა ცასა და მიწას. როგორც იქნა, გათენებისას ჩადგა ქარიშხალი. ქვეყანა დაწყნარდა. ცამ პირი გადაიწმინდა.

ხალხი აღტაცებით შეხვდა მზის გამოჩენას.

მაგრამ მათი სათაყვანო კერპები უკვე აღარ იმზირებოდნენ არმაზის მთიდან. საშინელ ქარბორბალას, ნიაღვარსა და „ლიტრის სწორ“ სეტყვას კერპები დაელეწნა, შეემუსრნა და ნამუსრევნი მათნი „შთაებნივნა კლდეთა ნაპრალთა“.

„გამოვიდა მირიან მეფე და ყოველი იგი ერი, ეძიებდეს ღმერთთა მათთა და არა ჰპოებდეს, რომლისათვის დაეცა მათ შიში და ძრწოლა“.

ატყდა მითქმა-მოთქმა; ზოგი მართლა ძრწოლით და შიშით, ზოგიც გაბოროტებით — გაიძახდნენ, რომ ეს, სალოცავ-სათაყვანო კერპთა მსხვრევა დიდი ღვთის წყრომა და განუზომელი უბედურების მომტანი უნდა ყოფილიყო. ვინ რას გაიძახოდა ამ ღვთის წყრომის წყაროდ! ზოგი არმაზის და-

ნანგრევლად ქალდეველთა ღმერთს, ითრუჯანს ასახელებდა.

იყვნენ ისეთებიც, რომლებიც მცხეთის კერპთა შემმუსვრელ ძალად იესო ქრისტეს ასახელებდნენ — ნაზარეველ ღვთაებრივ გმირს, თვით სასწაულმოქმედ ღვთაებას, კაცობრიობის ცოდვებისთვის ჯვარცმით ვნებულს და სისხლდათხეულს და მერე მკვდრეთით აღმდგარს და ზეცად ამაღლებულს.

ეტყობოდა, მცხეთაში ბევრი უკვე კარგად იცნობდა ქრისტეს მოძღვრებას და შეფარვით კიდეც აღიარებდა მას.

მეზობელი სომხეთიდანაც მოდიოდა ნაირნაირად ნათქვამი. მათ შორის ერთ ასეთ სასწაულს ამბობდნენ: თურმე სომეხთა მეფე თრდატი „ქრისტეს ძალითა ეშუად ქმნილიყო, და ქრისტეს ძალითვე კუალად კაცად მოქცეულიყო“. ახლა კი მცხეთაში ბევრი იძახდა: ჩვენი კერპები სწორედ იმ ღმერთმა შემუსრა, რომელმაც კაცი ჯერ ღორად, მერე კი ის ღორი ისევ კაცად აქციაო.

ხოლო, სულ მალე დადგება დღე, როცა ხალხში ხმა გავარდება, დარწმუნებით და დაბეჯითებით: მცხეთა-არმაზის კერპთა შესამუსრავად ქრისტეს მოუხმო სწორედ ნინომ, კაპადოკიიდან მოვლენილმა უცხო ქალწულმა!..

იმ დღეს ნინო არმაზის მთაზე ავიდა და კერპთა ნამუსრევნი გულდასმით მოიხილა. მერე მთის ბოლოსკენ წავიდა და მივიდა იქ, სადაც აღმართული იყო მეფეთა საჩრდილობელი — ასწლოვანი აკაკის ჯიშის ხე, „შუენიერი, მაღალი და რტომრავალი“.

იმ ხეს მიადგა ნინო. დიდხანს ეწვალა და ზედ ნიში ამოჭრა ქრისტეს ჯვარცმის გამოხატულებით.

ექვსი დღე დადიოდა და ლოცულობდა მისგანვე ნაკვეთი ქმნილების წინაშე.

უკანასკნელ დღეს აქ მას, მუხლმოყრილსა და მხურვალედ მლოცველს, მოუსწრო სამეფო სახლეულთაგან რომელიღაც ქალმა, სახელად შ რ ო შ ა ნ ა მ.

სეფექალმა ვინაობა ჰკითხა ნინოს.

ნინომ არ გაუმხილა თავისი წარმომავლობა და უბრალოდ უთხრა: მე ერთი უთვისტომო ტყვე ქალი ვარო. შროშანას შეებრალა და შეუჩნდა — სასახლეში წამომყევიო. ნინო უარზე დადგა.

კიდევ სამი დღე დარჩა ქრისტიანი ქალწული არმაზის

ჯვარცმის წინაშე. მერე მთიდან დაეშვა, ხიდი გადმოიარა და სამეფო სასახლეს მიადგა.

აქ გაშლილიყო მშვენიერი წალკოტი, მრავალფერი ყვავილნარებით, ბუჩქნარებით, ხეებზე ახლართული ვაზებით.

წალკოტის განაკიდურზე მებაღის მცირე სახლაკი იდგა.

ნინო იმ სახლაკს მიადგა.

სახლიდან ქალი გამოვიდა, მებაღის ცოლი, სახელად — ა ნ ა ს ტ ო.

ანასტო დაატყვევა უცნობი ქალწულის საოცარმა სიმშვენიერემ და კდემამოსილებამ.

უძეო ცოლ-ქმარს უცხო ქალწული ღვიძლი შვილივით შეუყვარდა და შვილადვე შეიკედლა.

ცხრა თვე იცხოვრა ნინომ მათთან.

ნინო ანასტოსთან ერთად ბაღში დადიოდა, ყვავილებსა და ბალახებს კრეფდა, ხარშავდა, რაღაც წამლებს ამზადებდა.

ანასტოსაც უსვამს ნინოს ნახარში წამალი და სასწაულსაც აღარ დაუყოვნებია: მებაღის ცოლს, მანამდე უძეოს, შვილი შეეძინა.

ცადაფრენილი ცოლ-ქმარი ნინომ დაარწმუნა, რომ უძეობისგან განკურნება და ყრმის დაბადება ქრისტეს ნებით მოხდა. მებაღესა და მის ცოლს ისღა დარჩენოდათ სრული სიწრფოებით მიეღოთ ქრისტიანობა — „აღიარეს ქრისტე და დაემოწაფნეს ფარულად“.

მალე ამის შემდეგ ნინო მახლობელ ბორცვზე ავიდა.

ბორცვი მაყვლის ეკალბარდს მოეცვა.

და იმ დღესვე ნინომ ვაზის ნასხლავ რქათაგან ჯვარი გამართა, საკუთარი დალალიდან აკვეცილი თმით შეკრა და ყველაზე მაღალი მაყვლის ბუჩქის ქვეშ აღმართა.

ყოველ დღე-ღამე მოდიოდნენ აქ ნინო და მებაღე ცოლ-ქმარი.

მოდიოდნენ და ლოცულობდნენ, ლიტანიობდნენ ამ პ ი რ ვ ე ლ ი ვ ა ზ ი ს ჯ ვ რ ი ს წინაშე.

ხალხი მოდიოდა, შორიახლო დგებოდა და გაშტერებით უცქერდა უცხო რიტუალს.

დრო ვიდოდა. ნინო დაუცხრომლად იღვწოდა, ავადმყოფთ მკურნალობდა და განკურნებას ქრისტეს ძალად და მადლად აცხადებდა, და ასე — „ჰყოფდა კურნებათა და საკ-

ვირველებათა ძალითა ქრისტესითა: მრავალნი განრღვეულნი განკურნა რეცა მიზეზითა წამლისათა".

ბევრი დაიმოწაფა და გააქრისტიანა.

მცხეთაში ახალი სჯული სწრაფად ვრცელდებოდა.

მესამე წელი მიდიოდა ნინოს მოსვლიდან.

მეფე მირიანი აქამდე მორჭმით განაგებდა ქვეყანას. ჩრდილოეთიდან ჟამჟამად მოვარდნილ ხაზართა და ალანთა ნიაღვარს ძლევამოსილად უკუაქცევდა. დიდი ფარნავაზის საფლავს ძვირფასი შესამკობლებით ამკობდა და მის დიდ მამულიშვილურ საქმეებს წარმატებით განახორციელებდა.

ქართველ მეფეს დასავლეთისკენ ეჭირა თვალი, — ძველი ქართულ-პონტოური მიწების შემოერთებაზე ოცნებობდა. პირველი ცოლი რომ გარდაეცვალა, მეორე ცოლად შეირთო პონტოელი მმართველის ასული, სახელად ნანა.

პონტოურ მემკვიდრეობაზე ხელის დადება რომის ხელისუფლების გადამტერებას მოასწავებდა, მაგრამ ამას იბერია-ქართლის მეფე არც ერიდებოდა. იგი წინა აზიაში პირველობას სპარსელ მბრძანებლებთან ერთად ინაწილებდა.

მაგრამ მირიანის მეფობის შუა ხანებში ერთბაშად მსოფლიო წონასწორობის სასწორი ავისმაუწყებლად შექანდა. რომის საიმპერიო ტახტზე დიდი ხელმწიფე დაბრძანდა. ეს იყო სწორედ კონსტანტინე. მის გახელმწიფებასთან დაკავშირებით, აღმოსავლეთში ეს უცნაური ამბავი მოიჭრა: 312 წლის 28 ოქტომბერს მდინარე ტიბრზე, მულვიუსის ხიდთან, კონსტანტინე სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეება საომარი ძალებით ოთხჯერ უძლიერეს მეტოქეს, მაქსენციუსს. და, ბრძოლის წინ ღამეს კონსტანტინეს ჯვარი გამოეცხადა, ზედწარწერით: „ა მ ი თ გ ა ი მ ა რ ჯ ვ ე ბ" (ბერძნ. „ტუტო ნიკა"); მეორე დღეს ბრძოლად „ჯვაროსანი დროშით" გავიდა და მართლაც ბრწყინვალედ გაიმარჯვა. გამოდის, კონსტანტინე ქრისტემ აიყვანა ტახტზე!. კონსტანტინეს დედა, დედოფალი ე ლ ე ნ ე ხომ დიდი ხანია ქრისტიანად ყოფილა მოქცეული, ქრისტიანთა თავგამოდებული მფარველი და ეკლესიათა დაუცხრომელი მაშენებელი.

მალე კონსტანტინემ, როგორც ითქვა, ახალი სატახტოც დააარსა და ქრისტიანობაც სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა.

კონსტანტინე აღმოსავლური პოლიტიკის თვალსაწიერიდან ერთის წუთითაც არ უშვებდა ამაყ ქართველთა ქვეყანას. იცოდა, იქაურ ხელმწიფეს თვალი ქრისტიანთა მოსისხლე სპარსეთისაკენ ეჭირა. ბოლოს და ბოლოს, მირიანმა უარი ვეღარ შეჰბედა პირველი ქრისტიანი ხელმწიფის მოთხოვნას და კონსტანტინოპოლში მძევლად გაგზავნა თავისი ძე, ბაქარი.

ქრისტე და ქრისტიანობა!

მაშ, სამასი წელიწადი გაისმის ცისქვეშეთში ეს ღვთაებრივი იდუმალებით აღსავსე სახელები. რომის იმპერიის გარეთაც გაიდგა ფესვები ღვთაებრივი გმირის თავგადასავალმა. კავკასიის სანახებსაც დასაბამითვე შესდგომია ევანგელური საგალობელნი. თვით მირიანის სამშობლოში სამასი წელიწადი დადის ხმა შესახებ იმისა, რომ ქრისტეს კვართი მაინც და მაინც მცხეთის მიწაში განისვენებს...

მაშ, უკვე სამასი წელიწადი გასულიყო ნინოს გამოცხადებიდან. და დაბეჯითებით ამბობდნენ მცხეთაში: ზეცით ფრინველნი მოფრინავენ, მტკვარში ჩაეშვებიან, განიბანენ, განსპეტაკდებიან, მერე სამეფო წალკოტში აფრინდებიან, ვაზებს შეეფინებიან, ყურძენს მოესთვლებიან, კვლავ ძირს დაეშვებიან, ყვავილებს დაჰკორტნიან და... სტვენა-გალობით ნინოს შემოესევიან, კალთასა და უბეში ჩაუფრინდებიან...

ბევრი მიმდევარი გასჩენოდა ქრისტიანობის მქადაგებელ ქალს.

მირიანიც, რაკი უკვე მასაც „აქუნდა სურვილი ქრისტეს სჯულისა, არა დააბრკოლებდა ქადაგებად ნინოს და მოწაფეთა მისთა“.

სამაგიეროდ, დედოფალი ნანა გმობდა თურმე გულფიცხელად ახალ მოძღვრებას და მის მოძღვარ ქალს.

მერე კიდევ ერთი სასწაულის ამბავი გავარდა მცხეთაში: ერთი ვინმე ქვრივი ქალი ყოფილა, რომელიც უშვერად აგინებდა ნინოსაც და მის სათაყვანო ქრისტესაც. ამ ქალს ერთადერთი ვაჟი ჰყოლია, ჯერ უწვერული ყმაწვილი, რომელიც რაღაც მძიმე სენს შეუპყრია და სიკვდილის პირას მიუგდია. ზარდაცემული დედა გრძნობადაკარგულ შვილს ქალაქში კარდაკარ დაატარებდა და ყველას, სააქიმო საქმის მცოდნეს და არმცოდნეს, შველას ევედრებოდა. ბოლოს,

როცა ხსნა აღარსაიდან აღარ გამოჩნდა, სასოწართმეული ქალი თავისი მომაკვდავი შვილით ნინოსთან მივიდა, მის წინ მუხლებზე დაეცა და სიკვდილისგან შვილის გამოხსნა სთხოვა.

ნინომ ავადმყოფი გასინჯა და თქვა — ამას ღმერთი ჩემი, ქრისტე განკურნავსო, და ყმაწვილი რაღაც ბეწვიან საგებელზე დააწვინა, — საგებელზე, რომელზეც თვითონ ლოცულობდა და ავადმყოფებს კურნავდა. მერე მისდგა, უწამლა, ილოცა, შეულოცა და... „მასვე ჟამსა განიკურნა ყრმა იგი და განცოცხლებული მისცა დედასა მისსა“. ხოლო, სიხარულით შეშლილმა დედამ მაშინვე შესძახა:

„არა არს სხუა ღმერთი თვინიერ ქრისტესა, რომელსა ქადაგებს ნინო“.

თქვა, ნინოს დაემოწაფა და ისიც ქრისტეს სჯულს შეუდგა.

და, ბოლოს, სასწაული, რომელიც დაუკავშირდა უშუალოდ სამეფო სასახლეს: ლოგინად ჩავარდა დედოფალი ნანა. სენი აღმოჩნდა რაღაც უცნაური და უმძიმესი, „რომლისა კურნება ვერავინ შეუძლო, რამეთუ ყოველთა ხელოვანთა მკურნალთა წარმოაცალიერნეს წამალნი მათნი და ვერ შეუძლეს კურნება მისი, უღონო იქმნეს და სასოწარკვეთილ“.

რაკი სხვა რაიმე საშველი აღარ აღმოჩნდა, დედოფალს მოახსენეს „იმ ტყვე-ქალის“ შესახებ, რომელსაც თვითონ დედოფალი აგინებდა და დასცინოდა. ნინომ ხომ ყველა განკურნა თავისი სასწაულმოქმედი ლოცვა-კურთხევით და შენც დაგიბრუნებს ტანის სიმრთელესო, არწმუნებდნენ დედოფალს. ბოლოს ნანაც დათანხმდა და მსახურნი წარგზავნა ნინოს მოსაყვანად.

ნინო ისევ იმ მაყვლის ბუჩქთან იპოვნეს, ვაზის ჯვრის წინაშე მლოცველი და მუხლმოყრილი. კარისკაცებმა დედოფლის ავადმყოფობის ამბავი აცნობეს და დედოფლისავე ბრძანებით სასახლეში გამოცხადება მოსთხოვეს.

ნინომ მშვიდად უპასუხა: ბრძანებით ჩემი აქედან გასვლა არ შეიძლებაო და თვითონ დედოფალი მოვიდესო აქ, „საყოფელსა ამას ჩემსა“.

ნანა დედოფალსაც ისღა დარჩენოდა, ტყვე-ქალის ნება შეესრულებინა. და ტახტრევანზე მწოლარე დედოფალი, უფლისწულ რ ე ვ ი ს ა და დიდძალი ამალის თანხლებით, ეახლა ნინოს იმ ჯვარსასვენებელ მაღლობზი

ნინომ დედოფალი ნანა იმ „საკურნებელ საგებელზე“ დააწვინა, დიდხანს ულოცა, მერე ჯვარი აიღო და ავადმყოფს ჯვარსახედ გარდასახა: „შეახო თავსა, ფერხთა და მხართა ჯუარის სახედ“.

და ისევ მოხდა სასწაული: დედოფალი ნანა „მეყსეულად განიკურნა და აღდგა განცოცხლებული“.

და ახლა ქართლის დედოფალმა ბრძანა სიტყვა დიდძალოვანი:

„არა არს სხუა ღმერთი, თვინიერ ქრისტესა, რომელსა ქადაგებს ტყუე ესე დედაკაცი“.

თქვა და თვითონაც მაშინვე მიიღო ქრისტიანობა, დაემოწაფა ნინოს და სხვებსაც მოუწოდა, შესდგომოდნენ სასწაულმოქმედი ღვთაების გზას.

მეფე მირიანი კი დიდის გულმოდგინებით გამოჰკითხავდა მეუღლე-დედოფალსა და მის მხლებლებს ქრისტეს ამ ახალი სასწაულის ამბავს. იგი უკვე „დაეპყრო“ ქრისტიანულ მოძღვრებას. კითხულობდა ძველთაძველ სჯულ-კანონებს, ძველაღმოსავლურ და იუდაისტურ საღვთისმეტყველო წიგნებს, გულმოდგინედ უსმენდა, სწავლობდა, ჩხრეკდა და სინჯავდა ქრისტიანობასთან დაკავშირებულ ყოველ თქმულებას და გადმოცემას. და ბოლოს და ბოლოს, საქმე იქამდე მივიდა, რომ — მეფესაც „შეექმნა სურვილი ქრისტეს სჯულისა“.

ამას დაერთო კიდევ ნინოსგან, ასევე „ქრისტეს ნებით“, განკურნება მეფის უახლოესი ნათესავისა და თავგამოდებული კერპთაყვანისმცემელი მოგვისა.

ბოლოს, პირველი ქრისტიანული დრამის უკანასკნელი აქტიც გათამაშდა:

ერთ შაბათ დღეს, შუა ივლისში, მეფე მირიანი ახლო ნათესავთა და კარისკაცთა თანხლებით სანადიროდ წაბრძანდა მუხრანის ველზე. იგი ფრიად ჩაფიქრებული იჯდა ცხენზე. მისი გონება რაღაც მძიმე საზრუნავსა და საჭმუნავს დაეტვირთა. ერთგან მეფემ ცხენი შეაყენა და ამალას მდუმარედ მიუბრუნდა. მერე იმათგან ოთხი უახლოესი და უერთგულესი კარისკაცი გაიხმო და მათთან ერთად განაპირდა. და უთხრა მეფემ იმ ერთგულ ოთხეულს: დიდი შეცდომა და შეცოდება ჩაიდინეთ, რომ გრძნეულ და მაცდურ ქრისტიანებს ჩვენს ქყყანაში ლაგამი ავჰყარეთ და მათს ნებაზე

საპარპაშოდ მივუშვით; ახიც იქნება, ამისთვის ჩვენმა ღმერთებმა დაგვსაჯონ; ახლა მე გადავწყვიტე, ყველა ქრისტიანი და ქრისტეს ჯვრის მიმდევარი ამოვწყვიტო და ისევ ქართლის ძველ-მპყრობელ ღმერთებს შევუდგეთო; მე ამას ჩემს მეუღლესა და თანამეცხედრეს, დედოფალ ნანასაც ვუბრძანებ და მოვთხოვ, დაუტეოს და განიშოროს ქრისტიანობა, ხოლო უკეთუ არ შეისმენს, სხვებთან ერთად იმასაც სიკვდილს შევყრიო.

ეს თქვა მეფემ და ოთხივე კარისკაცს ფიცი ჩამოართვა ამ დიდ განზრახვაში თანადგომა-თანაბრძოლისათვის.

მერე გზა განაგრძეს და ნადირობად მოედვნენ მთასა და ბარს.

მუხნარის სანახები მოილიეს და თხოთის მთაზე ავიდნენ. იქიდან მეფემ კარგა ხანს ათვალიერა კასპისა და უფლისციხის მიმოსახედნი.

სამხრობის დრო რომ დადგა, უცებ ჩამობნელდა. მზე თითქოს ჩაქრა, დღე გაიცრიცა, წყვდიადი ჩამოდგა.

მეფე შეძრწუნდა. მთიდან დაეშვა. ციცაბოებსა და უსიერ ტყე-მაღნარებში გზას ძლივს იგნებდა ზარდაცემული და გაოგნებული. მოდიოდა და საშველად მოუწოდებდა ქართლის ძველ ღმერთებს — არმაზს და ზადენს, გაცსა და გაიმს. მაგრამ საშველი მაინც არა და არ ჩანდა. ასე, რომ ძველმა ღმერთებმა სულ დაჰკარგეს მეფის თვალში ყოველგვარი პატივისცემა და აღიარება.

„მშობლიურ ღმერთთაგან“ მიტოვებულ მირიან მეფეს ისღა დარჩენოდა, შევედრებოდა ნინოს სათაყვანო ღმერთს, მის ჯვარსა და ჯვარცმას. ოღონდ შენ მიხსენ, ნინოს ღმერთო, ეს ბნელი გამინათე, გზა-კვალი მაჩვენე და სამაგიეროდ შენს სახელსაც ვაღიარებ, ჯვარსაც აღვმართავ, თაყვანსაც ვცემ, ჩემთვის საქრისტიანო სალოცავ სახლსაც ავიშენებ და მუდამ ნინოს სჯულის მორჩილი და მოთაყვანე ვიქნებიო — იძახდა მეფე.

და აი, წყვდიადს ნელნელა შეუდგა ნათელიერი; ცამ ისევ გადიწმინდა, მზე ისევ გამობრწყინდა და კვლავ დღისსულმა დაიპყრო ქვეყანა. და მირიანსაც უტყუარი მტკიცება მიეცა ქრისტეს სასწაულისა — აკი სწორედ მაშინ გაირღვა ბნელი და იქმნა ნათელი, როცა იგი ქრისტეს ევედრებოდა!..

მეფე ცხენიდან გარდახტა, ხელები აღმოსავლეთისკენ აიღო და შეჰღაღადა:

„შენ ხარ ღმერთი ყოველთა ზედა ღმერთთა და უფალი ყოველთა ზედა უფალთა, ღმერთი რომელსა ნინო ეტყვის; და საქებელ არს სახელი შენი ყოვლისა დაბადებულისაგან, ცასა ქუეშე და ქუეყანასა ზედა. რამეთუ მიხსენ მე ჭირისაგან და გამინათლე ბნელი ჩემი. აჰა, ესერა, მიცნობიეს, რამეთუ გინდა ხსნა ჩემი, ლხინება და მიახლება შენდა, უფალო კურთხეულო. ამას ადგილსა აღვმართო ძელი ჯუარისა, რომლითა იდიდებოდის სახელი შენი და იხსენიებოდის საქმე ესე სასწაული უკუნისამდე".

და მოინიშნა მეფემ ის ადგილი, მოინიშნა და წამოვიდა. დაბნეულმა და გაფანტულმა ამალამაც მოიყარა თავი მეფესთან. მირიანი ახლა მათ მიუბრუნდა და უბრძანა:

„მიეცით ღმერთსა ნინოსსა დიდება, რამეთუ იგი არს საუკუნითგან ღმერთი და მას მხოლოსა შუენის დიდება უკუნისამდე".

საღამო ჟამს ღართის კართან ნანა დედოფალი და სრულიად მცხეთის მოსახლეობა შემოეგება მეფეს.

მხოლოდ ერთი არ მოსულა მის შესახვედრად.

და ეს ერთადერთი ისევ იყო ნინო, რომელიც იმჟამად მწუხრის ლოცვას აღავლენდა მაყვლოვანში აღმართული ვაზის ჯვრის წინაშე.

მირიანმა ხალხს თვალი მოავლო და შესძახა:

„სადა არს დედაკაცი იგი უცხო, რომელ არს დედა ჩემი და ღმერთი მისი — მხსნელი ჩემი?!"

„მაყულოვანსა არს და ილოცავს", — იყო პასუხი.

მაშინ მირიანმა მცხეთა სასწრაფოდ გაიარა და მთელი სამეფო სახლეულით, ხალხით და ლაშქრით, ნინოს ეახლა. მისვლისთანავე დაქვეითდა, მლოცველი ქალწულის წინაშე მოწიწებით წარსდგა და თვალცრემლიანმა შეჰღაღადა:

„აწ ღირს ვარ სახელის-დებად სახელსა ღმრთისა შენისასა და მხსნელისა ჩემისასა".

შემოეგება ნინო მეფეს, აღმოსავლეთისაკენ პირი აქნევინა, მუხლებზე დააჩოქა, ჯვრით ჯვარი გარდასახა და აღსარებას შეუყენა.

ზელმწიფის მოქცევას სამარისებური მდუმარებით უცქერდა ხალხი.

ტიროდა ჰეფე, ტიროდა დედოფალი, ტიროდა ერი.

ეს იყო ტირილი რელიგიური აღტკინებისა და სარწმუნოებრივი გარდასახვისა.

ის ღამეც გასრულდა და დილის დადგომისთანავე მირიან მეფემ მოციქულები აფრინა კონსტანტინოპოლს. იგი იმპერატორ კონსტანტინეს სწერდა ქართლში მომხდარ ქრისტესმიერ სასწაულთა ამბებს და სასწრაფოდ მღვდლებს სთხოვდა სრულიად ქართლის მოსანათლავად. იგივეს სწერდა ნანა დედოფალი კონსტანტინეს დედას, ელენე დედოფალს.

სანამ კონსტანტინოპოლიდან მღვდლები ჩამოვიდოდნენ, მირიანმა ნინო მოიხმო და უთხრა, ძალიან მეჩქარება ქრისტეს სახლი ავაშენო და მითხარი სად ავაშენოო. ნინომაც მაშინვე უპასუხა:

„სადაცა მეფეთა გონება მტკიცე არს“.

ამაზე მირიანმა თქვა: მე ის მაყვლიანი შემიყვარდა, სადაც შენი ვაზის ჯვარი დგას და ქრისტეს სახლსაც იქ ავაშენებდი, მაგრამ ახლა ასე გადამიწყვეტია, არ მოვერიდო არცა ჩემს სამეფო წალკოტს, არცა მის ნაძვთა სიმაღლეს, არცა ვაზთა ნაყოფიერებას, თუ ყვავილთა სურნელებას და ქრისტეს ტაძარი სწორედ ამ წალკოტში უნდა ავაშენო, რადგან ის ციური ფრინველნი, ჰტკვარში განწმენდა-განსპეტაკების შემდეგ, სწორედ ამ წალკოტში მოფრინავენ და გალობით შენს კალთაში სხდებიანო.

თქვა და სასწრაფოდ შეუდგა ტაძრის მშენებლობას. საშენ მასალად სამეფო ბაღის ხე-ტყეც კმაროდა. უკვე კედლებიც ამოიყვანეს და იქვე მოჭრილ ნაძვთაგან სვეტებიც გამოაკოპიტეს. სულ შვიდი სვეტის დამზადება იყო ათვლილი. ექვსი კიდეც აღმართეს და მეშვიდეს, მთავარ დედა-სვეტს, ვერაფერი ვერ მოუხერხეს — მთელი დღე აწვალეს, ვერ აღმართეს და ვერ დააფუძნეს დანიშნულ ადგილზე. დაღამდა, გათენდა და აი, ხალხმა ისევ იხილა ახალი სასწაული: ეკლესიის მთავარი სვეტი უკვე იდგა თავის საფუძნებელზე. მაშინვე ხმაც გავრცელდა, რომ ეს საქმეც ნინოს მთელი ღამის ლოცვა-ვედრებამ, ჯვარსახვამ, ლიტანიამ და ცრემლთა თხევამ განასრულა, — რომ სწორედ ნინოს მოწოდებაზე ღა-

მით მოიჭრა ვინმე ჭაბუკი, „ყოვლად ნათლითა შემკობილი, შებლარდნილი ცეცხლის ზეწრითა“, რომელმაც ხელი ჰყო და აღმართა მთავარი სვეტი ეკლესიისა.

იმ დღიდან ნინომ ამ „ღვთაებრივ სვეტთან“ ახალ-ახალი სასწაულები მოახდინა. აქ, ამ „ს უ ე ტ ი — ც ხ ო ვ ე ლ ი ს“ შეხებითა და ხილვით, მრავალი სნეული და სხეულგანრღვეული განკურნა და გაამთელა...

იმპერატორი კონსტანტინე და დედოფალი ელენე დიდი სიხარულით შეხვდნენ ქართველთა მოქცევას. ელენე უფრო იმით აღტაცებულა, რომ ქრისტეს სჯული ახალ დიდ ქვეყანას მოეფინებოდა, ხოლო კონსტანტინე იმის გამო იხარებდა, რომ იბერია ამიერიდან შეიქნებოდა მოკავშირე ბიზანტიისა და მტერი სპერსეთისა.

და კონსტანტინოპოლიდან მცხეთაში ჩამოვიდა ეპისკოპოსი ი ო ა ნ ე, ორი მღვდლისა და სამი დიაკონის თანხლებით. ჩამოვიდნენ და თან ჩამოიტანეს ლოცვა-კურთხევის, ძმობისა და დობის წერილები იმპერატორისგან და მისი დედისგან. ძღვნად ჩამოიტანეს მრავალი ძვირფასი ნივთი, მათ შორის დიდებული ჯვარი და ხატი იესო მაცხოვრისა, და კიდევ — სამსჭვალნი, რომლითაც იყო ჯვარზე გალურსმული თვითონ იესო.

მირიან მეფემ დიდის სიხარულით მიიღო სტუმრები. მას უკან სასწრაფოდ მოიწვია ერისთავნი და სპასალარნი მცხეთას.

და დაიწყო „მოქცევაი ქართლისაი“.

მირიან მეფე მონათლა ნინომ.

მეფის სახლეული — დედოფალი ნანა და უფლისწულნი — მონათლეს კონსტანტინეპოლელმა ეპისკოპოსმა და მღვდლებმა.

აკურთხეს მტკვარი.

იოანე ეპისკოპოსმა ქართველი მთავარნი და წარჩინებულნი მონათლა საგანგებოდ შერჩეულ ადგილზე, მოგვეთის ხიდის კართან, სადაც მონიშნული იყო ელიოზ მცხეთელის საცხოვრისი. და ამიერიდან ამ ადგილს დაერქვა მთავართა ს ა ნ ა თ ლ ო. ხოლო, ცოტა ქვემოთ, მტკვრის პირას, ორ ალაგას, ინათლებოდა ხალხი.

მაშ, მცხეთა მოინათლა.

ქართლის შიდა დასახლებანიც მოინათლა.

გაჩაღდა ეკლესიათა და ტაძართა მშენებლობა.

მაგრამ ბევრი ქართველთაგანი მტრულად შეხვედრია ახალი მოძღვრების შემოტანას. ნათლიღებაზე უარი უთქვამს მირიანის სიძეს, ფ ე რ ო ზ ს, რანის ერისთავს. არც მისი საერისთაო აპირებდა ქრისტეს აღიარებას.

ქრისტიანობაზე უარი სთქვეს მთიელმა ქართველებმა.

მეფემ ნინო და იოანე იხმო და უთხრა: გადავწყვიტე მახვილის ძალით ვათაყვანო ქრისტეს მთიულეთი და ჩემი სიძე ფეროზიო. ამაზე ნინომ და იოანემ უპასუხეს:

„არა ბრძანებულ არს უფლისაგან მახვილისა აღება, არამედ სახარებითა და ჯუარითა პატიოსანითა უჩუენოთ გზა ჭეშმარიტი“.

მეფე დათანხმდა და მთიულეთისკენ „სახარებითა და ჯუარითა პატიოსანითა“ დაიძრნენ წმიდა ნინო და იოანე ეპისკოპოსი.

მაგრამ მირიანს მღვდელთა, ბერთა და მონაზონთა ლაშქრისთვის სამხედრო ლაშქარიც გაუყოლებია ერისთავის სარდლობით.

მივიდნენ მთიულეთს. დაიწყეს ქადაგება ქრისტეს მოძღვრებისა და მოუწოდეს ხალხს ნათლისღებად. მაგრამ აქაური ქართველობა კვლავ უარზე დადგა. აგრე არ უნდაო და, „მაშინ ერისთავმან მეფისამან მცირედ წარმართა მახვილი მათ ზედა, და ძლევით შემუსრნა კერპნი მათნი“.

ნინოს „გამოცხადებიდან“ იდგა მეთოთხმეტე წელიწადი. მთიულეთში ნათლობა და მლოცველობა დასრულებულიყო. ნინო თავისი ქრისტიანული ამალით რანისაკენ მიეშურებოდა, რანთა და მათი ერისთავის, მირიანის სიძის მოსანათლავად.

ჯუხეთის გავლით მიდიოდნენ.

გზაზე, ბოდბეში, მოულოდნელად ნინო ავად გახდა.

მის სანახავად უჯარმიდან სასწრაფოდ მოვიდნენ უფლისწული რევი და მისი ცოლი სალომე.

სასწრაფოდ აცნობეს მცხეთას.

მირიანმა აფრინა ეპისკოპოსი იოანე.

და ევედრა იოანე ნინოს მეფე-დედოფლის სახელით, დაუყოვნებლივ გაჰყოლოდა მცხეთაში.

ნინო უარზე დადგა.

მაშინ მცხეთიდან ეახლნენ თვითონ მეფე-დედოფალი, მირიანი და ნანა.

ნინომ კვლავ მტკიცე უარი თქვა იქიდან წასვლაზე და რაიმე მკურნალობის მიღებაზე.

„რამეთუ ესერა მოსრულ არს სული ჩემი ხორხად ჩემდა და მეძინების მე ძილითა დედისა ჩემისათა საუკუნოდ“.

ეს მისი უკანასკნელი სიტყვა იყო.

მისივე უკანასკნელი, ურყევი ნებით, დაკრძალეს იქვე, ბოდბეში — ადგილსა უჩინოსა და „შეურაცხსა“.

ასე აღესრულა წმიდა ნინო, განგებით მოვლენილი ქალწული, ქართველთა განმანათლებელი, მოციქულთა სწორი.

საქართველო ახალი საისტორიო სამანიდან იწყებდა ცხოვრებას — ახალი, ზნემაღალი სარწმუნოებითა და კულტურით.

ამიერიდან კიდევ უფრო განემტკიცა „ერთარსება ქართულობისა“:

ერთიანი რწმენა, ერთიანი ენა, ერთიანი მამული.



პეტრე იბერი

ცხონებული პეტრეს სამშობლო იყო სახელოვანი ქვეყანა იბერთა, რომელნიც მზის აღმოსავალთან ცხოვრობენ.

იოანე რუფუსი

საუკუნის დამდეგს ქართლის სამეფო ტახტი ეჭირა ბუზმარს. ხოლო, კონსტანტინოპოლს, ბიზანტიის საიმპერატორო ტახტზე იჯდა თეოდოსი II, რომელიც მთლიანად თავისი დის, ჭკვიანი და ენერგიული პულხერიას გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. პულხერიამ ოცი წლის თეოდოსი დააქორწინა ათენელი ფილოსოფოსის, ლეონტის ასულზე, ლამაზ ათენაიდაზე, რომელმაც ნათლობის შემდგომ მიიღო სახელი ევდოკია. სხეულებრივი სიმშვენიერის გარდა, ევდოკია იყო დიდად განათლებული, ნიჭიერი და პოეტური ტალანტის მქონე ქალი. იმპერატორი, რომლის ნიჭი მხოლოდ ლოცვაში, კალიგრაფიაში და ნადირობაში ვამოიხატებოდა, მთლიანად ცოლისა და დის გავლენის ქვეშ განაგრძობდა ცხოვრებას. ევდოკია და პულხერია ადგენდნენ სახელმწიფო საბუთებს, რომლებზეც თეოდოსი წაუკითხავად ურთავდა თავის სანაქებო „ლამაზ ხელწერას". ამ ორი ჭკვიანი ქალის თავგამოდებული შრომით მოხერხდა წინარე ხანის გართულებული ურთიერთობის გამოსწორება ბიზანტიასა და ქართლ-შორის. კონსტანტინოპოლისა და მცხეთის სასახლენი განახლებული მეგობრობით იწყებდნენ ცხოვრებას.

მაგრამ სპარსეთი არ ისვენებდა. მეფე იეზდიგერდ I შეშფოთებული იყო ქართველთა და ბიზანტიელთა კავშირ-მეგობრობის განახლებით. იგი მცხეთაში ელჩობას ელჩობაზე აგზავნიდა და დაჟინებით მოითხოვდა ბიზანტიასთან ურთიერთობის გაწყვეტას და სპარსეთთან მეგობრობის გაბმას.

წინააღმდეგ შემთხვევაში სპარსეთის მეფე დიდი ომით იმუქრებოდა.

ბუზმარი ორ ცეცხლშუა იწვოდა. არც ბიზანტიასთან ურთიერთობის დათმობა შეეძლო, არც სპარსეთთან საშიში ომის დაწყება სურდა. ორივე მხარეს ერთგულებას ჰპირდებოდა, მაგრამ რაკი ბიზანტიასა და სპარსეთს შორის ომი მძვინვარებდა, ორივე მხარისადმი ერთგულების აღთქმა ორივე მხრისთვის საეჭვო და არასანდო სჩანდა.

განსაკუთრებით მძლავრობდა იეზდიგერდი. ერთ დღეს მან ბუზმარს გადაჭრით შემოუთვალა, — თუ მართლა სპარსეთის მეგობრობა გსურს, მძევლად შენი შვილი გამომიგზავნეო.

ბუზმარს ერთადერთი ძე ჰყავდა, სახელად მურვანოს, ყრმობითვე გასაოცარი ნიჭის მქონე, ცოდნისა და სწავლულობის დიდად მოყვარე. ბავშვობაშივე „ვითარ მიეცა სასწავლოდ, მცირედთა ჟამთა დაისწავლა ყოველივე წერილი, და გულისხმის-ყოფით აღმოიკითხავნ და იწურთინ დღე და ღამე: რამეთუ ფრთხილ იყო და მახვილ გონებითა, და მადლი ღვთისა იყო მას ზედა“.

ბუზმარი სპარსეთთან შერიგებას არ აპირებდა და შვილი მთებში გახიზნა.

თავის მხრივ კონსტანტინოპოლის სასახლის კარიც ძალიან შეუშფოთებია ქართლისადმი სპარსთა მომძლავრებას: ვაი, თუ ბუზმარ მეფე, ბოლოს და ბოლოს, გატყდეს და ქართული ჯარი, ეს ბრწყინვალე მეომრული ძალა, სპარსთა ბანაკში აღმოჩნდესო. ამიტომ იმპერატორმა თეოდოსიმაც აფრინა ეჯიბნი მცხეთაში და ბუზმარს შეუთვალა, შენი შვილი მე გამომიგზავნე კონსტანტინოპოლშიო.

ამის შემდგომ კიდევ უფრო გახშირდა მცხეთაში ელჩობანი — თუ კონსტანტინოპოლიდან, თუ ქტესიფონიდან (სპარსეთის მაშინდელი სატახტოდან).

ბოლოს, რაკი საშველი აღარ იყო, ქართულმა სამეფო კარმა გადაწყვიტა მურვანოსი ისევ ერთმორწმუნე ბიზანტიის კარზე გაეგზავნა.

თორმეტი წლის მურვანოსი კონსტანტინოპოლის სასახლეში მიიყვანეს. იმპერატორი თეოდოსი და დედოფალი ევდოკია დიდის პატივით შეხვდნენ ქართველ უფლისწულს —

მკერდში ჩაიკრეს, ამბორჰყვეს და მოუალერსეს. მურვანოსს ამიერიდან შეეძლო თავი ეგრძნო, ვითარცა კონსტანტინოპოლის გვირგვინოსანთა შვილსა და ტახტის მემკვიდრეს.

საქრისტიანოს შუაგულში ცხოვრებამ უფრორე აღამაღლა მურვანოსის სულიერი მოღვაწება: „მარხვა ფრიადი, მღვიძარება უზომო, ლოცვა დაუცხრომელი, გლახაკთ-მოწყალება, სიმშვიდე, სიყვარული, სახიერება, მოთმინება და ყოველნივე ნაყოფნი სულისანი“. სასახლის კარზე ყველას უკვირდა მისი ღვთაებრივი ნიჭიერება. ძალიან სწრაფად და სრულყოფილად დაეუფლა ბერძნულსა და ასირიულ ენებს. ბადალი არ მოეპოებოდა ფილოსოფიისა და თეოლოგიის განსწავლულობასა და განსჯაში, არცა სააქიმო ცოდნასა და ხელოვნებაში.

მხოლოდ ერთ რამეში გამოიჩინა დიდი „სისუსტე“ ქართველმა უფლისწულმა: არ იქნა და არ შეიგუა კონსტანტინოპოლის „მოდური“ ფრივოლური ცხოვრება, უხამსი ეროტიკა, ვულგარული ბოჰემა, თავაწყვეტილი ბაკხანალია, მასთან — მზაკვრობა და მლიქვნელობა, სიყალბე და ფარისევლობა. ვერ შერიგებოდა, რომ ქრისტიანული სამყაროს შუაგულში სულ სხვადასხვა და ერთიმეორის გამომრიცხველნი იყვნენ „ლოგოს“ (სიტყვა) და „ერგოს“ (საქმე).

დადიოდა კონსტანტინოპოლის სრა-სასახლეებში, ტაძრებსა და ქუჩაბანდებში ქართველი უფლისწული, რომელსაც საუფლისწულო ტანსაცმელს შიგნით თხის ბალნიანი ტყავი ემოსა.

ტანი მალე აიყარა. ტანად სოსანი გახდა, მაგრამ ფრიად გამხდარი და ფერგაცრცვნილი დარჩა. მიწის ფერი ედო და ზეცის სინატიფე. სხეულით მიწაზე დააბიჯებდა და სულით ზეცის მიღმა მიილტვოდა.

ერთხელ, მისთვის ჩვეული ღამისთევის ჟამს, როცა კანდელში ზეთი დაიშრიტა, მსახური იხმო და ზეთის მოტანა უბრძანა, მსახურმაც განაძლიერა კანდელი, მერე როცა მურვანოსის საწყალობელ ფლასურსა და ნამარხულევ სახეს შეხედა, ნაღვლიანი გესლით უთხრა:

„მეფის ძე ხარ და არა გსურის სამეფოთათვის, და ვითარცა მონაზონი იყოფები მშიერი კვირიაკით კვირიაკემდე“.

ამ სიტყვებიდან ერთი მსგეფსი გაატარა მურვანოსმა თა-

ვის სენაკში. შვიდი დღე-ღამე იდგა დაყუდებულ ლოცვად და მარხვად. შვიდი დღე-ღამე ხედავდა და ესაუბრებოდა ქრისტეს ზმანებას.

ჩვენ არ ვიცით, რა სიყვარულით უყვარდა პირმშვენიერ დედოფალს ქართველი ხელმწიფისშვილი, მაგრამ კონსტანტინოპოლში ყველამ იცოდა, რომ ევდოკიას ქვეყნად არავინ ჰყვარებია ისე ძლიერად, როგორც უყვარდა მურვანოსი, ძე ბუზმარისა.

შეიძლება, თვითონ კეისარ თეოდოსის მხოლოდ საქართველოს ტახტის საალერსოდ სჭირდებოდა სიყვარული ქართველი უფლისწულისა, მაგრამ ქვეყანამ ისიც იცოდა, რომ კეისარი არცერთ ახლობელს არ ეპყრობოდა ისე ალერსით, როგორც მურვანოსს, ძეს ბუზმარისას.

კონსტანტინოპოლის ტახტზე მეოცნებე უამრავ „მემკვიდრეთაგან“ ტახტთან ყველაზე ახლოს იდგა ის, ვინც სწორედ ტახტზე არ ოცნებობდა. და ესეც იყო ქართველი უფლისწული მურვანოს, ძე ბუზმარისა.

კეისრის უახლოეს და უერთგულეს კარისკაცთა შორის კიდევ იყო ერთი ქართველი კაცი — მ ი რ დ ა ტ ლ ა ზ ი, „შემკული ღვთისმოშიშობით და მორჩილობით, ზნეობით, რწმენით და თავმდაბლობით“.

მირდატ ლაზი მურვანოსის ნათლია იყო.

ორი ქართველი — ლაზი და იბერიელი — ყველაზე ახლოს იდგნენ კეისრის ტახტთან, მაგრამ არცერთ მათგანს, გასაოცრად იმა ქვეყნისა, არ სურდა არც ტახტ-გვირგვინი, არც სხვა რაიმე, ამაოებით აღსავსე სიამენი მიწიერ-ამქვეყნიურნი.

ერთ დღეს მირდატი და მურვანოსი შეითქვნენ და კონსტანტინოპოლიდან—ამ „გაროსკაპებული ბაბილონიდან“—გაქცევა და იერუსალიმად წასვლა გადაწყვიტეს. კეისარმა თეოდოსიმ შეიტყო, მურვანოსი დაიბარა და დიდხანს უჩიჩინა, რათა როგორმე კონსტანტინოპოლიდან წასვლაზე ხელი აეღებინებინა. მას ეშინოდა, ვაითუ უფლისწულს რამე დაუშავდეს და ქართველთა სამეფო სასახლე მეგობრობის ნაცვლად მტრად გადავიკიდოო. მერე მცველნი დაუდგინა ორივეს, ლაზსაც და იბერიელსაც.

მაგრამ მაინც გაიპარნენ. ღამით, იდუმალ, ოქროს რქისა

და ბოსფორის წყალსაყარში ნავი მოიხელთეს, ჩასხდნენ და თავი მისცეს ზღვასა და წყვდიადს. პროპონტიდაში (მარმარილოს ზღვა) კავიდნენ. რამდენიმე დღე-ღამე ებრძოდნენ ზღვას. ვააღწიეს. აზიის მიწაზე შედგეს ფეხი. რომელიღაც მკირე ქალაქად მივიდნენ. იქ უცხოურობით ეჭვი აღუძრეს ადგილობრივ კაცთმოძულეებს. ამათაც ლტოლვილნი შეიპყრეს და დილეგში ჩაჰყარეს. მაგრამ „სუეტი ნათლისა მაინც წინაუძღოდა მათ". და იმ ღამით „იქმნა ძვრა და მეხის ტეხა, და ელვა ფრიადი". პანიკით მოცულ ქალაქს ტყვეებისთვის აღარ სცხელოდა და ამათაც თავს უშველეს.

ბოლოს, როგორც იქნა, კვლავ მრავალი ჭირთაძლევის შემდგომ, ჩააღწიეს წმიდა ქალაქად — იერუსალიმს.

მათი პირველი მასპინძელი შეიქნა ვიღაც ბერი, სახელად პ ი ნ ი ნ ო ს, რომელიც წარმომავლობით ყოფილა სამეფო გვარეულობისა, მერე მიუტოვებია ტახტსა და გვირგვინზე ზრუნვა, მეუღლესთან ერთად იერუსალიმს ჩამოსულა, თვითონ ბერად აღკვეცილა, ცოლი — მონაზვნად, და ორივეს ცალ-ცალკე ტაძრებიც აუშენებიათ.

რამდენიმე დღე პინინოსის სავანეში დაჰყვეს ქართველებმა. მერე წავიდნენ და თაყვანი სცეს ქრისტეს საფლავს. აქედან ზეთისხილის მთის მონასტერში მივიდნენ და წარუდგნენ წინამძღვარ გ ე რ ო ნ ტ ი ო ს ს, რომელიც ცნობილი გამხდარიყო ქრისტესათვის ცრემლების ღვთის განსაკუთრებული სიუხვით. ამა ცრემლმათხევარი გერონტიოსის ხელდასხმით აღიკვეცნენ ბერად ქართველნი.

აღიკვეცნენ და ახალი სახელებით მოინათლნენ:

მირდატს დაერქვა ი ო ა ნ ე.

მურვანოსს — პ ე ტ რ ე.

სამარადჟამო ისტორიაშიც დაივანეს ამ სახელებით: პეტრე იბერიელი, ანუ პეტრე ქართველი და იოანე ლაზი, ანუ იოანე ქართველი.

და იწყება პეტრე იბერიელისა და იოანე ლაზის მრავალმხრივი და დაუცხრომელი მოღვაწეობა. მათი „ღუაწლი და შრომანი გამოუთქმელ არიან".

ჯერ მათ აღაშენეს მონასტერი თვით იერუსალიმში, სიონის ეკლესიის ჩრდილო მხარეზე, დავითის კოშკის მახლობლად. მშენებლობის დროს ვიღაც ადგილობრივმა სამღვდე-

ლომ, რომელსაც იმავე ადგილზე რაღაც შენობის აგება სდომებია, ჩხუბი აუტეხათ ახალმოსულებს. პეტრეს ხმა არ ამოუღია, ისე შევიდა სენაკში. ხოლო იოანე, რომელიც „თავმდაბლობაში მოსეს ჰგავდა“, მოჩხუბარს მშვიდად არწმუნებდა მის უსამართლობაში. ის კაცი მაინც არ დადგა და, დაშოშმინდა კი არა, უცებ გაცხარდა და იოანეს მთელის ძალით გაარტყა ხელი სახეში. იოანემ ტკივილი დაითმინა, მუშები მიატოვა, შინ შევიდა და პეტრეს განარტყამი ლოყა აჩვენა. ორივემ ქრისტესმიერი შეგონება გაიხსენა და ლოცვად დაიჩოქა.

მეორე დღეს, დილით, ის ჩხუბის ამტეხი კაცი იმ ადგილზე, სადაც მან იოანეს სილა გაარტყა — მკვდარი იპოვნეს.

პეტრემ და იოანემ, როგორც კი იერუსალიმის ქართული მონასტერი დაასრულეს, მაშინვე იქვე ქსენონიც (სასტუმრო) ააშენეს, თანამემამულე და უცხოელი თანამორწმუნეთათვის.

ამის შემდგომ კი გრძელდება პეტრე ქართველის გრანდიოზული სატაძრო მშენებლობანი მთელს პალესტინაში, სირიასა და ეგვიპტეში.

პეტრე ქართველის ღვაწლმა, სიწმინდემ, სიბრძნემ, სიწრფოებამ და სიქველემ დაიპყრო იმდროინდელი მსოფლიო. ყველას, საქრისტიანოს თუ საწარმართოს, მისი სახელი ეკერა პირზე. ხოლო თვითონ პეტრე ცდილობდა მხოლოდ ჩრდილში მდგარიყო და სააშკარაო-სათაყვანო სარბიელზე სულაც არ გამოჩენილიყო. აშენებდა და თავის სახელს არ არქმევდა, კურნავდა და საკუთარ ნამკურნალევად არ მიიჩნევდა, ჭირნახული მოჰყავდა და თავისად არც იმას თვლიდა, წიგნებს წერდა და თავის ვინაობას არც წერილობითი ხელრთვით ამხელდა.

მხოლოდ ერთგან აღიბეჭდა მისი სახელი, მისგანვე აგებულ ქართულ ტაძარში, იერუსალიმის ახლოს, და სახელი ესე არის მისი ყმაწვილბიჭობისა — „მურვანოს“. დაწერილია მისი ხელმწიფე-მშობელის, „ბუზმარის“ გვერდით. უშინაგანეს სულიერ განცდათა აღბეჭდილობა გამოსჩანს ამ წარწერებიდან: მარადიული, ტკბილ-მწარე ხსოვნა და სიყვარული სამშობლოისა, იქ გატარებული ყრმობისა და ყმაწვილობისა.

ბერობაზე მაღლა არავითარი თანამდებობა არ სურვებია პეტრეს. მაგრამ იერუსალიმის პატრიარქმა ანასტასიმ ძალით, ხელფეხშებოჭილი აკურთხა მღვდლად.

იმ ხანად კონსტანტინოპოლიდან უსიამო ამბავი ეწვია პეტრე იბერს: იმპერატორი თეოდოსი და დედოფალი ევდოკია დაშორებოდნენ ერთმანეთს. თურმე თეოდოსის ცოლისთვის ვაშლი გაუგზავნია; მერე ის ვაშლი კეისრის უახლოესი ძაცის, პაულინის ხელში აღმოჩენილა და ეს სავსებით საკმარისი გამხდარა ეთქვათ — ევდოკია პაულინის საყვარელიაო. და ევდოკია იძულებული გამხდარა სასახლე დაეტოვებინა და მონაზვნად აღკვეცილიყო.

ევდოკია იერუსალიმს მივიდა და პეტრეს ნახვა მოისურვა. პეტრე განერიდა თავის „მოსიყვარულე დედასთან“ შეხვედრას. ევდოკიამ კი არ დაიშალა. თუ მას ჩემთან მოსვლა არ სურს, მაშინ მე თვითონ მივალო მასთან და, სიონის ეკლესიასა და ქართველთა მონასტერს შორის გადასასვლელსაც გავაკეთებინებო.

ეს კი მეტისმეტი იყო. ამიტომ პეტრე მითქმა-მოთქმას მოერიდა და ევდოკიასთან შესახვედრად გაეშურა.

დიდხანს ისაუბრეს მარტოდმარტო.

ბოლოს ევდოკიამ ოხვრითა და ცრემლთა თხევით უთხრა:

„მომიგონებდე... მომიგონებდე მე შენს წმიდა ლოცვებში!“

„რა სიწრფოება შეიძლება ლოცვის დროს ჰქონდეს ცოდვილს?“ — წყნარად ჰკითხა პეტრემ.

დედოფალყოფილი მძიმედ ჩაფიქრდა და მძიმედვე თქვა:

„ჩემს კისრად იყვეს შენი ცოდვები“.

მაშინ კი დაშორდნენ ერთმანეთს, მაგრამ ევდოკია არ ისვენებდა; კვლავ დაჟინებით, ხვეწნა-მუდარით ითხოვდა ახალ შეხვედრას „სულიერ ძმასთან“.

პეტრე იბრძოდა — „სისხლსა და ხორცს ებრძოდა“; სატანა სარგებლობდა და შიშველი ქალის მოჩვენებებს ლაშქრად ასხამდა თავს.

„უფალო იესო, მომაშორე თვალებიდან ეს საძულველი და უწმინდური სახება. ეს საზარელი მოჩვენება, მომაშორე და მიხსენ, მომაშორე და მიხსენ!“

ბორგავდა, ოხრავდა, სხეულს იგლეჯდა და იგვემდა.

ბოლოს, გადაწყვიტა სულ მიეტოვებინა იერუსალიმი.

და გადასახლდა მაიუმ-ღაზასთან დაარსებულ ქრისტიანულ ახალშენში.

მალე მაიუმის ეპისკოპოსიც მოკვდა და ხალხმა მის ადგილზე მოითხოვა პეტრე ქართველი. ამან კი ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. სენაკის კარი ურდულით ჩაკეტა და გარეთ გამოსვლაზე უარი განაცხადა. კარები შეუნგრიეს, ხელში აიტაცეს და ისე წაიყვანეს. ღამით, გზაზე, ერთ სოფელში დაბანაკებისას, პეტრე მაღლობზე აღმართული სახლიდან იდუმალ გამოვიდა და კლდეზე გადავარდნა დააპირა, მაგრამ დროზე შეუტყვეს და არ დაანებეს.

როცა იერუსალიმში მიიყვანეს და პატრიარქს დასამტკიცებლად წარუდგინეს, პეტრე არ იშლიდა, თავს ცოდვილად და უღირსად აცხადებდა, მაგრამ არ მოუსმინეს და ეპისკოპოსად აკურთხეს.

დაჯდა პეტრე მაიუმის ეპისკოპოსად. და ახალი მოძღვრის ბრძნულმა მეოხებამ ააყვავა და აღამაღლა ქალაქი. საზღვარი არ ჰქონდა პეტრესმიერ სასწაულმოქმედებას: „უწვიმრობასა წვიმიან ჰყოფდა, უშვილოთა შვილიერ, სნეულთა განკურნებდა, უნაყოფოთა ნაყოფიერ ჰყოფდა, მეთევზურთა განუმარჯვებდა. ხოლო მისცა ღმერთმან მადლი წინასწარმეტყუელებისა და სულისა წმიდისა ხილვისა“.

პეტრე ქართველის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ჟამს მსოფლიოში ძალზე ბევრი დიდმნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა. ჯერ, მაშინდელი მსოფლიოს ოთხი დიდი სატახტოდან ოცდაათი გვირგვინოსნის გამოცვლას მოესწრო პეტრე. ამათგან:

რომიდან — 15.

ქტესიფონიდან — 7.

კონსტანტინოპოლიდან — 5.

მცხეთიდან — 3.

აქედან კარგად ჩანს, სად, რომელ სატახტოში უფრო მყარი ან არამდგრადი იყო უზენაესი პოლიტიკური მდგომარეობა.

ყველაზე უფრო უჭირდა რომს. იგი აგონიაში ჩავარდნილიყო. პეტრე მის დამხობასაც მოესწრო. თავისი გაიტანეს ბარბაროსმა გერმანელებმა. ჯერ, 408 წელს გულფიცხელი

ალარიხის მეთაურობით აიღეს იმპერიის ცენტრი. მერე, 455 წელს კოჭლმა მიზანთროპმა, ვანდალმა ჰენზერიხმა აიღო და გაძარცვა იგი. მესამედ, 476 წელს, გაუთლელმა ოდოაკრმა საბოლოოდ დაამხო და იავარჰყო „მარადიულ ქალაქად“ წოდებული რომი. ამიერიდან დასავლეთ რომის იმპერია სამუდამოდ წაიშალა მსოფლიოს რუკიდან. ხოლო აღმოსავლეთ რომის იმპერია, ცენტრით კონსტანტინოპოლში, კვლავ განაგრძობდა არსებობას. ამიერიდან აღმოსავლეთ იმპერიის მცხოვრებნი თავის თავს კვლავ „რომაელებს“ უწოდებდნენ, მსოფლიო მას ეძახდა „ბიზანტიის იმპერიას“, ხოლო ქართველნი „საბერძნეთად“ იხსენიებდნენ.

421 წელს ქტესიფონში მოკვდა იეზდიგერდ I. სიკვდილის წინ ორივე შვილი, ხოსრო და ბაჰრამ-გური, იხმო და უთხრა: თქვენგან მეფობას ის მიიღებს, რომელიც გვირგვინს ორ მშიერ ლომს შორის აიღებსო. ხოსრომ უარი თქვა. ბაჰრამმა სახიფათო დავალება აღასრულა და ტახტზე დაჯდა. ამ ბაჰრამ V გურის დროს, 422 წელს, ომი ატყდა კონსტანტინოპოლის იმპერიასა და სპარსეთს შორის. იგი დამთავრდა სომხეთის შუაზე გაყოფით.

საქართველო ამ ომში ჩათრევისაგან გადარჩა.

430 წელს გარდაიცვალა პეტრეს მამა, ქართველთა ხელმწიფე ბუზმარი.

პეტრეს დედამ, ქვრივმა ბაკურდუხტმა, მთელი თავისი სადედოფლო ავლადიდება საქველმოქმედო საქმეებს — სნეულთა, დავრდომილთა და საპყართა საცხოვრებლებისა და საავადმყოფოების აშენებას მოახმარა.

გამეფდა არჩილი, რომელიც ბიძად ეკუთვნოდა პეტრეს.

და არჩილ მეფისაგან მან ასეთი წერილი მიიღო:

„ვითარცა წერილ არს: ნეტარ არს კაცი, რომელსაც თესლი სიონში აქვს და სახლის შვილები იერუსალიმში — როგორც ჩვენ გვყავხარ. ამიტომ გთხოვ, ჩემო შვილო, ილოცო ჩემთვის, რათა შენი ლოცვების მეოხებით ვპოვო მოწყალება“.

უაღრესად ღვთისმოსაობდა ახალი მეფე ქართლისა. სასახლე მგალობელ-მომღერლებით გაავსო. პურს ისე არ სჭამ-

და, თუ ქრისტეს სადიდებელ გალობას არ მოისმენდა. სასახლე თითქმის ტაძრად აქცია.

არჩილი ძალზე მოხუცი იყო და დიდხანს აღარ უცოცხლია.

ქართლის ტახტი დაიჭირა მ ი რ დ ა ტ არჩილის ძემ.

მირდატმა ცოლად შეირთო რანის ერისთავის ასული, „ქმნულკეთილი, შუენიერი“, სახელად ს ა გ დ უ ხ ტ.

და ამა ქორწინებისაგან იშვა ვ ა ხ ტ ა ნ გ...

ისევ პეტრე ქართველის ჟამს ქრისტიანობაში მწვალებლობა გაჩნდა. კონსტანტინოპოლის არქიმანდრიტმა ე ვ ტ ი ხ ი მ გამოაცხადა, რომ იესო ქრისტე ორბუნებოვანი (ღმერთი და კაცი) კი არა, ერთბუნებოვანი (მარტო ღმერთი) იყოო. მთელი საქრისტიანო სამყარო გაიყო ორ ბანაკად: „მონოფიზიტებად“ (ერთბუნებოვანნი) და „დიოფიზიტებად (ორბუნებოვანნი). 449 წელს ეფესოში მოწვეულ მსოფლიო საეკლესიო კრებაზე მონოფიზიტებმა გაიმარჯვეს. 450 წელს გარდაიცვალა იმპერატორი თეოდოსი II და ტახტზე ასულმა ახალმა კეისარმა, მ ა რ კ ი ა ნ ე მ, 451 წელს ქალკედონში მოიწვია ახალი მსოფლიო საეკლესიო ყრილობა. მისმა მონაწილეებმა ერთხმად დაგმეს მონოფიზიტობა, ეფესოს ყრილობა „ავაზაკთა შეკრებად“ გამოაცხადეს და დიოფიზიტობა მტკიცედ დაადგინეს.

ქართველები ქალკედონიტებად — დიოფიზიტებად დარჩნენ.

(ხოლო, სომხებმა ასი წლის შემდგომ, 554 წელს, დვინის საეკლესიო კრებაზე, დიოფიზიტობა მონოფიზიტობით შეიცვალეს...).

იმ ხანებში სპარსეთის ტახტზე იჯდა ი ე ზ დ ი გ ე რ დ II, რომელმაც ძალზე აგრესიული კურსი აიღო ამიერკავკასიისაკენ. მას სურდა აქაურ ხალხებში, — რომელთაც თავისი სარწმუნოებით კურსი ბიზანტიისაკენ აეღოთ — ქრისტიანობა მოესპოთ და მაზდეიანური ცეცხლთაყვანისცემა გაევრცელებინა. იეზდიგერდმა სომხეთიდან, საქართველოდან და ალბანეთიდან წარჩინებულ გვართა წარმომადგენლები გაიწვია ქტესიფონს.

ცოტა ადრე სპარსელებმა მოახერხეს ტფილისში თავისი „ერისთავი“ — „პიტიახში“ ჩაესახლებინათ. ახლა აქ პიტიახ-

შად იყო ა რ შ უ შ ა. და სწორედ ეს არშუშა აღმოჩნდა ქტესიფონში გაწვეულ ქართველ დიდებულთა შორის.

იეზდიგერდმა მიწვეულებს გამოუცხადა: ან ქრისტიანობა უარჰყავით და მაზდაკის მოძღვრება აღიარეთ, ანდა დედაბუდიანად ამოგჟლიტავთო. მეტი გზა აღარ იყო. მოწამის სიკვდილიც არავის აურჩევია. მიწვეულებმა იეზდიგერდის ბრძანება აღასრულეს და უკან დაბრუნდნენ.

ყველაზე ნაკლებად ქართველ პიტიახშს ენდობოდა იეზდიგერდი. მან იცოდა, რომ არშუშა ერისთავი ქვემო ქართლში დიდ საქრისტიანო და საქართულო მოღვაწეობას ეწეოდა, ტაძრებს აშენებდა, მარტვილ წმინდანთა ნეშტებს უვლიდა, საეკლესიო მოღვაწეებს მფარველობდა, აქეზებდა და ახალისებდა.

ამიტომ არშუშა პიტიახში იეზდიგერდმა საქართველოში აღარ გამოუშვა...

პეტრე იბერიელისთვის ყმაწვილობაში მიტოვებული სამშობლოს საკეთილდღეოდ და საიმედოდ ვახტანგ გორგასალის დიდხელმწიფობა უნდა ყოფილიყო.

იდგა 491 წელი.

პეტრე იბერიელი იყო 82 წლის, და მას ეწვია სიკვდილი, „რამეთუ ფრიად ტანჯნა ხორცნი თვისნი". თვითონვე გამოუცხადა თავის სამწყსოს „განსვლა თვისი ხორცთაგან". მერე შევიდა სენაკად.

ათი დღე იყო დაყუდებული ლოცვად და ლიტანიად.

მაგრამ მხოლოდ-და ლოცვად?

სიკვდილ-სიცოცხლის განსადრეკელზე გონებაში იელვებდნენ მისი ცხოვრების ნათელიერი ნიშანსვეტნი, მშობლიურნი და უსაყვარელნი:

ქართლი — სამშობლო მისი,
მცხეთა — სატახტო მისი,
ბაკურდუხტ — დედოფალი და დედა-მშობელი მისი,
ბუზმარ — ხელმწიფე და მამა-მშობელი მისი,
ბომიროსპარია — დაი მისი,
ძუძო — გამზრდელი მისი,
ოტა — დედამძუძე მისი,
ჭურენი — მამამძუძე მისი,
ბარდალი — ძმა მამამძუძესი,

კატა და მურგაკეს — ძიძიშვილნი მისი.

(ყველა ამათი სახელების მოსახსენებლად პეტრეს საგანგებოდ დაწესებული ჰქონდა წელიწადში ერთი დღე — დიდმარხვის ოთხშაბათი).

მეათე დღეს, 2 დეკემბერს, „მიწვა და დაიძინა ძილი თვისი“.

მიიცვალა გვემული სხეული პეტრე ქართველისა, ხოლო სული მისი ამაღლებული დარჩა უკვდავად, განფენილი მრავალ ტაძრებად, სავანეებად, საქველმოქმედო სადგომებად, საღვთისმეტყველო და საფილოსოფოსო ტრაქტატებად.

სწორედ მისი მწერლურ-მეცნიერული მემკვიდრეობა შეიქნა იდეური საფუძველი შემდგომში მსოფლიო კულტურული აღზევებისა — ევროპული (თუ აზიური) რენესანსისა, ჰუმანისტური მოძრაობისა.

აი, ისინი, შემადგენელნი პეტრე იბერიის მეცნიერული კორპუსისა:

„საღმრთოთა სახელთათვის“,

„ზეციური იერარქია“,

„საეკლესიო იერარქია“,

„მისტიკური თეოლოგია“,

„ეპისტოლენი“ (ათი წერილი).

არცერთ მათგანს მიწიერი დავიწყების წიაღში ჩანთქმის მოსურნე ავტორმა საავტორო ხელწერა არ დაურთო.

„წიგნებსაც თავისი ბედი აქვთო“ — ამბობდნენ ძველი რომაელები.

საოცარი ბედი დაჰყვა გენიალური ქართველი მოაზროვნის წიგნებს. იგი, ეს უბედობა, თვითონ ავტორმა „დაუბედა“ თავის ქმნილებებს.

თხუთმეტი საუკუნე არავინ იცოდა ნამდვილი ავტორი.

ერთ ხანს დიონისე არეოპაგელს მიაწერდნენ, I საუკუნის ფილოსოფოსს.

მერე მიხვდნენ, რომ წიგნები V საუკუნეში ყოფილა დაწერილი და შეცდომა იმით „გაასწორეს“, რომ დიონისეს წინ „ფსევდო“ დაურთეს და ამგვარად, პირობითი ავტორობით, „ფსევდოდიონისე არეოპაგელის“ სახელით, ასეული წლები ატარეს ნამდვილი ავტორის მიუგნებლად და მოუხსენიებლად.

ახლა ფსევდოარეოპაგიკულ თხზულებათა ავტორობის საიდუმლო საკვებით გახსნილია.

და მსოფლიოს წინაშე წარსდგა ჭეშმარიტი ავტორი:

პ ე ტ რ ე ი ბ ე რ ი.

მისმა გასაოცარმა ღვაწლმოსილებამ კიდევ უფრო აღამაღლა მის თანამემამულეთა გავლენიანობა ახლო აღმოსავლეთსა და მის ქრისტიანულ ცენტრში, წმიდა ქალაქ იერუსალიმში. პეტრეს სიკვდილიდან რამდენიმე წლის შემდგომ ბერძენმა საეკლესიო მესვეურებმა, იმდროინდელი ქრისტიანობის „მონოპოლისტებმა“, ქართველების მიმართ მანამდე გაუგონარი დათმობა გამოიჩინეს: ამიერიდან ქართველებს ნება ეძლეოდათ პალესტინის მთავარ ტაძარში, დიდ სამეუფო პასტოფორიონში, „წარსთქვან ჟამნი სამხრისაი, წარიკითხონ სამოციქულო და სახარება თავიანთ დედაენაზე“.

ასეთი იყო ბედი დიდი ქართველი წმინდანისა და მოაზროვნისა, რომლის შესამკობად ნაირ-ნაირი ეპითეტებით ეჯიბრებოდნენ სხვადასხვა დროის მწერალნი და მეისტორიენი:

პ ე ტ რ ე ი ბ ე რ ი —

„გაუტეხელი წვალებასა და გაჭირვებაში, შევიწროებასა და დევნულობაში, დავიდარაბაში, მარხულობასა და ღამისთევაში, ბრძოლასა და გვემაში“.

„შეურიგებული მებრძოლი ცოდვათა წინააღმდეგ, ძალმომრეობათა და მტარვალობათა წინააღმდეგ, ამა ბნელეთის თვითმპყრობელთა წინააღმდეგ, ბოროტ სულთა წინააღმდეგ“.

„სწორუპოვარი სასწაულთა, საკვირველებათა და განკურნებათა ძალაში, წმიდა სულის ძალოვნებაში, სამართლიანობის უძლეველობაში“.

„მთელს მსოფლიოში საკვირველად სახელგანსმენილი ადამიანი“.

„უცნობი თვის ნებით, ნაცნობი ღვთის ნებით, ცნობილი ღმერთისთვის, ცნობილი ქვეყნისთვის“.

„თვითონ ღარიბი, სხვათა უაღრეს მამდიდრებელი“.


„ყველაფრის უქონელი და ყველაფრის მქონებელი“.


„მფლობელი ზეციურ განძთა“.

„გული, აზრი და ქცევა მისი — უცილობელი ყველა დროისთვის“.

„მართალი რწმენის შუქურა-სვეტი“.

„მშვენება და დიდება საქართველოსი“.
„მრავლისმრავალჯერ მოწამე“.
„მოსიყვარულე ღვთაებრივი მამა“.
„ყველასათვის ძვირფასი“.
„მეოხე მთელი ქვეყნისა“.
„კედელი მთელი დედამიწისა“.
„ნიმუში ყოველი სიკეთისა და ვაჟკაცური ცხოვრებისა“.
„სამკაული და სიქადული ქართველთა“...





ვახტანგ გორგასალი

„დაიძკიცა ზეკაცობა,
არვინ ჰყავდა ქვეყნად ტოლი;
მეფეებში ერჩეოდა,
მარგალიტი ვით ობოლი“*.

42 წელს ქართლის მეფის მირდატ მეექვსის სასახლეში დაიბადა უფლისწული, რომელსაც დაარქვეს ვახტანგ. შვიდი წლის შემდეგ მირდატ მეფე გარდაიცვალა. დაქვრივებულ საგდუხტ დედოფალს მძიმე დღე დაუდგა. მამამისი, ბარდავის ერისთავი ბარზაბოდი მაზდეიანი ცეცხლთაყვანისმცემელი იყო, სპარსულ პოლიტიკაზე იდგა, საქრისტიანოს მტრობდა და სიძე-ხელმწიფის შიმართაც გულში ფარულ სიძულვილს ინახავდა. საგდუხტმა მშობლის ხასიათი კარგად იცოდა, მისგან მოსალოდნელ აშკარა გამოსვლას დაასწრო, მამას თვითონ ეახლა, მის წინაშე მუხლი მოიყარა და შეჰვედრა: ნურც ქრისტიანობის დატევებას მაიძულებ და ნურც ქმრისა და მამამთილის ნაქმნართათვის ჩემს ოჯახს და დაობლებულ ვახტანგ უფლისწულს მოჰკითხავო.

ბარზაბოდმა „შეიწყალა ასული თვისი“, მაგრამ დიდი სამაგიერო საფასურით: მცხეთაში ჩემგან წარმოგზავნილი ცეცხლმსახური მოგვები უნდა დასხდნენო და ხალხმაც თავისი ნებით აირჩიოს სჯულიო — ვისაც სურს ქრისტიანად დარჩეს, ვისაც უნდა მაზდეიანობა მიიღოსო. დედოფალს სხვა გზა არ ჰქონდა და დათანხმდა.

ასე მოვიდნენ მაზდეიანი მოგვები და დასხდნენ მცხეთას, ადგილსა, რომელსაც ამის გამო ეწოდა „მოგუთა“.

მათი უმაღლესი ქურუმი იყო ბინქარან, რომელიც

* აკაკი წერეთელი.

„ასწავებდა ქართველთა სჯულსა თვისსა“. მართლაც, ბევრი ქართველთაგანი, განსაკუთრებით „წურილი ერისანი“, ქრისტიანობას გადასდგომია და ცეცხლთაყვანისმცემლობას შესდგომია. უფრო მეტიც: ქრისტიანული სამწყსოს მეთაურიც კი სპარსეთის აგენტი ყოფილა მცხეთაში, ეპისკოპოსი მ ო ბ ი დ ა ნ, გარეგნულად მართლმადიდებელი ქრისტიანი, შინასინდისით წარმართი, მავნე წერილთა მჯღაბნელი და ყოველგვარი ქართულ-ქრისტიანულის შეფარვით მოძულე.

დიდი სულიერი კრიზისების დრო დამდგარიყო საქართველოში.

მცირე ხანიც გამოხდა და ზედიზედ დაიხოცნენ ბარდავის ერისთავი ბარზაბოდ და ეპისკოპოსი მობიდან.

საგდუხტ დედოფალმა დრო იხელთა და კონსტანტინოპოლიდან გამოიწვია მღვდელი მ ი ქ ა ე ლ, რომელიც ეპისკოპოსად დასვა მცხეთაში.

მიქაელი ენერგიული კაცი აღმოჩნდა და ძალიან მძაფრად „წინააღუდგა ბინჭარან მაცთურსა“.

მაგრამ სპარსული პოლიტიკა მაინც მძლავრობდა მცხეთაში.

ტფილისშიც ხომ სპარსელი „პიტიახში“ იჯდა.

ვახტანგ ბატონიშვილი მეათე წელში გადასულიყო, როცა ჩრდილოეთიდან გადმოიჭრნენ ოვსნი, მოაოხრეს ქართლის ველ-მინდვრები, დაეცნენ კასპს და მოიტაცეს ვახტანგის უმცროსი დაი, მ ი რ ა ნ დ უ ხ ტ. აქედან გავიდნენ რანსა და მოვაკანს, აიკლეს, იავარჰყვეს და დარუბანდის გზით ისევ ჩრდილოეთს დაბრუნდნენ.

ბიზანტიელებმაც შემოუტიეს დასავლეთიდან. ადრე კლარჯეთი დაიჭირეს, ამჯერად კი იმპერატორმა მ ა რ კ ი ა ნ ე მ აფხაზეთში გადმოსხა ლეგიონები. ეგრისს შემოესივნენ და ციხე-გოჯამდე მოაღწიეს.

ასე — მტერი ყოველის მხრიდან მოიწევდა. ქვეყანა იქცეოდა და „ყოველნი ქართველნი იყვნეს მწუხარებასა შინა დიდსა“.

ძლივს გაატანა კიდევ ხუთმა ბებერმა წელიწადმა, და ვახტანგი შეიქნა თხუთმეტი წლისა.

და დაბრძანდა იგი ქართლის სამეფო ტახტზე.

დაბრძანდა და გამოაცხადა სრული სიმტკიცით: „არა და-

ვითმინო კიცხევა“ არცა ჩემი, არცა ჩემი ქვეყნისა, არცა ჩემი სარწმუნოებისა!

მაშინვე ქვეყნის საომარ განწესრიგებას შეუდგა. ჯარები რამდენიმე სახეობად დაჰყო: ქვეითი ლაშქარი, თოროსნები (მძიმედ შეჯავშნული ცხენოსნები), მსუბუქი ცხენოსნები და რჩეული მხედრობა („გვარდია“).

საქართველოსთვის ყველაზე საშიში მტერი მაინც ირანი იყო და ვახტანგმა სწორედ ირანის შემოტევათა უკუსაგდებად, გადაწყვიტა კავკასიის ხალხთა გაერთიანება. თავდაპირველად იგი ჩრდილო კავკასიისაკენ გაეშურა. დარიალი გაიარა. შეება და დაამარცხა ხაზარები, ყივჩაყები, ჰაჭანიგები. შემოიერთა ოვსეთი და ჯიქეთი (დაც მაშინ გამოიხსნა ოვსთა ტყვეობიდან). საოცარი გმირობა გამოიჩინა თვითონ ყმაწვილმა მეფემ ამ „ჩრდილოურ ომებში“. იგი პირისპირ, ორთა-ბრძოლაში ხვდებოდა მოწინააღმდეგე მხრის სარდლებს, „ჴოლიათებს“ და იმარჯვებდა სიმაგრითა მკლავისა, „სიფიცხლითა თვალთათა, და სიმახვილითა გონებისათა“.

დარიალის ხეობა, თერგისა და არაგვის კარის ციხეები, ახალი ციხე-სიმაგრეებითა და გოდოლებით ჩაკეტა მეფემ. შიგ თავისი ერთგული მთიელი მეციხოვნეები ჩააყენა. ამიერიდან ჩრდილოეთიდან ამ გზით ვერავინ გამოივლიდა, „თვინიერ ბრძანებისა ქართველთა მეფისა“.

ამ ლაშქრობათა გამო ხალხმა ვახტანგ მეფეს „იალბუზის გმირი“ უწოდა და მარად დაუვიწყარი სიმღერაც უძღვნა:

ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა,
ციდან ჩამოესმა რეკა;
იალბუზზე ფეხი შედგა, —
დიდმა მთებმა იწყეს დრეკა.

ჯიქეთიდან აფხაზეთში გადმოვიდა ვახტანგ მეფე. აფხაზეთსა და ეგრისში ხომ ბიზანტიელები ბატონობდნენ. და ყველა დასავლურ-ქართული ციხე-ქალაქიდან გააძევა ვახტანგმა ბიზანტიური ციხიონები.

464 წელს 22 წლის ვახტანგმა ჯარები დასძრა სამხრეთ-დასავლეთისაკენ. იქ, მდინარე ჭოროხის გადაღმა, ქართული მიწები ბიზანტიელებს ეპყრათ. ბრძოლა ისევ ქართველებმა მოიგეს. თვითონ ვახტანგმა პირისპირ შეტაკებაში მოჰკლა

ბიზანტიელთა სარდალი. ქართველებმა ქართული მიწები საქართველოს სამანებში მოაქციეს და უკან გამობრუნდნენ.

სპარსეთისა და ბიზანტიის ხელმწიფეებმა ერთხანზე ქართველ მეფესთან „მეგობრობა“ და „მოყვრობა“ არჩიეს. სპარსეთის მეფე ჰორმიზდ III ვახტანგს „ათთა მეფეთა მეფე ახოვანს“ ეძახდა და მალე კიდევაც დაუმოყვრდა — ცოლად შერთო თავისი ასული ბალენდუხტ. თან სიმამრი სიძეს ატყობინებდა, რომ მან თავის ასულს „მოსცა სომხითი და ყოველნი მეფენი კავკასიანნი ზითვად“. ეს უფრო იმას ნიშნავდა, რომ სპარსთა მბრძანებელი „კანონიერად“ ცნობდა ქართველი მეფის ფაქტიურ სიუზერენობას კავკასიელ მმართველთა ზედა.

მაგრამ ვახტანგმა იცოდა, რომ მტერი მტრობას არ დაიშლიდა და მოსალოდნელი ომისათვის ემზადებოდა: ამაგრებდა ბჭეებს და აშენებდა ახალ ციხე-სიმაგრეებს, სჭედდა იარაღს, წრთვნიდა ლაშქარს, ამზადებდა ხალხს მტრის შესახვედრად.

მართლაც, 467 წელს, ირანის ახალმა და ახალგაზრდა შაჰინშაჰმა, პეროზმა უზარმაზარი მხედრობა შეჰკრიბა საქართველოს.

მტერს მეგზურად მოუძღოდა ბინქარან მაცდური. რომელიც მეფეს ადრე საპყრობილეში ჩაეგდო, მაგრამ გაპარვა მოუხერხებია და სპარსეთს გაქცეულა. მაინც არ ეღირსა ბინქარანს ქრისტიანებისა და ქართველების სისხლის „ბოლომდე დალევა“: ქართლის საზღვართან მოუკვდათ სპარსელებს მათი მეგზური. თუმცაღა ისედაც კარგად იცოდნენ ირანელებმა საქართველოსკენ მომავალი გზები.

პეროზმა ლაშქარი ქვემო ქართლზე, „თავის საპიტიახშოზე“ გამოატარა, სოფელი ტფილისი ააოხრა და „ცხენის ტერფზე“ (დიდუბე) დადგა ბანაკად.

ვახტანგ მეფეც უკვე მოსულიყო დიღმის მინდორზე ქართველთა ჯარით.

ბრძოლა იყო მძიმე, სისხლდამდინარი.

გასაოცარი სიმამაცითა და გმირობით იბრძოდა ვახტანგ მეფე.

სპარსელებმა შენიშნეს, ქართველთა მეფეს მუსარაძე

მგელი ესახა და, სადაც კი ეს „მგლისთავა“ ბუმბერაზი გამოჩნდებოდა, ასტეხდნენ ყვირილს:

„დურ აზ გორგასარ!“ („მოერიდეთ თავსა მგლისასა!“).

ასე დაიბადა სამარადჟამოდ სახელგანთქმული ზედსახელი დიდი ქართველი ხელმწიფისა — გ ო რ გ ა ს ა ლ ი.

სპარსელები დამარცხდნენ და ზავი ითხოვეს. ირანის მეფემ ქართველთა სამფლობელო საზღვრებად სცნო მდინარე არაქსი და კასპიის ზღვის დასავლეთ სანაპირო. ამას გარდა, სპარსთა მეფემ „მისცა გორგასალსა ალვა ლიტრა სამი ათასი, ამბრი ლიტრა ხუთასი, მუშკი ლიტრა ხუთასი, ტაიჭი ცხენი სამი ათასი, სამოსელი ხუასროვანი ათასი და ხაზდი სამი ათასი“.

ისევ ქვეყნის აღმშენებლობას მიუბრუნდა ვახტანგ გორგასალი.

მცხეთაში, ნინოსდროინდელი ხის ეკლესიის ადგილზე, ვახტანგმა აღაშენა ქვის დიდი სიონი. ეს იყო მცხეთის სახელოვანი სვეტიცხოვლის მეორე ხუროთმოძღვრული გარდასახვა.

იმავე ხანებში ვახტანგ მეფემ განასრულა თავისი ახალი სამეფო სამყოფელი უ ჯ ა რ მ ა, რომელიც მან „აღაშენა ნაშენებითა უზომოთა“.

ვახტანგმა ახალი ეკლესიები ააშენა — ნიქოზს, ნინოწმინდას, ჭერემს, ჩელეთსა და ჟალეთს.

სოფელ ტფილისთან, მეტეხის მაღლობზე, ნამგლის სახედ მოდრეკილი მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ვახტანგმა აღმართა კიდევ ერთი ტაძარი.

სპარსთაგან მომძლავრება შორსმხედველ მეფეს მიანიშნებდა, მცხეთიდან სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით გადაეწანაცვლებინა და აქაური ციხე-ქალაქების გამაგრებასა და აშენებაზე ეზრუნა.

თვითონ ყველაზე ხშირად უჯარმაში იჯდა, მისი პირმშო და ტახტისმემკვიდრე, დ ა ჩ ი, ჭერემის, ნეკრესისა და კამბეჩოვანის მთავარი ქალაქის, ხორნაბუჯის მფლობელად და დამცველად იდგა.

ვახტანგ მეფის მთავარი ყურადღება მაინც ტფილისისაკენ იყო მიპყრობილი. ტფილისი საქართველოს ახალ, უფრო გამორჩეულ და აღმატებულ სატახტო ქალაქად უნდა ქცე-

ულიყო. და დაიბადა ლეგენდა ტფილისის ქალაქად აშენებისა:

ერთხელ ვახტანგ გორგასალი თავისი ამალით სანადიროდ ბრძანებულა ტფილისის უღრან ტყეებში. ანაზდად ხოხობი აფრენიათ მონადირეებს. მეფემ მიმინო დაადევნა. გადაიკარგა ორივე ფრინველი. კარგახნის ძებნის შემდეგ მონადირენი წაადგნენ უცნაურ სურათს: მეტეხის პირდაპირ, მტკვრის მარჯვენა მხარეს, მიწის გულიდან ამომდინარე წყაროში ეყარა ორივე ფრინველი. სწორედ ამ წყაროს დასწვრივ წამოსწევია მიმინო ხოხობს და ორივენი შიგ ჩაცვენილან და კიდევაც ჩაფუფქულან, — წყარო ცხელი იყო, სურნელოვანი და ოხშივრიანი. ვახტანგმა ტყეების გაჩეხვა და ქალაქის გაშენება ბრძანა. სახელიც თვითონ დაუდგინა, „ტფილ“ წყაროთაგან ნაწარმოები — „ტ ფ ი ლ ი ს ი“ (აქაური დასახლების ძველი სახელი).

ტფილისი სწრაფად შენდებოდა, მტკიცდებოდა, ხალხით ივსებოდა. მაგრამ ვახტანგ მეფემ მაინც ვერ მოასწრო ახალი სატახტო ქალაქის დასრულება და მასში სამეფო ტახტის გადატანა. ამას მისი შვილი და მემკვიდრე, დაჩი განასრულებს შემდგომ, გამეფებისას.

პეროზ შაჰი ვახტანგ გორგასალთან სარევანშო ომზე ხელის აღებას არ აპირებდა. ომის დაწყების საბაბიც ხელთ ჰქონდა: ვახტანგმა სიკვდილით დასაჯა ქვემო ქართლის პიტიახშში ვარსქენი, რომელმაც ქრისტიანობა მაზდეიანობაზე გაცვალა, სპარსეთის შაჰს სამუდამოდ ეყმო და ერისკაცობას ერისწყეულობა ამჯობინა.

ვახტანგმა იცოდა, რომ ვარსქენ პიტიახშის მოკვლა სპარსეთის საომარ გამოწვევას უდრიდა და უმალვე საომარ სამზადისს შეუდგა. მან შიკრიკები აფრინა ჩრდილოეთით, ჰუნებთან, დასავლეთით — ბიზანტიელებთან და სამხრეთით — სომხებთან. მოვიდნენ მხოლოდ სომხები, ვ ა ჰ ა ნ მ ა მ ი კ ო ნ ი ა ნ ი ს სარდლობით.

პეროზ შაჰისგან გამოგზავნილი უზარმაზარი სპარსული მხედრობა, მიჰრან-შაბურის სარდლობით, უკვე შემოდიოდნენ საქართველოში.

ბრძოლის წინა დღეს სომეხმა ნახარარებმა თავიანთი ჯარებით სომეხ-ქართველთა ბანაკი მიატოვეს და სპარსელთა სარდალს ჩაბარდნენ.

გორგასალი შეთხელებული ჯარით შეება რიცხობრივად ისედაც უპირატეს მოწინააღმდეგეს. და გამარჯვებისთვის საქმარისი არ აღმოჩნდა არც ჯარის სიმამაცე, არც გორგასალისა და მამიკონიანის პირადი გმირობანი.

სპარსელებმა გაიმარჯვეს.

სომხები სომხეთს გაბრუნდნენ.

ვახტანგი ეგრისს გადავიდა.

მაგრამ ვერც სპარსელები დარჩნენ საქართველოში. ქტესიფონიდან საშიში და საშფოთარი ამბავი მოვიდა: პეროზ შაჰი ჰუნებთან ბრძოლაში დაღუპულა და გვამიც ვეღარ ეპოვნათ მისი. ვახტანგიც ეგრისიდან გამოჩნდა ახალი ჯარით. სპარსელები სასწრაფოდ აიყარნენ და გადაიხვეწნენ.

ამის შემდეგ თხუთმეტი წელიწადი შეინახა თავი საქართველომ სპარსელთა შემოსევისაგან. მაგრამ ბოლოს, 502 წელს, სპარსეთის მაშინდელმა ხელმწიფემ, კ ა ვ ა დ მ ა, მაინც აიღო ხელში მახვილი ქართველთა „ერთხელ და სამუდამოდ“ გასანადგურებლად.

კალიასავით შემოესივნენ ივრის ხეობას, რუსთავს და სამგორს.

ქართველთა ლაშქარიც მზად იყო საბრძოლველად... მტრის მხედრობაზე ხუთჯერ უმცირესი.

გამობრძანდა ვახტანგ მეფე. უკანასკნელი ბრძოლა უნდა გადაეხადა სიჭარმაგეში ფეხშედგმულ გმირს.

პ ე ტ რ ე კ ა თ ა ლ ი კ ო ს ი გამოჰყვა, ჯარი და მეფე დალოცა.

და „შეიბნეს იორსა ზედა, და სამ დღე ყოველთა დღეთა ბრძოდეს, და დაეცემოდა ორთავე სპათაგან ურიცხვი“. სამი დღე წონასწორად ქანაობდა ბრძოლის სასწორი. სამი დღე-ღამე გრიალებდა, გმინავდა და ოხრავდა ივრის ხეობა. სამი დღე-ღამე ისმოდა სპარსელთა ისტერიული ყივილი:

„დურ აზ გორგასარ!“

მეოთხედ, გადამწყვეტი შეტევისათვის შეკრა და შეამჭიდროვა გორგასალმა ქართველთა შეთხელებული რიგები.

ისევ დალოცა ჯარი და მეფე პეტრე კათალიკოსმა. საგანგებოდ გააფრთხილა ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობელმა გვირგვინოსანი: თავს მოუარე, თორემ არა მარტო ქართ-

ლი დაიღუპება, არამედ იერუსალიმიც ზედ მიჰყვება .შენის იმედის დამკარგველიო.

სამ ნაწილად დაჰყო ვახტანგმა ლაშქარი. მარჯვენა ფლანგს ჯუანშერ სპასპეტი უსარდლა, მარცხენას — ადარნასე ერისთავი. თვითონ მეფე შუა ნაწილს ჩაუდგა და საიერიშოდ სპარსელთა ბანაკის შუაგული, თვით შაჰინშაჰის კარავი მოინიშნა.

მეფემ იერიში ბრძანა და ბრძოლა დაიწყო. სპარსელები მედგრად დაუხვდნენ ქართველთა გააფთრებულ შეტევას. შუადღემდე წონასწორად ვიდოდა რკენა. და ის იყო ქართველთა მეფემ სპარსთა შუაგული გაარღვია და კავად შაჰის კარავსაც მიატანა, რომ უეცრად, რომელიღაც მოღალატე მონა-მსახურმა, ომში თავდავიწყებით ჩათრეულ მეფეს, ჯაჭვჩარღვეულ მარცხენა იღლიაში გაარტყა ისარი.

კარგა ხანს მაინც იბრძოდა გორგასალი, იღლიაში ისარნაკრავი.

დღის დასასრულს გაშორდნენ ერთურთს ბრძოლით ქანცგაწყვეტილი მოპირდაპირენი. ხუთჯერ ნაკლები დახოცილიყვნენ ქართველები. მაგრამ იცოდა ვახტანგ მეფემ: მისი პატარა ერისათვის ერთი კაცის დაკარგვა უფრო მძიმე იყო, ვიდრე ხუთისა ვეება ირანისათვის...

უჯარმას მიიყვანეს მძიმედ დაჭრილი ვახტანგ მეფე.

იქვე გარდაიცვალა.

უჯარმიდან წაასვენეს და მცხეთას დაკრძალეს, მისგანვე განახლებულ სვეტიცხოველში.

ბუმბერაზის სამარადჟამო სამკვიდრებელს ბუმბერაზი, მისი ტანის სწორი ლოდი დაადეს და ზედაც მისი „თორმეტბრჭყალიანი“ ხატი ამოკვეთეს.

ხალხში მანამდე გაუგონარი ხსოვნა დატოვა სახელოვანმა ხელმწიფემ.

ლექსებსა და სიმღერებს თხზავდნენ „იალბუზის გმირზე“.

დაბეჯითებით ამბობდნენ, ვახტანგ გორგასალი სიმაღლით 12 ბრჭალი (2 მეტრი და 40 სანტიმეტრი) იყოო.


შეჭურვილ ცხენს მხრებზე მოიგდებდა და მცხეთიდან არმაზ-ციხეზე მუხლჩაუკრეფლად ავიდოდაო.

თვითონ შეჭურვილიც კი გაქცეულ ირემს დაეწეოდა და ხელით შეიპყრობდაო.

როცა ომით და შრომით დამაშვრალ მეფეს ღვინო მოესურვებოდა, ღმერთი ყანწს მოაწოდებდაო...

საუკუნეთა მანძილზე ქართველნი და მათი მტერ-მოყვარენი გაოცებულნი შესცქეროდნენ იქვე, სვეტიცხოველში გამოფენილ უზარმაზარ სამოსელსა და საჭურველს გორგასალისას.

ქართულ სახელმწიფო დროშას ეწოდა მისი სახელი — „გ ო რ გ ა ს ლ ი ა ნ ი“.



რაჟდენ პირველმოწამე

„რამეთუ ვითაოცა ღაძისა შიხა, ბნელსა აღმობრწყინდების მთიები და შემდგომად მისსა სხუანი ვარსკვლავნი შეუდგიან და მის თანა გამობრწყინდიან, ეგრეთვე ესე ექმნა წინამძღუარ მოწამეთა“*.

ეფე ვახტანგ გორგასალს პირველ ცოლად ჰყავდა სპარსეთის მეფის, ჰორმიზდ III-ის ასული, სახელად ბალენდუხტ.

საქართველოში სადედოფლოდ წამოსულ ბალენდუხტს თან წამოჰყვა მისი მამამძუძე-გამზრდელი, რომელმაც უკან დაბრუნება აღარ ინება და, საქართველოსა და მის მკვიდრთაგან მოხიბლული, სამუდამო საცხოვრისად საქართველოშივე დარჩა.

მალე მან ცეცხლთაყვანისმცემლობა უარჰყო და ქრისტიანობა მიიღო.

ახალ, ნათლობის სახელად დაერქვა რაჟდენ.

ვახტანგ მეფემ, — „ვითარ ჰშუენოდა მთავრობასა მისსა“ — თავიდანვე დიდი არზანიგი (პატივი) მიუგო გაქრისტიანებულ და გაქართველებულ უცხოელს: „დიდნი სოფელნი და აგარაკნი მიანიჭნა და საკუთარ და თანამზრახველ თვისსა ყო იგი“.

რაჟდენი ძალიან შეიყვარა ისედაც უცხოელთა მოყვარე ქართველობამ. თვითონაც თავის თავს ჰეშმარიტ ქართველად და ქრისტიანად თვლიდა და გარდასულ სპარსულ წარმომავლობას ხსენებითაც აღარ იხსენებდა.

და საქმემაც მალე გამოაჩინა რაჟდენის წრფელი ქრისტიანობა და მამულიშვილობა.

დრო იდგა სპარსელთა მორიგი შემოსევისა საქართველოში. და სწორედ ახლა, როცა „მოვიდეს სპარსნი და აღავსეს

* იხ. ანონიმი XII საუკუნისა.

ქართლი სპითა სიმრავლითა“, რაჟდენი ქართველთა მოსისხლე მტრის წინააღმდეგ მეწინავე მეომართა რიგებში ჩადგა. იგი ვახტანგ გორგასალის ერთი სარდალთაგანი იყო, „ახოვან წყობათა (ბრძოლათა) შინა და გამოცდილი, რჩეული მებრძოლი“. მრავალჯერ ისახელა თავი რაჟდენმა თავისი ჯარით.

აღტაცებული იყვნენ ქართველები თანამოძმედ და თანამორწმუნედ ქცეული გმირით.

ცოფს ჰყრიდნენ სპარსელნი, გაბოროტებულნი თვისტომყოფილის მტრობით.

გარისხებული სპარსი ხელმწიფე, პ ე რ ო ზ შაჰი, დაჟინებით ბრძანებდა, როგორმე ცოცხლად ჩაეგდოთ ხელში რაჟდენი.

და ერთ ავბედით დღეს, რომელიღაც ვიწრო ხევში მცირერიცხოვანი რაზმით მიმავალ რაჟდენს თავს დაეცა საგულდაგულოდ ჩასაფრებულ სპარსელთა ჯარი.

ბრძოლა უშედეგო გამოდგა. რაჟდენი შეიპყრეს და პეროზ მეფეს მიჰგვარეს.

შაჰინშაჰმა ქრისტეს მხედარი აათვალჩაათვალიერა და გესლიანი ღიმილით უთხრა:

„გიხაროდენ, მხნეო რაჟდენ, მშვიდობაი შენდა! სად ბრძანდებოდი ესოდენ ჟამთა? რაისთვის უარგიყვია მამაპაპეული სჯული და შესდგომიხარ სჯულსა უცხოსა? განა, მზისა, ცეცხლისა და ციურ მნათობთა ბრწყინვალებას ჰურიათაგან ჯვარცმული კაცის თაყვანება სჯობიან?!“

რაჟდენმა მშვიდად „ბრწყინვალითა ხმითა“ და „მოკლითა სიტყვითა“ უპასუხა, რომ წმინდა სიწრფოებით უარჰყო სპარსული „უღმრთოება“ და ურყევად ეზიარა ახალ, ჭეშმარიტ სარწმუნოებას.

ჯერ წყნარადვე განაგრძობდა პეროზიც:

„ისმინე, რაჟდენ, და თავი დაანებე მაგ უხმარ სიტყვებს. დაემორჩილე ჩვენს ბრძანებას, სამაგიეროდ მოგანიჭებთ უფრო დიდ პატივს და დიდებას, ვიდრე გაქრისტიანებამდე გქონდა სპარსეთში. ჩვენი დიდების თანაზიარს გაგხდით, ჩვენს უახლოეს და უსაყვარლეს მეგობრად გარდაიქცევი. ხოლო, უკეთუ არ შეისმენ, შენ მოგაკვდინებთ სიკვდილითა უმწარესითა, სატანჯველითა მრავალფერითა“.

რაჟდენმა გაიღიმა და ეს უპასუხა:

„რანი არიან ნიჭნი და პატივნი შენნი, მეფეო, თუ არ წუთიერნი, სიზმარებრ განქარვებადნი და აჩრდილებრ წარმავალნი? რამეთუ ვითარცა კვამლი განქარდების და ვითარცა მტვერი განიბნევის, რამეთუ მიწანი ვართ და მიწადცა მივიქცევით. ხოლო სული უკვდავ არს და უკვდავადცა ჰგიეს. შენთა თქმულთა რომ დაევერწმუნო, განა მეც ისე არ მოვკვდები, ვითარცა ზოგად ყოველნი კაცნი? ხოლო, უკეთუ მოვკვდე წმიდა სჯულისათვის, სული ჩემი განვადიდო და უკვდავ ვყო. ესე არს განზრახვა ჩემი უცვალებელი, ხოლო შენ მოიქეც, ვითარცა გსუროდეს, ჩემგან არა სახითა ვერჩდე ბრძანებასა შენსა“.

ავზნიანი დესპოტისთვის სავსებით კმაროდა და, პეროზ მეფის ბრძანებით, კაცთა წამებაში დაოსტატებულმა ჯალათებმა რაჟდენი ძირს დასცეს და დიდხანს სცემეს. სცემდნენ ყველგან და სცემდნენ ყველაფრით — ხელით, ფეხით, არგანით. მშვენიერი სახე მთლიანად დაუელეწეს, ყველა კბილი ჩაულეწეს.

არცერთი გმინვა, კვნესა, კრინტი არ წასცდენია წამებულს. იწვა და ყოველ დარტყმას ღებულობდა მდუმარედ, უდრტვინველად. თითქოს სხეული მისი არ იყო მისი. თითქოს არც ცხვირპირიდან წახეთქილი სისხლი არ ყოფილიყო მისი. დაიქანცნენ ჯალათნი. შეისვენეს და კვლავ მიესივნენ. დედიშობილად გააშიშვლეს. წვერმახვილ ქვათა ფენილზე ათრიეს და ისევ სცემეს — თუ ხელით, თუ ფეხით, თუ ტოკვეცით (ხელკეტით). ბოლოს მისი ნაგვემი სხეული მარწუხებით შეკრეს და რკინით შეჭედილ ბნელ დილეგში ჩააგდეს.

ეგონათ მოკვდებოდა. მაგრამ ყოველი წყლული მოინელა მისმა ჩაკირულმა სხეულმა.

რაჟდენის საშინელი წამების ამბავი ელვის სისწრაფით მოედო მტრისა და მოყვრის ბანაკებს.

ქართველები შეძრწუნებული იყვნენ სპარსელთა ურჯულკობით.

წუხილით შეძრულმა ვახტანგ მეფემ ორი ერისთავი გაგზავნა პეროზთან და შეუთვალა, ომსაც ახლავს კაცთმოყვარული ზნეობანიო, ხოლო შაჰინშაჰს ახლა შემთხვევა აქვს ხელმწიფური, დიდსულოვნური გულმოწყალების გამოჩენისა: დაე, მცირე ხნით მაინც განუტევოს მან რაჟდენ წამებუ-

ლი ცოლ-შვილისა, ნათესავთა და მეგობართა მოსახილველად და გამოსათხოვებლად.

პეროზს მართლაც დასჯდომია ჭკუაში „ხელმწიფური გულმოწყალების“ ჩვენება; რაჟდენს უკანვე დაბრუნების ფიცი ჩამოართვა და ბორკილაყრილი ტყვე ქართველთა ბანაკისკენ გამოუშვა.

ჯერ მეფეს ეწვია რაჟდენი. ვახტანგმა დიდი სიყვარულით, მადლიერებითა და თანაგრძნობით მიიღო იგი. მკერდში ჩაიკრა, ნაწამები ღაწვები ამბორჰყო, მისი მძიმე თავგადასავალი გამოიკითხა და კვლავ მადლი და თანალმობა მიუგო საქართველოსთვის და ქრისტიანობისთვის გარდახდილი სიმძიმილისთვის.

შემდეგ ახლობლები და მეგობრები მოიკითხა რაჟდენმა. ბოლოს საკუთარ ოჯახში მივიდა. ცოლი და შვილები ტირილით შემოეგებნენ, გვემული სხეული, დალეწილი სახე და ხელ-ფეხი დაუკოცნეს.

დიდხანს აღარ დარჩენილა რაჟდენი თავისიანებთან. არ შეისმინა მათი წუხილი, ხვეწნა-მუდარა. არ უღალატა ნაფიცარ სიტყვას. ადგა და წავიდა ისევ ტყვეობად სპარსთა ბანაკში.

პეროზ შაჰი კვლავ დიდი პატივ-დიდების აღთქმით შეეცადა რაჟდენის ისევ სპარსად და მაზდეიანად გადმორჯულებას, მაგრამ ვერაფერს გახდა. რაჟდენი ურყევად იმეორებდა:

„ვერა რამან გამაშოროს ქრისტეს და საქართველოს სიყვარულსა, ჭირმან ანუ იწროებამან, დევნამან ანუ პყრობილებამან, სიკვდილმან ანუ ცხოვრებამან, სიმდიდრემან ანუ სიგლახაკემან, ვერარამან განმიტევოს ჩემი სიყვარული რწმენისაგან, რამეთუ მზა ვარ დათმენად ყოველისა“.

კვლავ მიესივნენ ჯალათნი. ჰგვემეს უწყალოდ, ათრიეს, სხეული დაუფლითეს, ძვალნი დაულეწეს, სისხლი დაუთხიეს. ჯალათნი დაიქანცნენ. ხოლო იგი იწვა გაუნძრევლად, მდუმარედ, უდრტვინველად.

თითქოს სხეული მისი — არ იყო მისი.

თითქოს არც სისხლი მისი — არ იყო მისი.

ისევ მოინელა მისმა ჯანღონიანმა სხეულმა წყლული ყოველი.

ბოლოს პეროზმა დაბორკილი რაჟდენი სოფელ წრომში

გაგზავნა, იქ ბანაკად მდგარ რომელიღაც მარზპანთან. იქნებ რაიმე ძალითა და ღონით შენ მოახერხო მისი მორჯულებაო, ხოლო უკეთუ შენც ვერაფერს გახდე, მაშინ ისე სტანჯეთ და აწამეთ, სიკვდილად მივარდნილი დასამარხავადაც აღარ ვარგოდესო, — უბრძანებდა შაჰინშაჰი თავის ქვეშევრდომს.

წრომში დაბანაკებული სპარსელი მთავრისათვის თავიდანვე ცნობილი იყო რაჟდენის საოცარი გმირობის ამბავი. იგი დიდის პატივითა და სიტკბოებით შეხვდა წამებულს, მაგრამ მაინც ვერაფერს გახდა, ვერც დამარწმუნებელი სიტყვით, ვერც ხვეწნით, ვერც მუდარით, ვერც მუქარით.

მერე მარზპანმაც მიუსია რაჟდენს ჯალათები. ამათაც წააქციეს, ათრიეს, სცემეს, დაასახიჩრეს, სისხლი აქცევინეს.

მერე ისევ ჩიჩინი „მოსჯულებისათვის“.

ისევ უწყალო გვემა ურჩობისათვის.

სხეული მისი — აღარ იყო მისი.

სისხლი მისი — აღარ იყო მისი.

და სიცოცხლე მისი — აღარ იყო მისი.

ბოლოს, როცა ყველას გასაოცრად ისევ ფეხზე დადგა, ბნელი დილეგიდან ამოიყვანეს.

წყვდიადიდან თავდაღწეულმა რაჟდენმა სინათლის სხივით ჩაჭრილი თვალები მოავლო შემოგარენს და იხილა: წრომის მაღლობზე ჯვარი აღემართათ!

წამიერმა ღიმილმა დაამშვენა მისი ერთდროს მშვენიერი სახე.

მშვენიერება გაიხსენა მისმა გვემულმა სახემ.

წამების გვირგვინი ელოდა — ჯვარცმა!

მიეახლნენ ჯვარცმის ოსტატი ჯალათები.

ბორკილები დახსნეს, ჯვართან მიიყვანეს, ზედ ჯვარსახოვნად განმართეს და სამი დიდი, ჯიბუკი სამსჭვალით მიაჭედეს — თითო თითო ხელისგულზე, ერთიც ურთიერთგარდაჯვარედინებულ ფეხებზე.

შეძრწუნებულნი უცქერდნენ სპარსელნი, როგორ მდუმარედ, უდრტვინველად ეკიდა სამსჭვალებით ჯვარზე ჯვარად განრთხმული კაცი.

გამოერკვა მარზპანი და ნიშანი მისცა მწყობრად ჩარიგებულ, მშვილდისარ გამართულ მეომრებს.

და ისართა მერეხი სტვენითა და წივილით გაფრინდა ჯვრისკენ.

და იმავ წამს ისართა ჯაგარი ათრთოლდა წამებულის ტანზე.

მიცვივდნენ მეომრები, ხელდახელ ამოაგლიჯეს სხეულიდან ისრები. უკუიქცნენ და ხელახლა დაუშინეს იგივე ისრები.

კვლავ ათრთოლდა წამებულის ტანზე ისართა ჯაგარი.

კვლავ მიცვივდნენ და ამოაგლიჯეს, ისევ უკუიქცნენ და ისევ დაუშინეს სისხლით გათხვრილი ისარნი.

ისევ და ისევ.

წიოდნენ, სტვენდნენ სისხლიანი ისრები.

სისხლის ცვარი და ზრიმლი დიოდა ნასისხლარ ისართაგან.

ხოლო, მისი ერთადერთი და უკანასკნელი სიტყვა ეს იყო:


„ხელთა შენთა, უფალო, შევვედრებ სულსა ჩემსა!“

.

ასე აღესრულა რაჟდენი, რომელმაც თავისი გმირობით ჭეშმარიტად „განაკვირნა ანგელოზნი და სირცხვილეულ ჰყო ეშმაკნი“.

. . .

ომის შემდგომად, მეფე ვახტანგ გორგასალმა რაჟდენის ნეშთი წრომიდან სოფელ ნიქოზში გადაასვენა და იქვე მის სახსოვრად ახალი ეკლესია აღაშენა.





შუშანიკი

„... აღვივსენით მწუხარებითა და დიდითა ტირილითა ვტიროდეთ განმწარებულნი...“.

იაკობ ცურტაველი

ავიხსენოთ არშუშა პიტიახში, რომელიც სპარსეთის მეფის, იეზდიგერდ II-ის ბრძანებით, სხვა ქართველ, სომეხ და ალბანელ წარჩინებულებთან ერთად ქტესიფონს ჩავიდა და იძულებით მაზდეიანობა მიიღო. შაჰმა არშუშა თავისთან მძევლად დაიტოვა, ხოლო მის ნაცვლად ქვემო ქართლის პიტიახშად დანიშნა არშუშას ძე ვარსქენი, კაცი ბუნებით ბოროტი და ავზნიანი, მცხეთელ ხელმწიფეთა მოძულე და სპარსელ დესპოტთა მლიქვნელ-მაამებელი.

ვარსქენს ცოლად ჰყავდა შუშანიკ, ასული სახელოვანი სომეხი მამულიშვილისა და მხედართმთავრის, ვარდან მამიკონიანისა.

ოთხი შვილი ჰყავდათ ვარსქენსა და შუშანიკს, სამი ვაჟი და ერთი ასული.

იყო შუშანიკ უზენაესად მორწმუნე და მოთაყვანე ქრისტეს მოძღვრებისა, აღსავსე სათნოებით, კდემით, სიკეთით, სისპეტაკით.

შეეძლო ბედნიერიც ყოფილიყო, მაგრამ მუდამჟამს აწუხებდა ქმრის თავკერძა პატივმოყვარეობა, გულზვავიანობა და სინდისებრივი მერყეობა.

და ბოლოს მაინც მოხდა ის, რაის შიშიც განუწყვეტლივ ჰქონია ქალს.

476 წელს ვარსქენ პიტიახში ცურტავიდან (სადაც ცხოვრობდა იგი ცოლ-შვილით) ქტესიფონს ჩავიდა, შაჰინშაჰ პეროზს ეთაყვანა, თავი ქრისტიანობიდან გადამდგარად

და ოჯახიდან გაყრილად გამოაცხადა და მაზდეიანობის მიღება ითხოვა. თან აღთქმაც დადო, ქრისტიანობიდან გადავაყენებო ჩემს ცოლ-შვილსაც, ხოლო ყოველივე ამის სანაცვლოდ, ვარსქენი პეროზს ასულს თხოვდა ცოლად.

პეროზ შაჰმა ძალიან გაიხარა სახელოვანი ვახტანგ მეფის მოძულისა და მოსისხარის ამნაირი გადაწყვეტილებით და თავისი ასულიც მაშინვე შერთო.

ამიერიდან სპარსეთის მბრძანებელს შეეძლო უფრო გულმყარად დაყრდნობოდა საქართველოში ქართულობისა და ქრისტიანობის ყველაზე ძლიერსა და აქტიურ მტერს, ცეცხლთაყვანისმცემელ ვარსქენ პიტიახშს.

გამაზდეიანებული და შაჰინშაჰს დასიძევებული ვარსქენი ჰერეთის საზღვარს უახლოვდებოდა. ცურტავიც გამოჩნდა. პიტიახშმა იფიქრა, საჭიროა ჩემს სამფლობელოში ხალხმა ორგულობა არ შემიტყოსო და სასახლეში მსახური აფრინა ბრძანებით: ახლავე ჩემი ვაჟიშვილები, აზნაურნი და მსახურნი წინ შემომეგებონო.

შუშანიკი უთქმელადაც გრძნობდა, რაც უნდა მომხდარიყო და, როცა ნასახური შემოვიდა და ვარსქენის მოკითხვა გადასცა, პასუხად ეს უთხრა:

„უკუეთუ სულითა ცხოველ არს იგი, ცოცხალმცა ხართ იგიცა და შენცა; უკუეთუ სულითა მომკვდარ ხართ, მოკითხვაი ეგე შენი შენადვე მოიქეცინ“.

მსახურს ენა ჩაუვარდა.

შუშანიკი მისდგა და აფიცა, სიმართლე მითხარ, რაც მოხდაო.

იმანაც ვეღარ გაუძლო და სიმართლე თქვა:

„ვარსქენ უვარ-ყო ჭეშმარიტი ღმერთი“.

როგორც კი ეს ჩაესმა, შუშანიკი ძირს დაეცა, თავი მიწას დაუშინა და ატირდა მწარე ცრემლთა ღვრით. თან მოსთქვამდა:

„საწყალობელ იქმნა უბედური ვარსქენ, რამეთუ უვარ-ყო ჭეშმარიტი ღმერთი და აღიარა არტოშანი და შეერთო იგი უღმერთოთა“.

მერე ადგა, სახლიდან ოთხივე შვილი წაიყვანა, სოფლის ეკლესიაში მივიდა და საკურთხეველთან ლოცვა აღავლინა.

შვილებს ავედრებდა ღმერთს — შენი მოცემული არიან და შენვე დაიფარეო.

მწუხრის ჟამის აღსრულების შემდეგ, შუშანიკმა სახლში დაბრუნების ნაცვლად, იქვე ეკლესიის მახლობლად მივიწყებული სახლაკი რამე ნახა და შიგ განმარტოვდა, მწარე ნაღვლითა და ცხარე ცრემლთა თხევით. „შევიდა მუნ შინა სიმწარითა სავსე და მიეყრდნა ყურესა ერთსა და მწარითა ცრემლითა ტიროდა“.

გვიან კარის მღვდელი, იაკობი ესტუმრა. ესტუმრა და ქალთან ერთად გამოიტირა მისი უბედურება. მერე უთხრა: დიდ ღვაწლად შესვლა გელის და ფრთხილად და მხნედ იყავიო; შენი ჭირი ჩვენი ჭირიც არისო, რამეთუ შენ ჩვენთვის მარტო დედოფალი კი არა, ჭეშმარიტი დედა იყავიო; „შრომაი შენი“ მე თვითონ უნდა აღვწერო; ესეც იცოდე, ვარსქენს „მწარე გონებაი“ აქვს და დიდ სატანჯველს შეგყრისო.

მშვიდად პასუხობდა შუშანიკ: მე ყველაფრისთვის, ყოველი სატანჯველისთვის, მზად ვარ; მირჩევნია მომკლას ვარსქენმა, ვიდრე მე მის გზას შევუერთდე და სული ჩემი წავიწყმიდოო.

მერე რომელიღაც სპარსელი მოვიდა, ვარსქენის მსახური და მსტოვარი. მოვიდა, იქაურობა დასუნთქა და შუშანიკის სასმენლად ნაძალადევი ტირილით დაიხარჯა — ეს ბედნიერი ოჯახი როგორ გაუბედურდაო, სიხარული მწუხარებად როგორ გარდაქცეულაო.

შუშანიკს არ გამოჰპარვია წარმართი აეშაგის მზაკვრული ზრახვანი და „მოიზღუდა თავი მისი მტკიცედ“.

სამი დღის შემდგომ ვარსქენმაც მოაკითხა. კარებთან მას ის სპარსი მსტოვარი დახვდა და ჩუმად უთხრა:

„მე ვითარ მიცნობიეს, ცოლი შენი განდგომილ არს შენგან. და მე გეტყვი შენ: ნურას ფიცხელსა სიტყვასა ეტყვი მას, რამეთუ დედათა ბუნებაი იწრო არს“.

ვარსქენმა იმჯერად მართლა ვერ გაბედა ცოლთან შესვლა. ხოლო მომდევნო დილით დაიბარა ხუცესი იაკობ, მასთან კიდევ სასახლის კარის მეორე მღვდელი და ორივეს უთხრა ნაძალადევი ხუმრობით: თქვენ მე ნურც მერიდებით და ნურც გეძაგებითო.

„წარსწყმიდე თავი შენი და ჩუენცა წარგუწყმიდენ“,— უპასუხეს სამღვდელოთა.

ვარსქენი ამაზე მცირედ ჩაფიქრდა და თითქოს რაღაცნაირი გულმხურვალებით შესძახა:

„რაის› ხელ-იწიფა ჩემ ზედა ცოლმან ჩემმან ესევითარისა საქმედ? აწ მივედით და არქუთ, ვითარმედ: შენ ჩემი ხატი დაამხუ, და საგებელსა ჩემსა ნაცარი გარდაასხ, და შენი ადგილი დაგიტევებიეს, და სხუად წარსრულ ხარ“.

აი, თურმე რას აუღელვებია ვარსქენ ერისთავი: ცოლმა ეს როგორ გამიბედა, ვაჟკაცობა შემირცხვინა, სარეცელზე ლაფი დამისხა, ცოლქმრული სამკვიდრებელი მიმიტოვა და საღღაც გაიქცაო!

მღვდლები შუშანიკთან მივიდნენ და ვარსქენის დანაბარები „ხატისა და საგებლის ნაცარსხმისა“ მოახსენეს.

ამაზე შუშანიკმა „მისგან ლაფდასხმულ ქმარს“ ასე უპასუხა:

„არა თუ მე აღმემართა ხატი იგი და მემცა დავამხუ. ხოლო მამამან შენმან აღჰმართნა სამარტვილენი და ეკლესიანი აღაშენნა და შენ მამისა შენისა საქმენი განჰრყუნენ და სხუად გარდააქციენ კეთილნი მისნი. მამამან შენმან წმიდანი შემოიხუნა სახიდ თვისა, ხოლო შენ დევნი შემოიხუენ. მან ღმერთი ცათაჲ და ქუეყანისაი აღიარა და ჰრწმენა, ხოლო შენ ღმერთი ჭეშმარიტი უვარ-ჰყავ და ცეცხლსა თაყუანის-ეც. და ვითარცა შენ შემოქმედი შენი უვარ-ჰყავ, ეგრეცა მე შენ შეურაცხ-გყავ და თუ მრავალი ტანჯვაი მოაწიო ჩემ ზედა, მე არა ვეზიარო საქმეთა შენთა“.

ძლიერი იყო ქალის პასუხი: დაპირისპირება მამის (არშუშას) სარწმუნოებრივი და მამულიშვილური მოღვაწეობისა და შვილის (ვარსქენის) მოღალატურ-კარიერისტული დაცემულობისა.

განრისხდა ვარსქენ „და იბდღუენდა მისთვის“.

მერე მან გაგზავნა ძმა ჯოჯიკ და რძალი, ცოლი ჯოჯიკისა. თან აახლა ეპისკოპოსი აფოც.

ახალ „ელჩობას“ ასეთი მუქარა გააყოლა პიტიახშმა: ასე უთხარით, ადგეს და მოვიდეს და ჭკუას მოეგოს, თორემ იცოდეს, თმებით მოვათრევო.

არც ჯოჯიკის, მისი ცოლისა და ეპისკოპოსის ხვეწნა-მუ-

დარამ არ გაჭრა. შუშანიკი კვლავ მტკიცედ უარობდა სასაჭლეში დაბრუნებას. ჩვენ თუ არ წამოგვყვები, სპარსელ მსახურებს გამოგზავნის და ისინი წაგათრევენო, არ ეშვებოდა ჯოჯიკი. მაგრამ არც ამ მუქარას შეუშინდა ქალი.

ისინი მაინც არ ეშვებოდნენ, ცრემლთა ფრქვევით ევედრებოდნენ, აფიცებდნენ და უალერსებდნენ.

გატყდა შუშანიკ. დათანხმდა, თუმცა იცოდა, სასახლეში დაბრუნება სიკვდილის გზაზე შედგომას ნიშნავდა.

და წავიდა სასახლედ.

მაგრამ არ შევიდა თავის გალიაკსა (სადედოფლო სანთიობოში), არამედ მცირე სენაკში ჩაიკეტა, ზეცად ხელნი აღაპყრო და შესძახა: ამ ქვეყანაზე ჩემდა მოწყალედ არ აღმოჩნდა არცა სამღვდელო, არც ერის კაცი, არამედ ყველამ ღვთის მტერი ვარსქენის სამსხვერპლოდ და სასიკვდილოდ გამიმეტაო.

ორი დღის შემდგომ მოიჭრა „მგელი იგი“ ვარსქენი და პურად დაჯდა ძმასთან და რძალთან ერთად. შუშანიკთან შევიდნენ ჯოჯიკ და ცოლი მისი და სთხოვეს გამოსულიყო მათთან ინახად. შუშანიკი უარობდა, მაგრამ ცოლ-ქმარმა იძალა და გამოიყვანეს.

იჯდა სუფრასთან ერთი კვირის ნაშიმშილევი ქალი და ლუკმას პირს არ აკარებდა.

ადგა ჯოჯიკის ცოლი, ჭიქა ღვინო აიღო და მიაძალა შილს.

გარისხდა შუშანიკი:

„ოდეს ყოფილა აქამომდე, კაცთა და ქალთა ერთად ეჭამათ პური?“ — შესძახა, ხელი აუკრა, ჭიქა შეალეწა და ღვინოც შეანთხია მიმწოდებელს.

ცოფიანად წამოიჭრა ვარსქენი, გაუგონარი ლანძღვა-გინებით მივარდა ცოლს, ძირს დასცა და ფეხებით შესდგა. დიდხანს სცემდა და სთელავდა; მერე „აღიღო ასტამი და უხეთქნა მას თავსა, და ჩაჰფლა, და თუალი ერთი დაუბუშტა; და მჯიღითა სცემდა პირსა მისსა უწყალოდ და თმითა მიმოათრევდა, ვითარცა მხეცი მძვინვარე ყიოდა და იზახდა ვითარცა ცოფი“.

შუა ჩავარდა ჯოჯიკ, იმასაც მოხვდა გამხეცებული ძმისგან. მაგრამ ბოლოს, როგორც იქნა, ხელიდან გამოჰგლიჯა შუშანიკი, „ვითარცა კრავი მგელსა“.

და „ვითარცა მკუდარი იწვა წმიდაი შუშანიკ ქუეყანასა ზედა“.

მაინც არ ცხრებოდა ვარსქენი. კვლავ უშვერად იგინებოდა და იმუქრებოდა. მერე ბრძანა ბორკილებით შეეკრათ სიკვდილად მიგდებული ქალი.

სპარსელი მსახურებიც კი შეაძრწუნა ერისთავის სისასტიკემ და გულქვაობამ. ერთი მათგანი, როცა შეატყო, ვარსქენმა რისხვა მცირედად გაინელაო, მასთან მივიდა და მხურვალედ ევედრა, ბორკილები მაინც ავხსნათ საწყალობელ ქალსო.

თითქოს რაღაც შეისმინა ვარსქენმა, ბორკილები ახსნა, მაგრამ შუშანიკი სენაკში შეაგდო, გუშაგი დაუყენა და მასთან შესვლა ყველას აუკრძალა.

სისხამზე ადგა, გუშაგად მდგარ მსახურთან მივიდა და ჩუმად ჰკითხა, როგორ არისო, ან წყლულები როგორ აქვსო.

ვერ გადარჩებაო, უპასუხა მსახურმა.

მაშინ თვითონ შევიდა ვარსქენი შუშანიკთან.

შუშანიკი უძრავად იწვა, ვითარცა მკვდარი.

ერთ ხანს დასცქეროდა ვარსქენი ქალის ერთიან წყლულად ქცეულ სახეს.

მერე გამოვიდა და მსახურს უბრძანა:

„ნუმცა ვინ შევალს ხილვად მისა“.

სთქვა და წავიდა... სანადიროდ!

საღამო ხანს იაკობ ხუცესი მივიდა. გუშაგი არ უშვებდა, მაგრამ იძალა და შევიდა. და ნახა შუშანიკი სახედალეწილი და გასივებული.

თავი ვერ შეიმაგრა იაკობმა და ატირდა.

შუშანიკი შეიძრა და ძლივს ამოიკვნესა:

„ნუ სტირი ჩემთვის, რამეთუ ღამე ესე დასაბამ გახდა სიხარულისა ჩემისა“.

მიეძალა იაკობი: „მიბრძანე და მოგბანო სისხლი ეგე პირსა შენსა და ნაცარი, რომელი თუალთა შენთა შთაცვენილ არს, და სალბუნი და წამალი დაგდვა, რაითა, ჰე, ღამე განიკურნო!“

„ხუცეს, მაგას ნუ იტყვი, რამეთუ სისხლი ესე გამწმენდელ არს ცოდვათა ჩემთა“, — კვნესოდა ქალი.

მაინც არ ეშვებოდა იაკობი. ახლა მცირეოდენ საჭმელსაც აძალებდა. არ შემიძლიაო, ძლივს აგებინებდა ქალი, დალე-

წილი შაქვსო კბილნი და ყბანი. მაშინ ღვინო აიღო იაკობმა, პური ჩაალბო და რამდენიმე ნამცეცი და წვეთი ჩააწურა პირში.

გვიან იყო. ყოველ წუთს შეიძლებოდა „იმა მგლის“ მოსვლა. შუშანიკმაც შენიშნა, იაკობი რომ ჩქარობდა. თვითონაც ააჩქარა სათქმელი: სამკაულები, რომლებიც მე მისგან მაქვს, იქნებ მოითხოვოს და წაუღე, სულ ერთია, მე მაინც აღარაფრად მჭირდებაო.

ნუ ჩქარობ, ჯერ შენთან იყოს ეგ სამკაულები, უპასუხა ხუცესმა.

ამ დროს სასახლიდან ერთი ყმა მოვიდა და იაკობს უთხრა, პიტიახში გეძახისო.

იაკობიც მაშინვე წავიდა ვარსქენთან. ვარსქენმა უთხრა: გეცოდინება, ჰუნებთან საომრად მივდივარ და არ მინდა იმას ჩემი სამკაულები დავუტოვო, რადგან ის ხომ ჩემი ცოლი აღარ არისო; ამიტომ მიდი, გამოართვი და მომიტანე ყველაფერი, რაც ჩემგან აქვსო.

იაკობი შუშანიკთან შებრუნდა და დანაბარები მოახსენა.

ძალიან გაიხარა შუშანიკმა, ღმერთს მადლობა შესწირა, ბეჭდები, ყელსაბამი და სამაჯურები შეიხსნა და ყველაფერი იაკობს ჩააბარა. იმანაც ყოველივე პიტიახშს გადასცა.

ვარსქენმა გულდასმით დაათვალიერა, დათვალა და დაცინვით დასძინა: დაე, ესენი იმან იპოვნოს, ვინაც დაიმშვენოსო.

დიდმარხვის დღეები მოახლოვდა. შუშანიკი ისევ წავიდა სასახლიდან სოფლად. მივიდა ეკლესიის მახლობლად ყრუ და ბნელ სენაკში და იქ დაეყუდა ლოცვად, მარხვად, ტირილად.

პიტიახში ბრძოლის ველიდან დაბრუნდა. აღრენილი იყო. „ეშმაკი თხრიდა გულსა მისსა“.

ვიღაც ახლობელმა დაასწრო: ამ წმიდა მარხვათა ჟამს ნურაფერს ეტყვი შუშანიკსო. მაგრამ ვის რას დაუჯერებდა „ეშმაკისაგან გულათხრილი“?

აღვსების ორშაბათი იყო. ვარსქენი ეკლესიად მივიდა, ეპისკოპოს აფოცს მიუხტა და შეუღრინა:

„გამომეც ცოლი ჩემი, რად განმაშორებ ჩემგან?“

პასუხიც არ დააცალა — მოსდგა და აგინა ღმერთსაც და მის მქადაგებელ ეპისკოპოსსაც.

იქ დამსწრე მღვდელთაგან რომელიღაცამ ვერ მოითმინა და მისი შეკავება სცადა.

როგორ თუ ეს გამიბედეო, და იმ „თავხედ“ ხუცესს პიტიახშმა კვერთხი მთელის ძალით „უხეთქნა“ ზურგში.

გამოტრიალდა და გამძვინვარებული შეიჭრა შუშანიკის სენაკში.

ეძგერა, დასცა და თმებით დაითრია.

ეკლესიიდან სასახლემდე მიათრევდა.

მიათრევდა ხან თმებით, ხან ფეხებით.

მიათრევდა მიწაზე, ხმელზე, ტალახზე, გოროხზე.

მიათრევდა ძეძვზე, ნარზე, ეკალზე, ბარდზე, ღობეზე, ყორეზე.

იფლითებოდა წამებულის სხეული და „ხორცნი წულილ-წულილად დაებძარნეს ძეძუსა მას“.

იფხრიწებოდა მისი თავსამშვენი კუბასტი (ლეჩაქი) და ნაკუწებად ეფინებოდა ღობე-ყორეს.

იწიწკნებოდა მისი თმა და იფანტებოდა მიწად და ზეცად.

მიათრევდა ნაქმრევი ნაცოლარს და ჩაბღაოდა: აბა, ვნახოთ, რას გიშველისო ეგ შენი უფალი ქრისტე!

სასახლეში მიათრია და კიდევ სამასჯერ დაჰკრა არგანი.

ტკივილის შეგრძნება დაჰკარგვოდა ქალის სხეულს, რამეთუ მასში მდგარ სულს არც ერთი კვნესა, არც ერთი გმინვა არ წასცდენია.

უკვე მკვდარი ეგონათ სავსებით სისხლიანი, უძრავი სხეული ქალისა.

და უცებ მოესმათ „მკვდრის“ მშვიდი ხმა:

„უბადოო (უბედურო), შენ შენი თავიც ვერ შეგიწყალებია, როცა ჭეშმარიტ ღმერთს გადაუდექ, და მე შემიწყალებ?“

ცოცხალი ყოფილა!

სიშლეგემდე მისული პიტიახშის ბრძანებით, ჯერ ისევ სულდგმულ ქალს ქალურ ქედზე უმძიმესი ჯაჭვი დაადეს, სენაკაპანს (სენაკის მცველს) ჩააბარეს და ბნელ სენაკში ჩაგდება უბრძანეს, რამეთუ ბოლოს და ბოლოს იქ „მოკუდეს“.

სასახლიდან გამოიყვანეს ბორკილებით დატვირთული დედოფალი.

აუარებელი ხალხი მისწყდომოდა სასახლეს.

კრინტის დაძვრა კი არავის უცდია.

მხოლოდ ერთი დიაცვაში მიუახლოვდა. უწდოდა გასამხნევებლად ეთქვა: „მტკიცედ დეგ!“ მაგრამ პიტიახშის რისხვეულმა მზერამ შეაწყვეტინა; მხოლოდ „მტკი...“ მოასწრო, ენა ჩაიწყვიტა და ხალხში სასწრაფოდ გაუჩინარდა.

მოჰყავდათ შუშანიკ, ფეხშიშველი და თმააშლილი, სისხლდაქცეული და ხორცდაშრეტილი.

მოდიოდა და წყლულიან ფეხებს ძლივს მოითრევდა.

წყლულიან ფერხთა კვალდაკვალ ვარსქენ პიტიახში მოსდევდა ცხენზე ამხედრებული. მოსდევდა და კვლავ ბგინებდა „მრავლითა გინებითა“.

ხალხის უზარმაზარი ამბოხი (ბრბო) მისდევდა წამებულს. მაგრამ ვერავინ ბედავდა უღონოქმნილს მხარში შესდგომოდა, ვერავინ ბედავდა ფეხშიშველისთვის ხამლი მიეწოდებინა, ვერავინ ბედავდა „თმაგარდატეებულისთვის“ ლეჩაქის ფლასი დაებურა.

მხოლოდ სტიროდა დედათა და მამათა ამბოხი; ტიროდნენ, მოთქვამდნენ, ღაწვებს იხოკდნენ, ცრემლის ღვარს ათხევდნენ.

უკუმოჰხედა შუშანიკმა ხალხს და შესძახა:

„ნუ სტირით, ძმანო ჩემნო, დანო ჩემნო, შვილნო ჩემნო, არამედ ლოცვასა მომიხსენეთ. ამიერიდან მე განშორებულ ვარ თქვენგან, რამეთუ ვეღარ მიხილავთ ამ ციხიდან ცოცხლად გამოსულს!“

უარესად ატირდა ხალხი.

მაშინ თვალი ალაგნა პიტიახშმა და მისი მსახურნი მათრახებით და ცხენთა ძგერებით დაერივნენ ხალხს.

ხალხიც გაიფანტა.

ციხის ხიდზე შეაყენეს შუშანიკი და ერთხელ კიდევ დაგესლა ვარსქენმა: ახლა მანდ უკანასკნელად გაივლი ფეხითა შენითა, ხოლო მანდედან, რამეთუ ცოცხალ ვეღარ გამოხვალ, ოთხმან კაცმა გამოგასვენოსო.

ციხეში შეიყვანეს. ვიწროსა და ბნელ სახლაკში შეაგდეს.

ქალის ქედზე დადებული ჯაჭვი ვარსქენმა საკუთარი ბეჭდით დაბეჭდა.

და მათი უკანასკნელი დიალოგიც ეს იყო:

„მე ამას მხიარულ ვარ, რაითა აქა ვიტანჯო და მუნ განვისუენო!“ — თქვა ქალმა.

„ჰე, ჰე, განისუენე!“ — მიუგდო კაცმა.

გამოვიდა ვარსქენი, კარი გამოკეტა და გუშაგებს ამცნო: შუშანიკი სიყმილით (შიმშილით) უნდა მოკვდეს!

თან დაემუქრა: გაფრთხილებთ, თუ ვინმე მასთან შევიდა, გინა მამაკაცი, გინა დედაკაცი, ვერაფერი ვეღარ გიხსნით ცოლშვილიან-სახლკარიანად; იცოდეთ, რაც დაგემართებათ, მე უბრალო ვიქნებიო.

თქვა და წამოვიდა.

მესამე კვირას მან ერთი მცველთაგანი მიიხმო და ჰკითხა, რას შვრება, მოკვდა თუ მორჩაო.

უფალო, უფრო სიკვდილია საფიქრებელი, ვიდრე სიცოცხლეო, რამეთუ არაფერს იკარებს საჭმელადო, — უპასუხა მცველმა.

„ნურარაი გგლიან, უტე, მოკუდეს (ნუ გენაღვლება, გაუშვი მოკვდეს)!“ — ბრაზიანად დაბეჭდა პიტიახშმა.

იაკობ ხუცესმა კი მაინც მოახერხა შუშანიკთან შესვლა. რომელიღაც მცველთაგანს ძვირფასი ნივთი აღუთქვა და იმანაც ერთჯერ, დაღამებისას, შეუშვა იგი წამებულის სენაკში.

იაკობი გაოცებული დარჩა, როცა მან იხილა „ტარიგი იგი ქრისტესი შუენიერად ვითარცა სძალი“, თუმცა „საპატარძლო სამკაულებად“ ბორკილები ესხა შუშანიკს.

შვებით ატირებული დაემშვიდობა იაკობი სავსებით მშვიდსა და სულიერად აღზევებულ ქალს.

მაზლი ჯოჯიკი არ დასწრებია შუშანიკის საპყრობილედ ჩაგდებას. როცა ცურტავს მოვიდა და ყველაფერი შეიტყო, ჩორდში (დარუბანდი) გამგზავრებულ ძმას წამოეწია და შეუჩნდა, ბორკილები მაინც მოაშორე შუშანიკსო. ვარსქენი არ თმობდა, მაგრამ როცა ჯოჯიკი გაჯავრდა და გააფთრდა, იმანაც დათმო მცირეოდენი.

ჯოჯიკი თვითონ ეწვია წამებულ რძალს. თავისი ხელით აჰყარა ჯაჭვი კისრიდან, ხოლო დანარჩენ ბორკილთა მოხსნა თვითონ შუშანიკმა არ ინება, — დე ასე მჭონდეს სიკვდილამდეო.

მეექვსე წელს ათევდა შუშანიკი ციხეში, „მარხვითა, მარადის მღვიძარებითა, ზედგომითა, თაყუანისცემითა უწყინოდ და კითხვითა წიგნთაითა მოუწყინებლად. განაბრწყინა

და განაშუენა ყოველი იგი ციხე სულიერითა მით ქნარითა“.

მთელს ქვეყანას მოედო შუშანიკის წამებისა და წმიდა ცხოვრების ამბავი. ყოველის მხრიდან მოედინებოდა ხალხი მის სახილველად, საწირავ-საზორველად, სამისნოდ და სამლოცველოდ.

მისი ლოცვა კურნება იყო სნეულთათვის, მისი სიტყვა სალბუნი იყო ჩაგრულთათვის.

ერთ დღეს ახალი საშინელი ამბავი შეატყობინეს შუშანიკს: შენი შვილებიც მაზდეიან მოგვებად მოაქციაო ვარსქენმა.

დიდხანს იტირა.

ეს იყო მისი უკანასკნელი ტირილი საგლოველი;

ცრემლისგან გაშრა.

შვილები მოვიდნენ, მაგრამ ვეღარ გაბედეს მასთან შესვლა.

აღარც თვითონ ახსენებდა მათ სახელს.

ამქვეყნიურთაგან ეს ერთადერთი სიხარულიც — დედის სიხარული — დააკარგვინა მას გადარჯულებულმა ქმარმა.

ვარსქენმა უკანასკნელად მიუგზავნა მოციქულები. ჩემს ნებას დაემორჩილე და სასახლეში მოდი, არ მოხვალ და ვირზე შეგსვამ და ან ჩორდში გაგაგზავნი, ან ქტესიფონის კარზეო, — უთვლიდა ცოლყოფილს.

ისევ მშვიდი იყო პასუხი შუშანიკისა: თუ გამგზავნი, ვინ იცის, იქნებ იქ ამ ბოროტებაზე უკეთეს რასმეს გადავეყაროო.

ამაზე დაფრთხა ვარსქენი: ვაი თუ მართლა მისი ვარაუდი გამართლდეს და იქნებ ვინმე მთავართაგანს ცოლადაც გაჰყვესო.

პირი დაიხშო და ენა დაიდუმა. მაგრამ ისევ მალე აიშალა და აათხრევინა გული სატანას: ახლობელთაგან ერთი ძუძუმტე გამოარჩია და იმას დაავალა შუშანიკის მოყვანა სასახლეში.

ახლა ეს კაცი მიადგა და უჩიჩინა შუშანიკს — სასახლეში წამოდი, ოჯახს ნუ ანგრევო, და სხვა მისთანანი.

ისევ და ისევ მიუვალი კლდე იყო შუშანიკი: წადი და იმ უღმერთოს მოაგონე მისივე ნაბრძანები — შენ მაგ ციხიდან ცოცხალი ვერ გამოხვალო; მე ხომ მისგან მკვდარი ვარ,

ხოლო თუ მას მკვდრის აღდგინება შეუძლია, წავიდეს და დედამისი აღადგინოსო.

როცა ბოლო მოციქულმა ვარსქენს შუშანიკის პასუხი მოუტანა, იმან ექვსი წლის წინანდელი ნათქვამი გაიხსენა და მძიმედ ჩაილაპარაკა: ნამდვილად მაქვს ეგ ნათქვამიო.

ექვსი წელი იწურებოდა შუშანიკის ბორკილდებული პატიმრობიდან.

ექვსი წელი საკუთრივ ტანჯა სხვისგანაც უღვთოდ ტანჯული სხეული.

მხოლოდ ლოცვად, მარხვად და კითხვად მდგარი, უძილარი და დაუჯდომელ-დაუწოლელი, მხოლოდ ფხლის წვენს სვამდა და „პურის გემოი არა იხილის“.

მისი სასთუმალი იყო აგური.

მისი საგებელი იყო ძველი გირჯაკი (ნაბადი) და კილიკი (ბალნიანი ტყავი), წვირიანი და მკბენარით სავსე.

არა მხოლოდ ჯეკმა (მეტისმეტი, დაუზოგავი) თვითგვემა, არამედ თითქოს გარებუნებაც მტერი იყო შუშანიკისა:

„ჟამსა ზაფხულისასა ცეცხლებრ შემწეული იგი მხურვალებაი მზისაი, ქარნი ხორშაკნი და წყალნი მავნებელნი, რომლისა მკვიდრნიცა მის ადგილისანი სავსენი სენითა, წყლითა განსივებულნი და განყვითლებულნი, დაწერტილნი და დამჭნარნი და დამღიერებულნი, ჩარადოვანნი, პირმსივანნი და დღემოკლედ ცხორებულნი; და მოხუცებული არავინ არს მათ ქეუყანათა. და ესეთსა მას ციხესა შინა ექუს წელ პყრობილ იყო და მძიმეთა მათ საკრველთა შინა ადიდებდა ღმერთსა“.

და წამებული დასნეულებული შეხვდა ციხეპყრობილების მეშვიდე წელს.

„დადნა ვითარცა ავლი“.

დაუსივდა ფერხნი.

დაწყლულდა, დაჩირქდა და სდიოდა თხრამლი.

დაესია მატლები.

. . .

მოუხმო იაკობ ხუცესს.

ატირდა იაკობი, ოდეს იხილა მატლდასხმული მისი სხეული.

დაამშვიდა შუშანიკმა: ნუ გემძიმება ჩემთვის ეგ მატლი, რამეთუ იგი უკვდავებას მანიჭებსო მე. არ მწუხარებდე მატლ-

თათვის, რამეთუ ასეთად უკვდავების მომნიჭებელ მატლთაგან შეჭმა ჯობს ჩვეულებრივი, ყოველ კაცთა შემჭმელ მატლთაგან შეჭმასო.

ისევ ატირდა იაკობი: შე უბედო, საგვემელად ძაძის ტარება არ გეყოფოდა, მატლთა დასევით რომ მხიარულობ?

შეკრთა შუშანიკი. იაკობ ხუცესს საიდუმლო სცოდნია მისი: დედოფალი ძვირფას ანტიოქურ ოქრონემსულ სადედოფლო სამოსელს შიგნით, გაუხდელად ატარებდა შავი ძაძის კვართს.

და ქენებით (მუდარით) უთხრა იაკობს: ნურვისთან იტყვი ჩემს მარადიულ ძაძის სამოსზე, რამეთუ სულმან ჩემმან მალე უნდა დატოვოს უბადრუკი სხეული ჩემი.

უკანასკნელად მიიღო ჯოჯიკი და მისი ცოლ-შვილი.

იმათ დალოცვა და ცოდვათა განტევება თხოვეს.

შუშანიკმაც დალოცა და განუტევა ცოდვანი მათნი. იგი ამბობდა:

„ღმერთმან მიგიტევენინ, რომელ რაი-იგი ჰყავთ... ესე ყოველი ცხორებაი, ვითარცა ყუავილი ველთაი წარმავალ არს და დაუდგრომელ. და ვინ სთესა — მოიმკო და ვინ განაბნია გლახაკთათვის — შეიკრიბა, და რომელმან წარიწყმიდოს თავი თვისი, მან პოოს იგი, რომელმან ადიდა იგი“.

უკანასკნელად ახსენა ვარსქენი, ახსენა უდიდესი ბრალდებით, ახსენა სიტყვითა ბრწყინვალითა:

„განვისაჯეთ მე და ვარსქენ პიტიახში მუნ, სადა-იგი არა არს თუალღებაი წინაშე მსაჯულისა მის მსაჯულთაისა და მეუფისა მის მეუფეთაისა, სადა არა არს რჩევაი მამაკაცისა და დედაკაცისაი, სადა მე და მან სწორი სიტყუაი ვთქუათ წინაშე უფლისა ჩუენისა, იესუ ქრისტეისა; მიაგოს მას უფალმან, ვითარ მან უჟამოდ ნაყოფნი ჩემნი მოისთულნა და და სანთელი ჩემი დაშრიტა და ყუავილი ჩემი დააჭნო, შეუნიერებაი სიკეთისა ჩემისაი დააბნელა და დიდებაი ჩემი დაამდაბლა და ღმერთმან საჯოს მის შორის და ჩემს შორის. ხოლო მე აწ ამას ვჰმადლობ ღმერთსა, რამეთუ ტანჯვითა მისითა მე ლხინებაი ვპოო, და გუემათა და თრევათა მისთათვის მე განსუენებასა მივემთხვიო, უგულისხმოებისა და

უწყალობისა მისისათვის მე წყალობასა მოველი იესუ ქრისტეის მიერ, უფლისა ჩემისა“.

. . . . . .

უკანასკნელად მოვიდნენ მასთან მთავარეპისკოპოსი სამოელ და ეპისკოპოსი იოანე, გაოცებულნი და აღტაცებულნი მისი საარაკო გმირობისაგან.

მათ მოჰყვნენ „აზნაურნი დიდ-დიდნი, და ზეპურნი დედანი, აზნაურნი და უაზნონი სოფლისა ქართლისანი“.

მუხლს იყრიდნენ საოცარი ქალის წინაშე, ლოცულობდნენ, კურთხევას სთხოვდნენ და ცრემლთა თხევით ევედრებოდნენ, რამეთუ ნება დართოს მისი ნაფერხალი ბორკილები იქნენ ყველასათვის ნაკურთხევ საღვთო და სათაყვანო წმიდა ნივთებად.

მე არა ვარ ამის ღირსიო, ამშვიდებდა ხალხს შუშანიკი, ხოლო თქვენთვის, რაკი მე არარაის შემძლებელი ვარ, ყოვლად სავსემან ქრისტემან აღგავსენინ თქუენ ყოვლითა კეთილითა, რომელნი — ესე ჩემთვის მოშუერით და ეზიარენით ვნებათა ამათ ჩემთა და ჭირთა და ტანჯვათა“.

ხალხსაც დაემშვიდობა. ხალხიც წავიდა მისი საპატიმროსავანიდან.

. . . . . .

უკანასკნელად მოუწოდა ეპისკოპოს აფოცს და ხუცეს იაკობს. მადლობა მოახსენა მათ მოწლეობისათვის (გულშემატკივრობისათვის) და უმძიმეს ჭირთა შიგან თანადგომისა და თანალმობისათვის.

მერე სთხოვა მათ, ჩემი ძვლების ნაშთები იმ სოფლის ეკლესიაში დაკრძალეთ, საიდანაც პირველად გამომათრიესო...


ამას ამბობდა და უკვე სიკვდილთან წილნაყარიც იყო.

„კურთხეულ არს უფალი ჩემი, რამეთუ მშვიდობით მას ზედა დავწევ და დავიძინე“.

ეს მისი **უკანასკნელი** სიტყვები იყო: უკვე სიკვდილის საუფლოში ესვენა შუშანიკ.

. . . . . .

იაკობ ხუცესმა აღასრულა თავისი დანაპირები — მაღალმხატვრული სიმშვენიერით დაწერა „წამებაი წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაი“.



ცამეტი მამა

სინი მოვიდნენ შუამდინარეთიდან, ასურეთიდან, VI საუკუნის შუაგულში.

მოვიდნენ, ვითარცა საქრისტიანო-სარწმუნოებრივი მოღვაწენი, სულიერი განმანათლებელნი და ზნეობრივი განმამტკიცებელნი.

ცამეტი ასურელი მამა:

იოვანე ზედაზნელი
დავით გარეჯელი
სტეფანე ხირსელი
იოსებ ალავერდელი
ზენონ იყალთოელი
ანტონ მარტყოფელი
ისე წილკნელი
თათე სტეფანწმინდელი
შიო მღვიმელი
ისიდორე სამთავნელი
აბიბოს ნეკრესელი
მიქელ ულუმბოელი
პიროს ბრეთელი.

მათგან მხოლოდ ექვსი გამოსჩანს ისტორიაში მათი „ცხორების“ ზედმეტ-ნაკლები სისრულით: იოვანე, დავით, შიო, ისე, ანტონ, აბიბოს.

○

იოვანე შუამდინარეთიდან იყო, ტომით ქართველი. მშობლები არც თვითონ ახსოვდა და არც სხვისგან იცოდა. იყო დიდად განათლებული და ღრმა სათნოებით შემკობილი. იყო ბრძენი აქიმ-მკურნალი და „ეშმაკეულთა მჩხიბავი“.

ყმაწვილობიდანვე მშობლიური სოფელი მიატოვა და შორს, უკაცრიელ უდაბნოში ბერული ცხოვრება დაიწყო. ცხოვრობდა დიდის მარხულობითა და თვითგვემით.

აქვე იოვანემ დაიმოწაფა თორმეტი მოწაფე-მოციქული, ყველანი მისებრ ქართველნი.

და „მიიღო ბრძანება ანგელოზისა მიერ, რათა ათორმეტით მოწაფითურთ თვისით წარვიდეს ქართლად“.

ასედაც მოიქცა. მოვიდა და მოიყვანა ქართლში, მცხეთაში, თორმეტი მოწაფე; სულ — „ცამეტი მამა“.

თვითონ იოვანე ავიდა და სამოღვაწეოდ დადგა არაგვის მარცხნივ, მცხეთის პირდაპირ, ზ ე დ ა ზ ე ნ ი ს მთაზე (სადაც ერთ დროს იდგა კერპი — ზადენ). აქედანვე წარმოსდგა მისი ზედსახელი — ზ ე დ ა ზ ნ ე ლ ი.

იოვანემ თავისთან დაიტოვა ელია დიაკონი, ხოლო დანარჩენნი სამოღვაწეოდ გაგზავნა ქართლ-კახეთის სხვადასხვა კუთხეში.

იოვანემ ზედაზნის მთაზე მრავალი სასწაული ისასწაულა:

წყალი არ იყო და წყარო განაჩინა (დღესაც არსებობს ეს მშვენიერი წყარო).

ჯერ კიდევ ყოფილა კერპნი და „ეშმაკთა სიმრავლე“ ზედაზენზე, და იოვანემ ის უკანასკნელი კერპებიც დაამსხვრია და ჯვარის ამაღლება-გამძლავრებით, „ეშმაკთა სიმრავლეც“ სავსებით აღკვეთა.

დათვი მოდიოდა, ადამიანებს აშინებდა. იოვანე იმ დათვს ტკბილად „გაესაუბრა“ და ის დათვიც და მისი თანატყიურნი ცხვრებივით მოთვინიერდნენ.

მოჰყავდათ ავადმყოფნი, ტანგარღვეულნი და სულგანრღვეულნი — და იოვანე სასწაულებრივი მკურნალობით კურნავდა მათ.

იცოცხლა ღრმა მოხუცებამდე. სიკვდილის წინ მოწაფეები შემოიკრიბა, დაარიგა და დამოძღვრა.

დაკრძალეს იქვე, ზედაზენზე.

○

დ ა ვ ი თ ი ც შუამდინარეთიდან იყო. მისი ბავშვობაც უცნობი დარჩა ისტორიისათვის. არც მისი მშობლების შესახებ შემორჩენილა რაიმე ცნობა. იგი იოვანე ზედაზნელმა ლუკიანესთან ერთად გ ა რ ე ჯ ი ს უდაბნოში გაგზავნა სამოღვაწეოდ (აქედან ზედსახელი — გ ა რ ე ჯ ე ლ ი).

გარეჯში მისვლამდე დავითი ტფილისში ჩავიდა და სამხრეთიდან გადმომდგარ მთაზე, გამოქვაბულში დადგა საცხოვრისად, თავის მოწაფესთან ერთად.

და ასე იწყებს შემოსვლას ქართულ ისტორიაში მამა-დავითის გამოქვაბული, ანუ — წმიდა მთა მამა-დავითისა, ან კიდევ — მ თ ა წ მ ი ნ დ ა.

ტფილისის ღვთისმეტყველნი მტრულად შეხვედრიან უცხოეთიდან ჩამოსულ მოძღვარს, და კიდევაც შეთხზულა ლეგენდარული „პროვოკაცია“: ტფილისის ერთ დედათა მონასტერში მონაზონი დაორკეცებულა და ეს აკრძალული მიჯნურობა ადგილობრივმა მოშურნე-მოწესეებმა დავითს დააბრალეს. რისხვით ავსილი დავითი იმ ქალთან მივარდნილა და მუცელში ჩაუძახნია — „მიპასუხე, მე ვარ მამაშენი?“; „არა, არა, არა!“ — ამოსძახა ბავშვმა მუცლიდან. მაგრამ ქალმა მაინც ურცხვად გამოუცხადა თვალმოსეირე ხალხის საკრებულოს — ნამდვილად დავითისგან ვარ დაორკეცებულიო. მაშინ დავითმა ქალს მუცელზე კვერთხი მიაბჯინა და მრისხანედ შესძახა: „ქვა შვი, ქვა შვი, ქვა შვი, შეჩვენებულო ცილისმწამებელო!“ და მართლაც ქალმა ბავშვის ნაცვლად ქვა შობა... თითქოს ეს ამბავი იმ ადგილზე მოხდა, სადაც შემდგომში აშენდა ქ ა შ ვ ე თ ი ს („ქვა შვი“ — საგან) ეკლესია.

ასე იყო, თუ ისე — ამ საჩოთირო ინცინდენტის შემდგომ დავითი და ლუკიანე გაეშურნენ გარეჯის უდაბნოში. მივიდნენ და დადგნენ მღვიმეში, მაღალი და შიშველი კლდეებით სავსე „ქუეყანაში“. ძალიან უჭირდათ ზაფხულის პაპანაქება-სიცხესა და ზამთრის ძვალთამტეხელ ყინვებში. მერე სამი ფურ-ირემი შემოეჩვიათ თავისი ნუკრებით. ამ „ღვთაებრივ ირმებს“ სწველიდნენ და მათი რძითა და ხაჭოთი ირჩენდნენ თავს. მახლობელ ხევში ცხოვრობდა გველეშაპი, რომელმაც ერთი ირმის ნუკრი შთანთქა. დავითი გულდებულად გაუხტა იმ გველეშაპს და საშინელი წყევლით დასწყევლა. გველეშაპი გაიქცა და ყარაიას ველზე რომ მიატანა, უცებ ციდან მეხი დაეცა და დაიწვა.

სასწაული სასწაულს მიჰყვა.

ერთ დღეს მინდვრად სამკურნალო ბალახთა საკრეფად გასულ დავით გარეჯელს წინ კაკაბზე მონადირე დიდებული ვინმე შემოჰყრია, სახელად ბუბაქარი. გულზვიად აზნაურს მახვი-

ლი უძვრია და აღუმართავს უწყინარი ბერის მოსაკლავად. მაგრამ მოქნევაც ვერ მოუსწვრია, ისე ერთი თვალის დასხივებით შეშასავით შეუხმია ხმლიანი მარჯვენა ბუბაქარისთვის. მერე თვითონვე შეჰვედრებია ბუბაქარი, თავხედობა მაპატიე და შენვე მომირჩინე მარჯვენაო. დავითმა მის წინაშე ვედრებით ქვედავრდომილ არისტოკრატს ხელიც თვითონვე მოურჩინა და ავადმყოფი შვილიც განუკურნა. ბუბაქარი წმინდა ნათლობით მოინათლა, ოჯახიც და მსახურეულიც მონათლა და გარეჯას, დავითის სალოცავი და სადგომი გამოქვაბულის პირდაპირ კლდეში ეკლესია გამოაკვეთინა, ეკლესია ფერისცვალების სახელობისა, პირველსახე მომავალში განთქმული დავითის ლავრისა.

ხალხი კი მოდიოდა და მოდიოდა უდაბნოსაკენ. ყველას ჰსურდა დავით გარეჯელის ხილვა და განცდა მისი სასწაულმოქმედებისა. სთხოვდნენ, ევედრებოდნენ და ემუდარებოდნენ წმიდა მამას, ნება დაერთო მასთან დარჩენისა, მისი მწყემსობის ქვეშ ყოფნისა, მასთან ერთად „სულის მარგებელ“ შრომისა და ღვაწლმოსილებისა.

და შეუსია დავით გარეჯელმა გარეჯის კლდეებს მორწმუნენი. რკინის სათხარნი მოაღებინა და ასწავლა საცხოვრებელ და სალოცავ მღვიმეთა გამოკვეთა, წყალსაგროვებელ ლაკანთა გამოჭრა და განსრულება, წყალსადინარ ღართა ჩაჭრა და ჩასწორება. და ასე — „დაემკვიდრნეს სიმრავლენი მამა კაცთანი, უდაბნოებითსა ცხოვრებასა შემტკბობელნი“.

დავით-გარეჯა ქრისტიანული რწმენისა და აზროვნების უდიდეს კერად იქცა საქართველოში.

ნინოწმინდიდან გარეჯას მივიდა დ ო დ ო — „ღირსი და სათნოებით შემკული ბერი“. ძალიან მოიწონა დავითმა „სიმტკიცე და სიმახვილე დოდოს გონებისა სამღრთოსა შინა“. შეითვისა და შეიტკბო ქრისტესმიერი ძმა ღვიძლი ძმასავით.

და უთხრა დავითმა დოდოს: რაკი ამდენმა ხალხმა ინება ამა უდაბნოში ცხოვრება, ხოლო ჩვენი სამლოცველონი და სადგომელნი ვეღარ იტევენ მორწმუნეებს, ადი იმ კლდის რქაზე, ჩვენს პირდაპირ მაღლამთაზე რომ წამომართულა, წაიყვანე ძმანიცა სხვანი, აღაშენეთ იქ ეკლესია და სამკვიდრებელი დაბა უდაბნოსა შინა და ერქვას იმა ეკლესიას სახელი ღვთის მტვირთველისა ქალწულისა მარიამისა.

და აღასრულა დოდომ ნაბრძანები მამა დავითისა, წაიყვანა იმ კლდის რქაზე დიდი წილი მორწმუნეებისა, დასცეს სათხარი, გაჭრეს ბალავერი, გასკვნეს საძირკველი და აღმართეს ეკლესია ღვთისმშობელი მარიამისა, გამოჭრეს და გამოკვეთეს მღვიმენი საცხოვრისნი და ლაკანნი წყალსაკრებელნი. ასე აღმოცენდა და აშენდა ახალი საკანე — დ ო დ ო ს რ ქ ა, პირმშო დავით-გარეჯის სავანისა.

იზრდებოდა დავითგარეჯა და ვრცელდებოდა სარწმუნოებრივი და სამეცნიერო სული დავითგარეჯისა. აქ სწავლობდნენ და ასწავლიდნენ ღვთისმეტყველებას, სიბრძნისმეტყველებას, მეცნიერებათა და ხელოვნებათა სხვადასხვა დარგებს. წერდნენ წიგნებს, ხატავდნენ და აჩუქურთმებდნენ.

ბოლოს დავით გარეჯელმა იერუსალიმი მოიარა და უკანდაბრუნებული მალე გარდაიცვალა. დაკრძალეს იქვე, გარეჯს, ფერისცვალების ეკლესიის საკუთხევლის წინ.

ამის შემდგომ ექვსასი წლის მანძილზე კვლავ გრძელდებოდა აღმშენებლობა გარეჯის მრავალმთის ტაძართა, ეკლესიათა და სამლოცველოთა. და მეთორმეტე საუკუნის დამლევს უკვე ერთ მთლიან კულტურულ საკრებულოდ აღმართულ არიან „გარეჯის მრავალმთის ათორმეტნი მონასტერნი“:

დავითის ლავრა	თეთრსენაკები
აღდგომისა წამებული	მღვიმე
ბერთუბანი	ქოლაგირი
დოდოსრქა	მოხატული
ნათლისმცემელი	ვერანგარეჯა
ჩიჩხიტური	პირუკუღმარი.

და კიდევ — „ათორმეტთა გარდამეტებით“: დიდი ქვაბები, პატარა ქვაბები, წამებული, უდაბნო.

შ ი ო წარმოშობით ანტიოქიიდან იყო. ბავშვობაშივე სახლიდან წავიდა იოვანეს დაემოწაფა და ბოლოს, მასთან ერთად მოვიდა ქართლად. აქ მან იოვანესგან და ქართლის კათალიკოსისგან განტევება ითხოვა და მარტმყოფელ ასკეტად გაეშურა მცხეთის დასავლეთით აღმართული მთებისაკენ. აქ, ერთ ღრმა ხევში, მტკვრის მარცხენა მხარეს, კლდეზე, შიომ იპოვნა მცირე მღვიმე-გამოქვაბული და შიგ დაბინავდა (აქედან — ზედსახელი მ ღ ვ ი მ ე ლ ი). ამ მიყრუებულ სადგომში სამოცი დღის სრული მარხულობისა, ყოვე-

ლი ნადირის მოთვინიერებისა და ეშმაკეულის დაძლევის შემდგომ, შიოს გამოეცხადა ღვთისმშობელი მარიამი, იოანე ნათლისმცემლის თანხლებით, საკუთარი ხელით მისცა „საზრდელი, მსგავსი თოვლისა მცირედი“, ნუგეშინ, სცა, სულით განამტკიცა, თვითონ მას და მის სამყოფელ-სავანეს დიდი მომავალ უწინასწარმეტყველა და თვალს მიეფარა. ამის შემდგომ გამოქვაბულში ასკეტისთვის ყოველ დღე მტრედს მიჰქონდა საჭმელი. ერთ დღეს იმ მტრედს კლდის თავიდან თვალი მოჰკრა სანადიროდ გამოსულმა დიდებულმა, ქართლის სპასპეტმა ე ვ ა გ რ ე მ. გაკვირვებული და ცნობისწადილით შეპყრობილი ევაგრე მტრედს მიჰყვა და შიოს მიადგა მის მღვიმეში. ერთმანეთს გაეცნენ. წარჩინებულ ერისკაცს ძალიან მოეწონა შიოს ცხოვრების წესი და სთხოვა შენთან დამტოვე და შენნაირი ცხოვრების ნება დამრთეო. მაშინ შიომ ევაგრეს თავისი კვერთხი მისცა და უთხრა: აჰა, ეს კვერთხი, მიდი, მტკვარს დაჰკარი და უკეთუ წყალი განიპოს, ფსკერი გამოჩნდეს და ზედ მშრალად გაივლ-გამოივლი, მაშინ მოდი ჩემთან საცხოვრებლად, თუ არა და, სახლში დაბრუნდიო. ევაგრემაც ყველაფერი აღასრულა — მდინარეც განაპო შიოს სასწაულმოქმედი კვერთხით, მის ფსკერზეც მშრალად გაიარ-გამოიარა, შიოს ეახლა და სამუდამოდ მასთან ერთად განრინებულ-ბერულ ცხოვრებას შეუდგა. შიომ ევაგრეს ასწავლა ლოცვა, მარხვა, დაყუდებული ცხოვრება, ხორციელ ჭირთა დათმენა და სულის ამამაღლებელი ღვაწლი ყოველი.

იქვე მოძღვარმა და მოწაფემ აღაშენეს სახელგანთქმული მ ღ ვ ი მ ე ვ ი ს ტაძარი, ღვთისმშობლის სახელობისა.

შიოსა და ევაგრეს ღვაწლმა დიდად გაითქვა სახელი მთელს საქართველოში. მღვიმევის სავანე დიდი სარწმუნოებრივი, კულტურული საკრებულო და სამოღვაწო შეიქმნა.

შიო ღრმა მოხუცებულობაში გარდაიცვალა და დაიკრძალა იქვე, მისსავე წმიდა მღვიმეში.

○

ი ს ე, გამოჩინებული მოწაფე და მიმდევარი იოვანე ზედაზნელისა, ქართლის კათალიკოსმა აკურთხა მღვდელმთავ-

რად „მუხნარის ჭუეყანაში“, სოფელ წილკანში (აქედან — ზედსახელი წ ი ლ კ ნ ე ლ ი). ბევრი აქაური წარმართი მოაქრისტიანა ისე წილკნელმა: „ფრიადი ურწმუნონი სწავლითა მოაქციენა, მოძულურება და ქადაგება განფინა სამწყსოსა თვისსა“. ისეს ყველაზე დიდი სასწაული შეიქნა მის მიერ წყლის გამოყვანა მდინარე ქსნიდან წილკანში.

შემდგომად გარდაცვალებისა, ისე დიდის პატივით დაკრძალეს იქვე, წილკნის ეკლესიაში.

○

ანტონიც შუამდინარელი იყო, იოვანეს მოწაფეთა შორის „ფრიად სათნო და წარჩინებული“. საქართველოში გამომგზავრებამდე ანტონი ქალაქ ედესაში იყო წასული „ქრისტეს ხელთუქმნელი ხატის“ მოსაძიებლად (გადმოცემა იყო ასეთი: ედესის მეფეს, ავგაროზს, რომელსაც კეთრი დამართნოდა, ქრისტემ შეუსრულა თხოვნა და გამოუგზავნა თავისი ხატი, ტილოზე გადაღებული. ამ ხატმა განკურნა ავგაროზი, რომელმაც ამის გამო ქრისტეს ღვთაებრიობაც იწამა, თვითონაც მოინათლა, ოჯახიც მონათლა, ხოლო თვითონ ქრისტეს ხატი, „ფიცარსა ზედა გარდართხული“, სათაყვანო კერპად აღმართა ქალაქის მთავარი კარიბჭის ზემოთ. ავგაროზის სიკვდილის შემდგომ, მისმა შთამომავლობამ ქრისტე უარჰყო, ხოლო ავგაროზის ერთმა შვილიშვილმა ხელთუქმნელი ხატის მოსპობაც კი სცადა, მაგრამ ედესის მაშინდელმა ეპისკოპოსმა დაასწრო და ხატი გადამალა).

დიდის წვალების შემდეგ, ანტონმა ქრისტეს ხატი იპოვნა, წამოიღო და ედესიდან წამოვიდა. გზად მან შეიტყო, რომ იოვანე და მისი მოწაფეები უკვე საქართველოს გზას შესდგომოდნენ. მაშინვე თვითონაც გამოეშურა ქართლისკენ, უფლის ხატის თანხლებით. მტკვარი გადმოიარა და ერთხნობის ხეტიალის შემდგომ აკრიანის მთებში დაბინავდა. აქ უღალსა (უწყლო) და სერ-ტყიან ნაპრალებში ანტონი ცხოვრობდა მ ა რ ტ ო მ ყ ო ფ ე ლ ი ს („მარტყოფელი“) განრინებული ცხოვრებით. იკვებებოდა ბუნების მზა ნაყოფ-მცენარეებით. საღამოობით ასკეტს ფურ-ირმები მოაკითხავდნენ, თვინიერად მიეახლებოდნენ და ჯიქნებს დააწველინებდნენ.

ასე — ველურ კენკრას ჭამდა, ირმის რძეს სვამდა და დღე და ღამე განუცადებლად საუფლო ხატის წინაშე ლოცულობდა.

ერთხელ ირმები გვიან მოვიდნენ განდეგილთან. ერთი ნუკრიც დაკოდილი და სისხლდადენილი მოჰყვა დედას. ანტონ გაჰკვირდა და უკანგაბრუნებულ ნადირთ კვალში ჩაუდგა. ირმებმა იგი ჩაიყვანეს აკრიანის მთის ძირას, ფართო ველზე, სადაც წარჩინებული ვინმე ნადირობდა მახლობელი დასახლებიდან. სწორედ იმ კაცს დაეჭრა ირმის ნუკრი. ახლა ანტონს მიადგა მონადირე და ჰკითხა ვინ ხარო. განდეგილმა მაღლა მთებისკენ ანიშნა ხელით, „რამეთუ ენა არ ესმოდა". რაკი ჩემი არ გესმის, სწორედ ეგ ხელი უნდა მოგკვეთო, ენის მაგივრად რომ ხმარობო. და ანტონი იმ დიდკაცის ბრძანებით მჭედელთან მიიყვანეს, მჭედელმაც ქურაზე შანთები გაახურა და ბერისკენ მკლავის მოსაგლეჯად წაიწია. ანტონი მუხლებზე დაეშვა, ზეცად ხელები აღაპყრო და უმალვე თვითონ მჭედელს „ხელნი ვითარცა შეშანი შეექმნნეს". ყველას თავზარი დაეცა. ის დიდკაციც მოვარდა, სასწაულმოქმედს ეთაყვანა და შეევედრა, რაც გნებავს ბრძანე და ყოველივეს შეგისრულებო. ანტონი ქვას დაწვდა და გალოკა, — ამით ანიშნა, მარილი მინდაო. მაშინვე უზარმაზარი ქვამარილის ლოდი მოართვეს. იმან მხოლოდ ერთი ლიტრა ჩამოიტეხა და ისევ მთებისკენ გასწია. ის ქვამარილი თავისი სენაკის ახლოს დასდო და ყოველ საღამოს მოახლებულ ირმებს ალოკინებდა.

აუარებელი მოწაფე და მნახველი გაუჩნდა ანტონ მარტომყოფელს. ყველას მისი წმიდა სახელი ეკერა პირზე. იმ ახლო სოფელსაც, აკრიანის მთის ძირას ამიერიდან ეწოდა მ ა რ ტ ყ ო ფ ი (ანტონ „მარტომყოფელისაგან").

ღრმა მოხუცებამდე იცოცხლა ანტონმა. გარდაიცვალა და იქვე დაასაფლავეს. შემდგომ მის საფლავზე მისმა მოწაფეებმა ააშენეს მონასტერი, სადაც დაასვენეს ანტონის ხელით ედესიდან ჩამოტანილი ხელთუქმნელი ხატი უფლისა. ამ ხატს ხალხი ღვთაებას ეძახდა და მონასტერსაც ასე ეწოდა — ღ ვ თ ა ე ბ ი ს მ ო ნ ა ს ტ ე რ ი.

„ათცამეტ მამათაგან აბიბოს ნეკრესელი (ნეკრესის ეპისკოპოსი) განსაკუთრებული მოწამებრივი ცხოვრებით გამოირჩევა, „ხოლო მიზეზი წამებისა მისისაი ესრეთ იყო“:

ნეკრესში ცეცხლთაყვანისმცემლებს ცეცხლი დაეგზნოთ, მითრას სადიდებლად. სპარსელი მოგვები ცხენს ამზადებდნენ შესაწირავად. უეცრად მოიჭრა ეპისკოპოსი აბიბოს, ცეცხლს წყალი დაასხა და დაშრიტა იგი. მისცვივდნენ სპარსელები, შეიპყრეს და უწყალოდ სცემეს. მერე ბორკილები გაუყარეს და საპყრობილეში ჩააგდეს. კარგა ხნის წამების შემდგომ ამის შესახებ შეატყობინეს მცხეთაში მჯდარ მარზპანს. მარზპანმაც ბრძანა დაუყოვნებლივ მიეყვანათ მასთან აბიბოს.

წინ გაიგდეს და ცემა-გვემით მცხეთისკენ გაუყენეს აბიბოს ნეკრესელი. გზაზე, სირიიდან, შავი მთის სახელგანთქმული საეკლესიო მოღვაწის, სვიმონ მესვეტისგან გამოგზავნილი წერილი, კვერთხი და ევლოგია მიიღო აბიბოსმა. ამან ძალიან გაახარა და სულიერად განამტკიცა წამებული. მერე ვინმე ქართველები შემოეყარნენ და ქართულად შეუძახეს: თუ მოისურვებ და სპარსელი მარზპანის წინაშე წასვლას არ ინებებ, ჩვენ ახლავე გამოგიტაცებთ და უკანვე გაგაქცევთო, მაგრამ არ ინება ეს აბიბოსმა.

მცხეთას რომ მივიდნენ, აბიბოსმა სპარსელებს სთხოვა — სანამ მარზპანთან წარმადგენთ, მანამ ნება დამრთეთ შიო მღვიმელს შევხვდეო. და სპარსელებმაც დართეს ამის უფლება.

შიო და აბიბოს ერთმანეთს შეხვდნენ ცნობილ მღვიმეში. დიდი სიმძიმილით ისაუბრეს ქართლის თავს დატეხილ უბედურებაზე. მერე ერთმანეთი გაამხნევეს, ილოცეს და დაემშვიდობნენ.

აბიბოს ნეკრესელი მარზპანს წარუდგინეს სოფელ რეჩში, სადაც საგანგებო თეატრონი გაეწყოთ, ხალხის თვალსასეიროდ.

და ჰკითხა მარზპანმა აბიბოსს:

„რაისთვის უარჰყავ უფლება მეფეთ მეფისა და მოჰკალი ღმერთი ჩვენი?“

აბიბოსმა მშვიდად უპასუხა:


„მე არ ვიცი სხვა ღმერთი, თვინიერ იესო ქრისტესი. ხოლო ცეცხლი, რომელიც მე დავშრიტე, იყო საცთური ეშმაკეულთა. ახლა მე გლოცავთ და მოგიწოდებთ, ცეცხლმსახურებას განუდგეთ და აღიაროთ ერთადერთი ჭეშმარიტი ღმერთი იესო ქრისტე“.

„მე გეკითხები რაისთვის მოჰკალ-მეთქი ჩვენი ღმერთი, ხოლო შენ შენი ღმერთისკენ გვიპირებ გადაყვანას?“ — გაოცებით და გარისხებით იკითხა მარზპანმა.

აბიბოსი კი ისევ სრული სიმშვიდით განაგრძობდა: გაიგე, რომ მე ღმერთი არ მომიკლავს, არამედ მხოლოდ ცეცხლი დავშრიტე. ცეცხლი ღმერთი კი არა, ბუნების ნაწილია, ქვეყნის ერთი ნივთთაგანი მცირე ნაწილი. სამყარო თანასწორად შედგება — სინოტივისაგან, სიცივისაგან, სიმყარისაგან და ცეცხლისაგან. ისინი ერთნაირი სწორპატიობით აწონასწორებენ დედამიწას. ხოლო, თუ ერთ-ერთი მათგანი მეორეს აღემატება, მაშინ წონასწორობაც დაირღვევა. რაც შეეხება ცალკე თქვენს ცეცხლს, იგი ბუნების ცეცხლის ნაწილია და მხოლოდ შეშის წვით წარმოიშობა. მიტომაც საკმარისი აღმოჩნდა, მცირე წყალი დამესხა მასზე და მაშინვე დაშრეტილიყო, რამეთუ წყალი იგი უფრო ძლიერი აღმოჩნდა მას ცეცხლსა ზედა. აწ მიკვირს თქვენი ესევითარი სიგიჟე, როგორ არ გრცხვენიათ, რომ ასეთ არარას ღმერთად ღებულობთ?

სპარსი მოხელე ლამის ჭკუიდან შეშალა ქრისტიანი ქართველის სიტყვამ. და მისი ბრძანებით იქვე აბიბოს ნეკრესელი უზომოდ ჰგვემეს, აწამეს და ბოლოს — „ქვითა განტვინეს“. მისი გვამი ქალაქგარეთ გაათრიეს და ღია ცის ქვეშ დააგდეს ყორანთა და ძაღლთა საჯიჯგნად. თან გუშაგები მიუჩინეს, ქრისტიანთაგან რომ არვინ მისულიყო წამებულის დასაკრძალავად.

ეს ამბები პირველად აღწერა ა რ ს ე ნ I კ ა თ ა ლ ი კ ო სმა IX საუკუნეში, აბიბოს ნეკრესელის წამებიდან სამასი წლის შემდეგ.



ევსტათი მცხეთელი

საუკუნესვე, ხოსრო ანუშირვანის სპარსეთს ხელმწიფობისა და ქართლში არვანდ გუშნასპის მარზპანობის ჟამს, მცხეთაში მოვიდა ერთი სპარსელი კაცი, ოცდაათი წლისა, ძე მოგვისა, სახელად — გვირობანდაკ.

მცხეთაში დასახლდა და მეხამლეობა ისწავლა.

ცოლად ქრისტიანი ქალი შეირთო.

თვითონაც ქრისტიანობა შეისწავლა, შეიყვარა და ბოლოს მოინათლა კიდეც.

ნათლობის სახელად დაერქვა ევსტათი.

ერთ დღეს სპარსელმა მეხამლეებმა და მეჯადაგეებმა მცხეთაში სპარსული დღესასწაული, „ტოზიკობა“ (ნავროზობა) გამართეს და ევსტათის შეუთვალეს, მოდი შემოგვიერთდი, ჩვენთან ერთად იზეიმეო. ამაზე ევსტათიმ უპასუხა: თქვენი ტოზიკობაც ბნელია, თქვენც ბნელი ხართო; მე ქრისტეს ბეჭედი მიმიღია, ქრისტეს აღდგომას ვზეიმობ და თქვენი სიბნელისაგან შორსა ვარო.

მაშინ გაჯავრებული სპარსელები მცხეთის ციხის უფროსს ეახლნენ და ევსტათი დააბეზღეს: აქ ერთი კაცია, ჩვენს სჯულსა ჰგმობს, დასცინის, აგინებს და იქადნის — ქრისტიანი ვარო.

ციხის უფროსმა, რომლის სახელიც იყო უსტამ, ბრძანა მოეყვანათ ევსტათი. ისიც მოვიდა. დამსმენები პირში წაუდგნენ — სწორედ ეგ არის ჩვენი რჯულის მაგინებელიო.

უსტამმა გამოჰკითხა ევსტათის, საიდან ხარ და რა სჯულზე დგახარო. ევსტათიმაც უპასუხა — სპარსი ვარ, სპარსული

სოფლიდან, მამაჩემი მოგვი იყო, მეც მოგვობას მასწავლიდა, მაგრამ დავრწმუნდი, ქრისტიანობა ყველა სარწმუნოებაზე უმაღლესია და მეც ქრისტეს სამსახურს შევუდექიო. უსტამმა გააფრთხილა — იცოდე, ქრისტეს სამსახურს შენ არავინ შეგარჩენს და, უკეთუ ეგ სიგიჟე შენის ნებით არ მოგიშორებია, ძალიან დიდი სატანჯველი მოგელისო.

„არა თუ ტანჯვად განმზადებულ ვარ ქრისტეს სიყვარულისთვის, არამედ სიკვდილითაც ჩემი თავი არ მეწყალებაო“, — უპასუხა ევსტათიმ.

ქრისტიანის სიმტკიცით შეფიქრიანებულმა უსტამმა ასე გადაწყვიტა: მე ამ კაცის დასჯის უფლება არა მაქვს, ამიტომ ტფილისს გავგზავნიო, არვანდ გუშნასპთან, ქართლის მარზპანთან, და იმან რაც უნდა ის უყოს, რამეთუ მას ქართლში ყოველი კაცის სიკვდილ-სიცოცხლის უფლება აქვსო.

და, ორი მხედრის თანხლებით, უსტამ ციხისთავმა ევსტათი გაგზავნა ტფილისს. მაშინვე იგივე მაბეზღარებმა კიდევ რვა სპარსელი დააბეზღეს, რომელთაც აგრეთვე ქრისტიანობა მიეღოთ. და ისინიც ევსტათის გააყოლეს.

ყველანი გუშნასპ მარზპანს წარუდგინეს. არაფერმა გაჭრა — არც დარიგებამ, არც მუქარამ. ყველამ ერთხმად თქვა — ქრისტიანობა მივიღეთ და სიკვდილის კარამდე მისი ერთგული დავრჩებითო.

გარისხებულმა მარზპანმა ურჩ ქვეშევრდომთა ცემა ბრძანა. და ცემეს უწყალოდ. მერე მისივე ბრძანებით ყველას თავი და წვერი დაპარსეს, ცხვირები გაუხვრიტეს, კისრებზე ჯაჭვები დაადეს, ფეხებში ბორკილები შეუყარეს და საპყრობილეში შეამწყვდიეს. ესეც დაადევნეს — თუ რომელიმე თქვენგანი მამაპაპეულ სჯულს დაუბრუნდება, საბოძვარით ავავსებთ, ხოლო რომელიც ურჩობას არ დაიშლის, საპყრობილეშივე ჩაკვდებაო. ორმა გამოიჩინა სულმოკლეობა და სპარსულ სჯულს დაუბრუნდა. დანარჩენები ექვსი თვე ეყარნენ საპყრობილეში, ბორკილდებულნი, გვემულნი და მშიერ-მწყურვალნი.

მერე ხოსრო ანუშირვანის ბრძანება მოვიდა ტფილისს: მარზპან გუშნასპი სპარსეთს დაბრუნდესო. გამგზავრების წინ გუშნასპს ეწვივნენ ქართლის კათალიკოსი ს ა მ ო ე ლ,

ქართლის მამასახლისი გრიგოლ და ქართლის პიტიახში არშუშა, ყველანი ამალით და სეფეწულებით.

ეწვივნენ და სათხოვარი გვაქვსო, მოახსენეს გუშნასპს.

როდის იყო თქვენს თხოვნაზე უარი მითქვამს, და ახლაც ბრძანეთ, რაიც გნებავთო, — უთქვამს გუშნასპს.

გთხოვთ გაათავისუფლოთ მცხეთელები, რომლებიც ქრისტიანობის მიღებისთვის საპყრობილეში ჩაგიყრიაო — ითხოვეს ქართველებმა.

ეგენი სიკვდილისთვის მყავდა გამზადებული, მაგრამ რაკი თქვენ მთხოვთ, ვათავისუფლებო, და ყველანი გამოუშვა კიდეც ციხიდან მაშინვე სპარსმა.

ისინი მცხეთაში დაბრუნდნენ.

სამი წელი გავიდა არვანდ გუშნასპის წასვლიდან და ამ სამი წლის მანძილზე ქართლში არც ქართველი მეფე იჯდა, არც სპარსელი მარზპანი.

მერე ხოსრო შაჰმა ტფილისში ვეჟან ბუზმარი გამოგზავნა მარზპანად.

ისევ აიშალნენ დამსმენნი, მაბეზღარნი. ახალ მარზპანს წარუდგნენ და ევსტათი ისევ დააბეზღეს: სპარსელი იყო, სპარსული სჯული უარჰყო, გაქრისტიანდა და გაქართველდაო.

ვეჟან ბუზმარმა დაიბარა ევსტაფი ტფილისს. ბევრი ეცადა. მაგრამ არ იქნა და არ გატყდა ქრისტიანობას ნაზიარევი კაცი.

ბოლოს, გარისხებული მარზპანის ბრძანებით, ევსტათის სპარსმა ჯალათებმა თავი გააგდებინეს. გვამი მისი ქრისტიანებმა მოიხელთეს და სამოელ კათალიკოსს მიუტანეს. სამოელის ბრძანებით, წამებულის ნეშთი დაკრძალეს მცხეთის სვეტიცხოველში.



დავით დ კონსტანტინე

35 წელს არაბთა უზარმაზარი მხედრობა შემოესია ამიერკავკასიას. სარდლად მოუძღოდა თვითონ ხალიფას ძმისწული, სახელად მ უ რ ვ ა ნ, რომლისთვისაც გაუგონარი სისასტიკისთვის ქართველებს „ყ რ უ“ შეურქმევიათ, სომხებს კი — „ავარან-შან“ (ამაოხრებელი).

მაშ, მოვიდა მურვან ყრუ აგარიანი მხედრობით, „მოეფინა, ვითარცა ღრუბელი ბნელისა, სიმრავლითა, ვითარცა მკალი და მუმლი და დაფარა პირი ქუეყანისა“.

დაიწყო სომხეთით. ააოხრა,ააწიოკა, ნაცრად და ავლად აქცია ქვეყანა.

და სომხეთიდან ქართლს შემოიჭრა ცეცხლითა და მახვილით. შემოიჭრა და „შემუსრნა ყოველნი ქალაქნი და უმრავლესნი ციხენი ყოველთა საზღვართა ქართლისათა“.

მთას მიაშურა ლტოლვილმა ქართველობამ.

ქართლის მაშინდელი მმართველი, ერისმთავარი ს ტ ე ფ ა ნ ო ზ მ ე ს ა მ ე, თავისი ოჯახით დასავლეთ საქართველოს, ეგრისისაკენ გაეშურა. ციხე-გოჯს მიაღწია და გარდაიცვალა მოულოდნელად. მისმა ვაჟებმა, მ ი რ მ ა და ა რ ჩ ი ლ მ ა, მამა იქვე დაასაფლავეს და თვითონ აფხაზეთში გადავიდნენ.

მურვან ყრუ კი აოხრებული ქართლიდან სამცხეს გადავიდა, ოძრხე დააქცია, დანარჩენი მესხური მიწებიც ააოხრა და ზეკარის უღელტეხილით იმერეთისკენ დაიძრა.

და აი, — მოგითხრობთ არაბთა წინააღმდეგ მებრძოლ

პირველ სახალხო გმირთა, მამულისა და სარწმუნოებისათვის შეწირულთა თავგადასავალზე.

ისინი იყვნენ არგვეთის მთავრები.

ორი ძმა.

გვარად მ ხ ე ი ძ ე ნ ი.

უფროსი — დ ა ვ ი თ, „ჰაეროვან და სპეტაკ ხორცითა, მოწაბლე თმითა, შუენიერ გვამითა და ხშირ წვერითა".

უმცროსი — კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე, „შუენიერ გვამითა, მოწაბლე თმითა და წვერ გამო (უწვერული)".

ორივენი — გონიერნი, განათლებულნი, მტკიცე ქრისტიანენი, გაწაფული სარდლები და მამაცი მეომრები.

როგორც კი ძმებმა მესხეთში არაბთა შემოსევის ამბავი შეიტყვეს, არგვეთის მოსახლეობა ფეხზე დააყენეს, ყველანი გაამხნევეს, სასწრაფოდ ლაშქარიც შემოიყარეს და მტრის დასახვედრად წარემართნენ.

მურვან ყრუ უკვე ზეკარზე გადმოდიოდა, მესხეთიდან იმერეთისკენ.

არგვეთელთა ჯარი ფერსათის მთაზე, ხანისწყალზე ჩამოსასვლელთან შეეგება, შეება მტრის წინაკერძს. წინ მიმავალმა დავითმა „აღიზახა ვითარცა ლომმან, და აოტნეს და განაბნინეს იგინი და ურიცხვი მოსრნეს".

სიკვდილს გადარჩენილი არაბი მეწინავენი სირბილით უკანვე მიაწყდნენ, მურვანს წარუდგნენ და დიდის ქოთქოთით მოახსენეს, რაც მომხდარიყო.

მურვან ყრუმ ორივე ღაწვზე ხელები წაიშინა, თმა-წვერი აიწეწა და აღრიალდა:

„ვინ მკადრა მე ეს, წინ ვინ აღუდგა დიდსა მოციქულს მუჰამედსა, დედიჩემის ძმას" — ესე სთქვა და „შეუზახნა ყოველსავე სიმრავლესა წარმართთასა და წამოემართნეს, ვითარცა ქვიშაი სიმრეელითა, და ქვეყნად არგვეთისა და შეიცვეს ტყე და ველი და მთანი და ბორცვნი".

ქართველები დიდი სიმამაცით დაუხვდნენ ურიცხვ მტერს. უთანასწორო ომმა მოსახლეობის უმრავლესობა მთასა და ტყეში გახიზნა.

დავითი და კონსტანტინე თარეშული ბრძოლის გზას დაადგნენ: მტერს უსაფრთებოდნენ, მოულოდნელად გამოუხ-

დებოდნენ და თავს ესხმოდნენ, ელვასავით გაუჩინარდებოდნენ და კვლავ უეცარი თავდაცემისთვის ემზადებოდნენ.

მერე, რომელიღაც ვიწრო ხევში ყოველის მხრიდან გზა გადაუჭრეს არაბებმა ერთ მუჭა გმირებს.

ქართველებმა ხმლები ქარქაშებიდან ამოაძრინეს, ქარქაშები დალეწეს და მტერს შეებნენ.

ბევრი სარკინოზის სისხლი დაიქცა.

მაგრამ აღესრულა მურვან ყრუს ბრძანება: დავითი და კონსტანტინე ცოცხლად შეიპყრეს.

მათი თითო მეაბჯრეც ჩაიგდეს ხელში სარკინოზებმა.

მურვან ყრუ მაშინ ქუთათისში იდგა ბანაკად. და ტყვეებიც იქით მიჰყავდათ. გზაზე დააღამდათ. და ის ორი მეაბჯრე თვალსა და ხელს შუა გაუძვრნენ მცველებს და წყვდიადში გაუჩინარდნენ.

დავითი და კონსტანტინე მურვან ყრუს მიჰგვარეს.

სარკინოზთა სარდალმა კარგა ხანს ათვალიერა ტყვეები, მერე, როგორც იქნა, ეპილეპტური აღტაცება დაიოკა და გესლიანი სიცილით ჰკითხა:

„ვინ ხართ თქვენ, ქვათა და ძელთა მსახურნო, რომ ჩემ წინააღმდეგ ბრძოლა გაგიბედიათ? იქნებ არც გაგიგიათ, რომ მე დიდი ალლაჰის მოციქულის, მუჰამედის დისწული ვარ, იმ მუჰამედისა, რომელსაც ჰმონებს სრულიად არაბეთი და სპარსეთი, ხოლო მე დამიმორჩილებია ყოველი ქვეყანა აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე“.

და მაშინვე უპასუხა დავითმა:

„ეგ შენი სიცილი და ქადილი ცუდი და ამაოა ჩვენსა ზედა, რამეთუ წუთ ჟამ არს დიდებაი შენი და ადრე განქარდების. რაც შეეხება დედიშენის ძმას მუჰამედს, რომლის სახელსაც იქადი, ეგ სიქადულიც ფუჭი და უქმია, რამეთუ სწორედ ის მუჰამედია მაცდური და დამღუპველი მთელი თქვენი მოდგმისა“.

გაცოფდა მურვანი. ანიშნა და მაშინვე ხელკეტებით მიცვივდნენ არაბი ჯალათები შებორკილ გმირებს. ძირს დასცეს და დაუშინეს.

დიდხანს სცემდნენ, გახელებით, გამხეცებით.

სცემეს მანამ, „ვიდრეღა დაშურეს“.

ხოლო ისინი იწვნენ და მდუმარედ, უდრტვინველად ღებულობდნენ ყოველ დარტყმას.

თითქოს აღარც სტკიოდათ.

თითქოს სხეული, რომელსაც სცემდნენ, აღარც კი იყო მათი სხეული.

გაოცებული და გაოგნებული უცქეროდა არაბთა სარდალი. ჯალათები შეაყენა და სისხლის ტბორში ჩაწოლილ გმირებს მიმართა:

„ჯერ ხომ ჩემი მეწინავე და რჩეული ჯარები გაანადგურეთ, ახლა იმასაც ბედავთ, ჩემს წინაშე ღვთის მოციქული მუჰამედი აგინოთ“. სთქვა, წამით შეჩერდა, მოულოდნელად ხმა დაიტკბო და დავითს მიმართა:

„ჩემმა სარდლებმა შემატყობინეს, რომ შენ ყოფილხარ კაცი დიდად გონიერი და საომარ საქმეებში ფრიად გაწაფული, თანაც ამ ქვეყნის მთავარი. ამიტომ მე გადავწყვიტე კეთილი რჩევა მოგცე: დაუტევე ქრისტეს ჯვარი, — იგი ხომ შეშაა და სხვა არაფერი. დაუტევე შეშისმსახურება-მეთქი და მის ნაცვლად მიიღე რჩეული სჯული მუჰამედისა. და უკეთუ ასე მოექცევი, შენ იქნები უპირველესი მთავარი არაბეთისა და სპარსეთის ყოველ მთავართა შორის. ამას გარდა, მე შენ დაგნიშნავ ჩემი ჯარების მხედართუფროსად, სოლო ემაგ ყრმას, შენს უმრწემეს ძმას, მივცემ დიდ პატივს ჩემს პალატაში, დავაყენებ მას ჩემს ტახტთან ახლოს, ვითარცა უპირველესს ჩემს ამალაში“.

მაშინ დავითმა ძლივს მოიმარჯვა ნაგვემი მარჯვენა, ჯვარი გამოისახა და თქვა:

„ტყუილად ცდილობ, მძლავრო ბოროტო, ნათელი დავუტევოთ და ბნელს შევუდგეთ. ჩვენ ჩვენმა ღმერთმა მოგვიწოდა ნათელისაკენ, ამიტომ არა ვმონებთ სხვასა სჯულსა, ცუდსა და მოპოვნებულსა, არამედ მზად ვართ ქრისტეს სახელისთვის ყოველსავე ტანჯვასა, ცეცხლსა, წყალსა, მახვილსა და სიკვდილსა. ეს არს სარწმუნოება ჩვენი, ჭეშმარიტი ქრისტიანობა, ისმინეთ ყოველმან გუნდმან სპარსთა და არაბთამან“.

ძლივს იჭერდა რისხვას „მძლავრი ბოროტი“:

„კეთილი სწავლისა და შეგონებისთვის ბოროტი და უგუნური ჰასუხით გვპასუხობ? ჩვენს ყურანში სწერია, რომ

ქრისტე მარიამის ძე იყო, კაცად შობილი, და იძახდა ღვთის ძე ვარო. ამიტომ შეიპყრეს ჰურიათა და ძელზე გააკრეს. ხოლო დიდმა მუჰამედმა, რომელსაც თქვენ თქვენის უგუნურებით გმობთ, სპარსნი და არაბნი ცეცხლმსახურებისაგან მოაქცია და ჭეშმარიტ ღმერთს შეაწყნარა“.

ამაზე დავითმა მწარედ გაიღიმა და თქვა:

„წიგნი თქვენი, ყურანი, თქვენ თვითონ არ გცოდნიათ კარგად, რადგან სწორედ ყურანში სწერია თქვენთვის: სახარებისგან ისწავლეთო. ასე დაგიწერათ თქვენ ალიმ, მუჰამედის გულითადმა მოწაფემ. გარნა თქვენ უგულისხმონი ხართ და მიტომ არც წიგნი იცით და არც ღვთის ძალი“.

გაოცდა მურვანი:

„ვინ გასწავლა შენ წიგნი, არა ღირსო ცხოვრებისაო?!“

„თქვენი წიგნები მე მხოლოდ თქვენს სამხილებლად მომიტანია“, — გულგრილად მიუგო დავითმა.

ახლა კონსტანტინეს მაუბრუნდა არაბთა სარდალი:

„შენ რაღას იტყვი, ყრმაო, ემორჩილები თუ არა ჩემსა ბრძანებასა?“

კონსტანტინემაც დასძრა „ხმაი დამამხობელი“:

„არც მე ვემორჩილები შენს ბრძანებას, არამედ იმასვე ვიწამებ და ვაღიარებ, რაც ჩემმა უფალმა ძმამ დავითმა იწამა და აღიარა“.

მაშინ საბოლოოდ ახსნა ლაგამი რისხვას მურვან ყრუმ, და ბრძანა ათი დღე ჩაეყარათ დილეგში უჭმელ-უსმელად დავით და კონსტანტინე.

ათი დღე აწამებდნენ „მრავალფერითა ტანჯვითა უსუენებლად“.

ათი დღის შემდგომ მურვანმა მოგვები და მისნები მიუგზავნა დატანჯულ გმირებს, იქნებ თქვენ მოახერხოთ მათი გულის მოგება და მაჰმადის სჯულზე მოქცევაო.

როცა წარგზავნილები საპატიმროს მიადგნენ და იხილეს წამებულნი „განლეულნი და დამჭნარნი“, დაარაჯებს მიუბრუნდნენ და ვითომ მათი სისასტიკით აღშფოთებულებმა იყვირეს:

„ეს რა ჩაგიდენიათ და გიკადრებიათ ესოდენ დიდებულ ადამიანთა და ქველ ვაჟკაცთა მიმართ? ნუთუ არ იცით, რომ დიდ ამირა მურვანს ისეთად სწადია ამათი შვება, სიკე-

თე და ფუფუნება?“ მერე მოგვთაგან უპირველესი მიადგა წამებულთ და შეუდგა შეგონებას:

„მთელი არაბეთისა და სპარსეთის ღაღადისმა, მურვან ამირამ მოგვავლინა თქვენთან და შემოგითვალათ: მე თვითონ კარგად ვიცი თქვენი გონიერება და მწამს ამნაირ დროს თქვენთვის უმჯობესს განიზრახავთო და ჯეროვნადაც გადაწყვეტთო; ნუ დაღუპავთ თქვენნს სიჭაბუკეს უქამო, მწარე და ძვირ-ძვირი (ნელ-ნელი) სიკვდილით, შეიწყალეთ თავი თქვენი და მოიქეცით მაჰმადის სჯულზე, რათა იშვებდეთ და ილხენდეთ ჩვენთან ერთადო; ამას გეაჯებით, რამეთუ მე თვითონ ძალიან მებრალება თქვენი სიჭაბუკე და სიმხნევეო. ამას გიბრძანებთ დიდი ამირა სპარსეთისა და არაბეთისა, და ჩვენც, ჭაბუკნო შვენიერნო და ახოვანნო, ჩვენის მხრითაც ამას გეტყვით, დაემორჩილეთ მის ბრძანებას და მიიღეთ მისგან ესე დროშანი და შესამოსელნი მთავრობისა თქვენისანი“.

ეს ითქვა და წამსვე ძვირფასი ტანსაცმელი, ოქრო-ვერცხლი, სამკაულები და საბოძვარი გაუშალეს წინ ნაწამებ ძმებს.

მაშინ უკანასკნელად დასძრა ენა დავითმა:

„ვინაიდან უგუნურნი ხართ და უგუნურების მეტყველნი და მოციქულნი ყრუისა და მზაკვრისა, ამისთვის თქვენთან ლაპარაკს აღარ გავაგრძელებთ. ვიტყვით მხოლოდ იმას, რაც თავშივე ვთქვით: ვრჩებით ჩვენს სჯულზე მტკიცედ და უქცეველად და ვერარა ჭირმან, ვერცა დიდებამან ამა საწუთროისმან ვერ გაგვაშოროს ქრისტეს სიყვარულსა და სარწმუნოებას; მზად ვართ მისთვის თავი მივსცეთ შიმშილს და წყურვილს, ცეცხლსა და წყალს, მახვილს და ხმალს. ხოლო თქვენს მიერ მოტანილი საბოძვარი და სადიდებელი არას საძულველ და საძაგელ წინაშე თვალთა ჩვენთა. ახლა წარვედით და უთხარით ესე ყოველი მომავლინებელსა თქვენსა მაცთურსა და მზაკვარსა“.

ისინიც გაბრუნდნენ შერცხვენილნი და თავლაფდასხმულნი. მივიდნენ და უთხრეს მურვანს: აღარავითარი ძალი აღარაა მათი მოქცევისა, არაფრისა არ ეშინიათ, არც ტანჯვისა, არც სიკვდილისაო.

და ყრუმაც ყრუდ გადაწყვიტა ქართველ თავდადებულთა ბედი.

დავითი და კონსტანტინე რიონის პირას გაიყვანეს, კოზმანისა და დამიანეს მცირე ტაძრის მახლობლად (შემდგომდროინდელი „ჯაჭვის ხიდი“ ქვემოთ). აქ მდინარე ხელმარცხნივ ღრმა ყურედ იჭრებოდა მიწამყარში.

ორივე გააშიშვლეს დედიშობილად.

ხეზე დაჰკიდეს ფეხებით.

ჯალათებმა მძიმე ხელკეტები აიღეს და ცემას შეუდგნენ.

სცემდნენ მთელის ძალით, ჯალათთა მძიმე, დაუღლელი მარჯვენით, გატაცებით, გახელებით, გამხეცებით.

სცემდნენ, ვიდრე ჯალათთა დაუღლელი მარჯვენაც არ დაიღალა და დაიქანცა.

ხოლო ისინი კვლავ ეკიდნენ მდუმარედ, უსიტყვოდ, უდრტვინველად.

თითქოს სხეული, რომელსაც სცემდნენ, აღარც იყო მათი სხეული.

მერე ჩამოხსნეს.

ხელები და ფეხები მჭიდროდ შეუკრეს.

ქედზე მძიმე ლოდები დააკრეს.

ღრმა ტბად შემოჭრილ ყურეში ისროლეს, ქვა-ლოდით დამძიმებულნი.

მაშინვე მურვანმა არაბთა ბანაკი აჰყარა, ქუთათისი დატოვა და სამეგრელოსაკენ გაემართა.

უცნაური, შემაძრწუნებელი დღე სასწაულებრივი ღამით დაიღამეს ქუთათურებმა: „ხოლო იქმნა მას ღამესა სასწაული საშინელი და სასმენელად საზარელი“. ყველაფერი უჩვეულოდ გამოიყურებოდა — ცაც, დედამიწაც, წყალიც და ხმელიც, მაღლობიც და დაბლობიც. მაინცდამაინც ცა იყო უცნაური, იალ-ქიალად მოხეტიალე ღრუბლებით გატენილი. მთვარეც, სრულქმნილი მთვარეც, მოარღვევდა ღრუბელთა უსქეს კრეტსაბმელს.

გამოარღვია კიდევაც და სამსვეტოვან შუქ-ჭავლად დაეშვა მდინარეზე, სწორედ იმ ადგილას, სადაც ჯალათებმა ჩაჰყარეს დავით და კონსტანტინე.

ხოლო თვითონ ისინი, ძმანი-მოწამენი, წყლის ზედაპირზე იწვნენ, ლოდთაგან და თოკთაგან თავდახსნილნი. გუ-

ლადმა იწვნენ და წელი რწევით ჰოჰყვებოდნენ ნაპირისაკენ მომლტოლვარე მდინარის ტალღებს.

და ისე ბრწყინავდნენ, „ვითარცა მთიებნი განთიადისანი“!

სასწაულის სახილველად მოდიოდნენ ადამიანები; ფრთხილი, შიშრეული ნაბიჯებით მოაბიჯებდნენ, ერთიმეორეს თვალაგნით ანიშნებდნენ, ჩურჩულებდნენ, ლოცულობდნენ.

და ყველას ერთბაშად შეეყინა მუხლი, — ორი კაცი გამოიჭრა ტყიდან მოულოდნელად. ტანზე ტანსაცმელს ისწორებდნენ და ნაპირისკენ მომცურავ გმირთა შესახვედრად მირბოდნენ. ტანსაცმელი კი არაბული ემოსათ.

მივიდნენ და დააცქერდნენ ცხედრებს, „რომელნი ნათობდეს, ვითარცა მზის-თუალნი“.

ხალხმა იფიქრა, აგარიანები არიანო, და გასაცქევად მოემზადა არაბთაგან დაშინებული ხალხი.

მაგრამ იმ ორთა მაშინვე ხმა-ჰყვეს: ნუ გეშინიათ, მოდით, მტერი კი არა, თქვენი ძმები ვართო, ქართველები, ქრისტიანები.

ისინიც მივიდნენ და იხილეს.

წამებულთა მსახურნი და მეაბჯრენი ყოფილან. სწორედ ესინი, არაბებს რომ გაექცნენ ტყვეობიდან. მას შემდეგ თურმე მიმალულნი, სარკინოზულ ტანსაცმელში გადაცმულნი, თვალს ადევნებდნენ თავიანთ ბატონთა უღვთო წამებას მაგრამ შველა ვერასგზით ვერ მოეხერხებინათ, ხოლო ახლა... ახლა კი არავინ იცოდა, ამათ დაიხსნეს წამებულნი ლოდთაგან და ბორკილთაგან, თუ „ზეციური სასწაულის“ შეღეგი იყო ყოველივე ეს?!

წყლიდან ამოასვენეს მარტვილნი.

უზადო იყო მათი სხეული. თითქოს არც ჯალათის უდიერი ხელი შეხებოდეთ, არც წყლის მრღვეველი სტიქიონი.

ღვთაებრივი სიმშვიდე და კდემა დავანებულიყო მათ სახეებზე.

ოთხეულებად დალაგდა ხალხი.

წინა ოთხეულმა აიყვანა და მხრებზე დაისვენა დავით.

მეორე ოთხეულმა — კონსტანტინე.

და დაიძრა ღამეული პროცესია, მდუმრიად, მსუმრიად.

აღმოსავლეთისაკენ მიემართებოდნენ, გელათისაკენ.

ოთხეულები ცვლიდნენ ერთმანეთს.

ღრუბელთა კრეტსაბმელი სავსებით დაედნო ღამეულ სხივთა მთოვარე მნათობს.

მიცურავდნენ დავით და კონსტანტინე, მშობლიური შუქით მოსილნი, „ვითარცა მზის-თუალნი“ და „მთიებნი განთიადისანი“. მიცურავდნენ მშობლიურ სივრცეში, მშობლიურთაგან ზეცისაკენ ზეაღმართულნი.

შუაღამე გადასული იყო, როცა ქუთათის-გელათის გზას შუაწელს მიატანეს და ხელმარჯვნივ ჩაუხვიეს, მდინარე წყალწითელასკენ.

ხელმარცხნიდან ძაღლის შემზარავი ყმუილი ისმოდა. აქ ამასწინათ ერმრავალი ციხესიმაგრე იდგა, ამჟამად მურვან ყრუსაგან დანგრეული, გადამწვარი და იავარქმნილი.

ძაღლის ყმუილი მამლის ყივილმა ჩაჭრა და ჩაწყვიტა. მტრისგან იავარქმნილ მიწაზე მალე ახალი ცხოვრება უნდა დაწყებულიყო.

წყალწითელას ხევში ღრმად ჩაჭრილ კლდოვან ყელს ჩაუდგა პროცესია.

სამი მხრიდან ალმასის სარტყელივით შემორტყმოდა კლდეს მთვარის შუქით აბრიალებული მდინარე.

აქ ადრე ხარების სახელობის ეკლესია იდგა, რომლისგან ახლა ნაეკლესიარიღა დარჩენილიყო: ისიც დაეკცია მურვან ყრუს.

ნაეკლესიარის ქვემოთ, კლდეში, ძველთაძველი აკლდამა იყო, იმჯერად ცარიელი და მივიწყებული.

ბილიკს ჩაუყვნენ და იმ აკლდამაში დაასვენეს მოწამენი.

და ამიერიდან ამ ადგილსაც, მისი შემოგარენით, ეწოდა მ ო წ ა მ ე თ ა.

სამასი წელიწადი ესვენენ დავითი და კონსტანტინე იმ აკლდამაში.

მერე, XI საუკუნის პირველ ათწლეულში, მეფე ბაგრატ მესამემ ხელახლა აღაშენა სარკინოზთაგან დანგრეული ეკლესია და მასში გადაასვენა წამებული გმირები.

ერთ კუბოში თავშექცევით იწვნენ ისინი.

დრო მიდიოდა.

იმუსრებოდნენ საუკუნენი.

ხოლო ხალხი არ ივიწყებდა ძმათა მხეიძეთა საარაკო გმირობას.

მოდიოდნენ, მათ წმიდა ნეშთებზე ლოცულობდნენ, ღამეს უთევდნენ, ტანისა და სულის განრღვეულობას ავედრებდნენ და მათგან სამკურნალო სასწაულმოქმედებას სრულის რწმენით ღებულობდნენ.

საგანგებო დღესასწაულიც დაადგინა ხალხმა — „დავით-კონსტანტინობა“, ანუ „მოწამეთობა“, ანუ „ორწიფობა“.

ესაა 2 ოქტომბერი, დღე რომელსაც აწამეს დიდი გმირნი და დიდმოწამენი ძმანი — დავით და კონსტანტინე.



არჩილი

ურვან ყრუ არგვეთელი მთავრების წამების შემდგომ ქუთათისიდან ეგრისში გადავიდა. არაბებმა აიღეს და დაანგრიეს ციხე-გოჯი (ნოქალაქევი). მერე გადალახეს კელასურის ქვის კედელი, შეიჭრნენ აფხაზეთში, აიღეს და დაანგრიეს ქალაქი ცხუმი (სოხუმი).

სოხუმიდან ანაკოფიისაკენ გაეშურა „მძლავრი ბოროტი“.

ანაკოფიაში მაშინ თავს აფარებდნენ ქართლის უფლისწულები, ძენი სტეფანოზ ერისმთავარისა, მ ი რ ი და ა რ ჩ ი ლ ი, რომლებიც მცირეოდენი ჯარით საომრად გამოუხდნენ არაბთა მხედრობას.

ფიცხელი შეტაკება ქართველთა გამარჯვებით გათავდა, მაგრამ ეს იყო — მირი დაიჭრა მაზრაკით ფერდში

ქართველთა გამარჯვებით გახარებულმა ბიზანტიის კეისარმა სამეფო გვირგვინი და სკიპტრა გამოუგზავნა მირს.

მარცხნაჭამი მურვან ყრუ აფხაზეთიდან უკუიქცა და ისევ ციხე-გოჯის მახლობლად დასცა ბანაკი.

აქ ახალი უსიამოვნება ელოდა დამპყრობელს. ამჯერად მას ბუნება დაატყდა რისხვად. საშინელი კოკისპირული წვიმა მოვიდა. ცხენისწყალი და აბაშისწყალი კალაპოტიდან გადმოიჭრა და არაბთა ბანაკს დაეძგერა. ბევრი მეომარი და სალაშქრო ცხენი დაეხრჩო სარკინოზთა სარდალს.

აქედან აიყარა და სამხრეთისაკენ გაემართა. ძლივს მიარღვევდნენ კოლხეთის ჭაობებს. ლაქაშებში იძირებოდა ცხენი და კაცი. ტალახით დამძიმებული კუდები დააჭრეს ცხენებს.

ძლივს გააღწიეს. გურიას შეესივნენ და ააოხრეს. მერე აჭარას და სპერს მისდგა მურვანი — „ოხერ და უვალ ჰყო ყოველი ქუეყანა ზღვის პირისა“.

დასავლეთ საქართველოში გამარჯვებებით მაინცდამაინც ვერ ისახელა თავი მურვანმა. ამიტომ მან ისევ სამხრეთ და აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ხელახალი აკლებით მოისურვა შერყეული „უძლეველობის“ აღდგენა. იგი შეიჭრა სომხეთს, აქედან ქართლს, ქართლიდან რანს. სასტიკად აიკლო სამივე ქვეყანა: „ხოლო იქმნა მას ჟამსა განრყუნილ ქუეყანა ქართლისა, სომხითისა და რანისა და არღარა იპოვებოდა ნაშენები, არცა საჭამადი კაცთა და პირუტყუთა ყოვლადვე“; მერე მურვანმა წარმატებით დალაშქრა ოვსეთი და ხაზარეთი.

743 წელს არაბეთის სასახლის კარზე ბრძოლა შეიქნა ხალიფას ტახტისათვის. მურვანიც სასწრაფოდ გაეშურა ტახტის საძიებლად. და შეიქნა კიდეც იგი ხალიფა, მაგრამ ექვსი წლის ხელმწიფობის შემდეგ, ტახტის ახალმა მაძიებლებმა იგი ჩამოაგდეს, თავი გააგდებინეს, ენა ამოჭრეს და კატას გადააყლაპეს...

...ამასობაში სტეფანოზ ერისმთავრის უფროსი ძე, მირი, ანაკოფიასთან ბრძოლაში მიღებული ჭრილობისაგან დასნეულდა და გარდაიცვალა. მას ძე არ ჰყოლია, შვიდი ასული კი დარჩა. ტახტი დაიჭირა სტეფანოზის უმცროსმა ვაჟმა ა რ ჩ ი ლ მ ა. მან მირი მცხეთას დაკრძალა, ხოლო მამა ციხეგოჯიდან ქუთათისს გადაასვენა. ექვსი ძმისწული ქართველ ერისთავებს შერთო ცოლად, ხოლო მეშვიდე, გურანდუხტი, ბიზანტიის კეისარს მიათხოვა.

თორმეტი წელიწადი არჩილი ქუთათისში იჯდა და თავს სრულიად საქართველოს მეფედ ირწმუნებდა, მაგრამ ქართლი მაინც არაბეთის მოხარკე ქვეყანა იყო. ტფილისში არაბი ამირა იჯდა, ძლერი სარკინოზული ციხიონით.. ამირა ქართველი ერისმთავრებისაგან ხარკს ღებულობდა და ომის საჭიროებისას ქართული ლაშქარიც გაჰყავდა. არაბული ხარკი ორნაირი იყო: ჯიზიათი (საკომლო) და ხარაჯა (საადგილმამულო).


არჩილი ქართლში გადავიდა და არაბთაგან აოხრებული ქვეყნის აღმშენებლობას შეუდგა.

ერთხანად თითქოს მშვიდობიანობა დამკვიდრდა ქვეყნად.

არაბთა ამაოხრებელი ლაშქრობებიც შეწყდა. სარკინოზები თითქოს შეურიგდნენ, რომ მათი ფაქტიური ბატონობა საქართველოში ტფილისისა და მცხეთის ქართლს გარეთ არც ვრცელდებოდა. კახეთი, მთიანეთი, ეგრისი, აფხაზეთი და მესხეთ-ჯავახეთი არაბთა ბატონობას არცა გრძნობდნენ და არცა სცნობდნენ.

VIII საუკუნის 60-იანი წლების მახლობლად არაბთა მორიგი მარბიელი ლაშქრობა მოეწყო ამიერკავკასიაში. სომხეთის აოხრების შემდეგ, ქართლში შემოიჭრნენ ცეცხლით და რკინით. არჩილმა მშვიდობიანი შეთანხმების გზით სცადა ქვეყნის გადარჩენა. არაბთა სარდალმა ასიამმა ქართველი მეფე ჯერ ცბიერი ლიქნობით მიიღო, მერე ქრისტიანობის უარყოფა და მაჰმადიანობაზე გადასვლა მოსთხოვა. არჩილი ცივ უარზე დადგა. კვლავ ბევრს ეცადა არაბი მაგრამ ურყევ ქრისტიანსა და მხურვალე მამულიშვილს სული ოდნავადაც ვერ შეურყია. მაშინ დამპყრობელმა ქართველი მეფე შეიპყრო და თავი გააგდებინა.





აბო ტფილელი

66 წელს კახეთი აუჯანყდა არაბეთს. ამიერკავკასიის მაშინდელი მმართველი, სარკინოზი სარდალი ალ-ჰასანი აჯანყებულებს შეებრძოლა, მაგრამ დამარცხებული უკუიქცა და ხალიფა მანსურს ახალი ჯარები სთხოვა კახეთის ხელახალი დამორჩილებისათვის. მანსურმა ოცი-ათასიანი ახალი, რჩეული არმია გამოგზავნა ამირ-იბნ-ისმაილ-ალ-ჰარისის სარდლობით.

რამდენიმე თვე გაგრძელდა საშინელი ხოცვა და ჟლეტა. არაბებმა სიცრუვილი სისხლით მოიბანეს. ერთ დღეს 16 000 კახელი გაჟლიტეს.

დიდ დროს არ გაუვლია და ისევ საომრად აღიმართნენ ქართველები. ამჯერად აჯანყება მოედო მთელ აღმოსავლეთ საქართველოს, ქართლსა და კახეთს.

უმძიმესი ბრძოლები ისევ აჯანყებულთა უკანდახევით დამთავრდა (772 წ.).

ქართლ-კახეთის მორიგი აჯანყების მოწყობა და ფარული მოთავეობა ხალიფა მანსურმა, „ბოროტ კაცთა შესმენით“, ქართლის მაშინდელი ერისმთავარს, ნ ე რ ს ე ს დააბრალა.

ამიტომ ნერსე ბაღდადში დაიბარეს და საპყრობილეში ჩასვეს.

ალბათ ქართველ მამულიშვილს უცხო ციხეში სიკვდილიც არ აცდებოდა, მაგრამ სამი წლის შემდეგ ქართველებზე და სომხებზე გადამტერებული მანსური გარდაიცვალა და ხალიფას ტახტი დაიჭირა ახალმა მბრძანებელმა, მ ა ჰ დ ი-მ, რომელმაც ნერსე ტყვეობიდან გაათავისუფლა და სამშობლოშიც გამოუშვა.

მაგრამ ხალიფა მაჰდიმ ისევ „ბოროტ ქაცთაგან“ დაბეზღებით შეიტყო. რომ ქართველ ერისმთავარს მისი წყალობა არაფრად ჩაუგდია და შესაძლოა ახალი აჯანყებისთვისაც ამზადებდეს ხალხსო.

და ატყდა მსტოვართა გაბმული სრბოლა ტფილისსა და ბაღდადს შორის. წუთი წუთზე ტფილისის ამირას ბრძანება უნდა გაეცა ნერსეს ხელახალი შეპყრობის შესახებ.

ნერსემ დაასწრო, ოჯახი აფხაზეთში გადახვეწა, მთავარ ლეონ მეორის კარზე, ხოლო თვითონ სამასკაციანი ამალით ჩრდილოეთით, ხაზარეთისკენ გაუტია.

ხაზარეთიდან ნერსე გაეშურა აფხაზეთს, სადაც სავსებით მოხსნილი იყო სარკინოზული საშიშროება.

აფხაზეთში ნერსემ შეიტყო, რომ მის ნაცვლად ქართლის ერისმთავრად ხალიფას დაუნიშნავს სტეფანოზ, ძე გურგენ ერისთავისა. ხოლო ეს სტეფანოზ „მეოთხე“ ნერსეს დისწული იყო. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ბაღდადელი მბრძანებელი ისევ დათმობით პოლიტიკით აპირებდა ქართველთა შემორიგებას. ამიტომ ნერსემ ხალიფასთან შერიგებას კიდევაც მიაღწია და მისი ნებართვით მშვიდობიანად დაბრუნდა ტფილისში.

ნერსე ერისმთავარს თავის გრძელ ლტოლვა-გადახვეწის გზაზე (ბაღდადი-ტფილისი-ხაზარეთი-აფხაზეთი-ტფილისი) ქართულ-ქრისტიანულ ამალაში თან დაჰყვებოდა ერთი უცხოელი, ტომით არაბი, წარმოშობით ბაღდადელი, სახელით აბო.

აბოს ბაღდადში შეჰყვარებია ქართველები და მათი გმირი ერისმთავარი. გასაოცრად მოუხიბლავს იგი ქართველთა ვაჟკაცურ სიმტკიცეს, სიქველეს და შემმართებლობას.

აბო ადრიდანვე კარგად ყოფილა განსწავლული და გაწაფული არაბულ-ისლამურ ღვთისმეტყველებაში. კარგად იცოდა სხვადასხვა სამკურნალო მალამოების, ნელსაცხებელთა და სანელებელთა დამზადებაც.

ჰყავდა მშობლები, ძმები და დები, ნათესავები და ახლობლები, ჰქონდა ქონება, მაგრამ 17—18 წლის ყმაწვილმა ყველა და ყველაფერი დაივიწყა, ქართველებს მიეკედლა და სიკვდილამდე აღარ გაეყარა.

აბო ბაღდადიდან ტფილისში მოჰყვა ნერსეს.

ერთბაშად შეიყვარეს ქართველებმა უცხო ჭაბუკი.

სწრაფად შეისწავლა ქართული ენა, წერა-კითხვა და ზნეჩვეულებანი.

ღრმად შეისწავლა და სისხლხორცეულად შეიყვარა ქრისტიანობა.

გულით უარყო ისლამი, ფარულად შეუდგა ქრისტეს, ქრისტეს სახელზე ლოცულობდა, მარხულობდა, ლიტანიობდა.

მერე ხაზარეთში წაჰყვა ნერსეს.

იქვე, პირდაპირ ქრისტიანული წესით მოინათლა ქრისტიან მღვდელთაგან.

შემდგომ, აფხაზი მორწმუნეები დიდის პატივით შეხვდნენ არაბის გაქრისტიანებას.

ხოლო, როცა ნერსე თავისი ამალით აფხაზეთიდან ისევ ტფილისს უნდა გამგზავრებულიყო, აფხაზეთის მთავარმა ლეონ მეორემ ურჩია აბოს, ნუ წახვალო ქართლს, რადგან იქ სარკინოზები ბატონობენ და ვითუ თვისტომს სარწმუნოების შეცვლა არ გაპატიონ, ქრისტიანობა დაგაგდებინონ და ისევ მაჰმადის სჯულზე შემოგაქციონო. აბომ მტკიცედ უპასუხა, ოქრო-ვერცხლში რომ ჩამსვან, გინა ცემა-გვემით სული ამომხადონ, ქრისტიანობას მაინც აღარ ვუღალატებო და წამოვიდა.

იგი ნერსესთან ერთად მოვიდა ტფილისს. ამიერიდან იგი თავის ახალ სარწმუნოებას არამც თუ აღარ ფარავდა, არამედ აშკარად იღწოდა ვითარცა ჭეშმარიტი ქრისტიანი.

აიშალნენ არაბები — როგორ თუ არაბმა მაჰმადის სჯულს უღალატაო, და მისდგნენ აბოს. ზოგი აყვედრიდა, ზოგი არიგებდა, ზოგი აგინებდა და ზოგიც აშინებდა.

„ხოლო იგი განმტკიცებული იყო ქრისტეს მიმართ და არავისგან შეძრწუნდებოდა“.

ასე გაგრძელდა სამი წელიწადი.

მერე არაბებმა აბო შეიპყრეს და მსჯავრის მისაგებად ტფილისის ამირას მიჰგვარეს.

ამირამ საპყრობილეში შეაგდო აბო.

რამდენიმე დღის შემდეგ სტეფანოზ ერისმთავარმა გამოიყვანა და გაათავისუფლა.

მცირე დროც გამოხდა და ახალი ამირა დაადგინა ხალი-

ფამ ტფილისს. ახლა მასთან მიცვივდნენ მუსლიმი ფანატიკოსები და შეუდგნენ დასმენას: ამ ქალაქში ერთი ჭაბუკი დადის, წარმოშობით არაბი და მაჰმადიანად გაზრდილი, ჩვენი სჯული დაუტევებია, ქრისტიანობა მიუღია, ქალაქში უშიშრად დადის და ქრისტიანობას სხვა არაბებსაც უქადაგებსო. უნდა ბრძანო მისი შეპყრობა და წამება მანამ, სანამ ისევ მაჰმადის სჯულს არ დაიბრუნებს. ხოლო, თუ არ მოჰკლავ, ბევრი ჩვენიანიც მას მიჰბაძავს და ქრისტიანობას მიიღებსო.

ქრისტიანებმა კი აბოს შეატყობინეს, შესაპყრობად და საწამებლად გეძებენ და თავს უშველეო. მაშინ აბომ პასუხად ეს სთქვა:

„მე არა ხოლო ტანჯვად განმზადებულ ვარ ქრისტესთვის, არამედ სიკუდიდცა“.

ამირასაგან გამოგზავნილმა არაბებმა აბო შეიპყრეს და წაიყვანეს.

ამირამ უთხრა: რა არის, რომ ასეთი რამ მოვისმინე შენს შესახებ? ტომით არაბს მაჰმადის სჯული მიგიტოვებია და ქრისტიანად მოქცეულხარ. ახლავე მოემზადე და ისევ იმ სჯულით ილოცე, რომლითაც მშობლებს გაუზრდიხარო.

მართალია, არაბი ვარ — უპასუხებდა აბო — მაჰმადის სჯულსაც კარგად ვიცნობდი, მაგრამ მაშინ უმეცარი ვიყავი, ხოლო შემდგომ ქრისტეს შემწეობით თვალი ამეხილა, ყალბი სარწმუნოება მაჰმადიანობისა უარვყავი და ჭეშმარიტი ქრისტეს სჯული მივიღეო.

ოღონდ მაგ სიგიჟეს თავი დაანებე და ოქრო-ვერცხლით აგავსებო, — არ ეშვებოდა ამირა.

ოქრო და ვერცხლი შენი თავისვე წასაწყმედად შეინახეო — მშვიდად განაგრძნობდა აბო — ხოლო მე კაცთაგან ბოძებულ პატივს არ ვეძებ, მე ქრისტესმიერი პატივიც მეყოფაო.

ამირას მოთმინების ძაფი გაუწყდა.

და მძიმე ჯაჭვებით შებორკილი აბო საპყრობილეში ჩააგდეს (785 წლის 27 დეკემბერს).

აბომ მთელი თავისი ავლადიდება გაყიდა და საპყრობილეში მყოფ მშიერ, ნაკლულევან და სხეულგანრღვეულ პატიმრებს დაურიგა.

დღე და ღამე ლოცულობდა და მარხულობდა იგი.

მოსვენებას არ აძლევდნენ მოგვი-მსტოვრები: „შვილო, ნუ განიწირავ თავსა, ნუცა სიჭაბუკესა შენსა განჰვაჭრი ქრისტიანედ და ნუცა ძმათა და ნათესავთა შენთა განეშორები, რაითა არა შეამთხვიო ძვირი თავსა შენსა და შეგვაწუხნე ჩუენ ყოველნი“.

რას გიშველისო იესო ქრისტე, ან ვინ დაგიხსნის ჩვენს ხელთაგან, როცა შენთვის, თუ ჭკუას მოეგები, მზადა გვაქვს ცეცხლი და სატანჯველიო.

აბოს თითქოს არც ესმოდა მათი. ლოცვას განაგრძობდა უღარღილოდ (უხმოდ), გონების შიგნით, ხოლო როცა საშველი აღარ მისცეს, უთხრა მათ:

ნურარას მეტყვით, რამეთუ არარა მესმის ვითარცა ყრუსა და არცრაის თქმა შემიძლია ვითარცა მუნჯსა; „განბეშორენით მე, უკეთურნო, და გამოვიძინე (გამოვიძიე) მე მცნებანი ღმრთისა ჩემისანი!“

ისინიც მოშორდნენ, შერცხვენილნი და გაწბილებულნი.

მეცხრე დღეს აბომ გამოუცხადა თანაპყრობილებს:

„ხვალე განსვლაი არს ჩემი ხორცთაგან და მისვლაი უფლისა და ჩემისა და ღმრთისა იესუ ქრისტეს თანა“.

უკანასკნელი რაც დარჩენოდა — ტანსაცმელი — განიძარცვა, გააყიდვინა და მიღებული გროშებით ქალაქის ეკლესიებში მისი სულის მოსახსენებლად სანთელთა და საკმეველთა ანთება ითხოვა.

თვითონ ორი დიდი კერეონი აინთო ორთავ ხელში და მთელი ღამე გაათენა ფეხზე მდგომარემ, მლოცველმა, ქედზე და ხელ-ფეხზე რკინის ჯაჭვებით დატვირთულმა.

გათენდა აბოს პატიმრობიდან მეათე დღე, 786 წლის 5 იანვარი, დღე პარასკევი, დღე ნათლიღებისა.

აღტაცებული იყო აბო, სწორედ ეს დღე რომ იყო მისი „ხორციდან განსვლის“ დღე.

წყალი მოიღო, პირი დაიბანა, ნელსაცხებელი წაისვა თავზე.

ზიარება მოითხოვა და მოჰგვარეს პური და ზედაშე, ანუ „ხორცი და სისხლი ქრისტესი“.

უკვე სავსებით მზად იყო სული მისი სხეულიდან განსვლად, ხოლო სხეული, შიშისაგან განძარცული — ტანჯვად და გვემად.

მოვიდნენ შეიარაღებული სარკინოზები და წაიყვანეს.

მიაბიჯებდა აბო ბორკილებით დამძიმებული.

მიდიოდა და ეგონა, ცალ-ცალკე მიდიოდნენ მისი სული და მისი სხეული.

„მიდიოდა, ვითარცა ვინ მოგზაურ ექმნის მკუდარსა, ეგრე ხედვიდა თვისსა მას გუამსა“.

აბოს სული წინასწარ ჰხედავდა ერთ დროს მის სამკვიდრებელს — აბოს გვამს.

აბოს სული მიაცილებდა აბოს გვამსა ნაგვემსა.

და მიიყვანეს ამირას კარზე.

ჯვარი გარდასახა მუსლიმურ სასახლეს აბომ და „თვითცა დაიბეჭდა ჯუარი“.

წარუდგინეს ამირას.

„რაი არს, ჭაბუკო, რაი განიზრახე თავისა შენისაი?“ — დაიწყო ამირამ.

„მე განვიზრახე და ქრისტიანი ვარ!“ — გზნებით თქვა აბომ.

„არა დაგიტევებიეს სიცოფე იგი და უგუნურებაი შენი?“

„უმეცრებასა და უგუნურებაში რომ ვყოფილიყავ, ქრისტედ შედგომის ღირსიც ვერ გავხდებოდი“.

„არა გიცნობიესა, რამეთუ სიტყვანი ეგე შენნი მომატყუებელ სიკუდილისა გექმნებიან შენ?“

„ვითარცა კედელსა მაგას, რომელსა მიყრდნობილ ხარ, ეგრე არა მესმიან ცუდნი ეგე სიტყუანი შენნი, რამეთუ გონებაი ჩემი ქრისტეის თანა არს ზეცას!“

„რაკი ეგოდენი სიტკბოებაი გაჭუს ქრისტეს შენისაგან, რომლითა სიკუდიდცა არა გეწყალის თავი შენი?“

„უკუეთუ გნებავს ცნობად სიტკბოებაი მისი, შენცა გრწმენინ ქრისტე და ნათელ იღე მისა მიმართ და მაშინღა ღირს იქმნე ცნობად სიტკბოებისა მისისა!“.

რისხვამ აღავსო სარკინოზის უგლიმი გული.

მსახურთ უბრძანა, წაიყვანეთ და თავი გაგდებინეთ სასწრაფოდო.

ორმოცი მოწამის სახელობის ეკლესიის ეზოში მიიყვანეს და ბორკილები ახსნეს.

მკერდი მოიშიშვლა აბომ.

მახვილები გაიშიშვლეს სარკინოზებმა.

სამჯერ ჯვარი გადაიბეჭდა აბომ.

ლოცვა აღავლინა.

ხელები ჯვარსახედ დაიწყო ზურგზე.

სახეზე უსაზღვრო სიხარულით აღსავსე ღიმილი გადაიფინა.

მახვილი აღმართა სარკინოზმა.

გულუძვრელად დაიდრიკა აბომ კისერი.

სამგზის იელვა მახვილმა.

სამგზისვე თვალშეუძვრელად და გულმტკიცედ იდგა აბო, ვითარცა ქანდაკი.

(სამივე მოქნევა თურმე გამოცდა ყოფილა — იქნებ შეშინდეს და ქრისტე უარჰყოსო).

მეოთხედ კი დაჰკრეს.

თავმოკვეთილი დაეცა აბო, ოდესღაც სარკინოზი, შემდგომად ქრისტიანი, სულით და გულით ქართველი.

ჯალათებმა ამირას ამცნეს, რომ აბო უკვე მკვდარი იყო. თან ნება ითხოვეს, ცეცხლზე დავწვავთო დასჯილის გვამს, რადგან ქრისტიანებმა ქრისტესთვის წამებულის ძვლების, სამოსის, თმებისა და სხვათა ასონასხამთა გაღმერთება იციან, ყველაფერს მისეულს ქრისტიანული სასწაულებისთვის იყენებენ, ხალხს ატყუებენ და ქრისტეს სჯულზე აყენებენო.

როგორც გსურდეთ ისე მოიქეცითო, მძიმედ თქვა ამირამ.

მაშინ სარკინოზებმა აბოს გვამი ურემზე დასდეს. მკვლელობის ადგილიდან ყველაფერი გულდასმით მობოჭეს. წამებულის სისხლით გაჯერებული მიწაც კი მოჰკვეთეს და ყველაფერი გვამთან შეაქუჩეს ურემზე.

მეტეხის სასაფლაოზე გაიყვანეს. მტკვრის თავზე, კლდის პირზე დაასვენეს. ზედ შეშისა და თივის ზვინი დადგეს.

ნავთი გადაასხეს და ცეცხლი წაუკიდეს.

ასე დაიწვა გვემული გვამი, ერთჟამს წმიდა აბოს სულის სამკვიდრებელი.

ძვლები ცხვრის ტყავში გამოკერეს და მეტეხის ხიდთან მტკვარში ჩაჰყარეს.

. . . .

მარტვილობა აბო ტფილელისა აღწერა შესანიშნავმა ქართველმა მწერალმა და საეკლესიო მოღვაწემ იოანე საბანისძემ.

მაგრამ ეს არ იყო უბრალო „ცხორება“.

აბო ტფილელის წამება იოანე საბანისძის დიდი იდეოლოგიური მანიფესტი იყო იმდროინდელი ქართველობისათვის, მაჰმადიანურ-არაბული სამყაროს მომძლავრების ხანაში. იგი ქრისტიანობას წარმოადგენდა როგორც ეროვნული თვითმყოფობის საფუძველს. აბო ტფილელი ბრწყინვალე მაგალითი იყო ქრისტიანობისთვის თავგანწირვისა: მსოფლიოს მპყრობელთა წარმომადგენელმა ჭაბუკმა აბომ მშობლიური არაბულ-ისლამური სამყარო უარყო და ქართულ-ქრისტიანულისთვის გასწირა სიცოცხლე.

იგი დიდი გამხნევება იყო მათთვის, ვინც არაბთა მომძლავრებისაგან „შიშითა განილევიან და ირყევიან, ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა“.

იგი მძლავრად მოუწოდებდა, კვლავ ქრისტიანობას დაბრუნებოდნენ ისინი, ვინც სარკინოზებმა უკვე „შეაცთუნეს და გარდადრიკნეს გზისაგან სიმართლისა... რომელნიმე მძლავრებით, რომელნიმე შეტყუვილით, რომელნიმე სიყრმესა შინა უმეცრებით, რომელნიმე მზაკვრებით“.


. . . . .

დიდხანს, ღამღამობით, ვიღაცის უხილავი ხელი უზარმაზარ კერეონს ანთებდა აბოს წამების ადგილზე.

ხმა დავარდა: ზეციური ვარსკვლავი ჩამოდის წამებულის ნაფერფლარზეო.

აღტაცებული შესცქეროდნენ ქრისტიანები მეტეხის ბორცვზე მოკიაფე „ზეციურ ვარსკვლავს“,

ძრწოლამოსილი უცქერდნენ მუსლიმ-სარკინოზ-აგარიანნი...



გრიგოლ ხანძთელი

ერვე საუკუნის ბოლოს საქართველოში ჩამოყალიბებული იყო ოთხი დამოუკიდებელი სახელმწიფო — ქართლი, კახეთი, ჰერეთი და აფხაზეთი.

786 წელს ქართლის მთავარი შეიქნა ა შ ო ტ I ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი.

და იგივე შეიქნა საქართველოს ხელახალი გაერთიანების მედროშე.

აშოტ ბაგრატიონის უპირველესი საზრუნავი ქართლის მიწიდან არაბთა განდევნა იყო. და აი, 810 წლის მახლობლად, მან ტფილისიდან განდევნა არაბნი. ასე გათავისუფლდა საქართველოს წმიდა სატახტო საუკუნე-ნახევრის უცხოური ბატონობისაგან. მთელს წინააზიაში გაუვარდა სახელი სარკინოზთა მძლეველს, და „განადიდა უფალმან მეფობა აშოტისი“.

ქართლის სრული შემომტკიცების შემდგომ ალბანეთისკენ გაიწია ბაგრატიონმა. იქ, ბარდავში, აჯანყება მძვინვარებდა არაბთა წინააღმდეგ. ქართველები ალბანელებს მიეშველნენ. არაბები დამარცხდნენ. ბარდავი ქართლს შემოუერთდა.

სამი წლის მანძილზე აშოტის „სახლად იყო ტფილისი და ბარდავი“.

მაგრამ 813 წელს ბაღდადში ხალიფას ტახტი დაიპყრო ენერგიულმა მ ა მ უ ნ მ ა, და „განძლიერდა ხელმწიფება აგარიანთა და იწყეს ძიება აშოტისა და ვერ უძლო წინააღმდგომად მათდა აშოტ“.

ტფილისი ისევ არაბებმა დაიჭირეს.

თითქოს გრიგოლ კახთა მთავარიც ამას უცდიდა — ქართლში შეიჭრა და ქსნის ხეობა დაიჭირა.

აშოტ ბაგრატიონი იძულებული გახდა შუაგულ ქართლს გაშორებოდა. მესხეთისკენ მიიღტვოდა სეფე-წულებით და მცირე ამალით. ფარავნის ტბასთან ჩაიმუხლეს, პური ჭამეს და თვალი წაატყუეს. ყიჟინამ და ცხენთა თქარათქურმა გამოაღვიძა ლტოლვილნი. სარკინოზთა მხედრობა მოჰქროდა. აშოტმა თავისიანები წამოჰყარა და მტერს შეება. არაბები შედრკნენ მცირერიცხოვანი მოპირდაპირის თავზეხელაღებულობით შეცბუნებულნი და უკუიქცნენ. კარგა ხანს სდევს ქართველებმა.

აშოტი შავშეთ-კლარჯეთში ჩავიდა.

და, აქედანვე დაიწყო კიდევ ერთი დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს, ტაო-კლარჯეთის სამთავროს ისტორია.

ტაო-კლარჯეთის სატახტო ქალაქად გამოცხადდა არტანუჯი, სამშობლო ბაგრატიონებისა. არტანუჯი, ვახტანგ გორგასალის ბრძანებით აგებული ციხესიმაგრე, მურვან ყრუსაგან დანგრეული დახვდა აშოტს. ხელახლა აღაშენა აშოტმა ციხე-ქალაქიც და ახალი სამეფო სასახლეც თავის სამეუფო სამკვიდრებლად.

აქ, უძველესი კულტურის ქართულ მხარეში, შეუდგა აშოტ ბაგრატიონი ახალ ძალთა შეკრებას საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლის გასაახლებლად.

უპირველესად ბიზანტიასთან გააბა კავშირი აშოტ არტანუჯელმა. ლეონ V-მ, რომელიც იმავე 813 წელს ავიდა ბიზანტიის იმპერატორის ტახტზე, სიხარულით მიიღო არაბთა დაუძინებელი მტრის სამოკავშირეო წინადადება და უაღრესი თავაზისა და პატივის ნიშნად ქართველ ხელმწიფეს უბოძა ტიტული კურაპალატისა...

...და მასვე აშოტ კურაპალატის ჟამს კლარჯეთს მოღვაწეობდა კაცი ერთი, „განსრულებული სიბრძნითა“, „ზეცისა კაცი და ქუეყანისა ანგელოზი“.

სახელი მისი — გრიგოლ.

დაიბადა 759 წელს.

ნერსე ერისთავის ცოლისძმის შვილი იყო.

ნერსეს სასახლის კარზე იზრდებოდა. ნერსეს მეუღლე თვითონ უძღვებოდა ძმისწულის სწავლა-აღზრდას.

გასაოცარ ნიჭსა და გულისხმიერებას იჩენდა ყმაწვილი.

უმოკლეს დროში უნაკლოდ, ზეპირად, ისწავლა ბიბლიის ყველა წიგნი, ორივე „აღთქმა“ — ძველიც, ახალიც.

ყველა მაშინდელ ცნობილ ენაზე კითხულობდა, წერდა, მსჯელობდა.

უბრწყინვალესად შეისწავლა თეოლოგიაც, თეოსოფიაც, ფილოსოფიაც.

თვითონ იყო უბრძენესი სიბრძნისმეტყველი და მწერალი სიტყვა-მკაზმავი.

„სიტყვა მისი იყო შეზავებულ მარილითა მადლისათა“.

სიჩჩოითგან (სინორჩიდან) არ უგემნია არც ერთი ლუკმა ხორცისა, არც ერთი წვეთი ღვინისა.

იყო გამხდარი, ახოვანი, დიდტანოვანი, მძლავრნაკვთიანი, სახით სახიერი, მშვიდი და ზეციური სათნოებით სხივდაფენილი.

სრულიად ახალგაზრდა მღვდლად ხელდასასხმელად წარადგინეს, ხოლო იგი უარზე დადგა: „პატივსა ვხედავ და პატიჟისვან მეშინისო“ — აიჩემა, — მაგრამ ვაივაგლახით მაინც დაიყოლიეს.

მაგრამ როცა ეპისკოპოსად კურთხევა დაუპირეს, ქართლიდან სულ წავიდა, იდუმალ.

აიყოლია სამი ეპისკოპოსი: ს ა ბ ა, მისი დეიდაშვილი, იშხანის აღმდგენელი და ნეძვის აღმშენებელი; თ ე ო დ ო რ ე; და ქ რ ი ს ტ ე ფ ო რ ე, კვირიკეთის აღმშენებელი.

ქართლიდან წავიდნენ მესხეთს, მივიდნენ კლარჯეთს, ო პ ი ზ ი ს სავანე'ში. ორი წელი იმოღვაწეს იქაურ ეპისკოპოსთან, გიორგისთან.

მერე წავიდნენ შავშეთში, ხ ა ნ ძ თ ა ს.

ძალიან მოეწონათ ხანძთის შემოგარენი. და შეუდგნენ დიდ სატაძრო მშენებლობას. ბევრი მოდიოდა გრიგოლთან სამუშაოდ.

და დიდ კულტურულ წალკოტად იქცა ერთ დროს უკაცრიელი ხანძთა..

მახლობლად აშოტ ბაგრატიონის ერთი ქვეშევრდომი ცხოვრობდა, წარჩინებული აზნაური, გ ა ბ რ ი ე ლ დ ა ფ ა ნ-

ჩ უ ლ ი, კაცი „შემკული ყოვლითა სისრულითა და სიმდიდრითა, სიბრძნითა ჰასაკითა და ახოვნებითა“. გაბრიელი და მისი მეუღლე მარიამი დიდის გულისყურით ადევნებდნენ თვალს გრიგოლის საქმიანობას. ერთ დღეს სახლშიც მიიწვიეს, ხელები დაუკოცნეს და შვილები (ოთხი ძე: პატრიკ, გუარამ, არშუშა, აბულასათ) დაალოცვინეს.

მაშინ მასპინძელმა საუბარში ჩაურთო: ჩვენთან ხორციელი სიკეთეა, თქვენთან კი სულიერი სიკეთეო, და კარგი იქნება თუ ერთმანეთს შევაზავებთო.

და, „შეაზავეს“ კიდეც: გაბრიელმა გრიგოლს მისცა სატაძრო-სამშენებლო მასალა, იარაღი და მუშა-ხელი. სამაგიეროდ ამიერიდან გაბრიელ დაფანჩულისა და მისი შთამომავლობის სახელი ყოველ წირვა-ლოცვისას იხსენიებოდა ხანძთის ლავრაში. აქვე უნდა ყოფილიყო მათი სამარხი-საძვალე.

იმ პირველი შეხვედრისას გაბრიელმა გროგოლს შესთავაზა, ამ ჩემ სამფლობელოში ადგილი შეარჩიე და დედათა მონასტერიც ააშენეო. გრიგოლმაც დიდი სიხარულით მოიხილა და ამოარჩია ადგილი, რომელსაც ერქვა გ უ ნ ა თ ლ ე ს. და აქ, ისევ გაბრიელ დაფანჩულის თავგამოდებული ხელშეწყობით, გრიგოლმა აღაშენა დედათა მონასტერი.

და ასე — ორი დიდებული ქმნილება გასცქეროდა ერთმანეთს: ხანძთის ვანი და გუნათლის ვანი. ორივე ტაძარი დიდი აღმშენებლობის ნიშანსვეტად იქცა სამხრეთ-ქართულ „ქუეყნებში“.

უამრავი საეკლესიო მოღვაწე და მშენებელი მოაწყდა ტაოს, კლარჯეთს, ნიგალს, შავშეთს, არტაანს.

აყვავებულ კულტურულ სამყაროდ იქცეოდა არაბთაგან ნაოხარი ქვეყანა.

გაბრიელ დაფანჩულმა არტანუჯის სასახლეში მეფე აშოტ კურაპალატს დაწვრილებით აუწყა გრიგოლ ხანძთელის ღვაწლმოსილების შესახებ.

სიხარულით აღივსო აშოტ მეფე.

და მაშინვე ეპისტოლე აახლა გრიგოლს.

მეფე კრძალვით იწვევდა სასახლეში წმიდა სამღვდელოს.

მივიდა გრიგოლი.

დიდის პატივით მიეგებნენ აშოტ და ძენი მისნი: ადარნასე, ბაგრატ და გუარამ.

ტკბილად მოიკითხეს ერთურთი. დასხდნენ. საქმიან საუბარს შეუყვნენ.

მეფეს ხანძთა არ ენახა და მოციქულისგან მოისმინა, რომ იქ „კეთილ არს უდაბნო იგი მზისა მცხინვარებითა და ჰაერისა შეზავებითა ყოვლით-კერძო. და აქუს მას წყაროი მდიდრად გამომდინარეი, შუენიერი, გრილი და ჰამოი, და მაღნართა სიმრავლეი ურიცხვი და მცირედი რაიმე სხუაიცა ნუგეშინის-საცემელი ძალისაებრ მის უდაბნოისა, ხოლო სათესავი ყანაი და სათიბელი ქუეყანაი რაითურთით არა არს, არცა იქმნების ღირღოლოვანთა მათ ფიცხელთა მწუერვალთა მათ ღადოთაისა“.

როგორც კი ეს ისმინა, მეფემ ხანძთას მაშინვე აგარაკად შესწირა მთელი შატბერდი, თავისი ვრცელი შემოგარენით.

ასევე აშოტის სამივე ვაჟმა, თავიანთ მხრივ, გრიგოლის მონასტრებს უხვად უბოძეს სამონასტრო ცხოვრებისათვის საჭირო ნივთი და ყოველგვარი სახმარ-საქონელი.

და იღვწოდა შეუსვენებლივ გრიგოლ ხანძთელი.

მოდიოდნენ და მხარს უმაგრებდნენ მორწმუნენი, მოღვაწენი და მაშენებელნი. მოდიოდნენ ბერები, მოდიოდნენ მონაზონნი. მოდიოდნენ „უდაბნოთა ქალაქმყოფელნი“.

სამცხიდან ჩამოვიდა და მერეს დამკვიდრდა „სანატრელი და სასწაულთა მიერ შემკული დედაი ფებრონია“.

„ერთ-ზრახვა და მეგობარ იყვნეს“ ფებრონია და გრიგოლ.

ქართლიდან ჩამოვიდა ეპისკოპოსი ეპიფანე და მღვდელი მატოი.

სამცხიდან მოვიდა ზენონ, რომელიც ადრე ფებრონიას იცნობდა და ახლაც მასთან მოვიდა. აქვე, მერეში, ფებრონიამ ზენონი წარუდგინა გრიგოლს. ზენონი ახალგაზრდა იყო. მშობლები დახოცოდა და ერთადერთი დაი დარჩენოდა. ვიღაც შავშეთელმა თურმე ნამუსი აჰხადა ქალს. ზენონი ცხენზე შემჯდარა და მოსაკლავად გამოჰკიდებია მისი დის გამბახებელს. სანამ დაეწეოდა, გზაზე უფიქრია, — თუ კაცი მოვკალი, სული ხომ უნდა წამიწყდესო, ხოლო თუ უკან ხელცარიელი დავბრუნდი, სიცილს დამაყრიანო, და ამიტომ ად-

რიდანვე ნაოცნებარის განხორციელება გადუწყვეტია: სამონასტრო ბერულ ცხოვრებას შესდგომია.

გრიგოლმა ხანძთას დაამკვიდრა ზენონი. იმანაც ღრმა მოხუცებულობამდე იცოცხლა და იღვაწა ხანძთაში.

და აშენებდა ქვეყანას გრიგოლ ხანძთელი, უდიდესი „მეუდაბნოე ქალაქმყოფელი“.

აშენებდა აშოტ კურაპალატი. „მან სოფლები ზოგი იყიდა საფასოითა და ზოგი ოხერი აღაშენა, და განამრავლა სოფელი აშოტ კურაპალატმან ქუეყანათა მათ შინა“.

სამონასტრო და საერო ახალშენებით ივსებოდა სამხრეთი საქართველო.

...და იდგა 815 წელი.

გრიგოლ ხანძთელი სამონასტრო მშენებლობით იყო გართული.

აშოტ ბაგრატიონ კურაპალატი კი ლაშქარს მიუძღოდა აღმოსავლეთისაკენ.

ხელსაყრელი დრო დამდგარიყო: ტფილისელი ამირა, ხატიმ-იბნ-ხარსამი აჯანყებოდა ხალიფას. ალბანეთშიც დიდი აჯანყება მძვინვარებდა ბაბეკის მეთაურობით.

დაიწყო და ხუთი წელიწადი იომა აშოტმა. ხუთი წელი არ უმტყუნია ომის ღმერთს მისთვის. და „დაიპყრო მრავალი ქუეყანანი“.

818 წელს კახეთის მთავარს შეუტია, გრიგოლ ქორეპისკოპოსს, რომელმაც ადრე, აშოტის უკუქცევისას, დაიპყრო ქსნის ხეობა. ამ ლაშქრობისას აშოტს მისი სიძე ახლდა, დასავლეთ საქართველოს მეფე, თეოდოსი პირველი. გრიგოლსაც გაუჩნდა მოკავშირე — ტფილისის ამირა.

ქსანზე გამართული სასტიკი ბრძოლა აშოტის გამარჯვებით დამთავრდა. ქსნის ხეობა მას დაუბრუნდა. გრიგოლი არაგვს გადაცდა. ამირა ისევ ტფილისის ციხეში ჩაიკეტა და ჩაიკუმშა.

აშოტმა ხელახლა დაიმორჩილა სრულიად ქართლი. ხელახლა მივიდა ბარდავამდის. „კუალად ეუფლა ქუეყანათა ვიდრე კარადმდე ბარდავის ქალაქისა, და მრავალგზის მოსცა ღმერთმან აშოტ კურაპალატს ძლევა დიდი და დიდება ბრძოლათა შინა“.

ძლევით დამშვენებული დაბრუნდა აშოტ კურაპალატი ბარტანუჯს.

აღტაცებული იყო.

სიხარული სწყუროდა.

სიყვარულიც სწყუროდა ნაომარ მეფეს.

კარგა ხანია, ერთი ქალი უყვარდა.

დედოფლისგან ნამალევად იპარავდა სიყვარულს.

არანაკლებ უფრთხოდა ეკლესიას, მით უფრო „მამაი გრიგოლს“.

მაგრამ „ეშმაკი ტრფიალებისაი ფრიად აზრზენდა“ გვირგვინოსანს.

ახლა გაბედა და სასახლეში მიიყვანა ის ქალი. პირისფარეშად და მსახურად გვყავდესო, უთხრა მეუღლე-დედოფალს.

გრიგოლმაც შეიტყო „საქმეი იგი სულისა განმხრწნელი და შეწუხდა ფრიად“.

პირადად ეახლა ხელმწიფეს, პირისპირ ამხილა მისი თავშეუკავებლობა და „იმ ქალის“ დაუყოვნებლივი განტევება მოითხოვა.

ბრძოლაში გულუძვრელი მეფე შეაკრთო მყუდრო ფიჩოსანის ასეთმა ანაზდაითმა შემოტევამ.

გაოგნება დასძლია და თავაზით აღუთქვა განტევება სატრფო-ქალისა.

გრიგოლი წავიდა.

მაგრამ მეფემ თავისი სიტყვა არ შეასრულა.

ერთხელ აშოტი შატბერდში წავიდა და გრიგოლმაც „პოვა ჟამი მარჯუეი“. მიმწუხრის ჟამს არტანუჯის სასახლეს მიუახლოვდა, ბერთა და მონაზონთა ამალით გარშემორტყმული.

თვითონ შორიახლო ჩამოჯდა და „იმ ქალს“ ციხეში ერთი ბერი აუგზავნა, იქნებ ჭამადი რაიმე გამოგვიტანო შენის ხელითვეო.

ქალს გაეხარდა ასეთი ღვთაებრივი სტუმრის წვევა და ნაირ-ნაირი საჭმელები გაურბენინა გრიგოლსა და მის ამალას.

ხვალ დილას კიდევ დაგვხედეო, უბრძანა გრიგოლმა ქალს, ხოლო თვითონ ის ღამე იქვე გაათია, თავისიანებთან ერთად.

მეორე დილით ქალი ორი მხევალის თანხლებით გამოცხადდა.

იგი უფრო აღტაცებული და დამშვენებული ჩანდა.

ახლოს მივიდა — ჯვარის გარდასახვას ელოდა წმინდანისაგან.

მაგრამ გრიგოლმა არ გარდასახა ჯვარი; მოშორებით ჩამოჯექიო, — ანიშნა.

ქალი შიშრეულად დაჯდა.

მერე ბერებსა და მონაზვნებს წამუყო მოძღვარმა მკაცრად და ისინიც კრძალვით განაპირდნენ.

გრიგოლმა ქალს განმარისხად დაადგა თვალი და უთხრა:

„ჰოი, შენ საწყალობელო! რაისათვის ცოლ-ქმართა შორის შთაჭრილხარ წარსაწყმედელად შენდა საუკუნოდ ბოროტითა მით ცოდვითა, რომლითა დამონებულ ხარ ეშმაკისა და ცუდითა რაითმე მიზეზითა საფრთხე ქმნულ ხარ დიდისა ხელმწიფისადა?“

ქალმა ტირილი მორთო, და ამბობდა ცრემლის ფრქვევით:

„წმინდაო ღმრთისაო, მე თავსა ჩემსა ზედა ვერ თავისუფალი ვარ, ვინაითგან გარდარეული სიყუარული აქუს ჩემდა მომართ კურაპალატსა, და არაი უწყი, თუ რაი ვყო, რამეთუ ბრძანებამან სიტყვათა შენთამან შემაძრწუნა ფრიად“.

გული მოილბო გრიგოლმა და უთხრა ტკბილად: ჩემს სიტყვას დაემორჩილე, შვილო, ქრისტესთან გიშუამდგომლებ და ის გაპატიებსო ბრალთა შენთა.

ქალს სხვა რაღა ეთქმოდა და თქვა:

„წმინდაო მამაო, ხელთა შენთა ვარ, უმჯობესი სულისა ჩემისაი იზრუნე“.

გრიგოლმა ქალს ჯვარი გარდასახა, დალოცა, ფერხსაცმელ ხამლთაგან კანაფის საბელნი გამოიძრო, ერთმანეთს გადაანასკვა და წელზე შეარტყა.

ამიერიდან ქალი ესე, „გარდარეული“ ტრფიალებისთვის გაჩენილი, ამქვეყნიური სამყაროდან გადიოდა და მონაზვნურ, „სულის მარგებელ“ ცხოვრებაში შედიოდა. გრიგოლმა იგი მერეს წაიყვანა და დედათა მონასტერში ფებრონიას ჩააბარა. თან მკაცრად გააფრთხილა ფებრონია, ჯეროვნად მოაქციე, ჯეროვნად იზრუნე და განსაკუთრებით მაშინ

გამოიჩინე სიმტკიცე, როცა ქალს კურაპალატი მოაკითხავს საძებრადო.

უამისოდაც, ფებრონიამ ძალიან კარგად იცოდა როგორც უნდა მოქცეულიყო.

...აშოტი არტანუჯს დაბრუნდა.

ქალი აღარ დახვდა.

მაშინვე მიხვდა, რაც მომხდარიყო.

უსაზღვროდ შეიურვა მეფე. ერთხანს ცდილობდა განეგდო ცეცხლად მოდებული ვნებიერი გულისთქმა, მაგრამ ვერ გაუძლო. „გარდარეულმა სიყვარულმა“ გადაავიწყა ვაჟკაცური თავშეკავებაც, ხელმწიფური პატივმოყვარეობაც და საქვეყნო მოვალეობაც.

და ადგა და წავიდა მერეს. დედათა მონასტერს მიადგა.

ფებრონიას კი დროზე გადაემალა — ის ქალი.

აშოტი ეკლესიაში შევიდა და ილოცა (ვითომ ამისთვის მოსულიყოს!).

ფებრონიაც მოვიდა და დალოცა მეფე.

მეფემ მისი დალოცვაც ბოლომდე დაითმინა და ჰკითხა:

„უწყი-ა, დედაო, რაისათვის მოვედ აწ?“

„უფალმან იცის, რაისათვის ჰბრძანე აქა“, — მშვიდად მიუგო მონაზონთ-მოძღვარმა.

მეფემ ბზარშერეული ხმით უთხრა:

„ამის მიზეზისათვის იქმნა მოსვლაი ჩემი, რამეთუ სახლისა ჩუენისა მეჯურჭლე ქალი იყო და ყოველი მონაგები ჩუენი ხელთა მისთა იყო, და მამა გრიგოლს აქა წამოუყვანებია და ფრიადი დაგუაკლდა საფასეთა ჩვენთაგანი. აწ უბრძანე, რომ ერთხელ ციხედ მოვიდეს და ყოველი მოგვითვალოს და კუალად თქუენთანვე მოვიდეს, ვითარცა უნდეს“.

ფებრონიამ მაშინვე წარბშერჭმით და მკვახედ მიუგო მეფეს:

„მიზეზებად მიზეზთა ცოდვისათა კაცთა თანა, რომელნი იქმან უშჯულოებასა!“

მეფე გაშრა.

მიხვდა, რომ „ხორციელად ძლიერსა ხელმწიფესა სულითა ძლიერთა კაცთა სძლეს“.

დიდხანს იდგა გაქვავებული და გაზაფრანებული. მერე ერთბაშად ამოიოხრა და თითქოს სიტყვაც გულთან ერთად აღმოახდინა:

„ნეტარ მას კაცსა, ვინ არღარა ცოცხალ არს!“

აღმოხდა, გამობრუნდა და წამოვიდა.

მეფე და მოძღვარი აღარასოდეს შეხვედრიან ერთიმეორეს.

იმ დღეებში გრიგოლ ხანძთელი თავისი დეიდაშვილის, საბა იშხნელისა და კიდევ ერთი რომელიღაც ბერის თანხლებით, გაეშურა „მეორედ იერუსალიმად“ — კონსტანტინოპოლს, იქაურ წმიდა ადგილთა მოსახილველად და მოსალოცავად.

ხოლო, ამიერკავკასიას არაბები შემოესივნენ ხალიდ იბნ იაზიდის სარდლობით. ჯერ სომხეთი ააოხრეს, მერე ჰერეთსა და ქართლს შემოადგნენ.

აშოტი ნიგალის ხევს იდგა მაშინ. სასწრაფოდ აღიკაზმა, ამხედრდა და აწვია ლაშქარი.

ვერ მიხვდა, რომ წვეულთაგან მოღალატენი და შინაგამცემნი მოიწვიენ — ვიღაც „ოროზ-მოროზის ძენი“.

აშოტი არტანუჯისკენ მოისწრაფოდა.

არ იცოდა, რომ ამალად მოსდევდნენ მოღალატენი. ნაწილი მტერსაც მოუძღოდა უეცარი თავდასხმისათვის.

მეფემ არტანუჯს მოატანა და მაშინღა მიხვდა ღალატს.

გვიანღა იყო. ხელშიშვლად შეხვდა გელიქაშად მოდევნებულ მტერს.

გამობრუნდა და ტაძარს მიაშურა. კვალში ჩაუდგნენ მკვლელები. ტაძარში შევარდა.

(ტაძარი ხომ ყველა ხალხისთვის, ყველა დროისთვის, წმიდათა წმიდაა, ხელშეუხებელია, ღვთისგან ხელდადებულია).

მაგრამ იქაც დაუხვდნენ შინაგამცემნი. ყოველის მხრიდან შემოესივნენ საკურთხეველზე ზურგით მიყრდნობილს. სწორედ ზურგიდან დასცა პირველად რომელიღაცამ. ჩაიჩოქა კურაპალატმა. სალტედ შეეკრნენ და დაუშინეს. ყელი გამოსჭრეს ძირს დაცემულს.

ხელმწიფის სისხლით განიბანა საკურთხეველი.

ხალხმა არ აპატია მოღალატეებს. ჭოროხის სათავემდე სდიეს. შეიპყრეს და ყველას ყელები დასჭრეს.

ასე დაიღუპა პირველი ბაგრატიონი ხელმწიფე, წრფელი და მტკიცე ქრისტიანი, ქრისტეს სახლთა მაშენებელი და ქართული სახელმწიფოებრიობის დიდი ჭირისუფალი.

ეს მოხდა 826 წლის 29 იანვარს.

არტანუჯს დაკრძალეს დიდის პატივით და სიმძიმილით.

...კონსტანტინოპოლიდან ბრუნდებოდა გრიგოლ ხანძთელი. ტაოს მოვიდა და იქ შეაგებეს აშოტ დიდი კურაპალატის სიკვდილის ამბავი.

უსაზღვროდ შესძრა მოძღვარის გული მირონცხებული ხელმწიფის ღალატიანმა აღსასრულმა. დიდხანს ლოცულობდა აღსრულებულის სულის სანათლოდ, და ბოლოს შესძახა, ცრემლდათხეულმა:

„ჰოი, მეფეო ჩემო, ძლიერო და დიდებულო, სიმტკიცეო ეკლესიათაო და ზღუდეო ქრისტიანეთაო, სადაითმე მოგელოდი, აღმოსავლით-მე ანუ დასავლით, ჩრდილოით-მე ანუ სამხრით? რამეთუ ყოველთა ზედა ნათესავთა მფლობელი იყავ, რომელიცა წყობით (ბრძოლით) ხელმწიფეთა დაიმორჩილებდი, საკვირველი ეგე დიდებული, ღმრთისმსახური ხელმწიფეი. აწ ვითარმე მიეცი ხელსა შეურაცხსა უშჯულოთა და უნდოთა კაცთასა, რომელნი იგი იუდაის მსგავსად შენ, უფლისა თვისისა მკვლელ იქმნეს მოსაკუდინებლად ჩუენ, გლახაკთა მლოცველთა შენთა, უკუნისამდე?“

არტანუჯის სასახლისაკენ გაეშურა გრიგოლ ხანძთელი.

აშოტის ოჯახი უნდა მოეხილა. დედოფლისთვის თანალმობა მიეგო. სამივე ძისთვის სამძიმარი ეთქვა.

...ტაო-კლარჯეთის სამეფო ტახტზე დაჯდა აშოტის შუათანა ვაჟი, ბაგრატ I კურაპალატი.

როცა გრიგოლ ხანძთელმა ბაგრატ აშოტის ძეს გამეფება მიულოცა და „ტკბილსასაუბროდ“ გვერდით დაისვა, ისიც მოაგონა, რომ მამამისმა აშოტ კურაპალატმა ხანძთის მონასტერს აგარაკად შატბერდი უბოძა.

ბაგრატ მეფემაც დიდის თავაზით დაადასტურა მამის ანდერძი.

ახლა შატბერდისა და მისი „ქუეყნის“ აღმშენებლობას შეუდგა გრიგოლ ხანძთელი.

სამონასტრო მშენებლობა ახალახალი ძალებით ფართოკდებოდა.

მრავალი სასულიერო მოღვაწე და „მეუდაბნოე ქალაქმყოფელი“ გაზარდეს გრიგოლ ხანძთელის სავანეებმა. ამთგან შემდგომში ყველაზე დიდნი შეიქნენ არსენ და ეფ-

რ ე მ, პირველი — ქართლის კათალიკოსი (მცხეთაში), მეორე — სამცხის ეპისკოპოსი (აწყურში).

უთვალავ სასწაულებს ახდენდა „მამაი გრიგოლ“.

მის დროს ერთჯერ კიდევ შეახსენეს მეფეს, რომ სასულიერო მეუფება საეროზე მაღლა დგასო.

ისე მოხდა, რომ გრიგოლ ხანძთელმა ბაგრატ მეფესთან საუბარში საბა იშხნელი ახსენა. ხელმწიფემ მაშინვე საბას წერილი მისწერა და სასახლეში მიიწვია. საბა არ მოვიდა. მეფე მიხვდა, „განუგებლად ვქმენიო“, და გრიგოლს სთხოვა, ახლა შენ მისწერეო „ვითარ წეს არსო“. თვითონაც ხელახლა დაწერა და ორივე ეპისტოლე ერთად გაგზავნა.

საბა მოვიდა.

მეფე პატივით მიეგება და უთხრა:

„ჯერ-არს ხელმწიფეთა მორჩილებაი, რაისთვის არა მოხუედ პირველსა წოდებასა, წმიდაო მამაო?“

საბამ უპასუხა:

„დიდებულო მეფეო, შენ ქუეყანისა ხელმწიფე ხარ, ხოლო ქრისტე ზეცისა და ქუეყანისა და ქუესკნელთაი. შენ წარმავალთა ამათ ჟამთა მეფე ხარ, ხოლო ქრისტე საუკუნოი მეუფეი და სრული ჰგიეს უცვალებელი, უჟამოი, დაუსაბამო, დაუსრულებელი მეუფეი ანგელოზთა და კაცთაი. და უფროის შენსა ჯერ-არს სმენაი სიტყუათა მისთაი, რომელმანცა ბრძანა, ვითარმედ: „ვერ-ვის ხელ-ეწაფების მონებაი ორთა უფალთაი“. არამედ აწ სიტყვითა ძმისა და მოძუღვრისა ჩუენისა გრიგოლისითა მოვედ წინაშე შენსა“.

ყველაფერი ნათლად იყო ნათქვამი.

...861 წელს, 5 ოქტომბერს, აღესრულა გრიგოლ ხანძთელი, 102 წლის ასაკში.

ხოლო 90 წლის შემდგომ მისი იშვიათი, წმინდა ცხოვრება და ღვაწლმოსილება შესაფერისად იშვიათი სიტყვახელოვნებით აღწერა გიორგი მერჩულემ.

ზეცად წავიდაო გრიგოლ ხანძთელის სული, — გაიძახოდნენ.

რეალური სწორედ ის იყო, რომ სწორედ ზეცად მიისწრაფოდნენ გრიგოლ ხანძთელის, მის წინაპართა და მიმდევართა უბრწყინვალესი ქმნილებანი: ოპიზა, ხანძთა, შატბერდი, მინძაძორი, წყაროსთავი, ბარეთელთა, მერე, დაბა, ჯმერკი, ბერთა, პარეხნი, დოლისყანა.



კონსტანტა კაბი

რაბთა წინააღმდეგ აჯანყება აჯანყებას მოსდევდა ამიერკავკასიაში. ტფილისში მჯდარი არაბი ამირაც, საჰაკ ისმაელის ძე, გადაუდგა ხალიფას, გადაუდგა და ამიერკავკასიაში აკრებილი ხარკის ძლევაც შეუწყვიტა ბაღდადს.

852 წელს ხალიფა მუთავაქილმა აჯანყებით ცეცხლმოდებულ ამიერკავკასიაში 30 000-იანი არმია გამოგზავნა. სარკინოზთა მხედრობას ამჯერად სათავეში ედგა ბუღა, „თურქი მონა“, უკიდურესად სასტიკი და კაცთმოძულე მხედართმთავარი.

ბუღა თურქი ჯერ სომხეთში შემოიჭრა და ააოხრა, აჯანყება ჩააქრო და მისი ბელადები, შეპყრობილნი, ბაღდადს გაგზავნა.

სომეხთაგან „ზღვის ვეშაპად“ მონათლულმა ბუღამ 853 წელს თავისი უზარმაზარი მხედრობა საქართველოს შემოუსია.

წინასწარ ბაღდადელმა სარდალმა ტფილისელი ამირას წინააღმდეგ დახმარება ტაო-კლარჯეთის მეფეს, ბაგრატ პირველს თხოვა.

საპასუხოდ საჰაკ ისმაელის ძემ აფხაზეთის მეფე თეოდოსი მეორესთან გააბა კავშირი.

არაბები ტფილისს მოადგნენ მტკვრის მარცხენა მხრიდან. ბუღამ ჯარები აარჩია, თავის ერთ სარდალს, ზირაქს ჩააბარა და ქალაქზე საიერიშოდ გაგზავნა.

არაბებმა მტკვარი გადალახეს და ანთებული კუპრის ნთხე-

ვით შეუტიეს ტფილისის კედლებს. ქალაქში შეიჭრნენ. ბუღაც შეჰყვა დანარჩენი ჯარებით.

ამირა საჰაკ ისმაელის ძე შეიპყრეს და ბუღას ბრძანებით თავი გააგდებინეს.

ტფილისი მთლიანად გადასწვეს სარკინოზებმა.

50 000 ტფილისელი გაწყდა მაშინ.

ეს უმძიმესი ტრაგედია საქართველოს სატახტო ქალაქს თავს დაატყდა 853 წლის 5 აგვისტოს, შაბათ დღეს.

აფხაზთა მეფე თეოდოსის შეაგვიანდა ტფილისს მიშველებოდა.

ისევ ზირაქი გაგზავნა ბუღა თურქმა თეოდოსის შესახვედრად. ბაგრატ კურაპალატიც დამხმარე ძალად გაჰყვა ზირაქს.

სასტიკი ბრძოლა გაიმართა ლიახვის პირზე. თეოდოსი დამარცხდა და უკუიქცა.

ტფილისისკენ შემობრუნებულ ზირაქის ჯარებს წინ გარდაბნელ კახთა ჯარი გადაუდგა და დაამარცხა.

გამძვინვარებული ბუღა თურქი კახეთს შეესია. გაძარცვა და გააპარტახა სოფლები, გამოირეკა ტყვეები.

ტყვეთა შორის იყო ერისთავი კონსტანტი კახი, დიდად სახელგანთქმული მამულიშვილი, უკვე 85 წლის მოხუცი. კონსტანტისთან ერთად შეპყრობილ იყო მისი ძე თარხუჯ.

ორივენი ხალიფას გაუგზავნა ბუღა თურქმა, ბაღდადს.

ხალიფა მუთავაქილმა ქრისტიანობის უარყოფა და მაჰმადის სჯულის აღიარება უბრძანა კონსტანტის.

მოხუცმა ქართველმა ცივი უარი სთქვა.

ხალიფა დაემუქრა:

„უკეთუ არა ისმინო ჩემი, სიკუდილითა მოჰკვდე შენ პირითა მახვილისათა, და ხორცნი შენნი მივსცნე საჭმელად მფრინველთა ცისათა, და ვინ არს, რომელმან განგარინოს შენ ხელთაგან ჩემთა!“


შენს ხელთ მხოლოდ ჩემი სხეული არისო და არა სული — უპასუხა ურყევი ხმით ქართველმა — ამიტომ მე არ მეშინია შენი მახვილის და, როგორც გენებოს ისე მომექეციო.

განრისხებულმა მუთავაქილმა კონსტანტი კახი საპყრობილეში ჩააგდო და ორი გამაჰმადიანებული სომეხი მიუჩინა:

იქნებ თქვენ შეასმინოთ და დაიყოლიოთ მაჰმადიანობაზე ეგ მოხუცი ქართველიო. მაგრამ ვერც ქრისტიანი რენეგატები გახდნენ ვერაფერს. ვერც ცემამ და წამებამ გასჭრა. კონსტანტი ერისთავი ქრისტიანობას და ქართველობას არ ღალატობდა.

853 წლის 10 ნოემბერს, პარასკევ დღეს, ხალიფას ბრძანებით, კონსტანტი ქართველს, მის ვაჟთან ერთად თავი გააგდებინეს.

იმდროინდელმა ქართველმა და სომეხმა ქრისტიანებმა კონსტანტი კახი წმიდა მოწამეთა სიაში ჩარიცხეს.



გობრონ-მიქაელი

14 წელს არაბები უკანასკნელად შემოესივნენ ამიერკავკასიას. ხალიფას უზარმაზარ ლაშქარს მოუძღოდა სარდალი აბულ კასიმ აბუსაჯის ძე. ცეცხლითა და მახვილით მოედვნენ სარკინოზები სომხეთს. აიკლეს, ააოხრეს, სომეხთა მეფე სუბატი შეიპყრეს და თავი მოჰკვეთეს.

სომხეთიდან საქართველოში შემოიჭრა აბულ კასიმი „სპითა დიდითა და ურიცხვითა, რომელთა არა იტევდა ქუეყანა“.

აბულ კასიმი ჯერ ტფილისს მივიდა, სადაც მას შემოეგება ამირა ჯაფარ ალის ძე.

ტფილისიდან კახეთისაკენ წამოემართნენ სარკინოზნი.

მოადგნენ უჯარმის ციხეს. სამასი ქართველი მეციხოვნე იცავდა უჯარმას. დღე და ღამე მიჰქონდათ იერიშები სარკინოზებს, მაგრამ უშედეგოდ. მერე თვითონ მიატოვეს უჯარმა მისმა დამცველებმა, რაკი შეატყვეს დიდხანს ვერ გაუმკლავდებოდნენ ურიცხვ მტერს.

უჯარმიდან ბოჭორმას მიეჭრნენ არაბნი.

ბოჭორმის დიდი ციხე მიტოვებული დახვდათ. ეს ძალიან გაჰკვირვებიათ არაბებს და ერთ მათგანს უხუმრია კიდეც: „რომელიც ბაკი იყო (უჯარმას გულისხმობდა), მუნ შინა ფიცხლად შეგვებნენ, ხოლო რომელიც ნამდვილი ციხე ყოფილა (ბოჭორმას გულისხმობდა), იგი უკაცურად დაუტოვებიათო“.

მაშინ კახეთის ერისთავი იყო კვირიკე ქორეპისკო-

პოსი. იგი აბულ კასიმთან გამოცხადდა და დაზავება შესთავაზა.

„ვინ გაწვია მოსვლად ჩემთანა?“ — ჰკითხა აბულ კასიმმა.

„მაწვია დედამან ჩემმან“, — მიუგო კვირიკემ.

გაჰკვირდა და ჩაფიქრდა აბულ კასიმი. მერე ეს უპასუხა რაღაცნაირი სიმძიმილით შეპყრობილმა:

„უკეთუ გაწვია დედამან, არა ვატყინო გული მას დედასა“.

აბულ კასიმმა უეჭველად იცოდა, რა სისხლიც დასდინდა ბუღა თურქს კახეთის მთიანეთში და კვირიკეს შემოთავაზება სიამოვნებით მიიღო.

კახეთიდან ისევ ქართლს შემოესია სარკინოზი. უფლისციხის მიმართულებით წამოემართნენ. ქართველებმა დაასწრეს და უფლისციხის სიმაგრენი, მტერს რომ არ ჩავარდნოდა, თვითონვე დაანგრიეს.

უფლისციხიდან დაეშვნენ და სამცხეს შეესივნენ არაბნი.

თმოგვის ციხეზე მიიტანეს იერიში, მაგრამ უსაზღვროდ შეიჭირვნენ. ვერაფერი დააკლეს ცადაზიდულ თმოგვს და უკუიქცნენ.

ჯავახეთს ამოუყვნენ ძარცვა-რბევით და ყუელის ციხეს შემოადგნენ გარს. „ვითარცა თოვლი“, ურიცხვი არაბული თეთრი კარვებით დაიფარა ყუელის ციხის შემოგარენი. მრავალი საიერიშო ფილაკავანნი, იარაღით დატვირთულნი აქლემნი იდგნენ სარკინოზთა ბანაკად. ხოლო, „სიმრავლე ტყორცებულთა მათ ისართაი შეიპყრობდა ჰაერსა მზისასა“.

მოსახლეობა შავშეთსა და აჭარაში გახიზნულიყო. დამშეულნი ლტოლვილნი ხის ფოთლითა და ბალახეულით იკვებებოდნენ. მინდვრად სამუშაოდ გასულთ სარკინოზები სდევნიდნენ და ხოცავდნენ.

ოცდარვა დღე იგერიებდნენ სარკინოზთა გაშმაგებულ იერიშებს ყუელის ციხის დამცველნი.

მეციხოვნეებს სათავეში ჩასდგომოდა ახალგაზრდა მხედარი გობრონ. მტერიც და მოყვარეც განეცვიფრებინა გობრონის სიმამაცეს და სიმხნევეს. ციხის გარეთ გამოიჭრებოდნენ ხოლმე ქართველები გობრონის მოთავეობით, ხელჩართულში ჩაკაფავდნენ მტერს და ისევ კედლებს შიგნით გაუჩინარდებოდნენ.

მერე, არაბებმა „განხურიტნეს კლდე და განარღვიეს ზღუდე“ და შეიჭრნენ ციხის შუაგულში.

ისევ წინ გამოიჭრა გობრონი. ფიცხელი შეტევით უკუაქციეს და კვლავ ციხის გარეთ გამოდევნეს მტერი ქართველებმა.

არაბთა გვამებით გაივსო ციხე.

მცირე იყო ქართველთა მსხვერპლი. მაგრამ ეს „მცირე“ უმძიმესი იყო ისედაც მცირეთათვის.

იერიშები განაახლეს არაბებმა.

აუარება ისართა ტყორცნამ კვლავ დააბნელა ზეცა.

ერთი მუჭა ქართველობა უკანასკნელად შეება ნიაღვრად მოვარდნილ მტერს.

აბულ კასიმის ბრძანება იყო: მხოლოდ ცოცხლად მომგვარეთო გობრონი.

უკანასკნელი ქართველთაგანნი, ვინც კი სიკვდილს გადარჩენოდა, სულ 133 კაცი, ცოცხლად შეიპყრეს სარკინოზებმა.

მათ შორის იყო გობრონი.

იგი ცალკე გაიყვანეს.

დანარჩენები წინ დაიყენეს ჩამწკრივებულმა არაბებმა.

წინ დაიყენეს და დათქმულ ნიშანზე ერთბაშად მიცვივდნენ. ზოგი მახვილით, ზოგი შუბით, ზოგი ისრით, ზოგი დანით — ჩაჰკლეს, ჩაჰხოცეს, ჩაანაკუწეს.

მაგრამ საწადელს ვერ ეწივნენ სარკინოზნი: არცერთ ქართველს ჟამსა სიკვდილისასა პირზე ღიმილი არ მოშორებია.

ხოლო გობრონი აბულ კასიმს მიჰგვარეს.

და შეუჩნდა მაჰმადიან-სარკინოზი ქრისტიან-ქართველს: მებრალება შენი სიჭაბუკეო, მებრალება შენებრ მამაცი მხედრის სიკვდილიო და როგორც საყვარელ შვილს, გირჩევ დატოვო უგუნური ქრისტიანობა, რომელმაც შენს მოძმეებს ვერავითარი სარგებლობა ვერ მოუტანა. მიიღე ჩვენი მაჰმადიანობა, რომელსაც ყველა მორჩილებს ამ ქვეყანაზეო. თუ დამიჯერებ და ისე მოიქცევი, როგორც გეუბნები, მე შენ მოგაგებ ყოველგვარ პატივს — სარდლობას, სასახლეებს, დარბაზებს, კარვებს, მონებს, ტაძრებს, აქლემებს, ნაირგვარ სა-

ჭურველს და იქნები უსაყვარლესი და უსაჩინოესი მთელს ჩემს მხედრობაშიო.

მაშინვე სიტყვაუცვლელად ჩაუჭრა გობრონმა: მე ქრისტიანად და ქართველად დავიბადე და აღვიზარდეო; ამიტომ იცოდე, რომ ვერც შენი მდიდრული დაპირებებით და ვერც ნელ-ნელი წამებით ვერ მაიძულებ ვუღალატო ჩემს სამშობლოს და ჩემს სარწმუნოებასო.

გარეთ გაიყვანეს გობრონი. ერთდროულად აჩვენეს დაჩეხილი თანამოძმენი და აღთქმული სიმდიდრენი. იქნებ „შიშმან სიკვდილისამან, ანუ შესაძინელმან კეთილისამან მოდრიკოს გული მისი“, — უთქვამს აბულ კასიმს. და როცა უკანვე კარვად შეიყვანეს, ჰკითხა სარკინოზთა მთავარსარდალმა:

„რაი გამოირჩიე თავისა შენისა?“

„მე პირველადვე გითხარ შენ, არა მიდრეკად ქრისტეს უფლისა ჩემისაგან“, — მტკიცე სიმშვიდით უპასუხა გობრონმა.

უკანასკნელ ღონეს მიმართა სარკინოზმა ქართველი გმირის გასატეხად. მისი ბრძანებით გობრონი გაიყვანეს და საგანგებოდ შემონახულ ქართველ ტყვეებს მის თვალწინ დაუწყეს ჟლეტა.

ეცემოდნენ და ეხლებოდნენ განგმირულ თანამოძმეთა და თანამებრძოლთა გვამები გობრონს, ქართველთა თავები გორავდნენ მის ფეხებთან, დახოცილთა სისხლი ეჭცეოდა მის ტანს და სახეს.

მაგრამ მაინც იდგა ურყევი ტანით, ვითარცა ქვის ჭანდაკი, შეგრძნებული და განლიგებული, ნაცრისფერი და ნაცარივით ფერშეუცვლელი.

მერე თმაში ჩაავლეს ხელი, ქედი დაადრეკინეს და ორჯერ მსუბუქად სცეს ხმალი.

სისხლმა ითქრიალა გობრონის კისრიდან.

უცებ ხელი შეიღება თვისსავე სისხლში და სისხლითვე შუბლზე ჯვარი გამოისახა.

გაოცებულმა და გაოგნებულმა სარკინოზებმა ისევ მიჰგვარეს თავის მბრძანებელს გაკერპებული ქრისტიანი.

უკანასკნელად მიმართა აბულ კასიმმა — დამიჯერე, თავს ტყუილუბრალოდ ნუ იკლავო; მაგ წყლულებისგანაც გაგკურნავ და აღთქმულ პატივსა და სიმდიდრესაც მოგაგებ, ოღონდ ქრისტიანობას განუდექიო.

„იქმოდე, რაიცა გნებავს. მე ქრისტიანი ვარ და ქრისტიანადვე დავრჩები აწ და მარადის!“ — უკანასკნელად და სიტყვაუქცევლად თქვა გობრონმაც.

გაიყვანეს და თავი გააგდებინეს.

სამი დიდი სამარე გათხარეს.

სამ ნაწილად ჩააწვინეს დახოცილი ქართველები.

ერთ მათგანში იწვა გობრონი.

იყო 914 წლის 17 ნოემბერი.

ქართულმა ქრისტიანულმა ეკლესიამ ქრისტესთვის და სამშობლოსთვის თავდადებულ გმირს ახალი სახელი, მ ი ქ ა ე ლ ი უწოდა და საქართველოს მოწამეთა პანთეონში ჩარიცხა.

. . . . . .

გობრონ-მიქაელის გმირობისა და მარტვილობის ამბავი აღწერა მისმა თანამედროვე ს ტ ე ფ ა ნ ე მ ტ ბ ე ვ არ მ ა — ტბეთის კ ა თ ო ლ ი კ ო ს ი.



იოვანე მთაწმიდელი

გეოსის ზღვის ჩრდილოეთ მხარეს არის ნახევარკუნძული ქალკიდიკა, სამთითად შეჭრილი წყლის სამყაროში, ხოლო ამა სამთაგან, აღმოსავლეთ შტერილს ძველთაძველი სახელით ეწოდება აკტე.

ხოლო, აკტეს უკიდურესი სამხრეთი გამონაშვერი არის მთა ათონი.

აქაური მიწა, ზღვა, ცა და ჰაერსაბრუნავი — მშვენიერი, მაამებელი და მარგებელი ყოველი სულდგმულის სულისა და სხეულისა.

აკტე და ათონი ჰელინთა უძველეს მითოსურ სამყაროშია თავდაპირველად გააზრებული. თითქოს ამ ადგილზე ეხეთქებოდნენ ერთმანეთს საომრად აღძრული გიგანტები და ღმერთები. თითქოს აქ შეებნენ ერთმანეთს გიგანტი ათოს და ღმერთი პოსეიდონი. და აახეთქა დედამიწას ათოსმა უზარმაზარი კლდე, ესროლა ზღვაში ამომართულ პოსეიდონს და ჩადგა ზღვაში ხმელეთი, ვითარცა საზღვარი გიგანტთა და ღმერთთა საბრძანებელთა. და იმ გიგანტის სახელი შერჩა მისგან ნატყორცნ მთას — ათოს; და აქედანვე — ათონი.

უფრო გვიან, ქრისტიანულ ხანაში, დაიბადა ეს თქმულებაც: მარიამ ღვთისმშობელი და იოანე მახარებელი ხომალდით კვიპროსისკენ მიემართებოდნენ. უცებ ზღვა აიშალა, აზვავდა, ხომალდი გაიტაცა და მანამ ატარა, სანამ ათონის კლდოვან ნაპირზე არ გარიყა. დაისვენა ღვთისმშობელმა, იქაურობა მოიხილა, ბუნების სიმშვენიერით მოიხიბლა და

შესთხოვა თავის ღვთაება ძეს, იესოს, ებოძებინა მისთვის ათონის მთა.

დედის თხოვნა და — წამსვე ჩამოეშვა ცაზედეთიდან ხმა მისი ძისა:

„ამინ, ადგილი ესე საცხოვრისი შენი, წალკოტი შენი, სამოთხე და სალხინებელი!“

და ამიერიდან ეწოდა ათონის მთას — „აგიოს ოროს“, „წმიდა მთა“.

და დაიწყო სამონასტრო ცხოვრება ათონის მთაზე. პირველი მონასტრის დამაარსებელი კეისარი კონსტანტინე დიდი. და ამ ტაძარმა ოცდაათი წელიწადი ძლივს მოათია: მოვიდა ანტიქრისტე კეისარი იულიანე განდგომილი და ძირიანად მოთხარა იგი. მერე, იულიანეს გადავლენიდან ოთხმოცი წლის შემდეგ, ღრმად მორწმუნე იმპერატორმა თეოდოსი მეორემ ააშენა ახალი მონასტერი. სწრაფად იზრდებოდა სამონასტრო და საასკეტო ცხოვრება ათონის მთაზე. შემდგომ — აზიაში არაბთა გამძლავრებამ და იქაურ ქრისტიანთა სამოღვაწეო-საცხოვრისზე მათმა მიმძლავრებამ უფრო აღამაღლა ათონის სახელი, ვითარცა ურწმუნოთაგან დევნილი ქრისტიანების მხსნელისა, შემფარველისა და გადამრჩენელისა.

გამორჩეული ცხოველმყოფელობით ათონის სამონასტრო ცხოვრება აღზევებას იწყებს მაინც მას შემდგომ, რაც იქ სამოღვაწეოდ მოვიდა ათანასე დიდი, მამით ბერძენი, დედით ქართველი (ლაზი).

და ათანასემ წმიდა მთაზე დააარსა დიდი ლავრა, რომელსაც საისტორიოდ შერჩა მისივე დამაარსებლის სახელი — ათანასე დიდის ლავრა.

მკითხველმა საგანგებოდ უნდა მიინიშნოს, რომ ათანასე უფრო ადრე, ათონის მთაზე მის მოსვლამდე, ცხოვრობდა და მოღვაწეობდა აზიური ოლიმპის, ულუმბოს მთაზე, მისგანვე აშენებულ დიდ მონასტერში...

მეათე საუკუნის მეორე ნახევარს, საქართველოს მეფის, დავით III კურაპალატის კარზე იყო წარჩინებული ტაოელი დიდებული, ვარაზვაჩე ჩორდვანელი,

სპასპეტი გამორჩეული, საომარ ველზე მხნე და ახოვანი, გონებით ბრძენი და სულით ღვთისნიერი.

ერთ დღეს ვარაზვაჩე ჩორდვანელმა ხელი აიღო საერისკაცო ცხოვრებაზე, რადგან ჰქონებოდა „ცეცხლი იგი ქრისტეს სიყვარულისაი გულსა მისსა მძაფრიად აღტყინებული“, სასულიერო სახელად დაირქვა ი ო ვ ა ნ ე. ყოველივე ქონება, რაიც გააჩნდა, ღარიბებს და უპოვართ დაურიგა, ცოლშვილი მიატოვა, სქემა შეიმოსა და სადღაც გადაიკარგა. ნაცნობებთან შეხვედრას გაურბოდა და ეკლესიიდან ეკლესიაში ადგილს ინაცვლებდა. ყველაზე დიდხანს „ლავრასა დიდებულსა ოთხსა ეკლესიათასა“ მოათია. იქ მხოლოდ წმიდა მამათა, ბოსეს და გელასის გაუმხილა თავისი ვინაობა და მათგანვე მიიღო კურთხევა ბერობისა.

ბოლოს ადგა და სულ წავიდა საქართველოდან. მივიდა მცირე აზიის დასავლეთ კიდურს, ბითვინიას, ულუმბოს მთაზე აღმართულ დიდ მონასტერში. და დადგა აქ ჯორთა და კარაულთა მომვლელ მეჯინიბედ.

და აქვე გაეცნო, დაუახლოვდა და დაუმეგობრდა თავის კბილასა და თანამოასაკეს, ჩვენთვის უკვე ცნობილ ათანასე ბერს.

სწორედ იმჟამად ბიზანტიის კეისარმა რომანოს მეორემ დავით კურაპალატს მოსცა „ზემონი ქუეყანანი“ და სამაგიეროდ საქართველოდან კონსტანტინოპოლს მძევლად წაიყვანა წარჩინებულ ოჯახთა ძენი.

და მძევალთა შორის აღმოჩნდა ძე იოვანესი ე ფ თ ვ ი მ ე, ყრმაი ხუთისა წლისა.

იოვანეს სიმამრს, აბუჰარბის, და ცოლისძმებს, თავისი შვილები საქართველოში დაეტოვებინათ, ხოლო უდედმამოდ დაგდებული ეფთვიმე უცხო მძევლობისა და ტყვეობისთვის გაემეტებიათ.

იოვანემ ორი წლის შემდგომ სცნო თავისი შვილის ამბავი და მაშინვე ულუმბოდან კონსტანტინოპოლს გაეშურა. ჩასვლისთანავე სიმამრი და ცოლისძმები იხმო და მწარე საყვედური აღუვლინათ: რაი არს ესე, განა შვილები თქვენი არა გყავთ? გარნა, ცხადია, საკუთარი არ გაიმეტეთ და მძევლად ჩემი ობოლი გასწირეთო; რა გაეწყობა, — უფალმან შეგინდოთო შეცოდებანი თქვენნი. უთხრა და ისე, რომ დატუქ-

სულთა პასუხისთვისაც არ დაუცდია, კეისრის სასახლეს მიაშურა. მისი სახელი უკვე სცნობოდათ სასახლის კარზე. ამიტომ კეთილად მიიღეს, თხოვნა მოუსმინეს და შვილიც დაუბრუნეს.

მამამ შვილი ულუმბოს მონასტერში მიიყვანა.

ეფთვიმეს კი იმ ორი წლის მძევლობის ხანში ქართული ენა სულ დავიწყნოდა და მხოლოდ ბერძნულად ლაპარაკობდა. უსაზღვროდ შეძრული და შეწუხებული იოვანე დღე და ღამ იმის ცდაში იყო, როგორმე ისევ ამოედგმევინებია შვილისათვის ენა ქართული.

ათანასე კი ათონზე წასასვლელად აემზადა და იოვანეს ეზრახა, შენც შენის ძით ჩემთან წამოდიო.

სანამ შვილს ქართულს არ დავუბრუნებ, ცოცხალის თავით აქიდან გამსვლელი არა ვარო, თქვა და გაათავა იოვანემ.

ათანასე ათონს წავიდა, მაინც იმ იმედით, რომ ერთხელაც იქნებოდა ქართველი მამა-შვილი მის გზას გაჰყვებოდა.

მცირე ხანიც გამოხდა და ყრმა ეფთვიმე მოულოდნელად რაღაც „მძაფრითა სენითა“ ავად გახდა და ლოგინად ჩავარდა. დღე და ღამე ოფლში ცურავდა, სიცხისგან იწვოდა, უსაშველო ალმურისგან სუნთქვა უწყდებოდა. რა ბალახები არ უხარშეს, რა საფენები არ აფინეს, რა სალოცავნი არ ულოცეს აქიმობაში გაწაფულმა ულუმბოელმა ბერ- მონაზვნებმა, მაგრამ არაფერმა გაჭრა.

და, როცა შვილი „სიკვდილსა მიეახლა“, სასოწარკვეთილი მამა ერთხელ კიდევ, უკანასკნელად, წავიდა ტაძრად, ერთხელ კიდევ დაემხო ღვთისმშობლის ხატის წინაშე და შეჰღაღადა ცრემლითა უმწარესითა:

„ღვთისმშობელო ქალწულო, კურთხეულო, სძალო უსძლოო, მეოხ ეყავ შვილსა ჩემსა, ნუ ინებებ მომიკვდეს იგი ეგზომ ენადავიწყებული; ნუ ჩაუქრობ კიდევ ერთ სანთელს შენს წილხვდომილ საქართველოს, დედაო სახიერო, დედაო ღვთისაო, სძალო უსძლოო!..“

ტაძრიდან გამოვიდა მაინც უსახსრო სულით და მღვდელს შეუთვალა, მოდი და სიკვდილის პირს მიმდგარი შვილი მიზიარეო. შეუთვალა და აღარ დაუცდია, ისე გაიქცა მომაკვდავი შვილისაკენ.

კარი შეაღო და გაქვავდა კაცი.

ეფთვიმე ლოგინზე იჯდა, მშვიდი, მწყაზარი, თითქოს ღრმა ძილისგან ახლახან გაყრილი და გამორჩეული.

„შვილო!“

„რა იყო, მამა?“ — ეს ქართულად თქვა ყმაწვილმა.

„მითხარი, შვილო!“ — ლამის შეიშალა იოვანე.

„რა გითხრა, მამა?“ — გაკვირვებით იკითხა ყრმამ, ისევ სრული ქართულით.

„შვილო, არაფერი არ გტკივა, არაფერი არ გელანის, შვილო?“

„არა, არაფერი არ მელმის“.

„ხოლო, ეს ქართული?“

„იცი, მამა, — რაღაც არაამქვეყნიური ღიმილით დაიწყო ყრმამ — ის იყო სადღაც ტკბილ ბურანში ვიძირებოდი, ვიღაცამ ხელი მომკიდა, გამომაბრუნა და გამომაღვიძა. და მე ვიხილე დედოფალი, ცისკროვან სახით, რომელმან მითხრა ქართულითა ენითა: რაი არს, რაი გელმის, ეფთვიმე? — არ ვიცი რაი მელმის, ოღონდ მე ვკვდები, დედოფალო, ვუთხარი მე. — ნუ გეშინინ, რამეთუ ლმობა შენი არს დავიწყება ქართულისა ენისაი; ხოლო ამიერიდან არარაი არს ვნებაი შენთანა და აღდეგ, ვითარცა ქართველი ქართულითა ენითაი! — მითხრა და გაუჩინარდა დედოფალი იგი“, — დაასრულა ეფთვიმემ და წამოდგა ფეხზე.

დაეცა და მუხლებზე მოეხვია მამა შვილს. დიდხანს სიზმარში ეგონა თავი. ისევ შვილმა წამოაყენა ფეხზე. ერთად შევიდნენ ტაძარში და ერთად დადგნენ ლოცვად ღვთისმშობლის მიმართ...

ამიერიდან ორივე ენაში დაუცხრომლად სწაფავდა მამა შვილს.

და „აღმოუდიოდა პირთაგან ვითარცა წყაროი“ ეფთვიმეს ყმაწვილობითვე ქართული“ „უწმიდეს ყოველ ქართველთასა“, და ეგრევეთ — ენა ბერძნული.

და ეუბნებოდა მამა შვილს:

„შვილო ჩემო, ქართველთა ქვეყანა ფრიად ნაკლულოვან არს წიგნთაგან, და მრავალნი წიგნნი აკლიან, და ვხედავ რა ნიჭიც მოუმადლებია შენთვის ღმერთსა მაღალსა. და აწ იღვაწე, რაითა განამრავლო სასყიდელი შენი ღმრთისაგან და შეუვსო დანაკლისი იგი ერსა შენსა მშობელსა“.

ამასობაში დიდად განითქვა სახელი თვითონ იოვანესი, რომელსაც, ვითარცა ღვთივშემოსილ ბრძენსა და წმინდანს დიდ პატივს მიუგებდნენ ბერძნებიც, ქართველებიც და სხვანი ყოველნი.

მაგრამ სწორედ სახელოვნებასა და პატივისგებას გაურბოდა იოვანე. და რაკი სწორედ ეგზომი ყურადღებისაგან ულუმბოში უკვე აღარ დაედგომებოდა, ერთ დღეს მან დაავლო ხელი თავის შვილს, კიდევ რამდენიმე მოწაფეც გაიყოლია და მათთან ერთად ულუმბოდან გაუჩინარდა....

...და მივიდნენ ათონს მთასა წმიდდასა.

და შეხვდა სიხარულით ათანასე დიდი „ქართველთა საყუარელთა". შეხვდა, შეიწყნარა და დაამკვიდრა დიდ ლავრაში, რომელიც მას ახლახან დაესრულებინა მისივე მეგობრის, კეისარ ნიკიფორე ფოკას ცხოველი დახმარებით.

და იყვნენ მთაწმიდაზე ქართველი მთაწმინდელნი.

ვიდოდა ჟამი.

და ჟამს ემალვოდა იოვანე მთაწმინდელი.

ხოლო, იმავე ჟამის გმირი საქართველოში იყო უფროსი ძმა იოვანესი თ ო რ ნ ი კ ე ჩორდვანელი ერისთავი, სახელოვანი მხედარი და მხედართმთავარი.

და თორნიკე ერისთავი — შესდგომია ძმის გზას. საერო სამოსელი გაუხდია და სამონაზვნო სქემით შემოსილა. შემოსილა და წამოსულა იოვანესთან შესახვედრად და მასთან დასამკვიდრებლად ულუმბოს მთაზე. მაგრამ რაკიღა ვისაც ეძებდა, იქ აღარ დახვდა, გამოიკითხა და შეიტყო სადაც წასულიყო ძმაც და ძმისწულიც.

და ერთ დღეს თორნიკე მივიდა ათონს.

მივიდა და, „ვინათგან დაფარვაი არღარა ეგებოდა", ძმები „ურთიერთას გამოეცხადნეს და სიყვარულითა სულიერითა შეიტკბნეს".

მთელი ტაძარი სიხარულმა მოიცვა. ძალიან გაიხარა ათანასემაც, რომელსაც ადრევე სცნობოდა თორნიკე ერისთავის „საქმენი, წარჩინებულობა და ახოვნება".

და მონაზონება ძმისა აკურთხა ძმამ.

და ახალ სახელად იმასაც დაერქვა ი ო ვ ა ნ ე.

კიდევ „სვინგელოზი" უწოდა იოვანემ უფროს ძმას.

და ამიერიდან იყვნენ მთაწმიდაზე ძმანი მთაწმინდელნი, ორი იოვანე — იოვანე-ვარაზვაჩე და იოვანე-თორნიკე.

და ორივენი გაურბოდნენ სახელს და პატივს, მაგრამ ვერარა გაეწყოთ: დიდის პატივით ეგებოდნენ ძმათა წმინდანთა ყოველნი, ბერძენნი თუ ქართველნი. რა გაეწყობოდა, — აკი „ღირსთა თვისთა ღმერთი გამოაცხადებს და ადიდებს“.

და დაიწყო დენა ქართველ საეკლესიოთ და სასულიეროთა ნაკადისა ათონისაკენ.

და გამრავლდნენ ქართველი „მთაწმინდელნი“ მთასა წმიდასა.

გამრავლდნენ და ზრახვა ჰყვეს ორივე იოვანეთა: უკვე არა ჭერ არს ჩვენი ყოფნა ისევ ათანასე დიდის ტაძარში, აღარც მასპინძელს ეკადრება ჩვენგან შეწუხება, აღარც ჩვენ გვეკადრება სხვის ხიზნად ყოფნა. ამიტომ დრო დადგა თვითონ ავაშენოთ ქართველებმა ჩვენი ეკლესია, სადგომი და სალოცავიო.

და აღაშენეს ქართველებმა მთასა წმიდასა, ათანასეს ლავრისგან დაშორებით, „უდაბნოსა შუენიერსა“ ეკლესია წმიდა იოანე მახარებლის სახელობისა. ეკლესიასთან სხვა სალოცავნი, სენაკნი და სადგომნი გამართეს და დაბინავდნენ იქ ქართველნი და მათი მოძღვარნი — ვითარცა „ანგელოზნი ღმრთისანი“.

დრო კი ვიდოდა, უსენებლად და ულმობელად.

დრომ ინება და ბიზანტიის იმპერიის ბედიღბალი ხელთ ჩაუვარდა ქალს, თ ე ო ფ ა ნ ო ს, რომელმაც იმპერიის ტახტზე დასვა ორი შვილი პირველი ქმრისგან, რომანოს მეორისგან — ბ ა ს ი ლ ი და კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე. მაგრამ რაკი ორივე ძმა მცირეწლოვანი იყო, ქვეყნის მმართველობა მაინც თეოფანოს ეპყრა ხელთ.

და სწორედ მაშინ აზიურ პროვინციათა მმართველმა და მთავარსარდალმა, ბ ა რ დ ა ს კ ლ ი ა რ ო ს მ ა აჯანყება დაიწყო მცირეწლოვან იმპერატორთა წინააღმდეგ. აზიური მიწები სრულიად მოწყდა კონსტანტინოპოლის მორჩილებისგან და დღე-დღეზე სატახტოზე თავდასხმასაც ელოდა შიშით ატანილი საიმპერატორო სასახლის კარი.

და ითქვა მაშინ „მსოფლიოს ჭიპზე“, ითქვა ხმამაღლა და გადაწყვეტილად, ვითარმედ:

„ჩვენი შემწე დავით კურაპალატის გარდა არავინაა ქვეყანაზე!“

„სწორედ, ოდენ ქართულ ხმალს შეუძლია ჩვენი დახსნა“.

და დაისაჭიროვეს კაცი, საქართველოში დავით კურაპალატთან გასაგზავნად, — ისეთი კაცი, აჯანყებული სკლიაროსისაგან შეკრულ გზებზე რომ გააღწევდა.

და შეიტყვეს, ასეთი კაცი არის ათონზე — იოვანე თორნიკ-ყოფილი.

და გაგზავნეს სასწრაფოდ სევასტოფორი ათონის მთაზე. მივიდა იგი და სამივეს — ათანასეს, იოვანე-ვარაზვაჩეს და იოვანე-თორნიკეს გადასცა მან მეფეთა წერილები, ასევე სამივეს სახელზე დაწერილნი. და სამივეში ეწერა, ვითარმედ: „უღმერთო სკლიაროსი გაგვიდგა და ხმელით კერძი ყოველი დაიპყრა. აწ ვევედრებით სიწმიდესა თქვენსა, რათა თვინიერ ყოვლისა მიზეზისა, იოვანე-თორნიკ მოვიდეს წინაშე მეფობისა ჩვენისა“.

სამივე მამა ჩავარდა საგონებელს. აკი აღთქმა ჰქონდათ დადებული, არა სახის საერო საქმეს აღარ მიქცეოდნენ სიკვდილის კარამდე. მაგრამ ბოლოს მაინც გატყდნენ ათანასე და იოვანე და დაუწყეს ვედრება თორნიკეს, უნდა წახვიდე შენ მეფეთა წინაშე კონსტანტინოპოლსო.

შეწუხდა თორნიკე.

„წმინდანო მამანო — მიმართა მან ათანასეს და იოვანეს — მე ჩემი ცოდვების გამო მოვსულვარ ამ წმიდა ადგილას და მეფეთა წინაშე წასვლა ხომ ისევ ცოდვათა გზაზე მიქცევა იქნება ჩემი, რამეთუ ხომ იცით, რაისთვის მიხმობენ მეფენი. მე, რაკიღა ღმერთმა ღირსმყო და მონაზვნის სახედ შემმოსა, ამიერითგან აღარც შეხვედრის ნება აღარა მაქვს აღარც მეფეებთან და აღარც სხვა ვინმე ამქვეყნიურ ადამიანთან. ამიტომ ვევედრები სიწმიდესა თქვენსა, ღმრთის სიყვარულისათვის შემინდეთ და ნუ მაიძულებთ სასახლეს წასვლად, რამეთუ უკეთუ წავიდე, ვიცი ისინი ამა ქვეყნის შფოთში ჩამაგდებენ“.

მაგრამ არ ეშვებოდნენ ათანასე და იოვანე: უკეთუ ვეურჩეთ და არ წახველ მეფეებთან, უეჭველად დიდ რისხვას მოვაწევთ ჩვენს თავსაც და ჩვენს ტაძრებსაცო. შენ ოღონდ

წადი და მაგის ცოდვა იქნება თუ ბრალი, ყველაფერი ჩვენს კისრად აგვიღიაო.

შვიდი დღე ეხვეწნენ, ემუდარნენ ასე და ბოლოს დაიყოლიეს.

და მივიდა იოვანე-თორნიკე კონსტანტინოპოლს. მისვლისთანავე საღვთო კონსისტორიონს შეიყვანა იგი პარაკიმენონმა.

შემოეგებნენ დედოფალი თეოფანო და ძენი მისნი, ყრმანი მეფენი — ბასილი და კონსტანტინე. ორივე შვილი დააჩოქა თორნიკეს წინაშე თეოფანომ და შეჰღაღადა:

„წმიდაო მამაო, რაიცა ამ ობოლთა მიმართ წყალობა ჰქმნა, სამაგიერო ღმერთმა მოაგოს სულსა შენსა!“

ისევ სცადა წინააღდეგობის გაწევა თორნიკემ, მაგრამ სული აღარ მოათქმევინა დედოფალმა:

„წმიდაო მამაო, რაიცა მიბრძანოს მეფობამან თქვენმან, თქვენსა ბრძანებასა როგორღა გარდავხდები. ოღონდ ღმერთმან დაგარწმუნოს, შრომა თავს იდევ და, რა გზითაც გნებავს, წადი კურაპალატთან, წარუდექ და აუწყე ჭირი ჩვენი ყოველივე. და ვევედრები ღმერთს, შენ და შენმა მეფემ ის უღმერთო სკლიაროსი დაამარცხოთ და ჩვენ მაგ ჭირისაგან გადაგვარჩინოთ“.

კიდევ იუარა თორნიკემ, მაგრამ ამაოდ. ბოლოს გატყდა და უთხრა დედოფალს: მე ჩემი ცოდვებისთვის შევიმოსე სახე ესე და ამიტომ სიკვდილზეც უმძიმესია კვლავ საერო საქმისადმი ჩემი მიქცევა, მაგრამ რაი ვყო არ ვიცი. ალბათ, თქვენს წმიდა მეფობას უარს ვეღარ შევბედავო.

გაიხარეს დედოფალმა და პარაკიმენონმა და ერთხმაღ შესძახეს: ოღონდ შენ ამ ობლებს უშველე და, რაიცა ბრალი და ცოდვა იყოს, ღმერთმა ჩვენს კისერზე იძიოსო.

და წავიდა თორნიკე საქართველოში, მისცა დავით კურაპალატმა თორმეტი ათასი ქართველი მეომარი, სარდლად უჩინა თვითონვე, და გაანადგურეს ქართველებმა სკლიაროსი ჰალისის პირას, და იხსნეს უეჭველი დაღუპვისაგან ბიზანტიის ყრმა კეისარნი.

ხოლო თორნიკემ ჰალისის ველზე აღებული ალაფი და ივარი ნაწილი თავის მეომრებს დაურიგა, ნაწილიც ათონის მთაზე მიიტანა.

დიდი სიხარულით და ამბორსყოფით შეეგებნენ ძლევამოსილად დაბრუნებულ ძმას იოვანე, ათანასე და ყოველი ძმანი მთაწმიდელნი.

კვლავ უფრო იმით გაიხარეს, რომ თორნიკეს ათონზე თან ჩამოჰყვა „მრავალნი ფიჩოსანნი და სახელოვანნი მონაზონნი“.

და, რაკი ახლა ჰქონდათ სახსარი ახალი ტაძრის მშენებლობისა, ერთხელ კიდევ იზრახეს და გადაწყვიტეს:

„ვინათგან ვართ ქართველნი, კაცნი სახელოვანნი, და კვლავ გვერთვიან ქართველნი და იზრდება სიმრავლე ჩვენი, უკვე აღარც იოანე მახარებლის ეკლესიაა საკმარისი და უნდა ავაშენოთ ახალი დიდი ლავრა ქართული“.

და აღაშენეს ქართველმა ათონელებმა დიდი ქართული ლავრა ღვთისმშობლის სახელობისა, მთაწმიდის უმშვენიერეს ადგილზე, თვალისა და სულის ამყვავებელ გარემოში.

აშენდა და ისტორიაში სამუდამოდ დაივანა მისმა სახელმა — „ი ვ ე რ ი“, „ი ვ ე რ ო ნ“, „ი ვ ი რ ო ნ“, ანუ „ქ ა რ თ ვ ე ლ თ ა“.

და აღმართეს ივერონის კარიბჭის თავზე სასწაულებრივი ხატი ღვთისმშობელი მარიამისა, საკვირველი ხელოვნებით მოჭვილი და ცხოველმოსილი. და ხატსა ამასა უკვე გამოევლო თავისი ჭირთა-გარდასახდელი: ხატთა ჯალათის, თეოფილე კეისრის ჟამს ეს ხატი ნიკეაში ერთი ქვრივი დედაკაცის სახლში ესვენა თურმე. ერთხელ მეფის შიკრიკი მისულა იმ სახლში ღამის გასათევად და ის ხატი რომ დაუნახავს, ხატმებრძოლი მეფის კაცს მაშინვე უძგერებია მახვილი. ხატიდან სისხლმა იფეთქა და მის დამჭრელს შეექცა. თავზარდაცემული შიკრიკი გადაიხვეწა, ხოლო დაჭრილი ხატი იმ დედაკაცმა ზღვაში ჩაასვენა. და ასორმოცდაათი წელიწადი ატარა ზღვამ ხატი იგი. ატარა და, ბოლოს, ათონზე რომ ივერონი აშენდა, ათონის მთასთან მოცურდა იგი, და ხედავდნენ ათონელები, დღისით როგორ ბრწყინავდა და ღამით როგორ ანათებდა ზღვაზე მოვარვარე ხატი. რამდენჯერ სცადეს მიახლოება და ამოსვენება, მაგრამ არავინ არ მიიახლოვა და არავის არ დანებდა იგი. მერე გ ა ბ რ ი ე ლ ხუცესს შეევედრნენ, შენებრ წმინდანი ცხოვრებით ათონზე არავინ ცხოვრობს და იქნებ შენ სცადო ბედიო. გაბრიელ ხუცესი კლდის ნაპრალში

იყო დაყუდებული, ჭიქოლოდ წყალს თუ დალევდა და ბალახს მოსძოვდა, სხვა რამ საზრდელს პირს არ დააკარებდა. კიდევ, მისი პირიდან ერთი საერო სიტყვაც არ დაიძეროდა, არამედ ყოველივე მხოლოდ საღმრთოი და სასულიერო ითქმოდა მისგან. და ჩაუშვეს ზღვაში გაბრიელი, მიეახლა ხატს და ხატიც მოეახლა მას. და ამობრძანდა ხატი იგი ზღვიდან ხმელეთზე. ამობრძანდა მთაწმინდელ ქართველთა სამფარველოდ, მისი წილხვდომილი საქართველოს ქრისტიან შვილთა სამფარველოდ. და აღმართეს იგი და დააბრძანეს ქართველმა მამებმა ახალი ლავრის შესავლის თავზე და ეწოდა ამიერიდან — კარის ღვთისმშობელი...

ივერონის ახლოს აშენდა კიდევ სხვა ეკლესია, იოანე ნათლისმცემლის სახელობისა. და ამათ გარდა, ქართველებმა შეიძინეს „ადგილნი მრავალნი, მონასტერნი და სადაყუდებულონი გარემოს დიდისა მონასტრისა ვიდრე იმიერ ზღვამდე, რომელნი-იგი მშვენიერ არიან და საწადელ და მომზადებელ სულიერთა მონაზონთა საყოფლად“.

ათანასე დიდი ისევ დიდი სიყვარულით სწყალობდა ქართველებს. იოვანე რომ ახალი ტაძრის მწყემსმთავარი გახდა, მაინც არ მოიშორა იგი ათანასემ. მოიშორა კი არა, ივერონი რომ დამთავრდა, მისი წინამძღვარი ათანასემ საქვეყნოდ და საჯაროდ თავისი ლავრის „სულიერ ეპიტროპად“ გამოაცხადა!

ხოლო, ოდეს აღარც მე და აღარც იოვანე ამ ქვეყნად აღარ ვიქნებით, ორივე ლავრის — ქართულისაც და ბერძნულისაც — სულიერი ეპიტროპი ეფთვიმე უნდა იქნესო! — ანდერძით აცხადებდა ათანასე.

ივერონის დასრულებიდან ორი წლის თავზე ათანასე გარდაიცვალა.

ხოლო, ყოველი სიმდიდრე, რაიც თორნიკე ერისთავს მთაწმიდაზე ჩამოეტანა, ყოველივე საამშენებლო და სახარჯოდ საარსებო, მთლიანად გადაეცა იოვანესთვის. თვითონაც, „ეგევითარმან განთქმულმან და საჩინომან კაცმან ყოველივე ნებაი თვისი მოიკვეთა და სრულებით შეუდგა მორჩილებასა მისსა“. არაფრის უფლებას აღარ აძლევდა თავს იოვანეს დაუკითხავად. უმისოდ ლამის წყალსაც გემოს არ გაუსინჯავდა, მის უნებართვოდ ერთ ფოლსაც თითს არ დააკარებდა.

და ეუბნებოდა იოვანე-თორნიკე იოვანე-ვარაზვაჩეს, ვითარმედ:

„მამაო, თვით იცი, დიდად ცოდვილ ვარ და სიკვდილი ჩემი მოახლოვებულ არს და შენს უნებური არარაი მსურს, არამედ ნებაი ჩემი და თავი ჩემი შემდგომად ღმრთისა შენდა მომიცემია; ვითარცა გნებავს, აცხოვნე სული ჩემი!“

დიდ ტვირთად აწვა იოვანეს უფროსი ძმის ეგზომი ქვედავრდომილობა და მარად იმას მიესწრაფოდა, არაფერი დაჰკლებოდა, მარად მყუდროებასა, პატივსა და კრძალულებაში ჰყოლოდა.

მაინც ვერ იქნა და ვერ ჩაიკლა მეომრული სული დიდმა მხედართმთავარმა წმინდა ბერობით დაშრეტილ სხეულში. ვერა და ვერ მოიშალა თხრობა გარდასული ბრძოლებისა. შემოეხვეოდნენ სმენად ქცეულნი მოწესენი და ისიც, ქარიშხლით შტოებდალეწილი მუხასავით შუაჩამდგარი, ჰყვებოდა თავდავიწყებით, ლეწავდა სიტყვას თვითტკბობით და სხვათა დატკბობით. და ერთხელ თავს წამოადგა იოვანე ძმას და უთხრა წყნარად, კრძალვით და თითქოს წყრომითაც:

„საყვარელო ძმაო, ვხედავ, ღვთის მადლით, კეთილად წარემართები ყოველთა ცნებათა ღმერთისათა და არც მინდა წყენა რაიმე მივაყენო შენს წმიდა სულსა. მაგრამ განა შენსავ სულს არ ავნებს იგი, რასაც ახლა და ამდენ ხანს მოუთხრობ ამ ხალხს? გთხოვ და გემუდარები, საყვარელო ძმაო, ეგ საერთო ნათხრობნი საერთოა და სოფლიოთა დააცადე, ხოლო შენ, უკეთუ ვერ დაიშლი, მაშინ უამბე მხოლოდ ერთს — გაბრიელ ხუცესს“.

ეს რომ ისმინა, მაშინვე დაემხო თორნიკე იოვანეს ფეხებთან, დაეჭხო და შეჰღაღადა ცრემლების თხევით:

„რად სდუმდი აქომამდე და არ მამხილე, წმიდაო ღმერთშემოსილო მამაო?“

მაშინვე წამოაყენა იგი ფეხზე იოვანემ, მოეხვია და უთხრა კეთილად:

„რაც იყო იგი ღმერთმა გაპატიოს, ხოლო ამიერიდან ეკრძალე!“

და ეკრძალა ისიც — სამუდამოდ ეკრძალა თორნიკე ერისთავი თორნიკობას.

იგი მიიცვალა და „ღმრთისა მივიდა“.

„ღმერთმან შეუნდვნა ცოდვანი მისნი და საუკუნესა ცხორებასა ღირს ყო“ — თქვა იოვანემ.

...როცა თორნიკეს დასაფლავებისა და მისი „სულის შეძინების“ საქმეებს მორჩა, იოვანემ მოულოდნელად გაამჟღავნა განზრახვა, რომელიც ადრიდანვე ჰქონია გულს დაკრძალული და ამდენხანს თურმე თორნიკეს გამო არ გაუმხელია. ხოლო განზრახვა ესე ყოფილა: მისი ძის, ეფთვიმესა და კიდევ რამდენიმე მოწაფის თანხლებით, წასვლა „ს პ ა ნ ი ა დ“!

სპანიად მრავლად ყოფილანო ნათესავნი ქართველნი, დიდიხნის მკვიდრნი და შვილნი იქაური მიწა-წყლისა.

და გულს ამოეჭრა იოვანე ათონელს წასვლა სპანიად, ი ქ ა უ რ ქართველებთან, რადგან თურმე თავიდანვე უფრთხოდა იგი ა ქ ა უ რ ქართველობაში შუღლსა და შფოთს.

და „ივლტოდის სპანიად“ იოვანე მთაწმინდელი ძითა მისითა და ეფთვიმეთი და კიდევ „რავდენიმე მოწაფითა“.

ჯერ აბიდოსს მივიდნენ, რათა იქ ესპანეთისკენ მიმავალი ხომალდი დაეგულებინათ და კიდეც გაჰყოლოდნენ მას. სწორედ ამის შესატყობად მივიდა იოვანე აბიდოსის მმართველთან, ძველ ნაცნობთან და მეგობართან. ძალიან გაიხარა აბიდოსელმა სახელოვანი ქართველის ეგზომ მოულოდნელი წვევით, მაგრამ იქვე უაღრესად გაუკვირდა და განაწყენდა, როცა მან სტუმრის განზრახვა შეიტყო.

არასგზით მე შენი გაშვება არ შემიძლიაო, მტკიცედ და გადაჭრით განუცხადა ბერძენმა ქართველს. შენ, წმიდაო მამაო, ძალიან კარგად იცი, როგორი პატივისცემა და სიყვარული აქვთ ჩვენს კეისრებს შენი მაღალი ღირსებისა და ღვაწლმოსილებისაო. ამიტომ, თვითონ განსაჯე, რა სასჯელს დამატეხენ ისინი თავზე, უკეთუ მათ დაუკითხავად გაგიშვებ შენ ჩვენი ქვეყნიდან იმ ქვეყნის დასალიერ სპანიაშიო. მე მხოლოდ ის შემიძლია მეფეებს მივწერო შენი განზრახვა და, რასაც მიბრძანებენ, მეც იმას ავასრულებო.

სთქვა და ქმნა აბიდოსელმა. სასწრაფოდ წერილი აფრინა კონსტანტინოპოლს. პასუხიც ნასწრაფევად მობრუნდა. ახლავე ჩვენთან წარმოგზავნე იოვანე და მისი მხლებლებიო — ბრძანებდნენ ძმანი კეისარნი.

და მიიყვანეს საღვთო კონსისტორიონს (იმპერატორის სასახლეში) იოვანე და იოვანესნი.

პატივით შეხვდნენ კეისარნი, მოიკითხეს, მიუალერსეს და მერე, კრძალულად, საყვედურიც აკადრეს: წმინდანო მამანო, ჩვენ დიდი სიყვარული გვაქვს თქვენი სიწმინდისა და სისპეტაკისა, მაგრამ ეს რატომ ხდება, რომ ჩვენგან გარბიხართ და უცხო ქვეყანაში წასვლა და ცხოვრება აგირჩევიათ?

პაშინ წამოდგა და თქვა იოვანემ პასუხად, ვითარმედ:

„ღმრთისმსახურნო და თვითმპყრობელნო მეფენო! მე ადრე ერთი გლახაკი, ცოდვებით დამძიმებული ერისკაცი ვიყავი და გადავწყვიტე უცხოობაში გადავხვეწილიყავი, ნაცნობს არსად გადავყროდი და სამუდამოდ ყველასათვის ხორცით დაკარგულს, სული ჩემი მეცხონებინა. მაგრამ ეს ვერ შევძელ იმის გამო, რომ მოულოდნელად მოვიდა ჩემთან თორნიკე, ველარ მივატოვე იგი და ჩავვარდი მისი გულისთვის ისევ შფოთთა და შუღლით აღსავსე ერისკრებაში. ხოლო ახლა მაინც, როცა თორნიკე ამა ქვეყნიდან განსრულ არს, მინდა ვიყო ყოვლისგან თავისუფალი, წავიდე შორს და ვიზრუნო ოდენ სულისათვის“.

კეისრებმა სიტყვა ესე მოისმინეს, მაგრამ არ შეისმინეს. ჯერ კარგა ხანს თვითონ კონსტანტინოპოლს დაიტოვეს და არ გამოუშვეს, ვითარცა „კეთილი სტუმარნი“. მერე, ბევრი არწმუნეს და ბოლოს დაარწმუნეს, უკანვე, ათონზე დაბრუნებულიყვნენ და სპანიაში წასვლაზე ფიქრი საფიქრალიდან საბოლოოდ ამოეკვეთათ.

და დაბრუნდნენ ისევ მთაწმიდას მთაწმიდელნი, ხელმწიფეთაგან ნაალერსევნი და ნასაჩუქრალნი.

და დაკნინდა, და დაჭლექდა ფიქრი ერთმანეთისთვის დაკარგული „ორი საქართველოს“ კვლავ-ხილვისა და კვლავ-შეხვედრისა...

ვიდოდა ჟამი.

წავიდა თორნიკე.

მიდიოდა იოვანე.

მოდიოდა ეფთვიმე.

ნიკრისის სენმა შეიპყრო და შეხუთა იოვანე და სამუდამოდ დასცა სარეცელზე. საშინელი ტკივილები უჭამდა სახსრებს. მაინც იყო სულით მხიარული და მადლობდა უფალს, ეგზომ უსაშველო ტკივილები და ლმობანი რომ არგუნა ხორცსა მისსა. არ არსებობს ჩემთვის უფრო ძვირფასი საფასე,

ვიდრე ეს ხორციელი ტკივილებიო, ამბობდა იგი. გულწრფელად ამბობდა, სულის ზეიმით და მხიარულებით.

მაგრამ სასტიკი სენით სხეულგანკაფულს და მარად დარეცილს აღარ შეეძლო სატაძრო სამწყსოსა და სათვისტომოს მწყემსმთავრობა. და ევედრებოდა ეფთვიმეს, თავის ძეს, დრო დადგა და მიითვალე ივერონის მეთაურობა და მზრუნველობაო. ერთხანს უარობდა ეფთვიმე, უარისთვის შენდობას ითხოვდა და „ამქვეყნიურ შფოთთაგან“ განრინებას იმიზეზებდა. მაგრამ ბოლოს მიხრწნილი და სხეულდაშრეტილი მამის ვედრება მაინც უნდა შეეწყნარებინა და შეიწყნარა კიდეც. მან იკისრა ივერონის მზრუნველობა, ეკონომოსობა, მაგრამ მამის დაუკითხავად მაინც არაფერს წყვეტდა, არცა დიდსა და არცა მცირე გადასაწყვეტს.

იმავ ჟამს ათონელებმა შეიტყვეს, რომ „ოთხთა ეკლესიათა ლავრასა შინა“ დაყუდებულა ორი სახელგანთქმული საეკლესიო მამა — იოვანე გრძელის ძე და არსენი ნინოწმინდელი. და მისწერეს წერილები მათ იოვანე და ეფთვიმე ათონელებმა, ვითარმედ: „წმიდანო მამანო, გვეუწყა თქვენი სიწმიდე და მანდყოფნა თქვენი. ვართ გულკლებული, რომ არ ინებეთ მოსვლა და თქვენი წმიდა ლოცვის მოღება ჩვენს წმიდა და სახელოვან მთაზე, ათონზე. აწ ვევედრებით სიწმიდესა თქვენსა, რაითა მოხვიდეთ და ვიყოთ ერთად, ვინაითგან უწყით, ჩვენც თქვენებრ უცხოებასა ვართ“.

და მოვიდნენ ათონის მთაზე იოვანე გრძელისძე და არსენი ნინოწმინდელი. და იყო სიხარული დიდი მომსვლელთა და დამხვედრთა შორის. ეფთვიმემ ცალკე სენაკნი აუშენა მოსულ მამებს მათდა სადგომად და საცხოვრისად.

მალე ამის შემდგომ იოვანემ სიკვდილის მომთხვევა იგრძნო, შვილი წინ დაიყენა და ათონის სავანეთა წინამძღვრობა გადაულოცა. იყავ მამა და მამასახლისი და როცა გადადგე, მამასახლისობა გიორგის გადაეციო (ეს გიორგიც ყოფილა „თვისივე მათი, კაცი სახელოვანი და ფრთხილი ხორციელთა საქმეთა ზედა“). მერე, გიორგიმაც თავისი წინამძღვრობა იმას გადასცეს, ვინც ძმათა შორის სიტყვით და საქმით სხვათა უმჯობესი იპოვნოსო. და ასე მარადჟამს: ყოველმა წამავალმა მამასახლისმა ახალი ღირსეული დატოვოს თავის ადგილსაო. ახლა კი ეფთვიმე იქნება თქვენი წინამძღვარი, ხოლო

უკეთუ თქვენს შორის გამოჩნდება მშლელი ვინმე მამა ეფთვიმეს განგებულებისა და მაშფოთებელი საძმოთა თქვენთა, იყოს კრული, შეჩვენებული, განკანონებული და გაძევებული დაუყოვნებლივ, რათა იმ ერთი ვინმეს გამრყვნელი და მაკვდინებელი სენი არ გადაედოს სრულიად გვამსა საკრებულოსასა.


და უთხრა უკანასკნელი სიტყვა იოვანე ვარაზვაჩე-ყოფილმა ქართველთა სამწყსოს:

„სასურველნო და საყვარელნო შვილნო ჩემნო, უკეთუ ღვთის მცნებებით იღვაწებთ, საღმრთო წესითა და სჯულით იცხოვრებთ, წინამძღვართა თქვენთა უზაკველად დაემორჩილებით და ერთმანეთშიც მშვიდობით და ერთობით იქნებით, ღრმად მწამს ღმერთისა, არარაი სიკეთე არ მოგაკლდებათ. მაშ იყოს თქვენს შორის სიყვარული ღმრთისა, მორჩილება მამასახლისისა, სიყვარული ერთმანეთისა, განუკვეთელი ერთიანობა სათვისტომოისა თქვენისა“.

თქვა და ერთხელ კიდევ დალოცა ყველა, დალოცა ძე თვისი ეფთვიმე და მიესვენა მის მკლავებს. მიესვენა და დაიძინა ძილითა მარადიულითა.

და დაკრძალა ეფთვიმემ მამა ხორციელი და მამა სულიერი ლუსკუმასა, რომელშიც ესვენა უფროსი ძმა აღსრულებულისა, იოვანე-თორნიკე სვინგელოზი.

და ათონის სათვისტომოთა და სავანეთა დამაარსებელი ძმების სამარტვილეზე ეფთვიმემ აღაშენა ეკლესია წმიდა მთავარანგელოზთა სახელობისა.



ეფთვიმე მთაწმიდელი

ამ დღიდან, რა დღიდანაც უთხრა მამამ შვილს: ქართველთა ქვეყანა წიგნთაგან ნაკლულია და ეს სინაკლულე შენ უნდა შეუვსოო — მას შემდეგ გასულიყო ოცდახუთი წელიწადი, და ეს მეოთხედი საუკუნე, ჯერ კიდევ იოვანეს სიცოცხლეშივე, უკვე გამხდარიყო საუკუნედ „ეფთვიმე ათონელისა“, რადგან აქამდე ქართველთა შორის არავინ გამოჩენილა ეგზომ მძლავრი მეუფე ქართული სიტყვისა და აზრისა. თარგმნიდა და წერდა დაუცხრომლად. თარგმნიდა უმეტესწილ ბერძნულიდან ქართულად, უფრო იშვიათად — ქართულიდან ბერძნულად. უკვე ეთარგმნა ქართულიდან ბერძნულად „ბალაჰვარი“ და „აბუკურაი“. მაგრამ მთავარი სწორედ ეს იყო: როგორმე, რაც შეიძლება მალე შევსებულიყო აქამდე ღარიბი და ნაკლულოვანი ქართული საწიგნობელი. წერდა, თარგმნიდა და პირველი უთმინარი წამკითხველი და მკაცრი განმსჯელი იყო მამამისი იოვანე. მას უკან გადამწერლები გადაწერდნენ და გზავნიდნენ ქართულ მონასტრებსა და სავანეებში.

რაღა თქმა უნდა, ყოველი წიგნის პირველ ნუსხებს ეფთვიმე გზავნიდა საქართველოში, მეფე დავით კურაპალატის მისართმევად და მისი შეხედულებისამებრ დასაბინავებლად.

„მადლი ღმერთსა, რომელმაც ჟამთა ჩვენთა ახალი ოქროპირი გამოგვიჩინა!“ — აღტაცებით იძახდა დავით მეფეთამეფე.

ეფთვიმეს თარგმანება არ იყო ოდენ ბერძნულიდან ქართულად გადმოღება თხზულებისა. არამედ იგი იყო დამოუკიდებელი ქართული გააზრება ქართველისთვის უცხო ტექსტისა, გააზრება უმაღლესი სიტყვათხელოვნებით, თავისუფალი

მიმოქცევით, როცა თარგმნილის ენა და გააზრება უფრო შთამბეჭდავი და შთამაგონებელია, ვიდრე ენა სათარგმნისა.

წესი მისმიერი თარგმანისა იყო წესი „შემატებისა და დაკლებისა“ (ვითარცა იტყვის შემდგომში დიდი ეფრემ მცირე), ქართული სიტყვიერებით გამდიდრება ან გამარტივება სათარგმნელი აზრისა.

და ესე — ამძლავრებდა თარგმნილს სათარგმნზე ეფთვიმე ათონელი.

და ეს ყოველივე მიღწეული იყო ჯერ კიდევ მამამისის, დიდი იოვანეს სიცოცხლეში. ახლა კი, იოვანეს შემდგომ, იდგა ათონის მთაზე წმიდა ჟამი ეფთვიმე ათონელისა — განათლებული, დაწმენდილი, დამწვისებული და დაჯიშებული ქართული სული.

დღე და ღამე განიადაგებით ენთო, იწვოდა, ანათებდა და იხარჯებოდა ღმრთისაგან „რწმუნებული იგი ტალანტი“.

იოვანეს აღსრულებიდან თოთხმეტი წელიწადი წინამძღვრობდა ეფთვიმე ათონის ქართველთა სათვისტომოს, სამას სულ ქართველს.

ამას გარდა, ათანასე დიდის ანდერძით ეფთვიმე იმავე დროს იყო „სულიერი ეპიტროპი“ ბერძენთა სავანისა.

და ყოველივე საურავნი, ქართველთა თუ ბერძენთა, მის მიერ იურვებოდის.

და ყოველივე ამასთან, მთავარი, რაისთვისაც მოწოდებული იყო ტალანტი მისი, ღვთისგან რწმუნებული — თარგმნა, წერა, განუწყვეტლივ და განუცადებლად, ღამისთევით, „რამეთუ უფროსნი წიგნნი ღამით სანთლითა უთარგმნიან“.

უმაღლეს გოდოლზე იყო სამყოფელი მისი და მთელი ღამენი სანთელი კრთოდა იმა გოდოლიდან.

ღამენათევზეც დილით ადგომას ვერავინ დაასწრებდა. ვერც ცისკრის ლოცვაზე მიასწრებდა ვინმე. პირველი შევიდოდა და პირველი დადგებოდა, ხელში უკვერთხოდ და კედელზე ხელმიუბჯენლად, და ვერც ვერავინ იკადრებდა კედელზე მიყუდებას ეკლესიაში წირვა-ლოცვისას, დაჩურჩულებასაც ვერავინ გაბედავდა. თუ რაიმე სათქმელი იყო, თვითონ გაიწვევდა უხმოდ, ოდენ ხელის შეხებით, და განცალკევებულს ეტყოდა სათქმელს, სხვისგან იდუმალ.

მოხუცებაში დაღრმავებულსაც არ უკადრებია სალოცავში

არგანით შესვლა. ვერც ვერავინ შევიდოდა. ოღონდ დაუძლურებულ ძმათათვის დაეწესებინა ეკლესიის ერთ შტოზე კვერთხებით დგომა, ხოლო სრულიად უძლურთათვის ცალკე სკამებზე ჯდომის უფლება დაერთო მოძღვარს.

ცისკარზე დაგვიანებულს, ან სულაც თავარიდებულს, დაუსჯელს არ დატოვებდა. მათგან, ახალგაზრდებს საკურთხევლის წინ ასჯერ მუხლს მოაყრევინებდა, უფრო ხანდაზმულთ ღვინობას და უსაჭმელობას განუწესებდა.

უაღრესად ყოვლისა ძმათა შორის შფოთსა და მტრობას ებრძოდა თავგამოდებით ეფთვიმე. უკეთუ ქართველები ერთმანეთს მიეტევებოდნენ წვერთა გლეჯით, ხელის შემოკვრით, ან ფეხის მიწიხლვით — მწარე იყო კიცხევა მისი, მწარეზე მწარე. რას სჩადიხართ, ქართველნო, რად უჭამთ ერთმანეთს გულსა და სულსა? შეხედეთ ბერძენთ, როგორ უდგანან მხარში ერთმანეთს; შეხედეთ ლათინთა, როგორ უალერსებენ სულსა ერთმანეთისასა (ეს ლათინნი, რომიდან მოსულნი, იოვანეს შემოესახლებინა ათონზე თავის სიცოცხლეშივე — ჩვენცა უცხონი ვართ, თქვენცა უცხონი, მოდით დასახლდითო, მისძალებია უცხოს ქართველი, და დაუსახლებია და დაუსაძოვრებია კიდეც. მას მერე იყვნენ ლათინნი მთაწმინდაზე, იყვნენ და მრავლობდნენ...); ასე რად გემართებათ, ქართველნო, ყოველივე უცხო რომ მობაძვად აგიჩემებიათ, ხოლო საკუთარი სისხლისა და ნათესავის სიყვარული მათგანვე რად აღარ მოგიბაძავთ?

ჩვეად ჰქონდა: შვიდეულის სამ დღეს — ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს — თავის სენაკსა იჯდა წერად და ლოცვად, სრულად მარხული და მზის ჩასვლისას მიიღებდა ოდენ პურს და წყალს. დანარჩენ დღეებს კი საძმო ტრაპეზზე მიდიოდა. თვინიერ ქამის წირვის, ანუ რომელიმე დიდი დღესასწაულისას, ღვინოს არ დალევდა. ოღონდ ძმათათვის ტრაპეზზე ჩამოდგმულ თასთაგან ღვინოს პირის დადებით გასინჯავდა და უკეთუ ღვინისა და წყლის ნაზავი მოეწონებოდა, არაფერს იტყოდა, თასს უხმოდ დადგამდა. მაგრამ თუ წყალი მეტი მოეჩვენებოდა, ან ძმრის გემო მოერთვებოდა, ტრაპეზის შემდგომ მევაჟინეს გაინაპირებდა და ჩუმად ეტყოდა:

„ძმაო, ამათ ძმათა საგემოვნოდ ტრაპეზის გარდა რა დარჩენიათ და შენ კიდევ ღვინოს რაღად გაურყვნი? უკეთუ ღვი-

ნო მსუბუქია, წყალს რაღად ურევ, ან ძმარს რად ჰკადრებ ძმათა შენთა?“

არც კიდევ თვითონ თავისას მანამ პირს არ დააკარებდა, სანამ საძმო კერძს არ გაუსინჯავდა გემოს. გაუსინჯავდა და უკეთუ ზეთი აკლდა, კელარს დაუძახებდა და დაამატებინებდა ზეთს, ანთუ კერძი უმგბარი იყო, ან უმარილო, ან ზედმეტ მარილიანი, ტრაპეზის ბოლოს მზარეულს დაიუბნებდა და ეტყოდა:

„სამსახურს შენსას ღვთის შიშით უნდა იქმოდე, ძმაო, და ნუ იტყვი, რომ ოდენ კაცთა ემსახურები, არამედ ისე მიიჩნიე, ვითარცა ღვთის ანგელოზებს ემსახურებოდე!“

და ისხდნენ ტრაპეზსა ზედა „ღვთის ანგელოზნი“, ჭამდნენ და სვამდნენ უხმოდ, უბრად, რადგან ესეც წესად ჰქონდა მოძღვარს — მათ შორის რომ ქრისტესავით ჩამჯდარიყო; იშვიათად ვინმე თუ სიტყვას ჩურჩულით წაიცთუნებდა, წყალს ან ევლოგიას როცა გადააწოდებდნენ ერთურთს. თუ რამ საჭირო გახდებოდა, თვითონ მოიხმობდა თვალის მინიშნებით მოძღვარი მოწაფეს, ჩუმად ეტყოდა და გაუშვებდა ეგრევე უხმოდ აღსასრულებლად.

მეტრაპეზესთვის საგანგებოდ დაეწესებინა წმიდა მამას: უკეთუ ვინმე იხილო ლაპარაკად, სიცილად, გინა ლაღობად ტრაპეზსა ზედა, უთხარი ჩუმად: მაგას ნუღარ იქმ, თუ არა, მამას გაუწესებია რომ გარეთ გაგიყვანო!“

თუ სიტყვით, თუ კალმით, თუ საქმით დაუცხრომელი — „ყოველ საქმესა მეცნიერ იყო სამგზის სანატრელი მამაი ეფთვიმე“. იყო მშენებლებთან, გალატოზებთან და თვითონაც აშენებდა და გალატოზობდა; იყო მიწის მხვნელმთესველებთან და თვითონაც ხნავდა და თესავდა; იყო მევენახეებთან და თვითონაც მეზვრეობდა; იყო მჭედლებთან და თვითონაც სჭედდა და ჰკვერავდა. ყოველი დიდი და მცირე მოსაქმეობის მცოდნე, მოსაქმე და უტყუარი განმსჯელი იყო.

სიცრუის, დაბეზღების, ნატყუარი ამბის დაუცხრომელი მტერი იყო. მოხსენებად არავინ მკადროს, უკეთუ მოსახსენებელი ზედმიწევნითი სინამდვილით არა იცოდნენო. მძიმე განკანონებას და საძმოდან გაძევებას ვერ გადურჩებოდა სიცრუისად ენის მრხეველი, ვერცა მაბეზღარი, ვერცა ცილისმწამებელი.

ყოველ ძმაზე ყოველივეს თვითონ ზრუნავდა და იურვებდა ნემსიდან ძაფამდე. არც-რა ყიდვა-გაყიდვა, არც-რა რეწვა-მორეწვა, არცა-რა მოგება-წაგება მოძღვრის უნებურად და დაუკითხავად არ დაიშვებოდა. ხოლო, უკეთუ ამ მცნებას ვინმე გადაუხვევდა — ვინმე მისგან ნამალევად რაიმეს მოისაკუთრებდა, ან რაიმე საფასეს, ან რაიმე სამოსელს იყიდდა — ამნაირ სულმოკლეს ფიცხლავ ამხელდა, განაკანონებდა, ხოლო მის მონაგებს საგანგებოდ დანთებულ კოცონზე დასწვავდა.

იყო ერთი მთავარდიაკონი, ღირსეული კაცი, წარჩინებული გვარისაგანი, რომელსაც მრავალი საფასე შეეწირა მონასტრისათვის, მაგრამ ერთი კვართიც თავის შესამოსლად დაედო ეკლესიას და მკაცრად აეკრძალა კიდევ ვისმეს ეხმარა კვართი იგი წირვა-ლოცვისას.

შეიტყო ეს მამა ეფთვიმემ; გაიხმო ცალკე მთავარდიაკონი იგი და ჰკითხა:

„მითხარ ჰეშმარიტი, რაი დაგიტევებიეს სოფელსა შინა?“

„წმიდაო მამაო, კარგად მოეხსენება შენსა ღირსებასა, რამეთუ მშობელნი და ძმანი და საფასენი და მონაგებნი არამცირედნი დამიტევებიან. და ამას გარდა, რაც კი შენს წმიდათა ხელთა მომიცია, თვითონვე უწყი“, — მიუგო მთავარდიაკონმა მშვიდად და დინჯად.

„მერე, შვილო ჩემო, გნებავს რომ მაგოდენა მადლი და სასყიდელი ამ ერთი კვართისათვის წარიწყმიდო?“ — ჰკითხა ეფთვიმემ და მიუთითა იმ კვართისაკენ.

ამის გაგონება და — „ნუ იყოფინ, მამაო!“ — იბღავლა მთავარდიაკონმა, მაშინვე მორჩილს ცეცხლის მოღება უბრძანა, ის კვართი ცეცხლზე დააგდო და თვითონ ეფთვიმეს მუხლებში ჩაუვარდა და შენდობა სთხოვა.

და ასევე იწვოდა ყოველი შესამოსელი და სხვაი კერძო რამ სახმარი, რომელსაც პატრონი თავისი ქრისტემიერი ძმისთვის არ გაიმეტებდა.

„აკი ბრძანებულ არს სულთა ჩვენთა დადება ძმათა ჩვენთათვის, ხოლო შენ შენს ძმას განხრწნად რაიმე საქონელს არჩევ და ღვთის გმობისა არ გეშინია?“ — ეტყოდა შენდობის წინ ცოდვილს რისხვეული სიწყნარით წმიდა მოძღვარი.

თვეში ორჯერ ან სამჯერ, კვირაობით, სულის მარგებელ სწავლად შემოიყრიდა სრულიად სამწყსოს მწყემსი ქეთილი. და სიტყვა მისი, და თხრობა მისი — იყო, ვითარცა სიტყვანი და სწავლანი ქრისტესი მთასა თაბორისასა, ანდა მთასა ელეონისასა.

და ასწავლიდა მწყემსი იგი სასმწყსოსა თვისას — სიყვარულისთვის და სიმდაბლისა, მორჩილებისთვის და კრძალულებისა, სიმშვიდისთვის და უშფოთველობისა, მოთმინებისთვის და მსახურებისა და მოსწრაფედ მოსვლისათვის ეკლესიად, და სხვა ყოველთა წესთა მხურვალედ აღსრულებისათვის. და იტყოდა ბოლოს, ვითარმედ:

„ესრეთ ვიხარკოთ, ძმანო ჩემნო, რათა შეკრება ჩვენი ამა წმიდასა ადგილსა არ იყოს ფუჭი, ამაო და არცა ამაოდ ყოფილიყოს განსვლა ჩვენი ამა სოფლიდან“.

და ისევ მიმართავდა სულთა მკურნალი ხორცისაგან სულდაკნინებულთ, ვითარმედ:

„ჯერ იყო და, ტრაპეზის გარდა არარას ვეძიებდით, რადგან უწყით როგორი ვიწროობით განვლეს თავიანთი ცხოვრება ყოველთა წმიდა კაცთა, რომელთაც წყლით განძღომაც არ უკადრებიათ სულთა თვისთათვის. ხოლო ჩვენ, სავსენი ყოვლითა ცოდვითა, აღარც ტრაპეზს ვკმარისობთ, დღეში ორგზის, სავსეს ღვინით და საჭმლით. კმა არს ჰეშმარიტად, და ნამეტნავ!“

და აკრძალული იყო ტრაპეზის გარდა შეძენა ღვინისა, ან თევზისა, მით უფრო სხვა სახსნილო საჭმელისა. შემოტანა შეიძლებოდა ოდენ სასინათლე ზეთისა და ისიც მხოლოდ მწერალთათვის და მკითხველთათვის. სხვას კი არც კანდელის უფლება ჰქონდა, არც ხატთა და ჯვართა ცალკე საკუთრებად დასვენებისა. ხოლო უკეთუ ვისმეს მოახელებდნენ ღვინისა და ზეთის მყიდველს, თვინიერ წმიდა მამის ნებართვისა, მაშინვე იმ ღვინოსაც და ზეთსაც წაართმევდნენ და ავლინში გადაუთხევდნენ.

თვინიერ უკიდურესი უძლურების მქონისა, ვერცა ვერავინ ზედმეტ საჭმელს მოიმზადებდა. შედიოდა სამზარეულოში წმიდა ეფთვიმე და უკეთუ ცეცხლის განაკიდეს მდგარ რაიმე კოჭობს იხილავდა, მზარეულს ჰკითხავდა, ვისი რა იხარჯებაო; უკეთუ უძლური ვისმესი აღმოჩნდებოდა, თავს დაანე-

ბებდა, ხოლო თუ ნატრაპეზევისა და ნაყროვანისა, უბრძანებდა და იმ „დამატებით შეჭამადს“ ან გარეთ გადააქცევინებდა, ან საერო მუშაკთა ქვაბში ჩაასხმევინებდა.

იჯდა — წერდა ეფთვიმე, ან ეკლესიათა თხუთმეტ მამასახლისს ეთათბირებოდა, იდგა — უქმად დგომა წუთითაც არ წარმოედგინა. წერისაგან დროს დაიცემდა თუ არა, სამეურნეო საქმეებს გაუხდებოდა: „გინა თუ ნავის გამოზიდვას, გინა თუ ნავი მოვიდის ხვარბლითა, გინა თუ ვენახის ასარვასა, გინა თუ აჯოჯვასა, გინა თუ სთვლობასა. რამეთუ ახალნერგ იყვნეს წუთღა ვენახნი, ყოველთა სარითა განგებაი უნდა, და უფროისნი დღენი ვენახთა შრომასა შინა დაყვნიან. და ყოვლადვე მამაი ეფთვიმე მათთანვე იყვის, თვინიერ დიდისა მიზეზისა“.

სახით ჰყუდრო და წყნარი იყო მამა ეფთვიმე, გულით წრფელი, გონებით განათლებული, გვამით მძლავრი. ეკლესიასა დგომასა მხნე, რამეთუ (ვითარცა ითქვა) იდგა იგი ყოველთვის თვინიერ კვერთხისა, ვითარცა სვეტი შეურყეველი.

თვალები ჰქონდა მუდამ მაღლივ მხედველი.

თვინიერ ღმერთისა, არავინ უწყის ყოველივე, რასაც იგი აღასრულებდა სენაკსა მდგომარე; არავინ უწყის, რამეთუ ყოველივეს იგი აღასრულებდა ფარულად და მხოლოდ საკუთარ სულთან განბჭობით.

სამოსელი მისი — ძაძაი შავი, ხოლო ძაძასა ზედა — ჯაჭვი მძიმე, სხვათათვის აღუზიდავი.

სიწმინდე მისი სხეულისა — უბიწოება ქალწულობისა, ვითარცა ცათა შინა ანგელოზისა.

მარად საშური მისი სულისა — თარგმანება „ტკბილისა მის თაფლისა — წიგნთა საღმრთოითა“, და მათი მეოხებით ცოდნათა და სათნოებათა დანერგვა ქართველთა შორის.

თოთხმეტი წელიწადი იწინამძღვრა მამა ეფთვიმემ ათონის წმიდა სავანეებზე. მას უკან მიადგნენ წმიდა ბერნი — არსენი ნინოწმიდელი და იოანე გრძელიძე — და ურჩიეს გადამდგარიყო წინამძღვრობიდან. ურჩიეს, რადგან ხედავდნენ ისინიც და სხვანიც ყოველნი, უამრავი სამეურნეო საზრუნავი მას ძალიან უშლიდა ხელს სამწერლობო საქმიანობაში.

და გადაულოცა ეფთვიმემ წინამძღვრობა ათონის სავანეებისა გიორგი ხუცესს — იმ გიორგის, რომლის აღზე-

ვებასაც იოვანე თვითონ უბარებდა ანდერძად თავის ძეს.

თვითონ კი ეფთვიმე დაჯდა ისევ თავის სენაკში და უმეტესი გაცხოველებით განაგრძო წერა და თარგმანება ყოველთა წიგნთა საღმრთოთა და საეროთა.

წინამძღვრობიდან ეფთვიმეს გადადგომა სასიკეთო აღმოჩნდა ქართული საწიგნობელის გაზრდისა და განვრცობისათვის, მაგრამ ფრიად საზიანო თვითონ სატაძრო და სათვისტომო ცხოვრებისათვის.

ერთბაშად მოიშალა წმიდა მთაზე იოვანესა და ეფთვიმეს კეთილგანგებულება. ქართველებმაც და ბერძნებმაც, ეფთვიმეს მტკიცე ხელთაგან თავდახსნილებმა, ათონის მთაზე ისევე აიწყვიტეს, ვითარცა სინას მთასთან მოსესგან დროებით თვალმიფარებულმა ებრაელებმა.

და „იწყეს თავხედობად და ამბოხებად და წინამძღვართა ზედაისზედა ცვალებად. და უმეტეს და უმეტეს აღორძინდებოდა ამბოხებაი მათი“.

ყოველივე აცნობეს მაშინდელ კეისარს, კონსტანტინე მერვეს.

კონსტანტინე კეისარს ქართველები მაინცა და მაინც გულზე არ ეხატებოდა, მაგრამ ეფთვიმე ათონელისადმი კი „დიდი სარწმუნოებაი და სიყუარული“ ჰქონდა. და მიიწვია კონსტანტინე კეისარმა კონსტანტინოპოლს ეფთვიმე ათონელი.

აემზადა წასასვლელად ეფთვიმე. „შეკრიბნა ძმანი ყოველნი და ნუგეშინი სცა და ტაბლაი კეთილი განუმზადა და ლოცვასა დაეგედრა“. ტაბლას რომ მორჩა და მეტაბლენი გაისტუმრა, იგი წავიდა თ ე ო ფ ა ნ ე ხუცესთან.

ძლიან უყვარდა მას თეოფანე ხუცესი, რადგან თეოფანე „სიყრმითგან აქა აღზრდილი იყო და ყოვლითა სათნოებითა განშვენებული იყო. და იყო იგი მღვდელი სათნოი უფლისაი და სწავლული ფრიად და ხელოვნებით მწერალი წიგნთა“. ამისათვის უყვარდა ეს სათნო ბერი ეფთვიმეს და, იოანე გრძელიძისა და არსენი ნინოწმიდელის აღსრულებათა შემდეგ, თეოფანეს ეთათბირებოდა ყოველ დიდ საქმეზე ეფთვიმე.

და ახლაც შეხვდა, კონსტანტინოპოლს გამგზავრების წინ.

და იყვნენ ერთად, ჯერ სიტყვითა ოდენ შინაგანმდებარითა, უხმოითა, ანუ მდუმარე სულის მიმოქცევითა. ხოლო,

დამშვიდობების დრო რომ დადგა, მოეხვია თეოფანე ეფთვიმეს, ცრემლი აღუტევა და უთხრა, ვითარმედ:

„ვაიმე უბადრუკსა, რამეთუ აღარასოდეს გიხილო შენ ხორციელად, ჰოი წმიდაო მამაო!“

„ჭეშმარიტ არს!“ — კვერი დაუკრა ეფთვიმემ და წამოვიდა.

ის კი არცერთს აღარ უთქვამს, უადრეს რომლის ხორციელი აღსასრული იგულისხმებოდა იმათ ნათქვამში...

და მივიდა ღმერთშემოსილი ეფთვიმე ქართველი კონსტანტინოპოლს. მაშინვე მიიწვია იგი კონსტანტინე კეისარმა და შეხვდა სატახტო კონსისტორიონს. შეხვდა და „დიდითა პატივითა მოიკითხა იგი და გამოჰკითხა საქმე ლავრისაი“. იმ დღეს ყოველივე „გამოკითხვით“ გათავდა. საქმის საბოლოოდ „დასაურვებლად“ დღეები დღეებს გადაება...

იოანე ღვთისმეტყველის დღესასწაული ჩამომდგარიყო, ეფთვიმემ ეს დღეც გარდაიხადა, მრავალი გლახაკი და უპოვარი განაძღო კონსტანტინოპოლს. თანამხლებ მონაზვნებს და მოწაფეებს ევლოგია ჩამოურიგა და ერთი მათგანი იოანე მახარებლის ხატის მოსაკითხად გაგზავნა. ეს ხატი კონსტანტინოპოლს ჩამოსვლისთანავე მიებარებინა მხატვრისათვის, ასაღორძინებლად და მოსაკაზმავად.

მოწაფე რომ წარგზავნა მერე იფიქრა მაინც ისა სჯობს ჩემის თვალით ვიხილო ჯვარიც და მხატვარიცო და მორჩილს უბრძანა, ჯორი გამიმზადე, შვილო, სამგზავროდო.

ჯორი იგი ახალი ნასყიდი იყო და მისი ზნისა და უზნეობისა არავის რამე სცოდნოდა. როცა შეკაზმეს და წმიდა მამა ზედ შესვეს, მაშინვე გაფიცხდა და გაოჩნდა ჯორი. მაგრამ ეს არავინ ჩააგდო რამედ, რადგან მხედარმა მაშინ იოლად დაიურვა და დასძრა პირუტყვი. მოწაფეებიც გაჰყვნენ მოძღვარს.

ერთხანს მშვიდად ვიდოდნენ. წმიდა ეფთვიმე რაღაც მძიმე ფიქრებში ჩაძირულიყო და მოშლილად იჯდა უნაგირზე. ხანდახან გზაზე, აქა-იქ ჩასაფრებულ მათხოვართა შეძახილი თუ გამოაფხიზლებდა — მოიღეთ მოწყალებაო — და ისიც წამიერად ფიქრთაგან გაყრილი წყალობას გასცემდა და ისევ ფიქრთა საუფლოში იძირებოდა.

გზამ მოუხვია. მოსახვევში შაოსანი მათხოვარი ჩამჯდა-

რიყო. ღვთის გულისათვის, მოიღეთ მოწყალებაო, და წამოიწია მათხოვარმა. აიწყვიტა ჯორმა უეცრად მოვარდნილი შავი სხეულისგან დამფრთხალმა და გაგიჟებულმა. მხედარი მოწყდა და გადმოეშვა. მონაზონნი და მოწაფენი საშველად მოილტვოდნენ. ადამიანთა წრეში მოქცეულმა პირუტყვმა წრეშივე მიმოქცევით რამდენჯერმე დაწიხლა ძირს დაცემული ადამიანი.

ეფთვიმე უკვე მკვდარი იყო.


აუარებელი ხალხი მივიდა იოანე მახარებლის ეკლესიაში, სადაც ესვენა დიდებული მოხუცის ცხედარი. კეისარი კონსტანტინე მერვე ფრიად შეეწუხებინა წმიდა ეფთვიმეს დაღუპვას და, რადგან თვითონ ავადმყოფობის გამო ლოგინად იყო, მოსამძიმრეთა გუნდი გამოეგზავნა, უმაღლესი პრიმიკოსის წინამძოლობით. „და ეგრეთვე მოქალაქეთა, დიდებულთა და მთავართა და პალატისათა დიდი სარწმუნოებაი და სიყვარული აქვნდა. და ყოველნი მოვიდოდეს და ცრემლითა ილტობვოდეს და ამბორს უყოფდეს და წარვიდოდეს“.

და წაასვენეს ათონის მთაზე წმინდანი იგი.

და დაკრძალეს „სამარხოსა ლუსკუმასა, ტაძარსა შინა წმიდისა იოანე ნათლისმცემლისასა“.

დაიტირეს და დაკრძალეს სხეული მისი.

ხოლო, სული მისი — „წარვიდა წინაშე ღმრთისა ნათელსა მას მიუჩრდილებელსა, ყოველთა თანა წმიდათა, რომელნი საუკუნითგან სათნო ეყვნეს ღმერთსა“...



გიორგი მთაწმიდელი

1009 წელს, თრიალეთში, დაიბადა ათონურ-ქართული სარწმუნოებრივი და ლიტერატურული სკოლის კიდევ ერთი მნათობი — გიორგი მთაწმიდელი.

მამამისი, იაკობი, წარმომავლობით სამცხელი იყო და ჭაბუკობითვე მსახურობდა საქართველოს მაშინდელი მეფის, გიორგი პირველის კარზე. ერთ დღეს მეფეს იგი სპარსეთს წარეგზავნა, რაღაც იდუმალი დანაბარებით. სამხრეთით მიმავალი იაკობი თრიალეთში, ერთ ოჯახში ჩამომხდარა ღამის სათევად. ოჯახი იგი აღმოჩნდა აღსავსე სათნოებითა და ღმრთის სიყვარულითა — ცოლ-ქმარი და მათი ერთადერთი ასული, სახელად მარიამი. „ხოლო, იაკობ, იხილა რაი შვენიერებაი მარიამისი, ნანარი იგი და დაწყნარებული ქცევაი მისი და განკრძალული სახე“ — სთხოვა დედას და მამას მარიამისას: შემინახეთ შვილი თქვენი კეთილად და, უკეთუ დავბრუნდე მე მშვიდობით, მწადია ვიქორწინო მასზე ქორწინებითა წმიდითა და დავემკვიდრო თქვენთანვე საცხოვრისადო. ქალის მშობლები დათანხმდნენ. იაკობი სპარსეთს წავიდა, იქიდანაც მშვიდობით დაბრუნდა, მეფესაც ნაბრძანები აღუსრულა, მისგან ნამადლიერევი თრიალეთს ჩავიდა, მარიამზე ჯვარი დაიწერა და იქვე დარჩა მარად საცხოვრებლად.

სიყვარულის წლისთავზე შეეძინათ ასული, რომელსაც უწოდეს თეკლა, სახელი ქალთაგან პირველმოწამისა. შვიდ წლის თეკლა სამცხეს წაიყვანეს, სადედო მონასტერში, და აღსაზრდელად მიაბარეს საბაიას, ტაძრისის დედათა მოძღვარს.

მეორე შვილი მარიამსა და იაკობს ეყოლათ ვაჟი, სახელად თევდორე.

მესამეზე ცოლ-ქმარმა აღთქმა დასდო: უკეთუ ისევ გვეყოლოს ძე, შევწიროთ იგი ღმერთს, „რამეთუ ვერძისაი ჯერ არსო შეწირვად“.

და იმ ღამით ძილში უცხო ჭაბუკი გამოეცხადა მუცლადღებულ ქალს, ჭაბუკი სახეზე მზეგადაფენილი, და განუცხადა ზენაარი ხმით: „აჰა, ესერა, ჰშობე ყრმაი წული, ვერძი რჩეული ღმრთისაი, შეწირე იგი მისსა, რომლისადა აღგითქვამს, და სახელი უწოდე გიორგი!“

გაიღვიძა ქალმა, შიშითა და სიხარულით გაოგნებულმა, აცნობა ქმარს უცნაური ძილისშორისი და ორივემ ერთად, ლოცვით, ვედრებით, ღაღადისით, ისევ მრავალგზის აღთქვეს აღთქმა იგი — შეწირვა ძისა ღმრთისა მიმართ.

და დაიბადა გიორგი, „ტარიგი ღმრთისაი“.

...შვიდი წლისა რომ გახდა, ისიც ტაძრისის მონასტერს წაიყვანეს აღსაზრდელად, მის უფროს დასთან, თეკლასთან. აქ, სამი წლის მანძილზე, „ვითარცა ახალნერგი შვენიერი, იზარდებოდა მონასტერსა მას შინა და ისწავლიდა წერილთა საღმრთოთა“. ათი წლისა ტაძრიდან წამოიყვანეს და მიიყვანეს ხახულს. სადაც მაშინ მოღვაწეობდა მისი ორი ბიძა, იაკობის უფროსი ძმანი — გიორგი და საბა. (გიორგის „მწერალს“ ეძახდნენ, რადგან ადრე მწერალთ-გამგებლად მსახურობდა მეფე დავით კურაპალატის კარზე).

და შეხვდნენ ხახულის სავანეში ყრმა ძმისწულს გიორგი „მწერალი“ და საბა „წრფელი და უმანკო“. შეხვდნენ, ძმისგანვე სიყვარულით. ჩაიბარეს და მეორე დღეს წარუდგინეს ხახულის მთავარი ლავრის წინამძღვარს, მამა მაკარის.

განაცვიფრა ყრმა გიორგის ხილვამ წინამძღვარი, — ჭეშმარიტად უფლისგან ხელდებული არისო და მაშინვე აკურთხა კურთხევითა წრფელითა, მაშინვე საეკლესიო ევლოგიის მონაწილედ ჰყო და თავის სულიერ შვილად გამოაცხადა.

ხახულის სავანეში იმჟამად იღვწოდა დიდი ბასილი, ძე მეფე ბაგრატ მესამისა, ძმა მეფე გიორგი პირველისა, ფილასოფიასა და ღვთისმეტყველებასა შინა ზედმიწევნილი, მთარგმნელი სხვათა ენათაგან ფრიად კეთილი, და რიტორ-მომთხრობელი, და მაღალ სიტყვათა ზედან დამთხზველი, მონოზო-

წებათა სრული, და განმანათლებელი ეკლესიებთა, რომელსაც უწოდეს ქართველთა ეკლესიათა სამკაულად".

და მიჰგვარეს ბასილი დიდს ახალი მოწაფე. და იმანაც განიხარა ჭისი ხილვით, სიხარულითა დიდითა. განიხარა და აკურთხა კურთხევითა წმიდითა.

მას უკან კიდევ ღმერთშემოსილმან ანტონი წმათემან აკურთხა გიორგი, ყოვლითა კურთხევითა. ხოლო, ანტონი იყო „ღვთისმეტყველ-ფილასოფოსი და მთარგმნელი წერილთა, უბნობასა შინა მჭევრმეტქვი, და მშვენიერი მთხზველი, და მქადაგებელი, რომელიც იწოდებოდა დიდ მეცნიერად".

ბოლოს, ერთად შეიყარა უხუცეს სამღვდელოთა საკრებულო და იწყეს ბჭობად, ვისთვის მიეცათ სამოწაფოდ მათი ახალი, შვილად აყვანილი ყმაწვილი. და გადაწყვიტეს: ყველაზე ღირსეული, ღმრთივსულიერი, მწყემსი კეთილი, რომელიც ახალ მოწაფეს „სწავლის სძესაც" უხვად შეასმევდა და სათნოებითაც უაღრესად განასრულებდა — იქნებოდა ი ლ ა რ ი ო ნ თ ვ ა ლ ო ე ლ ი. (ილარიონი ადრე თ ვ ა ლ ი ს მონასტერში მოღვაწეობდა. ანტიოქიის ახლოს. მერე იქიდან წამოსულა, „თვალოელის" სახელით, და ხახულის სავანეში დავანებულა). და „მას ჟამსა, ვითარცა მთიები, ბრწყინავდა კრებულთა შორის მამათასა" ილარიონ თვალოელი. იყო იგი „სიბრძნის-მოყვარებასა შინა სრული, სათნოებისა სარკე და მმარხველთა კანონი".

და სწორედ ილარიონ თვალოელს შეჰვედრეს სამოწაფოდ სულიერი შვილი თვისი წმიდა მამებმა. და შეიწყნარა „უმაღლესი სათნოებითა და სულიერთა მოძღვრებათა შინა განთქმულმა" ილარიონმა თანამოღვაწე სამღვდელოთა თხოვნა და მიიღო გიორგი მოწაფედ და შვილად თვისად.

განვლო მცირე დრომ და ისევ, იწყო ხმამ მიმორხევა: არც არავინ არს, არც ყოფილ არს და არც იქნებიეს ბადალი გიორგისი, არცა ნიჭის სიმაღლით, არცა გულის სისრულით, არცა სულის სიმძლავრით და არცა ზნეკეთილობით.

საკვირველი სისწრაფით სწავლობდა და ითვისებდა ენებს — ბერძნულს, არაბულს, სომხურს. საოცარი ძალტევადობით ისრუტავდა მისი მძლავრი გონება ყოველივეს, დაწერილს თუ ზეპირად წარმოთქმულს. სასწაული იყო მისი ხსოვნითი სისრულე. უნდოდა თუ არ უნდოდა, ყოველივეს

საუპიროდ ინთქავდა მისი გონება — საღვთისმეტყველო წერილნი ყოველნი, ძველი და ახალი აღთქმანი, კანონნი სჯულისანი, ქადაგებანი, საგალობელნი, საწელიწდონი, ძლისპირნი...

ამასობაში ისე მოხდა, რომ ყრმა გიორგის უფროსი ბიძა, გიორგი „მწერალი“, თავის სახლში მასწავლებლად და აღმზრდელად მიიწვიეს ფერისის ჯოჯიკის ძემ და მისმა მეუღლემ. ფერისი იყო ძე იმ სახელოვანი ჯოჯიკისა, რომელიც თანასარდლად ახლდა თორნიკე ერისთავს ბარდა სკლიაროსთან ძლევამოსილი ბრძოლის ჟამს. ხოლო, თვითონ ფერისი, ექვსი ათასი რჩეული მხედრით, მხარში ედგა მთავარსარდალ გაბრიელ ოჩოპინტრეს ძეს, როცა (998 წ.) ქართველებმა სრულად გაანადგურეს მამლან ამირა და მისი მრავალრიცხოვანი სარკინოზული მხედრობა. ფერისს ცოლად ჰყავდა მეფე ბაგრატ მესამის ასული, ანუ მეფე გიორგი პირველისა და დიდი ბასილი ხახულელის დაი, რომელზეც მაშინ ამბობდნენ: ეს დიდებული დედაკაცი ღმრთისმსახურებით მის ძმას, ბასილი ნეტარს, არც კი ჩამოუვარდებაო.

და ცხოვრობდნენ მაშინ დაბა ტვარწატაფს, იმიერ ტაოში, ფერისი და მისი მეუღლე, რომელთაც — ვითარცა ითქვა — საღვთო სწავლებათა და წმიდა ზნეობათა მასწავლებლად მიეწვიათ გიორგი „მწერალი“.

და წავიდა ტვარწატაფს გიორგი „მწერალი“. წავიდა და თანაშემწედ თან წაიყვანა თავისი ძმისწული, ყრმა გიორგი.

და პირველ დღეებშივე შეიყვარეს ფერისის ოჯახმა და სრულმა სახლეულმა ეს საკვირველი ყმაწვილი. თვითონ ფერისის მეუღლემ — „საღმრთომან მან დედაკაცმან შვილად თვისად აღიარა იგი“.

კვლავ განვლო ჟამმა და ფერისის ოჯახს უბედურება დაატყდა თავს. ბიზანტიის კეისარმა ბასილი მეორემ ფერისს მის წინააღმდეგ შეთქმულებაში დასდო ბრალი, შეიპყრო და სიკვდილით დასაჯა, ხოლო მისი სახლეული კონსტანტინოპოლს გადაასახლა. ტყვეთა შორის აღმოჩნდა ბიძა-ძმისწული — ორივე გიორგი.

და დარჩნენ კონსტანტინოპოლში თორმეტი წელიწადი. ფერისის ქვრივმა და გიორგი „მწერალმა“ ყრმა გიორგი

სასწავლოდ მისცეს „კაცთა ფილასოფოსთა და რიტორთა, ორითავე ცხორებითა შემკობილთა“.

სწავლობდა გიორგი, სწავლობდა საკვირველი სისწრაფით და სისრულით, ყოველივეს, რაიც მაშინ ისწავლებოდა კონსტანტინოპოლს, „ჭიპსა დედამიწისასა“. სწავლობდა და მისი გონების სიმძლავრით გაკვირვებულნი იყვნენ თვითონ ბერძენნი — მასწავლებელნი და მოწაფენი, ხანდაზმულნი და თანატოლნი.

თორმეტი წლის თავზე კეისარმა ფერისის სახლეულს ნება დართო საქართველოში დაბრუნებისა. და დაბრუნდნენ. მათ შორის — ოცდახუთი წლის გიორგი.

და იგი მივიდა ისევ ხახულს. მივიდა და ეთაყვანა მოძღვართა სანატრელთა და ბერთა ღმერთშემოსილთა ყოველთა.

მიეხვივნენ და მიესხეულნენ ყრმასა რჩეულსა და აღზრდილსა თვისსა წმიდა მამანი — ბიძა საბა, მაკარი განმანათლებელი და დიდი ილარიონ თვალოელი (ხოლო დიდი ბასილი ბავრატ მეფის ძე და ღმერთშემოსილი ანტონი მნათე უკვე სულით განყრილი იყვნენ სხეულთაგან და სხეულნი მათნი განწიაღებულ იყო ხახულის წმიდა მოღვაწეთა სამარტვილეში).

და აკურთხა ილარიონ თვალოელმა ბერად გიორგი — საყვარელი მოწაფე თვისი.

მალე ამის შემდგომ, გიორგი, „აღძვრითა ზეგარდმოითა:“ შეიპყრო დაუოკებელმა სურვილმა „უცხოებისა და სიგლახაკისაი“, ანუ ყოველ ნაცნობთაგან და ახლობელთაგან“ განშორებისაი“, ანუ მარტომყოფლობის, განრინების, ასკეტობის სურვილმა, რაიც უპირველეს ყოვლისა უნდა განსახებულიყო იერუსალიმს წასვლასა და იქაურ წმიდა ადგილთა მოხილვასა და მოლოცვაში. და ერთ ნისლიან ღამეს იდუმალ გავიდა გიორგი ხახულის სავანიდან. დილით კი ყველამ შეიტყო მისი გადაკარგვა. შეშფოთებამ და შეჭირვებამ შეიპყრო ხახულელთა სამწყსო. მაკარი წინამძღვარმა სასწრაფოდ ფეხზე დააყენა ყოველი მოწესე. მისი ბრძანებით გაუსიეს გზის მცოდნენი და გზისმლეწველნი ყოველ მხარეს, ყოველ შარასა და ბილიკზე, რათა მოეძიათ გიორგი და მოებრუნებიათ უკანვე.

მდევარი იგეშა გიორგიმ და, რაკიღა სხვა საშველი აღარ

იყო, „საღმრთოი ღონე იხმარა“: გზაზე ერთი ვინმე მაწანწალა შეხვდა, დაბებკილი და დაკონკილი სამოსლით, თავისი შესამოსელი გაუცვალა, მისი ძონძები გადაიცვა და გზა განაგრძო. ესეც საკმარისად არ მიიჩნია. ვიღაც ბრმა საპყარს გადაეყარა, ხელი ჩაავლო, წაუძღვა და წაიყვანა. ასე იარეს შეუსვენებლივ ერთმანეთზე აბმულმა ბრმამ და „ბრმის ჭირისუფალმა“. იარეს სამი დღე-ღამე. მერე ერთ ტყეში შევიდნენ, უსიერსა და კაცის ფეხისგან უფეხურსა. დააღამდათ. ღამეს საშინელი წვიმა და ჭექა-ქუხილი მოჰყვა. მთელი ღამე იმეხებოდა დედამიწა. ეშმა განსხეულდა სრულიად ჰაერეთში. ეშმამ შვიდჯერ დაანარცხა მიწაზე გიორგის ბრმა თანამგზავრი. კბილები აღრჭენინა, აყმუვლა და აყეფა ნაცოფარი ძაღლივით. არ მოშორდა გიორგი ძრწოლით გონშერყეულს. მოშლილ ყბებს უსწორებდა, პირიდან მოდენილ ლოშქრს უწმენდდა, ამოცვენილ თვალებს ბუდეებშივე უბრუნებდა, აძიგძიგებულ სხეულს უზელდა, სისხლს უთბობდა, გულს უსალბუნებდა, სულს უმშვიდებდა.

მხურვალე, დაუღლელი ხელებით, სათნოებით აღსავსე სიტყვით და ლოცვით სრულად განავლტო გიორგიმ ბოროტი ეშმა საწყალობელი უსინათლოს სულისა და სხეულისაგან.

მეორე დღეს, როცა ტაროსს საშველი დაადგა, ისევ ლოცვით და სიტყვით სრულად განკურნებული თანამგზავრი მისგანვე აჩემებულ ერთ მონასტერში მიიყვანა და იქ დატოვა გიორგიმ.

დატოვა, დალოცა, დაემშვიდობა და გზა განაგრძო.

მიდიოდა ძონძით მოსილი.

მიდიოდა ფეხშიშველა და თავღია — „უხამლოი და უქუდოი“.

მიდიოდა „უღვინოი და უწველოი“.

მიდიოდა „გზასა იწროსა“, ერთგზისი იჯრით, „რამეთუ დღესა შინა ერთგზის მიიღოს პური და წყალი“.

და, „ესევითარი შრომითა და მოღვაწებით შემკობილი მიიწია შავსა მთასა“.

შავი მთა, მთაი საკვირველი მარგალიტი სირიის უდაბნოური განდეგილობისა!

გიორგის მოსვლამდე შვიდასი წელიწადი გაევლო აქაურ

განრიგებას, უკიდურესად მკაცრსა და უსენაებად ღვთაებრივს.

აქ დაიწყო „მესვეტეობა“.

საფუძვლის ჩამგდები — სვიმეონ მესვეტე.

იგი ოცდაათი წელიწადი იჯდა ფეხმოუცვლელად სვეტზე — განმსოლოებული ცასა და მიწას შორის. და აკვირვებდა ქვეყნიერების საკვირველთმოქმედი ესე. უთვალავი ადამიანი „მორბიოდეს“ მის სახილველად და სათაყვანოდ დედამიწის ყოველ კუთხიდან. მათ შორის — მრავლად „მორბიოდეს“ ქართველნი.

სვიმეონის გარდაცვალება — და ატყდა ომი მისი ცხედრისთვის. აქეთ — ბიზანტიელნი, იქით — ანტიოქელნი. იმარჯვეს ანტიოქელებმა და მათი ღვთაებრივი სისხლ-ხორცი დაკრძალეს მათსავე მიწაზე, ანტიოქიაში, ხოლო, შავი მთა გახდა — „მთაი წმიდაი“, ანუ „მთაი საკვირველი“.

მესვეტეობა ასკეტიზმის (განდეგილობის) უმაღლესი გმირობის გამოვლინებად იქცა. ბევრმა მოწესემ მიჰბაძა სვიმეონ მესვეტეს თავისი „ახალი მესვეტეობით“. ზოგმა თითქოს გაუძლო, უმრავლესობამ ვერ გაუძლო და ნაადრევად მიითრია მიწამ ცაში აცმული სვეტის თავიდან.

ხოლო, მესვეტური გმირობით ყველას სძლია მეორე სვიმეონმა, უფროსისგან ასი წლის შემდგომ — სვიმეონ მესვეტე—უმცროსმა, სასწაულთმოქმედმა, რომელიც ორმოცდასამი წელიწადი „ბრწყინვიდა, ვითარცა მთიები თავსა ზედა სუეტისასა“. ეს იყო უწმიდესი და უსაკვირველესი გმირი მაშინდელი საქრისტიანო სამყაროისა.

უამრავი ქრისტიანი აწყდებოდა შავ მთას სვიმეონ მესვეტისა და დედამისის, წმიდა მართას სახილველად, სათაყვანოდ, მათ ტაძარში სალოცავად და სამოღვაწეოდ.

და მრავალთა შორის იყვნენ ქართველნი.

დედა რომ გარდაეცვალა, თურმე ამას ეევედრებოდა ქრისტეს სვიმეონ მესვეტე — შენი ცხოველმყოფელი ჯვრის ნაწილი მისახსოვრეო.

და აი, ერთ დღეს სამი ბერი ეწვია სვიმეონ სასწაულთმოქმედს, სამივე ქართველი, იერუსალიმიდან ახლად ჩამოსულნი. და ერთმა მათგანმა, ანტონიმ, მოართვა სვიმეონს ჯვარი ოქროისა, რომელშიც ჩატანებული იყო ნამკესი

ძელისა ქრისტეს ჯვარცმისა. (იერუსალიმის ჯვრის ქართულ მონასტერში აათალა თურმე ანტონიმ ნამკესი ძელსა ცხოველსა, რომელზე გადანაჭერით შეკრულ იყო ჯვარი ქრისტეს ჯვარცმისა).

და ნამკესი იგი შეიქნა უზეშთაესი ევლოგია სვიმეონ სასწაულთმოქმედისა. ხოლო, ანტონ ქართველი სვიმეონმა აკურთხა სელევკიის ეპისკოპოსად.

და მიდიოდა სვიმეონ მესვეტე-სასწაულთმოქმედთან „ერი მრავალი ქართველთაი“, რომელთაგან ბევრი რჩებოდა იქვე, მის სავანეთში სამოღვაწეოდ, მისი წილხვედრი წუთისოფლის აღსასრულამდე.

(და ყველა მათგანი, საფლავს ჩასული, კმარულობდა საქართველოდან წამოღებული ერთი მუჭა მიწის გულზე დაპნევას).

და სვიმეონ მესვეტემ დაიმოწაფა და გამოგზავნა საქართველოში სამოღვაწოდ ჩვენთვის უკვე ცნობილი „ცამეტი მამა“.

მერე, არაბობა და ისლამა დაეუფლა სირიას.

მერე, ისევ ბიზანტია და ქრისტიანობა გამძლავრდა ანტიოქიას.

და ისევ გამრავლდნენ ქართველები შავი მთის სავანეებში — სვიმეონ-წმიდას, რომანწმიდას, პროკოპიწმიდას, ბარლაამწმიდას, წყაროთა მონასტერს, ეზრას მონასტერს, ლერწმისხევს, კალიპსოს, კასტანას.

და იდგა შავი მთა, მთაი საკვირველი, დატვირთული ქართველ მოღვაწეთა ტაძრებით, სალოცავებით, სააზროვნო სავანეებით.

მთავარ ტაძარში იდგა ლარნაკი სვიმეონ სასწაულთმოქმედისა და დედამისი მართას ნაშთებით...

...და აღვიდა მთასა საკვირველსა გიორგი.

და შევიდა მთავარ პასტოფორიონში, თაყვანი სცა და ეამბორა ლარნაკსა სასწაულმოქმედისასა.

მოიარა და მოილოცა ყოველი მონასტერი, ყოველი დიდი და მცირე სალოცავ-სავედრებელი. მოიკითხა ყოველი წმიდა მამა და ყოვლისაგან მიიღო ლოცვა და კურთხევა, აღსავსე სიყვარულითა და სათნოებითა.

მაგრამ მთავარი მაინც სრულიად შავი მთის სამონასტრო

ცხოვრების წინამძღვართან შეხვედრა და მისგან ლოცვა-კურთხევის მიღება უნდა ყოფილიყო. თვითონვე უწყოდა გიორგიმ: „თვინიერ მოძღვრისა არა არს ცხორებაი სულისაი და წარმართებაი მონაზონებისაი“.

ხოლო სახელი წინამძღვრისა და მოძღვრისა იყო — გიორგი შეყენებული. ასე დარქმეოდა, რადგან მას მუდმივ საცხოვრისად და სულის სამოღვაწეოდ თავი თვისი თვითონვე შეეყენებინა შავი მთის კლდეს, ერთ ღრმასა და ბნელ გამოქვაბულში.

და იდგა კლდისა დანახეთქში გიორგი შეყენებული, „ვითარცა გვრიტი უბიწოი და ტრედი უმანკოი“.

„კაცი ზეცისაი და ანგელოზი ქვეყნისაი“.

„ყოვლითურთ უცხოი და განშორებული ხორცთაგან და ხორციელთა ზრუნვათა გონებითა ღმრთისა მიცვალებული“.

„დიდი მნათობი ნათესავთა ქართველთა“.

აგერ, მეთორმეტე წელიწადი მიდიოდა გიორგი შეყენებულის თვითშეყენებიდან და თვითდაყუდებიდან. მეთორმეტე წელიწადი ქვეყნისაგან თვალით არა ეხილა რა, თვინიერ კლდისა, სანთლისა და საღვთისმეტყველო საკითხავისა, და პირსა მისსა იმდენსავე ხანს არა ეგემნა რა, თვინიერ პურისა და წყლისა.

და შევიდა ჭაბუკი გიორგი გიორგი შეყენებულთან.

და მაშინვე, პირველი თვალის შევლებისთანავე, მოძღვარმა იგრძნო „სიკეთე სულისა“ ახალგაზრდა ბერისა „და განიცადა ტალანტი იგი მის შორის დაუნჯებული, განიხარა სიხარულითა დიდითა და სულითა გულისხმა ყო, რაი-იგი ყოფად იყო“.

და აკურთხა კურთხევითა უწმიდესითა გიორგი უხუცესმა გიორგი უმრწემესი. აკურთხა და დაიმოწაფა. დაიმოწაფა და დაამკვიდრა სავანეს რომანაწმიდას. და დაჰყო გიორგიმ რომანაწმიდას „სამი წელი დიდითა შრომითა და მოღვაწეობითა, მარხვითა და მღვიძარებითა, სიმდაბლითა და მორჩილებითა“. ასეთი ღვაწლოვანი და კრძალული ცხოვრება კი — ყოველი სარწმუნოებრივი მოღვაწისთვის იყო „ფრთე აღსვლად ღმრთისათანა“.

უსაზღვრო სიხარულით აღსებოდა გული გიორგი შეყენე-

ბულს, ქართველთა შორის ამაღლებული სულის მოვლინებაზე მარად მონატრულსა და მეოცნებეს.

„დიდი ეფთვიმეს შემდგომ, სწორედ ამ ჭაბუკმა უნდა სრულყოს ნაკლულოვანება ენისა ჩვენისაი", — ამბობდა ხოლმე იგი შავი მთის მამათა და მოწესეთა შორის.

„და მადლობა ღმერთსა, რომელიც მისი დედის წილხვდომილ ქვეყანას დასაღუპად არ იმეტებს და არ უგულებელჰყოფს სიგლახაკესა ჩვენსა" — ამასაც იქვე დასძენდა გიორგი შეყენებული.

გავიდა სამი წელიწადი და მოძღვარმა თავისი მოწაფე — „სრულქმნილი ჰასაკისა თანა სიბრძნითა და გონიერებითა" — აკურთხა სქემით და გაუშვა იერუსალიმში, წმიდა ადგილთა მოსახილველად და მოსალოცავად.

და მივიდა გიორგი იერუსალიმს, მსოფლიოს საქრისტიანო სამყაროს შუაგულს, მოიხილა და „მოილოცნა ყოველნივე წმიდანი და თაყვანის საცემელნი ადგილნი სულისა სურვილითა და გონებისა სიმხურვალითა". დაჰყო იქ კიდევ „მცირედი ჟამი" და წამოემართა უკანვე. და ისევ მოვიდა შავ მთას, ისევ გიორგი შეყენებულთან.

და აი, მოძღვარმა მოწაფეს ახლა გადაჭრით გაიოუცხადა მისი სამომავლო-სამოღვაწეო ტვირთი: „თარგმანებაი წიგნთა საღმრთოთაი ბერძნულისაგან ქართულად", ანუ მემკვიდრეობა და გაგრძელება დიდი ეფთვიმე მთაწმიდელის ღვაწლმოსილებისა.

მოწაფე ჯერ ფრიად შეაცბუნა მოძღვრის ნათქვამმა, მერე კი უპასუხა, მტკიცე და წრფელი სიტყვით: დიდი ეფთვიმე, ვითარცა მნათობი, ნათლად და სიხარულად აღმოუბრწყინა ღმერთმა ქართველ ხალხსო; მან უმეცრების საბურველი მოსძარცვა ჩვენს გონებასო; მისი სივრცითა და სიმაღლით ღმრთივთარგმნილმა წიგნებმა განაგდო და განწმინდა ნაკლულევანებანი ენისა ჩვენისაო; ეფთვიმემდე ბერძენნი ბარბაროსებად გვიხმობდნენ ჩვენ, უმეცართა, ხოლო ეფთვიმეს ღვთაებრივმა მოვლინებამ იგივე ბერძენნი აიძულა ქართველი კაცი სიბრძნეთა თვისთა თანასწორად წარმოესახაო...

ჰო და, ახლა შენ — უცებ შეაწყვეტინა მოძღვარმა — სწორედ შენ მოგავლინა საქართველოს მწყალობელმა ღმერთმა ჩვენი ერის განმანათლებლად, ნაცვლად ეფთვიმესიო.

მაგრამ მოწაფე მაინც თავისას კერპობდა: შეუძლებელ არს ჩემგან ნაცვალყოფნა სამგზის სანატრელი ეფთვიმე მთაწმინდელისა, რომელმან განანათლა ქართველთა ენაი და ქვეყანაი და რომლისა-იგი ნამუშაკევი ახარებს შორიელთა და მახლობელთაო.

— შვილო ჩემო, — ისევ წაართვა სიტყვა მოძღვარმა მოწაფეს — ღმერთი იგი, რომელმან სანატრელსა ეფთვიმეს ქართული ენაი განუმარტა, იგივე შეგეწევა შენც, რადგან მას, უფალს და მაცხოვარს, დიდად ეწყალის და უყვარს ნათესავი ჩვენი ქართველი. და ვევედროთ თვითონ მამასა ეფთვიმეს, რათა შეგეწიოს და მისგან დაშთომილი საქმენი შენ სრულჰყო მადლითავე მისითა, ვითარცა პავლემ განაგრძო საქმენი ქრისტესი.

კიდევ დააპირა რაღაცის თქმა გიორგი-მოწაფემ, მაგრამ აღარ დაანება გიორგი-მოძღვარმა: შენ, შვილო ჩემო, ისეთივე გაგრძელება ხარ ეფთვიმესი, ვითარცა ისუ — მოსესი, ელიაზარი — აჰრონისი, ელისე — ელიასი, პავლე — ქრისტესი და ტიმოთე — პავლესი. და წარვედ ათონს, მთასა წმიდასა, სადაც წინამორბედი შენი ბრძმედსა გონებისასა ახურვებდა და აწრთობდა სიტყვათა ღვთაებრივთა!..

და გადაწყდა: გიორგი გაეშურა შავი მთიდან ათონის მთაზე...

ეფთვიმეს აღსასრულიდან ათონზე გიორგის მისვლამდე ქართველთა სათვისტომოს უკვე სამი წინამძღვარი გამოეცვალა — გიორგი, გრიგოლი და არსენი.

გიორგის, „კაცსა სახელოვანსა და წარჩინებულსა“, მაინცა და მაინც ბევრი არაფერი გაუკეთებია ათონზე ქართველთა შემდგომი ამაღლებისათვის. მის დროს უფრო ბერძნები გამძლავრებულან და ქართველები დასუსტებულან ათონზე.

ხოლო, გრიგოლის საჭეთმპყრობელობის დროს, ბერძნებმა აშკარა ბრძოლა აუტეხეს ქართველებს ათონის სავანეთა ხელში ჩასაგდებად და ყოველი დიდი და მცირე სალოცავებიდან ქართული ჯიშის აღმოსაფხვრელად.

და ვეღარ გაუძლეს ათჯერ უმეტეს ბერძენთა შემოტევას და დაჰკარგეს ქართველებმა სალოცავნი — ნათლისმცემლის, ლეონდარისა, მელინძისა, სტილახისა, დომროვიისა და ერისოსი.

სამჯერ ჩაიგდეს ხელში ქართველთა თავადი ლავრა ბერძნებმა და გაიტაცეს ყოველივე, „რაიცა დრისტი ტურფაი იყო მაშათა ჩვენთა მოგებული, ყოველი იავარიქმნა და ეგრეთვე განძი და კუმაში“.

ენა ვერ იტყოდა ყოველივეს, რასაც ბერძენნი იქმოდნენ ქართველთა მიმართ. იყო ცემა, გვემა, ქურდობა, წაგლეჯა, მოტაცება, მზაკვრობა, ცილდაწამება და გახელებით მიელტვოდნენ ბერძენნი, რათა ქართველ აღმშენებელთა სახელებიც წარეხოცათ მთაწმიდის ქართულ სავანეთაგან. ღამით, ქურდულად ფხეკდნენ ქართულ წარწერებს და ბერძნულად აწერდნენ, იპარავდნენ და ამსხვრევდნენ ქართულ წარწერიან ქვებს და მათ ადგილზე ბერძნულენოვანს ასადაგებდნენ.

და ყოველივე ამას დღეს სჩადიოდნენ ისინი, გუშინ რომ თხოვნით, ვედრებით, ლამუნით მოხოხავდნენ, შევრდომებას და შემოხიზვნას იხვეწებოდნენ და ქართველებიც რომ გულქართლად ღებულობდნენ — მშიერს აპურებდნენ, მწყურვალს არწყულებდნენ, მცივანს ათბუნებდნენ და უბინაოს აბინავებდნენ.

და გულქართლობა ისევ (როგორც ძალიან ხშირად) გულსატკივრად ქცეოდათ ქართველებს.

(ვერ იქნა და ვერ დაისწავლა ქართველმა ამოცნობა თეთრკბილიანი შემოხიზნულის შავი გულისა).

და იბრძოდნენ ქართველნი, მაინც მხნედ და თავგანწირვით, მაგრამ იყვნენ ნაგვიანევნი და უფრო მცირენი, ვიდრე მარადიული სიმცირე ქართველებისა.

დღეღამ-სწორებით იბრძოდა მამა გრიგოლი, იბრძოდა — თუ ლოცვით, თუ წყევლით, თუ ლოგოსით, თუ ბოღმით, თუ მკლავით.

იბრძოდა მისი თანშემწე, ნეტარი არსენი, რომელიც მრავალჯერ „იგვემაცა და მრავალი შრომაი დაითმინა და საპყრობილედ შეწყვდევაი და კიცხევაი და ბასრობაი“.

იბრძოდნენ სხვანი — მამანი, ძმანი, ყოველნი, დიდნი და მცირენი.

რამდენჯერ — ზღვითა თუ ხმელით, ზაფხთარს თუ ზაფხულს, ყინვას თუ სიცხეს, უსაგზლონი და უხამურნი — მიმოდიოდნენ საქართველოს და ბიზანტიის მაერთებელ გზებზე, რათა აღეძრათ საქართველოს სამეფო კარი კონსტანტი-

ნოპოლის საიმპერატორო ტახტის წინაშე — ხელყოფისა და იავარქმნისგან დაცულიყო ათონის მთის ქართული სავანენი და სათვისტომონი.

ხოლო, ბიზანტიის კეისარ-იმპერატორებს უფრო ხშირად „არ სცალოდათ“ და „არ სცხელოდათ“ ქართველთა მონასტრებისათვის. ყური არ გაიბერტყა კეისარმა რომანოს მესამემ. მისმა მომდევნო მიქაელ IV-ემ კი „გაიბერტყა ყური“ და მოუსმინა ათონის ქართველთა წარმომადგენლობას. მასთან ქართველთა მეფის, ბაგრატ IV-ის წერილიც გულდასმით წაიკითხა. მამა გრიგოლის მოსახსენებელიც მოისმინა სრული ყურადღებით. და დასხდნენ ბჭობად ქართველნი და ბერძენნი — „პირველ ბჭობად“. და გამოსცა კეისარმა მიქაელ IV-ემ ბრძანებულება, რათა ამიერიდან აღარ შეეწუხებინათ ქართული სავანეები ათონის წმიდა მთაზე და კვლავ აღდგენილიყო ადრინდელი ძმობა და სიყვარული ბერძენთა და ქართველთა შორის. ამავე ბრძანებულებით, ქართველებს ისევ დაუბრუნდათ ლეონდარი, ერისო, ნათლისმცემელი, დომვროვია, მელინძა და სტილახი.

მამაი გრიგოლის აღსრულების შემდეგ, ათონის ქართველთა სავანის საჭეთმპყრობელობა ეტვირთა არსენის, რომელიც იყო „კაცი მარჯუე და სავსე გონიერებითა, რომელმან არა შეიწყალა თავი თვისი, არამედ ყოველივე მოსწრაფებაი აჩვენა დამტკიცებისა ჩვენისათვის“.

და სწორედ არსენის წინამძღვრად კუთხევის ჟამს ათონის სავანეს მივიდა გიორგი.

მივიდა და უპირველესად თაყვანი სცა ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს.

მერე ეახლა წმიდა ეფთვიმეს სამარხს.

და ფერხთა კერძოით ეამბორა ლუსკუმას, რომელშიც განისვენებდა ნაშთი დიდი ქართველი განმანათლებლისა.

უცებისად გავარდა ხმა ათონის ქართულ სავანეში ახალი თვისტომის ჩამოსვლისა, და შეხვდნენ ბერძნებთან ნაომარი ქართველები უკვე სახელმოხვეჭილ თანამოძმეს და თანამორწმუნეს. შეხვდნენ, „სიხარულით შეიწყნარეს და განუსუენეს და დიდად პატივ უპყრეს და ჰმადლობდეს ღმერთსა, რომელიც მიუძღვა მუნ“...

და დადგა გიორგი „მონასტერსა მას შინა მოღვაწებითა

ბუნებათა უაღრესითა, მარხვითა და ლოცვითა, სიმდაბლითა და სიმშვიდითა, მორჩილებითა და მოთმინებითა“...

ბერძნებმა კი თავისი არ დაიშალეს. კვლავ განაახლეს შემოტევა ქართველებზე. იქნებ მთავარი ლავრა მაინც წავართვათ ქართველებსო, — აეჩემებიათ.

და ისევ აღავლინეს საჩივარი ქართველებმა კოსნსტანტინოპოლის სასახლის კარზე. მაგრამ ახლა კეისარ მიქაელ IV-ეს აღარ სცხელოდა ქართველებისთვის. კეისარს ავი ზნე მოერია, ბერად შედგა და ბერობაშივე ამოხდა სული. ტახტზე ავიდა მიქაელ V. და ახლა ამას მიადგნენ ქართველები თხოვნით და საჩივრით. ამ, ახალმა მიქაელმაც შეიწყნარა ქართველთა თხოვნა. და „მეორე ბჭობად“ დასხდნენ ქართველები და ბერძნები.

და იმ დღეს, იმ „ბჭობაზე“, ყველა, ბერძენიც და ქართველიც — გააკვირვა სიტყვამ ღვთითშემოსილმა. ხოლო სიტყვა იგი საკვირველი წარმოეთქვა ახლად მოსულ ახალგაზრდა ბერს, სახელად გიორგის.

და კვლავ სცნეს ბერძნებმა სიმართლე ქართველებისა.

და ისევ დადგინდა ხელშეუხებლობა ათონის მთაზე ქართული სავანეებისა.

და ისევ გამოცხადდა ქრისტესმიერი ძმობა და სიყვარული ბერძენთა და ქართველთა შორის.

მაგრამ იყვნენ კი-ა სანდონი ბერძენნი, წინარედ ხშირად ფიცისა და სიტყვის გამტეხნი?

იმ წელს კი მამა არსენი მიიცვალა.

და წინამძღვრობა გიორგის შესთხოვეს.

ცივად იუარა გიორგიმ, — მე საწინამძღვროდ კი არა, საგლახაკო ცხოვრებად მოვსულვარ ამ ქვეყნადო, — გამოაცხადა ისეთი სიმკაცრით, სიტყვის შებრუნება რომ ვეღარავინ შეუბედა.

და ათონის ქართველთა სამწყსოს მწყემსმთავარი შეიქნა სვიმეონი.

სწორედ სვიმეონის წინამძღვრობის ჟამს, გიორგი ეზრახა თვითონ წინამძღვარს და მის თანამოღვაწე მამებს: რაკი ბერძნებს ქართველებისადმი ათონის მთაზე ამდენი ბოროტება ჩაუდენიათ და ყოველი სიკეთე უმადურობით გადაუხდიათ, უნდა დაიწეროს ყოველივე და, ვითარცა მოსახსენებელი და

სახსოვარი წერილი, დარჩეს ჩვენი მომავალი თაობებისთვის.

და მოწონება ამა აზრისა იყო ერთხმივი, და დაიწერა თვითონ გიორგის ხელით, დაიწერა ვითარმედ:

„ვინაითგან ღმერთის მადლითა და წყალობით, აღიძრნეს ჩვენი წმიდა მამანი — იოვანე (ვარაზვაჩე), იოვანე (თორნიკე) და ეფთვიმე, ამა წმიდასა მთასა მოვიდნენ სულთა ნავთსაყუდელად, თავი მოუყარეს და განამრავლეს ნათესავნი ჩვენნი, ქართველნი, დიდი ღვაწლით, შრომით და ფრიადითა წარსაგებელითა აღაშენეს დიდებული ესე ლავრაი ქართველთა სამკვიდრებლად, მერმე ღმრთის მსახურ ბერძენ მეფეთა მსახურებით და მომადლებით, — მას შემდგომ რაც მათდა შემწედ ქართველებმა გაანადგურეს განდგომილი სკლიაროსი — კიდევ უფრო განავრცეს და გაამდიდრეს ლავრაი ესე, შესძინეს დაბანი და მონასტერნი და ოქრობეჭედნი, და ყოველივე ამის შემდგომ წმიდა მამათა, იოანემ და თორნიკემ, კეთილითა აღსასრულითა დაიძინეს და წარემართნენ საუკუნო ცხოვრებად.

„და მემკვიდრედ და გამგებლად დატოვეს ნეტარი ეფთვიმე, რომელმან ყოვლითა წესითა კეთილთა განაშვენა წმიდაი ესე ადგილი და თარგმანებითა წმიდათა წერილთაითა განანათლა და შეამკო ნათესავი და ენაი ჩვენი ქართული და ჟამთა მრავალთა კეთილად დამწყსო სამწყსოი ესე მისდა რწმუნებული.

„და მცირე ჟამის შემდგომ განვიდა ეფთვიმე წინამძღვრობისგან და თავის ადგილზე მამად დაადგინა გიორგი, ნათესავი თვისი. ხოლო თვითონ მყუდროებით ცხოვრობდა და სახელი მისი, სათნოება და ღირსებანი მთელ საქართველოს განეფინა, მაგრამ არა თუ მხოლოდ საქართველოს, არამედ სრულიად საბერძნეთსა და ბიზანტიას. და მისი სახელის მასმინარნი, მრავალნი ღირსნი და წმინდანი კაცნი მოდიოდნენ მთაწმიდას, მოდიოდნენ ნეტარ ეფთვიმეს სახილველად, მისი ხილვით სულის გასანათლებლად. ასე მოვიდნენ მასთან: იოანე გრძელისძე, არსენი ნინოწმიდელი, იოვანე ხახულელი, ოქროპირი, და სხვანი მობაძავნი მათნი. და მერე — ნეტარი ბერი გრიგოლ, ახალი აბრაჰამ სტუმართმოყვარე, და ზაქარია მირდატის ძე, და არსენი, და სხვანი მობაძავნი მათნი. და ყვე-

ლანი, ვითარცა სახიერმან მამამან, ისე შეიტკბო ეფთვიმემ, ყველას განუსვენა ყოვლითა განსვენებითა. და ასე, საღვთო და სათნო მოქალაქეობაში, უფლისა მიმართ მიიცვალა ეფთვიმე, ხოლო მიცვალების წინ ძმანი ქართველნი მამა გიორგის და მამა გრიგოლს შეავედრა სულკურთხეულმა.

„და არ გაუვლია ჟამსა მრავალსა, რომ გიორგი წინამძღვარმა ეფთვიმეს მცნებანი დაივიწყა და ქართველთა აღორძინების ზრუნვაზე ხელი აიღო და ქართველთა სანაცვლოდ ბერძნებს მიექცა და ქართულ სავანეებში ბერძენნი განამრავლა. მერე გიორგი ექსორიაში მიიცვალა, ხოლო ჩვენ ქართველნი მისგან დავრჩით ფრიად შემცირებულნი.

„და ჰპოვეს ჟამი ბერძენთა, ჩვენი სიმცირისა და მათი სიმრავლისა, და ვითარცა ცეცხლნი აღეგზნეს ჩვენზედ, რამეთუ ენებათ ჩვენი სრულად აღმოფხვრა და ჩვენთა სამკვიდრებელთა სრული დაპყრობა.

„და ამის მიზეზით დიდ ჭირში ჩავცვივდით, ბერძენთაგან საწუხელნი, საძულველნი და სამტერებელნი. შეუძლებელია ყოველივე ჩამოვთვალო სათითეულოდ: რამდენი გინებანი, რამდენი შეურაცხებანი და ყვედრებანი მოიწეოდეს მათ მიერ ჩვენზედ, ყოველ დღე. თუ ცემით, თუ გვემით, თუ მწვალებლობის ცილდაწამებით შევიწროებულნი ვიყვენით დიდსა ურვასა შინა, და ესეც კი ენებათ და ცდილობდნენ თავგამოდებით — ჩვენი ტაძრების მაშენებელთა სახელიც წარეხოცათ სავსებით.

„ნეტარი მამაი გრიგოლ, ამას რომ ჰხედავდა, ელმოდა გული და იწვოდა ცოდვითა ჩვენითა. ევედრებოდა ღმერთსა, რათა უკეთესი დღე დაგვდგომოდეს. და მისცა ღმერთმა კაცი მარჯვეი და სავსე გონიერებით — ნეტარი არსენი, რომელმან არა შეიწყალა თავი თვისი, არამედ თავგამოდებით ისწრაფოდა ჩვენი განმტკიცებისათვის, სხვა რამდენიმე ქრისტესმოყვარე ძმათა გვერდით. საუკუნომცა არს სახსენებელი და კურთხევაი მათი!

„ვის შეუძლია მოთვალოს, რამდენი ღვაწლი მოიმოქმედეს: მიმოსვლაი ზღვითა და ხმელით საქართველოში, ბერძენთა მეფეთა წინაშე საევედრებელ წერილთა ჩამოსატანად. რამდენჯერ ჩამოვიტანეთ წერილნი თვითმპყრობელთა და ჩამოვედით, რამდენჯერ გინებით და შეურაცხებით გვდევნიან ესაგებელთა და

უხამურთა, ჟამსა ელვათა ტეხისა და ზამთრისასა, და ისევ სვლა თხოვნის კიბეზედ, მეფედ წინაშე, ხან ღვთისმოყვარე კაცთა წყალობით, ხან ტირილით და ხვეწნა-მუდარით. ხან აქ და ხან იქ მოურნენი და მზრდელნი გვიჩინა — როგორც ჩორჩანელი და ფარსმანი — რომელთაც დიდად აღგვიპყრეს ხელი წყალობისაი. ათას წილად მიაგოს მათ უფალმან მწყალობელმან!

„და ამა ჭირთა შინა ვიყვენით ჟამსა არსენის წინამძღვრობისასა...

„და ჟამსა გრიგოლის წინამძღვრობისასა...

„და მოვაღწიეთ მეფეთა ორივე მიქაელისსა, ბჭობად პირველად კონსტანტინოპოლსა... და ბჭობად მეორედ თესალონიკესსა...

„და აჰა, ესერა, კვლავ ჩვენს ხელთა მონასტერნი ჩვენნი, აღმატებულნი ჰაეროვნებითა და შვენიერებითა, რომელთა მსგავსნი არა იპოვებიან მონასტერნი არა მხოლოდ მთასა ათონისასა, არამედ არცა სხვათა ადგილთა მრავალთა...

„და ვინაითგან ესე ყოველი და ამისა უმრავლესი მოიწია ჩვენზედა, და მრავალი ჩვენი ძმათაგანი გაიყიდა და ჩვენ მტერთა მიექცა, ყოველივე ამისგან შეგვეშინა და აღვწერეთ მოსახსენებელი ესე და დავდევით აქ, შემდგომად ჩვენსა მომავალთა ნათესავთათვის, რათა არ იქნას დავიწყებული ესევითარი მრავალფერი ღელვაი.

„და ერთითა ერთობითა ამას კი ვიტყვით, ვითარცა ერთის პირითა ყოველი ქართველისა, სადაც არ უნდა იყვნენ ისინი — აღმოსავლეთში თუ დასავლეთში, შავ მთაზე თუ იერუსალიმში, ყველგან, ყველგან, სადაც არიან ძმანნი ჩვენნი:

„უკეთუ ვინმე გამოჩნდეს ნათესავისა ჩვენისაგან კაცი — გინა მამასახლისი, გინა იკონომისი, გინა სხვაი ვინმე — და თუ რაიმე ღონით ან მანქანებით, ან საფასის სიხარბით, ან ბერძენთა სიყვარულით, ან ვისმე კაცის ხათრით და მორიდებით, ან სხვა რაიმე ზაკვით ამ წმიდა ადგილს ეორგულოს და გასცეს მიწა ამა მთასა, ან მის გარეთ, ან ქართველთა შინაგამცემელ ექმნეს, ესე ადგილნი ქართველთა დაუკარგოს, ქართველი აღმოფხვრას, ქართველი გააქციოს, ქართველი ასწყვიდოს — ყოველთა წმიდათა ჯვარითა და მადლითა კრულმცა არს და წყეულ და შეჩვენებულ და განკვეთილ წესისაგან ქრისტიანეთაისა და მათ თანამცა შერაცხილ არს, რომელნი-

იგი შინაგამცემელ ექმნეს უფალსა ჩვენსა იესო ქრისტესა, და ა-ძცა-სოცილ არს იგი ნაწილისაგან ქრისტიანეთისა!

„და აგრეთვე ჩვენთა ძმათაგანნი, ქართველნიცა მიემხრონ და შეეწამონ ესევითარს მტერსა მზაკვარსა, იგინიცა წყეულ არიან და შეჩვენებულ!

„და რომელთაც ქართველთა გამრავლება იღვაწონ და ესე წმიდაი ადგილი ნათესავსა ჩვენსა დაამტკიცონ, საუკუნომცა არს სახსენებელი და კურთხევაი მათი!

„და რომელიცა ძმანიც ამ დიდებული ლავრის სამართლობისა და დამტკიცებას თანამოღვაწედ ექმნნეს, ანუ მოღვაწე ექმნენ, საუკუნომცა არს სახესენებელი და კურთხევაი მათი წმიდათა მამათა ჩვენთა და მაშენებელთა და ყოველთა მათ პირველ-მოხსენებულთა ღირსთა და სათნოთა ძმათა ჩვენთა, რომელნი წმიდასა ამას ადგილსა შინა გამოჩნდეს, გინა გამოჩდენ!

„მადლითა და ლოცვითა გვაკურთხენ და აღგვაორძინენ უფალმან და საუკუნეთა მათ სატანჯველთაგან გვიხსენ და სასუფეველთა ცათასა მკვიდრ გვიჩინენ მეოხებითა წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩვენისა ეფთვიმესითა და ყოველთა წმიდაითა, რომელნი საუკუნითგან სათნო ეყვნეს ღმერთსა, რომლისაი არს დიდებაი, სიმტკიცეი და სუფევაი აწ და მარადის და უკუნითა უკუნისამდე, ამინ“.

(ეს „მოსახსენებელი“ გიორგი მთაწმიდელმა, შემდგომ მისგანვე დაწერილ „იოვანესა და ეფთვიმეს ცხორებას“ დაურთო)...

მამა სვიმეონი თავისი წინამძღვრობის მეორე წელს მიიცვალა.

და ისევ შესთხოვეს საჭეთმპყრობელობა სავანისა გიორგის.

ისევ სთქვა უარი, სიტყვითა შეუქცეველითა.

და მთაწმიდის ქართველთა საძმოს მწყემსმთავარი შეიქნა სტეფანე ხარტულარი.

ჩააცივდა სტეფანე გიორგის, მღვდლობა მაინც იტვირთეო, მაგრამ ისევ და ისევ მტკიცე უარი მიიღო და სხვა ვერაფერი.

ყოველივე ეს შეუტყვია გიორგი შეყენებულს შავსა მთაზედა, და ერთ დღეს მოუვიდა გიორგის მკაცრი სამდურავი მოძღვარისაგან— როგორ თუ ამდენხანს მღვდლობაზეც უარს ამბობ და წიგნთა წერასა და თარგმანებასაც არ შესდგომი-

ხარ და ჩემდამი მოცემული აღთქმა ესრეთ არ აღგისრულებიაო?!

და იყო ფრიად შეურვებული გიორგი.

არარაი ამაღლება არ მსურსო, რამეთუ თქმულ არს: „რომელმან აღამაღლოს თავი თვისი, იგი დამდაბლდეს“, და კიდევ — ცუდი დიდება დედაა ყოველი ვნებისაო. და გაურბოდა გიორგი ისეთად ყოფნას, გრიგოლ ღვთისმეტყველი რომ იტყოდა: ბევრი ისეთია, სანამ თვითონ განიწმინდებოდეს, სხვის განწმენდას დაიჩემებენ და, ნიკაპზე ღინღლის ამოსვლისთანავე მღვდლობას და მხცოვანთა დამოძღვრას მოინდომებენო.

და მიელტვოდა გიორგი მსახურებასა უბრალოსა, მდაბალსა და შეურაცხებსა: ჯერ ეზოებს ჰგვიდა, მერე სვეტებსა და სვეტის თავებს წმენდდა, კიბეთა საფეხურებს ასუფთავებდა, შემდეგ პალოებს, სარებს თლიდა, არჭობდა და თოკებს გრეხდა და ჭიმავდა; კიდევ — სამღვდელოთა ჭურჭლეულს რეცხდა და ამშრალებდა, ბოლოს კიდობანთა მტვირთველი იქმნა.

მაგრამ ახლა, გიორგი შეყენებულის შემონათვალიც რომ ისმინა, ისევ მიეძალა და აღარ მოეშვა მამა სტეფანე გიორგის მღვდლად კურთხევას.

და „მაშინ მრავლითა ცრემლითა და სულთქმითა მოწიწებით და შიშით მიიღო პატივი მღდელობისა“.

კიდევ გამოხდა მცირე ჟამი და გიორგის მიენდო მღვდელთა და მგალობელთა წინამძღოლობა, ანუ დეკანოზობა.

გონებას კი განუწყვეტლივ უფორიაქებდა გიორგი შეყენებულის რისხვეული შემონათვალი:

„ვინ მოგცა ნება ღვთისგან შენდამი რწმუნებული ტალანტის დამარხვისა?!“

და დაჯდა გიორგი წერად.

ჯერ იქედანვე, როცა წმიდა მთას ფეხი შემოსდგა, წმიდა ეფთვიმესა და მამამისის წუთისოფელთა შესწავლა იყო „ყოველითა მოსწრაფებითა და წადიერებითა“. გამოწვლილვით ეკითხებოდა ყველას, დიდსა და მცირეს, ახლობელთა და შორიელთა, თვალით მხილველთა და ყურით მსმენელთა, როგორი იყო ცხოვრება იოვანესი, თორნიკესი, ეფთვიმესი და ყოველთა ძმათა ათონელთა, როგორ იღვწოდნენ, როგორ აშენებდნენ, როგორ იბრძოდნენ, როგორი იყო მათი ბუნებაი ღვთა-

ებრივი და ბუნებაი კაცობრივი. ყოველ ცნობას სინჯავდა, ერთმანეთს უდარებდა და უჯერებდა, უეჭველს საეჭვოსგან ასუფთავებდა და აჭეშმარიტებდა.

და დაიწერა წიგნი გიორგი მთაწმიდელის კალმითა გრძნეულითა — „ცხორებაი ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანესი და ეფთვიმესი და უწყებაი ღირსისა მის მოქალაქეობისა მათისაი“.

და უმთავრესი მიზანი ამა წიგნისა იყო, არა მხოლოდ არ დავიწყება წინაპართა ღვაწლთა და საქმეთა, არამედ წვრთნა და აღზრდა მომავალი სათვისტომო თაობებისა.

და წიგნი ესე მოევლინა ქართველობას, ვითარცა „ხატი ცხოველი და ძეგლი პირმეტყველი“, მასწავლებელი, სულით და ხორცით განმანათლებელი.

შემდგომად „იოვანე-ეფთვიმეს ცხოვრების“ დაწერისა, გიორგიმ თარგმნა სვინაქსარი, „საფუძველი ეკლესიათა, რომლისა თვინიერ შეუძლებელ არს წარმართება ეკლესიისა, რამეთუ რომელ ეკლესიას სვინაქსარი არა აქვს, სხვა ყოველი წიგნიც რომ ჰქონდეს, იგი თაფლსა სჭამს და სასა მისი სიტკბოს ვერა გრძნობს“.

„სვინაქსარს“ კი მოჰყვა:

„სახარებაი გამოკრებული საწელიწდოი“,

„პავლე გამოკრებული საწელიწდოი“,

„დიდნი კურთხევანი“,

„დაბადება“,

„პავლე სრული“,

„კათოლიკენი წმიდათა მოციქულთანი“.

და როცა გიორგის ხელით ეს ცხრა წიგნი დაიწერა და დაინუსხა, მას ჟამსა გარდაიცვალა მამა სტეფანე ხარტულარი.

და ისევ — ათონის მთის მთელმა სათვისტომომ, „ყოველთა ძმათა ერთითა ნებითა და განზრახვითა“, წინამძღვრობა შესთხოვეს გიორგის.

მაგრამ ისევ ცივ უარზე დადგა გიორგი.

მანც არ მოეშვნენ.

მაშინ მხოლოდღა წილის გდებას დავთანხმდებიო, სთქვა და შეურყევლად დაადგა ამ გადაწყვეტილებას.

და გამოარჩიეს კიდევ ორი საწინამძღვრო ძმა.

და სამგზის განიგდეს წილი სამთა.

და სამგზისვე წილი წინამძღრობისა ერგო გიორგის.

მართლა ღვთის ნება ყოფილაო, დარწმუნდა გიორგი და უკვე გულდამშვიდებით მიიღო კვერთხი ათონელ ქართველთა მწყემსმთავრობისა.

და მისცა თავი თვისი გიორგი წინამძღვარმა „ფიცხელსა მოღვაწებასა“, უფრო ფიცხელსა, ვიდრე „დაიტევს კაცობრივი ბუნებაი“.

არ იცოდა არცა დასვენება, არცა დაღლა.

უკეთუ იჯდა — წერდა.

უკეთუ იდგა — ფიქრობდა.

უკეთუ იძვროდა — იქმოდა.

და არ იცოდა, რა იყო უქმობა დროისა.

უკეთუ არ წერდა — მიწას ხნავდა, თესავდა, მკიდა, თიბავდა, სხლავდა, აშენებდა, სჭედდა, საწისქვილე ქვას ჰკოდავდა.

და ასწავლიდა მოწაფეთა და ძმათა თვისთა, არა ოდენ სიტყვითა ოქრონექტარითა, არამედ საქმითა ნივთად განწიაღებულითა.

და ამინ გეტყვით თქვენ: ვითარ გამოაჩინოს ხელოვანმან ბრწყინვალება მისი აზრისა, უკეთუ არ შექმნა ნივთი შემსგავსებული თვისისა სახელოვნებო ნააზრევისა?

ანუ — ვითარ საცნაურ იქმნას მენავეთმოძღვარი, უკეთუ ღელვათა შინა ზღვისათა არა გამოიცადოს?

ანუ — ვინ დაიჯეროს და ადიდოს შემმართებლობა მხედრისა, უკეთუ იგი საომარ ველზე მტერთა მრავალთა მრავალგზისად არა ეკვეთოს?

და იყო მუდამ ერთი და განუყოფელი სიტყვა მისი და საქმე მისი.

და იძვროდნენ სიტყვანი მისნი, ვითარცა ლამპარნი მგზნებარენი.

და იქმოდნენ საქმენი მისნი, ვითარცა ნაქმნარნი ხელითა ზენააროთა.

გააზრებასა და ნააზრევის განსრულებაში მანათობელ ლამპრად ისევ წმიდა ეფთვიმე უძღოდა გიორგის. ეფთვიმეს „ყოველნი წესნი და კანონნი და განწესებანი ესრეთ შეიტკბნა, ვითარცა პირისაგან ღმრთისა გამოსულნი და წმიდათა მოციქულთა მიერ დამტკიცებულნი“.

მაგრამ ერთხელაც ისე მოხდა, რომ ეფთვიმე მთაწმიდელის წესსა თარგმანისასა გიორგიმ ეჭვის თვალით შეხედა.

ხოლო, წესი იგი, ვითარცა ზემორეთ ითქვა, იყო შემატებისა და დაკლებისა, ანუ ქართული სიტყვიერებით გამდიდრება ან გამარტივება სათარგმნელისა.

გრიგოლ ღვთისმეტყველს „ბასილი დიდის ცხოვრებაში“ სომეხთა შესახებ ასეთი რამ ჰქონია ნათქვამი:

„არა მარტივ ნათესავ ვჰპოებ სომეხთა, არამედ ფრიად დაფარულ რაიმე და ზღვისკლდე“.

ხოლო, ეფთვიმეს, მისი „შემატების წესით“ ასე ეთარგმნა:

„ვითარცა არს იგი ნათესავი სომეხთაი არა წრფელ, არამედ მზაკუარი და გულარძნილი და ბოროტი, მიმსგავსებული კლდეთა მათ, რომელნი არიან დაფარულ ზღვასა შინა, და ვერ იხილვენ მათ მენავენი, ვიდრე არა სცენ ნავი და განტეხონ, ესრეთ სხუასა იტყვიან იგინი და სხუაი უც გულსა მარადის და სარწმუნოებაი მათთანა არა არს, და რაი საკვირველ არს, უკეთუ კაცსა ეცრუვნენ, ვინაითგან თავადისა ღმრთისა მიმართ ცრუ არიან და მზაკუარ და ბოროტად აღმსაარებელ“.

და ამის შემდგომად გიორგი ერიდებოდა სათარგმნი ტექსტიდან ძირეულ გადახვევას, გაზვიადებას, ან გამარტივებას. იგი ცდილობდა, თარგმნის ჟამს არც ქართული ენა დამდაბლებულიყო და არც სათარგმნი თხზულების აზრი დაზიანებულიყო...

...როგორც კი წინამძღვრობის კვერთხი აიღო, მაშინვე ღვთისმშობლის მთავარ ტაძარში ბრწყინვალე სამარტვილე ლარნაკი აღაშენა გიორგიმ. აღაშენა წმიდა ეფთვიმეს სამარხად. და „დიდითა პატივითა, ფსალმუნითა და გალობითა, საკმეველთა სურნელებითა და კერეონთა ბრწყინვალებითა“ გადაასვენეს ქართველებმა ეფთვიმეს სხეულებრივი ნაშთები ნათლისმცემლის ეკლესიიდან ღვთისმშობლის მთავარ ლავრაში. კუბოს თვითონ შესდგომოდა მეწინავე მტვირთველად გიორგი. და თავისი ხელით ჩაასვენა თავისი წმიდა წინამორბედის კიდობანი მისგანვე აგებულ სამკვიდრებელში.

მერე ეფთვიმეს მამა და ათონის სავანის დამაარსებელი

იოვანე გადმოასვენა გიორგიმ მთავარანგელოზთა ეკლესიიდან და შვილს მარჯვენა გვერდით ჩაუსვენა.

ბოლოს არსენი ნინოწმიდელისა და იოანე გრძელიძის ნაშთებიც მოიძია, ცალკე გვადრუცში მოათავსა და ისინიც ეფთვიმეს ფერხთა კერძოით ჩაასვენა სამარტვილეში.

დიდის ზარზეიმით შეკრეს და აკურთხეს სამარტვილე იგი ქართველებმა, „შეამკეს ყოვლითა სამკაულითა, ხატითა და ჯვარითა, ქორაკანდლითა, სასანთლითა და ეზოითა და სხვითა ყოვლითა ბრწყინვალებითა, ვითარცა შვენოდა წმიდათა მათ“.

ამიერიდან სამი კანდელი ჩაუქრობლად უნდა ნთებოდა წმიდა ეფთვიმეს.

მერე ისევ მთავარ ლავრას მიუბრუნდა გიორგი. ტაძარს სახურავი დაზიანებოდა, თავსაბურველი ტყვია აღარ ჰქონდათ და შიგნით, კედლებზე და შინა მოხატულობა-მორთულობაზე წყალი ექცეოდა ტაძარს. მაშინ ადგა და წავიდა მოძღვარი კონსტანტინოპოლს, მივიდა და ითხოვა იმპერატორთან შეხვედრა. კეისარ-იმპერატორი ბიზანტიისა იმჟამად იყო კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე მ ო ნ ო მ ა ხ ო ს ი.

და მიიღო კონსტანტინემ ქართველი მოძღვარი, მიიღო დიდის პატივით, „რამეთუ დიდი სარწმუნოებაი აქვნდა მის მიმართ“. და ჰკითხა, ვითარმედ:

„რაისთვის მოშვრა სიწმიდე შენი, კაცო ღმრთისაო, ჩვენისა მომართ ხელმწიფებისა?“

და უთხრა გიორგიმ, ვითარმედ:

„გიხაროდენ ქრისტეს მიერ, ჰოი ბრწყინვალეო თვითმპყრობელთ შორის! გიბრძანებს ჩემ მიერ გლახაკისა ყოვლად წმიდაი იგი სასოი და შესავედრებელი ღმრთისმსახურებისა შენისაი, წმიდაი ღმრთისმშობელი, რათა მარადის სადიდებელი ტაძარი მისი არა განირყვნას წყალთაგან, რომელი ჩამოდის ზედა უბურაობითა მონასტერსა ჩვენსა. აწ ბრძანენ მეფობამან შენმან მოცემად ტყვივი, რომლისა მიერ დაიბუროს წმიდაი ეკლესიაი, რათა მას შინა ელოცვებოდის წმიდასა მეფობასა შენსა“.

მაშინვე, „სიხარულით აღასრულა“ იმპერატორმა გიორგის სათხოვარი — საზღვაო უწყებას უბრძანა, დაუყოვნებლივ გაეცათ ტყვია ქართული ტაძრის დასაბურავად. და ასე — დაჰხურა ახალი სახურავი გიორგიმ ათონის მთავარ ლავრას. და

ამას გარდა, „გარეგანი შტოი აღაშენა და ესრეთ ყოვლითურთ სრულყო წმიდაი ესე ეკლესიაი“...

...იმჟამად ქართველთა მეფე ბაგრატ მეოთხე ეწვია კონსტანტინოპოლს, თან ახლდა დედა — დედოფალი მ ა რ ი ა მ ი, და ასული — მ ა რ თ ა. დიდის პატივით შეხვდა კეისარი კონსტანტინე მონომახოსი ქართველ სტუმრებს.

გიორგიც მაშინვე გაეშურა კონსტანტინოპოლს, მეფესთან და მისიანებთან შესახვედრად.

გზად ლივზიდია უნდა გაევლო, სკლავების („ბორღალნი“) საცხოვრისი სოფელი. სმენოდა გიორგის, ლივზიდიის მთაზე, ტყესა უღრან-მაღნარსა, ერთი კერპი მდგარა, სალოცავი და საზორველი სკლავებისა. ყოველივე მისგან მოგვეცემისო — მზეცა და წვიმაც, სიხარულიც და წუხილიც, საზრდელიც და საბადებელიც, სიცოცხლეცა და სიკვდილიცო, — ამბობდნენ სკლავები. ამიტომ, უკეთუ გნებავს ყოველი შენი საქმენი კონსტანტინოპოლს მიმავალმა განმარჯვებულად წარმართო, ჩვენს ღმერთს ევედრე, რათა შეგეწიოსო, ეჩიჩინებოდნენ სკლავები გიორგის.

— კეთილი, კეთილიო, — უპასუხათ გიორგიმ — მადლიერი ვარ თქვენი ეგზომ ღვთაებრივი რჩევისთვისო. მაშინვე ურო აიღო და ისევ სკლავებს მიუბრუნდა — აბა, წამიყვანეთ და მაჩვენეთ ეგ თქვენი ღმერთიო, და იმათაც წაიყვანეს და აიყვანეს იმ მთაზე. და იხილა გიორგიმ კერპი იგი: შავი დრუნგილისა, შიშველი ქალის ქანდაკი.

შეჰხარა გიორგი მისმა ხილვამ, პირჯვარი იასახა და ურო მოიმარჯვა. „მოგკლავს!“ — ამის დაძახებაღა მოასწრეს სკლავებმა და გიორგიმ მთელის ძალით სცა ურო კერპს, ერთიც მოუნაცვლა და კერპი იგი „წუთ იხილვებოდა და წუთ აღარ“.

ამის შემდეგ წავიდა იგი ისევ კონსტანტინოპოლს.

დიდის სიხარულითა და სიყვარულით შეხვდნენ ერთმანეთს საქართველოს მეფე, მისი ამალა და ათონელი წმიდა მოძღვარი. ხელახლა, ერთად შეხვდნენ კეისარ კონსტანტინე მონომახოსს, რომელმაც ახალი წყალობა გაიღო ათონის ქართული სამწყსოსა და სათვისტომოსთვის; — ბრძანება გამოსცა ათონის ქართველთა სავანეების პრასტინთა (ნავსადგურთა) გაზრდისა და მათზე დიმოსის (ხარკის) გაუქმებისა.

ბაგრატ მეფის დედა, მარიამ დედოფალი, გიორგის დაე-

მოწაფა და მისგანვე იკურთხა და შეიმოსა სქემით. აქვე, ერთი ლიტრა ოქრო, რომელიც ქართველ დედოფალს პირადად კეისრისგან ძღვნად მიეღო, მარიამმა გიორგის გადასცა მთაწმიდის ლავრის შესაწირად.

მაინც და მაინც ბაგრატ მეფე მოიხიბლა გიორგი მთაწმიდელის ღმრთივკურთხეული სიბრძნით და სასწაულმოქმედი ქცევებით და ამბობდა ნატვრით გვირგვინოსანი — უკეთუ მეახლოს საქართველოში და იყოს ჩემთან, „არა მეშინის არცა გრძნებათაგან და არცა წამალთა სასიკვდინეთა“.

და ეხვეწებოდა ბაგრატ მეფე გიორგის — ინებე და წამობრძანდი საქართველოში, ჭყონდიდის ეპისკოპოსი აღესრულა და შენ იტვირთე ჭყონდიდლობაო; მრავალი წმიდა მარტვილი განისვენებს ჭყონდიდს, ჩემთვისაც იქ გამიმზადებია საფლავიო; წამოდი და დაემკვიდრე საქართველოშიო. მაგრამ გიორგიმ არ მიიღო მეფის თხოვნა — „ყოვლადვე არა თავს იდვა, რამეთუ ყოვლითა მოსწრაფებითა გაურბოდა დიდებასა კაცთასა და შფოთსა სოფლისასა და სიმდაბლესა შეიტკბობდა“.

მას ჟამსვე კიდევ მოხდა ერთი, იმ დროისთვისაც და სამომავლოდაც მეტად მნიშვნელოვანი ამბავი.

მესამე წელი მიდიოდა ბაგრატ მეფის სტუმრობისა ბიზანტიაში, და მიიცვალა კეისარი კონსტანტინე მონომახოსი. იმპერიის ტახტი დარჩა უკვე სამოცდაათი წლის ქვრივს, დედოფალ თეოდორას, რომელმაც შვილად აიყვანა ბაგრატ მეფის ასული, ღვთაებრივად ლამაზი გოგონა, მართა. მალე თეოდორაც გარდაიცვალა. სახელმწიფო გლოვის დღეებში ჭირისუფალთა შორის იყვნენ ქართველებიც. ის იყო, კუბო მიცვალებული დედოფლის ნეშთით ასწიეს და სასახლიდან გასატანად დასძრეს, რომ მეყვსეულად დარბაზში შემოიყვანეს თეთრად მორთულ-მოკაზმული მართა ბატონიშვილი. და მეყვსეულადვე ყველას საგლოველი გადაავიწყდა — ყველას მზერა ქართველ გოგონას შეეცვა და შეეყინა. ცითმოელენილ სულიწმიდას ჰგავდა მართა ბატონიშვილი... და უცებ ციმოცლილი ლალადისავით გაისმა:

„შენდეთ და უწყოდეთ ყველამ, ვითარმედ დღეს ამ სასახლიდან დედოფალი განვიდა, მაგრამ მასვე ჟამს დედოფალი შემოვალ!“

და სიტყვა იგი იყო გიორგი ათონელისა.

და სიტყვა იგი იქნება წინასწარმეტყველური: გაივლის ცხრა წელი და ქართველი მეფის ასულს, მართას, ახალი სახელით მარიამს, თავზე დაადგამენ ბიზანტიის დედოფლის გვირგვინს (ამაზე ისევ ითქმის ქვემოთ).

კონსტანტინოპოლიდან ათონის მთაზე დაბრუნდა თუ არა, გიორგიმ შეჰყარა სამწყსო, ითხოვა შენდობა და გამოაცხადა გადადგომა წინამძღვრობიდან. იბღავლა სამწყსომ. შეუვარდნენ ფერხთა და მუხლთა მისთა; ევედრნენ, ემუდარნენ, რათა არა იჴმნას მამობისაგან მათისა, მაგრამ არ შეისმინა და გავიდა სავანიდან. გავიდა ისე, ერთი ქრთილის ოდენაც არა გაუტანია რა. ყოველი წიგნიც, რაიც ეთარგმნა, დაეწერა და დაეკაზმა — გინა სვინაქსარი დიდი, გინა სახარებაი გამოკრებული, გინა პავლე გამოკრებული, გინა კურთხევანი, გინა სტუდიელი და სხვანი მრავალი — ყველანი ხელუხლებლად დაუტევა სავანეს.

წავიდა ისევ შავ მთას, და მივიდა ისევ გიორგი შეყენებულთან.

განკვირდა მოძღვარი მოწაფის უეცარი გამოცხადებით. უმალვე განცვიფრება გარისხებად ექცა — როგორ თუ სამწყსო აგრე გულაგრძნილად დააგდე და წამოხვედიო!

მძიმეა ჩემთვის მწყემსობა ცხვართა პირმეტყველთაო, აიჩემა ნამწყემსარმა, მაგრამ სიტყვა აღუკვეთა მოძღვარმა: მძიმეაო? მაშ, რალაისთვის თქმულა — „რამეთუ უღელი ჩემი ტკბილ არს, და ტვირთი ჩემი სუბუქ არს“?

ბოლოს მაინც გული მოულბა შეყენებულს. მივიდა ხელი მხარზე უწვდინა და შეჰლაღადა:

— ვითარცა მაცხოვარი ჩვენი ეტყოდა მოციქულსა პეტრეს, ეგრევე გეტყოდე შენ: „უკეთუ გიყვარვარ მე, დამწყესენ ცხოარნი ჩემნი!“

ამის თქმა და... წამოვიდა ისევ შავი მთიდან ათონის მთაზე გიორგი, კვლავ საათონელოდ, კვლავ საწინამძღვროდ.

და შეხვდნენ ისევ ცხოვარნი მისნი, სამწყსონი მისნი, მის მობრუნებამდე უმწყემსონი და უპატრონონი...

ხოლო, დედა ბაგრატ მეფისა, მარიამ დედოფალი, ანტიოქიის გზას დასდგომოდა, რათა შავ მთასა და ანტიოქიას მცირედ შეყოვნების შემდეგ, იერუსალიმს ჩასულიყო, წმიდა

ადგილნი მოელოცნა და თანხლებული განძი იქაურ გლახაკთა და უპოვართათვის დაერიგებინა.

კონსტანტინოპოლიდან, საკეისროდან და საპატრიარქოდან, საგანგებო ბრძანებულებაც მისვლოდათ ანტიოქიის მმართველსა და სულიერ მოძღვარსაც, გამორჩეული ღირსებით მიეღოთ ქართველთა დედოფალი და საკადრისი პატივითაც გაეშვათ იერუსალიმის გზაზე.

მაგრამ მიუსწრო გიორგი მთაწმიდელმა, ათონის მთიდან სასწრაფოდ წასულმა, ჯერ დედოფალი ინახულა, მერე ანტიოქიის პატრიარქი, მასთან სირიის გამგებელი და სამივეს ეს გადაწყვეტილება მიაღებინა: ახლა, ჩვენთა და ყოველ ქრისტიანთა ცოდვათა გამო, იერუსალიმი ტყვეა ურჯულო სარკინოზებისა. ამიტომ არა კეთილ არს დედა ქრისტიან ქართველთა სარკინოზეთს წავიდეს!

და ააღებინეს ხელი იერუსალიმს წასვლაზე მარიამ დედოფალს.

ააღებინეს, მაგრამ ახლა გიორგის შეუჩნდა მარიამი: მე, შენგან დამოძღვრილსა და დამოწაფებულს, ბოლომდე მეყავ მეოხად, შეიწყალე სული ჩემი, ვითარცა გეწყალვოდა მოაქჟამამდე, და, რადგან მე აღარ მეღირსება ჩემის ფეხით მოვიარო წმიდა ადგილნი წმიდა ქალაქისა — შენ იტვირთე იერუსალიმს წასვლა ჩემდა წილხვედრად, წაიღე ყოველი საფასე ჩემი და დაურიგე გლახაკთა და დავრდომილთა წმიდა ქალაქის ტაძრებსა და სალოცავებშიო.

ეძნელა გიორგის „საქმე ესე, ვინაითგან წმიდათა წიგნთა თარგმანისაგან დაეხრწეოდა“, მაგრამ ვერ წინააღუდგა დედოფლისა და მოწაფის ვედრებას, აიღო ყოველი საწირველი საფასე და საგანძური მისი და წარემართა იერუსალიმს. ისევ მოიარა, მოიხილა, მოილოცა, გაუყო ყოველივე გლახაკთა, დავრდომილთა და უპოვართა ყოველივე წამოღებული, სახელითა ქართველთა დედოფლისა მარიამისა.

მაშინ ჯვარის მონასტერი ახალი აღმშენებლობით შენდებოდა და მაშენებელი მისი, ნეტარი მამა პ რ ო ხ ო რ ე, დიდის სიხარულით, ლოცვით და კურთხევით შემოეგება გიორგის. დიდი წილი განძისა გიორგიმ ჯვარის აღმშენებლობას შესწირა. — დიდი არს საუფლო ესე შესაწირავი, რომელიც მოგვიგე შენ — უთხრა პროხორემ გიორგის — მაგრამ უფრო

დიდ და აღმატებულ ღვთაებრივ შეწირულებად ჩავითვლით, უკეთუ შენის ღმრთივმოსილი ხელით დაწერილ წმიდა წიგნებს მოანიჭებ ჯვარსა ჩვენსა ცხოველმყოფელსაო.

აღუთქვა გიორგიმ, ყოველი წიგნი, რომელიც ათონის მთაზე დაიბადება, ჯვარის მონასტერსაც მოერთმევაო.

და წამოვიდა პალესტინიდან.

და მოატანა კვლავაც შავ მთას.

და შემოეგებნენ ყოველნი შავმთელნი.

უზომოდ გაიხარა დედოფალმა მარიამმა, მუხლებში შეუვარდა წმიდა მამას და მოძღვარს, მადლი მიუგო მისგან ეგზომ პატივცემულმა და ამაღლებულმა. მეორე დღეს მარიამი კვლავ ეზრახა გიორგის, იქნებ ინებო, პატივი დაგვდო და მცირე ხნით მაინც ჩამობრძანდე საქართველოშიო. გიორგიმ კვლავ უარი უთხრა. ოღონდ აკურთხა და გზა დაულოცა დედოფალს. მარიამი საქართველოსკენ გაეშურა.

გიორგი ათონელი კი, გიორგი შეყენებულის თხოვნით, ერთ ხანად შავ მთაზე უნდა დარჩენილიყო, კვლავ საღმრთო წიგნთა სათარგმნ-საწერად.

და იყო შავსა მთაზედაც — სვიმეონწმიდას, თუ კალიპსოს — დღეღამ-სწორებით დაუცხრომელი, ვითარცა მოძღვარი ქრისტესმიერ საძმოისა, მწყემსი სამწყსოისა და მწერალი საღმრთოისა და საადამიანოისა.

თარგმნიდა და „ეგევითარი თარგმანი, თვინიერ წმიდისა მამისა ჩვენისა ეფთვიმესსა, სხვაი არა გამოჩენილა ენასა ჩვენსა და ვგონებ, თუ არცა გამოჩინებად არს!“

წერდა გიორგი. უმეტეს წილად ღამე წერდა. დღისით საწესოს და საკანონოს აღასრულებდა, ხნავდა, თესავდა, მჭედლობდა, იკონომოსობდა. „არა სცემდა განსვენებასა თავსა თვისსა, არამედ დღე და ღამე ტკბილსა მას თაფლსა წიგნთა საღმრთოთასა შვრებოდა, რომელთა მიერ დაატკბო ენაი ჩვენი და წმიდანი ეკლესიანი განაშვენნა და წერილთა თვისთა ოქროითა განამდიდრნა უხვად და გარდარეულად“.

...იმ დროს ანტიოქიას, საღმრთო ქალაქს პატრიარქი აღსრულებულიყო და მის ადგილზე ახალი მწყემსმთავარი ეკურთხებინათ. სახელი ახალი პატრიარქისა იყო ი ო ა ნ ე, რომელსაც მანამდეც მისწვდომოდა ათონელი ქართველი ბერის

საკვირველი სიბრძნისა, მწერლობისა და მოქალაქეობის ამბავი.

იმ ქართველ ბერთან სიტყვისქცევა მწადიაო, უბრძანებია იოანეს და მიუწვევია კიდეც გიორგი ანტიოქიას.

და შეხვდნენ ერთმანეთს, წმიდა პეტრეს დიდსა ტაძარსა.

და გააჩაღეს საღვთისმეტყველო აზრთა მიმოქცევა, რაიც გაგრძელდა სრული მსგეფსი — შვიდი დღე, შვიდეულითა საკითხავითა:

მართლისა სარწმუნოებისათვის,
საეკლესიოთა კანონთათვის,
სულისა სარგებლისათვის,
სათნოებათათვის,
ვნებათათვის,
მარხვათათვის,
შურისათვის.

— ჰეშმარიტად საკვირველი ყოფილა, ძმაო ჩემო, სიბრძნე და სიწმიდე შენი! — შეჰღაღადა იოანემ მსგეფსისა ბოლოს და შეუვარდა მუხლებში გიორგის.

— ნუ იყოფინ, ნუ იყოფინ, მამაო ღმრთითშემოსილო! — თვითონაც მუხლი მოიყარა ათონელმა და წამოაყენა ფეხზე ანტიოქელი.

ამიერიდან ყოველი ჩემი ცხოვრება შენთვის შემომიეძრებიაო, დაასრულა იოანემ, და მართლაც ამის შემდგომ იგი ყოველთვის გიორგის ეკითხებოდა „გულისსიტყვათა თვისთა და ყოველთავე საეკლესიოთა საქმეთა“.

გამოხდა ჟამი და გიორგი ათონელმა საშინელი ამბავი შეიტყო. ანტიოქიის წმიდა პეტრეს ლავრას, „შურითა მტრისაითა“, ცეცხლი გასჩენოდა და დამწვარიყო სრულიად.

მაშინვე გაეშურა გიორგი ანტიოქიას. მივიდა და იხილა ტაძარი დამწვარი, იოანე პატრიარქი კი მწუხარებით დაცემული და სიკვდილის პირს მიმხობილი.

მიუდგა გიორგი სულით დალეწილს და, „სიტყვითა ნუგეშინისცემისაითა და სწავლითა სულიერითა ყოველი მწუხარებაი და გლოვაი განუქარვა“.

და ეუბნებოდა გიორგის, ცრემლითა თხევით, მისგან სულით და სხეულით აღორძინებული ანტიოქელი:

„ჰოი, წმიდაო მამაო, უკეთუ შენი სიწმიდე არ მომშველი-

ბოდა მე, მწუხარებითა სული ჩემი ახლა ჯოჯოხეთს იქნებოდა შთასრულ".

ახლა მთავარი არის მეყსეულად დაწყება ლავრის აღდგენისა და ახალი აღმშენებლობისაო, უპასუხებდა გიორგი გულაჩვილებულ პატრიარქს.

და დაიწყო წმიდა პეტრე მოციქულის ლავრის ხელახალი აღმშენებლობა.

გიორგი დაესწრო საძირკვლის გასკვნას, კურთხევას და ისევ დაბრუნდა ათონს.

ანტიოქიის ახალი ტაძარი ის იყო სრულდებოდა, როცა პატრიარქი იოანე მიიცვალა უფლისა მიმართ. მის ნაცვლად მოვიდა ახალი პატრიარქი, სახელად თ ე ო დ ო ს ი ს ა მ ე უ ფ ო ე ლ ი, კაცი ფილოსოფოსი და სრულიად განათლებული.

თეოდოსი სამუფოელს კი არ სცნობოდა გიორგი ათონელი.

...ქართველები და ბერძნები კი ისევ ჭიშპობდნენ და მტრობდნენ ერთმანეთს, არა მხოლოდ ათონზე, არამედ შავი მთის სავანეებშიც.

იმჟამს, გამორჩევით, სვიმეონწმინდას სავანეში გადაემტერნენ ერთმანეთს ბერძნები და ქართველი მოწესენი.

— ჩვენ ბერძნები ვართ! — ყოყლოჩინობდნენ ბერძენნი (და ისინი მართლა იყვნენ ბერძენნი!).

— ჩვენ ქართველები ვართ! — ყოყოჩობდნენ ქართველები (და ისინი მართლა იყვნენ ქართველნი!).

— ჩვენ უფრო მეტნი ვართ! — იმუქრებოდნენ ბერძენნი და ისევ მართალნი იყვნენ, რადგან იყვნენ 260.

— ჩვენ უფრო ძლიერნი ვართ! — იღრინებოდნენ ქართველები და ისინიც ისევ მართალნი იყვნენ, რადგან იყვნენ 60.

— ჩვენ აქ მოვედით და დავემკვიდრეთ ამა მონასტრის აღშენების დღიდან, — გაიძახოდნენ ბერძენნი.

— ჩვენ აქ მოვედით და დავემკვიდრეთ ამა მონასტრის დაარსებამდე, — გაიძახოდნენ ქართველნი.

— ჩვენი წინაპრები პირადად იცნობდნენ სვიმეონ-მესვეტე უმცროსს და დედამისს, წმიდა მართას, — ბღაოდნენ ბერძენნი.

— ჩვენი წინაპრები პირადად იცნობდნენ ორივე სვიმეონ-მესვეტეს, უფროსსაც და უმცროსსაც, და ქართველი იყო

და არა ბერძენი წმიდა ანტონი, რომელმაც სვიმეონ-მესვეტე უმცროსს იერუსალიმიდან ევლოგიად ჩამოუტანა წმიდა ნამკესი ძელისა ქრისტეს ჯვარცმისა, — ღმუოდნენ ქართველნი.

და ჰქონდათ ქართველებს უპირატესობა ყოველი, თვინიერ „შურისა საეშმაკოისა“.

და აღიძრნენ ბერძენნი უპირატესობითა თვისითა — „შურითა საეშმაკოითა“, ქართველთა ზედა, რათა ძირითურთ აღმოეფხვრათ ნათესავი ქართველი სავანითგან სვიმეონწმიდისა.

და ეახლნენ ისინი თევდოსი სამეუფოელს, ეახლნენ, მუხლად შეუვარდნენ და მოახსენეს, ვითარმედ:

„შეგვეწიე, წმიდაო მეუფეო, და გვიხსენ დიდისა ჭირისაგან და განგვათავისუფლე კაცთაგან, რომელნიც არიან ამაონი და უცხოთესლისანი, ჩვენს მონასტერში დამკვიდრებულნი, სამოცამდე კაცი, იწოდებიან ქართველებად და არავინ იცის ვინ არიან, რას იზრახავენ, რაი არს მათი სარწმუნოება და რაისთვის დაუპყრიათ მონასტერნი მთისა საკვირველისანი.

გაჰკვირდა თევდოსი სამეუფოელი.

„საწუხად ჩემდა, მე კარგად არ ვიცნობ ქართველებს; მაგრამ განა ისინიც ჩვენებრ მართლმადიდებელნი არ არიან?“ — იკითხა გაოცებით.

„ჩვენთან მათი შედარება ვითარ ეგების, მეუფეო! რაღა ქართველები და რაღა სომხები. მათი ხუცესი ჟამსაც ვერ წირავს ჩვენს მონასტერში“, — აყარყაშდნენ მომჩივანნი.

ჟამს ვერ წირავსო? ეს კი მართალი თქვეს ქართველების მომტერეებმა. უკვე კარგახანი იყო ქართველ ხუცესს ჟამის წირვის უფლება აღარ ჰქონდა სვიმეონწმიდის ლავრაში. ამის მიზეზი ერთ დროს ქართველი ხუცესის „უცნაური ერესი“ გამხდარა: იგი სვეტზე ასულა და იქიდან უწირავს ჟამი არა სამღვდელო სამოსლით, არამედ ოდენ ქალამნებით და ერთი საბეჭურით. და ამის შემდგომ ბერძნებს აუკრძალავთ ქართველი ხუცესისგან ჟამის წირვა მონასტერში. ქართველს მხოლოდ ზიარების უფლება დარჩენოდა მთავარ ტაძარში.

და ეს მიზეზი მოიმიზეზეს ახლა „უკეთურებისა საფარველად“ ქართველებზე შხამის საქცევად მოსულმა ბერძნებმა.

ჩაფიქრდა პატრიარქი ანტიოქიისა. ჩაფიქრდა, იფიქრა და აღმოიხდინა ბოლოს ეს სიტყვა:

„არავინაა ნათესავთა ქართველთა შორის მცოდნე ბერძნულისა ენისა და განსწავლული საღმრთო წერილთა შინა?“

არის ასეთი კაციო, გამოუვარდა პირიდან ერთ მომჩივანთაგანს.

დაასახელეო, ბრძანა თევდოსიმ.

„არის მონაზონი ქართველი, ღრამატიკოსი და ბერძნულ წიგნთა ქართულად მთარგმნელი, სახელად გიორგი“.

„მომიყვანეთ მე იგი!“ — ბრძანა ბრძანებითა შეუვალითა პატრიარქმა.

და მიიყვანეს გიორგი ათონელი ანტიოქიის მწყემსმთავართან.

მარტო არ იყო თევდოსი. ქართველთან შესახვედრად მოეწვია მიტროპოლიტნი, ეპისკოპოსნი, სწავლულნი, წარჩინებული ანტიოქელნი, ერნი და ბერნი.

და შევიდა გიორგი ქართველი ბერძნულ სულიერ კოროსა შინა.

მიეგება თევდოსი პატრიარქი. ჯვარი გარდასახა, კურთხევა მისცა და მოიკითხა კეთილად.

მადლი მიუგო ქართველმა.

დაბრძანდიო, შესთხოვა თევდოსიმ და დაისვა პირდაპირ, ახლოს.

საუბარი გაგრძელდა დიდხანს. ეკითხებოდა თევდოსი „ღმრთივსულიერთა წიგნთაგან“, და გიორგიც პასუხობდა „ღმრთივშვენიერად“. და დარწმუნდა ბერძენი, რომ ქართველის სულში „მადლი ღმრთისაი დამკვიდრებულ არს“, და უთხრა ბოლოს, განცვიფრებულმა და აღტაცებულმა:

„პატიოსანო მამაო, კურთხეულ არს ღმერთი, რომელმან მე მახილვინა სიწმიდე შენი. და, აჰა, ესერა, ღვთის მოწყალებით გხედავ, დაღაცათუ ნათესავით ქართველი ხარ, დანარჩენითა ყოვლითა სწავლულებითა ბერძენი ყოფილხარ. მადლი ღვთისა შენთან არს დამკვიდრებული, ქართველო, და რეცა სული წმიდა ამბობდეს სიტყვას პირითა შენითა!“

ეს ბრძანა და მობრუნდა თევდოსი სამეუფოელი, და მაშინვე მოაყვანინა ქართველთა მაბეზღარნი და ცუდის მზრახ-

ველნი, ფრიად შეჰრისხნა, აძაგა, აგინა და ბრძანა მათი განკანონება ეკლესიისგან.

მაგრამ ისევ გიორგი გამოესარჩლა ქართველთა მომტერეებს. შე მიპატიებია და შენც აპატიეო, შესთხოვა პატრიარქს.

შეიწყნარა პატრიარქმა გიორგის თხოვნა და განუტევა ცილისმწამებელნი.

ბოლოს ბრძანა პატრიარქმა თევდოსი სამეუფოელმა: ამიერიდან ქართველებმა ჟამიც მათი ნებისად სწირონ სვიმეონწმიდის მთავარ ტაძარშიო.

და იქმნა ასე...

... ისევ გამოხდა ჟამი.

ისევ არ დაისვენეს ქართველთა მომტერეებმა.

ისევ ეახლნენ პატრიარქ თევდოსი სამეუფოელს მის წინაშე ქართველებზე გესლის საქცევად და აუწყეს, ვითარმედ:

„რა უფლებით ხდება, მეუფეო, ეგზომი კადნიერება ქართველებისა, რომ მათი ეკლესიანი და მღვდელთმოძღვარნი არცერთი პატრიარქის ხელმწიფებას არ ექვემდებარებიან, ყოველ საეკლესიო წესს თვითონ განაგებენ და განასრულებენ, კათალიკოსსა და ეპისკოპოსებსაც თვითონ დაისვამენ. და როგორ ბედავენ ეგზომ თვითნებურ ყოფას, როცა მათი ქვეყნის მიწაზე ფეხი არ დაუდგამს არცერთ ათორმეტ მოციქულთაგანს. ამიტომ ჯერ არს ქართველები ემორჩილებოდნენ ანტიოქიას, ამა ღმრთის ქალაქს, და ამა მოციქულთა საყდარს. რამეთუ ერი ქართველთა არის უმეცარი, სამწყსოი მათი მცირე და არიან ჩვენდა მახლობლად, ჯერ არს იმწყემსებოდნენ ისინი პატრიარქ ანტიოქელისაგან, მისგანვე იკურთხებოდეს და ხელდაისხმოდეს კათალიკოსი ქართველთა და ვიყვნეთ ასე ჩვენც და ისინიც— ერთი სამწყსო, ერთი მწყემსის ქვეშ“.

მოისმინა ქართველთა სავნებელი ეს ნაბეზღარიც თევდოსი სამეუფოელმა, მოისმინა, ჩაუფიქრდა და ბოლოს ნაბეზღარადაც აღარ მოეჩვენა. ნაბეზღარი კი არა, უფრო სამართლიანობადაც კი მიიჩნია, ქართველთა სამწყსო ანტიოქიის სამწყსოს შეერთებოდა, უკეთუ მართლა ქრისტეს ათორმეტ მოციქულთაგან საქართველოში არც ერთი არ ყოფილა, და უკეთუ...

და იხმო ისევ გიორგი ათონელი თევდოსიმ.

კვლავ ტკბილად მოიკითხა და მერე უთხრა, ვითარმედ:

„ჰოი შენ, ნეტარო მამაო, თუმცა ნათესავით ქართველი ხარ, ხოლო სწავლულობითა და მეცნიერებით ჩვენივე, ბერძენთა სწორი ბრძანდები, და იმედი მაქვს, რასაც გეტყვი, ყოველივეს ჯეროვანი სისწორით გაიაზრებ. ჩემის ღრმა რწმენით, ჯერ არს, რათა თქვენი, ქართველთა ეკლესიანი და მღვდელთმოძღვარნი ჩვენი, ანტიოქიის სამოციქულო საყდრის ხელქვეით იმწყემსებოდნენ. და შენ შეგიძლია ამ საქმის გაკეთება, რადგან მე ვიცი როგორ ისმენს თქვენი მეფე შენს სიტყვას, როგორ შეუვალად უგდებს იგი ყურს ყოველ შენს რჩევას. და ამიტომ გთხოვ მე, მისწერო საქართველოს მეფეს და აუწყო უმჯობესობა ქართული ეკლესიის ანტიოქიის ეკლესიასთან შეერთებისა“.

მცირე ხნით შედგა თევდოსი, მაგრამ როცა გიორგის სახეზე იოტის ოდენა ცვლილებაც ვერ შეამჩნია, ისევ განაგრძო, ახლა უკვე უფრო მკაცრად და უფრო ხმამაღლად:

„ხოლო, უკეთუ თქვენმა მეფემ ჩემი სიტყვისა არაფერი შეიწყნარა, მაშინ მე მივსწერ ჩემი საყდრის თანამოდგამ ოთხივე პატრიარქს — კონსტანტინოპოლის, იერუსალიმის, ალექსანდრიისა და კართაგენის პატრიარქებს — რომ ქართველები სამოციქულო კანონმდებლობას არაფრად აგდებენ და, მიუხედავად იმისა, რომ მათს მიწაზე არცერთ მოციქულს ფეხიც არ დაუდგამს, თვითონ იმწყემსებიან, თვითრჯულობენ და კადნიერად ქედფიცხელობენ. და ესრეთ შეგამთხვევთ უამრავ საზრუნავსა და საწვალებელს, ვიდრე თქვენი მეფე ჩვენს წინაშე თავის ფეხით მოვიდოდეს და მორჩილებასაც თავის პირით მოგვახსენებდეს“.

დაასრულა თევდოსი სამეუფოელმა და დააშტერდა გიორგის. გიორგი კი ისევ მშვიდად დახვდა ანტიოქელის დაჟინებულ მზერას. მერე, მხოლოდ ბაგენი შეარხია და თქვა სახეწყნარმა და სიტყვამყარმა, ვითარმედ:

„ჰოი, წმიდაო მეუფეო, ასე ადვილად რად წამოგიკრავს ხელი ეგზომ დიდისა და მაღლისა საქმის გააზრებად და განსასრულებლად? ვინ არიან ეგზომ უგუნურნი განმზრახნი და მრჩეველნი შენნი? ან და, რად ინებებ ეგზომ უგუნურად მოიხსენიო ქართველობა, სინამდვილეში ერი ბრძენი, წრფელი და უმანკოი? აჰა, ესერა, შემხედე მე და დამაკვირდი, რამე-

თუ მე ვარ ქართველთა შორის ყველაზე უმდაბლესი და უნარჩევესი და სწორედ მე უნარჩევესმა ქართველთაგანმა მოგცე პასუხი ყოველთა ქართველთა წილად, ოღონდ ჯერ მოაღებინე წიგნი — „მიმოსვლაი ანდრია მოციქულისაი“, და იქიდან გეუწყოთ საძიებელი თქვენი“.

მაშინ უბრძანა თევდოსიმ ტარსუსის ეპისკოპოსს, თ ე ო ფ ი ლ ე ს, ტომით ქართველს, მოეტანა „მიმოსვლა ანდრია მოციქულისა“.

მოვიდა თეოფილე ქართველიც და მოიტანა ნაბრძანები წიგნი.

ისევ შემოიყარა პატრიარქმა სწავლულთა საკრებულო. მოიმარჯვა გიორგიმ წიგნი იგი და უთხრა ანტიოქიის პატრიარქს:

„შენ განგაზრახეს და გათქმევინეს, წმიდაო მამაო, ქართულ მიწაზე ათორმეტთაგან არცერთ მოციქულს ფეხი არ დაუდგამსო. მე კი მოგახსენებ, რომ საქართველო თავის ფეხით მოიარა და ქრისტიანობა იქადაგა არამცთუ ერთმა, არამედ ორმა მოციქულმა — ანდრია პირველწოდებულმა და სვიმონ კანანელმა. და სვიმონ კანანელმა თავისი წუთისოფელიც საქართველოში დაასრულა და იქვე დაეფლა ქართულ მიწაში, აფხაზეთში, ქალაქ ნიკოფსიას. აჰა, ესერა, იხილე თავად, წმიდაო მეუფეო!“

და გადაუშალა წიგნი იგი ქართველმა ბერძენს და საკუთარი თვალით წააკითხვინა ბერძნულს ენაზე — მოგზაურობა და ღვაწლი ქრისტეს ორი მოწაფისა საქართველოში.

წაიკითხა თევდოსიმ ყოველივე და თქვა ბოლოს, დათრგუნვილი ჩმით:

„ჭეშმარიტ არს!“

„ახლა, შენ თვითონ, წმიდაო მეუფეო, აკი ამბობ, რომ ჩემი საყდარი, ანტიოქიისა, მოციქულ პეტრეს განეკუთვნებაო?“ — განაგრძობდა გიორგი.

„სწორედ ასეა — მე ვზი პატრიარქად საყდარსა მოციქულ პეტრეს სახელობისასა!“ — ამაყად სთქვა თევდოსიმ.

„ხოლო, პეტრეს პეტრემდე აკი სვიმონი ერქვა?“

„ჰო, მაგრამ მერე რაო?“

„მერე ის, რომ — სვიმონს პეტრე ვინ უწოდა?“

„უწოდა მისმა ძმამ ანდრიამ“, — მორჩილად მიჰყვებოდა ბერძენი ქართველს.

„მაშ, ანდრია მწოდებელია, ხოლო პეტრე — წოდებული, არა?“

„ჰო, ასეა, მერე?“

„მერე ისიც ხომ მართლად გამოდის, რომ ძმათაგან მწოდებელს საქართველო გაუნათლებია, ხოლო წოდებულს — ანტიოქია?“

„გამოდის, ჭეშმარიტად გამოდის“.

„და უკეთუ ყოველივე ასე გამოდის და ანტიოქიისა და საქართველოს სამწყსოთა შეერთებაც აუცილებელია, მაშინ რომელი რომელს უნდა დაემორჩილოს — მწოდებელი წოდებულს, თუ პირიქით, წოდებული მწოდებელს? ანუ რომელი უფრო უპრიანი ყოფილა, უფროსი ძმისა და მწოდებლის სამწყსო საქართველო უნდა ემორჩილებოდეს უმცროსი ძმისა და უფროსისგან სახელდებულ სამწყსო ანტიოქიას, თუ პირიქით?“

„ჰო, უცნაურია, თან მართალია, თან კიდევ...“ — ბუტბუტებდა თევდოსი.

ხოლო გიორგი უკვე სიცილით განაგრძობდა:

„ასე გამოდის, სრულის უეჭველობით, მეუფეო, რაკი შეერთებაა, ანტიოქია და შავი მთა უნდა შეუერთდეს საქართველოს“.

უხერხულად იღიმებოდა პატრიარქი ანტიოქიისა.

გიორგიმ კი ღიმილი მოიშალა და დინჯად განაგრძო:

„ქართველებს, მეუფეო, თქვენ რომ უმეცარ და მსუბუქ ხალხად მიგიჩნევიათ, — სწორედ იმ ანდრია პირველწოდებულისა და სვიმონ კანანელის საგანმანათლებლო მოგზაურობის დროიდან ქრისტეს სჯულისთვის აღარასოდეს უღალატნიათ. ხოლო თქვენ, ბერძენნი, თქვენივე მტკიცებით მარად ბრძენნი და მარად მძიმენი, რამდენჯერ მიდრეკილხართ ღალატად მართლმადიდებლობისა? გადმოიღეთ და წაიკითხეთ, მეუფეო, დიდი სვინაქსარი, რომელიც გვაუწყებს: იყო დრო-ჟამი, როცა მთელს საბერძნეთსა მართლმადიდებლობა აღარ იბოვებოდა და სწორედ ამის გამო იოანე გუთელი მცხეთას ჩავიდა და ქართლის კათალიკოსის ხელით ეკურთხა კათალიკოსად“.

დაასრულა და დადუმდა გიორგი.

ხოლო თევდოსი სამეუფოელმა ასე მიმართა საკრებულოს მღვდელთა და ერთა:

„ხედავთ ბერსა ამასა, ვითარ მარტომან გვძლია და დაგვიბრიყვა ესოდენი სიმრავლე ღვთისმეტყველთა და სწავლულთა? ვითარცა მდინარე, დაუწყვედლად მოედინება წმიდა სიტყვანი და ჭეშმარიტებანი პირითა მისითა. ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია მოვერიდოთ და ვეკრძალოთ, რათა უარესი არ დაგვმართოს და, არამცთუ ოდენ სიტყვით, არამედ საქმითაც არ გვამხილოს მარცხი ჩვენი, კვლავ უფრორე არ დაგვამციროს და არ დაგვიმონოს!“

და იმ დღიდან კვლავ უფრო გახმიანდა და განიფინა სახელი გიორგი ქართველისა, მთაწმიდელისა, ათონელისა. იმ დღიდან „შეიყვარა იგი პატრიარქმან და ყოველთა ანტიოქელთა, ვითარცა მამაი და მოძღვარი სულიერი“. იმ დღიდან თევდოსი სამეუფოელი — ვითარცა მის წინარე პატრიარქი იოანე — აღარაფერ მნიშვნელოვან საქმეს გიორგის დაუკითხავად და მასთან განუსჯელად აღარც განიკითხავდა, აღარც განასრულებდა. იგი, როცა ამ „უცნაური ქართველის“ მიწვევა დასჭირდებოდა, სახედარსაც თვითვე უგზავნიდა...

...წერდა და იღვწოდა გიორგი ათონელი და „მოირწყნეს ეკლესიანი შავისა მთისანი წიგნთა მისთა მდინარითა სულთა განმანათლებელთა, რამეთუ ყოველთა მონასტერთა გარდაიწერნეს. და უფროის ყოველთაისა დიდად იღვაწა სულით კურთხეულმან ანტონი, ლიპარიტყოფილმან“. (გიორგის წიგნთა „გარდაწერას“ შესდგომოდა კაცი, რომელსაც ერთ დროს ერქვა ლიპარიტ ბაღვაში, კლდეკარის ერისთავთერისთავი, ბაგრატიონთა სამეფო სახლის დაუძინებელი მტერი და საქართველოს სისხლისდამაქცევარი)...

საქართველოდან კი ზედიზედ მოსდიოდა წერილები გიორგის — მეფისა, უფლისწულისა და ორივე დედოფლისა. იხმობდნენ, ეაჯებოდნენ, საქართველოში გვეწვიეო, შენს სათაყვანო სამშობლოშიო, აქაც გვაკურთხე, გაგვანათლე და გა_ გვახარეო.

„წმიდაო მამაო, მანდა, შავსა მთასა, მცირედნი, არიან მონასტერნი ჩვენნი, რამეთუ ქვეყანაი არს უცხოი. ხოლო ჩემი სამეფო ვრცელ არს და დიდ ფრიად და მაღალ, და ეკლესიანი

და სამღვდელთმოძღვრონი და მონასტერნი ფრიად მრავალ და დიდებულ. აწ არწმუნოს ღმერთმან სიწმიდესა თქვენსა, რათა ჰბრძანოს და მოშვრე. და ჩვენ ვიკურთხნეთ თქვენ მიერ და განვნათლდეთ და კვალად ეკლესიანი ჩვენნი აღივსნენ მდინარითა მავათგან სულთა განმაცხოველებელთა წიგნთა თქვენთა ღმრთივსულიერთა". ამას ბაგრატ მეფე სწერდა გიორგის.

არ უპასუხა ამ წერილს გიორგიმ, „რამეთუ ყოვლითა მოსწრაფებითა ევლტოდა დიდებათა კაცთასა და შფოთსა სოფლისასა და სიმდაბლესა შეიტკბობდა". ამასთან იმისიც ეშინოდა, ბაგრატ მეფემ საქართველოს მწყემსმთავრობა არ გადამკიდოსო.

მცირე ჟამი გამოხდა და ისევ მოვიდა წერილი ბაგრატ მეფისგან:

„წმიდაო მამაო, არათუ ოდენ წიგნთათვის ვარ, რათა განათლდენ ეკლესიანი ჩვენნი, არამედ რათა თვით მე განვნათლდე ხილვითა თქვენითა და სული ჩემი ხელთა თქვენთა შევჰვედრო და ძე ჩემი და ყოველნი თვისნი ჩემნი სიწმიდისა თქვენისა მიერ იმწყსებოდინ და განისწავლებოდინ, და რათა ღმერთსა ნიჭად მიუპყრნე სულნი ჩვენნი".

ეს წერილიც წაიკითხა და უცებ უსაშველოდ მოსწყურდა გიორგის საქართველოში წასვლა. მოსწყურდა, მაგრამ გულსავსედ რომ დარჩენილიყო, მაინც ღვთის დაუკითხავად ვერ გადაწყვიტა გადასაწყვეტი. საერთოდ სჩვეოდა ასე გიორგის, ყოველი დიდი საქმის გადაწყვეტისას წილის ჩაგდება, წმიდა მოციქულთა მობაძვით. იმ დღესაც ისე მოიქცა, საქართველოში ჩასვლას რომ წყვეტდა: ეტრატის ერთ ნაჭერზე „წასვლა" დაწერა, მეორეზე „არწასვლა", ორივე საკურთხეველის ქვეშ ამოსდო, მერე გიორგი ხუცესმონაზონი შემოიყვანა, ჟამი აწირვინა და არჩევანი ამოაღებინა.

და წილად „წასვლა" ამოვიდა.

„ღმერთმა გულსგვიდგინა და დაგვაჭერა!" — თქვა გიორგიმ და ბაგრატ მეფეს გამზავრების თანხმობა მისწერა ღვთისგან გულსავსემ.

და იმ წერილის მიღებისთანავე ბაგრატ მეფემაც სასწრაფოდ წარგზავნა სახედარნი და განძი, სამგზავროდ სამყოფინარი. მეფე წერილებს უგზავნიდა ანტიოქიის პატრიარქსაც

და დუკასაც, რათა არ დაებრკოლებიათ და ხელიც შეეწყოთ გიორგისა და მის მხლებელთა, ანუ მოწაფეთა გამგზავრებისათვის საქართველოში.

და წარმოემართა გიორგი მთაწმიდელი ანტიოქიიდან, რამდენიმე მოწაფის თანხლებით. ევფრატამდე უხიფათოდ იარეს. ევფრატზე მისვლისას კი შეიტყვეს, რომ თურქებს დაეპყროთ მთელი შუამდინარეთი. მაშინვე ევფრატიდან სევასტიისაკენ იქცეს გეზი. მაგრამ აქაც არ გაუმართლდათ. თურმე სევასტიაც აეღოთ თურქებს, აეღოთ და დაეწვათ. ქართველი ბერები კი უცოდნელად ვიდოდნენ და თურქთა ხელში ჩავარდნაც არ აცდებოდათ, რომ უცებ მაღლიდან ძახილი არ შემოსმოდათ: არ წახვიდეთ, უკან დაბრუნდითო.

ხმა გაიგონეს და ხმის პატრონი თვალითაც ვერ მოიხილეს. უეჭველად ანგელოზი იქნებოდაო, ბრძანა გიორგიმ და სევასტიის გზიდან კესარიისკენ გადაუხვიეს სასწრაფოდ. კესარია მშვიდობით განვლეს და სამისონს მივიდნენ. აქ საქართველოში მიმავალ ხომალდში ჩასხდნენ და, „კეთილითა და ჰამოითა ნიავითა ფოთს მიიწივნეს“. ხომალდიდან გარდახდნენ, მიწას დაემხნენ და კარგახანს ჰკოცნეს და ცრემლით ალტვეს ქართული მიწა. მერე ისევ შესხდნენ კარაულთა ზედა და ქუთათისისკენ გაეშურნენ, რიონის ასწვრივ.

იდგა ჟამი სთვლობისა, ქუთათისს რომ მიატანეს. დიდის ზარზეიმით გამოეგება საქართველოს მაშინდელი დედაქალაქი წმიდა მამას და სიმართლის მზისთვალს. ილარიონ ქუთათელმა ბაგრატის ტაძარში საზეიმო პარაკლისი გადაიხადა ღვთაებრივი სტუმრის სადიდებლად. და იმ დღეს კიდევაც დაემოწაფა ილარიონი გიორგის.

თვითონ მეფე ბაგრატ მეოთხე ქუთათისს არ ბრძანდებოდა მაშინ. იგი უფლისციხეს გადასულიყო, სახლეულით და მსახურეულით. სასწრაფოდ აუწყეს მეფეს გიორგის მობრძანება. გაიხარა მეფემ სიხარულითა დიდითა. საწრაფოდ თავისი მწიგნობარი აფრინა ქუთათისს, რათა პატივით გადაეყვანა მას ძვირფასი სტუმრები იმერეთიდან ქართლს. გაემგზავრნენ და ილარიონ ქუთათელიც თან გაჰყვა მოძღვარს.

ქართლი მგლოვიარედ შემოეგება ათონელ მამას. წინა წელს შიმშილი და შავი სნება ერთად დასტყდომოდა ქვეყა-

ნას. ბერი აუტირდა გიორგის „ჰოი მე, რაისათვის მოვიწიე ამას ქვეყანასა ხილვად ესევითარითა უბედურებათა!“

უფლისციხიდან სამი ჟამის სავალზე მეფემ სტუმრებს მაღალ სამღდელოთა ამალა შემოაგებინა. მალე უფლისციხეს მივიდნენ. გამოეგება მეფე და შესძახა „განმხიარულებულმან სიხარულითა დიდითა“:

„კურთხეულ არს ღმერთი! აჰა, დღეს ცხორებაი არს სამეუფოისა ჩემისაი, რამეთუ ვიხილე ახალი ოქროპირი!“

და ასევე, დიდებულნი და წარჩინებული კარისკაცნი მეფისანი — „იხარებდეს და ჰმადლობდეს ღმერთსა და იტყოდეს“:

„კურთხეულ არს ღმერთი, რომელმან მოგვივლინა ესევითარი კაცი მაცხოვრად სულთა ჩვენთა!“

და იყო სიხარული დიდი ყოველსა მას სამეუფოსა მისსა“...

...გიორგი მთაწმიდელის მოსვლის წელს, მეფე ბაგრატ მეოთხემ კეთილმძლეობით სძლია ერისა და ქვეყნის საბოროტოდ გამძლავრებულ ხუთთა ძმათა აბაზაისძეთა. „ესე კაცნი ძლიერნი და ახოანნი, სიმდიდრესა ზედა მკლავისა თვისისა მოქადულნი და სიმრავლესა ზედა ერისასა აღზვავებულნი, ხუთნი ერთობით“, თვითონ ესწრაფოდნენ მეფის დამხობას, მზაკვრული ხვანჯებითა და ავი ღადრობით. ლიპარიტ კლდეკარის ერისთავის შემდგომ, არცერთი სხვა თავგამზიდავი დიდაზნაური არ გამხდარა მეფისთვის ისე საშიში, როგორც იოანე აბაზაისძე და ძმანი მისნი.

და გიორგი ათონელის მოსვლიდან ერთი თვეც არ გასულიყო, რომ ბაგრატ მეფემ ისე შეიპყრო ძმანი აბაზაისძენი, „ვითარცა უძლურნი რაიმე და ყრმანი ჩჩვილნი“.

და ეუბნებოდა ბაგრატ მეფე გიორგი მთაწმიდელს, ეს გამარჯვებაც შენი ლოცვისა და მადლის შედეგიაო, რადგან შენს მოსვლამდეც მრავალგზის ხელვყავ აბაზაისძეთა დამხობად, მაგრამ ვერასოდეს ვერ გამემარჯვაო. ახლა ამ სასწაულს შენის წყალობით მივემთხვიე და ამიერითგან ჩემი მეფობა ოდენ შენის ლოცვითა და კურთხევით უნდა წარემართოსო...

გიორგის მოსვლიდან პირველი ზამთარი რომ მოიწია, ბაგრატ მეფე, ვითარცა ჩვევა ჰქონდა, გამოსაზამთრებლად აფხაზეთს გაემგზავრა, და ათონელი მოძღვარიც თან წაიყვანა.

ჭყონდიდს რომ მიატანეს, ჭყონდიდის მთავარეპისკოპოსი ეველდრა მეფეს, იმ ზამთარს მასთან დაეტოვებინა დიდი სტუმარი, რადგან თვითონ ჭყონდიდელი დამოწაფებული ყოფილიყო ათონელი წმიდა მამისა და გარდარეული სიყვარულით ჰყვარებოდა მოწაფეს მოძღვარი თვისი. და შეიწყნარა მეფემ ჭყონდიდელის თხოვნა, რაკიღა შეატყო, გიორგისაც ესურვილებოდა ჭყონდიდს დარჩენა. და ასე, მეფე მარტო წავიდა აფხაზეთს, ანაკოფიას, ზამთრის სათევად და შანდაურ საქმეთა საურავად.

ზამთარიც აიკრიფა და მეფე და მისი სტუმარი ისევ ქართლს დაბრუნდნენ. უფლისციხეში დადგნენ და მეფემ გიორგი მთაწმიდელს „განსასვენებლად და საყოფელად“ უბოძა „ადგილნი შვენიერნი“ და „ლავრანი დიდებულნი“, მათ შორის — ნეძვისა ქართლში და შატბერდისა — კლარჯეთში. მაგრამ თავისგან მაინც არ იშორებდა მეფე ათონელს, რადგან „ვერ განძლებოდა სმენითა თაფლისა უტკბილესთა მათ სიტყვათა მისთაითა“. და ერთხელაც ეს უთხრა მეფემ მთაწმიდელ მოძღვარს:

„ჩვენ ამისთვის გავბედეთ მოშრომა და შეწუხება სიწმიდისა თქვენისა, რათა სრულიად აღმოვფხვრა ჩვენი სულისაგან ყოველი ნაკლულოვანება და ცთომა უწესო. ამიტომ გთხოვ, დაფარული დაფარულად გვამხილე, ხოლო ცხადი თვალუხვავად განგვიმარტე. რამეთუ რაიცა მიბრძანოს მამობამან შენმან, ესრეთ შევიწყნარო და შევასრულო, ვითარცა ნაბრძანები წმიდა მოციქულთა პირისაგან“.

ეს უთხრა და გიორგი უფლისწული შემოიყვანა, მისი ხელი აიღო, ათონელს ხელში ჩაუდო და შესთხოვა მოწიწებით:

„აჰა, მოგცემ სულსა ამის ყრმისასა და წინაშე ღმრთისა გთხოვ!“

პასუხად ათონელმა აკურთხა ტახტისმემკვიდრე, დალოცა და დაასრულა სიტყვითა ამითა:

„ღმერთმან ორითავე ცხორებითა ადიდენ, ვითარცა დიდი კონსტანტინე, შიშსა შინა თვისსა და დაუმორჩილენ ყოველნი მტერნი მისნი!“

და დაიმოწაფა გიორგი მთაწმიდელმა გიორგი უფლისწული. საგანგებო სწავლანი დაუწერა და მისცა, ღმრთივსულიერ-

ნი და მცნებანი საღმრთონი. მისცა და უბრძანა, რათა იკითხვიდეს და ისწავლიდეს გულსმოდგინებით და განიადაგებით, რამეთუ მომავალი ხელმწიფე, პატრონი, გამზრდელი და განმსწავლელი ერისა, უწინარესად თვითონ ყოფილიყო განსწავლული, გაწურთვნილი და განსპეტაკებული ხელისუფალი.

ხოლო სწავლანი გაორგი ათონელისა არ იყო სასწავლონი ოდენ ერთი ტახტისშემკვიდრისა. არამედ დადიოდა ათონელი სოფლიდან სოფელს, დაბიდან დაბას, ქალაქიდან ქალაქს, სმწყსოდან სამწყსოს, და ასწავლიდა ყველგან და ყველას — დიდსა და მცირეს, სეფეწულსა და გლახაკს, აზნაურსა და უაზნოს, მჭონებელსა და უპოვარს, ერსა და ბერს.

ასწავლიდა, ზრდიდა, მოძღვრავდა, კურნავდა (რადგან „მადლი აქვნდა სულთა კურნებისაი") და იყო შუამდგომელი ღმერთსა და კაცს შორის.

ასწავლიდა და ამხელდა.

მოძღვრავდა და განაქიქებდა.

აღსარებად და სინანულად იწვევდა ყველას, დიდით მცირემდის, უმაღლესიდან უდარესამდის. და წმინდანის წინაშე „იწყეს აღსარებად და სინანულად თვით მეფემან, კათალიკოზმან, მღვდელთა და დიაკონთა, მონაზონთა და მოწესეთა, დიდებულთა და მთავართა, მდიდართა და გლახაკთა. ესრეთ მხურვალითა სარწმუნოებითა მოისწრაფეს, ვიდრემდის საზრდელსაცა ძლივს მიიღებდნენ".

განანათლა ათონელმა ქვეყანა და „ყოველნივე ცხადნი და დაფარულნი უწესოებანი განჰმართნა". მთავარი კი მაინც ის იყო, რომ არც მეფესა და მეფისანებს დაერიდა და სწორედ უპირველესად მათ მიმართ „აღლესა მახვილი მხილებისაი მრავალთა უწესობათათვის უშიშრად და თვალუხვავად, სიბრძნით და გონიერად, რათა არა ჰყიდდეს საეპისკოპოსოთა კაცთა მიმართ უწესოთა და უსწავლელთა და ყოვლითურთ სოფლისა შემსჭვალულთა და უწესოებათა და მიმოსვლათა შინა აღზრდილთა, არამედ გამოარჩევდეს კაცთა ღირსთა და წმიდათა, მონაზონებასა შინა აღზრდილთა და ღმრთივსულიერთა მოძღვართა მიერ წამებულთა"... მაშ, უღირსთა დაწინაურებას დაერიდე და ღირსეულნი დააწინაურეო, — აფრთხილებდა მეფეს მოძღვარი. სიმართლის სასწორსაც დიდისა და მდიდრის ასამაღლებლად ნუ მისდრეკ, არამედ მდაბიო, ობოლი, ქვრივი

და ჩაგრული განამართლე და გააძლიერე, ვითარცა გვასწავლ[illegible] დავით წინასწარმეტყველიო...

დადიოდა საქართველოში გიორგი ათონელი — „მონაზონთა და მოწესეთა და ყოველსა ერსა შესატყვისი სწავლითა განანათლებდა. უსწავლელთა ასწავლიდა, ხოლო სწავლულთა ნასწავლსა მათსა აღუხსენებდა და განუმტკიცებდა, მდიდრებს გლახაკთა წყალობას ასწავლიდა, ხოლო გლახაკთა — მოთმინებას და ქველთა საქმისათვის გარჯილობას, დაცემულთ აჰღმართებდა, ხოლო დაცემადთა განამტკიცებდა, მოწყლულთა ისრითა უხილავთა მტერთაითა განჰკურნებდა, ხოლო მოწყლვადთა მათ მოწყვლისაგან უვნებლად დაიცვიდა, დაჭმულთა ღელვათა შინა ვნებათასა აღმოიყვანებდა, ხოლო დანთქმადთა დანთქმად არა დაუტევებდა, არამედ, ვითარცა ხელოვანი მენავეთმოძღვარი, ზღვისაგან ამის სოფლისა დაუთქმელად განარიდებდა“...

და კიდევ საქმე უდიდესი, ღვთაებრივი მადლით მოსილი, რაიც იტვირთა საოცარმა კაცმა ზესთასოფლურმა: ესე არს შეკრება ბავშვთა ობოლთა.

ხოლო, კრებდა ბავშვებს რაის მიზეზით?

მიზეზითა სამითა:

ჯერ ერთი — მის გულმოწყალე ბუნებას სწყუროდა თავგამოდება უდედმამობით გულდალახვრული ობლებისათკის.

მეორეც — ეს უდედმამო ბავშვები ქართველ სწავლულთა საკრებულოდ უნდა ექცია გიორგი მთაწმიდელს, და მთავარიც სწორედ ეს იყო. უკვე დამწვისებულ და ჰასაკმორეულ ადამიანებს უჭირთო სწავლა წიგნისა და ენისა უცხო თესლისა, ხოლო ბავშვობის ბუნება, გრძნობიერი, ლბილი და ჩვილი, ვითარცა ცვილი საბეჭდავსა, ეგრეთ მიიღებს და აღიბეჭდავს სწავლულებასო? — ფიქრობდა გიორგი.

მესამეც — ათონის მთის ქართველთა სათვისტომოს გამძლავრება ჰქონდა გიორგის გულს ამოჭრილი. ათონი შორს იყო საქართველოდან და განსწავლული ქართველი ძვირძვირაობით თუ გამოჩნდებოდა ათონზე, და ვინც მოვიდოდა, უმრავლესნი ჟამს დაყოფდნენ და ისევ ტოვებდნენ მთასა წმიდასა. ტოვებდნენ და ცარიელდებოდა ივერონის ბრწყინვალე ლავრა და კნინდებოდა სათვისტომო ქართული. ამიტომ შეკრებილ ობოლთა უმრავლესობა მაინც სწორედ ათონის ქარ-

თულ სავანეთა გასამძლავრებლად უნდა გამოეზარდა გიორგის.

სულ ოთხმოცი უდედმამო ბავშვის შეკრება და საბერძნეთს წაყვანა გადაეწყვიტა ათონელ წმინდანს. ეძებდა და კრებდა თვითონ. ეხმარებოდნენ თანმხლები მოწაფენი. მოჰყავდათ სხვებსაც — ობოლთა ნათესავებს, ახლობელთა და შორიელთა.

და იკრიბებოდნენ ობოლნი, ვითარცა ცხოვარნი წინაშე მწყემსისა კეთილისა.

და ალაგებდა გიორგი მთაწმიდელი სასწავლოდ და სამოძღვროდ ობლებს ასაკ და ასაკ: ოცეული პირველი — ხუთ წლამდე, რომელთაც დედის ძუძუ ჯერაც არ დავიწყნოდათ; ოცეული მეორე — ხუთიდან თორმეტ წლამდე, რომელთაც მამაკაცობის თმა ჯერ არ ამოსვლოდათ; ოცეული მესამე — თორმეტიდან თექვსმეტ წლამდე, რომელთაც მამაკაცობის თმა ამოსვლოდათ, და ოცეული მეოთხე — თექვსმეტიდან ოც წლამდე, რომლებიც მამაკაცობის თმასთან ერთად უკვე იყვნენ წვერულვაშ-დაწამებულნი...

უკვე მეხუთე წელიწადი იდგა საქართველოში მისი მოსვლისა და ისევ, სანამ უდედმამო ბავშვებს კრებდა, კვლავ ქართულ ეკლესია-მონასტრებში განაფენდა და აბინავებდა წიგნთა ყოველთა, რაიც მის კურთხეულ ხელს და გონებას ეთარგმნა, დაეწერა და დაესვინტაქსებია ორივე წმიდა მთასა ზედა — ათონსა და შავ მთას. ჯერ, რა წიგნებიც დახვდა საქართველოში, იმათ განიხილავდა ვულდასმით, სწორის სისწორეს ამტკიცებდა, ცრუსწოროს ასწორებდა და განმართავდა, ნაკლულოვანთა ავსებდა, განუმარტებელს განმარტავდა და კვამლოვანს განანათლებდა. ყველას და ყველგან წერილად თუ დაუწერელად უტოვებდა სწავლათა, მცნებათა, ცნებათა, ჭეშთა და შეგონებათა.

და იმავე მეხუთე წელს კონსტანტინეპოლიდან ელჩიონი ეწვია საქართველოს სამეფო კარს, საპატიო სინკლიტიკოს სვინკელოზის მეთაურობით. ბიზანტიის მაშინდელი კეისარ-იმპერატორი კონსტანტინე დუკა თავისი უფროსი ძისა და ტახტისმემკვიდრის, უფლისწულ მიქაელისთვის ცოლად და ბიზანტიის მომავალ დედოფლად ითხოვდა ქართველთა მეფის ასულს, მართას.

და ყველამ ისევ გიორგი მთაწმიდელს მიაპყრო მზერა.

„აჰა, მამაო, აღესრულა წინასწარმეტყველებაი შენი მართას ზედა!“ — შესძახა მარიამ დედოფალმა და ეამბორა ხელზე ღვთაებრივ მოძღვარს.

...და დამდგარიყო დღე გამგზავრებისა.

და მიდიოდა საქართველოდან გიორგი ათონელი, მიდიოდა და მიჰყავდა ოთხმოცი ობოლი ყრმა, სამომავლო სა-დიდ-ქართველოდ.

და მიდიოდა, ბრწყინვალე სამეფო ამალით, მეფის ასული მართა, მომავალი მარიამი, დედოფალი ბიზანტიისა.

საქართველო გაიარეს. ზღვის პირს ბიზანტიის კეისრისგან გამოგზავნილი დრომონი ელოდათ. ჩასხდნენ და წავიდნენ. კონსტანტინოპოლის სასახლე დიდის ზარზეიმით შეხვდნენ საქართველოდან ჩამოსულთ.

იმპერატორმა კონსტანტინე დუკამ იმ დღესვე „აღუწოდა და აღიყვანა“ საღვთო კონსისტორიონში გიორგი ათონელი, მისი თანმხლები იოანე ბედიელისა და პეტრე ბერის თანხლებით. სვინგელოზმა წარუდგინა სტუმრები კეისარს. წინ გავიდა გიორგი, მიეახლა კეისარს „წესისაებრ სამეუფოისა, თაყვანის სცა, ქებაი შეასხა და ლოცვაი და კურთხევაი მიუძღვნა“.

გაჰკვირდა კონსტანტინე კეისარი. ასეთი ღმრთივსულიერი სახე კაცისა ჩემს სიცოცხლეში არ მინახავსო, გადაულაპარაკა გარს მომდგარ სინკლიტიკოსებს. სიტყვაც როგორი ჰქონიაო, დაბალხმოვანი, ამოდსასმენი და მკვირცხედ შესაგონებელიო. მერე პეტრეს და იოანეს მიუბრუნდა და უთხრა მათ სახეგაბრწყინებულმა:

„მადლიერ ვარ უფლისა ბაგრატ სევასტოსისადა, რომელმაც მე გამომიგზავნა ესევითარი კაცი, ანგელოზთა მიმსგავსებული. კაცი რომელიც, დაღაცათუ ნათესავით ქართველი არს, ხოლო ყოვლითურთ წესი ჩვენი ჰმოსიეს“. სთქვა და ბაგრატ მეფის წერილი წაიკითხა. წაიკითხა და ამოიკითხა:

„გიხაროდენ, ჰოი ღმრთისმოყვარეო მეფეო, რამეთუ წარმომივლენიეს წინაშე მეფობისა შენისა კაცი, მიმსგავსებული უსხეულო ანგელოზთაი, და მოძღვარი ჩვენი ყოველთაი. ეგრეთ შეიწყნარე, ვითარცა შვენის მეფობასა შენსა, რომლი-

სა ლოცვითა დაამყარენ ღმერთმან ყოვლისა სოფლისა მპყრობელი წმიდაი მეფობაი შენი!“

წაიკითხა ეს წერილი და მაშინვე გიორგის მიუბრუნდა კეისარი:

„ბრძანე, წმიდაო მამაო, და რაიცა ინებო, ჩემმა ხელმწიფობამ მყისვე აღგისრულოს სიხარულითა და წადნიერებითა!“...

...იმ დღეს მარიამ მართა-ყოფილის საპატარძლოდ დაწინდვაც მოხდა...

...კიდევ ერთი დღე და, გიორგი ათონელი ისევ მიიწვია იმპერატორმა, ამჯერად მაგნავრაში. ჭადრების ხეივანში ისხდნენ. შუაზედ კეისარი იჯდა, მარჯვნივ და მარცხნივ სამღვდელონი ჩარიგებულიყვნენ. სამი კათოლიკე პატრი შეიცნო გიორგიმ. დამხვდურნი დიდის წადნიერებით შეხვდნენ ახალმოსულს. იმპერატორმა გვერდით დაისვა გიორგი და კვლავ მიუბრუნდა დანარჩენებს — აი, კაცი ღვთისნიერი, რომლის სიტყვა და აზრი იქნებ უფრო შესასმინარი და შესაგნებელი აღმოჩნდეს ჩვენთვისო.

მაგრამ სანამ რომის კათოლიკეთა და ბერძენთა მართლმადიდებლობაზე გვეტყოდე, მანამ ის გვითხარ, ქართველთა და ბერძენთა ქრისტიანობას შორის თუ არის რაიმე განსხვავებაო.

გიორგიმ მაშინვე უპასუხა, მშვიდი და მტკიცე ხმით: განსხვავება ის არის, რომ ჩვენი, ქართველების მართლმადიდებლობა უფრო მტკიცეა, ვიდრე თქვენი, ბერძნებისო.

როგორ თუ ქართული ბერძნულზე უფრო მტკიცეაო! — იტკიცეს ბერძენმა სწავლულებმა.

„როგორ და, ჩვენ რაიც თავიდან მიგვიღია და გვიცვნია ქრისტიანობა, მის შემდგომ მისთვის ოდნავადაც აღარ გვიღალატნია, არასოდეს არ მივდრეკილვართ არც მარცხნივ, არც მარჯვნივ. და არც მივდრკებით, უფლისა ნებით“, — მტკიცედ თქვა ქართველმა და თან ისე გადახედა ბერძნებს, თუ საჭირო იქნება, განვაგრძობ და აქვე გადმოგილაგებთ ყოველ მიდრეკ-მოდრეკას და გადახვევ-გადმოხვევას, რაიც ბერძნულ მართლმადიდებლობას დამართნია დასაბამითგან მოაქჟამამდეო.

მაგრამ ბერძენ ღვთისმეტყველთ აღარ უცდიათ საცილობელი პასუხის გაცემა, ხოლო კეისარმა მაშინვე ირწმუნა გი-

ორგის ნათქვამი და გაჰკვირდა ქართველთა სარწმუნოების აგრე ხანგრძლივად უცვლელობისა და ურყევლობისათვის. და მაშინვე გადააბა ახალი სათქმელი გვირგვინოსანმა:

„მადლი ღმერთსა, ეგზომ უაღრეს საგულისხმონი რომ შევიტყვე ნათესავთათვის ქართველთა. გარნა, პატიოსანო მამაო, მე კაცი ვარ სამხედრო საქმეთა შინა აღზრდილი და მეცნიერებისა წვლილად ყველაფერი ვერ მიცნობიეს. ხოლო აწ ვინათგან კვერთხი მეფობისა ხელთ მიპყრიეს, მნებავს, რათა ყოველივე ვიცოდე, რაიც საცილო გამხდარა ბერძენთა და ჰრომაელთ შორის. მართლმადიდებლობა პირველ ყოვლისა სწორედ მეფეთაგან იძიების. და გვაუწყე, პატიოსანო მამაო, ვითარ არს ესე, რომ ჩვენ, ბერძნები და ქართველები მფუვანი პურითა ვწირავთ და ზედაშესაც წყალს ვურევთ, ხოლო ჰრომაელნი უფუვარი ხმიადითა და ურწყოითა ზედაშითა წირვენ? ფრიად უცხო მიჩნს ესე საქმე და ურთიერთას წინააღმდგომ. ანუ რა ძალა აქვს პურის ცომსა და მასთან შერეულ მარილსა, ან წყალს, რომელსაც ვურევთ ზედაშესა? განგვიმარტე და გულისხმა გვიყავ, წმიდაო მამაო!“

ამაზე გიორგიმ მაშინვე მიუგო:

„ჰოი მეფეო, ვინაითგან ბერძენთა შორის მრავალი წვალება შემოვიდა, მრავალგზის მიდრკეს ხან მარცხნივ და ხან მარჯვნივ, ამისთვის წინარე თქვენებრ ღმრთისმსახურმა კეისრებმა და ბასილევსმა შეკრიბეს წმინდანი საეკლესიო კრებანი, წვრილად გამოიძიეს განგებულებანი ქრისტესი, ღმერთისა ჩვენისა, და გამოძიებით დააწესეს, რათა ქრისტეს ხორცის განსახებად მოვიღებდეთ მფუვანსა პურსა, ხოლო ქრისტეს გონების განსახებად — მარილსა, და კიდევ, ზედაშე ღვინოში წყლის შერევა დაწესდა იმად, რომ ქრისტეს ჯვარცმულსა ლახვარნაკრავი გვერდიდან სისხლის გარდამოსდინდა და წყალიც. რაც შეეხება ჰრომაელთა, იმათ დასაბამითგან რომ ღმერთი ერთხელვე იცნეს, მას შემდგომ აღარასოდეს აღარც მწვალებლობა, აღარც რაიმე მიდრეკა და გადახვევა სარწმუნოებაში აღარ ჰქონიათ. ყველამ იცით განშვენებულად — ღამესა მას სერობისასა უფალმა ჩვენმა იესომ უსისხლო მსხვერპლი მისცა თავის მოწაფეებს და, აგრეთვე მიბაძგითა უფლისაითა, მოციქულმა პეტრემ, თავადმან ჰრომის ეკლესიისამან, პირველმა შესწირა მსხვერპლი უსისხლო. და

მას შემდგომ ასევე უცვლელად მისდევენ ჰრომაელნი პეტრეს წესთა და სარწმუნოებას". მცირედ შედგა და დასძინა: „ასე ესე, და არარაი არს ამას შინა განყოფილებაი, ოდენ სარწმუნოებაი მართალი იყოს".

ასეთმა განსჯამ ძალიან გაახარა კათოლიკე ბერები, რომელთაც მაშინვე მიუფინეს გიორგის: წმიდა პაპის წინაშე უნდა წაგიყვანოთ და იქ გათქმევინოთ ეგ სიტყვაო. გიორგის ამის პასუხი არც უცდია და არც კეისარს დაუყოვნებია ეთქვა გიორგისთვის ის, რაიც წინა დღეს აღთქმად დაედო:

„რაიცა საურავი და საზრუნავი საქმე გექნეს, მითხარ და ყოველივეს აღგისრულებს მეფობაი ჩვენი!"

გიორგიმ კი არც იმჯერად ინება რაიმეს თხოვა, ისე დაემშვიდობა კეისარს და დაბრუნდა თავის ობოლთა ბანაკში.

იმ დღეს კიდევ ათონიდან ივერონის მამასახლისი ჩამოსულიყო, „კაცი სახიერი და წრფელი". მივიდა, ხელები დაუამბორა გიორგის და შეჰღაღადა:

„კურთხეულ არს ღმერთი, კეთილად მოგიძღვა უფალი! აჰა ესერა, მონასტერი შენი წინაშე არს შენსა!"

მესამედ კიდევ მიიწოდა თავისთან კონსტანტინე დუკამ გიორგი ათონელი. ისევ დაისვა გვერდით და უთხრა ერთხელ კიდევ:

„რაიცა საურავი და საქმე შენი არს, მითხარი და ყოველსავე აღგისრულებს კეისრობა და ბასილევსობა ჩემი".

„საურავად და საზრუნავად მე ის ოთხმოცი ობოლი ყრმა დამრჩენია, საქართველოდან რომ წამოვიყვანე მე ცოდვილმა", — უპასუხა გიორგიმ.

„მერე, მაჩვენე ეგ შენი ობლები, რათა მივხედო წყალობით" — ბრძანა კეისარმა.

მადლი მოახსენა გიორგიმ, ბავშვებს გავამზადებო, პიტაკს მოგართმევთო და გაგვაპატიოსნეთ თქვენის მობრძანებითო, უთხრა და დაემშვიდობა იმპერატორს.

მომდევნო დღე, ივნისის 24, იოანე ნათლისმცემლის დაბადების დღე იყო და ასტუდიას წაიყვანა ქართველები გიორგიმ. ფეხით მივიდნენ, ფეხშიშველნი. მივიდნენ, ემთხვივნენ თავსა ქრისტეს წინამორბედისასა, ეზიარნენ ქრისტეს ცხოველმყოფელ საიდუმლოთა და დაბრუნდნენ უკან, ქსერლოფად, სადაც მაშინ იდგნენ ქართველნი მეტოქად.

მივიდნენ თუ არა, მაშინვე უბრძანა გიორგიმ ახლომდგომთა:

„შეეკაზმენით და ობოლნი გაიყვანეთ ფილოპატს, სადაც დღესვე უნდა შევხვდეთ კეისარს“.

„დღეს დარჩეს ასე და ხვალ შევხვდეთ კეისარს“, — რიდით თქვა გიორგი მცირე ხუცესმონაზონმა, რომელიც გრძნობდა რატომღაც — მოძღვარი უქეიფოდ იყო.

„ჰო, ხვალე, ხვალე სჯობს“, — წამოეშველნენ მთქმელს დანარჩენნი.

მწარე ღიმილმა გადაურბინა სახეზე მთაწმიდელს.

„უკეთუ დღეს არ შევხვდებით კეისარსა, ხვალე ჩვენს ხელთ აღარ იქნება“.

სთქვა და დარჩა სხვათათვის სიტყვა ესე გაუგებარი და განუმარტებელი. ყველამ თურმე ასე გაიგო — ხვალე კეისრის ნახვა აღარ იქნება ჩვენს ხელშიო. არა და, ათონელი რასაც ამბობდა, თურმე იმავეს გულისხმობდა — ხვალ თვითონ ხვალე აღარ იქნება ჩვენს ხელშიო.

გამოვიდა და თვითონ შეჯდა ჯორზე სხვისგან მიუშველებლად და ხელმიუკარებლად. სხვებიც ამხედრდნენ. ობლები წინ წაიმძღვარეს და ფილოპატისკენ წარემართნენ. მივიდნენ. დადგნენ და აცნობეს კეისარს მოსვლა მათი.

ძალიან მალე მოვიდა კეისარი კონსტანტინე დუკა, სამივე ძე თან მოიყვანა — მიქაელი (ქართველთა სიძე), ანდრონიკე და კონსტანტინე.

ამალაც ახლდა, ამალაში კიდევ — რომაელნი და სომეხი მწყემსმთავარი გაგიკ კარელი.

თაყვანი სცეს ქართველებმა ხელმწიფეს და ხელმწიფისშვილებს.

ერთ ხანს უცქირა კეისარმა გაოცებით ქართველ ობლებს, მერე ათონელს მიუბრუნდა და უთხრა, ვითარმედ:

„დიდი და მაღალი საქმე გიქმნიეს, ჰოი ნეტარო, ისეთი საქმე, რომლის შემძლებელი სხვა ერთიც არვინ მოიძებნების ამა ჟამსა შინა“.

მაშინ გიორგიმ წინასწარ დაწერილი პიტაკი მიართვა კონსტანტინეს და თან ეს უთხრა:

„წმიდაო მეფეო. ეს ობოლნი აღმოსავლეთში, საქართველოში შემიკრებია, ღმრთის სახელი დამისწავლებია და აწ შე-

ნი ხელმწიფობის წინაშე მომიყვანია. და როგორც საჭიროდ სცნოთ, ისე გაზარდეთ და შეიწყალეთ მლოცველად სულისა თქვენისა და შვილთა თქვენთა მზეგრძელობისთვის. მაშ, ობოლთა ჩემთა შევჰვედრებ ჯერეთ ღმერთსა და მას შემდგომ თქვენს ღვთაებრივ ხელმწიფობასა".

„მადლი მომიხსენებია, პატიოსანო მამაო, ნდობისა და სიყვარულისთვის! ახლა გთხოვ მე, ჟამობაი ათქმევინე და აგალობე ყრმათა და ყმაწვილთა შენთა!" — უთხრა კეისარმა.

მაშინვე მიუბრუნდა ობოლთა კორომს ათონელი და უთხრა მშვიდი ალერსით:

„გალობაი სვიმეონ მოხუცებულისა!"

და იგალობეს ობლებმა — „მჯდომარე ეტლთა ქერობინთა მეუფე" და „აწ განმიტევე მე მშვიდობით". (არავის უფიქრია, რომ სვიმეონ ბართლის „აწ განმიტევე" ამა ქვეყნიდან საკუთარ განტევებად ევულისხმებოდა გიორგი მთაწმიდელს).

ნეტარებით ისმენდა კეისარი და მისი ამალა ყრმათა გალობას. და როცა გალობა დამთავრდა, უთხრა კონსტანტინე დუკამ ათონელ მამას:

კეთილად განგისწავლებიან ბერძულსა გვარსა ზედა, კეთილო ბერო, შვილნი შენნი. და წინასწარ, ფსუნად, ათასი აჟურაი მიბოძებია მათთვის. ხოლო, რაიც ამა პიტაკსა შინა სწერია, ყოველივე აღესრულება წადიერად". თქვა და გამოეთხოვა გიორგის და მის ქართულ საკრებულოს კეისარი თავისი საკრებულოთი.

გიორგი ისევ თავისით, ხელშეუშველებლად აღჯდა ჯორზე და გამოუძღვა თავისიანებს ისევ ქსერლოფისაკენ. მივიდნენ. დაივანეს. დაღამდა.

ღამის სათევად თავზე დადგომა დაუპირეს, მაგრამ არ დაანებათ — მარტო ერთიც კმა არსო და ის ერთი იყო ისევ გიორგი მცირე.

ოთხშაბათი დღე თენდებოდა — დღე წმიდათა თავთა მოციქულთა პეტრესი და პავლესი. ცისკრისა ილოცეს ქართველებმა, კვლავ წინამძღვრობით გიორგი მთაწმიდელისა. შუადღემდე იგი ისევ განარიგებდა და განაწესებდა ყოველსა განსარიგებელსა და განსაწესებელსა. ნაშუადღევს კი სარეცელზე წამოჯდა და ოთხივე მხარეს ოთხი წამკითხველი და-

იყენა, ოთხივე სახარების საკითხავად. ოთხივე რომ ჩათავდა, ტოლად და სწორფერად, გიორგიმ იქ დამსწრეთ ერთობით ჯვარი გადასწერა და თქვა:

„დიდება შენდა უფალო!“


მერე ტანი გაისწორა გიორგიმ, ახოვანი და ზრონაკვთოვანი, პირჯვარი ისახა უკანასკნელად, „და თქვა სიტყვაი დასასრულისაი, რომელი-იგი ვითარცა შარავანდედი მზისაი, წარიძღვანა უფლისა მიმართ“:

„ხელთა შენთა, უფალო, შევჰვედრებ სულსა ჩემსა!“

იდგა 27 ივნისი 1065 წლისა.

აღსრულებულიყო გიორგი ათონელი — შობითგან 57 წლისა.

ოთხმოცმა ქართველმა ობოლმა ბავშვმა გადაასვენა მისი წმიდა ცხედარი კონსტანტინოპოლიდან ათონს.





დავით აღმაშენებელი

1073 წელს, ქუთათისში, მეფე გიორგი მეორის სასახლეში, დაიბადა ყრმა, რომელსაც ჭასაოცარი სულიერ-სხეულებრივი სიდიადისთვის, უმაღლესი ხელმწიფური სიბრძნისთვის, სწორუპოვარი სიშველისათვის, საისტორიო ფორტუნისაგან სამარადჟამო უკვდავება ელოდებოდა.

ძეობა აღმოჩნდა უაღრესად ფეხბედნიერი საქართველოსთვის: დაიბადა ყველაზე დიდი გვირგვინოსანი საქართველოს ხელმწიფეთ შორის.

სახელად დაარქვეს დავითი, მეფობის რიგით — დავით მეოთხე. ხოლო, ქართველი ხალხი შემდგომში, ჟამს ხელმწიფობისასა, მას შეამკობს მსოფლიოში უსაჩინოესი და უმშვენიერესი ზედსახელით — აღმაშენებელი.

ბავშვობა მისი იყო დუხჭირი და გაუხარელი. მამამისი, მეფე გიორგი მეორე, უცნაური და ახირებული კაცი იყო. თუმცა სიმამაცე და გულკეთილობა არ აკლდა, მაგრამ ხასიათი მერყევი ჰქონდა — უადგილოდ დამთმობი და ბოლომდე მუდამ ლელოგაუტანელი. თავდავიწყებით უყვარდა ლხინი, ნადიმობა და ნადირობა. უებრო მეომარი და მხედარი იყო, მაგრამ ბრძოლის ველზე მიღებულ გვირგვინებს მაინც სანადიმო ყანწი და სანადირო მშვილდ-ისარი ერჩივნა. ქვეყანას კი სალხინო და სამეჯლისო არაფერი ჰქონდა. მას შიგნიდანაც და გარედანაც საშინელი სისხლისდენა ასტეხოდა. ტფილისი ჯერ ისევ არაბებს ეპყრათ. ცალკე, დანარჩენი საქართველოსაგან განკვეთილი იყო კახეთ-ჰერეთი.

მეზობლად თურქ-სელჩუკთა თვალუწვდენელი სამბრძანებლო გადაჭიმულიყო. მაჰმადიან თურქებს მოეცვათ მთელი შუა და წინა აზია ისინი სრული ჩანთქმით ემუქრებოდნენ ქრისტიანულ სამყაროს — ქართველებს, სომხებს, ბიზანტიელებს.

სწორედ დავითის დაბადების წელს თურქთა უზარმაზარი მხედრობა მესამედ შემოესია საქართველოს. შეეგება გიორგი მეფე ქართველთა ლაშქრით და, ალგეთის ხეობაში, სოფელ ფ ა რ ც ხ ი ს თ ა ნ, დაამარცხა და უკუაქცია მტერი. მაგრამ ეს იყო და ეს — ამის მეტად გიორგი მეფეს საქართველოს მტრებზე აღარასოდეს გაუმარჯვნია.

ქვეყნის შიგნითაც თავკერძა ფეოდალები არ ისვენებდნენ და მეფესთან ბრძოლით, ან ურთიერთ ჭიდილით, ხალხს უდანაშაულო სისხლს აღვრევინებდნენ.

1079 წელს საქართველოს თურქთა ახალი ურდო შემოესია, აჰმად ამირას სარდლობით. ისევ შეეგება და შეება მტერს გიორგი მეფე, მაგრამ დამარცხდა და უკუიქცა სისხლდადენილი.

ექვსი წლის დავით უფლისწულს გონებაში მწარე ხსოვნად ჩარჩა ბოლმისგან ატირებული და დამეწყრილი სახე მამისა.

აჰმად ამირამ კი მთელი სამხრეთ საქართველო აიკლო, გაძარცვა და გაატიალა. იგი, დიდძალი ნაძარცვით დატვირთული, უკვე გაშორებული იყო საქართველოს სამანებს, როცა წინ ორჯერ უმეტესი თურქული მხედრობა შემოეყარა. ველურთა ამ ახალ ურდოებს სათავეში ედგა ორი ამირა — იასი და ბუჟღუშ.

— საიდან მოდიხართო? — ჰკითხეს აჰმადს იასმა და ბუჟღუშმა და ხარბი თვალებით დააშტერდნენ საქართველოდან გამოტაცებულ სიმდიდრეს.

— თქვენ თვითონ საით გაგიწევიათო? — კითხვა შეუბრუნათ აჰმადმა.

— საბერძნეთსო, — იყო პასუხი.

— საბერძნეთსო? — ბოროტად გაეცინა აჰმადს — საბერძნეთს რა გინდათ და რა დაგიკარგავთ? თუ მართლა გამდიდრება და გაძღომა გინდათ, აჰა ქვეყანა საქართველო, უკაცური, უპატრონო და აღსავსე ეგზომ უთვალავი სიმ-

დიდრით! — შესძახა და საქართველოსკენ გამოიშვირა ქართულ სისხლში ნაბანი ხელი აჰმად ამირამ.

ამის თქმა იყო, და უცებ შემობრუნდნენ და კალიასავით შემოეფინენ თურქი მაოხარნი საქართველოს. მთელი ზაფხული და შემოდგომა არბიეს, ძარცვეს და ჰხოცეს ქართლი, ტაო-კლარჯეთი, აჭარა, მესხეთ-ჯავახეთი, იმერეთი და სამეგრელო. ერთ დღეს დასწვეს ქუთათისი და არტანუჯი. სულ გადაბუგეს და იავარჰყვეს გრიგოლ ხანძთელისა და მისი თანამებრძოლების ხელით ნაშენები სავანეები. დაზამთრებამდე ჰამეს და „მოჭამეს ქვეყანა“ ველურებმა. ზამთარიც სასტიკი დადგა და ვინც კი ქართველთაგან მთაში გახიზნა მოასწრო, ბევრს უმკაცრესმა ყინვამ მოუღო ბოლო.

ეს მერამდენე შემოსევა იყო თურქებისა, მაგრამ ამწლევანდელს (1080) მისი დიდი სიმძიმე-სისასტიკისათვის ქართველებმა დაარქვეს „პირველი დიდი თურქობა“.

დავით უფლისწული მაშინ შვიდი წლისა იყო — უბედური ქვეყნის უბედური ტახტისმემკვიდრე, ბავშვობით გაუხარელი და ბავშვობისთვის ნაადრევი საფიქრებელით გონდატვირთული.

იჯდა და ფიქრობდა.

ერთ მხარეს ხმალი ესვენა, მეორე მხარეს — წიგნი...

...მტერი კი მოდიოდა და შემკავებელი არავინ იყო. კიდევ ცხრა წელიწადი, ყოველ გაზაფხულს მოდიოდა „დიდი თურქობა“. ადრიან გაზაფხულიდან გვიან დაზამთრებამდე ძარცვავდნენ, ატყვევებდნენ და ქლეტდნენ ქვეყანას თურქნი... ისევ და ისევ, ყოველწლიური „მოქცევით“ და „უკუქცევით“, ვითარცა ზღვა... ისევ და ისევ მოსაჭმელად, მოსაძარცვავად, მოსაოხრებლად. ივსებოდა ქვეყანა თურქთა ქარვებით, ხარგებით, საბარგულ-საზიდარებით, ჩარდახებში დედაბუდიანად შეხიზნული ქალით და ბავშვით, უთვალავი საქონლით — ცხენით, ჯორით, ცხვრითა და აქლემით. მოდიოდნენ, ბანაკდებოდნენ და ქართულ მიწებს „სჭამდნენ“ იმდენნი, რომ ამის მხილველი კაცი იტყოდა: „ყოველი თურქობა ყოვლისა ქვეყნისა აქ, საქართველოში, არს“.

ანგრევდნენ და სპობდნენ ყველაფერს ფეხზე მდგარს.

ეკლესიები და სავანეები თავლებად აქციეს.

საეკლესიო მწიგნობრებს საკურთხევლებზე ყელებს სჭრიდნენ.

ქალწულებს ხრწნიდნენ.

ჭაბუკებს ჰკოდავდნენ.

ჩვილ ბავშვებს იტაცებდნენ.

იწვოდა შენებული ყოველი.

მოედინებოდნენ „მდინარენი სისხლთანი, ნაცვლად წყლისა ნაკადულთა, მრწყველნი ქვეყნისანი“.

გიორგი მეფემ მტერთან მტრობას თავი მიანება და კახეთის შემოერთებისთვის წამოიწყო ბრძოლა. რთვლობაზე შეიჭრა ჯარით კახეთში და გარს შემოადგა ვეჯინის ციხეს. ალყა ზამთრამდე გაჭიანურდა და როგორც კი ჩამოთოვა, მაშინვე ალყა მოხსნა და უკანვე ქუთათისისკენ წარემართა: რა დროს ომი და ვეჯინია, აჯამეთის ტყეში ნადირობის ჟინი დადგა და მეც ერთი რჯულზე უნდა ვინადიროო, — იძახდა მეფე უდარდელად.

რაღა თქმა უნდა, ასეთი ახირებული კაცი ჯოჯოხეთზე გადამხობილ ქვეყანას ვერ გადაარჩენდა და ვერ უპატრონებდა.

ბუნებაც უკიდურესი სისასტიკით შემოსწყრა ადამიანთაგან ამოგდებულ ქართულ ქვეყანას. 1088 წელს მანამდე გაუგონარმა მიწისძვრამ დააქცია საქართველო. მთელი წელიწადი ირყეოდა და ირღვეოდა ქვეყანა. იქცეოდა და ქარდამუსრად მიდიოდა მთანი და კლდენი. ინგრეოდა და იმარხებოდა სოფლები, ქალაქები, ტაძრები, სავანენი, ციხენი, სრა-სასახლენი. ჩამოქცეულ თმოგვის კედლებქვეშ ცოცხლად, ცოლთან ერთად ჩაიმარხა ერისთავი კახაბერ ნიანიას ძე.

მტრისგან და სტიქიონისგან დაქცეულ, უპატრონოდ დაგდებულ ქვეყანაში შეწყდა სამეურნეო ცხოვრება. სიკვდილს გადარჩენილი ხალხი მთებში, ტყეებში, ხევებსა და გამოქვაბულებში გადახვეწილიყო. აღარავინ ხნავდა, აღარავინ თესავდა, აღარავინ რგავდა და თიბავდა. სამიწათმოქმედო საკარგულები ტყეებსა და ეკალ-ძეძვნარებს მოეცვა და კაცთა ნაცვლად ნადირი გამრავლებულიყო.

ნარი და თუთუბო ჰყვაოდა ნავენახარზე.

ზარნაშო ჰკიოდა მამლის ნაყივარზე.

მგელი ყმუოდა ძაღლის ნათევარზე.

სასახლიდან რომ სამეფო სახლეულს ისრის მისაწვდენზე გამოსვლა დასჭირვებოდა, წინასწარ შეირაღებული მხედრობა უნდა გაეგზავნათ, თურქები დაეზვერათ, ნადირთა ხროვანი დაეფრთხოთ და გზა ისე „გაეწმინდათ“...

ნუთუ მართლა სამუდამოდ მოსასპობად და გადასაშენებლად გაემეტებინა ღმერთს საქართველო?

მაგრამ, თურმე, არა — მაინც არ ყოფილა ქართველი ხალხი გაწირული ძირფესვიანად აღმოსაფხვრელად და მიწის პირისაგან გარდასავლენად..

1089 წელს მეფე გიორგი მეორემ გადადგა ყველაზე ჭკვიანური ნაბიჯი მთელს მის ჩვიდმეტწლოვან უბედურ ხელმწიფობაში: მოიხსნა საქართველოს სამეფო გვირგვინი და თავზე დაადგა თავის ერთადერთ ძეს, თექვსმეტი. წლის დავითს...

ასე „იწყო აღმოცისკრებად ბნელსა უკუნსა შინა მზემან“ — დავით მეოთხე აღმაშენებელმა.

საქართველოს სამეფო ნიშნებს — გვირგვინს, ტახტს, სკიპტრას და ხმალს — უბედნიერესი ქამი დასდგომოდათ: ისინი ყველაზე ღირსეულ ქართველ ხელმწიფეს ჩაებარებინა. მაგრამ ახალი გვირგვინოსანი მშვენიერ თავზე გვირგვინის ნაცვლად საომარ მუზარადს უფრო მოიხდენს, ტახტის ნაცვლად — მხედრულ უნაგირს, სკიპტრის ნაცვლად — ერქვანს გუთნისას, ხოლო ხმალი მისი ერთხელაც ქარქაშს ვერ მოიკითხავს.

სწრაფად და მძლავრად ამოქმედდა. მოუწოდა და შემოიყარა ყველა, ვისაც ჯერ კიდევ გული სავსებით არ გასცივებოდა და იმედიც არ გაჰქრობოდა სამშობლოს ხსნისა და გადარჩენისა. მართლაც ყოფილან ჭეშმარიტი მამულიშვილნი, რომელთაც გულში საქართველო არ მოჰკვდომიათ, მსგავსნი ნიანია კახაბერის ძისა (შვილი იმ კახაბერისა, ცოლით რომ თმოგვის ნანგრევებში ჩაიმარხა).

დღე და ღამე სჭედდნენ საჭურველს და მეფე იყო მჭედელთა შორის მჭედელი უპირველესი.

იჭურვებოდნენ, იწრთვნებოდნენ და მეფე იყო უპირველესი მწრთვნელიცა და წრთვნილიც.

გადიოდნენ გამხედრებულნი და დათქარუნობდნენ უსწორ-

მასწორო პაღლობ-დაბლობზე, ღიჭიანსა და ქვაღორღიან ნაგზაურებზე, კლდეზე გაკიდულ გზაწვრილებზე და თანითანებზე, და აქაც დავით მეფე იყო მხედართა შორის გულუძვრელობით და სიჩაუქით მხედარი უპირველესი.

არავინ ჰყავდა ტოლი ხმალში, ჯირითში, ისრის სროლაში, შუბის ტყორცნაში, მუშტის ძგერებაში, სირბილში, ცურვაში, უძილობის, შიმშილის, წყურვილის, სიცხისა და ყინვის დაძლევაში.

ახლად შეყრილი და თანაშეწრთვნილი ჯარით თურქებზე თარეშობდა. მოულოდნელად დაესხმოდნენ ღვთის რისხვასავით, ანადგურებდნენ, უმალვე გაუჩინარდებოდნენ ქვლაც ელვასავით გამოსხლტებოდნენ და თავს დაესხმოდნენ გაალმასებით, — და აქაც უბადლო იყო დავით მეფე, მტრის უპირველესი მარბიელი, სასიკვდილო რისხვის დამტეხი და სისხლისათვის შურისმგებლური სისხლის დამქცევი.

ხალხი გამოჰყავდათ სამალავთაგან და სახიზართაგან, ამხნევებდნენ, საომარ და სამეურნეო სულს უბრუნებდნენ, ასახლებდნენ, აშკვიდრებდნენ, სახლ-კარს აწყობინებდნენ და ამართვინებდნენ. ქერაზე ცეცხლს უნთებდნენ, მამაპაპეულ გუთანს აჩვევდნენ, თვითონაც გუთნისდედობდნენ და ისევ მეფე იყო პირველი გუთნისდედაც, სახლის ხუროც, ბალავრის მთხრელიც და საძირკვლის მყრელიც.

გავიდა ოთხი წელიწადი.

ქართველი ხალხი გამოაბრუნა და ახლად სულჩადგმული ფეხზე წამოაყენა „ღმრთივგანბრძნობილმა“ ყმაწვილმა ხელმწიფემ.

მაგრამ სანამ გარეშე მტერთა მიმართ სრულის შეტევით დაიძვრებოდა, მანამ საჭირო იყო შინაურ ერისთავთა და აზნაურთა მოთოკვა და მოარშიევება.

ყველაზე ძლიერი და ავი ფეოდალი მაშინ იყო კლდეკარის ერისთავი ლიპარიტ ივანეს ძე ბაღვაში, რომელიც მამაპაპეულ ტრადიციას არ ღალატობდა და თავგამოდებით ებრძოდა მეფესაც და საქართველოსაც.

მიუხდა დავით მეფე კლდეკარს, შეიპყრო ლიპარიტი, ზორკილები გაუყარა და ჩააგდო ციხედ. მერე მისი ვედრება შეიწყნარა, ერთგულების ფიცის ჩამორთმევა იკმარა და გაათავისუფლა. მაგრამ მაინც არ დაიშალა კლდეკარის

ერისთავმა: „იგი ვითარცა ძაღლი მიექცა ნათხევარსა თავისასა და ვითარცა ღორი ინწუბა სანგორელსა მწვირისასა“. დავითიც საბოლოოდ დარწმუნდა, „რამეთუ კუდი ძაღლისა არა განემართების, არცა კირჩხიბი მართლად ვალს“. და ხელმეორედ შეიპყრო ლიპარიტი, ორი წელიწადი საპატიმროში იყოლია, მერე ბიზანტიას მიაქცია და იქვე, უცხოობაში აღესრულა მოუსვენარი და მოურჯულებელი ერისთავთერისთავი.

მეფის წინააღმდეგ იბრძოდა არგვის ერისთავიც, ძაგან აბულეთის ძე, მოღალატე, ფლიდი და ვერაგი მებატონე. ძაგანს მხარს უმაგრებდა მისი ძმა, ეპისკოპოსი მოდისტოს. ძმები ისე თვითნებურად მოქმედებდნენ, თითქოს დავით მეფე არც არსებულიყოს ამ ქვეყანაზე. მათ მუხრანისა და ზედაზნის ციხეები, მცხეთის, წილკნისა და შიომღვიმის საეკლესიო მამულები, ყველა ერთად, აიღეს და კახეთის განდგომილ მეფეს გადასცეს.

სასწრაფოდ ჩავიდა დავით მეფე არაგვის ხეობაში, გაცემული ციხეები და მამულები დაიბრუნა, ძაგანი და მოდისტოსი შეიპყრო, ორივეს მამულები ჩამოართვა, ორივეს პატივი და ღირსება აჰყარა, ორივე დააბორკილა და დილეგში ჩაჰყარა.

დავითი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მხოლოდ ლიპარიტის, ძაგანისა და მოდისტოსის დასჯა და დათრგუნვა ვერ დააწყნარებდა და ვერ განამტკიცებდა შინაგანად აშლილ ქვეყანას. თვალნათლივ ჩანდა, რომ საერო ფეოდალთა თავგასულობას საეკლესიო-სასულიერო მესვეურები აკანონებდნენ. ეკლესიას თავისი უმაღლესი სული ღვთაებრივი სათნოებისა თითქოს სრულიად დაჰკარგვოდა. ფეოდალი და ეპისკოპოსი ერთიან ძალად შეკრულიყო მეფის მტკიცე ხელისუფლების დასამხობად, ან დასაკნინებლად. ეკლესია სამეფო ტახტზე მაღლა აყენებდა თავის „ზეციურ-ღვთაებრივ დანიშნულებას“. ეკლესიის პირველმოძღვარნი თვითონ იყვნენ დიდგვარიანი აზნაურები და უმდიდრესი ფეოდალები. მხოლოდ წოდებით, გვაროვნობით და სიმდიდრით გამორჩეულს შეეძლო ამაღლება ქვემოდან ზემოთ, თანამდებობრივ კიბეზე. დაწინაურებისას არავინ ითვალისწინებდა არავითარ პიროვნულ ღირსებას — არცა ნიჭიერებას, არცა პა-

ტიოსნებას, არცა მაღალ ზნეობას, არცა სამშობლოს წინაშე რაიმე დამსახურებას.

ერთი სიტყვით, ქართული ეკლესია — მანამდელი ქართული ზნეობის, სარწმუნეობისა და კაცთმოყვარეობის საძირკველი — იმჟამად თვითნება, ზნედაცემულ, ხარბ და ქვეყნის მოღალატე „ავაზაკთა ქვაბად“ გადაქცეულიყო. ეკლესიებიდან და სამღვდელოებიდან მაშინ, სჯულიერებისა და უცოდველობის ნაცვლად, მოედინებოდა „ყოველი უსჯულოება და ცოდვა“.

მაშ, გამოსადენი სისხლი ისევ უნდა გამოდენილიყო და 1103 წელს დავით მეფემ რუისსა და ურბნისში შეჰყარა საეკლესიო კრება, რომელსაც ესწრებოდნენ არა მარტო სამღვდელონი ყველა სიმაღლისა, არამედ „ერი მრავალი“, საერო „მოძღვარნი და მეცნიერნი“. ყრილობა მიმდინარეობდა „დღეთა მრავალთა ფრიადითა გამოწულილვითა“. ძალზე ძნელი აღმოჩნდა ბრძოლა „უღირსად გამოჩინებულთა“ წინააღმდეგ, რადგან ისინი „იყვნეს კაცნი მთავართა და წარჩინებულთა შვილნი“.

მაგრამ კვლავ უმტკიცესი და განურღვეველი აღმოჩნდა დავით მეფის ნება. სწორედ ხელმწიფის ურყევი ნებით, რუის-ურბნისის მღელვარე საკრებულომ მტკიცედ დაადგინა ფრიად დიდმნიშვნელოვანი საეკლესიო რეფორმა, ანუ „ძეგლის წერა“:

საეკლესიო თანამდებობიდან გადააყენეს და შეაჩვენეს ყველა „უღირსად გამოჩინებულნი“. ამიერიდან აიკრძალა დაწინაურება წოდებრიობისა და მემკვიდრეობის მიხედვით. ამიერიდან თანამდებობაზე ინიშნებიან მხოლოდ პიროვნულად ღირსეულნი — ნიჭიერნი, განსწავლულნი, პატიოსანნი, ქვეყნის და მეფის ერთგულნი, წრფელად მორწმუნენი და კაცთმოყვარენი — მიუხედავად მათი წოდებრივი, გვაროვნული და ქონებრივი მდგომარეობისა.

„ძეგლის წერა“ იმასაც თვალნათლივ მიანიშნებდა, რომ „მამულობითი“ და წოდებრივი მემკვიდრეობა უქმდებოდა არამარტო საეკლესიო ცხოვრებაში, არამედ მათი მოსპობისა და სანაცვლოდ პირად ღირსებათა მიხედვით ადამიანთა დაწინაურების პრინციპი მტკიცედ ისადგურებდა საზოგადო-საერო სახელმწიფოებრივ წესწყობილებაშიც.

დავითს ისიც გადაეწყვიტა, რომ საეკლესიო ცხოვრების შიგნით მუდმივი თვალი ჰყოლოდა, მასში მუდმივი ჩარევისა და რაიმე არასასურველი გამოვლინებების აღსაკვეთავად.

ამისთვის მეფემ გააერთიანა ორი თანამდებობა — საერო მწიგნობართუხუცესობა და სასულიერო ჭყონდიდელობა. მეფის შემდგომ, მწიგნობართუხუცესი მეორე კაცი იყო სახელმწიფოში, რადგან იგი სათავეში ედგა მთელს აღმასრულებელ ხელისუფლებას (როგორც ახლანდელი „კანცლერი“, „პრემიერმინისტრი“, „მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე“). ასევე დიდი იყო ჭყონდიდის (მარტვილის) ეპისკოპოსის თანამდებობა — ჭყონდიდელობა.

და დავითმა ორივე ეს თანამდებობა, ერთ პიროვნებაში, ჩააბარა გიორგი ჭყონდიდელს, თავის აღმზრდელს, უერთგულეს მეგობარსა და ბრწინვალე სახელმწიფო მოღვაწეს.

და ამიერიდან დავითის ხელში, უზენაეს საერო ხელისუფლებასთან ერთად, მტკიცედ მოექცა უზენაესი სასულიერო საჭეთმპრობელობაც...

...1099 წელს ევროპელმა ჯვაროსნებმა თურქებს იერუსალიმი წაართვეს და პალესტინაში ევროპულ-ქრისტიანული სახელმწიფო — „იერუსალიმის სამეფო“ დააარსეს.

მაშინვე დავით მეფემ ხარკის ძლევა შეუწყვიტა თურქთა სულტანს.

სულტანმა დუმილით უპასუხა ქართველთა მეფის ეგზომ თამამ გამოსვლას.

საქართველოს „მომჭმელი“ თურქობაც ამიერიდან უფრო შიშრეულად მოიწევდა ჩრდილოეთისკენ.

სანამ თურქთა სრულ განდევნას შეუდგებოდა, მანამ საქართველოს სრული გაერთიანება უნდა დაემთავრებინა დავით მეფეს. უპირველეს ყოვლისა საჭირო იყო საქართველოს ერთხელ და სამუდამოდ დაბრუნებოდა მისი სისხლხორცეული ნაწილი — კახეთი და ჰერეთი. ამისთვის დავითს დიდი ბრძოლა ელოდა, რადგან არც თურქები და არც შინაური მოღალატე აზნაურები საქართველოს გაერთიანებას უსისხლოდ და უსიკვდილოდ არ შეურიგდებოდნენ.

დავითი მტრის სიძლიერეს არ დაერიდა, ლაშქარი შეკრიბა და კახეთისაკენ წარემართა.

იდგა 1104 წელი.

ბრძოლა მოხდა ე რ წ უ ხ ს.

დავით მეფე გააფთრებული ხმალთაკვეთებით შეება თურქთა უზარმაზარ მხედრობას. გამაყრუებელ საომარ ყიჟინაში, იარაღის ზათქსა და ზრიალში, ცხენთა ჭიხვინსა და თქარუნში, დაჭრილთა და მომაკვდავთა გმინვა-ბღავილში — მაინც გამორჩევით გაისმოდა ლომისებრი ბუხუნი ქართველი მეფისა, რომელიც ელვასავით მიმოქროდა და ჩნდებოდა ყველგან, სადაც კი მის მეომრებს მისჭირდებოდათ. თითქოს, ომის ღმერთი ჩამოჭრილიყო ციდან მიწაზე, ადამიანთა ხოცვა-ჟლეტით გახელებული. მეფე-ტიტანი ერთის მოქნევით ცხენკაციანად კვეთდა მოპირდაპირეს, ან პირდაპირი ძგერებით უნაგირიდან ასხლეტდა და, თავზე გადავლებით, ზურგისკენ ისროდა. მტრის სისხლი მკლავს მოჰყვებოდა და უბეში ეჭცეოდა. სამი ცხენი მოუკლეს. მეოთხეზე ამხედრებული განასრულებდა ბრძოლას.

მტერთაგან მრავალი დაირეცა, მრავალი ტყვედ ჩაუვარდა ქართველებს, დანარჩენებმა გაქცევით უშველეს თავს.

გამარჯვებული მეფე ცხენიდან გარდახდა და სარტყელი შემოიხსნა. სისხლი ერთბაშად მოწყდა და თქრიალით დაეცა მიწაზე. მიცვივდნენ ზარდაცემული მისიანები — დაჭრილი ეგონათ ამდენი სისხლის დამაქცევარი. მეფე კი იღიმებოდა — მტრის სისხლი ყოფილა მისი სხეულიდან ჩამომდინარე სისხლი.

კახეთ-ჰერეთი „ნებიერად“ შემოიერთა დავითმა.

ტკბილად დაუყვავა იქაურ ქართველობას და „მზეებრ მიჰფინა წყალობა“ ყველას...

...აღმოსავლეთ საქართველოს შემოერთებისა, დიდ რეფორმატორულ გარდაქმნათა და კულტურულ აღმშენებლობათა „ხუთწლოვანის“ შემდეგ, დავითი შეუდგა თურქთაგან ქართულ მიწა-წყალთა სრულ გაწმენდას.

დაიწყო ს ა მ შ ვ ი ლ დ ი თ. ქართველებმა ხერხს მიმართეს. თვითონ მეფე ქუთათისს გაემგზავრა, ვითომ შინაურ საქმეთა საურავად. თურქებმა გული მოიცეს და — „უმცროსი ეშინოდის“, რაკი მეფე შორს გაიგულებს. მაგრამ სანამ ისინი უზრუნველობას მისცემოდნენ, გიორგი ჭყონდიდელმა, მტრისთვის უგრძნეულად, ჯარებით შემოიყარა კლდეკა-

რის მაშინდელი ბატონი, თავისი დისწული თ ე ვ დ ო რ ე, და ერისთავი ი ვ ა ნ ე ო რ ბ ე ლ ი, და უგრძნეულადვე დაესხა სამშვილდეს. თურქმა მეციხოვნეებმა ხელის გამოღებაც ვერ მოასწრეს, ისე, ხმლის დაუძვრელად ჩააბარეს ქართველებს ქართული ციხე-ქალაქი.

იმ ღამითვე ქართველებმა სამშვილდის ახლოს ციხე ძ ე რ ნ ა ც დააგდებინეს თურქებს.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ გამარჯვებებს. და ქართველთა შორის „იქმნა დიდი სიხარული, რამეთუ დღითი დღე შეემატებოდა საზღვართა სამეფოსათა“. საქართველოს დროშას დაუბრუნდა დიდი ქართული ციხე-სიმაგრენი, დიდი საქარავნო და სამხედრო გზა-კვანძნი. ამით ტფილისში მდგარ უცხოელებსაც მოერღვათ და მოუშიშვლდათ თავდაცვითი კედელ-ზღუდენი სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან.

სამშვილდის დაკარგვამ ქვემო ქართლში ჩასახლებულ თურქობას ისეთი თავზარი დასცა, აქაური ციხე-სიმაგრეების უმრავლესობა ერთ ღამეში მიატოვეს და გადაიხვეწნენ. ქართულ ციხეებში ქართული ციხიონები ჩადგნენ.

თურქთა მაშინდელმა სულტანმა, მ უ ჰ ა მ ე დ მ ა, არ დათმო ეგზომი მარცხი და იმავე 1110 წელს, ასი-ათასიანი მხედრობა აფრინა საქართველოსკენ.

თრიალეთს მოვიდა მტერი.

დავით მეფე მაშინ ნაჭარმაგევს იდგა ტაძრეულით.

საღამო ჟამს შეატყობინეს მსტოვრებმა მტრის შემოსევა.

ფიცხლავ ჯარი მოიკითხა დავითმა.

მხოლოდ 1 500 კაცი აღმოჩნდა საომრად გამზადებული.

ცხენს მოახტა მეფე, ეს მცირე ლაშქარი აიყოლია და მთელი ღამის შეუსვენებელი ჭენებით მიიწია თრიალეთს.

ცისკრის სისხამზე თვალი ჰკიდეს ერთმანეთს თურქებმა და ქართველებმა.

დავითმა მტერს მისი მცირე გათვლა და გონს მოსვლა არ აცალა და მაშინვე მიუხდა გაალმასებით.

აისიდან დაისამდე გაგრძელდა საშინელი ხმალთაკვეთება.

ისევ მტერთა ძლევით დააქანა დავით მეფემ ბრძოლის სასწორი.

თურქებს არც კი უგრძვნიათ სიმცირე საოცარი მხნეობით მოიერიშე ქართველებისა.

ბრძოლის ველიდან გარბოდნენ თურქნი, „ესოდენ ზარგანხდილნი და მოსწრაფენი, ვიდრემდის არცა თუ კარავთა მათთა და ჭურჭელთა მიხედნეს ყოვლად“, ყველაფერი ქართველთა ხელს შეატოვეს და უგზო-უკვლოდ „განიბნივნეს თვისთა ქუეყანათა“.

მცირერიცხოვანი ჯარისაგან ესოდენ დიდი მხედრობის ძლევა სწორედ რომ გასაოცარი იყო. ამიტომ დავითი და მისი თანამებრძოლნი კარგა ხანს დაეჭვებულნი — მტერი ხაფანგს რასმე არ გვიგებდესო — ფრთხილი დევნით მისდევდნენ ოტებულ თურქობას და სდიეს მანამ, სანამ არ დარწმუნდნენ, რომ მტერი სავსებით იყო გადახვეწილი.

1115 წელს, დავით მეფის მუხრანს დგომის ჟამს, გიორგი ჭყონდიდელმა, ისევ „უგრძნეული თავდასხმით, თურქებს ხელიდან გამოჰგლიჯა რ უ ს თ ა ვ ი. ამრიგად, სამხრეთ-აღმოსავლეთიდანაც მოეჭრა გზა ტფილისში ჩამკვიდრებულ უცხო დამპყრობელთ.

იმ წელსვე თვითონ დავითი თავისი „მონა-სპით“ ხან სად დაეცა მტერთა ბანაკს და ხან სად. „უგრძნეულად დაესხის და მოსწყვეტდნის, და ესე არა ერთგზის ანუ ორგზის, გინა სამ, არამედ მრავალგზის“.

ქვემო ქართლის გზებს დაუშინდნენ თურქები და ახლა საქართველოში სალაშქროდ სამხრეთ-დასავლურ გზებს დაუწყეს სინჯვა.

1115 წლის დეკემბერში თურქთა უზარმაზარი ლაშქარი ტაოს შემოვიდა დედა-წულიანად, ხარგებით, საქონელ-ხვასტაგიანად და გამოსაზამთრებლად იქვე დაბანაკდა.

დავითმა ისევ „უგრძნეული“ ტაქტიკა აირჩია. იდუმალ ქართლელთა და მესხთა ჯარებს საომრად „მზაობა უბრძანა“ და თვითონ, მტრის თვალის ასახვევად, ისევ ქუთათისს გადავიდა „უზრუნველად“.

ახალი, 1116 წელი დადგა, იანვარიც მიიწურა და თებერვლის დამდეგს დავითმა ქართლელებსა და მესხებს პაემნის დღე და ადგილი აცნობა, თვითონაც იმიერ-ქართველთა ჯარით, ხუფთისა და ჭოროხის გზებით, გაეშურა კლარჯეთი-

საკენ, სადაც პაემნად უნდა შეხვედროდა ქართლელებსა და მესხებს.

და დავით მეფე გაერთიანებული ქართული მხედრობით უგრძნეულად თავს დაეცა კარნიფორისა და ბასიანის მთებში გულდანდობილად ჩაბანაკებულ თურქობას. და ისევ დიდი იყო გამარჯვება დავით აღმაშენებლისა. ქართველებმა „მოსრეს სიმრავლე მათი ურიცხვი, და აღიღეს დედა-წული მათი. ცხენები, ცხოვარი, აქლემები და ყოველი ნაქონები მათი, რომლითა აღივსო სამეფო მისი ყოვლითა კეთილითა“.

მომდევნო 117 წელს დავითმა კიდევ ილაშქრა საქართველოს უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში. აქ მან აიღო ჰერეთის უკანასკნელი დიდი ციხე-სიმაგრე გიში, და შეიპყრო აქაური დიდებულები — ძმები ასათ და შოთა გრიგოლის ძენი.

ამავე დროს, დავითს თავისი ძე და ტახტისმემკვიდრე, დემეტრე, შირვანში ჰყავდა გაგზავნილი სალაშქროდ. და დემეტრემაც „ქმნნა ომნი საკვირველნი, რომლითა განაკვირვნა მხილველნი და მსმენელნი“. მან აიღო ციხე-ქალაქი ქალაძორი და დიდძალი ნაალაფევითა და ნატყვევნავით დაბრუნდა მამასთან.

არცერთი წელიწადი აღარ მიდიოდა დავით აღმაშენებლისგან ნიშანდაუსმელი. — თუ ხმლით, თუ კალმით, თუ საჭრეთლით.

1118 წელს იგი ნახიდურში იდგა რახსის, (არაქსის) პირას, და აღდგომის დღესასწაულს იხდიდა. ინახად მჯდარ ხელმწიფეს მოახსენეს, რომ თურქები ჯავახეთს დასცემიან და მოუკლავთ თუხარისის ერისთავი ბეშქენ ჯაყელი. მაშინვე წამოიჭრა მეფე. ნუ ინებებ ასე ერთბაშად გალაშქრებასო, — შემოეხვივნენ მისიანები, მაგრამ მაინც მაშინვე ამხედრდა, მუდამ მზაობაში მყოფი „მონა-სპა“ გაიყოლია და მტერს მიაშურა. რახსის პირას იპოვნა ბანაკად მდგარი თურქობა და უმალვე — ისე რომ მტერს ფეხზე წამოდგომა და გონს მოსვლაც არ აცალა — ელვასავით დაესხა, „მოსრა სიმრავლე მათი, და წარმოიღო ტყუე და ალაფი ურიცხვი“.

იმავე წლის ივლისში კიდევ ორი დიდი გამარჯვება იზეიმეს ქართველებმა ზედიზედ. დავითმა ჯერ აიღო ძლიერი

ციხე-ქალაქი ლორე, და მეორე დღეს, დილის სისხამზე — ციხე აგარანი...

...გამარჯვება გამარჯვებას მოსდევდა, მაგრამ დავით მეფე იმასაც კარგად ჰხედავდა, რა ძვირსისხლიანი იყო ყოველი ბრძოლა, რა ძნელი იყო აღებულ ციხე-სიმაგრეთა შენარჩუნებაც და რა დიდ ძალას მოითხოვდა ჯერ კიდევ ფეხშეუდგმელი უმძიმესი საბძოლო გზის გავლაც. ყოველი ახალი ბრძოლა ახალ, ბრძოლისუნარიან ცვლას მოითხოვდა. დავითი ბევრს ზრუნავდა ჯარისათვის, მისი გაწვრთვნის, სულიერი სიმტკიცისა და საბრძოლო განწესრიგების ამაღლებისათვის. მან სამხედრო ბანაკიდან გააძევა ღვინო და ქალი — ეს ორი შემპარავი და დამამხობელი ბოროტება ყოველი დროისა და ყოველი სახეობის საჯარისო ორგანიზაციისა. მეფემ მკაცრად აკრძალა ჯარისკაცთა შორის ბილწსიტყვაობა, ჯამბაზობა, ლაზღანდარობა, თავაშვებულობა, თვითნებობა. მეფე — თვითონ დიდებული მაგალითი მხედრული სიმამაცისა და ვაჟკაცობისა — ამხნევებდა და განადიდებდა გულადსა და თავდადებულ მეომრებს, მაგრამ ამდენადვე სასტიკი იყო სულმოკლეთა და ჯაბანთა მიმართ. იყო შემთხვევა, როცა ასეთ ლაჩარ მეომრებს მეფის ბრძანებით იარაღს აჰყრიდნენ, ტანზე ქალის სამოსელს გადააცვამდნენ და, „ვითარცა დიაცთა"", ჯარის წინაშე ჩამოატარებდნენ.

ბევრს ზრუნავდა მეფე ჯარისათვის, მაგრამ მაშინდელი ქართული ჯარი მაინც და მაინც ფეოდალურ-პატრონყმურ ლაშქრად რჩებოდა. ყოველ ფეოდალს თავისი საკუთარი საბატონო ლაშქარი ჰყავდა და, თუ თვითონ არ ინებებდა, იმ „თავის ჯარს" ბრძოლაშიც კი არ გამოიყვანდა. ან შეიძლება, „იმ ჯარით" საკუთარი მეფის წინააღმდეგაც კი გამოსულიყო საომრად. ხოლო, მეფეს მარტო თავისი მონასპა თურქთა სამუდამოდ გასადევნად და ქვეყნის გასათავისუფლებლად და გასაერთიანებლად, რასაკვირველია, არ ეყოფოდა.

ერთი სიტყვით, დავითს „სამი რიგის" ჯარი სჭირდებოდა: ერთი — დაპყრობილ ციხე-ქალაქთა დასაცავ ციხიონებად, მეორე — პირად გვარდიად, და მესამე — მუდმივ, „ზამთარ-ზაფხულ დაუცხრომლად" მოლაშქრედ. ასეთი მრავალმხრივი სამსახურისთვის ქართველთა ჯარები, თუნდ ფეო-

დალთა განდგომაც არ მომხდარიყო, მათი რიცხობრივი სიმცირისა გამო („რამეთუ არ იყო ესოდენი სიმრავლე ლაშქართა სამეფოსა შინა“) არასაკმარისი იყო.

მაშ, დავითს სჭირდებოდა არმია მრავალრიცხოვანი, მუდმივი და საკუთარ (არა ფეოდალურ-პატრონყმურ) გამგებლობაში.

და აი, დავით აღმაშენებელმა გადაწყვიტა, ქართულ ჯარებთან შესაერთებლად და მუდმივ სამხედრო სამსახურად, ჩრდილოეთიდან გამოესახლებინა ყ ი ვ ჩ ა ყ ე ბ ი.

დავითი და მისი თანამემამულე-თანამდგომელნი კარგად იცნობდნენ ყივჩაყებს; იცოდნენ, რომ ურიცხვი იყო მათი მოდგმა, განფენილნი კავკასიონს გადაღმა, რუსეთსა და ოვსეთს შორის გაშლილ ტრამალებზე. იყვნენ თავზეხელაღებული მეომრები, მეთაურის სიტყვაშეუბრუნებლად მორჩილნი და „ადვილად შესანახავნი“.

ისედაც, აგერ რამდენიმე წელიწადი გასულიყო, დავითს მოყვრობა გაება ყივჩაყებთან: მას მეორე ქორწინებით ცოლად ჰყავდა ყივჩაყთა მთავრის, ა თ რ ა ქ ა შ ა რ ა ღ ა ნ ი ს ძ ი ს ასული, „სიკეთით განთქმული გ უ რ ა ნ დ უ ხ ტ დედოფალი“.

და, 1118 წელს დავითმა „წარავლინნა კაცნი სარწმუნონი და მოუწოდა ყივჩაყთა და სიმამრსა თვისსა“.

ათრაქა შარაღანის ძე დიდის სიხარულით შეხვდა სახელოვანი სიძის შემოთავაზებას საქართველოში მის ქვეშევრდომთა და თვისტომთა გადასახლებაზე. ისედაც, ყივჩაყები ჩრდილოეთიდან რუსთაგან შევიწროებულნი, სამხრეთისკენ, მაგრამ აქ ოვსნი უდგნენ ძლიერ მტრულ ძალად. ამიტომ შარაღანის ძემ დავითს ოვსთაგან სამხრეთული გზის გათავისუფლება თხოვა.

დავითმა თავისი გამზრდელი და მეგობარი გიორგი ჭყონდიდელი წაიყვანა, სასწრაფოდ ოვსეთს გადავიდა და სწრაფადვე დაიჭირა „ციხენი დარიალისა და ყოველთა კართა ოვსეთისათა და კავკასიის მთისათანი“. ოვსი მთავრებიც სასწრაფოდ ეახლნენ და ეყმნენ დავითს.

აქვე მოვიდნენ ათრაქა და მისი ძენი. დავითმა ორივე მხარეს, ოვსებსაც და ყივჩაყებსაც, მძევლები ჩამოართვა და ერთმანეთს შეარიგა.

ამის შემდგომ დავითმა სიმამრისა და ცოლისძმებისაგან ჩაიბარა ყივჩაყთა „სიმრავლე ფრიად დიდი“, სულ 40 000 ოჯახი, ანუ 200 000 სული.

არაგვ-დარიალის კარი, ჩრდილოეთისა და სამხრეთის დიდი შემაერთებელი მაგისტრალი, დავითმა დიდ „მშვიდობის გზად“ აქცია. სწორედ იმხანად ქართველმა ხელმწიფემ ურთიერთობა გააბა კიევის რუსეთის მთავართან, ვ ლ ა დ ი მ ე რ მ ო ნ ო მ ა ხ თ ა ნ, რომელსაც მანამდე ყივჩაყებთან შეურიგებელი მტრობა ჰქონდა.

მოდიოდა დავით მეფე, მოდიოდა და მოუძღოდა დედაწულიანად მომდინარე უცხო ხალხს. სასიხარულოდ განესრულებია მეფეს თავისი განაზრახი. მაგრამ მოდიოდა მაინც დიდი წუხილითა და ჭმუნვით დამძიმებული, სამგლოვიარო თალხით მოსილი: მოასვენებდა მამაზე უტკბეს გამზრდელს — ოვსეთში გარდაცვლილიყო გიორგი ჭყონდიდელი, „კაცი სრული ყოვლითა სიკეთითა სულისა და ხორცთასა, სავსე სიბრძნითა და გონიერებითა, განმზრახი სვიანი და ფრთხილი, თანააღზრდილი აღმზრდელი პატრონისა (დავითისა) და თანაგამკაფელი ყოველთა გზათა, საქმეთა და ღუაწლთა მისთა“. ახლად მშენებარე გელათის მონასტერში დაკრძალეს დიდებული მამულიშვილი. ორმოცი დღე და ღამე გაუხდელად ემოსა თალხი მეფეს. სწორედ მეორმოცე დღეს უფლისწული ვ ა ხ ტ ა ნ გ ი (ც ვ ა ტ ა) შეეძინა დედოფალ გურანდუხტს და დავითმა მხოლოდ მაშინ „ხარებითა დაიხსნა გლოვა“.

დავითმა ყივჩაყები ქართლ-კახეთის სხვადასხვა კუთხეში განასახლა. ყოველ ოჯახს მუდმივ სამხედრო სამსახურად ერთი კაცი უნდა მიეცა ქვეყნისთვის. ამრიგად, მეფემ 40 000 ყივჩაყი დააწყო „გვარად-გვარად და დაუდგინნა სპასალარნი და მმართებელნი“. ახლა მეფეს, საკუთარი მონა-სპის ჩათვლით, 45 000 მეომარი ჰყავდა იარაღქვეშ. ამას გარდა, საჭიროების შემთხვევაში იგულისხმებოდა „აგრეთვე თვისისა სამეფოსა სპანი, რჩეულნი და მოკაზმულნი, ცხენკეთილნი და პირშეუქცეველნი“.

დაასახლა ყივჩაყნი და გააქრისტიანა დედაწულიანად.

დაასახლა და დაურიგა მიწა.

ასწავლა ხვნა-თესვა, ანუ გუთნისდედობა.

ასწავლა ვენახის გაშენება, ანუ მეზვრე-მეღვინეობა.

ასწავლა ბაღ-ბოსტნის გაწყობა.

ასწავლა მესაქონლეობა, „ქართული გვარით“.

ასწავლა მიწის მოვლა-პატრონობა, მიწის „მზრდელობა“.

ასწავლა მთისა და ბარის სამეურნეო მონაცვლეობა.

და ყველაზე კარგად სწორედ დავით აღმაშენებელმა იცოდა, რომ საქართველოსა და ქართულობის შემდედებელი დვრიტა არის ქართული სოფელი.

და ქართულმა სოფელმა გასაოცარი სისწრაფით გააქართველა ყივჩაყი.

და უმოკლეს დროში: ყივჩაყისაგან — ნაყივჩაყარი, ნაყივჩაყარისაგან — ქართველი...

დავით აღმაშენებლის დროშის ქვეშ გამრავლებული და გამძლავრებული „სრულიად ქართული“ საომარი ძალები იდგნენ. საერთო ანგარიშით, დაახლოებით სამოცი-სამოცდაათი ათასი ჯარისკაცი და მოლაშქრე. ამას გარდა, დამატებით ძალად მეფეს შეეძლო მოეხმო „როქის სპა“ — დაქირავებული მეომრები მეზობელი ტომებიდან.

ასე განესრულა დავით აღმაშენებლის სამხედრო რეფორმა.

საქართველო წინა აზიის დიდ სამხედრო სახელმწიფოდ გადაიქცა.

ისევ ალაპარაკდა მსოფლიო ქართველთა სიძლიერესა და აღზევებაზე. ლაპარაკობდნენ მტრები — სიძულვილით, შიშით, ძრწოლით; ლაპარაკობდნენ მოყვრები — აღტაცებით, პატივით, იმედით. ეძებდნენ სიახლოვეს, კავშირს, მეგობრობას, მოყვრობას საქართველოს სამეფო სახლთან.

შეიწყნარა დავითმა შირვანის ხელმწიფის, მ ა ნ უ ჩ ე ჰ რ მ ე ო რ ი ს თხოვნა და ცოლად მისცა თავისი ასული თ ა მ ა რ ი.

შეიწყნარა დავითმა ბიზანტიის იმპერატორის, ა ლ ე ქ ს ი კ ო მ ნ ე ნ ო ს ი ს თხოვნა და რძლად მისცა თავისი მეორე ასული კ ა ტ ა ი. (უმცროსი ძის, ი ს ა ა კ ი ს თვის, რომელიც შემდეგ თვითონ გახდება ბიზანტიის იმპერატორი).

ამგვარად, დავითის ასულნი, „ვითარცა ორნი მნათობნი“ — ერთი აღმოსავლეთს, ხოლო მეორე დასავლეთს —

„ცისკროვან ჰყოფდნენ სფეროსა“, თვითონ მამის მზიური შარავანდედით გაცისკროვნებულნი.

„ჯვაროსნული ომებიც“ აგერ ოცდაორი წლის დაწყებული იყო. მოდიოდნენ ევროპელები ჯვრით და მახვილით თურჯულო თურქთაგან პალესტინის „წმიდა მიწათა დასახსნელად“. 1098 წელს ჯვაროსნებმა აიღეს ანტიოქია, 1099 წელს იერუსალიმი. და დაარსდა იერუსალიმის ჯვაროსანთა სამეფო.

და იერუსალიმის ქრისტიანული სახელმწიფოს დაარსებისთანავე, მისმა ხელმწიფეებმა სამოკავშირეო ურთიერთობა გააბეს საქართველოს აწ ფრიად გაძლავრებულ გვირგვინოსანთან. მოკავშირეთა მთავარი მიზანი ისევ საერთო მტრის თურქთა წინააღმდეგ ერთიანი ბრძოლა უნდა ყოფილიყო, და დავითმაც რამდენჯერმე მიაშველა ჯვაროსან ხელმწიფეებს თავისი მხედრობა თურქებთან საომრად.

1120 წლისათვის დავითი თურქთა წინააღმდეგ გაშლილი გადამწყვეტი შეტევისათვის ემზადებოდა, მაგრამ სწორედ იმ წლის დამდეგს თვითონ დაასწრეს თურქებმა და საქართველოსკენ წამოემართნენ. მტკვრის ხეობაში შემოიჭრნენ და ბორტიასთან დაიბანაკეს, უზარმაზარ ურდოდ. მტერი თამამად იყო, დავითი აჭარაში ეგულებოდა. მართლაც, მეფე ხუფათს ჩასულიყო, იქ ჯარების თავმოსაყრელად და სამხრეთით გასალაშქრებლად. მაგრამ ახლა, მტრის შემოსევა რომ აცნობეს, სასწრაფოდ შემობრუნდა, სასწაულებრივი სისწრაფით „გარდამოიფრინა“ და 14 თებერვალს, ისევ „უგრძნეულად“ და „უცნაურად“ დააცხრა თავს არხეინად მონებივრე თურქთა ბანაკს. ისევ ურიცხვი თურქი დაირეცა ამ ბრძოლაში. და სიკვდილს მხოლოდ ის გადაურჩა, ვინც დროზე იაზრა ამხედრება და გაქცევა. ქართველებმა „აღიღეს ტყვე და ალაფი ურიცხვი“.

ამის შემდგომ დავითი შირვანს გავიდა და, ბორტიას ბროლიდან მეშვიდე დღეს, აიღო ქალაქი ყაბალა. აიღო და ისევ „აღავსო სამეფო თვისი ოქროთა და ვეცხლითა და ყოვლითა სიმდიდრითა“.

ყაბალადან მეფე ქართლს ჩამოვიდა, სასწრაფოდ ახალი ჯარი შემოიყარა და სწრაფადვე შირვანს გაბრუნდა. 7 მაისს ქართველებმა დაიწყეს შეტევა აღმოსავლეთ კავკასიონის

ჰისადგომებზე და აქ მათ აიღეს ყველა მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრე, მათგან უმთავრესნი — ლიზანი, ქურდევანი, ხიშტალანთი. ქართველები შირვანიდან „სავსენი ალაფითა მოვიდეს ქართლს“.

იმავე 1120 წელს, ზაფხულსა და შემოდგომაზე კიდევ რამდენჯერმე დაამარცხეს თურქები, სომხეთსა და ჩრდილოეთ ირანში.

ნოემბერში სირიისაკენ წარემართა დავითი. აქ მის შეტევას უნდა აღეკვეთა ალეპოელი სულტანის, ნეჯმ ად-დინ ილღაზის განაზრახი ლაშქრობანი ქართველთა მოკავშირის, ფრანგი ბალდუინის წინააღმდეგ. ქართველები მიადგნენ აშორნიას, საიდანაც სულ ახლოს იყო ილღაზის სამბრძანებლონი — მარდინი და მაიფარაკინი.

აშორნიაში დიდძალი თურქობა იდგა ბანაკად. ქართველებმა მისვლისთანავე მიიტანეს იერიში. მძვინვარე ხოცვა-ჟლეტა თურქთა განადგურებით გათავდა.

აშორნიადან ქართველები სირიის საზღვრებში შეიჭრნენ და თურქული ბანაკები იქიდანაც დაიფრინეს. დავითი ალეპოსკენ მიიწევდა, ილღაზის სატახტოსკენ, მაგრამ მსტოვრებმა აცნობეს — ზურგიდან თურქთა ურდო გაიჭრა და საქართველოსკენ მიეშურებაო. შემოტრიალდა დავითი, სევგელმეჯთან წამოეწია მტერს, წამოეწია და ისე გაანადგურა, „რა დაუტევა მოტირალი კარავთა მათთა“.

ასე განესრულა 1120 წელი, ქართველთა ათზე მეტი ძლევამოსილი ბრძოლით.

1121 წელი მძიმე ზამთრით შემოვიდა საქართველოში. განუწყვეტლივ და განიადაგებით თოვდა; და „გარდანკვეთსა თოვლისასა აქვნდა სიმაღლე მხარი სამი“.

დავითი აფხაზეთს ბრანდებოდა მაშინ, ბიჭვინტაში. იქაურ საქმეებს განაგებდა — „ღირსნი წყალობისანი შეიწყალნა, შემცოდენი დაიპყრნა და წუართნა“. ისევ მოიჭრნენ მსტოვრები და მალემსრბოლნი: თურქებს იმედი დაუჭერიათ, სანამ დავითი შეიტყობდეს და აფხაზეთიდან ქართლამდე თოვლიან გზებს გადმოლახავდეს, მანამ ჩვენ ქართლის აოხრებას და გაძარცვას მოვასწრებთო, და „გულდებით“ წამოსულან მტკვრის ხეობისკენ.

და, შეიტო თუ არა, სასწრაფოდ წამოვიდა „ლომი იგი“

აფხაზეთიდან „თოვლთა საშინელთა“. ლიხის მთაზე რომ მოვიდა, თვითონ გაუძღვა მეფე ნიჩბით ხელში ჯარსა და ხალხს, თოვლი გადათხარა, გზა გადაიკვლია და ქართლს გადავიდა. აქ ქართლელთა ჯარიც შეიერთა და ფრთამალედ გაეშურა ხუნანისაკენ. აქ, ხუნანის გარშემო, ალგეთის, ბერდუჯისა და მტკვრის წყალსართავი აუზი სრულიად აღევსო თურქთა კარვებს.

და ისევ დაეცა დავით მეფე მტერს გაალმასებით.

და ქართველებმა თურქები ისე „მოსრეს პირითა მახვილისათა, რომელ არა დაუშთა მთხრობი ამბავისა“.

დიდმა ზამთარმა გაზაფხულზე მტკვარი უსაშველოდ გადიდა და განავრცო. მდინარე „ნადინებსა ვერ დაეტია“ და კალაპოტი გადმოლახა. თურქებმა ისევ იფიქრეს, დავით მეფე მტკვარს ვერ გადმოვა, ან სანამ გადმოვა მანამ ჩვენ ჩვენსას ვიქმთო და ახლა ბარდავს შეესივნენ „გულდებითა“.

მაგრამ ისევ ტყუილი ფიქრი მოუვიდათ ქვეყნის მაოხრებლებს. ისევ წარუძღვა დავითი ლაშქარს. მტკვარი გადასცურეს და ბარდავს მიეჭრნენ. თურქები ისევ განადგურდნენ ქართულ ხმალთაგან. ორი დღის შემდგომ დავითი „ნებიერად მოვიდა შინა სავსე ალაფითა“.

1120 — 1121 წლებში ქართველთა ძლევამოსილმა ლაშქრებმა ხელები გაუხსნეს თურქთაგან დაშინებულ ევროპელ ჯვაროსნებს. ბალდუინმა სამხრეთიდან, პალესტინიდან, წარმატებით წამოიწყო შეტევები ნეჯმ ად-დინ ილღაზის სამფლობელოებზე.

თურქ-სელჩუკთა მძლავრობის ხანა თითქოს უნდა დამხობილიყო.

და სელჩუკიანთა მსოფლიო ბატონობის დამამხობელი მთავარი ძალა, როგორც ეტყობოდა, საქართველოდან მოდიოდა...

...ჰამადანში, ერაყ-ირანის სულტანატის სასახლის კარზე, ერთმანეთს ცვლიდნენ მოჯე თურქი-ეჯიბნი. მოდიოდნენ „ყოველი თურქობის“ წარმოგზავნილნი: ამიერკავკასიის, მცირე აზიის, შუამდინარეთის და ახლო აღმოსავლეთის ქალაქებიდან. ტანზე შავი სამგლოვიარო სამოსელი ჩაეცვათ, მოშვლეპილი თავები, პირ-სახე და ხელები შავადვე შეემურათ, ისტერიულად ჰკიოდნენ, სხეულს იკაწრავდნენ და

სულტანთან სასწრაფო შეხვედრას ითხოვდნენ. სულტანიც ღებულობდა ალლაჰის მონა-მორწმუნეებს — სულტანი მაჰმუდ, ძე მუჰამედისა.

და ძირს ემხობოდნენ მოაჯენი, ჯერ ცრემლთა თხევით და სხეულის ხოკვით გულს იჯერებდნენ და ბოლოს საჩივარსა სააჯოსაც აღავლენდნენ.

ხოლო, საჩივარი იყო — ქართველ ქრისტიანებზე და მათ ქრისტიან მეფეზე: მზის ქვეშეთში აღარ დაედგომება ალლაჰის მოდგმას ქართველების გადამკიდეთო; თვით საქართველოს ვინღა დაეძებს, როცა ვეღარც შირვანში და ვეღარც სომხეთში ფეხი ვეღარ ჩაუდგამთ ქართველებისგან ზარდაცემულ თურქებსო; ტფილის-დმანის-განძის სავაჭრო გზებიც ქართველთა ხელშიაო; თვითონ ტფილისის მუსლიმური ხელისუფლება დიდ ხარკს უხდის დავით მეფესო — ყოველწლიურად ათი ათას დინარს; დღეს თუ ხვალ თვითონ ტფილისსაც დაიპყრობს ქართველთა მბრძანებელი, რომელსაც დღემდე, ღმერთის და ქვეყნის გასაოცრად, ამდენი ბრძოლა გადაუხდია და ყველა უკლებლივ მოუგია; მალე თურქთა სახსენებელიც სრულად გაქრება, თუ „ყოველი თურქობა“ დიდი სულტანის ნებით არ გაერთიანდება მათი ყველაზე დიდი მტრის, ქართველობის ერთხელ და სამუდამოდ აღსაგველად, გასანადგურებლად.

მართლაც, „უკვე დრო დამდგარიყო“, რათა „ყოველ თურქს“ მახვილი აღემართა საქართველოს აღსაგველად პირისაგან მიწისა.

ისედაც, აზიაში ჩამომკვიდრებულ ევროპელ ჯვაროსანთა განადგურებაც მხოლოდ დავით აღმაშენებლის მოსპობის შემდეგ შეეძლოთ თურქ ხელმწიფეებს.

და სულტანმა მაჰმუდმა სრულიად თურქულ სამყაროს მოუწოდა საქართველოს წინააღმდეგ „საღვთო ომის“ საწარმოებლად.

და სულტანის მოწოდებასა და ბრძანებაზე თავიანთი მხედრობით მოვიდნენ:

ნეჯმ ად-დინ ილღაზი — ბაღდადის, მარდინის, ალეპოს და მაიფარაკინის მბრძანებელი, ჯვაროსანთა წინააღმდეგ ბრძოლებში სახელმოხვეჭილი სარდალი, ზვიადი და ამპარტავანი, „კაცი დაჰმანი (მოხერხებული) და მრავალღონე“;

დურბეიზ სადაყას ძე — ევფრატის ქალაქ ჰილას მბრძანებელი, ეთიოპიის ბაღდადის, სპარსეთისა და ინდოეთის ლაშქრობებში სახელგანთქმული სარდალი, ილღაზის სიძე (ცოლად ჰყავდა ილღაზის ასული გოჰარ-ხათუნი);

თოღრულ მუჰამედის ძე — ყაზვინის, ზენჯანის, გილანისა და განძის ამირა, სულტან მაჰმუდის ძმა (უფრო გვიან თვითონაც შეიქნება სულტანი);

თუღან არსლან კუზიანი — ბითლისისა და არზანის ამირა;

ქენ-თოღდი — განძის ათაბაგი;

და — სომხეთის ამირები.

უზარმაზარი არმია შეიყარა — 400 000 მაჰმადიანი მეომარი.

სულტანმა ამ უზარმაზარ სპას უსარდლა ყველაზე მამაცი და გამოცდილი ნეჯმ-ად-დინ ილღაზი.

დავით აღმაშენებელიც ელოდა მტერს, — ელოდა, დაახლოებით, 55-56 ათასი მეომრით: 40 000 ქართველი, 15 000 ყივჩაყი, 500 ალან-ოვსი და 100 ფრანგი-ჯვაროსანი.

იდგა 1121 წლის ზაფხული.

ოთხასი-ათასიანი თურქული არმია მოისწრაფოდა საქართველოს ამოსაგდებად. სწორედ რომ დიდი „პატივი“ იყო ქართველთათვის: მათ წინააღმდეგ მოდიოდა მთელი წინა აზიისა და ახლო აღმოსავლეთის ისლამური მხედრობა. მაჰმადის მიმდევართა ყოველი და ყოველნაირი ძალა მხოლოდ ქრისტიანული საქართველოს წინააღმდეგ, მიუხედავად იმისა, რომ მუსლიმანურ სამყაროს კარგა ხანია მოძალვით უტევს სხვა დიდი საფრთხე — ევროპული ჯვაროსნობა.

მაშ, ამ ორ „მსოფლიო ქრისტიანულ საფრთხეთაგან“ (ჩრდილოურ-ქართული და დასავლურ-ევროპული) იმ დროის უპირველეს საფრთხედ მაჰმადის მიმდევრებს მაინცდამაინც საქართველოს აღზევება და გამძლავრება მიუჩნევიათ.

მაშ, მოდიოდა „ყოველი თურქობა, მხედრობად შემძლებელი, ყოველი ჭუეყანისა. და მრვიდნენ „სიმრავლითა, ვითარცა ქვიშა ზღვისა, რომლითა აღივსო ჭუეყანა... თრიალეთს, მანგლისს და დიდგორთა, რომელ თვით ფეხთა ზედა ვერ ეტეოდეს ამათ ადგილთა“.

სწორედ დიდგორი შეიქნა დიდი საომარი თალპიო-

ნი. ასე ისურვა, გადაწყვიტა და განასრულა დავით აღმაშენებელმა. მას სწორედ აქ, ტფილისიდან ნახევარი დღის სავალზე, დიდგორის ვიწროებში, ღრმა ხევ-ხუვებში და მიმრეც-მომრეც სანახებში უნდა ჩაეჭედა რიცხვით ათჯერ უპირატესი მტრის ურდო, ვინძლო ველად გაჭრის, გაშლისა და ფართო მანევრირების საშუალება არ მიეცა მისთვის.

დავით აღმაშენებელმა გადაწყვიტა, ომის ღმერთისთვის ძალისძალად გამოეგლიჯა ხელიდან ბრძოლის სასწორი, რომელზეც ოთხასი ათასი მაჰმადიანისა და ორმოცდათხუთმეტი ათასი ქრისტიანის სიცოცხლე ქანაობდა.

და, „მეფემან დავით, უშიშმან და ყოვლად უძრავმან გულითა, წინა განაწყო სპა მისი, ყოველი საქმე შეუნიერად და ღონიერად ჰყო, ყოველი წყნარად, უშფოთველად და გამოცდილებით და ყოვლად ბრძნად განაგო“.

და ბრძოლის წინ მეფემ სიტყვით მიმართა თავის მხედრობას:

„ეჰა, მეომარნო ქრისტესანო! თუ ღვთის სჯულის დასაცავად თავდადებით ვიბრძოლებთ, არამც თუ ეშმაკის ურიცხვ მიმდევართა, თვით ეშმაკებსაც ადვილად დავამარცხებთ, და ერთ რასმეს გირჩევთ, რაც ჩვენი პატიოსნებისა და სარგებლობისათვის კარგი იქნება: ჩვენ ყველამ, ხელების ცისკენ აპყრობით, ყოვლისმძლე ღმერთს აღთქმა მივსცეთ, რომ მისი სიყვარულისათვის ამ ბრძოლის ველზე უფრო დავიხოცებით, ვიდრე გავიქცევით. და რათა არ შეგვეძლოს ფიქრი გაქცევისა, კიდევაც რომ მოვინდომოთ, ამ ხეობის შესავალი — რომლითაც აქ შემოვსულვართ — ხეთა ხშირი ხორგებით შევკრათ და მტერს, როცა საიერიშოდ მოგვიახლოვდება, მტკიცე გულით დაუნდობლად შევუტიოთ!“

ასეც მოიქცნენ...

და მოხდა ბრძოლა — 1121 წლის 12 აგვისტოს.

იმ დღეს თურქები ბრძოლის დაწყებას თითქოს არც ელოდნენ. მაგრამ მაინც დაიწყო საკუთარი პროლოგით: ქართველთა ბანაკს ორასი მეომარი გამოეყო და თურქთა ბანაკისაკენ გაეშურა გულდახდობილად. რაკი იმათგან უმრავლესობა თურქებმა ყივჩაყებად შეიცვნეს, ქართველთა მოღალატეებად და მათგან გამოჭცეულებად ირწმუნეს და თავის შუაგულ განლაგებაშიც შეუშვეს. მისულებმა კი მის-

ვლისთანავე იარაღი გამართეს და თურქებს დაერივნენ გასაოცარი თავზეხელაღებულობით. სანამ თურქები გონს მოეგებოდნენ, თვითონ დავითმა ელვისებურ იერიშზე აფრინა ქართველთა მთავარი ძალები.

საშინელი ხოცვა-ჟლეტა თავიდანვე ქართველთა ძლევამაუწყებლობით წარიმართა. გადამწყვეტ ჟამს ბრძოლას ჩაეჭრა ქართული მხედრობის საგანგებო ნაწილი, რომელსაც დავითის მამაცი ძე, დემეტრე ბატონიშვილი მოუძღოდა.

დიდგორის მძიმე ომი ქართველთა ძლევამოსილებით დამთავრდა. დავით მეფეს ხელთ ეპყრა მრავალ მანამდელ გამარჯვებათა შორის ყველაზე დიდი ძლევამოსილების კვერთხი.

თურქთა უზარმაზარი არმია თითქმის სულ გაწყდა. „აღივსნეს ველნი, მთანი და ღელენი მათის მძორებითა“. ხოლო, ვინც გაქცევა მოასწრო, იმათ რვა დღეს სდიეს ცხენოსანმა ქართველებმა — მანამ სანამ საქართველო-სომხეთის საზღვრებიდან არ გადარეკეს.

სიკვდილს ძლივს გადაურჩა თვითონ თურქთა მთავარსარდალი ნეჯმ ად-დინ ილღაზი. იგი, თავში მძიმედ დაჭრილი, თვითონ გაქცეული სიძის, დურბეიზის დახმარებით, ძლივს გააღწია სიკვდილის გარემოს. თუმცაღა, მაინც იმ ჭრილობამ მიიყვანა იგი სიკვდილის კარამდე, დიდგორის ომიდან ერთ წელიწადში (ეს უფრო სწორი უნდა იყოს, ვიდრე ის რომ ილღაზი, როგორც სხვა წყაროებით გადმოგვცემენ — ფლავისა და ნესვის უზომო ჭამით მუცელს გადაჰყოლოდეს).

ქართველებს, დიდი გამარჯვების გარდა, ხელთ დარჩათ უხვი ნადავლ-ნაალაფარი: „სპანნი ჩუენნი და უფროსად ყოველი სამეფო აღივსო ოქროთა და ვეცხლითა, არაბულითა ასურულითა ჯორებითა, კარვებითა, სრა-ფარდაგებითა, სხვითა უცხოთა ჭურჭლებითა საბრძოლელთა თვითო-სახეთათა, ქოსთა და ფილაქავანთათა, სასმურთა ტურფათა და სანადიმოთათა. საბანელთა და სამზარეულოთათა, — რაოდენმან ქარტამან და მელანმან დაიტიოს აღწერად“.

ნადავლის საუკეთესო ნაწილი, „ყოვლად დიდებული“ და „ძნელად საპოვნელი ნივთები“, „დიდთა და ხორასანთა მეფეთა ტახტნი, საყდარნი (სავარძელნი), კედელნი ფერად-

ფერადნი და კვალად გვირგვინნი“ და ძვირფასი ქვებით შემკული მანიაკი, რომელიც თურქთა სარდალ დურბეიზ სადაყას ძეს ქართველმა მეომრებმა მკერდიდან ჩამოჰგლიჯეს — უველაფერი ეს დავით აღმაშენებელმა შესწირა გელათის ახალ, მშენებარე მონასტერს.

დიდგორი ისტორიაში დარჩა, ვითარცა უბრწყინვალესი ზენიშანი ქართველთა უებრო გმირობისა და მარადიული უკვდავებისა.

დიდგორი ქართველი ხალხის მარადიულ სალოცავ მოვლენად იქცა.

დიდგორის უმაღლეს მთას ხალხმა „დავითის მთა“ დაარქვა, ხოლო იქვე, ველზე აღმართულ ბორცვს — „დიდგორის ბრძოლაში დაღუპულ ძმათა საერთო სამარე“. ხალხი დღემდე დაბეჯითებით ამბობს: როცა დიდგორის ომში დაღუპული ქართველი გმირები საერთო-საძმო სამარეში ჩააწვინეს, რიგად ჩამდგარმა ლაშქარმა აუარჩაუარა და ზოგმა მუჭ-მუჭა, ზოგმაც კალთა-კალთა მიაყარა ნაომარი და ნასისხლარი მიწა — და ასე აღიმართა ეს ბორცვი ძმათა საფლავზეო...

ყოველწლიურად ზეიმობდა ქართველი ხალხი „დიდგორობას“.

დიდგორი შეიქნა პროლოგი მომდევნო ფეხბედნიერი მოვლენისა ქართველი ხალხის მაღალღირსეულ მატიანეში — ტფილისის დახსნისა და საქართველოს ს რ უ ლ ი გ ა ე რ თ ი ა ნ ე ბ ი ს ა.

მაშ, დავით აღმაშენებელი მიადგა ტფილისს.

სწორედ რომ დროც დამდგარიყო, დრო — საქართველოს სატახტოს ოთხასწლოვანი „უცხოობიდან“ თავისდახსნისა და მშობლიურ წიაღში დაბრუნებისა.

მაგრამ ქალაქის მაჰმადიანურმა ხელისუფლებამ უარი თქვა დანებებაზე.

მაშინ ქართველები ალყად შემოადგნენ ქართველთა სალოცავ ქალაქს.

ტფილისი შიმშილმა შეიპყრო.

მაშ, უხმლოდ მაინც არ მოხერხდა ქართველთა შესვლა ქართულ ქალაქში.

და 1122 წლის დამდეგს ტფილისი აიღო დავით აღმაშენებელმა.

მაჰმადიან მესვეურთა უგუნური სიჯიუტით გაავებულმა მეფემ ტფილისის ხუთასი ხელისუფალი სიკვდილით დასაჯა. მერე, ჩვეული დიდსულოვნებით გული დაიცხრო, დამშეული და დაშინებული მოსახლეობა დააპურა, დაამშვიდა და დააბრუნა თავის ფუძეზე.

ქალაქის მოსახლეობა ჭრელი იყო — ეროვნულადაც, სარწმუნოებრივადაც. უპირველესად სწორედ ამას მიაქცია ყურადღება ქრისტიანობის უმაღლესი იდეური მოწოდების — „ზოგადი მოყვასთმოყვარეობის“ მიმდევარმა ქართველმა გვირგვინოსანმა: უფლებრივად ყველამ ერთნაირად იცხოვრეთო. რაკი ერთ დროს მაჰმადიანები ქრისტიანებს სტანჯავდნენ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ სამაგიეროდ ახლა ქრისტიანებმა სტანჯონ და აბუჩად აიგდონ მაჰმადიანებიო. პირიქით, ახლა დამარცხებულებმა უკეთ უნდა იგრძნონ თავი გამარჯვებულთა შორისო. ქრისტიანებმა მაჰმადიანთა უბნებში ღორი არც უნდა დაკლან, არც უნდა იყოლიონ, არც მათ აბანოებში შეიდნენ, არც აზანსა და ხუტბაზე შეუშალონ ხელიო. მაჰმადიანებს ნება ეძლევათ ყოველ პარასკევ დღეს ილოცონ არაქართველ და არაქრისტიან მეფეზე; არამედ ხალიფასა და სულტანის სახელზეო. ყოველწლიური გამოსაღებიც — ქრისტიანმა 5 დინარი გადაიხადოს, ებრაელმა — 4, ხოლო მაჰმადიანმა — 3. თვითონ დავითიც, დემეტრე ბატონიშვილის თანხლებით, ყოველ პარასკევს მეჩეთში შედიოდა, ხუტბასა და ყურანის კითხვას ისმენდა; მუეძინებს ყურანის ცალკეულ სურათა ანალიზში ეხმარებოდა, უსწორებდა, ამხნევებდა, ოქროთიც აჯილდოებდა. ასეთი პატივით ცხოვრება მაჰმადიანებს „მშობლიურ მბრძანებელთა“ ქვეშევრდომობაშიც არ ჰღირსებიათ...

1123 წელს დავითმა აიღო ქალაქი დმანისი და ამით საქართველოს გაერთიანება სავსებით დასრულდა.

ყველა ქართული მიწა უკვე საქართველოს საზღვრებში იყო.

ერთიანი საქართველოს სამეფო ტახტი დავით აღმაშენებელმა ქუთათისიდან ტფილისში გადაიტანა.

და ამიერიდან — 1122 წლიდან — ტფილისი სამარადჟამოდ დარჩა სატახტოდ ერთიანი საქართველოსი...

იმავე 1122 წელს განძის თურქობამ სცადა რევანშის

აღება ქართველთაგან ეგზომი მუსლიმანური სისხლის დაქცევისათვის. დავით მეფემ მაშინვე შეუსია ჯარი საქართველოს ამ ძველისძველ სამტრო-საბუდარს. ქართველებმა მრავალი თურქი მხარგაკრული დაყარეს ურმებზე და, სხვა მრავალ ნადავლთან ერთად, „ცხვრის ფარასავით“ გამოირეკეს ტფილისისაკენ. ამ ლაშრობას დიდი მიწისძვრაც დაესწრო განძაში. ქალაქი ძლიერ დაზიანდა და დაზარალდა.

თავის მხრივ სულტანი მაჰმუდ მუჰამედისძეც, დიდგორის კატასტროფით შეძრწუნებული, არ შეურიგდა ქართველთაგან სირცხვილისჭმევასა და ნაცარსხმევას. ჯერ მან საქართველოზე პირდაპირ წამოსვლა ვერ გაბედა და საქართველოს ქვეშევრდომთა აოხრებით დაიწყო.

1123 წელს სულტანი დიდის მხედრობით შირვანს შეესია, ქალაქი შემახა აიღო, დავითის ერთგული ყმადნაფიცი შირვანშაჰი ტყვედ აიყვანა და თვითონ დავით მეფეს ასეთი მუქარა შემოუთვალა: შენ ტყეთა მეფე ხარ და ველად გამოსვლას ვერ ბედავო, შენი ყმადნაფიცი შირვანშაჰი ტყვედ მყავს, მისგან ხარაჯასაც ვღებულობ, ხოლო შენ ორში ერთი აირჩიე — ან ჯეროვანი ძღვენი გამომიგზავნე, ან სამალავიდან გამოდი და პირადად შემხვდიო.

მაშინვე ამხედრდა, დავითი, ჯარი შემოიყარა და გაფრინდა შირვანისაკენ.

როგორც კი სულტანმა ქართველთა მოახლოება სცნო, შემახასთან გაშლილი ბანაკიდან აიყარა და სასწრაფოდ ქალაქის ციხეში შევიდა და შეიკეტა. ქართველთა მხედრობა გარს შემოადგა შემახას.

უცებ სულტნის მაშველი ჯარი გამოჩნდა. ქართველები გაეგებდნენ და შეებნენ. ოთხი ათასი თურქი პირველ დატაკებისთანავე დააწვინეს და დარეცეს. დანარჩენებმა გაქცევით უშველეს თავს.

ეს რომ მაჰმუდ სულტანმა შეიტყო, შიშით ლამის ჭკუიდან შეცდა და სხვა უკეთესი ვერა მოიგონა რა — სასდუნში („მწვირის გასადინარ ნახვრეტში“) ჩაძვრა და შმორითა და ზინზლით ამოლართხულმა ძლივს გაასწრო სამარცხვინო ტყვეობას.

ეს ამბავი 1123 წლის მაისში მოხდა, ხოლო ივნისში, საშინელ სიცხე-პაპანაქებაში, დავითმა ისევ ილაშქრა შირვანს,

აიღო გულისტანი და „აღავსნა კეთილითა ყოველნი მორჩილნი ბრძანებათა მისთანი“. შემდგომ კასპიის ზღვის ასწვრივ ავიდა დავით მეფე, აიღო დარუბანდი და ჩრდილოეთ მომთაბარეებს სამუდამოდ აღუკვეთა ამ გზით ამიერკავკასიაში შემოჭრისა და თარეშის იმედი.

იმ წელსვე მეზობელ სომეხთა საბოლოო გათავისუფლების საკითხი დადგა ქართველთა პოლიტიკურ ცხოვრებაში. და, როგორც კი დავითი დარუბანდიდან მობრუნდა, „მყის აღისრბოლა ვითარცა არწივმან“, სომხეთში გაჩნდა და გაათავისუფლა და შემოიერთა იქაური ციხე-ქალაქნი: გაგნი, ტერონაკალი, ქავაზინნი, ნორბედი, მანასგომნი და ტალინჯაქარი.

სომხეთიდან ჯავახეთს ჩამოვიდა დავითი, იქიდან კოლას, კარნიფორას, ბასიანსა და სპერს. ყველგან, სადაც კი თურქთა ნარჩენებს წააწყდა, მოსწყვიტა, ან ტყვედ აიყვანა. ბუიათყური ჩამოიარა, ოლთისი გადასწვა და თრიალეთს მოვიდა, იმ წელს „ბრძოლაგანსრულებული“.

ჯარიც დაშალა თრიალეთს, მაგრამ განუწყვეტელი ბრძოლებით დაქანცული ქართველი მოლაშქრენი სახლად ძლივს იქნებოდნენ მიტანებულნი, რომ ისევ საომრად წვევის ბრძანება მიიღეს მეფისგან.

ამჯერად დიდი სომხური ქალაქიდან, ანისიდან, სომეხი თავკაცები სლებოდნენ დავით მეფეს, ანისის მფლობელს უჩიოდნენ, სახელად აბულ-სოვარს, ტომით ქურთს, სარწმუნოებით მაჰმადიანს, სომეხ ქრისტიანთა მოსისხლეს, რომელსაც ამ ბოლო ხანს ანისის მთავარი ტაძარი მიზგითად გადაუქცევია, გუმბათიდან ჯვარი მოუგლეჯია და მის ნაცვლად ვერცხლის „უზარმაზარი ნალი“ (თურქული ნახევარმთვარე) აღუმართნია, უარესი ის იყო, აბულ-სოვარს ანისი კარის ამირასთვის მიუყიდნია 60 000 დინარად. და შველას თხოვდნენ სომეხი პატრიოტები მოძმე ქართველთა ხელმწიფეს, თან ქალაქის ქვეშევრდომობასა და და ჩაბარებას სთავაზობდნენ.

სამ დღეში 60 000 ქართველი მეომარი გამოცხადდა მეფესთან. სამ დღეში ჩავიდა და მისვლისთანავე აიღო ანისი, მისი ციხენი და „ქუეყანანი ანისისანი“. დავითმა შეიპყრო თვითონ აბულ-სოვარი, მისი რვა ძით, მთელი სახლობით,

მსახურეულით, და ყველანი აფხაზეთს „გადაასახლა“. მაშინვე ანისის ლავრის გუმბათიდან ნახევარ მთვარე ჩამოაგდებინა მეფემ, ისევ ჯვარი აღმართა და მიზგითად ქცეული ტაძარი ისევ სომხურ-ქრისტიანულად აკურთხებინა სომხეთის კათალიკოსს.

ანისის ტაძარში დედოფალი კატრონიკე ემარხა — სწორედ ამ ტაძრის აღმშენებელი ბერძენი ქალი. დავითი ქართველთა და სომეხთა ამალით იმ საფლავს მიადგა და სამგზის ჩასძახა:

„გიხაროდენ შენ, წმიდაო დედოფალო, რამეთუ იხსნა ღმერთმან საყდარი შენი უსჯულოთა ხელთაგან“.

მაშინვე ხმა დაირხა ხალხში — დედოფალმაც ამოსძახა დავითს სამჯერ მიწიდანო: „დიდებაააა ღმერთსა!“

აღტაცებული წერდა შესანიშნავი სომეხი მემატიანე:

„განთავისუფლდა მონობისაგან .სატახტო ქალაქი ანისი“.

„და იქმნა სიხარული ყოველსა სახლსა !სომეხთასა“.

„და იყო დავით მეფე წმინდა და სათნო ყოვლად შემკული ღმრთის მოსავობით და კეთილი სამართლიანობით. იგი გამოუჩნდა შემწყნარებელი და მოყვარული სომეხთა ტომს“.

„დიდი სიხარულითა და აღფრთოვანებით ექცეოდა მას მთელი სომეხი ხალხი“.

ანისის დასაცავად დავითმა დატოვა მესხი აზნაურები. ქალაქისა და მისი მიმდგომი ქვეყნების გამგებლობა ჩააბარა ქართველ დიდებულებს — ა ბ უ ლ ე თ ს ა და მის შვილს ი ვ ა ნ ე ს.

დავით მეფე იმავე 1123 წელს, ანისის აღებისა და შემოერთების შემდეგ, გაეშურა სამხრეთ სომხეთში, და თურქთაგან გაანთავისუფლა და თავის სამფლობელოებს შემოუერთა ვ ა ნ ა ნ დ ი ს, ა რ ა რ ა ტ ი ს, ხ ა ბ ა ნ დ ი ს ა და ა რ ც ა ხ ი ს ქვეყნები.

ამგვარად, ქართველ-სომეხთა ოდინდელი ძმობითა და თანადგომით, კვლავ ერთიან საძმო-სამეზობლო საცხოვრებელში მოექცა ეს ორი, ძველთაძველი ცივილიზებული ერი.

სომხეთის შემოერთების შემდგომ დავითს ისევ დასჭირდა ქასპიისაქენ ლაშქრობა. შირვანში ისევ საომრად შემართულიყვნენ თურქნი. ისევ აიღეს ქართველებმა შემახა და დარუბანდი. ისევ გაამაგრეს ქასპიაზე ქართული სამანები.

სრულიად შირვანი თურქთაგან განიწმინდა და საქართველოს შემოუერთდა. დავითმა შირვანის ციხეებში კახთა და ჰერთა ძლიერი ციხიონები ჩააყენა და ეს ქვეყანა საგანმგებლოდ მისცა მწიგნობართუხუცესსა და ჭყონდიდელს ს ვ ი მ ო ნ ს, გიორგი ჭყონდიდელის დისწულს, მის „მიმსგავსებულსა და ყოვლითურთ სრულსა და ბრძენ კაცს“...

ამიერიდან ქართველი ხელმწიფის ტიტულატურას — „მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, ჰერთა და სომეხთა“ — ემატებოდა „შირვანშაჰი“.

დავით აღმაშენებლის მოთავეობით წარმოებული ოცწლიანი ომები დიდი შედეგებით განესრულა. ქართველი ხალხის წინამძღოლობით შეიქმნა კავკასიელ („იმიერ“ და „ამიერ“) ხალხთა ერთიანი მძლავრი სახელმწიფო, ნ ი კ ო ფ ს ი თ გ ა ნ (ტუაპსე) დ ა რ უ ბ ა ნ დ ა მ დ ი ს (დერბენდი) და ო ვ ს ე თ ი დ ა ნ (ჩრდილოეთ ოსეთი) ა რ ე გ ა წ ა მ დ ე (სამხრეთ სომხეთი)“.

მაშ, დავით აღმაშენებელი იყო შემოქმედი სრულიად კავკასიის ერთიანი ი მ პ ე რ ი ი ს ა. (ვინძლო ამ სიტყვამ არ შეგვაშინოს).

დავით აღმაშენებლის ფენომენი კულმინაციური შეჯამება იყო ქართველი და კავკასიელი ხალხების ოფლითა და სისხლით გაჟღენთილი მრავალსაუკუნოვანი ისტორიისა. ეს იყო შედეგი ქართველი ხელმწიფის დაუცხრომელი ღვაწლისა და საქმიანობისა, რომლის შედეგად დაემხო ამიერკავკასიის ცივილიზებულ ხალხთა გათურქება-გადაგვარების საფრთხე. ქართველი ხალხის მძიმე სისხლის ფასად შექმნილ ერთიან, მძლავრ სახელმწიფოში, „ნიკოფსიითგან დარუბანდამდის და ოვსეთიდგან არეგაწამდის“, ყოველი „დიდი“ და „მცირე“ ხალხი იწყებდა ცხოვრებას სახვალიო და სამერმისო არსებობის ძლიერი რწმენით.

და გაისმოდა, უეჭველად გაისმოდა „სადავითო სახელმწიფოში“:

„ნეტავ იმ ერსა და ქვეყანასა ზედა, რომელსაც არა ჰზარავს მარადიული საკითხავი: ვიქნები თუ არა ხვალ? იქნება თუ არა ენა ჩემი და ერი ჩემი და ბუნება ჩემი ხვალ, ზეგ, მერმისად, სამარადისოდ?“

„ვაი შენ, ერო დამცრობილო, რომელსაც მარადიულად გტანჯავს ეს საკითხავი: ვიარსებებ თუ არ ვიარსებებ?“

„დამანებებენ არსებობას, თუ არ დამანებებენ უფრო მრავალრიცხოვანი ერნი ამა ქვეყნისანი?“

„და აჰა, დავით ქართველთა მეფემ დაამკვიდრა იმედი მცირერიცხოვან ხალხთათვის ხვალინდელი და სამერმისო არსებობის რწმენისა“.

„ქართველთა მეფემ იხსნა კავკასიის ხალხები გათურქება-გადაგვარებისაგან“.

თურქობა სრულიად ახალი, „უცხო ჯიშის“, ყველაზე საშიში მტრობა იყო საქართველოსთვის და კავკასიის სხვა ხალხებისთვის. იგი არ ჰგავდა ჩვეულებრივ, „ტრაფარეტულ“ მტრობას, მტერთა საომარ კვეთებას, მხოლოდ მტრულად სისხლისღვრას, მხოლოდ ძარცვას და დახარკვას, პომპეუსის, მურვან ყრუს, ბუღა თურქისა და აბულ ყასიმის შემოსევათა მსგავს „მოქცევასა“ და „უკუქცევას“.

არამედ — თურქები მოდიოდნენ დედა-ბუდიანად, დიდიან-პატარიანად, ქალიან-კაციანად, ცხვარიან-ძროხიანად, ცხენიან-აქლემიანად, ძაღლიან-კატიანად, ტილიან-რწყილიანად...

მოდიოდნენ და აღარ მიდიოდნენ.

მოდიოდნენ უსამშობლონი და მომთაბარენი.

და ეს იყო ყველაზე დიდი უბედურება ისედაც მანამდე უამრავ უბედურებათა მტვირთველი საქართველოსთვის.

უბედურების „სიახლე“ სწორედ მტრის მ ო მ თ ა ბ ა რ ე ო ბ ა იყო.

ქართველი კაცის ცხოვრების ურყევი და უცვლელი საფუძველი ხომ მკვიდრი სამეურნეო დარგები იყო — მიწათმოქმედება, მევენახეობა, მებაღეობა, მებოსტნეობა, და ცალკე მესაქონლეობა, მისთვის განკუთვნილი საძოვრებით.

ხოლო, თურქი მხოლოდ მეჯოგე-მომთაბარე იყო და სხვა „კულტურული მეურნეობისა“ არც რამე გაეგებოდა და არც გაგება ესურვილებოდა. მისი „სიმკვიდრე“, მისი „ფუძე“, მისი „სოფელი“ და „დაბა-ქალაქი“ თითო-ოროლა დღე-ღამით აკინძული კარავი იყო, მისი „სამშობლო“ კი— იალკიალად, აღმა-დაღმა მოარული, მთა და ბარად მოხეტიალე ყიშლაღ-იალაღი.

და მიუსია თურქმა-სელჩუკმა ცხვრის ფარა და საქონლის

ნახირი ქართველის მადლით, ბარაქით და სინოყივრით გატენილ ყანას, სიტკბოებით ფეხმძიმე ვენახს, ბაღსა და ბოსტანს.

ასეთი სინოყივრე და ღვთაებრივი სიტკბო მანამდე არ უგემნია უდაბნოური სიცხით, სიმწრითა და სიყმილით განაწამებ სამხრეთელ ჯოგსა და მეჯოგეს.

და ცოცხალის თავით რაღას მოშორდებოდა!

და მოდიოდა.

და აღარ მიდიოდა.

და მრავლდებოდა, ვითარცა ქინქლა.

მრავლდებოდა საქართველოს „მოსაჭმელად“ და „შესაჭმელად“.

ყიშლაღ-იალაღური მომთაბარეობა სჭამდა და ინელებდა საქართველოს მკვიდრ, კულტურულ მეურნეობას. ეს კი ქ ა რ თ უ ლ ო ბ ი ს ა და ქ ა რ თ ვ ე ლ ო ბ ი ს მოშლასა და „შეჭმას“ ნიშნავდა.

დიახ,— თუ მანამდელი ყოველი მტერი — ყოველი პომპეუსი, მურვან ყრუ, თუ აბულ ყასიმი — „ჩვეულებრივ“, ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ებრძოდა, თურქობა მარტო საქართველოს კი არა, საზოგადოდ ქ ა რ თ უ ლ ო ბ ა ს უქადდა გადაშენებასა და გადაქარებას. ასე იყო, რადგან საკუთრივ ქართულობა არის იგივე (სრული იგივეობით), რაიც ქართული სამეურნეო და კულტურული ცხოვრების წესწყობილებრივი სისტემა.

ისევ მივაქციოთ ყურადღება: ყველა მანამდელი მტერი საქართველოს წასახდენად მოდიოდა მხოლოდ ხმლით, ხოლო თურქი მოდიოდა ხმლითა და ცხვრით, ცხვარი ხმალზე უარესი იყო.

დიახ, მშვიდი და უწყინარი. ცხვარი აღწევდა იმას, რაიც ვერ მოეხერხებინა რომაელი იმპერატორების, ირანელი შაჰინშაჰებისა და სარკინოზი ხალიფების მსოფლიოს სისხლმაქცევარ მახვილებს.

ველურობამ მრავალი ცივილიზაცია გადასჩეხა დაღუპვისა და დაქვესკნელების უფსკრულში. ა ქ ა მ დ ე კი საქართველო და ქართველობა არასოდეს ასე ახლოს არ მდგარა სრული გადაშენებისა და დაღუპვის უფსკრულთან.

იდგა აგონია საქართველოსი.

თურქი ხმლითა და ცხვრით.

ადგილობრივი ფეოდალი სეპარატისტული, განკერძოები-

თი თავაწყვეტილი ბრძოლით, თანამოძმეთა სისხლის ქცევით და სისხლის ჩაქცევით.

მხოლოდ საოცნებო ზღაპრულ მზეჭაბუკს თუ შეეძლო საქართველოს დამღუპველი ურჩხულისთვის ორივე თავის გაგდებინება — გარეულისაც და შინაურისაც.

და ეს ზღაპრული და ღვთაებრივი ჭაბუკი აღმოჩნდა სწორედ დავით აღმაშენებელი.

იგი ახლა დედამიწაზე ერთი უძლიერესი სახელმწიფოს მეუფე იყო.

მან ოცი წლის მანძილზე, სამოცი დიდი და მცრე ბრძოლით, არამცთუ სამუდამოდ აღუკვეთა თურქ დამპყრობლებს კავკასიურ მიწაზე ფეხის დაბიჯების წყურვილი, არამედ სრულიად მაჰმადიანური სამყაროს მეუფე „სულტანი დასუა მოხარკედ თვისსა“.

ათეულობით „დიდი“ და „მცირე“ ენა ჰყვაოდა დავით აღმაშენებლის სახელმწიფოში, მაგრამ არცერთი ყვავილი არ დაუჭკნია და არ დაუჩაგრია მაღალკულტურულ და მაღალზნეობრივ ქართველ გვირგვინოსანს...

ათეულობით რელიგია, რელიგიური სექტა და თავისუფალი ერესი მიმოიქცეოდა დავითისეულ საქართველოს ქრისტიანულ სამყაროში, და ყველა, უკლებლივ და სწორპატიობით, შეწყნარებული და ნებადართული სუნთქავდა და სუფევდა, გულდანდობილი, უშფოთველი სუნთქვით და სუფევით.

ქრისტიანი ხელმწიფე თავის სახელმწიფოში მაჰმადიანებს ქართველთა და სომეხთა თანასწორ მოქალაქეებად აცხადებდა. იგი „გამათურქებელ თურქობას“ ებრძოდა დაუნდობლად და არა მაჰმადიანურ-რელიგიურ სინდისს. თვითონ დავით მეფე ყურანს და მაჰმადიანურ ლიტერატურას ისევე ზედმიწევნით იცნობდა, როგორც ბიბლიას და ქრისტიანულ ღვთისმეტყველებას.

ასეთი იყო დავით აღმაშენებლის სახელმწიფო, მრავალეროვნული, ყოველი ტომისთვის თანასწორუფლებრივი.

და ვაი იმ ქართველს, ვინც ამ მრავალფეროვანი „სიმფონიის“ დარღვევას შეეცდებოდა!

მაგრამ სახელმწიფო ესე — მაინც იყო საქართველო. და ვაი იმასაც, ვინც საქართველოს შიგნით თუ საქართვე--

ლოს გარეთ ქართველობის სამტროდ ხმალსა თუ ხმას დასძრავდა

დავით აღმაშენებლის „იმპერიაში“ იმდენი ენა ჰყვაოდა, რამდენიც ტომ-თესლი იყო. მაგრამ საერთო-სახელმწიფოებრივი ენა „ნიკოფსიით დარუბანდამდის“ — იყო ქართული ენა.

ქართული ენა საქართველოში უნდა სცოდნოდა ყველას— ქართველსაც და არაქართველსაც. ეს პატივიც იყო, საჭიროებაც, სინდისიც და ჰოვალეობაც.

დავით აღმაშენებლის დროს (და მის შემდგომ ასორმოცდაათი წლის მანძილზე) სრულიად კავკასიისთვის (და მნიშვნელოვანწილად წინა აზიისათვის) ქართული ენა ისეთივე დომინანტურ და კულტურულ ნიშანსვეტად იქცა, როგორც ბერძნულ-ელინური ენა ალექსანდრე მაკედონელის დროინდელ ევრ-აზიაში („ქართლიზმი“ — „ელინიზმი“)...

...თვითონ დავითი ანაგებით იყო ახოვანი, გოლიათურად ტანაშვეტილი, სხეულით განურღვეველი, სახით სახიერი, წყობილ-ნაკვთოვანი, თვალით მძლავრი — მზერით მზის დამკორტნავი, ხმით ლრმებრ ზახიანი და გულით „უშიში, ვითარცა უხორცო“. საოცარი და საწადელი ღიმილი ჰქონდა — ჟამსა სიხარულისასა, და გულის შემძვრელი მჭვუნვარება — ჟამსა მჭვუნვარებისასა.

მძლავრი იყო მისი სხეული.

მძლავრი იყო მისი გონება.

ორი რამ ერთმანეთისგან განუყრელად მთელი სიცოცხლის მანძილზე ხელიდან არ გაუგდია დავით აღმაშენებელს — ხმალი და წიგნი.

თვითონ მოკრძალებით ამბობდა ხოლმე: მე უსწავლელი ვარ და მხოლოდ „მხედრობათა შინა აღზრდილიო“. მაგრამ სინამდვილეში ყველამ იცოდა ხელმწიფის მრავალმხრივი განათლებულობა და განსწავლულობა.

წიგნის გარეშე თვით სიცოცხლეც უსაგნოდ და უსიხარულოდ მიაჩნდა მეფეს. წიგნის კითხვა მისი სულის ზეიმი იყო. წიგნები „იყვნეს მისსა საზრდელ, ყოველთა გემოან, და სასმელ ტკბილ და საწადელ: იგინი — შუება, განცხრომა საწურთელ და სარგებელ“. წიგნებს აგროვებდა, ყოველგვარს, თარგმნილსაც და ორიგინალურსაც. თვითონ იტყოდა ხოლმე დავითი: „კაცთა მიმნიჭებელი პირველი სიმდიდრე წიგნთა

მოძღვრებაი არს“. წიგნს კითხულობდა გამუდმებით — ინახისა და სერობის შემდგომ, მგზავრობისას, ნადირობისას. წიგნებით დატვირთული ცხენები მისდევდნენ ბრძოლად მიმავალ მეფეს. როცა კითხვით თვალი მოეღლებოდა, საგანგებო მკითხველთ აკითხებდა და თვითონ უსმენდა. უყვარდა წაკითხულის განსჯა, რკვევა და კამათი. ჩვევად ჰქონდა, წიგნს რომ წაიკითხავდა, ბოლოში ნიშანს დაუსვამდა. ამ ნიშანთა მიხედვით არკვევდნენ, რამდენჯერ წაეკითხა მეფეს ესა თუ ის წიგნი. თურმე მეფის ისტორიკოსს „სამოციქულოს“ ბოლოში დასმული ნიშნები დაუთვლია და გამორკვეულა, რომ ეს წიგნი ერთი წლის მანძილზე ოცდაოთხჯერ წაეკითხა მეფეს.

თავდავიწყებამდე იცოდა კითხვა. ერთხელ, როცა ტფილისი ჯერ კიდევ მტერს ეჭირა, მის დასაზვერავად წასულიყო სამასი მხედრით. ავჭალის ხევში შესასვენებლად შედგნენ. მეფემ თხუთმეტი კაცი გამოჰყო და ლოჭინისაკენ გაუშვა. თვითონ კი, წიგნისა და ხმლის ამარად, გაშორდა თავისიანებს და დაიბარა — არ მომაკითხოთ და ხელი არ შემიშალოთ, სანამ მე თვითონ არ მოვალ თქვენთანო. წავიდა და ჩაუჯდა კითხვას, ჩაუჯდა და ისე ჩაიძირა, არც კი გაუგია, როგორ დასცემია მის თხუთმეტ ქართველს ქალაქიდან გამოსული ასი თურქი. საომარმა ყიჟინამ და იარაღის ზრიალმა გამოაფხიზლა მეფე. ცხენს მოახტა, ბრძოლას მიაშურა, „მსწრაფლ შთაბრიალდა ვითარცა არწივი“ და თურქები „დააბნივნა ვითარცა კაკაბნი“. ბევრი კიდევაც „მოსწყვიდნა“, დანარჩენმა თურქებმა ზურგი აქციეს „გარდარეულ ლომს“ და ტფილისის კედლებს შეეფარნენ. ეს უნებლიე შერკინება ასე იღბლიანად გათავდა. დავითმა ნაომარი ხმალი აიღო ქარქაშში ჩასაგებად, მაგრამ მტრის საჭურველზე „დავითური სიმძლავრით“ ცემას ხმალი დაეღვლარჭნა და ქარქაშშიც აღარ ჩაეგო იგი („ფრიადისა ცემისაგან ხრმალმანცა დაღულარჭნილმან უარყო ქარქაში თვისი“).

ეს საოცარი გმირობა წიგნით თავდავიწყებამ არგუნა მეფეს!

უკვე ითქვა, რომ მეფემ ბრწყინვალედ იცოდა მსოფლიო ლიტერატურა — სასულიეროც და საეროც, ქრისტიანულიც და წინაქრისტიანულიც. ვითარცა ისლამის დიდი მცოდნე, განძაში ერთ სწავლულ ყადს ყურანის წარმოშო-

ბაზე ეკამათებოდა დავით მეფე, ასევე დიდებულად იცნობდა მეცნიერებისა და ხელოვნების დარგებს, განსაკუთრებით ისტორიას, ფილოსოფიას, ასტრონომიას, პოეზიას. თვითონვე იყო მემატიანეც, სიბრძნისმეტყველიც, გარსკვლავთმრიცხველიც და პოეტიც. ისტორიის საგანიც სწორედ ისე ესმოდა, როგორც ანტიკური დროის მოაზროვნეებს: „ისტორია ცხოვრების მასწავლებელიაო“. დავითიც მთელს თავის დაუცხრომელ მოღვაწეობაში სწორედ იმას ცდილობდა, რომ „გარდასრულთა შემსგავსნი მომავალნი“ განეჭვრიტა, კაცობრიობის საისტორიო გამოცდილებით თავისი ხალხის წარსული შეეფასებინა და მომავალი სწორი გზით წარემართა.

ასეთ გონებავრცელსა და განსწავლულ გვირგვინოსანს მართლაც შეეძლო ისეთი გაოცებისა და აღტაცების გამოწვევა, რაც მას თავისი მაღალნიჭიერი სიტყვით მოუხდენია ქართველ და სომეხ საეკლესიო და საფილოსოფიო შეკრებაზე.

ხელმწიფე, თვითონ უზენაესი კულტურის მეუფე, ქვეყნის მთელი კულტურული ცხოვრების დაუღალავი მზრუნველი, მფარველი და წარმმართველი იყო.

დავით აღმაშენებლის ზნემაღალი კულტურული ღვაწლმოსილების ზენიშანი შეიქნა მისგანვე აშენებული გელათის სავანე.

1106 წელს დაიწყო მისი მშენებლობა, ქუთათისის მახლობლად, „ადგილსა ყოვლად შუენიერსა და ყოვლითურთ უნაკლულოსა, რომელსა შინა ვითარცა მეორე ცაი გარდაართხა ტაძარი... აღმატებული ყოველთა წინანდელთა ქმნულთა, რომელი ზეშთა ჰმატებს შუენიერებასა ყოველთასა, სივრცითა და ნივთთა სიკეთითა და სიმრავლითა, და მოქმნულობისა შეუსწორებლობითა“.

ახალი მშენებლობის გამორჩეული სიდიადე ის იყო, რომ დავითმა გელათში ერთდროულად მთავარი ტაძარი-პანთეონიც აღაშენა და სამეცნიერო აკადემიაც. დავითის ღვაწლით გელათი „აწ წინამდებარე არს ყოვლისა აღმოსავლისა მეორე იერუსალემად, სასწავლოდ ყოვლისა კეთილისად, მოძღურად სწავლულებისად, სხუად ათინად, ფრიად უაღრესს მისსა“.

მეფე თვითონ იყო ტაძრისა და აკადემიის მთავარი ხუროთმოძღვარიც, უპირველესი ქვისმოსტატიც და ოფლადდადვრილი ქვათამტვირთველიც.

იმთავითვე იოხსვებოდა ლეგენდები მეფე-ტიტანის გასაოცარ შრომასა და ოფლისთხევაზე, ღვთაებრივ ძალღონესა და შრომით განსპეტაკებულ ზნეშაღალ სულზე. თითქოს ღმერთები, აპოლონი და პოსეიდონი მიათრევდნენ მეგალიოებს ტროას კედლებზე— ასეთივე ხმა დადიოდა დავით მეფეზეც: მთავარი ტაძრის სამხრეთ-დასავლეთის ფუძის ყურეში რომ ორი უზარმაზარი (თითო ორანაკლებ ორ-ნახევარი ტონა) ქვაა ჩატანებული, ის ქვები მდინარე წყალწითელადან ტაძრამდე აკიდული ალმართზე თვითონ დავითმა ამოიტანა თავის ზურგზედა.

ბერე: ეშმაკი უშლიდა ხელს დავით მეფეს გელათის მშენებლობაშიო; ამიტომ ჯერ ღამით დავითი ეშმაკს დაუდარაჯდა და დაიჭირაო; ეშმაკი ჯორად იქცაო; მაშინ დავითმაც ლაგამი ამოსდო, ზედ მოახტა და სამუდამოდ დაიურვა ეშმაკიო... და სხვა მისთანანი.

მთაგორი ტაძრისა და აკადემიის გარდა, გელათურ ანსამბლოვანში შედიოდა კიდევ ერთი ნაგებობა, ნაშენები დავითისა, ვითარცა ჭეშმარიტი განსახიერება მეფის დიდი კაცთმოყვარეობისა. ეს იყო ქ ს ე ნ ო ნ ი, სამკურნალო-საავადმყოფო. აქ თვითონ მოდიოდა მეფე ავადმყოფთა და დავრდომილთა მოსანახულებლად. ყველას მოიკითხავდა, ყველას გადაჰკოცნიდა, ყველას მამასავით „აფუფუნებდა“, გაამხნევებდა, საკუთარი ხელით გასინჯავდა ყველას სამოსელს, საგებ-საძინებელს, ჯამ-ჭურჭელს, საჭმელს და სასმელს.

დიდი კულტურის ცენტრად იქცა გელათი.

აქ დავითმა „შემოიკრიბნა კაცნი პატიოსანნი ცხოვრებითა და შემკულნი ყოვლითა სათნოებითა“. მაგრამ გელათს მოჰყავდა არა მარტო ქართულ „სამეფოთა შინა პოვნილნი“, არამედ სადაც კი საქართველოს გარეთ პატიოსნებით, ნიჭიერებითა და ღვაწლმოსილებით სახელმოხვეჭილი ქართველი შეიტყო და შეიგულა, სუყველა „მოიყვანნა და დაამკვიდრნა“ გელათს.

საკმარისია ითქვას: დავითმა გელათის აკადემიაში სამოღვაწეოდ მოიყვანა და „დაამკვიდრა“ გამოჩენილი ქართველი

ფილოსოფოსები და მოაზროვნენი — იოანე პეტრიწონელი და არსენი, შემდგომში იყალთოელი.

რამდენიმე წლის შემდგომ დავითმა არსენი აღმოსავლეთ საქართველოში, კახეთში გაგზავნა. აქ, იყალთოში, არსენმა დავითის მფარველობით და მზრუნველობით აღაშენა ცნობილი უმაღლესი სასწავლებელი — იყალთოს აკადემია.

ხოლო, ქართლში შიო-მღვიმის სავანე გააძლიერა და მესამე დიდ კულტურულ ცენტრად აღამაღლა დავით მეფემ.

დავითი ძალიან ბევრს ზრუნავდა საქართველოს გარეთ არსებულ ქართულ ეკლესია-მონასტრებზე და სავანეებზე. მან „ლავრანი და საკრებულონი და მონასტერნი არა თვისთა ოდენ სამეფოთა, არამედ საბერძნეთისნიცა, მთაწმიდისა და ბორღალეთისანი. მერმეცა ასურეთისა და კვიპრისა, შავისა მთისა, პალესტინისანი, აღავსნა კეთილითა". დავით მეფეს დიდძალი საბოძვარი გაუღია იერუსალიმის წმიდა ადგილთა შესაწირად.

დავითმა სინას მთაზე „აღაშენა მონასტერი და წარსცა ოქრო მრავალი ათასეული, და მოსაკიდელნი ოქსინონი, და წიგნები საეკლესიაო სრულებით, და სამსახურებელი სიწმიდეთა ოქროსა რჩეულისა".

ყოველივე ამათ გარდა, დავით მეფემ „რაოდენნი ეკლესიანი აღაშენა, რაოდენნი ხიდნი მდინარეთა სასტიკთა ზედა, რაოდენნი ეკლესიანი, წარმართთაგან შეგინებულნი, განწმინდა სახლად ღმრთისად, რაოდენნი ნათესავნი წარმართთანი შვილად წმიდისა ემბაზისად მოიყვანნა და შეაწყნარა ქრისტესა".

დაუცხრომლად ზრუნავდა მეფე ახალგაზრდა თანამემამულეთა აღზრდისათვის. ჟამიდან ჟამზე ჰაბუკ ქართველებს აგზავნიდა უცხოეთის კულტურულ ცენტრებში სასწავლოდ და „საწურთნელად".

ჟამიდან ჟამზე დავით მეფე სამართლის განსაჩინებლად გავიდოდა გზაშარაზე, სოფელ და სოფელ. ხალხმაც იცოდა, გამოჩნდებოდა მეფე მისი, „მაღალ უმაღლესთათვის და მდაბალ უმდაბლესთათვის". იცოდა და ელოდა მის სამართლიან განჩინებას მდაბიოთა, ქვრივთა, ობოლთა და უპოვართა სამფარველოდ და სამწყალობლოდ. ადიოდნენ ბორცვებზე, ხეებზე, კლდეებზე და იქიდან „ჰვრეტდნენ" გზას, რომელზეც

უეჭველად გამოიცლიდა „მათი მეფე“, მათთვის მოვიდოდა, მათ საპატრონოდ, მათ მჩაგვრელთა დასაჩაგრავად.

ცალკე ქისა ჰქონდა მეფეს, ყოველ დილით საკუთარი ფულით გაავსებდა და ღარიბ-ღატაკთათვის დასარიგებლად გაიტანდა. თუკი იმ ქისას საღამომდე დაარიგებდა, სასახლეში ბრუნდებოდა „მხიარული სულით და პირით“, ხოლო უკეთუ ნახევარზე მეტს ვერ გასცემდა, მწუხარედ იტყოდა: დღეს ვერ გავეცი ჩემი ცოდვებით დამძიმებულმაო, და გადარჩენილ ფულსაც მეორე დღისას დაამატებდა, ვინძლო მომდევნო დღეს როგორმე გაეცა წყალობად.

ჰეშმარიტს ბრძანებდა მემატიანე დავით მეფისა: „ჩუენი ესე გვირგვინოსანი და ახალი ალექსანდრე, დაღათუ იყო ჟამითა შემდგომი, არამედ არა საქმითაცა, არცა განზრახვითა, არცა სიმხნითა უმცირე, და თვით მათ საქმეთა შინა, რომელთა მძლედ ითქმის ალექსანდრე, არა უმდაბლე, არამედ მრავლითა უმაღლეს მგონიე ესე“.

და მართლაც: ის, რაც ბერძნული (ელინურ-ელინისტური) სამყაროსათვის ერთდროულად იყვნენ პერიკლე (ქვეყნის შინაგანი აღზევება) და ალექსანდრე მაკედონელი (საგარეო აღზევება და გამსოფლიოება), საქართველოსთვის იგივე იყო მთლიანობაში დავით აღმაშენებელი.

დიახ, ჰეშმარიტად დიდი იყო, მაგრამ დიდთა მოღვაწეთა მტრებიც არასდროს დაელევიან.

ბოლო მტერთაგან უარესნი — შინაგამცემნი და შინაგამტეხნი.

ყრუდ, შეფარვით, ბრაზით და ბოღმით გატენილნი დრტვინავდნენ მეფის რკინის მარჯვენითა და რისხვეული ბრძანებით განპატიჟებული დიდებულნი, მსგავსნი ლიპარიტთა და ძაგან ერისთავთა. სწორედ ასეთი ბოროტი ფეოდალების თავხედობამ ათქმევინა დავით აღმაშენებლის მემატიანეს ეს სასტიკი სიტყვა:

„ნათესავი ქართველთა ორგულ ბუნება არს პირველითგანვე თვისთა უფალთა, რამეთუ, რაჟამს განდიდნენ, განსუქნენ და დიდება პოონ და განსუენება, იწყებენ განზრახვად ბოროტისა“.

და სწორედ ამნაირ „განსუქებულ ბოროტთაგან“ გაჩდნენ „მაბრალობელნი მეფისანი“.

მეფის ყურამდეც აღწევდა მსტოვართაგან მოტანილი შიშრეული „ბრალობანი“ მის მისამართით: ვისაც შეიყვარებს, იმას განადიდებსო, ვისაც შეიძულებს, იმას დაამდაბლებსო; სულ ომსა და შრომაში გვატარებინებსო, მოუსვენარი ცხოვრებით გვაცხოვრებსო და სხვა მისთანანი.

ერთი სიტყვით, ლომს ბრალად სდებდნენ, რატომ მაიმუნივით არ იმანჭება, რატომ კვერნასავით არ ცახცახებსო („ლომსაცა აბრალონ ეგევითართა, რამეთუ არა ციდამტკავლურად იხედავს, არცა კუერნაულად კრთების“).

ხოლო ლომის სმენას თითქოს არც მისწვდომოდეს წკმუტუნი მხეცთა ქვემდგომთა და ქვეგამხედვართა. ვიდოდა იგი მხოლოდ ლომის გზით...

... მაგრამ იქორი — ღმერთთა სისხლი — მაინც არ დაედინებოდა არც მაკედონელის და არც აღმაშენებლის ძარღვებში.

ღვთაებრივი დავითიც სიკვდილის შვილი იყო.

და დასდევდა სიკვდილი თავის „რჩეულ შვილს“, განუწყვეტლივ და განუშორებლად დასდევდა.

სამოც ბრძოლაში შეხვდა დავით მეფეს სიკვდილი პირდაპირ, თვალდათვალ, მაგრამ სამოცჯერვე უკუიქცა, თითქოს მისი საოცარი სიმამაცით განმკრთალი და გაკვირვებული.

მერე სიკვდილმა ბრძოლის ველს თავი მიანება და აღმაშენებელს ჟამსა აღმშენებლობისასა მოუნდომა „ანგარიშის გასწორება“ და უკვე გუმბათს აღწეული გელათის ტაძრიდან ჩამოაგდო და მიწას დაანარცხა. ხალხში ხმა გავარდა მაშინ: სამას ხუთი აქიმი დაადგა თავზე სიკვდილის სელში მოქცეულ მეფეს, სამასხუთივე უძლური აღმოჩნდა და სიკვდილიც მაშინ იზეიმებდა, მაგრამ გამოჩენილა სამასმეექვსე მკურნალი, გვარად ა ვ შ ა ნ დ ა ძ ე, რომელსაც თორმეტი ფურ-ირმის ნაწველ რძეში ჩაუწვენია მეფე და ესრეთ განუგდია სიკვდილი მისი ღვთაებრივი სხეულიდან.

მას უკან შინაგამცემთა ხელით სცადა სიკვდილმა გმირის მოცელვა, „და ესე არა ერთ და ორ, გინა სამ, არამედ მრავალგზის“.

ერთხელ, ქართლის რომელიღაც ციხისათვის ბრძოლის ჟამს, შუადღის სიცხეში, მეფე პერანგით გამოვიდა კარვიდან. მკერდზე მცირე ოქროს ხატი უკრთოდა მთავარანგელოზისა;

ზედ რომ ქართული ასომთავრულით ეწერა: „ღმერთო ყოვლისა დამბადებელო, ადიდე შენ მიერ გუირგუინოსანი დავით, აფხაზთა და ქართველთა, ჰერთა და კახთა მეფე — მზე ქრისტიანობისაი. ამინ“.

კარებთან შედგა და უეცრად ციხის კოშკიდან მძლავრად ნასროლმა ქვაბურმა გაიზუზუნა. მეფის შიშველ მკერდს წივილით დააცხრა ისარი, და... თითქოს ბიტალო მკერდმა არ დაიჭირაო, ძირს დაეცა წვერმოქცეული. ისარი სწორედ იმ ხატს მოხვედროდა. მაშ, ისევ მოსცარვოდა ხელი სიკვდილს.

მერე სანადირო ველზე გაჰყვა სიკვდილი ნადირობის მოტრფიალე მეფეს. შუხრანის სანახებს მიჰყვებოდა ამხედრებული მეფე, წიგნის კითხვას ჩაღრმავებული. ძაღლების ყეფამ გაჰყარა წიგნს. ტყიდან არემი გამოიჭრა. დავითმა მშვილდისარი გაამართა და ცხენი მოსხლიტა სწორ მინდორზე მუხანათად ჩაკვეთილი ხრამი ვერ შენიშნა კენტავრივით გაფრენილმა, და კენტავრი ერთბაშად ორად განიპო: ცხენი ხრამის კალთეს შეასკდა, ხოლო უნაგირიდან ასხლტილი ჯხედარი შორს ჯაენარცხა „და ესოდენ შეიმუსრა, რომელ სამ დღე ყოვლად უსულო ჰდებარე იყო უძრავად“. სამი დღე სისხლს აღებინებდა მკერდიდან... მაგრამ მაინც ძლეული წავიდა სიკვდილი.

ბოლოს, თითქოს მოსწყინდა სიკვდილს საარაკო გმირთან ომობაში და მასთან მივიდა სულ უბრალო, უთვალავჯერ ნატკეპნი გზით და ნაცადი წესით. იქ მიაკითხა, სადაც სიკვდილს მიეღის ყოველი ჩვეულებრივი კაცთაგანი — შინ, სახლსა შინა, ჩვეულებრივ მოკვდავთა სარეცელზე...

1125 წლის დამდეგს დავით მეფე ტფილისის სასახლეში იყო. საახალწლო დღეები იმ წლის საშინაო და საგარეო განზრახვათა განსჯას მოანდომა. რომელიღაც დიდი საომარი ლაშქრობისთვის ემზადებოდა მეფე იმ ზამთარს.

სწორედ ამ „დიდთა საქმეთა და უფროსთა ლაშქრობათა“ წარმართვაზე ფიქრობდა დიდი ხელმწიფე, როცა მის აზრსაბრუნავში შეიჭრა სულ სხვა რამ საფიქრალი — ფიქრი ანდერძსა ზედა.

ხოლო, ანდერძი და სიკვდილი მარადჟამეულად ერთ საფიქრალში იბადებიან.

ანდერძზე ფიქრს მხოლოდ და მხოლოდ სიკვდილზე ფიქრი აღძრავს.

ოჯახის წევრებს გადასწვდა გონების თვალით მეფე.

პირველი ქორწინება ჭაბუკობის ჟამს — სავსებით „ყმაწურილს“ შერთეს ცოლი, სომეხი ქალი. ამისგან შეეძინა პირმშო უფლისწული, დემეტრე, ახლა სავსებით დასრულებული ვაჟკაცი, ტანით და სულით ღირსი მემკვიდრე დიდი ხელმწიფისგან ესოდენ აღზევებული ქართული ტახტისა.

მეორე ქორწინება — დედოფალი გურანდუხტი, ყივჩაყთა მთავრის, ათრაქა შარაღანის ძის ასული. ამისგან, ჯერ ორი ასული — თამარი და კატაი, შირვანისა და ბიზანტიის დედოფლები, ხოლო 1118 წელს მეფე-დედოფალს შეეძინა უფლისწული ვახტანგი, ანუ შინაური სახელით ცვატა. ძალიან უყვარდა უმრწემესი ვაჟი მეფეს. მიტომაც არ სურდა სამეფო ტახტის უწილადოდ დაეტოვებინა იგი.

ხოლო, ტახტისმემკვიდრეობის წესი პირმშოობას ემყარებოდა: ტახტი ეკუთვნოდა მეფის უფროს ძეს, მერე ისევ უკანასკნელის უფროს ძეს და ასე შემდეგ.

მაგრამ ახლა დავით აღმაშენებელს საწერანი მოემარჯვებინა და ტახტის მემკვიდრეობის ძველ წესს „ასწორებდა“: საქართველოს მეფე შეიქნება დემეტრე (ეს — „ძველი წესით“), ხოლო დემეტრეს ევალება თავისი უმცროსი ძმა (ნახევარ-ძმა), ცვატა — ვახტანგი სამეფოდ აღზარდოს და თავის შემდგომ „მეფე ჰყოს მამულსა ზედა“ (ესეც — „ახალი წესით“).

ცვატა-ვახტანგის შემდეგ კიდევ ერთი ასული შესძენია მეფეს — ისიც თამარი, და დემეტრემ უმრწემეს თამარზეც უნდა იზრუნოს, ვითარცა საკუთარ დაზე და მამის „შვილსა საყუარელზედა“.

ანდერძი მზად იყო.

იმ დღესვე დავითმა საქართველოს ტახტზე დასვა დემეტრე, საკუთარი ხელით „დაადგა თავს შუენიერსა გვირგვინი ქვათაგან პატიოსანთა... და შეარტყა წელთა ძლიერთა მახვილი, ეჰა, რაბამ სვიანად ხმარებული, და შემოსა პორფირი მკლავთა ლომებრთა და ტანსა ახოვანთა, და დაულოცა ცხოვრება წარმარჯებული და განგრძნობა დღეთა ბედნიერებით“.

იქნებ, იმ დღეებშივე განასრულა დავით მეფემ „გალო-

ბანი სინანულისანი“, გასაოცარი აღსარება, ზენაარ სულის პოეზია და ფილოსოფია:

რომლისაცა წინაშე ქედდადრეკილ არს ყოველი მუხლი, ყოველი მიდრკების და ენაი ყოველი შენსა ხმობს აღსარებასა; მეცა, სიტყუაო, აღმსარებელსა მომხედენ!

ხატსა თვისსა მამსგავსე და საკრველად გრძნობადისა და გონიერისა მყოფობისად დამაწესე, შენებრ არსთა სიტყუებისა ჩემ შორისცა შეკრებითა, ხოლო მე უმადლო გექმენ.

ბუნებითნი რაი ძალნი არა სჯულთაებრ ვიხუმიენ, მსგავსებისაგან დავაკლდი და დავჰბადე ბოროტი, ხოლო ხილულთა-მიერსა გემოვნებასა ვრცელად განუხუენ გრნობანი.

ქალწულო, ბრალეულთა თავსმდებო, რომელმან სიტყუაი განაზრქე დაკრვითა ხორცთა მიწისაითა, სიზრქე უსასოებისაი განმძარცუე, რათა მონანული შეგივრდე შენ.

ბუნებითსა რაი პორფირსა თვითმფლობელობასა თანა მეფობისაიცა შარავანდედნი მარწმუნენ, ხოლო მე ვნებათა ბილწთა მონებად მივჰყიდე თავი, რამეთუ რომლისაგანცა ვინ ძლეულ არნ, მისდაცა დამონებულ არიან.

კაენის მკულელებრი ცნობაი, სეითის ძეთა ლიორწებაი, გმირთა სიღოდით მავალობაი, ხუთქალაქელთა შეგინებისა მწვირე უფროისად ვამრავალწილე, ვითარცა რაი დაღმართმსრბოლმან მდინარემან უკეთურებისამან.

ეგვიპტური გულმძიმობაი, ქანანელთა ჩვეულებანი, მსხუერპლვაი ნაშობთაი, ზმნაი და სახრვაი, კოწოლი ჯიმათაი და სხუანი, რომელთაი შენ ჰბრძანე არამსგავსებაი, უწარმდებესად მოვიგენ თვით მათ პირმშოთა სახეთასაცაი.

ამისთვის იყო ქალწული და ხორცქმნაი სიტყვისაი, რათა დედობრივთა ოხათა მიერ ცხონდენ ცოდვილნი, რომელთაი პირველი, საშუალი და დასასრული მე ვარ, ვითარცა უფსკრული შესაკრებელი ბილწებისა ღუართაი.

ისრაელისა მეფეთა ვჰბაძევდ, გარნა უშჯულოთა, და რავდენ მეძლო, ვსცდებოდე მაღალთა ზედა კუმევისა და წარმართთა აღრევისა მიერ და ძალთა ცისათა თაყუანისცემისა.

ზენაისა მოძრაობისა ასურასტანული ზმნობაი და ცთომილთა ვარსკულავთა და უცთომელთა კრებაი, ვანყრაი, სუე და ბედი და შობის დღე, ვითარ საღმრთოთა უსმენელმან, ვიჩქურენ.

ელლინთა-მიერი ვერცნობაი სიბრძნეთა ღმრთისათაი, ღმრთისა და შემოქმედისაგან შექმნულთა მიმართ ცვალებაი თაყუანის-ცემისაი სრულ ვყავ, რაჟამს, თითოეულისა ვნებისა კერპსა ვჰმსახურე.

ამისთვის ღმერთ-მამაკაცებრ მოქმედ იქმნა ზესთა ღმერთი, რათა კაცებრ უწყოდნის ვნებანი ჩუენნი და ღმრთეებრ იხსნიდეს ბრალთაგან, რომელთა ღმთრისმშობელად ქადაგონ წმიდაი ქალწული დედაი.

სჯულნი დავთრგუნენ წიგნისანი და ახალი ბუნებითი, და კუალად სხუაი, სჯულისა შენისა მოწამე, სჯული გონებისაი, ცოდვათა და ხორცთა შჯულთა დავამონე.

თითოეულსა მხეცთაგან შეზავებულსა მხეცსა ვემსგავსე მრავალ-გუარსა და მრავალ-ხატსა და სხუა-ჟამ სხუებრ ხილულსა და მკსინვარსა ბუნებისამებრ თითოეულისა.

არა შევძრწუნდი მანგლისაგან მფრინვალისა, რომელი შურსა სიკუდილისასა მიჰხდის, რომელნი ჩემებრ მიმდემად ცრუდ ფუცვიდენ განსაკრთომელსა სახელსა შენსა.

ამისთვის სისხლთა ქალწულებრივთაგან ხორცნი ღმრთისანი და ახალი შეზავებაი იქმნა, ღმერთი და კაცი, რათა იოხდეს დედაი ჩემებრ განწირვით უსასოქმნილთა.

სოლომონისაისა წურბლისა მსგავსად ვერმაძღარი სხუათა სოფლის-კიდეთა ვეძიებდ დასაპყრობელად და ღმრთისა საზღვართა ვაბრალობდ, ვითარცა მცირეთა და უნდოთა, ჩემისამდე უძღებებისა და გულის-თქუმისა.

ბოროტად გარდავხედ საზღუართა და შევჰრთე სახლი სახლსა და აგარაკი აგარაკსა და უუძლურესთა მივჰხუეჭე ნაწილი მათი და ვიღუწიდ უმეზობლობასა, ვითარმცა მარტოი ვმკვიდრობდ ქუეყანასა ზედა.

მბრძოლ ვექმენ ყოველთა წესთა სჯულისათა და ქორწილთა მიერ ხენეშთა ვჰმძლავრე საწოლსა ჩემსა, და სახეთა მიერ ბოროტთა მიცემითა ვაცოდვე ერი ჩემი, ვითარცა იგი მეფეთა მისთა ისრაელი.

ამისთვის ქალწული დედაი და შობაი ახალი სიტყვისაი იქმნა, რათა ახალი ხატყოფაი მეორედ მისცეს ცოდვით განმრყუნელთა მისთა, დედობრივთა რაი ოხათა ბრძმედითა დაადნოს ყოველი ნივთი შეცოდებისაი.

ვეცხლი, ვითარცა მიწაი, და ოქროი, ვითარ თიხაი უბნი-

საი, ვიუნჯენ და თაყუანისვეც ანგაჰრებისა მამონას, ვითარიგი ძუელთა მათ ბაალს და ასტარტეს და ქამოსს საძაგელსა.

სიტყუაი ღრმთისაი და ბჭეთა ზედა მამხილებელი მოვიძულენ, ხოლო მლიქნელთა ძმაცული სივერაგე ვითნე და შემესმენელთანი დავიტკბენ ზრახვანი და ცრუნი განვისცენ მსჯავრნი.

ცრემლნი ქურივთანი და ობოლთა ბრგუნვილი ტირი არა შევიწყალე, არა განუხუენ ნაწლევნი მოქენეთა, უფროის-ღა შენ, ქრისტე, რომელი იზრდები მცირედითა ზრდითა მათითა.

ამისთვის შობაი ღმრთისაი ადამიანისაგან დედაკაცისა იქმნა, რათა მიწით-შობილთა კაცთა ცთომასა, ვითარცა ღმრთისა დედაი, დაჰხსნიდეს ქალწული და იოხდეს ცოდვილთა.

ესენი ვცოდენ: სახარებისა სჯულთა და მცნებათა შენთა შინა მცემელთა რაი ყურიმლისა მიპყრობასა და გლახაკთათვის განშიშულებასა და რაითურთით არა ფიცსა შენ, სჯულის-მდებელი ჩემი, ჰბრძანებდი და გულის-თქუმით მიმხედველობასა განსრულებულად მრუშებად დასდებდი.

დაღაცათუ ესრეთ განვხრწნენ ყოველნი გრნობანი და ყოვლად-ხრწნილება ვიქმენ, გარნა არავე აღვიხუენ ხელნი, არცა დავდევ სასოებაი ჩემი ღმრთისა მიმართ უცხოისა, არცა უცხოთესლი რაიმე სარწმუნოებაი საწურთელ ვყავ სულისა, გარეშე მისსა, რომელი მასწავეს ღმრთისმეტყუელთა შენთა.

და აწ, მომდრეკელი მუხლთა გულისათაი, ვხმობ, ვითარცა სხუაი მანასე: მილხინე, ჰოი მეუფეო, მილხინე, და ნუ წარმწყმედ ცოდვათა შინა და ნუ მოიხსენებ ძვირთა ჩემთა, და ნუ დამსჯი მე ქუესკნელთა თანა, რამეთუ შენ ხარ ღმერთი მონანულთაი, ამაღლებული ზესკნელს ცათა ძალთაგან.

საკუთრად ღმრთისმშობელად გქადაგებთ, უხრწნელო ქალწულო, და გურწამს, ვითარმედ პატივი ხატისა შენისაი შენდამო წიაღ-მოვალს და ღმრთის-მეტყუელთაებრ და ცოდვილთა მოქცევასა ანიშებ მის მიერ, ვითარცა ცხად ჰყოფს თეატროი იგი მრჩობლთა სოფელთაი — სიკეთე ეგვიპტისაი, ღირსი მარიამ.

ჟამი რაი წუხილთა და ავთა აღმოფშვინვათაი წარმოდგეს, ზარი მეფობისაი წარხდეს და დიდებაი დაშრტეს, შუებანი უქმ იქმნენ, ყუავილოვნებაი დაჭნეს, სხუამან მიიღოს სკიპ-

ტრაი, სხუასა შეუდგენ სპანი, — მაშინ შემიწყალე, მსაჯულო ჩემო!

ეან-რაი-ელოს წიგნი დღესა შინა სასჯელისასა და მე ქედდადრეკილი წარმოგიდგე განკითხვად, მსაჯული მართლ სჯიდეს, მსახურთა რისხუაი ქროდის, მართალნი ნეტარებდენ, ცოდვილთა ჰგუემდეს ცეცხლი, — მაშინ შემიწყალე, იესუ ჩემო!

ვინაითგან აღსარებით გრნობად და შეკრებად იწყო ძუალი ძუალსა თანა და ნაწევარი ნაწევარსა და განხმელთა მოჰბერა სული კუალად-გებისაი, მრწამს, ვითარმედ აღვსებაი სრულ ყოს ღმერთან ჩემ შორის ყოველვე სინანულით აღდგომისაი.

მარტიო სრულო სამ-მზეო, ერთ-ცისკროვნებაო, განმინათლე მხედველობაი სულისაი, რათა გიხილო ნათელი ნათლითა უფლისაითა, სულითა ღმრთისაითა ძე გამოგვიბრწყინვო მაშინ დაუსრულებელთა საუკუნეთა.

არაი უხილავს მზესა ქალწული-დედაი, თვინიერ შენსა, არცა ჩემოდნად ბრალეულსა ნათელი მისი, გარნა მე შენითა ოხითა, დედოფალო, ვესავ ხილვად ნათელსა ძისა შენისასა და ნათელსა ზეშთა საუკუნესათა.

ასე დაწერა და დაუტოვა შთამომავლობას დავით აღმაშენებელმა „გალობანი სინანულისანი“, მსგავსად დავით წინასწარმეტყველისა, გასაოცარი და სწორუპოვარი, ვითარცა ლექსი, ვითარცა ლოგოსი, ვითარცა აზრი, ვითარცა გზნება ღმრთივსულიერი.

ასე განარიგა „მზემან ქრისტიანობისამან“ დღენი ამქვეყნიური წუთისოფლისა და... შევიდა სახლად, საიდანაც უნდა შეერთებოდა სამყაროს, „რომლისა შუენიერება არა უხილავს თუალსა სხეულიანსა“.

სიკვდილიც შეჰყვა, წებოვანი ფეხით, „სახლსა სადავითოსა“.

იდგა 1125 წელი, 26 იანვარი.

და საქართველოს მოუკვდა დავით აღმაშენებელი.

ტფილისის სასახლეში, „ჰრულითა რათამე შუენიერითა დაიძინა“ მან.

იწვა „მზე ქრისტიანობისაი“, ახლა თვალდაწუხვილი, რო-

მელმაც მანამდე „არა სცა ძილი თუალთა, არცა ჰრული წამთა, არცა განსუენება ხორცთა“.

იწვა „სახლსა სადავითოსა“ დავით აღმაშენებელი — „მესიის მახვილი“, უპირველესი ხელმწიფე-ერისიონი, უბრწყინვალესი მხედართმთავარი, „მაშჭერებელი და მაძგერებელი ცხენთა და აბჯართა“, გონებავრცელი პოლიტიკოსი, უანგარო მამა და პატრონი ერისა თვისისა, უგანათლებულესი მწიგნობარი, ბრძენთაბრძენი პიიტიკოსი, კაცი რომელშიც ენთო ყველაზე დიდი ქართული სინათლე.

კაცი, რომელმაც ისევე შექმნა საქართველო, ვითარცა ღმერთმა სამყარო...

გამეფდა 16 წლისა, იმეფა 36 წელიწადი, აღესრულა შობითგან 52 წლისა.

მისი სახელი სალოცავი გახდა საქართველოსთვის.

მისი სახელი შერჩა მისგანვე სვეამაღლებულ ქართულ ჯავარდნებს — დ ა ვ ი თ ფ ე რ უ ლ ი.

მისი სახელი დაებეჭდა ქართულ სახელმწიფო დროშას — დ ა ვ ი თ ი ა ნ ი (ამიერიდან — გორგასლიან-დავითიანი).

ტფილისიდან გელათს წაასვენეს, მისგანვე აშენებულ სავანეს.

გელათის ეზოს მთავარ შესასვლელთან, მონასტრისა და აკადემიის გზა-ბოძალზე გათხრილ სამარტვილეში ჩაასვენეს წმიდა ცხედარი.

(ლეგენდაც მაშინვე გავრცელდა: მეფემ თვითონ დაიბარა, გზაზე დამმარხეთ, რათა ჩემმა ხალხმა ჩემს მკერდზე იაროსო...)

უზარმაზარ, გოლიათური ცხედრის ტოლ ქვაზე ამოკვეთეს ეპიტაფია:

„ესე არს განსასუენებელი ჩემი უკუნისამდე, ამას დავემკვიდრო რაშეთუ მთნავს ესე“.

ხოლო ქართველმა ერმა სამარადჟამოდ მკერდზე დაიწერა არსენ იყალთოელისგან შეთხზული ლექსი-ეპიტაფია:

ვის ნაჯარმაგევს მეფენი თორმეტნი პურად დამესხნეს,
თურქნი, სპარსნი და არაბნი საზღვართა იქით ვამესხნეს,
თევზნი ამერთა წყალთაგან იმერთა წყალთა შთამესხნეს,
აწე ამათსა მოქმედსა ხელნი გულზედან დამესხნეს.



თამარ შვიდმნათობიერი

ნათელა დაუღამებელი უძღვის მეფობასა შენსა.

გრიგოლ ხანძთელი

ბევით ალმაშენებლის კურთხეული ხელით და გონებით შექმნილი სახელმწიფო — „საქართველო ნიკოფსიით დარუბახდაადის“ — წარმატებით დაიცვეს მისმა ღირსეულმა მემკვიდრეებმა, ჯერ, შვილმა — დ ე მ ე ტ რ ე პ ი რ ვ ე ლ მ ა, (1125—1156), მერე შვილიშვილმა — გ ი ო რ გ ი მ ე ს ა მ ე მ (1156 — 1184).

მეფე გიორგი მესამეს, „ლომთა უმხნესსა და არწივთა უმაღლესს“, ცოლად ჰყავდა ოვსთა მეფის, ჩ უ დ ა ნ ი ს ასული, სახელად ბ უ რ დ უ ხ ა ნ ი, საკვირველად ლამაზი ქალი („მისებრი სძალი არა ეხილა ქართლის თემსა“). ძლიერი სიყვარულითაც უყვარდა თავისი მეუღლე გიორგის, მაგრამ მეფეთათვის ყველაზე დიდი სასურველი სურვილი ვერ შეუსრულა ბურდუხანმა გვირგვინოსან ქმარს — ძე არ გაუჩნდათ ტახტის მემკვიდრედ.

და 1166 წელს პირველი შვილი შეეძინათ გვირგვინოსნებს.

ქალი შეეძინათ.

სახელად დაარქვეს თ ა მ ა რ ი.

1178 წელს გიორგი მეფემ ნაჭარმაგევის სასახლეში შეჰყარა წარმომადგენელნი „შვიდთავე სამეფოთა“, სამღვდელონი, საერონი და სამხედრონი—„ყოველნი პატრიარქნი და ებისკოპოზნი, დიდებულნი იმიერთა და ამიერთა, ვაზირნი და სპასალარნი და სპასპეტნი“.

გამოვიდა მეფე და „აწვია დედოფალთა დედოფალი, ბედნიერი და სვიანი ცოლი მისი ბურდუხან“.

მერე მეფე-დედოფალმა აწვია „შვილი მათი თამარ, ნათელი და ბრწყინვალება თუალთა მათთა, და მანიაკი ყოველთა მეფეთა, და გვირგვინი ყოველთა ხელმწიფეთა“.

მარჯვნივ დაისვა გიორგიმ თამარი და „დაადგა გვირგვინი ოქროსა თავსა მისსა, ოქროსა მის ოფაზისა, აღმკული იაკინთთა, ზმირთა და სმარაგდოთა მიერ“.

თამარი მამა-ხელმწიფის თანამოსაყდრედ (თანამმართველად) და მომავალ ერთხელმწიფედ ცხადდებოდა.

გიორგიმ ფიცი ითხოვა დარბაზის ერისაგან. მაღალმა საკრებულომ მუხლი მოიყარა ღვთაებრივი ასულის წინაშე, — წარჩინებულნი „ერისანი ლიტანიობდეს წინაშე პირისა მისისა“.

მაშინ თამარი იყო 12 წლისა.

ამ დიდ საზეიმო წელს საგლოველი წელიწადი მოჰყვა: გარდაიცვალა დედოფალი ბურდუხან. ამის შემდგომ კი გიორგი მესამემ კიდევ ხუთი წელი იცოცხლა, ქვეყანას კვლავ მორჭმით განაგებდა, თამარს ხელმწიფობას აჩვევდა, საქართველოს მტრებს შიშის ზარს სცემდა და მეგობრებს ემეგობრებოდა. კვლავ „სძღუნობდეს და სძმობდეს მას მეფენი ბერძენთანი, იერუსალიმს ალამანთანი, და ჰრომთანი, და ჰინდოთანი, და ხონელნი; და ეგრეთვე სულტანნი ხორასანისა, ბაბილოვნისა, შამისა, ეგვიპტისა და იკონიისანი ჰმონებდეს, და შემდგომნი ამათნი სკვითნი, ხაზარნი, ალანნი, ხუარასანი და ხუარაზმშა, და ბერეთელნი, აბაშნი, არაბნი, მიდნი, ელამიტელნი და შუამდინარელნი, და ყოველნი ენანი და ნათესავნი მაშრიყით მაღრიბამდე“.

1184 წლის 27 მარტს მეფე გიორგი მესამე გარდაიცვალა.

ქართველთა ჯზარმაზარი სამფლობელონი, ნიკოფსიიდან დარუბანდამდე, მრავალი ხალხებით დასახლებული კავკასიელთა „იმპერია“ ხელთ დარჩა 18 წლის თამარს.

დარბაზის ერმა გამოიყვანა იგი სამგლოვიარო სენაკიდან და აიყვანეს ტახტზე, „მზე იგი მზეთა და ნათელი ნათელთა, ელვარება და მზეებრ მაშუქებელი სხუათა“.

უპირველესად ორი მიეახლა ღვთაებრივ ასულს — ა ნ ტ ო ნ ს ა ღ ი რ ი ს ძ ე, ჭყონდიდელი მთავარეპისკოპოსი, და კ ა ხ ა ბ ე რ კ ა ხ ა ბ ე რ ი ს ძ ე, რაჭისა და [illegible]აკვერის (ლეჩხუმის)

ერისთავი, — და დაადგეს თავზე საქართველოს უმძიმესი და უმშვენიერესი გვირგვინი ახალ ხელმწიფეს.

მერე სამეფო ხმალი მოიღეს და წინ დაუდეს დიდებულებმა — ვარდანისძეებმა, საღირისძეებმა და ამანელისძეებმა.

აიღო ხმალი იგი კახაბერ კახაბერისძემ, მიეახლა და წელზე შეარტყა გვირგვინოსან ქალს, ვითარცა საომარ ძალთა მთავარსარდალს, და შესძახა:

„შეიბ მახვილი შენი წელთა შენთა, ძლიერო, შუენიერებითა შენითა!“

საზეიმოდ დარაზმულმა ჯარებმა ერთგულების ფიცი მიუფინეს უმშვენიერეს ქალს, ხელმწიფეს და სამხედრო ხელისუფალს: „თაყუანისცეს, დალოცეს და ადიდეს სპათა შვიდისავე სამეფოსათა“.

ქალწულის მეფედ კურთხევა დიდ სახალხო ზეიმად იქცა: „ამას შინა ჰკრეს სპერმურთა, ბუკთა, ბოსთა და წინწილთა, და იყო ზარი და ზაჰმი ქალაქსა შინა, სიხარული და შუება და იმედი უიმედო ქმნილთა“.

იმავე დღეს თამარმა აურაცხელი საბოძვარი გასცა ხალხისთვის — გამორჩევით ობოლთა, ქვრივთა, უქონელთა და უპოვართათვის.

ასე იწყებდა ხელმწიფობას თამარ „შვიდმნათობიერი“...

...მაგრამ ყმაწვილი ქალი-ხელმწიფე გამეფების წელსვე მანამდე უცნაური და გაუგონარი პოლიტიკური „მოძრაობის“ პირისპირ აღმოჩნდა. მეჯურჭლეთუხუცესმა (ფინანსთა გამგებელმა) ყუთლუ-არსლანმა მეფის სასახლის გვერდით ცალკე „კარავის“ („დაწესებულების“) დაარსება მოითხოვა, შიგ თავისი მომხრეები უნდა დაესვა და ყოველი სახელმწიფო-საკანონმდებლო საკითხი მხოლოდ ამ „კარავში“ განხილვისა და მიღების შემდეგ უნდა მისვლოდა მეფეს, დასადასტურებლად და ხელის მოსაწერად.

ამგვარად, სრულიად უმაღლესი იმპერიუმი (უმაღლესი ძალაუფლების სისრულე), რომელიც ქართველ მეფეებს ამდენ საუკუნეთა მანძილზე განუყოფლად ეჭირათ, ახლა შუაზედ უნდა გაყოფილიყო: უმაღლესი საკანონმდებლო ხელისუფლება „კარავს“ უნდა დაეჭირა, ხოლო მეფეს მარტო აღმასრულებელი ხელისუფლება დარჩენოდა.

ასეთ განაცხადში სწორედ რომ დიდი პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი აზროვნების სიმწიფე გამოსჩანს. სრულიად აზიის მხცოვან ისტორიას ასეთი რამ ფიქრადაც არ მოსწრებია, ხოლო, რა იცოდა ყუთლუ-არსლანმა და მისმა „თანამოდასეებმა“, რომ მათი პოლიტიკური განაზრახი რაღაცნაირი წინამორბედი უნდა გამხდარიყო გვიან-ევროპული „პარლამენტისა“, „გენერალური შტატებისა“, თუ „კონსტიტუციური მონარქიისა“.

არასოდეს არცერთ მონარქს ისტორიაში უბრძოლველად არ დაუთმია თავისი ერთპიროვნული, „აბსოლუტური იმპერიუმი“. თამარმაც პირველად სცადა ხელმწიფური სიმტკიცისა და ნებიანობის გამოჩენა, და მისი ფიცხელი ბრძანებით ყუთლუარსლანი შეიპყრეს და დილეგში ჩააგდეს.

მაგრამ ყუთლუ-არსლანი თურმე მარტო არ ყოფილა. მას ჰყოლია თავისი „დასი“, ფიცით შეკრული, სწორედ ის დასი, რომელიც „იმ კარავში“ კანონმდებელ საკრებულოდ უნდა დამჯდარიყო. თურმე ჯარიც ჰყოლიათ გამზადებული, რათა საჭირო შემთხვევაში მახვილის კვეთებასაც არ დარიდებოდნენ.

და განდგომილებმა იარაღის ჟღრიალით მოითხოვეს ბელადის გათავისუფლება.

თამარის მომხრეებიც გაეწყვნენ საომრად.

„სამოქალაქო ომის“ შმორიანი სუნი ჩამოწვა საქართველოს სატახტოში.

ხოლო თამარს ფიქრადაც ვერ წარმოედგინა, რომ მისი ხელმწიფობა ძმათაშორისი სისხლისღვრით დაიწყებოდა.

დიდი ხელმწიფური სიბრძნე, დახვეწილი ტაქტი და მომხიბლავი რომანტიკა გამოსჭვივის ყმაწვილი ქალი-ხელმწიფის გადაწყვეტილებაში. ქალმა-ხელმწიფემ სწორედ ქალის გუმანით იცოდა, რომ მისი თანამემამულენი — სულ ერთია, მისივე მომხრენი თუ მოწინააღმდეგენი — უმაღლესი კრძალვით და პატივით ეპყრობოდნენ სწორედ ქალს, მათი ოჯახისა და ქვეყნის წმიდათაწმიდა სალოცავს, ქალის შეუვალ სიტყვას, მის წმიდა მანდილს.

და თამარ მეფემ საომრად აღძრულ მოწინააღმდეგეთა ბანაკში ყველაზე საპატიო დესპანები გაგზავნა — ორი მანდილოსანი. ორი „საპატიო დედოფალი“ — ხუაშაქი ცოქა-

ლი, ქართლის ერისთავთერისთავ რატის დედა, და კრავაი ჯაყელი, „დედა აწ მყოფთა სამძივართა“ (სამძივარი ქართული არისტოკრატული გვარი იყო).

მანდილოსანმა მოციქულებმა დააცხრეს „დასელების“ ავი ყარყაში. ძათ გადასცეს თამარის ფიცი, რომ იგი ყუთლუ-არსლანის გარდა არც არავის ბრალს დასდებდა, არც ვისმეს დასჯიდა. ხვაშაქმა და კრავაიმ იარაღაყრილი „მოჯანყენი“ თამართან მოიყვანეს. ქალთაგან მოყვანილებმა ქალი-ხელმწიფის წინაშე მუხლი მოიყარეს, თაყვანი სცეს და სამარადჟამო ერთგულებაც შეჰფიცეს. თავის მხრივ, თამარმა აღუთქვა, რომ „დარბაზის“ უფლებებს გააფართოებდა და დიდმნიშვნელოვან საკითხებს მასთან „თანადგომითა და ერთნებაობით“ გადაწყვეტდა.

მალე ამის შემდეგ თამარ მეფემ საეკლესიო საქმეებს მიაპყრო მზერა. თვითონ გულმხურვალე ქრისტიანსა და უზენაესი ზნეობრივი სისპეტაკის მქონე დედოფალს დროზე შეუმჩნევია ზნეობრივი რყევანი ქართული ქრისტიანული ეკლესიისა, რომლის ზედა ფენაში კვლავ გამოჩენილან პატივმოყვარე კარიერისტები, გარყვნილი შარლატანები და ფულხარბი ანგარმადევარნი. თვით სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი მიქაელ მირიანის ძე ყოფილა „უწესობათა“ მაგალითი, რადგან მან „წინაუკმო რამე იწყო წესთაგან ეკლესიისათა და ჰყონდიდელ-მაწყვერლობა და მწიგნობარუხუცესობა მოევერაგა უფლისაგან“. თამარს საეკლესიო ღონისძიებით სურდა არასასურველი მწყემსთავრისათვის ერთიც ჩამოერთვა და მეორეც — მწიგნობართუხუცესობაც და კათალიკოსობაც. ამისთვის და საერთოდ სხვა უპატიურ საეკლესიო პირთა განსაპატიჟებლად მოიწვია საეკლესიო კრება. წინასწარ იერუსალიმიდან ჩამოიყვანა განთქმული საეკლესიო მოღვაწე ნიკოლოზ გულაბერის ძე, რომელსაც ადრე საქართველოს კათალიკოსობაზე უარი უთქვამს და უბრალო ბერული ჩოხით პალესტინას გადახვეწილა. თამარმა ნიკოლოზ გულაბერისძეს შეახვედრა ანტონ საღირისძე ჭუთათელი, „დიდად განთქმული სათნოებასა შინა და ძლიერი საქმით და სიტყვით“.

ეს ორი წმინდა ბერი უმეთაურა თამარ მეფემ საეკლე-

სიო კრებას, გულზვიადი მიქაელ კათალიკოსის საპირისპიროდ.

წინასწარ თვითონ დამოძღვრა თამარმა საქრისტიანო მოძღვარნი: ყოველივე კეთილად გამოიძიეთო, სიმართლე დაადგინეთ და გულბოროტნი ეკლესიიდან გააძევეთო; თუ მართალი არ ვიყო, ნურც მე მომერიდებით, რადგან ეს გვირგვინი მეფობისთვის მაქვს და არა ღმერთმბრძოლობისთვისო; მთავართა წინაშეც მათი სიმდიდრისთვის ნუ იმლიქვნელებთ და გლახაკთა ზედა მათი სიმცირისათვის უპატიურად ნუ მოიქცევითო; სიტყვა იყოს თქვენი და საქმე ჩემი; თქვენ გვასწავლეთ, ჩვენ ვისწავლით; ხელი ხელს მივცეთ სჯულიერების დასადგენად, „თქუენ ვითარცა მღვდელნი, ხოლო მე ვითარცა მეფე; თქუენ ვითარცა მნენი, მე ვითარცა ებგური“.

ასე თქვა თამარ „ღმრთივ-განბრძნობილმა“, მცირე ხანს კიდევ დარჩა მისი სიტყვით მოხიბლული და დატყვევებული საკრებულოს წინაშე, მერე ადგა, გულაბერისძისგან და ქუთათელისგან კურთხევა მიიღო და „წარვიდა პალატად თვისად“.

საეკლესიო კრება შფოთიანად წარიმართა. კათალიკოსი მიქაელი გააფთრებით იცავდა თავსაც და თავისიანთა თავგასულობასაც. ბოლოს, საქმე იმით გათავდა, რომ უღირსი ეპისკოპოსები გადააყენეს, მათ ნაცვლად ღირსეულნი დაადგინეს, მაგრამ თვითონ მიქაელს ვერც კათალიკოსობა დააგდებინეს, ვერც ჭყონდიდლობა და ვერც მწიგნობართუხუცესობა...

...1185 წელს თამარმა იქორწინა რუს უფლისწულზე, იური, ანუ გიორგი, ვლადიმერ—სუზდალის ბელმწიფის, ანდრია ბოგოლიუბსკის ძეზე.

საქართველოს სიძე ყოფილა „მოყმე სახე-კეკლუცი, სრული ანაგებითა და მჭურეტთაგან საჩენი გუარისშვილად“. მალე დადასტურდა, რომ „სახე-კეკლუც მოყმეს“ არც მხედრული სიმამაცე და სარდლური ნიჭი ჰკლებია. ქართველებმა მისი სარდლობით ზედიზედ წარმატებით დალაშქრეს კარის, კარნიფორისა და ბასიანის თურქთა ბანაკნი. ეს მოხდა 1186 წელს. ხოლო მომდევნო წელს უფრო შორეულ ლაშქრობაში გაგზავნა ქართული მხედრობა თამარმა თავისი მეუღლის სარდლობით. ამჯერად ქართველებმა განვლეს ირანი, შეიჭრნენ პართიაში, აიღეს იქაური ქალაქები, ნადავლი და ტყვე-

ები წამოასხეს და ისე მობრუნდნენ „თამარს სუე-სრულსა და ნათელ-ბრწყინვალესა წინაშე“.

მაგრამ მალე გამჟღავნდა ისიც, რომ ბრძოლის ველზე საქები ვაჟკაცი შინა-ოჯახურ ცხოვრებაში უაღრესად აუტანელი და შეუწყნარებელი აღმოჩნდა. თამარს ისღა დარჩენოდა, დარბაზის ერი შეეყარა და მის წინაშე უზნეო ქმრისთვის განეცხადებინა.

„თუმცა საღმრთო სჯული გვასწავლის, არა განვეშოროთ პირველსა საწოლსა, მაგრამ რაკი მე არა მიძლავს განმართვა მრუდე ხის აჩრდილისა, უბრალოდ განვიყრი მტუერსაცა, რომელი აღმეკრა მე შენ მიერ“. თქვა და გაეყარა. მისი ბრძანებით, გიორგი შავი ზღვის პირამდე მიაცილეს, „აურაცხელი ლარითა, სიმდიდრითა და საჭურჭლით“ ავსებულ ხომალდში ჩასვეს და კონსტანტინოპოლისკენ გაუშვეს.

1189 წელს, 23 წლის თამარმა მეორედ იქორწინა დავით სოსლანზე. იგი ოვსთა მეფის, ჯადრონის ძე იყო და თანაც, ბაგრატიონთა სამეფო საგვარეულოს სისხლით თანაზიარი. წარმოვიდგინოთ ეს გენეალოგია: საქართველოს მეფეს, გიორგი პირველს (1014 — 1027) „მეორე ცოლად“ ჰყავდა ოვსთა მეფის ასული, ალდე. ამისგან გიორგის დარჩა დემეტრე, რომელიც საქართველოს ტახტის ძიებას შეეწირა. დემეტრესგან დარჩა ძე მისი დავითი, რომელიც ბებიამ, ალდემ, ოვსთა მეფის კარზე მიიყვანა, იქ გაზარდა და ცოლად მეფის ერთადერთი ასულიც შერთო. სიმამრის სიკვდილის შემდეგ დავითი ოვსეთის სამეფო ტახტზე დაჯდა. მის შემდგომ გამეფდა ძე მისი, სახელად ისევ დავითი. სწორედ ამ დავით დავითის ძეს ცოლად ჰყავდა დავით აღმაშენებლის უმცროსი ასული, თამარ მრწემი. ამ ქორწინებამ კი წარმოშვა ათონი. ხოლო ათონის შემდგომ ოვსეთის ტახტზე დაჯდა ძე მისი ჯადრონ. და სწორედ ამ ჯადრონის, მეფე გიორგი პირველის მეექვსე შთამომავალის ვაჟი იყო დავით სოსლანი.

ისედაც, დავით სოსლანი თამარის მამიდას, რუსუდანს ჰყავდა ნაშვილები, რუსუდანის სახლში იყო აღზრდილი, ისე ვითარცა თამარიც დიდად იყო დავალებული მამიდის დედობრივი მზრუნველობისგან.

მომხიბლავი ვაჟკაცი იყო დავით სოსლანი, „ყრმა ფრიად

შუენიერი ასაკითა, ვითარცა შუენის მეფეთა შვილსა“, „ფერნაკუთად კარგი, ბეჯ-ბრტყელი, პირად ტურფა და ტანად ზომიერი, ორთავე კერძოთა გუართაგან სახელმწიფო“. ეს რაც შეეხება გარეგნობას და გვარიშვილობას. ხოლო, საომარ ხელოვნებაში იყო ნამდვილი „ჭაბუკი და ლომი მისათხრობელი... შემმართებელი, მოლაშქრე მკვირცხლი“, სწორუპოვარი მშვილდოსან-მოისარი, „რაინდობითა უსწორო“ ცხენოსანი, დაუღალავი მცურავი და მოასპარეზე. ბოლოს, „ზრდილობითა კეთილად წურთილი“, განსწავლული მწიგნობარი, მეცნიერი და მორალისტი ყოფილა ქართულ კულტურასა და ტრადიციებზე აღზრდილი უფლისწული.

გიორგი რუსმა, პირველმა ქმარყოფილმა, რამდენჯერმე სცადა საქართველოს ტახტისა და სწორუპოვარი დედოფლის დაბრუნება, ბევრი ქართველი „სარგებლის მოწადინე“ ფეოდალიც მომხრედ აიყოლია, სისხლიც უხვად დაიღვარა, მაგრამ ვერაფერს გახდა და ბოლოს ამ ბრძოლას კიდევაც გადაჰყვა...

თამარისა და სოსლანის ქორწინების წელი (1189) მიქაელ კათალიკოს ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის სიკვდილით დასრულდა, „და არავინ შეწუხნა მისთვის, არცა დიდი და არცა მცირე, რამეთუ ყოველნი სძულობდეს“.

მაშინვე თამარმა გარეჯიდან გამოიწვია ანტონი გლონისთავისძე, „ნამდვილვე კაცი ღირსი ქებისა, ჭეშმარიტი ქრისტიანე, მართალი, წრფელი, უმანკო, სახიერი, მოწყალე ყოველთა, ტკბილი, მდაბალი, პატრონისა ერთგული უზომოდ“, ეკლესიათა და სავანეთა დაუცხრომელი ძაშენებელი. ანტონი გიორგი მესამის მეფობის დროსვე იყო საქართველოს კათალიკოსი და ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი, მაგრამ გიორგის სიკვდილისთანავე მიქაელ მირიანის ძეს რაღაც ხრიკებით მოუხერხებია მისგან ამ უმაღლეს თანამდებობათა წართმევა. ახლა კი თამარმა ხელახლა დასვა ანტონ გლონისთავისძე ჭყონდიდელად და მწიგნობართუხუცესად.

ხოლო, კათალიკოს-პატრიარქობა თევდორეს მიუგო თამარმა.

...1193 წელს თამარს და დავითს, ტაბახმელას სასახლეში, შეეძინათ ვაჟი. თამარმა მას უწოდა გიორგი, „სახელი ახოვნისა მის მამისა თვისისა“. გასაოცარი სილამაზის-

თვის — რამეთუ „იშვა დახატული ბუნებისაგან“ — ახალშობილ უფლისწულს ზედნადებ სახელად უწოდეს ლაშა — „განმანათლებელი“, ანუ „ქვეყნის მანათობელი“.

ლაშა-გიორგის დაბადება დიდის ზარზეიმით აღინიშნა. მეფემ და დედოფალმა დიდძალი წყალობანი გაიღეს. ეკლესიები შესაწირავებით აღავსეს. ქვრივობოლნი, საპყარნი და უპოვარნი გაამდიდრეს. ტყვეები გაათავისუფლეს. დიდძალი ძღვენი მოართვეს ახალშობილ ტახტისმემკვიდრეს ქვეშევრდომთა „შვიდსავე სამეფოთა“. ასევე — „მცნობთაგარეთ ბერძენთა მეფეთა, სულტანთა, ათაბაგთა და ამირათა სპარსეთისათა წარმოავლინეს ნიჭნი და განძნი ქმასაყოფელნი“.

ბარე ათი ლაშქრობა მოაწყვეს ქართველებმა იმ წელს „სხივოსანი“ უფლისწულის „ბედისა და სუეს“ ასამაღლებლად. აიღეს და დაარბიეს განდგომილი ქალაქები — ბარდავი, განძა, კარნუ-ქალაქი (ერზერუმი).

საპასუხოდ, თურქებმა საქართველოს წინააღმდეგ მუსლიმთა დიდი კოალიციური ლაშქრობა მოაწყვეს, ათაბაგ აბუბაქარის სარდლობით.

თამარმა სასწრაფოდ საომარი წვევა ბრძანა. სასწრაფოდვე შეიყარნენ „ლაშქარნი იმერით და ამერით“. აღლუმად დადგნენ და თამარმა სიტყვით მიმართა:

„ძმანო ჩემნო, ვიცი კვლავაც არ შეძრწუნდებიან გულნი თქვენნი სიმრავლისა მტრისათვის და სიმცირისა თქვენისა, რამეთუ ღმერთი ჩუენთანა არს. მაშ, შეისწრაფედ ქუეყანად მათდა ძალითა ჯვარისათა, მკლავითა უმტკიცესითა და გულითა უმართლესითა!“

მერე, მოიღო დროშა გორგასლიან-დავითიანი და გადასცა დავითს, მეუღლესა და მთავარსარდალს. გვერდით ანტონ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი გლონისთავისძე.

თამარმა დალოცვა ჯარი.

დალოცა დროშა.

დალოცა ხმალი.

ლაშქარი გაეშურა საომარი სიმღერით.

ხოლო თამარმა „წარიხადნა სამოსელნი ფერხთანი, და ფერხივ შიშულითა ფერხითა“ მეტეხის ტაძარს მივიდა ლოცვად — ლაშქრისა, ხალხისა და ქვეყნისათვის.

ქართველთა ლაშქარი კი მიუახლოვდა შამქორს, სადაც ბანაკად იდგა თურქთა ურდო.

მაშ, შ ა მ ქ ო რ ი, 16 ივნისი 1195 წლისა, დღე პარასკევი.

დავით სოსლანს უკვე გაეწყო ჯარი საომრად.

მოკლე სიტყვითაც მიმართა მეომრებს. მოაგონა მათ „სიმხნე და მარჯუებულობა პაპათა და მამათა“, გმირობანი ვახტანგ გორგასალისა, დავით აღმაშენებლისა და მათთა მოყმეთა.

სამ ნაწილად გაჰყო მხედრობა დავით სოსლანმა. ორი მოიერიშე რაზმი, მარჯვენა და მარცხენა, და ერთიც თადარიგი. თადარიგი ძმებს, ზ ა ქ ა რ ი ა და ი ვ ა ნ ე მ ხ ა რ გ რ ძ ე ლ ე ბ ს ჩააბარა. მოიერიშე მარჯვენა რაზმს წაუძღვარა ანტონ გლონისთავისძე, ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი, „შესახედავათაცა ჭაბუკი“, რომელსაც ახლა, მკერდით ჯვაროსანს, ხელთ ეპყრა ხმალი, და პირდაპირ შამქორის მთავარი კარიბჭისკენ წარგზავნა იგი საიერიშოდ მთავარსარდალმა.

თვითონ დავითი მთავარი რაზმით მარცხენა მხრისკენ დაიძრა, შამქორის ჩრდილოეთიდან, მტრის ზურგიდან შემოსავლელად.

მარჯვენა ფრთიდან მოიერიშე ქართველობას მდინარის გადასავალზე, ზედ ხიდზე შემოეგება აბუბაქარის ლაშქარი. „შეიქმნა ომი და კუეთება“, ისე რომ ხიდისა და გზის სივიწროვისგან მხოლოდ მეწინავენი აწყდებოდნენ ერთიმეორეს. ქართველებმა, დიდი სისხლის ფასად, მდინარე და ხიდი უკან მოიტოვეს და ციხე-სიმაგრის კარიბჭეებს მიეტანენ. მაგრამ აქ აბუბაქარმა ურიცხვი მხედრობა შეაგება თავაწყვეტილი კონტრიერიშით. ბრძოლა ერთ ხაზზე შენივთდა. მოპირდაპირენი გამხეცებით ასკდებოდნენ და აწყდებოდნენ ერთიმეორეს. მისჭირდათ ქართველებს. აგვიანდებოდა მარცხენა მხრიდან თვითონ სოსლანს: აქ ქართველებს გზა შეხვედროდათ უვალი, კლდოვან-ქარაფოვანი და ქვაღოჯიანი. მაშინ თადარიგი დასძრეს ზაქარია და ივანე მხარგრძელებმა. ბრძოლა გამძაფრდა. კვლავ წონასწორად იძვროდა ბრძოლის სასწორი. აბუბაქარს შეუწყვეტლივ მოჰყავდა ახალახალი რაზმები სიკვდილის ხაზზე. მხარგრძელებმა ვერ იმარჯვეს და ამაოდ „წახეთქნეს ნახევარნი ლაშქართა და რაზმთანი“. უკვე სრულის ძალებით იბრძოდა აბუბაქარი. მას აღარ ეეჭვებოდა, რომ

ბრძოლა სადაცაა მისი გამარჯვებით გათავდებოდა. ამაყად ფრიალებდა შამქორის კედლებთან ხალიფასგან „ღაზოდ წარმოგზავნილი“ მუსლიმური დროშა. და უეცრად შამქორის ჩრდილოეთ მხრიდან გრიგალივით მოიჭრა დავითი და მისი მხედრობა, რომელსაც წინ მიუძღოდა „დროშა იგი გორგასლიანი, რომელიც სინდეთს შესვლითგან მოსპეტაკდებოდა“...

ქართული დროშის, მხედართმთავრისა და მხედრობის უეცარმა გამოჩენამ თავზარი დასცა მაჰმადიანებს. ქართველები ბრძოლას მაშინ იწყებდნენ, როცა მათ მოსისხლეებს იგი დასასრულის პირს ეგონათ.

და მიეტევა დავითი „მსგავსად აჭილევისა“. უცებ დაწინაურდა შალვა ახალციხელი, მტრის შუაგულში მედროშეებს დაერია, ერთი განგმირა, დანარჩენი დაიფრინა და, დაიხელთავა და გამოიტაცა ხალიფას დროშა. სავსებით გატყდნენ ალლაჰის მხედრები. მთელის ძალებით მიესივნენ ქართველები, „ვითარ არწივნი და ვითარ ვეფხნი ეკუეთნეს“.

ორად „განსქდა“ მუსლიმთა ლაშქარი და ორი მხრისკენ გაიქცა, განძისკენ და გელაქუნისკენ. პირველი გაექცა ბრძოლას თვით ამირთამირა აბუბაქარი და „მიწევნულმან ხნარცვსა სადმე მცირესა მიწასა შინა დაფლა თავი თვისი“.

მოგებული იყო დიდი ბრძოლა, რომელშიც გამორჩეულად ისახელეს თავი თვითონ დავით სოსლანმა, ანტონ გლონისთავისძემ და შალვა ახალციხელმა.

ქართველებმა განძა და შამქორი ხელახლა დაიმკვიდრეს და დიდძალი ნადავლით შემობრუნდნენ.

ტფილისში, შამქორის გამარჯვების აღსანიშნავ ტრიუმფზე, გამარჯვებულებმა გამოატარეს 12 000 ტყვე-მუსლიმანი, 40 აქაზა, 20 000 ცხენი, 7 000 ჯორი, 15 000 აქლემი, ურიცხვი ლარი, ოქრო, ვერცხლი, თვალ-მარგალიტი და მუსლიმანთა საომარი დროშები. ხალიფას დროშა თამარ მეფეს ფერხთა წინაშე დაუფინა შალვა ახალციხელმა. ეს დროშა, ძვირფას მანიაკთან ერთად, ხახულის ტაძარს გაუგზავნა თამარმა.

მაინც არ დაცხრა აბუბაქარი. ახალი ჯარები შემოიყარა, წამოემართა და მოულოდნელი დაცემით ხელთ იგდო ჯერ განძა, მას უკან დვინი.

ორრიგად შეჰყარა თამარმა ქართული ჯარი, ერთი დავითს

ჩააბარა და განძას გაგზავნა, მეორეს თვითონ უსარდლა და დვინისკენ გაემართა, სომხეთს.

სწორედ დვინში გამაგრებულიყო აბუბაქარი.

თამარმა ქალაქს ალყა შემოარტყა. ლეგენდარული დედოფლის მოსვლამ შიში და სასოწარკვეთა დაასადგურა დვინის მაჰმადიანურ ციხიონში. თვითონ აბუბაქარმა, უკვე დაბნეულმა და დაფანტულმა, ლოთობას მისცა თავი. მაგრამ რაკი ციხის უფროსმა კლიტეთა წარმოგზავნა მაინც დააგვიანა, თამარმა იერიში ბრძანა. ქართველებმა დვინის მაღალი კედლები გადალახეს და ქალაქში შეიჭრნენ. მუსლიმანთა ციხიონი ერთხანს უმიზნოდ ეჟლიტებოდა მოიერიშე ქრისტიანთა ხმლებს. ხოლო, როცა წინააღმდეგობა შეწყვიტეს, ქართველებმაც იარაღს ხელი შეუშვეს და ქალაქის მოსახლეობას, განურჩევლად ეროვნული და სარწმუნოებრივი წარმომავლობისა, შეწყალება და პატივი მიუგეს. ასეთი იყო ნება თამარ მეფეთამეფისა, რომელიც მის დიდ წინაპარ ხელმწიფეთა მსგავსად, „საღვთო ომებს“ როდი აწარმოებდა „უსჯულო არაქრისტიანეთა“ მოსასპობად. იგი მხოლოდ ქართველთა და მათ მოძმე-მეზობელთა დაუძინებელ მოსისხლეებს ებრძოდა თავგამოდებით.

თამარი დვინის აღების შემდგომ საქართველოში დაბრუნდა და „დადგა აგარათა მორჭმითა და სუფევითა“.

ამასობაში დავით სოსლანმა განძა ხელახლა აიღო, აბუბაქარის მომხრენი ამოწყვიტა და ოცდახუთი დღის შემდგომ მდიდარი ალაფით დატვირთული დაბრუნდა ტფილისს.

იმ ზაფხულს მეფე-დედოფალი იმერეთს გადავიდა. ერთხანს ქუთათისს, გეგუთსა და გელათს ისვენებდნენ, მერე შავი ზღვის სანაპიროებისკენ გაუყვნენ.

საქართველოს მეუფეთა „განსუენებით“ უსარგებლიათ სამხრეთელ მოსისხლეებს და „ქუეყანა არტაანისა, ძაღინის ხევისა, პალაკაციო წაეღო თურქთა“.

ისევ შეჰყარა თამარმა ლაშქარი, ისევ უსარდლა დავით სოსლანი და აფრინა სამხრეთისკენ. ქართველებმა თურქები ქართული მიწებიდანაც გადარეკეს და თურქული სამანებიც გადალახეს.

1203 წელს დავით სოსლანმა ისევ დალაშქრა ადარბადაგანისა და სომხეთის მიწებზე შემოსახლებული თურქული

ციხიონები. ორჯერ აიკლეს ქართველებმა ხლათის შაჰარმენთა სასულტნო და აიღეს ქალაქები: არჭეში, მანასკერტი და ატ-ტინი.

მაგრამ იმავე წელს ორჯერ მარცხიც იწვნიეს „უძლეველებმა“. ხლათის სულტანმა და არზრუმის (კარნუ-ქალაქის) ამირამ დიდძალი მხედრობა გამოგზავნეს. ქართველებს მხარგრძელები სარდლობდნენ, ბიძაშვილები — ზაქარია „უფროსი“ და ზაქარია „უმცროსი“. ქართველმა სარდლებმა წინდახედულება ვერ გამოიჩინეს, მტერს ცალ-ცალკე შეებნენ და მძიმედ დამარცხდნენ. ზაქარია „უმცროსიც“ ბრძოლაში დაიღუპა.

სასწრაფოდ ამოქმედდა საქართველოს სახელმწიფო კარი. 1204 წლის გაზაფხულზე კვლავ გამოიყვანა და დალოცა თამარ მეფემ ლაშქარი. ამჯერად ისევ დავითი უსარდლა და სამხრეთ-დასავლეთისაკენ გაისტუმრა.

ქართველები შეიჭრნენ ხლათში, იქ მდგარი თურქობა გაანადგურეს და ქალაქ კარისაკენ წარემართნენ. კარი დიდი ქალაქიც იყო და დიდი თურქული ციხიონიც იცავდა. დავითმა ძლიერი ალყა შემოარტყა კარს. ქალაქი გაძალიანდა. მეციხოვნენი უშვერი ლანძღვა-გინებით გადმოჰყიოდნენ მოალყეებს. ხოლო, როცა ალყაში მოქცეულებს საჭმელ-სასმელი გაუთავდათ, სიცოცხლის შენარჩუნების საფასურად იარაღის დაყრა გადაწყვიტეს. მაგრამ რაკი „ეშინოდათ სიტყუათა მათთათვის გინებისათა“, — ვაი თუ დავითმა არ გვაპატიოსო — შემოთვალეს: იარაღს დავყრით, უკეთუ ქალაქის ჩასაბარებლად თვითონ თამარი ინებებს მობრძანებასო.

თამარი მაშინვე წარემართა კარისაკენ. თან ლაშაც წარიტანა. მეციხოვნეებმა მაშინვე მოართვეს ქალაქის კლიტენი. შევიდა 11 წლის ლაშა გიორგი და ჩაიბარა კარი და მისი ციხე-კოშკები.

თამარმა ახლადდაპყრობილი კარი და მისი მიმდგომი მხარე სამმართველოდ გადასცა ივანე ახალციხელს (შალვა ახალციხელის ძმა).

ივანე ახალციხელმა თამარის ესოდენ პატივს ახალი გამარჯვებებით უპასუხა. იგი თავისი ლაშქრით კარის „ქუეყანასაც“ გასცდა და „წარუღო თურქთა გარეშემონი ქუეყანანი, აიხუნა და მიითუალნა, და წარმოგზავნა მახარობელი მე-

ფესა წინაშე“. თამარმაც დაჭერილი მიწები სამფლობელოდ მისსავე „დამჭერელს“ უბოძა.

ერთი სიტყვით, ახალ, XIII საუკუნეშიც ქართველებმა საერთაშორისო ასპარეზზე ისევ მძლავრი ნაბიჯებით განაგრძეს სვლა. XII — XIII საუკუნეთა განსადრეკელზე, აზიისა და ევროპის გზასაყარზე, კვლავ მსოფლიო ძალისხმევით გუგუნებდნენ ქართული ზარები...

...იმხანად სომეხ და ქართველ ღვთისმეტყველთა პაექრობაც მოხდა. ქართველი ხელმწიფის ბევრმა ქვეშევრდომმა გრიგორიანობა მიატოვა და მართლმადიდებლობა მიიღო („მრავალი სიმრავლე სომეხთა მოვიდა ნათლისღებად“). ასევე მოიქცა ივანე მხარგრძელი. იგივეს ურჩევდა თავის უფროს ძმას, ზაქარიას: ქართველებსო „მართალი სარწმუნოება უპყრიეს“ და შენც, ვითარცა ისედაც ჭეშმარიტი ქართველი, სარწმუნოებაც ქართული მიიღეო. თავის მხრივ კი ზაქარიას ეს უპასუხნია: „ვუწყი ძმაო, რამეთუ მართალი სჯული არს ქართუელთა“, მაგრამ მაინც გრიგორიანობა დაუნარჩუნებია ზაქარიას.

ასე ერჩია ზაქარია მხარგრძელს. შორს უმიზნებდა ცბიერი პოლიტიკოსი: იგი საქართველოს ხელმწიფეთაგან სომხური პროვინციების მმართველობას გამოელოდა...

...თამარ მეფე, წინაშე ქართველ ხელმწიფეთა მსგავსად, ძველი პონტოურ-ქართული მიწების (შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი ტერიტორიები) შემომტკიცებასაც ზრუნავდა გაცხოველებით. პონტოს ქვეყანა იმჟამად ბიზანტიის სამფლობელოთა საზღვრებში იყო მოქცეული. თამარს საბაბი უნდოდა, ლაზებითა და ჭანებით დასახლებული ქართული მიწები ბიზანტიის კეისრისათვის წაერთმია და საქართველოს სამეფო კარისათვის დაექვემდებარებინა. ასეთი საბაბიც გამოჩნდა.

1203 წელს საქართველოში ჩამოვიდნენ საზღვარგარეთის ქართულ მონასტერთა მოღვაწენი. თამარმა დიდის ამბით მიიღო ისინი, „მრავალ დღე არა გაუშვნა“, ხოლო როცა გაუშვა, ყოველ მათგანს „მისცა დიდძალი ოქრო, თვით მათთვის და ყოველთა მონასტერთა განსაყოფელად“. როცა ასე უხვად დასაჩუქრებული სამღვდელონი გავლით კონსტანტინოპოლს მივიდნენ, მოხდა სავსებით მოულოდნელი და მანამდე გაუ-

გონარი ამბავი: ისინი გაძარცვა... თვითონ კეისარმა, ბოროტმა და ანგარმა ალექსი III ანგელოსმა. ეს თვით კონსტანტინოპოლში არავის გაჰკვირვებია, რადგან კეისარი „ანგელოსი“, რომელსაც ძმისთვის თვალები დაეთხარა და იმპერატორობაც წაერთმია, მიცვალებულ კეისართა საფლავებსაც თხრიდა და ძარცვავდა.

ხოლო თამარი გააოცა და უზომოდ განარისხა ბიზანტიელი ხელმწიფის ესოდენ აშკარა ავაზაკობამ. მაშინვე კეისრისაგან გაძარცვულ ბერებს „სხვა უფროსი“ ოქრო გაუგზავნა და, რაც მთავარია, სასწრაფოდ იმიერ ქართველთაგან ჯარი შეჰყარა და პონტოსაკენ აფრინა.

სწორედ ამ ჯარმა ერთიმეორის მიყოლებით დაიკავა — „ლაზია, ტრაპიზონი, ლიმანი, სამსინი, კერასუნდი, კიტიორა, ამასტრია, ერაკლია, და ყოველნი ადგილნი ფებლაღონისა და პონტოსანი“.

ქართველები ორას კილომეტრზე იყვნენ კონსტანტინოპოლიდან.

ალექსი მესამეს ქართველებისთვის აღარ სცხელოდა: ევროპიდან წამოსული ჯვაროსნები თვითონ კონსტანტინოპოლს მოსდგომოდნენ საიერიშოდ.

თამარმა კი ბიზანტიისგან დახსნილი „პონტოს ქვეყანა“ ცალკე ვასალურ, საქართველოს ყმადნაფიც სამეფოდ გამოაცხადა, ხოლო მის მმართველად დასვა ალექსი კომნენოსი, ბიზანტიის ტახტის პრეტენდენტი, საქართველოს მეფეთა ნათესავი (ალექსის მამა, ანდრონიკე, თამარის მამის, გიორგი მესამის მამიდაშვილი იყო) და საქართველოში შემოხიზნული უფლისწული.

თამარის ბრძანებით, ალექსი ტფილისიდან გავიდა და ტრაპიზონში დაჯდა. თანამმართველად თამარმა ალექსის დაუნიშნა მისი ძმა, დავით კომნენოსი.

სამართლიანად წერს აკადემიკოსი კუნიკი: „კომნენოსები ჯერ კიდევ ყრმობისას მოხვდნენ საქართველოში, სადაც მიიღეს კიდევაც აღზრდა. მათი დედა-ენა იყო ქართული. რაკი იზრდებოდნენ და აღზრდასაც მათი ნათესავის, თამარ მეფის, კარზე ღებულობდნენ, ისინი ყოველთვის ქართული ცხოვრებისა და ქართული ცნებების გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ“. სამი წლიდან ოც წლამდე საქართველოში იზრდებოდნენ. ბი-

ზანტია აღარც ახსოვდათ და ბერძნულ ენასაც ისე „უცხო ენად“ სწავლობდნენ, როგორც ქართველ დიდებულთა შვილები. ასე რომ ოცი წლის ასაკში ალექსი და დავით კომნენოსები უფრო ქართველი დიდებულები იყვნენ, ვიდრე ბიზანტიელები.

ასევე წერს გამოჩენილი ბიზანტინოლოგი უსპენსკი: „შავი ზღვისპირეთზე კომნენოსთა დამტკიცება არის საქმე თამარის ხელისუფლებისა... კომნენოსთა სახელმწიფოს ჩამოყალიბება არის მხოლოდ ეპიზოდი საქართველოს ბრძოლაში შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებზე პირველობისათვის, იგი არის გაგრძელება თამარის მამის პოლიტიკისა, რომლის ჯარები აღწევდნენ ერზერუმამდე და თვით ტრაპეზუნტამდე“. და კომნენოსები იყვნენ „იარაღნი თამარის პოლიტიკისა“. ისევ უსპენსკის მართებული აზრით, ტრაპიზონის იმპერიის ბუნება უპირველეს ყოვლისა უნდა აიხსნას „მოსახლეობის ეთნოგრაფიული ხასიათისა და ისტორიის თავისებურებით, რომელშიც ელინიზმს გაბატონებული ადგილი არა სჭერია. საჭიროა გვახსოვდეს პონტოს ძველი ისტორია და პონტოს მეფეების პოლიტიკური მიმართულება, ისევე როგორც თავისებურებანი ტრაპიზონელი ბერძნების ენაში... არ შეიძლება წინ არ წამოვწიოთ და განსაკუთრებული გულმოდგინებით ხაზი არ გავუსვათ იმ პირობებს, რომელნიც XIII საუკუნის დამდეგს და იმპერიის შექმნის შემდეგ თითქმის მთელი საუკუნის განმავლობაში მიუთითებენ ადგილობრივი, ლაზური ტენდენციების ბატონობაზე ტრაპიზონში, რომელსაც ზურგს უმაგრებენ თბილისიდან და მხარს უჭერს თვით ტრაპიზონელი მეფეების სულისკვეთება, რაც მთლიანად, და სავსებით საქართველოსკენ იყო მიმართული“.

„ტრაპიზონის იმპერიაც“ ნაწილი იყო სრულიად საქართველოს იმპერიისა, მისი „პროტექტორატი“ და ისეთივე „ყმადნაფიცი“, როგორც შირვანი, დარუბანდი, ღუნძეთი, ოვსეთი, ჭაშაგეთი და კარნუ-ქალაქი...

...თითქოს ქართველთაგან სამუდამოდ დაშინდა თურქული სამყარო. ქართულ მახვილთა შეტევებისაგან „მოაკლდებოდა ვალსა მოჰმადიანთასა, და მცემელიცა ებანსა, რამეთუ ქრისტიანეთა ორღანონი ხმოვანებდეს კიდით კიდემდე“. თითქოს სამუდამოდ „დაშრტა სასოება ბუსურმანთა“. და ისღა დარ-

ჩენოდათ „ყოვლითურთ ულონოთა“, როგორმე ხარკისა და ძღვენის ძლევით მოეგოთ გული „წყალობის-მოყუარე თამარისა“. თურქი სულტნები, ამირები თუ ათაბაგები დესპანს დესპანზე აგზავნიდნენ საქართველოს სასახლის კარზე, ძღვენითა უთვალავითა, მრავალფერითა და უცხოფერითა, მუდმივი ხარკისა და მორჩილების აღთქმითა, ოღონდ კი ქართველებმა „დააყენონ მახვილი მსვრელი და ჯაჭვი შემკვრელი“.

მაგრამ იყო მათ შორის ერთი, რომელიც თამარის წინაშე „იჩემებდა ზაკვით სიყუარულს, და გზავნიდა მოციქულთა მშვიდობისათვის მრავალჟამ, და ძღუენთა შუენიერთა მრავალთა“.

ეს იყო რუქნ ად-დინი, სელჩუკიან ხელმწიფეთაგან ყველაზე მძლავრი მბრძანებელი, იკონიის (გინა კონიის, გინა რუმის) სულტანი.

რუქნ ად-დინი არ ჯერდებოდა, რომ მცირე აზიის ორი მესამედი მისი სასულტნოს საზღვრებში იყო მოქცეული. მას შავი ზღვის განაკიდურთა დახელთება უნდოდა, მაგრამ ქართველებმა უკვე გადაუჭრეს გზა „ტრაპიზონის იმპერიის“ შექმნით; მას სომხეთის დამონებაც სურდა, მაგრამ ისევ ქართველები გადასდგომოდნენ წინ. და, საერთოდ, სანამ საქართველო ფეხზე იდგა, არც იკონიელ სულტანს და არც სხვა რომელიმე მაჰმადიან სკიპტროსანს წელში გამართვა და ქართველთა მახვილით დატეხილი შიშიდან თავის დაღწევაც არ ეღირსებოდა.

და საქართველოსთან გადამწყვეტი ომისათვის რუქნ ად-დინმა ფეხზე დააყენა მთელი ქვეყანა. „არა დაუტევა დედაკაცა სოფელთა შინა, არამედ ყოველნი აამხედრა“. არც ოქროვერცხლი დაუზოგნია მოკავშირეთა მისამხრობად და საომარ ხარჯად: „განახუნა პაპა-მამურნი საუნჯენი და გამოყარნა ოქრო აურაცხელნი, და წარგზავნიდა ოქროთა შეკრებისათვის მხედრობისა“.

რუქნ ად-დინის მოწოდებაზე თავიანთი საომარი ძალებით მოვიდნენ: აბულასტანის მბრძანებელი მუღის ედდინ თოღრულ შაჰი, ეზინკის (ერზინჯანი) ამირა და თვით რუქნ ად-დინის სიძე მელიქ ფაჰრ-ად-დინ ბაჰრამშაჰი, შამის (ასურეთი) სულტანი და ბირიტის ამირთამირა.

მხოლოდ კარნუ-ქალაქის (ერზერუმის) ამირამ, ალა ედდინ სალიყმა შემოუთვალა რუქნ ად-დინს უარი საომარ ძალთა გამოყვანაზე. მაშინ განრისხებულმა რუქნ ად-დინმა ალა ედდინი ამირას ტახტიდან ჩამოაგდო და კარნუ-ქალაქის საამირო მუღის ედდინ თოღრულ შაჰს გადასცა. ამნაირად ერზერუმელი მუსულმანობაც შეუერთდა საქართველოს დასამხობად აღმართულ მაჰმადის დროშას.

სულ შეიყარა თურქთაგან „ორმოცი ბევრი, რომელ არს ოთხასი ათასი“.

(მაშასადამე, მასშტაბი უნდა ყოფილიყო დაკით აღმაშენებლის დროინდელი დიდგორის ომისა).

მაშ, ისევ მოდიოდა „ყოველი თურქობა“ საქართველოს წასახდენად.

უზარმაზარ, „მთასავით მაღალ“ ცხენზე ამხედრებული მოუძღოდა რუქნ ად-დინი „ვარსკვლავთაებრ ურიცხვ“ მხედრობას.

ბასიანს მოვიდნენ და დაიბანაკეს.

წინასწარ შიკრიკი აფრინა რუქნ ად-დინმა ტფილისისაკენ. იგი წერილს უგზავნიდა საქართველოს მეფეთამეფეს. წერილში კი გაუგონარი თავხედობა ეწერა:

„მე ნუქარდინ, სულტანი ცისა-ქუეშისა, უმაღლესი, მისგავსებული ძლიერებასა ანგელოზთასა, თანამდგომი ღმრთისა, მოვლინებული დიდისა მოჰამედისაგან, მოგიმცნობ მეფესა ქართველთასა თამარს. ყოველი დიაცი რეგუენია, და შენ გიბრძანებია ქართველთათვის ხრმლისა აღებად და მუსულმანთა ხოცად. აწ წარმომივლენია ყოველი მხედრობა ჩემი, რამეთუ ვეღარასოდეს გაბედოთ აღება ხრმლისა, რომელიც მაჰმად მოციქულსა მხოლოდ თვისი ერისათვის უბოძებია, მოვდივარ, რათა სამაგიერო მოგიზღო სპარსთა და თურქთა ესოდენი აკლებისათვის, რათა აღვხოცო ყოველი მამაკაცი მაგ ქვეყნისა, და ცოცხალი მხოლოდ იგი დავტოვო, რომელიც წინა მომეგებოს, თაყუანი სცეს ჩათრსა (ქარავსა) ჩემსა, სასოება იგი თქუენი ჯუარი წინაშე ჩემსა დალეწოს და მოჰმადი აღიაროს“.

დიდსულოვნებით დაითმინა თამარმა ეს ყოვლად უზრდელი და უგუნური პატრუცაგი, ოღონდ — „სულთითქუნა სიღრმით გულისათ“.

და ასანამ ამ კალნიერი წერილით გარისხებულ დარბაზში თამარის პასუხი იწერებოდა, ჰანაბ თურქმა მოციქულმა დარბაზისერთა წინაშე კიდევ უარესი, გასაოცრად ბრიყვი და ეზრდელი სიტყვა ამოუშვა:

„უკეთუ მეფემან თქუენმან დაუტეოს სჯული, იპყრას სულტანმან ცოლად; და უკეთუ არა დაუტეოს სჯული, იყოს ხარჭად სულტნისა!“

ყველას დაასწრო ზაქარია მხარგრძელმა, მოციქულს მივარდა და ისე „უხეთქა ხელითა პირსა“, რომ თურქი იგი ეგრძნობლად, „ვითარცა მკუდარი დაეცა და იდვა“. როცა გონს მოიყვანეს და ფეხზე წამოაყენეს, ზაქარიამ უთხრა გალახულს: შენ რომ მოციქული არ ყოფილიყავ, ჯერ ენის ამოკვეთა და მერე თავის გაგდებინება იქნებოდა შენი სამართალიო.

მაშინვე მხედრობის წვევა ბრძანა მეფეთამეფემ. „მოუწოდეს სპათა იმერთა და ამერთა, ნიკოფსით დარუბანდამდის“. ჯავახეთს მოიყარეს თავი ქართულმა ჯარებმა, ხოლო თამარი ვარძიას მიბრძანდა.

ფეხშიშველი შევიდა თამარი „ვარძისა ღმრთისმშობლისა წინაშე და ცრემლით შეავედრა სოსლან დავით და სპა მისი; დროშა მისი სვიანი“. გამოვიდა. დროშა დავითს გადასცა. ლაშქარიც დაიძრა.

სამხრეთისკენ მიდიოდა ქართული მხედრობა.

წინ თამარი მიუძღოდა, ქვეითად, ფეხშიშველი, ლოცვით და ცრემლით.

ერთი დღის სავალზე მიუახლოვდნენ ქალაქ კარს, რომელიც ამას წინათ დაიხსნეს ქართველებმა თურქებისაგან.

შედგნენ. თამარმა რუქნ ად-დინის მოციქულის მოყვანა ბრძანა. მოიყვანეს. თამარის ბრძანებითვე მდიდრულად შემოსეს, დიდძალი ოქროც უბოძეს. თურქს გვერდით ქართველი მოციქულიც დაუყენეს, თამარის საპასუხო წერილით სულტანისადმი. და ორივე ერთად გაუშვეს რუქნ ად-დინთან.

თამარის წერილი კი, რუქნ ად-დინისადმი, ასეთი იყო:

„ძალსა ყოვლისა მპყრობელისასა მინდობილმან, მარადის ქალწულისა მარიამისა სასოებით მოსავმან და პატიოსნისა ჯუარისა მვედრებელმან წარვიკითხე ღმრთისა განმარისხებელი წიგნი შენი, ნუქრადინო, და ვცან სიცრუენი შენნი, რო-

მელთა ბჭე ღმეროი იყოს! შენ ოქროსა მევირეთა სიმრავლისად მინდობილ ხარ, ხოლო მე არცა სიმდიდრესა და არცა ძალსა სპათასა ჩემთასა, არამედ ძალსა ღმრთისა ყოვლისა მპყრობელისასა და ჯუარისა წმიდისა, რომელი შენ ჰგმე. აწ წარმომივლენია ყოველი მხედრობა ქრისტეს მოსახელე არა შენდა თაყუანისცემად, არამედ დამხობად შენდა სიზუავისა მაგის და ამპარტავნისა გულისა შენისა. იყავნ ნება ღმრთისა, ნუ შენი! სამართალი მისი, ნუ შენი! ხოლო მე ვუწყი გახრწნილობა მსახურთა შენთა, ამისთვის წარმომივლენიეს მსახური ჩემი, რათა წიგნისა შენისა პასუხი ადრე მოგართუას და განგაკრძალოს, რამეთუ ჩემ მიერ წარმოგზავნილ სპათა ფერხნი ესერა კართა შენთა ზედა დგანან“.

თამარმა ამხედრება ბრძანა.

თვითონ მაღლობზე ავიდა, მუხლებზე დაემხო და დიდხანს ილოცვიდა გულმხურვალედ, ცრემლის თხევითა. მერე, წამოიმართა მეფეთამეფე და ჯვარიცხოველის მოღება უბრძანა ჯვარისმტვირთველს. წამოეშველა ბასილი ეზოსმოძღვარი. ჯვრის ერთი მხარე დაიჭირა თვითონ თამარმა, ხოლო მეორე — ბასილიმ და ჯვარისმტვირთველმა.

სარდლებს და ერისთავებს უბრძანა დედოფალმა და ისინიც წამოემართნენ ამბორსაყოფად ჯვარისა და კალთისა მეფე-ქალისა. ჯერ მთავარსარდალი მიეახლა, დავით სოსლანი, მერე მეწინავე სარდლები — ძმები შალვა და ივანე ახალციხელები, ზაქარია მხარგრძელი, შემდეგ თორელნი, ჭიაბერი, და ყოველნი ერისთავნი, „იმიერნი და ამიერნი“.

ბოლოს თამარმა ორივე ხელით აღმართა ჯვარი და ლაშქარიც დაიძრა.

და ასე იდგა თამარ მეფე, ფეხშიშველი, ტანაშვეტილი, ცრემლით ნაბანი ღვთაებრივ სახით. მანამ იდგა და არწევდა ჯვარს ჯვარსახოვნად, ვიდრე მის წინ უკანასკნელმა მეომარმა არ ჩაიარა.

მიდიოდნენ ქართველები საომარ ველზე, „მინდობილნი ღმრთისანი და თამარის ცრემლთანი“.

თამარი სამცხისკენ შემობრუნდა, მოვიდა ოძრხეს და კვლავ დადგა ლოცვად. მასთან შემოკრბენ სამღვდელონი და ბრძენი საერონი. ამათ შორის ყოფილა ყველაზე სახელგანთქმული — იოანე შავთელი, „კაცი ფილასოფოსი და რი-

ტირი: „ლექსთა ჯამომთქმელი და ჰოღუაწებათა შინა ვანთქმული“, და მეორე —ე ვ ლ ო გ ი, „სალოსად წოდებული და წინასწარ-მცნობლობისა ღირსქმნილი“.

მთელი ღამე ლოცვად იდგა თამარ მეფე.

„იყვნეს მიმდემნი ღამისთევანი და ლიტანიობანი“.

ხოლო დავით სოსლანი თავის ლაშქრით ბასიანს მივიდა და თვალი დაადგა თურქთა ბანაკს, გაშლილს „ადგილსა ბოლოსციხედ წოდებულსა“. ქართველებმა ნახეს, რომ „ბანაკსა სულტანისასა არა იყო რიცხვი ცხენისა, ჯორისა და აქლემისა მათისა, კარვებისა და სარაფარდაგებისა მათისა, მინდორი იგი ძლივს იტევდა კარვებსა მათსა“.

ეტყობოდა, თამარის წერილს გულზვავიანი სულტანი არ შეუშინებია და არც „განკრძალულა“ იგი. პირიქით, თურქები „ესრეთ ნებიერად მდგომარე იყვნეს, და არა უდგა დარაჯი სულტანსა“.

დავითმა ფიცხლავ დაალაგა ჯარი საომარ წყობით. მეწინავე, მოიერიშე ლაშქარს სარდლებად უჩინა ძმები შალვა და ივანე ახალციხელები, ზაქარია მხარგრძელი და თორელნი, ხოლო ძირითადი ძალები ორად გაჰყო: მარჯვნივ — აფხაზ-იმერნი, მარცხნივ — ქართლელნი, კახნი, ჰერნი.

ჯერ „წყნარად ვიდოდეს“ ქართული ლაშქარი.

სულტანის ბანაკიც აიშალა საომრად. მაგრამ როგორც კი ქართველებმა ცხენები ააჩქარეს და ერთბაშად იგრიალეს, თურქთა ურდო მოიერიშე „ქაფარის“ (ურჯულო) ხილვით შეძრწუნდა და სასწრაფოდ ამხედრებული გასაქცევად აგორდა.

ქართველები გამოენთნენ ყიჟინით და იარაღის ზრიალით.

მაგრამ სულტანმა შემოაბრუნა „გაქცეული ტყე-მაღნარი“.

„და იქმნა ომი ფიცხელი და ძლიერი, რომელი ძუელ-ოდესმე ქმნილ იყო მხნეთაგან ეგევითარი ომი“.

ბრძოლა გაგრძელდა დიდხანს, შენივთებულად. „მყოვარჟამ და მოსწყდებოდეს ორგნითვე, ხოლო უმეტეს სულტნისა სპანი მოისრვოდეს“.

მაინც არ იძვროდა ბრძოლის სასწორი.

შუადღის ზემხურვალი დააცხრა ბასიანის ველს.

„მაღალ მთასავით“ ცხენზე ამხედრებული და მაღალი

საჩრდილობელის ქვეშ ჰყოფი რუქნ ად-დინი ჯაჰელებული უყიოდა თავისიანებს.

ცხენები დაეხოცათ საშინელ ხმალთაკვეთებაში ქართველ სარდალთა უმრავლესობას: მსახურთუხუცეს ივანე მხარგრძელს, ზაქარია გაგელს, შალვა და ივანე ახალციხელებს, ჰაყაიადინ თმოგველს „და სხუათა მრავალთა თავადთა“.

ძალზე მისჭირდათ ქართველებს: „კნინღა სივლტოლად მოიდრიკნეს“.

მაგრამ არ გატყდნენ უცხენოდ დარჩენილი ქართველი სარდლები. ხოლო, როცა მათმა მხედრებმა ქვეითად მებრძოლი სარდლების საოცარი სიმამაცე იხილეს, თვითონაც დაქვეითდნენ და ურღვევ კედლად შეკრულნი მიჰყვნენ მეთაურებს.

დავით სოსლანმაც დროზე შენიშნა: ცხენოსანმა ლაშქარმა მოულოდნელად დაქვეითებული მეომრები არ დამიზიანოსო და სასწრაფოდ თავისი მხედრობა ქვეითებს განაირიდა და მაშინვე ღრმა რეიდით მტრის მარჯვენა ფლანგს შეუტია. იგივე უბრძანა ზაქარია მხარგრძელს, რომელმაც თავისი მხედრობით თურქთა მარცხენა ფლანგისკენ გაქუსლა.

პირველი მიეჭრა დავით სოსლანი, „ვითარცა აქილევი“; „მასვე წამსა შინა დავით და სპა მისი მივიდა, ვითარ მგელნი ცხოვართა, ეგრეთ შეუცვივდეს ურიცხუსა მას სპასა შინა სულტნისასა“.

მაშინვე, დავით სოსლანის მოყმეთაგან „პირველსა მოკიდებასა და ხეთქებასა ხრმალთასა“, ქართველთა გამარჯვების მომასწავებლად დაქანდა ბრძოლის სასწორი. ამირსპასალარი ზაქარია მხარგრძელიც უკვე მოსწოლოდა სულტანს მარცხენა მხრიდან.

მასვე ჟამს შალვა ახალციხელმა მიატანა რუქნ ად-დინის „მაღალ საჩრდილობელს“ და სასულტნო დროშას. ხმალი უხეთქა ახალციხელმა მედროშეს. ორივ დაეცნენ — დროშა და მედროშე. იმ წამსვე „საჩრდილობელიც“ თავზე დაემხო სულტანს. მაინც გაასწრო — გაქუსლა თვისი „მთასავით ცხენით“.

და მასთან ერთად თურქთა ლაშქარის „ეგეოდენი სიმრავლეც განსქდა, იძლია, დაიპანტა“.

დაქვეითებული ქართველებიც უმალვე ცხენებს მოახტნენ და ხმალამართული გამოეწონენ. გარბოდა რუქნ ად-დინი და

მისი ლაშქარი, ვითარცა „თუალგარდუწდომელი მაღნარი მიწითურთ მოგლეჯილი და დაზულეული“. გარბოდნენ, ერთმანეთს სთელავდნენ, „ურთიერთას დასთრგუნვიდეს“. ქართველებმაც სდიეს დაღამებამდე. სდიეს, „ხოცდეს, ჩამოჰყრიდეს და იპყრობდეს“.

მეორე დღეს, სისხამზე, ქართველებმა მოიხილეს ბასიანის გელი, „ვითარ რიყე“ იყვნენ დარეცილნი მაჰმადის მონანი, მათი დალეწილი საჭურველნი და ქართველთა ხელით დაფხრეწილი დროშები. აურაცხელი ნადავლი დარჩათ გამარჯვებულებს. „აღივსნეს ოქროთა და ვერცხლითა და ჭურჭლითა პატიოსნითა“. ანგარიში არ ჰქონდა ცხენ-ჯორთა, აქლემთა, საჭურველთა, კარავთა და სხვათა მსგავსთა...

ასე განესრულა ბასიანის ომი.

ასე დათრგუნეს ქართველებმა მათი სამშობლოს გასანადგურებლად აღძრული უკანასკნელი „დიდი თურქობა“ სელჩუკის მოდგმისა...

დიდი გამარჯვების ამბავი ოძრხეში აახლეს თამარს. მალე თვითონ ძლევამოსილი მხედრობაც ეახლა სათაყვანო დედოფალს.

ტფილისს მივიდნენ და დიდი ტრიუმფი გადაიხადეს.

რუქნ ად-დინის სახელმწიფო დროშა და მის მოკავშირე სულტანთა და ამირათა დროშები თამარის ფერხთა წინაშე დაჰყარეს.

მერე ძვირფასი ტყვეები მოჰგვარეს თამარს. სარდალთაგან მხოლოდ რუქნ ად-დინსა და მუღის ედდინს გაესწროთ სამარცხვინო ტყვეობისაგან. დანარჩენები ბორკილდადებულნი იდგნენ ახლა საქართველოს მეფის წინაშე: მელიქ ფაჰრად-დინ ბაჰრამ-შაჰ ეზინკელი, შამის სულტანი, ბირიტის ამირთ-ამირა და „სხუა სულტანნი და ამირანი“.

თამარმა ყველა, ერთის გარდა, ერთხანს ციხედ იყოლია, მერე შეიწყალა და გაათავისუფლა.

ხოლო „ის ერთი“, თამარის დიდსულოვნური შეწყალების უღირსი, აღმოჩნდა ეზინკის ბოროტი მბრძანებელი მელიქ ფაჰრ-ად-დინ-ბაჰრამ-შაჰი, რომელიც თამარმა დასაჯა სრულიად უცხო და საკვირველი სასჯელით:

გაჰყიდა, და... გასაყიდ ფასად აიღო ცხენის ერთი ნალი

(„განყიდა ნალად ცხენთა“)! ერთ ცხენის ნალზე ღეტი არ ჰღირსო ეზინკის მბრძანებელი!..

იმ წელსვე ქართველებმა შეიტყვეს სიკვდილი თვითონ რუქნ ად-დინისა. ბასიანის ჯავრი სამარეში ჩაჰყოლოდა გულზვიად სულტანს...

ბასიანის ბრძოლის შემდეგ დიდ დროს არ გაუვლია და გარდაიცვალა დავით სოსლანი. დაკრძალეს გელათს, ქართველ მეფეთა საძვალეში.

გლოვად დაჯდა თამარი — „შთაცმასა და დაფენასა ძაძისასა“.

მაგრამ გლოვა მისი უნდა დარჩენილიყო, ვითარცა პირადი საგლოველი, ხოლო სახელმწიფო კვლავ ხელმწიფურ საქმიანობას მოითხოვდა ხელმწიფისაგან.

და თამარმა მგლოვიარე წელსვე თანამოსაყდრე მეფედ დაისვა ძე თვისი, 12 წლის ლაშა გიორგი.

კიდევ რამდენჯერმე მოუხდათ ქართველებს მახვილის წარმართვა სამხრეთისაკენ, მაჰმადიანთა დაუსვენარი ბუდეებისაკენ. მაგრამ ყველაზე მთავარი თამარის ბოლო დროის ლაშქრობათაგან მაინც იყო ლაშრობა ირანს. ეს მოხდა 1210 წელს. თამარ მეფემ ირანის დასაპყრობად გაგზავნა ჯარები.

ქართველები ერთმანეთის მიყოლებით დაეუფლნენ მარანდს, თავრიზს, მიანას, ზენჯანს და ყაზვინს. მას უკან აიღეს ხორასანი და ბოლოს რომ-გური (ავღანეთი). აქედან ინდოეთი რამდენიმე დღის სავალზე იყო, მაგრამ ქართველებს იმდენი ნაშოვარი დაუგროვდათ, ძემდგომ წინსვლა შეუძლებლად მიიჩნიეს და უკან გამობრუნდნენ, საქართველოსკენ...

...საქართველო კი თავისი ძლიერების მწვერვალზე იდგა.

ასეული წლების წინათ მიტოვებული ქარქაშები მოიკითხეს ქართულმა ხმლებმა.

ქრისტიანთაგან მხოლოდ ქართველებს შეეძლოთ იერუსალიმში გაშლილი ეროვნული დროშებით შესვლა.

ბრწყინავდნენ: ქართული კალამი, ყალამი, საჭრეთელი.

ზეობაში იდგა საქართველო — „ნიკოფსიითგან დარუბანდამდის“ (ჩრდილოეთით) და სინოპიდან არდაველამდის (სამხრეთით).

კვლავ უფრო გაზრდილიყო და გაშლილიყო ერთიანი სახელმწიფო კავკასიელთა. მასში შედიოდნენ:

ს ა კ უ თ რ ი ვ ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო, — მისი საერისთავოებით— ჰერეთი, კახეთი, რუსთავი, ტფილისი (მეფის დომენი), ქართლი, ორბეთი, ლორე, კაენი, გაგი, თორი, ჯავახეთი, თმოგვი, სამცხე, ტაო, ჭანეთი, ქუთათისი (მეფის დომენი), არგვეთი, რაჭა-თაკვერი, სვანეთი, გურია, ოდიში, ცხუმი.

ს ო მ ხ ე თ ი — ანისი, დვინი, ბიჯნისი, სივნეთი, ხაჩინი, (არწახი).

შ ი რ ვ ა ნ ი — შირვანი, დარუბანდი.

ჩ რ დ ი ლ ო ე თ ი კ ა ვ კ ა ს ი ა — ქაშაგეთი, ოვსეთი, დურძუკეთი, ღუნძეთ-ლეკეთი.

პ რ ო ტ ე ქ ტ ო რ ა ტ ე ბ ი, ვ ა ს ა ლ ე ბ ი, მ ო ხ ა რ კ ე ნ ი — ტრაპეზუნტის სამეფო, კარნუ-ქალაქის საამირო, ეზინკის საამირო, შაჰ-არმენთა სასულტნო, ადარბადაგანი, განძის სასულტნო.

იჯდა თამარი ერთიანი კავკასიური იმპერიის ტახტზე.

მის დროს სრულ იქმნა დიდი დავით აღმაშენებლის მიერ საფუძველდადებული ეთიკეტი საქართველოს სამეფო კარისა; და ჩვენც ასე უნდა წარმოვიდგინოთ დარბაზობის ცერემონიალი მაშინდელი საქართველოს სამეფო კარზე;

მეფეთამეფე, პორფირით მოსილი, გვირგვინით თავშემკობილი და სკიპტრით ხელში, ზის ოქროჭედილ ტახტზე.

დარბაზობის დაწყებისას პირველი შემოდის გელათის აკადემიის მოძღვართმოძღვარი. იგი მიდის ტახტის წინ დაგებული ნოხის ნაპირამდე და თავს დაუკრავს მეფეს. მეფე წამოდგება. ტახტს მთლიანად გამოივლის, მოძღვართმოძღვარს ნოხის ნაპირთან შეეგებება, სამაგიერო სალამს მიუძღვნის და მის მხლებელს მიმართავს: „მოახსენე, ბრძანოსო“. თუ მოძღვართმოძღვარს რაიმე სათხოვარი აქვს, მაშინვე შეუძლია მოახსენოს მეფეს.

მერე შემოდის კათალიკოსი. მის თაყვანს მეფე თაყვანითვე უპასუხებს, მაგრამ ისე, რომ ნოხის მხოლოდ ნახევარს გადმოივლის.

ახლა მწიგნობართუხუცესი-ჭყონდიდელი ეახლება და ორჯერ ეთაყვანება. მეფე სამ ნაბიჯს გადმოვა, სალამითვე უპასუხებს და გადაჰკოცნის.

შემდეგ ვაზირები მიჰყვებიან. ჯერ ათაბაგი, ამირსპასალარი და მანდატურთუხუცესი მიეახლებიან და ორჯერ ეთაყვა-

ნებიან. სამაგიეროდ მეფეც ორგზის უპასუხებს და სალამის მიცემას ხელების მაღლა აპყრობით დაასრულებს, ხოლო მეჭურჭლეთუხუცესისა და მსახურთუხუცესის ორგზის თაყვანზე მეფე ასევე მისალმებითა და უფრო „უმდაბლე ხელის აპყრობით“ პასუხობს.

ერთად შემოდის სამი ეპისკოპოსი — ქუთათელი, იშხნელი და სომხითის მიტროპოლიტი. მეფე მათ თაყვანზე ორსამ ნაბიჯს გადმოივლის და ისე უპასუხებს სალამით.

დანარჩენ სასულიერო და საერო პირებს, რიგით ეპისკოპოსებს და ერისთავებს, მეფე სალმით ადგილიდან, ტახტიდანვე პასუხობს.

მაღალი რანგის მოხელეთათვის და საპატიო სტუმრებისათვის დარბაზში ოქროჭედილი სელები და მაგიდებია ჩარიგებული. პირველ მაგიდას უზის საქართველოს კათალიკოსი, მეორე მაგიდას — გელათის მოძღვართმოძღვარი და დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი. მესამე მაგიდა განკუთვნილია საქართველოს პოლიტიკურ მფლობელობაში მყოფი ოთხი მეფისათვის — ტრაპიზონის მეფე, შირვანშაჰი, შაჰ-არმენი და ოვსთა მეფე. მეოთხე მაგიდასთან — ჭყონდიდელი, ქუთათელი, იშხნელი და სომხითის მიტროპოლიტი. მეხუთე მაგიდასთან — ათაბაგი, ამირსპასალარი, მანდატურთუხუცესი, მეჭურჭლეთუხუცესი და მსახურთუხუცესი. შემდეგ მაგიდებს უსხედან რიგითი ეპისკოპოსნი და ერისთავნი.

ასეთი იყო თამარის კარი.

ხოლო თვითონ თამარი...

იყო ქალთაგან უმშვენიერესი. ტანად საშუალოზე უმაღლეს, ნაკვთოვანი, „შუენებითა აფროდიტიანითა“. სახედ — საოცრად სახიერი. იერსახედ — მომხიბლავი არამიწიერ. „სატრფო საჭურეტი დაბნედამდის“. ღაწვნი — ღვთაებრივ სპეტაკნი, მკრჭალი ვარდით შეფერილნი. თვალები — გრემანნი, აღსავსე ხიბლით, სიბრძნითა და შუქმოსიერებით. „მორცხვი ხედვა, ლაღი მიმოხედვა, ტკბილი პირი, მხიარული და ულიზღო სიტყვის სინარნარე“.

დადიოდა, ვითარცა „უკიმირო ჰაერი და უმრუმო ნათელი“. ანუ — ვითარცა“ თუალი უღამო და დღე უუკუნო, და საწადელ და საშუებელ სულისა და ხორცისა“.

ცითარცა — „მზე იგი მზეთა და ნათელი ნათელთა, ელვარება და მზეებრ მაშუქებელი სხუათა“.

სიბრძნით იყო სწორუპოვარი მისსავე ბრძენ საუკუნეში — „ღმრთივ-განბრძნობილი“, გინა „უკლებელი გონებითა და საუნჯე სიბრძნისა“.

იყო მოსაუბრე „სიტყვითა-ოქრონექტარითა“.

სიტყვა მისი იყო „ტკბილ და ძვირუხსენებელ“.

ზნეობა მისი იყო უსპეტაკესი, უსათნოესი.

ყველა ერთად: სილამაზე, სიბრძნე, სიტყვა და ზნეობა მისი — „სანთელი იყო გონიერთა და უგუნურთა, პირველთა განმანათლებელ და მეორეთა დამწუელ. აღვირი იყო უწესოდ მკრთომელთა და დეზ უდებთათვის; კანონი სირცხვილისა მოხუცებულთა და კუერთხი რკინისა ჭაბუკთათვის“.

მისთვის მისი მამული, მისი სარწმუნოება, მისი ზნეობა — უნივერსალური მოვლენა იყო.

უნივერსალური იყო მისი ხელმწიფობაც, რამეთუ არარა საქმე, არცა დიდი და არცა მცირე, მისგან დაუკითხავად და მისი სიბრძნისაგან განუკითხავად არ განესრულებოდა.

იყო საკვირველად თავმდაბალი, გულმოწყალე და დიდსულოვნურად შემწყნარებელი. ჰქონდა „სიმდაბლე (თავმდაბლობა) უზომო, სიმაღლე შეუსწორებელი, სიმშვიდე საქებელი, სიმჭისე (სიმკაცრე) ჯეროვანი, ლმობიერება მოწლე (მოწყალე), მოწყალება თანალმობილი, უმანკოება უზაკველი, სიწრფოება უსიცრუო, სახიერება ზოგად-ყველასათვის, სიუხვე აღუზუავებელი (უამპარტავნო)“.

გაუსწორებელ გამცემთა და ქვეგამხედვართა მიმართაც მუდამ იყო მსაჯული დინჯი და „გაურისხებელი“. მის დროს არც სიკვდილით, არც სხეულის დასახიჩრებით არავინ დასჯილა (თვინიერ მაღალატე გუზან ტაოელისა, და იმასაც თამარის შეტყობინებამდე დასწვეს თვალები). არც ტაჯგანაგებით უცემიათ ვინმე. ყოველივე მკაცრად აკრძალა სწორუპოვარმა ჰუმანისტმა ხელისუფალმა: სიკვდილით დასჯაც, ასოს მოკვეთაც, ჯოხებით ცემაც. ასეთ სისასტიკეთა გარეშეც, დიდი კაცთმოყვარეობით, სიბრძნითა და მიუკერძებელი სამართლიანობით შეძლო თამარმა „ესევითარსა კაცისა უვნებლობასა შინა უვნებლად და მშვიდობით დაჭირვა და მოწურთა კაცთა ქედფიცხელობისა და გონება-ურჩებისა“. ამიტომაც მის

სამეფოში „საყდართა და მონასტერთა დალეწასა ვერვინ იკადრებდა. ქარავანსა ვერვინ ძარცვიდა... ერთიცა ქათამი არსად მოიკლვოდა; მპარავი, ავის-მოქმედი აღარ იყო; თუ ნაპარევი ვინმე ჰპოვის, კარსა ზედა მიიღის და დროშათა ქუეშე დადვის“.

ჭეშმარიტი პატრონი იყო თავისი ქვეყნისა და ხალხისა, „პატრონი ღმრთივ-განათლებული“, გინა „პატრონი ღმერთშემოსილი“.

უმდიდრესი ხელმწიფე იყო, მაგრამ თვითონ სადა, მოკრძალებული, „უქონელი“ ცხოვრებით ცხოვრობდა. მისთვის სავსებით უცხო იყო ჩვეულებრივ მონარქთა „წურბლის მსგავსი ვერ-მაძღრისობა“. ხოლო, ხალხისთვის, ქვრივთა, ობოლთა, გლახაკთა და უპოვართათვის, გასცემდა „სიუხვითა მზეებრითა“.

თვითონ იტყოდა ღიმილით თამარ: „მე ვარ მამა ობოლთა და მსაჯული ქუვრივთა“.

ეკლესიებთან „საზრუნველონი“ დააარსა უქონელთათვის, და „განამდიდრებდა სამზრუნველოთა ეკლესიათა, ქურივთა და ობოლთა და დავრდომილთა, ზოგად ყოველთა ზედა“.

მისი ბრძანებით, საგანგებოდ დადგენილი „სარწმუნონი ზედამდგომელნი“ ყოველი წლის შემოსავალს ანგარიშობდნენ და სახელმწიფოს მთელი შემოსავლის მეათედ წილს ღარიბებსა და ქვრივ-ობლებს ურიგებდნენ, „ყოვლისა ნაათალი გლახაკთა მიეცემოდა დაუკლებლად ერთისა ქრთილისა მარცულამდეცა“. უხვად აჯილდოებდა მეფე ლაშქრად გასულ ყმა-აგრიკოლებს. ამიტომაც მის დროს „აზნაურის ყმანიც მათთა პატრონთა სწორად იმოსებოდეს“.

„გლახაკთა და მოჩივართა გამკითხველს“ გულის სიღრმემდე ებრალებოდა უძლურნი და საპყარნი. თავის მახლობლად დააბინავებდა მათ. თვითონ „ზრდიდის საზრდელითა და ყოვლითა სახმარითა“, საკუთარი ხელით აჭმევდა, საკუთარი ხელით სარეცელს გაუწყობდა, დააწვენდა, დალოცავდა და გაამხნევებდა.

სამაგალითო ქრისტიანი მოწესე იყო ქრისტიან ხალხთა მეუფე. ვითარცა ზეცა და დედამიწა, ისე შორს იდგნენ ერთმანეთისგან ქრისტიანულ-ფილანთროპული ზნეობა თამარ მეფისა და ქრისტიანულ-მიზანთროპული, ანგარებიანი მორალი

ევროპის ჯვაროსანი ხელმწიფეებისა. საქართველოში ისევ უცხო იყო ევროპისთვის დამახასიათებელი სისხლიან ბოროტებამდე აყვანილი რელიგიური ფანატიზმი. თამარმა შესანიშნავად იცოდა ქრისტიანიზმის ცხოველმყოფელი მნიშვნელობა მისი ერის არსებობისთვის, მისი ეროვნული სახის შენარჩუნებისათვის. ამიტომ იყო თამარი უპირველესი ქრისტიანი მოწესე. ამიტომ იყო, რომ მან ყოველთვის, „ვითარ მოწესემან უწინარეს ძილისა ლოცვა და ფსალმუნება გარდაიხადა". ამიტომ იყო, რომ ხალხის, ომში წასული მხედრობისა და სახელმწიფო დროშისათვის ლოცვაში მთელს ღამეებს ქალი-ხელმწიფე შიშველ მუხლებზე დაცემული ათენებდა. ამიტომაც თამარის დროს, თამარის სპეტაკი ცხოვრების შემყურე, ვერავინ — ვერც სასულიეროთაგან და ვერც საეროთაგან—არამცთუ უზნეო ქცევას, უბრალოდ ერთი ბილწიანი და ბიწიანი სიტყვის დაძვრასაც ვერ გაბედავდა.

თამარი იყო ყველაზე დიდი მაშენებელი და მზრუნველი ტაძართა და ეკლესიათა. აღაშენა, აღადგინა, გადააკეთა, გადაარჩინა. ან „რომელნიმე დარღვეულნი აღაშენა", ეკლესიები, ლავრები და სავანენი — პალესტინაში, კვიპროსზე, სინას მთაზე, შავ მთაზე, საბერძნეთში, ათონის მთაზე, პეტრიწონში, მაკედონიაში, თრაკიაში, რუმინეთში, ისავრიაში, კურუხეთში და კონსტანტინოპოლში. აღაშენა, მორთო, მოკაზმა და აურაცხელი ოქრო-ვერცხლითა და საბოძვარით აავსო ისინი, მათი ქრისტიანი მოწესენი, მეცნიერნი-მწიგნობარნი და უთვალავი ქრისტეს-გლახაკნი.

ცისმარე დღეს შეუსვენებლივ იღვწოდა თამარ მეფე. იცოდა „წყნარმა და ნარნარმა, ცნობიერმა და გონიერმა", ადამიანური უქმობისგან წარმოსდგებოდა ადამიანური ბოროტებანი. ყველა დასაქმებული ჰყავდა. „არცა თვითონ უქმობდა და არცა თვისთა ყმათა აუქმებდა".

შრომობდა ქართველი ხალხი. შენდებოდა ტაძრები, სავანეები, სალოცავები, სრა-სასახლენი, ციხესიმაგრენი, გზები, ხიდები, ფუნდუკები, სარწყავ-საირიგაციო ქსელები, ჯებირები, აქვედუკები.

„და გრძელ სადმე არს ყოვლისა მოთხრობილობა, რომელ საბერძნეთს და ყოვლისა ელადას-შინანი მონასტერნი უხუად წყალობად-მოფენილ ყვნა და საქართველოსა მცირითგან

მონასტრით საყდარ-ეკლესიანი არა დაუტევა, რომელ არა წყალობითა აღავსო".

აშენებდნენ, სჭედდნენ, კვეთავდნენ, წერდნენ, ხატავდნენ.

და გაჩნდა მრავალი: „თამარის სასახლე", „თამარის ციხე", „თამარის ხიდი", „თამარის წყარო", „თამარის ეკლესია", „თამარის სავანე", „თამარის ხატი", „თამარის ყელსაკიდი", „თამარის სარტყელი", „თამარის ჭოში".

რად ღირს თუნდაც მხოლოდ გეგუთი, ბეთანია, ყინწვისი და... ვარძია.

ვარძია! გასაოცარი წაშობი ადამიანის გონისა და ხელისა. კლდეში ნაკვეთი ქალაქი, ციხე-სიმაგრე, პასტოფორიონი, სადარბაზო და სავანე...

ვარძია, გეგუთი, კოლა, აგარანი, ტაბახმელა, დური, ნაჭარმაგევი, ნადარბაზევი — აი, საყვარელნი სადგომ-სამყოფელნი თამარ მეფისა.

დიაცი იყო და უყვარდა საქმენი სამამაცონი:

მშვილდოსან-მახვილოსნობა;

ნადირობა;

ჯირითობა;

მხედრობა.

დიაცი იყო და უყვარდა „ხელსაქმარი" სადიაცონი:

მატყლის ჩეჩვა და ძაფის რთვა;

ქსოვა და ბეჭვა;

ჭრა და კერვა;

ქარგვა და კემსვა მანეულებად.

დავით სოსლანს და გიორგი ლაშას მისი ხელით შეკერილი და მოქარგული სამოსელი ემოსათ.

საკუთარი ხელით ნაქსოვს თუ წაკერს საკუთარი ხელითვე აცმევდა ღარიბს, ქვრივს, ობოლს, უძლურს, დავრდომილს.

მრავლად დააბიჯებდნენ ქვეყანაზე „ბედნიერი" მათხოვრები და მაწანწალები — ბედნიერნი, რამეთუ ემოსათ ნახელავნი თამარ შვიდმნათობიერისა...

...„სუემან თამარისამან" სძლია ყოველ ადამიანურ განსაცდელს.

მაგრამ „წარმდინარე ესე საწუთო და ქვე დამზიდავი" ბოლოს მაინც თავისას მოითხოვდა.

ასე უნდა ყოფილიყო, რადგან არც თამარის ძარღვებში ღაედინებოდა იქორი — სისხლი ღმერთთა. და, მაშ, ღვთაებრივი თამარიც სიკვდილის შვილი იყო.

1210 წლის შემოდგომაზე თამარი ნაჭარმაგევს იდგა. სათათბიროდ მოეწვია დარბაზისერნი, „ყოველნი დიდებულნი და წარჩინებულნი“.

თათბირზე არავის შეუმჩნევია, რომ მეფეთამეფე დილიდანვე თავს ცუდად გრძნობდა.

ჩვეულებრივ მშვიდად, ღრმადგონებიერად „იურვნა და განაგნა საქმენი სამეფოსა თვისისანი“, სადარბაზო ბჭობის დასრულებაც მოასწრო და მერე კი თვალი გაუსწორა მოულოდნელად აჩენილ ტკივილს.

რა იყოს ეს?

პირველად მაშინ უნდა მიმხვდარიყო თამარი, რომ იგი მაინც ქალი იყო და „ქალური უმწეობანი“, ბოლოს და ბოლოს, დასჯიდნენ კიდეც „საქმეთა სამამაცოთა“ შებმისა და დაძლევისათვის.

„ზრუნვანი სჭამენ გულს“ — ამბობდნენ ძველი ბერძნები. ხოლო, რამდენი ასეთი „გულის შემჭმელი“ საზრუნავი და საფიქრალი უნდა ჰქონოდა ქალს, ჯერ ვითარცა პატრონს ფეოდალური ვნებათ-ჭიდილით აღსავსე ქვეყნისას, რომლის მოვლაც ვაჟკაც-ხელმწიფეთა შორის სწორუპოვარ დავით აღმაშენებელსაც მისჭირვებოდა. მერე, ვითარცა ქალს, რომელსაც უნდა ჰქონოდა საკუთარი, პირადი „ქალური სამყარო“. და აქაც რამდენჯერ „შესჭამა“ მისი გული იდუმალ დათხეულმა ცრემლმა, „ღამე-ყოველ მღვიძარებამ“ და „გურდემლის მოთმინებით“ ნაფიქრმა სადარდებელმა.

მერე, ნეტარძი, ლაშქრად გასული მხედრობის, ქართველი ხალხის, ქართული დროშებისა და ჯავარდნების სვებედნიერი, ძლევამოსილი და შეურცხვენელი ტარებისათვის, რამდენი დღე-ღამე უსწორებია ამ საკვირველ ქალს, სხეულის განმარღვეველ ბნელსა და ნესტით გატენილ სენაკებში ლოცვად დავარდნილს, რამდენი ღამე თეთრად უცვეთია შიშველ მუხლებზე დაცემულს, ცივი ქვის იატაკზე შილიფად განრთხმულს, უძილარს, მარხულს, ცრემლდაქცეულს და ცრემლჩაქცეულს. რამდენი გრძელი, მტვრიან-ტალახიანი, ეკალ-ბარდიანი, ქვა-ღოჯიანი და ღირღოლოვანი გზა გადაულახავს

საომრად ამხედრებული ქართული ლაშქრის წინ ფეხშიშვლად მიმავალს. ანდა, თვითონ რამდენჯერ ამხედრებული წასძღოლია უმძიმეს ლაშრობას, ვითარცა ვაჟკაცი მოლაშქრე და მხედართმთავარი...

ბოლოს თავისი უნდა გაეტანა ვაჟკაცობასთან შებმულ „დედობრივ უძლურებას“, და გაიტანა კიდეც.

თვითონვე ბრძანა მწარე ღიმილით: „დედობრივმან უძლურებამან განგრძობილთა შინა მხედრობათა არა თავს-იდვა შეუმთხუევლად მიშუება აგებულებისა“.

მაგრამ ეს ბრძანა გვიან, ვიდრე სენი „დღითი-დღე დამძიმდებოდა მის ზედა“, მანამდე არ ამხელდა საშინელ ტკივილებს, „დიდხან ფარვიდა, რათა არავინ შეაწუხოს“.

ნაჭარმაგევიდან ტფილისს გადაიყვანეს ტახტრევანდით. კვლავ მდუმარედ ბოჭავდა მისი მძლავრი, განურღვეველი სული გზაზედ აწლილ სასტიკ „ტკივნეულობას“ სხეულისას.

ქალაქიდან დასოდ („ხშირ ტყედ“) გაიყვანეს, იქნებ ტყემაღნარის სიმშვიდემ, სიმშვენიერემ და ჰაერ-სიწმინდემ მისცეს შვება გვირგვინოსანსო.

მაგრამ კვლავ უფრო „დიდად გაძნელდა სენი იგი უწყალო“.

ისევ ტფილისს მოაბრუნეს, „აგარათა ციხესა“.

ნაადრევად დაზამთრდა.

„და უქმ იქმნა მის ზედა ყოველივე ბუნებათა გამომეძიებლობა მკურნალთა ხელოვნებისა“.

სიკვდილის საუფლოში შედიოდა „სამგზის სანატრელი“ თამარი.

ამაოდ ათევდა ღამეს საქართველო; ამაოდ „იხილვებოდეს ცრემლთა დინებანი მდიდართა და გლახაკთანი სწორებით“. ამაო იყო ვედრება ღმრთისა მიმართ და ღმერთისმიღმიერის მიმართ: ოღონდ გადარჩეს თამარი და სანაცვლოდ „ჩუენ ყოველნი მოგუსრენ!“

„განჩინება წინააღუდგომელი იყო“.

დიდი, მძიმე ზამთარი იდგა.

ძლივს განესრულა ბებერი ღამე „აგარათა ციხესა“.

უკანასკნელმა ცისიერებამ შეანათა თამარის „სასუენებელსა პალატსა“.

ხოლო მზე ამ უკანასკნელ დღესაც ვეღარ უნდა ეხილა

პასდარ მეფე-ჭალს: ხვავრიელ თოელცვენას სრულიად დაეჯ-
შო მზისსამზირი.

უკვე ჩამოერეკა მდუმარე ზარი სიკვდილის ყოვლისმსახ-
ვრალ ხელს. მაგრამ მაინც „მოიღო" თანად მეფე „ბრძენმან
ბრძნისა ნეტარება".

და იწვია დარბაზის ერნი.

და მიმართა სიტყვითა უკანასკნელითა:

„ძმანო ჩემნო და შვილნო! მე ესერა მივიწოდები მსაჯუ-
ლისაგან საშინელისა.... თქუენ ყოველნი თვით მოწამე ხართ,
რამეთუ ჩემთანა მარადჟამს მქონდა სიყუარული თქუენი, და
ვიდრემდის მე ვიყავ თქუენ ზედა მეფედ, არცა რომელიმე
თქუენთაგანისათვის დამიკლია რაიმე პატივი-არზანგი შესა-
ფერისად თქვენივე სათნოებისა. აწ მეცა მივდივარ მამათა
ჩვენთა თანა გზასა ჩემგან უცხოსა... და გევედრებით ყო-
ველთა, რათა მარადის იყვნეთ კეთილსა შინა და კეთილისვე
მახსენებელ ჩემდა. აჰა, ესერა მკვიდრად სახლისა ჩემისა და-
გიტევებთ რომელნი მომცნა ღმერთმან შვილნი ჩემნი, გიორ-
გი და რუსუდან; ეგენი მოიხვენით ჩემ წილ, და მაგათ აღმო-
გივსონ დაკლებული ჩემი".

კათალიკოსს ანიშნა და იმანაც წამსვე მოიღო მაცხოვრის
ხატი და ჯვარიცხოველი.

საქართველო დალოცა თამარმა.

მშვიდობა უსურვა ყველას, მისი სიკვდილის დამსწრეთ.

და აღმოუტევა სიტყვა უკანასკნელი:

„ქრისტე, ღმერთო ჩემო მხოლოო, დაუსრულებელო მეუ-
ფეო ცათა და ქუეყნისაო! შენ შეგვედრებ სამეფოსა ამას,
საქართველოს, პატიოსანთა სისხლითა შენითა მოსყიდულსა,
და შვილთა ამათ ჩემთა, რომელნი შენ მომეც, და მერმე სულ-
სა ჩემსა".

და ამ სიტყვებით მოუკვდა თამარი საქართველოს.

„დედოფალი ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლისა,
ჩრდილოეთისა და სამხრეთისა".

„შვიდმნათობიერი".

„სამგზის სანატრელი და სამებისგან ოთხად თანააღზევე-
ბული".

„სუე-სრულ და ნათელ-ბრწყინვალე".

„მეფეთა ელვა-ცისკროვნება".

„ძესიის მახვილი“.

„ღმრთივ-გვირგვინოსანი მეფე და მეფეთამეფე“.

„შიში და ზარი ყოველთა სულტანთა ზედა“.

„მეფეთა მზე და მზეთაცა მზე“.

„მზეთა მზე და დედოფალთა დედოფალი, შარვანდედთა შორის უმეტეს აღმობრწყინვებული“.

„მარადღე მახარებელი ყოველთა გლახაკთა და დავრდომილთა“.

„სკიპტრისმპყრობელთა ყოველთა უბრწყინვალესი თამარ“...

ერთმპყრობელი მეფობით გამეფდა 18 წლისა, იმეფა 25 წელიწადი, აღესრულა შობითგან 43 წლისა.

და „დასხდიან მგოსანნი გლოვისანი“.

თალხი ჩაიცვა კავკასიელთა სახელმწიფომ.

ტფილისიდან მცხეთამდე ცრემლთა თხევით აკვლია თოვლი „წვრილმა ერმა“.

სვეტიცხოველში დაასვენეს მისი ცხედარი.

იანვრის მიწურულს, როცა თოვლი მცირედად გაწყდა, მცხეთიდან გელათს გადაასვენეს და იქ დაკრძალეს ქართველ გვირგვინოსანთა გვერდით გათხრილ სამატვილეში...

...წარუშლელი კვალი დატოვა სამარადისოდ თამარის სახემ და სახელმა თაობათა ხსოვნაში.

კაცი სახლს აშენებდა, ზედ „აკროსტიხორად თამარის შესხმათა“ აწერდა.

სასიძო საქორწინო ბეჭედზე თამარის სახეს აკვეთინებდა.

მჭედელი მისგან ნაჭედზე თამარის სახელს აჭედებდა.

ყველგან, მთასა თუ ბარში, „თამარის ქებასა მელექსეობდიან“.

ბევრს იმის დაჯერებაც აღარ უნდოდა, თამარი ჩვეულებრივი ადამიანივით მიებარებინოთ მიწისთვის: თამარი გელათს დაკრძალესო, მაგრამ არ უნდა იყოს ეგ მართალი; ცხრა კუბო გამოასვენესო მაშინ სასახლიდან, სულ ოქროთი და თვალმარგალიტით მოჭედილნი, და არავინ იცოდა რომელში ესვენა თამარი; საქართველოს ცხრა მხარეს წაასვენესო და ცხრა ისეთ ადგილს დამარხესო, ძეხორციელს არავის ეპოვნაო მისი ღვთაებრივი ცხედარი... ცხრა კი არა, თორმეტი კუბო იყოო...

არც თორმეტი ქოფილა, უფრო შვიდი იქნებოდა, შვიდმნათობიერისთვის...

...თამარი დაძინების წინ გახდილ ტანსაცმელს სარკმელში შემოჭრილ მზის სხივზე ჰკიდებდაო...

თამარმა შუქურ-ვარსკვლავი დაიჭირა და ყუთში ჩაამწყვდიაო...

სადღაც შორს, „ერაყს მყოფნი მეებნენი, გინა მეჩანგენი თამარის შესხმასა მუსიკელობდიან, ფრანგნი და ბერძენნი, ზღვასა შინა მენავენი, ნიავ-კეთილობათა შინა, თამარის ქებათა იტყოდიან. ესრეთ ყოველი ქვეყანა სავსე იყო მის-მიერითა ქებითა, და ყოველნი ენა ადიდებდა, რომელსაც ოდენ სახელი მისი ასმიოდეს“.

მერე, ბიზანტიაში დიდი პოემა დაიწერა თამარ (დინარ) დედოფალზე. მრავალ ენაზე ითარგმნა იგი, აღმოსავლეთსა და დასავლეთში. რუსეთშიაც ფართოდ გავრცელდა თამარის სახელზე შეთხზული აპოლოგიანი. რუსეთის ხელმწიფე ივანე მრისხანე თამარ ქართველთა დედოფლის გმირული სახელით აღაფრთოვანებდა საომრად აღკაზმულ რუსულ დრუჟინებს. თამარი და მისი ქვეყანა ცოცხლდებოდა კეთილ რუსულ ზღაპარში, თქმულებაში, მატიანეში.

შორეულ ინდოეთში გატაცებით, მოწიწებით და აღტაცებით იხსენიებდნენ საკვირველი სიმშვენიერითა და სიბრძნით შემკობილი ქართველი ქალისა და ხელმწიფის სახელს...

...გაშლილი ქართული დროშით, ამაყი მზერით მიაბიჯებდნენ ქართველი მლოცველები იერუსალიმის ქუჩებში.


ქართული ლავრისკენ მიეშურებოდნენ. თამარის პარაკლისზე მიიჩქაროდნენ...

...იმუსრებოდნენ საუკუნენი.

ხოლო სახელი თამარისა ახალ-ახალი სიცოცხლით ცოცხლდებოდა.

მისი სახელი სალოცავი გახდა საქართველოსთვის.

მისი სახელი უმშვენიერეს სახელნართაულად დაებეჭდა ქართულ სახელმწიფო დროშას — თ ა მ ა რ ი ა ნ ი (ამიერიდან — „გორგასლიან-დავითიან-თამარიანი“).



შალვა ახალციხელი

„... რომელ არა ყოფილა კაცთა შორის მისებრი ჰაბუკი და მეომარი“.
ლაშა გიორგის-დროინდელი მემატიანე.

ერ დიდი თამარის დროს გამობრწყინდა მისი სახელი — შალვა თორელი ახალციხელი. იგი უპირველესი გმირი იყო სახელოვანი შამქორის ომისა, როცა მან თურქთა შუაგული გაარღვია, ხალიფასგან წარმოგზავნილი სახელმწიფო დროშა გამოიტაცა და დროშა იგი, ტფილისში, გამარჯვების აღსანიშნავ ტრიუმფზე, თვითონ თამარ მეფეთამეფის ფერხთა წინაშე დააფინა. იქნებ იმ დღიდან იყო, რომ შალვა ახალციხელი ქალი-ხელმწიფის მთავრობაში მანდატურთუხუცესობის მფლობელი გახდა.

შამქორის შემდგომ, თამარის დროის მრავალ ბრძოლათაგან, ყველაზე დიდი მაინც ბასიანის ომი იყო, და აქაც კვლავ შალვა ახალციხელმა დაჩრდილა ყველა იმდღევანდელი „იმდენი გმირი“, თავისი საკვირველი სიმამაცით და საზრიანობით.

თამარის დროს მისი ძის, გიორგი ლაშას დრო შეენაცვლა, ხოლო მანდატურთუხუცესი შალვა ახალციხელი „შეუნაცვლებლად“ რჩებოდა პირველ გმირად, ბრძოლის ველზეც და სახელმწიფო-საპოლიტიკო ასპარეზზეც. გიორგი ლაშას მარჯვენა ხელად ახლდა ხლათსა და კარნუ-ქალაქზე ლაშქრობათა ჟამს, ხოლო ამის შემდგომ კეჩროლის დასაპყრობად წარგზავნა მეფემ შალვა ახალციხელი.

წავიდა შალვა „ნებიერად“, აიღო კეჩროლი „მისითა ხრმლითა და ომითა მისათხრობელითა“, და მოაქცია იგი ქართულ სამფლობელოთა სამანებში.

და სწორედ მაშინ განეფინა ქვეყანაზე საქებელი შალვა ახალციხელისა: „არავინ არს კაცთა შორის მისებრი ჭაბუკი და მეომარი“...

საომარ ველზე და სახელმწიფო კარზე, შალვას მისი საფერი ღირსებით მოსდევდა მისივე ძმა ივანე ახალციხელი. თამარის დროსვე ქალაქ კარის მმართველობა და მენაპირე სარდლობა მიიღო, მალე ათაბაგობა და ამირთამირაობა უბოძა თამარმა ივანეს. მერე, ბასიანის ომშიც ივანე დიდის სიმამაცით იბრძოდა თავისი გმირი ძმის გვერდით.

ძმათა ახალციხელთა აღზევება გულს უკლავდა და ურისხებდა ძმათა მხარგრძელთა, ზაქარიას და ივანეს. როცა ზაქარია მოკვდა და ივანე მხარგრძელმა ათაბაგობა და ამირსპასალარობა მიიღო, იგი თავის მეტოქედ აღარავის თვლიდა, თვითიერ შალვა ახალციხელისა.

უკვე ასაკმორეული მხარგრძელის ბოღმა ახალგაზრდა ახალციხელისადმი განსაკუთრებით გაიზარდა და გასივდა მაშინ, როცა ამ ქვეყნად აღარ იყვნენ აღარც თამარ შვიდმნათობიერი და აღარც გიორგი ლაშა. არამედ — როცა საქართველოს სამეფო ტახტზე იჯდა რუსუდანი.

სწორედ მაშინ, რუსუდანის გამეფების მეორე და ქორწინების პირველ წელს მოხდა, რომ მონღოლთაგან დამარცხებულმა და შევიწროებულმა ყივჩაყებმა დაუოკებელი მოწოლით დარუბანდის კარები გამოარღვიეს და საქართველოს ქვეშევრდომი შირვანის მთა-ბარს მოედვნენ და მოენთნენ. ყაბალა აიღეს და განძამდე მოატანეს ძარცვით და ტყვევნა-ყლეტით. განძის ამირა, ქუშხარა, მოყვრულად შეხვდა მომთაბარეებს. მან ყივჩაყები ქილქუნის მიდამოებში დაასახლა. ალბათ, მათთან კავშირით განძელი ამირა ქართველთა მბრძანებლობისაგან თავდახსნას აპირებდა. მომთაბარე მძარცველ ურდოს ერთ ადგილზე დიდხანს გაჩერება არ შეეძლო და ყივჩაყები საქართველოსკენ წარმოემართნენ საძარცვად.

გაეგება ათაბაგი და ამირსპასალარი ივანე მხარგრძელი მტერს, მაგრამ დამარცხდა და უკუიქცა იგი. მდიდარი ნაძარცვით და ნატყვენავით დატვირთულმა და ქართველთა მოულოდნელი მარცხით გათამამებულმა ყივჩაყებმა ქუშხარას გამაფრთხილებელ რჩევას არ დაუჯერეს და ხელმეორედ, და უფრო გულმოცემულად, წამოვიდნენ საქართველოსკენ.

ახლა კი შალვა ახალციხელი უჩინა სარდლად ლაშქარს რუსუდან დედოფალმა.

და შეაგება შალვამ ქართველები ყივჩაყებს.

და შეიბნენ.

ქართველებმა სასტიკად დაამარცხეს მტერი მაოხარი. მრავალი ყივჩაყი გაწყვიტეს, ბევრი ტყვედ აიყვანეს. ყივჩაყთა ბელადმა ძლივს გაასწრო სიკვდილს და თავლაფდასხმული დაბრუნდა ქილქუნის ბანაკში. აქედან მან ქუშხარას კაცი მიუგზავნა, მასთან შეხვედრა და ქართველთა წინააღმდეგ ერთიანი ძალებით გასვლა ითხოვა. უკვე ქართველთა გამარჯვებით დამფრთხალმა განძელმა უარით უპასუხა: ჩემი რჩევა თავის დროზე არ დაიჯერეთ და რაც დაგემართათ თქვენს თავსვე დააბრალეთო. მაშინ ყივჩაყებმა ადგილობრივ მუსლიმანთა ხოცვა-ჟლეტა გააჩაღეს. მაგრამ ქართველებმა აღარ დააცადეს. შალვა ახალციხელს ომის ჟამს პაუზები არ უყვარდა და უწყვეტი იერიშებით მიაწვა მტერს. ყივჩაყები ისევ იძლივნენ და უკუიქცნენ ჩრდილოეთისკენ.

კვალში ჩაუყენა შალვამ ქართველები და შირვანელები გაქცეულ მტერს. აუარებელი ყივჩაყი გაწყვიტეს, ან დაატყვევეს. შირვანისა და დარუბანდის ბაზრებზე ტყვე-ყივჩაყი ჩალის ფასად იყიდებოდა.

მხარგრძელს ახალციხელის ბოლმა ახრჩობდა. მით უფრო, რომ იმავე წელს ზედიზედ შეირცხვინა თავი ივანე ათაბაგ-მხარგრძელმა. ჯერ სარმართან სასტიკად დაამარცხეს იგი თურქებმა, ხოლო მეორედ, დვინთან, კიდევაც დაამარცხეს, კიდევაც დაატყვევეს და ბორკილდადებული წაიყვანეს.

რუსუდან მეფემ მაშინ ძლივს გამოიხსნა სამარცხვინო ტყვეობიდან თავისი მთავარსარდალი...

მაგრამ ყველაზე უარესი უბედურება თურმე წინ იდო და, თანაც — უბედურება მთელი ერისა, და არა ოდენ „კეთილ“ თუ „ბოროტ“ კაცისა.

ეს იყო ჯ ა ლ ა ლ ა დ-დ ი ნ ი, ხვარაზმის შაჰის მუჰამედის ძე, მამაცი და თავზეხელაღებული თურქმანი. იგი ერთბაშად გამძლავრებული ჩინგიზ ყაენის მონღოლ-თათრებმა სძლიეს და გამოაქციეს. ჯერ ინდოეთს გაიქცა, მერე ირანს დაბრუნდა, აღმოსავლეთ ირანი სრულიად დაიპყრო, გაიერთ-

გულა, და აქედან, კასპიის სამხრეთიდან შემოვლით, ადარბადაგანისაკენ წამოემართა.

დასავლეთისაკენ ამხედრებულ ჯალალს დაწვრილებითი ცნობები ჰქონდა ქართველთა საუკუნოვანი უძლეველობისა და აზიაში მათი პირველობის შესახებ. უეჭველად ესეც კარგად იცოდა მონღოლთაგან მარცხნაჭამმა და მათგან ლტოლვილმა ჯალალმა — ქართველები აღმოჩდნენ პირველნი, რომელთაც თავიანთ ბექთარზე აისხლიტეს და ქართული ჯავარდნებით უკუაქციეს ყოვლისწამლეკავად აგორებული მონღოლურ-თათრული ტაიფუნი.

ქართველთა სისხლი მოსწყურებოდა მონღოლთაგან ძლეცით გულადუღებულ თურქმანს. მართლაც და, როგორ აღამაღლებდა მას, მონღოლთაგან ძლეულს, ძლევა მონღოლთა მძლეველისა!

მოდიოდა ჯალალ ად-დინი. მოდიოდა და მოუწოდებდა ყველა მუსლიმანს „ცისქვეშეთში“ — იარაღი აიღეთ ქართველ ქრისტიანთა წინააღმდეგ საღვთო ომშიო. და ზედიზედ შეუერთდნენ ირანის ქალაქები. გამოჩენისთანავე ეყმო ქართველთაგან თავზარდაცემული ადარბადაგანის ათაბაგი უზბეგი. ჯალალმა რუმისა და შამის სულტნებთანაც ელჩი აფრინა და შეუთვალა: მთელი ირანი და ადარბადაგანი ქართველების ბრჭყალებს გამოვგლიჯეო, ახლა თვითონ საქართველოსკენ მივეშურები და სისხლსა და ხანძარში უნდა ჩავახრჩო ეს მუსლიმანთა დამანგრეველ-დამამცირებელი ქვეყანაო. ხოლო, თქვენგან მხოლოდ კავშირი და მეგობრობა მწადიაო.

ტფილისშიაც მოვიდა ჯალალის მოციქული. მოვიდა საომარი წვევით.

რუსუდან მეფის კარმაც ასეთი პასუხი გაატანა იმ ელჩს მის მეუფესთან: მამაშენი მუჰამედი შენზე ძლიერიც იყო და შენზე მამაციც, მაგრამ შენ უკეთ მოგეხსენება, რა დღეც დამართეს მას და თქვენს ქვეყნებს თათრებმა. ახლა ისიც გეცოდინება: იგივე თათრები ჩვენც მოგვადგნენ, მაგრამ ჩვენ მათ სულ კუდით ქვა ვასროლინეთო.

ეს უპასუხეს და დინჯად, თვითდაჯერებით შეუდგნენ იარაღის ასხმას. მაგრამ ვაი, რომ არც სიდინჯისთვის და არც თვითდაჯერებისთვის დრო აღარ იყო.

ელვასავით წამოვიდა ჯალალ ად-დინი.

200 000 მუსლიმანმა მხედარმა გადმოლახა საქართველოს სამფლობელოთა საზღვარი არაქსის ხეობაში. სომხითში შემოიჭრნენ და დვინის მისადგომებს შემოენთნენ ცეცხლით და რკინით, „ხოცად და მოსრვად ქრისტიანეთა. ესრედ უწყალოდ მოსრვიდეს, რომელ არც თუ დედათა და ჩჩვილთა ყრმათა რიდებდეს“.

შეიყარა ჯარი ქართველთა, „ყრმათა იმერთა და ამერთა“. რუსუდანმა სეფე-დროშა გადასცა მთავარსარდალს — ივანე ათაბაგს.

უკვე სიბერე შესდგომოდა ივანეს, ფარულად მონაზვნობასაც შესდგომოდა. მეომრული — იღბალიც“ აღარ მოსდევდა ძველებურად. ეჭვი და შური ჩასცივებოდა ბებერი სარდლის გულს: ძალიან შორს გადაესწრო მისთვის მამაცთა შორის უმამაცესსა და უკეთილშობილესს — შალვა ახალციხელს.

ახლაც იქ დგანან ისინი, მეწინავე თორელთა წინ.

ისინი, ძმები შალვა და ივანე ახალციხელნი...

(„ჰოი, შური, ყოველთა ბოროტთა დასაბამო“ — ჟამთააღმწერელი)...

1225 წლის აგვისტოს, დვინის ჩრდილოეთით, სოფელსა და ციხესიმაგრე გ ა რ ნ ი ს თ ა ნ, ერთიმეორის პირისპირ დადგნენ 200 000 მუსლიმანი და 60 000 ქართველი.

ქართველები გარნისთან აღმართულ მთაზე იდგნენ ბანაკად, ხოლო ქვემოთ, ფართოდ გაშლილი ველი ჯალალ ად-დინის მეომრებით გაჭედილიყო.

საღამო ხანი იყო, ბანაკებად რომ დადგნენ მოპირდაპირენი.

წყვდიადმაც მოიცვა ქვეყანა და მთელი ღამე ორივე მხრიდან ისმოდა ბრძოლის წინარე ნერვიული გნიასი და ყარყაში.

გათენდა.

ჯალალს საომრად დაელაგებინა ლაშქარი. შუაში მძიმედ შეჭურვილი მხედრობა დაეყენებინა, მარჯვენა კერძით — მშვილდმოისარნი, ხოლო მარცხენაზე — სულ მთლად ქვეითი ჯარები, რომელთაც სარდლობდა თვით ხვარაზმ-შაჰის ძმა, ღ ი ა ს ად-დ ი ნ ი.

მთელი დღეც ასე პირისპირ დგომაში გაატარეს მტრებ-

მა. ორივე მხარემ იცოდა თავისი საომარი სადგომის უპირატესობა და ორივე გამოსვლასა და შეტევის დაწყებას ერიდებოდა. მუსლიმანებს თავისი რიცხობრივი და ცხენოსან ძალთა უპირატესობის გამოყენება სწორედ იმ გაშლილ ველზე შეეძლოთ და არა მაღალ მთაზე, სადაც ქართველები დაბანაკებულიყვნენ. ასევე სახიფათოდ მიაჩნდა ქართველთა სარდლობას მთის დატოვება და ქვემოთ ფართო ველზე ჩამოსვლა, სადაც მას ურიცხვ მტერთაგან გარშემორტყმა და განადგურება ემუქრებოდა.

როცა ის დღეც ისე უქმსა და დამქანცველ მოლოდინში განესრულა, საღამო ჟამს ჯალალ ად-დინმა თავისი კარავი წინ, მთის ძირის ახლოს გადააწევინა. თანაშემწე ხანებს, ემირებსა და სარანგებს მოუხმო და ბჭობა გამართა. როგორც ეტყობა მტერს საქმის გაჭიანურება და იმ მთაზე დარჩენა გადაუწყვეტიაო, ამიტომ ხვალ ჩვენ თვითონ გადავიდეთ შეტევაზე მთელის ძალებით, ხოლო, თუ ვინიცობაა, მტერმა იერიში დაგვასწროს, მაშინ ისრის მერეხით შევაკავოთო იგი, — ასე განაწესა ჯალალმა.

დილით ადრე იერიში ბრძანა ჯალალ ად-დინმა. მარცხენა კერძი ღიას ად-დინის წინამძღოლობით, მთისკენ დაიძრა. დანარჩენებიც კვალდაკვალ მიჰყვნენ.

ივანე ათაბაგმაც უბრძანა მეწინავე ჯარს — თორ-ჯავახელებს — ჩაგებებოდნენ მტერს.

თორელებიც მაშინვე დაეშვნენ, იარაღის ზრიალით.

წინ შალვა და ივანე ახალციხელები მიუძღოდნენ ხმალამართულნი.

როცა მოიერიშე მტერს მიუახლოვდნენ და თვალი ჰკიდეს, შალვამ მაშინვე ამირსპასალართან შიკრიკი აფრინა და შეუთვალა: მტერი უთვალავი მოდის, ჩვენ შეუდარებლად უმცირესნი ვართ, ამიტომ გთხოვთ ისწრაფოთ და ჩამოგვეშველოთ მთავარის ძალებითო.

მაგრამ პასუხის მოსვლამდე უკანდახევაც არ უფიქრიათ ახალციხელებს. მათ „არღარა რიდეს სიმრავლესა სულტნისა სპათასა“ და „ვითა მხეცნი ზედა მიეტევნეს“.

„და იქმნეს ძლიერი ომნი“.

ხოლო, ათაბაგისგან არც მაშველი ჯარი ჩანდა, არც ბაიბური ისმოდა.

ხელმეორედ აფრინა მალემსრბოლი შალვამ ამირსპასალარ-ათაბაგთან.

აფრინა და კვლავ შეუტია მტერს გულგამხეცებით.

„განგრძელდა ომი“.

ზემოდან თავგანწირული დაწოლით აკავებდა თორელთა ერთი მუჭა ჯარი უწყვეტ ტალღებად მომდინარე მუსლიმაწთა ათასეულებს.

ისევ არ ჩანდა ივანე მხარგრძელისგან არც მაშველი ჯარი, არცრა ბაიბური.

მესამედ აფრინა შიკრიკი შალვა ახალციხელმა.

თხელდებოდა ზღვარგადასული თავგანწირვით მორკენილ თორელთა რიგები.

ცხენები დაუხოცეს ორივე ძმას — შალვას და ივანეს.

ქვეითად იბრძოდნენ, იბრძოდნენ გავეშებით, სიკვდილთან გულგრილი წილყრით.

ისევ არ ჩანდა „გულმხეც“ მხარგრძელისგან არც მაშველი ჯარი, არცრა პასუხი.

აღარც ახალციხელები ფიქრობდნენ მასზე. ფიქრისთვისაც აღარ ეცალა საომარი ცეცხლით დამწვარ გონებას. ისინი მხოლოდ მტრის ჩაბალახიან თავებს ჰხედავდნენ და გაშმაგებით სცემდნენ მახვილებს „იმ ჩაბალახებს“. სცემდნენ და ეცემოდნენ „ჩაბალახები“, მაგრამ ისევ ჩნდებოდა ახალი, ჩნდებოდა და ამოდიოდა უთვალავი, ვითარცა თავები ზღაპრულ დევთა თუ ურჩხულთა გარდაკვეთილი კისრებიდან.

ბრძოლა შენივთდა.

ხოლო, „ვითარცა შენივთდა ძლიერად ომი, ხრმალნიცა ახალციხელთანი განტყდეს ჩაბალახსა ზედა“.

და შუაგადამსხვრეული ხმლებით იბრძოდნენ ახლა ახალციხელები.

ეცემოდნენ სისხლისგან დაცლილი უკანასკნელი თორელნი, ჯავახელნი.

ვინც გადაურჩა, მახლობელ კლდისკენ ივლტოდა თავშესაფარად.

ივანე ახალციხელმა ვეღარ გაუძლო შემზარავ სასაკლაოსთან რკენას და ისიც უკუიქცა გაქცეულთა კვალდაკვალ.

უცებ (მაინცდამაინც იმ წუთს) უზარმაზარი ქვა-ლოდი

დაეშვა კლდიდან, ელვასავით დაქანდა, დაეტაკა და გაიტანა ივანე ახალციხელი უსულოქმნილი.

ხოლო, შალვა იბრძოდა ისევ.

იბრძოდა, ვითარცა ჰერაკლე კენტავრებით გარშემორტყმული.

ბოლოს, ყოველის მხრიდან მიესივნენ მუსლიმანთა გუნდები, — მიესივნენ „სიმრავლითა ფრიადითა“.

მხოლოდ ხმლის ვადა შერჩენოდა გმირს ხელში.

და მკერდი შეუნგრია უახლოეს თურქმანს, ვადა შორს გასტყორცნა და სისხლამოხეთქილ მკერდზე მიაფრინდა დაცემულს, სისხლი პეშვით აართვა და სახეზე შეიქცია უცებ.

ასე ინება, რათა მისი სახე გაფითრებული არ ენახა მტერს.

ასე შეიპყრეს შალვა ახალციხელი, „რომელ არა ყოფილა კაცთა შორის მისებრი ჭაბუკი და მეომარი“.

მიიწურა და მიიჭამა ის ბოროტი დღე.

გარნისის ბრძოლა განესრულა.

ოთხი ათასი ქართველი იწვა უმეტეს მუსლიმან გვამთა შორის.

ივანე ათაბაგი კი ქართველთა ძირითადი ძალებით ხმლის დაუძვრელად გაშორდა ველს. იგი გაიქცა ბიჯნისს და იქ ჩაიკეტა, „საიმედოდ“...

...შალვა ახალციხელი წარუდგინეს გამარჯვებით აღტაცებულ ხვარაზმშაჰს. ყოველმა ადარბადაგანელმა და ნახჭევნელმა მუსლიმანმა იცნო მთელს აზიაში სიმამაცით სახელგანთმული ქართველი გმირი. კიდევაც მაშინვე დაწვრილებით აუწყეს შაჰს ვინაობა შალვასი. უამისოდაც, იმდღევანდელი გმირობა და ვაჟკაცობა კმაროდა შალვას გასაცნობად.

დიდხანს აღტაცებული მდუმარებით ათვალიერებდა ჯალალ ად-დინი უმშვენიერეს ვაჟკაცს. და ჯერ ეს იფიქრა ჯალალმა:

„ადის ტომელს ჰგავს ეს ქართველი“ (ადის ტომი ყურანში იხსენიებოდა, ვითარცა უძლიერესი, უმამაცესი და ამპარტავანი წალხი).

მერე ეს გაახსენდა სულტანს: შალვა ახალციხელი ხშირად ასე იტყოდა, თურმე — ნეტავ ჩემ დროს ყოფილიყო და სადმე შემომყროდა ისლამიტთა ყველაზე მამაცი ხალიფა ალი იბნ აბუ ტალიბი და ვაჩვენებდი ჩემი მკლავის ძალასო, მის სა-

ხელგანთმულ ზულ — ფ ა ყ ა რ ს ა ც („ხერხემლის მკვეთელი ხმალი“) ჩემის ფოლადის ხმლით ჩალასავით მივულეწავდი და მის მონა-სპასაც ჩემს ცეცხლისმფრქვეველ შუბზე ავაგებდიო.

— მაშ, შენა ხარ შალვა ახალციხელი? — ჰკითხა ჯალალმა.

შალვას არაფერი უპასუხნია, არც შერხეულა. ან რა საჭირო იყო პასუხი, ისედაც ხომ კარგად იცოდნენ ვინც იყო.

ავმა ღიმილმა დაუსერა სახე ჯალალს.

— სად არის შენი ვაჟკაცობა, შალვა ახალციხელო, სად არის შენი ხმალი, რომლითაც უნდა დაგემსხვრია ხალიფა ალის ღვთაებრივი ზულ-ფაყარი?

წამით თავის შუაგადამსხვრეული ხმალი გაახსენდა შალვას. მერე ჯალალს თვალი თვალში გაუყარა და მძიმედ ამოიგმინა:

— ჰაი დედასა, რომ ყველაფერი შენმა ბედნიერმა ვარსკვლავმა გადაწყვიტა!

ბედნიერმა ვარსკვლავმაო?!

ფიქრებმა ჩაითრიეს ჯალალ ად-დინი. მერე, როცა საფიქრალიდან გამოერკვა და გამოერჩა, ეს ბრძანა მკაცრად: პატივი მიეგოს შალვა ახალციხელს და სამმართველოდ „მიენიჭოს ქალაქნი ადარბადაგანისანი“ — მარანდი, სალმასი, ურმია და უშნუ.

მეორე დღეს სულტანი დვინისკენ დაიძრა. მისვლისთანავე აიღო დვინი. აიღო და იქაურ ყადის უბრძანა, მუსლიმანი მოსახლეობა ცალკე გამოეყო, ხოლო დანარჩენებს, ქრისტიანებს, მისდგა და ძარცვა და ჟლიტა.

დვინიდან ტფილისისაკენ აპირებდა გალაშქრებას, მაგრამ თავრიზიდან ამირა შ ე რ ე ფ ე ლ მ უ ლ კ ი ს ა გ ა ნ წერილი მოუვიდა, აქ შენს წინააღმდეგ შეთქმულება ეწყობაო. ჯალალი მაშინვე თავრიზს ჩავიდა, შეთქმულებაში ეჭვმიტანილნი ამოწყვიტა და ადარბადაგანი და ნახიჭევანი სასტიკად ააწიოკა.

თავრიზში გამგზავრებამდე ჯალალმა გარნისის ბრძოლისას მარჯვენა ფრთის (მშვილდმოისართა) მეთაურები დაიბარა და უთხრა: ბრძოლაში თქვენ თავი ვერ გამოიჩინეთ, ქართველთა შემოტევას კინაღამ გამოექეცით და, თუ გინდათ ეს ლაჩ-

რობა გაპატიოთ, სანამ მე თავრიზიდან დავბრუნდები, საქართველოს სამხრეთ სამფლობელოებში რბევა-აწიოკება გააჩაღეთ და ჩემს დაბრუნებამდე ფეხი მაგრადაც მოიკიდეთო.

და სანამ ჯალალის ამირები ქართულ და სომხურ სოფელ-ქალაქებს არბევდნენ, მანამ სულტანის დავალებით მისმა სარდალმა, ორხანმა, საქართველოს ქალაქი განძაც წაართვა.

იმავე 1225 წლის დეკემბერში ჯალალ ად-დინმა ყველა წინასწარი სამზადისი საკმარისად ჩათვალა და უზარმაზარი მხედრობით თავრიზიდან ტფილისისაკენ დაიძრა.

მდინარე არაქსთან მცირე ხნით კარვები დასცეს. და აქ მოულოდნელი ამბავი გამჟღავნდა: შალვა ახალციხელი თურმე ტფილისში წერილებს აგზავნიდა და თანამემამულეებს საქართველოში ხვარაზმ-შაჰის გალაშქრების გეგმებს ატყობინებდა. ეს წერილები ჯალალის მსტოვრებს ჩაეგდოთ ხელში და ახლა კარავში მიართვეს მბრძანებელს.

უსაზღვრო რისხვამ აიტანა ჯალალ ად-დინი.

მაშინვე შალვაც შემოიყვანეს მისივ ბრძანებით.

გულის სიღრმემდე შეარყია დიდი მამულიშვილი ამ სამწუხარო ამბავმა. რასაკვირველია, ეს არ იყო წუხილი და შიში სიკვდილისა — ასეთ გრძნობას არც არასოდეს იცნობდა გული შალვა ახალციხელისა. არამედ მისი წუხილი იყო სამშობლო საქართველოზე, რომელსაც მან, ბედისწერის უღმობელი ჩარევის წყალობით, ბოლომდე ვეღარ გაუწია ღირსეული მამულიშვილისთვის შესაფერი სამსახური.

საქართველოს დაეპყრო სრულიად გონება შალვა ახალციხელისა. ამიტომ მას თითქოს არც გაუგია სასიკვდილო განჩინება ავზნიანი მუსლიმანი მბრძანებელისა.

არც ის გაიკარა მისმა გონებამ, პატიებას, სიცოცხლეს და უმაღლეს წარჩინებას რომ სთავაზობდნენ, ოღონდ კი ქრისტიანობაზე ხელი აეღო და მაჰმადიანად მონათლულიყო.

ისევ საქართველოზე ფიქრს აევსო მისი გონება, მისი მზერა, მისი გული, მისი სისხლი, მისი ძვალ-ხორცი.

მდინარის პირას გაიყვანეს.

ისევ მისცეს არჩევანი — ან სიცოცხლე და აღზევება, ქრისტიანობის უარყოფით, ან სიკვდილი დაუნდობელი.

ისევ ურყევად სიკვდილი ამჯობინა გმირმა ქრისტიანობაზე და ქართველობაზე ხელის აღებას.


და შეხვდა სიკვდილს, სამშობლოზე და სარწმუნოებაზე ფიქრით ავსებული.

ჯალათმა ორივე ხელით მოიქნია მძიმე მახვილი...

...ტფილისისკენ უთვალავი მუსლიმური მხედრობა მოჭრილდა.

და ეს მაშინ, როცა იქ მტერს ველარავინ დახვდებოდა ვაჟკაცი — მსგავსი შალვა ახალციხელისა.





ასი ათასი წამებული

ღრუბელი გასივდა და სისხლს წვიმდა.

გილგამეშიანი

ალვა ახალციხელის წმიდა სისხლით განზავებული არაქსის წყალი გადმოლახეს ხვარაზმელებმა. სომხეთში შემოვიდნენ. გამოიარეს ნახიჭევანი, დვინი, გარნისი და ბიჯნისს მოადგნენ.

აქ ივანე ათაბაგი ეგულებოდათ, მაგრამ შეიტყვეს: უკვე მომკვდარიყო საქართველოს მთავარსარდალი. რუსუდან მეფეს ათაბაგად და ამირსპასალარად ივანეს ნაცვლად მისი ვაჟი დაუსვამს — ა ვ ა გ მ ხ ა რ გ რ ძ ე ლ ი.

ჯალალ ად-დინმა ავაგი გამოიხმო: შენთან მოლაპარაკება მწადია, თითო კაცის თანხლებით ერთმანეთს შევხვდეთო.

შეხვედრა შედგა და ჯალალმა უთხრა ავაგს: თავიდანვე მე საქართველოს სამტროდ კი არა, მასთან სამშვიდობოდ და სამეგობროდ მოვედიო. მაგრამ თქვენ ისწრაფეთ და ომი გამიმართეთ, ჩემი ბრალი რაღა არისო. რაც იყო — იყო, ახლა მაინც დავზავდეთ და დავმოყვრდეთ. ალბათ გეცოდინება ჩემი მეფური წარმომავლობა; ვაი რომ ბედმა გვიმტყუნა და მონღოლებმა დაგვამარცხეს. აქეთაც იმიტომ წამოვედი, გაგონილი მქონდა ქართველების მეომრული ბუნება და შემართება, უძლეველობა და მათი ქვეყნის სიმტკიცე და მიუვალობა. ამიტომ მინდა შევერთდეთ, მტკიცე ფიცით შევიკრათ და ერთიანი ძალებით შევუტიოთ მონღოლებსო. კავშირი და ერთიანობა მოყვრობით უნდა განვამტკიცოთ — ცოლად წამომყვეს თქვენი მეფე რუსუდანი, მე მეფე და ის დედოფალი, და ერთიანი ძალით „ვსძლიოთ ყოველთა მტერთა ჩვენთა“, ხოლო უკეთუ ყოველივე ესრეთ არ აღესრულების, მე ნუღარას

დამაბრალებთ, — დაე, „მოოხრდეს სამეფო თქვენი“. ახლა კაცი წარავლინე თქვენს სამეფო კარზე და ყველაფერი აუწყე ჩემი ნება-სურვილი, — დაასრულა სულთანმა.

ავაგმაც შიკრიკი აფრინა ტფილისს.

საქართველოს სატახტო-სადარბაზო გაოცებული და გამწყრალი დარჩა ჯალალ ად-დინის შემოთავაზებით. თვითონ რუსუდანი „განკვირდა“ და მკაცრი ბრძანება აფრინა ავაგათაბაგთან: ასეთი კადნიერება ამიერიდან არცა მოისმინო, არცა კრინტი ვინმემ დაძრასო.

საომარი სამზადისიც ბრძანა ხელმწიფემ.

ოვსთა, ლეკთა და ყივჩაყთა ჯარებიც გადმოიხმეს ჩრდილოეთიდან.

როცა ჯალალმა ქართველ მესვეურთა პასუხი შეიტყო, ცოფითა და გესლით გაივსო.

ცეცხლითა და მახვილით წამოემართა ტფილისისაკენ. გზად ააოხრა გელაქუნი, გაგი. გადმოლახეს ალგეთი და სადღაც ალგეთის მარცხენა მხარეს გადაეღობნენ ქართველები მტერს.

მძლავრი იერიშით უკუაქციეს ქართველებმა ხვარაზმელნი. მაგრამ ჯალალმა ერთ ვიწრო ხევში შეიტყუა დადევნებული მოპირდაპირე და ორივე მხრიდან ჩასაფრებული ჯარები შემოუსია მოულოდნელად. ქართველებმა თავგანწირული ხმალთაკვეთებით ალყა ძლივს გაარღვიეს და გაქუსლეს.

ტფილისისკენ მტერს გზა გახსნილი ჰქონდა.

1226 წლის სუსხიანი ზამთარი იდგა.

104 წელიწადი გასულიყო დავით აღმაშენებლის კურთხეული ხელით ტფილისის გათავისუფლებიდან.

104 წელიწადი არ ენახა გადამთიელი საქართველოს წმინდა სატახტო ქალაქის კედლებს.

და კვლავ მოვიდნენ ისინი, ქართველი ხალხის მარადჟამეულ მოსისხარნი, ბუღა თურქის და აბულ კასიმის უსასტიკესი ორეულის წინამძღოლობით.

როგორც რუსუდანმა ხვარაზმელთა მოახლოების ამბავი შეიტყო, მაშინვე ქალაქის დაცვის მეთაურობა ორ ძმა ჯაყელს ჩააბარა — მ ე მ ნ ა ს და ბ ო ც ო ს. ხოლო თვითონ რუსუდანმა თავისი შვილებით დასავლეთ საქართველოს მიაშურა და ქუთათისის სასახლეში დასახლდა.

ჯალალ ად-დინი მტკვრის მარჯვენა ნაპირს გამოჰყვა და ტფილისის ახლოს დასცა ბანაკი.

პირველი უძილო, მშფოთვარე ღამე გაათია საქართველოს სატახტომ მძვინვარე მტრის პირისპირ.

მეორე დილით, ადრე, ჯალალ ად-დინმა ბანაკიდან 3000 ხვარაზმელი მხედარი აირჩია და ტფილისის კედლებისკენ გასწია.

მემნა და ბოცო ჯაყელებიც ციხიონის ერთი ნაწილით „განძის კარს“ გარეთ გამოიჭრნენ და მტერს გულდაგულ ეკვეთნენ.

„და იქმნა ბრძოლა ძლიერი“.

„და ბრწყინვალე ბრძოლა აჩვენეს ქართველთა“.

ღამემ „მოკავშირედ“ მოუსწრო დამარცხებულ ჯალალს.

მძიმე საფიქრალს მიეცა იგი.

იქნებ, წასვლაც სჯობდეს, სანამ გვიან არ არის?!

და მოულოდნელი მხრიდან გამოუჩნდა „კეთილი მეკვლე“ ხვარაზმ-შაჰს: თვითონ ტფილისიდან!

ისევ ღალატის გზით უნდა მისცემოდა უწყალო მტრის ხელს საქართველოს დედაქალაქი!

ტფილისში მცხოვრები მუსლიმები შეთქმულან თვითონ ტფილისის დასამხობად. მათ იმ ღამით კაცი მიუგზავნეს ჯალალ ად-დინს და დაარწმუნეს: როგორც კი შენ გარედან შემოუტევ, ჩვენ შიგნიდან კარებს გაგიღებთ და შენის მხედრობით ქალაქში შემოგიშვებთო...

დილით მთელის მხედრობით წამოიმართა და წამოემართა ჯალალ ად-დინი.

„განძის კართან“ გაჩნდნენ ძმები ჯაყელები ლაშქრით.

მცველთა შორის მუსლიმები სჭარბობდნენ.

როგორც კი იერიშზე წამოსულ ხვარაზმელთა ღრიანცელი მოახლოვდა, მემნამ და ბოცომ ჯარს თვალი მოავლეს, იარაღი მოისინჯეს და მუზარადებს გადასწვდნენ.

ბოცომ მოასწრო მუზარადის დახურვა.

ხოლო, ვეღარ მოასწრო მემნამ: ზურგიდან მიეჭრა რომელიღაც ტფილისელი სპარსელი და ორივე ხელით შიშველ თავზე უხეთქნა ხმალი.

უსულოდ გადმოეშვა უნაგირიდან მემნა ჯაყელი.

ერთურთს მიესივნენ მუსლიმები და ქრისტიანები.

იმძლავრეს მუსლიმებმა და განახვნეს „კარნი განძისა“.

გრიგალივით შემოიჭრა ხვარაზმელთა ურდო ტფილისში.

მცირერიცხოვან პატრიოტთა ციხიონმა ვეღარ შეაკავა ზღვა-მტერი და, სანამ გვიან არ იყო, ისნის ციხესიმაგრეში შეხიზნა იგი ბოცო ჯაყელმა.

დაიწყო ხალხის აწიოკება.

აწიოკებაო?!

ჯალალ ად-დინს წინასწარვე გაეცა ბრძანება: არ დაინდოთ ქრისტიანთაგან — ქართველ-სომეხთაგან — არც კაცი, არც ქალი, არც დიდი, არც პატარა, არავითარი დატყვევება — ყველას სიკვდილი, სიკვდილი, სიკვდილი!!.

„ვინ-მე უძლოსა მაშინდელთა თქმულთა და ქმნილთა და განსაცდელთა, რომელი ქრისტიანთა ზედა?“

გამხეცებული ხვარაზმელები ჩვილ ბავშვებს დედებს მკერდიდან აგლეჯდნენ და თავებით ქვაფენილზე ანარცხებდნენ, მერე წუხილით შეშლილ დედებს ტვინდათხეულ შვილებს ზედ აკლავდნენ. მოხუცებულთ ცხენთა ფლოქვებით სრესდნენ და ნაწლავებს აყრევინებდნენ. ჭაბუკებს ჰკოდავდნენ და საწულოებს ჰკვეთავდნენ. ბორცვებად ეყარნენ დახოცილნი — ყელგამოღადრულნი, ზურგნაძგერალნი, ალმედად ნაჩეხნი, იღლიაში იატაგან-დაკრულნი.

ქუჩებში „სისხლისა მდინარენი დიოდეს“.

„ტვინი კაცთა, დედათა, ბერთა, ჩჩვილთა, თმა და სისხლი, თავი მხართაგან განშორებული, ნაწლევნი ცხენთა მიერ დათრგუნვილნი, ურთიერთას აღრეულ იყო“.

„ჰოი, სალმობიერი ღაღადი და დიდი ღაღადი ცრემლთა!“

ირყეოდა და ირღვნებოდა ცარგვალი ტფილისისა, „ყვირილითა და ზახილითა და ვაებათა საზარელთა ხმათაგან იძვროდა ქალაქი“, ვინ ვის დაჰკიოდა და დაჰბღაოდა „„ზოგნი საყვარელთა შვილთა, ზოგნი ძმათა და მამათა, ცოლნი ქმართა და ქმარნი ცოლთა უპატიოდ მკვდარმდებარეთა, ცხენთა მიერ დათრგუნვილთა და ფოლოცთა შინა ძაღლთა მიერ ზიდულთა“.

მტკვარი სისხლით შეიღება და გვამებით გაიჭედა.

ისნის ციხე მაინც მედგრად უმკლავდებოდა მტერს. მეფე რუსუდანმა „მრავალგზის“ ბრძანება მიუგზავნა ბოცო ჯაყელს — უნაყოფო წინააღმდეგობას თავი მიანებე და ციხე დატოვეთ. ბოცო ერთხანს უარს ამბობდა დანებებაზე. მაგრამ ბოლოს და ბოლოს, როცა ხვარაზმელთა ალყა და იერი-

ში უარესად გამძლავრდა და გააფთრდა, ის ციხიონის სიცოცხლის შენარჩუნების საფასურად, ისნის ჩაბარებაზე დათანხმდა. ჯალალ ად-დინიც ასეთ პირობებზე თანახმა გახდა და ბოცომ ციხის გასაღები გამოგზავნა. ქართულმა ციხიონმა საქართველოს სატახტო დატოვა.

ხვარაზმელებს ახლა უფრო თამამად შეეძლოთ „გამხეცებულიყვნენ“.

თვითონ ჯალალმა ისნის ხელთგდების შემდგომ „ქვლავ იწყო უბოროტესთა ბოროტთა ქმნად ქრისტიანეთა ზედა. ესოდენ მძვინვარედ მოსრვიდა, რომელ სავსე იყვნენ ფოლოცნი, ხრამნი და ხნარცვნი მოკლულთა მიერ და უმრავლეს მკვდართა მტკვარსა შეუტეობდეს“.

საიდანღაც გამოხოხდა მოღის ედ-დინი, რუსუდან მეფის უგერგილო ქმარი, ჯალალ ად-დინს მუხლებში ჩაუვარდა, სამუდამო ერთგულება აღუთქვა, ქართველთაგან თავსმოხვეული ქრისტიანობა განაგდო და ისევ მაჰმადის ფერხთა მტვრად გამოაცხადა თავი. ჯალალს უკვე ჰქონდა ცნობები, რომ რუსუდანის სასახლის კარზე ეს წინდაცვეთილი ქრისტიანი მხოლოდ და მხოლოდ სათამაშო ტიკინა იყო და დედოფალი ხელმწიფე ძაღლადაც არ აგდებდა ქმარს. ამიტომაც უნდა დარწმუნებულიყო ხვარაზმ-შაჰი მოღის ედ-დინის გულწრფელ მონანიებაში. კიდევაც დარწმუნდა ჯალალი, კიდევაც აპატია ადრე მაჰმადიანობის უარყოფა და საჩუქრებიც გაიმეტა მისთვის.

სისხლით „უძღებობა“ კი გრძელდებოდა.

მერე, ვითომ სისხლიც მოყირჭდაო, ეს ბრძანა სულთანმა: სიცოცხლე აჩუქეთ, მაგრამ აჩუქეთ მხოლოდ იმათ, ვინც ქრისტიანობას დააგდებს და მაჰმადის სჯულს შეუდგებაო. ზოგმა ქართველმა და სომეხმა, საშინელი კაცთაკვლით შეძრწუნებულმა, მართლა დათმო ქრისტიანობა, მაგრამ დიდმა უმრავლესობამ მაინც არჩია გვირგვინი წამებისა.

მაშინ სულ გამხეცდა ჯალალი: თავის მეომრებს უბრძანა, ურჩი ქრისტიანი მამაკაცები შეეპყროთ და ძალით წინა-დაეცვითათ... მერე, ეკლესიების ძარცვა, შებილწვა და „საფუძვლადმდე აღფხვრა“ ბრძანა. თვითონ სიონის ლავრიდან წმიდა ჯვარი ჩამოაგდო და მიწაზე დაანარცხა. გუმბათი სულ გადაანგრია სიონს და მის ადგილზე თავისი „ბილწი საჯდო-

მი“ დაიდგა ზედ საგანგებოდ აღმართული „მაღლითა და გრძელითა განხიდული“ ფიცარნაგით ადიოდა და იქიდან ჰხედავდა იავარქმნილსა და აწიოკებულ ქალაქს. იქიდანვე იძლეოდა ახალ-ახალ ბრძანებებს ახალ-ახალ „უბოროტესთა ბოროტთა ქმნად“.

კვლავაც „სიახლე ახალი“ ესე ჰქმნა ავზნიანმა ჯალალმა: სიონის ტაძრიდან მაცხოვრისა და ღვთისმშობლის ძვირფასი ხატები გამოატანინა და მისგანვე აგებული „ხიდის“ შესასვლელთან პირაღმა დააყრევინა. და ბრძანა — რიგრიგად მოეყვანათ ყველა ქრისტიანი, კაციც და ქალიც, ყველას ცალკეულად ჩაეწიხლა და დაეფურთხებინა იმ ხატებისათვის, და ფიცით უარეყო ქრისტეს სჯული. ხოლო, ვინც ამას არ აღასრულებდა, იქვე თავი წარეკვეთათ და მტკვარში ესროლათ.

და იჯდა ჯალალი სიონის ნაგუმბათევზე, გესლიან-გვესიანი ღიმილით სახედაბრეცილი, და ხედავდა, როგორ მოჰყავდათ მის აფთრადქცეულ მეომრებს ქართველები და სომხები, როგორ ჯიქდებოდნენ და იბრძოდნენ ისინი, როგორ ჰკვეთდნენ თავებს და როგორ ტყორცნიდნენ მტკვარში თავთა და ტანთა ცალცალკე. მხოლოდ მცირე სულმოკლენი შეურაცყოფდნენ წმიდა ხატებს და უარჰყოფდნენ ქრისტიანობას...

აუარება ხალხი გაწყდა.

100 000 ტფილისელის სიცოცხლე შეეწირა მაშინ უცხო ველურთა მახვილს! ორჯერ მეტი, ვიდრე უსაშინლესი მიზანთროპის — ბუღა თურქის დროს.

ახლა, ძარცვა და რბევა! დამპყრობლებმა უკანასკნელ ბეწვამდე გაძარცვეს და ძვლებამდე გააშიშვლეს ტფილისი. ძარცვა-გლეჯისას არ დაუზოგავთ არა მარტო ქრისტიანები, არამედ მაჰმადიანებიც, რომელთა წყალობითაც მოახერხეს ხვარაზმელებმა ქალაქის დაუფლება. უკვე მრავალი წლის მანძილზე გაუძარცვავი და გამდიდრებული ქალაქის საუნჯეთა პატრონი შეიქნა ჯალალ ად-დინი და მისი ბოროტი მხედრიონი. სულთანის წინაშე მოჰქონდათ უთვალავი განძეული და ბორცვებად ახვავებდნენ. ყველაფრის აღნუსხვაც შეუძლებელი გამხდარა. გაწაფულ მდივან-მწიგნობრებსაც ხელი ექანცებოდათ. ყოველივეს აღსანუსხავად საწერელი გრაგნილებიც აღარ ჰყოფნიდათ...

მთელს ქვეყანაზე გავარდნილიყო ამბავი „უძლეველი საქართველოს“ სატახტო ქალაქის დაცემისა და იავარქმნისა.



დემეტრე თავდადებული

გი იყო ძე მეფე დავით VII ულუსი, შვილიშვილი გიორგი ლაშასი, შვილიშვილის შვილი დიდი თამარ მეფეთამეფისა.

დაიბადა 1260 წელს, საქართველოში მონღოლთა გაბატონების 25 წლის თავზე.

დედა არ ახსოვდა, რადგან იგი — პირმშვენიერი გვანცა — უფლისწულის დაბადებიდან ერთი წლის თავზე მოკლეს მონღოლებმა.

მამითაც ადრე დაობლდა, 10 წლისა.

კიდევ ერთი წელი და მონღოლთა მბრძანებელი, აბაღა ყაენი, დათანხმდა აღმოსავლეთ საქართველოს ტახტზე დამჯდარიყო თერთმეტი წლის ქართველი უფლისწული.

მაშ, იღგა 1271 წელი და მეფობას იწყებდა დემეტრე მეორე, რომელსაც საისტორიო ფორტუნისაგან მამულისათვის წამებული გმირის სახელი ელოდებოდა...

1277 წელს 17 წლის დემეტრემ აბაღა ყაენის საომარი წვევა მიიღო. მონღოლთა მბრძანებელი ეგვიპტის სულტანის, ფუნდუყარ ბეიბარსის წინააღმდეგ აგზავნიდა ლაშქარს. ქართველთა მეფეც მაშინვე გაეშურა 3000 მეომრით.

აბაღამ ეგვიპტელებთან საომრად გამოსვლა უბრძანა აგრეთვე რუმ-იკონიის მაშინდელ სულტანს, ფარვანას, რომელსაც მაშინ ცოლად ჰყავდა რუსუდან ქართველთა დედოფლის მშვენიერი ასული, თამარი.

ჩრდილოეთ მესოპოტამიაში, ევხაიტთან დაბანაკებულ თათართა, ქართველთა და რუმელთა ერთიან ლაშქარს სრუ-

ლიად მოულოდნელად, „ჟამსა განთიადისასა“, თავს დაეცა ეგვიპტელთა მხედრობა.

„და იქმნა ძლიერი ბრძოლა, სადა-იგი მხნედ ბრძოლა უყვეს ქართველთა, რომე თათარნი განკვირდეს“.

საოცარი სიმამაცე გამოიჩინა ჰაბუკმა მეფემ. მაგრამ მისი გულადობა და გულმოდგინება ძვირი დაუჯდა ქართველობას. თათართა „განკვირვების“ საფასურად, სამი ათასი ქართველიდან თითო-ორორა გადაურჩა სიკვდილს.

ნაადრევად უკუიქცნენ ბრძოლის ველიდან რუმელი თურქნი. ეგვიპტელებმა გაიმარჯვეს.

მომდევნო 1278 წელს მონღოლებმა გილანს გაილაშქრეს, რადგან გილანი ამდენ ხანს მონღოლთაგან დამოუკიდებლად თვლიდა თავს არც ეს ლაშქრობა ჩატარებულა ქართველთა მონაწილეობის გარეშე. არც ამ ბრძოლაში დაუტოვებიათ „განკვირვების“ გარეშე მონღოლები ქართველებს მათთვის ჩვეული „თავგამოდებითა“ და „თავგადაკვდომით“. აქაც „ქართველნი მიეტევნეს მხნედ და აოტნეს გილანელნი“. მაგრამ მთაკლდოვანი და ციხესიმაგროვანი გილანის დაპყრობა მაინც ვერ შეძლო მონღოლ-ქართველთა გაერთიანებულმა ლაშქარმა.

1280 წელს მოკვდა ეგვიპტის სულტანი ფუნდუყარი და მის ნაცვლად ტახტზე დაჯდა მ ე ლ ი ქ მ ა ნ ს უ რ ი. აბაღა ყაენმაც გადაწყვიტა ეგვიპტელთაგან მიღებული მარცხისთვის სამაგიეროს გადახდა. 25 000 მონღოლი შეჰყარა და თავისი მეშვიდე ძმა, მ ა ნ გ უ დ ე მ უ რ ი უსარდლა.

დემეტრე მეფეც სასწრაფოდ გამოცხადდა 5 000 ქართველით.

სამცხე მაშინ საქართველოს ტახტისგან ცალკე და უშუალოდ ყაენის სახასოდ ითვლებოდა. და სამცხის ახალ მთავარს, ბ ე ქ ა ჯ ა ყ ე ლ ს ა ც მოუვიდა მონღოლთაგან საომრად წვევა. და სამცხის ერისთავიც მესხთა ჯარით მონღოლთა საომარი დროშის ქვეშ დადგა.

პირველი დიდი ბრძოლა ეგვიპტელებსა და ყაენის ჯარებს შორის გაიმართა ქალაქ დარბუზაკთან, სირიაში. აქ გასაოცარი გმირობითა და შემმართებლობით ყველა დაჩრდილა ბექა ჯაყელმა და მისმა მესხებმა. კედელი შეანგრიეს მესხებმა და შეუკავებელი სმალთაკვეთებით შეუძღვნენ დანარჩენ

მონღოლ-ქართველთა ლაშქარს ქალაქში. გამარჯვებულმა მანგუ დემურმა „ღირსეულად“ დააფასა მესხთა და მათი ბელადის „განსაკვირველი“ თავდადება: მან „მაშინ პატივი უყო ზექასა, შესამოსელთა და ცხენთა საკვირველთა მინიჭებითა, ეგრეთვე დიდებულთა და აზნაურთა ბექასათა“.

(ჭეშმარიტად, „ძვირად ფასობდა“ ჰაიჰარად დაქცეული ქართული სისხლი!).

დარბუზაკის დაცემის შემდეგ, 1281 წლის 30 ოქტომბერს, ქალაქ ამასიასთან შეხვდნენ ერთმანეთს მოწინააღმდეგენი. თვითონ ეგვიპტის სულტანი მელიქ მანსური მოვიდა ბრძოლად „ყოვლითა ძალითა მისითა“.

ისევ ითხოვა „წინამბრძოლობა“ დემეტრე მეფემ, ნება მიიღო და გავიდა ორასი რჩეული ქართველით წინა ხაზზე.

ეგვიპტის სულტანს კარგად სცოდნოდა ქართველთა შემმართებლობის ამბავი, მათი ჭაბუკი მეფის „საქმენი საგმირონიც“ ეცნობებიათ მისთვის. ამიტომ, რომ მელიქ მანსურმა წინ გამოსული ქართველთა ჯარი და მის სათავეში ამხედრებული ახოვანი მეფე შენიშნა, მაშინვე 12 000 რჩეული მხედრობა წინ დაიყენა მამაცი მთავრების, ყარა-სონღულისა და იაყუბ მაშრაფის სარდლობით, და უბრძანა მათ: გადამწყვეტ ჟამს, „განძლიერებასა და შენივთებასა ბრძოლისასა“, მხოლოდ ქართველებს უნდა შეუტიოთ და გააქციოთ მთელის სიშმაგითო.

შეიბნენ „და იქმნა ბრძოლა სასტიკი და ძლიერი, ოდესმე ყოფილთა და გარდასრულთა ბრძოლათა უდიდესი“.

ორასმა ქართველმა, მეფის წინამძღოლობით, შუაკერძი გაარღვია და მტრის მარცხენა ფრთისკენ გაიწია საშინელი ხმალთაკვეთებით — იქეთ, საიდანაც ფრიალებდა ეგვიპტელთა სასულტნო დროშა.

იმავდროულად მონღოლთა მხედრობა ეგვიპტელთა მარჯვენა ფრთას ეძგერა.

ბრძოლა შენივთდა.

მაშინ დასძრეს თორმეტი ათასი „საგანგებო“ მხედარი ყარა-სონღულმა და იაყუბ აფრაშმა, და მიესივნენ მოიერიშე ქართველთა რაზმს გავეშებულნი.

და მალე ორასი ქართველი აღარ იყო ორასი.

ყარა-სონღულმა შუბის ძგერებით ცხენი მოუკლა დემეტრე მეფეს.

ძირს დაცემამდე გადმოევლო უნაგირს მეფე და ქვეითად შეუტია „მხეცქმნილმა“.

უარესი გაფიცხებით მიჰყვნენ ქართველები, „და უმრავლესნი მეგვიპტელნი მოისრნეს“.

მაგრამ მოისრა ქართული რაზმიც.

ორასიდან მხოლოდ სამი მეომარი შემორჩენოდა დემეტრე მეფეს.

ის იყო, ეს უკანასკნელი ოთხი ქართველიც უნდა დაცემულიყო, რომ ა ბ ა შ ი ქ ა ნ ა ლ ი ძ ე მ საკუთარი ცხენი მოართვა მეფეს.

დემეტრე წამსვე ამხედრდა და იმავ დროს 4 800-მა ქართველმაც მიატანა საბედისწერო რკალში ჩაჭედილ მეფემდე.

ომი ეგვიპტელთა მარცხენა კერძზე ახალის ძალით გაჩაღდა. ქართველები თითქოს ახლა იწყებდნენ ბრძოლას.

და „იძლივნენ მეგვიპტელნი, მეოტ იქმნეს ყარა-სონღულ და იაყუბ“.

უკან გამოენთნენ ქართველები აღტაცებული ყიჟინით.

მაგრამ ეგვიპტელთა მარჯვენა კერძს უკვე დაემარცხებინა და უკუექცია მონღოლთა ლაშქარი. თვითონ მთავარსარდალი მანგუ დემური დაიჭრა და ძლივს გამოასწრო სიკვდილს.

ზურგიდან გზა გადაუჭრეს მონღოლთა ფლანგის მძლეველმა ეგვიპტელებმა მათ შუაგულში შეჭრილ ქართველობას.

დიდხანს იბრძოდნენ ყოველის მხრიდან გზამოჭრილი ქართველები: დღის მიწურულს, როგორც იქნა, საბედისწერო სალტე გამოარღვიეს და გამოაღწიეს.

4 000 ქართველის გვამი ესვენა ეგვიპტელთა და თათართა გვამებით დატვირთულ ველზე...

...მეფე დემეტრე მეორე წინაპართაგან ყველაზე მეტად თავის ბაბუას — გიორგი ლაშას ჩამოჰგავდა. ჯერ, გარეგნულად ლაშასაებრ მშვენიერი და მომხიბლავი ვაჟკაცი იყო — „ტანითა ახოვან, ფერითა ჰაეროვან, შესახედაოდ ტურფა, თმითა და წვერითა მწყაზარ და შვენიერ, თვალითა გრემან, ბეჭ-პრტყელ და შეწყობილ სამხედროთა წესითა, სრული ცხენოსანი და მშვილდოსანი რჩეული, უხვი მოწყალე და

მდაბალი, გლახაკთა, ქვრივთა და დავრდომილთა მოწყალე, რომელ არა სმენილ არს ნათესავი მეფეთა და გინა სხვათა კაცთა“.

ჩვევად ჰქონდა, ღამღამობით სასახლიდან გავიდოდა ფულიანი ქისებით. ქალაქს ჩამოივლიდა და, სადაც უსახლკაროდ დაგდებულ ღარიბს, გლახაკს, ობოლსა და დავრდომილს იპოვნიდა, ყველას ფულს დაურიგებდა. მეფის ეს ჩვეულება ისე იყო სახელგანსმენილი, რომ უპოვარნი და უქონელნი თვითონაც გამოდიოდნენ და ღამით ქუჩა-ბანდებში დაეხეტებოდნენ, რათა სადმე გადაყროდნენ მათ სამწყალობლოდ გამოსულ მეფეს.

ბუნებითაც ლაშასაებრ „თვითბუნება“ იყო დემეტრე მეფე. მშენებლობა კი უყვარდა, მონასტრებიც მრავლად ააშენა (მათგან — მეტეხის შესანიშნავი ტაძარი), მრავალი შესაწირავიც შესწირა, საეკლესიო მოწესეებსაც „საზრდელი და სამოსელი“ გაუჩინა, კიდევაც ლოცულობდა, კიდევაც მარხულობდა, მაგრამ ნიკოლოზ კათალიკოსი მაინც ბოლომდე თანმიმდევრულ ქრისტიანად არ მიიჩნევდა მეფეს.

მეფის ყველაზე სათაკილო ცდომილებად ეკლესია მის მრავალცოლიანობას მიიჩნევდა. დემეტრე სამჯერ იყო ნაქორწინევი. ჯერ, ცამეტი წლის ყმაწვილმა ცოლად შეირთო ტრაპიზონის კეისრის ასული, რომლისგანაც მას ხუთი შვილი შეეძინა: ვაჟები — დავითი, ვახტანგი, ლაშა, მანოველი, და ერთი ასული — რუსუდანი. დემეტრეს მეორე ცოლი იყო მონღოლი ქალი, სახელად სოლღარ, რომლისგანაც მას გაუჩნდა კიდევ ორი ვაჟი და ერთი ქალი: ბაადური, იადგარი და ჯიგდა-ხათუნი. ხოლო მესამე ცოლად მეფეს ჰყავდა ბექა ჯაყელის ასული — ნათელა, რომლისგანაც დაიბადა ძე — გიორგი (მომავალი მეფე გიორგი ბრწყინვალე).

დემეტრე მეფე შფოთით, კაეშნითა და სულიერი ზადიერებით აღსავსე დროის შვილი იყო და მას, ერთს, თუნდაც მამაცსა და გულუშიშარ რაინდს, არ შეეძლო წაღმა დაებრუნებია ავი საისტორიო ბედისწერისგან ისე უკუღმართად დატრიალებული ცხოვრების ჩარხი. მისი მძლავრი მხარ-მკლავი მაინც უმწეო იყო, ქართველი ხალხის კისრიდან ჩამოეგდო ის უმძიმესი უღელი, რომელიც მსოფლიოს უმრავლეს ხალხთა ქედს ჩაჰკირვოდა ისე სასტიკად. ასეთ ბოროტ დრო-

ჟამს, ნივთიერ სიდუხჭირესთან ერთად, ბევრი სულიერი ხინჯიც („ყოვლით კერძო ბოროტ“) მოჰქონდა. დემეტრე მეფეშიც მისი თანამედროვეობა ჩასახლებულიყო მთელი თავისი წინააღმდეგობებით: იგი პირდაპირი რაინდიც იყო და უპრინციპო რენეგატიც. დაკვირვებული ბრძენიცა და თავზეხელაღებული ავანტურისტიც, თავმდაბალიც და ამპარტავანიც, უხვიც და ანგარიც, საზოგადო კაცთმოყვარეც და პატივმოყვარე ეგოისტიც.

მაგრამ ჯერ არ დამდგარიყო „გადამწყვეტი ჟამი“ მეფე დემეტრეს ცხოვრებაში.

ჯერ არავინ იცოდა, რომ მასში, თურმე, დიდი, კაცობრიული გმირი ცხოვრობდა...

...1284 წელს ილხანურ-ირანული მონღოლეთის ყაენი შეიქნა არღუნ აბაღას ძე. მისი უპირველესი მრჩეველი და კარისკაცი გახდა ბუღა ნოინი, დემეტრე მეფის მზახალი (დემეტრეს ასული, რუსუდანი, ცოლად წაეყვანა ბუღას ძეს). ასეთი სიახლოვე კი იმას მოასწავებდა, რომ ახალი ყაენის კარზეც ქართველთა მეფე პატივით უნდა ყოფილიყო მიღებული. მართლაც, რაკი „ყაენი ხელთა შინა ბუღასათა იყო“, ურდოში მისულ დემეტრეს ყველაფერი „სასურველ დონეზე“ დახვდა. არღუნმა იგი დიდის პატივითა და თავაზით მიიღო და საქართველოს გვირგვინოსნობაც ხელახლა დაუმტკიცა.

თითქოს ყოველივე ჩაწყნარდა და ჩამშვიდდა. რაკი ურდოს პირველი ვაზირი მფარველობდა და „მის ხელში მყოფი“ ყაენიც სწყალობდა, დემეტრეს შეეძლო მშვიდად, სისხლდაუქცევლად ეცხოვრა, ხალხის შერყეული სულიერი მდგომარეობა აღემაღლებინა, ნივთიერადაც მოემაგრებინა, სახელმწიფო სალაროც შეევსო და კულტურულ-აღმშენებლობითი საქმიანობაც გაეშალა.

მაგრამ 1288 წელს ისევ დასჭირდა დემეტრე მეფეს საომრად წასვლა. ამჯერად დარუბანდელები აჯანყებოდნენ არღუნ ყაენს. დარუბანდელთა საშველად და სამხედროსაკენ სალაშქროდ ხაზარეთის ველებიდან მოიწევდა ძლიერი ნოინი, ნოყაი.

და საომარი წვევა მიიღო დემეტრემ. ისიც სასწრაფოდ გაეშურა ქართველთა მხედრობით და ჩრდილოეთისკენ მიმავალ არღუნს შეუერთდა.

დარუბანდის კედლებთან გაჩაღდა ბრძოლა. იძლივნენ დარუბანდელნი. უკუიქცა ნოყაი. მაგრამ გაძალიანდა დარუბანდის მთავარი ციხე — ანიყი. მაშინ არღუნ ყაენმა დემეტრეს უბრძანა ანიყის აღება. ხოლო თვითონ, თავისი ჩხედრობით, განაპირდა „სეირის საცქერლად“.

ისევ აღიკაზმნენ ქართველები საომრად. მეფემ მოიერიშე რაზმს სარდლად უჩინა რატი სურამელი, რომელმაც მძაფრი იერიშით დასძრა ქართველები. ციხეს მიეჭრნენ, „გარე შეეხვივნეს“ და „შეუხდეს“. დანარჩენი ქართველობაც მიჰყვა. ციხე აიღეს, „თავადნი მათნი დახოცნეს და წარმოიღეს ტყვე და განძი და დედაწული მათი ურიცხვი, და ციხე დაწვეს“.

განლიგებული მისჩერებოდა არღუნ ნოინი ძლევამოსილ მობრუნებულ ქართველებს. ვერავინ მიხვდა, რა ეწერა მის ცივ, ქვასავით უძრავ სახეზე — სიხარული თუ სინანული. ვერც მაშინ შენიშნეს მის სახეზე აღტაცება, როცა ქართველთა მეფე წარსდგა მის წინაშე „საყაენო“ გამარჯვებით დამშვენებული. თავით ფეხებამდე ჩააცილო მზერა ყაენმა მეფეს. მერე მის ახოვან ტანზე მოხდენილად შემოკვართულ ჯაჭვის პერანგს დააშტერა ჭრუტა თვალები.

მზეზე მრავალსხივად ელვარებდა ჯაჭვი, სისხლის წვეთებით დაწინწკლული და დაწერტილი.

და უცებ რაღაცნაირი, თითქოს, მუდარანარევი სიტყვა აღმოხდა ყაენს:

„ეგ ჯაჭვი მომეცი... გთხოვ, მეფეო!“

წამიერი გაოცება დაითრგუნა დემეტრემ. მსწრაფლ გაიძრო და მიართვა ყაენს „ჯაჭვი სახელოვანი“.

ცივად ჩამოართვა არღუნმა.

მძულვარება დაიჭირა ქართველმა მონღოლის ჭრუტა თვალებში...

იმჟამად არღუნ ყაენს უკვე ძლიერი ეჭვები ჰქონდა აღძრული თავისი პირველი ვაზირისა და დემეტრე მეფის მოყვრის, ბუღა ნოინის მიმართ. ბუღას აღზევებას ფრიად გაუნაწყენებია მისგან დაჩრდილული კარისკაცები. ლამის ყაენობა წაგართვასო და იქნებ კიდევაც გიპირებსო ტახტის წართმევას — დღენიადაგ ჩასჩიჩინებდნენ არღუნს. იმანაც ნელნელ აიყარა გული იმ კაცზე, რომლის წყალობითაც მიეღწია ხელმწიფობისთვის. ბუღასაც არ გამოჰპარვია „მისგან გაყაენებულის“

უმადურობა. იგი ახალი შეთქმულების სამზადისს შეუდგა გამალებული. ყაენობის „ახალი ვარიანტიც“ გამონახა — ბატონიშვილი ჯუშყაბი, ძე ჭარმაღუნისა. ყაენობაზე ყველა „ჯიშის“ ბატონიშვილი ოცნებობდა და ჯუშყაბიც მოიხიბლა ყოვლისშემძლე ბუღასგან შეთავაზებით. მაგრამ მალე ესეც იაზრა ჯუშყაბიმ: ბუღა ნოინი ჩემი გულისთვის როდი იგდებს ხიფათში თავს, არამედ მას მხოლოდ არღუნის ჩამოგდება სურსო; ამიტომ ვინ ირწმუნებს, რომ ყაენთა დამხობის ესოდენ გაწაფული დიდოსტატი ერთხელაც არის, მეც არ მომიღებს ბოლოსო. ეს იფიქრა და ყველაფერი, რაც მას ბუღამ და მისმა მომხრე ნოინებმა აღუთქვეს, წერილობით და ხელწერათა დართვით მოითხოვა. ბუღამ ასეთი ხელწერილი გასცა.

მუდამ მცდარი ადამიანისთვის შეცდომა არაფერს წარმოადგენს, მაგრამ ჭკვიანი, მარად უცთომელი ადამიანისთვის მხოლოდ ერთი შეცდომა ხდება საბედისწერო. და ყველაფერი დატრიალდა ელვის სისწრაფით.

არღუნ ყაენი მუღანს იდგა, მტკვრის პირას. აქ ეახლა ჯუშყაბ ჭარმაღუნის ძე და შეთქმულთაგან გაცემული ხელწერილი მიართვა. უსაზღვრო რისხვამ შეიპყრო ყაენი. სასწრაფოდ ბუღასა და მის თანაშეთქმულთა შეპყრობა ბრძანა. მხარგაკრული მოიყვანეს აქამდე ყოვლისშემძლე ბუღა. ჯერ უარზე გადგა, მაგრამ როცა მისგანვე ხელმოწერილი საბუთი აჩვენეს, უარის დაჟინებას რაღა აზრი უნდა ჰქონოდა.

წინასწარ მთელი ქონება ჩამოართვეს და ყაენის წინ დაალაგეს. მერე მტკვრის პირას გაიყვანეს და თავი გააგდებინეს. იქვე თავი მოჰკვეთეს მის ვაჟს. მტკვარში ჩაახრჩვეს „ყოველნი ნათესავნი მისნი“. დანარჩენი შეთქმულებიც ამოწყვიტეს. შემდეგ შიკრიკები აფრინეს სახელმწიფოს ყოველ კუთხეში და, სადაც კი ბუღასგან აღზევებული და მისი ერთგული მოხელეები იყვნენ, ყველანი გაჟლიტეს, მიუხედავად იმისა, რომ ბევრ მათგანს არამც თუ შეთქმულებისა და მასში მონაწილეობის ამბავი, საერთოდ არაფერი გაეგებოდა, რაის საბაბით ასალმებდნენ წუთისოფელს.

მხოლოდ ერთი „ბუღასთაგანი“ დარჩენილიყო ფეხზე — ქართველთა მეფე დემეტრე.

ტფილისისკენ მონღოლი შიკრიკი მიაქროლებდა ცხენს.

1289 წლის ახალი წელი იდგა საქართველოში.

ქართველთა მეფეს „საახალწლო წვევა“ მიეღო — წვევა „უცხო თესლთაგან“...

...დარბაზის ერი შეეყარა დემეტრე მეფეს — სასულიერონი და საერონი — კათალიკოსი ა ბ რ ა ჰ ა მ, ეპისკოპოსნი, გარეჯელი მამანი, ვაზირნი და ერისმთავარნი.

თვითონ მეფე ამბობდა სიტყვას:

„ისმინეთ ჩემი, ყოველთა კათალიკოსთა და ეპისკოპოსთა და წარჩინებულთა სამეფოსა ჩემითასა! როცა განისვენა მამამან ჩემმან, მე მცირე ყრმა დავშთი თათართა მძლავრებასა შინა, გარნა მაინც ღმერთმან ყოვლისა მპყრობელმან და უფალმან ჩვენმან იესო ქრისტემან და ყოვლად წმიდამან ღრთისმშობელმან, რომლისა ნაწილადცა ვართ, და ჯვარმან პატიოსანმან, რომელიც მოგვევნიჭა ჩვენ მეფეთა — დამიცვა და მიმაწია ასაკად სისრულისა და მომმადლა მეფობა, სკიპტრა და პორფირი მეფობისა, და თანადგომითა თქვენითა წარვმართე მეფობა და აქამომდე მშვიდობით ჰგიეს სამეფო ჩემი. აწ განრისხებულ არს ყაენი, რომელსაც ყოველი მთავარი მისი მოუწყვედია და აწ მეც მიწოდს წინაშე მისსა, ვგონებ ბოროტის ყოფასა ჩემთვის. თუ არა წარვიდე ურდოსა და წარვიდე მთიულეთს სიმაგრეთა შინა და დავიცვა თავი ჩემი, მაშინ, აჰა, ყოველი სამეფო ჩემი მათ წინაშე ძევს, და იხილეთ: რაოდენი სული ქრისტიანე სიკვდილსა მიეცემის და ტყვე იქმნების, და ეკლესიანი შეიგინებიან და მოოხრდებიან, ხატნი და ჯვარნი დაიმუსრვიან! და უკეთუ წარვიდე ყაენთან, დასტურობით ვუწყი მომკლავს. და აწ სიბრძნითა თქვენითა განაგეთ. მე ესრეთ ვჰგონებ: მრავალმღელვარე არს საწუთო ესე, დაუდგრომელ და წარმავალ დღენი ჩვენნი, სიზმარებრ და აჩრდილებრ წარვლენ და ჩვენც შეუნელებელ და მსწრაფლ გვევალება წარსვლა ქვეყნისა ამისაგან. რა სარგებელ არს ცხოვრება ჩემი, უკეთუ ჩემთვის მრავალი სული მოკვდეს და მე ტვირთმძიმე ცოდვითა განვიდე სოფლისა ამისგან? აწ მნებავს, რათა წარვიდე ყაენის წინაშე და იყოს ნება ღმრთისა: უკეთუ მე მომკლან, ვგონებ, რომე ქვეყანა უვნებლად დარჩეს!“

განკვირვებული და აღტაცებული ისმენდნენ დარბაზისერნი: მანამდეც არავის შეჰპარვია ეჭვი დემეტრეს სიქველესა

და რაინდობაში. საომარ ველზე მორკენილ მეფეს „უაზრო სიკვდილის“ დამარცხებისა და ვაჟკაცური სიცოცხლის დანარჩუნების რწმენა არასოდეს არ დაუკარგავს. ხოლო ახლა მეფე, რომელსაც სიცოცხლე უსაზღვროდ უყვარდა, აშკარა სიკვდილზე მიდიოდა. მაგრამ მიდიოდა ისეთ სიკვდილზე, რომელ სიკვდილსაც უდიდესი აზრი ჰქონდა: სარწმუნოების, მამულის და ერის გადარჩენა!!!

აღელდა და აიშალა დარბაზის ერი. ერთმანეთს არ აცლიდნენ მეფის განზრახვის საპასუხოდ:

„არა, არ წახვიდე, მეფეო!“

„ჩვენ ხომ არ გვყავს შემცვლელი შენი?“

„ღმერთმან გაშოროს სიკვდილი თათართა ხელით!“

„შენ რომ დაიღუპო, მაშინ ხომ უარესად მოოხრდეს ქვეყანა ჩვენი“.

„შენ რომ მოგკლან, შვილნი შენნი მიმოდაიბნევიან“.

„ჩვენ გეზრახებით, რათა „წარხვიდე სიმაგრეთა მთიულეთისათა“.

„წადი, მეფეო მთიულეთს!“

„ან აფხაზეთს!“

„ჭუთათისს!“

„წადი ისე, ვითარ ჭმნა მამამან შენმან“.

„არა საჭირო არს განწირვა თავისა შენისა შენგან“.

„ჩვენ ყველანი მტკიცედ ვდგავართ შენს ერთგულებაზე“.

„და არც არასდროს გიღალატებთ“...

მეფემ დარბაზი დააწყნარა და თქვა:

„ვიცი, თქვენ ჩემი ერთგულებისა და სიყვარულისთვის მეუბნებით ყოველივე ამას. გარნა მებრალვის უბრალო ერი, რომელიც ცხვარივით უმწეოა და საკლავად უნუგეშოდ განწირული. მე დავსდებ სულსა ჩემსა ერისათვის ჩემისა, და არ დავიშლი ურდოსა წასვლას!“

ერთხელ კიდევ შეეპასუხა აბარაჰამ კათალიკოსი მეფეს:

„არა არს საჭირო, მეფეო, განწირვა სულისა შენისა, რამეთუ შენამდე მრავალთა მეფეთა მოურიდნია და დაუცავს თავი თვისი“.

მაგრამ მეფე გადაჭრით, მტკიცედ და შეურყევლად იდგა თავის გადაწყვეტილებაზე.

არ არსებობს უფრო დიდი სიცოცხლე და სიყვარული,

ვიდრე კაცმა გაწიროს იგი მშობლიური ქვეყნის, სარწმუნოებისა და მოყვასის გადასარჩენად!

ითქვა, გადაწყდა, გათავდა.

და მაშინვე გამგზავრების თადარიგს შეუდგა მეფე. დარბაზის ერი დამოძღვრა და დალოცა. შვილებს „საყოფელი“ გაუჩინა: ვახტანგი, ლაშა და მანოველი, მათი დედითურთ მთიულეთს გაგზავნა თავშესაფარად; მეორე ცოლმა, თათრის ქალმა სოლღარმა თავის სახლობას წაიყვანა შვილები — ბაადურ, იადგარ, ჯიგდა-ხათუნ; ხოლო, უმრწემესი ძე, გიორგი, დედამის ნათელასთან ერთად, ტაოს გაგზავნა მეფემ, იშხანის ციხე-სიმაგრეში შესაფარებლად.

მზად იყო მეფე გასამგზავრებლად. მზად იყო ისე, თითქოს საზეიმო წვევად მიდიოდა და არა მძვინვარე მტრის წინაშე თავისმართლებად. მიდიოდა „დიდითა დიდებითა და საჭურჭლითა“, თვითონ ბრწყინვალედ აღკაზმული და ამხედრებული. ბრწყინვალედ მოეკაზმა დარჩეულ ერისმთავართა და სამღვდელოთა ამალა, რომელსაც წინ მიუძღოდა თვითონ კათალიკოსი აბრაჰამ.

ბიჯნისს გაიარა მეფემ და თან წაიყვანა თავისი უფროსი ვაჟი დავითი. ესოდენ სახიფათო გზაზე შვილის, ტახტისმემკვიდრის წაყვანა დემეტრეს იმად გადაეწყვიტა, რომ ყაენი კვლავ უფრორე დარწმუნებულიყო მის გულწრფელ უბრალოებასა, უღალატობასა და ერთგულებაში.

ეს „გაწირვაც“ სავსებით ფუჭი გამოდგა.

როგორც კი მეფე და მისი ამალა ურდოს მიუახლოვდა, ყაენისაგან გამოგზავნილი ნოინი გადაუდგათ წინ თათართა რაზმით. მაშინვე მიცვივდნენ თათრები, ქართველთა „ყოველი ბარგი და სიმდიდრე“ დაიტაცეს და მეფეს და მის მხლებლებს მიაწყდნენ შესაპყრობად.

დემეტრე თვითონ გარდახდა ცხენიდან, იარაღიც თვითონ აიყარა და მდუმარედ მინებდა მტერს.

ერისთავებმაც მიბაძეს მეფეს.

მხოლოდ აბრაჰამ კათალიკოსს ვერ შეჰბედეს თათრებმა.

მეფე მხარმკლავგაკრული მიჰგვარეს არღუნ ყაენს.

დაკითხვა დაიწყო. დემეტრემ უბრალოდ და წრფელად თქვა, რომ მას ბუღა ნოინის შეთქმულებაში არამცთუ

მონაწილეობა არ მიუღია, საერთოდ არც არაფერი სცოდნია ამ შეთქმულებისა.

მაგრამ დემეტრემ არ იცოდა, რომ მის სიმართლეს ყაენისათვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. მთავარი ის იყო, რომ შერისხული და სიკვდილით დასჯილი ბუღა ქართველ მეფეს ემოყვრებოდა. ეს იყო და ეს.

არღუნმა ნუქერებს ანიშნა და მეფე გაიყვანეს.

მისი ამალიც მოიშორეს.

ოღონდ ხუტლუბუღა მანკაბერდელი დაიტოვა ყაენმა, ქართველთა, ამირსპასალარი, ქართველი მეფის კარზე მონღოლთა მოენე და დამსმენი.

დიდხანს ბჭობდნენ ყაენი, ნოიონები და ბაჰადურები.

ყველა კარგად იცნობდა ქართველი მეფის სიქველეს, ვაჟკაცობას, გულმართლობასა და მონღოლთადმი „განსაკვირველ“ თავგანწირვას.

თვითონ ყაენსაც დიდხანს ვერ გადაეწყვიტა, მოეკლა თუ არა ქართველი მეფე. მერე, ხანგრძლივი ყოყმანის ჟამს ეს წამოცდა არღუნს:

„მოვკლა და... ვინღა არს ღირსი მეფობისა?“

და მაშინ სთქვა სიტყვა აქამდე მდუმარედ ჩასაფრებულმა ხუტლუბუღამ:

„მაგას ნუ სწუხარ, დიდო ყაენო, თუ ნებას მომცემ, მე გადმოვიყვან ქუთათისიდან დავით ნარინის ძეს, ვახტანგს, ის დასვი ტფილისს და ორივე საქართველო შენი მორჩილების ქვეშ მოექცევა — აღმოსავლეთიც და დასავლეთიც“.

ამით ყველაფერი ითქვა.

ავი „კარიერისტისა“ და „რენეგატის“ გულში რვა წლის მანძილზე ჩამარხული ბოღმა გადამწყვეტ ჟამს თურმე ასეთ „გადამწყვეტ სიტყვად“ უნდა ქცეულიყო. ქართველი მეფის ბედი მოღალატე ქართველმა გადაწყვიტა: არღუნ ყაენმა ხუტლუბუღას წინადადება მოიწონა.

ხუტლუბუღა უკვე მიჰქროდა იმერეთისკენ. თან არღუნ ყაენის თხოვნა მიჰქონდა მეფე დავით ნარინთან: შენი შვილი ვახტანგი აღმოსავლეთ საქართველოს მეფედ მომეციო, თან დავმეგობრდეთ და დავმოყვრდეთ — ვახტანგს ჩემს დას, ოლჯათს მივცემ ცოლადო.

დიდებულად გადაუწყვეტია მონღოლთა მბრძანებელს:

ტფილისში მისი სიძე იქნებოდა მეფედ, იქვე დედოფლად მისი დაი; ქუთათისში ჯერ, სანამ იცოცხლებს — მისი მზახალი და მოკავშირე, აქამდე მონღოლთაგან განზე გამდგარი დავით ნარინი. ხოლო, როცა დავით ნარინიც აღესრულება, ვახტანგი იქნება მეფე „ორივე საქართველოსი“, მაშასადამე, ყაენის სიძე და ყურმოჭრილი ყმა — მეფე „ყოველი საქართველოსი“.

ამიტომ, რაღა საჭირო იყო დემეტრე მეფის სიცოცხლე. ის კი არა და, ამდენ ხანსაც არ უნდა ეცოცხლა ამ ამპარტავან, თავმომწონე და გასაოცრად გულად ხელმწიფეს.

მაშ, დემეტრე მეფე უნდა მოკვდეს!

მაგრამ ჯერ მისი ქონება უნდა ამოიგონ მონღოლებმა. დაჰკითხეს მეფეს, სად რა სიმდიდრე ჰქონდა, რა „საჭურჭლე, ზროხა და ცხვარი და ყოველი საქონელი მისი“. მეფემაც დაასახელა, რაკი სხვა „არღარა იყო ღონე“.

ყაენმა კაცი წარმოგზავნა და მეფის ქონება მოაგროვა და მოძარცვა. საქართველოში ისეთი „მოქალაქენიც“ გამოჩდნენ, რომელთაც მონღოლებს მეფის საგანძურთა იდუმალი სამალავებიც მიასწავლეს და „შინაგამცემელის“ ზედსახელიც არხეინად მოირგეს.

როცა არღუნს დემეტრეს დაუნჯებული ქონება მიუტანეს, იგი „განკვირდა სიმრავლისათვის“ ამ საგანძურთა.

უკვე მარტის თვემ მოატანა მოვაკანში, სადაც მაშინ მონღოლებს ტყვედ ჰყავდათ ქართველთა მეფე.

ერთ ღამეს ქართველებმა რაღაც ხერხებით მეფის საკანში შეაღწიეს და მოახსენეს: გარეთ ცხენები გვიცდიან, შეჯექ და „განერე ხელთაგან ამათთა, რამეთუ არა არს ნაცვალი სულისა შენისა“.

გაუკვირდა მეფეს: ეს როგორ ჩაიდინეთ და თავი ასე უაზროდ გასწირეთო. განა თავიდანვე არ ვიცოდი, რომ სიკვდილი მელოდა, მაგრამ მე ხომ ჩემი ერისათვის დავდევი თავი ჩემი და სული ჩემი, განა მე შემიძლია ეს ამაოებით აღსავსე და წარმავალი საწუთრო იმისთვის დავიბრუნო, რომ მის საფასურად ქართველი ხალხი მოისრას?!

აღარც უცდიათ დარწმუნებულის გადარწმუნება.

დემეტრე ისევ მარტო დარჩა აღსასრულის მოლოდინში.

იგი მხოლოდ ერთ დიდ სატანჯველს დაეპყრო სრულად:

ფიქრი თავის პირმშოზე, დავით უფლისწულზე, რომელიც სადღაც მის მახლობლად ცალკე დილეგში ჩაეგდოთ მონღოლებს.

ერთადერთ კაცს ჰქონდა უფლება განწირულ მამა-შვილთან შესვლა-გამოსვლისა. ეს იყო დემეტრეს ქარის მღვდელი მოსე. ეს ერთი-ღა დარჩენილიყო სიკვდილის მომლოდინე მეფისა და უფლისწულის ჭირისუფლად, გამამხნევებლად და ნუგეშისმცემლად.

10 მარტს ხუტლუბუღა დაბრუნდა ქუთათისიდან და არღუნ ყაენს სასიხარულო ამბავი ჩამოუტანა: მეფე დავით ნარინი თანახმაა მისცეს არღუნ ყაენს თავისი ვაჟი ვახტანგი ქართლის მეფედ და სიძედ.

11 მარტს დემეტრე მეფე მონღოლმა ჯალათებმა არგნებით სცემეს. ქართველებს იმედი მიეცათ, ალბათ აღარ მოჰკლავენ მეფესო, რადგან მონღოლური წესი იყო ასეთი: სიკვდილმისჯილის ცემა არ შეიძლებოდა.

დივანხანაში მიიყვანეს ნაგვემი მეფე და ისევ შეუდგნენ მის დაკითხვას.

საღამოს მონღოლმა მსაჯულებმა საბოლოოდ მოახსენეს ყაენს: ვერაფერი ვპოვეთო ქართველი მეფის ბრალსადებიო, არ არის სიკვდილის ღირსი და განუტევე იგი თავისუფალიო!

საგონებელმა შეიპყრო არღუნი.

უდანაშაულო ყოფილა ქართველთა მეფე.

ქართველთა მეფე?!

მაგრამ ახლა ვინ ითვლება ქართველთა მეფედ?!

აკი, ვახტანგ დავითის ძე...

ხუტლუბუღაც იქ იდგა, ყაენის გვერდით...

...მოვაკანი. 1289 წლის 12 მარტი. დილა სისხამი.

საპყრობილედან გამოჰყავთ დემეტრე მეფე.

მიჰყავთ იქ, სადაც დგანან მონღოლი ნოინები, ბაჰადურები, ნუქერები, ულდაჩები, ამხედრებული თათარი მეომრები.

მოშორებით დგანან ქართველები — აბრაჰამ კათალიკოსი, მოსე მღვდელი, ერისთავები.

ახლა ხუტლუბუღაც იქ დგას, ქართველთა შორის.

მეფეს სიხარულით ევსება გული: ქართველთა შორის,

მოსე მღვდლის წინ, დგას მისი ძე დავითი. გადარჩენილა მისი პირმშო!

მონღოლი მსაჯული აცხადებს არღუნ ყაენის ბრძანებას:

დემეტრე, მეფე ქართველთა, ისჯება სიკვდილით, თავის მოკვეთით!

წამსვე უცნაური ფერი ეფინება მეფეს სახეზე — დიადი, ცისკროვანი, შუქმფინარი.

ქართველთა დახშული ქვითინი არღვევს მდუმარებას.

გამშრალი, სიცოცხლის ნიშატისგან გაცლილი, დგას უფლისწული დავითი.

ქართველთა გუნდს მიეახლა დემეტრე.

და „მხიარულითა პირითა მოიკითხავდა მთავართა საქართველოსათა“.

ყველა მოიკითხა პირზე ღიმილდაფენილმა, ყველა დაამშვიდა და დაანუგეშა მის სანუგეშოდ მოსულნი.

საქართველო, მისი ერი და მისი სარწმუნოება შეავედრა ყველას.

დავითი ჩაიკრა გულში, უსიტყვოდ, უცრემლოდ.

ხუტლუბუღას თვალები ჩამოეჭრა სადღაციდან.

ახლა გაახსენდა მეფეს პირველად: „ამას შეეძლო ჩემი დაღუპვაც და გადარჩენაც“.

უცებ საოცარი უმწეობა იგრძნო და ისე, ანგარიშმიუცემლად უთხრა ხუტლუბუღას:

„უკეთუ ძალგიძს, იღვაწე, რათა ძე ჩემი დავით არა მოიკლას გულისწყრომითა ყაენისა“.

ხუტლუბუღა შებრუნდა და ქართველთა გუნდს შეერია ხლუქუნით.

იგი ტიროდა.

რა გაეწყობა — აკი იუდამ თავის ჩამოხრჩობაც შეძლო...

...მშვიდად მოიშორა შვილი მკერდიდან დემეტრემ და მოსე მღვდელს ანიშნა.

მიეახლა მოსე და მისცა ზიარება.

თორმეტი ცხენოსანი დაწინაურდა მონღოლ ნუქერთაგან. მარქაფი ცხენი მოჰყავდათ.

„ეგრეთ აღსვეს ცხენსა და წარიყვანეს ვითარ მილიონ ერთ“.

ვითარ მილიონ ერთ!

მტკვრის პირას მიიყვანეს.

საქართველო გამოუვლიათ ამ ტალღებს...

მისცვივდნენ ჯალათები.

მეფემ დაასწრო და უმალ გარდახდა ცხენიდან.

ისევ დაიძრნენ თათრები.

მცირე დრო ითხოვა ლოცვისათვის სიკვდილმისჯილმა ქრისტიანმა.

ილოცა ცრემლით, ილოცა საქართველოსთვის, ქრისტიანობისთვის, ქართველი ხალხისთვის, თავის შვილთათვის.

მობრუნდა, ტანაშვეტილი და ქედამართული. ჯალათებს ანიშნა, მზად ვარო. მოიდრიკა და „წარუპყრა ქედი“.

ამომავალი მზის სხივმა იელვა.

და ხმლის ელვაც შეერთო...

ცალცალკე დაეცნენ დედამიწაზე მისი ახოვანი ტანი და მშვენიერი თავი...

აღსრულებულ იყო დემეტრე მეორე, მეფე ქართველთა, სიცოცხლის ოცდამეცხრე წელს.

აღესრულა მეფე, „ვითარ მილიონ ერთ“!

ხოლო განაგრძო სიცოცხლე მარადიული, „ვითარცა ერთ“, ვითარცა გმირმა, მშობლიური ერისა და რწმენისათვის თავდადებულმა...

...დემეტრეს ცხედარი ჯერ არ გაცივებულიყო, რომ მონღოლებმა დავით უფლისწული შეიპყრეს და ისევ საპყრობილეში ჩაჰკეტეს. იმ ღამით სიკვდილს გადარჩა. ხოლო დილით, ადრე, მოსე მღვდელი დიდ ნოინსა და სარდალს, ტაჩარს ეწვია და დავითის სიცოცხლე შეჰვედრა. ტაჩარი ყაენს ეწვია და ეჩიჩინა: რად გჭირდება და რა სახელს მოგცემს ესოდენ უცოდველი ყმაწვილის მოკვლაო; შეიწყალე და მე მომეცი ყრმა ქართველი საპატრონოდ და სამეთვალყუროდ; მე ვიქნები თავმდები მისი მარად ერთგულებისაო.

ყაენი დათანხმდა.

დავითი სიკვდილს გადარჩა.

(და კიდეც ეღირსება საქართველოს სამეფო გვირგვინის დადგმა მომავალ დავით მერვეს).

მერე დემეტრეს ცხედრისთვის ზრუნვას შეუდგნენ ქართველნი.

განკვეთილი მეფის თავი და ტანი ცის ქვეშ ეყარა დაუ-

მარხვად. თათარი გუშაგები ადგნენ თავს, რათა არავის წაეღო და დაემარხა ქრისტიანული წესით. ვერცერთმა ერისთავმა ვერ იკისრა მოკლული მეფის გამოხსნა მაინც ეთხოვა ყაენისთვის. მერე ისევ იმარჯვეს აბრაჰამ კათალიკოსმა და მოსე მღვდელმა: მონღოლთა გუშაგები მოისყიდეს და ცხედარი გამოიხსნეს.

შუაღამისას გამოაპარეს მოკლული მეფე. დღეს ტფილისელ მეთევზეებს წააწყდნენ და იმათ შეეთქვნენ, მეთევზის ურემზე დაასვენეს მისი ნაშთები. ზემოდან თევზი დააყარეს.

დიდის ვაი-ვაგლახით მოატანეს მცხეთას.

და აქ „დამარხეს სამარხოსა მამათა მათთასა“.

მადლიერმა ხალხმა მისთვის თავგანწირულ გმირს უწოდა — „თ ა ვ დ ა დ ე ბ უ ლ ი“...

...ილეწებოდნენ და იმუსრებოდნენ საუკუნენი.

დემეტრეს გმირობიდან 700 წლის შემდგომ ქართველთა უგვირგვინო ხელმწიფე დამჯდარიყო წამებული გვირგვინოსნის სახოტბოდ:

ილია ჭავჭავაძე წერდა პოემას — „მეფე დიმიტრი თავდადებული“.





გიორგი ბრწყინვალე

ლომში ელვარებს მზე.
სენეკა

სევ გავიხსენოთ: მეფე დემეტრე II თავდადებულს მესამე ცოლისაგან ბექა ჯაყელის ასულ ნათელასაგან ჰყავდა ძხოლოდშობილი ვაჟი, გიორგი („მარტო შვა დედამან, ვითარცა მარგალიტისათვის თქმულ არს მართოება უმჯობესისათვის“). მონღოლთა ყაენისაგან საბედისწერო გაწვევის ჟამს დემეტრემ ნათელა და ყრმა გიორგი ტაოს გაგზავნა, იშხანის ციხეში თავშესაფარებლად, ხოლო მეფის სიკვდილით დასჯის შემდეგ, უფლისწულის აღზრდა მისმა ბაბუამ — ბექა ჯაყელმა იკისრა.

1314 წელს, ბექა ჯაყელის თავგამოდებით და მონღოლი ყაენის თანხმობით, მან თავზე დაიდგა საქართველოს მეფის გვირგვინი.

და ისტორიაში დაივანა გიორგი V ბრწყინვალის სახელით...

გიორგი მეხუთემ მემკვიდრეობად ქვედამხობილი და დაქცეული საქართველო მიიღო. მონღოლურ-თათრულმა უღელმა, ურჯულმა ბასკაკობამ სავსებით გააპარტახა და ძირფესვიანად ამოაგდო სამეურნეო ცხოვრება. მძიმედ დახარკული ქართველი გლეხი მის უმთავრეს და უსაყვარლეს კულტურულ საქმიანობას — მიწათმეურნეობას — ტოვებდა, დედაბუდიანად იყრებოდა და მთაში იხიზნებოდა. გარბოდა თითქმის ყველა, ვინც მონღოლთა გაუთავებელ ომებში სიკვდილს გადურჩა. საქართველოს ბარი სოფლიან-ქალაქიანად ცარიელდებოდა და ვერანდებოდა.

მონღოლურმა სამხედრო მანქანამ შეარყია და შეცვალა

ქართული საზოგადოებრივი ცხოვრებაც. უთავჟამო ომებმა და უცხო დროშის ქვეშ „წესად მიღებულმა“ ქართველთა „წინამბრძოლობამ“ („წესადმცა არს წინამბრძოლობა ქართველთა“) სამხედრო სიქველე უმაღლესი საზოგადოებრივი მოწოდებისა და პრივილეგიის საგნად აქცია. ახალი სოციალური შრე — **სამხედრონი** — წარმოადგენდა იმდროინდელი საზოგადოების „ელიტას“. ძველი აზნაურობიდან წინაურდებიან „**დიდებულები**“. მეფის შემდგომ უმაღლეს თანამდებობებს იჭერენ „**მთავრები**“, ანუ „**საქვეყნო გამრიგენი**“, რომლებიც, ისევ და ისევ ძლიერ მახვილზე დაყრდნობით, ხელთ იგდებენ ცალკეულ ქართულ თემთა და კუთხეთა უზენაეს ძალაუფლებას.

ძირფესვიანად შერყეულიყო საუკუნეთა მანძილზე მკაცრად და მკვრივად ჩამოსხმული ქართული ზნეობრივი და სამართლებრივი სამყარო. იდგა „დიდი უსამართლობა და მძლავრებულობა... ერთმანერთსა ღალატად დასხმა, დაჭცევა ციხეთა, სიკვდილი, ცოლის წაგურა და დაგდება უბრალოსა და მრავალფერნი ულუსობანი“, არსად „სამართალი არად იყოღა“.

ქართულ მთას თათრული უღელი თითქოს სავსებით დავიწყნოდა და ერთმანეთს დანასისხლად გადაჰკიდებიან ქართული სოფლები, თემები, „ხევები“. ქსნის ხეობაში ერთმანეთს ეჟლიტებოდნენ ცხაოტელნი და ჟამურელნი. „წვრილ ერს“ ხომ არ ანგარიშობდნენ და, ერთ ასეთ „საძმო შეტაკებაში“ თვრამეტი მარტო ხევისბერი დახოცილა. სისხლისღვრის „მიზანი“ ხშირად სამხედრო „ხელოვნებასა“ და ვაჟკაცურ სიქველეში თავის გამოჩენა იყო და სხვა არაფერი. ამნაირი უგუნური თავმოყვარეობისა და უსაგნო მეშურნეობის მიზეზით წლების განმავლობაში ერთმანეთს აწყდებოდნენ ქსნისა და არაგვის მთიელები. უსაზმნოდ გამხეცებულ თანამოძმეებს ერთმანეთზე სასიკვდილო იერიში მიჰქონდათ—„დახვეწილი“ საომარი ხელოვნებით—დროშების ფრიალით, ომახიანი ხმიანით, თავგანწირული ხმალთაკვეთებით, მიჯრილ ფართა „სიპებით“, ქვათა გორებით და ისართა მრეხ-ბარანით.

ასე, ყოფნა-არყოფნის სასწორზე შეგდებულიყო ერთიანული და სისხლიერნათესაობრივი თვითშეგნება ქართველთა

შორის. და სხვა რა ღა უნდოდა გარეშე ჰეტერს! მონღოლთა მსგავს „მსოფლიო დამპყრობელთ“ რომ თავი დავანებოთ, შინაური ჰესისხლეობითა და მტრობით დასუსტებული ქართლი, „მცირე მასშტაბის“ მომტერეთა საკბილოდაც გადაქცეულა. კავკასიონის გადაღმიდან მოშლიგინობდნენ მოთარეშენი. მოდიოდნენ ყივჩაყნი. გორამდე აღწევდა ოვსთა აბრაგული თარეში.

ასეთი იყო საქართველო XIV საუკუნის კვირაძალს — დაშლილ-დაწიწკნილი პოლიტიკურად, ჯანდაშრეტილი ფიზიკურად, დაკნინებული სულიერად, დამხობილი ზნეობრივად.

სწორედ აღარ ეგვიანებოდა, — ისეთ დროს მოევლინა თავის ქვეყანას გიორგი V ბრწყინვალე — ღირსი, იხსენიებოდეს გვერდით დიდთა ქართველთა ხელმწიფეთა: ვახტანგ გორგასალისა, ბაგრატ მესამისა, დავით აღმაშენებლისა და თამარ შვიდმნათობიერისა.

უპირველესად ყოვლისა დიდი პოლიტიკური განზრახვების მქონე ხელმწიფეს ის უნდა გაეთვალისწინებია, რომ საქართველო ჯერ ისევ ილხან-მონღოლთა ყმადნაფიც ქვეყნად ითვლებოდა. ხოლო მონღოლთა წინააღმდეგ განმათავისუფლებელი ბრძოლის გასამართავად დაშლილ-დაქუცმაცებულ და დაცემულ საქართველოს ძალა არ გააჩნდა. ამიტომ გიორგიმ გადაწყვიტა ჯერ ქვეყნის შინაგანი მთლიანობისა და გაძლიერებისათვის ეზრუნა; თანაც ყოველივე „საქმენი შინაურნი“ მონღოლებთან ლოიალურ — „მეგობრული“ ურთიერთობის ფონზე ეწარმოებინა.

1315 წელს ოლჯაიტუ ყაენმა გიორგი თავისი ჯარით მცირე აზიაში აჯანყების ჩასაქრობად გაიწვია. ეს იყო ქართველთა უკანასკნელი მონაწილეობა მონღოლურ ლაშქრობათა უგრძეს სერიებში. გიორგიმ და მისმა ქართველობამ ერთხელ კიდევ „განაკვირნეს“ მონღოლნი საოცარი სიმამაცითა და თავგანწირვით „უცხო თესლთათვის“.

1316 წელს ორჯაიტუ გარდაიცვალა და ყაენის ტახტი მის 12 წლის ძეს, აბუსაიდს გადაეცა. ყაენის მცირეწლოვანების გამო, ურდოს ფაქტიური მბრძანებელი გახდა პირველი ვაზირი ჩოფანი, რომელსაც ქართველ მეფესთან დიდი სიახლოვე ჰქონდა. ჩოფანი გიორგის თავის უერთგულეს მეგობრად, მოკავშირედ და უბრძენეს მრჩეველად

თვლიდა. როგორც ეტყობა, ქართველი მეფე მონღოლთა კარზე მხოლოდ „ქართული საკითხებით“ არ კმაყოფილდებოდა და საერთო მონღოლურ საქმეთა მესვეურის როლსაც ასრულებდა.

გიორგიმ ყაენის კარის უსაზღვრო ნდობა და პატივისცემა მაშინვე თავისი ერისა და ქვეყნის საკეთილდეოდ მოისადაგა. მონღოლური უღელი თავის ხალხს თითქოს კიდევაც „გაუმსუბუქა“. ბოროტი თათრული ბასკაკობა ჩოფან ნოინის მხარდაჭერით ქართულ მიწა-წყალზე საგრძნობლად შესუსტდა. ქართული ქალაქებიდანაც თათრული ციხიონები ნელ-ნელა გაიკრიფა. მხოლოდ ერთი დუმანი — 10 000 მონღოლი მეომარი შემორჩა და ისიც მხოლოდ ქართული სამანების გასწვრივ სასაზღვრო სამსახურისათვის.

და, ბოლოს და ბოლოს, გიორგი მეფემ მონღოლთა სახელმწიფო კარისაგან ყველაზე მნიშვნელოვანი რამ: ჩოფანმა მას „მოსცა ყოველი საქართველო და ყოველი მთავარნი საქართველოსანი და შვილნი დავით მეფისანი და მესხნი შვილნი ბექასნი“. ეს იმას ნიშნავდა, რომ გიორგის ნება ეძლეოდა თავის ნებაზე, სავსებით დამოუკიდებლად ემოქმედა მონღოლთა კარისადმი დაქვემდებარებულ აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში (დასავლეთ საქართველოს მონღოლნი ვერ იგულისხმებდნენ, რადგან მასზე საერთოდ ხელი არ მიუწვდებოდათ). აქ ნაგულისხმევი იყო, რომ გიორგი მეფეს შეეძლო ყოველგვარი სამეფო და სამთავრობო რწმუნებანი ჩემოერთმია ყველა ცალკე მეფისა და მთავრისათვის საქართველოში და ამით მოეხდინა საქართველოს ხელახალი გაერთიანება ტფილისის ტახტისა და ეგიდის ქვეშ...

სწრაფად ამოქმედდა გიორგი ბრწყინვალე. ურდოდან დაბრუნებისთანავე შეუდგა ქართლის გაწმენდას ჩრდილო-კავკასიელ მოთარეშე ტომთაგან. ჯერ მიადგა გორს, სადაც თავს აფარებდნენ მარბიელად მოსული ოვსნი. ძლიერი ალყის შემდგომ მეფე გიორგიმ ციხე აიღო და ქალაქიდან „განასხნა ოვსნი“.

გორიდან ოვსთა განდევნაში ქსნისა და არაგვის მთიელებიც მონაწილეობდნენ. უკან დაბრუნებისას მათ გზაზე ცილობა მოუვიდათ — ბრძოლაში არა ჩვენ გამოვიჩინეთ უფრო მეტი ვაჟკაცობა, არა ჩვენო. ბრიყვული ღიზავ-ღიზავი ძმა-

თამკვლელ ომში უნდა გადაზრდილიყო. ჯერაფერს ვახდა მთაში საგანგებოდ მისული უფლისწული დავით გიორგის ძე, რომელიც უგუნურ სისხლთათხევისათვის გამზადებულ თანამოძმეთა შორის ჩავარდა, მუხლებზე დაიჩოქა და ხატებზეც აფიცა, მაგრამ არაფერმა გაჭრა. ლომისის მთაზე საშინელი ხმალთაკვეთებით ერთმანეთს შეაწყდნენ ქსნისა და არაგვის მთიელი ქართველობა.

გიორგი მეფეს უფრო გადამჭრელი ზომებისთვის უნდა მიემართა. და გავიდა იგი ტფილისიდან. არაგვის ხეობას აუყვა. ჟინვალის სასახლეში შეჩერდა მცირე ხანს. იქიდან ხადაცხაოტს ავიდა. მერე ჯვართა ყელი გადავლო და დარიალამდე ჩავიდა. არაგვის კარიდან მობრუნებული ლომისას დადგა. იქიდან ცხრაძმის ხევი ჩამოიარა. გზა და გზა, ხალხთან და ხევისბერ-ჰეროვანებთან თათბირითა და ბჭობით, მტკიცე ნებითა და ბრძნული სიტყვით, მთიელები სავსებით დაარწმუნა, რომ გიორგი მეფე სიცოცხლის ფასად აზღვევინებდა ყველას (განურჩევლად „დიდთა“ და „მცირეთა), ვინც კი მომავალშიც გაბედავდა „უსამართლობასა და მძლავრებულობას“, ქართველთა შორის ურთიერთ მესისხლეობას, განუკითხავ მკვლელობას, „ციხეთა დაქცევას“, სხვისი ცოლის „წაგურას“, საკუთარის „დაგდებას“, მოყვასის „საფლავისა ხელყოფას“ და სხვათა მსგავსთა „ულუსობათა“. მოდიოდა და ყოველი თემიდან თან მოჰყავდა ხევისბერი და ჰეროვანი. მათი თანხლებით მუხრანი ჩამოვლო და ტფილისს დაბრუნდა.

სატახტო საგანგებო დარბაზობით ელოდებოდა მეფეს, აქ ყველაფერი გაემზადებინა კათალიკოს ექვთიმეს (ესეც გიორგის ნებით გამხდარიყო ქართველ ქრისტიანთა მწყემსთავრად). შეკრებილიყვნენ „ვეზირნი და ეპისკოპოზნი და მოურავნი“. მთიდან ჩამოყვანილი ხევისთავებიც შეუერთდნენ და მეფემ გახსნა დარბაზი.

დარბაზმა მიიღო მეფე გიორგის მიერ შედგენილი ახალი კანონმდებლობა საქართველოს მთიანეთისთვის.

მას ერქვა — „ძეგლის დადება“.

საქართველოს მთა უბრუნდებოდა თავის ძველ, ტრადიციულ წესრიგსა და ზნეობრიობას. ფეოდალური განკერძოებულობა გზას უთმობდა მეფის ცენტრალიზებული ხელისუფ-

ლების შეუვალ და განუყოფელ უზენაესობას. ბოროტი „ულუსობანი“ მძიმედ, მაგრამ მაინც გარდუვალი ეამსგასულობით ივლტოდა ქართული ზნეობრივი სამყაროდან.

„ძეგლის დადებას“ გიორგი ბრწყინვალემ ახალი სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური კანონმდებლობა მოადევნა. ესაა სახელგანთქმული „ხელმწიფის კარის გარიგება“ — ქართული სახელმწიფო- სამართლებრივი კულტურის ბრწყინვალე გამოვლინება. ეს ნიშნავდა თამარის დროინდელი სახელმწიფოებრივი სისტემის აღდგენას...

გიორგი ბრწყინვალე დაუცხრომლად იბრძოდა საქართველოს დანგრეული სამეურნეო ცხოვრების აღსადგენად და ასაყვავებლად. მონღოლ ბასკაკთა შიშით მთაში გახიზნულ ბარელებს ისევ თავის ნაფუძარზე აბრუნებდა, ამკვიდრებდა და ტრადიციული აგრიკოლური ცხოვრებისაკენ მოუწოდებდა, ამხნევებდა, აქეზებდა, ეხმარებოდა.

მეფე ბევრს ზრუნავდა ქვეყნის ფინანსიური მდგომარეობის მოწესრიგებისათვის. მისი გამეფების ჟამს მონღოლურ სამფლობელოებში ბატონობდა ყაზან ყაენის სახელობაზე მოჭრილი ფული — „ყაზანური თეთრი“. ასევე იყო საქართველოშიც. გიორგი მეხუთემ საგანგებო ფინანსიური რეფორმით ფულად მიმოქცევაში გაუშვა თავის სახელზე მოჭრილი ახალი ვერცხლის მონეტა — „გიორგაული თეთრი“, რომელმაც ჯერ სრულიად დაჩრდილა, ხოლო მალე სავსებითაც გააძევა ფულადი მიმოქცევიდან მონღოლური „ყაზანური“.

გიორგიმ ფართოდ გაშალა კულტურული აღმშენებლობა. კვლავ აღადგენდა ასი წლის მანძილზე ნანგრევ-ნაოხარ ქალაქებს, სოფლებს, სავანეებს, ტაძრებს, არხებს, გზებსა და ხიდებს. მან განაახლა დაქცეული და შერყვნილი ტაძრები დადაბნისა, ფიტარეთისა, წუღრუღაშენისა, კაზრეთისა, დმანისისა...

...1327 წელს ილხან-მონღოლთა ურდოში, უნიჭო და ბეშურნე კარისკაცთა ჩასმენით, ყაენმა აბუსაიდმა სიცოცხლეს გამოასალმა მისი კეთილისმყოფელი ჩოფან ნოინი, მის ორ ვაჟთან ერთად. ეს ბრიყვული სისხლიანი ქმანი სულ მალე ძვირი დაუჯდა თვითონ ჰკუამოკლე ყაენსაც და მთელს ურდოსაც. მონღოლთა შორის პირველი კაცის მოულოდნელმა მკვლელობამ ფეხზე დააყენა ჩოფანის წყალობით დაწი-

ნაურებული მონღოლი დიდებულები, ცალკეულ კუთხეთა გამგებელნი, დუმანთა მეთაურნი, ნოინები და ბაჰადურები.

მტრობა უნდა ჩამოვარდნილიყო აბუსაიდსა და გიორგის შორისაც, რადგან ჩოფან ნოინს ყველაზე დიდი მეგობრობა სწორედ ქართველ მეფესთან ჰქონდა. თითქოს სავსებით ისეთივე მდგომარეობა შეიქმნა, როგორც გიორგის მამის, დემეტრეს ჟამს: რაკი მაშინ არღუნ ყაენმა თავისი პირველი ვაზირი, დემეტრეს მეგობარი და მოყვარე ბუღა ნოინი მოკლა, მასვე ყველა მისი ახლობელი და ნაწყალობევი უნდა მიჰყოლოდა. ასედაც მოხდა მაშინ — არღუნ ყაენმა დემეტრე ურდოს გაიწვია და მოაკვლევინა.

თითქოს ახლაც ასე იყო მოსალოდნელი: აბუსაიდ ყაენი ქართველ მეფეს ურდოში გაიწვევდა და სულეთში გაგზავნილი მისი მეგობრის კვალს გაუყენებდა.

მაგრამ ახლა მდგომარეობათა მსგავსება მხოლოდ გარეგნული ხასიათისა იყო. ხოლო არსებითად მოპირდაპირეთა მდგომარეობაც შეცვლილიყო და მთავარ მოქმედ გმირთა როლებიც. ამჯერად ქართველი მეფე გაცილებით ძლიერად გრძნობდა თავს, ვიდრე მონღოლი ყაენი. ეს ორივე მხარეს კარგად სცოდნია, რაც მოვლენათა სწრაფად განვითარებამ სწრაფადვე დაადასტურა.

დაიწყო იმით, რომ ყაენმა გიორგის ურდოში გაწვევა... ვერ შებედა!

მაგრამ „მთავარი დაწყება“ მაინც ის იყო, რომ ამჯერად (პირველად მონღოლთა ბატონობის დამყარების შემდეგ) თვითონ ქართველი მეფე გადავიდა შეტევაზე!

მან მონღოლთა ყაენს ხარკის გადახდაზე უარი შეუთვალა!

წილი ნაყარია! რუბიკონი გადალახულია!..

და... ყაენმა დუმილით უპასუხა!

მაგრამ დუმილი მარცხთან შერიგებასაც ნიშნავს და ავის-მომასწავებელ შურისგებასაც. ხოლო, რომელი იგულისხმებოდა ყაენის დუმილში?!

მაგრამ გიორგი ბრწყინვალეს პაუზები არ უყვარდა და მახვილზე ხელდადებული მიადგა ქართულ სამანებთან ჩარიგებულ მონღოლურ ბანაკებს.

მივიდა და მისვლისთანავე ჯიქურ უბრძანა: ან თქვენის

წებით, უსისხლოდ დატოვეთ საქართველოს მიწა-წყალი, ან ბრძოლა მიიღეთო!

მონღოლთაგან ზოგი მოიქცა „გონიერებითა“ და საქართველო უომრად დატოვა. დანარჩენები კი მახვილებს მიწვდნენ.

ქართველებიც „მიეშვნენ“ მახვილშემართულნი.

ბრძოლა გაგრძელდა მძიმედ, სისხლნაჯერად, რვა წელიწადს.

დასავლეთ საქართველოს შემოერთებით გაძლიერებულმა გიორგი მეფემ თავისი გაიტანა და ყველა შეტაკება მონღოლთა სრული მარცხითა და განდევნით განესრულა.

ასე „განასხნა თათარნი საქართველოსაგან“ მეფე გიორგი ბრწყინვალემ.

ეს ამბავი საქართველოში მონღოლთა გაბატონებიდან სწორედ 100 წლის თავზე მოხდა — 1335 წელს (მონღოლთა ბატონობა ხომ 1235 წელს დამკვიდრდა საქართველოში).

ქართველთა მეფე ერთბაშად „მსოფლიო გმირად“ იქცა, რადგან მონღოლთა ქვეშევრდომობაში მყოფი მსოფლიო ხალხებიდან, იგი აღმოჩნდა პ ი რ ვ ე ლ ი, რომლის მოთავეობით მისმა ხალხმა პ ი რ ვ ე ლ მ ა დაამხო უბოროტესი „თათრული უღელი“.

ქართველთა ეს, „მანამდე გაუგონარი“ გამარჯვება ილხანურ-მონღოლური ურდოს დანგრევის ზენიშანი შეიქნა. სწორედ იმხანად აბუსაიდ ყაენი შეთქმულებმა მოჰკლეს და მისი სახელმწიფოც მაშინვე დაიშალა: „განდგნეს ნოინნი თვისთვისად და რომელთამე დაიპყრეს სპარსეთი, სხუამან ხუარასანი, სხუამან ერაყი, სხუამან ადარბაგანი და სხუაცა საბერძნეთნი“...

გამარჯვება გამარჯვებად დარჩა, მაგრამ გიორგი ბრწყინვალეს არ შეეძლო გვერდი აევლო მისი ქვეყნის შინაგანი ავსნებოვანებისათვის, რომელმაც ერთჯერ კიდევ იჩინა თავი სწორედ მონღოლებთან ომების ჟამს.

ეს იყო ისევ და ისევ ღალატი და საქვეყნო-ეროვნული საქმეებიდან განდგომა-განრინება თვითნება და თავგამზიდავი ფეოდალებისა. დიდ გამათავისუფლებელ ომში არ მონაწილეობდნენ ქვემო ქართლისა („სომხითი“) და კახეთ-ჰერეთის მთავრები. უფრო მეტიც: სომხითის მმართველნი, მხარ-

გრძელთა ნაშიერნი, შეფარვით მონღოლთა მხარეს იჭერდნენ და ქართველი მეფის წარმატებებს მზაკვრული პირით ხვევრავდნენ.

და თემიდას მახვილიც გაშიშვლდა...

გიორგიმ კახეთში, ცივის მთაზე გამართულ საზაფხულო სასახლეში, მთავართა და „საქვეყნო განმრიგეთა“ დარბაზობა დანიშნა.

ყველა ერთგული მოვიდა ცივის სასახლეში.

ორგულებიც მოვიდნენ, რადგან მოუსვლელობა ვერ გაბედეს, მით უფრო, რომ მათი ქომაგნი — მონღოლ-თათარნი—უკვე გადაქარებულიყვნენ საქართველოდან.

დარბაზმა გამოწვლილვითი გამოძიებით დაამტკიცა გაუსწორებელი ღალატი სომხითისა და ჰერეთ-კახეთის მთავრებისა.

მეფის ნიშანზე მისი ერთგული კარისკაცები მოღალატეებს მახვილებით მისცვივდნენ და იქვე თავები დააყრევინეს.

ქვემო ქართლი და კახეთ-ჰერეთი ერთჯერ კიდევ დაუბრუნდა ქართულ ტახტს.

ეს საქმე გადაწყდა მარტივად, მკაცრად, უძვრელი გულით, მტკიცე მკლავით, ცივი ფოლადით და დიდი სიმართლით...

გიორგი ბრწყინვალეს საქართველოს გაერთიანება მონღოლთა განდევნამდე და ცივის სისხლიან დარბაზობამდე ჰქონდა დაწყებული.

იგი გამორჩეული სიფრთხილით ადევნებდა თვალს დასავლეთ საქართველოში მიმდინარე მოვლენებს. მეფეს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, მოესპო ამ ოთხმოცი წლის წინათ წარმოშობილი „ორტახტიანობა“. მან კარგად იცოდა, რომ საქართველოს მთლიანობის აღდენის ღერძი სწორედ ქუთათისის ტახტის გაუქმება და დასავლეთ საქართველოს შემოერთება უნდა გამხდარიყო.

1327 წელს ქუთათისში გარდაიცვალა მეფე კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე დავით ნარინის ძე, რომელსაც შვილი არ დარჩენია, ტახტი მაშინვე დაიჭირა მისმა უმცროსმა ძმამ, მ ი ქ ე ლ მ ა, რომელიც მანამდე რაჭა-არგვეთში გამაგრებულიყო და იქიდან ეურჩებოდა მეფე-ძმას. გამეფებიდან ორი წლის შემდეგ, 1329 წელს, მიქელიც მოკვდა და დარჩა ყმა უფლისწული ბ ა გ რ ა ტ ი.

დასავლეთ საქართველოს მთავრებმა და „საქვეყნო განჩრიგეებმა“ ბაგრატის მცირეწლოვანებით ისარგებლეს, გადაკვეთნენ და „არღარა მოერთნენ“ ქუთათისის ხელისუფლებას.

გიორგიმ დრო ხელსაყრელად მიიჩნია და სასაწრაფოდ „ეზრახა“ ქუთათისის სამეფოს მესვეურებს, ამათაც „სათნოდ იჩინეს მეფობა მისი“ და მიიწვიეს. გიორგი მაშინვე დაიძრა მხედრობით ქუთათისისაკენ, ლიხის მთის გადალახვისთანავე გიორგი მეფეს „იმერნი ყოველნი მოერთოდნენ სიხარულითა“.

ბაგრატის „დასმა“ გაძალიანება სცადა და ქუთათისის ციხეში ჩაიკეტა. გიორგიმ ციხეს ალყა შემოარტყა. სულ მალე, ალყისგან „შემჭირვებულმა“ შერიგება ითხოვა: სიცოცხლე მაჩუქე, სარჩო აქვე იმერეთში გამიჩინე და ქუთათისისა და მთელი დასავლეთ საქართველოს ციხე-ქალაქთა გასაღებებს ჩემის ხელით მოგართმევო, — შემოუთვალა მან გიორგის. მეფეც სიხარულით შეხვდა ყრმის შემონათვალს. სიყვარულითაც მიიღო „მოყვარე თვისი“. დასავლეთ საქართველო ჩაიბარა გიორგიმ „და დასხნა ერისთავნი თვისნი“. თვითონ ბაგრატს საერისთავოდ მისცა შორაპანი. ფრთამალედ მოეახლნენ, დიდი ძღვენი მოართვეს და მორჩილება გამოუცხადეს მეფეს: ოდიშის მთავარმა მამია დადიანმა, გურიის მფლობელმა გურიელმა, სვანთა ერისთავმა და აფხაზეთის მთავარმა შარვაშიძემ. ქუთათისიდან გიორგი თვითონ გაეშურა ოდიშს და აფხაზეთს, „განაგნა მუნებურნი და დაიპყრნა ციხენი თვისად“, რომელთაგან ცხომი (სოხუმი) სამფლობელოდ მიუკერძა ბედიის საერისთავოს.

საქართველოს უკიდურესმა ჩრდილო-დასავლეთის სამხრმა კვლავ მიატანა თავის ძველ საზღვარს — ნიკოფსიას.

აფხაზეთ-ოდიშიდან გიორგი მეფე გურიას ეწვია და იქაც „განაგნა მუნებურნი“ საქმენი.

გურიიდან მეფე მესხეთში გადავიდა, თავის დედულეთს, რომელსაც აგერ, თითქმის, 70 წლის მანძილზე საქართველოს ტახტისაგან განკერძოებით ეჭირა თავი.

მესხეთის შემოერთებაც მტკიცედ გადაეწყვიტა გიორგის, მხოლოდ აქაც დროს უცდიდა, რათა ეს საქმეც, იმერეთის მსგავსად, ძმათაშორისი სისხლის დაუქცევლად გაეთავებინა; მით უფრო, რომ მესხეთის მაშინდელი მთავარი, სარგის II ბექას ძე, გიორგის მკვიდრი ბიძა (დედის ძმა) იყო.

„შესაფერისი დროც“ მაშინ დადგა, როცა სარგის II გარდაიცვალა (1334). გიორგიმ მაშინვე თავისი უზენაესობა მესხეთის მიმართ ასეთი „იურიდიული წიაღსვლით“ გამოაცხადა: მესხეთის მთავრად და ათაბაგად თვითონ დასვა და დაამტკიცა გარდაცვლილი სარგისის ძე ყვარყვარე (თავისი ბიძაშვილი). ამით მეფე ქვეყანას ამცნობდა, რომ ამიერიდან მესხეთის სამთავროც, სხვა ქართულ სამთავროთა მსგავსად, სრულიად საქართველოს ტახტს ემორჩილება და მის მთავარსაც აცხადებს და ამტკიცებს მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს მეფე.

გიორგი სამცხიდან ტფილისს ახალი მობრუნებული იყო, როცა მოახსენეს: „რომელმან ნოინთაგანმან“ მონღოლ-თათართა მხედრობით ადარბადაგანი დაიპყრო, რან-მოვაკანი მოარბია, განჯამდეც მოაღწია და საქართველოს შუაგულის დალაშქვრასაც ეპირებაო.

გიორგიმ ფიცხლავ შემოიყარა ლაშქარი და მტერთან შესახვედრად გაქუსლა.

განჯის დასავლეთით შეიბნენ ქართველები და თათრები.

ეს მათი უკანასკნელი შეხვედრა იყო.

და „იქმნა ბრძოლა ძლიერი“.

იძლივნენ და გაიქცნენ თათარნი. გამოედევნენ „სპანი მეფისანი მახვილითა და შემოიქცნენ გამარჯვებულნი ალაფითა დიდითა“.

ეს ბრძოლა ასეთი წარმატებით ჩაათავეს ქართველებმა და ახლა მცირე აზიიდან წამოვიდა ოსმალთა მამამთავარი, სულთანი ორხანი. დიდი თურქული მხედრობით მოდიოდა იგი, „რათა დაიპყრას კლარჯეთი და მიმდგომნი მისნი“.

გიორგი მეფეც ჩაეგება ურიცხვ მტერს და კლარჯეთის საზღვარზე სასტიკი ბრძოლა ისევ ქართველთა ძლევამოსილებით დასრულდა. გაწყდნენ „ურიცხვნი თურქნი ივლტოდნენ სულტნითურთ“. გიორგი მეფე ტფილისს მობრუნდა გამარჯვებით გალაღებული და ალაფით დატვირთული.

ისევ მიმართა მეფემ აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ქვეყნებს. ისევ შემოიმტკიცა სომხეთი, დაიპყრო რანი, მოვაკანი და დაღესტანი, დახარკა შირვანი და ისევ აღმართა ქართული სამანი კასპიის ზღვაზე, ჭალაქ დარუბანდს.

მაშ, გიორგი ბრწყინვალემ, „ვითარცა აღმაშენებელმან“

კვლავ აღადგინა კავკასიელთა იმპერია „ნიკოფსიით დარუბანდამდის“.

ხოლო, 1341 წელს გიორგი ბრწყინვალემ ქართული დასის საჭეთმპყრობელობა ისევ აღადგინა ტრაპიზონ-პონტოს სახელმწიფოში და ამრიგად, საქართველოს სამხრეთი საზღვარი ისევ გადიჭიმა სინოპიდან არადაველამდის...

კვლავ ახმაურდა მსოფლიო ლეგენდარული დავით აღმაშენებლისა და თამარ შვიდმნათობიერის სახელმწიფოს წელახალი აღორძინების და ამაღლების თაობაზე. ევროპა დიდის ამბით იხსენიებს ქართველთა ქვეყანას, ქართველთა სატახტოს, ქართველთა მეფეს. რომის პაპმა უმჯობესად სცნო ევროპელთა საქრისტიანო კათედრა, — რომელიც სარწმუნოებრივზე მეტად დიდსა და იდუმალ პოლიტიკურ ზრახვებს ემსახურებოდა — ქალაქ სმირნადან საქართველოს სატახტოში გადმოეტანა. ამასთან დაკავშირებით, რომლის პაპი ო ო ა ნ ე XXII თავის ეპისტოლეში წერდა: „ტფილისი, ქართველთა სამეფოს შუაგული ადგილი, საუკეთესო, უაღრესად შესანიშნავი, ერით სავსე, მარჯვე და სიმდიდრით უხვი ქალაქია. ამიტომ... სმირნის საეპისკოპოსო კათედრა გადაგვაქვს ხსენებულს ტფილისის ქალაქსა“.

გიორგი ბრწყინვალე თავგამოდებით ზრუნავდა, აღედგინა „ყველა რჯულის“ მსოფლიოში დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის დროინდელი პრესტიჟი საქართველოსი.

გავიხსენოთ, — XI საუკუნეში, პროხორეს მეთაურობით, ქართველებმა იერუსალიმში ააგეს ჯვარის მონასტერი. მერე დავით აღმაშენებელმა სინას მთაზე ააშენა ქაროული ეკლესია. ყოველივე ამას დიდ სარწმუნოებრივ მნიშვნელობასთან ერთად ასევე დიდი პოლიტიკური მიზანდასახულობაც ჰქონდა: მუსლიმანურ აღმოსავლეთში და ქრისტიანულ ევროპაში ქართული პრესტიჟის „გამსოფლიოება“. ავბედითმა XIII საუკუნემ ქართველებს ეს „მსოფლიო წიაღსვლები“ ხელიდან გამოსტაცა. მუსლიმანმა ფანატიკოსებმა. რასაკვირველია ეგვიპტის სულტანის წაქეზებითა და თანადგომით, იერუსალიმის ჯვარის ლავრა ქართველ ქრისტიანებს წაართვეს და ისლამიტურ მიზგითად გადააკეთეს. ქართველებს ამიერიდან, სხვა ქვეყანათა ქრისტიანების მსგავსად, უფლება წაერთვათ ეროვნული დროშებით შესულიყვნენ იერუსალიმში. ამას

გარდა, მუსლიმანებმა ქართველების დამცირებაც ისე ჰოინდომეს, როგორც მანამდე ამცირებდნენ დანარჩენ ქრისტიანებსაც: მათ უფლება უნდა წართმეოდათ ცხენზე თუ სახედარზე ჩვეულებრივ ფეხებგადალაჯული შემჯდარიყვნენ. ქრისტიანები, მუსლიმანთაგან განსხვავებით, ცხენზე თუ სახედარზე ცალგვერდით ფეხებგადაწყობილი უნდა მჯდარიყვნენ, ვითარცა დედაკაცები.

იერუსალიმის ყოველი წმიდა ადგილი, მათ შორის ქრისტეს საფლავი, უკლებლივ მუსლიმანებს ჩაეგდოთ ხელში.

და, გიორგი მეხუთემ ეგვიპტის სულტანს ელჩები გაუგზავნა — პიპა ერისთავი და დეკანოზი იოანე ბანდასძე. ქართველთა მეფე ეგვიპტელთა ხელმწიფეს საგანგებო ეპისტოლეს საშუალებით თხოვდა: მიზგითი გაეუქმებინა ჯვარის მონასტერში და დაებრუნებინა იგი მისი პატრონისათვის — ქართველი ქრისტიანებისათვის. აღარ აეკრძალა ქართველი მლოცველებისათვის ცხენზე წესისამებრ ჯდომა და მათთვის მიეცა ყოველი სხვა უფლებანი, რითაც თვითონ მუსლიმანები სარგებლობდნენ. ქართველებს დაბრუნებოდათ ტრადიციული უფლება იერუსალიმში ქართული დროშებით შესვლისა. ბოლოს, ქრისტეს საფლავის კლიტეებს მოითხოვდა ქართველი მეფე.

ყველა ამ საკითხთა შესრულება მუსლიმთა წესით შეუძლებელ საქმედ იყო მიჩნეული. მაგრამ მუსლიმ ხელმწიფეებშიც იმდენად დიდი ყოფილა რიდი და კრძალულება საქართველოს მეფის წინაშე, რომ ეგვიპტის დიდმა სულტანმა უკლებლივ აღასრულა ყველა მისი მოთხოვნა.

მაშ, ისევ დაუბრუნდა ქართველებს მათი ტაძრები და სავანეები პალესტინასა და სინას მთაზე. ისევ შედიოდნენ ქართველები იერუსალიმში ეროვნული დროშების რხევით, მხედრულად ამხედრებულნი. ქრისტეს საფლავის კლიტეებიც ჩამოუტანეს გიორგი მეფეს მისმა ელჩებმა იერუსალიმიდან ტფილისში.

ქართველებს ქრისტეს საფლავის კლიტენი წაუღიათ და თანაც მაცხოვრის საფლავს ისე მტკიცედ იცავენ, რომ იქიდან ვერავითარ ოქროს საფასურად იოტის ოდენასაც ვერავინ რაიმეს გაიტანსო, — გაიძახდნენ ევროპაში.

და მიმართავდნენ მაშინდელი გულხვაციანი ხელმწიფენი, სოლმე, ქართველთა მეფეს, გიორგი ბრწყინვალეს:

„ალლაჰმა დღეგრძელჰყოს ბრწყინვალება მისი უდიდებულესობისა ხელმწიფისა სახელოვნისა და სახელგანთქმულისა, მამაცისა, უშიშარისა, ძლიერისა, დაუცხრომლად მებრძოლისა, ლომისა, ტახტ-გვირგვინისა მპყრობელისა, თავისი სარწმუნოების მფარველისა, თავის ქვეშევრდომთათვის სამართლიანისა, ბერძენთა (ქრისტიანთა) მეფეთა შორის საუკეთესოისა, ქართველთა სულტნისა, ზღვათა და სრუტეების სამფლობელოთა განძისა, რაინდთა მფარველისა, თავის წინაპართაგან ტახტ-სკიპტრის დამამკვიდრებელისა. რუმისა და ერანის ქვეყნების მფარველისა, იონთა (ძველ ბერძენთა) მემკვიდრისა, ასურეთის მეფეთა მფარველისა, გვირგვინოსანთა შორის ურჩეულესისა, ქრისტიანობის განმადიდებლისა, იესოს სარწმუნოების საძირკვლისა, წმინდა ადგილთა განმადიდებლისა, ნათელღებულთა მისაყრდნობელისა რომის პაპის მეშველისა, მუსლიმანთა მეგობრისა, დაახლოებულ მეგობართა შორის უმშვენიერესისა, მეფეთა და სულტანთა უგულითადესი მეგობრისა“...

...მაშ გიორგი მეხუთემ თავისი ქვეყანა აღადგინა, აღაშენა და აღამაღლა, საზოგადოდ — „ვითარცა კეთილმან ხუროთმოძღვარმან“ და კერძოდ — „ვითარცა დავით აღმაშენებელმან“.

მან ქართველ კაცს დაუბრუნა რწმენა საკუთარი თავისა.

რწმენა საკუთარი სარწმუნოებისა.

რწმენა საკუთარი სამშობლოისა.

და საერთოდ — რწმენა რწმენისა.

მას მისმა ხალხმა უწოდა „ბ რ წ ყ ი ნ ვ ა ლ ე“.

უწოდა, — „რამეთუ იყო ჰაეროვნებითა, შუენიერებითა და ახოვნებითა უებრო, მოწყალე, უხვი, ობოლთა და ქვრივთა და დავრდომილთა შემწყნარებელი. მეორედ, ვინაითგან იყო ივერია დაფანტული, სამთავროდ და სამეფოდ დაყოფილი, ამან სიბრძნე-გონიერებითა და ძლიერებითა თვისითა კვალად შემოიკრიბნა და იგონა, ვითარცა აღმაშენებელმან, განავსნა და აღაშენნა ქუეყანანი, რჯული და სამოქალაქნო წესნი განაბრწყინვა, ეკლესიანი დარღუეულნი და მოოხრებულნი აღაშენნა, განაახლნა და განანათლნა... სძლო ყოველ-

თა, სადა ჯერ იყო ბრძოლითა და ძლიერებითა და სადა ხამდა სიბრძნე-გონიერებითა და მეცნიერებითა ოვისითა დაამშვიდნა, და შეფობდა მეფობითა კეთილითა...“

...და 1346 წელს. იგი მოუკვდა საქართველოს.

დაიკრძალა გელათს.

მისი სიკეთე, სიწმინდე და სიდიადე მას ღირსეულ ადგილს მიუჩენს ვახტანგ გორგასალის, დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფეთამეფის გვერდით.

სწორედ მისმა შუქმოსილმა გაელვებამ განაკრთო ასწლოვანი მონღოლური წყვდიადი ქართული. ციდან.

ათ წელიწადში მან მკვდრეთით აღადგინა და ძველ „გეორგიადულ მწერვალებს“ დაუბრუნა ასი წლის მანძილზე უბოროტესი სელით ნაწამები და ნავნები სამშობლო.





თექვსმეტი

მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დადვის ცხოვართათვის.

იოანე, 10, 11

დგა 1609 წელი.

ქართლის მეფე ლუარსაბ ძეო ძცირე აპალით ცხირეთს დამდგარიყო, საზაფხულო განსასვენებელში.

მოურავ გიორგი საკაძესთან და სარდალ ზაზა ციციშვილთან ბჭობდა ხელმწიფე.

საშფოთარი ამბავი ამოეტანათ მესხეთიდან შიკრიკებს. თურქ-ოსმალთა მხედრობა შემოსევია მესხეთს. თურქთა ურდოს ყირიმელ თათართა ლაშქარიც ასდევნებია (ყირიმელებს „თათარ ხანის ჯარს“, ანუ „მგლის-ტყაოსნებს“ უწოდებდნენ ქართველნი). და ყველა ერთად შემოსევიან სამცხეს. აუღიათ და დაურბევიათ ახალციხე. ალბათ, ქართლისკენაც არ დაიშლიან წამოსვლას და...

თადარიგი დაეჭირათ მეფესა და მოურავს: ზაქარია და იარალი ბარათაშვილნი გაუგზავნიათ მცირე ჯარით მესხეთიდან ქართლისაკენ მომავალი გზების სათვალთვალოდ....

მტრის ურდო კი უკვე მოგორავდა ქართლისაკენ. ერთად შეყრილიყვნენ ოსმალ-თურქნი, სამცხის, შავშეთის, ნიგალისხევის ფაშები, „თათარ ხანის მგლის-ტყაოსანნი“ და ახალციხის აღების შემდგომ „მთავარი გურჯისტანის“ წასახდეხად მოთქარუნობდნენ.

ურდოს ფერად ფაშა მოუძღოდა, გამაჰმადიანებული ქართველი...

გადმოიქროლეს ჯავახეთი, ჯრიალეთი და მანგლისს მოიჭრნენ ანაზდეულად.

ზაქარიასა და იარალის რაზმებმა გვიან შეიტყვეს მტრის შემოსევა. თურქებმა უკვე მოასწრეს რამდენიმე სოფლის აოხრება, ამოწყვეტა და წარტყვევნა.

გამოედევნენ ზაქარია და იარალი. ახლომახლო სოფლის მოსახლეობაც გონს მოეგო და მტერს გამოენთო, ნამგლით, ცელით და მარგილით აღჭურვილი.

თურქებს სადღაციდან ცნობა ჰქონიათ, რომ ლუარსაბ მეფე ცხირეთს იდგა და თვითონაც ცხირეთისკენ მოილტვოდნენ დაოთხებულნი. ქართველთა მეფის მონადირება და შიდა ქართლის მოთარეშება ჰქონდათ გულს ამოჩრილი. საგულდაგულოდ ყირიმელი „მგლის-ტყაოსანნი“ მოჭენაობდნენ „საოცნებო გურჯისტანის“ მოსაძარცვავად და „მოსაჭმელად“. ბევრჯერ გაეგონათ: ვერსად იმდენ ტკბილსა და ხვავრიელ ნადავლს ვერ მოინადავლებ, როგორც საქართველოშიო; მხოლოდ ქართლში შეგიძლია საშვილიშვილოდ გამდიდრდეო...

და მოჰქროდა 60 000 ოსმალო და „მგლის-ტყაოსანი“ შიდა ქართლისკენ.

გზა არ იცოდნენ და მეგზურს ეძებდნენ.

მანგლისი, ოძისი და კველთა რომ გადასწვეს, სწორედ აქ, კველთაში, ერთი მღვდელი მოიხელთეს, სახელად თ ე ვ დ ო რ ე, და იმას უბრძანეს, წინ გაგვიძეხ და გაგვიყვანე ცხირეთისკენო.

თევდორემ ცივად იუარა.

უარი გაგვიბედაო?!

და შემოჰკრეს ლახტი ანაზდაითად.

მღვდელი ჯანმაგარი გამოდგა. არც დაცემულა, არც დაუკვნესია, ისე ნირშეუცვლელად შესჭამა უსაშველო ტკივილი.

მეორედ შემოუქნიეს, მაგრამ თევდორემ დარტყმას დაასწრო და თქვა: კარგი, წაგიძღვებით მეგზურადო.

მხარ-მკლავი გაუთოკეს — არ გაგვექცესო — და ორმა ახმახმა იანიჩარმა გაიგდო წინ.

მიდიოდა და ფიქრობდა ახალგაზრდა მღვდელი, პირზე ღიმილგადაფენილი:

„საწუთრო ესე ცალკე კაცისა არის წამიერ და წარმავა-

ლი. სული ცხოველი მარადჟამეულ არის ქრისტე და არის საჭართველო, სამშობლო ჩემი".

„მე ვარ მწყემსი კეთილი... და სულსა ჩემსა დავსდებ ცხოვართათვის... მე ვარ მწყემსი სოფელ კველთის მცირე სამწყსოსი, ხოლო სული ჩემი უნდა დავსდვა დიდი სამწყსოსთვის — საქართველოსთვის".

„რამეთუ ქრისტეს შემდგომ ღმერთი ჩვენი არს საქართველო".

„მადლობელი ვარ შემოქმედო, რამეთუ შემქმენ ჩემი ქვეყნის და ჩემი ხალხის მსხვერპლად, ზვარაკად"...

იანიჩარმა შუბის ტარი აძგერა ზურგიდან.

ფიქრი ჩაუწყდა თევდორეს.

კითხვა მოესმა:

— ეს სად მოვედით?

თვალი მოავლო იქაურობას თევდორემ.

— გოსტიბეში ვართ, — თქვა მშვიდად.

— აქედან ცხირეთი შორს არის?

— არც ისე შორს.

— აბა, გასწი!

და გასწიეს.

და ისევ გაუყვა ფიქრის გზას თევდორე:

„დგება ჟამი აღსრულებისა და, სულო ჩემო, განიცადე, რომ ხორცი შენი ჯერ ისევ ცხოვლად ებჯინება ესოდენ უთვალავ საოცრებებით აღსავსე მიწას, რამეთუ მიწა ესე არს ქართული"...

„განიცადე, რომ თვალნი შენნი ჯერ ისევ ხედვენ ესოდენი სიმშვენიერითა და იდუმალებით აღსავსე ცის გვამს, რამეთუ ცაი ესე არს ქართული"...

ისევ ჩაუწყდა ფიქრი თევდორეს: მის წინ ახმახი ოსმალო ატუზულიყო, მდიდრულად მორთულ-მოკაზმული, ოქროვერცხლით მოსევადებული აღჭურვილობით ჩასილაღებული. უეჭველად ფაშა იქნებაო, — გაუელვა თევდორეს.

— სადა ვართ ახლა და რა ჰქვია ამ სოფელს? — დანჯღრეული ქართულით ჰკითხა თურქმა ქართველს.

— ერთაწმინდა, — მოკლედ მოკვეთა თევდორემ.

— აქედან ცხირეთი კიდევ შორს არის?

— არც ისე შორს.

— აქ ორი გზაა.

— ჰო, ორი გზა.

— ცხირეთისკენ რომელი მიდის?

— მარჯვენა გზა... აკი მე თვითონ მიგიძღვებით.

— აბა, გასწი!

და გასწიეს.

ცხირეთი კი ხელმარცხნივ დარჩა.

თევდორეს სოფელ ქვენადრისისკენ მიჰყავდა მტრის ურდო.

ხოლო ქვენადრისი ჯერ კიდევ შორს იყო.

„სანამ ქვენადრისს მივალთ, მანამ ცხირეთს მდგარი მეფე უეჭველად შეიტყობს მტრის შემოსევის ამბავს... შესაძლოა შეტყობილიც აქვს... ღმერთმა ინებოს“.

„მე მაწამებენ... თუმცა მე ვერა... არამედ აწამებენ მხოლოდ სხეულს, ჩემადყოფილს... და არ მეტკინება სხეული ჩემად-ყოფილი; არ მეტკინება, რამეთუ არავის ძალუძს მატკინოს სული, სული ჩემი, ჭეშმარიტი „მე“... ესე არს, რამეთუ თქმულ არს ჭეშმარიტად: „და ნუ გეშინიან მათგან, რომელთა მოწყვიდნენ ხორცნი, ხოლო სულისა ვერ ხელეწიფების მოკლვად“...

„არა, არ მეშინის, არა, „რამეთუ უღელი ჩემი ტკბილ არს, და ტვირთი ჩემი სუბუქ არს“... რამეთუ მე, თევდორე, ტომით ქართველი, მწირი და გლეხი, ვკვდები ქრისტესთვის და ქრისტეანი საქართველოსთვის!.. ხოლო, შენ გვედრებ, უფალო, რამეთუ ვერ მოიხილონ ვერასოდეს დამხობილი ჩემი სამშობლო ვერა კაცთაგანმა — ვერცა აღმოსავლელთა, ვერცა დასავლელთა, ვერცა სამხრეთელთა, ვერცა ჩრდილოელთა“...

...სოფელი გამოჩნდა.

— რა ჰქვია ამ სოფელს? — ისევ იკითხა თურქმა ნაჯახირევი ქართულით.

— ამ სოფელს ჰქვია ქვენადრისი, — მშვიდად თქვა თევდორემ.

— ქვენადრისი?!

— ჰო.

— მერე?

— რა მერე?

— ცხირეთი?

— რა ცხირეთი?

— სად არს ცხირეთი?

— იქ, სადაც არს! — უცნაური ღიმილით თქვა თევდორემ.

ცის გვამი შეარყია ჟურჟუმა ბღავილმა.

შემოესივნენ და შემოეჭვდნენ მეწინავე იანიჩარნი.

წამით გაირინდა ყველა და ყოველივე.

კოშკივით ჩამდგარიყო თევდორე ჯგროდ და ჯუჩქად შემოჭდეულ ოსმალთა შორის.

და დაიქუხა „კოშკმა“:

— რაო, გველნო ურწმუნონო და ნაშობნო იქედნეთანო! ღვთის გარეგანი გული რისთვის არისხეთ? განა, იმისთვის, რომ ქართველმა კაცმა საქართველოს არ უღ...

მძიმე დარტყმამ ჩააწყვეტინა.

საშინელმა ტკივილმა ისევ მოაბრუნა გონს.

სტკიოდა და ვერ მიმხვდარიყო, სად სტკიოდა. ალბათ ტკივილად მთელი სხეული ქცეულიყო, სალმობიერი სხეული.

„არა მელმის, რამეთუ სხეულგანრღვეულობა ჩემი არ არის ჩემი. მე აღარ ვარ სხეული, მე ვარ სული, მხოლოდ სული, ჭეშმარიტი „მე“, ხოლო ლმობა მისი არ ძალუძს არა ხელსა მიწიერსა“...

თვალი გაახილა.

თავდაღმა ეგდო, ბექობზე გადამხობილი.

ზემოდან ჯალათები ასხდნენ და იატაგანებით აუჩქარებლად უსერავდნენ ძარღვებს.

წამებულს წამებისთვის აღარ ეცალა. ბექობს ქვემოთ წყარო ჩანდა, ცისფერი წყარო, გულწითელა ჩიტები ჩამსხდარიყვნენ და მეწამულ ფერს (თუ სისხლს?!) იბანდნენ ფრთების ფათქუნით.

პირი მტკბარი სისხლით აევსო.

„ესე არს გემო სიკვდილისაი“...


„ხოლო მე, თევდორე, მღვდელი და მწყემსი, ტომით ქართველი, ვკვდები ჩემი საქართველოსთვის... და, გვედრი, უფალო, რამეთუ სამშობლო ჩემი, ვერცა სამხრეთელთა, ვერცა ჩრდილ...“

შემზარავი ჭახანი გაისმა...

...და ჩიტებმა იხილეს ფერდობზე დაგორებული თავი ადამიანისა, მათი მეწამული გულისფრად შეღებილი.

და გულგახეთქილი აფრინდნენ გულწითელები.

ხოლო სული წამებული მამულიშვილისა უფრო სწრაფად და უფრო შორს გაფრენილიყო — შორს, ცისად-ცისად...





ლუარსაბი

606 წელს საქართველოში სამი მეფე გამეფდა:
ქართლში — ლ უ ა რ ს ა ბ მ ე ო რ ე,
კახეთში — თ ე ი მ უ რ ა ზ პ ი რ ვ ე ლ ი,
იმერეთში — გ ი ო რ გ ი მ ე ს ა მ ე.

ეს იყო დრო, როცა ქართლ-კახეთიდან თურქები გადიოდნენ და სპარსელები შემოდიოდნენ. ირანის მაშინდელ მბრძანებელს, „დიად ლომს“, შ ა ჰ ა ბ ა ს პ ი რ ვ ე ლ ს, სრულად წაერთმია თურქეთისათვის აღმოსავლეთ საქართველო და აზერბაიჯანი. თურქები კი თავის საყმოდ ჯერჯერობით დასავლეთ საქართველოს და დასავლეთ მესხეთს ინარჩუნებდნენ.

რაღა თქმა უნდა, ლუარსაბის და თეიმურაზის გამეფებაც შაჰ აბასის ხებით მოხდა...

მაშ, ქართლში მეფობას იწყებდა 14 წლის ლუარსაბ II.

მაგრამ რა მეფობა იყო ეს?!

ტფილისში, აღჯაყალაში, ლორეში, დმანისში თურქების ნაცვლად სპარსელები ჩამსხდარიყვნენ და ჩამკვიდრებულიყვნენ. მხოლოდ ეს იყო „სიახლე“ და სხვა არაფერი.

თუმცა კიდევ იყო ერთი „სიახლე“: ბორჩალუს ველური ტომი მოდიოდა დედაწულიანად და ლორე-დებედას ხეობაში სახლდებოდა და იბუდებდა.

ტომი, რომელსაც ქრისტიანის სისხლი სწყუროდა, მარადისად დაურწყულებლად.

ტომი, რომელიც ჭინჭლასავით მრავლდებოდა.

და დამბლავდებოდა ქართული მიწის სამხრეთული განაკიდურნი.

და ვინ იცოდა, რას მოასწავებდა ეს ხვალ, ზეგ, ასზეგ... ასეულ წელთა სარბიელზე...

1607 წელს, ზაფხულში, ქართლის ახალ მეფეს ვესხებმა ახოკეს დახმარება თურქთა წინააღმდეგ საომრად.

და ლუარსაბმაც აფრინა ჯარი სამცხისაკენ.

და ქართველებმა გაიმარჯვეს. თურქები ახალციხიდან გააქციეს და სამცხის ათაბაგის ტახტზე მ ა ნ უ ჩ ა რ III აიყვანეს.

იმავე 1607 წელს შაჰ აბასმა ცოლად წაიყვანა ლუარსაბ მეფის დაი, ლ ე ლ ა (თინათინი), რომელსაც სპარსულად კიდევ ახალი სახელი დაარქვეს — ფათმა სულთან ბეგუმ.

კიდევ ორი წელი და თურქები და ყირიმელი თათრები ერთიან ურდოდ შემოესივნენ ჯერ სამცხეს, მერე ქართლს. მეფე ცხირეთს იდგა მაშინ და მტრის უეცარ დარტყმას ალბათ ვერც კი გადაურჩებოდა, მაგრამ ქველთველმა მღვდელმა თევდორემ, მტრისგან მეგზურად აყვანილმა, მტერსვე მეფისკენ მიმავალი გზა აუბნია, თვითონ სიცოცხლით გაიწირა და მეფეც გადარჩა და ქვეყანაც. მეფის ერთგულმა მოურავმა და მაშინდელი საქართველოს უმამაცესმა რაინდმა, გიორგი სააკაძემ, საომარი ძალების შეყრა მოასწრო და მტერს შეეგება.

პირველი შეტაკება თეძმის ხეობაში, სხერტის ჭალას მოხდა. აქ დიდი გმირობით თავი გამოიჩინეს გიორგი სააკაძემ და ზაზა ციციშვილმა, რომელმაც თურქ ფაშას თავი გააგდებინა, წარკვეთილი თავი კბილებით იპყრა და ორივე ხელით შეჭურვილმა განაგრძო ბრძოლა. ქართველებმა გაიმარჯვეს. მაგრამ ეს იყო ბრძოლა მაინც მცირე მოცულობისა.

გადამწყვეტი შერკინება მოხდა ტაშისკარს, ნახვეტას მინდორზე, 1609 წლის 27 ივნისს. აქ ომის ღმერთს საომარი სასწორის ერთ პინაზე 60 000 თურქი და „მგლის-ტყაოსანი" დაესვა, მეორეზე — 10 000 ქართველი.

ბრძოლა იყო სასტიკი, სისხლდამდინარი.

„ფიცხად იბრძოდეს ქართველნი".

პირველი გმირი, როგორც ყოველთვის, გიორგი სააკაძე იყო.

მაგრამ ერთგულ ყმას არც 17 წლის მეფე უგდებდა მხარს.

„მაშინ იქნა ომი დიდი იქით და აქეთ, და დიდად მოჭირვებით და გულსრულად შეიბნენ, — ძველთა გმირთაგანცა ძნელად შესაძლებლად საგონებელ იყო, რომ მაშინ ძეფე და მოურავი და სრულად ქართველნი იბრძოდნენ“.

ქართველთა გამარჯვება იყო სრული, ბრწყინვალე. მტერთაგან უმრავლესნი ჩაწყდნენ და ჩაიხოცნენ. ვინც სიკვდილს გადურჩა, „დაშინებულთა და დანჭრეულთა“, ტყესა და ღრეს მიაშურეს. ბრძოლიდან სამი დღის მანძილზე „საშოვარზე“ გადიოდნენ ახლო-მახლო სოფლელები, კაცნი და ქალნი, ტყესა და ხევში: იქ შეფარებულ თურქებს იჭერდნენ, აშიშვლებდნენ, მაგრამ ცოცხლად კი უშვებდნენ — ახლა საშიში აღარ არიანო, ეგენიც ადამის ძენი ყოფილანო...

ქართველებს ტყვედ წამოეყვანათ მტრის ყველა სარდალი, მათ შორის მთავარი სერასქერი — ფ ე რ ა დ ფ ა შ ა (ტომით ქართველი). ლუარსაბმა ყველანი „მოყვარესა და მოკეთეს“, შაჰ აბასს გაუგზავნა.

გაიხარა შაჰმა, ტყვეები ჩაიბარა, ქართველი ელჩი საბოძვარით აავსო და ლუარსაბ მეფესთანაც უძვირფასესი საჩუქრები და მისართმეველი გამოატანა.

1610 წელს შაჰ აბასი აზერბაიჯანში ჩამოვიდა და ქართველი მეფეები, ლუარსაბი და თეიმურაზი „სამეჯლისოდ“ მიიწვია.

ლუარსაბს თავისი სათხოვარი (თუ მოსათხოვარი) ჰქონდა და დიდის ამალით გაეშურა. დედამისიც, დედოფალი მარიამი, თან წაიყვანა ქართველ მანდილოსანთა ასაბიით.

შაჰ აბასმა ლუარსაბ მეფისა და მარიამ დედოფლის შესახვედრად დიდი მოხელე გამოგზავნა — მოჰამედ ამინ-ბეგი. ქართველ სტუმრებს იგი „ყოველი სადგურიდან სადგურამდე შესაფერისად ემსახურა და პატივისცემით და მოწიწებით შაჰის ტახტთან მიიყვანა“.

აბასი „დიდი სიხარულით“ მიეგება ლუარსაბ მეფეს, დიდი პატივით, „მრავალგვარი ხელმწიფური წყალობითა და ალერსით დააჯილდოვა“ იგი. „უსაზღვრო მადლობა“ მოახსენა თურქთა წარკვეთილი თავებისა და დატყვევებული სარღლების მიძღვნისათვის.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ლუარსაბ მეფეს თავისი

სათხოვარი აქვს ალბათ „ქვეყნის დამაშვენებელთან“ და „ალლაჰის პირდაპირთან“.

და ლუარსაბმა ფერად ფაშას გათავისუფლება სთხოვა.

ძალიან მოეწონა შაჰს ქართველის „რაინდული ქცევა“: განა თვითონ არ შეეძლო ჩემთან არ გამოეშვა და ისე გაეთავისუფლებინა ფერად ფაშა! მაგრამ ჯერ მე გამომიგზავნა, ჩემი უზენაესი მეუფება აღიარა, ხოლო ახლა პირადად მთხოვს ქართველყოფილი სარდლის გათავისუფლებას... ალბათ, სწორედ იმიტომ მთხოვა, რომ ფერად ფაშას ქართული სისხლი უდგას ძარღვებში. უცნაურია, ალლაჰის მადლმა: ქართველებმა მაინცდამაინც არ იციან ერთმანეთისთვის თავის გამოდება და ამ ქრისტიან მეფეს რაღა კუჭი ეწვის გათათრებული და გადამტერებული ქართველის განტევებისათვის?! მაგრამ ეს თხოვნა უნდა შეუსრულოს, ოღონდ კი სხვა „სათხოვარი“ (თუ მოსათხოვარი) არ ექნეს სტუმარს.

ბრძანა აბასმა, ფერად ფაშა გათავისუფლდესო.

ქართველი მეფე დიდ მადლობას უძღვნის „ქვეყნის დამაშვენებელ შაჰს“ ფერად ფაშას გათავისუფლებისათვის, მაგრამ კაცმა რომ თქვას, ნამდვილი სათხოვარი (თუ — მოსათხოვარი) სწორედ ახლა აქვს ლუარსაბს.

— რა სათხოვარი?! — თვალები დაეჭრუტა შაჰს.

— ტფილისი, — მოკლედ ისროლა ლუარსაბმა.

— ვერ გავიგე! — ავად დაიბუბუნა „ლომმა“.

— ჩვენ ხომ ერთნი ვართ — ქართველნი და ირანელნი. ჰო და, რაღა საჭიროა ტფილისში ირანული ციხიონი?, — წყნარად, ნირშეუცვლელად თქვა ქართველმა.

— მაშ, შენ მეუბნები, რომ ჩემი ჯარი გავიყვანო ტფილისიდან! — ყინულის ნატეხებივით გადმოყარა სიტყვები სპარსელმა.

— დიახ! — ყინვას ყინვა შეაგება ქართველმა.

— და სამაგიეროდ შენ ჩადგები ტფილისში, არა?

— დიახ! — ისევ უჯიათად ჩამოჭრა ქართველმა.

ენის კლიტე გაუელმდა შაჰს.

ერთხანს მდუმარედ უყურებდა ყმაწვილი კაცის საოცრად წყობილ სახეს.

„ვინ წარმოიდგენდა, რომ ეს ქალის სახიანი ბიჭი ასე გა-

უბზარავი სიტყვით გამიბედავდა ლაპარაკს", — ფიქრობდა შაჰი.

უცებ გიორგი სააკაძე გაახსენდა და გაიფიქრა, — ალბათ ის ჩააგონებდაო.

გაიფიქრა და მაშინვე ალავერდი-ხან უნდილაძე მოიკითხა.

სასწრაფოდ შემოვიდა უნდილაძე.

მარტო ჩაიკეტნენ...

კარგად იცოდა ლუარსაბ მეფემ, ვინც იყო ალავერდი-ხან უნდილაძე — მარჯვენა ხელი შაჰ აბასისა, „ირანის ვიცე-კოროლი" (ევროპელები რომ ეძახდნენ ასე), შაჰის რეგულარული ჯარის, „შაჰისევანის", და „ყულის ჯარის" („გვარდიის") შემქმნელი, ირანის კულტურული აღმშენებელი, პირველი სპასალარი, პირველი ვეზირი, ფარსის ბეგლარბეგი, ყრმობითვე საქართველოდან ტყვედ წაყვანილი და თათრად გაზრდილი...

მეორე დღეს შაჰ აბასმა დიდის სიხარულით ახარა ლუარსაბ მეფეს:

— იმას გამო, რომ ჰაპაშენი სვიმონ მეფე ირანს დიდი მეგობარი და კეთილისმყოფელი ბრძანდებოდა, მისი ხსოვნის პატივსაცემად შენ, მის შვილიშვილს გიძღვნით ტფილისს. უკვე გაგზავნა ბრძანება, რათა გავიდეს ტფილისიდან ირანული ციხიონი და მის ნაცვლად საქართველოს მთავარ ქალაქში ჩადგეს ქართული ციხიონი.

უსაზღვრო აღტაცებით აენთო სახე ჭაბუკ ხელმწიფეს.

ეს დიდი გამარჯვება იყო.

გულში კი ეცინებოდა: რაღა ახლა გაახსენდაო შაჰ აბასს პაპაჩემის პატივისცემა! თუ მართლა ასე გიჟდებოდა სვიმონ მეფის ხსოვნისათვის, რატომ მაშინ არ მოაგონდა, ოთხი წლის წინათ სპარსული ჯარი რომ ჩაგვიყენა ტფილისშიო!

მაგრამ აქ სულ სხვა რამ იყო საცნაური: შაჰს ოსმალეთთან ომი ჯერ კიდევ ვერ მოეთავებინა. ის კი არა და, დღე დღეზე ოსმალეთის დიდი ვეზირის, მურად ფაშას შემოსევას ელოდებოდა შაჰი. ამიტომ ისევ ძნელი და სახიფათო იყო ქართველების გადამტერება...

იცის შაჰმა, რომ ყოველთვის ასე იყო — ოსმალეთ-ირა-

ის ე დილში ყოველთვის ის მხარე იმარჯვებს, რომელ მხარესაც თანამებრძოლად დაუდგება საქართველო...

მაშ, დღეს დიდი დათმობა გამოსწირა შაჰ აბასმა საქართველოსთვის.

მაგრამ რა იციან ამ უბედურმა ქართველებმა, იგივე შაჰი სულ მალე აღარ იქნება ასეთი „დათმობის“ გუნებაზე...

...იჯდა სპარსი ისტორიკოსი ისქანდერ მუნში და წერდა „ქვეყნის დამამშვენებელი აბასის ისტორიაში“: ...და მისცა შაჰ აბასმა ლუარსაბ მეფეს ტფილისის ვილაიეთი, საქართველოს განთქმული ქალაქი, რომლის ციხე-სიმაგრეს თავი მარჩბიევის ვარსკვლავედის თაღამდე ჰქონდა აღმართული... ხოლო ხსენებული ლუარსაბი იყო საოცრად მომხიბლავი, მშვენიერი სახისა, მოხდენილი ყმაწვილი. ჩვიდმეტი წლისა იქნებოდა, შაჰს რომ ეახლა. ჭეშმარიტად, ასეთია თითქმის ყველა ქართველი ბატონიშვილი. ის კი არა და, საქართველოს მთელი ხალხი, ყოველი კაცი და ყოველი ქალი, იქაური ჰავა-ჰაერის სინაზის გამო, ნატიფ ღაწვთა და ლოყათა სიტურფითა და სინარნარით, ნაკვთებისა და ხელების მოხდენილობით, ყველა სხვა ადგილთა და ქვეყანათა ხალხებს სჯობია. ყველა სამოთხის ბინადარი ქალის, ჰურიას, მსგავსნი და იოსებ მშვენიერის ღაწვთა მქონენი არიან, მისეს შუქმფენი ხელის სხივები გამოკრთის მათი სახეებიდან და ქრისტიანული სასწაულიც ცხადად ჩანს მათი საოცარი ენატკბილობიდან და საამური ქცევებიდან. თუმცა საქართველოში ქრისტიანობაა გავრცელებული და ქართველები მოკლებულნი არიან ჭეშმარიტ სარწმუნოებას, მაგრამ თავისი სიმშვენიერით, ჰავის სიჯანსაღით და მიწა-წყლის უმწიკვლობით და ნაყოფიერებით ქვეყნიერების ვერცერთი მხარე საქართველოს ვერ შეედრება. სწორედ ქართველთა სამშობლოზე შეიძლება ითქვას ეს ლექსი:

„ყოველ წუთში თითო იესო დაიბადება,
ყოველ სახლში იესოს მშობელი მარიამი ჩასახლებულა“.

...თეიმურაზმაც მოატანა კახეთიდან, კახთა ამალით და დიდი ძღვენით.

ექვსი თვე „ვერ შეელია“ შაჰ აბასი „ძვირფას სტუმრებს“ გურჯისტანიდან ექვსი თვის შემდგომ კი ორივე დიდძალი მი-

სართმეველით დატყვრთული გამოისტუმრა „თავთავის საქართველოში“.

წამოსვლის წინ მეფეებმა ეს სთხოვეს შაჰს: როცა თქვენი უდიდებულესობა სამოთხისებურ მაზანდარანს გაემგზავრება სანადიროდ და თვალსასეიროდ, შეგვატყობინეთ, რათა ჩვენც სანადიროდ აღკაზმული გეახლოთ და თქვენთან დროსტარებით გაგვაბედნიეროთო.

თქვენს თხოვნას არ დავივიწყებო, ბრძანა შაჰმა.

ჭართლაც დიდებული მეხსიერება ჰქონდა ირანელ ხელმწიფეს.

და ქართველ ხელმწიფეებსაც „თავის დროზე“ გაახსენებენ მათს თხოვნას...

ტფილისი აღფრთოვანებით შეეგება ქართველ გვირგვინოსანს.

ეს მერამდენედ მოიკვეთა და მოიწმინდა საქართველოს წმინდა სატახტომ უცხო უემური!

მაგრამ ისევ გაერია შხამი საზეიმო ნექტარით სავსე ფიალაში.

ლუარსაბ მეფეს ცუდი ამბავი აახლეს შიკრიკებმა: ყაზახის მმართველი მოჰამედ-ხანი ყაზაყლარი შემოსევია ქართულ სოფლებს ცეცხლითა და მახვილით.

ნუთუ შაჰ აბასის დაუკითხავად გაბედა ომის დაწყება ყაზახის ხანმა?!

გაოგნებული ისხამდა იარაღს ლუარსაბ მეფე და ფიქრადაც არ უფიქრია, რომ მოჰამედ-ხან ყაზაყლარს უბეში სწორედ შაჰ აბასის წერილი ედო.

„სასწრაფოდ ჯარი შეჰყარე, ქართლში შეიჭერ და კალოსავით გალეწე და გააცამტვერე, ლუარსაბ მეფეს თავი გააკდებინე და მოკვეთილი თავი მე გამომიგზავნე!“ — ეწერა იმ წერილში.

„ნუთუ შაჰის თანხმობით?“ — ეს კითხვა უწვავდა გონებას ლუარსაბს, როცა ახალი, სრულიად მოულოდნელი ამბავიც გაჩნდა — თვითონ შაჰ აბასის წერილი!

„შევიტყვე რომ ყაზახის ხანი მოჰამედ-ხანი ყაზაყლარი მოღალატეა, თურმე მაგ ძაღლთაპირს ოსმალო ფაშებთან გაუმართავს მიწერ-მოწერა. ამიტომ სასწრაფოდ გაეშურე ქართველთა ჯარით, ყაზახში შეიჭერ, ააოხრე და გააცამტვერე,

ხოლო მოღალატე ყაზაყლარი მოჰკალ, თავი ვააცდებინე და გამომიგზავნე!“ — ეწერა ამ წერილშიც.

არც ერთმა — არც ქართლის მეფემ და არც ყაზახის ხანმა — ცალკეულად არ იცოდნენ, რომ იყო ორი წერილი, ორივე ერთ დღეს ერთის ხელით დაწერილი, და იყო ორი „ადრესატი“ — ერთმანეთზე ერთი კაცისგან სასიკვდილოდ წაქეზებული.

თვითონ შაჰ აბასი ერთ რამეში გულწრფელად იყო დარწმუნებული: ქართლის მეფეც და ყაზახის ხანიც — ორივე მისი ორგული იყო.

ძალიან კი მოსწონდა და ენდობოდა თავისი გონების სიმახვილეს: ერთ-ერთი წარკვეთილი თავი უეჭველად დაგორდებოდა მის ფეხებთან — ან ლუარსაბისა, ან მოჰამედ ხანისა.

ერთ-ერთის, ხოლო მეორეს... მეორესაც მალე მოუღებს ბოლოს ირანის ლომი!

მაინც რა მომხიბლავი და საწადნელია, რომელი დაასწრებს და რომლის თავი მოგორდება შაჰის ფეხებთან!

„ისე კი... ქართლის მეფის თავი მერჩივნა“, — გულწრფელად გაიფიქრა აბასმა (გულწრფელობაც უყვარდა „თავის დროზე“ შაჰ აბასს).

და მოხდა ასე: მოჰამედ-ხან ყაზაყლარის თავი მიუგორეს ფეხებთან.

„ისევ ქართველს უჯობნია!“ — მწარედ თქვა შაჰმა და ულვაში კბილით ჩამოიწიწკნა.

შაჰ აბასს „ორი წერილის ფანდი“ მაინც ძალიან დასჯდომოდა ჭკუაში და იფიქრა იქნებ თვითონ ქართველ მეფეებს დავაკვლევინო ერთმანეთიო.

და მისწერა ლუარსაბ მეფეს ირანის შაჰმა: მე მირჩევნია ქართლიც და კახეთიც ორივე შენ გემორჩილებოდეს; ამიტომ თეიმურაზი მოჰკალი და კახეთი დაიჭირეო.

იმგვარივე წერილი იმ დღესვე გაუგზავნა თეიმურაზს: მე მირჩევნია კახეთიც და ქართლიც ორივე შენ გემორჩილებოდეს; ამიტომ ლუარსაბი მოჰკალი და ქართლი დაიჭირეო.

მაგრამ ქართველი მეფენი შაჰ აბასის მზაკვრობას ადვილად მიხვდნენ, წერილები ერთმანეთში გაცვალეს და ამით „ეს საქმე“ გაათავეს.

შაჰს მხოლოდ გაუკვირდა: როგორ მოხდა, რომ ქართველებმა ამჯერად ერთმანეთის ტყავი არ დაჰხიესო?!.

...1611 წელს, შაჰ აბასის დაჟინებითი „თხოვნით“, კახეთის მეფე თეიმურაზ პირველმა ცოლად (მეორე ქორწინებით) შეირთო მეფე ლუარსაბ მეორის და — ხ ო რ ე შ ა ნ ი.

იმავე წელს მეორე ქორწინებაც მოხდა: თვითონ შაჰ აბასმა კიდევ ერთი ქართველი ქალი შეირთო ცოლად — ე ლ ე ნ ე, თეიმურაზ მეფის და.

ამნაირად, გუშინდელი ქვისლები სიძე-ცოლისძმობითაც დაუახლოვდნენ ერთმანეთს...

და კიდევ მოხდა მესამე ქორწინება 1611 წლის შემოდგომაზე, — ქორწინება უფრო „მრავლისმნიშვნელოვანი“ და „მრავლისმომასწავებელი“.

გიორგი სააკაძემ ნოსტეში, თავის ციხე-დარბაზში, ლუარსაბ მეფის პატივსაცემად დიდი წვეულება გამართა.

მასპინძელმა მეფის მწდედ (მარიჭიფედ) ახალგაზრდა ქალი დაუყენა, საოცრად მომხიბლავი, ტანნაკვთოვანი და სახემშვენიერი.

თვითონ მოურავის დაი აღმოჩნდა ის ქალი (სახელი არ არის ცნობილი).

ჭაბუკი მეფე პირველი თვალის დაკვრისთანავე დაატყვევა ქალის სიმშვენიერემ. მისი ნახელავი ღვინოც ძალიან გაუტკბა, მალე კიდევაც დათვრა და გული სატრფიალოდ აეშალა და აუზვავდა.

სხვა რაღა უნდოდათ მოურავზე ბალანაშლილ თავადებს! იმ დღესვე შექმნეს მითქმა-მოთქმა და მიეთ-მოეთი: ვიგინდარა სააკაძემ წვეულება განზრახ გააწყო, მეფე განზრახ მიიტყუა, დაი თვისი განზრახ შეატყუა და ამნაირი უკადრისი გზით უნდა მეფეს კიდევ უფრო დაუახლოვდეს და მიეტმასნოსო.

წვეულება როგორც იქნა ჩათავდა მავრამ გამოჯნურებულმა მეფემ ნოსტეს სიარულსა და ქალთან შეხვედრას მოუხშირა.

ჭორი გაფუვდა, გასივდა, გასკდა და სამეფო სასახლიდან გლეხის ქოხის კარამდე შხამად და დარდუბალად იწყო დინება.

დიდსა და ჭკირეს მეფისა და მოურავის დის „რომანი“ გაეკრა პირზე. ოჯახი უბახდებოდა სააკაძეს.

გიორგის დედა ლამის ჭკუიდან გადამცდარიყო მისი ქალისადმი მეფის „უსაქციელობის გადამკიდე“.

გიორგი მიხვდა რომ მწარე შეცდომა დაუშვა. იგი ვერავის დააჯერებდა, მეფისა და მისი დის შეხვედრა განზრახ რომ არ ყოფილა მოწყობილი.

მიხვდა და მაშინვე შეუდგა გამრუდებული საქმის გასწორებას.

მეფეს შეუთვალა: საკადრისი არ გახლავთ თქვენი ასეთი საქციელი და უმორჩილესად გთხოვთ გულისთქმას ნუღარ აჰყვებით, ქალს თავი დაანებეთ, თორემ უეჭველად თავს შემოგაკლავთო.

ლუარსაბი მოულოდნელი პასუხით შეხვდა მოურავს:

— მე შენი დაი ჩემს სულზე უფრო შევიყვარე, ცოლად უნდა შევირთო და ქართლის დედოფლად დავსვა!

ეს კი მეტისმეტი იყო. გიორგის ერთ ხანზე სიტყვაც ვეღარ ეპოვნა საპასუხოდ. მაგრამ მისმა ძლიერმა გონებამ ისევ მალე განსაზღვრა, რა უნდა მოჰყოლოდა გულისთქმას ადევნებული ჭაბუკი გვირგვინოსანის აჩემებას.

— მეფეო, მე ერთი მდაბალი ყმა ვარ თქვენი, თქვენისვე წყალობითა და კეთილი საბოძვარით გამდიდრებული და აღზევებული. ამიტომ ჩვენი ასეთი დამოყვრება შეუძლებელი გახლავთ. კიდევაც რომ მოხდეს, თავადები და მათი სახლეულნი ჩემს დას დედოფლად არ დაისვამენ, იმასაც მოგაშორებენ, ჩემ თავსაც შეგაძულებენ და დაგაკარგვინებენ. მარტო ერთი თქვენი მამა-მძუძე და სუფრაჯი შადიმან ბარათაშვილი ეყოფა ჩვენს გადამტერებას. ამიტომაც გეაჯები, ხელი აიღოთ, მეფეო, ჩემი ოჯახის შერცხვენაზე და დაღუპვაზე! — შეჰღაღადა გიორგიმ.

— ასეთი რა დავუშავე ჩემს გამზრდელსა და სუფრაჯს, გიორგი? — ჰკითხა ლუარსაბმა.

— თქვენთან ჩემი სიახლოვე ვერ აუტანია შადიმან ბარათაშვილს. მიტომაც მემტერება და მეჭიშპება. ერთხელაც, როცა ხმლის ხმარებაზე ატრაბახდა, მე ვუთხარი: შადიმან, შენ

ხმალს კვეთა არა აქვს-მეთქი. და ამის შემდეგ სულ გაცოფდა და დაეხარბა ჩემს სისხლს, — თქვა გიორგიმ.

— ძალიან მწარე სიტყვა კი გითქვამს, ჩემო გიორგი, შადიმანისთვის.

— ვუთხარ, რადგან ასედაც გახლავთ... მაგრამ სიტყვას ბანზედ ნუ მიგდებთ, მეფეო. მუხლმოყრილი და ქვედავრდომილი გემუდარებით, ხელი აიღოთ ჩემი ოჯახის დამცირებასა და დაღუპვაზე!

— მე და შენი დაი უცოდველნი ვართ, ჩემო გიორგი, და ასედაც დავრჩებით ქორწინებამდე, ხოლო ქორწინებაც სულ მალე განესრულება! — ბეჯითად დაასრულა ლუარსაბ მეფემ.

გაოგნებულმა გიორგიმ მეფე მიატოვა და დედამისთან წავიდა — დედოფალ მარიამთან.

— თქვენი შვილი ჩემს დას მთხოვს ცოლად, მე უარს ვეუბნები, ის კი თავისას არ იშლის და ვინძლო თქვენ მომეხმაროთ და კაის საქმით გადამარჩინოთ! — მოახსენა გიორგიმ ქართლის დედოფალს.

მარიამს უკვე სცოდნოდა „შდაბიო ქალზე“ შვილის გამიჯნურების ამბავი. დიდი საყვედურებიც იფრქვეოდა თურმე დედა-შვილს შორის. მარიამი სამეგრელოს მთავრის ასულს ურიგებდა ლუარსაბს (თვითონაც ჭეგოელი ლიპარტიანის ასული იყო დედოფალი), ხოლო „შდაბიო სააკაძის ქალის“ რძლად მოყვანა ვერასგზით ვერ წარმოედგინა გვირგვინოსნის დედასა და ქართლის „მთავარ დედოფალს“.

მაგრამ სამეფო ტახტის ერთგულ მსახურსა და მოამაგე მოურავს მაინც დიდსულოვნად შეხვდა მარიამი.

ლუარსაბ მეფე მე აღარ მეკითხება ცოლის შერთვას, ყველაფერს მის ნებაზე აკეთებს და, რაც არ უნდა მოხდეს, თქვენი ერთგულებისა და თაყდადების დავიწყება ჩვენი ოჯახისაგან არასგზით არ მოხდებაო, ასეთი სიტყვით გამოისტუმრა მარიამმა მოურავი.

ისევ ლუარსაბს მიაწყდა მოურავი, ისევ ევედრა, ჩემს დას დაეხსენიო, ცუდად ნუ გამათავებინებ ცხოვრებასა და შენდამი ერთგულ სამსახურსო.

არაფერმა გასჭრა. მეფეს შეურყეველად გადაეწყვიტა საყვარელი ქალის ცოლად შერთვა.

გიორგი გატყდა. მხოლოდ ფიცი სთხოვა ხელმწიფეს, რა-

მეთუ არასოდეს ელალატნა მისი დისათვის, არც არავის წაქეზებით გამოეგდო ცოლობიდან და დედოფლობიდან.

და ღვთის პირით შეჰფიცა ლუარსაბმა.

და აი, ქორწილიც. ქართლის მეფე ლუარსაბ მეორე ცოლად ირთავს მოურავ გიორგი სააკაძის დას.

ნოსტედან ქვათახევს წაიყვანა ნეფემ დედოფალი.

მაყრიონს წინამძღვრად მიუძღოდა ნ ა ს ი ძ ე.

ქვათახევის მონასტერში ძღვდელმა ი ო ს ე ბ კ ა ნ დ ე ლ ა კ მ ა დასწერა ჯვარი ლუარსაბ ბაგრატიონს და სააკაძის „მდაბიო ქალს“.

ოთხასი წელი გასულიყო მას შემდეგ, რაც გიორგი ლაშამ „უკანონო გზით“ და „ჭეშმარიტი სიყვარულით“ მოიყვანა ქალი „სახლსა სადავითოსა“. და მას შემდეგ ლუარსაბ მეფე ქართველ გვირგვინოსანთა შორის მეორე იყო, რომელმაც „უზნეო ქორწინებით“ და „ჭეშმარიტი სიყვარულით“ შეირთო ცოლი.

ლუარსაბ მეფე სიტურფით და მომხიბვლელობით დიახაც არ ჩამოუვარდებოდა თამარ შვიდმნათობიერის საოცარ ძეს, მაგრამ ვაჟკაცობით, ნებისყოფით, დიდსულოვნებით, „თვითნებაობით“?!.

საქორწილო სუფრა ახალი ალაგებული თუ იქნებოდა, რომ ერთბაშად ისევ ერთმანეთის საჯიჯგნად აიშალა და აზვავდა ორი მოსისხლე „ბანაკი“ — შადიმან ბარათაშვილისა და გიორგი სააკაძისა.

სააკაძეს საქართველოს გაერთიანება ჰქონდა გულს ამოჭრილი. ეს დიდი მამულიშვილური ოცნება „აზნაურული გზით“ უნდა შეესრულებინა „წვრილი ერის“ სათაყვანო გმირს: აზნაურები თავადთა ქვეშევრდომობას უნდა დასხლტომოდნენ და ყმა გლეხების გაყოლიებით ერთიანი სამეფო ხელისუფლების უშუალო სამსახურში შესულიყვნენ. ასეთი იყო სააკაძის „მოკიდებულთა“ (მიმდევართა, თანამოდასეთა) საბრძოლო განაზრახი.

ლუარსაბ მეფის ქორწინება სააკაძის „დასის“ დიდი გამარჯვება იყო.

მაგრამ არ ეძინა შადიმან ბარათაშვილისა და ფარსადან ციციშვილის თავადურ წრეს.

აიშალნენ თავადები. აიშალნენ ოჯახებით, ცოლ-შვილით,

ქალ-რძალით და შეუტიეს ლუარსაბ მეფეს: ცოცხალი თავით არ შევურიგდებით „უგვარო დედოფლის“ მბრძანებლობას და თავზე წამოსკუპებასო. „და უმეტესად სუფრაჯმან შადიმან ბარათაშვილმან დაუცადებლად დაუწყო ბეზღობა მოურავსა“

ნახევარი წელიწადი ლანძღეს და თათხეს მოურავი და მისი ოჯახი, ნახევარი წელიწადი უჩიჩინეს მეფეს: განუტევე „უჯიშო დედოფალი“ და მოჰკალ „მოღალატე მოურავიო“.

ლუარსაბი ერთხანს მაგრობდა, საყვარელი ქალისა და ერთგული მოურავის ჩამოშორება არ უნდოდა; სახარებასაც იშველიებდა — „რომელნი ღმერთმან შეაუღლნა, კაცნი ნუ განაშორებენო“, — მაგრამ ნახევარწლოვანმა „ფეოდალურმა ღიჯინმა“ ბოლოს მაინც თავისი გაიტანა.

„კარგი, გავუშვებ დედოფალს!“ — ამოიგმინა მეფემ.

უფრო მიეძალნენ და მიეტანენ თავადები: მარტო დედოფლის განტევება რას უშველის, თუ სააკაძეც არ მოკვდებაო. ის კი არა და, დის დამცირებით გაბოროტებული სააკაძე ფათერაკს რაიმეს გადაგყრის ჯერ შენ და მერე ჩვენც მოგვდგებაო. ამიტომ სააკაძე უნდა მოკვდეს დაუნდობლად და დაუყოვნებლივ!

მეფე გაჯიქდა. გიორგი სააკაძისაგან სიკეთისა და ერთგულების მეტი არაფერი მახსოვს და ამნაირი კაცი ასე უბრალოდ სასიკვდილოდ როგორ გავიმეტოო.

მაშინ შადიმან ბარათაშვილმა და ფარსადან ციციშვილმა ბერუკა ჯავახიშვილი გამოიძახეს მეფესთან.

ბერუკა ჯავახიშვილი გიორგის „შვილივით ნაზარდი“ ჰყოლია, მაგრამ ახლა მისი მტრების ბანაკს მიჰკედლებია და სული ეშმაკისთვის მიუყიდნია.

და უამბო ბერუკა ჯავახიშვილმა ლუარსაბ მეფეს: ეს ხუთი წელიწადია, რაც გიორგი სააკაძეს შაჰ აბასის ქართან კავშირი აქვს გაბმულიო. ეს მას შემდეგ, რაც თქვენი დის მაყრიონს გაჰყვა ისფაჰანშიო. მაშინ ძალიან ტკბილი საუბარი ჰქონიათ შაჰსა და მოურავსო. იქაურ გათათრებულ ქართველებთანაც შიკრიკები დაუდის სააკაძესო. ხოსრო-მირზას, შენი პაპის ძმისწულს, თურმე ქართლის ტახტს ჰპირდებაო.

გული გაურისხდა და სული შეერყა ლუარსაბ მეფეს.
და დათანხმდა სააკაძის მოკვლას.

უნდა მოეკლათ წავკისს, მეფის საზაფხულო სასახლეში, საგანგებოდ დანიშნულ ნადიმზე.

მაგრამ ფარეშთუხუცესმა ბააკა ხერხეულიძემ შეთქმულება გასცა და სააკაძემ სიკვდილს გაასწრო.

შეთქმულები კი, ისევ შადიმან ბარათაშვილის წინამძღოლობით, გაქცეულს დაედევნენ.

სააკაძემ ნოსტეში მიასწრო, სასახლიდან ოჯახის გამოტაცებაც მოასწრო. თავადებმა მიტოვებული სახლკარი დაუნგრიეს და დაუწვეს.

გიორგი სააკაძე ოჯახით სპარსეთს გადაიხვეწა, შაჰ აბასთან თავშესაფარებლად და მის ამწიოკებელთა შურისსაძიებლად.

ეს უკვე საქართველოსთვის დიდი უბედურების მომასწავებელი იყო...

შაჰ აბასსაც ახლა უფრო ძლიერად შეეძლო ამოქმედებულიყო: სააკაძეებიც მასთან იყვნენ, უნდილაძეებიც, ხოსრომირზა ბაგრატიონიც, მისი ჯარების „მთავარი ძარღვიც“ (როგორც პიეტრო დელა ვალე ამბობდა) ქართული მხედრობისგან შესდგებოდა, ყულის ჯარიც (გვარდია) სულ დარჩეული „გათათრებული“ ახალგაზრდა ქართველებისგან... და, საერთოდ, მაშინ ისფაჰანში მიტი ქართველი ცხოვრობდა, ვიდრე ტფილისში...

1612 წლის მიწურულს, ზამთრის დამდეგს, შაჰ აბასი მაზანდარანს ჩამოვიდა და საქართველოში თავისი კარისკაცი, ამირ--ყული ჯილვადარი გამოგზავნა. ჯილვადარი ჯერ კახეთის სატახტოს, გრემს ეახლა, მერე ტფილისს და ორივე მეფეს მოახსენა: თქვენ შაჰინშაჰისთვის ადრე გითხოვნიათ, როცა სანადიროდ წასვლას ინებებთ, ჩვენც გაგვაბედნიერეთ თქვენთან მიწვევითა და ნადირობითო; ახლა შაჰ აბასი მაზანდარანს ბრძანდება, ქართველებთან ნადირობა სწადია, თქვენი თხოვნაც განუშორებლად გულზე ახატია და ახლა მოუთმენლად ელოდება თქვენს ჩამოსვლასო.

შუბლში ხელი იტაკეს ლუარსაბმა და თეიმურაზმა — რა ვქნიდა, სანადირო წვევას რომ ვეხვეწებოდით ჩვენს „მოსისხლე მოყვარესო“. მაგრამ მაინც რა ბედენა იყო — შაჰ აბასი მათი თხოვნის გარეშეც როგორმე სხვა საბაბსაც გამონახავდა ქართველი მეფეების საწვევად და „საალერსოდ“.

ასე იყო თუ ისე, ლუარსაბმა და თეიმურაზმა საშიშროება იგრძნეს და შაჰის მიწვევაზე არ წავიდნენ. ის კი არა და, თვითონ შაჰის მოციქული, ამირ-ყული ჯილვადარიც არ გაუშვეს დროზე საქართველოდან — „დიდის სიყვარულით“ და პატივისცემით გაბრუებულ მოციქულს მთელი ზამთარი დაატარებდნენ ქართლსა და კახეთს შორის.

ახალი, 1613 წელიც დადგა. ზამთარიც ჩათავდა, ნადირობის „სეზონიც“ მიიწურა და შაჰ აბასსაც ქართველი „მოყვრების“ ამაო ლოდინში გული გადაეწურა.

საბოლოოდ გაირკვა ყოველივე:

ქართველი მეფეები ირანის მორჩილებაზე უარს ამბობენ!

ქართველებს რუსეთისკენ უჭირავთ თვალი!

თურმე თეიმურაზის უახლოესი კარისკაცი, თავადი შ ე რ მ ა ზ ა ნ ჩ ო ლ ო ყ ა შ ვ ი ლ ი მოთავეობს ირანის წინააღმდეგ საომარ სამზადისს.

ჩოლოყაშვილს წაუქეზებია თეიმურაზი და ლუარსაბი: ნუ აყოვნებთ, შეკავშირდით და შეერთდით, სანამ სპარსელები კარს მოგვდგომიანო.

მართლაც თეიმურაზი სწვევია ლუარსაბს ტფილისში. დიდის ზარზეიმით შეხვედრიან ქართლელები კახეთის მეფეს. დამჯდარან ახალგაზრდა გვირგვინოსნები და ფიცით შეჰკვრიან ერთმანეთს: ამიერიდან ვიყოთ ერთიანნი, ერთსულოვანნი და ერთაზროვანნი სამშობლო საქართველოსათვის ბრძოლაშიო!

ეს ამბები „მეტად დაუმძიმდა მის უწმინდესობა შაჰს“.

ისე გაცოფდა და გავეშდა, რომ „სულ დაილეწა მისი ნათელი გონების სარკე“.

მაშ, აგრე, არა? „შესხდნენ ხომ ქართველი მეფენი უმეცრებისა და კადნიერების ცხენებზე“! მაშ, ჯერ „ბედისწერას ლოყაში სილა არ გაურტყამს“ მაგ ლაწირაკებისათვის! მაშ, „ცხოვრების მასწავლებელს მათთვის ჯერ ყურები არ დაუგლეჯია!“

და დაიწყო შაჰ აბასმა.

დაიწყო კახეთით.

1614 წელს შემოესია, ააოხრა, გაძარცვა და ტყვედ გაირეკა კახეთის მოსახლეობა.

თეიმურაზ კახეთის მეფემ, ჯალიოთან, მტრის ალყა თავგანწირული ხმალთაკვეთებით გაარღვია, ქართლში გააღწია,

იქ ლუარსაბს შეხვდა და ორივემ ერთად თავშესაფარებლად იმერეთისკენ გაქუსლა...

კახეთის „მრავალგზისი აოხრების შემდეგ შაჰ აბასმა „ვარსკვლავებივით ურიცხვი ჯარი“ ქართლში გადაიყვანა და გორს მივიდა. გორისა და სურამის ციხეები გაამაგრა და შიგ ირანული ციხიონები შეაყენა.

შაჰმა გორში მისვლისთანავე იმერეთში სარუ ხოჯა მოჰამედ რეზა გაგზავნა და იმერთა მეფეს, გიორგი მესამეს შეუთვალა: თქვენ ჩემი ქვეშევრდომნი, ლუარსაბი და თეიმურაზი შეგიხიზნიათ; გთხოვთ, უკანვე გამოგვიგზავნოთ ორივენიო; სამაგიეროდ დიდძალ ოქრო-ვერცხლსა და თვალმარგალიტს მოგართმევთ; მაგრამ უკეთუ ჩემს თხოვნას არ შეიწყნარებთ, „შარუხ დაჰრაიანით“ ჯარი უნდა გამოვგზავნო ბაში-აჩუკს ასაოხრებლადო.

გიორგი იმერთა მეფემ გეგუთში, დიდი ჭადრის ქვეშ მიიღო შაჰ აბასის ელჩი. მიღებას, ლუარსაბთან და თეიმურაზთან ერთად, ესწრებოდნენ ლევან II დადიანი და მამია II გურიელი.

წერილი წაიკითხეს და ძალიან გაიკვირვეს, რომ შაჰი ქართველ ხელმწიფეს სტუმრების ღალატს სთხოვდა! როგორ შეხდება, რომ ქართველმა კაცმა სტუმარი, გინა ძმა და შვილი გაჰყიდოსო — ჯავრობდა გიორგი მეფე — ან და, ქართლსა და კახეთს იმერეთი როგორ უღალატებსო?!

მერე უცებ ეს იკითხა გიორგი მეფემ: „შარუხ დაჰრაიანი“ რაღა არისო?

„შარუხი ქალამანია და დაჰრა წალდიო“, — უპასუხეს.

ამაზე კი სიცილი აუვარდა გიორგის: პირდაპირ საოცარია, იმერლებს ქალამანითა და წალდით რავა გვაშინებენო?

ბოლოს გული დაიდინჯა გიორგიმ, რადგან შაჰ აბასი მაინც შაჰ აბასი იყო და პასუხიც დროიანად და შნოიანად უნდა გაეგზავნა „ირანის ლომისათვის.“

მეფემ შაჰთან გასაგზავნ ელჩებად შეარჩია დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი, „ანგელოზის მსგავსი“ მალაქია და თავადი ლევან აბაშიძე. მათ ჩააბარა შაჰისათვის წერილი და ძღვენი და სარუ ხოჯასთან ერთად გაგზავნა გორში.

ხუმრობის მოყვარულმა გიორგი მეფემ თავისი არ დაი-

შალა და ასეთი „მწუთხე შეგონება“ დაადევნა ელჩებს: თუ შაჰმა მუქარაზე ხელი არ აიღო და მაინცდამაინც იმერეთისაკენ ლაშქრობა გადაწყვიტა, მოახსენეთ — ბაში-აჩუკები სიამოვნებით შეგხვდებიან და აქაურ იმერულ ღომს, რამდენსაც ინებებ, იმდენს გაჭმევენ-თქო!..

შაჰ აბასმა დიდის პატივითა და თავაზით მიიღო „ბაში-აჩუკის“ ელჩები.

წერილი წაიკითხა და ძალიან ემწუთხა, რადგან იმ წერილში გიორგი მეფე შაჰის მოთხოვნაზე ასეთ პასუხს იძლეოდა: თქვენ დიდი ხელმწიფე ბრძანდებით, მაგრამ არც ჩვენ გახლავართ უგვარონი — ღვთაებრივი დავითის შთამომავალნი გახლავართო; ჯარით დამუქრება რა საკადრისია, ანდა მუქარით და ძალისძალად რა საქმე უნდა გამოეწყოსო! ვერე — ლუარსაბი და თეიმურაზი ჯერ ერთი ჩემი სტუმრები არიან, მეორეც — ნათესავები, მოკეთენი და მოკავშირენი; განა ყოვლად უზნეობა და სიმდაბლე არ იქნება, რომ მე ისინი ასე უღვთოდ და უსამართლოდ გავიმეტო?! ან ისეთი რა ღალატი შავეს ლუარსაბმა და თეიმურაზმა, — განა დანაშაულია, რომ თქვენ გაგერიდნენ და ჩემთან მოვიდნენ? მე კი პირიქით მგონია — ქვეშევრდომი რომ ბატონს ერიდება, დანაშაულად კი არა, ერთგულებად უნდა ჩაეთვალოს... ახლა ჩემი რჩევა ეს არის, ბრძენო შაჰ აბას: ნება მიეცით ლუარსაბსა და თეიმურაზს დაბრუნდნენ თავიანთ სამეფოებში, თქვენ აიყარეთ თქვენის ჯარებით, დაბრუნდით ირანს, ხოლო ლუარსაბი და თეიმურაზი განაგრძობენ მეფობას და თქვენს ერთგულ სამსახურს სწორედ ისე, როგორც მათი წინაპარი მეფენი კმსახურებოდნენ თქვენს წინაპრებს!

კათალიკოს მალაქიას და ლევან აბაშიძეს „იმერული ღომის ჭამა“ არ უხსენებიათ, მაგრამ სიტყვიერად ბევრს ეცადნენ შაჰის გულისწყრომის დასაცხრომად და მშვიდობის ჩამოსაგდებად.

კარგა ხანს ფიქრობდა შაჰი, უამური საფიქრალით დამძიმებული. მერე ეს უთხრა მალაქიას და ლევანს „მწუხარედ“: თეიმურაზის ბრალია ყველაფერიო; ლუარსაბზე კი სასაყვედურო არაფერი მეთქმისო, თეიმურაზი არის ჩემი მოსისხლე; თეიმურაზმა დამაკარგვინა ლუარსაბი, რომელიც მე ჩემ თავზე მეტად მიყვარდა და ახლაც მიყვარსო.

„ამიტომ გთხოვთ, — მიმართა შაჰმა იმერეთის ელჩებს — გადასცეთ ლუარსაბს, ნუ აჰყვება თეიმურაზს, ჩემი სისხლის მონატრულს; სთხოვეთ მეფე გიორგის, დაარწმუნოს ლუარსაბი, მოშორდეს თეიმურაზს, მოვიდდეს ჩემთან და ვიძლევი საშინელ ფიცს — მივართმევ ქართლის მეფობასაც და იმდენ მისართმეველსაც, ქვეყანა რომ მას შენატროდეს“.

ეს დააბარა შაჰმა ელჩებს და ორივეს უხვი საბოძვარი მიუბოძა — სასულიეროსაც და საეროსაც.

იმერეთს გაბრუნებულ მალაქიას და ლევანს შაჰმა ისევ გააყოლა სარუ ხოჯა, რომელსაც ლუარსაბ მეფესთან ცალკე წერილი მიჰქონდა. წერილში ეწერა:

„მამაცთა ხელმწიფე შაჰ აბასი დიდი სიყვარულით სალამს უძღვნის ქართველთა მეფეს ლუარსაბს. მრავალჯერ მოგწერეთ სიყვარულით და გავამჟღავნეთ ჩვენი გულის კეთილგანწყობილება შენს მიმართ, მაგრამ არ უსმინე და არ დაუჯერე ჩვენს სიტყვებს. შეხედე ჩემს ნამოქმედარს და ირწმუნე, რადგან დაინახავ, რომ თეიმურაზის ქვეყანა ავაოხრე, ხოლო შენსას გაშენებულსა და ხელუხლებელს ვინახავ შენთვის და ველოდები შენს მოსვლას. ახლა ნუღარ დაიზარებ მოსვლას, უჭკუო და უგუნურ მრჩევლებს ნუ დაუჯერებ და შენს სამეფოს ნუ დაკარგავ, რადგან გულში არც მტრობა და არც ბოროტება არ მაქვს შენდამი, ისევე როგორც შენ არავითარი ზიანი არ მოგიყენებია ჩემთვის. შენ მოსვლას იმისთვის გთხოვ, რომ როგორც ჩვენი წინაპრების დროს იყო ერთობა ორ ხალხს შორის, მსურს რომ ჩვენს დროშიც ისევე დარჩეს. ჩრდილოეთის ყველა მხარეს, რომელიც მდინარე არეზის აქეთა ნაპირზე მდებარეობს, შენ მოგანდობ, რათა იყო ზედამდგომელი და მბრძანებელი ყველა დიდებულისა, რათა შენ იზრუნო ამ მხარეზე, ხოლო ჩვენ მასზე სადარდებელი არ გვექნეს და მეორე მხარეზე ვიზრუნოთ. იყავ მშვიდობით!“

სარუ ხოჯა იმერეთიდან მარტო დაბრუნდა. მხოლოდ ლუარსაბ მეფის წერილი ჩამოუტანა მბრძანებელს. წერილში ეწერა:

„დიდო შაჰ აბას. თუ ჭეშმარიტია შენი სიტყვები და მართლა გსურს, რომ ჩვენს შორის მეგობრობა სუფევდეს, შენი სიყვარულისა და მშვიდობის ნიშანი ის იყოს, რომ შენ გა-

შენებულსა და ხელუხლებელს დატოვებ ჩვენს ქვეყანას და ჩვენს ხალხს ნებას დართავ დარჩეს თავის სამშობლოში. შენს ნაცვლად მანდ ერთ-ერთი შენი დიდებულთაგანი დატოვე, რათა სიყვარული, ერთგულება და კავშირი — რომელიც შენ გწადიან — მისი შუამდგომლობით განვამტკიცო შენთან. შენ კი აიყარე და წადი ჩვენი ქვეყნიდან. ჩვენც დავბრუნდებით, დავეპატრონებით ჩვენს ქვეყანას და სიყვარულითა და ერთგულებით ვიქნებით შენთან. იყავ მშვიდობით!“

შავ დღეში ჩავარდა შაჰ აბასი.

არ დაშინდა და ქედი არ მოიხარა არცერთმა მეფემ — არც „ცბიერმა ბაში-აჩუკმა“, არც „მოსისხლე თეიმურაზმა“ და არც „თვინიერმა ლუარსაბმა“.

არც იმერეთთან დამუქრებული ომი გამოდიოდა. ჯერ ერთი, დიდად სამძიმო და სახიფათო იყო ლაშქრობა იმერეთში, სადაც კბილები ამაოდ დამსხვრეოდა ყველა დიდ დამპყრობელს. მეორეც — იმერეთი ოსმალეთის „გავლენის სფეროდ“ ითვლებოდა და მასთან ომი სტამბოლის კართან დადებული ზავის დარღვევას მოასწავებდა.

არა და, ირანის ლომს არ შეეძლო შერიგებოდა ასეთ მარცხს, დამცირებასა და თავლაფდასხმას.

და ასეთ მწვავე ჟამს ისევ გამოუჩნდა „მხსნელი“ მოულოდნელად „ბედნიერ შაჰს“.

ეს იყო „ბოროტების მსახური, წყეულის შვილი, ეშმაკისაგან აღძრული, სატანის კერძი“ შადიმან ბარათაშვილი, ლუარსაბ მეფის გამზრდელი მამა-მძუძე და სუფრაჯი, სამეფო სუფრის მოურავი, გიორგი სააკაძის დაუძინებელი მტერი.

მივიდა შადიმანი და დაემხო შაჰის წინაშე. ენით მოსლიქა „კეთილშობილების ნოხი“ და შეჰღაღადა: თუ მიბრძანებ მე გადმოვიყვან ლუარსაბ მეფეს იმერეთიდანო; მე ერთადერთს, მის გამზრდელსა და მამა-მძუძეს დამიჯერებს ჩემი გაზრდილიო.

უსაზღვროდ გაიხარა აბასმა. აურაცხელი საბოძვარით აგავსებო და ღირსებისამებრ აგამაღლებო, აღუთქვა შადიმანს. მოსდგა და ახლა ამ სულმდაბალ თავადს უმტკიცა შაჰმა: „მე მეფე ლუარსაბს როგორ წავახდენ, მეფის სვიმონის შვილისშვილსა და მეფის გიორგის შვილსა მე ავსა და ური-

გოს როგორ ვკადრებ, მაგრამ თეიმურაზმა მიცდინა და მომიტყუა მოსიყვარულე გულის მჭონე ლუარსაბი. ესეც იცოდე, თუ მეფე ლუარსაბი მოვა და შემომირიგდება, დიდს წყალობას ვუზამ და გავამდიდრებო“, თქვა შაჰ აბასმა „და მისცა ფიცი საშინელი და საფიცარი და იტირა ბევრი“.

„თქვენი ხმალი და ჩემი კისერიო“, შეჰბღავლა შადიმანმა და ერთჯერ კიდევ დაულოშნა ფეხისგულები გადამთიელს.

გამოიძახა სარუ ხოჯა შაჰმა და უბრძანა, ახლა შადიმან ბარათაშვილს ჰხლებოდა ბაში-აჩუკის ქვეყანაში.

სარუ ხოჯას ლუარსაბისთვის გადასაცემად „წიგნი საფიცარი“ და ოქროს ხმალი გაატანა შაჰმა.

ერთი წერილიც საიდუმლოდ გადასცა სარუ ხოჯას. ამ წერილით აბასი გიორგი მეფეს ატყობინებდა: თუ ლუარსაბი გაჯიქდება და არ წამოვა, მაშინ შენი შვილი ალექსანდრე გამომიგზავნე და იმას გადავცემ ქართლს.

სარუ ხოჯას ევალებოდა ეს წერილი ჯერ ლუარსაბისთვის წაეკითხვინებია და თუ წამოსვლაზე დათანხმდებოდა, იგი გიორგისთვის აღარ უნდა ეჩვენებია.

ბოლოს, შაჰმა ცოლს დაუძახა, ლელა-თინათინს, და შეუჩვენა: ხომ იცი როგორ მიყვარს შენი ძმა, მაგრამ თეიმურაზი და გიორგი მეფე მიბრიყვებენ და აღარ მეკარებაო; ამიტომ მისწერე წერილი, ნურავის ყურს ნუ უგდებს და მოვიდეს ჩვენთან, საყვარელ დასთან და სიძესთან.

ლელას ქმრის ვერაგობაში ეჭვი არ შეუტანია, ისე დაუწერია წერილი ლუარსაბისადმი.

ეს წერილიც წარიტანეს შადიმანმა და სარუ ხოჯამ და სასწრაფოდ გაქუსლეს იმერეთისკენ...

და აიღო ლუარსაბ მეფემ შაჰისგან გამოგზავნილი მურასა ხმალი.

და წაიკითხა შაჰის „წიგნი საფიცარი“.

წაიკითხა გიორგი მეფისთვის გამოგზავნილი წერილიც.

წაიკითხა დის წერილიც.

მოისმინა შადიმან ბარათაშვილის „მამაშვილური“ შეგონებანი, ფიცი და მტკიცი. და შადიმანმა, „იმ სატანისკერძმა, როგორც გველმა ევა, ისე დაიყოლია და დაითანხმა ლუარსაბის გონება შაჰთან წასვლაზე“.

გიორგი მეფისადმი შაჰის წერილმაც ეჭვები აღუძრა

ლუარსაბს, ვინ იცის, იქნებ შეთქმულებაც მომიწყონ ირანისა და იმერეთის ხელმწიფეებმაო.

იმ დღეს მაინც სულ არ მოეწონა იმერეთის მეფის კადნიერება: რა არის და, ლუარსაბის წინაშე გიორგი ქუდმოხდილი და ფეხი ფეხზე შემოდგმული დაბრძანდა!

„მტერმა, რაც ნებავს, ის მიყოს, მაგრამ ჩემზე უმცირესისაგან დამცირებას ვერ მოვითმენო!“

ეს ჩაიბუზღუნა და „მაშინღა დააჯერა გული მეფემან ლუარსაბ და აემზადა წასასვლელად“.

მიეხვივნენ — დედა მარიამი, დაი ხორეშანი, სიძე თეიმურაზი, მასპინძელი გიორგი მეფე, ოდიშისა და გურიის მთავრები, იმერელი დიდებულები — ნუ იქნები ესოდენ გულუბრყვილო, ნუ გაბრიყვდები და ნუ ენდობი ვერაგ შაჰ აბასსო; „ცხარე ცრემლით სტიროდნენ“ და არწმუნებდნენ, ხელი აეღო შაჰთან წასვლაზე.

— ნუ დაუჯერებ მაგ ორგულსა და ვერაგ მხეცს. მაგას ჩვენი სისხლის დალევა სწყურია! — ყვიროდა თეიმურაზი — ქრისტიანი მეფენი ქვეშევრდომადაც აღარ ნებავს შაჰ აბასს, უნდა ჩვენს ადგილზე ხანები და ბეგები დასვას. ძმა შენ არა გყავს, შვილი და ძირი. თუ მიხვედი, შენც მოგკლავს და ქართლსაც სახანოდ გადააქცევს!

ოდიშის ახალგაზრდა მთავარი, ლევან დადიანი, ადრე დათქმული ქორწინებისკენ მიანიშნებდა ლუარსაბს: ბარემ ჩემი დაი ცოლად შეირთე და შაჰ აბასთან წასვლაზეც ხელი აიღეო.

მაგრამ ლუარსაბს უკვე მტკიცედ გადაეწყვიტა და ასევე მტკიცედ და პასუხშეუქცევლად გამოაცხადა:

— შაჰი მივიდა და დადგა ჩვენი სამშობლოს შუაგულში და მთხოვს მშვიდობის ჩამოგდებას. უკეთუ არ მიუვალ, მთელს ქვეყანას იავარჰყოფს, ააოხრებს და წაბილწავს, ეკლესიებს დაანგრევს, ქართველობას ამოხოცავს და ტყვედ წაიყვანს. და ყოველივე ამის მიზეზი ვიქნები მე. სიხდისდამძიმებულ ცხოვრებას ამ ხანმოკლე საწუთროში და ამდენი ხალხის ცოდვის ტვირთვას უმჯობესია ვეახლო შაჰს და ვიხსნა მთელი ქვეყანა, რამეთუ ჩემის მიზეზით ჩემი სამშობლო არ აოხრდეს, ღვთის იმედით პირდაპირ წავალ მასთან, ხოლო იქ

რაც მომელის, სიკვდილი თუ სიცოცხლე, იყოს ნება კურთხეული უფლისა!

ვის რაღა ეთქმოდა და ეპასუხებოდა?!

დიდებული იყო სიტყვა იგი — უზემოესი მამულიშვილობით შთაგონებული, თქმული საოცრად მომხიბლავი ჭაბუკის პირით.

თითქოს ღემეტრე თავდადებული აღმდგარიყო მკვდრეთით.

და წამოვიდა იმერეთიდან ქართლისაკენ ლუარსაბ მეფე.

საწერეთლომდე მოაცილეს დედამ, დამ, სიძემ, მასპინძელმა, მთავრებმა, დიდებულებმა.

ცრემლთა თხევით დაემშვიდობნენ და გაბრუნდნენ.

მოდიოდა სახეცისკროვანი ჭაბუკი.

წინ სატანა მიუძღოდა.

შაჰი ლიხის მთის კალთებზე ნადირობდა.

ნადირობა მიზეზად ჰქონდა, თორემ სინამდვილეში ლუარსაბ მეფის შესახვედრად მოსულიყო იმერეთის საზღვართან.

მოუთმენლად კი ელოდა სიძე ცოლისძმას.

გამოჩნდა ლუარსაბ მეფე.

წინ სატანა მოუძღოდა — შადიმან ბარათაშვილი.

უკან სარუ ხოჯა მოსდევდა.

აღტაცებულმა შაჰმა ცხენი გააჭენა, ლუარსაბს ზედ მიეჭრა, გადაეხვია და შეჰბღავლა ცრემლების ღაპაღუპით:

— როგორ შემიძლია მოგაგო ბოროტი რამე ეგზომ ახოვანსა, მშვენიერსა და ერთგულსა ძესა ჩემსა?!

იღიმებოდა ლუარსაბ მეფე. თან უკვირდა: ტირილიც შესძლებია „ყოვლისშემძლე“ შაჰ აბასსო!.

უხაროდა შაჰს — ამ „გველის ბუნების“ სპარსელს, „დიდად დახელოვნებულ ვეშაპს“, „იმიტომ ჰხაროდა თავის გულში და სულში, რომ ეს დღე მისთვის უფრო ბედნიერი იყო, ვიდრე მისი ცხოვრების ყველა სხვა დღე, რადგან აღსრულდა ბოროტი სურვილი, რომელზეც დიდი ხანია ოცნებობდა“.

მაშინვე დიდი მისართმეველი მიართვა აბასმა ლუარსაბს, დიდებული სანადიმო სუფრა გაუშალა, და რამდენიმე დღე ანადიმა და ინადიმა „სვებედნიერმა ვეშაპმა“.

მერე გორში ჩაიყვანა დიდის ზარზეიმით სიძემ ცოლისძმა.

აქაც „დიდის სიყვარულითა“ და „სიწრფოებით“ ინადიმეს და ინადირეს.

ხალხს უკვე სარწმუნოდ ეჩვენებოდა, რომ შაჰის გულში ლუარსაბის სიყვარულის მეტს არაფერს გაეჭაჭანებიოს.

მაინც ეშინოდა შაჰ აბასს — ვაი თუ ლუარსაბს ვინმე ქართველთაგანმა „გული გამოუცვალოს და შფოთი აღადგინოსო“.

გორიდან აიყარა და ტფილისისკენ გაიყოლია ლუარსაბი.

„წარვიდეთ ტფილისსაო და ვილხინოთ მუნცაო და შევექცეთო“. მერე მე წავალ ირანისაკენ, შენ კი ტფილისში დარჩებიო, ვითარცა მეფე ქართლისა, ქართლის სატახტო ქალაქშიო!

ამაზე უფრო სასურველი რაღა უნდა ჰქონოდა ლუარსაბ მეფეს!

მცხეთიდან ტფილისამდე გამწკრივებულ სპარსელ ჯარებს შორის გაიარეს ირანისა და ქართლის გვირგვინოსნებმა.

და იყვნენ ერთხანად ტფილისში, მოსვენებით, „განსვენებით“ და განცხრომით.

ლუარსაბს კი სული ელეოდა — როდის აიყრება, გამშორდება და გადაქარდება ირანელი სულთამხუთავი ტფილისიდანო...

ეს „ნანატრი დღეც“ დადგა.

ჯერ, შაჰ აბასმა ტფილისის ციხეში სპარსული ციხიონი შეაყენა; ციხიონის უფროსად სპარსელი დანიშნა. მერე, „ნებაყოფლობით შაჰისევანებად“ ჩაწერილი ქართველები დედაბუდიანად აჰყარა, ათასეულებად დაალაგა და ირანის ცრემლიან გზებს გაუყენა.

ნახატურივით გაშტერებული და გამშრალი იდგა ქართველთა მეფე.

ბოლოს შაჰი თვითონ ლუარსაბს მიადგა და „ალერსიანად“ უთხრა — წავიდეთო.

„წავიდეთო“?!

რატომ ითქვა ეს სიტყვა მრავლობითობით?!

განა მარტო, ულუარსაბოდ არ უნდა წასულიყო შაჰი?!

მაშინ უფრო „გარკვევით“ უთხრა შაჰმა: ყარაიას ველზე გავიდეთ ერთად, იქ ვინადიროთ და შევიქცეთ ნადირობითა

და ლხინითა. მერე შენ უკან დაგაბრუნებ, ტფილისს, ხოლო მე წავალ ირანსო.

გული გაებზარა ლუარსაბს. ალბათ აღარ აპირებს დაეხსნას „ვერაგი ვეშაპი“ ქართლის ხელმწიფეს.

და გაჰყვა ყარაიას, სანადიროდ...

...ყარაიას ველზე ნადირობდნენ შაჰ აბასი და ლუარსაბ მეფე.

იქვე, მაღლობიდან ლელა-თინათინი ქალთა ამალით სჭვრეტდა ძმისა და ქმრის სანადირო პაექრობას.

შაჰი ხელუცთომელი მონადირე იყო, მაგრამ მაინც დასჯაბნა ქართველთა მეფემ: მან ცხრამეტი ნადირ-ნანადირევით დაჯაბა ირანელს.

ქება-დიდება შეასხა აბასმა ლუარსაბს, მოუფერა და მოუალერსა, მაგრამ მალულად შურით გაიტენა და გული „გაუმტერდა“ ქართველი ჭაბუკისადმი სავნებლად და საბოროტოდ.

დამ მიიხმო ლუარსაბი და უჩურჩულა იდუმალ:

— ჩემო ძმაო. ძალიან გამორჩევით ნუ აჩვენებ შაჰს შენს სიმარჯვეს, ვაჟკაცობასა და ახოვანობას. მე ვიცი მისი ხასიათი — შურიანი და ხვანჯიანი კაცია; პირადად ვერას გეტყვის, მაგრამ გულში შენი სიკეთე ეწყინება და ვინ იცის რას წაგკიდებს.

ლუარსაბმა ხელი ჩაიქნია და ეს უთხრა დას და დედოფალს ირანისას:

— აწ რა ვქნა და რა გაეწყობა, ჩემო დაო, ან რაღა ბედენაა, ავად ვეჩვენები თუ კეთილად; ეს ხომ ვიცი, აღარ გამიშვებს შაჰ აბასი და, რაკი დაბრუნება აღარ მიწერია. ისევ სჯობია მტერსაც და მოყვარესაც კარგად ვეჩვენო, ვიდრე ცუდად.

თქვა და უჭირა მათრახი ცხენს მონადირე-მეფემ.

წამოეწია შაჰ აბასი ლუარსაბს და უთხრა:

— ვინაითგან ხარ ამისთანა მონადირე, რაინდი და უცთური მოისარი, წარვიდეთ და მოვინადიროთ ყარაბაღიცა, რამეთუ არის ყარაბაღი დიაღ კარგი სანადირო, სალხინო და შესაქცევარი, ხოლო ყარაბაღიდან უკან დაგაბრუნებ, ტფილისს.

„წავიდეთო“, თქვა ლუარსაბმა მშრალად, ჯადონაძგერალივით.

ყარაბაღსაც ეწვივნენ და ახლა იქ გაახურეს ნადირობა, ნადიმობა და „შექცევა“ სიძე-ცოლისძმამ.

აქ, ყარაბაღში, ადრე თურქეთში გაგზავნილი და ახლა უკანვე მობრუნებულმა ელჩმა ეს ამბავი ჩამოუტანა შაჰ აბასს: თურმე თეიმურაზსა და ლუარსაბს იმერთიდან სტამბოლში ხონთქრისათვის „უმდაბლესი აზრები“ გაუგზავნიათ, ოსმალეთის ქვეშევრდომობა შეუთავაზებიათ და ირანის წინააღმდეგ საომარი დახმარება უთხოვიათ.

გველის კაჭრობა აუვარდა შაჰ აბასს. ლუარსაბის და თეიმურაზის სისხლი არასოდეს ისე არ სწყურებია, როგორც ახლა სწყუროდა. მაგრამ თეიმურაზი შორს იყო და ისევ ლუარსაბს უნდა ეზღო ორივეს სისხლი.

დრომდე მაინც დაიწყვიტა რისხვა აბასმა. თურქეთში ახალი ელჩი აფრინა ხონთქრის დასამშვიდებლად და დასაშოშმინებლად. დიდძალი საჩუქრებიც გაატანა იმ ელჩს — სულ საქართველოში ნაძარცვი ნივთები — მათ შორის თორღას საგანძურიდან მოტაცებული, თვალ-მარგალიტით მოჭედილი საეპისკოპოსო გვირგვინი.

ლუარსაბს მოუსვენრობა დაეტყო.

შაჰმაც იფიქრა, ქართველი მეფე არ გამეპაროსო, და...

და ერთ დღეს შაჰ აბასმა ლუარსაბ მეფეს თავზე დაადგა ძვირფასი ქვებით მოოჭვილი ოქროს ჯიღა.

— ეს ჯიღა ჩემი სიყვარულის ნიშნად გქონდეს და ყოველთვის თავზე გედგას ჩემთან შეხვედრის ჟამს! — უთხრა ალერსიანად შაჰმა.

რამდენიმე დღე ასე ხვდებოდნენ ერთმანეთს: ჯიღით თავშემკობილი ლუარსაბი ეგებებოდა „სიყვარულითა და სიხარულით აღსავსე“ ირანელს.

მაგრამ ერთხელ ლუარსაბი თავშიშველი შეხვდა შაჰს.

— ჯიღა სად არის, შვილო და ძმაო?! — შეშფოთებით იკითხა შაჰმა, როცა ისინი სპარსელ დიდებულებთან ერთად მიუსხდნენ სუფრას.

— დავკარგე, — სინანულით თქვა ლუარსაბმა.

— რანაირად, შვილო და ძმაო?

— არ ვიცი. წუხელის მქონდა, ამ დილით კი ვეღარსად ვიპოვნე. ალბათ, მომპარეს. სხვა რამ ნივთებიც წაუღიათ ქურდებს.

„ქურდებმა მომპარესო?!“ იყვირა შაჰმა და სისხლიანი თვალები დაუტრიალა სპარსელ დიდებულებს.

— განა სიკვდილის ღირსი არა ხართ, რომ თქვენის უყუ-რადღებობით და ბედოვლათობით ასეთი სირცხვილი მაჭა-ჩეთ? ჩემი სტუმრის, მოკეთისა და მოყვრის სავანებელში შე-დიან ქურდები და იპარავენ მის ნივთებს! ამაზე საშინელი რაღა უნდა მოხდეს!.. ახლა გიბრძანებთ: ყარაულად დაუნიშ-ნეთ ლუარსაბ მეფეს ყველაზე მამაცი და ფხიზელი ჩაუშები, რათა ღღე და ღამე თვალმოუხუჭავად დაიცვან მისი სიცოც-ხლე და ქონება, დღე და ღამე არ მოშორდნენ არც მის კა-რავს, არც თვითონ მას კარვიდან ფეხგადადგმულს, თორემ... თორემ, თუ კიდევ მსგავსი სირცხვილი მაჭამეთ, ყველას დე-დაბუდიანად ამოგელიტავთ!

ადვილი მისახვედრი იყო, რომ ის ძვირფასი ჯილა სწო-რედ შაჰის გაწრთვნილმა ქურდებმა ძოიპარეს მისივე დავა-ლებით.

მიზანი მიღწეული იყო მაღალი „ზნეობრივი სტუმარ-მას-პინძლობის“ დაცვით. ლუარსაბ მეფე ვეღარსად გაიქცეოდა. მას შაჰის ძლიერი საყარაულო დაცვა ადგა თავს.

მომდევნო დღეს შაჰი ისევ მიადგა ლუარსაბს და „ალერ-სიანად“ უთხრა:

— ახლა მაზანდარანს გავეშუროთ მე და შენ, რამეთუ შე-სანიშნავი სანადიროა სამოთხისებური მაზანდარანი. წარვი-დეთ, დრო ვატაროთ და შევეჭცეთ!

ისევ ჯადოქმნილივით უხმო და უნიშატო შეხვდა ლუარ-საბი შაჰის ახალ გაწვევას.

მაზანდარანსაც მივიდნენ.

იქაც უზომოდ ინადირეს და ინადიმეს.

და, ბოლოს და ბოლოს, აქვე უნდა თქმულიყო, რას უპი-რებდა შაჰ აბასი „სიყვარულსა და ალერსში ჩაძირულ ტყვეს“.

და უთხრა კიდევაც აბასმა ლუარსაბს: ქრისტიანობა უნდა დაგდო და მაჰმადიანობა უნდა მიიღო!

„რაო?! ქრისტიანობა განვუტევო და ისლამი ვიტვირთო? მე, ქართველთა მეფე ლუარსაბმა, ძემან გიორგისამან და შვი-ლიშვილმან დიდი სვიმონისამან, ქრისტეს ვუღალატო, ქარ-თველობა დავაგდო და გავთათრდე?!“

— არასოდეს ეს არ მოხდება! — გადაჭრით, პასუხშეუქცევლად დაბეჭდა ლუარსაბმა.

არ მოეშვა შაჰი. აღუთქვამდა უთვალავ სიმდიდრეს, პატივს, აღზევებას. მაგრამ ვერ იქნა და „ვერ მძლე ექმნა“.

ისევ რისხვას და მუქარას მიმართა შაჰმა, მაგრამ ლუარსაბმა „არად შერაცხა რისხვა მძლავრისა, არამედ ეგო, ვითარცა ანდამატი და შეუძვრელ, ვითარცა კლდე, და უშიშ იყო, ვითარცა ლომი საყოფელსა თვისსა“.

მაშინ ბრძანა შაჰმა, შეიპყრეს ლუარსაბ მეფე და ჩააგდეს ასტრაბადის ციხეში. ერთ ხანს იქ ჰყავდა. ბოლოს ასტრაბადიდან შირაზს გადაიყვანა და იქ, გულაბყალას ციხეში გამოჰკეტა შაჰ აბასმა ქრისტიანობისთვის და ქართველობისთვის თავგანწირული მეფე ქართველთა...

იდგა 1622 წელი — მერვე წელიწადი ლუარსაბ მეფის დატყვევებიდან.

შაჰ აბასი მდინარე აბიჭურენის პირას იდგა ამალით. ისფაჰანს წყალი აკლდა და სატახტო ქალაქისკენ აბიჭურენის გაყვანას აპირებდა შაჰი. უკვე კიდევაც დაწყებულიყო არხის გაჭრა წყლის გადასაგდებად. ხელმწიფე სწორედ სამუშაოთა სახილველად ჩამოსულიყო აბიჭურენზე.

და აქ რუსი ელჩები ეახლნენ შაჰ აბასს.

ბევრი რამ განიხილეს და განსაჯეს სტუმრებმა და პასპინძლებმა.

ბოლოს ერთი სათხოვარიც აღძრეს რუსებმა: ქართველი მეფე გაათავისუფლეთ, თავის ქვეყანაში დააბრუნეთ და ძველებურად თქვენი მორჩილების ქვეშ იყოლიეთო.

„უეჭველად აღვასრულებ თქვენს შუამდგომლობას და გავუშვებ ლუარსაბს საქართველოშიო, — „სიამოვნებით“ აღუთქვა ელჩებს შაჰმა.

როცა რუსები წავიდნენ, შაჰმა გულაბყალას ციხის უფროსი გამოიძახა და უთხრა რისხვეულად:

— წარწყმედისა და სიკვდილის ღირსი ხარ შენ! რატომ აქამდე არ მოგიკლავს ლუარსაბ მეფე? ახლა რუსები იყვნენ ჩემთან და მისი გათავისუფლება მთხოვეს. წადი ახლავე და, თუ ხვალ საღამომდე ლუარსაბ მეფის სიკვდილი არ შემატყობინე, იცოდე დედაბუდიანად ამოგწყვიტავ!..

...მაშ, 1622 წელი, გაზაფხული.

შირაზში უნდილაძის წალკოტებს შირაზული ვარდობის ცეცხლი წაჰკიდებოდა.

ხოლო, გულაბყალაში პატიმარს ადრე გაჰღვიძებოდა.

ქართველები იხმო ქართველთა მეფემ და განაცხადა საოცრად წყნარი, უშფოთველი ხმით:

— გული მითქვამს, რომ დღეს აღვესრულები მე ამა სწუთროსაგან. ახლა მსურს სიკვდილის წინ დამიტიროთ წესისამებრ საქართველოსა, რამეთუ მე თვით ვისმინო თქვენი ხმა ქართული, თქვენი გოდება ქართული, თქვენი სიტყვა ქართული, — ვითარცა ხმაი გოდებაი და სიტყვაი სრულიად საქართველოსი!

ეს თქვა ლუარსაბმა და გულაღმა დაწვა სარეცელზე. გულზე ხელები დაიკრიფა და თვალები დახუჭა, ვითარცა მიცვალებულმა.

მიუდგნენ ქართველები და იტირეს მეფე თვისი ზარით და ზუნით, „წესისამებრ საქართველოსა“.

მერე ეპისკოპოსი მიიხმო და ეზიარა ლუარსაბ მეფე. თვალი მაცხოვრის ხატისთვის მიეპყრო და მეტყველებდა ქრისტიანი ქართველი:

„შენ უწყი, უფალო ჩემო ქრისტე, ვითარ არცა ანგარებითა, არცა სიმდიდრის მოყვარებით დავუტევე მამული და საყოფელი ჩემი და ვერცავინ შემძლებელ იყო შეპყრობად ჩემდა და ვერცა გამოყვანებად სიმაგრეთა მათგან, რომელსა მე ვიმყოფებოდი. გარნა ვიყავ მწუხარე და მელმოდა გულსა იავარ-ყოფა საქართველოსი, დამხობა წმიდათა ხატთა და ჯვართა და დარღვევა წმინდათა ეკლესიათა. ხოლო უკეთუ მე განვრინებულიყავ ხელთაგან ყიზილბაშთა, მაშინღა განირყვნებოდა და მოოხრდებოდა მშობელი ქართლი, ვითარცა იერუსალიმი ნაბუქოდონოსორის მიერ. და მე აღვირჩიე საქმე ესე, რომელი ბრძანე წმიდასა შინა სახარებასა: „მწყემსმან კეთილმან დადვის სული თვისი ცხოვართა თვისთათვისო“. გავსწირე თავი და არა მივეც განსარყვნელად, იავარსაქმნელად და შესაჭმელად სიწმინდენი და ალაგნი ქართლისანი. მინდობილმან ბრძანებისა შენისამან დავსდევ თავი ჩემი ქვეყნისათვის და გადარჩა ქართლი მოოხრებისაგან. ესე ყოველივე შენ უწყი, რამეთუ მეცნიერ ხარ გულის-სიტყვათა და გონებათა. არა მეწყალვის მეფობა და შარავანდედობა

ჩემი, არცა შვენიერობა, ჰაეროვნება და ახოვნება სიჭაბუკისა ჩემისა, არცა უებრობა და ყვავილი სიორძილისა ჩემისი, არცა კისკასად მორბედობა ასპარეზობისა და ქველყოფილობა ჰასაკობისა ჩემისა, არცა ბრძოლასა შინა მხნეობა და სიმაგრე მკლავისა, და არცა თეატრონსა შინა მორბედობა ცხენთა და მსწრაფმავლობა და მარჯვედ სრვა მხეცთა, დაუშრომელობა მკლავთა და ყოველთავე მოსავთა ჩემთა უზეშთაეს ყოფა, არცა დიდება, პატივი და სანოვაგენი, მრავალფერი ტაბლანი და გამოჩვენებითი ლხინი და მხიარულითა პირითა მეტყველებანი, ზმანი და მღერანი და მეფობრივი სარეცელი და ტახტ-გვირგვინოსნებანი. ესე ყოველივე დამიტევებია შენი და საქართველოს სიყვარულისთვის...“

ჯალათი შემოვიდა. იქ დამსწრეთ ანიშნა — გადით, მარტო დაგვტოვეთო.

მეფემაც თვალით უბრძანა თავისიანებს — წადითო, და ქაშნიანი ღიმილით დაემშვიდობა ყველას, ცალკეულად მზერის გადაკვრით.

ქართველები გალაგდნენ — გამშრალნი, დამეხილნი.

კიდევ შემოვიდა ჯალათი. მეორეს მესამე შემოჰყვა, მერე — მეოთხე, მეხუთე, მეექვსე.

შემზარავი სახეები აელანძა მეფის თვალებს.

ერთს უზარმაზარი მშვილდი ეპყრა ხელთ — მსხვილი, გასანთლული ლარით გაჭიმული.

ლუარსაბმა რატომღაც იმ მშვილდის ლარ-საბმელს დაადგა თვალი და თქვა მშვიდი ხმით:

„აღასრულეთ ბრძანებული თქვენი!“

საბელი შეხსნეს მშვილდს ჯალათებმა.

ლუარსაბ მეფის ახოვან ყელ-კისერს ყულფად შემოაჭვდეს და ორივე მხრისკენ დაიქნიეს საბელის თავნი...

ასე აღესრულა მეფე ქართლისა, ლუარსაბ მეორე, „კაცი შვენიერი და კეკლუცი და სანახავად სატრფიალო, — რომ არსად გამოსულა ამისთანა შვენიერი და შემკობილი კაცი, ყოვლისა სამღთო-საკაცობრიო ზნეობით გათავებული და უკლები“.

გამეფდა 14 წლისა, იმეფა 10 წელი, წამებულის სიკვდილით აღესრულა შობითგან 24 წლისა.

გადაეგო უშვილძიროდ.

მისი ყველაზე დიდი „ხელმწიფური უნარი“ სარწმუნოებისა და სამშობლოსათვის პირადი სიცოცხლის გაწირვა იყო და კიდევაც პირნათლად აღასრულა თავისი ვალი მშობლიური ხალხისა და ქვეყნის გადასარჩენად.

ქართულ მიწაში განსვენება არ ჰღირსებია ქართული მიწისთვის თავგანწირულ ჭაბუკ ხელმწიფეს...

...შაჰ აბასი ისევ აბიქურენის პირას იდგა, როცა ლუარსაბ მეფის წარკვეთილი თავი მიართვეს.

დიდხანს გაქვავებული თვალით უცქირა შაჰმა სისხლით შეღებილ წამებულ სახეს.

მერე ცახცახი აუვარდა, ისტერიულად აბარხარდა, მშობიარე ქალივით აკივლდა, პირიდან ლეზვი და ლოშქრი დასდინდა.

და ხელები წაუშინა სახეში მოკვეთილ თავს.

სცემა, ლანძღა და აგინა, აქეთ-იქით აგორა, მიახეთქ-მოახეთქა.

ბოლოს, როცა გული მოიჯერა და მოიძღო, ყურით აიღო და იქვე თავქვეზე მოისროლა.

ჯერ ნელა დაგორდა წამებულის თავი, მერე სრბოლას უმატა და ძალცემით დაექანა უფსკრულისაკენ.



ქეთევანი

აიბადა იგი 1572 წელს, ა შ ო თ ა ნ ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ მ უ ხ რ ა ნ-ბ ა ტ ო ნ ი ს ოჯახში.

1588 წელს, თექვსმეტი წლისა, ცოლად შერთეს კახეთის მეფის, ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე მ ე ო რ ი ს ძეს, დ ა ვ ი თ ს.

კახეთის სამეფო სახლი არეული დახვდა რძლად შესულ ქეთევანს. ალექსანდრე მეფეს გრემის სასახლეში ორი შვილი შემორჩენოდა — დ ა ვ ი თ ი და გ ი ო რ გ ი — და ორივე ტახტგვირგვინისთვის ებრძოდა ერთმანეთს. მეფობა უფროსობით დავითს ეკუთვნოდა, მაგრამ მამა მაინც უმცროსს აცხადებდა ტახტის მემკვიდრედ. და არც ერთი კი არ ფიქრობდა, რომ შაჰ აბასი კახეთის ბატონად ამზადებდა ალექსანდრეს მესამე შვილს, კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე ს, რომელიც ირანის მბრძანებელს ყრმობითვე მძევლად და „აღსაზრდელად“ წაეყვანა ისფაჰანის სასახლის კარზე.

ბოლოს თავისი გაიტანა დავითმა. მამა აიძულა ალავერდის ტაძარში ბერად აღკვეცილიყო და მის ნაცვლად თვითონ დამჯდარიყო მეფედ. მაგრამ კახეთის ახალი მეფე, დავით I, მეფობითვე უდღეური აღმოჩნდა. მან ოთხი თვეც ვერ მოითია ტახტზე. გარდაიცვალა მოულოდნელად, 1602 წლის 21 ოქტომბერს.

ქეთევანს, ქვრივ დედოფალს, დარჩა ქალ-ვაჟი: უფროსი, ძე — თ ე ი მ უ რ ა ზ ი, და უმცროსი, ასული — ე ლ ე ნ ე.

თეიმურაზი ამ დროს უკვე ცამეტი წლის იყო და, კაცმა რომ სთქვას, აწ გარდაცვლილი მამის ტახტიც მას ეკუთვნოდა, მაგრამ ალექსანდრე ბერობიდან მობრუნდა და ისევ დაჯ-

და კახეთის მეფედ. დაჯდა და თავის მომავალ მემკვიდრედ ისევ გიორგი გამოაცხადა.

დაქვრივებულ დედოფალს და დაობლებულ მის შვილებს „თავიდან მოშორების“ საფრთხე შეექმნათ (ასეთ დროს ხომ სასახლის კარზე კარგად იციან „თავიდან მოშორების“ ხერხები...).

მაშინ კახეთის კარზე რუსეთის მეფის, ბორის გოდუნოვის ელჩები იყვნენ ჩამოსული — ტატიშჩევი და ივანოვი, რომელთაც დიდი პოლიტიკური მეგობრობის ჩამოგდების გარდა, დავალებული ჰქონდათ საქართველოში შეერჩიათ საცოლე ბორის გოდუნოვის ძისათვის და საქმრო ასულისათვის. და აი, ტატიშჩევმა და ივანოვმა რუსთხელმწიფის რძლად და სიძედ თვალი დაადგეს დავითისა და ქეთევანის შვილებს — ელენეს და თეიმურაზს.

მაგრამ არ ეძინათ სპარსელებს. შაჰ აბასის ელჩი კახეთის კარზე, მ ა ჰ მ ა დ-ბ ე გ ი, მაშინვე ატყდა: თეიმურაზი და ელენე სპარსეთს უნდა წავიყვანოო, რადგან თვითონ შაჰს სურს თეიმურაზი იშვილოს და ელენე ცოლად შეირთოსო!

ითქვა და „მოყვრობის სასწორმაც“ სპარსეთისკენ გადასწონა.

თეიმურაზი და ელენე სპარსეთის გზას გაუყენეს...

კვლავ გამოხდა ჟამი მცირედი და შაჰ აბასმა კახეთისაკენ გამოგზავნა კონსტანტინე ალექსანდრეს ძე. მოდიოდა ქართველად დაბადებული და თათრად გაზრდილი „დიდი ბატონიშვილი კონსტანტინე-მირზა“ (ასე ეძახდნენ მას სპარსეთში). სპარსელ› თანაშემწეებისა და სპარსული ჯარის თანხლებით: მოდიოდნენ და მოჰქონდათ შაჰის ნაბრძანები: კახეთის მეფისათვის კახთა ჯარი უნდა გამოერთმიათ, კახთა თანადგომით აზერბაიჯანს უნდა შეჭრილიყვნენ, იქიდან თურქები განედევნათ და ეს ქვეყანა ერთხელ და სამუდამოდ სპარსეთისთვის დაემკვიდრებინათ.

ხოლო, ვერაგი შაჰის „უფრო დაწვრილებითი“ ნაბრძანები მხოლოდ კონსტანტინე-ხანის გულს იყო დამარხული...

შეხვედრა მოხდა ძაგემს, 1605 წლის მარტში.

იმ დღეებში რუსი ელჩების მისაღებად ემზადებოდა ალექსანდრე და სწორედ რუსებმა თავისი თვალით იხილეს ეს შემზარავი სურათი — როგორ დაახოცვინა სპარსელებს გასპარ-

სელებულმა ქართველმა უფლისწულმა მამა და ძმა — მეფე ალექსანდრე და მისი ძე გიორგი.

მამისა და ძმის თავები კონსტანტინემ ირანს წარგზავნა მისი მწყალობელი და გამზრდელი შაჰ აბასის „ძვირფას ძღვნად“.

ხოლო თავგანქვეთილნი ცხედრები აქლემს მანდიკურად გადაჰკიდა და ალავერდის ტაძარში გაგზავნა „საბოლოოდ დასამარხავად“.

გათათრებული უფლისწულის მხეცობით გაოცებულმა და შეძრწუნებულმა კახელებმა დიდი წუხილით დაიტირეს და დაკრძალეს წამებული მამა-შვილის ნეშთები.

„დასხდნენ მგოსანნი გლოვისანი“. იდგა ზარდამცემი ერემიადა.

ხოლო, მთავარი ჭირისუფალი — ქეთევან დედოფალი.

განლიგებული უცქერდა ხალხი, როგორ დასტიროდა ეს საოცარი, ღმრთივ სულიერი ქალი მამამთილს, მაზლს და... საქართველოს...

კახეთის სამეფო ტახტი, სახელმწიფო საგანძურები და სრა-სასახლენი სისხლიანმა კონსტანტინე-ხანმა დაიჭირა.

ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ ყიზილბაში კონსტანტინეს გამეფება კახეთის „გათათრებასა“ და ირანის „თათრულ სახანოდ“ გადაქცევას მოასწავებდა.

მაგრამ სულ მალე კონსტანტინეც და შაჰ აბასიც დარწმუნდნენ, რომ კახეთის „გათათრება“ არც ისე იოლი საქმე იყო. აქაური ერი სიკვდილს არჩევდა და ქრისტიანობასა და ქართველობაზე ხელს არ აიღებდა.

უკვე იგრძნობოდა, რომ აჯანყების ნაკვერცხალი სწრაფად ღვივდებოდა.

კონსტანტინე მიხვდა, რომ კახეთის მამულიშვილური ძალები ქალის გარშემო იყრიან თავს.

ხოლო ქალი „ესე იყო ღვაწლ-მრავალი და სამგზის სანატრელი, დედათა შორის ახოვანი დედოფალი და მოწამე ყოვლად ქებული ქეთევანი“.

და კონსტანტინემ ქეთევანის დაუფლება გადაწყვიტა.

ხოლო „დაუფლება ესე“ იქნებოდა არა მარტო ცოლად შერთვა მშვენიერი ქალისა, არამედ „სრულქმნილი დაუფლება“ მტრად გადაკიდებული კახთა ქვეყნისა.

კონსტანტინე ქეთევანის მაზლი იყო, მაგრამ მუსლიმანთა საოჯახო სამართლით მაზლისა და დაქვრივებული რძლის შეუღლება სააუგო და საძრახისი კი არა, დიდ „სამადლო ქმედებად“ ითვლებოდა კიდეც.

და შეუთვალა კონსტანტინემ ქეთევანს:

„მე დამიპყრია კახეთი ნებითა ყეენისათა, ვარ მე ხელმწიფე და ვიყავ შენ დედოფალი; მაჰმადის სჯულით ჯერ-არს შეუღლება რძლისა და მაზლისა; ხოლო უკეთუ არ ინებო, მე ძალით ვჰყო ესე!“

უსაზღვრო ზიზღმა, აღშფოთებამ და გაკვირვებამ მოიცვა ქეთევანის სათნოებით აღსავსე გული. სასწრაფოდ კახელი დიდკაცობა შეჰყარა და აუწყა კონსტანტინეს „უკეთურება უკეთურებასა ზედა“.

თუ მტკიცედ არ ამომიდგებით მხარში და ამ საზიზღარ კაენს არ ვაზღვევინებთ, მე კახეთიდან სულ წავალ და ქართლს დავბრუნდები, მუხრანს, ჩემს თავისსახლობაზეო, — გამოაცხადა დედოფალმა.

დიდებულებმა დაიჩოქეს სათაყვანო ქალის წინაშე და შეჰფიცეს, „რომე შენს მეტი ბატონი ჩვენ არ გვინდა“ და ვაზღვევინებთ შენს შეურაცხმყოფელსა და ჩვენი ქვეყნის დამაქცევარსო.

კონსტანტინემ კატასტროფის სიახლოვე იგრძნო, ამიტომ ქეთევანის დაუფლებაზე ფიქრს დროებით თავი მიანება და კახელ დიდებულებს შირვან-აზერბაიჯანში სალაშქროდ გაყოლა მოსთხოვა.

ქეთევანმა და მისმა თანამდგომმა დიდებულებმა კარგად იცოდნენ, რომ შირვანს ლაშქრობაზე უარის თქმა თვითონ შაჰ აბასის წინააღმდეგ აშკარა აჯანყებას ნიშნავდა. ამიტომ, სანამ კონსტანტინე ვერ მოეშორებინათ, მის ნებას უნდა აჰყოლოდნენ და საომარ წვევაზე დათანხმებულიყვნენ.

10 000 კახელი მხედარი დაუყენა გვერდით კონსტანტინემ ყიზილბაშთა ლაშქარს და 1606 წლის მაისში შირვან-აზერბაიჯანისკენ გასწია.

შევიდნენ და ჯერ არეში წაართვეს თურქებს, მერე ყაბალას შემოადგნენ ალყად. ყაბალას კედლებთან შეიქნა ძალმიცემით ცემა და ბრძოლა. ნამეტნავათ კარგად იყვნენ კახნი და კოხტაურად იბრძოდნენ. შიგნიდამ ურუმთა (თურქთა) და გარე-

დამენ ყიზილბაშნი გაკვირვებულნი შექმნილიყვნენ ქართველთა გალომებისასა და შეუპოვრად მხიარულად ომსა".

ყაბალა აიღებს, თუმცა კონსტანტინე დაიჭრა, მაგრამ სიკვდილს გადაურჩა და შირვანში მოპოვებული გამარჯვების ამბავი შაჰ აბასს აცნობა. შაჰმა გაიხარა და საჩუქრები გამოუგზავნა „საყვარელ კონსტანტინე-ხანს". კონსტანტინემაც ახალი ძალითა და ენთუზიაზმით შეუტია თურქებს. მორიგი იერიში შემახაზე მიიტანეს ქართველებმა და ყიზილბაშებმა. იერიში ჩაუქრათ და ალყაზე გადავიდნენ. ალყა გაჭიანურდა. აქ კახელებმა თვითონ კონსტანტინეს მოკვლა სცადეს, მაგრამ განზრახვა უხეიროდ და უშედეგოდ დამთავრდა. შეთქმულნი მოღალატეს ღამით კარავში შეუხტნენ, მაგრამ კონსტანტინემ სიკვდილს გაასწრო. კახელთა ჯარი ყიზილბაშებს გამოეყო და კახეთში დაბრუნდა. მარტო ყიზილბაშებით კონსტანტინემ ვერაფერი გააწყო და ხელცარიელი დაბრუნდა შაჰთან.

შაჰს კახთა ელჩობა ეწვია, ვორჩილების თანხმობა მისცეს, ოღონდ მამისა და ძმის მკვლელი კონსტანტინე მოგვაშორე და მეფედ „შენი მაღალი ტახტის" ახლო მყოფი თეიმურაზი გამოგვიგზავნეო.

შაჰის „მაღალი გონება" მაშინვე მიხვდა, რომ კახეთს კონსტანტინე მისი „თათრობისთვის" არ სურდა, ხოლო თეიმურაზს ქრისტიანობისთვის (ანუ „ნამდვილი ქართველობისთვის") იწონებდა. იგი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ „კახეთის საქმეს" მეტი სიფრთხილე და წინდახედულობა სჭირდებოდა. მან ელჩებს ალექსანდრესა და გიორგის დაღუპვის გამო სამძიმარი უთხრა. კონსტანტინეს ჩამოცილებისა და თეიმურაზის კახეთს გაგზავნის საქმესაც მალე გადავწყვეტო, აღუთქვა ელჩებს. მერე ქეთევან დედოფლისა და კახეთის წარჩინებულ მესვეურთა სახელებზე „წყალობის წიგნი" შეადგინა, თავის ელჩს ჩააბარა და ქართველ მოციქულებთან ერთად კახეთისაკენ გამოისტუმრა..

კონსტანტინემ კი შაჰის წყალობას აღარ დაუცადა, ახალი ჯარები შემოიყარა და საქართველოსკენ წამოემართა. ძაგემს ჩაუვლიდა, ბანაკად დადგა და გრემში მოციქული აფრინა ქეთევან დედოფალთან და მის სადარბაზოსთან.

მე სამტროდ არ მოვსულვარო ითვლევინებოდა კონსტან-

ტინე, არც თქვენს შორის მეგულება მტერიო, იმ სამი-ოთხი კაცის გარდა, მოკვლა რომ დამიპირეს და ამდენი შფოთი და დავიდარაბა აგვიტეხესო. მიმიღეთ, ყველაფერში თქვენი სურვილის მიხედვით მოვიქცევი, ჩემს ნათესავ უფლისწულებსაც მამასავით მოვუვლი და, სხვას რომ თავი დავანებოთ, იმ ჩემი მოკვლის მოსურნეებსაც მივუტევებ ესოდენ მტრობასო. თუ ასე შემონათვალს არ დაიჯერებთ, ვინც გენებოთ გამომიგზავნეთ და იმის წინაშე დავიფიცებ ყოველ ჩემს აღთქმასო.

გრემში სასაცილოდ არ ეყოთ კონსტანტინეს ფიცი და მტკიცი.

სასწრაფოდ აისხა იარაღი კახთა ლაშქარმა.

ქეთევანმაც ქართლში აფრინა შიკრიკი დახმარების სათხოვრად. მეფე გიორგი მეათემ პაპუნა ამილახორი წარმოგზავნა ზემო ქართლის ჯარით.

ლაშქარი დალოცა ალავერდელმა.

ქეთევან დედოფალი გაუძღვა, ვითარცა ერთ დროს დიდი თამარი მიუძღოდა „ყოველი საქართველოს“ მხედრობას.

ჯალაბით, ქალებით და ბავშვებით მოდიოდნენ კახელი მეომრები.

ბელაქნის წყალზე მოვიდნენ.

მაღლობზე კახეთის სახელმწიფო დროშა აღმართეს და მის ქვეშ ქალები და ბავშვები დააბანაკეს.

აქვე დადგა ქეთევან დედოფალიც.

და ჯარმა დედოფლისა და ცოლ-შვილთა წინაშე დაიფიცა მამულიშვილური თავგანწირვა, რაინდული ვაჟკაცობა და მოყვასული ურთიერთ თანადგომა და თანალმობა. მერე წინ გავიდნენ და საომრად დალაგდნენ. კონსტანტინეც მოიჭრა თავისი მხედრობით.

სასტიკი ბრძოლა გაიმართა.

ქართველებმა გაიმარჯვეს.

კონსტანტინე ბრძოლაში მოჰკლეს.

და ქეთევან დედოფალმა ელჩობა გაგზავნა თავრიზს, სადაც მაშინ იმყოფებოდა შაჰ აბასი.

კახელები შაჰის წინაშე ბოდიშს იხდიდნენ სპარსეთის ლაშქრის „უნებლიე ხელყოფისათვის“, ხოლო მოკლული კონსტანტინეს სანაცვლოდ კახეთის ტახტზე ითხოვდნენ თეიმურაზ ბატონიშვილის დანიშვნას.

შაჰ აბასმა ამჯერად ისევ ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა, რადგან ეშინოდა კახეთი რუსეთისკენ არ გამექცესო, და გამოუშვა თეიმურაზი კახეთის მეფედ...

ირანის მიწა უკან ჩამოიტოვეს კახელებმა.

ქართულ მიწაზე შემოდგეს ფეხი.

მაშინვე გაიძრეს შაჰის ნაჩუქარი ოქრონემსული ხალათები.

თეიმურაზი ცხენიდან გარდახდა, დაემხო და დაეკონა ქართულ მიწას.

ჭიზიყი გამოიარეს. ერთმა იქაურმა გლეხმა ისტუმრა მეფე და მისი ამალა. ამ ოჯახში ცხრა ვაჟი იხილა, ცხრა აკვანში ჩაკრული, თეიმურაზმა. „უეჭველად ფეხბედნიერი იქნება ჩემი მეფობაო“, — გაუელვა ჰაბუკ ხელმწიფეს და სიხარულით აღვსილი თვალი ჩამოატარა ცხრა ქართველი წულით გასხივოსნებულ ცხრა აკვანს.

გრემის სასახლე ზეიმით ელოდა მეფეს.

ელოდა ქეთევან დედოფალი — შვილს, ხელმწიფეს.

ბოდბეს ეკურთხა კახეთის მეფედ თ ე ი მ უ რ ა ზ პ ი რ ვ ე ლ ი, წმიდა ნინოს საფლავთან მუხლმოყრილი...

ერთი წლის შემდეგ, 1607 წელს, შაჰ აბასი, ალავერდი-ხან უნდილაძის თანხლებით, აზერბაიჯანში შევიდა, იქიდან თურქთა საბოლოოდ გასარეკავად. იქიდან თეიმურაზს შემოუთვალა: ძალიან მენატრები, ძალიანაც მჭირდები და სასწრაფოდ კახელთა „გაწყობილი ჯარით“ გამომეცხადე ქალაქ შემახასთანო. ირანის ლომი მოუთმენლად ელოდა „თავის გაზრდილს“ და უმამაცეს კახელთა ლაშქარს.

და მოვიდა... უარი.

დიახ, თეიმურაზი უარს ამბობდა შირვანს ლაშქრობაზე. მხოლოდ ეს იყო, რომ ბოდიშს უხდიდა შაჰს — ამჯერად არ შემიძლია სალაშქროდ გამოსვლა და გთხოვთ გამათავისუფლოთ „მაღალ კარზე სტუმრობისგანო“.

უარიო?! აიშალა და აზვავდა შაჰ აბასი. ნუთუ ეს თავის ნებითა და ჭკუით გამიბედა თეიმურაზმაო. არა, უეჭველად დედამისის, ქეთევან დედოფლის ჩაგონებით იქნებაო.

რა გაეწყობოდა! მდგომარეობა კარნახობდა რისხვის დაცხრომას, და შემოუთვალა „გამზრდელმა“ „გაზრდილს“: ჩვენ წინააღმდეგი არა ვართ შენი თხოვნისა, ვთქვათ და, ნუ მოხ-

ვალ ამჯერად ჩვენთან, მაგრამ ვაი თუ შენი გამოუცხადებლობა „ზერელე ჭკუის ადამიანებს შაჰისადმი ერთგულებისა და მორჩილების ნაკლებობად მოეჩვენოთ“, ან ღალატად ჩათვალონ და „სხვა მხარეების მმართველებმაც“ შენის მიბაძვით განდგომა და ღალატი განიზრახონ! ამიტომ გთხოვთ, მაინც მოხვიდე მცირე ხნით, მოხვიდე „მარტო, მსუბუქად“; მალე უკანვე გაგაბრუნებ. კახეთს, საიდანაც მერე დედაშენს გამოგზავნი იმდენი ლაშქრით, რამდენსაც თვითონ დედოფალი შეასაძლებლად ჩათვლის.

მაგრამ მაინც არ გამოცხადდა თეიმურაზი. მან „საპატიო მიზეზის გარეშე“ ისევ „უარი თქვა მოსვლაზე და შაჰის სამსახურის ბედნიერებას არ ეზიარა“.

რისხვის ცეცხლზე იხრაკებოდა შაჰ აბასი.

განვლო მცირე დრომ და კახეთიდან მოვიდა დედოფალი ქეთევანი, სულ რაღაც ათასი კახელის თანხლებით. თეიმურაზი კი ისევ არ ჩანდა.

შაჰს შეეძლო დაცინვად მიეღო ქართველთა ეს უცნაური სტუმრობა, მაგრამ არაფერი შეიმჩნია და დიდის პატივით მიიღო კახეთის დედოფალი და მისი ამალა.

კახელები მისვლისთანავე საომრად გაეწყვნენ და უნდილაძის „სიბას“ შეუერთდნენ. მაგრამ შაჰ აბასმა „სტუმრების შეწუხება“ არ ინება და კახელთა რაზმი ბრძოლის ხაზიდან უკანვე გამოიწვია. დედოფალ ქეთევანს კი თავის ცოლები აახლა, „დიდის ალერსითა და პატივით“.

მალე კახეთს გაბრუნდა დედოფალი თავისი ამალით.

ბოლმა ბოლავდა შაჰ აბასის გულში.

ხოლო, ეს კი სრული სიწრფოებით უნდა ითქვას ალლაჰის წინაშე: მართლაც რომ ღვთაებრივი ქალი ყოფილა ქეთევან დედოფალი...

1607 წლის 27 ივნისს უნდილაძემ ზარბაზნების უწყვეტი ცეცხლით შეანგრია შემახას კედლები და ქალაქში შეიჭრა. სპარსელებმა სულ ერთიანად ამოწყვიტეს ოსმალონი. შირვანის ყველა ციხე-ქალაქში ოსმალთა ნაცვლად უკვე სპარსელები იდგნენ. „ოსმალობა“ დამთავრდა და „ყიზილბაშობა“ დაიწყო...

1607 წელს, ჩვიდმეტი წლის თეიმურაზმა ცოლად შეირ-

თო მამია გურიელის ასული, ა ნ ა, რომლისგანაც შეეძინა ორი ძე — ჯერ ლ ე ვ ა ნ ი, მერე ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე.

1610 წელს ანა გარდაიცვალა და მომდევნო 1611 წელს, როგორც სხვაგან ვთქვით, შაჰის დაჟინებით, თეიმურაზმა ცოლად შეირთო ლუარსაბ ქართლის მეფის დაი, ხ ო რ ე შ ა ნ ი...

1613 წლის მიწურულს, შაჰ აბასი უზარმაზარი ირანული ურდოს თანხლებით განჯას მოვიდა და დაიბანაკა.

მოვიდა თუ არა, მაშინვე ერთხელ კიდევ აამუშავა „წყვილი წერილების“ ტაქტიკა. ერთდროულად ლუარსაბს და თეიმურაზს ერთნაირი წერილები გამოუგზავნა. ლუარსაბს სწერდა: „ჩემო საყვარელო ცოლისძმავ, ნუ ენდობი თეიმურაზს, ნუ უერთგულებ მას, ვინაიდან იგი შენი მოსისხლე მტერი არის და სურს მეგობრობის ნიღბით მოგატყუოს, მოგკლას და შენს ქვეყანას დაეპატრონოს. მან მე პირადად გამიმხილა ეს განაზრახი. ამიტომ სანამ ცოცხალი ხარ, თვითონ დაასწარი, მოჰკალი იგი და შენი იქნება ორივე ქვეყანა — ქართლიც და კახეთიც. მეც აქ მოვსულვარ და თუ საჭირო გავხდე, შემომითვალე და მაშინვე მოგეშველები ჯარით და ფულით“. იგივე ეწერა თეიმურაზისადმი მიწერილ წერილში, ოღონდ „ადრესატთა“ გადანაცვლებით.

ერთადერთი, რაშიაც არ მოტყუვდნენ ლუარსაბი და თეიმურაზი ისევ ეს იყო: შაჰ აბასის წაქეზება არ გაიკარეს, წერილები ისევ ერთმანეთში გაცვალეს, ჭეშმარიტება დაადგინეს და ისევ „არხეინ მოყვრობას“ მიეცნენ.

მთელი ზამთარი იდგა შაჰ აბასი განჯაში, საქართველოს კარისყურზე, და ქართლ-კახეთის გვირგვინოსნებს ხელიც არ გაუნძრევიათ უსაშველო საფრთხის უკუსაგდებად.

მომდევნო 1614 წლის ადრე გაზაფხულზე შაჰ აბასმა თეიმურაზს ელჩი გაუგზავნა და შემოუთვალა: „დღე-დღეზე ოსმალეთს სალაშქროდ მივეშურები, ხოლო შენ აღარ გენდობი — ასე მგონია, პაპაშენივით ოსმალების მხარეს დაიჭერ, ამიტომ, თუ მართლა მტრობას არ მიპირებ, შენი შვილი უნდა გამომიგზავნო მძევლად დაუყოვნებლივ. ჩემთან იქნება შენი ძე, შევიტკბობ, შევიყვარებ და გავზრდი შენზე უკეთესად და შენს უმჯობესად!“

თავზარდაცემულმა თეიმურაზმა სამეფო დარბაზი შეჰყარა და „მძლავრი ბოროტის“ მოთხოვნა შეატყობინა.

დარბაზმა მძევლის გაცემა ურჩია მეფეს.

ავარდა და დავარდა თეიმურაზი — ტყუილად მაკარგვინებთო შვილს, ვერაგი შაჰი მაინც თავისას იზამსო, მაგრამ ვერაფერს გახდა: თავადები ჯიუტად მოითხოვდნენ ერთ-ერთი უფლისწულის გაცემას, რამეთუ ეგონათ მეფის ძის გაცემით საკუთარ ოჯახებს გადაარჩენდნენ შაჰის მძვინვარებისაგან.

გატყდა თეიმურაზი: ახლა იმაზე უნდა ეფიქრა, რომელი გაემეტებინა სამძევლოდ — ხუთი წლის ლევანი, თუ სამი წლის ალექსანდრე. არჩევანი უმცროსზე შეუჩერდა, ალექსანდრეზე. ჩვილი ბავშვის ხილვაზე შაჰს გული აუჩუყდება და იქნებ უკანვე დაგვიბრუნოს ყრმა უფლისწულიო!

თანაც ქეთევან დედოფალი უნდა ხლებოდა შაჰ აბასს, რადგან თეიმურაზი „ჰგონებდა პატივისცემასა დედისასა შაჰ აბასისგან, რამეთუ ევედროსცა შეწყალებად და უკუნქცევად“.

ერთი სიტყვით, განჯას გაგზავნეს უფლისწული ალექსანდრე, ქეთევან დედოფლისა და სახლთუხუცეს ნოდარ ჯორჯაძის თანხლებით.

დიდის პატივით, თავაზითა და თაყვანისცემით შეხვდა შაჰი ქეთევან დედოფალს, მაგრამ ყრმა ალექსანდრე რომ იხილა, რისხვა ვეღარ დაიოკა და ბრაზიანად იყვირა:

„რას ჰგავს ეს?! მე თქვენი ძიძა გგონივართ თუ ბიძა, ეს ერთიბეწო ბალღი რომ მომიგდეთ?!“

ისე გაცოფდა და გაშეთდა, არასგზით აღარ მოუსმინა ქეთევანს, „ულამაზესსა და უბრძენეს დედოფალს“.

მაშინვე ნოდარ ჯორჯაძე, იგივე სპარსი მოციქულის თანხლებით, უკანვე კახეთს გაგზავნა და თეიმურაზს ბრძანება შეუთვალა: ახლავე შენი უფროსი ძე გამომიგზავნე, თუ გინდა დედაშენი და უმცროსი ვაჟი დაგიბრუნო და მეც ჩემის ჯარებით უკანვე გავბრუნდე, — თუ არა და მერე ყველაფერი შენს თავს დააბრალეო.

ქეთევანმა მაინც მოახერხა ჯორჯაძის პირით შეეთვალა თეიმურაზისთვის: არამც და არამც არ გამოუშვა ლევან ბატონიშვილი მძევლადო, რადგან ეტყობა, მთელი ჩვენი ოჯახის ხელში ჩაგდებასა და ამოწყვეტას აპირებს შაჰ აბასიო.

ისევ დაისვა დარბაზი სათათბიროდ თეიმურაზმა.

ისევ აიჩემეს უფლისწულის გაწირვა თავადებმა.

ისევ იომა და იბრძოლა თეიმურაზმა — მეორე შვილსაც ნუ დამიკარგავთო, სულ ერთია, მაინც შემოგვიტევს შაჰ აბასიო, ტყუილუბრალოდ ნუ დამიქცევთ ოჯახსო, — მაგრამ ვერაფერმა გაჭრა. „შენ თვითონ შაჰ აბასის გაზრდილი ხარ, — ეუბნებოდნენ თავადები მეფეს — მერე ორჯერ იყავი მასთან, ორჯერვე დიდის პატივით მიგიღო და უამრავი ნიჭით დატვირთული გამოგისტუმრა და რაღა მაინცდამაინც შენს შვილებს გამოიმეტებსო“.

და თითქმის ძალით წაართვეს თავადებმა თეიმურაზს ლევანი და, დავით ჯანდიერის თანხლებით, შაჰ აბასს გაუგზავნეს განჯაში.

ზოგიერთ „თადარიგიან“ კახელ და ქართლელ თავადს უკვე მოესწრო შაჰ აბასთან გაქცევა და მისი „კეთილსობილი ნოხის კოცნით გაბედნიერება“. როცა თეიმურაზმა დედა და ორივე შვილი გაიმეტა, დაფრთხნენ სამშობლოს მოღალატენი — ვაი თუ ირანის მბრძანებელმა ქართველი მეფეები შეირიგოსო და შეუჩნდნენ შაჰს: ნუ ინანებ და ხელს ნუ აიღებ ქართლ-კახეთის დალაშქვრაზეო; ჩვენ და ჩვენი შვილები მძევლებად გხლებივართ და „თუ შენს ლაშქარს რაიმე დაუმარცხდეს, ყველას თავები დაგვაყრევინეთო; რადგან აქამდისინ მობრძანებულხართ, საქართველო ინადირეთო“.

შაჰ აბასს წაქეზება რაღად სჭირდებოდა და, როცა კახეთის მეფის დედა და ორივე უფლისწული თავისთან დაიგულა, თავისი მოციქული, დავით ჯანდიერიც გამოატანა და თეიმურაზს ახალი ბრძანება შემოუთვალა:

„აწ ვსცან, რამეთუ ხარ დიდად ერთგული ჩემი, ვინადგან არ დაერიდე ძეთა შენთა ჩემთან გამოგზავნას. ახლა შენც მოდი ჩემთან სასწრაფოდ, აღგავსებ ნიჭითა მრავლითა და განგიტევებ უკანვე მშვიდობით“.

ბრძისთვისაც ნათელი უნდა ყოფილიყო მზაკვარი და მანქანიერი შაჰის განზრახვა: მას უნდოდა კახეთის სამეფო ოჯახისთვის თავი მოეყარა და ერთიანად შეემუსრა. კახეთს გულაჯამ თავადებსაც ეჭვი აღარ უნდა შეჰპარვოდათ, რომ შაჰ აბასი სამეფო სახლის ვანადგურებისთანავე მათ ფეოდალებსაც შემოესეოდა ცეცხლითა და მახვილით. მაგრამ ზოგი მაინც იმ აზრზე იდგა, წავიდეს და ეახლოს თეიმურაზი შაჰს. მაგრამ მეფე ისე გაცეცხლდა, უმალვე ხმა გაიკმინდეს. თეი-

მურაზი შაჰთან არ წავიდა და მტრის დასახვედრ სამზადისს შეუდგა.

და ამას მოჰყვა მთელი ციკლი უსაშინელესი ტრაგედიებისა ქართველი ერის ისტორიაში — შაჰის შემოსევა და კახეთის დაქცევა, აყრა და გადაყრა, თეიმურაზის გაქცევა, კახთა აჯანყება და მეფის ისევ „მოქცევა“, ისევ შემოსევა, ისევ და ისევ.

თავდაპირველად, კახეთის დალაშქვრამდე კი — შაჰ აბასმა ძვირფასი ტყვეები, ქეთევანი და მისი შვილიშვილები, გაგზავნა ირანს, ქალაქ შირაზს, ძლიერი რაზმით დაცულნი.

და იყო ქეთევან დედოფალი შირაზში, და ესმოდა როგორ იქცეოდა მისი სამშობლო. და ჰხედავდა, როგორ ივსებოდა სპარსეთი კახეთიდან გადმოსახლებული ქართველებით...

პიეტრო დელა ვალე სწერდა რომის პაპს, ურბანუს მერვეს:

„დღეს სპარსეთში არ მოიძებნება არც ერთი სახლი, რომელიც სავსე არ იყოს ტყვე ქართველებით, მამაკაცებით და დედაკაცებით. სპარსეთში არ არის არც ერთი დიდი კაცი, რომელსაც არ ჰსურდეს, რომ ყველა მისი ქალები ქართველები იყვნენ, იმიტომ რომ უმშვენიერესნი არიან ქართველი ქალები...“

დაიქცა და დაიმეხა „ყველაფრით სავსე მდიდარი და ხალხმრავალი“ კახთა ქვეყანა. იავარყოფას ვერ გადაურჩა ვერც ერთი ქალაქი და სოფელი, ვერც ერთი ციხე და სასახლე, ვერც ერთი ტაძარი და ეკლესია, ვერც ერთი სახლი და შრამელი. მრავალი სოფელი სამუდამოდ ამოწყდა და აღიგავა პირისაგან მიწისა.

ანგრევდნენ ყოველ ნაშენებს.

იტაცებდნენ ქართველი კაცის ნაოსტატარ ნივთებს, სამკაულებს, შაჰ აბასის სახაზინოდ და „ხარჭათა აღსამკობელად“.

მოერეკებოდნენ ტყვეებს — „ზოლეიხას მსგავს, საოცრად ლამაზ ქალწულებს და უწვერულ, იოსებ მშვენიერის ღაწვებიან, ხალებით დამშვენებულ ყმაწვილებს“.

ქართველი ქალის მოთქმა-გოდება ჰხვარავდა სიცხით გათანგულ ირანის ცისგვამს:

სამშობლოწართმეული ქართველი ბავშვის მდუღარე ცრემლი ადუღებდა ისედაც ცხელ ირანულ მიწას.

მათთვის აღარ არსებობდა სამშობლო კახეთი, საქართველო, საქრისტიანო. მათი გონებიდან უნდა ამორეცხილიყო სალოცავი სიტყვები — „ქართველობა“, „ქრისტიანობა“.

მათი „საქართველო“ ამიერიდან იქნებოდა ირანი, გინა სპარსეთი.

მათი „კახეთი“ ამიერიდან იქნებოდა ფერეიდანი, გინა მაზანდარანი, გინა ხორასანი, გინა ფეროჰაბადი.

ნახევარი მილიონი ქართველი შეეწირა ავზნიანი და ბნედიანი შაჰ აბასის კაცთმოძულეობრივ ვნებებს.

ერთი მესამედი გაწყდა.

ორი მესამედი სამუდამოდ აჰყარეს და გადაჰყარეს.

...პიეტრო დელა ვალე რომის პაპს, ურბანუს მერვეს:

„რა მდგომარეობა მოჰყვა ამ საზარელ გადასახლებას, რამდენი სიკვდილი საშინელი გაჭირვებისაგან, რამდენი წყვეტა-ყლეტა, რა გლეჯა, რა გახრწნილობა რა ძალმომრეობა, რამდენი ჩვილი ყმაწვილები დაახრჩვეს მამებმა თავისივე ხელით, ან წყალში ჩაჰყარეს, რათა არ უყურონ მათს საცოდაობასა და სატანჯველს, რაკიღა ყოველ ღონეს იყვნენ მოკლებული მათ საპატრონოდ რამდენსა ყლეტდა სპარსთა მხედრობა გზა-გზა დაცვივნულებს, ან მათ, რომელთაც აღარ შეეძლოთ სიარული! რამდენი ბავშვი მოჰგლიჯეს სპარსელებმა დედის ძუძუს და დაჰყარეს გზებზედ მხეცების შესაჭმელად, ან ცხენებისა, აქლემებისა და ჯორების ფეხქვეშ გასასრესად! რამდენი დააშორეს მამა შვილს, ცოლი ქმარს. დაი ძმას, და გაჰფანტეს ერთიერთმანეთიდან შორიშორს ქვეყნებში, ისე რომ, ეს საწყლები საუკუნოდ იყვნენ იმედგადაწყვეტილნი — ვერასოდეს ვეღარ ვიხილავთო ერთიმეორეს! რამდენი ქალი და კაცი იყიდებოდა პირუტყვზე უფრო იაფად. რამდენი სხვა ამისთანები ხდებოდა ღირსი სიბრალულისა, მაგრამ ყველას ვინ მოსთვლის?!“

...ქეთევან დედოფალი კი ისევ შირაზში იყო.

ათი წელიწადი აღარ ენახა საქართველო.

ალბათ ვერც ვეღარასოდეს იხილავდა.

მისი სათაყვანო სამშობლოს მიწაც, წყალიც და ცისგა-

მიც იმ ერთ მუჭა ქართულ მიწაში ჩაკუმშულიყო, მკერდზე რომ ეკიდა იესო მაცხოვრის ჯვარცმასთან ერთად.

დღენიადაგ იმ სურნელით სუნთქავდა, საქართველოდან წამოღებულ ნივთებს და წიგნებს რომ ასდიოდა ისე ცხოვლად, მძაფრად, სულისა და გულის წამღებად.

შირაზი იმამ-ყული-ხან უნდილაძის სამფლობელო იყო და დიდის პატივით ეპყრობოდა ირანის „ვიცე-კოროლი" „თანამემამულე დედოფალს" და მთელს მის სახლეულსა და მსახურეულს.

ქეთევან დედოფალი ტყვე კი არა, დიდად საპატიო სტუმარი არის ჩვენიო, ამბობდა უნდილაძე, და თუ მაინცდამაინც ტყვეობაზე დადგება საქმე, მაშინ ჩვენ თვითონ ვართ ამ საოცარი ქალის ტყვეებიო.

ცალკე სასახლე და წალკოტი მიეჩინა უნდილაძეს დედოფლისათვის.

ყველაზე უფრო მაინც ამით გაახარა „მასპინძელმა სტუმარი": მისგან ახლახან დაპყრობილი ჰორმუზიდან წამოღებული ბიბლიოთეკა მთლიანად „სტუმარ დედოფალს" გაუგზავნა „წიგნის გიჟმა" უნდილაძემ.

ქეთევანს ოცამდე ქართველი ემსახურებოდა — ქალი და კაცი. მათ შორის იყო ერთი, რომელსაც გიორგი ხუცესს ეძახდნენ. იგი იყო მისი კარის მღვდელიც, სახლთუხუცესიც, სუფრაჯიც, მოურავიც და მებაღეც. იგი განაგებდა ქეთევან დედოფლის გარშემო შეკრულ „წმინდა ქართულ კოლონიას", „თათარ სპარსელთა" და „გათათრებულ ქართველთა" ზღვაში.

გიორგი ხუცესს დაიბარებდა ხოლმე უნდილაძე, დედოფლისა და მისი „კოლონიის" ამბავს გამოჰკითხავდა, ყოველ საჭირო საგანს, „საზრდელს" და „მისართმეველს" მიართმევდა და ისე გაისტუმრებდა.

ყველაზე დიდი საწუხარი ეს ჰქონდა დედოფალს: შვილიშვილებისა არაფერი იცოდა. რა რომ შირაზში გადმოასახლეს, ერთხელაც არ შეახვედრეს არც ლევანი, არც ალექსანდრე.

„უნდილაძისგან ვიცი, შაჰ აბასი ცალკე საგანგებოდ ზრდის თეიმურაზის შვილებსო", მოკლედ მოსჭრიდა ხოლმე გიორგი ხუცესი.

ეს იყო და ეს.

უნდილაძის მკაცრი ბრძანებით, არ უმხელდნენ ქეთევან დედოფალს, როგორ დაახოჭავა შაჰ აბასმა მისი შვილიშვილები, და, დასაჭურისების შემდგომ, როგორ მოკვდა ჯერ ალექსანდრე და მერე ჭკუიდან შეშლილი ლევანიც...

და მოხდა ის, რომ ქეთევანმა შვილიშვილების დაღუპვის ამბავი სწორედ იმ დღეს გაიგო, რა დღესაც მას შაჰ აბასმა ცოლობა სთხოვა!

გლოვად დამხობილ დედოფალს მტარვალი ხელმწიფისადმი უსაზღვრო ზიზღმა რაღაცნაირად გაუნელა მძიმე საგლოველი.

თითქოს თავისი უზადო ქალური სიმშვენიერეც შესძაგდა, შაჰის ბიწიერი თხოვნით შეურაცხყოფილი და შელახული.

და ბრძანა დედოფალმა გულზიზღიანად: აღარავინ გამიბედოს ესოდენ მკრეხელური სიტყვაო...

უსაზღვროდ დამცირებულად და დაპატარავებულად იგრძნო თავი შაჰ აბასმა.

და უმალვე იგი თავის „ბუნებრივ ბუნებას“ დაუბრუნდა — გესლითა და ძხაჭით გაევსო გულ-გვამი.

საბაბის ძებნას შეუდგა შურის საძიებლად.

კახეთიდან ახლად გადმოსახლებულ და გამაჰმადიანებულ ახალგაზრდა ქართველ ღულამებს (გვარდიის ჯარისკაცებს) მოუყარა თავი და ასეთი კითხვა შეამყრალა სახეში:

— ჩემო ერთგულო მეგობრებო, რატომ გინდათ წარწყმიდოთ თქვენი დედები — რატომ არ დაატოვებინებთ ქრისტიანობას და რად არ მიაღებინებთ მაჰმადის სჯულს, რომელიც სასუფეველის სიმშვენიერეს უმზადებს ადამიანს?!

ქართველი ჭაბუკი კარგა ხანს სდუმდნენ.

მერე ერთმა თქვა, როგორც იქნა:

— ჩვენ დედებს ხშირად ვეუბნებით, მაგრამ უარს ამბობენ მაჰმადის რჯულის მიღებაზე.

— ვითომ რატომაო?! — იყვირა შაჰმა.

— ასე ამბობენ, ქეთევან დედოფალი თუ ქრისტიანია, ჩვენ როგორღა ვუღალატებთ ქრისტეს რჯულსო!

შაჰ აბასისთვის სწორედ ზედმისწრება იყო გათათრებული ქართველის ეგზომ ბრიყვული პასუხი.

მან ფიცხლავ ბრძანება გაუგზავნა იმამ-ყული-ხან უნდილაძეს:

„დაუყოვნებლივ ჩემი სახელით უბრძანე ქეთევან დედოფალს, ქრისტიანობა განაგდოს და მაჰმადიანობა მიიღოს, ხოლო უკეთუ ჩემი ბრძანება არ აღასრულოს, მაშინვე სასტიკი წამებით შეჰყარე სიკვდილს!“

ზარი დაეცა შირაზის ხანს.

„არ იქნება და არასგზით არ გათათრდება ქეთევანი... და მისთვის მე, უნდილაძემ, ტომით ქართველმა, მოვკლა საქართველოს დედოფალი, დედა ქართველი ხელმწიფისა, სათაყვანო და სალოცავი ქართველი ხალხისა?!“

სასწრაფოდ პასუხი გამოუგზავნა შაჰს: ნუ იკადრებ და ნუ აღმართავ ხელს უმწეო ქალის სიცოცხლეზეო; რას აქნევთ მის გათათრებასო; განა თქვენთვის სირცხვილი არ იქნება ესოდენ სათნო ქალის სიკვდილი?!

აზვავდა შაჰ აბასი. ხელახლა აფრინა მალემსრბოლი უნდილაძესთან, სასტიკი ბრძანებით: შენ რასაც გიბრძანებ, ის შეასრულეო დაუყოვნებლივ!..

სხვა გზა აღარ იყო და ეახლა უნდილაძე ქეთევანს.

ეახლა და ეაჯა კრძალვით, თავაზით, მარწმუნებელი შეგონებით: ნუ შეეცდები წინააღუდგე მძვინვარე შაჰის ბრძანებასო, მიიღე მაჰმადიანობა, ამით არაფერი დაშავდებაო; გარეგნულად აღიარე, მხოლოდ სპარსელთა საჩვენებლად, ხოლო გულით ისევ ქრისტიანი დარჩებიო.

ემუდარებოდა უნდილაძე ღვთაებრივ ქალს და „სტიროდა მსგავსად ჰეროდეს ჯალათისა, რომელსაც ნაბრძანები ჰქონდა თავის მოკვეთა იოანე ნათლისმცემლისა“.

ქეთევანმა კი მოკლედ, მშვიდად და სიტყვაშეუქცევლად თქვა თავისი პასუხი:

— ჩემო კეთილო ძმაო! სხეულის სიკვდილისათვის არ გავწირავ ჩემს სულს, რასაც ჰქვია ქრისტიანობა და ქართველობა! სხეული მიწაა და დღეს თუ ხვალ ისედაც მიწად უნდა იქცეს, ხოლო ქრისტეს სჯული და საქართველო, რომელიც ჩემში დაბადებითვე ჩასახლებულა, უკვდავია, მარადიული და მისი მოკვლა არც შენს ხელმწიფეს ძალუძს და არც მის ცრუ ღვთაებას!

შენს ხელმწიფესო?! — გულზე დაესვა უნდილაძეს დე-

დოფლის სიტყვა. მე მისთვის ქართველი არ ვყოფილვარო, გაიფიქრა აფორიაქებულმა ვაჟკაცმა.

დიდხანს ეველრა და ემუდარა, მაგრამ ამაოდ „დაშვრა იგი მრავლისა ვედრებითა და არა ისმინა დედოფალმან“.

დარჩუნდა უნდილაძე, ვერავითარი ძალა, ვერც ღმერთი და ვერც სატანა, ვეღარ შეარყევდა დედოფლის გადაწყვეტილებას.

და ბრძანა შაჰ აბასმა წამება ქართველი ქალისა.

ხოლო, „წამების ხელოვნებას“ ოცდაერთი საუკუნის გამოცდილება ჰქონდა სპარსეთში...

...შირაზი.

1624 წლის 13 სექტემბერი.

უბერავს ქარი, ცხელი, ხორშაკიანი.

ცეცხლი გიზგიზებს „მეიდანზე“.

რკინის მარწუხები, მაშები, შამფურები, ლურსმით საცხე ქვაბები, ბარები და სპილენძის მიტრა-თავსარქმელი — ვარვარებენ ცეცხლში ჩალაგებულნი.

ხალხით გაჭედილა „მეიდანი“ — სპარსელნი, ქართველნი, სომეხნი, ჩერქეზნი, იტალიელი და პორტუგალელი კათოლიკე მისიონერნი.

გამოდის ქეთევან დედოფალი.

თეთრი, ქათქათა კაბით შემოსილს, მარჯვნივ და მარცხნივ მოაცილებენ წითელხალათიანი ჯალათნი. უკან ორმოცამდე ქართველი ქალი და კაცი მოსდევს, მათ შორის გიორგი ხუცესი.

ზედ ცეცხლის პირზე შეაყენეს ჯალათებმა დედოფალი და მისი ამალა.

ისფაჰანიდან საგანგებოდ წარმოგზავნილი დივანბეგი უახლოვდება ქეთევანს და ერთხელ კიდევ აუწყებს კრძალვით და თითქოს მუდარით: უკეთუ დედოფალი აღიარებს მაჰმადის რჯულს, შაჰი მას შეირთავს ცოლად და აღავსებს უთვალავი საჩუქრითა და პატივით; ხოლო უკეთუ უარსა ჰყოფს ხელმწიფის თხოვნას, იგი აღესრულება უსასტიკესი ტანჯვა-წამებით!

ქეთევანმა ისევ სრული სიმშვიდით და სიმტკიცით არჩია სიკვდილი ქრისტესთვის და საქართველოსთვის.

მაშინ პირით შეაბრუნეს მხებლებისაკენ დედოფალი, რა-

თა ჯერ თავისი თვალით ეხილა „გათათრება“ მისი ერთგული ადამიანებისა. ჯერ გიორგი ხუცესს დაეძგერნენ ჯალათები. გიორგიმ სირცხვილს სიკვდილი არჩია, დაასწრო და ჯალათის მახვილს გულით წამოეგო. დანარჩენებს მიესივნენ ჯალათები და ყველანი სათითაოდ „დაახოჯავეს“ და „დაათათრეს“ ქეთევანის მსახურეულნი.

ბოლოს თვითონ დედოფალს მიადგნენ და უთხრეს სიკვდილისთვის მოემზადეო.

ნება მომეცით, სიკვდილის წინ ვილოცოო, და იქვე კათოლიკური ეკლესიისკენ ანიშნა ქეთევანმა. უარი ვეღარ შეუბედეს ყიზილბაშებმა. და პატრი ამბროზიო დონ ანჟოსი და პატრი გრიგორი ორსინი წარუძღვნენ ეკლესიისაკენ. შევიდა და ილოცა ქეთევან დედოფალმა, საქართველო დალოცა, ღვთისმშობელს შეავედრა მისი წილხვდომილი ქვეყანა; მერე, მარიამს და იესოს ტკივილთა დათრგუნვის ძალა შესთხოვა და განწმენდილი და განმტკიცებული გამოვიდა სამლოცველოდან. ეს მისი უკანასკნელი ლოცვა იყო, — ვითარცა მაცხოვრის უკანასკნელი ლოცვა ბაღსა გეთსამანიისასა.

ცეცხლთან მივიდა, დადგა და ანიშნა ჯალათებს.

ჯალათებმა მაშებით ცეცხლი აღმოახდინეს გავარვარებული მიტრა და თავზე ჩამოაცვეს ქალს. დაცემა ვერ მოასწრო ქეთევანმა — უმალვე წითლად აბდღვიალებული ლურსმნის „სარეცელი“ დაუგეს და ზედ გულაღმა „დარეცეს“ ჯალათებმა. თეთრი სუდარა შემოაფხრიწეს. ჯვარცმა ააგლიჯეს. საკინძე აუშალეს. ქართული მიწა ჩაუშალეს.

ცეცხლის საგებზე იწვა დედოფალი საქართველოსი, შიშველ და ყვავილჩაუქრობელ მკერდზე ქართული მიწის ნაშთით მიმოფანტული.

წითლად მოლაპლაპე ბარი დაუსვენა ჯალათმა ძუძუთა შორის.

ქალი არ ტიროდა, არც კვნესოდა. ოღონდ ლოცულობდა მკრთალი ჩურჩულით:

„ქრისტე“...

„მარიამ“...

„საქართველო“...

ჯალათმა სისხლისფრად აელვარებული მარწუხი აიტაცა,

მარცხენა ძუძუს ჩასჭიდა და მოგლიჯა. მერე მარჯვენა ძუძუს მისწვდა და ისიც განაშორა მკერდს. მხურვალე შამფურები აძგერეს ორივე ნაძუძურზე. მას უკან მთელს ტანზე ცხელი ლურსმნის „საბანი“ დაჰხურეს.

„საქართველო!“ — კიდევ აღმოხდა წამებულის ბაგეს.

და დედოფლის შუბლს დაუმიზნა და დასცა ჯალათმა ნაცეცხლარი და ნასისხლარი ბარი.

და კიდევ ერთი სიტყვა მოასწრო უკვე სიკვდილის საუფლოში ჩაძირულმა:

„შვილო!“

და არავინ იცის, ვინ გაახსენდა სიკვდილ-სიცოცხლის განსადრეკელზე საქართველოს დედას — სვეგამწარებული თეიმურაზ მეფე, მისი შვილები, თუ თვითონ საქართველო...

...ქეთევან დედოფლის დამწვარი, დასახიჩრებული და დარღვეული სხეული ჯალათებმა დაუსაფლავებლად დააგდეს ცასა და მიწას შუა.

ღამით ამბროზიო დოს ანჯოსმა და გრიგორი ორსინიმ მოიპარეს წამებული ქალის ცხედარი. საკმევლითა და მურით გაჟღენთილ ქსოვილში გაახვიეს, ისფაჰანს წაიღეს და კათოლიკურ მონასტერში დაასვენეს, ვითარცა ქრისტიანი და ქრისტესთვის წამებული დედოფლის უწმინდესი ნაშთნი. ორი წლის შემდგომ კათოლიკე ბერებმა ქეთევანის ნაშთთა ნაწილი მის შვილს, თეიმურაზ მეფეს ჩამოუტანეს საქართველოში, ხოლო ნაწილი ინდოეთში, ქალაქ გოაში წაიღეს და იქ დაკრძალეს, და-გრასას მონასტერში.

თეიმურაზმა ერთხელ კიდევ მოიტირა თავისი წამებული დედა და შვილები. ქეთევანის ნაშთები ძვირფას კუბოში ჩაასვენა და ალავერდის ტაძარში დაკრძალა.



მარაბდიდობი

ვითარ დაეცნეს ძლიერნი და დაილეწნეს საჭურველნი ბრძოლისანი.

მეფეთა მეორე წიგნი, I, 27

არების დღესასწაულს, 1625 წლის 25 მარტს, მარტყოფის ველზე, გიორგი სააკაძის მეთაურობით, ქართველებმა გაანადგურეს მათი ქვეყნის სამუდამოდ დასამხობად მოსული სპარსული არმია. 30 000 სპარსელისგან მხოლოდ 3 000-მა გაასწრო სიკვდილს. არმიასთან ერთად ამოწყვეტილი იყო ყველა სპარსელი სარდალი. ამ გამარჯვებას შედეგად მოჰყვა ქართლისა და კახეთის გაერთიანება, სათავეში თეიმურაზ პირველის ერთხელმწიფობით.

და ყოველივე ეს იყო წყალობა გიორგი სააკაძის მკლავისა და გონებისა.

და გაცოფებულმა შაჰ აბასმა გიორგი სააკაძის ძეს, პაატას, თავისთან ძევლად დანატოვარს, თავი მოჰკვეთა და მამას გამოუგზავნა.

მაგრამ წამებული ყმაწვილის წარკვეთილი თავის გამოგზავნა ოდენ „წამძღვარება“ ყოფილა უფრო დიდი უბედურებისა, რომელსაც შაჰი უმზადებდა საქართველოს — პაატას თავის კვალდაკვალ ახალი უზარმაზარი სპარსული ურდო მოჰქროდა, შაჰის სიძისა და რჩეული სარდლის, ისა-ხან ყორჩიბაშის წინამძღოლობით. თანაშემწე სარდლებად შაჰს დაენიშნა: შირვანის ბეგლარბეგი ყაზახ-ხან ჩერქეზი, ერევნის ბეგლარბეგი ამირგუნე-ხანი, აზერბაიჯანის ბეგლარბეგი შაჰბენდე-ხანი და ხოსრო-მირზა დავითის ძე, ქართველი ბატონიშვილი, ისფაჰანის ტარუღა.

მოჰქროდა ურდო და მოჰქონდა „მსოფლიო რისხვა“ შაჰ აბასისა: ან ახლა უნდა აღისროცოს პირისაგან ბიწისა საქართველო, ან ვერასოდეს!...

ივნისის დამლევს მოეიდნენ „დიდითა მძლავრობითა“ და დაიბანაკეს ალგეთზე, სოფელ მარაბდის ახლოს.

მაშ, ალგეთი!

სავანე მრავალი სამამულო ხმალთაკვეთებისა.

სავანე ცრემლთა სიხარულისა და ცრემლთა ბოღმისა და სინანულისა.

ალგეთის მკერდზე სწერია „დიდი ფარცხისი“ — 1074 წელი, ქართველები მეფე გიორგი მეორის სარდლობით ამარცხებენ თურქ-სელჩუკთა ურდოს.

ალგეთის მკერდს ამშვენებს საარაკო გმირობანი დავით აღმაშენებლისა და გიორგი ჭყონდიდელისა.

ალგეთის მკერდს ამახსენჯებს მხარგრძელთა სამარცხვინო რენეგატობა მონღოლთა მბრძანებლობის დროისა.

ალგეთის მკერდზე აღბეჭდილა დიდი მამულიშვილობა გიორგი ბრწყინვალისა, მონღოლთა უღლის დამამხობელისა.

ალგეთის მკერდს ესალბუნება გმირობა და მოწამებრივი აღსასრული ლუარსაბ პირველისა.

ალგეთის მკერდს შხამავს „მამულიშვილური ღალატი“ ყორღანაშვილისა.

ალგეთის მკერდზე კიანთობენ საოცარი გმირობანი სვიმონ პირველისა.

ალგეთის მკერდზე დაიბადა ლექსი-სიმღერა ქართველი კაცის მარადიული რწმენისა, იმედისა და უკვდავებისა — „კიდევაც დაიზრდებიან...“

მაშ, ისევ ალგეთზე მოსულა მტერი, მარაბდის ველზე დაუბანაკებია და დაუსაძოვრებია.

1625 წელი, ივნისის უკანასკნელი დღე.

პაპანაქება სიცხე.

50 000-მდე მეომარს მოითვლის ყიზილბაშთა ურდო.

და, ჯერ კიდევ არ ჩანს თავის მხედრობით აზერბაიჯანის ბეგლარბეგი შაჰბენდე-ხანი...

...ქართველებიც მოსულან, სულ — 20 000 კაცი.

კოჯრის მთაზე დგანან ბანაკად.

ახლა საომარ ბჭობად დამსხდარან წინამძღოლნი:

ს ა ე რ ო ნ ი:
თეიმურაზ მეფე
გიორგი სააკაძე
ზურაბ არაგვის ერისთავი
მისი ძმა დავით ერისთავი
ბარათა ბარათაშვილი — ქვემო ქართლის სარდალი
იასე ქსნის ერისთავი
თეიმურაზ მუხრანბატონი
ძმა მისი ქაიხოსრო მუხრანბატონი
აღათგან ხერხეულიძე
ბაადურ ციციშვილი
დავით ჯანდიერი
მანუჩარ III ათაბაგი.
ს ა ს უ ლ ი ე რ ო ნ ი:
მროველი
ალავერდელი
რუსთველი
ხარჭაშნელი.

თათბირად დამსხდარან სარდალნი — საერონი და სასულიერონი.

თუმცა ბევრი სათათბირო და საცილობელი რა უნდა ყოფილიყო. უმარტივესი ჭეშმარიტებაა: მცირე ჯარს რიცხვმრავალ მტერთან გაშლილ ველზე შერკინება უმრავლეს წილად მარცხს არგუნებს, ხოლო მთაგორიან ადგილებში შეტაკებისას დიდი ლაშქარი მთელის ძალებით ვერ გაიშლება და მისი მოპირდაპირე მცირერიცხოვანი ჯარი ბრძოლის მოგების მეტ შანსებს ინარჩუნებს. ამასთან, რაკი სიცხიანი ამინდები იდგა, ბუნებრივად უნდა ეფიქრათ, რომ პაპანაქებით გათანგულ მარაბდის ველზე მზის გულს შეზრდილი ირანელები უფრო ძალმოსილად იომებდნენ, ვიდრე „უფრო ჩრდილოელი“ ქართველები.

მაშ, ქართველები კოჯორ-ტაბახმელას მთებში უნდა დარჩენილიყვნენ და აქვე დალოდებოდნენ მტრის შემოტევას.

ეს სავსებით უბრალო, „შეუიარაღებელი თვალით“ დანახული, საღი და ნათელი მოსაზრება წარმოადგინა გიორგი სააკაძემ.

განსაკუთრებით, ქვეითად მოსული ჩვენი გლეხკაცობა

ვერ გაუძლებს სიცხიან მინდორზე ირანულ მხედრობასთან რკენას და სულ ერთიანად დაგვეღუპებაო, ამბობდა გიორგი.

ბაადურ ციციშვილმა მაშინვე აუბა მხარი მოურავის აზრს.

„სიცხით ცეცხლმოკიდებულ მიწაზე ქვეითად მბრძოლი გლეხობა მართლაც ამოგვიწყდება, ხოლო, თუ ამოსწყდეს გლეხი კაცი, საქართველოც დაძაბუნდეს! — დაასკვნა ციციშვილმა.

მაგრამ გიორგი სააკაძე და ბაადურ ციციშვილი მარტო აღმოჩნდნენ თავიანთი „საღი აზრებით“.

ყველა დანარჩენმა სარდალმა შეტევაზე გადასვლა მოითხოვა — მომავალ დღეს, დილით ადრე, მარაბდის ველზე.

ზურაბ ერისთავმა თქვა: გიორგის რჩევა კარგია, მაგრამ ჩვენ რა ვიცით, რომ მტერი მაინცდამაინც აქეთ, ჩვენი საფარისკენ წამოვა და სხვა გზას არ აირჩევსო. ამიტომ სჯობია დავასწროთ და პირდაპირ დავეცეთ იქ, სადაც ახლა დგასო.

ბარათა ბარათაშვილმა თქვა: მტრის დაცვა და ლოდინი ჯარებს დაგვიშლის, ლაშქარი დაგვეფანტება; ისედაც, ყიზილბაშთა მხედრობა ქვემოთ ქართლის მიწაზე დგას, საბარათიანოში, აქაურობას ავერანებს და ამას ჩვენ დიდხანს ვეღარ მოვითმენთ. ამიტომ ხვალ დილით უნდა დავეცეთ მტერსო (ბარათას საკუთარი სატკივარიც სტკიოდა: მას ყაფლან ბარათაშვილის მამა-ბიძები ამოეწყვიტა და მათი მამულებიც მიეტაცნა. ყაფლანს ირანში გაესწრო და ახლა იგი ყიზილბაშთა ლაშქარს მოჰყოლოდა მეგზურად და თავისიანთა სისხლის საღვრელად).

ძმებმა თეიმურაზ და ქაიხოსრო მუხრან-ბატონებმა თქვეს: დიდხანს დგომა არც ჩვენ შეგვიძლიაო. ამიტომ, თუ დაგიწყიათ ბრძოლა, ხომ კარგი, თუ არა და ჩვენის ლაშქრით ავიყრებით და სულ გაგეცლებითო!

იგივეს ამბობდა იასე ქსნის ერისთავი.

ქახელმა სარდლებმაც თქვეს: თათრები ბარე ორჯერ გაგვილახავს და კიდევაც გავლახავთო: ამიტომ ხვალ სისხამზე დავიწყოთ, დილა-გრილოზე ვიომოთ და სანამ ასიცხდებოდეს მანამ მოვრჩეთო.

ბოლოს მანუჩარ ათაბაგს თხოვეს თათბირი მოეწიწებით და მანუჩარმაც თქვა დინჯად: ბრძოლის საბრუნავს ბედისწერა

და ღმერთი აბრუნებს; უმეტეს წილად მაინც ის მხარე გაიმარჯვებს, რომელიც ფიცხლავ, მოულოდნელად დაასწრებს დარტყმას! ამიტომ მეც ვფიქრობ, ხვალ უთენია დავესხათ მტერსო.

ჯარიც საომარი ცეცხლით ანთებულიყო. გამორჩევით, ახალგაზრდობა ველარ იჭერდა თავს. იარაღს აწვალებდნენ, „კბილებს იმსხვრევდნენ“ და გაიძახდნენ: ჩვენ მტრის მოსვლას რად ველოდებით, ან სიმაგრეში ჩასაფრება ვის ეკადრება, თქვენ მიგვიძეხით და მიგვიშვით და, მეფის მზეს ვფიცავთ, დაგანახებთ ყიზილბაშთა სისხლისა და ცრემლის დენასო!

გადაწყდა: მთიდან დაშვება და გაშლილ ველზე ბრძოლის გამართვა.

ეს იყო პირველი შეცდომა.

გაუსწორებელი შეცდომა, რამეთუ გადაწყვიტეს სწორედ ის, რაიც სწყუროდა და ენატრებოდა თვითონ მტერს.

ახლა მთავარსარდლის საკითხიც დადგა.

თეიმურაზ მეფეს არც სარდლის ნიჭი აკლდა და არც ჯარისკაცული შემმართებლობა, მაგრამ გიორგი სააკაძე — იმჟამინდელი „უპირველესი გენერალი“ — იქ იყო და...

ერთი სიტყვით, ასე გადაწყვიტეს: მთავარსარდლობა მიანდვეს მეფე თეიმურაზს და არა გიორგი სააკაძეს.

ესეც მეორე შეცდომა.

გაუსწორებელი შეცდომა, რამეთუ ყიზილბაშებს თეიმურაზ მეფისა დიახაც ეფიქრებოდათ, მაგრამ გიორგი სააკაძისა პირდაპირ ცხოველური შიში და ძრწოლა ჰქონდათ.

ერთი სიტყვით, ქართველმა თავკაცებმა ყველაფერი ისე „გააწყვეს“, როგორადაც კარის ზღურბლზე ფეხშემოდგმულ მტერს მოესურვებოდა და მოენატრებოდა.

...თეიმურაზ მეფემ წინასწარ მზვერავი რაზმი გაგზავნა დავით ჯანდიერისა და აღათგან ხერხეულიძის სარდლობით. ორივეს ყიზილბაშებთან ბრძოლაში თითო თვალი დაჰკარგოდა — დავითსაც და აღათგანსაც. ჯარში ზოგს ეცინებოდა, ზოგსაც ეფიქრებოდა მეფის ამნაირი გადაწყვეტილება — ბრძოლის წინარე ჟამს რაღა მაინცდამაინც უთვალო სარდლები დანიშნა მტრის „სათვალთვალოდო!“.

ღამე მომძლავრდა.

უკანმოუბრუნებლად მიგორავდა 30 ივნისი 1625 წლისა. ქართველთა ლაშქარი ზიარებად იდგა.

ეპისკოპოსნი — მროველი, ალავერდელი, რუსთველი, ხარჭაშნელი — და მრავალი მღვდელი და ბერ-ფიჩვოსანი იარაღასხმული დამდგარიყო ერისკაც მამულიშვილთა გვერდით.

მეფე მიუახლოვდა რუისის ეპისკოპოსს — მროველს, დომენტი ავალიშვილს, და სთხოვა ზიარება და დალოცვა ჯარისა.

მროველმა მეფეს მდაბლად დაუკრა თავი, ჯვარისმტვირთველს ჯვარის გამოსვენება უბრძანა და თვითონაც წინ წამოვიდა იარაღასხმული.

ყველას ეუცხაურა საოშრად შეჭურვილი სამღვდელოსაგან ზიარება.

თეიმურაზმაც იგერშა საერთო „უხერხულობა“ და მაშინვე ეს უთხრა მროველს:

„უკეთუ აპირებ აღიღო ხმალი საბრძოლველად, მაშინ უბრძანე, რამეთუ გვაზიაროს სხვამან სამღვდელომან, ხოლო უკეთუ ხმალს შემოიხსნი, გვირჩევნია შენ გვაზიარო“.

ან ერთი, ან მეორეო, ეუბნებოდა თეიმურაზი დომენტის — ან ბრძოლაში მონაწილეობაზე აიღე ხელი ან ზიარებაზეო. მაგრამ მროველმა არც ერთის დათმობა არ ისურვა. მან ჯერ თვალი მოავლო ყოველ სამღვდელოს, დიდსა და მცირეს მაღალმდაბლობით — ეპისკოპოსიდან ვიდრე უბრალო მორჩილ-მოწესემდე.

ყველანი იარაღში ჩამსხდარიყვნენ, მდუმარენი, ყოველ მათგანს მაზიარებელი მღვდლობა კი არა, ბრძოლის ველზე თავდადებული მამულიშვილობა აერჩია საკუთარი სიცოცხლის წილად.

სახეზე ნათელი დაეფინა მროველს. ხმლის ვადაზე ხელი დაიდო და ძლიერი, ზახიანი ხმით მიმართა ერსა და ბერს:

— ქართველნო, შვილნო და ძმანო! იცოდეთ ყველამ — მე მახვილს ვიღებ არა ჩემი პირადული წადნიერების საკეთილდღეოდ, არამედ ჩვენი სამშობლო საქართველოს დასაცავად და მტერთა მისთა სისხლის საღვრელად. ამიტომ ჯერ არს სწორედ მე ვაზიარო ქართველნი გმირნი და მამულიშვილნი, რამეთუ მათთან ერთად მეც მზადა ვარ დავათხიო საკუთარი სისხლი ქართველობისა და ქრისტიანობის გადასარჩენად!

აღტაცებამ მოიცვა ლაშქარი.

„მროველმა გვაზიაროსო“, — იგრიალა ყველამ ერთბაშად.

და აზიარა და დალოცა სალაშქროდ შემართული ქართული მხედრობა რუისელმა სულიერმა მამამ.

ჯვარი გარდასახა — ჯვრითა და ხმლით.

ყოველ ქართველს ზიარებად მისცა ქართული პური და ქართული ზედაშე, ვითარცა ხორცი და სისხლი სამშობლო საქართველოსი.

დალოცა დროშა საქართველოსი — ნაშთი-ნაფლეთი ერთ დროს ცისგვამში მძლავრად მჭროლავი „გორგასლიან-დავითიან-თამარიანისა“.

მედროშე აღმოჩნდა მტრის საზვერავად წასული აღათგან ხერხეულიძის ძმა.

ალამდარ ხერხეულიძეს კიდევ შვიდი ვაჟკაცი უდგა მხარმიჯრით.

ისინიც მისი ძმები აღმოჩნდნენ.

დედისგან ყოფილან დალოცვილნი და შეგონებულნი: საქართველოს დროშა არ დასცეთ ქართულ მიწაზეო; თუ მეწინავე მედროშე ხერხეულიძე მკვდარი დაეცეს, მომდევნო ძმამ აიტაცოს დროშა, თუ იმასაც ბედმა უმუხთლოს, მერე მესამემ... და ასე, მანამ სანამ უკანასკნელი ხერხეულიძე არ დაეცემოდესო. ამასობაში მტერიც ამოწყდება და ქართული დროშაც დაუხრელად იფრიალებს ქართული ცის ქვეშ!..

მაშ, ცხრა ძმა ხერხეულიძე გამოდის მამულისა და სარწმუნოებისთვის სისხლის საღვრელად; სულ ერთია, ვისი სისხლიც დაიღვრება — ხერხეულიძეთა, თუ ხერხეულიძის მომტრე ყიზილბაშთა — ოღონდ კი საქართველო გადარჩეს!

ცხრა ძმა ხერხეულიძე!

იქ კიდევ ცხრა მაჩაბელი ჩამდგარა ერთიან, ჩაკირულ კედლად.

იქ კიდევ — შვიდი ჩოლოყაშვილი.

ღმერთო, ამრავლე — ცხრა-ცხრა, შვიდ-შვიდი, არანაკლები!..

შუაღამე გადავიდა.

კოჯრის მთებიდან ეშვება ქართველთა მხედრობა.

მიდიან „მხიარულად და თამამად“.

ქახელთა რაზმებში ხუმრობენ ბიჭები: მივალთ, მივდიო-ვართ იქ, სადაც მაკე ფურები გველოდებიანო.

გზაზე ჯანდიერისა და ხერხეულიძის მზვერავებმა დახოცილი ყიზილბაშები შემოაგებეს. ისა-ხან ყორჩიბაშის მსტოვრები ყოფილან — ქართველთა დასაზვერავად წამოსულნი. ქართველ მზვერავებს გადაჰყროდნენ და აკი ზედ შეჰკვდომოდნენ.

ჯანდიერი „იმუქრებოდა“: სადაცაა გათენდება და ისწრაფეთ, თორემ ჩვენ აღარც დაგველოდებით, ისე შევებმებით მტერსო.

ფეხი აიჩქარეს.

ფერდობი ჩაითავეს, მინდორში ფეხი ჩადგეს, და ვარსკვლავებიც დასუსტდნენ ცაზე.

გათენებულიყო 1 ივლისი 1625 წლისა.

დღე — მწარედსახსოვარი მარაბდის ბრძოლისა: სახელოვანი თუ საბედისწერო?!

თუ ორივ ერთად — სახელოვანიც, საბედისწეროც?!

ლამის გამსკდარიყო მოსარკული ცა.

უკვე ჩანავლებული ცისკრის ვარსკვლავი უსაშველო სიცხით და ლულით ემუქრებოდა საომარ მინდორს.

ამიტომ დროზე, მზის განზოგებამდე და გამძვინვარებამდე უნდა მოხდეს, რაც მოსახდენია!..

თეიმურაზმა ლაშქარი ბოუმკალ ყანაში შეიყვანა და მცირე ხნით მუხლი ჩააკრეფინა.

მტრის ბანაკი გამოიკვეთა მოძალებული სინათლის ჩქერზე.

ხშირი, კუნაპეტი ტყე-მაღნარივით ჩაგუბებულიყო ყიზილბაშური უოდო.

— უჰ, რამდენი არიან?! — ამოიგმინა ვიღაცამ.

— ჰო, სიმრავლე გვარტომობით მოსდგამთ მაგ წყეულებს — შეაგება მეორემ.

— ბევრი არიან? მერე რა მოხდა, მათ შორის არც ერთი არ არის თქვენისთანა ვაჟკაცი! — ეს სააკაძის ხმა უნდა ყოფილიყო...

...ეტყობოდა, ირანელთა სარდლობა დარწმუნებული ყოფილა, ბრძოლა ამ დღეს რომ მოხდებოდა, ქართველები რომ „ირანელთა სასურველს“ მოისურვებდნენ და საომრად სწორედ მარაბდის ველზე ჩამოვიდოდნენ.

ამიტომ საომრადაც დიდის გულმოდგინებით მომზადებულან.

სახგრები გაუთხრიათ.

სანგრებს უკან, მიწაყრილზე — ზარბაზნები ჩაულაგებიათ.

ზარბაზნების შემდგომ — თორმეტი ათასი მეთოფე ჩარიგებულიყო ოთხ „ტერასად“: პირველი ტერასა — ცალ მუხლზე ჩაჩოქილნი, მეორე — ფეხზე მდგარნი, მესამე — ცხენებზე ამხედრებულნი, მეოთხე — კიდევ მაღლა, აქლემებზე აღმჯდარნი.

თოფიანი ათასეულების სარდლად იდგა ამირგუნე-ხანი, სიმამაცისთვის „სარუ ასლანად“ (ყვითელ ჯიქად) წოდებული.

ყიზილბაშური ურდოს შუაგულში რჩეული მხედრობით ჩამდგარიყო თვითონ მთავარსარდალი, ისა-ხან ყორჩიბაში.

დანარჩენი ჯარები ფლანგებზე იდგა ჩატბორილი და ჩაგუბებული.

მარჯვენა ფლანგის სარდლად — ხოსრო-მირზა, გათათრებული ქართველი, ხოლო მემარცხენე სარდლად — ყაზახ-ხან ჩერქეზი.

არსად ჩანს აზერბაიჯანის ბეგლარბეგი შაჰბენდე-ხანი და მისი მხედრობა...

თეიმურაზ მეფემ ლაშქარი საომრად გაამზადა.

წინ ცხენოსნები დააყენა, უკან — ქვეითი ჯარი.

(არ ჩანს. რომელ სარდალს რომელი ადგილი ეჭირა)...

...ომის ღმერთმა ხელში აიღო ბრძოლის სასწორი: ქართველთა პინაზე 20 000, სპარსელთა პინაზე ჯერჯერობით 50 000...

...შეტევა ქართველებმა დაიწყეს.

სათოფე მანძილამდე ნელი, წყობილი ნაბიჯით იარეს, სათოფეზე ფარ-შუბი გამართეს და ჭენებით გაფრინდნენ გამგელებულნი.

თორმეტი ათასმა სპარსულმა თოფმა და ზარბაზანმა დაიგრიალა.

ნათოფარ-ნამეხარმა ქვამლმა დააბნელა მტერთაშორისი თვალსარბიელი.

წუთით შედედდა ქართველთა იერიში.

პირველი სისხლიც ქართული დაქცეულიყო მარაბდის ყანებში.

წუთში კვამლიც გათხელდა და ისევ მოსხლიტეს ცხენები ქართველებმა.

მძლავრი ყიჟინით ეკვეთნენ და შუბის ძგერებით შეანგრიეს სპარსთა მეწინავენი.

„და შეიქნა შუბთა ძგერება, ხმალთა და ლახტთა მუჩარადზედ ხეთქინება“.

ქართველთა ძლევამოსილებით დაქანდა ბრძოლის სასწორი მეომარი ლვთაების ხელში.

ეტევებოდნენ ქართველები „ერპირობით, გულსრულად ჯავრიანად“, „ჰხოცავდნენ, ჰლეწავდნენ, ჩამოჰყრიდნენ“.

აბღავლდა, აღმუვლდა, აღჭრიალდა მარაბდის ველი.

„ქრისტე!.. და საქართველო!“

„ალლაჰ, ილალლაჰ!“

მზე შუბის ტარზე წამოვიდა, სისხლიანი შუბების სროლით.

ქართველებმა გაალმასებული ხმალთაკვეთებით სრულიად აჰკაფეს ყვითელი ჯიქის“ მეწინავე-მეთოფე ათასეულნი და „გახურებული ხოცვით“ შეიჭრნენ ცხენოსანთა და აქლემოსანთა „ტერასებში“.

„ჰკა მაგას!.. დაჰკა!.. მიდი, მიდი!.. ჩვენ გავიმარჯვებთ, რამეთუ ჩვენთან არს ღმერთი! ქრისტე და საქართველო!“

„ალლაჰ, ილალლაჰ!“

ამირგუნე-ხანის თორმეტი ათასი მეთოფე უკვე აღარ იყო თორმეტი ათასი.

დარეცილიყო, დანგრეულიყო, დაფანტულიყო და გაქცეულიყო ყიზილბაშთა წინა ლაშქარი.

ამირგუნე-ხანს მიუხდა მანუჩარ ათაბაგი.

„ყაენის სიცოცხლეს გაფიცებ, იქნებ მიცნო მანუჩარ ათაბაგი!“ — შეუძახა მესხთა მთავარმა.

დიახაც იცნობდა „ყვითელი ჯიქი“ თავის გაზრდილს.

და ცხენდაცხენ ეკვეთნენ ერთურთს.

გამზრდელის ხმალი აისხლიტა გაზრდილმა.

და თვითონ გადაჰკრა „თავსა თაჯიანსა“ მანუჩარმა.

შვილს მამის მკლავი გამოჰყოლოდა (მანუჩარის მამამ ადრე ხმლის დარტყმით „თავიდან ჭიპამდე გააპო“ თურქი ფაშა).

და თავგაპობილი გადმოეშვა ცხენიდან „ყვითელი ჯიქი“.

მაინც ალმართა მეორედ ხმალი ათაბაგმა.

ძვევიდან დაასწრო ამოძახილი ძირს დაცემულმა: „ნამა-ქაფარმო (უპურმარილო, უმადურო), რისთვის მკლავ, აკი ჩემი გაზრდილი ხარ?!“

ხმალი დაუშვა მანუჩარმა.

ხელიც აღარ გაუნძრევია, როცა ყაჯარები წინ ჩამოუჯტნენ და გაიტაცეს მძიმედ დაჭრილი თავისი სარდალი.

(მაინც მანუჩარ ათაბაგის დანაჭდევ ჭრილობას გადაჰყვა შემდეგ ამირგუნე ხანი).

სდუღდა მარაბდის ველი — გმინავდა, ღმუოდა, ზმუოდა; სუსტდებოდა „ალლაჰ, ილალლაჰ!“

მძლავრდებოდა „მიდი, დაჰკა, ჩვენთან არს ღმერთი და საქართველო!“

მისდევდნენ ქართველები ჩეხვით და კაფვით.

ყველა ლომ-გმირი შექნილიყო — მეფეც, თავადიც, აზნაურიც, გლეხიც, ეპისკოპოსიც, მღვდელიც და ბერიც.

„ჩვენ გავიმარჯვებთ! მიდით, დაჰკარით! ჩვენთან არს ქრისტე და საქართველო!“

ზედიზედ ენარცხებოდნენ სისხლიან მიწას ლომის გერბიანი დროშები.

ამაყად ფრიალებდა ხერხეულიძის ხელით აღმართული ქართული დროშა — მაინც გორგასლიან-დავითიან-თამარიანი.

ყველა ქართველი ლომად ქცეულა, მაგრამ ისევ „სხვანაირია“ შემმართებლობა დიდი მოურავისა.

მუზარადი მოეხადა გიორგის; ასე „უჯობდა“, რამეთუ „მოურავ-ბეგის“ მძვინვარე სახის ხილვით თავზარი დასცემოდათ „მის ნაცნობ“ ყიზილბაშებს.

იბრძოდა გიორგი სააკაძე.

თითქოს ომის ღმერთი ჩამოსვეტილიყო ციდან მიწაზე.

იგი იყო ყველგან, სადაც მისი საარაკო ვაჟკაცობა საგანგებოდ ეჭირვებოდათ მისიანებს. ყიზილბაშთა სქელ რაზმებს არჩევდა, შეუტევდა და „მუხლჩაკეცილი ეშვებოდა“ სპარსული რაზმი.

თოფი ესროლა სპარსმა მხედარმა. ყალყზე შეაგდო ცხენი გიორგიმ. ცხენი დაეცა. წამსვე საკუთარი მოართვა გვერდით მბრძოლმა ლ ო მ ი ჩ რ დ ი ლ ე ლ მ ა. ელვასავით მოევ-

ლო სააკაძე, ცხენის მკვლელს წამოეწია, ხმლით ჩამოაგდო და მოკლულის ცხენი ლომი ჩრდილელს მიუმაგრა.

დიდის სიმამაცით და სიკისკასით იბრძოდა „მეორე გმირი“ — ზურაბ არაგვის ერისთავი, ცოლისძმა გიორგი სააკაძისა.

დაჭრილიყო ზურაბი, „შუბლზედ თოფსა გარდაეკრა“, მაგრამ მაინც არავის შეუსმინა და არ გავიდა ბრძოლის ველიდან.

ბღაოდა, ღმუოდა, ზმუოდა, ზრიალებდა, ღრჭიალებდა ნარაბდის ველი.

ქართველები ყიზილბაშთა შუაგულში შეიჭრნენ და ფლანგებისკენ გაიმალნენ ორმხრივი იერიშებით.

„მიდი, დაჰკარ! ჩვენ გავიმარჯვებთ, რამეთუ ჩვენთან არს ქრისტე და საქართველო!“

ყიზილბაშთა ვერცერთმა ფლანგმა ვერც თავისიანთა შუაკერძზე მიშველება მოახერხა, ვერც ქართველთა იერიშების შეკავება შესძლო.

მარცხენა ფლანგზე ყაზახ-ხან ჩერქეზი გულჩუქნად შეეგება გიორგი სააკაძის ძის, ა ვ თ ა ნ დ ი ლ ი ს და დავით ერისთავ-არაგველის თავდასხმას.

პირუტყვული შიშით ატანილი გაექცა ყაზახ ჩერქეზი ახალგაზრდა სააკაძის საომარ გაწვევას. მისი შირვანული მხედრობაც თან მიჰყვა გაქცეულ სარდალს თავპირის მტვრევით.

გამოედევნენ ავთანდილ სააკაძე და დავით ერისთავი ჯარით.

ბრძოლის ველიდან გადაიკარგნენ გაქცეულებიც და მდევრებიც.

ეს როგორ? ნაადრევად ხომ არ შესტოპეს ახალგაზრდა ქართველმა სარდლებმა?

ან პირდაპირ — საბედისწერო შეცდომა ხომ არ იყო ესოდენ ნასწრაფევად ცხენოსანთა დიდი ნაწილის ჩამოკვეთა ქართული მხედრობის მთავარი სხეულისაგან?!

ვაი თუ...

მაგრამ... ყიზილბაშთა მარჯვენა ფლანგიც მოეხსნა ბრძოლას, ხოსრო ძირზას ფლანგი.

ვერ ისახელა თავი ისფაჰანის ტარუღამ, შაჰ აბასის „რჩეულმა გურჯმა“...

მზე საშუადღეოსკენ მიიღტვოდა ცეცხლოვანი ისრების სროლით.

და სიცხით გაფატრული მზე მდუღარეს აფრქვევს დაბრიყვებულ დედამიწას.

მაგრამ მზე რად ენაღვლებათ „უკვე გამარჯვებულ“ ქართველებს!

აჰა, ყიზილბაშთა უკანასკნელი ძალაც — შუაკერძი — უკუაქციეს გააფთრებული ხმალთაკვეთებით.

და, მაშინ, მთავარსარდალმა ისა-ხან ყორჩიბაშმა, „უაღრესად გულად და შემმართებელ მამაცთა მცირე რაზმით“, ღრმა ზურგში გადაინაცვლა და მოიერიშე მტერს წინ დაუგდო ორდუბაზარი.

ორდუბაზარი ყიზილბაშთა ქონების, საქონლისა და სიმდიდრის სათავსო სადგომი იყო.

და ერთბაშად დაეძგერნენ ქართველები მტრისგან დაგდებულ ყველაზე „ქონიან ნაჭერს“.

საკუთარი ხმლები უკან მოისროლეს — უქარქაშო ქართული ხმლები, რომლებმაც აქამდე ძლევით მოიყვანეს თავიანთი პატრონნი.

ხმლები ხელიდან გაუშვესო?!

ეს უკვე ბედისწერა იყო!..

მტრისგან დაუნჯებულ სიმდიდრეს დაერივნენ და თვითონაც აირივნენ.

იტაცებდნენ ყველაფერს „უცხოს“ და „საუცხოოს“ — ოქრო-ვერცხლით მოსევადებულ მურასა ხმლებს, ხანჯლებს, აკინაკებს, რახტსა და უნაგირს, თაჯსა და ჯიღას, ოქრონემსულ ხალათებსა და კაბა-ჯუბაჩას.

უპატრონოდ მიმოფანტული ეყარა უქარქაშო ქართული ხმლები. ისინი აღარ სჭირდებოდათ „გამარჯვებულ“ და ალაფალაში თავდავიწყებით ჩაფლულ პატრონებს.

ეს აღარ იყო აღარც ქართული ჯარი და აღარც ჯარი საერთოდ.

თეიმურაზ მეფემ და გიორგი სააკაძემ ჯერ არ იცოდნენ, რა ამბავიც დაეტრიალებინა „ორდუბაზართან“ ქართველთა მანამდე გაუგონარ სიხარბესა და სიწუწკეს.

ისინიც — „სრულ გამარჯვებაში“ დარწმუნებულნი — უკან ჩამორჩენოდნენ ლაშქარს: ზურაბ ერისთავს წამდაუწუმ გული

მისდიოდა ჭრილობიდან სიხლდამდინარეს, და იმას დასტრიალებდნენ მეფე და მოურავი.

მდუღარე სისხლით გატენილი მზე დაეყუდა საშუადღეოზე.

და ერთბაშად, ანაზდაითად, სისხლით ნარწყულებ მარაბდის ველზე „მესამე ძალა“ შემოიჭრა გამძვინვარებით!

ეს — აზერბაიჯანის ბეგლარბეგი შაჰბენდე-ხანი მოჰქროდა ახალი, ხელუხლებელი, საომარი ყიჟინით ანთებული დიდი მხედრობით.

მოთქარუნობდნენ ისლამიტური დროშების ფრიალით, საომარი ნაღარების, ბუკებისა და ზურნაიკების ზმუილით, დოლ-ბარბითების დაგადუგითა და გაბმული ყივილით:

„შაჰ გელდი! შაჰ გელდი! შაჰ გელდი!“

შაჰი მოდისო?!

წამოიშალნენ ქართველები.

მაგრამ გვიანღა იყო თავის აღებაც და ხელის გამოღებაც.

ძნელი ყოფილა ხელიდან გაშვებული, ნამსახური უქარქაშო ხმლის დაბრუნება!

ელვის სისწრაფით ბზრიალებდა ჩარხი ბედისწერისა.

ერთბაშად დაქანებულიყო ბრძოლის სასწორი ქართველთა ბედით.

სამი მხრიდან წამოემართნენ ყიზილბაშნი დელიბაშური გამძვინვარებით: შუაკერძით ისა-ხან ყორჩიბაში, მარჯვნით შაჰბენდე-ხან, მარცხნით ხოსრო-მირზა.

სპარსელები მაშინ იწყებენ ბრძოლას, როცა იგი ქართველებს დამთავრებული ეგონათ.

„ალლაჰ, ილალლაჰ!!!“ — აზანზარდა მიწა და ზეცა.

„ქრისტე და საქართველო!“ — სისხლნაკლულად გაისმა სოდომ-გომორულ მეხთატეხაში.

ნაფლეთ-ნაფლეთი რაზმებით იბრძოდნენ ქართველები.

იბრძოდნენ მაინც საარაკო შემმართებლობით, გააფთრებით, თავდავიწყებით.

იბრძოდნენ თუნდაც ღირსეული სიკვდილისათვის.

ფეხი ცურავდა სისხლით აზელილ მიწაზე.

მკლავი იქანცებოდა.

მუხლი იკვეთებოდა.

მაჯა დუნდებოდა.

გული ძრწუნდებოდა.

„ჩვენ გავიმარჯვებთ! ალლაჰ, ილალლაჰ!“

ორი ცალთვალა გმირი დაეცა შორიდან ნაძგერალი გმურებით გულგანგმირულნი — დავით ჯანდიერი და აღათგან ხერხეულიძე.

მკერდშელეწილი დაეცა თეიმურაზ მუხრან-ბატონი.

„თეიმურაზი მოჰკლეს! თეიმურაზი მოჰკლეს!“ — მეხივით დაურბინა ქართველობას საბედისწერო ძახილმა.

სწორედ საბედისწერომ, — რადგან ჯარს მოკლული ეგონა თეიმურაზ მეფე და არა თეიმურაზ მუხრან-ბატონი!

ხოლო ბევრისთვის მეფის სიკვდილი ომის დასასრულს ნიშნავდა.

და სულ წარეკვეთა სასოება ისედაც ძალადაშრეტილ ჯარს.

ქართული ცხენოსანი ლაშქარი შემობრუნდა და გაიქცა.

ამაოდ ცდილობდნენ თეიმურაზ მეფე, გიორგი სააკაძე, მანუჩარ ათაბაგი და ბაადურ ციციშვილი გამოქცეულთა შეკავებას და ბრძოლადვე შებრუნებას.

ისევ არ ჩანდნენ ავთანდილ სააკაძე და დავით ერისთავი ადრე გაქცეულ სპარსელებზე მადევარი ჯარებით.

არა და, როგორ ეჭირვებოდა მათი მოსვლა ქართველობას!

ქართული დროშა შექანდა ანაზდაითად.

ეს — მედროშე ხერხეულიძე დაცემულიყო მკვდარი.

მისმა ძმამ აიტაცა დროშა.

ისიც დაეცა განგმირული.

მესამე ძმამ მოუსწრო და ისევ აღმართა დროშა საქართველოსი.

იბრძოდა თავშიშველი და სისხლში მოსვრილი გიორგი სააკაძე. „იმდღინდეს. მოურავის ნაქმარი ომი და საქმეები პირველთა გმირთაგანცა და არა თქმულ არს, რაც იმ დღეს მოურავმან სახელი და ომი ქმნა“.

იბრძოდა მეფე თეიმურაზი, იბრძოდა, ვითარცა შვენოდა გმირ ხელმწიფეს, სარდალს და მხედარს. „მას დღესა ბატონმან თეიმურაზ დაამტვრია ყოველი საბრძოლო იარაღი და აღარა შემორჩომოდა რა ბეჭდებიცა დაემტვრია მუშტის ძგერებით“.

ისევ „დიდად მხნედ და ძლიერად ომობდნენ“ მანუჩარ ათაბაგი ჯაყელი და „ყმანი მისნი“.

ტყვიით განგმირულნი დაეცნენ ეპისკოპოსნი, რუსთველი და ხარჭაშნელი.

დაეცა ბაადურ ციციშვილი, რომელმან თქვა სიტყვა უკვდავი და მარად სახსოვარი: „თუ ამოსწყდეს გლეხი კაცი, საქართველო დაძაბუნდეს!“

და წყდებოდა „გლეხი კაცი“ — უკვე წყდებოდა მარაბდის ველზე მისი თანამემამულე „საზეპურო ერისაგან“ — თავადობისაგან — ქვეითად დაგდებული და მიტოვებული.

კიდევ ზედიზედ დაცემულიყო სამი ხერხეულიძე, შორიდან ტყვიით დაცხრილულნი.

კიდევ სამი ძმა დარჩენილიყო ხერხეულიძის ნაშიერი.

იმიტომ ისევ ფრიალებდა ქართული დროშა.

უკანასკნელმა ცხენოსანმა ქართველმა თავადაზნაურობამ მიატოვა ბრძოლის ველი და კოჯრის მთას მიაშურა თავშესაფარად.

სულ მარტო დარჩა „წვრილი ერი“.

მაინც იბრძოდა გავეშებული გლეხკაცობა, მარადიული სიმტკიცე და სიწმინდისა საქართველოსი.

იბრძოდა შეურცხვენელი, ღირსეული სიკვდილისათვის.

„ალაგ-ალაგ ერთგან შეგროვდნენ და სიდამდისინ დაიხოცებოდეს, თავი აღარ დაიზოგეს. ვისაც ხელი მიაწვდინეს, მოუკლავი არ გაუშვეს...“

მზე ჩაესვენა დაქანცული, ჯანდაშრეტილი.

მაინც ფრიალებდა ქართული დროშა უკანასკნელი ხერხეულიძის ხელით ზეაღმართული და სისხლდადენილ გლეხთა მცირე გუნდით შემოსალტული.

მეთოფეთა ათასეული შემოუსია ყოველის მხრიდან ყიზილბაშთა მთავარსარდალმა.

დაიგრიალა ათასმა თოფმა.

უკანასკნელმა ნამეხარ-ნახმევმა შეაზანზარა მარაბდის ზეცა.

უკანასკნელნი მამულიშვილნი დაენარცხნენ მარაბდის მიწას.

უკანასკნელი ხერხეულიძის დალეწილ მკერდზე დაცემულიყო ნაშთი-ნაფლეთი ერთ დროს ცისგვამში მძლავრად მჭროლავი „გორგასლიან-დავითიან-თამარიანისა“.

ასე აღესრულა კიდევ ერთი სისხლიანი ზორვა ქართული მიწა-წყლის საკურთხეველზე. აღესრულა უგანაჩენო მარცხისა და უბადლო გმირობის აპოთეოზით.

ღამის წყვდიადში ჩაიძირა ადამიანების გვამებით დარეცილი საომარი თალპიონი.

მთელი ღამე გმინავდა მარაბდის ველი.

დილით, ახალმა მზემ პირველმა აღითვალა ადამიანთა ურთიერთნამსხვერპლარი.

24 000 მკვდარი ესვენა მარაბდის ველზე: 15 000 ირანელი და 9 000 ქართველი.

მზის თვალმა საგულდაგულოდ მოითვალისა:

ცხრა ძმა ხერხეულიძე,

ცხრა ძმა მაჩაბელი,

შვიდი ჩოლოყაშვილი...

...გლოვისფერი კაბით მოსილი ქალი მიადგა უკანასკნელ მამულიშვილთა გვამების გროვას.


თმები ჩამოიშალა.

დაიჩოქა.

დაემხო.

დალეწილი მკერდი დაუკოცნა ხერხეულიძეს.

და ისევ ალმართა ცხრა ქართველი მამულიშვილის მტვირთველმა და გამზრდელმა დედამ შვილის მკერდზე დაფენილი ქართული დროშა.



ბიძინა, შალვა ლიფხვარი

ვისაც ჩვენ არ ვებრალებით,
ჩვენ შევიბრალოთ რისაღა?
ვაჟა-ფშაველა

ართლის სამეფო ტახტზე 1658 წელს ავიდა ვახტანგ V, სპარსთაგან შაჰნავაზად წოდებული.

ხოლო, კახეთი სააოსეთს თავის „სახანოდ“ მიაჩნდა და მის სამმართველოდ თავის მოხელეს აგზავნიდა. იმჟამად კახეთის გამგებელი იყო სელიმ-ხანი.

სელიმ-ხანს მისი მბრძანებელი ხელმწიფე, შაჰ აბას II, ძალიან დიდ ამოცანას აკისრებდა შესასრულებლად.

კახეთის მოსახლეობის გაუტეხლობამ და მისი მეფის, თეიმურაზ პირველის ახალმა, ცხოველმა „რუსულმა პოლიტიკამ“, ირანის სასახლის კარზე ისევ ააღორძინა დიდი შაჰ აბასის უბოროტესი განაზრახი — კახეთიდან კახელთა აყრა და მათ ნაცვლად მომთაბარე ელებისა და თურქმანების ჩასახლება.

ამ განაზრახის აღსრულება ახლა სწორედ სელიმ-ხანს ჰქონდა დაკისრებული.

პირველ ჯერზე, ერთბაშად 15 000 მრავალსულიანი თურქმანული ოჯახი უნდა ჩაესახლებინათ შიდა და გარე კახეთის მადლიან მიწაზე. უნდა ჩაესახლებინათ და როგორმე ეს ქოჩად მღოღავნი მიწაზე დაემაგრებინათ, ხვნა-თესვა, შენება და მკვიდრი ცხოვრება ჩაენერგათ და ჩაემკვიდრებინათ.

ელნი-თურქმანნი ყიშლაღ-იალაღურ ცხოვრებას მისდევდნენ და ქინქლასავით მრავლდებოდნენ. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ სულ მალე მთელი კახეთი ამნაირი „ქინქლებით“ გავსებულიყო, მაღალკულტურული ქართული მიწათმეურნეობა დაქცეულიყო და ყიშლაღური ქოჩადმავლობით კახეთის დოვლათიანი მიწები სავსებით გაბერწებულიყო..

ასედაც დაიწყო. სელიმ-ხანმა ორ წელიწადში აზერბაიჯანიდან კახეთს თურქმანთა ურდოები კალიასავით შემოუსია და ტანში ტკიპასავით ჩაუჭედა.

ისევ იდროვეს ლეკებმა და კახეთის სოფლებზე აბრაგული შემოსევები განაახლეს. სელიმ-ხანი ლეკთა ყაჩაღობას თითქოს ვერა ჰხედავდა და კახეთის „თურქმანიზაციას“ გულდანდობილად განაგრძობდა.

სპარსეთის ხელმწიფემ, შაჰ აბას მეორემ ეს საკმარისად არ მიიჩნია და თურქმანული კოლონიზაციის უფრო ფართოდ წარმართვისათვის კახეთში საგანგებოდ გამოგზავნა ირანის მაშინდელი ყულარაღასი და სპასალარი ა ლ ა ვ ე რ დ ი-ხ ა ნ ი.

ალავერდი-ხანმა კახეთში სამი ციხე ააშენა: ბახტრიონს, ალავერდს და ყარაღაჯს. საამისოდ ირანიდან ხუროთმოძღვარი, კალატოზები, მშენებლები და ფულიც კი გამოგზავნეს. სამივე ციხეში ძლიერი ყიზილბაშური ციხიონები ჩააყენა ალავერდი-ხანმა. ამ სამ ციხეს უნდა დაეცვა ყიზილბაშობა და თურქმანობა კახელი შურისმგებელი გუნდების თავდასხმებისაგან.

ბახტრიონის დიდი ციხის (სიგრძით ას მეტრზე მეტი) მშენებლობა რომ დაამთავრეს, სელიმ-ხანს კახეთი ჩამოართვეს და ორად გაყვეს: მისი სამხრეთ-აღმოსავლეთი მხარე ყარაბაღის ბეგლარბეგს მ უ რ თ უ ზ-ყ უ ლ ი-ხ ა ნ ს ჩააბარეს, ხოლი დანარჩენი კახეთი — ნახჭევნის ბეგლარბეგს ა ლ ი-ყ უ ლ ი-ხ ა ნ ქ ე ნ-გ ე რ ლ უ ს.

და ორივე ბეგლარბეგს შაჰისაგან საგანგებოდ ებრძანათ კახეთის მიწებზე თურქმანთა ჩასახლება-გავრცელების დაჩქარება და გაფართოება.

და კახეთის ბარში ერთბაშად 80 000 ელი-თურქმანი ჩასახლეს.

ბარი იქცეოდა და მისი პურისა და ღვინის შემყურე მთიელობაც დაქცევისა და დამეხვის უფსკრულს მისდგომოდა.

ველური ელი-თურქმანი ყრუ გულცივობით სჩეხავდა კახური მზითა და კახელი კაცის სულით აყვავებულ ვაზს...

სწორედ ამ უბოროტეს ჟამს დაიბადა ეს უბედური, მწარე სიმღერა:

ბახტრიონს სხედან თათრები,
სიტყვას ამბობენ ძნელსაო:

საომრად იარაღასხმული ხალხი „აესხა“ კახეთის მთასა და ბარს.

დაჰქროდნენ შურისმგებლური სახალხო რაზმები — ხან აქ და ხან იქ, ყიზილბაშთა და თურქმანთა ზარსაცემად და სისხლის საქცევად.

ხალხის წიაღში შობილნი შექმნილიყვნენ მშობელი ხალხისავე ბელადნი — ლეგენდარული თუში ზეზვა გაფრინდაული და ხევსური ნადირა ხოშარეული, ფშაველნი — გურგენ ჭინჭარაული, გოგოლაური და ძმანი გულუხიძენი, ალვანელი ფუნჩაიშვილი, თუშები — შველაიძე და საღირიშვილი.

...გზად ერთი ხუცესი მოდიოდა, დაღლილ დაქანცული.

თურქმანები შემოეფეთნენ, შეიპყრეს, საშინლად სცემეს, თმა-წვერი დააგლიჯეს.

ბოლმითა და სირცხვილით გულადუღებული მღვდელი დუშეთს მივარდა და ზაალ არაგვის ერისთავს შეჰბღავლა: „შენ ზაალ ერისთავი ხარ და კახეთის გამგებელი; გააოხრეს სრულიად კახეთი უსჯულოთა აგარიანთა და მე გზად შემიპყრეს და შემამთხვიეს საქმე უშვერი... და აწ ამისა პასუხი ღმერთს შენ მიეც და შენ უნდა გასცე, ვინაითგან შენდა რწმუნებულ არს კახეთი“.

მძიმედ ჩაფიქრდა ის „დიდად მწუხარე იქმნა ზაალ ერისთავი. იგი „ყაენის მომდურავი“ იყო მაშინ. ესეც იცოდა ზაალმა, რომ მთისა და ბარის მოსახლეობას უკვე „თავისით“ დაეწყო ბრძოლა „თათრული უღლის“ ჩამოსაგდებად და მოძალადედ ჩამოსახლებულ „ურჯულო თურქმანთა“ ამოსაგდებად. ზეზვა გაფრინდაულის სახელიც ხშირად სმენოდა, მაგრამ აჯანყებული ერის მეთაურობა მაინც „ერის მესვეურ ერისთავს“ უნდა მინდობოდა.

სხვა ცნობებიც ჰქონდა ზაალ ერისთავს: აჯანყების სამეთაუროდ თურმე ემზადებოდნენ მისი სიძე ბიძინა ჩოლოყაშვილი, ძმები შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავნი და ეპისკოპოსი ალავერდელი.

სწორედ ესენი შემოიყარა ზაალ ერისთავმა სათათბიროდ

დუშეთს. ზეზვა გაფრინდაულიც მოიწვიეს („შემოიფიცნეს მთის კაცნი თუშნი“) და მტკიცედ გადაწყვიტეს აჯანყება „უსჯულო თათართა“ ამოსაწყვეტად და კახეთის გასათავისუფლებლად.

საომარი განაზრახიც განსაზღვრეს და გაითვალეს. საპაემნო ადგილებიც დაიგულეს, საიდუმლო ნიშნებიც დაინიშნეს და გულს დაიდუმეს. ერთმანეთს შეჰფიცეს, იარაღი „მოივარგეს“ და გაუჩინარდნენ.

ხაალ ერისთავი თვითონ არ წასულა ბრძოლაში. სამაგიეროდ თავისი უფროსი ძე, ზ უ რ ა ბ ი გაგზავნა არაგველთა ჯარით...

საომარი განაზრახი კი იყო მარტივი, გაბედული და გამანადგურებელი: ნაშუაღამევს, ერთდროულად და ანაზდეულად, უნდა დასცემოდნენ თათართა მთავარ ბუდეებს — ბახტრიონსა და ალავერდს.

ასე — ორ ნაკადად დაიძრა ქართველთა ლაშქარი: კახელები ბიძინა ჩოლოყაშვილის სარდლობით ალავერდისკენ მიისწრაფიან; ქსნისა და არაგვის ჯარები შალვას, ელიზბარისა და ზურაბის მეთაურობით თიანეთს გადაივლიან, ახმეტას ჩავლენ და ბახტრიონს მიადგებიან.

ბახტრიონისკენ მიუძღვის ზეზვა გაფრინდაულიც უკუღმა დაჭედილ ცხენებზე ამხედრებულ მთიელთა ლაშქარს...

...1659 წლის... (დღე ცნობილი არ არის).

ნაშუაღამევი.

ბახტრიონი.

მოიერიშე რაზმს მიუძღვის ზეზვა გაფრინდაული.

ნაბდით თავწაკრულ პალოებს ზეაღმა ურჭობს და საოცარი სისწრაფით არბის ციხის კედელზე.

შკვე კიდევაც მოევლო და გადაევლო — „გადაფრინდა ბახტრიონ გალავანზედა“.

სხვებიც მიჰყვნენ — თუშნი, ხევსურნი, ფშაველნი — კლდეებზე „ჯიხვებრ მხლტომელნი.“

ციხის ალაყაფს დაეტაკნენ.

გუშაგები ჩახოცეს.

ხმლის ჩახაჩუხმა და მომაკვდავთა ბღავილმა ფეხზე წამოაგდო ყიზილბაშთა ბანაკი.

მაინც დაასწრო გაფრინდაულმა კარის გაღება.

და წამსვე ციხეში ნიაღვრად შეაგდეს ქსანელთა და არაგველთა ჯარები შალვამ, ელიზბარმა და ზურაბმა.

ახლად აღმოხდენილ ცინცხალ მზეს მეწამული სამოსელით შეეგება ბახტრიონი.

ყიზილბაშთა უმრავლესობა დაირეცა მათივე სისხლით ატალახებულ მიწაზე.

ერთმა ნაწილმა მაინც მოახერხა გარეთ გაღწევა და ალავერდისკენ გაქცევა.

გამოედევნენ ქართველები.

ალავერდის ციხეში თავშესაფარებლად გარბოდნენ ბახტრიონის ჯოჯოხეთიდან თავდახსნილი ყიზილბაშები და არ კი იცოდნენ, რომ ალავერდშიც „ის ჯოჯოხეთი“ დატრიალებულიყო, რაც ბახტრიონში დატრიალდა.

ბიძინა ჩოლოყაშვილს და მის კახელობას ალავერდი უკვე აეღოთ, იქაური ირანული ციხიონი სანახევროდ ამოეჟლიტათ, დანარჩენ ყიზილბაშობას ალავერდის გალავნიდან გამოეღწია და ბახტრიონის ციხისკენ მირბოდა თავშესაფრებლად.

სწორედ საოცარი „სახილველი“ იყო: ბახტრიონელი ყიზილბაშები ალავერდს გარბოდნენ, ალავერდელი ყიზილბაშები კი ბახტრიონს!

და ზედ შუა გზაზე, ალვანის ველზე, ერთმანეთს შეასკდნენ ორის მხრიდან თავპირის მტვრევით მომლტოლვარე ორი ციხის ყიზილბაშობა.

და სანამ გონს მოეგებოდნენ, „შესაბამისად“ ორივე მხრიდან წამოეწივნენ და წამოესივნენ შურისგებით ადუღებული ქართველები. შემოესივნენ და ისე ასწყვიტეს, ცოცხლად ერთი მოაბეც არ გაუშვიათ.

როგორც კარგი მთიბავის ხელით „ლესურად“ მოთიბული ბალახი ისევ ცერზე დადგება ხოლმე — ასე „ცერზე შეყენებულ ძნებად“ ეყარა დახოცილ ყიზილბაშთა გროვახი.

და მაშინ სთქვა ზეზეა გაფრინდაულმა:

„როცა დახოცილი მტერი ასე დათიბული ბალახივით ფეხზე დადგება, ხმალი უნდა შეაყენო და ბრძოლის ველს გაშორდე, რადგან მაინც ცოდო არს ადამიანი“.

„ადამიანი?!“

„ჰო, რამეთუ მტერი მტერია, მაგრამ მაინც არის ადამიანი“.

და ცოცხლები მკვდრებს გაშორდნენ.

იმ დღიდან იმ ადგილს, მტრის სისხლით და ძვალ-ხორცით გაპოხილ მიწას, ხალხმა დაარქვა „გ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ა“.

„გაწყვეტილადან“ ქართველები თურქმანთა დასახლებებს მოედვნენ და დედაწულიანად გაჟლიტეს ყველა, ვისაც იმ დღემდე წილი დაედო კახური ოჯახის დაქცევაში, კახური ვაზის გაჩეხვაში, კახური ეკლესიების, სალოცავების, მიწისა და წყლის შებილწვაში...

...„ბახტრიონულმა ომმა“ მტერიც და მოყვარეც ერთჯერ კიდევ დაარწმუნა ქართველი ხალხის გაუტეხლობაში, უძლეველობასა და უკვდავებაში.

ირანის სასახლის კარმა ეგზომ დიდი მსხვერპლის სამაგიერო დამსჯელი „ილღარის“ მოწყობაც კი ვეღარ შეუბედა სახალხო აჯანყებით ადუღებულ კახეთს.

კახეთის „თურქმანიზაციაც“ შეწყდა.

მხოლოდ აჯანყების მეთაურების დასჯისათვის ზრუნვას შეუდგა სპარსეთის ხელისუფლება (აკი ასე ხდება ყოველთვის: ხალხის რისხვით ზარდაცემული ხელისუფალნი აჯანყებულ ხალხს უცოდველ კრავად ჩასთვლიან და გულის ჯავრს ხალხის მეთაურზე ამოიყრიან).

ჯერ სპარსელებმა ზაალ ერისთავს დაადგეს თვალი, ვითარცა აჯანყების მეთაურს. ზაალმა თავისი „უდანაშაულობა“ იმითი „დაასაბუთა“, რომ აჯანყებაში პირადად მონაწილეობა არ მიუღია და ყველაფერი ალი-ყული-ხან ქენგერლუს „ცუდ ქცევას“ გადააბრალა.

ალი-ყული-ხან ქენგერლუ შაჰმა ბეგლარბეგობიდან გადააგდო და კახეთი მთლიანად მურთუზ-ყული ხანს ჩააბარა, მაგრამ ზაალ ერისთავი დაუსჯელად მაინც არ დატოვა.

სპარსელებმა არაგვის ბატონის განადგურება ქართლის მეფე ვახტანგ მეხუთეს დააკისრეს.

ვახტანგ მეფე ამდენ ხანს თითქოს „განზე იდგა“, თითქოს მას „ბახტრიონული ომისა“ არც არაფერი შეუტყვია. სინამდვილეში ვახტანგის „ზომიერი პოლიტიკა“ კახელთა აჯანყებაში მის პირად მონაწილეობას გამორიცხავდა, მაგრამ კახელთა შურისმგებლური ხელით სპარსელთა ამოწყვეტას სულით და გულით თანაუგრძნობდა. ხოლო, რაც შეეხება თვითონ ზაალ ერისთავს, მისი პირადი განადგურება ვახტანგს კიდევაც

ჰქონდა გულს ამოჭრილი. საქმე ისაა, რომ ზაალ ერისთავი ქართლის მეფის განუყოფელ ხელისუფლებას ებრძოდა, ცალკე „ხელმწიფობას“ ჩემულობდა და კახეთის მიტაცებისთვისაც თავს არ იზოგავდა, და ეს ყოველივე მაშინ, როცა ვახტანგ მეფე — ვითარცა ქართლის უმაღლესი ხელისუფალი — თვითონ აპირებდა კახეთის შემოერთებასაც და საარაგვოს სრულ დამორჩილებასაც.

ერით სიტყვით, ვახტანგ მეფეს ზაალ ერისთავი უნდა მოეს-პო არა როგორც კახეთის აჯანყების მონაწილე, არამედ რო-გორც ქართული მიწა-წყლის გაერთიანების მტერი და ხელის შემშლელი.

და მოსპო კიდეც ვახტანგმა ზაალი — ძმისწულებს მოაკ-ვლევინა.

ხოლო ზურაბი, ვითარცა ბახტრიონის აჯანყების მონაწი-ლე და ერთ-ერთი მეთაური, სპარსელმა ჯალათებმა ციხეში ჩაკლეს.

ბოლოს, დადგა საკითხი აჯანყების მთავარი და ნამდვილი ბელადების — ბიძინა ჩოლოყაშვილისა და ქსნის ერისთავთა-დასჯისა.

რაკი საქართველოს „ყოველი საქმე“ მაინც და მაინც ვახ-ტანგ მეფეს „ეკითხებოდა“, ბუნებრივია, ბიძინა, შალვა და ელიზბარი სწორედ ვახტანგთან უნდა მისულიყვნენ „კუთვ-ნილი მსჯავრის“ მისაღებად.

ძაგრან ქართველები ქართველს არ ენდნენ. კახეთის აჯან-ყების მეთაურები ვახტანგ მეფის ნაცვლად ყიზილბაშ მურ-თუზ-ყული-ხანს ეახლნენ ყარაღაჯში.

სპარსელმა ბეგლარბეგმა კი სამივე ქართველი — ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავნი — მის-ვლისთანავე შეიპყრო და ირანს გაგზავნა, შაჰის სამსჯავ-როდ.

შაჰ აბას II თავისი დიდი წინაპრისა და სეხნიის მიმდევარი და მიმბაძველი იყო. ეს „პატარა შაჰ აბასი“ დიდი შაჰ აბასი-ვით ცდილობდა, ყოველი დიდი ქართველი თათრობის გზაზე შეეგდო და, თვითონ საქართველოს სამტროდ და საზიანოდ, სპარსეთის „ისტორიის მჭედლად“ გადაექცია.

ასე დაუპირეს მაშინ ბახტრიონის აჯანყების ბელადებსაც. სამივეს იგივე უთხრეს, რაიც სპარსეთში მოუსმენია „მილი-

ონ ერთს“: ან მაჰმადიანობა მიიღეთ და სპარსეთის სამსახურში შედით, ან სიკვდილისთვის მოემზადეთო!

სამივემ უყოყმანოდ, ქრისტიანობასა და ქართველობაზე ხელის აღებას სიკვდილი არჩია.

ბიძინამ მშვიდად და მტკიცედ უთხრა შალვას და ელიზბარს:

„ძმებო, ნუ მოვმედგრდებით (ნუ დავეცემით) და ნუ შევშინდებით, რამეთუ სიკვდილი უნებელად დაბადებიდანვე თან გვახლავს, ვერც ვერავინ წინააღუდგების სიკვდილსა და რაკი უნდა მოვკვდეთ, ბარემ მოვკვდეთ ქრისტესთვის და საქართველოსთვის და სამარადჟამოდ დავიმკვიდროთ სასუფეველი“.

არც შალვას და არც ელიზბარს წაქეზება არ სჭირდებოდათ, რადგან არც ერთი მათგანის გულსა და გონებას სხვა რამ აზრი არ გაჰკარებია — მხოლოდ სიკვდილი ქრისტესთვის და საქართველოსთვის!

სამივემ „განბასრეს (გაკიცხეს) და გინებულ ჰყვეს სჯული მაჰმადისა“ სამივემ „ერთხმობით“ სამარეში ჩასატანად დაინარჩუნა ქრისტიანობა და ქართველობა.

გაცოფდა ირანის მბრძანებელი.

და — „ვითარცა წესი და ჩვეულება არს თათართა, რამეთუ მკვლელს ხელში მისცემენ მოსისხარსა“, შაჰის ბრძანებით სამივე ქართველი მამულიშვილი მიუგდეს იმ ელ-თურქმანებს, რომელთა ნათესავნი ჩოლოყაშვილისა და ქსნის ერისთავთა მეთაურობით ამოწყვიტეს ქართველებმა ბახტრიონულ ომში.

ალბათ, რამდენჯერ უნატრიათ გონებაბრჯგუებს ბიძინა ჩოლოყაშვილისა და შალვა-ელიზბარ ერისთავთა სისხლის დალევა! და აი, აუსრულდათ ეს დღე-ღამე სანატრებელი. და წამებასაც ხომ მრავალი საუკუნის „პრაქტიკულ-ნოვატორული“ ისტორია ჰქონდა ირანულ-თურქმანულ ტომებში...

და აწამეს დიდი ქართველი მამულიშვილნი.

ასოეულებად ასჭრეს და აჰკაფეს.

(„ხოლო უწყალოთა მათ მტარვალთა იწყეს რა მოჭრად თვითოეულთა ასოთა ყოველნივე თითნი ხელისა და ფეხისანი მოჰკვეთნეს თვითეულად სახსარ-სახსრად. და მერე, მაჯა-იდაყვნი, და მხარნი, და ფერხნი კოჭებიდგან მუხლებადმდე, და ესრეთვე თეძონიცა...“).


ასოეულებად აჭრილნი და აკაფულნი ისრებით დაცხრილეს, მახვილებით დაჩეხეს, ტყვიებით დახვრიტეს.

ბიძინა ჩოლოყაშვილის ნაშთები ევროპელმა კათოლიკე ბერებმა მოიპარეს და იდუმალ დაკრძალეს, სადღაც უცნობ ადგილას.

შალვასა და ელიზბარის დაფლეთილი ცხედრები, როგორც იქნა, მათმა სვეგაშავებულმა მეუღლეებმა გამოიხსნეს, მოკრიფეს, საქართველოში ჩამოასვენეს და ქსნის ერისთავთა საგვარეულო იკორთის მონასტერში მიაბარეს მიწას.

ქართველმა ხალხმა გააღმერთა ბიძინა ჩოლოყაშვილისა და ძმათა ქსან-ერისთავთა სახელები და მათი სამამულიშვილო საქმენი.

ქართულმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა სამივე გმირი — რაინდნი ქრისტიანობისა და მამულიშვილობისა.





სულხან-საბა ორბელიანი

ვირა დღეს, ჟამსა შუაღამისასა 1658 წლის 4 ნოემბერს დაიბადა სულხან-საბა.

დაბადების ადგილი — სოფელი ტანძია.

მამა — ვახტანგ ორბელიშვილი (გინა ბარათაშვილ-ორბელიშვილი, გინა ყაფლანიშვილი), მდივანბეგი ქართლისა მეფე ვახტანგ მეხუთის დროს. ვახტანგის დაი, როდამი, ქართლის დედოფალი იყო — იგი ცოლად ჰყავდა მეფე ვახტანგ მეხუთეს.

დედა — თამარი, ასული ზაალ არაგვის ერისთავისა, „ბახტრიონული აჯანყების“ სულისჩამდგმელისა.

ვახტანგს და თამარს ჰყავდათ თერთმეტი შვილი. მათგან რვა ვაჟი: სულხანი, ერასტი, ვახუშტი, ყაფლანი, ზურაბი, დიმიტრი, ნიკოლოზი, ზაალი.

სულხანი იზრდებოდა იმჟამინდელ „უმაღლეს სკოლაში“ — მუხრანელ მეფე-ბაგრატიონთა ოჯახში, გინა უფლისწულ-მამიდაშვილთა (არჩილი, გიორგი, ლევანი) შორის. ყრმობის მასწავლებლები იყვნენ ბერუკა ზედგინიძე და გიორგი იაშვილი.

შემდეგ ვახტანგ მეექვსე იტყვის: სულხანი „სიყრმითგან იყო მუდამ სიბრძნის სწავლის მსახველი“.

ბრწყინვალედ შეისწავლა ღვთისმეტყველება, სიბრძნისმეტყველება, ბუნებისმეტყველება, გამორჩევით — ფილოლოგია.

იყო პოლიგლოტი: ქართული ენის გარდა იცოდა თურქული, სპარსული, სომხური, ბერძნული, ლათინური, იტალიური, არაბული, რუსული.

იგი შეიქნა გამზრდელი და მასწავლებელი ვახტანგ მეექვსისა. „ამ თავადმა აღზარდა ვახტანგი და მისი სახლობა. ამისთვის ისეთ პატივს სცემენ და ისე უყვართ, როგორც საკუთარი მამა; აგრეთვე მთელ საქართველოს მამად მიაჩნია იგი“, — წერდა მისიონერი რიშარი.

გიორგი მეთერთმეტის დაცემისა და ერეკლე პირველის მეფობის დაწყებისას სულხან ორბელიანი პოლიტიკურ ცხოვრებას ჩამოშორდა, ბერად აღიკვეცა და სასულიერო სახელად დაირქვა ს ა ბ ა.

იგი დაემკვიდრა გარეჯას, 1698 წლის 18 მარტს, დაბადებითგან 40 წლისა.

მაშინ დავით-გარეჯა წინამძღვარ ო ნ ო ფ რ ე მ ა ჭ უ ტ ა ძ ი ს დაუღალავი ღვაწლმოსილების მეოხებით, აღორძინებისა და აყვავების გზაზე იდგა.

...„ოდესცა იხილნე სოფლისა ამის ღელვათა შფოთნი, შენცა მოისწრაფე ეკლესიად მალიად, ვითარცა ისწრაფა ნოე კიდობნად შესვლად და შვიდნი სახლეულნი თვისნი განარინნა. შენცა ოდეს შეხვიდე ეკლესიად, თანა შეიხვნენ შენცა შვიდნი სახლეულნი გვამისა შენისანი: გულ-გონება, სიტყვა, თვალი, ყური, ენა, საყნოსელი და გვამი, და ამათითა შენცა განერე სოფლისა ამის ღელვათა დანთქმისაგან. და ვითარცა ნოესგან ივლტოდა ყორანი, შენგანცა განივლტოდეს მსგავსი ყორნისა ეშმაკნი, და მოგივიდეს სული წმინდა სახედ ტრედისა და მოგიტანნოს რტო ზეთისხილისა — პოხიერება სულიერი“, — აი, მაშინდელი სულიერი მრწამსი საბა ორბელიანისა — განრიდება შფოთიანი საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრებიდან და დაყუდება ასკეტად, საკუთარ სულში ჩასაღრმავებლად და ღვთაებრივთან ასამაღლებლად.

გარეჯის მთაზე დაემკვიდრა, იოანე ნათლისმცემლის ეკლესიაში, სადაც იგი რიგითი ბერობიდან ამავე ეკლესიის მოძღვრად აღამაღლა მისი ნიჭიერებითა და გულმეცნიერებით აღფრთოვანებულმა მამა ონოფრემ.

12 წელიწადი დაჰყო საბამ დავით-გარეჯას. აქ. ნათლისმცემლის სამწყსოს წინაშე წარმოსთქვა 56 ჰომილია (ქადაგება), თავმოყრილი წერილობით სიტყვიერებაში, სახელწოდებით — „სწავლანი“. გარეჯს მისვლამდე უკვე დაწერილი ჰქონდა საბას „სიტყვის კონა“ — პოეტურად ბიცშესხმული

ლექსიკონი. მერე, გარეჯიდან წასვლის შემდგომ დაიწერება მშვენებანი ქართული პოეზიისა და პროზისა: „სიბრძნე-სიცრუისა“, „ქილილა და დამანა“, „მოგზაურობა ევროპაში“, ლექსები.

ხოლო, „სწავლანი“ — საბას გარეჯისეული სულიერი ძვრების ნაყოფი — არის საოცარი ჰარმონია და სიმფონია ღვთისმეტყველებისა, პოეზიისა, პედაგოგიკისა, ისტორიისა, ფსიქოლოგიისა, ფოლკლორისტიკისა.

ცხოვრებისაგან განრინება და გაქცევა კი არა, სწორედ თანადროული ცხოვრების, საზოგადოებრივი ზნეობისა და ეროვნული კატაკლიზმების უაღრესად აქტიურ მესაყვირედ და განმსჯელად გვევლინება საბა ორბელიანი. მისი მამულიშვილური ბრძოლის სული კარგად გამოსჭვივის „სწავლანის“ ნაწილებში — „სწავლა გიორგობისა დღისა და ქართველთა თათრობისათვის“ და „სწავლა მწყემსისათვის და სამწყსოისა დამწყსისათვის“.

„ვის დაუტეობთ და სადა წარხვალთ? — რისხვას აფრქვევს საბა ქრისტიანული სჯულისაგან გადამდგარ და მტრის სამსახურში შესულ რენეგატებს — განსუქდით და დაუტევეთ ღმერთი და ქვეყანა თქვენი!.. მოღალატევ, რად არა შეინანი, არა იცემ მკერდთა ორითავე მჯიღითა, არა განბრან სარეცელთა, არა ოხრავ და სულთქვამ დღე და ღამე? რასა ეტყვი მიზეზსა, ოდეს ქრისტე მოვიდეს განსჯად ცხოველთა და მკვდართა?... რა-მე სიტყვის მაგებელი გაქვს, ჰოი ორგულო? იხილე რა შენ მდიდრისა ვისიმე სამოსელი ბრწყინვალე, სტავრა ანუ ოქრო-ქსოვილი, შურისაგან მისისა აღივსი და იწყი პირველად ანგარება, ანუ პარვა, ანუ ტაცება და დაჰრთი ცოდვა-ცოდვათა და უსჯულოება უსჯულოებათა და ნიჭისა რაისათვის მსოფლიოისა აგინე ქრისტეს სარწმუნოება და უგულებელს ჰყავ სასუფეველისა დიდება წარუვალი. ვაი უგუნურებასა თქვენსა! არა იცით, რამეთუ გვარი კაცისა უადვილეს არის შესამუსვრელად, ვიდრეღა ჭიქა ღვინისა, და სიკვდილი უმახლობელეს არს, ვიდრეღა თვალთა დაწამწამება და სოფლისა ამის დიდება უადვილესად განბნევადი არის, ვიდრეღა ქარისა სისასტიკისაგან ბზე?.. ერთი ვინმე უარის-მყოფელთაგანი მელიზღებოდა და მე ვარქუ: „განმეშორე, შვილო ჯოჯოხეთისაო-მეთქი!“, ხოლო მან მომიგო და მრქვა: „არა, ნუ იყოფინ, მე შვილი ვარ სასუფეველისაო“. მე ვკითხე: „ვითარ?“

მან მომიგო: „ოდეს ქრისტე მოვალს მეორედ მოსვლას, უკეთუ იგი არს ძე ღმრთის და მაცხოვარი სოფლისა, ვაჩვენებ შუბლთა ჩემთა აღბეჭდილთა ბეჭდითა მით მირონისა მისისაითა და, უკეთუ მოჰამედი უდიდებულეს არს, ვაჩვენებ სერსა მისსა წინადაცვეთილებისასა და ანუ ერთმ აღმიყვანს ზეცად ანუ მეორეო“, და იცინოდა ფრიად... ვაი, უგუნურება ესეთი, კაცნო ცოდვითა აღსავსენო და უსჯულოებითა გარდამეტებულნო!“

დაწერა საბამ ეს „სულთა განმანათლებელი წიგნი“ და ისევ შეერთო საქართველოს შიგნით და გარეთ გამძაფრებულ სახელმწიფოებრივ და პოლიტიკურ ორომტრიალს. მეფე ირჩილ მეორე, მეფე გიორგი მეთერთმეტე და ლევან ბატონიშვილი მისი მამიდაშვილები იყვნენ, მათთანვე იზრდებოდა და სახელმწიფოს მართვის საქმეებშიც, ბრძნული განსჯებით, წილს იდებდა. საბას ფრიად აწუხებდა ერეკლე პირველისა და გიორგი მეთერთმეტის ბრძოლა და მტრობა ქართლ-კახეთში ერთპიროვნული გაბატონებისათვის. ბოლოს ისე მოხდა, რომ ირანის შაჰმა ორივე მეფე ისფაჰანს გაიწვია და აღარცერთი აღარ გამოუშვა საქართველოში. თუმცა ქართლის მეფობა გიორგის მისცა და კახეთისა ერეკლეს, მაგრამ საქართველოს სამმართველოდ ორივე მეფეს შაჰმა „მოადგილე“ დაუნიშნა, გიორგის — მისი ძმისწული ვახტანგი, ერეკლეს — მისი ვაჟი დავითი. არცერთ მეფეს საქართველოში დაბრუნება აღარ ჰღირსებია. გიორგი ავღანეთში მოჰკლეს ღალატით. ერეკლეც ისფაჰანს გარდაიცვალა...

1712 წელს ქართლის გამგებელი („ჯანიშინი“) ვახტანგ ლევანის ძე სპარსეთს გაეშურა ქართლის „კანონიერი მეფობის“ დასამტკიცებლად.

ამალად 300 კაცი მიჰყვებოდა.

მათ შორის — საბა ორბელიანი.

დიდის ამბით შეეგება შაჰ სულთან ჰუსეინი ვახტანგს და მის მხლებლებს. კარგა ხანს ვერ დაითრგუნა განცვიფრება:

როგორები არიან ეს ქართველები — ყოველთვის ერთიმეორეზე უკეთესნი, თვალ-ტანადნი, ნიჭიერნი, მამაცნი... ასეთები არიან... თითქოს მთელი ქვეყნის გამოსაჯავრებლად!..

ვახტანგი პირველ შეხვედრისთანავე „პატივცემულ იქმნა

დიდითა პატივითა ყეენისაგან და შეყვარებულ ფრიად ყეენისაგან სიკეთისა მისისათვის". მერე დიდი მეჯლიში გაუმართა შაჰმა ქართველებს. ვახტანგი ღვინის სმაშიც გაიჯიბრა ჰუსეინმა. „სვეს ხუთსა საათსა". ბოლოს შაჰმა თავი „დამარცხებულად სცნო" და „გამარჯვებულ" სტუმარს „უბოძა თასი მურასა".

ასე მისდევდა დღე დღეს და შაჰი „საპოლიტიკო საუბარს" გაურბოდა ვახტანგი კამეჩის მოთმინებით ითმენდა. ბოლოს და ბოლოს მაინც ხომ უნდა თქმულიყო და ბრძანა კიდეც ირანის „ყოვლისშემძლე უნიჭო ხელმწიფემ":

ვახტანგ ლევანის ძე ღებულობს ქართლის მეფობას, ირანის მთავარსარდლობას, თავრიზისა და ბარდის ბეგლარბეგობას, ოღონდ წინასწარ უნდა განაგდოს ქრისტიანობა და მიიღოს მაჰმადიანობა!

აქ თითქოს მოულოდნელი და გასაოცარი არაფერი არ უნდა ყოფილიყო, რადგან აკი ვახტანგის გამეფებამდე ქართლში შვიდი მეფე იყო თანმიყოლებით „გათათრებული ქართველი" (ბაგრატ VII, სვიმონ II, როსტომი, ვახტანგ V, ერეკლე I, გიორგი XI და ქაიხოსრო).

მაგრამ ვახტანგის ქრისტიანობა და ქართველობა თითქოს უფრო ძირმტკიცე გამოდგა და მან უარი თქვა ქრისტეს სჯულის დათმობაზე და მაჰმადიანობის მიღებაზე.

ირანის შაჰის „ყველაზე დიდი უნარი" გაცოფება იყო და იმანაც სიცოფით ატანილმა, ვახტანგს მეფობა კი არა, შეჰყრობა და ჭირმანს გადასახლება მიუსაჯა, ხოლო ქართლის მეფედ უკვე კარგა ხნის და „კარგად" გათათრებული ი ე ს ე (ვახტანგის ნახევარძმა) გამოგზავნა.

ვახტანგი ჭირმანის ტყვეობაში მწერლობით „შეექცეოდა", მაგრამ ქართლის ტახტ-გვირგვინისათვის ბრძოლას მაინც არ წყვეტდა. იგი დაუცხრომლად ეძიებდა უფრო „ძლიერ საშუალებას", რაიც აიძულებდა (ან დაიყოლიებდა სპარსეთის ხელისუფლებას, მიეკუთვნებინათ ქრისტიანი ბატონიშვილისთვის მისი ქრისტიანი ქვეყანა, „რჯულშეუცვლელად".და ასეთ საშუალებად ვახტანგმა მიიჩნია ევროპა, საითაც მის წინაპრებს დიდი ხნის წინათ გაეკვალათ გზა.

ვახტანგს ელჩი სჭირდებოდა, ელჩი „ევროპის დონისა".

და ჰყავდა კიდევაც ასეთი კაცი — საბა ორბელიანი...

1713 წლის 17 აგვისტოს, 55 წლის საბა ორბელიანი მიემგზავრება ევროპაში, ანუ „მიიპარება“ სპარსელთაგან და ვახტანგის მტერთაგან იდუმალ.

იგი წაჰყვა ფრანგ კათოლიკე მისიონერს ჟ ა ნ რ ი შ ა რ ს.

ჩავიდნენ სტამბოლს. აქ რიშარმა საბა წარუდგინა საფრანგეთის ელჩს, დ ე ზ ა ლ უ რ ს, რომელიც დიდი პატივით შეხვდა „მაღალ ქართველ დიასპანს“.

სტამბოლიდან წასულნი 1714 წლის 23 იანვარს ჩავიდნენ ქალაქ მარსელში. აქაურმა მერმა აგრეთვე პატივით მიიღო ქართველი ელჩი. მარსელიდან რიშარმა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს, ჟ ა ნ ბ ა ტ ი ს ტ დ ე ტ ო რ ს ი ს აცნობა „საქართველოს მეფის ბიძის“ ჩამოსვლა და საფრანგეთის ხელმწიფესთან მისი შეხვედრის სურვილი.

მარსელიდან სულხან-საბამ წერილი გაგზავნა რომში, კარდინალთან, რომელსაც შეატყობინა ევროპაში მისი ჩამოსვლის მიზანი და სთხოვა შუამდგომლობა პაპთან — მფარველობის კალთა გადააფაროს საქართველოს და სამაგიეროდ მთელს ჩვენს ქვეყანას კათოლიკურ ქრისტიანობაზე მოვაქცევთო...

მარსელიდან პარიზს ჩავიდნენ რიშარი და ორბელიანი.

1714 წლის აპრილში „საქართველოს მამა“ ვერსალის სასახლეში შეხვდა საფრანგეთის დიდ ხელმწიფეს, ლ უ ი XIV-ს.

მეფე ნაავადმყოფარი იყო და მოღნაშულად გამოიყურებოდა.

სულხან-საბამ გამოჯანმრთელება მიულოცა.

ხელმწიფეს ეამა უცხო სტუმრის თავაზიანობა, გაიღიმა და სუსტი ხმით თქვა: თუმცა ერთ მტერს, ავადმყოფობას გადავურჩი, მაგრამ მეორე მტერი, სიბერე დამესხა თავსო.

„სიბერე რას დაგაკლებთო“, არ დაიხია უკან ორბელიანმა.

„ასე იოლი არ გახლავთ სამოც წელს გადაბიჯებაო“, — თქვა მეფემ, ათი წლის „მოპარვით“ (იგი სამოცდაათ წელს იყო მაშინ გადაცილებული).

მაშინვე საბამ მიაგება ახალი ქათინაური:

„ხელმწიფეო, თქვენი უდიდებულესობა მაგ სამოც წელს ისე მოხდენილად, ისეთი გრაციით ატარებს, რომ ყველა ის ურვებდა მაგ ასაკში ყოფნას!“

საბას სიტყვამ ყველა დაატყვევა — მეფეც და მისი სამეფო დარბაზიც.

მაშინ ქართველმა ელჩმა ლუი XIV-ეს მიართვა მოხსენება, რომელშიც ეწერა:

საქართველოს მეფე ვახტანგი ისფაჰანშია და საქართველოს ერთიანად გამაჰმადიანება მოელის და დიდ განსაცდელშია. თუ დაბრუნდა თავის სამეფოში, ქართველები არა მარტო დარჩებიან ქრისტიანედ, არამედ კიდეც შეუერთდებიან კათოლიკე ეკლესიას თავიანთი მეფის მაგალითისამებრ, რომელიც საამისოდ მზად არის და რომელმაც აღუთქვა, რომ მობრუნდება თუ არა თავის სამშობლოში, კათოლიკობა მიიღოს, რადგან იგი ამ თავის უბედურებას აწერს იმას, რომ აქამდე შეაყოვნა კათოლიკობის მიღება. მეფე, ამას გარდა, ფიქრობს ყოველი დახმარება აღმოუჩინოს მისიონერებს, რათა მოაქციონ მთელი ჩერქეზეთი, რომელიც საქართველოს საზღვარზეა და საიდანაც თავისი მეუღლე მოიყვანა...

იმედი მაქვს, ამ წერილმა წადილსა გვწიოს და დაავალოთ ყეინს, რათა თქვენის ბრძანების აღსასრულებლად ვახტანგი საქართველოში გამოგზავნოს. უკეთუ შეჰპირდებით საჩუქარს სპარსეთის დიდებულთ, მაშინ ამ დაპირების გამო ყეინს დაავალებენ, რომ მალე აღასრულოს.

ამნაირის საშუალებით ვერავინ გაიგებს, თუ რა დახმარების აღმოჩენა ეწადა თქვენს იმპერატორობას; ხოლო ამის ასრულებას მიანდობთ თქვენს მიერ არჩეულ პირს. სპარსეთში ჩვეულება აქვთ ხოლმე, რომ რომელსამე საქმის შესასრულებლად, ჯერ შეპირდებიან მარტო წერილით და არაფერს მისცემენ, ვიდრე საქმეს ბოლომდე არ აასრულებენ. ამიტომ სპარსეთის გავლენიან პირთ ჯერ არაფერი უნდა მიეცეს, ვიდრე ვახტანგი თავის სამეფოში არ დაბრუნდება უვნებლად.

დავასახელოთ თუ რა გვარი დახმარება იქნება საჭირო. საჭიროა 300 000 ეკიუ და კიდეც კმარა. მაგრამ საქართველოს მეფემ რა ქნა ისეთი, რომ ღირსი გახდეს ამ წყალობისა? ეს ერთი ქრისტიანი მეფეა და, იმის საბუთად, რომ ისიც ღირსია დახმარებისა, ასახელებს ბევრს მეფეებსა, მთავრებს, რომელთაც სხვადასხვა უბედურების დროს შეეწია და კვალად ეწევა ეგოდენის დიდებით მათი უქრისტიანესი ხელმწიფება.

თავისი გულმოდგინებისა და სახიერების გავლენით თუ აწ

ინებებს. ყოვლად ქრისტიანე ხელმწიფე და შეეწევა ამ მეფეს, საუკეთესო საშუალება ამის სისრულეში მოყვანისათვის არის, რომ ინებოს და ერთი თავისი საიმედო პირი გაგზავნოს და მასვე გაატანოს ვახტანგისათვის საჭირო ნივთიერი შემწეობა, რათა იმან შეძლოს სპარსელთა მოწინავე პირთა გულის მოგება; აგრეთვე სპარსეთის მეფეს ერთი წიგნი მისწეროს და სთხოვოს, რომ მან უბრძანოს საქართველოს მმართველებს, რათა ფრანგებს, რომლებიც იქ გაატარებენ თავიანთ საქონელს სპარსეთში წასაღებად, შიში არაფრისა ჰქონდეთ“.

ლუი XIV ცარიელი, გაყინული თვალებით მიშტერებოდა ამ უცხაურ აღმოსავლელს. თითქოს არაფერიც არ გაუგია, რაც იმ მოხსენებიდან წაუკითხეს. მერე თავისვე ხელით შედგენილი საქართველოს რუკა წარუდგინა სულხან-საბამ საფრანგეთის ხელმწიფეს. მაგრამ ისევ გულგრილი, უაზრო თვალები უცქერდა ქართველი კაცის ხელში რუდუნებით გაშლილ „უცხო ქვეყანას“.

იმდღევანდელი აუდიენცია ასე დამთავრდა.

სულხან-საბამ რომის კარდინალთან გაგზავნილი წერილის პასუხი მიიღო. თქვენი თხოვნა პაპს მოვახსენეო, პაპი საფრანგეთის მეფის სახელზე წერილს აგზავნის, თვითონ თქვენის ხელით მიართვით და უეჭველად დაგეხმარებათო.

და მეორედ ითხოვა საბამ მეფესთან შეხვედრა.

ლუი XIV ისევ თავაზითა და პატივით შეეგება იშვიათ სტუმარს. პაპის საშუამდგომლო წერილიც წაიკითხა, მაგრამ ისევ ყველაფერი ამაო გამოდგა. მისიონერებს გამოვგზავნი საქართველოშიო, აღუთქვა მეფემ. ეს იყო და ეს. არც ფულადი დახმარება უხსენებია, არც ყაენთან შუამდგომლობა ვახტანგის დასახმარებლად.

საქმე ის გახლდათ, რომ საფრანგეთისთვის ქართლი არავითარ „პოლიტიკურ ანგარიშს“ არ წარმოადგენდა. უფრო სწორედ — საქართველოს მტრებთან, სპარსეთთან და თურქეთთან, კავშირი და სიახლოვე სჭირდებოდა მაშინ ფრანგთა ხელმწიფეს.

1714 წლის ივნისში სულხან-საბა პარიზიდან იტალიისაკენ გაემგზავრა. ჯერ სავოიის საჰერცოგოში მივიდა. სავოიის ჰერცოგმა ქალაქის მერის ხელით ძღვენი გაუგზავნა და დიდის

მოწიწებით მიიპატიჟა. სულხან-საბამ მადლობა შეუთვალა, მაგრამ პირადად ვერ ეახლა. სავოიიდან გასვლისას, ჰერცოგის ბრძანებით, ქართველი ელჩის პატივსაცემად ზარბაზნები დაა-ქუხეს.

მონაკოს მივიდნენ. იქაურმა მეფემაც მიიპატიჟა, მაგრამ სულხან-საბამ დაღლილობა მოიმიზეზა და მეფესთან სადარ-ბაზოდ, მადლობითა და მოკითხვით, რიშარი გაგზავნა. მეფემ საპასუხოდ თავისი დიდებულები გაუგზავნა დიდი მოსაკით-ხით.

მერე სულხან-საბამ გაიარა მონტე-კარლო, გენუა და მიად-გა მდინარე ტიბრის შესართავს. იქ რომის პაპმა კ ლ ი მ ე ნ ტ ი XI-მ ორი ეტლი შეაგება.

1714 წლის 29 ივნისს ღამით მოვიდა რომში და საცხოვ-რებლად დადგა მონასტერში.

ორი დღე არავის შეუწუხებია სტუმარი. 1 ივლისს საფ-რანგეთის კარდინალი ეწვია. 2 ივლისს ისევ გამოუგზავნა პაპ-მა ეტლი — ჩაბრძანდი, წმინდა პეტრეს ტაძარი მოინახულე და იქიდან მე მეწვიეო.

წავიდა და მოიხილა საბამ პეტრეს ტაძარი — საოცარი ქმნილება ბრამანტესი, მიქელანჯელოსი და რაფაელ სანტისა.

5 ივლისს უკვე პაპთან იყო სულხან-საბა ორბელიანი.

ტკბილად შეხვდა კათოლიკური სამყაროს საჭეთმპყრობე-ლი ქართველ სტუმარს. ღვთის სახელითაც „ნაღდი“ დაპირე-ბები მისცა — უეჭველად მალე დაიხსნის თავს ვახტანგ მეფე „ავი ალაგიდანო“; კიდევ მივწერ საფრანგეთის მეფეს, რათა უშუამდგომლოს ვახტანგს სპარსეთის შაჰთანო. პაპის უმდიდ-რესი საწიგნობელიც დაათვალიერა საბამ. ქართული წიგნე-ბი ეძია, მაგრამ ვერ მოიძია.

პაპმა, მართლაც, გაგზავნა ხელმეორე წერილი ლუი XIV-სთან, და ერთხელ კიდევ მიიწვია საბა სასაუბროდ კათო-ლიკეთა მეუფემ. „მრავალი კაი სიტყვა მიბრძანა — წერს თვითონ სულხან-საბა — თავისი ხელით მიბოძა ძელი ჭეშმა-რიტი, კარგა გაკეთებული. აკატის კრიალოსანი და ოქროთ გაკეთებული და ზედ ოქროს ხატი, ცოდვათ შესანდობლად, ნაწილები წმიდათა. მიბრძანა: მიხარიან რომში დიდი ხმა დაგივარდაო, კარგა იქცევიო და ჭკვიანადო. მრავალი მი-

ლერსა. ნაწილებსა და ჩემს საჯდომ ეტლს გამოგიგზავნი და ისე წადი ეტლით, წმინდა შვიდი ეკლესია მოილოცეო".

ეკლესიებიც მოილოცა, ყოველი ღირსსახსოვარი ძეგლიც მოიხილა და პაპის „სამადლო სკოლაშიც" მივიდა. აქ სხვა ერის ყმაწვილებს ასწავლიდნენ და განსწავლულებს ისევ თავიანთ სამშობლოში აბრუნებდნენ.

აქაურმა ეპისკოპოსმა უთხრა საბას: გთხოვთ, ქართველი ყმაწვილები გამოგვიგზავნოთ, ვასწავლით და ისევ დაგიბრუნებთ საქართველოშიო.

საბას ჯერ ხუმრობა ეგონა, მაგრამ ეპისკოპოსმა მაშინვე დაარწმუნა, — პაპმა მიბრძანა ასეთი თხოვნით მომემართა შენთვისო.

17 აგვისტოს ერთჯერ კიდევ მიიღო პაპმა სულხან-საბა.

ისევ „ტკბილი სიტყვანი".

ისევ ლოცვა და კურთხევა.

ისევ დაპირებანი „ღვთის სახელით" და „ღვთისა მიმართ" ლოცვით და საკმევლის კმევით.

რომიდან ფლორენციას ეწვია. ორჯერ დიდი პატივისცემით მიიწვია და მიიღო გრანდუკამ. თავისი ნავი მისცა და ისე გამოისტუმრა. საგანგებოდ ჩაწერეს საპატიო ქართველი სტუმრის გამოცხადება ფლორენციაში:

„... 11 სექტემბერს მოვიდა ფლორენციაში, ჩამოხდა წმიდა ლუიჯის სასტუმროში, მაგრამ გრანდუკას ბრძანებით, ორი ეტლით წაიყვანეს წმიდა სამების სასახლეში, სადაც მშვენივრად მოწყობილია ყველაფერი ამისთანა სტუმრებისათვის. ეს 60 წლისა არის, მაღალი ტანისა, მხნე და ძლიერის აგებულებისა, მშვენიერი სახე აქვს და თეთრ-მოწითალო ფერის; ერთ მტკაველზე მეტი წვერი აქვს, რომელიც ძალიან უხდება... 20 სექტემბერს, თავის მხლებლებით წავიდა ფლოენციიდან მათი ხელმწიფობის საგანგებო ნავით".

მერე იყო პიზაში, გალილეის მშობელ ქალაქში, ინახულა განთქმული „დახრილი კოშკი." შემდგომ — ლივორნო, პალერმო, მალტა.

აქ ქართველი ტყვეები იხილა „საქართველოს მამამ": თურმე მალტელებს წაერთმიათ თურქებისათვის საბაზროდ დაბორკილი ქართველები...

1715 წლის 17 იანვარს სტამბოლს მოაღწია. წელიწადზე

მეტ ხანს დარჩა სტამბოლში. განუწყვეტელი მიმოწერა ჰქონდა პარიზთან, რომთან, საფრანგეთის საელჩოსთან. რომის პაპს უკვე ამოერჩია საქართველოში გასაგზავნი მისიონერები; საფრანგეთის მეფე კისრულობდა მათ დაფინანსებას. რიშარი სპარსეთის ელჩად უნდა დაენიშნათ და მას უნდა გამოეთხოვა შაჰისთვის ვახტანგის მობრუნება საქართველოში. მაგრამ ლუი XIV მოკვდა და მისი „მეფური დაპირებებიც“ უკანმოუბრუნებლად წაჰყვა სამარეში.

სულხან-საბა სტამბოლში გაეცნო და დაუახლოვდა ახალგაზრდა სწავლულსა და მოგზაურს იოსებ ქართველს (აბესალამაშვილს)...

1716 წლის მაისში სტამბოლიდან წამოვიდა და, საშინელი ტანჯვა-წამებით, თუ ზღვით, თუ ხმელით, ივლისში ძლივს ჩამოიტანა ქართლში აფორიაქებული სული და გვემული სხეული...

სულხან-საბა ორბელიანის „ევროპული კალმასობის“ შემდეგ, საქართველოს დახსნის „ევროპულმა გზამ“ თავი შეირცხვინა ვახტანგის თვალში. და ისიც ადგა, შაჰს ეახლა და, ქართლის ტახტის მიღების საფასურად, მაჰმადიანობის მიღებაზე თანხმობა განაცხადა. უსაზღვროდ გაიხარა ჰუსეინ შაჰმა, ვახტანგი „თათრულად მოანათვლია“ და ერთად მიართვა ქართლის მეფობაც, სპარსეთის ჯარების მთავარსარდლობაც და თავრიზისა და ბარდის ბეგლარბეგობაც.

და იმეფა ვახტანგ მეექვსემ საქართველოში 1716 წლიდან 1724 წლამდე. ხოლო, 1724 წლის ივლისში ვახტანგ მეფე სამუდამოდ წავიდა რუსეთს.

მიდიოდა და მიჰყავდა ოჯახი, ცოლი და შვილები, ძმები და ძმისწულები.

მიდიოდა და მიჰყავდა უსაჩინოესი მამულიშვილნი, „ქართველნი ყოვლის სახლიდამ და კახნიცა მრავალნი“, სულ 1 200 კაცი, „უმეტეს დედა-წულითურთ“.

მიდიოდა და მიჰყავდა სულხან-საბა ორბელიანი. მალე შეუერთდებათ დავით გურამიშვილი.

მიდიოდა და მიჰყავდა ყველა სარდალი, ყველა უმაღლესი საერო კარისკაცი და სასულიერო მოწესე-მოძღვარი — ეპისკოპოსნი, სახლთუხუცესნი მანდატურნი, „სხვანი და სხვანი“, უწარჩინებულესი გვარიშვილნი.

ასე გაეცალნენ ყველაზე დიდი მოჭირნახულენი ჭირში ჩავარდნილ ქართლს.

პეტრე პირველთან მიდიოდა ვახტანგ მეფე, ისე მიდიოდა, როგორც მესიასთან და... ცარიცინს რომ მიაღწიეს, პეტრეს სიკვდილი შეიტყვეს. მაგრამ მაინც განაგრძეს გზა მოსკოვისკენ...

ჯერ ვსესვიატსკოეს „ქართულ მიწას“ მიადგნენ ქართველები. სიხარულის ცრემლთა ფრქვევით გამოეგებათ დარეჯან არჩილის ასული, „დედა“ და „მოძღვარი“ მოსკოველი ქართველებისა. ერთმანეთს შეხვდნენ ქართველები — ახლად გადახვეწილნი და გადახვეწილობაში ჟამმონათევნი — „და შეიტკბნენ ფრიად“.

და იმ „ტკბობის ჟამს“ ერთბაშად დიდი წუხილი ეწვიათ „სესენცკელ ქართველებს“: გარდაიცვალა სულხან-საბა ორბელიანი. ზოსიმე ბერმა მიაწერა საბას ლექსიკონს: „საბა მიიცვალა ქრისტეს აქეთ ჩღკე (1725), იანვარსა კვ (26), მწუხრს, დიდს მოსკოვს, სესენცკას, ბატონის არჩილ მეფის სასახლეში და იმავ საყდარს დაემარხა ბრძანებითა და მრავლის ხარჯითა და თანა-წაყოლითა და დიდის პატივითა ბატონიშვილის დარეჯანისათა“.

„ფრიად მაშვრალი მუშაკი, მოკვდა, დაეფლა რუსთ ველსა“, — სთქვა მისმა ძმამ, დიმიტრი ორბელიანმა.

ქართულ მიწაში დამიწება არ ეღირსა საქართველოს ძამას და მოძღვარს.





ანთიმოზ ივერიელი

ახტანგ მეექვსის კიდევ ერთი საყვარელი ადამიანისათვის საბედისწერო გამოდგა 1716 წელი.

მან ისტორიაში დაივანა ანთიმოზ ივერიელის სახელით.

დაიბადა დასავლეთ საქართველოში, 1650 წელს.

ყრმობის სახელი — ანდრია.

მამა — ივანე (ან იონა).

დედა — მარიამი.

გვარი — დღემდე არავინ იცის.

თექვსმეტი წლის ბიჭი მოიტაცეს თურქებმა.

ჰყიდნენ სტამბოლში, მონათა ბაზარზე.

ბიჭი იყიდა იერუსალიმის პატრიარქმა დოსითეოსმა.

იერუსალიმის საპატრიარქო მაშინ სტამბოლში იყო და ოცდასამი წელიწადი აქვე დარჩა ანდრია.

ალბათ, იმჟამად დაერქვა ახალი სახელი — ანთიმოზ.

იგი უთარგმნიდა საქართველოს კათალიკოსის წერილებს იერუსალიმის პატრიარქს და უდგენდა საპასუხო ეპისტოლეებს ქართულ ენაზე, საქართველოში გამოსაგზავნად.

საოცარი ნიჭიერება და მისწრაფება გამოაჩნდა სწავლა-განათლებისადმი, ბრწყინვალედ შეისწავლა საღვთისმეტყველო და საერო ლიტერატურა, ფილოსოფია, რიტორიკა და ხელოვნების დარგები. სრულად დაეუფლა ბერძნულ, არაბულ და თურქულ ენებს. იშვიათი ჟნარი ჰქონდა ძერწვისა, ქვაზე და ხეზე მკვეთელობისა, ოქრომჭედლობისა, მხატვრობისა, კალიგრაფიისა, ხუროთმოძღვრებისა, სასტამბო ხელოვნებისა.

1690 წელს ვალახეთის მთავარმა კონსტანტინე

ბრინკოვიანუმ, რუმინეთის დიდმა კულტურულმა რეფორმატორმა, წაიყვანა ანთიმოზი სტამბოლიდან ბუქარესტში. წაიყვანა, რამეთუ მისი ხალხისა და ქვეყნისათვის მოეხმარა ამ საოცარი ქართველი კაცის მრავალმხრივი განათლება და ოსტატობა.

ვალახეთში ანთიმოზი მალე დაეუფლა რუმინულ და საეკლესიო სლავურ ენებს.

1691 წელს ანთიმოზ ივერიელმა ბუქარესტში დააარსა სტამბა და იმავე წელსვე დაბეჭდა პირველი წიგნი, გადმოთარგმნილი ძველბერძნულიდან ახალ ბერძნულ ენაზე — „შეგონებანი ბასილი მაკედონელისა თავისი ძის ლეონისადმი“. ამას მოჰყვა „ბერძნულ-რუმინული ლიტურგია“ და „ფსალმუნი“. ყოველი წიგნი გაწყობილი იყო დიდი ოსტატობით, მაღალი გემოვნების სამკაულებით, გრავიურებით, თვითონ ანთიმოზის ნახელავებით.

1694 წელს ანთიმოზი გადავიდა სნაგოვს, ბუქარესტიდან ოცდახუთმეტ კილომეტრზე. აქ ტბაზე და კუნძულზე ნახევრად დანგრეული და დავიწყებული მონასტერი იყო. ანთიმმა (ასე ეძახდნენ მას რუმინეთში) მონასტერი აღადგინა და იქვე დააარსა ახალი სტამბა.

სულ მალე სნაგოვი ქვეყნის დიდი კულტურული შუაგული შეიქნა. აქ იბეჭდებოდა წიგნები ბერძნულ, რუმინულ და არაბულ ენებზე. სტამბის გვერდით ანთიმოზმა ტოპოგრაფიული სკოლაც გახსნა. სასულიერო სამსახურიც მას ებარა, ვითარცა სნაგოვის მონასტრის იღუმენს.

მაგრამ ანთიმოზსაც მალე აედევნა მარადიული მტერი მაღალგონიერი კაცისა და მოღვაწისა — შურის!.. არავინ იცის, როგორ და რანაირად, მაგრამ მოახერხეს კი მის მიმართ მეუფის გულისწყრომის გამოწვევა. და ანთიმოზი იძულებული გახდა სნაგოვი დაეტოვებინა. იგი ასეთ წერილს სწერს კონსტანტინე ბრინკოვიანუს: „...სნაგოვის მონასტერიც ძალით არ ჩამიგდია მე ხელში. ეს შვიდი წელიწადი, როცა მე იქ ვმუშაობდი, ბევრი რამ სასიკეთო გამიკეთებია ჩვენს სავანეთა საკეთილდღეოდ (გამიკეთებია არა სახლის რაიმე შემოსავლებით, არამედ ჩემი სახიდანვე ჩამოქცეული ოფლით. ჩემს შესახებ ჩემი საქმენი მეტყველებენ). და თუმცა თქვენს უდიდებულესობას არ სურდა იქიდან ჩემი წამოსვლა, მაგრამ

დარჩენაც არასგზით აღარ შემეძლო, ხოლო ვისაც ეს სურდა, დაე ღმერთის წინაშე აგოს პასუხი. მიუხედავად ყოველივე ამისა, მე იქიდან წამოველ სუფთა პატიოსნებით, თუმცა არავის მადლობა არ უთქვამს ყოველივე იმისათვის, რაიც მე გავაკეთე და დავამატე ჩვენი სავანის დიდებამოსილებისათვის. მე არაფერი არ გამიფუჭებია და, ღმერთი ჰხედავს, არც ვალები არ დამიტოვებია".

ბრინკოვიანუ მალე მიხვდა, რომ ანთიმოზ ივერიელისადმი მისი გულისწყრომა უსაფუძვლო იყო.

1705 წელს ანთიმოზი განაწესეს რიმნიკის ეპისკოპოსად.

ჩასვლისთანავე რიმნიკში სტამბა გახსნა ივერიელმა.

მანამდე რუმინეთში საეკლესიო სამსახური ან სლავურ ენაზე წარმოებდა, ან ბერძნულ ენაზე. და აი, ანთიმოზ ქართველი გახლდათ პირველი, რომელმაც გადაწყვიტა წირვა-ლოცვა და სასულიერო თუ საერო წიგნის კითხვა ხალხისთვის მშობლიურ რუმინულ ენაზე შემოეღო. ამისთვის უპირველესად ყოვლისა საჭირო იყო წიგნებით თარგმნა და ბეჭდვა რუმინულ ენაზე. და ყველაფერი ეს გააკეთა ისევ ანთიმოზ ივერიელმა: შექმნა სტამბა რუმინულ ენაზე, თარგმნა და ბეჭდა რუმინულ ენაზე, დაიწყო სასულიერო-საეკლესიო სამსახური რუმინულ ენაზე.

ეს სწორედ რომ დიდი კულტურულ-ეროვნული რეფორმა იყო.

1708 წელს ანთიმოზ ივერიელი შეიქნა სრულიად ვლახეთ-რუმინეთის ეკლესიის უმაღლესი საჭეთმპყრობელი — მიტროპოლიტი.

მიტროპოლიტად კურთხევის დღეს ანთიმოზ ივერიელმა წარმოთქვა ბრწყინვალე სიტყვა რუმინულ ენაზე.

ანთიმოზი ნამდვილი სასულიერო მამა შეიქნა რუმინელი ხალხისა.

ყველაზე მძაფრად თურქული მბრძანებლობის სიმწარეს განიცდიდა თურქთაგან მოტაცებული და თურქთაგან გაყიდული ქაცი. ორივე სამშობლო — საქართველოც და რუმინეთიც — ერთნაირი უღლის ქვაშ ეგულებოდა დიდ მამულიშვილს, ამიტომ რუმინეთის გათავისუფლებისათვის ბრძოლა საქართველოსთვის ბრძოლის წყურვილს ურწყულებდა საქართველოდან გადაკარგულ ქაცს.

პატარა რუმინეთს დიდ თურქეთთან ბრძოლა ძალიან უნდა გასჭირვებოდა. ამიტომ ანთიმოზ ივერიელი „ერთმორწმუნე რუსეთთან“ და მის ხელმწიფე პეტრე პირველთან კავშირს მოუწოდებდა რუმინეთის სახელმწიფო მესვეურებს.

1711 წელს, თურქეთსა და რუსეთს შორის ატეხილ ომში, პრუტზე გამართული ბრძოლის დროს, ანთიმოზ ივერიელმა აიძულა რუმინელი სარდალი თომა კუზინო, თავისი ჯარით რუსთა მხარეზე გადასულიყო.

ამან განარისხა კონსტანტინე ბრინკოვიანუ, როელსაც ამ ომში თურქთა მხარე ეჭირა. ისევ ისარგებლეს მოშურნე ლაყეთავიანებმა და შეუჩნდნენ ბრინკოვიანუს, მოიშორე თავიდან „ეგ უცხოელიო“.

1712 წელს ანთიმოზს ბრინკოვიანუმ კაცი გაუგზავნა და მიტროპოლიტობიდან თავისი ნებით გადადგომა ურჩია. ყველაზე მძიმე ბრალდებად ანთიმოზს წაყენებული ჰქონდა „მთავრის ინტერესთა ღალატი“ და „უცხოური წარმომავლობა“.

ანთიმოზმა ორჯერ გაუგზავნა წერილი ბრინკოვიანუს. პირველი ბრალდების უსაფუძვლობა ადვილად დაასაბუთა, მეორეს კი რას მოუხერხებდა — აკი მართლა უცხოელი იყო!

და თვითონვე ითხოვა მიტროპოლიტობიდან გადადგომა.

კონსტანტინე ბრინკოვიანუ ისევ მიხვდა თავის უსამართლო განჩინებას და ისევ აიღო ხელი ივერიელის „დევნაზე“.

თურქებმა ზედიზედ სიკვდილით დასაჯეს კონსტანტინე ბრინკოვიანუ და სტეფან კანტაკუზინო და მათ ნაცვლად მთავრად დანიშნეს მავროკორდატი, თურქთა ყურმოჭრილი მონა და რუსეთის დიდი მოძულე.

ეს დიდი უბედურება უნდა ყოფილიყო უპირველესად ყოვლისა ანთიმოზ ივერელისათვის.

მას ჟამსვე ატყდა ომი თურქეთსა და ავსტრიას შორის. რუმინეთის მიტროპოლიტი, ანთიმ ივერიელი, თურქეთის მტრად დარჩა. მავროკორდატი უწყალოდ გაუსწორდა ანტითურქული მოძრაობის მეთაურებს. მისი ბრძანებით ანთიმ ივერიელი, ვითარცა „რევოლუციონერი და მოაჯანყე“, გადაყენებული იქნა მიტროპოლიტის ტახტიდან და მიესაჯა სამუდამო გადასახლება სინას ნახევარკუნძულზე, წმიდა ეკატერინეს მონასტერში.

მიტროპოლიტის მიტრა მოჰხადეს და მისთვის ყველაზე

საძულველი თავსარქმელი — თურქული წითელი ფესი დააკოსეს. ბორკილები დაადეს, საბარგულზე დააგდეს და იანიჩარებით გარშემორტყმული სამხრეთისაკენ გაუყენეს.

მაგრამ გადასახლების ადგილამდე მიყვანით არ შეუწუხებიათ თავი. ადრიანოპოლს რომ მიუახლოვდნენ, ანდრია ქართველი (მას უკვე აღარ ეძახდნენ ანთიმოზს) თურქმა იანიჩარებმა ხმლებით დაჩეხეს, დააფეშხოვეს და ნაწილ-ნაწილად მდინარე დაუჩიაში ჩაუშვეს.

ეს მოხდა 1716 წლის 12 სექტემბერს.

ასე აღესრულა კიდევ ერთი ქართველი, სამშობლოდან ?წარე და ბოროტი ბედისწერის წყალობით გადაკარგული, „უცხო ხალწის“ ეროვნული ისტორიის მჭედელი, განმანათლებელი, სულიერი და სარწმუნოებრივი მოძღვარი, რეფორმატორი და „რევოლუციონერი“, ვახტანგ მეექვსის თანამდგომი („თანამესტამბე“) მისი სვეგამწარებული სამშობლოს სულიერი აღზევებისათვის ბრძოლაში.



კრწანისელები

და მას დღესა შიხა იქმნა ძლევაი
გლოვად ყოველთა ერთა.

მეფეთა მეორე წიგნი

ლები წლებს მისდევდნენ და სისხლის ავდარი არ იქნა და არ ჩადგა საქართველოს ცის ქვეშ. ამასობაში ირანში გამართული შინაური ომებიც გათავდა და უმაღლესი ხელისუფლება ხელთ იგდო ენერგიულმა საჭურისმა, ტომით ყაჯარმა, აღა-მაჰმად-ხანმა, რომელმაც ერეკლეს რუსეთთან ხელშეკრულების გაუქმება და ირანთან „მეგობრობა“ და „დოსტობა“ შემოსთავაზა. ეს „თხოვნა“ აღა-მაჰმად-ხანმა ქართველ მეფეს რამდენჯერმე გაუმეორა. ერეკლემ არცერთზე პასუხი არ აღირსა და ყოველთვის ყოველივე, „როგორც წესი“, რუსეთის ხელისუფლებას აცნობა. რუსეთის წარმომადგენელმა, კავკასიის ჯარების მთავარსარდალმა გუდოვიჩმა ერეკლეს გაფრთხილებანი, მტრის მოსალოდნელი შემოსევის შესახებ, პრაქტიკულად ყოველთვის უყურადღებოდ დატოვა.

ამასობაში „დიდმა საჭურისმა“ თავრიზსა და არბედილში 70 000 მეომარს მოუყარა თავი. ყველაზე ადრე ერეკლეს უღალატა და აღა-მაჰმად-ხანს მიემხრო განჯის ხანი ჯავათი, ტფილისში გაზრდილი მუსლიმანი, გიორგი ბატონიშვილის „ახლო დოსტი“. ჯავათ-ხანს მალე მიჰყვნენ შაქის, დარუბანდისა და ბაქოს ხანები.

საჭურის-მბრძანებელს მორჩილებაზე და დახმარებაზე უარი შეუთვალეს დაღესტნის ხანებმა, მათ შორის ომარ-ხანმა, და ყარაბაღის ხანმა იბრეიმმა. ეს უკანასკნელი აღა-მაჰმად-ხანთან პირდაპირი ბრძოლის გზას დაადგა, თავის სატახტო ქალაქ შუშაში ჩაიკეტა და მტრის შესახვედრად გაემზადა.

აღა-მაჰმად-ხანმა ერეკლეს საგანგებო ელჩის ხელით ახალი ბარათი გამოუგზავნა: ურჩი ყარაბაღელი ხანის დასასჯელად მივეშურები და შენი ერთ-ერთი შვილის სარდლობით დაუყოვნებლივ ქართველთა ჯარი მომაშველეო. ეს საჭურისის უკანასკნელი ცდა იყო: ბოლოს და ბოლოს, ირანის მბრძანებელის „დოსტობის“ უარმყოფელი გურჯი ხელმწიფე მოეგებოდა თუ არა გონს და სცნობდა თუ არა თავისი ქვეყნის კისრად ისლამის უღელს?

ერეკლემ კი არც აცივა, არც აცხელა, და აღა-მაჰმად-ხანის ელჩი სატუსაღოში ჩააგდო. მერე, ჯარი მართლაც შეჰყარა და მართლა უსარდლა თავისი ერთ-ერთი შვილი, ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, მაგრამ გაგზავნა არა აღა-მაჰმად-ხანის საყმოდ, არამედ მის წინააღმდეგ, ყარაბაღელთა და ერევნელთა მისაშველებლად.

მაშ, ერეკლე მეფე ირანთან აშკარა ომის გზაზე შედგა!

და, რასაკვირველია, რუსეთის იმედად...

...1795 წლის მაისის ბოლოს აღა-მაჰმად-ხანი თავრიზ-არდებილის ხაზიდან სამ ნაკადად დაიძრა და წავიდა. მარცხენა ნაკადი ერევნისკენ გაგზავნა, მარჯვენა — შირვან დაღესტნისკენ, ხოლო შუაგული ჯარებით თვითონ საჭურისი ყარაბაღის მთავარი ქალაქის, შუშისაკენ წარემართა. შუშა მედგრად დაუხვდა მტერს, მაგრამ შიმშილით განაწამები მალე უნდა დაცემულიყო. ამ დროს ქართველთა ჯარიც გამოჩნდა და ყარაბაღელებს იმედი განუმტკიცდათ. 16 აგვისტოს ალექსანდრე ბატონიშვილისა და იბრეიმ-ხანის გაერთიანებული ლაშქარი ერთ ვიწრო ხეობაში ირანელთა 8 000-იან მხედრობას შეხვდა და სასტიკად დაამარცხა. მაგრამ ქართველთა ამ „ქართულ გმირობას“ ომის მსვლელობაში არავითარი ცვლილება არ შეუტანია. შუშა და ერევანი დღეს თუ ხვალ უნდა დაცემულიყვნენ.

ერეკლემ, რუსთა დახმარების „მარადიულ იმედთან“ ერთად, საკუთარი ძალების შეკრებაც დაიწყო. მის მოწოდებაზე იმერეთიდან 2000 მეომრით გადმოვიდა მეფე ს ო ლ ო მ ო ნ შ ე ო რ ე. ამდენივე, თუ ცოტა მეტი, თვითონაც შეჰყარა ერეკლემ, და ასე, დაახლოებით 4 500 მეომრით ქართველი მეფეები ტფილისიდან შუშისა და ერევნისაკენ გაეშურნენ. ყაზახს რომ მიატანეს, აქ იბრეიმ-ხანს ყარაბაღელის წერილი

შემოაგებეს. აღა-მაჰმად-ხანი თავისი მხედრობით და არტილერიით უკვე წამოვიდა საქართველოსკენო, — იტყობინებოდა იბრეიმი. ეს წერილიც ერეკლემ მაშინვე რუსეთში გაგზავნა და ისევ სასწრაფო დახმარება შეახსენა სანკტ-პეტერბურგს.

აღა-მაჰმად-ხანი კი 35 000 მეომრით საქართველოსკენ მოჰქროდა...

4 სექტემბერს ქართველები ყაზახიდან გამობრუნდნენ. ერეკლემ „გატეხილ ხიდთან“ ასი მეომარი დატოვა, დანარჩენები კი, სოლომონთან ერთად, ფონიჭალას მოიყვანა. 7 სექტემბერს ერეკლემ სამხედრო თათბირი შეჰყარა. მაგრამ ვაი ამისთანა „შეყრას“: მეფის მალემსრბოლებს მთელი ქართლ-კახეთი შემოევლოთ და... 2 500 მეომარზე მეტი ვერ შეეკრიბათ!

ტახტის მემკვიდრე გიორგი ბატონიშვილიც კახეთში უქმად დამჯდარიყო და მტერთა მზარავი კახთა ლაშქარიც საქართველოს სატახტოს საშველად ფეხის დაძვრასაც არ აპირებდა. ამიტომაც „იყო ფრიად მწუხარე მეფე ირაკლი დიდად სიმცირისათვის სპათასა“...

7 სექტემბერს, დილას, ირანელთა მეწინავე ჯარი „გატეხილ ხიდს“ მოადგა. აქ, ერეკლესგან დატოვებული ასი ქართველი მყისვე შეება მტერს. ოთხი საათი გაგრძელდა ჩეხვა. აღა-მაჰმად-ხანმაც მოუსწრო სრული ძალებით. განახევრებულმა ქართულმა გუნდმა გაცლა ამჯობინა. 50 ქართველისა და 200 ყიზილბაშის გვამებზე გადმოიარა მუსილმანურმა ურდომ.

8 სექტემბერს ერეკლემ ფარეშთუხუცესს, გორჯასპი ნათალიშვილს, თორმეტი კაცი ჩააბარა და მტრის დასაზვერავად გაგზავნა, თვითონ კი ფონიჭალიდან ტფილისს მივიდა.

ტფილისიდან ოც ვერსზე, იაღლუჯას მთის ფერდობზე, ქართველი მზვერავები უეცრად მტრის რჩეულ ჯარს გადააწყდნენ და, უკუქცევის ნაცვლად, მყისვე იერიში მიიტანეს. ირანელები გააოგნა ათიოდე კაცის საოცარმა თავზეხელაღებულობამ. თითქოს ყველა ქართველი საგანგებოდ ეძებდა სიკვდილს. გამორჩეული შემმართებლობით იბრძოდა დავით თარაშვილი, რომელმაც შვიდი ირანელი დააწვინა და მას უკან თვითონაც დაეცა. დაეცა ყველა, საარაკო სიმამაცით.

მხოლოდ ერთმა სცნო საჭიროდ სიკვდილისგან გაღწევა და ისიც იმიტომ, ჰეფეს თავის დროზე სცნობოდა მტრის მოახლოება და ადგილსამყოფელი. ეს იყო თვითონ გორჯასპი ნათალიშვილი, რომელმაც ხმლის უკანასკნელი მოქნევით უახლოესი ირანელი უნაგირიდან ჩამოაგდო, მოკლულის ცხენს თვითონ მოახტა და ტფილისისკენ გაქუსლა. მეფეებმა უკვე იცოდნენ მტრის მოძრაობის გეზი და ადგილსამყოფელი.

იმავე 8 სექტემბრის მიმწუხრს მეგზურებმა, იაკობ ბებუთოვმა და ჯავათ-ხან განჯელმა, მტერი ფონიჭალას მოიყვანეს. მტრის ურდო ტფილისიდან ხუთ ვერსზე ითევდა ღამეს.

9 სექტემბერს სისხამზე ადგნენ და ტფილისისაკენ წამოვიდნენ. ნახევარ საათში, შავნაბადას მთის ძირში, ირანელები ქართველთა სანგრებს წააწყდნენ. ჩასაფრებულებს სარდლობდა ერეკლეს მამაცი შვილიშვილი, დავით გიორგის ძე ბატონიშვილი. დავითის ბრძანებით, ქართველებმა მტერი ჯერ ახლოს მოუშვეს და ტყვია დააყარეს, მერე ხმალამოწვდილნი სანგრებიდან ამოცვივდნენ და მძლავრი ყიჟინით შეებნენ. ირანელთა პირველი მწკრივი ჩაიქეცა და ჩაწვა. მომდევნონი შედრკნენ და უკუიქცნენ. აღა-მაჰმად ხანმა ახალი ჯარები შემოუქცია ბრძოლას. უარესად გახელდნენ ქართველნი. ისევ უკუიქცნენ ირანელნი. გაცოფდა აღა-მაჰმადი. მაღლობზე შეაგდო ცხენი, ხელი ქართველებისკენ გაიწვადა და დასჭყივლა თავისიანებს: „აჰა, შეხედეთ, რანი ყოფილან ქართველნი, ერთი მუჭა ბედშავნი! მიდით, მივაწვეთ, მტკვარში ჩავყაროთ, ჩავკაფოთ, ჩავახრჩოთ!“ და შეუტია სრული მხედრობით. სასტიკ ხმალთაკვეთებას მიცემულმა დავით ბატონიშვილმა ერეკლესაგან ასკაციანი მაშველი მიიღო. თან მეფე ბრძანებდა შეტევაზე ხელი აეღოთ და ისევ სანგრებს დაბრუნებოდნენ, რადგან მისთვის ერთი მეომრის დაკარგვა უფრო საბედისწეროდ აუნაზღაურებელი იყო, ვიდრე აღა-მაჰმად-ხანისთვის ასი მეომრისა.

ქართველებმა შეტევით მოპოვებული მიწა ნაბიჯ-ნაბიჯ უკანდახევით გადაიარეს და ისევ თავის სანგარ-სიმაგრეებში ჩაესაფრნენ.

სრულად ამოვჟლიტოთ ქართველებიო. ბრძანა საჭურისმა და კარგა ხანს უშენდნენ ზარბაზნებსა და ზამბულაკებს ირა-

წელები ქართველთა სანგრებს. დავით ბატონიშვილის ბანაკი სავსებით დადუმებულიყო. ამოწყვეტილანო, გადაწყვიტა აღა-მაჰმად-ხანმა და ბრძანება იერიში. მაშინვე გაქანდნენ საშინელი ღრიალით ირანელთა ათასეულები ქართველებისკენ. ისევ ერთბაშად დაიგრიალეს ქართულმა თოფებმა. ტყვიამ ისევ დააწვინა ირანელთა მეწინავენი. ისევ ელვასავით ამოიჭრა სანგრიდან ხმალ-ღმართული დავით ბატონიშვილი. დანარჩენებიც მიჰყვნენ და ისევ საოცარი თავგანწირვით მიეტევნენ მტერს. ირანელებმა სიკვდილის ხაზზე რამდენიმე ასეული მკვდარი და დაჭრილი დატოვეს და კვლავ უკუიქცნენ. გამოედევნენ ქართველები, მაგრამ ისევ დაეწიათ ერეკლეს ბრძანება: დევნას მოეშვით და სანგრებს დაუბრუნდითო. ისევ შიშობდა მეფე, ცბიერმა შაჰმა შორს არ გაიტყუოს და გარშემორტყმით არ მომისპოს მცირე ლაშქარიო. ისევ შემობრუნდნენ და სანგრებში ჩაესაფრნენ ქართველები. აღა-მაჰმად-ხანმა მესამედ ბრძანა იერიში. ბრძოლაში ჩაებნენ მისი ყველაზე სანდო და ძლიერი თურქმან-თარაქამული რაზმები. მესამე შერკინება უფრო სასტიკი და სისხლდამდინარი შეიქნა. ქართველებმა ისევ სძლიეს რიცხვით უაღრეს უპირატეს მოპირდაპირეს, მაგრამ უკუქცეულ მტერზე გამოდევნება ისევ ფრიად სახიფათოდ რჩებოდა მცირერიცხოვან მძლეველთათვის.

დაღამდა. ბრძოლა შეწყდა. აღა-მაჰმად-ხანი ბანაკში დაბრუნდა და საგონებელს მისცა თავი. მან ისევ არ იცოდა, რა ერქვა მის ბრძოლას — ვის ებრძოდა იგი ამ დღეს — ქართველთა სრულ მხედრობას, თუ მხოლოდ მის ნაწილს, ან რა ძალა ჰქონდა და რა ამხნევებდა ამ ერთ მუჭა ხალხს, ან იქნებ სულაც არ იყო იგი „ერთი მუჭა“? იქნებ მართლაც სადმე დგას, ან უკვე მოეშურება „სახელოვანი ერეკლე-ხანის დიდი ლაშქარი“, „ასი ათასი თუ ოთხმოცი ათასი, როგორც გაიძახიან აქა-იქ? ან, ვინ იცის რამდენი ქართველი და მისი მოკავშირე ჩასაფრებულა ამ უთვალავ ხევხუვებში? რუსები? ლეკები? (ლეკებიც ქართველთა მხარეზე იომებენ ირანელთა წინააღმდეგო, — ამბობდნენ მაშინ)...

და იმ ღამით აღა-მაჰმად-ხანმა იდუმალ 5 000 მეომარი გაგზავნა შავნაბადზე, ყარაბაღელი მ ე ლ ი ქ-მ ე ჯ ნ უ მ ი ს სარდლობით (მელიქ-მეჯნუმმაც, ჯავათ-ხან განჯელისა და იაკობ ბებუთოვის მსგავსად, კარგად იცოდა ტფილისიც და მასზე მი-

მავალი გზებიც). ამას შაჰისგან ნაბრძანები ჰქონდა, დილით ადრე შავნაბადას ფერდობებიდან მოულოდნელად თავს დასხმოდა ქართველთა ლაშქარს და სრულად გაეწყვიტა იგი.

ქართველ მზვერავებს მტრის ძალთა გადაჯგუფება არ გამოჰპარვიათ და ერეკლემაც საპასუხო სვლით უპასუხა. დავით ბატონიშვილი ღამითვე, მტრისგან იდუმალ, წინადღის სიმაგრიდან მოხსნა და ერთი ათასეულით და ექვსი ზარბაზნით უკიდურეს მარჯვენა კერძზე, შინდის-ტაბახმელასკენ გაგზავნა. ხოლო შავნაბადას ბოლოში, იგივე წინადღის ნაომარ ხაზზე, კვლავ დარჩა ხუთასი ქართველი, დავითის უმცროსი ძმის, ი ო ა ნ ე გიორგის ძე ბატონიშვილის მეთაურობით.

10 დეკემბერიც გათენდა. აღა-მაჰმად-ხანისა და მის ყურმოჭრილ თანასარდალთა აზრით სწორედ ამ დღეს უნდა გარკვეულიყო საბოლოოდ „ეშმაკზე ადრე დაბადებული ერეკლე-ხანის“ იდუმალი საომარი ზრახვანი, და კიდევ — მარტო იყვნენ თუ არა ქართველები, რამდენი იყვნენ, მარტონი თუ მოკავშირეთა ძალებით გამძლავრებულნი. ყველაფერი ეს უნდა შეეტყოთ და იმავე დღესვე მთელი ლაშქრობის ბედიც გადაეწყვიტათ: ან გაემარჯვნათ ან და, უკეთუ ქართველებთან ერთხელ კიდევ „ქართულ მეომრულ სიგიჟეს“ წააწყდებოდნენ — როგორმე ბრძოლის ველს ნაკლებ ხელმარცხიანად გაჰყროდნენ და ისედაც არეული „ირანული ზურგისთვის“ დროზე მიეხედათ.

მაშ, გათენდა ორშაბათ-დილა 10 სექტემბრისა. მელიქ-მეჯნუმმა თავისი ათასეულები თოთხმეტ რაზმად დაჰყო და შავნაბადას ფერდობიდან დაეშვა, რათა ზურგიდან დასცემოდა მთის ძირში ჩასაფრებულ იოანე ბატონიშვილს. ირანელებმა მდინარე ტაბახმელა, ანუ კრწანისის ხევი გადაიარეს და, ის იყო შინდის-ოძრახევს მიადგნენ, რომ უეცრად შინდის-ტაბახმელას მხრიდან ზარბაზნებმა დაიგრიალეს. ეს დავით ბატონიშვილი იყო. არტილერიის ცეცხლს ქართველთა ყიჟინა და იერიში მოჰყვა. დავით ბატონიშვილს ერეკლემ იმერთა და ქართლელთა რაზმებიც მიაშველა — ზურაბ წერეთლის, ოთარ ამილახორის, ზაქარია ანდრონიკაშვილისა და იოანე მუხრან-ბატონის სარდლობით. ქართველებმა ირანელთა უმრავლესობა კრწანისის ხევხუვებში ჩახოცეს. თვი-

თონ მელიქ-მეჯნუმმა ძლივს გაასწრო დავით ბატონიშვილის სმალს.

მაშ, იყო დღე ორშაბათი, 10 სექტემბერი 1795 წლისა — დღე ქართველთა უკანასკნელი გამარჯვებისა...

ხოლო გააზრება აღა-მაჰმად-ხანისა მაინც ეს იყო: აგერ მეოთხე დღეა, რაც იგი ქართველებს ხმალ-და-ხმალ ხვდება და არც ერთი დღე მის სასარგებლოდ არც გათენდა და არც დაღამდა. ისიც აშკარად ჩანს, რომ ქართველების „ცბიერ ხანს“, „ეშმაკზე ადრე დაბადებულს“, ჯერ მთავარი ძალები ბრძოლის ველზე არც გამოუყვანია. თვითონაც ხომ ჯერ არსად გამოჩენილა მუდამ ბრძოლის წინა ხაზზე მონავარდე ქართველი ხელმწიფე! უეჭველია, მომდევნო დღისთვის რაღაც ძალიან დიდსა და სახიფათოს ამზადებს ქრისტიანთა „ცბიერი ხანი“, ანუ „ბებერი ლომი“ არა, ჭეშმარიტად არ ხერხდება დიდი ნადირ შაჰის გაზრდილის დამარცხება; აქამდეც ხომ არასდროს დამარცხებულა. უკან, ზურგშიც, ყარაბაღსა და სომხეთში, ომი ჯერ ხომ არ დაუმთავრებია აღა-მაჰმად-ხანს. ალბათ ირანშიც შაჰინ-შაჰობის მაძიებელნი ოცნებობენ, რათა ალლაჰის მადლით და ერეკლე მეფის ხმლის წყალობით, იხილონ და ქვეშ ამოიდონ მარცხნაჭამი ყაჯართ ბელადი.

მაშ, აღა-მაჰმად-ხანს ყველა პირობის მიხედვით, სანამ გვიან არ იყო, უნდა გადაეწყვიტა საქართველოდან წასვლა. ყოველ შემთხვევაში, ეს მისთვის აუცილებელი იყო ჯერჯერობით მაინც. და აი, მან გადაწყვიტა კიდეც ბანაკი აეყარა და სასწრაფოდ გასცლოდა საქართველოს...

მაგრამ საქართველოში, ისევე როგორც ყველა ქვეყანაში და ყოველ დროში — ჰყვაოდა ღალატი.

და ორმა ტფილისელმა მოქალაქემ, იოსებ ბებუთოვმა და არტემა არარატიანცმა, მოახერხეს საპატიმროდან გაეპარებინათ ერეკლესგან დატყვევებული ელჩი აღა-მაჰმად-ხანისა. გააპარეს და კოჯორ-თელეთის გზა-ბილიკებით უკვე გასაქცევად გზაზე შემდგარ აღა-მაჰმად-ხანს მიაყენეს.

და ირანის მბრძანებელმა მოისმინა გასაოცრად მოულოდნელი და უსაზღვროდ სასიხარულო ამბავი: თურმე ერეკლეს ჯარი თითქმის არცა ჰყოლია. არც მოკავშირეები სდგომიან გვერდით ერთ მუჭა ქართველებს — არც რუსები, არც ლეკე-

ბი. ოთხი ათას მეომარსაც ვერ მოითვლის ქრისტიანი ხელმწიფე. ამ დღეების შეტაკებებშიც ქართველებიც ხომ იღუპებოდნენ. ერთი სიტყვით, ახლა ქართველთა მეფეს იმდენი ჯარისკაცი-ღა შემორჩენია, რომელსაც არცერთი უსუსური ხელმწიფე ამალადაც არ იკადრებდა.

აღტაცებამ მოიცვა საჭურისის უგლიმი გული. ისევ დაბანაკება ებრძანა წასასვლელად აყრილ ბანაკს. აღა-მაჰმად-ხანმა სარდლები იხმო ახალ თათბირზე...

ხოლო, ქართველთა ბანაკში იმ ღამით საარაგვოდან გახტანგ ბატონიშვილი ჩამოვიდა მცირე ჯარით, მათ შორის — 300 არაგველი...

...1795 წლის 11 სექტემბერი, დღე სამშაბათი — ღრუბლიან-ჯანღიანი გათენდა კრწანისისა და მტკვრის შესაყარში; ჰაერი გათენებიდანვე იყო ჩახუთული, ხორშაკიანი.

რიჟრაჟზე ერეკლეს ჯარი საომრად ჰყავდა დალაგებული; ძირითადი საომარი ყელი კრწანისი და მისი მიდამოები იყო.

მეფეს მეწინავე ლაშქრის მეთაურად იოანე ბატონიშვილი დაეყენებია; მის შემდგომ, შუაგულში, თვითონ დამდგარიყო ერეკლე. მტკვარზე მიბჯენილ მარცხენა კერძს იოანე მუხრან-ბატონი სარდლობდა, მარჯვენაზე ზურაბ წერეთელი იდგა იმერელთა ათასეულით. ამათ უკან, ვითარცა სამარქაფო რაზმთა მეთაურები, ერთიმეორის გვერდით ჩამდგარიყვნენ ვახტანგ ბატონიშვილი და ოთარ ამილახორი. სულ უკან, ტფილისის კარიბჭესთან, მეტეხსა და ნარიყალას შუა, იდგა სოლომონი იმერელთა მეორე ათასეულით. ხოლო, მაღლა, ხელმარჯვნივ, თაბორის მთის ფერდობიდან, ისევ თავისი ნაომარი რაზმითა და ზარბაზნებით, მტკვრის ხეობას გადმოსცქეროდა დავით ბატონიშვილი. ნარიყალას ციხეზეც არტილერიის ნაწილი იდგა, გიორგი გურამიშვილის მეთაურობით.

სანამ მტერი გამოჩნდებოდა, მოხუცმა მეფემ თავის ლაშქარს თავიდან ბოლომდე ჩამოუქროლა ლაზათიანი მხედრული ნავარდით. მცირე ხნით ცხენი შეაყენა თავისი ძის, ვახტანგ ბატონიშვილის ჯართან. აქ მთიელები იდგნენ. მათ შორის — სამასი მთიელი გუდამაყრელი, სამასი არაგველი გლეხი...

წუთიერი დუმილი სიმღერის, ზურნის, ჭიანურისა და ბარ-

ბითების ხმამ გაარღვია. ეს ტფილისელ მოქალაქეთა შეიარაღებული რაზმი მოეშურებოდა. რაზმს დავით მაჩაბელი მოუძღოდა, „წარჩინებული მესაკრავე და მსახიობი მეფისა, მუსიყი და კომედიანტი“...

აღა-მაჰმად-ხანს კი ჯარები თორმეტ მწყობრად დაელაგებინა. მწყობრთა შორის ზარბაზნები და ზამბულაკები ჩაეყოლებინა. წინ სპარსელ ყიზილბაშთა ურდო მოდიოდა. მათ უკან თურქმან-თარაქამული ჯარები მოჰყვებოდნენ. საგანგებოდ მოეწყო ასე აღა-მაჰმად-ხანს: მან იცოდა, შიიტ ყიზილბაშებს და სუნიტ თურქმანებს ერთმანეთი სძულდათ; ამიტომ წინ, ქართველთა პირველ სამიზნედ, ყიზილბაშები გამოეშვა, ხოლო თვისტომ თურქმან-უჯარებს უბრძანა, უკეთუ ყიზილბაშნი ქართველთა შემოტევას ვერ გაუძლებდნენ და ბრძოლას ზურგს შეაქცევდნენ, ყველა მათგანნი, „დიდნი, გინა მცირენი“, უწყალოდ გაეწყვიტათ...

დილის 7 საათი იქნებოდა, როცა ფონიჭალის ვიწრობებში ერთურთს ეკვეთნენ სპარსელთა და ქართველთა მეწინავენი. ბრძოლა იოანე ბატონიშვილის გმირობით გაიხსნა. მის ნიშანზე ქართველებმა თოფ-დამბაჩები დაახალეს ზედმომდგარ მტერს. მერე ხმალშემართულნი, ყიჟინით წამოიშალნენ და სასტიკ ჩეხვაზე გადავიდნენ. სპარსთა პირველი რიგი ჩაიცელა და ჩაირეცა. „...და ბრძოდეს ქართველთა მეწინავენი მხედრობანი საკვირველად“. უკუიქცნენ სპარსელნი. მაგრამ თურქმანთა ტყვიამ და ხმალმა ისევ ბრძოლისკენ შემოაქცია ქართველთაგან ზარდაცემულნი. თავდავიწყებით უტევდნენ ქართველები. წვებოდნენ ყიზილბაშნი, მაგრამ მაინც მოსდევდა რიგი რიგს ირანელებისა. იოანე ბატონიშვილმა თავისი რაზმი სანგრებს დაუბრუნა და სათოფე მანძილზე მტერი მიზანზე აიყვანა. შაჰმა გათხელებული წინაკერძი ახალი ძალებით დაასქელა და გაამძლავრა და მაშინვე ქართველთა სანგრებს ზარბაზნები დაუშინა. თაბორის მხრიდანაც დაიგრიალეს დავით ბატონიშვილის ზარბაზნებმა. აღა-მაჰმად-ხანს იმ ღამით კიდევ გაეგზავნა მელიქ-მეჯნუმი, სამი რჩეული ათასეულით, თაბორისაკენ. დილით მელიქ-მეჯნუმი თავისი ათასეულებით მიუახლოვდა დავით ბატონიშვილის ბანაკს. ქართველთა ახალგაზრდა სარდალმა ჯერ ზარბაზნის ცეცხლი შეაგება მტერს, მას უკან ცხენს მოახტა, ხმალი აღმართა, თავისიანნი გაიყოლია

და მოიერიშე მოპირდაპირეს დაეძგერა. ისევ იძლივნენ და ჩაიხოცნენ სპარსელნი. მელიქ-მეჯნუმმა, მცირეთა თანხლებით, ისევ გაჭცევით ძლივს დააღწია თავი სიკვდილს.

დავით ბატონიშვილი თავის სანგრებს დაუბრუნდა. იგი ახლა კრწანისის ტაფობში ტორტმანით მომავალ ირანულ ურდოს უთვალთვალებდა, მაგრამ მალე სქელმა ნისლმა სავსებით დაჰფარა მტკვრის ხეობა, ტფილისთან და კრწანისთან ერთად.

აღა-მაჰმად-ხანი ნახევარი საათი უშენდა ყუმბარებს იოანე ბატონიშვილის სანგრებს. მერე ნიშანი მისცა და ბღავილით გაქანდნენ წინ ყიზილბაშთა ათასეულები. ისევ დაუხვდნენ ქართველები. ისევ მრავლად ეცემოდნენ სპარსნი. მაგრამ ეცემოდნენ ქართველებიც. ეტყობოდა, მაინც თავისი უნდა გაეტანა უზომო სიმრავლეს. მისჭირდათ ქართველებს. სანგართა მეორე რიგისკენ იწყეს დახევა. მაშინ ერეკლემ უბრძანა ძეს, ვახტანგს, მიშველებოდა იოანეს. ვახტანგ ბატონიშვილმაც გაიძრო ხმალი და გაქუსლა ცხენი. პირჯვარი ისახეს და გველისპირულები იწვადეს არაგველებმა. მათთან ერთად „ადგილსა საბრძოლელსა“ მიაშურეს ქიზიყელთა მცირე რაზმმა და დავით მაჩაბელის „შადიანით“ ანთებულმა ტფილისელებმა. სასტიკი სიაფთრით შეუტიეს არაგველებმა. ველარ გაუძლეს და უკვე გარბოდნენ ყიზილბაშნი, მაგრამ ზურგიდან თურქმანთა ხმალი ისევ აბრუნებდა მათ სიკვდილის ხაზზე. არ ცხრებოდა შაჰი-საჭურისი და ახალ-ახალ ძალებს აბამდა ბრძოლაში. მძვინვარე რკენა კარგა ხანს ერთ ხაზზე მიდიოდა შენივთებულად. ქართველები მთელის განივით შეიჭრნენ სპარსელთა სქელ რიგებში. წინ არაგველები მიუძღოდათ. განადგურებული და გაქცული ყიზილბაშები ველარც თურქმანებმა შეიმაგრეს. უკვე შაჰის წინაშე ეცემოდნენ მისი მეომრები. შვიდი არაგველი დაწინაურდა და პირველნი მიწვდნენ ირანელთა საომარ დროშებს. მიწვდნენ და მტრის მედროშენი მათი მბრძანებლის თვალწინ ხმლებით დააპეს და დროშებიც დაითრიეს. ტარები მუხლის კვირისტავებზე გადაიმსხვრიეს და ლომის გერბიანი ბაირაღები კბილებით დაფხრიწეს. ამის შემხედვარე საჭურისმა იყვირა: „სიყრმითგან მთელი ჩემი სიცოცხლე ომებში გამიტარებია და აქამომდე არ მოვსწრებივარ მტერთაგან ვინმეს ჩემთვის ასეთი ბრძოლა გაემართოსო“.

ეს სთქვა, თანაშემწე სარდალს ადგილზე ბრძოლის გაგრძელება უბრძანა, ხოლო თვითონ ცხენი მტკვრისაკენ შეაბრუნა და თურქებს შეჰყვირა: „ვისაც შაჰი უყვარს და ვაჟკაცობაც არ დაუკარგავს, ახლავე გამომყვეს; ხოლო, თუ მტკვარმა დამახრჩოს, ეცადენით გვამი ჩემი მდინარიდან გაიტანოთ და მიწას მიაბაროთო“. ეს სთქვა, ცხენს ქუსლი ჰკრა და მტკვარში გადაეშვა. სამი ათასი თურქმანი მიჰყვა ჭენებითა და ცურვით. მტკვრის მარცხენა მხარეს გააღწიეს. შაჰმა სამივე ათასეული შეჰყარა, წარუძღვა, მტკვარს ზემოთ აუყვა და, ოლთაჭალის ბაღების პირდაპირ, მტკვარი უკანვე გადალახა. და ამ მანევრით აღა-მაჰმადმა წინ გაჭრილ იოანე და ვახტანგ ბატონიშვილებს ზურგიდან უკან დასახევი გზა გადაუჭრა და ალყაში მოაქცია. იმავდროულად, შაჰმა თავისი მხედრობის მეორე ნაკადი მარჯვნივ წარმართა და ქართველთა ძირითად განლაგებასაც შეუტია. აქ, მტკვრის გასწვრივ, ქართველთა მემარცხენე ჯარი იდგა, იოანე მუხრან-ბატონის სარდლობით. და მუხრან ბატონიც დაუხვდა მტერს. საომარი ველი მთელის სისრულით შლიდა ფრთებს. გააფთრებით უტევდა საჭურისი: მარცხნივ ბატონიშვილთა ზურგს, მარჯვნივ მუხრან-ბატონის შუბლს (სწორედ ამ დღეს იყო კაცობაწართმეული კაცი ყველაზე ძლიერი ვაჟკაციც, უმამაცესი მხედარიც და უნიჭიერესიც მხედარმძღვანიც!) ხოლო, როცა ქართველთა მემარცხენე ჯარსაც მისჭირდა, ქართველმა მეფემ ახალი ძალა (თუნდაც ერთი მუჭა) ჩააბა ბრძოლად. ეს თვითონ ერეკლე გამოიშვრა ბრძოლის ველზე თავის „შუაკერძით“. ერეკლე, რომელიც „თუმცაღა იყო ფრიად მოხუცებული, გარნა ბრძოლასა მის შინა ყოფაქცევა მისი იყო მრავალთა ჭაბუკთაგან სანატრელი“. გამხნევდნენ ქართველნი. უმეტესი სიმძაფრით უტევდნენ. მაგრამ მაინც ჯიუტად მოხოხავდა მაჰმადიანური ურდო ტფილისის კარიბჭეებისაკენ.

გადაიშუადღა.

ისევ უძრავად იწვა ნესტიანი, ცხელი ჰაერი. წვრილი წვიმა წამოვიდა. თითქოს მდუღარე ცვიოდა ციდან.

ცხენი მოუკლეს აღა-მაჰმად-ხანს. საჭურისიც დაეცა მიწას. ფიცხლავ მოართვეს სამაგიერო. ისევ ამხედრდა და შეუტია (მაინც და მაინც ამ დღეს იყო დაკოდილი კაცი უდიდესი ვაჟკაცი!). იბრძოდნენ ქართველნი. მაგრამ ურდოს სიმ-

ცირე მაინც არ ეტყობოდა. ქართველთაგან თითო-ოროლა დაცემა კი ძალზე შესამჩნევი ხდებოდა. მათი რიგები შეუბრალებლად თხელდებოდა. ალყა გამოარღვიეს ვახტანგმა და იოანემ და, საკუთარი თუ მტრის სისხლის დაუნდობელი თხევით, მეფეს მიაღწიეს და მის საომარ წყობას შეუერთდნენ. მაგრამ უმრავლესობა მათგანი მტერს შეკვდომოდა. სამასი არაგველიც აღარ მობრუნებულა სამასი...

ნაშუადღევის 5 საათი იქნებოდა, როცა აღა-მაჰმად-ხანმა მთელის ძალებით ბრძანა იერიში (25 000 კაცი შემორჩენოდა აღა-მაჰმადს).

ქართველებიც დაუხვდნენ „მთელის ძალებით“ (1 500 შემორჩენოდა ერეკლე მეფეს)!.

კრწანისის ველი, ოძრახევის ზემო წელიდან ორთაჭალის ბაღებამდე, ირანელებით ავსებულიყო.

ერეკლემ მალემსრბოლი აფრინა მარჯვენა კერძზე მდგარ ზურაბ წერეთელთან, ბრძანებით, ახლავე დასძარ შეტევაზე იმერთა ჯარიო. და თვითონაც დარჩენილი ჯარის ნაფლეთებით გაქანდა მტრისკენ.

და ელვის სისწრაფით დატრიალდა ბედისწერის ჩარხი. მეფისგან წარგზავნილმა მალემსრბოლმა წერეთლამდე ვერ მიაღწია. იგი სპარსელებმა აჰკუწეს ხმლებით. თვითონ ზურაბ წერეთელმა კი შენიშნა, რომ მტერი ფლანგიდან სწრაფი სვლით უვლიდა და თვითონაც, შეტევის ნაცვლად, უკანდახევა ბრძანა. მას ალბათ ვერ წარმოედგინა, რომ ერეკლე მეფე ასე მცირე ჯარით შებედავდა კონტრშეტევაზე გადასვლას. წერეთელი ზურგში მდგარ თავის მეფეს, სოლომონს შეუერთდა და ორივე ერთად სრულიად მოეხსნენ ბრძოლის ველს. ხოლო ერეკლემ აღარც კი იცოდა, რომ მისი მარჯვენა ფლანგი საერთოდ წასულიყო ბრძოლიდან. არც ის იცოდა მეფემ, რომ ნარიყალასთან სპარსელთა ჯარებს შეკვდომოდნენ გიორგი გურამიშვილი და მისი მეზარბაზნენი.

დაბერებული პატარა კახი და მისი უკანასკნელი ქართველობა სეიდაბადზე საშინელი ხმალთაკვეთებით აკავებდნენ ზღვად მოვარდნილ მტრის შემოტევას.

უკანასკნელი საათი ბრძოლისა.

საბედისწერო რკალი იკვრება.

მეფე იბრძვის უკვე მისი შესაფერისი ღირსეული სიკვდილისათვის.

და სიკვდილი არ დაანებეს.

„შენ სიკვდილის ნება არა გაქვს, მეფევ, რამეთუ გეწიოს შენ ძვირი ან ბოროტი რამე, უმეტეს განლაღდნენ მტერნი და უყოფენ ძვირსა ქვეყანასა ჩვენსა!“

და სიკვდილს გადარჩენილმა სამასიოდე ქართველმა მეფის გარშემო სალტე შეკრა და სეიდაბადიდან ბრძოლით უკანსვლა დაიწყო.

კვლავ სამჯერ გაიბრძოლა ერეკლემ. სამჯერ კიდევ იძალა დაქანცულმა და სისხლდაქცეულმა ქართულმა გუნდმა მტრის უკუგდება. ტფილისში შემავალ კარიბჭესთან ერეკლე უკანასკნელად გამოექცა თავისიანებს და კვლავ შეუტია გაალმასებით. მაშინ მეფესა და ირანელთა შორის კედლად ჩადგნენ უკანასკნელი არაგველნი. მიცვივდნენ მეფეს ვახტანგ და იოანე ბატონიშვილნი, იოანე-მუხრან ბატონი, ზაქარია ანდრონიკაშვილი, და გამოიტაცეს ძალისძალად მეფე ბრძოლიდან.

დაეცნენ უკანასკნელი არაგველები.

ბრძოლაც დასრულდა. დილის 7 საათზე დაწყებული, დასრულდა საღამოს 7 საათზე.

ტფილისი მტრით ივსებოდა.

კრწანისის ველზე კი ესვენა 15 000 ირანელი და 3 000 ქართველი.

ასე აღესრულა, ქართველთა უიღბლო გმირობის აპოთეოზით, 1795 წლის 11 სექტემბერი, დღე სამშაბათი, მარად საგლოველი სახელით — კ რ წ ა ნ ი ს ი!...



დიმიტრი ყიფიანი

იდა ქართლში, გორიდან ოცდაათ კილომეტრზე არის სოფელი მერეთი, სადაც 1814 წლის 14 აპრილს დაიბადა დიმიტრი ყიფიანი.

მამა — ქოჩო ყიფიანი, სააბაშიოდან მერეთს ჩამოსიძებული წვრილი აზნაური.

დედა — ბარბალე, ფურცელაძის ქალი.

დიმიტრი დედმამიშვილებში ნაბოლარა იყო. მასზე უფროსები იყვნენ ერთი ძმა, ქაიხოსრო, და ორი დაი.

ცხოვრობდნენ ხელმოკლედ. შვიდი წლის დიმიტრის მამა გარდაეცვალა და მისი აღზრდა იკისრა უფროსმა ძმამ, ქაიხოსრომ, რომელიც რკინისგზაზე მუშაობდა, სურამის „დამოჟინის ნაწილში“.

დიმიტრიმ ყრმობაშივე გამოიჩინა ნიჭი და სიბეჯითე. ყველაფერი მალე ისწავლა — წერა-კითხვა, ლოცვებიც, ანგარიშიც, საღვთო წერილიც და „ვეფხისტყაოსანიც“.

დედასაც დიდხანს აღარ უცოცხლია და ქაიხოსრომ ობოლი ძმა სულაც თავისთან წაიყვანა, სურამში.

უფროსი ძმა ადრე დილიდან გვიან ღამემდე ერთთავად სამსახურში იყო. ყმაწვილი სახლში მარტო რჩებოდა და მისი აღზრდისათვის, მით უფრო სწავლისათვის არავის ეცალა. მაგრამ ერთხელ ტფილისიდან ქაიხოსროს სიძე — დის ქმარი — ეწვია, გვარად ფედოროვი, რომელმაც ისე, „სასხვათაშორისოდ“ რუსული წერა-კითხვის სწავლა მოასინჯვინა პატარა დიმიტრის, და ყველას გასაოცრად ყრმამ რუსული წერა-კითხვა რაღაც სამ-ოთხ დღეში ისწავლა, გაკვირვებულმა

ფედოროვმა ქაიხოსროს მტკიცედ ურჩია, ძმა თბილისში ჩამოეყვანე და სასწავლებელში მივაბაროთო. ასედაც მოხდა, ერთი თვის თავზე ქაიხოსრომ უმცროსი ძმა ცხენზე შემოისვა, თბილისში ჩაიყვანა და სასულიერო სასწავლებელში მიაბარა. ბინის ქირაც გადასახდელი აღარ იქნებოდა, რამდენადაც დამ და სიძემ დიმიტრი თავისთან დააბინავეს.

სასულიერო სასწავლებლიდან კეთილშობილთა სასწავლებელში გადავიდა დიმიტრი. კეთილშობილთა სასწავლებელი, რომელიც მალე სათავადაზნაურო გიმნაზიად გადაკეთდა, მიზნად ისახავდა ადგილობრივი თავადაზნაურობის რუსიფიკატორულ აღზრდას რუსული სამოხელეო ბიუროკრატიის სამსახურში. და სწორედ ასეთივე რუსული ხელისუფლების სამოხელეო კადრად გაიზარდა დიმიტრი ყიფიანიც.

1830 წელს მან დაამთავრა გიმნაზია და დაიწყო მუშაობა თარჯიმნად თავად-აზნაურობის დეპუტატთა საკრებულოში. აქ ერთი წელიც არ უმუშავნია და გადაიყვანეს მასწავლებლად გიმნაზიაში. იგი მაშინ მხოლოდ 16 წლისა იყო და წარმატებით ასწავლიდა ოთხ საგანს — არითმეტიკას, გეოგრაფიას, ქართულ და რუსულ ენებს. ეჭვი არ იყო, რომ იგი თავისი ნიჭით და ენერგიით სწრაფად აიცილებდა სამოხელეო იერარქიის კიბეს, მაგრამ რუსული მმართველობისთვის სრულიად მოულოდნელად, დიმიტრი ყიფიანმა გამოამჟღავნა „ფრიად საშიში ზრახვანი“ — საკუთარი ერისა და ქვეყნის „დახსნისა“, თუ „დამოუკიდებლობისა“.

დიახ, 18 წლის დიმიტრი ყიფიანი აღმოჩნდა ფრიად აქტიური მონაწილე ცნობილი 1832 წლის შეთქმულებისა. ამისთვის იგი გადაასახლეს რუსეთში, ვ ო ლ ო გ დ ა შ ი. მაგრამ ნიჭმა და უნარმა იქაც თავისი გაიტანა და გადასახლებიდან მესამე წელიწადს დიმიტრი აღმოჩნდა ვოლოგდის საგუბერნიო სამმართველოს მდივნის სავარძელში. მალე საქართველოშიც დააბრუნეს. აქაც ყველასთვის საჭირო და სასურველი კაცი იყო — გონიერი, პრინციპული, პატიოსანი, სათნო, განათლებული, სიკეთით და რაინდული სულით აღსავსე. საქართველოს მეფისნაცვლებიც „ვერ რჩებოდნენ“ დიმიტრი ყიფიანს: ვ ო რ ო ნ ც ო ვ ს თავისი საბჭოს კანცელარიის მმართველად ჰყავდა, მ უ რ ა ვ ი ო ვ ს — კანცელარიის დირექტორად, ბ ა რ ი ა ტ ი ნ ს კ ი ს თავის საბჭოს წევრად.

დიმიტრი ყიფიანის სამსახურებრივი მოღვაწეობის წარმოსადგენად ძალზე ნიშანდობლივია მისი დიდი თაყვანისმცემლის, ვალერიან გუნიას მონათხრობი:

„მთავარმართებლის სამრჩევლოში დიდის ნაბიჯით მიდიოდა ყიფიანის სამსახური სხვადასხვა ხარისხებამდინ. არ არის არც ერთი ადგილი და კუთხე საქართველოში, სადაც დიმიტრი ყიფიანი არ ყოფილიყო დანიშნული მთავრობისაგან, როგორც ჭკვიანი და ნიჭიერი კაცი, იმერეთი, სამეგრელო, გურია, ქართლი, კახეთი — ყველა იცნობდნენ დიმიტრი ყიფიანს. ამ ოცდაცამეტი (1830-63) წლის სამსახურის დროს დ. ყიფიანს არ მოუსვენია არც ერთი დღე, არც ერთი საათი, მაგარი და მტკიცე სულით იგი მხნეთ ასრულებდა თავის მოვალეობას, მაგრამ ისე კი არა, როგორც ჩინოვნიკი, არამედ როგორც პატიოსანი კაცი და დაუცხრომელი მოღვაწე“.

იყო დიდად განსწავლული ადამიანი, დიდებული მცოდნე მსოფლიო ლიტერატურისა, ქართული და რუსული ენების გარდა სრულად ფლობდა ინგლისურსა და ფრანგულს, და ორიგინალებიდან თარგმნიდა კიდეც შექსპირს, მოლიერსა და სხვათა მწერალთა. აქვეყნებდა ნარკვევებს საქართველოს ისტორიიდან, ადგენდა გრამატიკას, თარგმნიდა საყურადღებო სამეცნიერო ნაშრომთ, რუსული ან უცხო ენებისაგან.

1864 წელს იგი აირჩიეს ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლად და იწინამძღოლა 1870 წლამდე. 1876 წელს ტფილისის ქალაქის თავიც გახდა და სანაქებოდ უმეთაურა ქალაქს სამი წლის მანძილზე, 1885-86 წლებში ქუთაისის თავადაზნაურობის წინამძღოლი შეიქნა დიმიტრი ყიფიანი.

თავგამოდებით იბრძოდა ყიფიანი ხალხში სწავლა-განათლების დასანერგავად, ცოდნის წყურვილის გასაღვივებლად და შეაგონებდა ყველას, რომ „სწავლა აპატიოსნებს კაცსა, აფაქიზებს, აღონიერებს, ზეა-აღავლენს და ღირსჰყოფს დაუსაბამოსთან მიახლოებისა“.

განათლება მისთვის ადამიანობის უმაღლესი, უნივერსალური განზომილება იყო; განათლების წინაშე მის წარმოდგენაში იშლებოდა ყოველგვარი სოციალურ-წოდებრივი უსწორობანი ადამიანთა შორის. „განათლება ყველას გვაწონასწორებსო“, — ამბობდა დიმიტრი ყიფიანი.

მას სწამდა ადამიანის გონების უსრულესი შემეცნებითი შესაძლებლობანი და მის კვალობაზე მეცნიერების ევოლუციური თუ რევოლუციური სასწაულები, მაგრამ ყოველ ადამიანურ სასწაულთა სათავედ, საწყისად და მასაზრდოებელ ძალად მაინც ღმერთი შემოქმედი და მისგან მომდინარე სარწმუნოება მიაჩნდა. „ვინც კი სარწმუნოებას შეურყევლად ადგია, ვისაც გონება ისე აქვს შეზავებული, რომ რამდენიც უნდა საკვირველება საკვირველებას დაჰყვეს, არ შეირყევა აღსარება მისი, რომ ღმერთი არის ყოვლის შემძლებელი, ყოვლის დამყარებელი, ძლიერებით ყოვლად-გარეშე უწერელი, ყოველ ზომასა და განსაზღვრების გარეშე მყოფი".

დიმიტრი ყიფიანი მთელის თავისი არსებით ცდილობდა ერთმანეთისთვის შეერიგებინა ორი ერთმანეთთან შეურიგებელი და ერთმანეთის გამომრიცხველი „ქიმერა" — რუსული მონარქიზმი და ქართული ნაციონალიზმი, ანუ — რუსული ტახტი და ქართული სამშობლო. ამ მხრივ დიმიტრი ყიფიანის იდეალი ვორონცოვის მმართველობის დრო უნდა ყოფილიყო, რამდენადაც მეფისნაცვალი ვორონცოვი პირველი და ერთადერთი იყო, ვინც საქართველოს რუს მბრძანებელთაგან რეალურად (გულწრფელად, თუ ფარისევლურად) ცდილობდა ქართული კულტურის აღორძინებას, ქართველთა ეროვნული თავმოყვარეობის შემწყნარებლობას და საერთოდ ყოველი ქართული მოვლენის „მოალერსებას".

მაგრამ 1854 წელს ვორონცოვი საქართველოდან წაიყვანეს, ხოლო, უფრო გვიან, 80-იან წლებში, რუსხელმწიფემ კავკასიაში მეფისნაცვლობა მთავარმართებლობით შეცვალა.. ეს კი უბრალო და უწყინარი სახელმონაცვლეობა როდი გახლდათ. არამედ, „მთავარმართებლობა" (თუ „მთავარმმართველობა") საქართველოში იმ მცირე სამოქალაქო „ავტონომიის" ნარჩენებსაც აუქმებდა, რასაც ვორონცოვის დროს, ასე თუ ისე, პირში სული ედგა — და ამიერიდან საქართველოსაც ისეთივე სტატუსით განაგებდნენ, როგორც რომელიმე პროვინციალურ გუბერნიას რუსეთის თვალგადუწვდენელ იმპერიაში. სახელი „საქართველოც" კი ამოკვეთეს და მის ნაცვლად „ტიფლისისა და კუტაისის გუბერნიები" დანერგეს...

და 1882 წელს მთავარმართებლად რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე მესამემ გამოგზავნა დონდუ-

კოვ-კორსაკოვი, რომელმაც საქართველოში მოიტანა მძიმე დრო ველიკორუსული შოვინიზმისა და ანტიქართული სიძულვილისა.

დამოუკიდებლობაწართმეული ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობელად კი დაჯდა ეგზარქოსი პავლე, ისიც გულბოროტი მიზანთროპი და მისი „ტუზემცური“ სამწყსოს მიმართ — „მწყემსი მოძულე“.

და კიდევ სხვები, რუსული მმართველობის დიდი თუ მცირე მაგისტრატნი, დაუძინებელი მტრები ქართული ენისა, ისტორიისა და კულტურისა, და ამათგან — გამორჩეული ქართველთმოძულე რუსიფიკატორნი — კავკასიის სასწავლო მზრუნველი იანოვსკი და სემინარიის რექტორი ჩუდეცკი.

ამ დროს კი დიმიტრი ყიფიანი თავისი დიდებისა და აღიარების მწვერვალზე იყო, და ერთიც და მეორეც — „დიდებაც“ და „აღიარებაც“ — ორმხრივი იყო: რუსული ტახტისაგანაც და ქართული სამშობლოსაგანაც, ანუ — რუსეთის მონარქიულ-ბიუროკრატიული მაგისტრატურა მას ანგარიშს უწევდა, ვითარცა ქართველთა შორის „უმსხვილეს“ („კრუპნეიშიი“) კაცს, ხოლო ქართველები მას უცქერდნენ, ვითარცა ქართულობის ყველაზე დიდ ქომაგსა და დამცველს, თანაც მთავრობაში „გასულ“ და რუსთაგან „ყველაზე ანგარიშგაწეულ ქართველს“.

სწორედ ამ დროს ჩაუყარა საფუძველი დიმიტრი ყიფიანმა ყველაზე დიდ ეროვნულ-კულტურულ ორგანიზაციას, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“, რომლის თავმჯდომარედ, დაარსების დღიდანვე (1879 წ.) იყო თვითონ დიმიტრი ყიფიანი. სწორედ ამ ორგანიზაციით იბრძოდა იგი საქართველოში სკოლების, განათლების, ეროვნული თვითშეგნებისა და თვითამაღლების დასანერგავად და გასავრცელებლად.

და იყო დიდი იმედი დიმიტრი ყიფიანი ქართველთათვის ორისავე მხრით: ადგილობრივ ეროვნულის ამაღლება-განმტკიცებისა და ისტორიის ბედისწერით გარედან მოტანილთან „შერიგების“ მხრით. ამ გააზრებით, დამახასიათებელია ნიკო ცხვედაძის წერილიდან ერთი ადგილი:

„ღრმად პატივცემულო დიმიტრი ივანიჩ, როგორც თქვენ გტკივათ გული ჩვენი მამულისათვის, როგორც თქვენ გეს-

მით ჩვენი ხალხის მდგომარეობა, ამ ხალხის აწინდელი და მომავალი ბედი, ისე არავის. ჩვენ ამაში დარწმუნებული ვართ. ამისათვის ისევ თქვენ უნდა იხმაროთ ყოველგვარი ღონისძიება და მანდ სიტყვიერის მოქმედებით ჩვენი სამშობლო საქმე გავასწოროთ".

მაგრამ სულ მალე დადასტურდა, რომ თურმე შეუძლებელი ყოფილა უცხო „მონარქისტული ტახტის" მბრძანებლობის პირობებში შენი „სამშობლოს საქმის გასწორება". თურმე შუამავლობაც კი ამ ორ საპირისპირო „ნაკადს" შორის სრულიად ამაო წყლის ნაყვა და თავში სანაყის ცემა ყოფილა. თურმე აქ აუცილებელი ყოფილა პრინციპი — „ან, ან" — ან რუსული მონარქიზმი (უარესი გაგებით), ან მშობლიური ნაციონალიზმი (უკეთესი გაგებით).

და, დიმიტრი ყიფიანის ტრაგედიაც თურმე აქ იწყებოდა. ტრაგედიაც და პოეზიც — პოეზია მ შ ო ბ ლ ი უ რ ი ე რ ი ს ა თ ვ ი ს წ ა მ ე ბ უ ლ ი ს ა...

დაიწყო იმით, რომ იანოვსკიმ მოინდომა სკოლებიდან ქართული ენის სრულიად განდევნა. და ქართული ენისა და ქართველი ერის სულიერი მესვეურებიც მაშინვე დადგნენ ფეხზე. ავი რუსიფიკატორის წინააღმდეგ მკაცრად გაილაშქრეს — ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე მ, ს ე რ გ ე ი მ ე ს ხ მ ა, ი ა კ ო ბ გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ მ ა და დიმიტრი ყიფიანმა.

დიმიტრი პირდაპირ სწერდა იანოვსკის:

„...თუ ამას ვერ დაფიქრებიხართ, რა მნიშვნელობა აქვს თქვენ ქადაგებასა, ქართველობა ჰგმეთ და ქართული ენა დაივიწყეთო, მე გეტყვით: როგორც სამათემატიკო ჭეშმარიტება ისეთი არის ეს ჭეშმარიტებაცა, რომ საქართველოს ხალხზედ უფრო ერთგული ტახტისა, მრთელს რუსეთს სხვა ხალხი არ ასხია. ...მერე რა ენისას ამბობენ კაცობრიობის მგმობელნი, უნდა გაჰქრესო იმ ენისას, რომელსაც ლაპარაკობდნენ ვახტანგ გორგასლანი, დავით აღმაშენებელი, თამარ მნათობი, რომელზედაც ქრისტიანობას გვიქადაგებდნენ ნინო მოციქულთ თანასწორი და ათცამეტნი სირიელნი მამანი; რომელზედაც ჰმწერლობდნენ პოეტნი, როგორც შოთა რუსთაველი, ფილოსოფოსნი, როგორც პეტრიწი, სჯულისმდებელი, როგორც ვახტანგი; რომელსაც აქვს ანბანი, უმარტივესი და უბუნებითესი ყოველთა ანბანთაგან... ახლა მიხვდით თუ ვერა, რა-

საც თქვენი ქადაგება მოასწავებს. ჩინგისხანმა, ლანგთემურმა, შაჰაბაზმა, ნადირშამ ვერ შემუსრეს ჩვენი ხალხოსნობა და ახლა თქვენ გინდათ შემუსროთ, როდესაც ჩვენ ჩვენის კეთილის ნებით, სიყვარულით და სასოებით მივენდეთ რუსეთს, რომელსაც გარსშეუწერელი ერთგულება შეურყევლადა გვაქვს გულს ჩახერგილი?!? არა ბატონებო, თუ ღია წერილის აზრი არ დაირღვა... ბ. იანოვსკის ათასწილად უჯობს ისევ ამ აზრის შემუსვრა მოახერხოს... თუ ეს აზრი არ შეიმუსრა, ბ. იანოვსკი შემცდარი კი არა, შემცოდავი იქნება ორგვარად: ჯერ რუსეთის წინაშე, რომ ერთი უერთგულესი თაყვანისმცემელი ხალხის გაორგულება განუზრახავს, და მერე მეცნიერების წინაშე, რომ პედაგოგიას ურღვევს დიდი მეცადინეობით შემუშავებულს კანონსა, რომელიცა ჰბრძანებს: „წულს ყრმასა (ესე იგი ყმაწვილს) ჯერ საშინაო ენას ასწავლიდე და მერე საქვეყნოსაო“.

იმავე ჟამს დიმიტრი ყიფიანი მიმართავდა საქართველოს ახლადდანიშნულ მწყემსმთავარს, ეგზარქოს პავლეს:

„სემინარიაში მცირე ადგილი აქვს დათმობილი ქართულ ენას, ასე რომ სემინარიაში კურს დამთავრებული მღვდელი ხშირად არც კი იცნობს ქართული ეკლესიის ისტორიას და უჭირს კიდეც კითხვა ქართული ლოცვებისა და საეკლესიო წიგნებისა... ვაძლევ თავს ნებას და ვაწუხებ თქვენს მწყემსმთავრულ ყურადღებას იმ ცხადი ჭეშმარიტების მიხედვით, რომ ხალხს, რომელსაცა აქვს მრავალსაუკუნეთა სახელოვანი წარსული, არ შეიძლება მოეთხოვოს დავიწყება იმისა, რადგან ანდერძი ჩვენი მამა-პაპათა, ჩვენი ისტორიისა არის — ერთგულება ღვთისა, ქვეშევრდომობა ხელმწიფე იმპერატორისა და სამშობლოსათვის თავდადება. ჩვენ, ეხლანდელნი შთამომავალნი იმ ხალხისა, მოსული თქვენთან, როგორც ჩვენს მწყემსმთავართან, რომ მოგილოცოთ მშვიდობით მობრძანება და მივიღოთ თქვენი მეუფეობისაგან ლოცვა-კურთხევა, გთხოვთ დაგვიახლოვოთ, გაგვიცნოთ, გაიგოთ ჩვენი ჭირვარამი და ლმობიერად მოექცეთ ჩვენს სისუსტეს და ნაკლოვანებას. ჩვენც ჩვენის მხრით ავასრულებთ თქვენს დარიგებას, რადგან ღრმად გვწამს, რომ იგი მიმართული იქნება ქართველი ხალხის სულიერი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად“.

მაგრამ დიმიტრი ყიფიანის ეს სიტყვაც ამაო გამოდგა:

ახალი ეგზარქოსი საქართველოში სწორედ ქართულობის ამოსაძირკვავად იყო მოსული.

მაშ, დიმიტრი ყიფიანის „შემრიგებლური პოლიტიკა“ გაწბილდა.

1885 წელს იგი დასავლეთ საქართველოს თავად-აზნაურთა მარშლად აირჩიეს. ამის გამო ილია ჭავჭავაძემ მისწერა წერილი: „სიხარულით მომილოცნია თქვენი მარშლად დამტკიცება. მომილოცნია მარტო თქვენთვის კი არა, იმერეთისათვის ცალკე და ჩვენი ქვეყნისათვის საერთოდ. ღმერთმა მოგიმართოთ ხელი, რომ თქვენი სურვილნი ისე აღსრულდნენ, როგორც თქვენ და ჩვენც თქვენთან ერთად სასოებით დავნატრობთ. თქვენი არჩევანი იმერეთში დიდი იმედია საზოგადოთ ჩვენთვის. დარწმუნებულნი ვართ, რომ თქვენი საკუთარი სურვილი ჩვენს იმედსაც გადაემატება. მხოლოდ ღმერთსა ვხნოვთ, რომ გარემოებამაც ხელი მოგიწყოთ და სურვილი თქვენი აღგასრულებინოთ“.

ეს მილოცვა ერთადერთი ნუგეში იყო იმჟამად „გაწბილებული პოლიტიკოსისთვის“.

სულ მალე, მეორე ამბავიც მოხდა, იმავე 1885 წელს, ზღვით, ბათუმში ჩამოვიდა დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვი, რომელიც ადრე, დონდუკოვ-კორსაკოვამდე, კავკასიის მეფისნაცვლის ტიტულით განაგებდა საქართველოს, და რაკი მისი წარსული მმართველობა ახალი მთავარმართებლის სასტიკ რეჟიმთან შედარებით კეთილსახსოვრად და სანატრელად დარჩენილიყო, ხალხი ოვაციებით შეხვდა მის „ნაცნობსა“ და „კეთილსახსოვარ“ ხელისუფალს. დიმიტრი ყიფიანიც, ვითარცა დასავლეთ საქართველოს თავადაზნაურობის წინამძღოლი, ბათუმში შეეგება დიდ მთავარს. შეეგება და თვითონვე წამოუძღვა სტუმარს ქუთაისისკენ. ხოლო, ქუთაისს რომ მოვიდნენ, იქაც, ბრწყინვალე, „ქუთათური სიმაღლის“ ბანკეტზე, ქალაქის თავმა ლევან ასათიანმა, დიდ მთავარს მისადმი სადღეგრძელოში ასეთი სიტყვაც გაურია:

„თქვენი ბრწყინვალების თვრამეტი წლის მართვა ჩვენი მხარისა წარმოადგენდა ჩვენი ქვეყნის თანდათანობით შეერთებისა და გაერთიანების პერიოდს საერთო სამშობლო-რუსეთთან, სამწუხაროდ ჩვენი ღრმა რწმენით არა ამ

მიზნისაკენ მივყავართ შემდეგი დროის წყობილებას, რომელიც მეტად ამძიმებს ჩვენს მდგომარეობას“.

თავის მხრივ დიმიტრი ყიფიანმა დიდ მთავარს მიმართა: თუ ნებას დამრთავთ, დაწვრილებით, ფაქტობრივად მე მოგაწვდით ყოველივეს, რაიც დღეს ხდება საქართველოშიო. რომანოვმაც დასტური დასცა, და მორიგი საუბარი შედგა ბორჯომში. დიმიტრი გაბედულად, დაუფარავად აძხელდა დონდუკოვ-კორსაკოვის რეჟიმის სისასტიკეს და უსამართლობას. ყიფიანის ასეთ პირდაპირობას, პირადი გაბედულების გარდა, უეჭველად თვითონ დიდი მთავრის „მოწონებითი მოსმენაც“ აქეზებდა. განსაკუთრებით საქართველოს ახალი ხელისუფლების ანტიქართულ, სრულიად გამარუსებელ ღონისძიებებს გმობდა დიმიტრი ყიფიანი „დიდსულოვანი“ რომანოვის წინ.

სულ მალე ბორჯომის ნასაუბრალი დიმიტრიმ გაავრცელა წერილობით, რასაც მოჰყვა დონდუკოვ-კორსაკოვის უზომო გარისხება. ამას, ბუნებრივია, ყიფიანიც ელოდა, მაგრამ ეს სულაც არ ეფიქრებოდა, რადგან იგი კვლავ და კვლავ დარწმუნებული იყო, რომ პეტერბურგში მჯდარი იმპერატორი და ტფილისში მჯდარი მთავარმართებელი საქართველოს მიმართ სხვადასხვა პოლიტიკას ადგნენ. ამ გულუბრყვილო რწმენას განამტკიცებდა ისიც, რომ ბორჯომის შემდეგ ტფილისში შემოსულმა დიდმა მთავარმა „პატარა მთავარმართებლის“ ნახვა არ იკადრა. მხოლოდ ქალაქის საბჭოს მიღებას დაესწრო, და იქაც უხვად და ნასიამოვნები ღიმილით ისმინა დონდუკოვ- კორსაკოვისა და მისი რეჟიმის გმობა და ძაგება...

დონდუკოვ-კორსაკოვი კი უკვე სწერდა პეტერბურგს, შინაგან საქმეთა მინისტრს:

„მისი იმპერატორობითი უმაღლესობის (დიდი მთავრის) მობრძანებას გასულ შემოდგომაზე კავკასიაში, სამწუხაროდ არასასიამოვნო შედეგები მოჰყვა ადგილობრივი ხელისუფლების პრესტიჟისათვის. ყველა ელემენტი, რომელიც არ უთანაუგრძნობდა აქ დამკვიდრებულ მმართველობის ახალ წესს, ცდილობდა ამა თუ იმ საშუალებით მიეყვანა მისი იმპერატორობითი უდიდესობის ცნობამდე მათი უკმაყოფილება კავკასიის მმართველობაში მომხდარ ცვლილებათა პირობების შესახებ და ეჩვენებინა არ არსებული შევიწროება, რომელიც

ვითომდა მომართული არის ადგილობრივ მკვიდრთა წინააღმდეგ. იმ უმაღლესმა ყურადღებამ, რომელიც დიდმა მთავარმა გამოიჩინა ამგვარ განცხადებათა მოსმენის მიმართ და აგრეთვე იმ ერთი შეხედვით წვრილმანმა, მაგრამ მაინც ყურადღება მიპყრობილმა გარემოებამ, რომ მისმა უმაღლესობამ გაიარა რა რამოდენიმეჯერ, ტფილისით, არ ინება ენახა მთავარმართებელი, რამაც დაბადა მცხოვრებლებში სხვადასხვა ჭორები, მათ შორის მთავარმართებლის უახლოეს დროში მოხსნის შესახებ, ამას რასაკვირველია, არ შეეძლო გავლენა არ მოეხდინა უკანასკნელის ავტორიტეტის დაცემაზე. ამის შედეგი იყო სწორედ ისეთი გამოსვლები, როგორც სიტყვა ქუთაისის ქალაქის თავისა, ტფილისის საბჭოს მიერ დიდი მთავრის მოწვევა მთავარმართებლის დაუკითხავად და ბოლოს, უშუალო მიმართვა მის უმაღლესობისადმი ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლისა, რომელიც არ დაკმაყოფილდა თავისი უადგილო განცხადებებით ბორჯომში და გაავრცელა დიდ მთავართან წარმოებული საუბრის ასლი ქუთაისის გუბერნიაში.

და ერთ „მშვენიერ დღეს“, — როცა ქართველობა და მისი პირველი ქომაგი დიმიტრი ყიფიანი ჩრდილოეთისკენ (ვითარცა მზისკენ!) პირმიპყრობილნი, მეფის ბრძანებით გულბოროტი დონდუკოვ-კორსაკოვის გადაგდებასა და ახალი, „კეთილი მთავარმართებლის“ დანიშვნას ელოდნენ — უეცრად მოვიდა იმპერატორის ბრძანება დიმიტრი ყიფიანის გაკიცხვისა!

მაშ, ესეც მეორე დიდი გაწბილება დიმიტრი ყიფიანისა. თანაც მკაცრი გაფრთხილებით — თვით იმპერატორის გაკიცხვით, რის შემდეგაც, უკეთუ გაკიცხული კვლავაც არ დაიშლის...

მაგრამ დიმიტრი ყიფიანისთვის — ამ ბავშვივით წრფელი და გულუბრყვილო რაინდისთვის — ეს მუქარაც არაფერია. აი. დონდუკოვ-კორსაკოვმა მეფის გაკიცხვას პირადად პასუხგების მოთხოვნაც მოაყოლა — აბა, გვიბრძანეთ, რას გვიწუნებთ და რას გვიჩივითო, თუნდაც სწავლებისა და განათლების გარშემოო... ეს ისეთი ტონით იყო მოთხოვნილი, ყიფიანის მდგომარებაში მყოფ ჩვეულებრივ მოკვდავს ისღა დარ-

ჩენოდა, ხელისუფალს მუხლებში ჩავარდნოდა და პატიებაღა ეთხოვა.

მაგრამ დიმიტრი ყიფიანი არ აღმოჩნდა „ჩვეულებრივი მოკვდავი". არ აღმოჩნდა და მაშინვე საპასუხო მოხსენება აახლა იმპერატორის სოლიდარობით გადიდგულებულ მთავარმართებელს:

„17 დეკემბრის შეკითხვით თქვენმა ბრწყინვალებამ მიბრძანა დაწვრილებით მომეხსენებია თქვენთვის იმის შესახებ თუ რამ მაიძულა დიდი მთავარ მიხეილ ნიკოლოზის ძეს რომ მოვახსენე, ის, რაც მოვახსენე. ამიტომ 30 დეკემბრის ჩემი მოხსენების შესავსებლად მაქვს პატივი გაცნობოთ, რომ მაშინ მე ორგვარი ფაქტი მქონდა მხედველობაში:

1) დაბრკოლებანი სახელმწიფო სამსახურის დროს და 2) სახალხო განათლების საქმეში უცნაური მოვლენანი. ის რომ სამხედრო და სამოქალაქო უწყებებში მართლაც ახდენდნენ შეუფერებელ განკარგულებებს, ეს თქვენმა ბრწყინვალებამ თვითონ კეთილ ინება და მითხრა ლაპარაკის დროს 23 ოქტომბერს ტფილისში. ხოლო შემდეგ სავსებით გამოირკვა, რომ ეს განკარგულებანი საკუთრივ ქართველებს არ ეხებოდნენ. ამიტომ ამ ფაქტების შესახებ კითხვა, განსაკუთრებით თქვენი შეკითხვის შემდეგ, სავსებით უკუგდებულად მიმაჩნია. და თუ ვიხსენიებ ამ ჟამად მხოლოდ იმიტომ, რომ თქვენ მიბრძანეთ ამის გამო განმარტება მოგახსენოთ. სრულიად სხვანაირია მეორე ხასიათის ფაქტები. ამის შესახებ მე ვწერდი 11 ოქტომბერს კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს და ეს ჩემი წერილი თქვენს ბრწყინვალებას მიაჩნია უსაფუძვლო წერილად და არა შესაფერ ოფიციალურ მიწერ-მოწერაში და შემლახველ იმ პირის ღირსებისა, რომელთანაც ივია მიწერილი. მაგრამ ვბედავ და მოვახსენებ თქვენს ბრწყინვალებას კანონით განსაზღვრულ ჩემი თანამდებობის ღირსების დაცვის გულისათვის: ბ-ნმა მზრუნველმა თვითონ მომმართა და მთხოვა განმარტება იმ საკითხის გამო, რომელიც მას ჩემზე მიუწერია და მთხოვა განმარტება ისეთი კილოთი, რა კილოთიც თავადაზნაურთა წინამძღოლს, გარდა სენატისა, არავის არ აქვს უფლება ელაპარაკოს, ჩვენი სამსახურის მდგომარეობა კი იმნაირია, რომ იგი არ ჰგულისხმობს ერთის

დამოკიდებულებას ან ხელქვეითობას მეორისაგან, თუ რომ მე ამაში ვცდები და სწორედ არ მესმის ჩემი თანამდებობის ღირსება თუმცა არა მგონია, რომ ეს ასე იყოს, — აოის სხვა მიზეზიც, რის გამო პასუხი არ გამიცია ბ-ნ მზრუნველისათვის. მე საჩივრით კი არ მომმართეს, რომელსაც არც კი განვიხილავდი, არამედ იმ გვარ ცნობებით, რომელთა გამო გულგრილობა არ უნდა გამოეჩინა. ცნობები ამგვარია:

ა) 1881 წელს იანვარში ყოფილ კავკასიის ნამესტნიკის მიერ დამტკიცებული იყო სამოსწავლო გეგმა, რომლის ძალით სახალხო სკოლებში სწავლა ორი წლის განმავლობაში სამშობლო ენაზე უნდა ყოფილიყო მოწყობილი, მაგრამ 1885 წელს ეს გეგმა გაუქმებულ იქნა არა იმ პირით, ვისაც რამესტნიკის შემდეგ ჰქონდა ჩაბარებული მმართველობის უფლება, არამედ ადგილობრივ სამოსწავლო დაწესებულებებით. ბ) 1885 წელს ივნისში სამაზრო პოლიციის განკარგულებით, რომელიც იმავე სამოსწავლო მმართველობიდან მომდინარეობდა სოფლის საზოგადოებებს გამოუცხადეს, რომ ვისაც სურს თავისი შვილი სოფლის ნორმალურ სკოლაში მიაბაროს, სამშობლო ენაზე წერა-კითხვა წინდაწინვე სახლში უნდა ასწავლოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ბავშვი სკოლაში მიღებული არ იქნებაო; გ) ერთ სასწავლებელში, რომელიც განსაკუთრებით ადგილობრივ მკვიდრისათვის იყო დაარსებული, ამ მკვიდრთა შვილებს 15 აგვისტოდან აღარ იღებენ. და იღებდნენ იქ ჩრდილოეთ კავკასიიდან და სტავროპოლის გუბერნიიდან, და გზის ხარჯსაც თვით სასწავლებლები იხდიდა; დ) ერთ საშუალო სასაწავლებელს შუამდგომლობა აღუძრავს, რომ ამ სასწავლებლის პანსიონში, რომელიც ადგილობრივ თავად-აზნაურთა შვილებისათვის იყო დაარსებული, მიიღონ სამსახურ გათავებულ სალდათის შვილები. ყველა ამ ცნობების შემოწმება იყო საჭირო. უამისოდ მე მათ ვერავითარ მსვლელობას ვერ მივცემდი. მაშასადამე, დავალებული არ ვიყავი მეცნობებინა სამოსწავლო ოლქის მზრუნველობისათვის. ახლა კი, როდესაც ყველა ამ ხასიათის საკითხს ეჭვიანობით უყურებენ, შემოწმების იმედი სრულიად დამეკარგა, თქვენი ბრწყინვალების საყურადღებოდ ვახსენებ ყველა ამას მხოლოდ თქვენი ბრძანების მიხედვით. ხოლო ჩემს თავზე არ ვიღებ პასუხისმგებლობას იმის გამო, რომ ყოველი ეს ჭეშმარი-

ტებაა, მაგრამ შემიძლია მოგახსენოთ ერთი შეურყეველი და ახალი ფაქტი, რომელიც იმას გვეუბნება, რომ არსებობს მიდრეკილება ქართული ენის დევნისა. მოციქულთა დროიდან ქათული ენა იყო საეკლესიო და კულტურული ენა სამეგრელოში, და იქ ყველას ესმის ეს ენა, ამ ჟამად კი იქ ახალ კულტურას ჰნერგავენ — მეგრულ ენას ასწავლიან სხვა ანბანის საშუალებით, ისე რომ გავყვეთ, შეიძლება შეიქმნას ახალი კულტურები აჭარლებისა, ფშავ ხევსურისა, ინგილოებისა, მთიულებისა და სხვათათვის. სასარგებლო კი იქნება ყოველივე ეს იმ მთავრობისათვის, რომელმაც თავის მფარველობის ქვეშ აიყვანა მრავალტანჯული მართლმადიდებელი საქართველო, რისთვისაც უსაზღვრო მადლობა და ერთგულება დაიმსახურა? მე ჩემ წმინდა მოვალეობად ვსთვლი მუდამ ამ მდგომარეობის და ერთგულების გრძნობაზე ვიდგე და სწორედ რომ არ მესმის, რატომ მიწყრებიან ამის გულისთვის“.

ასეთი იყო ყიფიანის პასუხი და მთავარმართებლის კანცელარიამ კი „პასუხის პასუხი“ დააწერინა იანოვსკის, ე. ი. ვისაც უჩიოდნენ, იმას და დაწერა იანოვსკიმ „დასაბუთებული“ პასუხი, რომელიც გაეგზავნა არა დიმიტრი ყიფიანს, არამედ... გ რ ა ფ ტ ო ლ ს ტ ო ი ს, იმპერიის განათლების მინისტრს! ხოლო, ტოლსტოიმ უბრალო და „მარადიული სიმტკიცით“ ბრძანა იანოვსკის მოსაზრებანი მთლიანად სამართლიანია, ყიფიანის ბრალდებები კი არავითარი ყურადღების ღირსად არ მიმაჩნიაო!..

ამით თითქოს ყველაფერი უნდა გათავებულიყო და კვლავ გაწბილებულ გმირს ამ „უაზრო გმირობებზეც“ ერთხელ და სამუდამოდ აეღო ხელი.

მაგრამ არა — მისი საწუთისოფლო ბედისწერა მას ახალ ნაბიჯს უმზადებდა, — ნაბიჯს, რომელსაც იგი თურმე ერისათვის წამებულის გზაზე უნდა შეეყენებია...

ეგზარქოს პავლეს ძალზე აქტიურად ეხმარებოდა ტფილისის სასულიერო სემინარიის რექტორი, დეკანოზი პ ა ვ ლ ე ჩ უ დ ე ც კ ი. და ეს „ორი პავლე“, დონდუკოვ-კორსაკოვთან და იანოვსკისთან ერთად, თავგამოდებით ცდილობდნენ საქართველოდან ქართულობის განდევნას.

ქართული ინტელიგენცია, განსაკუთრებით სტუდენტობა,

ხმალამოღებული შეხვდა რუსხელმწიფის უმაღლეს მოხელეთა ეგხომ ბოროტ საქმიანობას. სემინარიაში სტუდენტთა ფარული ორგანიზაცია შეიქმნა, აქ ფარულად კითხულობდნენ რევოლუციურ-დემოკრატიულ ლიტერატურას, ადგენდნენ თავისუფლების სულისკვეთებით აღსავსე ჟურნალებს, მოწოდებებს, კრებულებს.

ჩუდეცკი თავისი აგენტებით გააფთრებით ებრძოდა „წყეულ რევოლუციონერებს“, ჩხრეკდა სტუდენტთა საცხოვრებლებს და პირად სათავსოებს, ეძებდა აკრძალულ ლიტერატურას, პირად ჩანაწერებს, დღიურებს, სემინარიიდან აძევებდა და სამართალში აძლევდა „რევოლუციონერობაში“, თუ „ქართველობაში“ ეჭვმიტანილებს.

ერთი ასეთი ჩხრეკის დროს, ფარული ჟურნალით ხელში, აგენტებმა წაისწრეს სტუდენტი სოსო ლაღიაშვილი. და ჩუდეცკის ბრძანებით დაიწყო ლაღიაშვილის გაუთავებელი დაკითხვები, ხელახალი ჩხრეკა, აკრძალული ლიტერატურის (მაგალითად, ჩერნიშევსკის შრომები, ჟურნალი „ოტეჩესტვენნიე ზაპისკი“, და სხვ.) წართმევა, ბოლოს სემინარიიდან გარიცხვა.

და, 1886 წლის 24 მაისს, უკიდურესობამდე მისული ლაღიაშვილი ჩუდეცკის ხანჯლით მიუხტა და სიცოცხლესაც გამოასალმა.

მთელი საქართველო შეარყია ამ ამბავმა. ქართველები აღაფრთოვანა ლაღიაშვილის რადიკალურმა ნაბიჯმა და ბოროტი რექტორის განადგურებამ. ხოლო, მეფის სამოხელეო რუსიფიკატორული სამყარო უაღრესად გააცოფა და გააბოროტა „ადგილობრივი ყაჩაღობის“ ასეთმა უკიდურესმა გამოვლინებამ.

და, მოკლული ჩუდეცკის დაკრძალვის დღეს, სამგლოვიარო სიტყვით გამოსვლისას, ეგზარქოსმა პავლემ დასწყევლა არა მარტო მკვლელი, არამედ სრულიად ქართველი ერი.

„დაიწყევლოს სამუდამოდ შენი მკვლელიცა და ის ოჯახიც, რომელმაც შობა იგი, და დაიწყევლოს ხალხი და ერი, რომელმაც დაჰბადა იგი, და ქვეყანა, რომელმაც გაზარდა იგი!“ — დაარისხა გაბოროტებულმა მწყემსმთავარმა. და ალბათ არც მიუცია ანგარიში, რა შეიძლებოდა შედეგად მოჰყოლოდა ვითომდა ოდენ „წუხილით გამწარებულის“ ნათქვამს.

ხოლო, შედეგი იყო საყოველთაო რისხვა ქართველი ხალხისა.

და რისხვა იგი უპირველესად გამოიხატა დიმიტრი ყიფიანისგან ერის მაწყევარი ეგზარქოსისადმი მიმართულ წერილში:

„თქვენო მაღალსამღვდელოებავ! მოიღეთ მწყემსმთავრული მოწყალება და თუ, გატაცებული დაუჯერებელის ხმებით, ვცოდავ, შემინდეთ ჩემი დიდი შეცოდება. მაგრამ ამბობენ, რომ თქვენ დაწყევლეთ ის ქვეყანა, რომელშიაც სამწყსოთ ხართ მოწოდებული და რომელიც მარტოოდენ სიყვარულსა და შეწყალებას მოელოდა თქვენგან, ქრისტეს მსახურისა და წარმომადგენლისაგან. იგივე ხმები არ კმაყოფილდებიან თქვენი ღირსების შეურაცყოფით, იმასაც ამბობენ, ვითომ თქვენ განზრახული გქონდეთ ბოდიში მოიხადოთ სამწყსოს წინაშე იმ უცოდვილეს სიტყვების გამო, რომელნიც ვითომ წარმოსთქვით. თუ ყოველივე ეს, უფალო, მართალია, თქვენი თანამდებობის ღირსების გადარჩენა მხოლოდ იმითი შეიძლება, რომ შემრაცხყოფელი შეურაცხყოფილი ქვეყნიდან დაუყოვნებლივ გაიყვანოთ. ამას მოგახსენებთ წრფელის გულით თქვენი სამწყსოისა ერთი წევრი, რომელსაც უნდა თავიდან ააცილოს ქვეყანას რაიმე ახალი დიდი შეცოდება. ხოლო თუ ყოველივე ეს ტყუილია, შემინდეთ და მაკურთხეთ თქვენის მწყემსმთავრულის ხელით.

თქვენი მაღალსამღვდელოების მორჩილი მსახური დიმიტრი ყიფიანი.

8 ივნისს 1886 წელს, სადგური მიხაილოვი (ხაშური)“.

მაშ, დიმიტრი ყიფიანმა, დონდუკოვ-კორსაკოვისა და იანოვსკის შემდგომ, იერიში მიიტანა საქართველოს რუსიფიკატორული პოლიტიკის მესამე დედასვეტზე, სარწმუნოებრივი ყოფიერების საჭეთმპყრობელზე და მოითხოვა ქართველი ერის შეურაცხმყოფელი მწყემსმთავრის დაუყოვნებლივ გაძევება საქართველოდან. მოითხოვდა და თან იმუქრებოდა — უკეთუ შეურაცხმყოფელი არ განიდევნებოდა, მაშინ ქართველთაგან „ახალი დიდი შეცოდება“ (უეჭველად, რუსული მმართველობის რაიმე საწინააღმდეგო ექსცესი) იქნება მოსალოდნელი.

ეს კი სწორედ მეტისმეტი იყო. მთავარმართებელი და მი-

ის კამარილია, ცნობილი „გაკიცხვის“ შემდგომ აღარ მოელოდნენ ყიფიანისგან ასეთ „თავზედობას“, მით უფრო, რომ სწორედ იმ ხანებში დონდუკოვ-კორსაკოვმა სასტიკი ანგარიში გაუსწორა ქართველთა „ყაჩაღურ სითამამეს“: ქართველობისთვის თავგამოდებული ახალგაზრდობა სასწავლებლიდან გამოყარა, ფარული ორგანიზაციები დაშალა, რევოლუციურად განწყობილნი — მათ შორის, სოსო ლაღიაშვილი — ციმბირის კატორღებში გაგზავნა.

ხოლო, ახლა, „თავხედი ყიფიანისებრ“ ლეგალურად საშიშ ქართველებს უნდა მისდგომოდა იმპერატორის ერთგული სატრაპი.

და დონდუკოვ-კორსაკოვმა ისევ მისწერა პეტერბურგს, შინაგან საქმეთა მინისტრს, ამჯერად — „კაზუსი“ ეგზარქოსისადმი დიმიტრი ყიფიანისაგან შეურაცხყოფისა, და ითხოვა შეურაცხმყოფელის გადასახლება საქართველოდან სტავროპოლში, რამეთუ მისი აქ დატოვება „მე მიმაჩნია საზიანოდ მთავრობისათვის“ — სწერდა მთავარმართებელი მინისტრს.

და პასუხიც მალე მოვიდა — ისევ არგუსივით საქართველოს დაუძინებელი მტრის სასიხარულოდ:

ხელმწიფე-იმპერატორ ალექსანდრე III-ეს დასტური ებრძანებია დიმიტრი ყიფიანის გადასახლებაზე საქართველოდან სტავროპოლში.

უკიდურესად უღმერთო და მკრეხელური იყო დაცინვა ბედისა და ცინიზმი მომტერე ადამიანებისა: დიმიტრი ყიფიანი საქართველოდან საქართველოს მტრის გაძევებას მოელოდა და ამის მაგივრად ხდება პირიქით — საქართველოს საყვარელ შვილს თვით აძევებენ საქართველოს მტრები საქართველოდან!

დიმიტრი ყიფიანი საბოლოოდ დამარცხდა.

თუმცაღა — მისი ეს დამარცხება უფრო ამაღლება იყო, მისი აპოთეოზი, რამეთუ ამ მარცხით მან პირველად იხილა სინათლე სიმართლისა, დამაბრმავებელი სინათლე სინამდვილისა. ხოლო, თავის მხრით, ამ სინათლით პირველად იხილა სიბნელე სინამდვილისა, ანუ — რეალური სახე ურჩხულისა, რომელსაც სახელად ერქვა ჩრდილოური გოგი და მაგოგ...

...მაშ, 1886 წლის ზაფხული. 72 წლის დიმიტრი ყიფიანი ბორკილგაყრილი მიჰყავთ საქართველოდან სტავროპოლს.

გასაცილებლად მოსულ აკაკი წერეთელს ეს უკანასკნელი სიტყვა დაუტოვა:

„ამით დავიწყე და ამით ვამთავრებ!“

ორ გადასახლებას გულისხმობდა — ადრინდელს, ვოლოგდაში გადასახლებას, და ახლანდელს, სტავროპოლში გადასახლებას — საქართველოდან... საქართველოდან...

ეს ბოლო უნდა ყოფილიყო — ბოლო გადასახლებაც და... ბლბათ, სიცოცხლის ბოლოც...

და იყო პატიმარი, სათნოებით აღსავსე ქართველი, საქართველოდან ფეხამოკვეთილი, და სანუგეშოდ იშვიათად, ძალიან იშვიათად თუ მოატანდა რაიმე ხმა მის ყურამდე, ვთქვათ ისეთი, ქართველმა სტუდენტებმა რომ გამოუგზავნეს ერთხელ მოსკოვიდან:

„ღირს-პატივცემულო ბატონო დიმიტრი!

ჩვენს ყოვლად დამაშინებელ და სასტიკ დროში, როცა განუკიცხველად ბატონობენ მჩაგვრელი ძალნი და სდევნიან ყოველსავე რასაც ცოტაც არის ამჩნევია დამოუკიდებლობის ნიშანწყალი, როცა ასეთს იშვიათს მოვლენას წარმოადგენს მოქალაქეობრივი ვაჟკაცობის გამოჩენა და პირუთვნელი გაბედული სიტყვა, სიხარულით და იმედით შესცქერის ყოველი ქართველი იმ დიდად საქებსა და პატიოსანს თავ-გამოდებას, რომელიც გამოიჩინეთ ექსარხოსს პავლესადმი მიმართულ წერილში. ამ შემთხვევაში თქვენ ღირსეულად აღასრულეთ თქვენი კაცური მოვალეობა, ვითარცა საქართველოს ერთი კუთხისაგან რჩეულმა წინამძღვარმა და დაუფარავად გამოსთქვით მთელი ქართველების დაფარული გრძნობა. თუმცა, მართალია პირველის შეხედვით თქვენმა სიტყვამ ვერ მიაღწია სასურველ შედეგს და დიდი უსიამოვნებაც შეგამთხვიათ, მაგრამ თვით ის, რაც მოხდა, ამტკიცებს, რომ სამართლიანად აღელვებულის გრძნობით განატყორცნი ისარი არ ასცდენია მიზანს. თქვენი ქცევა ამშვენებს თქვენს ჯაღარა გვირგვინს და სრულს ნებას გვაძლევს ვსთქვათ პოეტთან ერთად, რომ „თუმცა აწმყო არა გვწყალობს, მომავალი ჩვენია“. ეჭვი არ არის, რომ ის ქვეყანა, რომელსაც ჯერ არ გამოლევია თქვენისთანა მოხუცივე, „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს“, პოეტისა არ იყოს.

გვაქვს რა პატივი მოგახსენოთ ჩვენი უგულითადესი თა-

ნაგრძნობა დამონებით, მოწიწებით და უღრმესად თქვენი პატივის მცემელნი მოსკოვში მოსწავლე ქართველნი".

ეს წერილი მისი სიხარული იყო.

კვლავ იყო მშვიდად, წონასწორი, ძლიერი სულით, უშფოთველი და უსაყვედურო.

მართალი იყო და სიმართლეში შეურყეველი.

და სიმართლისთვის შეუპოვარი.

მისთვის პატიებას ითხოვდნენ. მისმა მეუღლემ, ნინო ყიფიანისამ, მრავალჯერ „შეაწუხა" თუ ტფილისის, თუ პეტერბურგის სასახლენი, მაგრამ არც არავინ ისმინა, არც არავინ შეისმინა. უეჭველად თვითონ „ურჩი ყიფიანისგან" პირადად მოელოდნენ პატიებისთვის ხვეწნა-მუდარას. მაგრამ ეს არ მოხდებოდა, რადგან იგი დიმიტრი ყიფიანი იყო.

და სწორედ ამიტომ — სწორედ დიმიტრი ყიფიანობისთვის — უმოქმედო სიცოცხლეც კი საშიში და საშფოთარი გამხდარიყო ქართველთ-მომტერე „ბოროტ ძლიერთათვის".

და 1887 წლის 24 ოქტომბერს... მკვდარი იპოვნეს.

ლოგინში, ძილში მოეკლათ მოხუცი. რაღაც მრგვალი და მძიმე საგანი უღმერთო ძალით და დაუნდობლობით დაეკრათ თავში.

და იმავე დღეს შეწყალებისა და ამნისტიის ფურცელიც მოვიდა პეტერბურგიდან.

ისევ თაბაშობდნენ პეტერბურგელი ძლიერნი ამა ქვეყნისანი ამხაირ, უკვე უთვალავჯერ გაცვეთილ პოლიტიკურ ვოდევილს.

და იმდენიც ვერ იწინასწარმეტყველეს, რომ დიმიტრი ყიფიასის ცოცხლად დატოვება ვერ ძოუტანდა იმდენ ვნებას მეფის ხელისუფლებას საქართველოში, რამდენიც მას დიმიტრი ყიფიანის მოკვლამ მოუტახა.

ეს იყო ქართველთა შორის აღშფოთების, სიძულვილისა და მღელვარების აზვირთება რუსული მონარქიული რეჟიმის წინააღმდეგ — გამოწვეული სწორედ დიმიტრი ყიფიანის მკვლელობისაგან.

მაშინ, უმკაცრეს ცენზურულ აკრძალვათა პირობებშიც კი, ილია ჭავჭავაძემ დაწერა გაზეთ „ივერიას" მოწინავე წერილში:

„ყველა სწუხს, ყველა ჰგლოვობს, ყველა მისტირის უკან

დიმიტრი ყიფიანსა: დიდი თუ პატარა, ყრმა თუ ხნიერი, სწავლული თუ უსწავლელი, მაღალი თუ დაბალი, ნაცნობი თუ უცნობი, მახლობელი თუ შორეული — ყველანი ერთად და თვითეული ცალკე ჰგრძნობს, რომ რაღაც დააკლდა, რაღაც დაეკარგა, რაღაც ძარღვი ჩაწყდა გულში... რით აიხსნება იგი საიდუმლოება, რომ ჩვენი სული და გული ჰკვნესის და იხუთება დიმიტრი ყიფიანის დაკარგვის გამო?.. ცხადია, რომ კაცი იყო დიმიტრი ყიფიანი. იგი იყო გულთა-სრული კაცი... იგი იყო კაცი ხასიათისა... ყოველი დიდებული საქმე რითაც კი კაცობრიობა ჰქადაგობს და თავს იწონებს, ქმნილია ხასიათიან კაცთა მიერ და არა ვისმე სხვისაგან. ამიტომაც ხასიათის კაცის წინაშე ყველა უნებლიეთ თავს იხრის მოწიწებით და სასოებით; ამიტომაც ყველა დიდი და პატარა, უკან მისტირის, როცა ამისთანა კაცი მიდის უკან დაუბრუნებლად და სამუდამოდ".

და კიდევ ამ ამბის დამსწრე ვალერიან გუნია მოგვითხრობს:

„ხალხის აღშფოთებას, მის აფორიაქებულ მღელვარებას საზღვარი არ ჰქონდა. მთელი საქართველო სდუღდა სამართლიანის გულის წყრომით, ყველა აღვსილი იყო მართებულის შურისძიებით... ხალხი დიდი თუ პატარა აშკარად გრძნობდა, რომ დიმიტრი ყიფიანის სახელთან რაღაც არა ჩვეულებრივი ხდება და თანდათან თვალი ეხილებოდა მთავრობის ვერაგობაზე".

მკვლელი მთავრობა იმასაც ამაოდ შეეცადა, მოკლული ხალხისგან ნამალევად ჩაეგდო მიწაში. მაგრამ სწორედ ხალხი დროზედ დაუდგა ჭირისუფლად თავის სათაყვანო გმირს. მზადდებოდა დაკრძალვა დიდის ზარზეიმით. წამებულის ცხედარი უნდა ჩამოეტარებინათ ტფილისის ყველა ეკლესიაში, მათგან — ანჩისხატში ერთი ღამე უნდა გაეთევინებიათ, და მერე წაესვენებიათ მამადავითისაკენ.

მთავარმართებელი და მისი კამარილია დაფრთხნენ. ეგზარქოსი პავლე, — ვისაც ხალხი ყიფიანის მკვლელობის მთავარ დამნაშავედ მიიჩნევდა — სასწრაფოდ საქართველოდან უაზანში გააქანეს და მის ნაცვლად ტფილისში დროებით ალექსანდრე ეპისკოპოსი დასვეს.

მაშინ ისიც გამჟღავნდა, რომ პავლე ეგზარქოსს მოკლუ-

ლი პავლე ჩუდეცკის ქვრივი ფარულ საყვარლად ჰყოლოდა, ხოლო ახლა აშკარად თან წაიყვანა ყაზანში გაქცეულმა თავისი უკანონო და უზნეო ტრფიალების თანაზიარი...

რაც მთავარია, მოსალოდნელი დემონსტრაცია და მანიფესტაცია უნდა ჩაეშალათ. და სწერდა ტფილისის გუბერნატორი მთავარმართებელს:

„...გავიგე რა, რომ განსვენებულ ყიფიანის ჰირისუფალთ განზრახვა აქვთ კუბო დაატარონ სხვადასხვა რაიონების ეკლესიებში, ხოლო ერთს მათგანში (ანჩისხატის ეკლესიაში) დასტოვონ მთელი ღამით, მე ვუბრძანე პოლიცმეისტერს გაანუცხადოს პროცესიის ხელმძღვანელთ რომ ასეთი ხეტიალი განსვენებულის გვამისა, დაშვებული არ იქნება, და რომ კუბო აუცილებლად უნდა იქნას წაღებული პირდაპირ აღნიშნულ მონასტერში (მამადავითის). ეს განკარგულება ეცნობა ეპისკოპოს ალექსანდრესაც, რომელიც დროებით მართავს საქართველოს ექსარხატს, რომ შესაფერისი განკარგულება გაეცათ სასულიერო უწყებისათვისაც. ამრიგად, განსვენებულის ნამდვილი და ყალბი თაყვანის მცემლებისაგან გამზადებული სრულიად უწესო დემონსტრაცია მოხსნილი იქნა და მე ვფიქრობდი, რომ ახლობელნი ჰირისუფალნი განსვენებულისა გონს მოვლენ და აღარ დაუშვებენ, რომ ცხედარი მათი ახლობელი ადამიანისა გამხდარიყო სათამაშოდ არა კეთილსაიმედო ადამიანთა ხელში, რომელთაც სურდათ ესარგებლათ მისი დამარხვით მთავრობისადმი თავიანთი მტრული გრძნობების გამოსამჟღავნებლად. სამწუხაროდ, ჩემი მოლოდინი არ გაამართლა; განიცადეს რა მარცხი პირველ თავიანთ განზრახვაში, ყიფიანის პროცესიის ხელმძღვანელებმა გადასწყვიტეს მოეწყოთ მანიფესტაცია სხვა ფორმით და ამ განზრახვით აუწყეს პოლიცმეისტერს, რადგან, ვითომდა ძნელი არის პირდაპირი გზით კუბოს ატანა სასაფლაოზე, ამიტომ მათ განზრახვა აქვთ გაატარონ ის მთელს ქალაქში, გოლოვინის პროსპექტით, თქვენი ბრწყინვალების სასახლესთან გავლით, ერევნის მოედნით და ლაბარატორული ქუჩით, ჩემი სახლის ახლოს; ამრიგად მათ სურდათ ყოველგვარ მიზეზის გარეშე გაევლოთ რამოდენიმე ზედმეტი ვერსი, მაგრამ გარკვეული მიზნით სახალხოთ გამოეყვანათ განსვენებული, როგორც ნაციონალური იდეისათვის წამებრივი სიკვდილით და-

ღუპული. გავიგე რა ასეთი განცხადების შემოტანა, მე თანახმად თქვენი ბრწყინვალების მიერ მიღებულ ინსტრუქციისა, ვუბრძანე პოლიცმეისტერს განკარგულება მოეხდინა, რომ პროცესიას არ შეეცვალა თავისი ბუნებრივი გზა...“

მაგრამ რეაქცია ვერაფერს გახდა. ხალხმა თავისი გაიტანა.

გოლოვინის პროსპექტი ხალხს ვეღარ იტევდა. პროცესია ალექსანდრე ეპისკოპოსისა და ვალერიან გუნიას წინამძღოლობით, მოედნისაკენ მიეშურებოდა. მოედნამდე მთავარმართებლის სასახლის წინ უნდა გაევლოთ. და ის იყო, კუბო გიმნაზიის შენობას გაუსწორდა, რომ პოლიციელები მოიჭრნენ და პროცესიას წინ გადაუდგნენ.

„რისთვის აჩერებთ პროცესიას?“ — მივარდა პოლიციელებს ვალერიან გუნია.

„მთავრმართებლის ბრძანებაა ასეთი: უნდა გაბრუნდეთ და მიცვალებული ჭავჭავაძის ქუჩით აასვენოთ მთაწმიდაზე“, — იყო პასუხი.

გამოტრიალდა გუნია, ალექსანდრე ეპისკოპოსს ეახლა და მოახსენა, რაც ებრძანებია მთავარმართებელს.

„მთავარმართებელიო? — იყვირა ეპისკოპოსმა — აქ ბატონ-პატრონი მე გახლავართ და არა მთავარმართებელი! აბა, მომყევით და ვნახოთ ვინ გაბედავს წინ გადადგომას!“

ბრძანა და გაუძღვა პროცესიას წინ ეპისკოპოსი ალექსანდრე. ყველა მიჰყვა მხნედ და მრისხანედ. ქუთაისიდან ჩამოსულნი ხმალზე ხელდადებულნი ხელმარჯვნივ, სასახლის მხრიდან მიჰყვებოდნენ სქლად მიმდინარე ხალხს. სასახლეს რომ გაუსწორდნენ, შიგ მყოფთა ფანჯრებს დარაბები და ფარდები ჩამოაფარეს და შიგ ჩაიკარგნენ სიბნელეში.

ხალხმა სასახლე ჩამოიტოვა, სოლოლაკისკენ აუხვია და მამადავითს მიაშურა. მთაწმინდა ხალხით გადაჭედილი ელოდა წამებულს...

და დაესვენა მთაწმინდის სურნელით აღვსილი სამარტვილეს წინ ცხედარი, დიმიტრი ყიფიანის მაღალი სულის ამასწინდელი სამკვიდრებელი. წუთით პროცესია გარინდულიყო. იგი აკაკი წერეთლის ზენაარ ხმას უსმენდა:

„ბევრჯერ შიმშილს და სიცივეს
ძაღლივით ავუღრენივარ,

მაგრამ იმავ დროს სხვა ძალას
მე აღმა ავუფრენივარ.

სიტყვები სასაყვედურო,
სათქმელად მომზადებული,
უკუქცეულა, გამქრალა,
გადამწმენდია-რა გული.

და მითქვამს: თუ რომ უმსხვერპლოდ
ვერ გაიხარებს ქვეყანა,
ღმერთო მიმიღე ზვარაკად...
ყელში გამერჭოს მე დანა...

და მით ასრულდეს ანდერძი,
გადმონაცემი ძველთაგან:
„იხსენ, უფალო, ჩემგამო
ქვეყანა განსაცდელთაგან!“

ასე ამბობდა ქართველი,
ტყვედ გაგზავნილი სხვა მხარეს,
და სპეტაკ წვერზედ წვეთ-წვეთად
ცრემლსა აფრქვევდა მდუღარეს.

ფიქრმა წაიღო... ოცნება
ცეცხლად მოედვა და ალად,
სანამდი ძილი მშვიდობის
არ გადმოვიდა მკურნალად.

ამ დროს გაიღო კარები,
მის წინა წარსდგა სკვითელი
და მირონცხებულ მოხუცსა
მტრულად შეახო მან ხელი:

ქვა დაჰკრა!.. თავი გაუპო,
დაიმორჩილა მძინარი
და, სულთამბრძოლი რომ ნახა,
სიამით იწყო ხარხარი!

უკანასკნელი სტიქონები მგოსნისვე ცრემლებმა გადაიარეს.

კუბო ჩაასვენეს.

გვირგვინების ბორცვმა დაფარა მამულიშვილის სამარადისო სამყოფელი.

გვირგვინთა შორის იყო ერთი, ასოთამწყობ მესტამბეთაგან აწყობილი და ზედ ასეთი წარწერით გაწყობილი — „ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირული სულისკვეთება“.

და, გაივლის კიდევ ხუთი წელი, ისევ მივა მთაწმინდას დიდი აკაკი წერეთელი და ისევ ეტყვის ლექსს დიმიტრი ყიფიანის საფლავს და სულს — ზენასოფლურ ლექსს, ქართული პოეზიის სწორუპოვარ მშვენებას:

მთაწმინდა ჩაფიქრებულა,
შეჰყურებს ცისკრის ვარსკვლავსა,
მნათობი სხივებს მაღლით ჰფენს
თავდადებულის საფლავსა.

დადუმებულა მთაწმინდა,
ისმენს დუდუნსა მტკვრისასა...
მდინარე ნანას უმღერის
რაინდსა, ურჩსა მტრისასა...

მთაწმინდა გულში იხუტებს
საშვილიშვილო სამარეს,
მამადავითსა ავედრებს,
აბარებს ქვეყნის მოყვარეს...

მგოსანი გრძნობამორევით
თვალს ავლებს არემარესა
და გულის-პასუხს ნარნარად
უმღერის ტურფა მხარესა:

„ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო,
სნეული დავბრუნებულვარ,
მკურნალად შემეყარეო!..

„ვერ ავიტანე ობლობა,
სისხლის ცრემლები ვღვარეო,
წამძლია სულმა და გულმა,
შენს ნახვას დავეჩქარეო.

„ჩინ მომეგებენ ღიმილით
შენი მზე შენი მთვარეო,
გუნდი და გუნდი ვარსკვლავი,
მოკაშკაშ-მოელვარეო.

„გულში იფეთქა სიამემ,
სევდები უკუვყარეო,
ია და ვარდი დამჭკნარი
ხელახლად გამიხარეო!...

„ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
სულის ჩამდგმელო მხარეო,
შენი ვარ შენთვის მოვკვდები,
შენზედვე მგლოვიარეო!..

„ნურც მკვდარს გამწირავ, ნურც ცოცხალს,
ზე კალთა დამაფარეო...
და, რომ მოვკვდები, გახსოვდეს,
ანდერძი დავიბარეო:

„დედა-შვილობამ, ბევრს არ გთხოვ:
შენს მიწას მიმაბარეო,
ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო!“

იწვა ღვთაებრივ მიწაში და ისმენდა ღვთაებრივ ხმას დიმიტრი ყიფიანი — „მეორე დიმიტრი თავდადებული“...



ილია ჭავჭავაძე

აგვიყოლია სიყრმიდანვე ჩვენ ქართვლის ბედმა*

„მშვიდობით, მეფობაო ისრაელისაო, რამეთუ უგუნურებით მოჰკალით, უბადრუკნო და წარწყმედილნო, უფალი და მაცხოვარი ყოველთა, და იქმენით ბოროტად მკვლელნი შემოქმედისა თქვენისა!**

ახეთი,
ყვარელი.

ქრისტეს დაბადებიდან 1837 წლის 27 ოქტომბერი.

(36-ე წელიწადი დამოუკიდებლობაწართმეული საქართველოსი).

და, ფეხბედნიერი ძეობა სვეგაშავებული სამშობლოსათვის: დაიბადა სულიერი უფლისწული საქართველოსი — ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე.

მამა — გ რ ი გ ო ლ ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ოფიცრად ნამსახური რუსულ არმიაში, ნიჟეგოროდის დრაგუნთა ლეგიონში. მონაწილეობდა რუსეთ-თურქეთის ომში (1828—1829 წწ). იბრძოდა ყარსის, ახალქალაქის, ახალციხის კედლებთან; მას უკან — ჰანეთს, არზრუმს, ტაოს, კოლას, არტაანს, ერუშეთს, სპერს. იცნობდნენ სიმამაცით, აჯილდოვებდნენ სიმამაცისთვის, სიკვდილისადმი გულგრილობისთვის. სამი უფროსი ძმა ბრძოლებში დაეღუპა და, ოჯახი რომ არ დანგრეულიყო, სამხედრო სამსახურიდან გამოვიდა და ყვარელს დაბრუნდა. უკანასკნელი ბრძოლა კახეთში აბრაგად შემოჭრილ ლეკებთან გადაიხადა (1850 წლის 14 ივლისს), ფრიადი ვაჟკაცობით და ძლევამოსილებით.

დაქორწინდა 1832 წელს, 21 წლისა (ცოლად შეირთო 14 წლის მ ა რ ი ა მ ი ბავშვობის სახელით — მაგდანე), ძველქართულ-აზნაურული გვარის, ბ ე ბ უ რ ი შ ვ ი ლ ი ს ქალზე.

* ილია ჭავჭავაძე,

** გოდება ელიოზ მცხეთელის დედისა.

შეეძინათ ექვსი შვილი — კონსტანტინე, ნინო, ილია, ელიზაბედი, თემური და სვიმონი.

ადრე დაობლდნენ — დედა გარდაეცვალათ 30 წლისა, მამა — 41 წლისა.

ოჯახი მოსავლელად შერჩა ქვრივ მამიდას — მ ა კ რ ი ნ ე ს.

ჯერ კიდევ მშობლების სიცოცხლეში, 8 წლის ილიამ სწავლა დაიწყო იქვე, ყვარელში, საშინაო სკოლაში.

1848 წლის დამდეგს მამამ ტფილისში ჩამოიყვანა და რაევსკის კერძო პანსიონში მიაბარა. აქ სამი წელიწადი ისწავლა. 1851 წელს კი შევიდა გიმნაზიაში, სადაც მასწავლებლებად დახვდნენ დ ი მ ი ტ რ ი ყ ი ფ ი ა ნ ი და ი ვ ა ნ ე ქ ე რ ე ს ე ლ ი ძ ე.

1857 წელს, 20 წლის ილია მიემგზავრება პეტერბურგს. გამგზავრების წინ ეს მრავლისმეტყველი ლექსი დაუტოვა მშობლიურ კუთხეს, — „ყვარლის მთებს“:

სამშობლო მთებო! თქვენი შვილი განებებთ თავსა,
მაგრამ თქვენ ხსოვნას ვერ მივცემ მე დავიწყებასა:
თქვენ ჩემთან ივლით განუყრელად, ვით ჩემი გული,
თქვენთან ჰე, მთებო, ბუნებითა შეუღლებული!
. . . . . .
მშვიდობით, ჩემნო, თვალში ცრემლით განებებთ თავსა...
უცხოეთიდამ კვლავ მოგაწვდენთ ჩემს გულს და თვალსა...

ოთხი წელიწადი (1857—1861) ისწავლა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე.

მის დროს იქვე სწავლობდნენ: აკაკი წერეთელი, კოხტა აფხაზი, კირილე ლორთქიფანიძე, ნიკო და ბესარიონ ღოღობერიძენი, ილია ოქრომჭედლიშვილი, პეტრე ნაკაშიძე, შაქრო მაღალაშვილი, დავით ყიფიანი (დიმიტრი ყიფიანის ძმისწული), მიხეილ ჩიკოიძე, იოსებ ვაჩნაძე.

ილია ჭავჭავაძე მათი აღიარებული მეთაური იყო.

ყველას ერთად დაერქმევათ „თ ე რ გ დ ა ლ ე უ ლ ნ ი“.

უფრო გვიან მიემატებათ ნიკო ნიკოლაძე და გიორგი წერეთელი.

მათი უწყვეტი, მარადისი მსჯელობის, ფიქრის, ზრუნვის და წუხილის საგანი იყო ბედი მათი სამშობლო საქართველოსი.

1859 წელს ჟურნალ „ცისკარში“ დაიბეჭდა ნაწყვეტი ილიას უშესანიშნავესი თხზულებიდან „აჩრდილი“, რისთვისაც აკაკიმ მომდევნო წელს, იქვე „ცისკარში“ ილიას შეაგება სიყვარულით და სიხარულით აღსავსე ლექსი — „ამაო ძებნა“.

(ასე იწყებოდა საქართველოს მომავალ უგვირგვინო მეფეთა ნახევარსაუკუნოვანი „ერთუღლიანობა“).

1861 წელს ილია დაბრუნდა საქართველოში.

მისი დიდი გონება მზად იყო ერის საწინამძღვროდ.

ერის გასანათლებლად და გასანათლავად.

ერის განმათავისუფლებლობისათვის.

ერის შინა-სოციალურ ტკივილთა განკურნებისათვის.

ერის მშობელი ენის განახლებისათვის.

ადრევე, 1858 წელს, 21 წლის ჭაბუკმა თქვა ეს სამომავლო-საღვაწლო სიტყვა („ქართვლის დედას“):

მას ნუღარ ვსტირით, რაც დაკარგულა,
რაც უწყალოსთ დროთ ხელით დანთქმულა,
მოვიკლათ წარსულ დროებზედ დარდი...
ჩვენ უნდა ვსდიოთ ახლა სხვა ვარსკვლავს,
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი,
ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს.

ილიას მიერ გააზრებული ხალხის მომავალი და „მყოობადი“ გულისხმობდა ორი საბედნიერო საწყისის (ბერძნ. „არხე“) გათავისუფლებას — ერისას და შრომისას.

შინაეროვნულ („მშობლიურ“) სოციალურ უსწორობასა და უსამართლობას მიუძღვნა ილიამ მოთხრობა „გლახის ნაამბობი“ და პოემა „კაკო ყაჩაღი“. ისევ სოციალურ-წოდებრივი „ხიდის ჩატეხილობა“ უფრო ხაზგასმით ნაჩვენებია „ოთარაანთ ქვრივში“.

თვითონ ილიას პიროვნული სამოღვაწეო სახე და ხასიათი მოცემულია პეტერბურგიდან დაბრუნების ჟამს დაწერილ „მგზავრის წერილებში“:

„როგორ შევეყრები მე ჩემს ქვეყანას და როგორ შემეყრება იგი მე... რას ვეტყვი მე ჩემს ქვეყანას ახალს და რას მეტყვის იგი მე? იქნება ზურგი არ შემომაქციოს, იქნება მიმითვისოს კიდეცა, რადგან ჩემში მაინცა-და-მაინც ჩემის ქვეყნის დვრიტაა დადებული. მაგრამ მაშინ რა ვქმნა, რომ ჩემმა

ქვეყანამ მამიყოლოს და მიამბოს თავის გულის-ტკივილი; თავისი გლოვის დაფარული მიზეზი, თავისი იმედი და უიმედობა, და მე კი, მის ენას გადაჩვეულმა, ვერ გავიგო მისი ენა, მისი სიტყვა? იქნება მიმიღოს კიდეცა და, როგორც თავისი შვილი, გულზედაც მიმიკრას და ხარბად დამიგდოს ყური. მაგრამ მე შევიძლებ კი, რომ მას ღვიძლი სიტყვა ვუთხრა და იმ სიტყვით გულის-ტკივილი მოვურჩინო, დავრდომილი აღვადგინო, უნუგეშოს ნუგეში მოვფინო, მტირალს ცრემლი მოვწმინდო, მუშაკს შრომა გავუადვილო; ის სიტყვით ვასმინო, რომ არის მრავალი ქვეყნები, ჩვენზედ უფრო უბედურად გაჩენილნი, მაგრამ უფრო ბედნიერად მცხოვრებნი; და ის თითოეული ნაპერწკალი, რომელიც არ შეიძლება, რომ ყოველს კაცში არა ბოლავდეს, ერთ დიდ ცეცხლად შევაგროვო ჩემის ქვეყნის გაცივებულის გულის გასათბობლად. შევიძლებ კი? შევიძლებ გასაგონის ღვიძლის სიტყვის თქმასა? გადავწყვიტე, რომ ჩემი ქვეყანა მიმიღებს და მიმითვისებს კიდეც, იმიტომ რომ იმისი სისხლი და ხორცი ვარ; იმის სიტყვასაც და ენასაც გავიგებ, იმიტომ რომ მამულის სიტყვას მამულის-შვილი ყურს უგდებს განა მარტო ყურითა, გულითაცა, რომლისათვისაც დუმილიც გასაგონია; ჩემს სიტყვასაც გავაგებინებ, იმიტომ რომ შვილის სიტყვა მშობელს ყოველთვის ესმის. მაგრამ ამას სულ სიტყვაზედ ვლაპარაკობ, საქმე კი საქმეშია. შენმა ქვეყანამ საქმე რომ მოგთხოვოს, მაშინ რასა იქმ? — ვკითხე მე ჩემს თავს და გავჩერდი კიდეც. ვიგრძენ, რომ ამ კითხვამ შესწყვიტა ის ზემოხსენებული ჩემი ფიქრების ფერადი გრეხილი".

„მგზავრის წერილებში" — ერის სამეთაუროდ გულანთებულ ახალგაზრდა ჭავჭავაძის ამ სულიერ აღსარებაში — გამორჩეულად გამოსჩანს ეროვნული დამოუკიდებლობის ცხოველი ფიქრი და ოცნება. ესაა ქართველი კაცისათვის მარად სახსოვარი დიალოგი ილიასა და მოხევე ლელთ ღუნიას შორის:

„მაშ, უწინდელი დაწყობა და დრო უკეთესი იყო?

„რაიდ არა?

„რით იყო უკეთესი?

„ადრიდა ავად თუ კარგად ჩვენ ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუდნეს, მით იყვის უკედ"...

ილია შეიქმნა მეთაური და მოძღვარი იმ საგანმანათლებლო და ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობისა („აზრობრივი მოძრაობისა"), რომელმაც საქართველოს ისტორიაში დაივანა „სამოციანელობის" სახელით.

ხოლო, 70-იანი წლების შუა ხანაში თერგდალეულთა საკრებულოც დაიშალა. უთანხმოება ერის ბელადობისა და მეთაურობის, ერის განთავისუფლების მამოძრავებელ ძალთა, პროგრესულ გზათა და საშუალებათა განსაზღვრებაში მჟღავნდებოდა. და ამ საკითხთა გადაწყვეტაში გამოიკვეთა ორი მთავარი მიმდინარეობა, ანუ ორი „დასი".

„პ ი რ ვ ე ლ დ ა ს ს" შეადგენდნენ: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, უფრო გვიან — ალექსანდრე ყაზბეგი და ვაჟა-ფშაველა. ეს იყო ჰ უ მ ა ნ ი ს ტ ურ დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი მიმდინარეობა, რომელიც ერის ხელმძღვანელ ძალად პროგრესულ თავად-აზნაურობას მიიჩნევდა. ისინი ერის შიგნით სოციალურ და წოდებრივ უსწორობასაც ჰხედავდნენ და კიდევაც ჰგმობდნენ და ებრძოდნენ, მაგრამ მაინც ყველა სოციალური შრე ერის ერთიან, სისხლხორცეულ ნაწილად მიაჩნდათ და მათ შორის უფრო თანხმობასა და ერთიანობას ქადაგებდნენ, ვიდრე ერის შიგნით სოციალური და კლასობრივი ბრძოლის გამწვავებას. მათთვის მთავარი ერის გათავისუფლება და დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის მოპოვება იყო, და ამ ს ა ე რ თ ო ე რ ო ვ ნ ულ ბ რ ძ ო ლ ა შ ი ერთნაირი თავგამოდებით უნდა ებრძოლა ყოველ სოციალურ და „კლასობრივ" წრეს.

ასე რომ — ილია ჭავჭავაძის „დასის" დროშაზე თავისუფლად შეიძლებოდა წერებულიყო ლოზუნგი: „ქ ა რ თ ვ ე ლ ე ბ ო ყ ვ ე ლ ა კ ლ ა ს ი ს ა, შ ე ე რ თ დ ი თ!"

„მ ე ო რ ე დ ა ს შ ი" შედიოდნენ ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, სერგეი მესხი და სხვანი. ეს იყო რ ა დ ი კ ა ლ უ რ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი მიმდინარეობა, რომელიც ერის ხელმძღვანელ და წარმმართველ ძალად მიიჩნევდა ბურჟუაზიას. მეორე დასელები პროგრესს კაპიტალიზმის განვითარებაში ჰხედავდნენ და იმედსაც კაპიტალიზმის პირმშო კლასზე, ბურჟუაზიაზე ამყარებდნენ.

კაპიტალიზმი კი უკვე იდგამდა ფეხს საქართველოში, და იქვე, მისსავე წიაღში, იბადებოდა ორივე კლასი — ბურჟუ-

აზია და პროლეტარიატი. ხოლო, ამ ახალმა სოციალურმა პროცესმა საქართველოში დაჰბადა „მ ე ს ა მ ე დ ა ს ი ც“, ანუ მარქსისტული, სოციალ-დემოკრატიული მიმდინარეობა, რომლის პირვანდელი ბირთვი შეიქმნა ეგნატე ინგოროყვას, ნოე ჟორდანიას, მიხა ცხაკაიას, სილიბისტრო ჯიბლაძის, კარლო ჩხეიძის, ისიდორე რამიშვილის და სხვათა შემადგენლობით. მალე და თანდათან მათ შეუერთდებიან: ფილიპე მახარაძე, ლადო კეცხოველი, საშა (ალექსანდრე) წულუკიძე, სოსო (იოსებ) ჯუღაშვილი (შემდეგში სტალინი) და სხვანი.

მესამე-დასელები ცალკე, და განსაკუთრებით ქართველი ერისათვის ბრძოლას რეაქციულ, „ნაციონალისტურ“, „შოვინისტურ“, „სეპარატისტულ“, კაცობრიობისათვის მავნე გამოხდომად მიიჩნევდნენ და თავგამოდებით ებრძოდნენ მას. მათი მთავარი საბრძოლო და საზრუნავი იყო განხორციელება „კომუნისტური პარტიის მანიფესტით“ გადმოსროლილი განთქმული ლოზინგისა: „პ რ ო ლ ე ტ ა რ ე ბ ო ყ ვ ე ლ ა ქ ვ ე ყ ნ ი ს ა, შ ე ე რ თ დ ი თ!“

პირველი და მეორე დასი, მიუხედავად მათ შორის ზოგიერთ პრინციპულ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობისა, მაინც ერთ ბანაკში იყვნენ — ქართველი ხალხის ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ბანაკში. მათთვის, ორივესთვის, მთავარიც სწორედ ეს იყო: ჯერ ერის დახსნა, მისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა და შემდეგ, მისგან გამომდინარე ყოველგვარი სოციალური სიკეთე და კეთილდღეობა. ამიტომ იყო ერთ ბანაკში პირველი და მეორე დასი.

და მათი მოძღვარი და მედროშე იყო ილია ჭავჭავაძე.

მსოფლიო იწყება შენი სამშობლოთი, შენი ერით, შენი ენით, შენი ეროვნული, კულტურული და ტერიტორიული არსებობით, და, აქედან გამომდინარე — მსოფლიო ინტერნაციონალიზმიც იწყება შენი საკუთარი ერით, მშობლიური „ნაციის“ ინტერესთა გადარჩენითა და პატრონობით, — იძახდნენ ილია ჭავჭავაძე და მისი თანადასელნი.

ყოველივე არის მხოლოდ და მხოლოდ პროლეტარული ინტერნაციონალიზმი, პროლეტარული რევოლუცია და პროლეტარიატის დიქტატურა, — იძახდნენ მესამედასელნი.

ჯერ უცხო ბორკილთაგან სამშობლოს დახსნა და მას შემ-

დეგ სოციალური თანასწორობა და „ძმობა-ერთობა“, — ასეთი იყო ილიას მრწამსი. ამასვე ამბობდა მისი ეროვნული უღლის გამწევი აკაკი წერეთელიც:

არა, ჩვენ უნდა ჩვენი ბორკილი
შეერთებულად ჩვენ ავიყაროთ
და მერე უნდა „ძმობა-ერთობით“
და თანსწორობით ჩვენც გავიხაროთ.

ილიამ პირველმა იქადაგა საქართველოში „შრომისა ახსნაც“, „შრომის სუფევაც“, „მაშვრალის განკაცებაც“, „ბორკილთა მსხვრევაც“, და ქართველმა სოციალ-დემოკრატებმაც, იგივე „მესამე-დასელებმა“, ყველა ეს ფორმულა თვით მარქსზე ადრე სწორედ ილიასგან ისწავლეს.

ეს საოცრად ჯადოსნური სოციალური ლოგოსიც — „ერთობა“ — ილიას აპოსტოლური შუბლის ღვიძლი შვილი იყო და ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა ესეც „იმ აპოსტოლისგან“ ისწავლეს.

მაგრამ ყველა ამ ნასწავლ და ნასესხებ ფორმულებში „მოწაფეებმა“ სრულიად სხვა, „მასწავლებლის“ ნააზრევთა საპირისპირო აზრი ჩასდეს და ჩაადუღაბეს.

ილიას რომ „ერთობის“ ქვეშ ყველა წოდების და ყველა სოციალური შრის ერთიან ერად, ნაციონალურ მთლიანობად შეერთება და შეკავშირება ეგულებოდა, მესამე-დასელებს ამის საპასუხოდ და საწინააღმდეგოდ ისევ ის მოწოდება მოემარჯვებინათ, მსოფლიო პროლეტარიატის ერთობას რომ გულისხმობდა.

რასაკვირველია, ეს ლოზუნგი არც ილიასთვის იქნებოდა გაუგებარი, მაგრამ ვის, თუ არა ილიას უნდა სცოდნოდა, რომ სანამ მის მცირე, საუკუნეების მანძილზე სისხლნაქცევ და გაჩანაგებულ ქვეყანას კისრიდან ცარიზმის უმძიმესი კოლონიალური უღელი არ მოეშორებინა, რაიმე „მსოფლიო რევოლუციებისა“ და „მსოფლიო დიქტატურებისათვის“ წვეთი სისხლის გაღება პრაქტიკულადაც, ფიზიკურადაც არ შეეძლო.

მაშ, უწინარეს ყოვლისა, ყველა წოდების (ერთნაირად — „თავადი“, „აზნაური“, „გლეხი“, „ბურჟუა“, „პროლეტარი“) ერთიანობა სამშობლოს დასახსნელად!

სამშობლო?!

სამშობლოზე და მამულზე სიტყვის ჩამოგდებაც კი ძარღვებს უშლიდა მესამე-დასელებს. ამ შემთხვევაში მათი „უტყუარი კოზირი“ იყო ფრაზა: „მუშებს სამშობლო არა აქვთ“. მათთვის ეს ფორმულა, — რომელიც, რასაკვირველია, უფრო პოეტურ-სენტიმენტალური ფორმულაა, ვიდრე რეალურ-მეცნიერული — მაქსიმალისტური კანონის რანგში აყო აყვანილი. ასე გასინჯეთ, ყოველ ომში საკუთარი სამშობლოს მარცხის სურვილსაც („პორაჟენცობა“!) აშკარად ქადაგებდნენ (რასაკვირველია, მანამ, სანამ თვითონ არ აუღიათ ხელში უმაღლესი ძალაუფლება).

არსად, არც რუსეთის და არც ევროპის სოციალ-დემოკრატთა შორის არ ჰქონია ისეთი გასავალი და წამდაუწუმ ხმარების პრაქტიკა ამ ფორმულას — მუშებს სამშობლო არა აქვთო — როგორც ქართველ მესამე-დასელთა შორის.

ეს, თითქოს, ბუნებრივიც უნდა ყოფილიყო, რამდენადაც ყველაზე მეტად სწორედ ქართველ მარქსისტებს „აწუხებდნენ“ და „აბეზრებდნენ“ თავს ასეთი „აბეზარი“ კატეგორიებით — „ერი“, „სამშობლო“, „მშობლიური ენა“, „მშობლიური კულტურა“, „ისტორია“ და სხვა მისთანანი. ხოლო, რუსეთსა და ევროპაში აქაურ ხალხებს — არც პროლეტარებს და არც ანტიპროლეტარებს — აკი საერთოდ არ აწუხებდათ ეროვნული საკითხი.

მაგრამ მთავარი ის ყოფილა, რომ თურმე ქართველი მარქსისტები იმ ერთი „შეყვარებული ფორმულის“ (მუშებს სამშობლო არა აქვთო) იქით, სხვას, უფრო დიდმნიშვნელოვანს, მარქსისა და ენგელსის შრომებში ვეღარ (თუ აღარ) ჰხედავდნენ. აი, მოვუსმინოთ თვითონ მარქსსა და ენგელსს:

1. „სანამ სიცოცხლის უნარიანი ხალხი შებორკილია უცხოელი დამპყრობელის მიერ, იგი მთელს ძალებს, მთელს თავის მისწრაფებებს, მთელ თავის ენერგიას აუცილებლობით მიმართავს საგარეო მტრის წინააღმდეგ“;

2. „ერვნული ჩაგვრის მოშორება ძირითადი პირობაა ყოველი ჯანსაღი და თავისუფალი განვითარებისა“;

3. „სანამ არ არის მიღწეული ერვნული დამოუკიდებლო-

ბა, ხალხს ისტორიულად არ შეუძლია რამდენადმე სერიოზულად განიხილოს რაიმე საშინაო საკითხები“;

4. „თუ არ იქნა აღდგენილი ყოველი ცალკეული ერის დამოუკიდებლობა და ერთიანობა, ისე არც პროლეტარების საერთაშორისო გაერთიანებაა შესაძლებელი და არც ამ ერების მშვიდობიანი და შეგნებული თანამშრომლობა საერთო მიზნების მისაღწევად“.

ამაზე მეტი, ამაზე რეალური და სამომავლოდ სანიშანსვეტო ჭეშმარიტება რაღა უნდა თქმულიყო?! ხოლო ქართველ მარქსისტებს მათივე სალოცავი კერპების პირით ნათქვამი ეს უტყუარი, მთავარი და წარმმართველი მცნებანი ვერ (თუ არ) გაეგოთ.

კარგად შეუმჩნევია და მიუნიშნებია ილიას სწორედ ილიასებურად): ალბათ, ამნაირი მარქსისტებისგან გაჯავრებული ამბობდა მარქსი — „რაც გინდათ დამარქვით, ოღონდ მარქსისტობას — კი ნუ დამწამებთო“.

...მაშ, მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეთა მიჯნაზე საქართველოში ეს ორი ლოზუნგი დასდგომოდა ერთმანეთს პირისპირ:

ქართველებო ყველა კლასისა, შეერთდით!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პირველის მედროშე ილია იყო.

მეორისა — ნოე ჟორდანია, ფილიპე მახარაძე და ძმანი მათნი.

მაშ, იყო ილია და იყვნენ ანტი-ილიელები.

და აქ „ანტი“ არ ნიშნავს უბრალოდ „წინააღმდეგს“, არამედ... ისინი მტრები იყვნენ, უკვე მოსისხლე მტრებიც.

მტრობა კი, საქრთველოსთვის იყო, — იმისთვის თუ, ვის უნდა გაჰყოლოდა საქართველო და ამ „გაყოლით“, ბოლოს და ბოლოს, ვის უნდა დარჩენოდა იგი, — ეს უძვირფასესი საბრძოლო პრიზი!

საქართველო კი ილიას მიჰყვებოდა, განუხრელად და გაუკვეთელად.

მაშ, სანამ ილია ცოცხალი იყო...

. . . . . .

ეროვნული დამოუკიდებლობა!

არიან დედამიწაზე ბედნიერი, ერები, რომელთაც ეს „უცნაური საფიქრალი“ არ ეფიქრებათ.

ხოლო, ქართველმა ხალხმა მთელი თავისი ისტორია სწორედ ეროვნული გადარჩენის, ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის თავგანწირულ ბრძოლაში გამოატარა.

„ვიქნები თუ არ ვიქნები ვითარცა ერი ხვალ, ზეგ, მერმისს? გადავრჩები თუ ვერ გადავრჩები, ვიარსებებ თუ ვერ ვიარსებებ?!“ — აი, მარადიულ შემარყეველი საფიქრალი და „საკითხავი“ მცირერიცხოვანი ერებისა და მათ შორის ქართველებისა.

მაგრამ დანასისხლად გადამტერებული საისტორიო ბედისწერისგან ქართველ ერს მაინც დასდევდა ეს „იღბალი“: ყოველ უმძიმეს, ეროვნული ყოფნა-არყოფნის მდგომარეობათა შექმნის ჟამს უნდა გამოჩენილიყო ვინმე „ეროვნული წინამძღოლი“, „მოძღვარი“, „ერისმთავარი“, „მესაჭე“, „ბელადი“, გვირგვინოსანი თუ უგვირგვინო „მეფე“, რომელიც ზეგარდმო ნიჭით, უტყუარი ალღოთი და გერშით, ვითარცა მოსე, უწინამძღვრებდა და გამოიყვანდა მშობელ ხალხს უეჭველი დაღუპვის მარგუნებელი სამყაროდან.

მაგრამ XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე ძნელი იყო „ერისმთავრობა“, „ერისმოძღვრობა“, „ერისმწყემსობა“ — ძნელი იყო, რადგან უამრავი „იზმით“ ავსებულიყო აზროვნების ბედისწერით ატანილი ეს დრო-ჟამი: კაპიტალიზმი, იმპერიალიზმი, კოლონიალიზმი, მილიტარიზმი, ანარქიზმი, სოციალიზმი, ცარიზმი, შოვინიზმი, ნაციონალიზმი, მონარქიზმი, პარლამენტარიზმი, ანტაგონიზმი...

და ვინ მოთვლის კიდევ რამდენი „იზმი“?!

ხოლო, ყოველი „იზმი“ თავის საკუთარ, თავის სასისხლოს მოითხოვდა!

მცირერიცხოვანი ერები კი განსაკუთრებით ზარალდებიან მსოფლიო „იზმებისთვის“ უზღვავი და უზღვავი სისხლის გაღებით.

მცირერიცხოვანი და აქტიური ერები!..

საქართველოს კი არასოდეს, მთელი მისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე, არ დაუთმია „მსოფლიო აქტიურობა“: არასოდეს იგი არ ყოფილა ოდენ გულგრილი მეთვალყურე

და „გამოწყვეტილი“ მაჩანჩალა რაიმე და რომელიმე მსოფლიო მოვლენისა, მსოფლიო მოძღვრებისა, იდეისა, ნოვატორული თუ რენესანსული მსოფლიო ინტელექტუალური მიღწევისა. გამოწყვეტილა კი არა, უბრალო „მიმდევრობას“, თუნდაც კეთილშობილურ ეპიგონობასაც არ კმარისობდა და არ „კადრულობდა“ ქართველი კაცი. იგი მთელის არსებით, სულისა და ხორცის სრული შეწირვით უნდა მისცემოდა ყოველ მსოფლიო მოვლენას და, რაც მთავარია, უნდა მისცემოდა საკუთარი ეროვნული სულის განფენილობით, გამორჩეული „კაზუსის“ დონეზე აყვანილი ეროვნული „ნოვატორობით“, „კოლორიტით“, „თვითმყოფობით“.

ასეთი იყო ქართველი კაცი — მუდამ „მსოფლიო აქტიურობით“ და მსოფლიო „მოძრაობაში“ უაღრესი ეროვნული „ნოვატორიზმით“. ასეთი იყო იგი ძველ საუკუნეებში, ასეთი იყო შუა საუკუნეებში, ასეთად დარჩა ახალ საუკუნეებშიც.

XIX საუკუნე მსოფლიო „იზმების“ ციებ-ცხელებას მოეცვა და საქართველოც — ვითარცა მსოფლიო-გლობალურ მოვლენათა უაღრესად აქტიური ნაწილი („ცხელი წერტილი“!) — იმავე ციებ-ცხელებით იყო შეპყრობილი.

ძნელი იყო მაშინდელ საქართველოში „ერისმთავრობა“, „მწყემსმთავრობა“, ძნელი იყო, რადგან ბევრი იჩემებდა „ერისმთავრობას“, „მწყემსმთავრობას“, „ბელადობას“, „ლიდერობას“, „მესაჭეობას“, სხვათა მისთანათა.

და ყოველ მათგანს ცალკეულად აეჩემებინა, რომ მას ერთადერთს ეპყრა ხელში მოსეს კვერთხიც, დავითის ქნარიც და სოლომონის ბეჭედიც.

XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე საქართველო მიჰგავდა ქრისტესდროინდელ პალესტინას, სადაც ბატონობდა „პირველი რომი“ და რომაელი იმპერატორის უღლის ქვეშ მოქცეული მცირე ქვეყანა ავსებულიყო უამრავი „წინასწარმეტყველით“, „მესიით“, „ღმერთით“, მაგრამ ერთადერთი ღმერთი ჭეშმარიტი მათ შორის აღმოჩნდა ოდენ იესო ქრისტე!

ასევე საქართველო — „მესამე რომის“, ანუ რუსი იმპერატორის უღლის ქვეშ მოქცეული მცირე ქვეყანა, ავსებულიყო უამრავი „ლიდერით“, „ბელადით“, „მესაჭით“, მაგრამ

ნამდვილი და ჭეშმარიტი ბელადი მათ შორის აღმოჩნდა ოდენ ილია ჭავჭავაძე!

ორივე გმობდა სისხლის დაქცევას — ქრისტეც, ჭავჭავაძეც.

ორივე იყო გმირი სიტყვისა, ოდენ სიტყვისა.

მაგრამ — სიტყვა მათი იყო სიტყვა „ღმრთისა თანა".

და სწორედ „ღმრთისა-თანობა" არ აპატიეს — არცა ქრისტეს, არც ჭავჭავაძეს...

...და დამდგარიყო ქრისტეს დაბადებიდან წელი — 1907.

თვე აგვისტო, რიცხვი 30, დღე ხუთშაბათი.

ერთი საათი ილია ჭავჭავაძის მკვლელობამდე.

მწვანე სუფრა და შავ გულთა ძგერა წიწამურის ტყეში.

სუფრის გარშემო შავგულიანი თორმეტი კაცი.

მათ შორის ხუთი „რჩეული" — გიგლა ბერბიჭაშვილი, ლომა სიზანიშვილი, პავლე ფშავლიშვილი, ივანე ინაშვილი და კიდევ „ვიღაც იმერელი"...

სუფრიდან ხუთ ნაბიჯზე ხუთი შავლულიანი ბერდანათოფი წევს, ავი მდუმარებით დატენილი და დამძიმებული.

შავი ღვინით სავსე შავი რქა მეხუთედ ჩამოატარეს.

და წამოიშალნენ, სისხლგამძვინვარებულნი და საფეთქელგახურებულნი.

დრო იხელთეს შავმა ბუზებმა და გაალმასებით დააცხრნენ გუდის ყველისა და ცხვრის დუმის ნამუსრევებს.

ხუთი გაქონილი, შავფრჩხილიანი მარჯვენა დასწვდა ხუთ ბერდანას.

შავბერდანიანი ხუთეული ტყის პირას ჩანაპირდა და ჩასაფრდა...

დგანან და ელიან სიკვდილით დატენილი „სოციალური თოფებით", გულუძვრელნი და გულჯაგრიანნი, უდიდესი თვისტომის მკვლელობაზე ნერწყვმორეულნი.

უფლის მკვლელობით ისტორიაში შესასვლელად ემზადებიან, საკუთარი სულის მესაფლავენი... ერის ღვთაების მოსაკლავად, ერის წყეულნი...

მზე საშუადღეოზე დაეყუდა, მძინვარე და ცხელდორბლიანი.

ილიას მკვლელობამდე — 45 წუთი...

...ტფილისიდან წამოსული ეტლი ავჭალას გასცდა.

საგურამოდან მოურავს შემოუთვლია თბილისში, ბატონი სასწრაფოდ უნდა მობრძანდესო.

და მიდიან ახლა საგურამოში, თავის სახლში. უკან ილია და მისი მეუღლე, ოლღა გურამიშვილის ქალი, სხედან წინ, კოფოზე — მეეტლე თედო ლაბაური და ილიას მსახური იაკობ თარაშვილი...

...2000 ნაბიჯი — წიწამურის ტყემდე.

40 წუთი — წიწამურის თოფის გავარდნამდე.

ჯვრის მონასტრის ხილვაზე ჯვარი ისახა ოლღამ.

ილია კი ღრმად ჩაჰყოლოდა ფიქრთმეტყველებას.

„მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა“.

„ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია? აწმყო თუ არა გვწყალობს, მომავალი ჩვენია“.

„და დაიმსხვრევა იგი ბორკილი შემფერხებელი კაცთა ცხოვრების... და ამ ზვიადმა საუკუნემა უნდა შეას იგი შრომის სუფევა“.

„ერი, როგორც კრებული ისტორიით შედუღაბებულ ერთსულ და ერთ-ხორც მკვიდრთა“...

...1500 ნაბიჯი — წიწამურის ტყემდე.

30 წუთი — წიწამურის თოფის გავარდნამდე.

სვეტიცხოვლის ხილვაზე პირჯვარი ისახა და ილიას გარდასახა ოლღამ.

ილია კი ისევ ღრმად ჩაძირულიყო ილიაში.

„აგერა მცხეთა — სავანე გმირთა,
დიდი აკლდამა დიდის ცხოვრების,
სად პირველ ქართველის მორჩმულთა შვილთა
ღრმად ჩარგეს ძირი თავისუფლების...
სადაც ჰყვაოდა ხე ცხოვრებისა
ქართველის გულიდან აღმოცენილი...“
„ქართველის დედაო, ძუძუ ქართველისა...“

იმსხვრეოდნენ და იძირებოდნენ ილიას ნააზრევნი ილიას სულში.

„ქართლის სამკვიდროვ, ქვეყნის თვალად დაბადებულო!...
„წამხდარა ყველა. ის ღონე და ის ძლიერება,
მტვრად გარდაქმნილა ახოვანი იგი ცხოვრება..“

...1000 ნაბიჯი — წიწამურის ტყემდე.

20 წუთი — წიწამურის თოფის გავარდნამდე.

და ილიას სულში ერთბაშად გაიხსნა ელიოზ მცხეთელის დედის გოდება: „მოჰკალით, მოჰკალით ღმერთი, უფალი მოჰკალით, თქვენ უგნურნო!..“

ფიქრი ფიქრს ათოვდა ილიას სულში...

ხშირად ადამიანებს უფრო ეწვადნიერებათ და ეხერხებათ მოკვლა საკუთარი ღმერთისა.

ცოცხალ ღმერთ-კაცს ვერ იტანენ.

მკვდარი კი უყვართ — თვითონვე რომ მოჰკლავენ და თვითონვე ღმერთად იწამებენ.

და მოჰკლეს ღმერთი ჰებრაელთა... ხელი შეიგინეს ღვთაების სისხლით, სამარადჟამოდ.

მეტადრე ქართველთა...

...500 ნაბიჯი — წიწამურის ტყემდე.

10 წუთი — წიწამურის თოფის გავარდნამდე, ანუ — ვიდრე „ფიქრის თოვა“ გათავდებოდეს...

„ჩვენო არაგვო, რარიგ მიყვარხარ!
ქართვლის ცხოვრების მოწამედ შენ ხარ...“
„და წმინდა სისხლი ქართველებისა
შენს კიდეებზე გადასხმულია...“

„და წმინდა სისხლი ქართველისა, ქართველის ხელით დაქცეულია...“

...„ვაი თქვენ უგუნურნო და უბადრუკნო, რამეთუ თქვენ თვითონ მოჰკალით შემოქმედი ღმერთი თქვენი!“...

...10 ნაბიჯი — წიწამურის ტყის პირიდან.

1 წუთი...

მეეტლემ უცებ ეტლი დააყენა და დააქვავა.

უმალ ტყემ ხუთი თოფი გამოიშვირა.

ეტლიდან გადახტა იაკობ თარაშვილი.

„კაცნო, ვინა ხართ, არ გვესრ...“

სიტყვა ჩაუჭრა თოფის გრიალმა და თარაშვილი თავდამხედ დაენარცხა მიწას.

ილია უკვე ფეხზე იდგა, ჭაბუკურად გაფიცხებული.

„შესდექით, უბედურნო, ი ლ ი ა ვ ა რ!!!“

და წამსვე ოთხი თოფი გავარდა ერთად.

გათრთოლება კანასკნელი ფიქრისა.

მკვდარი ესვენა თავადი აზრი და სინდისი საქართველოსი.

საქართველოს უგვირგვინო მეფე მაინც გვირგვინით აღსრულებულიყო — წამების, ვნების, ეკლის გვირგვინით, ქრისტეს სანათესაო გვირგვინით.

იქნებ, მ ა ი ნ ც უკანასკნელად ეს სიტყვა გაფითრდა და გაშრა მის გრძნეულ ბაგეზე:

„სა-ქართ-ველო...“

დრო გაჩერდა...

. . . . . .

მაშ, დგას ქრისტეს შობიდან 1907 წლის სექტემბერი და საქართველოში, საგურამოს წმიდა სახლში, დგას კუბო.

ხოლო, იმ კუბოში საქართველოს უსვენია მისი წმიდა მამა, მისი ჭირისუფალი, რომელიც ერთი კვირის წინ ისევე მარტოდმარტო დაიტირებდა თავის ბედკრულ სამშობლოს, როგორც მისივე ოთარაანთ ქვრივი თავის უიღბლო ერთას.

გლოვად დგას „მთელი“ საქართველო, ძველი გააზრებით — „ნიკოფსიიდან დარუბანდამდის“, ახალი ფაქტურით კი — სამი მეოთხედით შემოკლებული, რუსული სავუბერნიო, ყოფილი „საქართველო“.

და სანამ წმინდანი თავის სახლში უკანასკნელ დღეებსა და ღამეებს ითევს, მანამ უკვე დაიქცა უზღვავი ცრემლი, ითქვა და დაიწერა მრავალი სიტყვა.

პირველი ცნობა, „ისარი“, 31 აგვისტო, 1907 წელი: „ხუთშაბათს, 30 აგვისტოს, საგურამოს გზაზე მოუკლავთ ილია ჭავჭავაძე და დაუჭრიათ მისი მეუღლე“.

„ისარი“, 1 სექტემბერი: „საზარელი ამბავი ილია ჭავჭავაძის მოკვლის შესახებ ტფილისში 30 აგვისტოს საღამოს 6 საათზე მოვიდა; „ისრის“ რედაქციამ — კი დეპეშა მიიღო მეცხრე საათზე, როცა გაზეთი უკვე დაბეჭდილი იყო და პროვინციაში წასაღებად უკვე სადგურზე გაგზავნილი. ამიტომ თვით სტამბაში მოესწროთ ორი სტრიქონის ჩამატება და ისიც ტფილისის ხელისმომწერლებისათვის. აღსანიშნავია, რომ „ისრის“ თანამშრომელს, შემთხვევით იმ დღეს მცხეთაში მყოფს, რედაქციისათვის დეპეშა ნაშუადღევის 4 საათზე გამოუგზავნია, რედაქციაში — კი საღამოს მეცხრე საათზე მი-

იღეს! დაუჯერებელი ამბავი იმ საღამოსვე მსწრაფლ მოედო მთელ ტფილისის ქართველობას და თავზარი დასცა ყველას“.

საზარელი მკვლელობა

მოგვიკლეს ილია ჭავჭავაძე! საოცარია და დაუჯერებელი, მაგრამ ფაქტია უკვე, საშინელი ფაქტი. არა გვგონია, რომ იყო ისეთი შეგნებული ქართველი, რომელსაც ცოტა რამ უღვივის გულში და სინდისი შერჩენია, რომ არ აღშფოთდეს და არ შეძრწუნდეს ამ საშინელების გაგონებაზე. ეს რა დღეს მოვესწარით, ეს რა უბედურება დაგვატყდა თავს?

ორმოცდაათი წელიწადი ამ ადამიანით ვამაყობდით; მის დიდ ნიჭს, საკვირველ ჰკუას, დიდ ენერგიას ვცემდით თაყვანს მისი ამაგით და განუზომელის ღვაწლით ჩვენი ქვეყნის წინაშე ვიყავით მოხიბლულ-მოჯადოებულნი და ვინ, რომელმა მხეცებმა და სულმდაბლებმა დაგვასხეს ახლა თავს ლაფი და გამოგვჭრეს ყელი?

ილია ჭავჭავაძე! ეს ხომ ჩვენი დიდი პოეტი იყო, რომელიც საუკეთესო გრძნობებს გვიღვიძებდა და გვინერგავდა; რომელმაც დაგვიწერა „გლახის ნაამბობი“, „კაცია-ადამიანი“, „ოთაარანთ ქვრივი“, „აჩრდილი“, „განდეგილი“? ეს ხომ ჩვენი პირველხარისხოვანი მწერალი იყო, რომელმაც შეჰქმნა ახალი ხანა ჩვენს ლიტერატურაში და რომლის თხზულებებზე პირველი მოქალაქეობრივი აღზრდა მიიღო ორმა თაობამ მაინც? ეს ხომ ჩვენი პირველი საზოგადო მოღვაწე იყო, რომელმაც პირველად გაჰკაფა საზოგადო მოღვაწეობის ასპარეზი და თავის ამხანაგების პატარა წრის დახმარებით დაგვიარსა ყველა ჩვენი საკულტურო დაწესებულებანი? ეს ხომ იმ პატარა ჯგუფის პირველ რიგში იდგა, რომელმაც მესამოცე წლების ხანა შეჰქმნა ჩვენში, — ხანა განახლებისა და აღორძინებისა?!

და აი, ამ ადამიანს, ამ დიდ მოჭირნახულეს, დიდ მოამაგეს ვერაგულად მოუსპეს სიცოცხლე. მერე როდის? როცა ქვეყნის სამსახურში მოიქანცა, დაუძლურდა, დაბერდა, და ცალი ფეხი უკვე სამარეში ედგა. ასე დავაჯილდოვეთ, ასე დავაფასეთ მისი წარსული ღვაწლი და სამსახური, მეტი ბარბარო-

სობა, მეტი გახრწნილობა შეუძლებელია! ამაზე შორს ვეღარ წავალთ, ის-ღა დაგვრჩენია, მხოლოდ ერთმანეთს დავერიოთ და ყველანი ამოვჟლიტოთ...

რა ვთქვათ, რითი ვიმართლოთ თავი უცხოთა წინაშე? იმათ წინაშე, ვინც ილიასთანა მოღვაწეებს დიდების გვირგვინით უმკობენ შუბლს, ჩვენ — კი ტყვიებით დავუხვრიტეთ? რუსეთის სარევოლუციო პარტიები ბრძანებას სცემენ — იდეურ მოწინააღმდეგეთ ხელი არავინ ახლოსო და ისეთი ხულიგანები, როგორიც არიან პურიშკევიჩები, კრუშევანები, გრინგმუტები, რომელნიც შხამავენ რუსეთის პოლიტიკურ ჰავას და სათავეში უდგიან ახლანდელ შესაზარ რეაქციას, — ესეთი ხულიგანები თავისუფლად სცხოვრობენ, ჩვენ — კი ილია ჭავჭავაძე — ჩვენი საუკეთესო პოეტი, ჩვენი პირველი საზოგადო მოღვაწე — მოვკალით. გონება გვებნევა, როცა გავიფიქრებთ, რომ ილია პოლიტიკურს ნიადაგზე არის მოკლული... არა გვჯერა, რომ ასეთ გახრწნილობამდე მივედით. გუშინ მთელი ტფილისი ამას იმეორებდა. მაგრამ ჩვენ არ გვინდა დავიჯეროთ, რომ აქ წინადვე განზრახული, დამზადებული და გადაწყვეტილი მკვლელობა იყოს. ეს თავის ინიციატივით ჩაიდინეს, ალბათ, უმეცარმა, გონებადაბნეულებმა ადამიანებმა, რომელთათვის კაცის მოკვლა არავითარ სიძნელეს არ შეადგენს — გადაგვარებულებმა, რომელთაც გამოჩენილ ადამიანის მოკვლა გმირობათაც მიაჩნიათ...

დღეს მთელმა ქართველმა ერმა უნდა იგლოვოს არა მარტო ილია ჭავჭავაძე, უაზროდ და ვერაგულად მოკლული და ბარბაროსულად დასჯილი, არამედ მთელი ჩვენი აწმყო, სრულიად დაშლილი და მოსპობის გზაზე დამდგარი. სად მივდივართ, რათ ვითხრით სამარეს ჩვენისავე ხელებით! განა წარსულის ასე ბარბაროსულად უარყოფა და მოსპობა სრულიად გადაგვარების ნიშანი არ არის?.. განახლების ხანა დგებაო. მართალია დგება, მაგრამ ვაი თუ არა ჩვენთვის! ჩვენ ერთობ სუსტი, სისხლწამხდარი და ფუქსავატი ერი ვყოფილვართ და ჩვენ ვერ ვისარგებლებთ ვერავითარი განახლებით, თუ დროზე გონს არ მოვალთ, თუ არ გამოვერკვევით, არ გამოვფხიზლდებით იმ ფანატიკური სიგიჟისაგან, რომელმაც ასე ადვილად აგვიყოლია და ასე დაგვაბრმავა...

გონება გვებნევა და სიტყვა გულში გვიკვდება სიმწა-

რისაგან... ჩვენც, ამ გაზეთის თანამშრომელნი, კარგა ხანია დავშორდით ილიას და მის თაობას ჩვენს შორისაც იდეური წინააღმდეგობა იყო; მაგრამ ერთ წუთსაც არ დაგვიწყნია ამ ადამიანის წარსული ღვაწლი ჩვენის უბედურ სამშობლოს წინაშე და ყოველთვის პატივსა ვსცემდით მის სახელს. ახლა მისი გაცივებული გვამის წინაშე ვდგევართ თავზარდაცემულნი და არ ვიცით, რა სიტყვებით გამოვთქვათ ჩვენი უზომო მღელვარება, სიმწარე, უგუნებო მწუხარება და რა სიტყვებით დავგმოთ, დავსწყევლოთ მისი მტარვალები... („ისარი“, 1 სექტ.).

სიტყვა, თქმული დეკანოზ კალისტრატე ცინცაძის მიერ, ილიას პანაშვიდზე, ქვაშვეთის ტაძარში, 1 სექტემბერს:

> მოიხსენიეთ წინამძღვარნი იგი თქვენნი... და ბაძევდით სარწმუნოებასა მათსა (ებრ. 13,7).

გვამცნობს მოციქული პავლე და ჩვენც, აღმსრულებელნი ამ მცნებისა, შევკრებილვართ დღეს ილიას სულის მოსახსენებლად. წინადაც მრავალჯერ შევკრებილვართ ამ ტაძარში, ამა თუ იმ პატივცემულის პირის სულის მოსახსენებლად, მაგრამ ასეთი მწუხარება ვერ შეგვიმჩნევია: დღეს, დიდს თუ პატარას, ქალსა თუ ვაჟს, განუსაზღვრელის მწუხარების ნიშანი აღბეჭდვია სახეზედ. დღეს თითქმის ყველას დავიწყებია საკუთარი ჭირი და ვარამი, და ყველა ილიას დაკარგვას გლოვობს: ილია აღარ გვყავს, ილია მოგვიკლესო, გვესმის ყოველმხრივ...

ამ მოვლენის მიზეზი ცხადია: ყველა ქართველს ილია მიგვაჩნდა არა თუ მარტო დიდებულ მწერლად, ანუ ფასდაუდებელ მგოსნად, გინა თუ გამოჩენილ და სასიქადულო საზოგადო მოღვაწედ, არამედ, და უმთავრესად, გზის მაჩვენებლად, ანუ, სიტყვისაებრ საღმრთო წერილისა — წინამძღვრად. ჰეშმარიტად „ჭმუნვასა და სიხარულში იგი იყო ჩვენი ნუგეშის „შთამაგონებელი“ და შვების მომცემი, ხოლო „ფიქრის, საქმის, შრომის დროსა“ ხომ იმას ბადალიც არა ჰყავდა: მისი რჩევა და დარიგება უსასოდქმნილს იმედს ჩაუნერგავდა გულში და ბედისაგან განლაღებულს განსაცდელისა და საფრთხისაგან დაიხსნიდა.

მაგრამ დღეს ილია აღარა გვყავს, ილია მოგვიკლეს, ილია მოგვაშორეს სწორედ მაშინ, როცა მისი ქველობა და გამოცდილება ფრიად საჭირო იყო იმ მამულისათვის, რომლის აყვავება-აღორძინებაზედ იგი ოცნებობდა სიყრმიდამ მოხუცებულობამდე, მოგვაშორეს უეცრივ და მოულოდნელად.

რა დაგვშთენია დაობლებულთ? ნუთუ მარტო ტირილი და გოდება, სულთქმა და წუხილი? არა! მართალია ილია მოგვიკლეს, ილია ძოგვტაცეს, ძაგრაძ ძოკლეს ილიას ხორცი და არა სული. „კაცია-ადმიანის“, „გლახის ნაამბობის“, „აჩრდილის“, „დიმიტრი თავდადებულის“ და მრავალ სხვათა შემქმნელი ვერ მოკვდება ქართველთა ერის ხსოვნაში; ქართველთა ერი ვერ დაივიწყებს მას, ვინც მუხლმოდრეკილი ლმობიერად ევედრებოდა მამაზეციერს:

„მსურს განმინათლდეს ცით ჩემი სული,
შენგან მამცნების სიხარულით ამენთოს გული“;

ვერ მოკვდება ჩვენს გონება-მეხსიერებაში ის, ვინც

„წმინდა სიტყვას უშიშრად მოჰფენდა ხალხში“;

მუდამ დაუვიწყარი იქნება ის, ვინც მოზარდ თაობის აღმზრდელებს დაჟინებით უქადაგებდა:

„საზრდოდ ხმარობდე ქრისტესა მცნებას,
შთააგონებდე კაცთა სიყვარულს,
ძმობას, ერთობას, თავისუფლებას,
რომ სიკეთისთვის გული ურთოდეს
და მომავლისთვის ბედთანა ბრძოდეს“;

საუკუნოდ სახსენებელი იქნება ის, ვინც გამუდმებით გვიკარნახებდა:

„ვაჟკაც იგია, ვინც მართალს
ეტყვის ქვეყანას მცდომსაო,
ვინც არ შეუდრკა მრავალსა,
ხშირათ მართლისთვის მწყრომსაო,
ვინც კრავს უმანკოს ეკრძალვის
და პირში უდგა ლომსაო“;

სამარადისოდ უკვდავი იქნება ხსოვნა მისი, ვისაც

„ერის წყლული აჩნდა წყლულად,
ეწოდა მის ტანჯვით სული,

მის ბედით თუ უბედობით
დადაგვია მტკიცე გული“...

ჩვენი ვალია, ილიას ნათქვამ-ნაანდერძევი საქმედ ვაქციოთ, სარგებლობა მოვუტანოთ, ვინაითგან სარწმუნოება თვინიერ საქმეთასა მკვდარ არს (იაკობ. 2,20), ანუ, როგორც თვით ილია ამბობს:

„ცხოვრებას აცისკროვნებს სული საქმით მეტყველი“...

ხოლო ამ შავსა და უბედურ დღეს კი ვინუგეშოთ თავი მით, რომ

„არ არის მკვდარი, ვინც მოჰკვდეს.
და ხალხს შესწიროს დღენია,
მკვდრად იგი თქმულა, ვისაც აქ
სახელი არ დარჩენია!“...
ამინ!

წერილი მიხეილ ჯავახიშვილისა (მ. ად-ლი):

მოჰკლეს პოეტი!

ულვთო იყო შენი სიკვდილი

კალამი მითრთის.. ენა მებმის.. აზრი მერევა.

ტყვიით განგმირეს მხცოვანი გული მხცოვანის პოეტისა და გვამი მისი დააგდგეს მტვრიან შარა გზაზე.

განგმირეს ის გული, რომელიც ნახევარი საუკუნის განმავლობაში ჩვენთვის იწვოდა ღვთაებრივ ცეცხლის ალზე, ჩვენთვის თრთოდა და ჩვენთვის ფეთქავდა.

მოჰკლეს პოეტი, რომელიც ნახევარი საუკუნის განმავლობაში თავისი კისრით ატარებდა ქართულ ლიტერატურას, რომელმაც შეჰქმნა ქართული ენა, ქართული პრესა, ქართული მწერლობა.

მოჰკლეს და შარა გზაზე დააგდეს ის ილია, რომელიც 40 წლის განმავლობაში ბატონობდა ჩვენს საზოგადოებრივ აზროვნებას, საზოგადოებრივ მოღვაწეობას, ეროვნულ იდეას.

მოჰკლეს და ტყეს შეაფარეს გაშავებული და საუკუნოდ შერცხვენილი თავი, თითქო იმ ტყეს შეეძლოს მათი პირისახიდან ჩირქის ჩამორეცხა, თითქო მას შეეძლოს მათი დამალვა და თითქო იქ კი არ დაუხვდებათ სამარცხვინო ბოძი, რო-

მელზედაც ცეცხლის ასოებით ეწერება! „ამ ნაძირალებმა მოჰკლეს პოეტი!“

ვის ან რად უნდოდა ბრძოლაში დაფლეთილი გული პოეტისა, რად უნდოდა მისი დაღლილ-დაქანცული სული და ჯანგამოლეული სხეული? ბრძოლის ველიდან გასულ მეომარს, დატანჯულსა და დაქანცულ პოეტს უფლება ჰქონდა მშვიდად დაელია თავისი სიცოცხლე, დაესვენებინა დაიარაჟებული სხეული და სიბერეში მაინც აღნაზღაურებინა ის დანაკლისი სულიერი მშვიდობიანობისა, რომელიც ახალგაზრდობაში მსხვერპლად მიუტანა საზოგადოებრივი მოღვაწეობისა და ქართული ლიტერატურის საკურთხეველს.

მაგრამ ავ სულს შეჰშურდა მისი მშვიდობა და ისედაც მოწამლული სული აწამა და ჯვარს აცვა. ვინ იყვნენ ის უმეცარი და უგუნური ბარბაროსები? ვინ? აღმართა მახვილი პოეტის წინააღმდეგ! ვინ მოუშხამა უკანსკნელი წუთები მოშხამული სიცოცხლისა?

არავინ არაფერი არ იცის: დაუხვდნენ შარა გზაზე, გაუგმირეს გული, იქვე დააგდეს მისი გვამი და ტყეს შეაფარეს თავი. ცხადია, მხოლოდ ის, რომ პოეტის მკვლელები დაიბადნენ დღევანდელი ცხოვრების უფსკრულში. საზოგადოებრივი აღფრთოვანება შეიცვალა საზოგადოებრივ დაღლილობაზე, ზნეობრივი ნორმები — თავგასულ ავაზაკობაზე, უფლება — ძალაზე, ხოლო გუშინდელი ბრძოლის ველი, რომელიც გაჟღენთილია თავგანწირული წმინდათა სისხლით, დღეს ხელში ჩაუვარდათ ტყის ნადირებსა და ავაზაკებს. ღამის წყვდიადში ტყეებიდან და სოროებიდან გამოიღალნენ ტურები და მგელკაცები და დაერივნენ ყველას, ვინც ახლომახლო მოჰხვდათ. იმსხვერპლეს რამდენიმე მოღვაწე და ეხლა არც მხცოვანი პოეტი დაინდეს. მისმა მხცოვანმა მკერდმა, ლიტერატურულ ისრებსა და შურდულებს ნაჩვევმა მკერდმა ცხელი ტყვიაც მიიღო და სამუდამოდ გააცივა დღემდის ძალუმად მფეთქავი და ღვთაებრივი ცეხლით აღგზნებული გული.

მოკვდა პოეტი! მოკვდა სხეული, მაგრამ არ მომკვდარა მისი სახელი და დიდება და არც მოკვდება იმ დრომდის, სანამ სძგერს გული ქართველისა, სანამ არსებობს თვითონ ქართველი, სანამ არსებობს მისი ენა, ილიასგან გაფაქიზებული,

და ქართული კალამი და წიგნი, ილიასგანვე განმტკიცებული და გასუფთავებული.

მხცოვანო პოეტო!

„უღვთო იყო შენი სიკვდილი!“ („ისარი“, 1 სექტემბერი).

წერილი მიხეილ (მიხაკო) წერეთლისა (Bâton):

„კაცია-ადამიანი?!“

საზარელი ამბავი ილია ჭავჭავაძის სიკვდილისა მეხივით დაატყდა მთელ საქართველოს! მოჰკლეს ვინ — ილია ჭავჭავაძე! არავინ თავის გულში ფიქრათაც არ გაივლებდა ასეთ რამე საზარელს, საზიზღარსა და უცნაურს!

ადამიანი, რომელმაც თავისი გული ჩონგურად აქცია და რომელიც ამ ჩონგურის სიმებს საქართველოსათვის აყღერებდა ტკბილად და ძლიერად; ადამიანი, რომელმაც თავისი თავი უმაღლეს გონების ჭურჭელი, ნახევარი საუკუნის განმავლობაში ამუშავა საქართველოს ერის გულისათვის; ადამიანი, რომელმაც მთელი თავისი სულის სიმტკიცე და ძალა შესწირა ჩვენს დაბეჩავებულ ცხოვრების აღდგენას, განმშვენიერებასა და განსპეტაკებას, ეს ადამიანი წარიტაცა დღეს ვიღაცის მურტალმა ხელმა!

ვინ მოჰკლა ილია? — აი, საშინელი კითხვა, რომელიც დღეს მთელ ერს უდგია წინ და რომელიც დაუყოვნებელ პასუხს თხოულობს. პასუხის გაუცემლობა მთელ ერს საშინელ, სამუდამო სირცხვილის ლაფში ამოსვრით ემუქრება!

ვინ მოჰკლა ილია? ქართველმა თუ სხვა ერის უმსგავსომ? თუ ქართველმა მოჰკლა, — მაშინ, ცხადია, რა ქართველიც აიღებდა თავზედ ამ ყოვლად უმსგავსო, საშინელ და არაჩვეულებრივ საქმეს, რომლის მაგვარიც ქვეყნიერებას ჯერ არა სმენია! პოეტი, პუბლიცისტი, ახალი ქართული ენის დიადი შემქმნელი, პირველი მეტყველი ქართული ენისა — მოჰკლეს, განუქრეს სიცოცხლე, როგორც ვინმე ავაზაკს, ან ქურდს, ან მავნე ადამიანს! ილია ჭავჭავაძე მოჰკლეს იმისათვის, რომ იგი, როგორც მავნე პირი საზოგადოებისათვის, რომელსამე „უდიდეს იდეას“ უნდა შესწირვოდა ზვარაკად? ილია ჭავჭავაძე უნდა მოეკლათ, იმისი სიცოცხლე იყო მავნე საქართველოს ხალხისათვის, და ათასმა გოშია-გოშპარამ, რომელთაც

თავს იდვეს ჩვენი ცხოვრების მოწყობა და ნაცვლად შერყვნეს, გაანადგურეს, შეურაცხყვეს იგი, — უნდა იცოცხლონ, რომ ხალხს მალამოდ მოეცხონ?

თუ მართლაც ილია ქართველებმა მოვკალით და შევირცხვინეთ თავი ამიერიდან უკუნისამდე, სამარადისოდ გამოვრიცხეთ ჩვენვე ჩვენი თავი ხალხთა რიცხვიდან, მთელი კაცობრიობიდან, — ნება მომეცით ვკითხო მთელ საქართველოს ილიასავე სიტყვებით: ჩვენში, საქართველოში, საზოგადოდ მთელ საქართველოში, შავი ზღვიდან დაწყებული დაღესტნის საზღვრებამდე — „კაცია-ადამიანი?!“ თუ მხეცია, ადამიანის სახით მოვლენილი და ამ მხეცმა, ქართველმა კოლექტივურმა მხეცმა წაიყვანა გოლგოთას ილია ჭავჭავაძე ეკლის გვირგვინით და თვით კი ლაფის გვირგვინი დაიდგა თავზე მთელის კაცობრიობის თვალში?!

ან იქნება ილია არაქართველებმა მოჰკლეს?..

რა მიზეზიც უნდა იყოს იმის მკვლელობისა, ვინც უნდა იყოს მისი მკვლელი, საქართველოს დღეს ჩირქი მოეცხო, ისეთი ჩირქი, რომლის მსგავსიც მას არასოდეს არ მოსცხებია, და თუ მართლა დღეს ჩვენში კიდევ დარჩენილა კაცი, რომელსაც ადამიანი ჰქვიან, რომელიც თავის თავსა სთვლის ადამიანად, ერთადერთი რამ დაგვრჩენია, — შურისძიება! მაგრამ ჩვენი ქვეყანა სიგრძე-სიგანით შეურაცხყვეს და გააუპატიურეს, — ხმა კი არავის ამოუღია ვაჟკაცურად და ღირსეულად. გარდა სასოწარკვეთილის ლაჩრული ზახილისა, ღონემიხდილი შერცხვენილისა ჩვენში ძლიერი ხმა არავის სმენია კაი ხანია, და რა იმედი-ღა უნდა გვქონდეს, რომ ეხლა მაინც შეიცვლება ეს სამარეში ჩასასვლელად მომზადებული, რომ ხელში ავიღოთ მახვილი და მტერი განვგმიროთ, ვინც უნდა იყოს?!

მაგრამ, მითხარით, ჩვენში ამისათვის ვის შესწევს ძალა, მითხარით, საქართველოს სინდისი კიდევ ცოცხალია, თუ სამუდამოდ დაიმარხა სამარეს ილია ჭავჭავაძესთან ერთად? დაე, ახლა გამოჩნდეს ყველაფერი!

ჰფიქრობ კაცი ყოველსავე ამას, თავში აზრები გერევა,, ფეხთაგან ნიადაგი გეცლება, ჰქრება ხალისი მუშაობისა, უიმედობა გულს გესახება, იქ ჩირქდება და სქელ, შხამიან ბალღამად იქცევა, და „უსასოდ ქმნილს“, „ეჭვით შეპყრობილ“

ივერიის ძეს მთელი თავისი საშინელებით გეყუდება გონების წინაშე თავზარდამცემი კითხვა: რისთვის იტანჯები, რისთვის იღვწი და სანთელივითა დნები ჩვენს უცნაურს ქვეყანაში? აქ, ამ გათახსირებულ დანაშაულთა სამფლობელოში მართლაც „კაცია-ადამიანი?!“ („ისარი“, 2 სექტემბერი).

წერილი დომინიკა ერისთავისა (განდეგილისა):

ᲙᲐᲪᲔᲜ, ᲡᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲫᲛᲐ ᲨᲔᲜᲘ?

„იქ თვით სამოთხეც ჯოჯოხეთია,
სად თვის შხამს ანთხევს მტრობა და შური“...

ასე სთქვა მგოსანმა და ისე არსად გამართლებულა ეს უკვდავი სიტყვები, როგორც უბედურს საქართველოსა და თვით ამის მთქმელს ილიაზე.

ჩვენ გვესმის, რომ მტრობა და შური, არა თუ ჩვენისთანა ნახევრად ველურთა შორის, თვით დაწინაურებულს ქვეყნებშიაც ფესვგადგმულია; ჩვენ ვიცით ბევრი მაგალითები, რომ სამშობლოს საუკეთესო შვილნი საქვეყნო მტრად მიუჩნევიათ და სამარცხვინო ბოძზე მიუკრავთ სრულიად დაუმსახურებლად; გვახსოვს, როგორ მოექცა საფრანგეთის ხალხი ზოლას, რომელიც რამდენსამე ათეულ წლების განმავლობაში ფხიზელ დარაჯად ედგა თანამემამულეთა ავსა და კარგს; ეს შარავანდედით მოსილი ბოძი ფრანგთა აზროვნებისა სამშობლოდანაც კი გააძევეს იმიტომ, რომ იმან საჯაროდ აღიარა სიმართლე ერთისა და დაჰგმო სიცრუე მრავალთა. გვახსოვს ისიც, რომ იმისი ავეჯი საჯარო ვაჭრობით გაჰყიდეს და ვითომ ამით დაამციროს მართლის მთქმელი. კარგად ვიცით, რა უყვეს იესოს, რომელმაც ხმა აღიმაღლა ადამიანთა თანასწორობისათვის, — გოლგოთაზე აიყვანეს და ჯვარს აცვეს. მაგრამ ყველა ამას თავისი ახსნა-განმარტებაც თან ახლავს...

ხოლო რითი აიხსნება ილიას მოკვლა? შესაძლებელია, ვინმე გულუბრყვილომ სთქვას — ეს სენი საერთოდ მოდებულია რუსეთის ქვეშევრდომთა შორის და აგრარულ მოძრაობით გააფთრებულმა ხალხმა აქაც იჩინა თავისი ძალაო.

შეცდომაა!

თვით მე, ამ სტრიქონების მწერალს, არა ერთხელ და ორჯერ მინახავს ილიასთან სადღესასწაულოდ მოსული გლეხობა, მასთან მომეჯლისე; მინახავს, როგორის აღტაცებით შესცქეროდნენ ილიას, როდესაც ის ჩადგა მათ შორის და წაიკითხა „გუთნის დედა“:

„ერთ ბედს ქვეშა ვართ, ლაბავ, მე და შენ,
წილად გვარგუნეს შავი მიწა ჩვენ“.

რა გინდ უკმაყოფილო ყოფილიყო გლეხობა, რა გინდ ბრაზმორეული ყოფილიყო, ილიას მაინც არ მოჰკლავდა, საგურამოს გლეხობა ილიას სისხლის დანთხევას ვერ იკისრებდა, იგი წმინდაა იმის სისხლისაგან.

ჩვენ რომ ვამბობთ „გლეხობა“, აქ წოდებრივობას როდი ვგულისხმობთ. შესაძლებელია ცოდვილი შვილი ამ გლეხთა შორისაც გამოერია, მაგრამ ის გლეხი კი აღარაა, იგი დაქირავებული ჯალათია, სხვისი სურვილისა და ბრძანებისა ყურმოჭრილი მონა, უვიცთა და სულით ღატაკთა ბრმა იარაღი.

ჭკუის საბუდრის სიცალიერემა და უვიცობის წყვდიადში ბოდიალმა, ეჭვი არ არის, იქამდე მიიყვანა გზა-კვალ მოშურნე, რომ, უმეცრების ლაფში შეტოპილმა, სხვა ხსნა ვეღარ ჰპოვა, თუ არ სამარცხვინო და საშვილიშვილოდ დასაგმობი მკვლელობა. მოკვლა სამარის კარად მისული მოხუცისა, მოკვლა იმ ადამიანისა, რომელიც ორმოცდაათის წლის განმავლობაში ხალხის გამოფხიზლების საქმეს ემსახურებოდა, რომელმაც გულისტკივილით წამოიძახა: „მამულო საყვარელო, შენ როსღა აჰყვავდები“-ო, ისეთი ურცხვი თავხედობაა, რისთვისაც თვით უსასტიკესი მსჯავრიც კი ცოტაა.

ვინ უნდა დასდოს ეს მსჯავრი ილიას სისხლის მტვირთველს? ნაფიც მოსამართლეებმა? საზოგადოებამ? — ერთმაც და მეორემაც, მაგრამ ყველაზე დიდი მოვალეობა ამ შემთხვევაში თვით საგურამოს მკვიდრთ ადევთ: დაე, თვით ილიასთან ნაპურმარილევმა გლეხობამ დაჰგმოს საზიზღარი მკვლელი, დაე, უსიტყვო ტყემაც შესძახოს გარეწარს: კაენ, სად არის ძმა შენი?“ („ისარი“, 2 სექტემბერი).

წერილი იროდიონ ევდოშვილისა:

ნაძირალებს

ცხოვრების ნაძირალებო! თქვენ, რომელნიც არ მალავთ თქვენს ღიმილს და სიხარულს, ავაზაკების მიერ განგმირულს ქართველების დიდი მგოსნის გვამთან. თქვენ, რომელნიც ასე ნასიამოვნები დარჩით მისის სიკვდილით, შეეკითხეთ თქვენს სინდისს: „რა დააშავა ილიამ ისეთი, რომ ის სიკვდილის ღირსი ყოფილიყოს“. აშკარად და ხმამაღლა გამოაქვეყნეთ ეს და არა ქუჩის კუთხეებში ჩურჩულით. ნუთუ არ გესმით, რომ თქვენი ღიმილი ვაშაა ავაზაკებისადმი! რომ იგი თანაგრძნობაა მწერლის ჯალათებისადმი, იმ მწერლისა, რომლის ნაწარმოებით თვით თქვენვე აღიზარდენით, რომელიც 50 წლის განმავლობაში ამდიდრებდა ქართულ ღარიბს მწერლობას.

მაგრამ თქვენისთანა უგვანო-უმადურთათვის არის მხოლოდ ქვეყანაზე კუჭი, რომლის ამოსავსებად თქვენვე, სპეტაკ-სინდისიანნო, არ ერიდებით არავითარ გზას. მერე უფრო საიდამ ისმის ეს სიხარულის ყიჟინა? იქიდან, რომელნიც ყველაზე მეტად უნდა სწუხდნენ, რომელნიც ყველაზე მეტად უნდა იყვნენ დაკარგული მგოსნის მადრიელნი!

უმადურნო! დედის შემდეგ თქვენს გონებას ძუძუ აწოვა ქართულმა მწერლობამ და იმ ენის მწერლებმა, რომელი ენის გარდა თქვენ სხვა ენა არ იცით, და მხოლოდ ამ ენის მწერლობის საშუალებით აგიხელიათ თვალები.

მაგრამ, რას ვამბობ, თქვენ ისე აგიხელიათ თვალები, როგორც იმ ავაზაკს, რომელიც მუხანათათ დაეცა უიარაღო მოხუცებულს. თქვენც იმავე ავაზაკობის შორს აღარ წასულხართ თქვენის სინდისით, თქვენის პატიოსნებით. თქვენ ეკუთვნით იმ პირუტყვებს, რომელნიც უძლურების გამო, წკმუტუნებენ და ჰყეფავენ. რამდენს ამოუყენებთ დაკარგულს მგოსანს თანასწორს? ან იქნება იმისთვის ყეფავთ, რომ მისის დამდაბლებით თვით ამაღლდეთ, ჭიებო! ჭიაყელა ვერ მოისხამს მიმინოს ფრთებს! მე, ჩემ თანამოძმე ახალგაზრდა მწერალთა მხრივ გითვლით თქვენისთანა ჯურის ქვემძრომებს უღრმეს ზიზღს და ჩამოუწმენდავ ფურთხს.

ჩვენ კი, შენი მოწაფენი, ჩვენო მასწავლებელო და ძვირ-

ფასო მგოსანო, შენს საფლავს შევამკობთ ჩვენის შენდამი სიყვარულით“ („ისარი“, 4 სექტ.).

წერილი ილია ეკალაძისა:

ამოწაკვნესი

გაიხარენით, ჩვენი ქვეყნის დამაწყევარნო, გაიხარევით, ბიჭ-ბუჭებო, ნაძირალებო, გაიხარევით, ხალხის მტრებო, ხულიგანებო: მოჰკლეს ილია — საქართველოს ჭირისუფალი!

იცინეთ, მგლებო, კრავის ტყავით მოარულებო, იცინეთ, მხეცნო, კაცის სახის მატარებლებო, იცინეთ, ბრიყვნო, დედის ძუძუს უარმყოფლებო: მოჰკლეს ილია, სამშობლოის მაღმერთებელი!

ტაში დაჰკარით, ითამაშეთ, ჩამოუარეთ, გაინაწილეთ მისი ქურქი, მისი ქონება... რაღას უყურებთ, უწყინდურნო! გაცივებულ გვამს არც მკლავი უჭრის, აღარც აზრი და არც გონება!

მაშ, გაიხარეთ! ხომ გასთელეთ მურდალის ფეხით მრავალტანჯული საქართველოს თავმოყვარეობა?! ხომ შეაგინეთ, ხომ წაბილწეთ, ხომ დაამცირეთ ჩვენის მწერლობის დედაბოძი და უკვდავება?!

სხვა რაღა გინდათ?! იცინეთ-მეთქი! რკინის შანთებით დაგვისერეთ სული და გული... ახია ჩვენზე — მცონარეებზე! ერი ბედკრული ღირსია მეტის წამებისა, გათახსირების.

იქნებ ოდესმე მოიკრიბოს თვისი ძალ-ღონე და შეებრძოლოს დამჩაგვრელებს, იუდის კერძებს!

დედავ ქართვლისა! ზიზღით დაჰგმე შენ შენი შვილი, ჩოხის მაგიერ დიაცურებ კაბა ჩააცვი, თუკი იმდენად დაძაბუნდა და დავაგლახდა, რომ კუჭის გარდა აღარაფერს აღარ დაეძებს!!“ („ისარი“, 4 სექტ.)

წერილი ქუთაისიდან:

ილია ჭავჭავაძის მოკვლის ამბავი მეხივით დაეცა ყველას. 30 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე ქალაქში აქა-იქ გავრცელდა მკვლელობის ამბავი, მაგრამ არავის სჯეროდა ასეთი ველური აშბავი. გამოკითხვის შემდეგ გაიგეს, რომ სოხუმში ქუთაის-

ზე გაეგზავნათ დეპეშა საზიზღარი მკვლელობის შესახებ. ეჭვი აღარ იყო. ყველა აღშფოთდა და გაოცდა: „ვისთვის იყო საჭირო მისი მოკვლა?“ სამწუხარო ამბავი ერთს წუთს მოედვა მთელს ქალაქს. ქალაქის გამგეობაში სხდომა იყო, რომელიც დაუყოვნებლივ შეწყვიტეს. გადაიდგა წარმოდგენა თეატრში. ბულვარში მოსეირნე ხალხი დაიშალა და სახლში წავიდა. 31 აგვისტოს დღის 1 საათზე ქალაქმა გამოაკრა ქუჩებში სამგლოვიარო განცხადება, რომლითაც იწვევდა მცხოვრებლებს პანაშვიდისათვის. ქართულმა გიმნაზიამ და სხვა სასწავლებლებმა, ყველამ გადაიხადა პანაშვიდები, რომლის დროს მოკლედ აცნობდნენ მოსწავლეებს განსვენებულის ბიოგრაფიას. ყველა წოდება, წრე, მთელი ქალაქი ემზადება ილიას დასაფლავებისათვის. ყველას სწყურია მოკვლის მიზეზის გაშორკვევა.

2. ენკენისთვეს ქართული გიმნაზიის სამზ. კომიტეტისა და თ.-აზნ. მიერ გადახდილ იქნა პანაშვიდი ილიას სულის მოსახსენებლად. პანშვიდს მრავალი ხალხი მიაწყდა. ტაძარმა რომ ვერ დაიტია ხალხი, იგი გარეთ მოთავსდა, პანაშვიდი დაიწყო ეპისკოპოს ლ ე ო ნ ი დ ი ს სიტყვით.

პანაშვიდის შემდეგ წარმოსთქვა სიტყვა მარშლის თანამდებობის აღმასრულებლებმა, ხოლო იმის შემდეგ მ ო ს ე ქ ი ქ ო ძ ე მ წარმოსთქვა სიტყვა. მან სხვათა შორის სთქვა:

„ძნელი გასაბედია ამოდენა საზოგადოების წინაშე იმ უბედური მომენტის შეფასება, რომლის მოწმენი ჩვენ შევიქენით, მაგრამ გაჩუმებას ეს კადნიერება ვამჯობინე. 30 აგვისტო არ დაავიწყდება იმ ქართველს, რომელსაც არ დაუკარგავს ადამიანის სახე, რომლის ჰკუა-გონება ჯერ კიდევ არ გალაყებულა და რომლის გრძნობა არ გათახსირებულა. საზოგადო სენი მკვლელობისა მოედო ჩვენს ქვეყანასაც; ამის მაგგიერად, რომ ხელს ვუწყობდეთ ადამიანის დღეგრძელობას, ჩვენ ერთმანეთზე ავმხედრდით და საქმე იქამდის მივიდა, რომ მოგვიკლეს ილია ჭავჭავაძე. რისთვის, რა დააშავა? რამდენსამე საუკუნის განმავლობაში ბრძოლით დაქანცული საქართველო პირად ღირსებისა და თავისუფლების დასაცველად რუსეთს მიენდო; დაღლილმა მოსვენებას მისცა თავი; მოსვენება გადაექცა ღრმა ძილად, იმდენად ხანგრძლივი იყო იგი, რომ მოსალოდნელი იყო ძირიანად აღმოეფხვრა ხალხის შეგნება.

საბედნიეროდ, ერს მოევლინა მისი დიდება ნ. ბარათაშვილი, რომელმაც გულის სიღრმიდან ძლიერის ღვთიურის გრძნობით დასძახა მძინართ: აღსდეგით, თვალები გაახილეთ, თორემ ქვეყნის ზურგიდან აღიგვებითო. უდროოდ დავკარგეთ ეს ზეცით მოვლენილი მოციქული. სამოციანმა წლებმაც მოგვისწრეს თავის დაუვიწყარ მოღვაწეებით. ამათ შორის პირველი ადგილი განსვენებულ ილია ჭავჭავაძეს ეჭირა. იმანაც იმავე გულის სიღრმიდან, იმავე ღვთიურის და ძლიერის გრძნობით მოუწოდა თანამემამულეთ თვითშეგნების გზაზე. ილია არ ეკუთვნის რომელსამე წრეს ან წოდებას. იგი ეკუთვნის ყველა მუშაკთა, პატიოსან მუშაკთ! მათთვის ძგერდა ილიას გული, მათთვის იჭმუხნოდა მისი პატიოსანი შუბლი! განგმირეს ეს გული და ეს შუბლი! ილიას ხსენებას მუდამ ჟამს თავს ედგმება ბრწყინვალე გვირგვინი დიდებისა. იმის სახელს ვერავინ შეჰბღალავს, ხოლო თვით ის საზოგადოება, ის ხალხი, რომელმაც ვერ შესძლო თავის საუნჯის დაცვა, ღირსია გაკიცხვისა. ვიტიროთ ჩვენი დაბეჩავებული თავი და არა უკვდავი, დიდებული ილია". („ისარი", 6 სექტ.).

წერილი ვაჟა-ფშაველასი:

ვერ მოჰკლეს

„ილია რომ მოჰკლეს!" — მითხრა ერთმა ჩემმა ნაცნობმა მწუხარე და თან გაკვირვების კილოთი.

თავზარი დამცა ამ ამბის გაგონებამ და ათასი კითხვა აღმიძრა: ვინ მოკლავდა, ნეტავ, ილიას? განა შეიძლება ამისთანა ადამიანების მოკვლა? ნუთუ ქართველებმა შეახეს ხელი თავის მამას, ქართველთათვის თავდადებულს, თავის ერისათვის მოჭირნახულე ადამიანს? იქნებ უცხოელებს შეჰშურდათ ჩვენთვის ეს მართლაც ერთად-ერთი ბურჯი ჩვენი ქვეყნისა, ბურჯი ჭკუით, ნიჭით და გამოცდილებით? ათასი ამისთანა კითხვა დამებადა თავში და დღესაც კი, დღეს, როცა ეს სტრიქონები იწერება, არ ვიცი მიზეზი ილიას სიკვდილისა. ვიცით მე და თქვენ, მკითხველო, მხოლოდ ფაქტი და რომ მოგვიკლეს საუკეთესო, პირველი ადამიანი, ჩვენის მწერლობის სულის ჩამდგმელი, მოღვაწე, დიდი მოამაგე ქართველი ერისა. რომელი ერთი ჩამოვთვალო ილიას ღვაწლთაგანი?!

ეს ყველამ კარგად უწყის, საშინელი, მეტისმეტად ბარბაროსული მკვლელობაა, რომლის მსგავსი არსად, არა ქვეყანაში, არ მომხდარა და არც მოხდება. მხოლოდ საწყალს, უბადრუკის შვილების პატრონს საქართველოში შეიძლება ამისთანა მკვლელობა რევოლუციის სახელით. საბრალო, საწყალო რევოლუციავ, ჩვენს ხელში...

საზარელი ფაქტია, საზარელი მოქმედებაა, საშინელი აზრის პატრონნი უნდა იყვნენ ამ მკვლელობის ჩამდენნი. აშკარაა და აშკარად ვიტყვი: ილიას მკვლელებს რომ შეეძლოთ, საქართველოსაც მოჰკლავენ.

ახა კარგად ჩაუკვირდით საქმეს, თუ ასე არ არის. დიაღ, ასეა და ეს არის კიდეც უბედურება, ჩვენს თავზე მოვლენილი. უგუნურთ ნუთუ არ იციან, რომ საუკეთესო ადამიანების ხოცვა, კვლა, მოკვლაა მთელის ქვეყნისა. სოფელი ვინ და ერთი კაციო. ნუთუ იქამდის დავკარგეთ ადამიანობა, ნამუსი, დავიბრმავეთ გონება, რომ ამისთანა აზრები ღორძინდება საქართველოში? ნუთუ ვისმე ფანატიკოსებს ჰგონიათ, რომ ილიების ხოცვით მოჰკლავენ თვით იდეას, რომელიც უკვდავია და რომელსაც მხოლოდ ილიასთანა ადამიანებს შეუძლიათ ემსახურონ და არა უძლურთ, უნიჭოთ, უვიცთ და საზოგადოების ნაძირალებს. ილიასთანა ადამიანებს სიცოცხლეშივე ძეგლებს უდგამენ უცხოეთში, ხოლო ჩვენ კოცონზე ვწვავთ, ვკლავთ, როგორც ავაზაკებს... საბრალო ჩვენო თავო, საწყალო საქართველოვ!

რა ვთქვათ მკვლელებზე, ამ საცოდავ მეოცე საუკუნის ჰეროსტრატებზე? რა ადამიანები უნდა იყვნენ ილიას მკვლელები? როგორ მოვიხსენიოთ ისინი? როგორ მოვექცეთ ამ უბადრუკებს? ნუთუ ისე, როგორც გვირჩევს ამ დღეებში დაბეჭდილი მოწოდება ქართველთადმი — ცეცხლი და მახვილი მკვლელებსაო. ესღა გვაკლია, რომ ბარბაროსობას კ ი დ ე ვ ს ხ ვ ა ბარბაროსობა დავურთოთ ზედ? დავერივნეთ ერთმანეთს, ვხოცოთ, ვჟლიტოთ ერთმა მეორენი და გავახაროთ ისედაც ჩვენის უბადრუკობით გალაღებული მტერი? ღმერთმა დაგვიფაროს, ღმერთმა გვაშოროს ამისთანა საქციელი...

ნაღვლით და ბოღმით აღსავსე, მე ასე ვსჯი, რომ ილიას მკვლელნი შესაბრალისნი, ყოვლად საწყალნი, ყოვლად გამოთაყვანებულნი, უვიცნი, ზნეობით გათახსირებულნი და

ბრმანი უნდა ყოფილიყვნენ, სატირალნი და სავალალონი ჩვენ ქართველებისაგან.

სხვა რა ვთქვათ? სხვა რა ვიფიქროთ? სისხლი სისხლისთვის? ცოდვა მივუმატოთ ცოდვას? სირცხვილს სირცხვილი? განა იმათ ადამიანობისა ერთი ბეწო ნიშანწყალი რომ ჰქონდეთ, იზამდნენ ამას? მოჰკლავდნენ ამისთანა ადამიანს, რაც უნდა მისგან ნაწყენნიც იყვნენ? არა. არ არიან ისინი ადამიანები, უნდა შევრაცხოთ მხეცებად, პირუტყვებად და პირუტყვზე როგორ ვიძიოთ შური, ისე, როგორც ადამიანზე. ეს ხომ ჩვენივე სირცხვილია, ჩვენის ადამიანობის დამცირებაა?!

მოჰკლეს ილია!.. მაგრამ ვერ მოჰკლეს, ვერა! მისი ხსოვნა უკვდავია ვიდრე საქართველო იქნება. დიაღ, ვერ მოჰკლეს, რადგან თუ რამდენიმე, თითებზე დასათვლელი ადამიანი ხარობს ილიას სიკვდილით, ასი ათასი მისტირის აწ ჩვენს სასიქადულო მამულიშვილს და რამდენიც ხანი გაივლის, მით უფრო, დაკლების მაგივრად, გრძნობა სიბრალულისა და სიყვარულისა მოიმატებს ერის გულში.

„საწყალი ილია, საწყალი ილია!“ მესმის გულსაკლავად წარმოთქმული აქეთ-იქიდან სიტყვები მამათა და დედათა მიერ. საწყალი ილია? არა, არ არის საწყალი, ვინაიდან მან აასრულა თავისი მოვალეობა წინაშე თავის ქვეყნისა, იბრძოლა, იღვაწა ჩვენს სასარგებლოდ და დაღლილ-დაქანცული მიებარა ცივს სამარეს, ჩაიყოლა თან ისევ ჩვენი დარდი — დარდი თავის ქვეყნისა... გაიყოლა თან ის ტყვიები, რომლითაც ჩვენ იმას გაუმასპინძლდით, — ჩვენ მიერ დაჩნეული. ჩაიყოლა თან ყველა ეს ჩვენ მიერ მიძღვნილი სასიქადულო ძღვენი, მაგრამ ილია იმდენად ჭკვიანია, იმდენად უყვარს ქართველები და საქართველო, რომ მამა-პაპათა წინაშე დაჰმალავს ტყვიებსაც, წყლულებსაც, რომ ჩვენზე ცუდი არ ათქმევინოს, არ გააჯავროს ჩვენზე ისინი.

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, ჩვენო იმედო, ჩვენო საყვარელო ილიავ! („ისარი“, 6 სექტ.)

* * * * * * * * *

დილა 7 სექტემბრისა, პარასკევ დღისა.

დღე ილიას უკანასკნელი ამქვეყნიური მგზავრობისა — საგურამოდან თბილისამდე.

საქართველოს ყოველი კუთხიდან მოსული დეპუტაციებით გადაჭედილა საგურამო.

თითქოს საომრად შეჭურვილი მთიელი ქართველობა ჩამდგარა ერის შუატანში.

ზედაზნელი ბერები სულთათანას უგალობენ წმინდანს.

გამოასვენეს.

ყველას უნდა მის კუბოს შეუდგეს, ყველა მიისწრაფის მისგან მოდენილ უკანასკნელ მირონს ეზიაროს.

შავით მოსილი საგურამოელი ქალები შაბარდუხთა გუნდივით მოსდევენ მოთქმა-გოდებით.

მოასვენებს ერი ერისუფლის კუბოს, ვითარცა კიდობანსა რწმენისასა.

წიწამურზე, მკვლელობის ადგილს შედგა და შედედდა ერი.

წინ გამოიჭრა იროდიონ ევდოშვილი, საგურამოელი გლეხებიც მიჰყვნენ. ის ადგილი მოიძიეს, ილია რომ დაეცა მკვდარი. ერისუფლის უკვე ჩამხმარი და ჩამიწებული სისხლით ნაჯერი ალაგი თეთრი კენჭებით მოფარგლეს და მოასევადეს — რათა, იქნებ, მომავალში, იმ ადგილზე მარად სახსოვარი-საეროვნებო ჯვარი აღმართულიყო (ვითარცა ერთ დროს, ილიას მკვლელობამდე ათას ექვსასი წლით ადრე, მცხეთის პირველი საეროვნებო-სანიშანსვეტო ჯვარი).

— ქართველებო! — სიტყვას ამბობდა იროდიონ ევდოშვილი — აი, ამ ადგილს დახუჭა ქართველების დიდებულმა მწერალმა თვალები; აქ ამოიკვნესა უკანასკნელად მისმა გულმა; ამ ადგილიდამ უკანსკნელად შეჰხედა ილიამ თავის სამშობლოს ცას... როგორი მადლიერიც იქნებოდა ის ამ დროს თავის ერისა ამაზე მეტია ლაპარაკი.. თქვენ, ამ არემარის მცხოვრებნო, აქაურო ქართველებო, დღეს ამ კუბოსთან და ამ გზაზე შემხმარ სისხლთან მარტო თქვენ არ შეკრებილხართ, აქა ვართ ქართველები, წარმომადგენლები საქართველოს ყველა კუთხიდან, მაშასადამე, მიუხედავად იმისა, რომ ილია სცხოვრობდა თქვენში, იგი მხოლოდ თქვენ არ გეკუთვნოდათ. ის ეკუთვნოდა მთელს საქართველოს, მთელს ერს, ყველა ქართველს. იმან დაგვდო ამაგი ყველას, მთელს საქართველოს! მაშ რა ნება ჰქონდა იმ ხელს, რომელმაც მოჰკლა თქვენში ილია, რომ იგი თვითონ დაისაკუთრა, რომ იგი ანა-

ცვალა თავის ქვებუდან გრძნობას? არავითარი! ვერაგმა ხელმა იგი წაგვართვა ყველას, მთელს ქართველობას! მან განგმირა მთელი საქართველოს მამა-მოძღვარი!

წეღან ერთმა მოლაპარაკემ თქვა: იმ ადგილს, სადაც ილია მოჰკლეს, უნდა ავაგოთ ძეგლი იმის სადიდებლად, მის სამახსოვროდაც. ეს ძალიან კარგი იდეაა. იყოს აქ ძეგლი ილიას სადიდებლად, მაგრამ აქვე, იმის გვერდზე ავმართოთ ჩვენ სხვა ბოძიც, ბოძი სამარცხვინო, და ზედ დავაწეროთ: „აქ მოჰკლეს ილია, დიდი მოძღვარი და საქართველოს მგოსანი“[1].

ძმებო, ყველა თქვენგანს ჰყოლია მამა, რომელიც გაცმევდათ, როცა გციოდათ, გაჭმევდათ, როცა გშიოდათ. ახლა დაბერდა ის, მაშ მიუშვირეთ თოფი და გაუგმირეთ გული! რომელია თქვენში ამ საქმის ჩამდენი, რომელი აიღებდა თქვენს მამაზე ხელს? არავინ? მაშ რა ვუწოდოთ იმ კაცს, რომელიც ასე მოიქცევა, რომელიც ჩვენ წაგვართმევს ჩვენს სულიერს აღმზრდელს, ჩვენს სულიერს მასაზრდოებელს? დაუძახებთ თქვენ მას იუდას თუ არა? (ხალხის ხმა: იუდაა, იუდა!) იყოს წყეული თუ არა? (ხალხის ხმა: იყოს წყეული, იყოს წყეული!..

...წიწამურიდან დაიძრნენ.

მოასვენებენ ქართველები წმინდანის კუბოს, ვითარცა ჰებრაელნი კიდობანსა რწმენისასა.

მტკვარი გადმოიარეს. დიღომს შეამოადგნენ. თბილისი გამოჩნდა. სამხედრო გზის სანაპირონი ხალხს ველარ იტევს.

3 საათზე შავოსან ცხენოსანთა რაზმი პროცესიას ვერაზე შემოუძღვა.

და აქ შეტბორდა ერი ძაძით მოსილი, — გვირგვინებით, ცრემლით, გოდებით, მრისხანებით, ბოლმით, გმინვით:

წინ — გუნდი სამღვდელოებისა, სამი ეპისკოპოსის წინამძღოლობით.

სიტყვას ამბობს დიდუბის ტაძრის წინამძღვარი ნიკიტა თალაკვაძე:

„ქართველი ერის დიდებულო წინასწარმეტყველო, ქართველი ერის „ვარსკვლავთ მრიცხველო“, ქრისტეს მცნების

დაუღალავო ქადაგო, ჩვენო ტკბილ-მწარე „ნანინათი“ აღმზრდელო, ჩვენო თავისუფლების წინამორბედო ილია!

ეს რა ზარ-ზეიმით გეგებება „მარად და ყველგან შენი საქართველო“?! — იქნებ, ორმოცდა-ათი წლის სწორუპოვარ უმწიკლო მოღვაწეობისათვის დაფნის გვირგვინით სურს შეამკოს შენი ჩვენთვის სათაყვანებელი თავი?! — არა, — ეს ჩვენ ვერ მოვახერხეთ... ჩვენ მხოლოდ უსულოდ ქმნილ შენს ნაშთებს გვაგებებენ, — ეს მოვაგვარეთ...

მაგრამ, უკვდავების შვილო, მცდარია ის აზრი, ვითომც ილია მკვდარი იყოს! არ ვის ძალუძს იმის მოკვლა, იმის მოსპობა, ვისაც ქართველი ერი ნახევარ საუკუნის განმავლობაში თვითცნობიერებაში მოჰყავდა! არავის ძალუძს იმისი მადლის დამხობა, რომელმაც საქართველო ევროპის ცივილიზაციაზროვნების ფერხულში ჩააბა! არ შეიძლება იმისი აღგვა პირისაგან ქვეყნისა, რომელიც ქართველი ერის სულსა და გულში ოქრო-მკერდით ჩაქსოვილ-მოქარგულია!

მაშ, ჰოი, უგუნურებავ, რომელმაც აღმართე ბოროტი მკლავი ქართველი ერის სათაყვანებელ არსებაზე!!.. უგუნურებავ, რომელმაც მხოლოდ განიზრახე ჩვენი ილიას მოსპობა! უგუნურებავ! შენ შემოგძახის ქართველი ერი და მასთან მისი მშობელი ივერიის ეკლესია, — ილია „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს...“

ივერიის ეკლესიის დიდებულო, ჭეშმარიტო-ღვიძლო შვილო, მუხლს იდრეკს შენს მოწამებრივ ნაშთთა წინაშე ქართველი სამღვდელოებაც, თაყვანსა სცემს შენ ზეგარდმო-მადლით ცხებულ შუბლს, მარად და მუდამ აღბეჭდილი იქნება ჩვენს გულში შარავანდედით გასხივოსნებული შენი ხატება, შენი მოძღვრება-მისწრაფებანი, რომ შენი „ანდერძი“ აღვასრულოთ და მით წამებულმან სულმან შენმან გაიხაროს... ამინ!“

შემდეგ — სიტყვა ვ ლ ა დ ი მ ე რ მ ი ქ ე ლ ა ძ ი ს ა:

„ილია მოჰკლესო, და ამ ამბავმა თავზარი დასცა მთელ ქართველ ერს. ილია ჭავჭავაძე მოჰკლესო, და ამ ხმამ გააოცა ყველა ის, ვინც ქართველ ერს იცნობს. და ვინ არის ისეთი, ქართველ ერს იცნობდეს და ილიას კი არა.

მოჰკლეს ილია ჭავჭავაძე, ჩვენი სახელი, ჩვენი შვენება. მოჰკლეს მთელი ერის პირველი კაცი. გული ტყვიით გაუგმირეს — გული, რომელიც ქვეყნისათვის სწუხდა, სძგერდა, ღელავდა. შუბლი ტყვიებით დაუხვრიტეს, მშვენიერი, ნათელმოსილი და ჭკუით გაბრწყინვებული შუბლი, რომელიც სამშობლოზე დარდის გამო მუდამ ნაოჭად იყო ხოლმე შეკრული. მოჰკლეს მოხუცი, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე სამშობლოს შეალია, მოჰკლეს იქ, იმ არაგვის პირად, რომელსაც ეუბნებოდა:

...ჩემის მამულის დიდება ძველი
შენს წმიდა თვალ-წინ აჰყვავებულა;
მიყვარხარ მისთვის, რომე ქართველი
აქ, შენს კიდეზედ, დაბადებულა.

ილია ჭავჭავაძის ნამოქმედარი და ნაწარმოები საქართველოს ნახევარი საუკუნის ისტორიას აღბეჭდავს. ვინც ილიას ნაწერს და ნათქვამს გაითვალისწინებს, ის საქართველოს მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს ისტორიას შეითვისებს.

რა ვიყავით ამ ორმოც-და-ათის წლის წინად? ჩვენი მაშინდელი სულიერი და ზნეობრივი არარაობა ილიამ აღბეჭდა და სარკესავით დაგვანახა. გაიღვიძეთ, აღსდეგითო, კაცი ადამიანიც უნდა იყოსო. ქართველ დედას ასწავლიდა:

შვილს შთააგონე კაცთ სიყვარული,
ძმობა, ერთობა, თავისუფლებაო.

ყოველი მონობა საზოგადოდ ორი ჯაჭვით არის გამაგრებული: ერთი უფლებრივია, მონობა დაკანონებულია. კანონი მოისპო, ჯაჭვიც დაიმსხვრა, გარეგნობით მონობაც მოისპო. ხოლო მეორე ჯაჭვი თვით ადამიანის, საზოგადოების ცნობიერებაშია გამაგრებული, მის გრძნობაში, ხასიათში. ამ ბორკილის დამტვრევა უფრო ძნელია, მეტი დრო უნდა. კაცის გრძნობა, გონება, სინდისი უნდა გაიწმინდოს, გასუფთავდეს. ამას ხანგრძლივი, მედგარი ბრძოლა უნდა, და ამ ბრძოლას მოანდომა ილიამ მთელი თავისი ნიჭი და კალმის ძალა. ბატონ-ყმობის მოსპობას ჯერ რუსეთში შეუდგნენ.

მესმის, მესმის სანატრელი
ხალხთ ბორკილის ხმა მტვრევისა,

ღმერთო, ღმერთო, ეს ხმა ტკბილი
გამაგონე ჩემს მამულშიო,

ნატრობდა პოეტი. „დღიურ ლუკმისათვის ტანჯვა, შრომა და მწუხარება“ ილიას უწყლულებდა გულს და თავის გოდება ლექსად აღნიშნა „მუშაში“.

ილიას ორნაირი სიყვარული უნათებდა ცხოვრების გზას: ჯერ კაცისადმი სიყვარული და მერე სამშობლოსადმი.

„კაცო! გიყვარდეს“.
ცათ შთამომძახეს,
როს მათ დამბადეს,
ყველგან ეს სიტყვა
ლამპრად წინ მიმყვა.
და ქვეყნად ჩემ სვლას
სცემდა წმინდ ნათელს,
მისთვის გეტყვი ძმას:
შენცა გიყვარდეს!

და აი მამულზედაც რას ამბობს:

მას დედის ძუძუ ტკბილი
შხამათაც შერგებია,
მამულისთვის სიკვდილი
ვისაც დაზარებია.

ახლა მოიგონეთ განსვენებულის საზოგადო მოღვაწეობა. ნახევარ საუკუნის განმავლობაში განა იყო ჩვენში ისეთი საზოგადო საქმე, რომლის სათავეში იგი არ მდგარიყოს, რომელიც არ გაებრწყინებინოს თავის ნათელ ჭკუითა და გონებით. და აი, ესეთი კაცი დღეს ტყვიებით გულ-განგმირული და თავ-დამტვრეული წინ გვისვენია. ბოროტება, უმეცრება, ვერაგობა, უარყოფა იმისა, რაც კაცის საუნჯეს შეადგენს, ამხედრდა ამ კაცზე და დაღლილს, დაჭანცულს მებრძოლს დამშვიდებით სიცოცხლე არ დაასრულებინა. ვაი სიცხვილო ვაი უბედურო, შეურაცხყოფილო ქვეყანავ! ვაი, უბედურო ერო! შენ გგლოვობ და არა ილიას. შურისძიება გვწყურია, „ხელი ხმალს იკარო“, გაისმა გულიდან ამოხეთქილი ხმა. მაგრამ არა! შურისძიება ილიას სახელს, ილიას ხსოვნას არ შეშვენის, არ ეკადრება. დეე, ილიას სისხლმა, ასე უღვთოდ დანთხეულმა, გონს მოიყვანოს, სულით აღამაღლოს, განასპეტაკოს ის გახრწნილი, დაცემული, გაეერაგებული და

ყოვლის ჩვენის საუნჯის უარმყოფელი ნაწილი ჩვენის ერისა, რომლის სიღრმიდან ილიას მკვლელები მოგვევლინენ.

ქართველი ერი, ჩვენი ქვეყნის სასიქადულო შვილო, მუხლს მოიდრეკს შენს წინაშე და ეამბორება შარავანდედმოსილსა სახესა შენსა".

სიტყვა ილია ზურაბიშვილისა:

„საქართველოს ჭირისუფალო ილიავ! შენმა ტურფა კახეთმა, რომელსაც ბედნიერ წილად ჰხვდა — თავის მხნე მკერდზედ, ნიადაგზედ დაერწია შენი აკვანი, მოგვანდო ჩვენ თაყვანი ვცეთ შენს ძვირფას ნეშტსა და ვაუწყოთ ჩვენს ქვეყანას — რა განუსაზღვრელი საეროვნო კაეშანი ჩააწვეთა ყოველის კახელის გულს შენმა მოწამებრივმა სიკვდილმა!

სულმნათო მგოსანო! კახეთი სტირს და ჰგლოვობს, მაგრამ მაინც არა სჯერა, რომ ეგ, საქართველოსათვის სამსხვერპლოდ ქცეული გული საუკუნოდ მიყუჩდა და აღარ აძგერდება სამშობლოსათვის მტკივნეულად დასადებად!

ჩვენის აზროვნების დიდო მესვეურო! ნუთუ ეგ საამურად მეტყველნი ბაგენი სამუდამოდ დადუმდნენ და აღარ განიხვნებიან ზეაღმტაც სიტყვის სათქმელად?!

ცხოველმყოფელო ძეგლო ჩვენის დაბადებისა! ნუთუ ეგ, ღვთაებრივის იერით აღბეჭდილი შუბლი, აღარ გაიხსნება, რომ ძველებურად ცხოველ აზრთა გუნდი გადმოაფინოს შენ თანამოძმეთ — ცხოვრებაში სახელმძღვანელოდ და ანდერძად საშვილიშვილოდ გადასაცემად?!

საქართველოს სულიერო მეორე კახო! რას გვიბარებ? რა ვუთხრათ შენს მოდუდუნე ბედის მოჩივარ ალაზანს? რა ხმა მივაწვდინოთ შენს მშობელს ყვარელის მთებს? რით ვანუგეშოთ ბაღში ცრემლით ანატირი ობოლი ვაზი? რა ვუპასუხოთ მოჭირნახულე ლაბას, შენს ლაბას, როცა უენო, ვითა მეტყველი, თვალებით დაგვეკითხება?!

სდუმხარ?! მაშ მართალია?!

თუ აგრეა — იგლოვეთ, იგლოვეთ მდუღარედ! შენ, ალაზანო, ზვირთი ზვირთზედ ააგორე, აბობოქრდი, მოჰყევი მწარე ზარს! თქვენ, ყვარლის მთებო, ნისლით შეიბურეთ მწვერვალები — ეგ იქნება თქვენი ძაძა! შენ, ობოლო ვაზო, აფრქ-

ვიე მწუხარე ცრემლი და ლაბავ, მორთე გულსაკლავი ბღავილი! აღარ გყავთ ზრახვათა მესაიდუმლე, აღარ გვყავს გრძნობათა მოენე!! შენ კი, საქართველოვ, ახლა მაინც მიჰხვდი რა ბედ-შავია შენი ხვედრი. დეე, ამ დიადმა წმინდა მსხვერპლმა მაინც შეაგნებინოს შენს შვილთ სამშობლოს განწირული მდგომარეობა და აღძრას მათში გმირის დამბადი დიდი საგანი".

შემდეგ — სიტყვა ს ი ლ ო ვ ან ხ უ ნ დ ა ძ ი ს ა:

„საქართველოს მტერნო, ნუ გიხარიათ! ილია ჭავჭავაძე არ მომკვდარა, ის ცოცხალია — და მარადის ცოცხალი იქნება ქართველი ერის გულსა და გონებაში! საქართველოს მტერნო, ნუ გიხარით! ილია ჭავჭავაძემ თავისი მოწამებრივი სიკვდილით თვისი დიდებული სახელი კიდევ უფრო გაადიდა, კიდევ უფრო მკვიდრი, უფრო მშვენიერი ძეგლი დაიდგა! საქართველოს მტერნო, შეძრწუნდით! თქვენი საზარელი მკვლელობით თვით თქვენი თავი მოიკალით, თქვენი გული გამოიღადრეთ! ამიერიდან ქართველი ერი თქვენ საქმეებს დაგმობს, თქვენს სახელს ზიზღით მოიხსენიებს! ქართველო ხალხო, გონს მოდი, გამოფხიზლდი, გაარჩიე მტერი და მოყვარე! გარეშე მტრებმა ვერაოდეს ვერ შესძლეს შენი დამონება, შენი შერცხვენა, მხოლოდ შინაური მტრები შეიქმნენ შენი შემრცხვენელნი! ქართველებო, ნუ დაივიწყებთ შოთას სიტყვებს: „მოყვარე, მტერი ყოვლისა, მტრისაგან უფრო მტერიაო!"

და კვლავ სიტყვა, ვერაზე თქმული, მ ი ხ ე ი ლ (მ ი ხ ა კ ო) წ ე რ ე თ ლ ი ს ა გ ან:

„მამულიშვილნო!

„ვინა სთქვა საქართველოზედ — რა დიდი ლომი კვდებაო!" — ბევრმა რამ და ბევრმა ვინმემ! — ყოფილან ჩვენ ისტორიაში შავნი დრონი, როდესაც თავზარ-დამცემნი სიტყვანი — საქართველოს დიდი ლომი კვდება, — სიმართლედ მოგვჩვენებია, ეჰვს შეუპყრია მთელი საქართველოს გონება, მართლა ხომ არ წახდა საქართველო საუკუნოდ! იყო ერთი, უკანასკნელი შავი დრო, ოდეს საქართველოს ლომი პოლიტი-

კურად მოკვდა, დამარხა რა თვისივე ხელით თავისი საკუთარი თავისუფლება, დამოუკიდებლობა, და შემდეგ, მთელი ასის წლის განმავლობაში, მთელი მისი არსება მამაკვდავი სულსა ღაფავდა! — მაგრამ ამ შავ დროებაზედ უფრო მჭევრმეტყველად, უფრო მედგრად და უფრო კადნიერად ილია ჭავჭავაძის მკვლელებმა ჩამოგვძახეს ყურში მთელ საქართველოს — საქართველო, ეს დიდი ლომი მართლაც მოკვდა, — მოკვდა ზნეობრივად, და ეს სიკვდილი მისი საუკეთესო ძის, მისი დიდების ვერაგულად მოკვლაში გამოიხატა!

ერთ დროს ჩვენც ვიყავით ერი, ჩვენც შევადგენდით კაცობრიობის ნაწილს, ჩვენც გვქონდა ფასი და ხალხს გვეძახოდნენ, ჩვენი კულტურა, — ჩვენი მწერლობა და მწიგნობრობა, მეცნიერება, სიტყვა-კაზმული ლიტერატურა და სხვა, ჩვენი საზოგადოებრივი სიძლიერე — განთქმული იყო არა მარტო კავკასიაში, არამედ კავკასიის გარეშეც. ჩვენი გურჯისტანის სიძლიერე თავზარსა სცემდა ირგვლივ-მამდგარ მრავალ მტერსა და ჩვენც ვიცავდით ჩვენს თავისუფლებასა, მიწა-წყალსა და კულტურას.

XI-XII საუკუნეებში საქართველო სიმდიდრით, სულითა და გონებით გაბრწყინებული იყო, საქართველოს მდიდარმა კულტურამ, ქართულმა ძლიერმა ენამ წარმოშვა ჩანგი რუსთაველისა და, სიცოცხლით სავსენი, ჩვენცა ვცდილობდით საშვილიშვილოდ განგვემტკიცებინა ეს ჩვენი სულიერი და ნივთიერი სიძლიერე.

მაგრამ ვეღარ გავუძელით მრავალ-რიცხოვან მტერსა, რომელიც ყოველის მხრით გარს გვესია, ვიბრძოლეთ საუკუნეთა განმავლობაში ბრძოლის ველზედ, მთელი აზიის ურდოებს გაკაჟებული საქართველოც ვერ გაუძლებდა, და ჩვენც ვიწყეთ ნელ-ნელა დაკარგვა იმ დიადი საუნჯისა, რომელიც მთელმა ერმა შეჰკრიბა თავისი შემოქმედებით ჟამთა ვითარებაში.

აღმოსავლეთით, დასავლეთით და განსაკუთრებით სამხრეთით მოგვადგა აუარებელი მტერი, მოგვწყვიტა საუკეთესო, თუ განათლებულს ქვეყნებს, შთანთქა ყოველი თავის ველურობის და განადგურების ზღვაში და შეამოკლა, შეასუსტა საქართველოს სიცოცხლე.

მაგრამ მაინც ვიბრძოდით და რაღაც იმედით აღსავსენი

დანარჩენ ჩვენ დიდებასა, მიწა-წყალსა და კულტურას მაინც ვირჩენდით. ასე მომდინარეობდა ჩვენი ისტორია XVIII საუკუნის დამლევამდე, და ეს ისტორია ერთი ხანგრძლივი საუკუნოებითი წამება იყო ქართველი ერისა, ჩვენი მუდმივი ეჭვი იყო, — საქართველოს დიდმა ლომმა მტრის შიშის ზარის დამცემი ღრიალი შესწყვიტა.

დასუსტებულმა, დამცირებულმა და შინაურ უთანხმოებათა და მტრობით დაღლილებმა მოვაღწიეთ XIX საუკუნის კარამდე. იმდენი სულიერი ძალაც აღარ შეგვწევდა, რომ სურვილი, ძველებური ვაჟკაცური ფოლადის სურვილი მაინც შეგვრჩენოდა ბრძოლის განგრძობისა...

...მაგრამ დადგა მესამოცე წლები, ის ხანა, როდესაც ბარბაროსულმა რუსეთმაც გაიღვიძა, რადგან მთელმა კაცობრიობამ ამირანისებური სიძლიერით დიდი ნაბიჯი წარსდგა წინ, და ჩვენს ქვეყანასაც მოხვდა ამ საყოველთაო აღელვებული ზღვის ტალღები. ჩვენი ცხოვრებაც შეინძრა, შეტოკდა, და ამ ახალ მოძრაობას თავის გამომხატველნი უნდა გაჩენოდა. გაუჩნდნენ კიდეც. ჩვენშიაც დაიბადნენ — აკაკი წერეთელი, სერგეი მესხი, ნიკო ნიკოლაძე, ილია ჭავჭავაძე, გიორგი წერეთელი და სხვანი, და ამათ იკისრეს ხელმძღვანელობა ჩვენი ცხოვრებისა. აღორძინდა ჩვენი ლიტერატურა, აყვავდა პოეზია, გაჩნდა პუბლიცისტიკა, გაჩნდა ახალი წესები ლიტერატურულ შემოქმედებისა, — და ჩვენც ცოტათი მაინც გავერიეთ კაცობრიობაში ამ მწერალთა და მოღვაწეთა წყალობით. და სწორედ ილია ჭავჭავაძე იყო პირველი იმათ შორის, — ჩვენი საუკეთესო პოეტი, რომანისტი, პუბლიცისტი, ეკონომისტი, ასე გასინჯეთ სოციოლოგიც.

ენა მკვდარი და მხოლოდ რამდენიმე „წინამორბედთა“ პირში მეტყველი, ენა მდიდარი, მაშინ დაკარგული ჩვენი ერის „განათლებულთა მიერ“ ისე ლაჩრულად, რომ ლაპარაკსაც აღარ კადრულობდნენ ქართულად, ენა, რომელიც ათასის წლობით შევინახეთ და შავთა დროთა გადაგვაგებუეს, აღადგინეს ზემოხსენებულმა საქართველოს შვილებმა, და ილია ჭავჭავაძე პირველი იყო, ხალხის პირისაგან მოგვესმა მძლავრ ქართულად ნათქვამნი სამაგალითო, უმშვენიერესნი ქმნილებანი მისნი.

ჩვენ ქვეყანას ათასი გასაჭირი ადგა, კაცი არავინ იყო ხმის

ამომღები, და ილია პირველი იყო, რომ მეცნიერების იარაღით აღჭურვილი სწყვეტდა რთულს შესაძლებლობებს ჩვენისს ცხოვრებისა თავისებური სიღრმით და იმავე მშვენიერი ენით, რომელიც მან გაგვაგონა თავის ლიტერატურულ ნაწარმოებში; ილია იყო შეუდარებელი პუბლიცისტი, გლეხთა მუდმივი მეგობარი, იგი ამ მეგობრობას ჰხატავდა როგორც „გლახის ნაამბობში“, „ოთარაანთ ქვრივში“, ისე ბატონ-ყმობის, მონობის წყევლა-კრულვაში და გმობაში, — როგორც საჯარო კრებებზედ, ისე თავის პუბლიცისტურ ნაწარმოებებში. იგი მუდმივი დამცველი იყო შრომის ინტერესებისა, და მაშინ, როდესაც საუკეთესო დემოკრატებიც კი მთელი ევროპისა, პარიზის კომმუნას უშვერად, ურცხვად და ცინიკურად იხსენიებდნენ, — ილია მის დამცველად, მისი დიდების ქართულ ჩანგზედ მომღერლად გამოვიდა ჩვენში... თვით სოციალიზმის პრინციპებიც კი არის გატარებული მის მრავალ თხზულებებში. „შრომისა ახსნა“, — აი რა იყო ილიას იდეალი!

საქართველოს დაბეჩავებული საზოგადოების ორგანონი ეჭირვებოდნენ. ილია ჭავჭავაძე იყო სწორედ ის ადამიანი, რომელსაც უდიდესი ღვაწლი მიუძღვის მათ შექმნაში და მათში მუშაობაში. მარტო ბანკში და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში რამდენი ენერგია ჩაჰკლა ილია ჭავჭავაძემ ქართველი საზოგადოების ასაღორძინებლად, სამაგალითოდ განსაცვიფრებელია, თუ დაუკვირდება ადამიანი, და ღირსეულად დააფასებს ილიას შრომასა და ღვაწლს.

დიახ, ილია ყოველ მხრივი მოღვაწეობით გაცილებით მაღლა იდგა ყოველ თავის თანმედროვეებზედ და თანამოღვაწეებზედ, — თავისი მრავალ ფეროვანი ნიჭითა და ყოველ მხრივი შემოქმედებით.

მაგრამ მე ილიას უწინარეს ყოვლისა ვაფასებ როგორც მამულიშვილსა. ის იყო მართლაც საქართველოს გუშაგი მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში. გრიგოლ ორბელიანი ამბობდა ძველ ქართველ ვაჟკაცებზედ — „ვაი მას მტერსა ვის ანუ კლდენი, ანუ ტყეთ სიღრმე არ დაჰფარვიდნენ, ვითარ, შურდულებსა, ესრედი შევარდენნი, მიესევოდნენ და შემუსვრიდნენ!“-ო. ილია სწორედ ასეთი მამულიშვილი იყო ჩვენ მოქალაქეობრივ ცხოვრებაში. ვაი მას მტერსა ვის ანუ ბოდი-

ში, ანუ იეზუიტობა არ დაჰფარვიდა, — ვით ვეფხვი ილია მივარდებოდა მას და შემუსვრიდა თავისი ცოდნითა, ლოღიკითა, და — რაც უფრო ძლიერია, — სიმართლითა, რადგანაც ილიას არა ჰქონდა ჩვეულებად მტერს გამოჰკამათებოდა, როს მის სიტყვებში სიმართლესა ჰხედავდა. განსაკუთრებული რისხვით ილია მოევლინებოდა ხოლმე შინაურს, მტრებს, რომელიც ცხვრის ტყავში გამოხვეული შინ იეზუიტობდა და თავს იკატუნებდა, გარეთ კი ლამობდა და საქართველოს გაბიაბურებისათვის არაფერს ზოგავდა... ვინ გაუძლებდა მის დიალექტიკას, მის შეუდარებელ, მწარე დაცინვასა და მძიმე მსჯელობას, რომელიც ვულკანის ჩაქუჩივითა სცემდა თავში მტერს და მტვრად აქცევდა მის სუსტსა და იეზუიტურ არგუმენტებს. მასთანაც შეუდარებელი ორატორი, იგი იყო ჩვენი პირველი მამულიშვილი, მოქალაქეობრივი ვაჟკაცობითა და სიბრძნით ჩვენი ციცერონი, „მამა ჩვენი სამშობლოისა“, — და აკი მისი გული ხვდ წილად! ჰოი ისტორიავ, საკვირველი არიან საქმენი შენნი!

და ეს ილია ჭავჭავაძე, რომელიც შეუდარებელი პოეტი იყო, შეუდარებელი პუბლიცისტი და ჩვენი პირველი ეკონომისტი და სოციოლოგი, პირველი საზოგადო მოღვაწე, პირველი მამულიშვილი, რომელსაც ერთად ერთსა ჰქონდა სული თავისუფალი ადამიანისა იმდენ ლაჩართა და მონური სულის ბატრონთა შორის, — ეს ილია ჭავჭავაძე დღეს კუბოში სდევს მთელი საქართველოს წინაშე, ქართველის ხელით განგმირული, ჩვენდა სასირცხვოდ, სატირლად და სავალალოდ!

თურმე სულ ტყუილი ყოფილა ჩვენი იმედი, რომ ცოტათი მაინც წინ წავედით XIX საუკუნის მეორე ნახევარში, სწორედ ისეთი კაცების წყალობით, როგორიც იყო ილია ჭავჭავაძე; სულ ტყუილი ყოფილა ჩვენი ზნეობრივი პროგრესი, თურმე კიდევ უფრო დავცემულვართ!

კაცი, რომლისათვისაც ერის ხანგრძლივი სამსახურისათვის იუბილეი უნდა გადაგვეხადა, დაფნის გვირგვინით უნდა შეგვემკო მისი შუბლი, ტრიუმფით უნდა შემოგვეყვანა მაშვრალი მხცოვანი ჩვენს სატახტო ქალაქში, ტყვიით გავგმირეთ, ეკლის გვირგვინი დავადგით და მისი კუბო შემოვიტანეთ დღეს აქ, ჩვენდა საუკუნოდ შესარცხვენად.

ვაგლახ, ბედშავო საქართველო! ვინ რას იტყვის, რომ

გაიგებს ჩვენს ასეთ საქციელს, ვინ რას იტყვის, რომ გაიგებს ვინ მოვკალით, ვინ დავმარხეთ ჩვენივე ხელით ტყვიით განგმირული! — საქართველოს ერი, ლაჩარი, ზნედაცემული, გახრწნილი, უგრძნობელი, რომელმაც მთლად დაჰკარგა კაცთა სახე, — აი ამ ერმა თვით მოჰკლა თავისი საუკეთესო ძე და ყოვლად უგვანონი, უმსგავსონი და სულელნი დაიტოვა თავის ცხოვრების წინამძღოლებადო — აი რას იტყვიან, — და მართლაც რას უნდა გამოელოდეს ადამიანი იმ ერისაგან, რომელსაც მონური სილაჩრე შეჰპარვია, რომელიც ეს სამი წელიწადია გაჰყვირის ძლიერად, გაჰყვირის შავი ზღვის ნაპირებიდან დაღესტნის საზღვრებამდე — ძირს ჩვენი საკუთარი თავისუფლებაო!.. მართლაც და — „სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა, ერი ძაბუნი, ლაჩარი, მორჩილი თავის ბედისა; შავთა დროთ სრულად შესცვალეს მის გული ანდამატისა, აღარც მხნე, აღარც მღერალი, მოძულე თავის მიწისა“, და თავისი წარსულისა, თავის კულტურისა, თავის საკუთარ შვილთა, რომელთაც შუბლში ტყვიით უმასპინძლდება!

ეხლა რაღა უნდა ვქმნათ? — უპირველეს ყოვლისა, მე არ ვეთანხმები აქ წარმოთქმულ სიტყვებს, — ილიას ხსოვნას „შურის ძიება“ არ ეკადრებაო! კი — ეკადრება! ამ სირცხვილს მხოლოდ შურის ძიებით გავაქარწყლებთ, შურის ძიება მთელი ერისა იმ უმსგავსთა წინააღმდეგ, რომელთაც დღეს მთელი საქართველო ძაძით შემოსეს და მთელს ქვეყანაში გაბიაბურეს, ერთად ერთი საშუალებაა მთელი ერის გასამართლებლად. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ყველანი დამნაშავენი ვიქნებით ილიას წინაშე! ყოველივე სხვა ერი ჩვენს ალაგას ამასვე ჩაიდენდა. ჩვენი სიჩუმე ჩვენი ჰუმანიური თვისებისა და დიდ-სულოვნების დამამტკიცებელი კი არ იქნება, არამედ ჩვენი სისუსტისა და გულგრილობისა!

მაგრამ ასეთი შურის ძიება ვერ დააკმაყოფილებს ჩვენ შეურაცხყოფილ თავმოყვარეობას. ჩვენ უნდა ყველამ ჩავინერგოთ გულში ის მცნებანი, რომელნიც ილიამ თავის თხზულებებში გაატარა და გვიანდერძა. სიყვარული საქართველოსი, იმ განსვენებულ „საქართველოსი“, რომელიც აგრეთვე მისი თანამოღვაწის, აკაკის გულსაც მუდამ ატოკებდა, სიყვარული ჩვენი მიწა-წყლისა და მისი შენახვა, რაიც ილიას

აზრით უმთავრესი საშუალება იყო ჩვენი ერის სიცოცხლისა, სიყვარული ქართველი ხალხისა, რომლის გუშაგად მუდამ უნდა იდგეს ყოველი ჩვენგანი, რომლის უფლებაც არავის უნდა შევალახვიოთ, ისე, როგორც ილია არავის აძლევდა ამის ნებას — აი, რა არის ილიას ნაანდერძევი, შევქმნათ ჩვენც ისეთი ქართული საზოგადოებრივი წრე, — საღი და ზნეობით ამაღლებული, რომელშიაც შესაძლებელი აღარ იქნება ასეთი დანაშაული როგორსაც ახლა ვხედავთ, — მხოლოდ ეს დაგვაკმაყოფილებს, ეს მოგვბანს მოცხებულ ჩირქს, ამით უკვდავვყოფთ ილიას ხსოვნას.

მაგრამ ამ დიად საქმეს ვინ იცის აღვასრულებთ თუ არა, — ჯერ-ჯერობით ჩვენი დაცემა ილიას მოკვლაში გამოიხატა, ამ უსაშინელესს დანაშაულში, რომლის მსგავსიც კაცობრიობას არა უნახავს-რა. ვინ იცის, როგორი იქნება ჩვენი მომავალი, აწმყოში კარგი რაც იყო — აი ამ კუბოში ასვენია, ჩვენ ხელთაგანვე დათრგუნვილი და შეგინებული! დაგვრჩა მხოლოდ სასოწარკვეთილება და ძლიერი ეჭვი ჩვენი მომავლისა!..

შენ კი, დიდებულო ადამიანო, ივერიის ტანჯულო ძევ, გვაპატიე აქ შეკრებილ სრულიად საქართველოს, რომ სწორედ იმ ადგილას მოგისპო სიცოცხლე ჩვენმა ზნეობით დაცემამ, სადაც შენ გულამოსკვნილი სტიროდი „ბედსა ქართლისასა“, გვაპატიე, რომ შენს შუბლს ტყვია ვარგუნეთ წილად დიდების გვირგვინის მაგივრად, გვაპატიე, რომ ჩვენ სატახტო ქალაქში ტრიუმფის მაგივრად სამგლოვიარო პროცესია გაგიმართეთ! გვაპატიე, ეს შეეფერება შენ დიდ სულოვანობას! იქ, ზევით, პოეტთა მიერ შემკულ, მდებარე მთაწმინდაზედ განსვენებთ, ჩვენ მცხოვან, ტანჯულსა, ისტორიულ დედა-ქალაქ თბილისს რომ ბატონობს იდუმალად! მაგრამ ვაგლახ ჩვენ, რომ იქიდან“ ვეღარ გადმოხედავ შენსა სამშობლო მხარეს და ტკბილის ჭიკჭიკით ვეღარ დაატკბობ მის არემარეს“, ვეღარ იხილავ მომავალში შენსა ივერსა, „ფენიქსებრ განახლებულსა“, თუ მომავალმა ეს ბედი კიდევ გვარგუნა, მაგრამ აწმყოში მაინც ბედნიერი იქნები, რადგან ვეღარ იხილავ აგრეთვე იმ სიწითლეს, სირცხვილს, რომელიც აწ დაცემულმა ივერმა სჭამა შენი წამებითა და რომლის ჩირქსაც იგი დიდხანს ვერ მოიბანს!“

და გლოვა ვერაზე დასრულდა ვინმე ქართველი დედაკაცის გოდებით:

„ილია მოჰკლეს, მოჰკლეს ილია! გესმით ქართველნო?!

ილია მოჰკლეს მხეცთ დაგვინგრიეს ტაძარი დიდი, სისხლით შესვარეს, წამების გვირგვინი არგეს ჩვენ სადიდებელს მოძღვარ-მგოსანსა! ილია მოჰკლეს, გული გაუპეს, წაგვართვეს, მოსპეს ჩვენი სიმდიდრე, ამპარტავნება.

ილია მოჰკლეს გული გაუპეს: გაუპეს ის წლული გული, ის დიდ-გული და ქართველობის ვაებით სავსე, რომელიც ორმოცდაათი წელიწადი მხოლოდ და მხოლოდ ქართველთათვის იდაგებოდა! ილია მოჰკლეს, მოჰკვეთეს წყარო წმინდა, შესწყვიტეს მიდრეკანი ცხოველ მყოფელი მისის ბრწყინვალე მჭევრმეტყველებისა! აღარ გვყავს ილია, ქართველებო! გჯერათ ეს თქვენ, შეგიძლიათ ამ საშინელ, ულმობელ აზრს შეურიგდეთ! შეგიძლიათ ილია გულიდან მოისხლიტოთ, უიმისოთ ჩვენი არსება წარმოვიდგინოთ?!

აღარ გვყავს ილია? დიდი ილია! ჩვენი დამამშვენებელი, აღარ გვყავს ილია, ჩვენი მქადაგებელი, აღარ გვყავს ილია ჩვენი ბედშაობის ჩამგონებელი, აღარ გვყავს ილია ჩვენი აღმაფრენი, შარავანდედით მოსილი მგოსანი?!

აღარ გვყავს ილია ლომი, მედგარი, მტრის პირში მდგომი, მოყვრის შემძენი; ქართულის აზრის და სიტყვიერების მეფე, მეფე-მწერალი, ავტორი იმ შედევრებისა, რომელთა მოწყალებით ენა ამოვიდგით, ცხოვრების მიზანი ჩავისახეთ, ჩვენს სულს და გულს ნათელი, გარკვეული იდიალი ავუყვავეთ!

აღარ გვყავს ილია, ის დიდი ილია, რომელზედაც ამპარტავნობით უთითებდით ყველა იმათ, ვინც გაჰბედავდა და ეჭვს შეიტანდა ქართველთა სულიერს და გონებრივს ძლიერებაში!

აღარ გვყავს ილია, მშვენიერი, მამაცი, გამბედავი, მართლის მთქმელი, სიცრუის და ბიწიერების დამთრგუნველი!

აღარ გავიგონებთ იმის ტკბილ სიტყვას ქართველთა ლხინში და ელვა-გრგვინვით სავსე ხმას ქართვლის გასაჭირში!

აღარ დავინახავთ მის ცეცხლებით სავსე ბრწყინვალე თვალებს, კაცთა სიდუხჭირით განრისხებულ მშვენიერ ბაგეს?!

ვიტიროთ ილია, ქართველებო, ვიტიროთ, ვივაგლახოთ, თავში ხელი ვიცეთ, ვიჭირისუფლოთ და მის საფლავზედ კავ-

შირი შევკრათ ძმობის, ერთობის, ხალხში მოვფინოთ მისი მცნებანი და მით დავუტკბოთ, დავარწმუნოთ, რომ ერი მისი მომწიფებული არის, რომ ერმა მისმა შეისმინა, მიუხვდა ნათქვამს, ნაფიქრალს, თვით დუმილსაცა და როგორც შვილი ერთგული გულში ჩაიკრა და თავისი მდუღარება გულის ნაკვნესი ზედ დააფრქვია.

რომ თაყვანსა სცემს მის ციურ ნიჭსა,
მის ყოველ წუთსა სიფრთხილით ხარჯავს
და მის აქ ყოფნას ამაოებათ აღარა სახავს!"...

სამგლოვიარო პროცესია ვერიდან დაიძრა.

თბილისი, ძაძით მოსილი, გლოვით ატანილი, შაოსანი ხალხით გადაწყვდიადებული. დაკეტილი და დაუქმებული სავაჭროები. ფანჯრებ-დახსნილი და შავი დროშებით ფრთააშლილი სახლები. გასაოცარი წესრიგი (ვალერიან გუნიას მოთავეობით), უპოლიციოდ, უადმინისტრაციოდ.

აი, სიონი — უკანასკნელი ამქვეყნიური სავანე საქართველოს ერისუფლისა.

დამკრძალავი კომისიისგან დათქმული იყო: სიონში შესვენებისას ილიას კუბოს წინ პირველი უნდა შესდგომოდა აკაკი წერეთელი. მაგრამ აკაკი ავად იყო, ლოგინად ჩავარდნილი, სასტუმრო „კავკაზში".

და ახლა კუბო წმინდანის ნეშთით სიონში შეასვენეს იაკობ გოგებაშვილმა, ნიკო ცხვედაძემ, ანტონ ფურცელაძემ და არტურ ლაისტმა.

და მასვე ჟამს პირველი სიტყვა წარმოსთქვა ეპისკოპოსმა ლ ე ო ნ ი დ ე მ:

„ზღვასავით ღრმა ილიას გულმა ორმოცდა ათი წელიწადი განუწყვეტლად აფრქვია თავის სამშობლოს ნიადაგზე ცხოველი სიყვარულის საღმრთო, ცეცხლი, ორმოცდა ათი წლის განმავლობაში ილიას მირონცხებულ ენას არ მოუსვენია ქართველი ერისადმი მხურვალე ფერად-ფერადი ძვირფასი გვირგვინების თხზვა-ქარგვისაგან, ორმოცდა ათი წელიწადი ამისი დალოცვილი მარჯვენა უხვად ჰსთესდა ყოველი ქართველის გულში კაცთა გატანისა, სიბრალულისა და სიყვარულის საკუთარი თითით გარჩეულს, საღს და მაძღარ თესლს!

დღეს მოულოდნელად წაგვართვეს ეს საუნჯე! დაუძინებელმა მტერმა დაგვიხშო ზღვა ეროვნული თვით ცნობისა! ვერაგმა არსებამ ჩაგვიქრო მამულიშვილობის გაჩაღებული საღმრთო კერა! ბოროტმა სულმა დაგვიმტვრია მტკიცე ბეღელი ჩვენი სულიერი სიმდიდრისა! მოგვიკლეს ილია და მწარე მწუხარების ალში გახვეულებმა აღარ ვიცით, საით გადავვარდეთ, რა მთას ვეცეთ, რა გზით მივაგნოთ ამ ჩვენი ეულის გამპობელს და როგორ გავუსწოროთ მას ანგარიშები!

ამბობენ ქვეყანაზე მოიპოვება მეტად იშვიათი და ძვირფასი ლითონი, სახელად რადი, რომელსაც ისეთი თვისების სინათლე აქვს, რომ მისი სხივები თავისუფლად ატანენ ყოველგვარ ფარდას, კედელს და სახურავს გარეთო. ამ კეთილშობილი ლითონის თვისებისაა სწორედ ჩვენი ილიაც. ამ შავი და ბნელი კუბოდამაც ნათლად გამოსჭვივის ილიას მაღალი სული, ამ კუბოდამაც ყველას გვარწმუნებს: რომ გავცოცხლდებოდე, ჩემი სათხოვარი და სავედრებელი ღმერთთან ეს იქნებოდა:

„მწყურს მე განმინათლდეს ცით ჩემი სული,
შენგან მამცნების სიყვარულით აღმენთოს გული,
რომ მტერთათვისა, რომელთ თუნდა გულს ლახვარი მკრან
გთხოვდე: „შეუნდე, არ იციან ღმერთო, რას იქმან“

მაშ ამაოა ეს ზომა გარეშე ჩვენი შეზრზინება, უსარგებლოა ეს აწინდელი ჩვენი გულმოსულობა, ილიას დიდებული სულის შეურაცხება იქნება მისი მკვლელობისაგან ჩვენის მხრით რაიმე ანგარიშების მოთხოვნა.

უცხო ყოველი მტრობა და შურისძიებისაგან, ილია გვთხოვს: გონება მოკრებით ჩავიხედოთ ყველამ თავთავის გულში და ყურადღებით გამოვიკვლიოთ ჩვენც ხომ არ გვიდევს წილი მის მკვლელობაში? ჩვენ ხომ არ შეგვიქმნია მისი სიცოცხლის მოსპობა-დაბადების ხელშესაწყობი პირობები, ვინაითგან ცნობილია, რომ მკბენარის მომრავლება პირდაპირ შედეგია ჭუჭყისა და უფაქიზობისა?

ჩვენ რომ ილია თავის დროზე გვეცნო, ჩვენ ილიას ნამცნები მოძღვრება ურთ-ერთის სიბრალულ-სიყვარულისა, სამშობლოსათვის თავდადებისა და ქართველი ერის განვითარებისა მშობელი დედის რძესთან ერთად გვექცია ჩვენი არსე-

ბობის სისხლად და ხორცად, მაშინ არც დღევანდელი მარცხი შეგვემთხვევოდა. მაგრამ დამნაშავე ვართ ყველანი დიდიდან პატარამდე შენ წინაშე, სულო მაღალო! არც კაცი და არც ქალი, არც სწავლული და არც უმეცარი, არც დიდი და არც პატარა არ გაფასებდით ღირსეულად, არ გესარჩლებოდით თავდადებულად და სწორედ ამან გახადა შესაძლოთ შენი ძვირფასი სიცოცხლის მოსპობა ვერაგი სულისაგან.

შენთვის ისიც დიდი გასახარელი და სანუგეშო იქნება, რომ ეხლა მაინც შევიგნოთ ჩვენი მძიმე დანაშაული, ეხლა მაინც მივხედოთ შენი მაღალი მოძღვრების მნიშვნელობას, ეხლა მაინც გავიხადოთ იგი ჩვენი მოქალაქეობრივი არსებობის მტკიცე კანონად.

გლოვით შეპყრობილნო, საყვარელო თანამემამულენო! კავკასიონის ქედის მწვერვალზე მცხოვრებ ჩვენ ძმებს — სვანებს ჩვეულებად აქვთ: თუ ვისმეს მათგანს უცაბედად კაცი შემოაკვდა, ნიშნად გულითადი სინანულისა, გვერდზე იკიდებს მძიმე ლოდს. ჩამოვიკიდოთ ჩვენც დღეიდან მკერდზე ლოდი სინანულისა ამ ბრწყინვალე ცხედრის წინაშე, ჩვენი პირადი ნებით თუ უნებლიეთ დანაშაულისა და მივცეთ ჩვენს დიდებულ მიცვალებულს უტყუარი აღთქმა, რომ არ ჩამოვიხსნით ამ ტვირთს, ვიდრე ჩვენც და ჩვენი შვილებიც არ შევითვისებთ სავსებით მისგან ანდერძად დატოვებულ მაღალ მოძღვრებას.

მშვიდობით, დაუღალაო დარაჯო, უბადლო მოძღვარო, თითით საჩვენებელო, ჩვენო მაღალო ჰირისუფალო, დაუვიწყარო ილიავ! უკანასკნელათ ვეამბორებით შენს გაციებულ გვამს და გაძლევთ სიტყვას, რომ ხატად გვესვენება გულში კაცთა სიყვარულის შარავანდედით მოსილი შენი მაღალი გონების ცხადად გამომეტყველი პირის სახე. ამინ!"

მეორე დღეს, 8 სექტემბრის დილით, საილიაო პანაშვიდი და წირვა გადაიხადა მთელი საქართველოს სამღვდელოების წარმომადგენლობამ, ოთხი ეპისკოპოსის წინამძღოლობით.

ნაშუადღევს, 2 საათზე, გადახდილ იქნა მეორე პანაშვიდი, რომელსაც წინ უძღოდა არქიმანდრიტ ამბროსის (ხელაია) სიტყვა:

»ვკადნიერდები და ვბედავ მეც ამ დიდებული ცხედრის წინაშე ვსთქვა ორიოდე სიტყვა.

დღეს მთელი საქართველო დასტირის დიდებული მამულიშვილის ცხედარს. დღეს საქართველომ დაჰკარგა უდიდესი მგოსანი, საუცხოო და თავდადებული საზოგადო მოღვაწე, სიამაყე ლიტერატურისა. არა გვყავს ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე — მოჭირნახულე თავისი ერისა. ის მოიკლა ბარბაროსების ბინძურის ხელით.

მაგრამ მოკვდა კი დიდებული ილია? „იქმენ მორწმუნე ვიდრე სიკვდილამდე და მოგცე შენ გვირგვინი ცხოვრებისაი“ (გამოცხ. 2,10) გვიბრძანებს ჩვენ უფალი მოციქული იოანე ღვთის მეტყველის პირით და ამით გვისახავს იმას, თუ რანაირი უნდა ვიყოთ ჩვენ ამ ქვეყნად, რომ დავიმკვიდროთ საუკუნო გვირგვინი, — გვირგვინი უკვდავებისა. ნეტარია ის, ვინც ამ ქვეყნად პირნათლათ ასრულებს თავის მოვალეობას, სწამს და თავგანწირულად ემსახურება სიმართლეს, ამას ისახავს მოქმედებად — მოღვაწეობის საფუძვლად: „პატიოსნად არს წინაშე უფლისა სიკვდილი“ ამნაირის კაცისა (ფსალ. 115,6). ის უკვდავია მისი ნამოქმედარით, მისი ხსოვნა უკუნისამდე დარჩება მადლიერ ერში. ამისთანა კაცი სიკვდილის შემდეგაც თვისის ნამოქმედარ-ნაღვაწით მასწავლებელი და დამრიგებელია, რადგან, მოციქულის თქმით, ის სიკვდილის შემდეგაც მეტყველებს (ებრ. 11,4).

მაშასადამე, არ მომკვდარა ილიაც; ის ცოცხალია. ის მხოლოდ გარდაიცვალა სიკვდილისაგან ცხოვრებად. თუმცა დასდუმდნენ მჭევრმეტყველებით განთქმული ბაგენი, მაგრამ საქმენი მისნი მჭევრმეტყველურადვე ღაღადებენ და იღაღადებენ. ის თავისი ნაშრომ-ნაღვაწით უკვდავათ დარჩება. სანამ ქართველი ერი იარსებებს. მეტიც: ქართველი ერიც რომ გადაგვარდეს, განადგურდეს უკუღმართ დრო-გარემოებათა გამო, მაშინაც არ იქნება დაკარგული დიდებულ მგოსან-მოღვაწის ხსოვნა, ვინაითგან ამ დიდებული საქართველოს შვილის ნაწარმოები ეკუთვნის არა მარტო ქართველ ერს, არამედ მთელ კაცობრიობას, რომლის ნაწილსაც შეადგენს ქართველობა.

განსვენებული დიდებულია თვისი მრავალმხრივი მოღვაწეობით სამშობლოს საკეთილდღეოდ. მისი ღვაწლის სიდიადე არის მიზეზი, რომ ასე მწარეთ დასტირის მას მთელი საქართველო. მაგრამ, ქართველნო, არა დაუვიწყარი ილიაა

საგლოვო-სატირალი, არამედ ბედისაგან განწირული ჩვენი სამშობლო, — მისი დამკარგველი. განა არა კმაროდა, რაც უკუღმართ დრო-ვითარებამ დაგვატეხა თავზე, რომ ჩვენ თვითონ აუწერელი უბედურება არ მიგვემატებია?! მაგრამ დასაჯერებელი კია, ეს უმაგალითო ბარბაროსული მკვლელობა ჩაედინოს საქართველოს შვილს, იმ საქართველოსას, რომლის თავგანწირულად სამსახურში გაატარა განსვენებულმა მთელი ორმოც და ათი წელიწადი.

თუკი ეს ბრალი დაედო ქართველობას, მაშინ ჭეშმარიტად ჩვენი გახრწნილება, ზნეობრივათ დაცემა, ველურობა, უკუღმართობა იქნება სატირალი. ამას უნდა ღრმათ ჩავუფიქრდეთ, თუ გვინდა დავრჩეთ ქართველ ერად. — განსვენებული კი ნეტარია. მან კეთილად განვლო გზა „ქვალი“, მისი ნავალი წარუშლელია, ეკლიანი გზა გაკაფულია. ის უკანასკნელ წუთამდის ერთგულად ემსახურებოდა იმ იდეალებს, რომლებიც მან ამ ნახევარი საუკუნის წინად აირჩია ქართველი ერის საკეთილდღეოდ; ერთის ნაბიჯითაც არ გადაუხვევია, არ უღალატნია მათთვის და ამისთვის, მოციქულის თქმისაებრ, მზა არს მისთვის „გვირგვინი ცხოვრებისა“ (გამოცხ. 2,10), გვირგვინი უკვდავებისა.

დიდებულ გვამთა გარდაცვალებასაც აქვს ჩვენთვის რაიმე მნიშვნელობა, ისიც უთუოდ რამეს გვაწვდის.

მივიჩნიოთ ეს ბარბაროსთაგან დაღვრილი სისხლი ჩვენს ეროვნულ ცოდვათა განსაწმენდად, უკუღმართ გზიდან მოსაქცევათ, მთლად საქართველოს შვილთა შესაერთებლად, განსამტკიცებლად.

შევფიცოთ ამ წინამდებარე ცხედარს, რომ ვიქნებით ნამდვილი აღმასრულებელნი იმ მცნებისა, რომელიც განსვენებულმა თვისის მოღვაწეობით გვიანდერძა ჩვენ.

თუ ჩვენ გვექნება ერთობა ეროვნულ იდეალების მსახურებაში, მაშინ უეჭველია ჩვენი სამშობლო მხარე შეიძლებს კიდევ წარმოშოს ილიასებრი დიდებული მოღვაწენი და მაშინ საბოლოოდ განიხარებს განსვენებულის დიდებული უკვდავი სული. იყოს უკანასკნელი მსხვერპლი, სამშობლოს საკეთილდღეოდ და ჩვენთა ეროვნულ ცოდვათა სახსრად შეწირული ეროვნულ ტრაპეზზედ. სიდიადე ამ მსხვერპლისა თავდებია, რომ მომავალში ჩვენი უკუღმართობა, ჩვენი შე-

უგნებლობა მოსპობილ იქნება და ერთობილის ძალით შევუდგებით პირნათლად სამსახურს სამშობლო მხარის აღორძინებისას. თუ ამნაირი ღვაწლი დაგვდო ჩვენ ამ მსხვერპლის სისხლმა, თუ ჩვენ შეგვაერთა მამულისათვის თავდადებით სამსახურში, — ეს იქნება უკანასკნელი ჭეშმარიტად დიადი ღვაწლი დიდებულის ილიასი — მისი ხანგრძლივი შრომის სასურველი ნაყოფი და გვირგვინი. ჩვენის მხრითაც ეს იქნება ნამდვილი ვალის მოხდა, მისი ანდერძის აღსრულება და თან საუკეთესო პატივისცემაც განსვენებულის ხსოვნისა. ღმერთმან მოგვცეს ამის შეძლება.

საუკუნო იყოს ხსენება შენი, მამულისათვის თავდადებულო, დიდო მგოსანო, ილიავ!„

იმ დღეს მოქანდაკე ფელიქს ხოდოროვიჩმა ილიას სახე და მარჯვენა ხელის მტევანი აღბეჭდა თაბაშირით...

იმავე 8 სექტემბერს, „ისარში“, გამოქვეყნდა წერილი იაკობ გოგებაშვილისა — „შურისძიება ისტორიისა“.

„შეუდარებელი, უებრო შურისძიება იცის ისტორიამ. საუკეთესო ისტორიკოსები იმ აზრზე დგანან, რომ ქრისტიანობა პატარა, ადგილობრივ სარწმუნოებად დარჩებოდა, თუ რომ იესო ნაძირალა ებრაელებს ჯვარს არ ეცვათო. ამ უბედურებს ეგონათ, რაკი იესოს საზარელ სიკვდილს მივცემთ, მასაც საშინლად დავამცირებთ და მის სწავლასაც ამოვფხვრით და გავაქრობთო. ნამდვილად კი სწორედ ამ საზარელმა სიკვდილმა, ამ ჯვარცმამ, გააღმერთა იესო, გახადა იგი საგნად უსაზღვრო თაყვანისცემისა, უმხურვალეს სიყვარულისა, მიანიჭა იმის სწავლას უძლეველი ძალა, მოჰფინა იგი კიდითი-კიდედ და ქრისტიანობა გარდააქცია მსოფლიო სარწმუნოებად; ჯვარცმულის ჯალათი კი გააკრა კაცობრიობის თვალში სამარცხვინო ბოძზე უკუნითი უკუნისამდე.

სწორედ ესევე აცხადებდა (და უკვე ცხადდება) ჩვენს უნიჭიერესს პოეტსა და დიდ მამულიშვილზე, რომელსაც ეხლა გლოვობს უმაგალითო მგლოვიარობით მთელი ქართველობა, გარდა ბნელეთის ნაბიჭვრებისა, უსულგულო და უტვინო ორფეხა მხეცები ვერაგულად ჰკლავდნენ საშინელის სიკვდილით საუკეთესო შვილს საქართველოსას, რასაკვირვე-

ლია, იმ განზრახვით და იმედით, რომ დაემცირებინათ მისი დიდებული სახელი, მისი დიდი გავლენა ქართველობაზე. მაგრამ თავისისავე უგუნურის და წყეულის თვალებით იხილავენ სრულიად წინააღმდეგს ნაყოფს თავიანთ საზიზღარი მკვლელობისას. ამ ვერაგულის მოკვლის შემდეგ ილიას სახელი მოიცვის დიდებულ მოწამის შარავანდედით, ერთი ასად იმატებს ის ღრმა პატივისცემა, ის თაყვანება, რომლითაც ყოველი ჭკუათა მყოფელი ქართველი გამსჭვალული იყო მისადმი; ერთი ასად გაიზრდება ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც იმის ქმნილებებს ჰქონდა და ქართველობა ამ მის ქმნილებებს დაეწაფება სრულის გაუმაძღრობით. რაც ილიას დიდებას აკლდა სიცოცხლის ჟამსა, მის მკვლელობის შემდეგ უკლებლად შეივსება და იგი იწყებს ბრწყინვას, როგორც უდიდესი მნათობი საქართველოსი. მოკლე ხნის განმავლობაში მთელს საქართველოში აღარ დარჩება არც ერთი ოჯახი, რომელსაც არ აშშვენებდეს ილიას სურათი, როგორც უძვირფასესის და სათაყვანო ხატისა.

დიდება ილიასი მით უფრო იმატებს, რაც უფრო ზედმიწევნით გაიცნობს ქართველობა ნამდვილს ილიას, შეიგნებს იმის დიდებულს და წმინდა ქართულს ენას, მისს მაღალს აზრებს, პროგრესიულს იდეალებს, მის დემოკრატიულს მიმართულებას, წმინდა ეთიკას სრულის ადმიანობისას, ამისათვის კი ყველაზე მეტად საჭიროა მოფენა კიდითკიდედ მისი ქმნილებებისა, გავრცელება მისის თხზულებებისა მთელს ჩვენს ქვეყანაში.

ვინ უნდა იკისროს ეს დიდი საქმე? სათავად-აზნაურო ბანკმა და საქართველოს თავად-აზნაურობამ. მათ ის პენსია, რომელსაც ილია იღებდა, უნდა წლითიწლობით გადასდონ საგამომცემლო თანხად, იმის თხზულებების დასაბეჭდად, შეუკვეთონ ევროპის საუკეთესო მხატვრებს მათი დასურათება, ყოველი ქმნილება მისი, ჩინებულად დასურათებული, გამოსცენ ცალკე წიგნად, სულ მცირე ფასი დაადონ და მთელს საქართველოში მოჰფინონ.

ეს მოფენა ისეთს ნაყოფს გამოიღებს, რომელსაც ეხლა ჩვენ ვერც კი წარმოვიდგენთ. ილია იყო არა მარტო დიდი ნიჭის პატრონი, არამედ დიდად განვითარებული ინტელიგენტი, შემკული იშვიათის მხატვრობითი ნიჭით და ნამდვილი

ბრძენი. ამიტომ იმის ქმნილებათა მოფენა დიდ სარგებლობას მოუტანს ქართულს აზროვნებას და სიტყვიერებას.

როცა ქართველი გლეხობა გაიცნობს ილიას ნაწერებს, გადაიკითხავს იმის „კაცია-ადამიანს“, „გლახის ნაამბობს“, „კაკოს“, თავგადასავალს, იმის „მუშას“ და სხვა დემოკრატიულს ქმნილებას, იგი ცხადად დაინახავს, თუ რა დიდი მოციქული იყო ილია გლეხთა განთავისუფლებისა და აღორძინებისა. მაშინ იგლოვს იგი იმის სიკვდილს ბევრად უფრო მეტის მწუხარებით და ცრემლით, ვიდრე ეხლა ჰგლოვობენ დაწინაურებულნი ნაწილნი ქართველი ერისა.

ეს იქნება საუკეთესო შურისძიება, ღირსი ჩვენის დიდებულის მიცვალებულისა...

ამასთან ჩვენ მხნედ უნდა შევუდგეთ დიაგნოზს იმ საზოგადოებრივის სენისას, რომელმაც ისე მხეცურად იმსხვერპლა მგოსანი, ჩვენ უსათუოდ უნდა აღმოვაჩინოთ მხეცი მკვლელები და მათი ხელმძღვანელნი, თუ ჰყავდათ. არაფერს არ უნდა შევუშინდეთ, არაფერი არ უნდა დავმალოთ, რადგან დამალვით სენი კი არა რჩება, ძლიერდება, ხრწნის საზოგადოებრივს ორგანიზმს და სიკვდილს უმზადებს ერს“.

და კიდევ, იქვე, „ისრის“ იგივე ნომერში წერილი. ფსევდონიმით — „ს ი ტ ყ ვ ა“ და სათაურით — „მ კ ვ ლ ე ლ ს“:

„დღეს ასაფლავებენ იმას, ვისაც შეახე უწმინდური ხელი და მოჰკალი ვერაგულად. მოუსპე სიცოცხლე, ვინც არასოდეს არ მოკვდება; დაადუმე ენა, რომელიც იმეტყველებს თავისი ნაწერებით ქვეყნის დასასრულამდის; გაჰგმირე მრავალ და ჩააჩუმე გული, რომელსაც აუძგერებია ასი ათასის გული გაცისკროვნებულის აზრით და მაღალის ადმიანურის მისწრაფებით.

ასაფლავებენ მამულიშვილს, რომლის სიკვდილმა დააობლა ერი. მისი გვამის გარშემო შემოკრებილა მთელი საქართველო; მისი კუბო მორთულია ცრემლებისაგან დანამებულის ყვავილებით. გზა იმის გასვენებისა ბრწყინავს დიდებითა და სიყვარულით.

უკანასკნელად ეთხოვება ქვეყანა დიდებულს ადამიანს, რომლის მსგავსი მეორე აღარა ჰყავს. ცივს მიწას უნდა მიაბა-

როს თავისი სიამაყე, თავისი ნიჭის სიძლიერე და შემოქმედების ძალა.

დღეს ასაფლავებენ ილია ჭავჭავაძეს — შენს მსხვერპლს... დღეს შენ უნდა წარსდგე სამსაჯულოს წინაშე: უნდა ამხილო შენი თავი, უნდა მოინანიო ცოდვა, აღიარო დანაშაული!

უკანასკნელად ხედავ შენგან განწირულს მამულიშვილს; მალე იგი განისვენებს საუკუნო სასუფეველში, გარდავა იმ ქვეყნად. წარსდეგ მის წინაშე. იგი სდუმს, მის სახეს არ აღელვებს არავითარი სიძულვილი, მკვდარია იმის გულში შურისძიება; აღარა აშფოთებს რა, წყნარია და მშვიდი, იგი გიწვევს შესარიგებლად.

რისთვის გაუპე გული და გადმოუნთხიე ტვინი?

გაწყენია პირადად რამე? თუ არ მოგწონდა ზოგი თვისება მისი საზოგადოებრივ ცხოვრებისა?.. ყველაფერი ეს დღეს აღარ არსებობს: გაჰქრა, წაშალა უკვდავებამ. ეს წუთიერი, წარმავალი იყო; ძლიერი ნიჭი და გული დარჩა, უკვდავი მგოსანი, ადამიანი არ მომკვდარა. სხეული გაშრა, გაშეშდა, მაგრამ სული კიდევ უფრო აღფრთოვანებული, აღტაცებული, გადიდებული შფოთავს ღელავს სიცოცხლითა და ბრძოლით აღსავსე!

აი, მისი მირონცხებულის არსების გარშემო შემოკრებულან გაბრიელი, მისი მღვდელი, ოთარაანთ ქვირივი, გიორგი, კაკო, მუშა, გუთნის დედა, დედა და შვილი. კიდეც სტირიან და კიდეც იცინიან. სტირიან, რომ პოეტი მოჰკლეს; იცინიან, რადგან სიკვდილიდან იწყება მის უფრო დიდებული ცხოვრება.

აი მყინვარის ძირში გამოქვაბული, საიდანაც გამოიყურება ქვეყნის უარმყოფელი განდეგილი და მას ქვევიდან მიიწვევს ალერსით მომხიბლავი სიყვარული და სიცოცხლე.

აი, კუბოს გარს დახვევიან უკვდავნი სულნი და უგალობენ ციურს საგალობელს. თვით ჰაერს შეერთებია საგალობელი და ნიავთან ერთად ეალერსება ყურს.

მესმის, მესმის სანატრელი
ხალხთ ბორკილის ხმა მტვრევისა!..

ამ ხმას უერთდება მთელი ერის მწარე გლოვა, ტირილი და მოთქმა მდუღარე ცრემლებით. ყველაფერს თავს დასტ-

რიალებს იდუმალი სიჩუმე და უკვდავებით აღბეჭდილი გვამი დიდებული ადამიანისა...

წარსდექი მის წინაშე!

იგი მიგიწვევს შესარიგებლად.

ამხილე შენი თავი, აღიარე შენი მიუტევებელი ცოდვა, განაცხადე, რომ შენ წაართვი ქვეყანას საუკეთესო შვილი.

ნუ წამოდგები საჯაროდ, ნუ ეტყვი ხალხს შენს აღსარებას. არავის სურს შენი დასჯა, არავის სწადია შურისძიება, შენი შეპყრობა.

არა! მხოლოდ შენის საკუთარ სინდისის წინაშე წარსდეგი, მხოლოდ საკუთარ თავს უთხარ, რომ დამნაშავე ხარ, კიდი დამნაშავე. მხოლოდ შენს სინდისს და შენს მსჯავრს გაუმხილე ცოდვა, მოითხოვე პატიება, —

და პატიებული იქნები.

დაიჩოქე დიდებულ ადამიანის გვამის წინაშე განსპეტაკებული, მონანიებული; აიღე ხელში დაფნის შტო და შეამკე კუბო. შენი ერთი ცრემლი დაეცეს იმის გვამს. ეს იქნება უსაყვარლესი გვირგვინი განსვენებულისათვის, ეს იქნება უძვირფასესი ცრემლი. სინანულის ცრემლი და პატიების შტო ყველაზე უფრო გაახარებს გარდაცვალებულს, ყველაზე უფრო დიდი პატივისცემა იქნება მისთვის.

ეს ცრემლი, ეს სინანული შეგაერთებს მთელის ხალხის საერო მწუხარებასთან.

და ისიც გაპატიებს შეცოდებას.

წარსდეგი მოკლულის წინაშე და შენ თვითონ განსაჯე შენი თავი. მუხლი მოიდრიკე, უთხარი შენს თავს, რომ დამნაშავე ხარ და უთხარი ისიც, რომ კვლავ ადამიანი ხარ!“...

...და აჰა, დადგა 9 სექტემბერიც, კვირა დღე — ილიას უკანასკნელი ყოფნის დღე ქართულ მიწასა ზედა, ქართულსა ჰაერეთსა შინა.

დილის 7 საათიდანვე სიონი და მისი მიმოსახედნი უკვე ხალხით იყო გადაჭედილი. წირვა და პანაშვიდი 8 საათზე დაიწყო და გაგრძელდა სამ საათ ნახევარი.

და გამოასვენეს ილია სიონიდან — ნიკო ცხვედაძემ, არტურ ლაისტმა, ანტონ ფურცელაძემ, მეფისნაცვალმა ვარანცოვ-დაშკოვმა. სამგლოვიარო ეტლზე დაასვენეს და პროცესიაც

დაიძრა, — გოდებით, გალობით, გვირგვინებით, დროშებით, ჯვრებით, ხატებით.

სასახლის მოედანზე შედგა და შეტბორდა ერი.

სასტუმრო „კავკაზის“ აივანზე ავადმყოფი აკაკი გამოიყვანეს ნიკო ცხვედაძემ და ვალერიან გუნიამ.

და უთხრა აკაკიმ სიტყვა ილიას — სიტყვა, ერისთვის მარად სახსოვარი, სწორუპოვარი მშვენება ქართული სიტყვიერებისა, ჭეშმარიტი „სიტყვა ღმრთისათანა“:

„ახალ მოძრაობის წინამორბედი, მაგრამ საწაღმართოსი და არა საუკუღმართოსი, დღეს უკუღმართად მოკლული, ძევს კუბოში ჩვენ წინ და, თითქოს, გვეკითხება: „რა დაგიშავეთ, რომ ეს დღე დამაყენეთო“? გვეკითხება და ჩვენ, ქართველებს, თავის გასამართლებელი საპასუხოდ ვერა მოგვიხერხებია რა!.. და მეც, როგორც ქართველს, მწუხარებას გარდა, სირცხვილიც ენას მიბამს, ვეღარას ვამბობ და გადავდივარ საპირადოზე: მშვიდობით, ძმაო! — გარემოებამ გადაგვაბა ჩვენ ერთმანეთზე. ნახევარ საუკუნის განმავლობაში ერთს უღელს ვეწეოდით; ერთი გზით დავდიოდით. ახლა ჩემი მარტოდ დარჩენა, დაობლება საძნელოა, მაგრამ ეჰ, არ ღირს პირადობაზე რაიმეს თქმა და ისიც ჩვენში დღეს!..

შენ კი შენი ქვეყნიური ვალი შეასრულე და განისვენე სამარადისოდ, ამიერიდან ეკუთვნი ისტორიას. შენი საქმეები და ღვაწლი თავის-თავად იღაღადებენ. იმათ ჩვეულებრივი მითქმა-მოთქმა ვეღარც-არას დააკლებს და ვეღარც რაიმეს მიუმატებს! თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, მაშინ იმასთან ერთად შენც უკვდავი იქნები და თუ სასიკვდილოა, როგორც სურთ და ჰგონიათ, მაშინ ნეტავი შენ, რომ მაგ შენი სიკვდილით წინაუსწარ მის სიკვდილს და თვალით ვეღარ ნახავ! როგორც სიცოცხლე, ისე სიკვდილიც შენი გახდა მიზეზად ხალხის ამოძრავებისა და აჰა საქართველოს ყოველ კუთხიდან თავ-მოყრილნი გეხვევიან გარს!.. და ვინ იცის, ეგება სიკვდილით მაინც განამტკიცო ის, რასაც შენი სიცოცხლე შესწირე: ერთობას, თანასწორობას, ძმობას და სიყვარულს! მშვიდობით, ძმაო! საუკუნოდ იყოს ხსენება შენი!..“

და იმ დღესვე მგლოვიარე ქართულ სამყაროს მოეფინება ილიას სიკვდილით გულშეძრული აკაკის ლექსი:

„ნუ მიწამლავთ მოხუცს გრძნობას
და ნუ ამბობთ, რაც არ მჯერა!
ნუთუ მართლა დღეს გადაწყდა
საქართველოს ბედისწერა?!“

და ისინი იმ დღეს სამუდამოდ დაშორდნენ ერთმანეთს, ერთ უღელში შებმული ერისუფალნი: ილია „ისტორიის კუთვნილების“ გზით წავიდა, ხოლო აკაკი ობლად და ცალუღლად შერჩა თავის „ფურთხის ღირს საქართველოს“...

აჰა, უკვე ასულა ილია მთაწმინდაზე.

უკანასკნელი სიტყვები...

ლაპარაკობს ვაჟა-ფშაველა:

„ბნელმა ძალამ აისრულა თავისი საწადელი. ეს ძალა მუდამ ეძებს მსხვერპლს თავის საკვებავად და სასახელოდ; მისი საკვებია უსამართლობისაგან დაჩაგრული სიმართლე, პირადი ინტერესი საზოგადო სარგებლობის ნაცვლად და დაბნელება წყვდიადით სინათლისა. ბნელი ძალები არსებობდნენ როგორც დღეს, ისე წინადაც და მომავალშიც არ მოისპობა მათი არსებობა, ვიდრე ნათელია, ვიდრე სიმართლე ებრძვის უსამართლობას, საზოგადოებრივი ინტერესი — კერძოს. იქნება თქვენგანმა ბევრმა არ იცოდეს, რომ ილიას მოკვლას უპირობდენ ამ 40-50 წლის წინათ, მხოლოდ იმიტომ, რომ იგი შეებრძოლა ცხოვრების დახავსებულს ფორმას — ბატონყმობას. მაშინ არ იყო სწავლა-განათლება ისე გავრცელებული, როგორც დღეს არის, არც მეასედად; სად იყო მაშინ ამდენი ქართული წიგნი, ჟურნალ-გაზეთი, მაგრამ ბუნებრივი ჭკუა და ნამუსი იმათ მეტი ჰქონია. მეტისმეტად ნაწყენმა ბატონებმა თავხედურის საქციელით ახალგაზრდა კაცისა, „კაცია-ადამიანის?“ ავტორისა, დაზოგეს მისი სიცოცხლე ამ მოსაზრებით — იქნება საქართველოსთვის სასარგებლო კაცი დადგესო, იქნება ილიას რჩევა და მოძღვრება სჯობდეს, როგორც ნასწავლ კაცისა, და არც მოსტყუვდნენ. ღმერთმა დაიფაროს მაშინ მოეყვანათ თავიანთი განაჩენი სისრულეში, წარმოიდგინეთ რამდენს რასმე დაჰკარგავდა საქართველო! მთელი 50 წელი განსვენებულმა საქართველოს ბედი კალთით ატარა, იყო მისი დარაჯი; როგორც დედა ერთადერთს ჩვილს შვილსა, ისე დასძრწოდა და დაჰკანკალებდა, ან არ შემიცივდეს, არ

მომიშვდესო. მოსეულს მტერს, ვინც საქართველოს ისრებს ესროდა, იგი პირველი აგებებდა თავის მკერდს, შემოქნეულს ხმალს პირველი უფარებდა ფარსა.

ეს მწერლობაში. მწერლობის გარეშე ხომ უთვალავია მისი ღვაწლი: ყველაფრის ჩამოთვლა მეტია, ვინაიდან ეს ღვაწლი ყველა ქართველმა კარგად უწყის. და დღეს კი, როცა უფრო ვითომდა გავნათლდით, დავკარგეთ ნამუსი, ადამიანობა, არ დავინდეთ მისი ჭაღარა! განსვენებულს კი დიდი იმედი ჰქონდა ახალგაზრდობისა და ამიტომ ნანასავით უმღეროდა მის მიერ აღზრდილ საქართველოს, წყლულ გულს ანუგეშებდა: შვილები წამოგვესწრნენ, ვაჟკაცნი, გულმტკიცენი; მათი საგონებელი შენ ხარ და შენ იქნებიო". მაგრამ ეს სრულიად არ გამართლდა, იმათ შორის მახინჯებიც გამოერივნენ. გამოერივნენ ისეთნი, რომელნიც თვით საქართველოს ჰკლავენ: უარყოფენ ენასა, ეროვნებასა და თვით ტერიტორიასაც კი, რა არის, მაშ, თუ არ კვლა საქართველოსი?

ვიმედოვნებთ მხოლოდ იმითი, გვრჩებიან სხვა ახალგაზრდებიც, რომელთაც არ უღალატეს ილიას ანდერძს; საქართველოს ბედ-იღბალს თავს ევლებიან და „საგონებლად" გაჰხდომიათ თავიანთი დაჩაგრული, დაბეჩავებული, შეურაცხყოფილი ეროვნება.

დიადო მგოსანო! ყველანი ერთად ვსდებთ ფიცს წინაშე შენის დიდებულის ნეშტისა, რომ შენ მიერ აფრიალებული დროშა არ დავსწიოთ დაბლა, არამედ იგი გვეჭიროს მაღლა, თვალსაჩინოდ და ვემსახუროთ შენს მიერ ნაანდერძევ იდეალებს — ძმობის, ერთობის, თავისუფლების და სიყვარულისას მტკიცედ, შეუდრეკელად. ვუწყი, რომ შენი აჩრდილი არ დაივიწყებს საქართველოს და სხვა გმირებთან ერთად დაჰხედავს ათასში ერთხელ მაინც — გაიგოს ჩვენი ყოფაცხოვრება — გავიზარდენით, ავმაღლდით, თუ დავეცით უარესად და დავკნინდით, და შეგვავედრებს ღმერთს, რათა მოგვცეს მან ძალა გაუკეთესებისა, ერთობისა, სიყვარულისა, — ჭკუა-გონება ნათელი, რათა არ გაჰქრეს შენი საყვარელი, სათაყვანებელი ერი, ლამაზი გარეგნობით, გალამაზდეს ყოფაცხოვრების სათანადო წყობილებით.

მშვიდობით, საუკუნოდ იყოს სახსენებელი შენი, დიდებულო ადამიანო!"

შემდეგ — ქართველ ქალთა სახელით სიტყვას ამბობს ნინო ნაკაშიძე:

„შენი სამარის წინაშე თავ-მოყრილი ქართველი ქალები იმისთვის დაგტირიან, რომ ადამიანური უფლების ერთგული ქომაგი იყავი. ამან მისცა ფასი და მნიშვნელობა შენს ნაწერებს.

ქალი — ადამიანია, ხოლო დაჩაგრულ ადამიანის უფლების დაცვა ქალის უფლების დაცვაა. უღრმესი კაცობრიული გრძნობა იმით არის შესანიშნავი, რომ იგი მტკიცე კავშირს ჰქმნის კაცთა შორის სქესების განურჩევლად. ის მწერალი და მოღვაწე, რომლის გული თავის მოძმის თავის მოძმის მიმართ თანაგრძნობით სძგერს, როგორც მამაკაცის თავისუფლებას ემსახურება. შენი საუკეთესო ღვაწლი საზოგადო კაცობრიულ გრძნობათა გაღვიძება იყო და ამ გრძნობამ შეგვაერთა დღეს შენი სამარის წინაშე განურჩევლად მამაკაცნი და დედაკაცნი.

რა ფიქრებს და გრძნობას გვიღვიძებს ჩვენ წინ უსულოდ მდებარე სასიქადულო ადამიანის გვამი?.. უწყალო ტყვიით განგმირეს ის, ვისი საუკეთესო ნაწარმოები ჩაგრულთა მიმართ წრფელის თანაგრძნობითაა სულჩადგმული. დიდი და ღრმა მნიშვნელობითაა აღსავსე ცხოვრების ეს სამინელი და ამავე დროს საგულისხმიერო მოვლენა. ვინ მოჰკლა ილია ჭავჭავაძე? ვისი უწყალო ხელი შეეხო მოხუც, სრულიად ჭაღარა პატიოსან დედაკაცს, ილიას ერთგულ მეუღლეს? პასუხი ერთია: ცხოვრების უწყალო პირობისაგან დამახინჯებულ, საცოდავ, სულით ღატაკ ადამიანთა მსხვერპლი გახდა იგი. შურის ძიებას თუ მკაცრ პასუხის გებას მოითხოვს ჩვენგან ილია ჭავჭავაძის ძვირფასი ხსოვნა იმათ მიმართ, რომელთაც ის ასე უწყალოდ გამოასალმეს ამ წუთისოფელს. იმათ არ იცოდნენ რას სჩადიოდნენ და ამ საზარელ უვიცობაში ჩვენ ყველანი დამნაშავენი ვართ. ვისი ბრალია, რომ ყველა საუკეთესო მწერლების ნაწარმოები, ტანჯულ ადამიანის მიმართ წრფელის სიყვარულით სულ-ჩადგმული შემოქმედება, მხოლოდ შედარებით უფრო შეძლებულთა წრეში ტრიალებს, რომ ხალხი, ის ხალხი, რომელიც თითონ მგოსნის სიტყვით „ლაბას“ ბედს ადარებს თავის ბედს, რომელიც ყველას თავის

ოფლით გვარჩენს, კეთილ წიგნს, ღრმა აზრიან მწერლობას მოკლებულია? განათლება დღეს შეძლებულთა ჯილდოა და ეს საზარელი მკვლელობა, ეს ღია ბნელი სამარე მკაცრისა და უწყალო ენით მეტყველებს, რომ ამ სასიქადულო ადამიანის მკვლელობაში ყველას საერთოდ ბრალი გვიდევს. იმ საზოგადოებაში, იმ ხალხში, სადაც კაცობრიობის უძვირფასესი განძი, საუკეთესო მოღვაწეთა ნაფიქრ-ნაგრძნობი უმეტეს შემთხვევაში მხოლოდ ვიწრო წრის მემკვიდრეობაა, განათლებულნი თითქოს არისტოკრატიას წარმოადგენენ, რომელთაც ხვდათ ის, რაც საერთოდ მთელ კაცობრიობას უანდერძეს მოწინავე მწერლებმა. იმათ ხვდათ ის ნიჭი, ის ქრისტიანული „ტალანტი“, რომელიც ცხოვრების ქრისტიანულ კანონის ძალით, თუ არ აწარმოვა, თუ არ გაამრავლა ხალხში ადამიანმა, ბოლოს ამ ნიჭის, „ტალანტის“ მქონეს და სულით ზარმაცს დაატყდება თავს, და ჩვენც, დღეს ამ ძვირფასი ნიჭის მქონე სულით ზარმაცი მემკვიდრენი დიდებულ მოაზრეთა, ამ დიდებულ უსულო გვამის წინ აკი განვიცდით „კბილთა ღრჭენას და ტირილ-ვაებას“. თუ ამ საშინელ საქმის ჩამდენი მოძმეა, ჩვენ მოვიმკით იმას, რაც დაგვითესნია.

განა საფიქრებელია, რომ იმ ადამიანმა, ვისი ხელიც არ შედრკა და სასიკვდილო ტყვია აძგერა ილიას გულს, იმ გულს, რომელმაც სიყვარულით ამოაკვნესა „გუთნის დედა“, „სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდან“, „კაცია-ადამიანი“, „ლოცვა“, „ქართვლის დედას“, „აჩრდილი“ და სხვანი, იცოდა ერთერთი მაინც ამ ნაწარმოებთაგანი? და ახლა კი, როცა დავკარგეთ საუნჯე, ვტირით; მაგრამ ილიას ღია სამარის წინაშე უნდა ვიგლოვოთ არა ის ადამიანი, რომელიც მუდამ იცოცხლებს ქართველ ერის გულში, არამედ ის საბრალონი, რომელნიც დღეს ირგვლივ ზიზღს და რისხვას იწვევენ. ვიგლოვოთ ის უბედური დედა, რომელსაც შავმა ბედმა ასეთი შვილის აღზრდა არგუნა, და იმათთან ერთად ჩვენი თავიც.

დეე ამ საზარელმა ტრაგედიამ, ამ საშინელებამ ღრმად ააძგეროს ჩვენი გული და თუმცა დაგვიანებულია, მაგრამ სამუდამოდ, ღრმა საგულისხმიერო სურათად გვედგას თვალ წინ და მუდამ ჟამს გვახსოვდეს შენი საუკეთესო სურვილ-მისწრაფება, რომ ადამიანურ ცხოვრებას ამ წუთისოფელში

მხოლოდ ადამიანურ სიყვარულსა და მოვალეობის აღსრულება შეჰქმნის.

გეთხოვებით, ძვირფასო მასწავლებელო, შენისავე სიტყვებით, რომელიც ყველა ქალმა-დედამ მცნებად უნდა გაიხადოს:

მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი...
ჩვენ უნდა ვსდიოთ ახლა სხვა ვარსკვლავს:
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი,
ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს...
აქ არის, დედავ, შენი მაღალი
დანიშნულება და საღმრთო ვალი!
აღზარდე შვილი, მიეც ძალა სულს,
საზრდოდ ხმარობდე ქრისტესა მცნებას,
შთააგონებდე კაცთა სიყვარულს,
ძმობას, ერთობას, თავისუფლებას.“

სიტყვას ამბობს ყვირილის საზოგადოების წარმომადგენელი თ ე ო ფ ი ლ ე ხ უ ს კ ი ვ ა ძ ე:

„ვაი რა კარგი საჩინო, რა ავათ მიგიჩნიესო,
ბოროტისაგან კეთილი შურით ვერ გაარჩიესო“,

ტანჯულ-წამებულო ჩვენო მოღვაწევ!

მწუხარებით ვასრულებ ყვირილის საზოგადოების მონდობილობას... გულდამწვარი გადგივარ თავზე და მღელვარებით მსურს გადმოგცე ის სულიერი აღშფოთება, რომელიც შენმა მოწამებრივმა საშინელმა სიკვდილმა გამოიწვია...

მსურს ეს გრძნობები მწუხარების ნაღველში გავლესო და შეუშრეტელ ცრემლთა ნაკადულით დავაფრქვიო შენს უკვდავ კუბოზე, მაგრამ... მაგრამ საიდგანღაც რაღაც უცნაური ხმა მოისმის, ვიღაცის ბრწყინვალე შარავანდედით მოცული აჩრდილი მრისხანეთ მიდგია წინ და გულის წყრომით მიშტერებს თვალებს!..

ეს მრისხანე ხმა, ეს ბრწყინვალე შარავანდედით მოცული აჩრდილი შენია, შენი, ჩვენო წამებულო, საზოგადო მოღვაწევ!..

ეს მრისხანე ხმაც — შენი ჩვენდამი საყვედურია!.. დიახ!..

სრულიად მართალი ხარ!.. მართალი ხარ, რომ გვისაყვედურო!...

ჩვენ მარტო ზიზღისა და დამცირების ღირსნი ვართ! ჩვენ

ვერ დავიფარეთ შენი დიდი პიროვნება... შენის სიკვდილით ჩვენი არსებობის დღენი მოვკალით, თავი შევირცხვინეთ, ეროვნული ამპარტავნება გავაქრეთ, გავაჭარწყლეთ, მაგრამ... კიდევ იმედი! კიდევ დიდებული შენი პიროვნება უნდა იქნეს თავდები იმისა, რომ ყველაფერს გვაპატიებთ და შენი უკვდავი გონების ნაწარმოები იქამდის იქნება ქართველი ერის აღმზრდელი, დამტკბობი და ძნელით მოცულ გზის გამანათებელი, სანამდის საქართველოში უკანასკნელ ქართველს პირში სული ედგმის...

მაშ, დამშვიდდი, ნუ აღშფოთდები!!

კვლავ მაინც მშვიდათ და წყნარათ განისვენე, ტანჯულ-წამებულო მოხუცო!..“

სიტყვას ამბობს ქუთაისის ქართული გიმნაზიის მოსწავლე სერგო ჟორჟოლიანი:

„ჩვენო სასიქადულო მგოსანო, ქართველთა სახელოვანო პუბლიცისტო, ქართველი ერის საამაყო პოეტო, ჩვენი ლიტერატურის ბურჯო, საყვარელო მწერალო და ძვირფასო ცხედარო! რაღა უნდა გითხრა, რაღაზე უნდა გესაუბრო, რაღა უნდა ვსთქვა მე იმის შემდეგ, როცა ამდენი ცრემლით, ამდენი ბოღმით აღსავსე, სამგლოვიარო, გამოსათხოვარი, როცა ამდენი გრძნობების შემრყევი სიტყვები წარმოითქვა ამ შენს უგრძნობელ გვამთან, უშენობით დაობლებული ერის შვილებისაგან.

შენი უღვთო, ტრაღიკული სიკვდილი იმგვარი მოვლენაა ყველა ქართველისათვის, რომ ერთნაირად სამწუხარო და მზამზარეული სიტყვა უნდა ედგას ენაზე ყველა ჩვენის ხალხის შვილს. დღევანდელ ჩვენს მდგომარეობაში მყოფთათვის, როცა სული და გული აღშფოთებული გვაქვს, როცა მხოლოთ გრძნობები უსწრებენ წინ გონებას ამ შენ ძალით, ხელოვნურათ შექმნილის სიკვდილის გამო, შეუძლებელია. ამას სულის სიმშვიდე, გონების დასვენება ესაჭიროება, რასაც დღეს ჩვენი ორგანიზმი მოკლებულია.

ან-კი რაღა უნდა გითხრათ. როგორის თვალებით შემოგხედოთ, სხივოსანო ადამიანო, შენს ახლახან მრისხანეთ გამომყურე სახეს?!

რაღა დაბრჩენია გითხრა მე, ახალგაზრდას, იმ ახალგაზრდას, რომელიც შენს ნაწარმოებებზე და შენს გონების ნაყოფზე აღვიზარდე? არაფელი; მხოლოთ ორიოდე სიტყვას გეტყვი თვით ჩემის ცხოვრებიდან: წამოვიზარდე თუ არა, გამაგებინეს, რომ ამ ჩვენთვის ადვილათ, და სასიამოვნოდ დანასწავლ ნაწარმოების შემქმნელი ცოცხალია, — მისადმი უზომო სიმპატია, უსაზღვრო სიყვარული აღმეძრა და პატარაობიდანვე სურვილი გამიჩნდა, რაც უნდა შემთხვეოდა, წავსულიყავი იქ, სადაც ეს ჩვენთვის ძვირფასი ადამიანი ფეხს ადგამდა, ესე იგი ჩვენის ქვეყნის დედა ქალაქში, მტრებისაგან ათასხელ აოხრებულ თფილისს. მსურდა იმ ადამიანის ხილვა, რომელსაც თავის „კაკო ყაჩაღში“, „გლახის ნაამბობში“ და „კაცია-ადამიანში“ და სხვა მრავალ ნაწარმოებებში მოთხრობილ ამბებით ჩემზე დაუვიწყარი შთაბეჭდილება მოეხდინა. ერთის მხრით მინდოდა იმ ქალაქის ნახვაც, რომელშიც ყოველი ჩვენი ისტორიული დიდება თავს იყრიდა, სადაც ერთ დროს აღამახმადხანი, თავის გამანადგურებელ ვერაგობით თარეშობდა, სადაც ყოველი ადგილი ჩვენის წინაპრების სისხლით იყო მორწყული, სადაც ჩვენი ცხოვრება ჰყვაოდა. მაგრამ მეორეს მხრით ჩემი წყურვილი, ჩემი უმთავრესი მიზანი ის იყო, რომ ჩემის საკუთარის თვალებით დამენახა ის პოეტი, მასწავლებელი, ის სხივებით ბრწყინვალე და ჩირაღდანივით მოელვარე ადამიანის სახე, რომელიც თავის საქმეებით მიზიდავდა მე. მსურდა, ამგვარი კაცის ხელს თუ არა, ტანისამოსს მაინც მივკარებოდი და სიამოვნება მეგრძნო, მაგრამ სხვა და სხვა პირობებმა ხელი არ შემიწყვეს და ეს ჩემი მიზანი დამრჩა დღევანდლამდის განუხორციელებელი: ვერც თფილისი ვნახე და ვერც შენ, — ძვირფასო მგოსანო!

მე მსურდა, პოეტო, შენი მოელვარე, შენი მხოლოთ სურათით დანახული მომღიმარე სახე ცხადათ, აშკარათ მენახა. მე მწადდა შენი მაღალი, მირონცხებული შუბლი დაუჭმუნავათ მეხილა, მე მინდოდა შენი გაბრწყინვებულის, ჩვენთვის არა ერთხელ ატირებულის, გონიერი თვალების დანახვა; ჩემი სურვილი იყო იმ თავის ძარღვების ფეთქას შევსწრებოდი, რომელნიც ჩვენთვის, ჩვენდა საკეთილდღეოთ, აზროვნებდა, ჩემს მიზანს შეადგენდა იმ სულის ამოთქმა-ჩათქმის მოწმეთ ვყოფილიყავ, რომელზედაც თითონ შენ ამბობ, დიდბუ-

ნებოვანო პკოსანო: რომ „ერის წყლული მაჩნდეს წყლულათ, მეწოდეს მის ტანჯვით სულიო“, მე ვესწრაფოდი იმ გულის ფეთქა-ძგერას შევსწრებოდი, იმ მტკიცე გულის ცემას დავყურადღებოდი, რომელზედაც თვითონვე შენ ამბობ: „მის (ერის) ბედით და უბედობით დამედაგოს მტკიცე გულიო“, მე მსურდა იმ ადამიანის ორგანიზმის სავსებით დანახვა, რომლის პატრონი „ერის მოძმედ იყო ჰმუნვასა და სიხარულში“.

მაგრამ რა, რა სურათს შევესწარი მე აქ, ამ ქალაქში პირველათ ჩამოსული ყმაწვილი: სამგლოვიაროთ შემოსილი მთელი ქართველი ხალხი, სუნთქვა გავარდნია დიდ ქალაქს, დიდი, პატარა აშფოთებულ-შეწუხებულია და სასოწარკვეთილებას მისცემია; ნეტავ რატომ? ყველა ეს იმიტომ მოხდა, ღირსეულო ქვეყნის შვილო, რომ შენ ისე ვერ დამხვდი, როგორადაც მე მოველოდი. მე მოველოდი შენის ბრწყინვალე სახის დანახვას, — შენ კი უკმაყოფილოთ, მრისხანეთ გამოიყურები; მე ვფიქრობდი იმ ბაგეთ ვიხელდი, რომელიც ჩვენთვის არა ერთხელ ამოძრავებულა, მე კი რას ვხედავ: ჩაშავებულა ეგ ტუჩები და ერთი მეორეს მიგკვრია, შიგნით დაგდუმებია შენი მოჭიკჭიკე ენა, უმოქმედოთ, გაუნძრევლათ დაგიკრეფია ის მადლიანი ხელები, რომელთაც უმუშევრობა, გაუნძრევლობა არ შეშვენის და რომელიც უწინ ჩვენთვის არა ერთხელ დაღალულა; მე მოველოდი შენ გულის, სათნოიან გულის ცემას, მაგრამ რა, — გამწყდარა, იმ ტკბილ ხმიან ჩანგის სიმები, რომელიც მელოდიურის ხმებით ჩვენთვის ჟღერდა. მე მეგონა შენს სათნოიან სულის მოძრაობას შევესწრებოდი, რომელშიც მოვტყუვდი — შენი, ჩვენს ხელში ისეც დატანჯული, არა ერთხელ შეწუხებული სული, სადღაც წასულა. — რაღაც ძალას ერთბაშად გაუჩერებია ამ დაუღალავ არსების მექანიზმი; გაყვითლებულა, ჩაშავებულა ის მიმზიდველი თვალები, რომელნიც მტერს გულსაკლავათ, ფართოთ გაშლილი შეყურებდა. ვერ გიხილე, პოეტო, ვერა, ისე, როგორც მე მსურდა. უსინდისოს უნამუსო ხელებმა მოგვხადეს პატიოსნების ქუდი, მოგვჭრეს თავი ისტორიისა და კაცობრიობის წინაშე; შენ შენსავე სიცოცხლეში აიგე ქართველთა გულში შენის საქმეების იმგვარი ძეგლი, რომელიც ნაპოლეონის მატერიალურ კოშკისა, საბერძნეთის პირამიდებისა და შენს სატრფიალო მყინვარზე უფრო მაღალია. რა მოკლავს

ცხოველ შენს აზრს, პოეტო: როცა შენ მოკვდი, მხოლოდ ახლა დაინტერესდა შენის ქმნილებით ჩვენი საზოგადოება, ჩვენი ხალხის ფართო მასსა. ჩვენ გვმართებს ჩვენისავე მდგომარეობისა და, ერთის ქართველის დეპეშის არ იყვეს, „ჩვენისავე სირცხვილის ტირილი“, თორემ ილია არ მომკვდარა! მოგმართავთ ქართველნო დედებო, უნდა თქვენც დამწუხრდეთ, ვინაიდან აღარ არის ის მასწავლებელი, რომელიც ძმობის, ერთობის, თავისუფლების ჩანერგვას გიქადაგებდათ თქვენის შვილების გულში! ჩვენთანვე იტირეთ, თქვენც, პაწია აკვნის ბავშვებო, რომელთათვის ილიამ თქვენს დედებს ტკბილი „ნანა“ ასწავლა! ჩვენთანვე იტიროს ყველა გლახაკმა, დავრდომილმა, ყველა გლეხმა, რომელთა ყოფაცხოვრების განკარგულებისთვის იხწოდა ილია! ჩვენთან იგლოვოს ყველა პატიოსანმა ჩვენი ქვეყნის შვილმა! დეე, იგლოვოს ქართველმა ერმა, რომ ამიერიდან ილიას ბიოგრაფიას შავი ჯვარი უნდა დაესვას და უნდა ითქვას: „ილია დაიბადა და მოკლეს ამა და ამ წელსა“-ო. შეიბრალეთ ის ბნელეთის ხალხი, რომელთაც იუდის როლი იკისრეს და რომელნიც ადვილი შესაძლოა აქა ხართ სადმე, სინდისიც არ გქენჯნით, შეიძლება გულგრილაც, ღიმილითაც შეყურებთ ამ საერთო გლოვას და თავს ცოცხლათვე არ იმარხავთ.

შენ კი, დიდებულო მგოსანო, რა პირით შემოგხედო და რით განუგეშო, როცა „ვხედავ ჩვენს ბედშაობას, ჩვენს ერთობას დაკარგულს, ჩვენსა წამხდარ გმირობას, და მამულს დაობლებულს“, — არაფრით, მხოლოდ შენის ანდერძისამებრ „მტერს დავეცემით მეხათ“. უსირცხვილოთ გული გაგიგმირეს, ვერაგულათ მოგკლეს, როგორც ავაზაკი შარა გზაზე დაგაგდეს უმწეოთ და ყვავ-ყორანთა საწიწკნავათ გაგიმეტეს. ვერაფერს ვერ გეტყვი, ვერა. წაგიღებთ ახლა, დაგასვენებთ, იქ, სადაც ერთი შენი ამხანაგი, დიმიტრი ყიფიანი გელოდება, რომელიც, მართალია, მისიანებს არ მოუკლავთ, მაგრამ მაინც მასაც შენსავით ბედი ხვდა და მოისვენე მთაწმინდაზე, სანამ შენს სულს არ შევატყობინებთ, რომ შენი ნაწარმოებებით უკვე ყველა დაინტერესდა და ნიადაგიც მომზადდა მათის ყველასათვის ხელმისაწვდომათ. აწ კი განისვენე, დიდსულოვანო პოეტო, ახლა კი მშვიდობით, გეთხოვებით ჩვენი ქვეყნის ხალხის წინამძღოლთა წინამძღოლო“.

სიტყვა იონა მეუნარგიასი:

„დაუვიწყარო მამულის-შვილო ილიავ! შენი ჭირისუფალი განა მარტო ეს, აქ მოზღვავებული საზოგადოებაა, რომელიც სამი დღეა შენს ცხედარს გარს ახვევია? არა, შენი ჭირთა-უფალი მთელი შენი სატრფო ქვეყანაა, სამშობლო-კახეთი-დან დაწყებული შავ ზღვამდის ამ ქვეყანაში ყველას უგემნია შენი ნაწერების სიტკბოება და ყველა სასოებით და სიამაყით იხსენიებს შენს სახელს, ოჯახი სად დარჩა ამ ქვეყანაში, სა-ცა ბავშვს შენი „აყვავებულა მდელო“ არ ეკითხოს და მოზ-რდილს „მკრთალი ნათელი“ და ჩემო კარგო ქვეყანა“, არ ემღეროს.

შენის ქმნილებით დამტკბარმა, შენის მოკვლით გულჩამ-წარებულმა, შორებულმა საქართველოს ქალაქმა ფოთმა დაფ-ნითა და ყვავილით შეამკო ცხედარი შენი და უკანასკნელი სალამი გიძღვნა შენ, დაუვიწყარო ილიავ, შენ, რომლისა მარ-ჯვენისა ქმნილებამ აღზარდა რაზმი საქართველოს მოზარდთა თაობათა და მწერალთა, შენ, რომელმაც „კაცია-ადამიანი“ სთქვი, „გლახის ნაამბობი“ გვიამბე, „თავდადებული“ შეგვა-ყვარე და „ნაოჭის მსგავსად შეკრული“ შუბლი განდეგილი-სა დაგვიხატე ხელოვნურად.

შენ რომ ფეხი შემოდგი მწერლობაში, სთქვი „მამულო საყვარელო, შენ როსღა აყვავდებიო“ და მთელი შენის სი-ცოცხლე ამ მამულის აყვავებას ამსახურე და მამულის შვი-ლების გულში აღაგზნე ყოველგვარი კეთილი აზრი და გრძნო-ბა.

დღეს ყოველი ქართველი, თვით შენი მტერიც, შენი შე-გირდია. ნეტავ გაეგონა ის ძლიერი ღაღადი ჩვენის მწერლო-ბისა, რომელიც ასტეხა შენმა მკვლელობამ, რომ დამტკბარი-ყავი იმ აზრით, რომ სამწერლო მემკვიდრეობა შენგან დატო-ვებული არც ისე მჩატეა, როგორც მტერსა ჰგონია.

შენ გვასწავლე ქართული ენა. შენ არ შეჰქმენ უკანასკნე-ლად „სულთა სწრაფვა“, „თვალ ხედვის ისარი“? შენ შეგვა-ყვარე მამული და გვაჩვენე, როგორ უნდა სამშობლოს მტერ-თან ბრძოლა. „დიდ მუხასთან პატარა ია რომ ყვავოდეს, ვის რა უნდაო“, გააგონე შენ მამულის მტრებს; სამეგრელოს ჩამოშორება რომ მოინდომეს საქართველოდან, შენ სამეგ-

რელოში მოდი, იქაურობა ნახხე და სთქვი: „სამეგრელოში მოვედი და საქართველო ვნახეო“ და მედგრად გამოესარჩლე დაჩაგრულ საქართველოს.

და აწ შენ დაგვშორდი, დაგვტოვე იმ დროს, როცა თვით მამულის წმიდათა-წმიდას შეეხო განუსჯელი თაობა და როცა შენს წინასწარ-მეტყველურ სიტყვას შეეძლო ეს თაობა გონს მოეყვანა. ვინ იცის, ეგებ შეიძლებოდეს კაცს კაცობრიობა უყვარდეს მამულზე უფრო, მაგრამ მამული რომ არ უყვარდეს კაცს, სამშობლოს ენა არა სწამდეს, ამისი სმენაც კი ეჩოთირება ჩვენს ყურს, რომელშიაც შენ ორმოცი წელიწადი სულ სხვას ჩაგვძახოდი; ჩიტს თავისი ბუდე უყვარს, ნადირს თავისი კლდე და სორო, მთელ განათლებულ ქვეყანას თავისი მხარე და ენა და მხოლოდ ჩვენში გამოჰტყვრა პირველად ეს დაუჯერებელი „ენა რა არის, მამული რას გვიქვიანო“. ვიმედოვნებთ, მოძღვარო“, რომ ეს შეცდომა წარმავალია, რომ ჩენნი ძმანი და შვილნი, ვითარცა უძღებნი შვილნი, დაუბრუნდებიან სამშობლოს და მამული კვალად დარჩება ყველათათვის საუკუნოდ თაყვან-საცემად ისე, როგორც საუკუნო არის იდეალები სიმართლისა, სიკეთისა და მშვენიერებისა, რომელთაც შენ მსახურებდი.

მშვიდობით, ჩვენო ერის კანონმდებელო, დიდო მამულის შვილო“.

სიტყვა ნიკო ცხვედაძისა:

„დღეს ვესალმებით ჩვენს სასიქადულო ილიას. დღეს გვშორდება იგი სამუდამოდ. დღეიდან ჩვენ ვეღარ მივმართავთ მას რჩევისათვის, ვეღარ მოვისმენთ იმის ტკბილსა და ჰკვიანურ ლაპარაკს. ჩვენ ვეღარ ვიხილავთ იმის წუნარ სახეს. უცოდინარობამ და შავმა ძალამ გამოგვგლიჯა იგი ხელიდან. მაგრამ ჩვენს სანუგეშოდ ხელში შეგვრჩა მისი საქმენი და მისი გონების ნაწარმოები—ნაწერები. საქართველოში არც ერთი საზოგადო დაწესებულება არ არის, რომ ან ილიას თაოსნობით, ან იმის რჩევით, ან კიდევ დახმარებით არ იყოს დაარსებული, ყველა ამ დაწესებულებას აქვს საზოგადო მიზანი: დაეხმაროს ქართველობას, ნაბიჯი წადგას კულტურულ სარბიელზე, დაადგეს ქართველობა წარმატების გზას, რო-

გორც განათლებით, ისე ეკონომიურის გაუმჯობესებით. ერთი ამ დაწესებულებათაგანი არის „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“. 28 წელიწადი იყო ჩვენი მგოსანი ილია თავმჯდომარის ამხანაგად, ამ საზოგადოების დაარსების პირველ წლებში და მერე თავმჯდომარედ, როდესაც შავმა ბედმა მოგვაშორა დაუვიწყარი დიმიტრი ყიფიანი, რომელიც აგრეთვე აქ განისვენებს და მისი ძეგლი დაჰყურებს ჩვენს გამოუთქმელ მწუხარებას. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების უმთავრესი მიზანი ის არის, რომ სწავლა მოაწყოს ყოველგან ქართულ ენაზე. საზოგადოებას დიდი დაბრკოლებანი ელობებოდა წინ და ჩვენი ილია ხმარობდა თავის მძლავრ ძალას დაეთრგუნა ეს დაბრკოლებანი.

უფრო ძვირი განძია ჩვენთვის მისი ნაწერები. ილია უღვიძებს ქართველებს იმგვარ გრძნობებს, ურომლისოდაც ადამიანი ადამიანი არ არის, ხალხი ხალხი არ არის; სამშობლოს, სიმართლის, დაჩაგრულისა, ცოდნისა, შრომისა, ერთობისა და თავისუფლების სიყვარული — აი, გრძნობანი, რომელნიც ეღვიძებათ ქართველებს ილიას ნაწერების კითხვით. ორმოცი წელიწადია ემსახურება ილია თავის ქვეყანას სახელოვნად. ჩვენ, იმის მემკვიდრენი, ვალდებული ვართ განვაგრძოთ და გავაფართოვოთ მისი საქმენი, მისი ნაწერები მ—ეფინოთ საქართველოს ყოველ კუთხეში და ამით მივუშუქოთ იმათ, რომელნიც დარჩენილან კიდევ სიბნელესა და უცოდინარობაში. თვით ილიას, როგორც ყოველგან, სადაც ხალხი თავის თავს პატივს სცემს და თავის გამოჩენილ მოღვაწეებს და მგოსნებს აფასებენ, აუგოთ შესაფერისი ძეგლი.

ილიამ თავისი უკეთესი დღენი გაატარა ტფილისში, უკეთესი ლექსები და მოთხრობები დასწერა აქ და მისი მოღვაწეობა ყველა ტფილისელთ, განურჩევლად გვარ-ტომობ.სა, თვალ-წინა აქვს, მისი ლექსები, მისი მოთხრობები, მისი მშვერმეტყველობა ბევრმა იცის ჭალაში. ამისათვის ძეგლიც უნდა დაედგას მას ტფილისში თვალსაჩინო ადგილას, რომ ყველას შეეძლოს ნახვა — შინაურსაც და გარეულსაც, პატარასაც და დიდსაც, მდიდარსაც და ღარიბსაც. ამას ექმნება დიდი მნიშვნელობა, როგორც წარმავალ, ისე მომავალ თაობისათვის. მართალია, ყველა შეგნებულ ქართველს დიდი სანია

უდგას ილიას ძეგლი თავის გულის ფიცარზე, მაგრამ ეს ძეგლი უხილავია, მხოლოდ ხანდახან გადაიქცევა ხოლმე ხილულად — როგორც აი ეხლა მოხდა. საჭიროა ხილული ძეგლი ილიასი ყველასათვის.

მშვიდობით, დიდებულო მგოსანო, შესანიშნავო, მჭევრმეტყველო, ნამდვილო მოქალაქევ! მშვიდობით, უკვდავო ილიავ! ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობა მუხლმოდრეკილი და გულდაკოდილი გეთხოვება შენ, გეთხოვება და ფიცს გაძლევს, რომ შენგან ამორჩეულ გზას არასოდეს არ გადაუხვევს".

სიტყვა ქალბატონ მიროვიჩისა:

„როგორც რუსის ქალი და წევრი „სრულიად რუსეთის დედათა თანასწორ-უფლებიანობის კავშირისა", მე ვუერთებ ჩვენს მწუხარებას ქართველ ერის მგლოვიარობას. ჩვენ ყველანი, რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობის მონაწილენი მხურვალედ თანაგიგრძნობთ, ჩვენ ყველანი გულში განვიცდით თქვენთან ერთად სისხლის დრამას, რომელმაც კავკასია მოჰფინა ასობით და ათასობით უმანკო მსხვერპლით... დღეს ჩვენ შევიკრიბენით თქვენის დიდებულის პოეტის საფლავთან. მხურვალე პატრიოტი და მებრძოლი ხალხის თავისუფლებისათვის, იგი დაეცა განგმირული უხეშისა და სასტიკის ძალისაგან. ეს ბოროტება აღაშფოთებს ყველას, ვისაც მოეპოვება აზრი და გრძნობა, დამოუკიდებლად იმისა, თუ რომელ ეროვნებასა და პარტიას ეკუთვნის. და მაინც ჩვენის არეულ-დარეულ ხანის ამ ახალის მსხვერპლის დაღუპვამ არ უნდა გამოიწვიოს სიძულვილი და შურის ძიების წყურვილი. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ მომხდარი ბოროტ-მოქმედება, როგორც სხვა დანაშაულობანი, უმთავრესად ნაყოფია იმ უმეცრების სიბნელისა, რომელშიაც ხალხი ჩანთქმულია. ამ სიბნელის მოსასპობად უძლურია სახრჩობელა. განათლება, აღზრდა ქრისტიანულ წესზედ, — აი ერთადერთი უტყუარი გზა, აი საით უნდა მივესწრაფოდეთ ჩვენ ყველანი. ეგაა ის დიდებული მიზანი, რისთვისაც იბრძოდა დაღუპული პოეტიცა; და ჩვენ შეგვიძლიან საუკეთესოდ ვსცეთ პატივი მის ხსოვნას, მხოლოდ ამ იდეისადმი სამსახურითა. ჩვენ, ქალე-

ბი, პროტესტს ვაცხადებთ იმ სასტიკის სისხლის ღვრის წინააღმდეგ, რომელიც ჩვენს ბედნიერ მამულში ხდება; და დიდებული პოეტისა და საზოგადო მოღვაწის სახსენებლად ჩვენ ვიწვევთ ყველას მშვიდობიანობის მუშაობისათვის, ძმურის სიყვარულისა და სათნოების სახელითა. დაე, ჩვენი დევიზი იყოს: მეტი სინათლე, — სინათლე ჭეშმარიტის განათლებისა და ქრისტიანულის სიყვარულისა".

სიტყვა პლატონ გელოვანისა:

„სახელოვანო მგოსანო და მამულიშვილო ილია! შენ დიდებული ცხედრის წინაშე ვდგევარ და ვსტირი არა შენს სიკვდილს, არამედ დაობლებულს ერს, რომელსაც თავისი საუკეთესო შვილიც ვერ დაუცვია მტრებისაგან... მე აქ არ მოვსულვარ იმისათვის, რომ აღვნუსხო შენი ქართველ ერისადმი სამსახური და შენი ვინაობა. ამისი არც ძალა შემწევს, რადგან მოღვაწეობა შენი ნამეტნავი რთული და მრავალმხსოვანია და არც საჭიროა, რადგან ამის დამფასებელი დღეს მთელი ერია, რომელიც დღეს გარს ახვევია შენს დიდებულ ცხედარს და ცხარე ცრემლით დასტირის. ვგონებ ეგ ცრემლები უფრო მჭევრ მეტყველურად ამბობენ, თუ როგორ აფასებს ერი შენს 50 წლის მოღვაწეობას.

მე დამავალა შენს ცხედარს თაყვანი ვსცე ბაქოში მყოფ ქართველთა იმ ნაწილმა, რომელიც ლუკმა პურისთვის გადახვეწილა და ოფლსა ღვრის, მაგრამ ამავე დროს კუჭისათვის არ შეუწირავს თავისი აზროვნება; სწამს, რომ „არა ერთითა პურითა ცხონდების კაციო", ეთაყვანება ერის მესვეურს და აფასებს ეროვნულ თვითარსებობას. აი ესენი ჩემის პირით დღეს აქ დასტირიან შენს ცხედარს და წყევლა-კრულვას უგზავნიან შენს მკვლელებს.

ნუთუ ჰგონია მტერს, რომ შენ რამე დაგაკლო. შესცდა. შენმა მოწამებრივმა სიკვდილმა შენ ერთი ორად აგამაღლა. ვერც ქართველი ერის მტრები გაიხარებენ შენის სიკვდილით, ვინაიდგან შენ სიკვდილითაც დიდი ზიანი მიაყენე მათ. ვისაც თვალი აბია, ის უთუოდ დაინახავს, რომ შენმა სიკვდილმა უფრო გაუღვიძა ერს გრძნობები. დაე მტერი დაუკვირდეს, თუ როგორ შესძლებია ქართველ ერს ჭირში შეერთება

და გარემოების და შესაფერად მოქცევა, დაე ეს დიდებული გაკვეთილი იყოს ჩვენთვის და შენ კი, ჩვენი ერის მესვეურო, განისვენე შენს სამშობლო მიწაში. უკანასკნელი ჩვენი თხოვნაა, გვაპატიე ჩვენი უგუნურება და ნაცვლად ამისა მიიღე ჩვენგან ფიცი, რომ ვიბრძოლებთ შენი საუკეთესო იდეალების განსახორციელებლად".

...კვლავ სიტყვები, სამგლოვიარო წერილები და დეპეშები:

„სიტყვით ვერ გამომითქვამს სასოწარკვეთილება და დარდი. ილია ჭავჭავაძის მოკვლა გონებას მირევს, სინდისს მიბორკავს. მოჰკლეს ერის დიდება, ბრწყინვალე პოეზია ერის გული", — იწერებოდა ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინი მოსკოვიდან.

„ცხარე ცრემლით ვგლოვობ სამშობლოს სირცხვილს", — იტყობინებოდა კიტა აბაშიძე პეტერბურგიდან.

„გულითად სამძიმარს ვუცხადებთ ქართველ ერს მისი დიდებული მამულიშვილისა და მწერლის ილია ჭავჭავაძის ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლაში ტრაგიკული სიკვდილის გამო", — ლეობენელი პოლონელები ავსტრიიდან.

„გულითად სამძიმარს ვუთვლით ჩვენს მგლოვიარე ხალხს მისი უდიდესი მამულიშვილისა და მხცოვანი პოეტის დაღუპვის გამო. ნუგეში და სამძიმარი აგრეთვე დაქვრივებულ ოლღა თადეოზის ასულს", — ბრიუსელიდან, იქაური ქართველებისგან.

საშინელმა ამბავმა შეგვაძრწუნა. დარდი ჩვენი უსაზღვროა," — პეტრიაშვილები ოდესიდან.

„სამშობლოსთან ერთად ვგლოვობ დიდებული მგოსნის დაკარგვას", — მოსკოვიდან, ალექსანდრე ხახანაშვილი.

„ვენის ქართველი სტუდენტები უზომო მწუხარებამ მოგვიცვა, როცა გავიგეთ ქართული პოეზიის ბურჯისა და საყვარელ ილიას ტრაგიკული სიკვდილი. ობლად დარჩენილ სამშობლოს გლოვას ჩვენი ცრემლიც მიუმატეთ. წყევლა-კრულვა და ზიზღი მკვლელებს", — ვენადან, იქაური ქართველი სტუდენტები.

„აუწერელია ჩვენი წუხილი და გლოვა ჩვენი აღმზრდელის ილიას დაკარგვის გამო. ნუთუ ილია და ამისთანა სა-

ზიზღრობა!!!“, — ბერლინიდან, იქაური ქართველი სტუდენტობა.

„სამშობლოს მოშორებულნი ვსტირით სასტიკსა და ასე მოულოდნელ დანაკარგს — უებრო მგოსანსა და თავის ქვეყნის ნამდვილ შვილს ილიას“, — პარიზიდან, ნიკოლოზ ღოღობერიძე და ფილიპე გოგიჩაიშვილი.

„მოსკოვის კომერციული ინსტიტუტის სტუდენტებს თავზარი დაგვცა ილია ჭავჭავაძის სიკვდილმა. საქართველომ დაჰკარგა პირველი მამულიშვილი“, — მოსკოვიდან...

„კიევის ქართველთა კოლონია ღრმად აღშფოთებულია მგოსან ილია ჭავჭავაძის საზიზღარი მკვლელობით. ვგლოვობთ ქართველი ერის დანაკარგს. ქართულ ლიტერატურას გამოეცალა პირველი ბურჯი. ჩვენს გულში საუკუნოდ დაიბუდეს იმ იდეალებმა, რომლებსაც მგოსანი ემსახურებოდა. იმედი გვაქვს, რომ ბოლოს და ბოლოს ქართველი ერი გამოფხიზლდება და ჯალათებს შესაფერ პასუხს გასცემს“, — კიევიდან...

„დამსახურებული მგოსნის ილია ჭავჭავაძის ტრაგიკულმა სიკვდილმა უკიდურეს მწუხარებაში ჩაგვაგდო ენოტიევსკის პოლიტიკური გადმოსახლებულნი. მონაწილენი ვართ ჩვენი სამშობლოს საერთო მწუხარებისა; წყევლა-კრულვა მგოსნის მკვლელებს“, — ენოტაევსკიდან, პოლიტიკური პატიმრები: გრიგორაშვილი, დედაბრიშვილი, კოვზირიძე, მეიფარიანი, ჭუბაბრია, რაზმაძე, ჩაჩიბაია, ფულოვი, კალაშნიკოვი, თვალიძე, მიქაძე, ბერიშვილი ჩაბიევი, გამდლიშვილი, ქურდოვანიძე, ტაიგაძე, ფუხაშვილი, კოზმანიშვილი, ტერ-მინასოვი, სუმბათაშვილი, გვენეტაძე, ბაზაშვილი (მათგან — არცერთი სოციალ-დემოკრატი).

„ქუთაისის საგუბერნიო საპყრობილის პატიმარნი აღშფოთებულნი ვართ მგოსან-ბელეტრისტის ილია ჭავჭავაძის საზიზღარი მკვლელობით, ხოლო მკვლელებს წყევლა-კრულვას ვუგზავნით“, — პატიმართა (არცერთი სოციალ-დემოკრატი) მინდობილობით: დავით ღულაძე, ილია ბახტაძე და პლატონ კორძაია.

„არსებული უსამართლობით რკინის ჩარჩოიან კარჩაკეტილ სარკმელში მომწყვდეული გული დაგვიკოდა მხცოვანი პოეტის, მოჭირნახულე ილიას ვერაგულმა სიკვდილმა; გულის

სიღრმემდე შეგვაშფოთა და შეგვაძრწუნა იმ მკვლელობამ, რომელმაც წაართვა დედაბოძი ქართულ მწერლობას. ვგმობთ გონება-დაბნეულ მკვლელებს და თვით ილიას ვუძღვნით ცოცხალი ყვავილებით შემკულ გვირგვინს და თან ვატანთ ჩვენს გულწრფელ ხსოვნა-სიყვარულს", — მეტეხის ციხის პატიმართა ერთი ნაწილი (მათ შორის არცერთი სოციალ-დემოკრატი).

„გულის სიღრმემდის აგვაშფოთა და აგვაღელვა ძვირფასი და დაუვიწყარი პოეტის ილია ჭავჭავაძის მოკვლამ. არ ვიცით, რა სიტყვებით გამოვხატოთ ჩვენი მძულვარება მკვლელებისადმი, რომელთაც ისე უეცრად წაგვართვეს ქართველებს მამა და დამრიგებელი" — შორაპნის მუშები.

„სულითა და გულით ვწუხვართ დიდებული მგოსნის ილიას დაკარგვას. ზიზღი იმ მხეცს, რომელმაც მოუსპო სიცოცხლე დიდებულ ადამიანს და მით შეურაცხჰყო მთელი ერის თავმოყვარეობა", — ქუთაისის სტამბის მუშები.

„ჩვენ, დარკვეთის რკინის გზის მუშები, გამოუთქმელი აღშფოთებით შევხვდით ქართველთა საუკეთესო მამულიშვილის, მგოსნის, პუბლიცისტის და დაუღალავი საზოგადო მოღვაწის, ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძის გარდაცვალებას. არ გვყოფნის სიტყვები, ზიზღი გამოვუცხადოთ იმ ცხოვრების ნაძირალებს, რომელთაც იმსხვერპლეს ილია", — მუშათა მინდობილობით, ნ. ბუაჩიძე.

„ჩრდილოეთის სანაოსნო საზოგადოების ქართველი მუშების არტელი სულის სიღრმემდე აღშფოთებულია ძვირფასი პოეტისა და მასწავლებლის, „გლახის ნაამბობის" შემქმნელის, ილია ჭავჭავაძის მხეცური მკვლელობით. საუკუნო წყევლა-კრულვა მხეც მკვლელებს, რომელთაც ხელი შეახეს მთელი ერის სიამაყეს", — არტელის მინდობილობით, ესაკია.

„ჩვენ, მ. ლაღიძის ქარხნის მუშები, ენით გამოუთქმელ მწუხარებას განვიცდით... ილია ჭავჭავაძის დაკარგვით... მშვიდობით პატიოსანო კაცო. შენი სახელი მუშებშიაც უკვდავი იქნება", — ქუთაისიდან, მუშების მინდობილობით პროკოფი.

„ღრმად მწუხარენი ვართ საყვარელი მგოსნისა და პუბლიცისტის ტრაგიკული სიკვდილის გამო. ხსოვნა მისი სამარადისოა. ზიზღი და წყევლა-კრულვა მხეც მკვლელებს", — ფოთიდან, ხელოსნების მინდობილობით — შულაგაია.

„ჩვენ, 224 მუშა, მომუშავენი ამხანაგობა „გეორგიას“ კარიერებზე, „გელათის“ გრანიტის ქვის კუბიკების მთლელნი სოფელ კურსებში, და ჩვენთან ერთად მთელი ჩვენი საზოგადოება გულდამწვარნი ვგლოვობთ ჩვენი ქვეყნის დიდებულ მგოსანს, ღირსეულ მამულიშვილს, აღმზრდელ-მასწავლებელს, გამსპეტაკებელს ენისა, ლიტერატურისა და სამშობლოსადმი სიყვარულისა — ილია ჭავჭავაძეს. დაუვიწყარი იქნება მისი ხსოვნა და სიყვარული ჩვენს სულსა და გულში, როგორც კეთილი მამისადმი უღირს შვილებისა საშვილიშვილოდ; წყევლა-კრულვა და ზიზღი კი იმ მკვლელებს, ვინც ეს სიმხეცე, ველურობა ჩაიდინა“, — მუშების მინდობილობით: ნოე მუხუზლა, ევტიხი ბერეკაშვილი, სერგო ბრეგაძე, ლავრენტი ბერეკაშვილი, ბესარიონ აბესაძე.

„მონაწილენი ვართ ქართველების მწუხარებისა დიდებულ ქართველ ეროვნულ პოეტის მხეცური მკვლელობის გამო“, — ნახიჭევანიდან, მაჰმადიანები: სულთანოვი, ჰუსეინ ნავრუზოვი, ნაჯაფოვი, მამედოვი, შეიხზადე, ბანანირსკი.

„ახალციხელი ბერძნები მონაწილენი ვართ საქართველოს დიდი მწუხარებისა. საუკუნო ხსენება განსვენებულ ილია ჭავჭავაძეს, ახალი ქართული ლიტერატურის შემქმნელს; წყევლა-კრულვა მკვლელს, თანამედროვე ჰეროსტრატეს“, — ნიკოლაევი.

„ავადმყოფობისგან ცალი ფეხი სამარეში მიდგას. საცაა სულს დავლევ. თავზარი დამცა დიდებული და დაუვიწყარი ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძის სიკვდილმა. საშინელი ბოროტმოქმედებაა!! საქართველოს დიდებულ გლოვას ჩემი დარდიც მიუმატეთ“, — პეტერბურგიდან, ალექსი მიხაილოვი (ფინანსთა მინისტრის ყოფილი წარმომადგენელი ტფილისის სათავადაზნაურო ბანკში).

სამძიმრის დეპეშა სოციალ-ფედერალისტების სახელით გამოეგზავნა თედო სახოკიას. იქვე საპატიმროში სოციალ-დემოკრატებიც ყოფილიყვნენ და იმათთვისაც შეუთავაზებია სახოკიას — დეპეშა ერთად გავგზავნოთო, მაგრამ... არავითარ შემთხვევაშიო, ჩვენ პარტიული მოსაზრებით ვერ შემოგიერთდებითო, — უპასუხნიათ „მესამე-დასელებს“...

და კვლავ და კვლავ, უწყვეტი ნაკადი წერილებისა, დეპეშებისა — ყოველი ერისა, ყოველი წოდებისა, ყოველი „კლა-

სისა“ (მათ შორის „პროლეტარებისა“), ყოველი „დასისა“, ყოველი „პარტიისა“ (თვინიერ „მესამე დასისა“)...

...უკანასკნელი აკორდები ქართული ეროვნული თრენოსიხა.

მთაწმინდას „მწუხრის ზეწარი გადაეფარა“.

საქართველოს ერისუფალი მისგანვე გაღმერთებულ ქართულ მიწაში ესვენება...

დავითისა და თამარის შემდგომ, ასეთი მწარე, საყოველთაო ეროვნული დატირება აღარავის მოსწრებია საქართველოში...

. . . .

მაშ, ილია ჭავჭავაძე ამ ქვეყნად აღარ იყო.

მესამე-დასელებს გაემარჯვათ.

ეს მათი პირველი უდიდესი გამარჯვება იყო.

რაკი ილიას გაუბედეს, ამიერიდან კაცის სიცოცხლეს საერთოდ გააუფასურებენ, კაცთაკვლას გააადვილებენ...

...1908 წლის 29 დეკემბერს კავკასიის სამხედრო სასამართლომ ილიას მკვლელებს ჩამოხრჩობა მიუსაჯა. აქ სიკვდილმისჯილთაგან იგულისხმება მხოლოდ ოთხი ინაშვილი, ხიზანიშვილი, ფშავლიშვილი და ლაბაური. დანარჩენმა ორმა სიკვდილს გაასწრეს — ბერბიჭაშვილი ირანში გადაიხვეწა, ის „ვინმე იმერელიც“ ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, ვერავინ მიაგნო. სიკვდილმისჯილმა ოთხეულმა შეწყალება ითხოვა.

თბილისის გენერალგუბერნატორის წინაშე მკვლელების შეწყალების და პატიების თხოვნა აღავლინა თვით ილიას ქვრივმა ოლღა გურამიშვილმა; იგი წერდა:

„სამხედრო სასმართლომ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა ჩემთვისა და მთელი საქართველოსათვის ძვირფას ილია ჭავჭავაძის სამ მკვლელს. სიცოცხლეში ჩემმა ქმარმა მთელი თავისი სულიერი ძალ-ღონე, ღვთის მიერ მასზე მოვლენილი მაღალი ნიჭი შესწირა ადამიანის სულში ადამიანური გრძნობის, კაცთა შორის სიყვარულის განმტკიცებას. მე ღრმად მწამს, დღეს რომ ჩემი ქმარი ცოცხალი იყოს, შეუნდობდა იმათ, რომელთაც სასიკვდილოდ გაიმეტეს იგი და თავის უბედურ, გზააბნეულ ძმებად მიიჩნევდა. დღეს კი ჩემი ქმრის თხოვნა საქართველოს ერის სულიერ ცხოვრებაში იმის მკვლელთა სიკვდილით დასჯით დაიჩრდილება. ეს საზარელი სასჯელი

დაარღვევს იმ ღვაწლს სიყვარულისას, ცხოვრების მასწავლებელ ქრისტეს იმ საუკუნო მცნებას, რომლითაც ცოცხლობდა ჩემი განსვენებული ქმარი. მოგმართავთ თქვენ გულწრფელისა და მხურვალე თხოვნით: ნუ დაამტკიცებთ სასამართლოს განაჩენს ამ უბედურთა სიკვდილით დასჯის შესახებ. თვით მე მხოლოდ შემთხვევით გადავრჩი სიკვდილს ჩემი ქმრის გვერდით და თითქო მხოლოდ იმისთვის დავრჩი ამ სოფლად, რათა დავაბოლოო ის ღვაწლი კაცთა მიმართ მხურვალე სიყვარულისა, რომელსაც ჩემმა ქმარმა მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა — შეუნდო იმ უბედურ, გზადაბნეულ მოყვასთ, რომელთაც თვით ის შეუნდობდა. ჩემი დღეები დათვლილია. ამჟამად თქვენგანაა დამოკიდებული მოიქცეთ ისე, რომ სიცოცხლის აღსასრულის ჟამს ვიგრძნო უმაღლესი ნეტარება, რომელსაც ადამიანის სულს ძალუძს მიაღწიოს ამ წუთი-სოფელში — შეერება ღმერთთან, რომელიც განიცადა ქრისტემ, როცა ჯვარზე განრთხმული, სიკვდილის ჟამს, ღვთიური სიყვარულის შუქით განათებული, ევედრებოდა შემოქმედს შენდობას იმ მტრებისას, რამეთუ „არა იციან რასა იქმან“.

მთხოვნელის თხოვნაზე თანხმობა აღუთქვეს და ავადმყოფი ქალი ამით დაამშვიდეს. მაგრამ განაჩენის გამოტანიდან მერვე თვეს, 1909 წლის 21 აგვისტოს, სამი მკვლელი — ივანე ინაშვილი, გიორგი ხიზანიშვილი და მეეტლე თედო ლაბაური — ჩამოახრჩვეს. ხოლო, პავლე ფშაველიშვილი ციხიდან გაქცეოდათ და სოფელ მამკოდასთან პოლიციელებს მოეკლათ კიდეც სხვა ყაჩაღებთან ერთად.

ამით ვითომ „საქმე მოთავდა“. ყოველ შემთხვევაში, მესამე-დასელებს ასე ეგონათ. მაგრამ ხალხის ალიკაპი ვის გაუჭედია: საქართველოში საეჭვოდ არავის მიაჩნდა, რომ ილიას მკვლელობის ორგანიზაცია „მესამე დასის“ კისერზე იყო — გარკვეული ნაწილის კისერზე მაინც.

არასოდეს ისე ერთიანი და ერთნაირნი, ერთსულოვნად მტკიცენი და თანმიმდევრულნი არ ყოფილან ქართველი მესამე-დასელნი, როგორც ილიას მკვლელობაში. ჟორდანიამ, მაშინვე, ილიას დაკრძალვიდან სწორედ ერთი თვის თავზე, სოციალ-დემოკრატიულ გაზეთში — „ჩვენი გზა“ — ასეთი წერილი გამოაქვეყნა:

„როგორც ჰხედავთ, მთელი ეს ბრალდება ეხება ქართველ

სოციალ-დემოკრატებს. ვთქვათ: ყველა ეს მართალია, ვთქვათ სოციალ-დემოკრატების მიერ მომზადებულ ნიადაგმა დაბადა ეს მკვლელობა, მერე ამისათვის დასაგმობია თვით ნიადაგი?.. ამ ნიადაგზე აღმოცენდა კავკასიის რევოლუცია, მთელი ახალი ისტორია, და თქვენ გსურთ ყველა ეს უკუაგდოთ, დაგმოთ იმიტომ, რომ სადაც ხე იჭრება იქ ნაფოტებიც ცვივა? დიდმა რევოლუციამ სიკვდილით დასაჯა დიდებული ქიმიკოსი ლავუაზიე, მარა ამიტომ რევოლუცია არავის დაუგმია, გარდა რეაქციონერებისა".

გულწრფელად იყო ნათქვამი: ილია ჩვენი „ნიადაგით" მოვკალითო, რევოლუციის ლოგიკით მოვკალითო, ძველ ხეს (იგულისხმე ძველი საქართველო!) ვჭრით და ნაფოტები (იგულისხმე ილია ჭავჭავაძე!) ცვივაო, და ვინც მათ მისტირის (იგულისხმე ქართველი ერი!), რეაქციონერებიაო.

ასეთივე „სანიადაგო გულისხმაში" აგდებს მკითხველს ფილიპე მახარაძის ნათქვამი: „ილია ყველა პატიოსან ადამიანში ზიზღს იწვევს... ჩვენი და თ-დ ილია ჭავჭავაძის შეთანხმება ყოვლად შეუძლებელია".

მართლაც შეუძლებელი იყო. მართლაცდა, ილიას როგორ შეეძლო „შესთანხმებოდა" მახარაძის ასეთ ნაბრძანებს: „ჩვენთვის ნაციონალური კულტურა არ არსებობს, ნაციონალურ ენას მხოლოდ პირობითი და წარმავალი მნიშვნელობა აქვს; რაც შეეხება ნაციონალურ მზნეჩვეულებებს, ესენი მხოლოდ კონსერვატორობის გამომხატველია", ან კიდევ: „ვეფხის-ტყაოსანი" ზღაპრული პოემაა აღმოსავლეთის კილოზე, სადაც გაღმერთებულია მონური წეს-წყობილება და მონური ცხოვრება. ამნაირი შინაარსის პოემამ შეიძლება მოიპოვოს მკითხველი, რომელიც უსაქმოდ და უდარდელად ატარებს დროს და სხვისი ნაოფლარით ცხოვრობს"...

...1810 წელს, რუსეთის მთავრობამ მთელს საქართველოში, ვერც დასავლეთში და ვერც აღმოსავლეთში, ვერაფერ ფულად და ჯილდოდ, ერთი ქართველი მკვლელი ვერ იპოვნა იმერეთის გაკოტრებული მეფის მოსაკლავად. ახლა კი „ახალ-თაობას" რა სიმაღლეზე აუყვანია საქართველოს „ახალი ისტორია": მკვლელი ილიას მკვლელობისთვის, რამდენიც გინდა! გინდა აღმოსავლეთ საქართველოში, გინდა დასავლეთში!..

უცნაურობა უყვარს საქართველოს...

უცნაურობა მისი ბუნებაა...

თუმცა რა, — დიდმა ბერძნებმაც ხომ გაიმეტეს სასიკვდილოდ თავისი გენიალური სოკრატე; ასევე — ებრაელებმა ქრისტე; არაბებიც ხომ დაედევნენ სასიკვდილოდ თავის მუჰამედს, მხოლოდ ეგ იყო, რომ ვერ დაეწივნენ... ქართველები კი დაეწივნენ თავის ილიას... ფეხმარდი, მსუბუქი და „ჰაეროვანი“ ქართველები...

...დიახ, მთავარი ილიაზე ხელის აღმართვა იყო — ილიას მოსაკლავად გამეტება! ამის გაბედვა!

და რაკი ილიას მოკვლა გაბედეს-მეთქი, ამის შემდგომ კაცის სიცოცხლე გაიაფდება და სიკვდილი გაადვილდება. სიკვდილი ხრიალხრიალით წავა საქართველოში — ისე, ვითარცა სრულად, ვნებიანად — „в расход!“

წიწამურის მკვლელებზე უფრო ძლიერი მკვლელებიც მოვლენ—„ორივე საქართველოში“, აღმოსავლეთ-დასავლეთში— შუაზე გაბზარულ სარკესავით საქართველოში...

საქართველოში, — ეგზომ მცირე ქვეყანაში, ეგზომ დიდგონებიანი და დიდთვალებიანი ხალხი რომ ცხოვრობს — საიდუმლოს რა დამალავს?!

ყველაფერი აშკარა იყო. საიდუმლო რომ ეგონათ — ისიც აშკარაა. შენიღბვის უნარიც არა აქვთ ქართველებს. ვითომ რომ ინიღბებიან (ერთმანეთს რომ ენიღბებიან!), მაშინაც ფრიად გამჭვირვალენი არიან.

ახლა ეს „გამჭვირვალე ნიღბებიც“ აღარ სჭირდებოდათ, ისე მოქმედებდნენ — აშკარად, კადნიერად, დაურიდებლად.

ილიას სიკვდილმა ვერ დაასვენა მისი მკვლელები. მკვდარი მიწაში იწვა და არ იკბინებოდა, მაგრამ ყველაფერი, რაც ილიას სახელით მაინც ამ ქვეყნად დარჩენილიყო, რასაც ილიას მემკვიდრეობა ანუ ილიას სული ერქვა — იგი, არამცთუ მომკვდარიყო, არამედ ისე ცხოველმყოფლად ამაღლებულიყო, გამძლავრებულიყო და განვრცობილიყო, ვითარცა ქრისტე, ვნებით და ჯვარცმით აღსრულების შემდგომ.

ილიას საფლავიც პალადიუმად ედგა საქართველოს.

მაგრამ მაინც მთელის ძალისხმევით და ძალისნთხევით ებრძოდნენ იმ პალადიუმს.

და უშენდნენ ილიას ისრებს, — მკვდარსაც უშენდნენ, —

და უნიჭობით და სიძულვილით გონდაბნეულნი, ვერა გრძნობდნენ, რომ ეს იყო ისრის სროლა ბერბეც ღამეში. ვერ გრძნობდნენ, რომ მათი „გრძნეული სიტყვები“ მათივე უნდილი გონების საშოშივე იღუპებოდნენ და სახელითაც ისტორიაში, ჰეროსტრატეს შეჩვენებულ სახელთან მიმთხვევის გარდა, ვერარას მოიხვეჭდნენ.

ყველა მათგანს ყველაფერი შეეძულებინა, რაც კი ილიას შეეყვარებინა, — ყველაფერი, რაც კი „ნაციონალურისა“ და „მშობლიურის“ ფარგლებში მოთავსდებოდა. მათ სულში ტაბუ დაედო და დაკუბოვდა ყოველივე ილიასეული.

სრული ეროვნული ნიჰილიზმი — აი სულიერი სახე მაშინდელი ქართული მესამე დასისა. საეჭვო იყო, სადმე დედამიწაზე კიდევ მოძებნილიყო ამწაირად უარმყოფელნი („უარმყოფელნი“ — ესეც ილიას სიტყვაა „მათდამი“) საკუთარი ეროვნულობისა, ეროვნული დამოუკიდებლობისა, ნაციონალური თვითმყოფობისა. ნაციონალური ქართული მოვლენა, სულ ერთია ავი თუ კარგი, ზიზღს იწვევდა მათში. თითქოს სარწმუნოდ უნდა მიიჩნიოს ადამიანმა: თვით მარქსიზმ-ლენინიზმიც, — რომელსაც ახლა ისინი საკუთარ ერსაც და სიცოცხლესაც სწირავდნენ, — გენეტიკურად რომ ქართული მოვლენა ყოფილიყო, უეჭველად ცხვირს აუბზუებდნენ და ახლოსაც არ გაიკარებდნენ. მთავარი იყო, უცხო რომ იყო, არაქართული, „არანაციონალისტური“.

არ სცხრებოდა ვაჟა-ფშაველა, ილიას მკვლელობით გულაღუღებული. და უფრო იმის გამო ვერ იჭერდა თავს, მოკლულს რომ საფლავშიც აღარ აყენებდნენ მკვლელები. და ერთხელ კიდევ გამოვიდა დიდი მგოსანი საბრალდებო სიტყვით ილიას „ისევ დაუძინებელი“ მტრების მიმართ. სთქვა, დაწერა და სახელად დაარქვა — „ყ ვ ა ვ-ყ ო რ ნ ე ბ ი ი ლ ი ა ს ა ჩ რ დ ი ლ ი ს გ ა რ შ ე მ ო“:

„მე როდი მიკვირს ილიას აჩრდილის გარშემო ყვავ-ყორნები რომ ჩხავიან, არა ჩუმდებიან, ასე უნდა იყოს სწორედ: მსგავსი მოვლენა ხვედრია დიდებულ ადამიანთა, ხოლო ბრალდება ილიასი, რომელიც მხოლოდ ერთის მხრიდან გაისმის, ნიშანია იმისა, რომ ბრალმდებელთ მის მკვლელობაში ალბათ

ფეხი უდგათ და ამიტომ ყოველ ღონისძიებას, ათასგვარ საშუალებას ხმარობენ ილია დამნაშავედ გამოიყვანონ, მაშასადამე, მოკვლის ღირსად, რათა თავი იმართლონ საზოგადოების წინაშე.

მოპირდაპირეებს მარტო ის არ უკლავს გულსა, ილია გლეხებს ვითომ სასტიკად ეპყრობოდა, არამედ ვერ მოუნელებიათ ის გარემოება, რომ ილიამ ეროვნული საკითხი მკვიდრ ნიადაგზე დააყენა, იგია წარმომადგენელი მთელი საქართველოს ერისა, მისი იდეოლოგი. მოწინააღმდეგენი უხერხულ მდგომარეობაში არიან ჩაცვივნილები. ამიტომ აბარტყუნებენ ხელებს და ფეხებს, უნდათ ბარდიდან გამოძვრნენ. რაღაც დაჰრჩომიათ გამოსარკვევი, ჰსურთ გამოარკვიონ: ყვავ-ყორნებს ისეთი მოწყობილობა აქვთ ტვინისა და თავის ქალისა, რომ ილია ჭავჭავაძე ჯერ დიდხანს იქნება იმათთვის ამოცანად.

ამბობენ, ილია ჭავჭავაძემ თავის პირვანდელ მიმართულებას უღალატაო. მე ეს არა მჯერა, პირიქით, უნდა დარწმუნებულნი ვიყვნეთ, ილია სამარემდის მთლიან ადამიანად დარჩა, როგორც ზოდი ოქროსი. ილიას უყვარდა საქართველო იმ თავით ამ თავამდე და მის საკეთილდღეოდ იღვწოდა. ბატონყმობა სწამდა მავნებელ მოვლენად და კიდევაც აღუდგა მას წინ; ბატონ-ყმობა საქართველოს დაჰღუპავსო, ქადაგებდა („რამდენიმე სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდამ", „გლახის ნაამბობი", „კაცია-ადამიანი?!"). გადავარდა ბატონყმობა. ილია ჩვენის ცხოვრების მაჯისცემას ფხიზლად თვალყურს ადევნებდა, კარგად იცნობდა როგორც გლეხკაცობას, ისე თავადაზნაურობას. ბატონყმობის გადავარდნამ იმედი არ გაუმართლა, სოფლის გლეხკაცობა კულტურული ცხოვრების გარეშე დარჩა, დღესაც იგი ჩვენი კულტურისათვის უსარგებლოა, არავითარი წვლილი არ შეაქვს. გამონაკლისს შეადგენს ქალაქში მაცხოვრებელი მუშები, რომელნიც სწავლასაც ეტანებიან, შვილებსა ზრდიან, თეატრში დაიარებიან, ჟურნალ-გაზეთებს იწერენ, წიგნებს ყიდულობენ და კითხულობენ. ჩვენთვის, დიაღ ეს კულტურული განვითარება იყო და არის დღესაც საჭირო. თავადაზნაურობა კი, თუმც, მართალია, მამულდედულს ჰფლანგავდა, მაგრამ ცოტად თუ ბევრად, ამ ჩვენს კულტურულ დაწესებულებებს ეხმარებოდა, როგორიც არის

სათავადაზნაურო სკოლა, თეატრი და სხვ. თავადაზნაურობა ჩვენს ბურჟუაზიას შეადგენს და თუ ილია, როგორც კულტურული ადამიანი, თავადაზნაურობისაკენ გადაიხარა, ეს სწორედ ზემოთ აღნიშნული მიზეზების ბრალია. ჰხედავდა აგრეთვე ილია, რომ, როგორც კულტურული ცხოვრების წარმომადგენელი დღეს საქართველოში, თავადაზნაურობა ღარიბდებოდა და ეს მოვლენა სწყინდა. ყველასაც, ვისაც ჭკვა აქვს, თუნდ გლეხი იყოს, ქართველ ადამიანს უნდა სწყინდეს შეძლებული ხალხის შემცირება ჩვენში და ყველას უნდა გვიხაროდეს მდიდარი ხალხის გამრავლება, რადგან მრავალი მდიდარი, როგორც უნდა იყოს, ჩვენს ცხოვრებას სიმდიდრეს შეჰმატებენ, სანუგეშონი არიან. თუ ეხლა ერთ-ორი კაცი გვყავს მდიდარი და იმათი იმედი გვაქვს, რატომ ასი და ათასი მდიდრის ყოლა არა სჯობია ორი და სამი კაცის ყოლას? სოფლის გლეხკაცობა ძალიან ჩამორჩენილია ჩვენს კულტურულ ცხოვრებას. დიდი დროა საჭირო, ვიდრე ისინი ჩაებმიან იმ საერთო ფერხულში, რომელშიაც არიან ჩაბმულნი: წვრილი ქალაქის ბურჟუაზია, სამღვდელოება და თავადაზნაურობა.

გაღარიბება გლეხკაცობის გულისათვის ამ ჩვენი ერის კულტურული ნაწილისა მავნებლად უნდა მივიჩნიოთ დღეს დღეობით. რასაკვირველია, ან რაღა გაღარიბებაღა უნდა ისედაც გაღარიბებულსა და გაძვალტყავებულ თავადაზნაურობას?.. ვისთვისღაა საშიში ეს წოდება?

აგრარული საკითხის შეტანა ჩვენი პარტიების პროგრამებში დამარღვეველი იყო ჩვენი მთლიანობისა, ე. ი. ქართველების ძლიერებისა, ძმას-ძმაზე ასისიანებს და იმ დროს, როცა ერთობა და სოლიდარობა ქართველების სხვადასხვა წოდებათა შორის იყო დიდად და დიდად საჭირო, მით უმეტეს, რადგან საქართველოს ტერიტორიას უქადდა კუთვნილებისამებრ განაწილებას კი არა, უცხო ხალხის ხელში გადასვლას, ხელიდან ჩავარდნილი ლუკმა ჩვენს ჯამში კი არ ვარდებოდა, სხვის ჯამს ემატებოდა. რომელ ჭკვათამყოფელ ადამიანს არ ეწყინება ამგვარი მოვლენა?

ქართველი ხალხი მოძრაობას რომ მომზადებული შეჰხვედროდა, მიწის მობილიზაციის საქმეს სამერმისოდ გადასდებდა და სრულიად სხვა ტაქტიკას დაადგებოდა მოქმედებისას.

ჩვენ ერთმანეთს დავეტაკეთ და ურემი კი შინ მისატანი

დაგვრჩა შუა გზაში გახიდული. ასე მოხდა და კიდევაც ასე მოხდება თუ ადამიანს წინადვე არა აქვს პლანი შედგენილი მოქმედებისა, თუ ადრევე არა აქვს გათვალისწინებული ყველა დამაბრკოლებელი მიზეზები.

ჭავჭავაძეს ამოქმედებდა არა პირადი ინტერესი, პირადი სარგებლობა, არამედ საქვეყნო საქმე, ქვეყნის სიყვარული და მოკვდა მუხთალის ხელით არა როგორც თავადი, არამედ როგორც რწმენისა და აზრის კაცი... მის მოწინააღმდეგეთ, ვგონებ, თვალებიდან ლიბრი ეცლებათ, ჰგრძნობენ დიდს შეცდომა-შეცოდებასა და იმიტომ მოუსვენრად არიან...

დღეს, ვინც ავს ამბობს ილია ჭავჭავაძეზე, მე იმას ილიას მკვლელს ვეძახი. არ არის ასე? ინტელიგენტს, ავის მთქმელს ამ დიდებულ ადამიანზე, არაფრით ვარჩევ იმ რეგვენისაგან, რომელმაც ილიას ხელი შეახო და მის ფიზიკურად მოსაკლავად მახვილი მოიმარჯვა. გაირჩევა კი რითიმე? არაფრით. ვის ვებრძვით? რას ვებრძვით? რატომ არ დავფიქრდებით?!

საქართველოს მაშ დღეს თავადაზნაურობა ჰლუპავს, არა? თავადაზნაურული დაწესებულებანი — ბანკი, სათავადაზნაურო სკოლა? საწყალი თავადაზნაურობა! მგელს მგლობა დაერქვა, ტურამა ქვეყანა ამოაგდოვო! საკვირველი არიან, უფალო, საქმენი შენი! კაცს ეგონება XIX საუკუნის დასაწყისში ვცხოვრობდეთ და იმდროინდელ თავადაზნაურებთან გვქონდეს საქმე.

შეფასება რომ მოხდეს ილიას რწმენისა, მის გრძნობა-აზროვნებისა, აქაც არაფერსა ვპოვებთ მის დამამცირებელს ისეთს, რომ ილია მართლა დასაგმობი იყოს. ნუთუ ავია, მოსაკლავია ის მშობელი, ის მამა, რომელიც არ აბედენებს და ერთნაირად უცქერის, ერთნაირად ეპყრობა ჯანსაღს და მახინჯს თავის შვილებს?!

ვინ დაჰგმო განა მამა უძღები შვილისა შებრალება-შეწყნარებისათვის?

დავგმოთ ჩვენც ჭავჭავაძე იმისთვის თუ მას ებრალებოდა თავადაზნაურობა, არა როგორც წოდება, არამედ როგორც ადამიანები? განა შეიძლება? დიაღ, მას ებრალებოდა თავადაზნაურობა, როგორც დასუსტებული ნაწილი, სუსტის, მცირე-

რიცხოვან თავის ერისა. რა არის აქ დასაძრახისი, რა არის აქ არა ადამიანური?!

ნუთუ არა გჯერათ, რომ მოვა დრო, როცა თავადაზნაურთა წრიდან გამოსულნი სახელოვანი მოქალაქენი, მოღვაწენი და მოაზრენი იქნებიან და ამ მხრივ თუ წინ არ გაუსწრობენ, უკან არ ჩამორჩებიან გლეხის შვილებს?!

მაშ გავსწყვიტოთ ისინი?

ილიაც სწორედ მაგას ამბობდა, ნუ ჰხოცთ თავადებს და აზნაურებს, რადგან ძმები ხართ და დღეს თუ არა შემდეგში მაინც დაუფასებელ ძმობას გაგიწევთო. სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, გულადობა-ვაჟკაცობაში ვერავინ შაეჭიდება, ეს ხომ ყველამ ვიცით. ნუთუ ამ ღირსებასაც ზიზღით შევხედოთ?

ილია რომ ბატონყმობის მომხრე ყოფილიყო, „ოთარაანთ ქვრივს“ როდი დასწერდა. დიდებული ბრწყინვალე თავადიშვილის ქალს, ნაზსა და ნარნარს კესოს ვიღაც ოთარაანთ ქვრივის სასძლოდ არ დაჰსახავდა და არ გვეტყოდა: დაუახლოვდით ერთმანეთს, თავადნო და გლეხნო, რითაც, როგორც კი შაიძლებოდესო. ხოლო უებარ წამლად და საშუალებად ამ ერთობისა მოყვრობა დასახა. ილიამ გლეხისა და თავადის სისხლი ერთნაირი თვისებებისადა სცნო და მათ ერთმანეთში შერევას თავის მადლიანის მარჯვენით ხელიც მოუმართა, რათა გაემთელებინა „ჩატეხილი ხიდი“. ამ ჩატეხილი ხიდის გამრთელება მისი ოცნება იყო, რად გახდა ეს ჩატეხილი ხიდი ილიას ოცნებად? რის გამო? ნუთუ იმიტომ, რომ ის მტერი იყო თავის ერისა? ილია მოღალატე იყო ხალხისა? ავი უნდოდა გლეხობისათვის?!

აღარ ვიცი, რა თქვას და რა ქმნას კაცმა, რა თქვას ისეთი, რომ დაბრმავებულთ აახილონ თვალები და დაინახონ მისი ნათელი, შარავანდედით შემოსილი სახე, — გამოიღონ ყურებიდან ბამბა, გაიგონონ, შეისმინონ მისი ხმა ძმობის, ერთობის და სიყვარულისა. შეიგნონ წესი ქვეყნის სამსახურისა. ილაპარაკეთ, ბევრი ილაპარაკეთ, ბევრი წერეთ, ბატონებო, ილიაზე, რაც შეიძლება ბევრი! მე ვერ გეტყვით გაჩუმდითო, ვერ გეტყვით: დროა ბოლო, ბოლო მოეღოს მითქმა-მოთქმასაო, რადგან მნემოსინა ჩვენის ქვეყნისა არ დაგადუმებსთ, ბევრს დაგაგდებსთ ქადაგად. დაბოლოს ამას ვიტყვი:

ზოგსა კაცსა კაცი ჰქვიან, ზოგსა კაცსა — კაცუნაო; ზოგს დედაკაცს — დედაკაცი, ზოგსა — დედაკაცუნაო“.

ამ წერილის გამოქვეყნებიდან ერთი წლის შემდეგ, 1910 წელს, ერთხელ კიდევ დაიქუხა ვაჟა-ფშაველამ რისხვეულად. დაიქუხა ისევ ილიას გამო, ერისა და სამშობლოს გამო. იმის გამო, რომ კვლავ არ იშლიდნენ ქართველები საქართველოს მამისა და მისი სალოცავი მამულის აუგად ხსენებას.

იმ წელს ქუთაისში ილიას ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო ჩატარდა. საღამოზე ილიელებს ვაჟაც მიეწვიათ. ითქვა სიტყვები, ლექსები, განმსჭვალულნი სამშობლოსა და სამშობლოს მამისადმი უსაზღვრო სიყვარულით. რაღა თქმა უნდა, ვაჟაც იტყოდა, ვაჟასებურად. და აი, ამ თბილ საღამოს მესამე-დასელებმა გაგრილებაც არ აცალეს, რომ იქვე ქუთაისში გამომავალ გაზეთში — „საქმე“ № 84-ში, „ღალღას“ სახელით (ზაქარია გურულის ფსევდონიმი), გამოაქვეყნეს წერილი, რომელშიც ილიასადმი მიძღვნილი საღამო მთელი მისი შინაარსით და იქ წარმოთქმული სიტყვებით ნაციონალისტურად გამოაცხადეს. ვაჟას, — ისევე როგორც ილიას, აკაკის — „ნაციონალიზმი“ სალანძღავ სიტყვად როდი მიაჩნდა. ნაციონალისტობა მისთვის იგივე ერისკაცობა, მამულისადმი თაყვანისცემა და თავდადება იყო და ამდენად „ნაციონალისტობის“ წაყვედრება მას საწყენადაც არ უნდა დარჩენოდა. მაგრამ საქმეც სწორედ ის იყო, რომ „საქმისტებმა“ მათგან მრავალგზის გალანძღული „ქართული ნაციონალიზმი“ იმღამინდელ ორატორებთან ერთად „მიწასთან გაასწორეს“. ეს ნაციონალისტებიო — წერდა „ღალღა“ — ილიას სახელს ექსპლოატაციის საგნად იხდიანო და ხალხს აბრიყვებენო, მაგრამ მალე დადგება დრო, როცა ხალხი ამ „ნაციონალისტებს“ ისევე გამორეკავს, როგორც იესომ გამორეკა ვაჭრები ტაძრიდანო. ვაჟამაც აღარ დააყოვნა და ჟურნალ „განათლებაში“ (1910 წ. № 1) გამოაქვეყნა წერილი, სახელწოდებით — „ქურდის თავზე ქუდი იწვის“, რომელშიც იგი წერდა:

„...ისტორიული წარსული, ბუნება ქართველობისა გვაიმედებს, რომ — ეს „ნაციონალიზმი“ მუდამ იქნება ჯანსაღი და არადროს იგი შოვინიზმად, ფანატიზმად არ გადაიქცევა. ჩვენდა სამწუხაროდ, „საქმეს“ ბანკში სრულიად წინააღმდეგს ვხედავთ, ვხედავთ კოსმოპოლიტიზმს, მაგრამ [illegible]ნჯს, უჯი-

შოს, ფანატიზმით გამსჭვალულს, თავის თავის, თავის ერის უარმყოფელს, ხოლო სხვა ერების ვითომდა მფარველს და მოსიყვარულეს. ვაი ამისთანა სიყვარულს! სიყვარული ერთგვარი უნარია ცხოველთა ბუნებისა და მით უმეტეს, ადამიანისა, დიდი მადლი ბუნებისაგან მინიჭებული ადამიანისათვის, ხოლო, ვისაც თავისი მშობელი დედა არ უყვარს, იგი სხვას როგორ შეიყვარებს, სხვას როგორ მოეპყრობა, როგორც ნამდვილ დედას?.. არა მჯერა, არა მწამს და რა ვქნა! ამისთანა კოსმოპოლიტიზმი უფრო თავმომწონეობა, ყოყლოჩინობაა, მიმბაძველობით გამოწვეული, ერთხელ და ერთხელ დაჩემებულის ჭკუის ღიტინისა, ვიდრე ნამდვილი მიმართულება გულღვიძლიდან ამომდინარე და მასში ფესვებგადგმული, — ეს მიმართულება ჭარისაგან მონაბერია და უნდა ისევ ჭარმა გაფანტოს, განაბნიოს. ან კი რას ვამბობ? განა ამაზე წერა და საუბარი შეიძლება ჭკვათმყოფელთა წინაშე? არა, დიაღ, არა, ვინაიდან იმათთვის ეს გაცვეთილი ჭეშმარიტებაა. მაგრამ რას იზამ, როდესაც კიდევ გვხვდებიან ჩვენში ისეთი ადამიანები, რომელთაც უნდა უმტკიცო, ეფიცო ღმერთი და ჯვარი, რომ ორჯერ ორი ოთხია და არა ოცი და ორმოცი.

ამ საგანს თავი დავანებოთ და ეს ვიკითხოთ: თუ ჩვენ, ნაციონალისტებს, არა გვაქვს უფლება ვიტიროთ და ვიგლოვოთ ილია ჭავჭავაძე, მაშ ვისა აქვს ამის უფლება? ყვავს ბაბალა მოუკვდა და ბუს მიუგდო: დიდი თავი გაქვს, შენ იტირეო! არა, ბატონო საქმისტებო, მართალია დიდი თავი გაქვთ, მაგრამ ჩვენს მკვდარს თქვენს სატირლად არ გავხდით; ჩვენ მოვალენი ვართ თავისი მკვდარი ჩვენ თავად ვიტიროთ, მით უმეტეს, რომ ქართული ანდაზაც ამას გვიკარნახებს: „ყოველ მკვდარს შინ უნდა ჰყვანდეს მოტირალიო!“

ილია ჩვენ საკუთარ მიცვალებულად, დანაკლისად მიგვაჩნია და ვტირით კიდევაც, როგორც გვეხერხება, როგორც ვგრძნობთ, და თუ გშურთ ჩვენთვის მოზარეობის მონოპოლია, ხვალ და ხვალზევით ამ მონოპოლიას თქვენ დაგითმობთ, გაგვიხარდება, ხელ-ფეხს დაგიკოცნით.

თქვენ, ჩემო კარგებო, ის კი არა გწყინსთ, რომ მოზარეობა ილიასი მხოლოდ ჩვენ დავისაკუთრეთ და სხვას არავის ვაძლევთ იმის ვლოვის ნებას, არა. რადგან, ჯერ ერთი, რო ეს ასე არ არის... თქვენ უფრო ის გიკლავთ გულს, ჩვენ

ტრადიციად რად გადავაქციეთ ამ ადამიანის ხსენება. ეს გიკლავსთ გულს, ამას ვერ ინელებთ. რად? რისთვის? არ ვიცი, თქვენც ქართველები ხართ, ჩვენც. ჩვენი დანაკლისი თქვენ დაგაკლდებათ და თქვენი — ჩვენ, მაგრამ არა, რასაც ჩვენ დანაკლისადა ვგრძნობთ, თქვენ ის შემატებად მიგაჩნიათ, და, აი, ეს არის მიზეზი ღალღასი და კომპ. გამოლაშქრებისა ჩვენს წინააღმდეგ. დაფნის გვირგვინნი მილტიადისა არ გვაძლევენ თქვენ მოსვენებასა... ეს, რასაც მოგახსენებთ, ცილის წამებაა? არა!

ჩვენ და თქვენ მკითხველი გაგვარჩევს, ცალ-ცალკე, — გვხედავს კიდევაც. და როგორც გუშინ და გუშინწინ ტყუვდებოდა „საქმისტურის“ ხრიკებით, დღეს იგი აღარა სტყუვდება. თქვენ ძმურად ერთს გირჩევთ, თუ მიიღებთ, გაიგონებთ და ირწმუნებთ: როცა ილია ჭავჭავაძეზე ან იწერება რამ, ან ითქმება, ან მის ხსოვნის პატივსაცემად რამე დღესასწაული გაიმართება, რაც მეტს მდუმარებას გამოიჩენთ, ის გირჩევნიანთ, უფრო მოგებული იქნებით. მოთმინებითა შენითა მოიპოვე სული შენიო, ხომ გაგიგონიათ?.. მოითმინეთ, თორემ ხანდახან ისეთ რამეებს გამოურევთ თქვენ ნაწერ-ნალაპარაკევში, კაცი ეჭვში შეგყავთ, თავადვე არწმუნებთ იმაში, რასაც კიდევ ეჭვის თვალით უცქერის.. არ არის ჯერ ნამდვილად დარწმუნებული და ძალა-უნებურად ათქმევინებთ: „ქურდს რომ ყური უგდოთ, დღეში ცხრაჯერ გამოტყდებაო“...

თქვენ არ უნდა გწყინდესთ კი, თუ ილიას სახელის დამცველნი ხართ, და ღირსეულად აფასებთ მას, არამედ ამისთანა დღესასწაულებში მხურვალე მონაწილეობა უნდა მიიღოთ, რადგან თუ ექსპლოატაციაა ეს, როგორც თქვენა გგონიათ, მხოლოდ იმ აზრით, რომ შემოსული ფული მოჰხმარდება ილიას საყვარელ საქმეს, მის აზრის განხორციელებას. მაგრამ, რა ვქნა, რომ არა ვსთქვა, თქვენ არც ილიას აზრების გამარჯვება გენატრებათ და არც მისი სახელის განდიდება. თქვენ გინდათ, როგორც ხორციელად ავაზაკივით მოკვდა იგი შარაგზაზედ, იდეურადაც მომკვდარიყო. არ მოხდა ასე, რა გნებავთ? რა ღობე-ყორეს ედებით, როგორ გინდათ მოსპოთ ის, რასაც თვით ცხოვრება, ბუნება არ ჰსპობს; საცაა თოვლი მოვა, ზამთარი დადგება, იმას გაზაფხული მოჰყვება;

დღეს ღამე მოსდევს, ღამეს — დღე, თავის წესზე; თქვენს ნებაზე ვერც დააღამებთ, ვერც გაათენებთ... რად გეჯავრებათ ჩვენის ერის განთიადი?

დიაღ, ჩვენ განთიადად მიგვაჩნია, როცა ერი თავის ღირსეულ შვილებს აფასებს ღირსეულად. ვგონებ თქვენს ბანაკშიაც მოიპოვებიან იდეურ ნიადაგზე წამებულნი, თქვენც დაუწესეთ მათ პატივსაცემლად დღესასწაული: ვინ გიშლის,— თუ ჩვენ ილიას სახელით ვესწრაფით განვამტკიცოთ თქვენგან ათვალწუნებული „ნაციონალიზმი“, თქვენც ეცადეთ თქვენის წამებულის სახელის საშუალებით განამტკიცოთ თქვენი საყვარელი, სატრფიალო „ინტერნაციონალიზმი“. იქნება ერმა თქვენდამი უფრო მეტი თანაგრძნობა გამოიჩინოს? არა გაქვთ იმედი? რატომ? ალბათ იმიტომ, რომ ერი უარგყოფსთ, როგორც თქვენ უარჰყავით იგი და ჩვენც გვემუქრებით, „ხალხი გამოგრეკავთ ერთხელაც იქნება, როგორც იესომ ვაჭრები გამოდევნა ტაძრიდან“. თანახმა ვართ, ხოლო ვიდრე ამას მოესწრებით, ჩვენ მაინც ჩვენს სამსახურს არ მოვაკლებთ ამ ერს. თქვენც იმედი გქონდეთ, იხარებდით და იშვებდით, რომ წინასწარმეტყველება თქვენი ასრულდება და ჩვენ, ექსორიაქმნილნი, ვიგონებთ ჩვენს დამარცხებას, და თქვენი მუქარა მართლა მუქარად გამოდგება და არა ყვავებისა და ჩიტების საფრთხობელად“.

ამის შემდგომ კიდევ რამდენიმეჯერ სთქვა თავისი ურყევი სიტყვა ვაჟამ ნაციონალიზმზე, შოვინიზმზე, სეპარატიზმზე,— რისთვისაც ჯერ ისევ ებრძოდნენ ერთმანეთს ილიელები და ანტიილიელები.

„თქვენ მკითხველო,— სწერდა ვაჟა — ალბათ არ იცით, რომ ჩვენა გვყვანან „უიმედონი“ ინტელიგენტები. რომელთაც სხვა არა რა სწამთ და არცა რას დაიჯერებენ გარდა „კოსმოპოლიტიზმისა“. ნაციონალიზმი იმათ არა სწამთ, ნამეტნავად ქართული: ჩვენ ჩვენად არაფერს წარმოვადგენთ, არაფერნი ვართ, თუ სხვა ერს არ შევუერთდით და „ჩვენობა არ უარვყავითო. პატრიოტები იმათი ფიქრით ვიწრო, მოკლე შეხედულებისანი არიან და იმათ კი „ვრცელი შეხედულება აქვთ... ტყუილი მოცდენაა, ამაო შრომაა, ვინც იმას ამბობს, კოსმოპოლიტობას უნდა ვარგოო და ეს სარგებლობა ჯერ თავის ძმებისთვის ვერ მოუტანია, თავის ქვეყნისათვის — რომლის

ღვიძლი შვილია — რომლის ავი და კარგი ესმის (და თუ არ ესმის თავის შინაობის ავი და კარგი, ის სხვისას როგორ გაიგონებს და, მაშასადამე, ან რას არგებს)"...

...ილიას მკვლელობამ გლოვასთან ერთად სინდისისა და ჭეშმარიტების ზარებიც დააჩისხა ქართულ სააზროვნო სამყაროში. უილიაობამ მძიმე საგონებელში ჩააგდო ილიას ქვეყანა — მისი ყოველი სოციალური შრე, ყველა „კლასი" და „დასი". უკიდურეს ფანატიკოსებს რა გაასწორებდა, თორემ ბევრმა კი ნამდვილად დაიწყო თავის ძველ შეხედულებათა „რევიზია", „გადასინჯვა", თუ „ახლებური აზროვნება".

აი, ვთქვათ, სოციალ-დემოკრატიული პარტიის სამი წევრი, პოლიტიკური რწმენით მტკიცენი და შეურყეველნი, რევოლუციონური საქმიანობისათვის გაციმბირებულნი, სამივე ქართველი — იროდიონ ევდოშვილი, საშა გეგეჭკორი და სოსო ჯუღაშვილი — ერთად სხედან და იმ შეცდომებზე ლაპარაკობენ, რომლებიც თურმე თვითონ, ამ „მარად უცთომელ" პოლიტიკოსებს აქამდე მოსვლიათ. მთავარი კითხვა კი — ცთომილობა-უცთომელობის მარად ჰირვეული კითხვა — ისევ და ისევ „ეროვნული კითხვა" ყოფილა, ანუ უფრო დაზუსტებით და „ორი ელემენტის" სრული განუყოფლობით — ერი და ილია.

და აი, რას სწერს 1911 წელს, ციმბირიდან საქართველოში, იროდიონ ევდოშვილი სანდრო შანშიაშვილს:

„...ამ მოკლე წერილით ვერ გამოვთქვამ ყველა იმას, რაც მე მინდა დიდიხანია ვთქვა, რაც შხამის ტბათ ტრიალებს ჩემს გულში და ეს ტბა კი ჩემმა ვაიმეგობრებმა დაატრიალეს. მართალს მწერ, სანდრო, ვიცი რომ იმგვარი გადამთხვეულები, რომლისთვისაც შენ კბილები მოგიმტვრევია, ბევრნი არიან, მლანძღავენ, მჭორავენ, აჭა ვარ, გამოვეცალე იქაურობას, მაგრამ ჩემს ლანდს მაინც უყეფენ და მოპარვით ზურგიდამ მჩხვლეტენ. კარგა ხანია, რაც იმ გველებმა სისინი დაიწყეს. ეს მოხდა იმ დროს, როდესაც ამგვარმავე გადაგვარებულებმა, „გადამთხვეულებმა" როგორ დაახალეს ილიას მოხუც ნაჭირნახულევ გულს ტყვია. ეს ტყვია მეც მომხვდა, როგორც სამგლოვიარო სევდა. მე ხმა ამოვიღე ლექსით, წერილებით და აქ შაწყდა ჩემსა და ამათ შორის შემაერთებელი ძაფი. მაგრამ მე მართალს არ ვამბობ, ძაღი

კი არა ნამდვილი ჯაჭვი. ჯაჭვი იმიტომ, რომ მათთან ვიყავ მე მიჯაჭვული მთელი ათი-თერთმეტი წლის განმავლობაში იდეურათ. მხოლოდ საქმე იმაშია, რომ არავინ იცის როდის დაიწყო ჩემს გულში ბრძოლა, ბრძოლა ორ აზრს შორის: რას ვემსახურო: საქართველოს ერს, როგორც პოლიტიკურად დაჩაგრულ ხალხს, თუ პროლეტარიატს, როგორც ეკონომიურად დაჩაგრულ კლასს? ორივე ჩემთვის ძვირფასი იყო და დღესაც ძვირფასია, მაგრამ როდესაც ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა საქართველოს ხსენებაც კი სათაკილოდ გაიხადეს, როდესაც მისი აწინდელი კვნესა მომავალი სოციალიზმის შვებასთან დააკავშირეს და ცხონებას სიკვდილის შემდეგ დაჰპირდნენ, მაშინ კი ჩემი აზრები ჩემმა გულმა გადაატრიალა მათ წინააღმდეგ. ეს მოხდა ჯერ ისევ 1903 წელს, მაშინ მივანებე კიდეც „კვალში“ თავი მუშაობას. ნელ-ნელა მიდიოდა ეს ნაკადული ჩემს გულში, ჩუმად, მარტოდმარტო ჩემს ფიქრებში, ძნელი იყო თორმეტი წლის ნაჭედი ჯაჭვის გაწყვეტა და აი, ილია დამეხმარა მე თავის სიკვდილით. იმ დღიდან კი სამუდამოდ ვიბრუნე პირი ქართველი სოციალ-დემოკრატებიდან და თუ მივბრუნდი დღეს მათკენ, მივბრუნდი მხოლოდ იმისათვის, რომ მივაფურთხო მათ. ვიმეორებ და შენს ყურადღებას მივაქცევ ორ სიტყვას: ქართველ სოციალ-დემოკრატებისაკენ-მეთქი, იმიტომ, რომ ისეთი უკუღმართი შეხედულობა, როგორც მათ აქვთ ეროვნულ საკითხზე, არც ერთი ქვეყნის დემოკრატს არ აქვს. დააკვირდი და ყურადღება მიაქციე ავსტრიის (ესდეკებს) სოციალ-დემოკრატებს, გერმანელებს და სხვა. მაგრამ თუ დღეს ქართველ მუშას ასეთი უკუღმართი შეხედულება აქვს ეროვნულ საკითხზე, ამაში, რასაკვირველია, ქართველი სოციალ-დემოკრატი ინტელიგენციაა დამნაშავე. მეც ერთი მათგანი ვარ და მინდა ჩემი შეცდომა გამოვასწორო, მე ისიც კარგად ვიცი, სანდრო, ბევრს ამავე მიზეზის გამო შეგნებულ მუშას და ინტელიგენტს გადმოუბრუნდა ჩემსავით გული, მაგრამ ძლიერ ცოტანი ჰბედავენ მათში კერძო ლაპარაკის დროს თავის გულწრფელი აზრების გამოთქმას. წერით ხო ეშინიათ და ემალებიან იმ ზიზღს, რომელიც მე მდევს თან მათი ამხანაგებისაგან. მაგრამ შენ ხო იცი პოეტის გული კალამს ვერ გაამრუდებს, და მეც ვერ გავუძელ გულისთქმას, ვამბობ და

ვწერ იმას, რასაც ჩემი გული მელაპარაკება. მათი ნესტარის ტრიალი დაეჯახა ქიზიყელის ჯიუტ გულს და დღეს უნდა გითხრა მე გამარჯვებული ვარ ამ გველებზე. მათი შხამიანი ისარი ვერ აღწევს მიზანს, თუმცა ძვირად კი დამიჯდა ეს სულიერი ბრძოლა. ბევრი ნაღველი გამოვიარე და ამ ნაღველმა სიკვდილის ჩრდილი დაჰკრა ჩემს სულს".

იროდიონ ევდოშვილისაგან მაინც ნაკლებ საკვირველი იყო ასეთი წერილის დაწერა, რამდენადაც მისი სოციალ-დემოკრატობა თავიდანვე არ გამორიცხავდა საკუთარი ერისა და მამულისადმი ერთგულ სამსახურს, ანუ სოციალიზმისა და ნაციონალიზმის „შერიგებას", თუ „სინთეზს". სამაგიეროდ საკვირველად გამოსჩანს საშა გეგეჭკორის, ამ ურყევი და უმტკიცესი კომუნისტისა და რევოლუციონერის ასეთი წერილი:

„...მე ახლა მივხვდი, რომ საქართველოს პირობებში ყველაზე მწვავე კითხვა ეროვნული კითხვაა. სამწუხაროდ, ამ კითხვას ზურგი შეაქციეს ქართველმა ვაიმარქსისტებმა. ეს დიდად სამწუხაროა, ყველაზე დიდი შეცდომაა მათს მოღვაწეობაში. ეხლა აქ, ციმბირში გადმოსახლებულ მუშებთან იოსებ ჯუღაშვილთან და იროდიონ ევდოშვილთან საუბარში ჩემთვის საბოლოოდ ნათელი გახდა, ეროვნულ საკითხში ჩვენმა შეცდომებმა თუ რა დიდი ზიანი მოუტანა საქართველოს სოციალ-დემოკრატიას. კაცმა რომ თქვას, რა დავუპირისპირეთ ჩვენ ილიას და აკაკის ნათელ ეროვნულ კონცეფციას!—„ჩემი ხატია სამშობლო, სახატე მთელი ქვეყანა?" არაფერი, გარდა ტრაფარეტული, შაბლონური სიტყვებისა და ერის დიდებული მეთაურების წინააღმდეგ უსინდისო ცილისწამებისა".

ჯუღაშვილი ყველაფერ ამას იმახსოვრებდა — კარგად იმახსოვრებდა, რათა შემდგომში, როცა დასჭირდებოდა, კარგადაც გაეხსენებინა! მაგრამ მომავალ „სტალინურ გახსენებას", საუბედუროდ თუ საბედნიეროდ, ვერ მოესწრნენ — ვერც ევდოშვილი და ვერც გეგეჭკორი...

...1915 წელს საქართველოს მოუკვდა აკაკი, და მოუკვდა ვაჟა.

ბოლოს და ბოლოს სამივემ მოიყარა თავი.

და ერთად იწვნენ მთაწმინდაზე:

საქართველოს მამა,
საქართველოს ბულბული,
საქართველოს არწივი.

და ეს ღვთივკურთხეული სამეული კმაროდა მთაწმინდის თავსაფრის ყურის ტოლა მიწისთვის.

კმაროდა.

მაგრამ აკმარებენ?

ვაი, თუ ისეთებიც ჩაუწვინონ, ძალისძალად, მთაწმინდის მიწას — ერთხელაც არის მიწამ უღირს ლეშთა უკანვე ამონთხევის უნარიც გაიჩინოს?!

ილიას წინააღმდეგ ბრძოლას კვლავ დაჟინებით და გახელებით განაგრძობდნენ მესამე-დასელნი.

და მოულოდნელად, წიწამურის ტრაგედიიდან 29 წლის შემდეგ მესამე დასელთაგან ყველაზე დიდს, მართლა დიდსა და დიადს, დასჭირდა ილიას ღვთაებრივი სინათლით გაენათლებია და გაებრწყინებია მსოფლიოში ველურობის ეჭვქვეშ მიმწყვდეული მისი გენეალოგიური ფესვები.

შოთას და ილიას სახელთა საშუალებით საქვეყნოდ უნდა თქმულიყო, რაოდენ დიდი კულტურის მქონე ქვეყნის ნაშიერი ყოფილა მსოფლიო სახელმწიფოს ახალი მსოფლიო მესაჭე!..

და — ილია აღსდგა!

და მრავალი მამულიშვილის გათოშილი გული გაათბო ამ „ახალმა აღდგომამ".

რა ვუყოთ, რომ ბევრმა ფუნქციონერმა ხელიც მოითბო: მთავარი იყო, საქართველოს რომ გაუთბა გული და სისხლი...

მაინც ილიას აპოთეოზი იყო — ქრისტეს შობიდან 1987 წელი.

ანუ — თვითონ ილიას შობიდან — 150 წელი.

ამ წელს საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდმა მიიღო გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა:

„მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ილია II-ის თავმჯდომარეობით ა. წ. 7/20/ ივლისს შედგა საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდის სხდომა, რომელმაც ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 150

წლისთავთან დაკავშირებით განიხილა მისი ღვაწლი ჩვენი ერისა და ეკლესიის წინაშე.

წმიდა სინოდმა აღნიშნა, რომ ილია ჭავჭავაძე ქართველი ერის მიერ დიდი ხანია მიჩნეულია წმიდანად და მეოხად ჩვენდა წინაშე ღვთისა.

სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმიდისათა წმიდა სინოდმა განაჩინა:

ერისა და ეკლესიის წინაშე გაწეული დიდი ღვაწლისათვის ილია ჭავჭავაძე შერაცხილ იქნას წმიდანად და ეწოდოს მას ილია მართალი.

მისი ხსენების დღედ დადგინდეს 20 ივლისი (2 აგვისტო);

დაიწეროს წმიდანისათვის საჭირო ლოცვები;

შეიქმნას შარავანდედით მოსილი წმ. ილიას ხატი.

წმიდა სინოდის თავმჯდომარე — ილია II-სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი

წმიდა სინოდის წევრნი:

ალავერდელი მიტროპოლიტი გრიგოლი (ცერცვაძე)

ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი დავითი (ჭკადუა)

ბათუმ-შემოქმედელი მიტროპოლიტი კონსტანტინე (მელიქიძე)

აგარაკ-წალკის მთავარეპისკოპოსი თადეოზი იორამაშვილი)

ბოდბელი მთავარეპისკოპოსი ათანასე (ჩახვაშვილი)

ნიკორწმინდელი ეპისკოპოსი ამბროსი (ქათამაძე)

მარგველი ეპისკოპოსი ქრისტეფორე (წამალაიძე)

ახალციხისა და სამცხე-ჯავახეთის ეპისკოპოსი ანანია (ჯაფარიძე)

ჰყონდიდელი ეპისკოპოსი ვახტანგი (ახვლედიანი)

წილკნელი ეპისკოპოსი ზოსიმე (შიოშვილი)

ქუთათელ-გაენათელი ეპისკოპოსი კალისტრატე (მარგალიტაშვილი)".

დაიწერა ტროპარი წმიდისა ილია მართლისა:

„ღვაწლითა და სისხლითა შენითა უდაბნოი იგი

სოფლისაი მოიმუშაკე, და გონებითა ღვთივბრწყინვალითა დაცემულნი კვალად აღგვადგინენ. ჰეშმარიტებაი სთესე და გვირგვინი უკვდავებისაი მოიპოვე; სიმართლისათვის დაითმინე და ზესთასოფელი დიდებისაი დაიმკვიდრე;

ძეო ქართველთა ერისაო, ერისათვის წამებულო, წმიდაო ილია მართალო, ყოვლად დიდებულო, ევედრე ქრისტესა ღმერთსა ძმათა შენთათვის, შეწყალებად სულთა ჩვენთათვის".

დაიწერა ლ ო ც ვ ა, მუხლთმოდრეკით სათქმელი წმიდისა და მართლის — ილია ჭავჭავაძის მიმართ:

„ჰოი, ყოვლად წმიდაო, ილია მართალო, ღვთისა მიერ წმიდისა სამებისა შეყვარებულო. მაცხოვრის მიერ ქადაგებული სიყვარულის კეთილად აღმასრულებელო და დამცველო, მამად ქართველთად წოდებულო და ყოვლისა ჭირვეულისა და დაწუნებულისა შემწეო და მათთვის შრომათა დიდთა და ბრძოლათა თავსმდებელო.

ჰოი, მართალო ილია, ღვთისადმი მტკიცედ მორწმუნეო და მეცნიერებითა სრულითა სჯულისა აღმასრულებელო, რომელსა ჰეშმარიტად გიყვარდა უფალი ჩვენი იესო ქრისტე და იყავ მობაძავ მისა ცხოვრებითა შენითა, რომელი არა კაცთაგან იყავ დადგინებულ, არამედ უფლისა მიერ იქმენ გამორჩეულ პატრონად ერისა ჩვენისა, არა ოდეს დეგიტევებია სამწყსო შენი ჟამსა იხილვიდი რა მგელთა მტაცებელთა, სრულიად განმწირველი თავისა შენისა, იდეგ მხნედ და ღვთისა მიერ განმტკიცებული ყოვლად უშიშრად ებრძოდი მათ და არა უტევებდი სამწყსოისაგან შენისა არცა ერთისა ოდენ სული ერისა ცხოვარისა წარტაცებად.

ჰოი, მამაო ქართველთაო, წმიდაო ილია, რომელმან ღვთისა მიერ ზეგარდმოვლენილი მაღალი ნიჭი და ძალი შესწირე კაცთა შორის წმიდა გრძნობათა და სიყვარულის განმტკიცებას, მუხლთმოდრეკით შეგივრდებით მკვიდრნი შენს მიერ ნამოღვაწარნი ვენახისანი, შეგივრდებით და გეუბედრებით, რათა აწ და მარადის შუამავალ ექმნე ერსა ჩვენსა და ყოველსა სულსა გაჭირვებულსა და დაწუნებულსა, წინაშე ღვთისა ყოვლად მოწყალისა,

რათა მოგვანიჭოს ჩვენ სიყვარული მამულისა და მოყვასთა, მოწყალება, სიხარული, შენდობა შეცოდებათა ჩვენთა. ევედრე, წმიდაო მართალო მამაო, მოწყალესა ღმერთსა, რათა უმეტესად შეეწეოდეს ღვთივ-დაცულსა ერსა და ეკლესიასა ჩვენსა.

ევედრე, მამაო წმიდაო უფალსა, რათა მოანიჭოს შენგან შეყვარებულსა მამულსა შენსა მშვიდობა, შვილთა შენთა ურთიერთ სიყვარული, ქრისტიანული განათლება და კეთილწარმართებული ცხოვრება და მოღვაწეობა; ნუ მოგვაკლებ შეწევნასა შენსა, მართალო, აწ და უკუნისამდე, ამინ!

დედოფალო მარიამ, ბრწყინვალებაო ყოველთა წმიდათაო, ლოცვითა და ვედრებითა წმიდისა და მართლისა ილიასითა, ევედრე ძესა შენსა და უფალსა ჩვენსა იესოს, რათა მოგვანიჭოს შენდობაი შეცოდებათა და ღირს გვყოს სუფევად დიდებასა შინა თვისსა უკუნისამდე, ამინ!“

და — ქადაგება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ისა, 20 ივლისს (2 აგვისტოს), საქართველოს სამეუფო პასტოფორიონში, სვეტიცხოველში:

წმიდა ილია მართალი

„და აღვამაღლე რჩეული ერისაგან ჩემისა“
(ფს. 88.19)

„წმიდაა იგი, ვისაც ეღირსა მამულისათვის
თავის დადება“ („აჩრდილი“).

— ჩვენთან არს ღმერთი.

მრევლი — არს და იყოს.

დიდი დღეა დღეს. დღევანდელ დღეს წმიდა ეკლესია ზეიმობს ილიაობას, ილია წინასწარმეტყველის დღეს, რომელიც თავისი დიდი რწმენით, თავდადებით ისრაელში იცავდა ჭეშმარიტ სარწმუნოებას. ქართველმა ერმა მრავალი ტაძარი ააშენა ილია წინასწარმეტყველის სახელზე, მის სახელს ატარებდა ჩვენი დიდი წინაპარი — ილია ჭავჭავაძე. ყოველ წელიწადს იგი დღესასწაულობდა წმიდა ილია წინასწარმეტყველის დღეს, ილიაობას.

ამიერიდან კი ჩვენ, ქართველები, წმიდა ილია წინასწარმეტყველის ლოცვა-კურთხევით, მუდამ ვიზეიმებთ ჩვენი ახალი წმიდანის, დიდი ქართველი მწერლის, საქართველოს უგვირგვინო მეფის, მისთვის წამებულისა და მისი გადამრჩენლის, ილია ჭავჭავაძის — ილია მართლის დღეს.

ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობა იწყება საქართველოსთვის საბედისწერო ჟამს, როცა ჩვენმა სამშობლომ დაკარგა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, როცა საქართველოს ეკლესიას მოჰკვეთეს თავი და დაუმორჩილეს რუსეთის ეკლესიის სინოდს, როცა ერის სული იყო ჩამკვდარი, სიწმიდე შელახული, — ბეთლემი უკაცური.

ამ დროს, ღვთის განგებით, მოგვევლინა ილია, როგორც წინასწარმეტყველი და მქადაგებელი, როგორც „ხმა მღაღადებელი უდაბნოსა შინა“, სიტყვა მართალი და ჭეშმარიტი, რათა ბიბლიურ მოსესავით აეღო მოწამებრივი ტვირთი ერის წინამძღვრისა.

მისი გენია, მისი საოცარი ნებისყოფა მირონცხებული და შინაგანად მომზადებული აღმოჩნდა ამ ისტორიული მისიისათვის.

თითქოს ილიაზე განმეორდა იერემია წინასწარმეტყველისადმი თქმული უფლის სიტყვები: „ვიდრე გამოხვიდოდი შენ საშოდან, მე განგწმიდე შენ, წინასწარმეტყველად ხალხთა დაგადგინე შენ“ (იერემია, 1, 4—5).

მან იტვირთა ჯვარი სრულიად საქართველოისა და შეუდგა გოლგოთის აღმართს.

მან გაბედულად აღიმაღლა ხმა ადამიანთა უფლებების დასაცავად: დაჰგმო სიკვდილით დასჯა, როგორც უმკაცრესი ზომა სამაგიეროს მიზღვისა, როგორც უკიდურესად მიწიერი და არაქრისტიანული ქმედება.

ილიამ იცოდა, დამოუკიდებლობისათვის ჩვენს ბრძოლასა და ეროვნულობის შენარჩუნებაში, რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქრისტიანულ რწმენას, ამიტომაც სათავეში ჩაუდგა საქართველოს ეკლესიისთვის უკანონოდ მიტაცებული ავტოკეფალიის აღდგენის საქმეს.

სწამდა, იმ ქვეყნისა, რომელიც ჯვარს ეცვა ჯვარცმული მაცხოვრისათვის, იმ ხალხის, რომელმაც თავის მკერდზე დაუდგა ქრისტიანობას საყდარი, ქვად საკუთარი ძვლები

იხმარა, კირად კი — სისხლი, რომელსაც ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ შემუსრავენ.

სწამდა, რომ მისი თანამედროვე საქართველოს გადარჩენა მხოლოდ ქრისტიანული სარწმუნოების განმტკიცებას შეეძლო, რომ ესწავლა ხალხს გარჩევა კეთილისა და ბოროტისა, ცოდვისა და მადლისა, ჩასწვდომოდა ცხოვრების არსსა და მიზანს, პიროვნების დანიშნულებას, ეგრძნო ჭეშმარიტი თავისუფლება და ბედნიერება... იგი სულშეძრული წერდა:

„სად არის იგი მღაღადებელი,
ქვეყნის ხსნისათვის, — ჭეშმარიტება?
სად არის იგი, ბიწის მდევნელი,
ჯვარცმულის ღმერთის მაღალი მცნება?“

ილიას ცხოვრების ეტლმა, ილია წინასწარმეტყველის ეტლის მსგავსად, ცეცხლის კვესებით გადაუარა საქართველოს ცას და წარუშლელი კვალი დატოვა ჩვენში.

გარდაცვალება არ ეთქმის მის სიკვდილს. ეს იყო ჯვარცმა და მსწრაფლამაღლება. ეს იყო გარდასახვა, თითოეულ ქართველში განბნევა და მასში ერის სიყვარულად აღდგომა.

დიდებულად ბრძანა დიდმა აკაკიმ: თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, მაშინ შენც მასთან ერთად უკვდავი იქნებიო.

ზეციური საქართველოს მკვიდრი, მიწიერი საქართველოს თანამდევი ილიას ნათელი, უკვდავი სული ჭეშმარიტად დღესაც თავს დაგვტრიალებს.

გვსურს ვაუწყოთ მრევლს, ჩვენს მორწმუნე ხალხს, რომ საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდმა აღასრულა თავისი ვალი და ილია ჭავჭავაძე — ი ლ ი ა მ ა რ თ ა ლ ი წმიდანად შეარაცხა.

ამიერიდან მისი სული იკიაფებს იმ სათაყვანებელ თანავარსკვლავედში, გზას რომ უნათებს მრავალტანჯულ, მაგრამ სულიერად გაუტეხელ, ყოველგვარი ბოროტების წინაშე ქედუხრელ ქართველ ერს.

ეს არ არის უბრალო განჩინება, ეს არის დიდი განგება ღვთისა... წმიდა სამებამ — მამამ, ძემ და სულიწმიდამ, გამოხატა თავისი ნება და გამოაჩინა ახალი ბრწყინვალე წმიდანი, რომელიც იქნება მფარველი ჩვენი ერისა. ეს წირვა არის მი-

სი პირველი დღესასწაული. ქართველი ერი ზეიმობს ილია მართლის, როგორც წმიდანის დღეს. ეს კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, რომ ჩვენთან არს ღმერთი.

უნდა ვიცოდეთ:

დიდი ილია ჭავჭავაძის წმიდანად შერაცხვა არ არის მხოლოდ აღიარება მისი დამსახურებისა (დამსახურება კი მისი ერისა და ეკლესიის წინაშე მეტად დიდია). ეს არის უფრო მეტი. როცა ხდება ამა თუ იმ პიროვნების წმიდანად კანონიზირება, ღვთის ლოცვა-კურთხევით, მას ეძლევა განსაკუთრებული მადლი, განსაკუთრებული ძალა ერის შეწევნისა. ამიერიდან წმიდა ილია ჭავჭავაძე, — წმიდა ილია მართალი არის შუამდგომელი წინაშე ღვთისა ჩვენი ერისა და ეკლესიისათვის.

რით დაიმსახურა წმიდა ილია მართალმა ეს პატივი? რა თქმა უნდა, თავისი ღვაწლითა და მოწამებრივი აღსასრულით.

წმიდანად აღიარების შემდეგ ილია არის არა მარტო პოეტი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე, არამედ გამორჩეული მოძღვარი, მქადაგებელი სიკეთისა და სიმართლისა, რწმენისა. წმიდანად აღიარების შემდეგ იგი არის დიდი სულიერი მფარველი ჩვენი, დამხმარე, შუამდგომელი წინაშე ღვთისა. იგი ამიერიდან არის მფარველი ჩვენი კულტურის, ჩვენი მწერლობის, ჩვენი ახალგაზრდობის, ჩვენი მომავალი თაობის.

მე მინდა მოგილოცოთ ეს ბედნიერი დღე, მოგილოცოთ თქვენ და თქვენთან ერთად მივულოცო სრულიად საქართველოს.

ადამიანი და ერი რომ იყოს ძლიერი სულიერად და ფიზიკურად, უნდა იყოს ღვთისმოშიში, უნდა იყოს ღვთისადმი მლოცველი. ჩვენ დღეს წმიდა სამების განგებითა და, ასევე, დედა ღვთისმშობლის ლოცვითა და მფარველობით, რომლის წილხვედრიცაა ჩვენი ერი, შეგვემატა დიდი ძალა.

წმიდა ილია წინასწარმეტყველის ლოცვით, წმიდა ილია მართლოცვით ღვთისმშობელმა დედამ დაიფაროს თავისი დედობრივი კალთით სრულიად საქართველო.

შემთხვევითი არ არის, რომ ილიას ეწოდა მართალი. უზენაესი სიმართლე საღვთო წერილის მიხედვით, არის ღმერთი

და სიმართლის მქადაგებელი, უპირველეს ყოვლისა, თვითონ უნდა იყოს მატარებელი სიმართლისა, თვითონ უნდა ცხოვრობდეს ამ სიმართლით. წმიდა ილია მართალი სწორედ ამ სიმართლით ცხოვრობდა და სიმართლეს ქადაგებდა.

სიმართლე არ შეიძლება დაეტიოს ერთ ადამიანში, ისევე, როგორც სიწმიდე და მადლი. ისიც იღვრება, ეფინება ხალხს. ილია მართალი დაადგა მაცხოვრის გზას. ეს კი არის გზა გოლგოთისა, რომელიც თუმც მძიმეა, მაგრამ აღდგომითა და ამაღლებით მთავრდება.

წიწამური ჩვენი წმიდა გოლგოთაა, წმიდა სამსხვერპლოა. სამსხვერპლოა ყველა მათი, ვინც იცავს ჭეშმარიტებას, სიმართლეს.

შევთხოვ ღმერთს, წმიდა ილია მართლის ლოცვით, უფრო მეტად განამტკიცოს ჩვენი ერი ჭეშმარიტ სარწმუნოებაში, სიყვარულში, სიკეთეში.

შევთხოვ წმიდა ილია მართალს, იყოს აწ და მარადის გამორჩეულად მფარველი ჩვენი ახალგაზრდობისა, ჩვენი სტუდენტობისა. ამიერიდან ჩვენი ახალგაზრდობა მიმართავს მას განსაკუთრებული ლოცვით, თხოვნით, ვედრებით და ღვთის მადლით, ასრულდება მათი ნატვრა:

ორივე ილიას მადლი გეწეოდეთ, ღმერთმა დალოცოს ჩვენი დიდი წინაპარი, წმიდა ილია მართალი. ამიერიდან ის, როგორც ბრწყინვალე ვარსკვლავი ჩვენს წმიდათა შორის ბრძანდება.

მისი შეწევნა არ მოგაკლოთ ღმერთმა თქვენ და სრულიად საქართველოს".

. . . .

მაშ, ახალ ცხოვრებას იწყებდა ძლევამოსილი ერისუფალი, წმიდა ილია მართალი, შუამდგომელი წინაშე ღვთისა — ერისა, ენისა და სარწმუნოებისათვის.



ექვთიმე თაყაიშვილი

აქართველოს ორი დიდი ექვთიმე ჰყავდა და ორივე წმინდანი — ექვთიმე ათონელი და ექვთიმე თაყაიშვილი.

და, შეიძლება, აძ ორ წმინდანს ასედაც დავარქვათ:

ე ქ ვ თ ი მ ე I,

ე ქ ვ თ ი მ ე II.

ექვთიმე (ეფთვიმე) პირველზე, ათონელზე ანუ მთაწმიდელზე, ჩვენ უკვე ვისაუბრეთ ადრე. ახლა კი ექვთიმე მეორეზე, ანუ თაყაიშვილზე წარვმართოთ თხრობა.

1863 წლის 5 იანვარი. გურია. ოზურგეთის მაზრა. სოფელი ლიხაური.

აზნაურ ს ვ ი მ ო ნ თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს ოჯახში დაიბადა მესამე ძე, რომელსაც სახელად დაარქვეს ე ქ ვ თ ი მ ე.

მოწამებრივი ცხოვრებით სვლა დაბადებითვე ბედად დაჰყვა ახალნაშობ ყრმას. დაბადებიდან მეხუთე დღეს მოუკვდა მამა და, ამრიგად, მამის სიყვარულთან და მამობის განცდასთან სავსებით უზიარებელი დარჩა. მეხუთე წელს დედა მის ლოგინში, მისსავე მკერდზე მიხუტებული მოუკვდა და ამრიგად, დედობის ღვთაებრივი მადლისაგან მისი გაცივებული სხეულის განცდის გარდა სხვა აღარაფერი შემორჩენია.

და კიდევ — ყრმობის ჟამსვე, სამი წლისამ, მარჯვენა ფეხი მოიტეხა, ცუდად შეხორცებული ფეხი საგრძნობლივ დაუმოკლდა და სამუდამო კოჭლადვე დარჩა. დედმამიშვილებსა და სანათესაოს მისი კოჭლობისა ეუხერხულებოდათ და სტუმრად „გამოჩენა“ ერცხვინებოდათ...

7 წლის ექვთიმე, მის ბავშვობაში „საგარეო ტანსაცმლით“

პირველად მორთული, შეიყვანეს ოზურგეთის ორკლასიან სასწავლებელში. ორი წლის შემდეგ ოზურგეთიდან ფოთში გადავიდა და იქ სამაზრო სასწავლებელში ერთი წელიწადი ისწავლა. 1875, წელს, მისმა მეურვე სიძემ ჩასთვალა, რომ ობლისთვის „ამდენი სწავლა“ საკმარისი იქნებოდა და ფოთიდან ისევ ლიხაურში ჩამოიყვანა. მაშინ ექვთიმე 12 წლისა იყო, სწავლასა და ცოდნას უსაზღვროდ მოწყურებული. ერთი წელიწადი კი „შეინახა“ თავის სოფელში, სანადირო მიმინოების გაწრთვნითა და ნადირობით გატაცებულმა. მომდევნო 1876 წელს კი უფროსმა ძმამ, ნიკომ წაიყვანა ქუთაისში. იქ, მდგმურის ადგილმონაცვლეობით, ხელმოკლეობით, სანახევროდ შიმშილ-წყურვილით, მაინც იმდენი იშრომა, ისწავლა, და იბრძოლა, ბოლოს პროგიმნაზიაში მოწყობილიყო. 1879 წელს პროგიმნაზია წარმატებით დაასრულა და კლასიკური გიმნაზიის მეხუთე კურსზე განაგრძო სწავლა.

იმ წელსვე რაჭაში, სოფელ უწერაში წავიდა, იქაურ წყლებზე მტკივანი ფეხის სამკურნალოდ. თან რაჭის ისტორიული ძეგლები შეისწავლა, ადგილობრივი ეთნოგრაფიული ტრადიციებით იკვლია და, ამ მასალების საფუძველზე, 1880—1881 წლების ჟურნალ „ბედში“ გამოქვეყნდა მისი პირველი მეცნიერული შრომა — „ქუთაისიდან უწერამდე“.

გიმნაზიაში ექვთიმე თაყაიშვილი დაუახლოვდა და დაუმეგობრდა ნიკო მარს. ერთიც და მეორეც, მათი გასაოცარი ნიჭიერებისათვის, საგანგებო ყურადღების ქვეშ ჰყავდა გიმნაზიის მაშინდელ დირექტორს, პროგრესულად მოაზროვნე სტოიანოვს.

1883 წელს ექვთიმემ წარჩინებით დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია და იმავე წელს იგი სწავლის გასაგრძელებლად შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე. აქ მას ლექციებს უკითხავდნენ ცნობილი მეცნიერნი — ბიზანტინისტი ვასილი ვასილევსკი, ლინგვისტი ივანე მინაევი, სლავისტი ვლადიმერ ლამანსკი, ფილოსოფოსი მიხეილ ვლადისლავოვი.

ერთი წლის შემდგომ, ნიკო მარიც გამოჩნდა პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე. ქართველ სტუდენტებს უკვე ძლიერი სათვისტომო ჰქონდათ იმპერიის სატახტოში. ჰქონდათ მუდმივი შეხვედრები, ბჭობანი, განსჯა-

ნი, პაექრობანი. მათი მთავარი საფიქრალი, საზრუნავი და „საკითხავი“ ისევ და ისევ იყო საქართველო, მისი წარსული, აწმყო და მომავალი. ახალგაზრდა ქართველთა ამ აზრობრივ დუღილს საერთო სახელად კვლავ ერქვა „თერგდალეულობა“, რომლის სულისჩამდგმელი და წარმმართველი იყო ილია ჭავჭავაძე.

ექვთიმე თაყაიშვილი პეტერბურგში პირადად გაეცნო ჯერ ილიას, მერე, უფრო გვიან ჩამოსულ ვაჟა-ფშაველას. ხოლო აკაკის ექვთიმე პეტერბურგამდეც კარგად იცნობდა — ქუთაისიდან. ქართველი ხალხის ეს სალოცავი სამეული დიდი პატივისცემით, სიყვარულითა და იმედოვნებით უცქერდა ახალგაზრდა თაყაიშვილის წინსვლას.

ექვთიმემ პეტერბურგის უნივერსიტეტი დაასრულა, საკანდიდატო ნაშრომიც დაიცვა და, 1887 წელს, საქართველოში დაბრუნდა. აქ, თბილისში, სათავადაზნაურო გიმნაზიის დირექტორმა, ალექსი ჯიჯინაძემ, იგი მიიწვია ლათინურის მასწავლებლად.

80-იანი წლები მთელი იმპერიისათვის და განსაკუთრებით საქართველოსათვის, უმძიმესი რეაქციის წლები იყო. რუსხელმწიფის სამოხელეო-ბიუროკრატიული ხროვა განსაკუთრებული სიამკარავითა და აღვირახსნილობით ცდილობდა საქართველოში რუსიფიკატორული პოლიტიკის დამკვიდრებას — ქართული ენის განდევნას და გადავლენას, ქართული კულტურის, ტრადიციისა და ზნის ძირფესვიანად ამოძირკვას.

ამ უმძიმეს ჟამს ერის სულიერი გადარჩენისა და განმტკიცების სადარაჯოზე თავგანწირვით იბრძოდნენ დიმიტრი ყიფიანი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, იაკობ გოგებაშვილი, ვაჟა-ფშაველა, სერგეი მესხი და სხვანი, რომელთა შორის ერთ-ერთი ძლიერ მოქმედი მამულიშვილი იყო ექვთიმე თაყაიშვილიც.

ექვთიმემ გიმნაზიაში მუშაობის დაწყებისთანავე მიიპყრო ყურადღება ერის მაშინდელ სულიერ მოძღვართა წრეში და სულ მალე, 1888 წელს, იგი შეიყვანეს „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გამგეობის წევრად. და მაშინვე, არჩევის დღიდანვე, ექვთიმე თაყაიშვილი შეიქმნა ყველაზე ცხოველი და დაუსვენარი მუშაკი „საზოგადოების“

ფონდში შემოსული ხელნაწერებისა, არქივებისა. თვითონვე იხსენებდა შემდგომში:

„საზოგადოების წევრი რომ გავხდი, მივიხედ-მოვიხედე; შევიტყვე, რომ იმ ძვირფას ხელნაწერებს კაცი პატრონი არა ჰყავდა და ძალაუნებურად მოვკიდე ხელი, დავუწყე პატრონობა. მერე თანდათან გამიტაცა, შემიყვარდა და ვიწყე ზრუნვა დაღუპვისაგან მათ გადარჩენაზე. თან ახალ-ახალსაც ვაგროვებდი, შემოწირულით აღარ ვჯერდებოდი. საზოგადოების ხარჯზე შეძენაც დავიწყე. სხვადასხვა კუთხეში მიმოწერა გავაჩაღე, აგენტები გავიჩინე“.

თან, გზადაგზა, ხელნაწერთა აღწერილობებს აქვეყნებდა გაზეთ „ივერიაში“.

ექვთიმე თაყაიშვილის ამ პირველ სამეცნიერო-სამოღვაწეო ნაბიჯებს მტკიცე ნიადაგი მოუმზადა უკვე ფრიად სახელმოხვეჭილმა ისტორიკოსმა დიმიტრი ბაქრაძემ, რომელსაც ექვთიმე შეხვდა მალე, თბილისში ჩამოსვლიდან და გიმნაზიაში მასწავლებლობის დაწყებიდან ერთ წელიწადში. დიმიტრი ბაქრაძემ პირველ შეხვედრისთანავე მოიწონა ახალგაზრდა თაყაიშვილის ნიჭი და გზნება, მოიწონა და მაშინვე, მისგანვე ახლად დაარსებული საეკლესიო მუზეუმის გამგეობაშიც შეიყვანა წევრად. ამის შემდეგ ისინი ხშირად ერთად მოგზაურობდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში, ერთად ეძებდნენ, კრებდნენ ძველ ქართულ ხელნაწერებს, სწავლობდნენ და აბინავებდნენ მუზეუმში.

1888 წელს ექვთიმემ შეისწავლა და გამოიკვლია „პარხლის სახარება“. ამას მოჰყვა შატბერდული „მოქცევაი ქართლისაის“ ახლებური წაკითხვა, რკვევა და დათარიღება. სხვათა შორის, ამ ნაკვლევის მეცნიერულ სამსჯავროზე გამოტანას ილია ჭავჭავაძეც დაესწრო და დიდი მოწონებითაც მოისმინა ახალგაზრდა მკვლევრის მოსაზრებანი.

1890 წელს ექვთიმე თაყაიშვილმა ერთად თავი მოუყარა და გამოაქვეყნა „სამი ისტორიული ქრონიკა“, სადაც წარმოდგენილია — „მოქცევაი ქართლისაი“, „სუმბატის ქრონიკა“ და „მესხური მატიანე“. ამ გამოცემამ მაშინდელ ქართულ საზოგადოებაში დიდი ინტერესი და ცხოველი პაექრობაც გამოიწვია. „სამმა ქრონიკამ“ ექვთიმე თაყაიშვილი ერთბაშად მაშინდელ დიდ სამამულო მოღვაწეთა გვერდით დააყენა. 1892

წლის „ივერიის“ საახალწლო ნომერში აკაკი წერეთლის, იაკობ გოგებაშვილისა და სხვათა გვერდით ექვთიმეზეც გამოქვეყნდა საახალწლო მილოცვა, ლექსად:

„სამების ძალა ვახსენე,
„სამი ხრონიკა“ დავწერე.
და დიაკვანთ გადამკიდე
სულ თავ-ბედი ვიწყევლე.
ერთი გამოდის, დამჭყივის, —
რით მოგაქვს თავი, რითაო?
ნახე, რა საქმეს დაგმართავ
სულ გათრევ ქოჩრის თმითაო
და რაც სხვებმა მე დამმართეს,
ის ნუ მისცეს ღმერთმა თქვენს მტერს“.

კიდევ, იმავე წლის 5 იანვრის „ივერიაში“ კვლავ გამოჩნდა ექვთიმეს სახელი, ამჯერად ილია ჭავჭავაძის, ნიკო ნიკოლაძისა და იაკობ გოგებაშვილის გვერდით: აქ ექვთიმეზე ეწერა:

„მეცნიერი კაცი ხარ.
უნდა იყო დინჯადა.
„კატალოგს გაუფრთხილდი
არ მოექცე ხინჯადა.
საქმე არ გაგვიფუჭო
გიცნობთ კაი ბიჭადა,
სასარგებლოს გასწავლის
ვინც რომ გიდგას კრიჭადა“.

1891 წელს ექვთიმე თაყაიშვილმა ისევ აალაპარაკა ქართული ინტელექტუალური საზოგადოება ახალი გამოცემით— „ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა ანუ მეორე ნაწილი ქართლის მოქცევისა“.

პარალელურად იგი არქეოლოგიურ ძიებებს აწარმოებდა. 1889 წელს ბაგინეთს წამოიწყო გათხრები, ილია ჭავჭავაძის წაქეზებითა და ხელშეწყობით. ორი კვირის გათხრებმა საგრძნობი შედეგებიც მოიტანა, მაგრამ უსახსრობის გამო მუშაობა ვეღარ გაგრძელდა.

ამასობაში ნიკო მარი დაბრუნდა პეტერბურგიდან. მეგობრები ერთმანეთს შეხვდნენ. ერთხანს ერთად იმუშავეს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხელნაწერთა ფონდში. მერე ნიკო მარი სომხეთს წავიდა სამუშაოდ და

იქიდანაც სისტემატიური მიწერმოწერა ჰქონდა ექვთიმესთან.

1892 წელს ექვთიმე თაყაიშვილი ილია ჭავჭავაძეს გვერდში უდგა ნიკოლოზ ბარათაშვილის გადმოსვენებისას, განჯიდან თბილისს. მალე ექვთიმეს თავგამოდებით და მისი რედაქტორობით (დავით კარიჭაშვილთან ერთად) „წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ გამოსცა ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა პირველი სრული კრებული.

1893 წელს ექვთიმე თაყაიშვილმა ცოლად შეირთო ივანე პოლტარაცკის ქალიშვილი, ნინო.

ივანე პოლტარაცკი, დედით ქართველი, დაბადებით ჭუთაისელი, ილია ჭავჭავაძის გიმნაზიის მეგობარი იყო. მან რუსულად თარგმნა ილიას „მგზავრის წერილები“ და „კაცია-ადამიანი?!“ ივანემ თავის პირველ ვაჟს (პირველი ცოლისაგან) ილია დაარქვა და ილიასვე მოანათვლინა (ილია ივანეს ძემ 1944 წლამდე იცოცხლა და პარიზში აღესრულა). ივანე პოლტარაცკიმ მეორე ცოლად შეირთო ნინო, გაბაშვილის ქალი, რომლისგანაც მას შეეძინა ხუთი ასული და ერთი ვაჟიშვილი. ივანე გარდაიცვალა 1892 წელს და მის დაკრძალვაზე პირველად იხილეს ატირებული ილია ჭავჭავაძე...

და ექვთიმე თაყაიშვილმა ჯვარი დაიწერა პოლტარაცკი-გაბაშვილის ერთ-ერთ ასულზე, ნინოზე, რომელმაც სიცოცხლის აღსასრულამდე სწორედ მაღალღირსეული სათნოებითა და გმირობით იარა თავისი მეუღლის უმძიმეს ეკლიან გზაზე...

ექვთიმე გიმნაზიაში მუშაობას არ წყვეტდა. ლათინურს გარდა, იგი იქ უკვე ისტორიასა და გეოგრაფიასაც ასწავლიდა. მერე, როცა ალექსი ჯიჯინაძე ვლადიკავკაზში გადავიდა და გიმნაზიის დირექტორის ადგილი დაიცალა, ეს ადგილი ჯერ ალექსანდრე ხახანაშვილს შესთავაზეს, მაგრამ ხახანაშვილმა პეტერბურგის დატოვება არ მოისურვა, და ექვთიმეს შესთავაზეს თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის ხელმძღვანელობა. ექვთიმეც ცივ უარზე დადგა. მაგრამ არ მოეშვნენ და მიეძალნენ. „მოძალეებს“ თბილისის თავადაზნაურობის მარშალი კონსტანტინე მუხრანსკი უდგა სათავეში. მაშინ, რაკი საშველი აღარ დააყენეს, ექვთიმემაც თავისი პირობები წამოაყენა — რომ სასწავლებელს ყოველ წელს ერთი წელი ჰომატებოდა, გიმნაზიური კურსის სისრულისათვის; რომ თა-

ვადაზნაურობის კომიტეტში გიმნაზიის დირექტორი სასწავლო საკითხებზე დამოუკიდებელი ყოფილიყო; რომ მასწავლებელთა ხელფასი გაზრდილიყო; რომ სასწავლებელს ბუღალტერი დანიშვნოდა და საფინანსო-სამეურნეო საქმეები მოჰგვარებოდა.

ყველა ეს მოთხოვნა დაუკმაყოფილეს და ექვთიმე თაყაიშვილსაც ისღა დარჩენოდა, რომ გიმნაზიის დირექტორობა მიეღო (1894 წ.).

იმავე წლიდან, ყოველი საზაფხულო არდადეგების დროს, ექვთიმე თაყაიშვილი აწარმოებს არქეოლოგიურ გათხრებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, იგი შეიქმნა მესაფუძვლე საერთოდ შემდგომი დროის დიდი არქეოლოგიური მიკვლევებისა ქართულ მიწაზე, პედაგოგიური და არქეოლოგიური მოღვაწეობის პარალელურად იგი არ წყვეტს სამეცნიერო-საგამომცემლო საქმიანობას. 1895 წელს გამოაქვეყნა „სიბრძნე ბალავარისი“, მრავალი სარედაქციო ვარიანტით და მეცნიერული კომენტარებით. იმავე წელს გამოსცა XVIII საუკუნის ხელნაწერი „კათალიკოს-ბაქარიანი მღვდლის იესე ტლაშაძისა, მოთხრობა ლექსად“, რუსულ და ქართულ ჟურნალ-გაზეთებში განაგრძობს ცალკე ხელნაწერებისა და სიგელ-გუჯრების გამოქვეყნებას. აწყობს ლიტერატურულ საღამოებს, სადაც გამოჰყავს მოწაფეები, შეგირდები, ლექსებისა და პროზის კითხვით, პაექრობით, ვიოლინო-ვიოლონჩელოზე დაკვრით, სიმღერით, ცეკვით...

1896 წელს ექვთიმე თაყაიშვილი თან ახლდა ილია ჭავჭავაძეს გელათში, გაბრიელ ეპისკოპოსის დაკრძალვაზე. და ის ცნობილი სიტყვაც, მაშინ, სულიერი მოძღვრის მიმართ, ილიას სწორედ ექვთიმემ ათქმევინა, თითქმის ძალისძალათი.

ილიასთან ერთად იღვწოდა იგი წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში, თავადაზნაურთა ბანკის საკრებულოში და საერთოდ ყველგან, სადაც კი ერისთავის სასიკეთო და საჭირბოროტო საქმე უნდა გადაწყვეტილიყო.

1899 წელს გამოვიდა პირველი ტომი ექვთიმე თაყაიშვილის დიდმნიშვნელოვანი სამეცნიერო სერიისა — „საქართველოს სიძველენი“, სადაც თავმოყრილია 431 სხვადასხვა დასახელებისა და შინაარსის საბუთი, აქტი, ნუსხა, სიგელი, გუჯარი...

1900 წლის 14 ნოემბერს, ილია ჭავჭავაძესთან, ნიკო ცხვედაძესთან, იაკობ გოგებაშვილთან და სვიმონ კლდიაშვილთან ერთად, ექვთიმე თაყაიშვილი მონაწილეობს მომავალი ქართული საუნივერსიტეტო შენობის საძირკვლის გასკვნისა და დალოცვის ცერემონიალში...

ცხრაასიანი წლებიდან იწყება ექვთიმე თაყაიშვილის ნაცნობობა და მალე ახალი ურთიერთობანი ქართული მეცნიერებისა და მამულიშვილობის ამომავალ ვარსკვლავთან — ივანე ჯავახიშვილთან.

1902 წელს, რუსულ ენაზე, დაიწყო გამოსვლა ექვთიმე თაყაიშვილის ახალი ბრწყინვალე შრომისა —„აღწერილობა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა“ ხელნაწერებისა“.

ამ შრომას, საგანგებო რეცენზიებით, უმაღლესი შეფასებანი მისცეს ნიკო მარმა და ივანე ჯავახიშვილმა.

ფასდაუდებელი ღვაწლი დაიდო ექვთიმე თაყაიშვილმა „ქართლის ცხოვრების“ მრავალმხრივი შესწავლით, მისი ვარიანტების გამოცემით და მეცნიერული კომენტარებით. ასევე, ლიტერატურულ ძეგლთა — „თიმსარიანის“, „იოსებ — ზილიხანიანის“, „ქილილა და დამანას“ — გამოქვეყნებით.

1907 წელს ექვთიმე თაყაიშვილის თაოსნობით დაარსდა „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება“, მისი პირველი, დამფუძნებელი კრება ჩატარდა 20 სექტემბერს. თავმჯდომარეობდა ექვთიმე თაყაიშვილი. ჯერ, მისი წინადადებით, კრებამ ფეხზე ადგომით და წუთიერი დუმილით პატივი სცა ახლადდაღუპული ილია ჭავჭავაძის ხსოვნას, მერე მოხსენება გააკეთა და კრებას დაწვრილებით გააცნო საზოგადოების მნიშვნელობა და მიზანდასახულობა, წესდებაც განიხილეს და დაამტკიცეს. ბოლოს აირჩიეს საზოგადოების საბჭო და სარევიზიო კომისია, ასეთი შემადგენლობით:

საბჭო — ექვთიმე თაყაიშვილი (თავმჯდომარე), დავით კარიჭაშვილი (თავმჯდომარის ამხანაგი), სერგი გორგაძე (მდივანი), ალექსანდრე სარაჯიშვილი (ხაზინადარი), ილი ფერაძე (მუზეუმისა და ბიბლიოთეკის მცველი), წევრები: ალექსანდრე ყიფშიძე, პოლიევქტოს კარბელაშვილი, მოსე ჯანაშვილი, იუსტინე აბულაძე, წევრობის კანდიდატები: მღვდელი კალის-

ტრატე ცინცაძე, დეკანოზი კორნელი კეკელიძე და ალექსანდრე მდივანი.

სარევიზიო კომისია — ივანე აფხაზი, გრიგოლ ყიფშიძე და კონსტანტინე მაყაშვილი.

საზოგადოება მიზნად ისახავდა შეეგროვებინა, შეესწავლა და შეენახა ქართული კულტურის სიძველენი — ისტორიული, არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, წერილობითი და ანთროპოლოგიური ხასიათისა; საამისოდ უნდა მოწყობილიყო საგანგებო ექსპედიციები, ძიებანი ყოველი სახით და მასშტაბით, პუბლიკაციებით, გამოკვლევებით, ატლასებით, რუკებით; დაარსებულიყო მუზეუმები; ჩატარებულიყო საჯარო შეხვედრები, მოხსენებები, ხალხის მოზიდვა კულტურის ძეგლთა მოსავლელად, მოსაძიებლად, დასაბინავებლად.

და წერდა თვითონ ექვთიმე: „საქართველო დავიარე და დავინახე, თუ რა უზარმაზარი მასალაა განწირული დავიწყებისა და ხშირად დაღუპვისათვისაც. პირდაპირ ამიტანა ფანატიკურმა მისწრაფებამ, რაც შეიძლება მეტი მომესწრო, მით უმეტეს, რომ ჩემ თანამედროვეთაგან აღარავინ მისდევდა ამ საქმეს“.

იბრძოდა ექვთიმე და მისი თანამებრძოლნი. მაგრამ მაინც იყვნენ მცირენი, და ქართული ძეგლების ბედისწერის სასწორზე ერთ მხარეს ამათი კეთილშობილი პატრიოტიზმი იყო, მეორეზე კი გასაოცარი უდარდელობა, უგულობა და ზოგჯერ უვიცობაც, ვითომც „უმაღლეს — არისტოკრატიული“ საზოგადოებრივი წრისა, ისევე თვითონ ექვთიმეს დაუგდოთ ყური:

„რამდენს ვცდილობდი, რას არ ვკიდებდი ხელს, მაგრამ რამდენი რამ მაინც ვერ მოვასწარი!.. არ იყო ხალხი, თითოოროლა კაცის მეტი არ ეკარებოდა ასეთ საქმეს; არ ესმოდათ ამის მნიშვნელობა და გემო!.. რუსთველის გამზირზე სეირნობასა და პოპულარული სტატია-წიგნების კითხვას, ან ლიტერატურულ კამათს იქით აღარ მიდიოდა მათი მონდომება... თითქოს გვყავდა ინტელიგენცია, მაგრამ ნამდვილად და ღრმად ვერავინ ხვდებოდა კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობისა და ადგილობრივ შესწავლის აუცილებლობას“.

მხოლოდ ამით ამჟღავნებდნენ თავიანთ „ისტორიულ ხასი-

ათს“ გულუხვი რაინდისა და „ჭეშმარიტი მამულიშვილის“ ტიტულთა მაძიებელნი: თავგადამკვდარი სამსახური უცხოელის „მარად სახსოვარ“ საამებლად და გულდასატკბობად! აი, მაგალითებით შევხედოთ „ამ „ეროვნულ გმირებს“, უნიკალურ ეროვნულ რელიკვიებს „გულუხვი ქართველის“ ტიტულისათვის რომ იმეტებენ ასე უგულოდ და უგუნურად:

ერთმა, საქართველოში სტუმრად ჩამოსულ იმპერატორს, ალექსანდრე მეორეს, ვლახერნის უბრწყინვალესი ხატი მიართვა. რუს ხელმწიფეს გაუკვირდა და, მადლობა ღმერთს, საჩუქარი უკანვე დააბრუნა;

მეორემ — მეფისწაცვალს ერეკლე მეფის თოფი აჩუქა, ის თოფი, ასპინძის ბრძოლაში ხელთ რომ ეპყრა გმირ ხელმწიფეს, მაგრამ ისევ რუსმა მოხელემ გააწბილა „გულუხვი ქართველი“ — ეს თოფი თქვენი ეროვნული სიამაყეა და თქვენ უფრო დაგშვენდებათ მისი შენახვაო;

მესამემ — „ვეფხისტყაოსნის“ ერთი უსაჩინოესი ხელნაწერი ვორონცოვს მიუბოძა, ვორონცოვმაც მიირთვა და ოქტომბრის რევოლუციის შემდგომ ძლივს მოხერხდა იმ ხელნაწერის დაბრუნება საქართველოში;

მეოთხემ — კიდევ ერთი ხელნაწერი „ვეფხისტყაოსნისა“ საქართველოში სტუმრად მოსული ფრანგი მოგზაურის, ბარონ დე — ბაის საჩუქრად გასწირა, მაგრამ თვითონ ექვთიმე თაყაიშვილმა ააღებინათ ხელი ასე ჰაიჰარად გამეტებული ეროვნული ძეგლების გაჩუქებაზე;

მეხუთემ — „ვეფხისტყაოსნის“ კიდევ სხვა ხელნაწერიდან ძვირფასი მინიატურები ამოსჭრა და ვიღაც სომეხ ჩარჩ-ვაჭარს მიჰყიდა. ექვთიმე თაყაიშვილმა დიდის წვალებით და დავიდარაბით უკანვე მოაბრუნა ქართულ საგანძურში ის მინიატურები;

მეექვსემ — ევროპაში მოინდომა „ვეფხისტყაოსნის“ კიდევ ერთი უნიკალური ხელნაწერის გაყიდვა, მაგრამ ამჯერად იმ ოჯახში ჩასიძებულმა ინგლისელმა ოფიცერმა არ დაანება: „ეგ ისეთი რამ გქონიათ, რომ ეროვნული სიამაყის საგანია და არ უნდა გაყიდოთო“, — უთქვამს იმ ღვთისნიერ უცხოელს ჩვენი რეგვენი თანამემამულეებისათვის;

მეშვიდემ — სოფელ ბორში ნაპოვნი, ცხენის გამოსახუ-

ლებიანი და წარწერიანი ვეფხვლის თასი კინაღამ ისევ დებაის მიჰყიდა, მაგრამ თაყაიშვილმა ისევ არ დაანება;

მერვემ.. მაგრამ კმარა. და ისევ ექვთიმე თაყაიშვილს,— ამ ძეგლის რაინდს ვუსმინოთ:

„ერთი სიტყვით, გასაკვირველ ზნეს იჩენდნენ: რაც კი რამ კარგი მოეპოვებოდათ, ყველაფერი უცხოელებისათვის უნდოდათ! რომ ეს არა, ჩვენი მუზეუმები ახლა ერთი-ათად უფრო მდიდრები უნდა გვქონდეს ხელნაწერებითა და სამახსოვრო საგნებით, ხოლო უცხოეთის მუზეუმებში ჩვენთვის სანუკვარი არც ერთი ძეგლი არ უნდა იყოს მოხვედრილი ქართული კულტურისა“.

და ახლა „საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების“ საშუალებით იბრძოდა ექვთიმე თაყაიშვილი ქართული ძეგლების გადასარჩენად და შესასწავლად...

ექვთიმეს დღენიადაგი ოცნება იყო სამხრეთ საქართველოს ისტორიულ ძეგლთა საფუძვლიანი აღწერა და შესწავლა. ჯერ, 1902 წელს, ხუროთმოძღვარ სიმონ კლდიაშვილისა და ფოტოგრაფ ალექსანდრე მამუჩაიშვილის თანხლებით, იმოგზაურა და აღწერა ახალციხე-ახალქალაქისა და არტაანოლთისის ძეგლები.

მეორე, უფრო სრული და საფუძვლიანი ექსპედიცია ექვთიმემ მოაწყო 1907 წელს, ინჟინერ ანატოლი კალგინის, ფრანგი მასწავლებლისა და მოხალისე ფოტოგრაფის, ედუარდ ლიოზენის თანხლებით. და მოიარეს კოლა, ოლთისი, ჩანგლი. მაშინ აღწერა ექვთიმემ ბანას დიდებული ტაძარი, ტაოსკარი, დადაშენი, ტახტორკანი, ჯიჯორი, ჭუმურლუხი, ქალმახი, ვაჩეძორი და მრავალი სხვა ძეგლი, ნაძეგლარი, ნანგრევი და ნამუსრევი.

1908 წლის 7 დეკემბერს ქართველმა ხალხმა იუბილე გადაუხადა აკაკი წერეთელს. ექვთიმე თაყაიშვილმა, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების სახელით, ასეთი ადრესი მიართვა ერის სალოცავ პოეტს:

„დიდებულო მგოსანო!

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება წრფელის გულით გილოცავს შენი ბრწყინვალე მოღვაწეობის ნახევარი საუკუნის შესრულებას!

ჩვენს ისტორიას, ჩვენს ენთოგრაფიას, ჩვენს ენას დიდი ამაგი დასდო შენმა ზეგარდმოცხებულმა ნიჭმა.

შენის მადლიანი კალმის მეოხებით ჩვენი ენა დღეს წმინდაა და მსუბუქი, ტკბილია და მომხიბლავი;

შენის ძლიერი პოეტური ნიჭით შენ შეიგენი, თუ რა უძლეველი ზღვაა პოეზიისა და ხალხური სიტყვიერება, და შეუდექი მისი მარგალიტების გამოქვეყნებას;

შენის საისტორიო პოემებით და დრამებით შეაყვარე ქართველ ერს მისი მივიწყებული წარსული;

ამ წარსულის სიყვარულმა მოამზადა ნიადაგი, რომელზედაც აღმოცენდა თვით ჩვენი ნორჩი „საზოგადოება“.

„საინტერესო და საენთოგრაფიო საზოგადოება“ დიდათ აფასებს ამ თვალსაჩინო ღვაწლს, — და ნიშნად მადლობისა და პატივისცემისა, ერთხმად აგირჩია თავის პირველ საპატიო წევრად.

გისურვებთ ვგოსანო, ხანგრძლივ სიცოცხლეს, რომ შენმა მადლიანმა ჩანგმა კიდევ დიდხანს იჟღეროს სამშობლო პოეზიის დიდებულ ტაძარში უწინდებურის „აღტაცებით“ და მომბიზლავის მშვენიერებით“...

...1908 წელი განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო ექვთიმეს სამოღვაწეო ბიოგრაფიაში. თვითონვე ეძახდა ამ წელს „სვავრიელს“. მაშინ მოიძებნა დიდი არქეოლოგიური მასალები ახალქალაქისა და საძეგურის მიდამოებიდან, მაშინ გამოვიდა მეცნიერის „აღწერილობის“ მეორე და მესამე ტომები; მისგანვე მოიძებნა „ვეფხისტყაოსნის“ მანამდე უცნობი ხელნაწერები; მაშინ მოიძია (სანაგვიდან ამოიღო!) გიორგი ბრწყინვალის დროის უმნიშვნელოვანესი ძეგლი — „ხელმწიფის კარის გარიგება“; მაშინ გამოიცა მისი რედაქტორობით საისტორიო და საენთოგრაფიო საზოგადოების კრებული — „ძველი საქართველო“, და კიდევ იმავე 1908 წელს გამოვიდა ექვთიმეს „საქართველოს სიძველენის“ მეორე ტომი, რომელსაც მალე მესამე ტომიც მოჰყვა.

1910 წელს ექვთიმემ მოაწყო სამეცნიერო და საკვლევაძიებო ექსპედიცია ლეჩხუმსა და სვანეთში. ეს იყო იქაურ ძეგლთა პირველი ყველაზე სრული და საფუძვლიანი შესწავლისა და აღწერის ხანა...

1913 წელს „ძველი საქართველოს“ მეორე ტომი გამოსცა

ექვთიმემ. და კიდევ, რუსულ ენაზე — „არქეოლოგიური ექსკურსიები, ძიებანი და შენიშვნები“, მომდევნო წელს „ძველი საქართველოს“ მესამე ტომიც გამოქვეყნდა...

...1914 წელი. მსოფლიო ომი...

...1917 წელი, ორი რევოლუცია პეტერბურგს — თებერვალს, ოქტომბერს.

ამ წელს ექვთიმე თაყაიშვილმა მესამედ მოაწყო არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში. ყარსისა და ოლთისის გავლით, თორთუმის ხეობაში გავიდა, და შესწავლილ და აღწერილ იქნა ქართული კულტურის უბრწყინვალესი ძეგლები — ხახული, ოშკი, იშხანი.

...1918 წელი.

საქართველოს „ახალთახალი ხელისუფლება“ — მენშევიკური მთავრობა, რომელსაც დიდი წილი („ნახევარი წილი“) უძევს ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში.

1918 წელი, 26 იანვარი — ყველაზე ნათელი სამანი ახალი დროის საქართველოს ისტორიისა: ქართული უნივერსიტეტის გახსნა თბილისში.

ექვთიმე თაყაიშვილი უახლოესი თანამებრძოლია უნივერსიტეტის დამაარსებლის, ივანე ჯავახიშვილისა.

ექვთიმე, ივანეს წარდგინებით, არის უნივერსიტეტის პირველი ლექტორი არქეოლოგიის დარგში. ივანეს წინადადებით, უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ ექვთიმეს „ჰონორის კაუზა“. მიანიჭა ქართული არქეოლოგიის დოქტორის ხარისხი...

...1921 წელი.

მენშევიკური მთავრობა გარბის საქართველოდან.
გარბის და თან მიაქვს განძი საქართველოსი.

განძი, რომლის შეგროვებასა და გადარჩენაში ამდენი ოფლი, სისხლი და ცრემლი აქვს ჩაქცეული სწორედ ექვთიმე თაყაიშვილს.

და, იგი უნდა გაჰყოლოდა მისივე სიცოცხლის განუყოფელსა და ყველაზე არსებით ნაწილს, და გაჰყვა კიდეც, თავის ერთგულ და თავდადებულ მეუღლესთან ერთად.

დიდის ვაივაგლახით ჩააღწიეს საფრანგეთს განძმა და მეგანძურმა სულ 39 ყუთი, თვითონ ექვთიმეს მზრუნველი ხელით ჩალაგებული და შეკრული, შესანახად ჩააბარეს მარსელის ბანკს.

ლტოლვილმა ქართველობამ თავის საკოლონიო საცხოვრებლად, სოფელ ლევილში (პარიზიდან 20 კილომეტრზე) მაშული შეიძინა და იქ დასახლდა. იქვე ორი მცირე ოთახი ექვთიმემ და ნინომ დაიჭირეს.

ექვთიმეს მის თანალტოლვილთა პოლიტიკასთან არაფერი ესაქმებოდა და მისი საზრუნავი ისევ და ისევ საქართველოს უძვირფასეს კულტურულ საჭურჭლეთა დაცვა, მათი გამდიდრება და საერთოდ სამეცნიერო მუშაობის შემდგომი გაშლა და გაღრმავება იყო. ამიერიდან მისი ნახვა შეიძლებოდა პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში, არქივებში, მუზეუმებში, მრავალი დარგის სამეცნიერო საზოგადოებებში. პარიზის მეცნიერულმა წრეებმაც იმთავითვე სცნეს და აღიარეს ქართველი მეცნიერის ავტორიტეტი. და იგი აირჩიეს პარიზის „სააზიო საზოგადოების“ წევრად, და კიდევ — ნუმიზმატთა საზოგადოების წევრად. იწვევდნენ სხდომებზე, სთხოვდნენ მოხსენებებს, უსმენდნენ, ანგარიშს უწევდნენ, აღიარებდნენ...

ცხოვრობდა ძალზე ხელმოკლედ, მაგრამ უარესი მისი მტანჯველი იყო მაინც ნოსტალგია, სათაყვანო სამშობლოდან გადახვეწილისა...

საქართველოში კი საბჭოთა ხელისუფლება მოსულიყო, საბჭოთა რუსეთთან ურთიერთობა აღდგენილიყო. საქართველოს განძიც საბჭოთა ხელისუფლებას საქართველოს საკუთრებად გამოეცხადებინა და არა მენშევიკების საკუთრებად.

და მიიღო ექვთიმე თაყაიშვილმა საბჭოთა ხელისუფლების რწმუნებულის ვრცელი წერილი, რომელშიც ასეც ეწერა:

„...დღეს კი მე მინდა მოგმართოთ თქვენ, რათა შეასრულოთ თქვენი დიადი მოქალაქეობრივი მოვალეობა: საქართველოს სიძველეთა სვე-ბედი საზღვარგარეთ (სრულიად) თითქმის თქვენზეა დამოკიდებული, და ამისათვის მათი საქართველოში ხელუხლებლად დაბრუნება სწორედ თქვენს პირად მოვალეობას წარმოადგენს... მიუხედავად ასეთი შესაფერისი, საიმედო და კეთილსინდისიერი მეთვალყურისა, როგორც თქვენ ბრძანდებით, დღევანდელ მღელვარე ევროპაში გატანილ ქართულ სიძველეთა სვე-ბედი მცირე რამ შემთხვევაზეა დამოკიდებული. ამისათვის ყველაფრის, რაც თქვენ გაბარიათ, დაუყოვნებლივ ჩამოტანა საქართველოში, და თქვენი ჩამოსვლაც თქვენი პირ-

დაპირი მოვალეობის გასაგრძელებლად უნივერსიტეტის დღემდე ცარიელ კათედრაზე — აუცილებელი და საჩქარო საქმეა".

მაგრამ საქართველოს განძის საქართველოში დაბრუნება სრულებითაც არ იყო ექვთიმეზე დამოკიდებული. ქართული განძი მარსელში აკაკი ჩხენკელის სახელზე იყო გაფორმებული და ამდენად, საქართველოს საუნჯეთა ბედიღბალი ისევ ემიგრირებული მენშევიკური მთავრობის ხელში იყო. საქართველოში დაბრუნებისა და ისევ ძალაუფლების ხელში აღების იმედიც არ ელეოდათ ემიგრანტ მენშევიკებს. თვითონ საქართველოშიც ხომ აჯანყება მზადდებოდა საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად. კიდევაც მოხდა ის აჯანყება, კიდევაც დამარცხდა, მაგრამ ლევილში ჩაკეტილი მენშევიკები იმედს მაინც არ ელეოდნენ და არც „მათ კუთვნილ" განძს შეელეოდნენ...

ამასობაში ქართული განძის ამბავი მსოფლიოში გახმიანდა. და მაშინვე აფუსფუსდნენ უნიკალურ ნივთებზე მონადირე ცალკე კოლექციონერები, თუ ნაციონალური მუზეუმები.

ამ დროს ქართული მინანქრების ერთი ძვირფასი კოლექცია ისედაც უკვე ნიუ-იორკის მუზეუმში მოხვედრილიყო. ადრე, იმპერატორ ალექსანდრე მესამის მოხელეს, ზვენიგოროდსკის მოეგროვებინა საქართველოში ძვირფასი მინანქრები და ორასი ათას მანეთად მიეყიდა ამერიკელებისათვის. და ახლა ნიუ-იორკის მუზეუმს მადა გახსნია, საქართველოს საგანძურის მინანქრებიც შეესყიდა და ამისთვის წარმომადგენელიც გამოეგზავნა მენშევიკთა ლიდერთან. მაგრამ შეიტყო ეს ექვთიმემ, მიუვარდა თავმჯდომარეს და ააღებინა ხელი განძთან დაკავშირებულ ყოველგვარი ყიდვა-გაყიდვის ლაპარაკზე. რა კუთხით და პირობათა „გადალაგ-გადმოლაგებით" არ სცადა ამერიკელმა რწმუნებულმა გარიგება ქართველებთან, მაგრამ ექვთიმე სიტყვაშეუქცევლად იგერიებდა განძთა ყოველგვარ ხელყოფას.

შემდეგ ბრიტანეთის მუზეუმის მესვეურებმა გამოიდეს თავი საქართველოს საჭურჭლეთა ხელში ჩასაგდებად, მაგრამ ეს მოლაპარაკებაც ჩაშალა ქართველმა მეჭურჭლეთუხუცესმა.

ყველაზე დიდი საფრთხე კი ქართულ საუნჯეებს შეუქმნა ე. წ. „ობოლენსკაიას საქმემ".

ჯერ გავიხსენოთ სამეგრელოს მთავართა, დადიანთა ბოლო რტო — დავით დადიანი და ეკატერინე ჭავჭავაძე, მერე ამათი

ბე ნიკო, სამეგრელოს უკანასკნელი მთავარი, რომელსაც რუსეთში იცნობდნენ „მინგრელსკის“ გვარით. მერე ნიკო მინგრელსკის შვილები — ნიკო („პატარა ნიკო“) და სალომე, ხოლო, სალომე ცოლად ჰყავდა გრაფ ობოლენსკის, რომელიც ბოლოს ოჯახით ცხოვრობდა პარიზში. ჩვენთვის საინტერესო ჟამს, თვითონ ობოლენსკი გარდაცვლილიყო და დარჩენილიყო ქვრივი სალომე ობოლენსკაია.

და აი, ერთ „მშვენიერ დღეს“, სალომე დადიან-ობოლენსკაიამ შეიტყო, რომ მარსელში დაბინავებული ქართული განძის დიდი ნაწილი ეკუთვნის დადიანებს — დიდი ნიკოდან პატარა ნიკოს, ხოლო რაკი ამჟამად აღარც „დიდი“ და აღარც „პატარა“ ცოცხალი აღარაა, დადიანების განძი ეკუთვნის მას, სალომე ობოლენსკაიას!

და მოითხოვა ობოლენსკაიამ მენშევიკური მთავრობისგან „თავისი კუთვნილის“ დაბრუნება. ამაზე მან უარი მიიღო, იმ მოტივით, რომ 1920 წლის 31 დეკემბრის დეკრეტით დადიანების მემკვიდრეობა სახელმწიფო საკუთრებად ყოფილა გამოცხადებული. მაშინ სალომე ობოლენსკაიამ სასამართლოს მისცა საქმე გასარჩევად და სამართლიანობის დასადგენად. რასაკვირველია, სალომე მარტო არ იყო, მას ბევრი წამქეზებელი ქართველიც ჰყავდა — ისეთი ქართველი, რომელსაც საქართველო მხოლოდ საკუთარი „მეს“ დანამატად ეგულებოდა და უფრო მისგან გამოძალვას მიესწრაფოდა, ვიდრე შემატებას.

პროცესი კი შვიდ წელიწადს გაგრძელდა.

შვიდ წელიწადს გაგრძელდა ექვთიმე თაყაიშვილის ბრძოლაც საქართველოს საუნჯეთა, ახლა, „ობოლენსკური საფრთხისაგან“ გადასარჩენად. ეს მისთვის განსაკუთრებით საძნელო ბრძოლა იყო, რადგან მას ბრძოლა ქართველებთან უხდებოდა (ყველაზე მძიმე ბრძოლა ქართველისა ხომ ქართველებთან ბრძოლაა!)

საქმე იმანაც გაართულა, რომ საფრანგეთის მთავრობამ მენშევიკური მთავრობა უკვე მთავრობად აღარ სცნო და ამდენად შეიძლებოდა საფრანგეთის ხელისუფლებას თვითონვე მოეხდინა „უმთავრობოდ“ და „უპატრონოდ“ დარჩენილი განძის კონფისკაცია.

მაგრამ არ ცხრებოდა ექვთიმე თაყაიშვილი. მან საქართველოს მთავრობას წარუდგინა მტკიცედ დასაბუთებული ახსნა-

განმარტება, რომ განძი ეკუთვნოდა არა რომელიმე „მენშევიკურ მთავრობას“, არამედ თვითონ საქართველოს.

ბოლოს და ბოლოს, 1935 წელს, ობოლენსკაიას ქვრივს მის საჩივარზე უარი ეთქვა. მაგრამ აქვე სასამართლომ გამოიტანა დადგენილება, რომ ქართული საგანძურები შესანახად მიენდო ფრანგ მოხელეს, პიერ ჟოდონს, რომელსაც აქამდე მიბარებული ჰქონდა რუსეთიდან ემიგრირებული განძი. და, ბოლოს და ბოლოს, ისევ ჟოდონის ინიციატივით, ქართული განძი, 39 ყუთით, მარსელიდან პარიზში ჩამოიტანეს და ბანკში დააბინავეს.

ობოლენსკაია დამარცხდა. იგი კიდევ იჩივლებს და კიდევ დამარცხდება. მაგრამ ქართულ განძს ახალი საფრთხე გასჩენოდა, რამდენადაც იგი საკონფისკაციოდ გამზადებული რუსული ქონებისთვის მიუერთებიათ. მაგრამ ისევ არ ეძინა ექვთიმე თაყაიშვილს. მან 1935 წლის 9 აპრილს საქართველოში წერილი მისწერა განათლების კომისარიატის სამეცნიერო დაწესებულებათა უფროსთან, პროფესორ ვუკოლ ბერიძესთან. ჯერ დაწვრილებით სწერდა, რაც გადახდა განძს საქართველოდან წაღების დღიდან ამ წერილის დაწერის დღემდე და განაგრძობდა: „ეხლა მდგომარეობა ძირიანად შეიცვალა, ნივთები უპატრონოდ არის გამოცხადებული. მე აღარა მაქვს საშუალება და უფლება ნივთების დაცვასა და ჯეროვნად შენახვას მეთვალყურეობა გავუწიო, ნებაც რომ მქონდეს, ფიზიკური მდგომარეობა არ მაძლევს ამის საშუალებას, მოვხუცდი, ფეხიც დამიშავდა, ძლივს დავდივარ. დღეს ვარ, ხვალ აღარ ვიქნები და ჩემთვის მეორე სიკვდილი იქნება, თუ ის ნივთები ან მისი ნაწილი დაგვეკარგება; თქვენ უწყით, თუ რა წილი მიდევს მე მათ შეკრებაში და მათი დღევანდელი მდგომარეობა მტანჯავს, ვერ დავმშვიდდები, მანამ ის ნივთები საქართველოს არ დაუბრუნდება და მუზეუმს არ ჩაბარდება.

ეხლა მე საფრანგეთის მთავრობას მოხსენებას ვუდგენ, რომელშიაც ახსნილია ყოველი გარემოება ამ ნივთებისა, ესე იგი:

1) რომ ეს ნივთები ევაკუაცია ქმნილია საფრანგეთის ყოფილი ელჩის შევალიეს რჩევითა და დახმარებით.

2) რომ ეს ნივთები შეადგენენ საკუთრებას არა მათ მიერ ცნობილი მთავრობისა, არამედ კერძო მუზეუმებისა, საისტო-

რიო და საენთოგრაფიო საზოგადოებისა, საეკლესიო მუზეუმისა, სამხატვრო გალერეისა და საქართველოს მუზეუმისა.

3) რომ ეს ნივთები მხოლოდ შესანახად ჩაბარებული ჰქონდა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას და მეთვალყურედ მე ვიყავი დანიშნული და

4) რომ ეხლა, როდესაც აქ საქართველოს მთავრობის საელჩო მოხსნილია, რომლის სახელზე ნივთები ინახებოდა ბანკში, ის ნივთები უნდა დაუბრუნდეს თავიანთ პატრონებს, ესე იგი საქართველოს მუზეუმებს, მით უმეტეს, რომ ამ მუზეუმების გარშემო და საქართველოს უნივერსიტეტში ეხლა ინტენსიური სამეცნიერო მუშაობა წარმოებს და მკვლევარნი მოკლებულნი არიან საშუალებას ისარგებლონ ამ ნივთებით. მოხსენიებული იქმნება აგრეთვე, რომ ამჟამად საქართველოში მუშაობენ რუსთაველის იუბილეის გადახდისათვის, ამზადებენ მისი პოემის სამეცნიერო გამოცემას და სამი საუკეთესო ხელნაწერი რუსთაველის პოემისა აქ არის წამოღებული. აგრეთვე მოხსენიებული იქნება, საბჭოების ხელისუფლებამ დაუბრუნა საქართველოს ყველა ის სამუზეუმო ქართული ნივთები, რომელნიც წამოღებული იყო რუსეთში.

ეხლა აუცილებლად საჭიროა, ამ ჩემს მოხსენებას დაერთოს თქვენი, ესე იგი საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ხმაც და შუამდგომლობა და მუზეუმების საბჭოების მოთხოვნა საფრანგეთის მთავრობისაგან, რომ მათ დაუბრუნდეს მათი კუთვნილი და შესანახად წამოღებული ნივთები. მართალია, წერა-კითხვის და საეკლესიო მუზეუმები ეხლა გადაცემულია უნივერსიტეტისადმი, მაგრამ მათ მაგიერ უნივერსიტეტი აღძრავს შუამდგომლობას, როგორც მათი კანონიერი მემკვიდრე; საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, სამხატვრო გალერეა და საქართველოს მუზეუმები არსებობენ და მათმა გამგეობამ უნდა აღძრან შუამდგომლობა.

გთხოვთ, ეს წერილი გააცნოთ საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლებას და დაინტერესებულ მუზეუმებს და დაწესებულებათ და რამდენადაც შეიძლება დაჩქარებით წარმოადგინოთ თქვენი შუამდგომლობა. ამას მოითხოვს ჩვენი ნივთების ინტერესი, რომ განსაცდელში არ ჩავარდეს და არ დავვეჩავროს. კიდევ ერთი ცნობა: შესანახი ფული მარტო ერთი წლისაა გადახდილი ორი ათას ხუთასი ფრანკი. დანარჩენს, რასაკვირვე-

ლია, მოითხოვენ და უნდა გადაიხადოთ. სამაგიეროდ ბევრს ერთობ ბევრს ნივთებს მიიღებთ, რომელნიც წინეთ არ ეკუთვნოდნენ მუზეუმებს. სიტყვას აღარ გავაგრძელებ. ველი თქვენს პასუხს.

ღრმა პატივისცემით ექვთიმე თაყაიშვილი“.

ხოლო ამ წერილის მეორე დღეს, 1935 წლის 10 აპრილს ექვთიმემ მენშევიკ ლიდერთაგან მიიღო ახალი დადგენილება, რომელშიც ეწერა:

„ბ-ნი თაყაიშვილი აქ ერთადერთი წარმომადგენელია საქართველოს მუზეუმების, ამ უკანასკნელების მიერ ნდობით აღჭურვილი, მას მინდვეს მუზეუმებმა ზრუნვა ამ ქონებაზე... ამიტომ ბ-ნ ე. თაყაიშვილს აქვს უფლება ჩაერიოს ამ საქმეში და მიიღოს ის ზომები, რომელსაც საჭიროდ დაინახავს ამ ქონების დასაცავად, ხოლო მის მიერ გადადგმულ ნაბიჯებში თვითონ იქნება სრული პასუხისმგებელი აღნიშნულ ქონების მეპატრონეთა (მუზეუმთა) და საქართველოს წინაშე“.

ეს დადგენილება მცხოვანი მეცნიერისათვის დიდი მიღწევაც იყო და დიდი პასუხისმგებლობაც. ასედაც მოქმედებდა იგი ამიერიდან — უფრო გაბედულად და პასუხისმგებლურად. გასაოცარი იყო მისი გაუტეხლობა — სიღატაკეში მცხოვრები მოხუცი ხეიბრისა, მარტოხელა ამბოკარისა (მეუღლე, ნინო, გარდაეცვალა 1931 წელს). მაინც რომ ყველაფერს ასწრებდა, ყველაფერს ეხმაურებოდა — იქაც, „საფრანგეთის ქართველობაში“ და აქაც. „ნამდვილ საქართველოში“. იმავე 1935 წელს თბილისის უნივერსიტეტს ბიბლიოთეკა გამოუგზავნა — ბორჯომიდან ადრე წაღებული ბიბლიოთეკა.

საფრანგეთის მთავრობის თავჯდომარესაც, პიერ-ეტიენ ფლანდელს, უკვე მისწერა წერილი, ანუ განცხადება-თხოვნა, რაითაც იგი ადრესატს აცნობებდა განძის წარმომავლობას და თავგადასავალს, შინაარსსა და მნიშვნელობას, რაც მთავარია — მისი კუთვნილების საკითხს. და დაბეჯითებით უმტკიცებდა ქართველი ხიზანი საფრანგეთის ხელისუფალს, რომ ქართული განძი არ ეკუთვნის მენშევიკურ მთავრობას, არამედ მხოლოდ ქართულ მუზეუმებს. ქართულ განძს არც არავითარი კავშირი არა აქვს უპატრონოდ დატოვებულ რუსულ ქონებასთან, რადგან იგი დროებით ევაკუირებულია არა რუსეთიდან, არამედ დამოუკიდებელი საქართველოდან, თა-

ნაც ევაკუირებულია საფრანგეთის დესპანის რჩევით და ხელ-შეწყობით, და, ბოლოს და ბოლოს, ქართული განძი უნდა დაუბრუნდეს თავის კანონიერ პატრონს, ქართველ ხალხს, საქართველოს მუზეუმებს.

საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარემ დუმილით უპასუხა. ექვთიმემ კვლავ მერამდენეჯერ გაიმეორა თხოვნა ფრანგთა უმაღლესი მაგისტრატისადმი, მაგრამ ამ უკანასკნელმაც საპასუხოდ ისევ დუმილი გაიმეორა...

პასუხი მიიღო მხოლოდ საქართველოდან. ვუკოლ ბერიძე ატყობინებდა, — შენი წერილი საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს, ფილიპე მახარაძეს გადავეციო და — „უკვე გადაიდგა სათანადო სასწრაფო ნაბიჯი აღნიშნულ სიძველეთა საბჭოთა საქართველოში დაბრუნებისათვის". თან, ქართველი მეცნიერების სახელით სთავაზობდნენ, შენ თვითონ მობრუნდი სამშობლოში. ეს უკვე მესამედ სთავაზობდნენ საქართველოში დაბრუნებას ექვთიმე თაყაიშვილს.

მაშინვე ისევე მოსწერა წერილ ვუკოლ ბერიძეს: მთავარი ჩემში დაბრუნება კი არ არის, არამედ — „ერთადერთი მიზანი ეხლა ჩემი ის არის როგორმე ეს ნივთები უკლებლად ჩაგაბაროთ და ჩემი მისია გათავებული იქნება," მე კი სადაც არ უნდა ვიყო, სულით და გულით თქვენთან ვარო; მანდაც რაღას გამოგადგებით, დავბერდი, დავძაბუნდი და თქვენთვის ზედმეტი ბარგი ვიქნებიო...

...დრო კი ვიდოდა. და დადგა 1939 წელი.

ფაშისტურმა გერმანიამ დაიწყო ომი. ომმა მოიცვა მთელი მსოფლიო.

1940 წლის 14 ივნისს გერმანელები შედიან პარიზში.

დგება შიმშილი. ყინვა. ავადმყოფობა.

მოხუცი ქართველი დადგენილი 100 გრამი პურის ამარა დარჩა. შიმშილობდა, ავადმყოფობდა, ფეხის ტკივილები გაუართულდა, მიწას მაინც აწვალებდა, კარტოფილისთვის, მწვანილისთვის, პამიდვრისთვის, როგორც იქნა თხა გაიჩინა ერთადერთ მარჩენლად.

გულს მაინც არ იტეხდა. სწამდა, რომ ჰიტლერი სტალინთან ომში კისერს მოიტეხდა, ასედაც მოხდა. ომი გათავდა. ექვთიმე თაყაიშვილი გადარჩა.

სასწაულებრივი იყო თვითონ განძის გადარჩენა ჰიტლერული ოკუპაციის დროს. გერმანელებს უკვე შეეტყოთ ქართული განძის არსებობა, მაგრამ დაასწრეს ექვთიმე თაყაიშვილმა და პიერ ჟოდონმა. სწორედ ექვთიმეს ჩაგონებით, ჟოდონმა ქართული განძი ბანკიდან იდუმალ გააპარა და ვერსალის სასახლის ერთ ბნელ სარდაფში ჩააწყო და ზემოდან ნაფოტით, ნაგვით და ნაშალი ბათქაშით დაფარა. შეიძლება ამ შემთხვევაში ჟოდონი უფრო საფრანგეთისთვის ზრუნავდა, ვიდრე საქართველოსთვის, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ განძი დამპყრობთა ხელყოფისაგან გადარჩა...

..1944 წლის დეკემბერი.

მოსკოვში ჩამოდის საფრანგეთის ახალი ხელისუფლების მეთაური, გენერალი შარლ დე გოლი.

შეხვედრა სტალინთან.

თვითონ დე გოლმა ჩამოუგდო სიტყვა სტალინს საფრანგეთში დაცულ ქართულ საგანძურთა თაობაზე...

..1945 წლის 11 აპრილი.

თბილისის აეროდრომზე ეშვება პარიზიდან მომავალი თვითმფრინავი.


ტრაპზე მძიმედ ეშვება დიდებული მოხუცი, და ამბობს მთრთოლვარე ხმით:

„ახლა შემიძლია ვთქვა, რომ შევასრულე ჩემი ვალი სამშობლოსა და ხალხის წინაშე“.

დასრულებულიყო წამება ქართული საგანძურებისა.

დასრულებულიყო წამება ექვთიმე თაყაიშვილისა.

ახლა უკვდავება იწყებოდა...



ივანე ჯავახიშვილი

ბილისში, 1876 წლის 11 (23) აპრილს, პედაგოგ ალექსანდრე ჯავახიშვილისა და თამარ ვახვახიშვილის ოჯახში, დაიბადა პირმშო ვაჟიშვილი, რომელსაც დაარქვეს ი ვ ა ნ ე.

ოჯახი ესე — სოფლური წარმომავლობით — იყო სოფელ ხოვლედან („სოფლური წარმომავლობა“ სასხვათაშორისოდ როდი ითქმის, რამეთუ — არ არსებობს „ქართული ქალაქელობა“, უკეთუ არ იძებნება მისი ქართულ-სოფლური წარმომავლობა!).

ჯავახიშვილების ოჯახი იყო სრულფუძიანი, მრავალშვილიანი; შვილები, ასაკობრივი თანამიმდევრობით — ეკატერინე, ივანე, გიორგი, მიხეილი, ალექსანდრე, დავითი.

მოინათლა ივანე 1876 წლის 9 მაისს.

1886 წელს შევიდა თბილისის მესამე გიმნაზიაში. სამი წლის შემდეგ გადმოინაცვლა პირველ გიმნაზიაში.

ყველაზე ღრმა ყრმობის დროისა — ეროვნული დატირება დიდი მამულიშვილის, დიმიტრი ყიფიანისა.

გიმნაზიაში უკეთესთა უკეთესი მოწაფე იყო. მისი გონების სარბიელი საგიმნაზიო წრეწირში როდი თავსდებოდა. გამორჩეული ინტერესით და სისრულით ჰუმანიტარულ საგნებს სწავლობდა. შემდგომში თვითონ გვამცნობს ივანე ჯავახიშვილი: „გიმნაზიაში სწავლის დროს ჩემს საყვარელ საგნებს ბერძნული ენა და მწერლობა, ისტორია და ფილოსოფია შეადგენდა“.

გამორჩეული ნიჭი ჰქონდა მუსიკისა, მხატვრობისა. შესანიშნავად უკრავდა, მღეროდა, ხატავდა, მამამისი, ალექსანდრე ჯავახიშვილი თეძმის ხეობაში ჩკონის ეკლესიას სწავლობდა და

შვილი ამ ძეგლის საერთო არქიტექტურული აღნაგობის, ცალკე დეტალების, ორნამენტებისა და ჩუქურთმების ჩანახატებს უკეთებდა.

არდადეგებს ყოველთვის ხოვლეში ატარებდა, სოფლის ახალგაზრდობასთან ცხოველ, მეგობრულ-თანატოლურ ურთიერთობაში. აწყობდა საუბრებს, რეფერატების კითხვას, დისკუსიებს, არქეოლოგიურ ექსპედიციებს, საქველმოქმედო წარმოდგენებს და სანახაობებს.

1895 წელს დაასრულა გიმნაზია, ასეთი დახასიათებით:

„მოწაფე ივანე ჯავახიშვილი შვილია ქართველი ხელმოკლე თავადისა, სასწავლებლის ზედამხედველისა. კეთილ პატრიარქალურ ოჯახს საუცხოო გავლენა მოუხდენია ჭაბუკზე, გაუზრდია იგი რელიგიოზური, ზნეკეთილი, თავაზიანი, და ალერსიანი. ზომიერი ხასიათისაა, ზრდილი, რის გამო ყველას უყვარს. ჯავახიშვილი დაჯილდოებულია კარგი ბუნებრივი ნიჭით, ამასთან ძეტად ბეჯითი და შრომისმოყვარეა. უეჭველია, რომ მისგან საუკეთესო სტუდენტი დადგება. ჯანმრთელობა ბუნებისაგან მას კარგი აქვს, თუმცა რამდენადმე შერყეული. ბოლო წლების გულმოდგინე მეცადინეობით, ის ბევრს კითხულობს და კარგი ნაკითხობით გამოირჩევა, კარგად უკრავს ვიოლინოზე და გატაცებულია ამითი. იგი შესანიშნავი შვილია და უზადოდ ზრდილობიანი ყმაწვილი არა მარტო უფროსებთან, არამედ ამხანაგებთანაც, თვით უმცროსების მიმართაც, პოლიტიკურად კეთილსაიმედოა“.

იმავე წელს, 19 წლის ივანე ჯავახიშვილი ჩაერიცხა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე, სადაც ქართული სიტყვიერების კათედრას განაგებდა ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ც ა გ ა რ ე ლ ი, ხოლო სომხურისას — ნ ი კ ო მ ა რ ი.

და პირველი შეხვედრიდანვე გააოცა ნიჭით, განათლებით და აღზრდილობით ახალმოსულმა ქართველმა სტუდენტმა იმპერიის სატახტო ქალაქის სამეცნიერო ჭურჭმობა.

და ივანე ჯავახიშვილი სტუდენტობიდანვე, ნიკო მართან ერთად, შეიქნა ფუძემდებელი სომხურ-ქართული ფილოლოგიისა.

1899 წელს დაიბეჭდა „სიბრძნე ბალავარისა,“ რუსულად თარგმნილი სტუდენტ ივანე ჯავახიშვილისაგან.

იმავე ჟამს ივანემ შეადგინა პირველი მეცნიერული ბიბლიოგრაფია, რომელიც მოიცავდა გაზეთ „ივერიაში“ 1886—1896 წლებში გამოქვეყნებულ საისტორიო ხასიათის მასალებს.

1898 წელს ივანე ჯავახიშვილი გაემგზავრა გერმანიაში და მთელი ზაფხული კენიგსბერგში გაატარა. იქ იწაფებოდა გერმანული ენის ათვისებაში. იქვე განაგრძობდა მეცნიერულ კვლევაძიებას, განსაკუთრებით ნიკო მარისაგან შეთავაზებულ საკონკურსო თემებზე. და, მართლაც, გერმანიიდან დაბრუნდა და თან ჩამოიტანა გამოკვლევა — „ანდრია მოციქულისა და წმინდა ნინოს მოღვაწეობა საქართველოში“, რომელმაც კონკურსში მოიპოვა ოქროს მედალი და რეკომენდაცია დაბეჭდვისათვის.

1899 წელს ივანე ჯავახიშვილმა პირველი ხარისხის დიპლომით დაასრულა პეტერბურგის უნივერსიტეტი და იქვე დატოვეს საპროფესოროდ მოსამზადებლად. მხოლოდ არდადეგებზე ეწვია თბილისს და მისმა საწუთისოფლო ბედისწერამ ლამის სასიკვდილოდ გაიმეტა, ამდენ წარმატებათა „საკომპენსაციოდ“; სოლოლაკზე რომელიღაც საკონდიტროში ფუნთუშების ერთმა წყებამ ხალხი დაწვალა და მათ შორის პეტერბურგიდან ახლად ჩამოსული ივანე ჯავახიშვილიც იყო. იგი ძლივს გადარჩა და მთელი სიცოცხლის მანძილზე მხოლოდ მკაცრი დიეტით ცხოვრობდა.

...სტუდენტობიდანვე ივანე ჯავახიშვილს მარად განუშორებელ ფიქრად აჰყვა ფიქრი და ოცნება საქართველოში უმაღლესი საუნივერსიტეტო განათლების დაარსებისა და ორგანიზაციისა.

1900 წლის 14 ოქტომბერს, დიდებული მამულიშვილის, ნ ი კ ო ც ხ ვ ე დ ა ძ ი ს ინიციატივით საძირკველი ჩაეყარა თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის შენობას. ამის შესახებ მაშინ „ივერიაში“ დაიწერა — ეს შენობა „ისეთი დიადი რამ იქნება, რომ უნივერსიტეტსაც კი დაიტევს ღვთით!“

და, მართლაც, ეს „ღვთით განაზრახი“ 17 წლის შემდეგ აღესრულება და მისი „ღვთით აღმსრულებელი“ იქნება სწორედ ივანე ჯავახიშვილი.

მაგრამ მანამდე ბევრი რამ მოხდა ივანე ჯავახიშვილისა და მისი სამშობლოს ცხოვრებაში.

1901 წლის 27 იანვარს, პეტერბურგის უნივერსიტეტის აღ-

მოსავლეთმცოდნეობის პროფესორთა საბჭოს წინაშე ივანემ დიდის წარმატებით ჩააბარა სამაგისტრო გამოცდები და იქვე მიენიჭა წოდება „ქართული სიტყვიერების მაგისტრატისა“.

იმჟამად ახალგაზრდა მეცნიერი გაცხოველებით მუშაობდა თემებზე: „ქართულ-სომხური ეკლესიების გაყოფის შესახებ“, „ქრისტიანობის ხასიათი ძველ სომხეთსა და საქართველოში“. „ეკლესიის ორგანიზაცია“, „სამღვდელოების ფეოდალური ხასიათის შესახებ საქართველოში“, „საეკლესიო ფეოდალების ბრძოლის შესახებ დავით აღმაშენებლიდან თამარის პერიოდამდე, ე. ი. XII — XIII საუკუნეებში“.

1901 წელს, უნივერსიტეტის წარდგინებით და განათლების მინისტრის ნებართვით, ივანე ჯავახიშვილი მივლინებული იქნა ბერლინის უნივერსიტეტში. იქ უპირველესად შეხვდა და დაუახლოვდა პროფესორ გუსტავ ადოლფ ჰარნაკს, რომელზეც თვითონვე წერდა ივანე, კერძო წერილში: „ჰარნაკი მე კარგად გავიცანი, ერთხელ ვახშმადაც ვიყავი მიპატიჟებული... იგი ჩინებულად კითხულობს ლექციებს, საინტერესოა და საყურადღებო თვითეული მისი შეხედულება, ძალიან ნასწავლი, ღრმად ჩაკვირვებული და საგანში ჩახედულია, იგი საკვირველის გონება და ენამახვილობით ასურათებს ხოლმე თითოეულ საეკლესიო ცხოვრების მოვლენას. ჰარნაკი კითხულობს საეკლესიო ისტორიას, ქართული საეკლესიო მწერლობით ძალიან დაინტერესებულია“.

თვითონ ჰარნაკიც დიდად გაოცებული იყო ქართველი მეცნიერის ნიჭით, საკვლევაძიებო უნარით და შრომითი სიბეჯითით.

პირველი ვამოკვლევა, რომელიც ივანემ ჰარნაკის წასაკითხად დაწერა, იყო დაკვირვებები „ევსტათი მცხეთელის ცხოვრებაზე“, ჰარნაკი ამ ნაშრომით იმდენად დაინტერესდა, რომ სთხოვა ქართველ მეცნიერს ეთარგმნა ეს ძეგლი უერმანულად. ივანემ ეს თხოვნა აღასრულა და გერმანულად ნათარგმნი ქართული თხზულება, სათანადო კომენტარებით, მიართვა თავის გერმანელ მასწავლებელს. ჰარნაკი კიდევ უფრო მოიხიბლა და მალე მან, ივანესთან ერთად, „ევსტათი მცხეთელს“ გამოკვლევა დაურთო და კიდევაც გამოაქვეყნა. ძეგლის წინასიტყვაობაში ჰარნაკი წერდა:

„სამწუხაროდ, ამ ძველის-ძველ, მდიდარი ლიტერატურის

მქონე ქვეყანას, საქართველოს და მის ეკლესიას სრულებით არ ვიცნობთ ევროპაში. მისი ხელნაწერები მთელს აღმოსავლეთშია მოფენილი, დაწყებული სინის მთით და გათავებული პეტერბურგით. მეტად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ევსტათი მცხეთელის ცხოვრება, რომლის ბიბლიური ციტატები საგრძნობ თავისუფლებას იჩენენ, და ამიტომ გადავწყვიტე ეს ძეგლი ხელმისაწვდომი გავხადო საეკლესიო ისტორიის სპეციალისტებისათვის. სრული კომენტარის მიცემა ამ ძეგლისათვის მე არ შემიძლია, მაგრამ ივ. ჯავახიშვილის დახმარებით, რომელიც, ყველაფრის გარდა, სპარსულ ენაშიც ძლიერია, იმედი მაქვს მნიშვნელოვან ადგილებს განვმარტავ და მთელს ძეგლსაც თავის ისტორიულ ადგილსაც მივუჩენთ".

მალე ამის შემდეგ, ისევ ივანეს დახმარებით და ხელმძღვანელობით, კარლ შულცემ ქართულიდან გერმანულად თარგმნა „აბო ტფილელის წამება", რომელიც დაიბეჭდა ჰარნაკის სერიაში — „ტექსტები და გამოკვლევები".

1902 წლის აპრილს ივანე ჯავახიშვილი გერმანიიდან დაბრუნდა და იმავე თვეში იგი, ნიკო მართან ერთად, მიემგზავრება სინას მთაზე, სადაც ისინი შეუდგნენ ქართული ხელნაწერების მეცნიერულ შესწავლას. იქ ყველას ყურადღებას იქცევდა ამ ორი „უცნაური ქართველის" მართლაც საოცარი და საკვირველი შრომაც და ცხოვრებაც. ერთ მუნჯ ბერს ისიც შეუნიშნავს, ნიკო მარი რომ ღვინოს ეტანებოდა, ხოლო ივანე ჯავახიშვილი (მისი მოწამლული კუჭის პატრონი) ზედაშის წვეთსაც არ იკარებდა. და მიუნიშნებია იმ მუნჯს, ხელმეტყველებით — მარი ქრისტიანი და ქართველია, ხოლო ჯავახიშვილი, მუსლიმანი და არაქართველიო!

სამი თვე დღეღამ-სწორებით იშრომეს მასწავლებელმა და მოწაფემ სინას მთაზე, ქართული ხელნაწერები მოიძიეს, დაალაგეს, შეისწავლეს, კატალოგები შეადგინეს, პირები გადმოიღეს და წამოიღეს.

სინადან ალექსანდრიას მივიდნენ. იქიდან ნიკო მარი იერუსალიმს გაემგზავრა, ივანე ჯავახიშვილი კი სამშობლოსკენ გამოეშურა.

პეტერბურგს მობრუნებულმა ივანემ უნივერსიტეტის საფაკულტეტო საბჭოს წინაშე წაიკითხა ორი საცდელი ლექცია: „ქართული ეკლესიის რეფორმა XI საუკუნეში" და „სტეფანოს

ორბელიანის ისტორია, როგორც წყარო ადგილობრივი ისტორიისა“, და ამ ლექციების მაღალი შეფასების კვალობაზე, 1903 წლის 1 იანვრიდან, ივანე ჯავახიშვილს მიენიჭა პეტერბურგის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტის წოდება.

მერე, მთელი თერთმეტი წლის მანძილზე, ყოველთვის, როგორც კი საქართველოში ჩამოსვლის საშუალება მიეცემოდა, საჯარო ლექციებს კითხულობდა ე. წ. „საშობაო უნივერსიტეტში“. და ყოველთვის ქართული საზოგადოებრიობა უსაზღვრო ინტერესით, ნდობით, სიყვარულით და სიამაყის გრძნობით ეგებებოდა, ისმენდა და იაზრებდა ჯავახიშვილის მაღალ მეცნიერულ სიტყვას და განსჯას.

პრივატ-დოცენტის წოდებით, ივანე ჯავახიშვილი შეიქნა სისტემატური მკვლევარი და ლექტორი პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტსა, სადაც იგი კითხულობდა ლექციებსა და სპეციალურ კურსებს ჯერ საერთოდ საქართველოსა და სამხრეთის ისტორიაში, შემდგომ ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ისტორიაში, ქართულ სამართალში, პალეოგრაფიაში, ეკონომიკაში...

1906 წელს, საზეიმო ვითარებაში, გაიხსნა სათავადაზნაურო გიმნაზია თბილისში — წინამორბედი სამომავლო, საჯავახიშვილო უნივერსიტეტისა.

იმავე 1906 წლის 30 ოქტომბერს, პეტერბურგში 30 წლის ივანე ჯავახიშვილმა ჯვარი დაიწერა ა ნ ა ს ტ ა ს ი ა ნ ი კ ო ლ ო ზ ი ს ა ს უ ლ ჯ ა მ ბ ა კ უ რ-ო რ ბ ე ლ ი ა ნ ზ ე და, შეეძინებათ სამი შვილი, სამივე თბილისის უნივერსიტეტის გასნამდე: ნათელა 1908 წელს, კახა 1915 წელს, ალექსანდრე (ლალი) 1917 წელს, სამივე მომავლის ცნობილი მეცნიერი...

1905 და 1906 წლებში გამოქვეყნდა ივ. ჯავახიშვილის ორი შრომა — „სახელმწიფოებრივი წყობილება ძველ საქართველოსა და ძველ კოლხეთში“ და „პოლიტიკური და სოციალური მოძრაობა X X საუკუნის საქართველოში“.

...სტუდენტობის დროიდანვე ივანე ჯავახიშვილი ცდილობდა შეექმნა სწორედ სტუდენტური წრე, მაგრამ ეს თავიდანვე არ მოხერხდა საერთოდ ხელისუფლებისაგან ახალგაზრდობის წრეობრივი ორგანიზაციების აკრძალვის გამო, ხოლო 1907 წელს უნივერსიტეტის რექტორს უფლება მიეცა სტუდენტთა წრეების ლეგალიზაციისა და ივანე ჯავახიშვილსაც აღარ დაუ-

ყოვნებია და კიდევაც შეუდგა ქართველ სტუდენტთა პირველი წრის ჩამოყალიბებას. წრის თავმჯდომარე სტუდენტი უნდა ყოფილიყო, ხოლო თვითონ, პრივატ-დოცენტი ივანე ჯავახიშვილი, საერთო ხელმძღვანელობას გაუწევდა. და აი, 1908 წელს ჩამოყალიბდა ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრე, 25 წევრით, რომელთა შორის იყვნენ იოსებ ყიფშიძე (თავმჯდომარე), კ. შარაშიძე (მდივანი), შოთა დადიანი (ხაზინადარი), ს. ჟორჟოლიანი (ბიბლიოთეკარი), გ. ჭუბაბრია (ბიბლიოგრაფი) და სარევიზიო კომისიის წევრები — რ. გაბაშვილი, გ. ლორთქიფანიძე და ა. შანიძე. წრე მუშაობდა უაღრესად ცხოველი აქტივობით, მეცნიერული რეფერატების კითხვა-განხილვით, ერის საყოველდღეო ჭირვარამით, სოციალური, პოლიტიკური, სამეურნეო, კულტურული და ზნეობრივი საკითხების რკვევით. ყოველდღიურ მოვლენათა მიმართ სწორი პოზიციის ძებნით და იმ პოზიციიდან აქტიური და წინდახედული მოქმედებით.

...1907 წელს თბილისში, ე ქ ვ თ ი მ ე თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს თაოსნობით დაარსდა „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება“. ივანე ჯავახიშვილი ამ საზოგადოების ნამდვილ წევრად აირჩიეს, მაგრამ ექვთიმე თაყაიშვილმა ეს არ იკმარა და ივანეს საქართველოში დაბრუნება და აღნიშნული საზოგადოების თავმჯდომარეობა შესთავაზა, ამით ექვთიმეს სურდა საზოგადოებას „ერთგვარი სახალხო უნივერსიტეტის ხასიათი მისცემოდა“, მაგრამ ივანემ თავმჯდომარეობაზე კატეგორიული უარი თქვა. სამშობლოში დაბრუნებაც იმ ხანად არ მოუხერხდა. თუმცა საქართველოში საუნივერსიტეტო განათლების დაფუძნებაზე ფიქრი არ ასვენებდა „პეტერბურგელ ქართველ მეცნიერს“...

...ივანე ჯავახიშვილის სამეცნიერო კვლევითი მეთოდი იყო უმკაცრესი, მხოლოდ რეალურ-ფაქტიურ მასალებსა და წყაროებზე დამყარებული. იგი ებრძოდა მშობლიური ისტორიის „ადვოკატურ გამოსარჩლებას“, ისეთ ისტორიას, სადაც განგებისად „ღირსებანი დიდდებიან და ნაკლოვანებანი მცირდებიან“. იგი კალმის პირველ აღებისთანავე თავგამოდებით მიელტვის აღადგინოს თავისი ერის „უტყუარი, ჭეშმარიტი ისტორია და არა გაზვიადებული, ყალბი“, ანუ „შელამაზებული“ მაგრამ „შელამაზებული“ აქ „გაყალბებულს“ ნიშნავს და არა, „ლამაზად დაწერილს“, რამეთუ ლამაზად წერა თვითონაც უყ-

ვარდა და ეხერხებოდა. ეფრემ მცირეს შეგონებაც მოსწონდა: ისტორია უნდა იწერებოდეს არა უსულგულო, ლექსიკურად ღარიბ-ღატაკი „სოფლურითა“, „უშუერითა“ და „ლიტონითა სიტყვითა“, არამედ სწორედ ლამაზად — „ხელოვნებითა რიტორობისათა“ და „ჯეროვნად რიტორობისა“, ოღონდ ლამაზი სიტყვით „განშვენებისა“ და„ გარდაკაზმვის“ დროს არ დაზიანებულიყო და არ დამახინჯებულიყო „ნივთნი საქმეთანი“, ანუ ფაქტიური სინამდვილე ისტორიისა. (ამის აღნიშვნა მით უფრო ხაზგასასმელია, რომ ზოგი ისტორიკოსი დღესაც ცდილობს მისი „სოფლური“, „უშუერი“ და საერთოდ ბერწი სიტყვიერება როგორმე ივანე ჯავახიშვილისაგან „შელამაზებული ისტორია“ და „ლამაზად დაწერილი ისტორია“ ერთნაირ, სინონიმურ ცნებებად გაასაღოს).

საერთოდ, ივანე ჯავახიშვილის მთელს შემოქმედებას თავიდან ბოლომდე ეტყობა სუნთქვა ჰეგელის ცნობილი სენტენციისა — „ისტორიაზე სერიოზულად ვერ იმსჯელებ, უკეთუ ესთეტიკური გრძნობა არ გაგაჩნია“...

...1907 წელს ივანე ჯავახიშვილმა დაიცვა დისერტაცია, თემა — ორი წლით ადრე გამოქვეყნებული „სახელმწიფოებრივი წყობილება ძველ საქართველოში და ძველ სომხეთში“. ოფიციალური ოპონენტები იყვნენ ნ. ი. მარი და ვ. ვ. ბარტოლდი. როგორც ყველა მოელოდა, დაცვამ ჩაიარა ბრწყინვალედ და ივანე ჯავახიშვილს მიენიჭა ქართული სიტყვიერების მაგისტრის ხარისხი.

იმავე წელს გამოქვეყნდა ივანე ჯავახიშვილის პირველი ფუხდამენტური მონოგრაფია — „საქართველოს ეკონომიკური ისტორია“, რომელიც მანამდე, 1906 წელს ნაწილებად იბეჭდებოდა „ივერიაში“.

ამას, 1908 წელს მოჰყვა ივანე ჯავახიშვილის მთავარი სამეცნიერო სერიის, „ქართველი ერის ისტორიის“ პირველი ტომი. აქვე, წიგნის შესავალში ავტორი გვამცნობს, რომ მას „ქართველი ერის ისტორიის“ დაწერა განზრახული აქვს ოთხ ტომად: პირველი — უძველესი დროიდან VII საუკუნის პირველ ნახევრამდე, ანუ არაბთა ბატონობის დამყარებამდე, მეორე — VII—XIII საუკუნეები, მესამე — XIII—XV საუკუნეები და მეოთხე — XVI—XVIII საუკუნეები...

...ივანე ჯავახიშვილი ბევრს ზრუნავდა ქართული მუსიკა-

ლური ხელოვნების შესწავლაზე, მოვლასა და განვითარებაზე. მისი უახლოესი მეგობარი იყო ზაქარია ფალიაშვილი, რომელიც ზაფხულის არდადეგებზე მიჰყავდა ხოვლეში და მასთან და კავსაძეებთან ერთად იწერდა ქართლის ტრადიციულ, მრავალფეროვან ხალხურ სიმღერებს. სწორედ მაშინ, ხოვლეში ჩაუწერია ზაქარიას მისი „აბესალომ და ეთერის“ განთქმული ცეკვა „ქართული“, რომელსაც შინაურობაში თვითონ კომპოზიტორი „ივანეს ქართულს“ ეძახდა.

ივანე ჯავახიშვილი ბევრს შრომობდა და იღვწოდა ქართული ხელოვნების ისტორიის საკვლევად და ძეგლთა დაცვისა და მოვლა-პატრონობისთვის, 1916 წელს იგი სიხარულით შეხვდა დიმიტრი შევარდნაძის მეთაურობით „ქართველ ხელოვანთა საზოგადოების“ დაარსებას. იგი, თუ სიტყვით და თუ წერილობით, აქებდა და აქეზებდა ქართველ მხატვართა და ხელოვანთა დაუცხრომელ შრომას ქართული ძეგლების მოვლაში, აღდგენაში, მხატვრულ სახეთა გადმოსატვასა და დაბინავებაში. კონკრეტულად მიუთითებდა ნაბახტევის, ჯვრის, თელავის, ყინწვისის, ნეკრესის, შილდას და დავით-გარეჯას ძეგლთა დაცვასა და მოვლა-პატრონობაზე.

1914 წლის სექტემბერს დაიწვა ქართული დრამატიული თეატრი. ივანე ჯავახიშვილი იყო თეატრის აღდგენის ყველაზე თავგამოდებული მოთავე და ჰირისუფალი.

1913 გამოქვეყნდა „ქართველი ერის ისტორიის“ მეორე და მესამე ტომები, სამი წლის შემდეგ კიდევ ახალი ფუნდამენტალური მონოგრაფია — „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა“. ეს არის წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა, სახელდობრ — ქართული საისტორიო მწერლობის, ვითარცა წყაროთმცოდნეობითი ღირებულების განხილვა. ამ წიგნმაც მკითხველ საზოგადოებაში დიდი გამოხმაურება ჰპოვა. სახელოვანი კიტა აბაშიძე წერდა მაშინ: „მშვიდმა და წყნარმა ივ. ჯავახიშვილმა, რომელიც სწორედ ჩვენი შესანიშნავი წმინდა მამების (გიორგი მთაწმინდელის, ეფრემ მცირის და სხვ.) ენერგიითა და თავგანწირულებით თავს ევლება საქართველოს ისტორიულ მეცნიერებას ისეთი საჩუქარი უძღვნა ქართველ ერს, რომელიც წარუხოცელ კვალს დაასვამს მთელ ჩვენს აწმყოსა და მომავალს“... „უნდა მართალი ვთქვა, ილია ჭავჭავაძის „განდეგილის“ მერე არ მახსოვს, ჩემზე რომელიმე

დარგის რომელიმე ნაწარმოებებს ასეთი შთაბეჭდილება მოეხდინოს“.

შემდეგ, მოსე ჯანაშვილი წერს: „შეუდგები ამ საკვირველ წიგნს და გინდა მწვერვალამდის მიაღწიო შეუსვენებლივ, დაეწაფო, ვით მოწყურებული ირემი წყაროს, და ამოსწურო იგი ბოლომდის.

ნამდვილი წმინდა გუთანივით შლის, არღვევს, აბრუნებს, გადადის „ბელტი-ბელტზე“, ცოცხლდებიან და მზის შუქზე ამოდიან უმეცრების გზით დამარხული მოღვაწეები და ისტორიკოსები. ეცნობი ამ გამომზეურებულ გმირებს და ჰკვირობ, ვერ გადაგიწყვეტია, ესენი უფრო გმირები არიან, თუ მათ შესახებ მართლისმეტყველი ჩვენი ავქსონი... შემოსილია იგი მეცნიერების კვართით, დამჯდარა რა მეცნიერების კალოზე, არკვევს ზღაპრულს ნამდვილისაგან, სარწმუნოს ურწმუნოსაგან, სასწაულებრივს შესაძლებლისაგან, ღირსსა დ უღირსს შორის სდებს მტკიცე საზღვარს. საკმარისია კაცმა წაიკითხოს გინდა მარტო ჯავახიშვილის ზემოხსენებული „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა“, რომ დარწმუნდეს, რა მდიდარია ქართული მწერლობა საზოგადოდ, რა პირველხარისხოვანი ისტორიკოსები გვყოლია, რა დიდბუნებოვან კაცებს შეუქმნიათ ქართული უმდიდრესი სიტყვიერება, მისი გმირული ისტორია, მისი „სუსტი“ კი არა, ცხოველი და მდიდარი კულტურა. ასეთი დიადობა ქართული კულტურის წინადაც სჩანდა, მაგრამ ჯავახიშვილის კვლევა-ძიებამ უფრო სიცხადე მისცა მას“...

...1917 წლის თებერვლის რევოლუციის კვალობაზე, პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა სათვისტომომ, ისევ ივანე ჯავახიშვილის თაოსნობით, უკვე შესაძლებლად ჩასთვალა პრაქტიკულად შესდგომოდნენ საქართველოში უმაღლესი სკოლის დაარსების საქმეს. და იმავე წლის 1 მარტს ივანე ჯავახიშვილთან, მისსავე ბინაზე თავი მოიყარეს — ი. ყიფშიძემ, შ. ნუცუბიძემ, ა. შანიძემ, ს. ლომიძემ, ს. ყაუხჩიშვილმა, ელ. ჩიხლაძემ და სხვებმა. იმსჯელეს და დაადგინეს: უნდა გაშლილიყო სახალხო მოძრაობა საქართველოში უმაღლესი საუნივერსიტეტო განათლების მოსათხოვნად, ხოლო ამ პროცესის პარალელურად აღძრულიყო თხოვნა მაშინდელი დროებითი მთავრობის წინაშე საქართველოში უნივერსიტეტის

დაარსების ნებართვაზე. აქვე გადაწყვიტეს, საკითხი გაეტანათ პეტერბურგში მცხოვრებ ყველა ქართველის საერთო შეკრებაზე. ასედაც მოხდა. დაიქირავეს კინოთეატრი „ელიტი“ და იქ შემოიყარეს ყველა პეტერბურგელი ქართველი. მოხსენებით გამოვიდა ივანე ჯავახიშვილი, რომელმაც ერთდროულად სრული დამაჯერებლობით დაასაბუთა საქართველოში უნივერსიტეტის დაარსების უფლებაც, შესაძლებლობაც, უნივერსიტეტის აღნაგობაც და მისი დაარსების კონკრეტული გზებიც. დასასრულ მომხსენებელმა მოუწოდა ყველა თანამემამულეს მასთან ერთად, საქართველოში სასწრაფოდ ეამგზავრება.

და იმავე წლის აპრილს ივანე ჯავახიშვილი უკვე საქართველოში იყო. ხოლო, 12 მაისს მან საგანგებოდ შედგენილი მოსაწვევი ბარათებით, თბილისში შეჰყარა ქართული კულტურისა და საზოგადოებრივი ცხოვრების მოწინავენი, და მათ წინაშე თვითონვე გააკეთა მოხსენება, უნივერსიტეტის დაარსების თაობაზე. კრებას თავმჯდომარეობდა ექვთიმე თაყაიშვილი, მდივნობდა ილია ზურაბიშვილი. ჯავახიშვილის მოხსენების გარშემო გაიშალა მსჯელობა, კამათი, დავა, და ბოლოს — „კრებამ ერთხმად მიიღო მომხსენებლის წინადადება დაარსდეს ქ ა რ თ უ ლ ი თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი ყოვლის სათანადო ფაკულტეტებთან; მხოლოდ ამთავად უნდა გაიხსნას სიბრძნისმეტყველების განყოფილება (ფილოსოფიური და ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტი)“.

კრების წამყვანი მონაწილეები იყვნენ: ა. შანიძე ფ. გოვარიშვილი, დ. უზნაძე, კ. კეკელიძე, კ. მაყაშვილი, ლ. ბოცვაძე, ი. იმედაშვილი, დ. სულიაშვილი, გ. ვეშაპიძე, ა. თუმანიშვილი- წერეთლისა, კ. აფხაზი, ვ. ყიფიანი, ლ. ლორთქიფანიძე, გ. ქურული.

აქვე დაადგინეს ქართული უნივერსიტეტის განსაკუთრებული საზოგადოება, ხოლო იმდღევანდელ კრებას დაერქვა ამ საზოგადოების დამფუძნებელი კრება.

17 მაისს ივანე ჯავახიშვილმა ისეთივე ხასიათის სხდომა მოიწვია ქუთაისში. კრებას ესწრებოდა 25 კაცი. თავმჯდომარეობდა ი ო ს ე ბ ო ც ხ ე ლ ი, მდივნობდა ალექსანდრე გამყრელიძე. მოხსენება გააკეთა ივანე ჯავახიშვილმა. გაიმართა ცხარე კამათი, განსაკუთრებით უნივერსიტეტის სახეობის

გარშემო. ბოლოს, „მთელმა კრებამ ორის წინააღმდეგ გაიზიარა მომხსენებლის შეხედულება და საჭიროდ სცნო ტფილისში ქართული უნივერსიტეტის დაარსება“.

ეს პირველი „დამფუძნებელი სხდომები“ დიდად მნიშვნელოვანი და თითქოს მრავლისაღმთქმელი ნაბიჯები სჩანდა, მაგრამ ძალზე ძნელი აღმოჩნდა პრაქტიკა, ანუ კეთილი სიტყვის კეთილ საქმედ გადაქცევა. ყველაფერი, პრაქტიკულად, ბუნებრივია, კისრად უნდა დასწოლოდა „ფულის შოვნას“. და სწორედ ამ ჭირვეული საქმის გადასაწყვეტად პირველ ორ მოწვევაზე საორგანიზაციო კომიტეტის სხდომა არც კი შედგა. წევრთა უმრავლესობის მოუსვლელობის გამო. ძლივს მესამეჯერ მოხერხდა საჭირო ქვორუმის მოგროვება და სხდომის ჩატარება — 1917 წლის 3 ივნისს. ესწრებოდნენ: ივ. ჯავახიშვილი, კ. აფხაზი, ი. ლორთქიფანიძე, ვ. ყიფიანი, გ. ჟურული, ფ. გოგიჩაშვილი, გ. აბაშიძე.

გადაწყდა შექმნილიყო უნივერსიტეტის დამხმარე საზოგადოება, რომლის წესდების პროექტიც შეადგინა ისევ ივანე ჯავახიშვილმა. მანვე მაშინვე შეადგინა თვითონ უნივერსიტეტის შირითადი დებულებანი. და ყველაფერი ერთად დასამტკიცებლად წარუდგინა ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტს. დასტურიც მიღებული იქნა. უნივერსიტეტის დამხმარე საზოგადოება ამოქმედდა. დაიწყო შესაწირავების შეგროვება საქართველოს ყოველი კუთხიდან, საზოგადოებრივი წრეებიდან, კერძო პირებისაგან და ოჯახებისაგან, საქართველოს გარეთ მცხოვრებ ქართველთაგან... და საუნივერსიტეტო საფინანსო ფონდში მოედინებოდა შესაწირავი თანხები, რომელთაც თან მოსდევდა შემწირველთა აღტაცებით, მამულიშვილური გზნებით აღსავსე წერილები, მომავალი ქართული უნივერსიტეტის სადღეგრძელებელნი, ეროვნული სულის აძამაღლებელი სურვილები და — წრფელი სამადლობელნი ივანე ჯავახიშვილისადმი...

1917 წლის 26 ნოემბერს, ექვთიმე თაყაიშვილის ბინაზე, შეიკრიბა მომავალი უნივერსიტეტის პროფესორთა პირველი საბჭო, რომელსაც ესწრებოდნენ: ექვთიმე თაყაიშვილი, ივანე ჯავახიშვილი, აკაკი შანიძე, დიმიტრი უზნაძე, ფილიპე გოგიჩაიშვილი და კორნელი კეკელიძე. თავმჯდომარეობდა ივანე ჯავახიშვილი, მდივნობდა აკაკი შანიძე. და აქ, ჩაიწერა, რომ

ჯერ „გაიხსნას ერთი სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი შემდეგი განყოფილებებით: 1) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა (რომელიც უდრის პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორიულ — ფილოლოგიური და აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტებს); 2) სამათემატიკო და 3) საბუნებისმეტყველო. მხოლოდ ამთავითვე გაიხსნას ჰუმანიტარულ მეცნიერებათა განყოფილება“.

აქვე პირველად იქნა დასახელებული უნივერსიტეტში მომუშავე მეცნიერნი: ს. ავალიანი, გ. ახვლედიანი, ფ. გოგიჩაიშვილი, კ. კეკელიძე, შ. ნუცუბიძე, დ. უზნაძე, ი. ყიფშიძე, ა. შანიძე, ი. ჯავახიშვილი. მეცნიერ ხელმძღვანელებად: იუსტ. აბულაძე, ე. თაყაიშვილი და მ. წერეთელი.

ამას გარდა, დაიწყეს მოწვევა საქართველოს გარეთ მომუშავე პროფესორებისა, და ცნობილი მეცნიერებისა.

მტკიცედ იყო დათქმული, რომ უნივერსიტეტი უნდა გახსნილიყო ახალი, 1918 წლის დამდეგ თვეს, იანვარში. ხოლო, მანამდე, 1917 წლის 6 დეკემბერს, მოწვეული იქნა უნივერსიტეტის საზოგადოების გამგეობისა და საფინანსო კომისიის გაერთიანებული სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ: კ. აფხაზი, ი. ლორთქიფანიძე, ე. თაყაიშვილი, ვ. ყიფიანი, მ. ჯამბაკურ-ორბელიანისა, ან. წერეთლისა, ა. ვირსალაძისა, ნ. ნაქაშიძისა, ვ. კახაძე, გ. გვაზავა, პ. მელიქიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ი. ზურაბიშვილი.

მოხსენებას ისევ ივანე ჯავახიშვილი აკეთებდა, უნივერსიტეტის სახეც ჩამოაყალიბა, სავარაუდო ხარჯთაღრიცხვაც წარმოადგინა, მისგან კეთილად თქმული ყველამ თითქოს კეთილადვე აღიქვა და გაიზიარა, მაგრამ ივანესთვის სრულიად მოულოდნელად, სხდომის უმრავლესობამ მოითხოვა „უნივერსიტეტის გახსნის ვადა იანვრიდან სექტემბერში გადაეტანათ“.

ივანე ჯავახიშვილი კი არ თმობდა. მან, უკვე დამხმარე საზოგადოების გამგეობის გარეშე, რამდენიმეჯერ მოიწვია მხოლოდ პროფესორთა კოლეგიის სხდომები და ერთ-ერთ მათგანზე, 1917 წლის 17 დეკემბერს გადაწყვიტეს უნივერსიტეტის გახსნა 1918 წლის 14 იანვრისათვის, ამ კერძო თათბირს ესწრებოდნენ: ივანე ჯავახიშვილი, ფილიპე გოგიჩაშვილი, კორნელი კეკელიძე, იოსებ ყიფშიძე და აკაკი შანიძე.

1917 წლის 27 დეკემბერს სხდომა უკვე თბილისის ქართული გიმნაზიის შენობაში შედგა — იმ შენობაში, სადაც დიდ მამულიშვილებს მონიშნული ჰქონდათ თვითონ უნივერსიტეტის გახსნა. ესწრებოდნენ: პეტრე მელიქიშვილი (თავმჯდომარე), აკაკი შანიძე (მდივანი), ფილიპე გოგიჩაიშვილი, კორნელი კეკელიძე, შალვა ნუცუბიძე, იოსებ ყიფშიძე, ივანე ჯავახიშვილი.

მოიწონეს ივანე ჯავახიშვილისაგან წარმოდგენილი სასწავლო გეგმა და პირველი სემესტრის სალექციო ნუსხა...

დადგა ახალი, 1918 წელი.

10 იანვარს მოწვეული იქნა პროფესორთა ახალი სხდომა, სადაც გამოცხადდა და საბოლოოდ დადგინდა, რომ უნივერსიტეტი 14 იანვრის ნაცვლად გაიხსნება 26 იანვარს, დავით აღმაშენებლის ხსოვნის დღეს.

13 იანვარს კიდევ იქნა მოწვეული სხდომა რომელსაც უნივერსიტეტის გახსნამდე განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მომავალი ისტორიისთვის. ხსდომას ესწრებოდნენ — ივანე ჯავახიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, ფილიპე გოგიჩაიშვილი, პეტრე მელიქიშვილი, შალვა ნუცუბიძე, იოსებ ყიფშიძე. აკაკი შანიძე. მანამდე წოდებული კოლეგია აქ პირველად მოინათლა უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოდ. პირველად დაიწერა ოფიციალურად ოქმი № 1, პირველად აირჩიეს უნივერსიტეტის გამგეობა და, რაც მთავარია, დასახელებული იქნა უნივერსიტეტის პირველი რექტორი.

ბუნებრივია რომ ყველამ ერთხმად დაასახელა ივანე ჯავახიშვილი, მაგრამ კატეგორიული წინააღმდეგი წავიდა თვითონ ივანე, რომელმაც უმალვე რექტორად დაასახელა პეტრე მელიქიშვილი. დაასახელა და მაშინვე კიდევაც ნათქვამი დაასაბუთა, ასეთი დასაბუთებით: „პეტრე მელიქიშვილი ცნობილი მეცნიერია, რუსეთშიც და საზღვარგარეთაც, და მისი არჩევა დიდ პრესტიჟს შეუქმნის ჩვენს უნივერსიტეტსო“. თქვა და თავისი გაიტანა. ქართული უნივერსიტეტის პირველ რექტორად ერთხმად აირჩიეს ნოვოროსიის (ოდესის) უნივერსიტეტის დამსახურებული პროფესორი, ქიმიკოსი, სახელგანთქმული მეცნიერი და მეცნიერთა აღმზრდელი — პეტრე მელიქიშვილი, რომელიც იმთავითვე ივანე ჯავახიშვილს აცხა-

დებდა უნივერსიტეტის ერთადერთ დამაარსებლად, სულის-ჩამდგმელად და უკეთილშობილეს რაინდად.

იმავე სხდომაზე დაარსდა უნივერსიტეტის ერთადერთი ფაკულტეტი — სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი, რომლის დეკანად აირჩიეს ივანე ჯავახიშვილი.

სწავლულ მდივნად აირჩიეს იოსებ ყიფშიძე, ხოლო ხაზინადარად — ფილიპე გოგიჩაიშვილი.

სხდომაზე, ივანე ჯავახიშვილის პროექტით, მიღებული იქნა უნივერსიტეტის წესდება, ახალი, საბოლოო რედაქციით.

და, ბოლოს და ბოლოს, განხორციელდა ივანე ჯავახიშვილის ღმრთივჩანერგილი ნაოცნებარი — 1918 წლის 26 იანვრის ღმრთივკურთხეული დავით აღმაშენებლის დღეს, გაიხსნა ქართული სულიერი აზროვნებისა და სინდისის წმინდა ტაძარი — თბილისის უნივერსიტეტი.

და ამ დროს თვითონ უნივერსიტეტის დამაარსებელი იყო 42 წლისა.

1919 წელს პეტრე მელიქიშვილი რექტორობიდან გადადგა. ისევ შესთხოვეს უმორჩილესად და დაჟინებით ივანე ჯავახიშვილს, რათა ბოლოს და ბოლოს ეტვირთა რექტორობა „მისივე ნახელავი“ უნივერსიტეტისა. ისევ ცივ უარზე დადგა ქართველთა იმჟამინდელი სულიერი წინამძღოლი ქართული სულიერი სავანის საჭეთმპყრობელობაზე (აკი გიორგი მთაწმინდელსაც ასე ამაოდ ემუდარებოდნენ, ერთ დროს, ათონის სავანეთა საჭეთმპყრობელობას — ივანე ჯავახიშვილისგან ხოტბაშესხმულ გიორგი ათონელს). მაგრამ არ მოეშვნენ და დაითანხმეს ბოლოს (აკი გიორგი ათონელიც დათანხმდა) და აი, 1919 წლის 17 ღეკემბრიდან ივანე ჯავახიშვილი მაინც შეიქნა რექტორი მისგანვე დაარსებული უნივერსიტეტისა. და იმუშავა რექტორად 1926 წლამდე.

იმ ხანებში ივანე ჯავახიშვილის უმთავრესი სატკივარი სამხრეთ საქართველოს დემოგრაფიული პრობლემები ყოფილა. 1926 წელს იგი სწერს მაშინდელი საქართველოს ხელისუფლებას:

„რუსეთის მთავრობისაგან საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობისთანავე რუსთ ხელმწიფის წარმომადგენელნი, ერთის მხრივ, სომეხთ მოხელეთა დაწინაურებით, მეორეს მხრით, რუს ნასალდათართა დასახლებით ქართველთა მოსახ-

ლეობის ინტერესების შელახვასა და მიწა-წყლის ეთნოგრაფიულად აჭრელებით, ქართველთა მოსალოდნელი პოლიტიკური მოძრაობისაგან უზრუნველყოფას ცდილობდნენ. სომხები მათ აპოლიტიკურ ხალხად ჰყავდათ მიჩნეული და ამასთანავე თავიანთ ერთგულად სთვლიდნენ. უკვე 1828 წლითგან მოყოლებული, როდესაც ქართველ მაჰმადიანებით დასახლებული სამცხე, ჯავახეთი, ერუშეთი და პალაკაციო რუსეთმა ოსმალეთს წაართვა და მცხოვრებნი ისეთ სულიერ განწყობილებაში ჩააგდო, რომ ქართველ-მაჰმადიანებმა თავიახთი მამაპაპეული. სამოსახლოთაგან აყრა და ოსმალეთში გადასახლება ირჩიეს, გრაფმა პასკევიჩმა ქართველებს ლიხთიმერეთიდგან იქ გადასახლების ნება არ მისცა და მათ მაგიერ ოსმალეთთაგან გადმოსახლებულ სომხთაგან 30 000 მცხოვრები ჩაასახლა. ამ ხელოვნური საშუალებით მესხეთში, სადაც 1828 წლამდე ქართველთა მოსახლეობა 90 პროცენტს აღემატებოდა, 1832 წელს უკვე, რუს მოხელეთა წყალობით, უმრავლესობით სომეხნი იქცნენ.

XIX საუკუნის სამოციან წლებითგან მოყოლებული რუსეთის პოლიტიკური წრეები უკვე ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობდნენ, რომ ამიერკავკასია მოსახლეობითაც რუსულად ქცეულიყო. 1864 წელს მ. კატკოვს მარტო რუს ნასალდათართა დასახლება აღარ აკმაყოფილებდა და იმაზეც ოცნებობდა, რომ რუს მთავრობას ისეთი პირობები შეექმნა ამიერკავკასიაში, მარტო ქალაქები კი არა, არამედ სოფლებიც თანდათანობით რუსებით ავსებულიყო. აბა, მაშინ რუსული გავლენა იქ როგორ გაიზრდებოდა. „Как бы усилилось (русское) влияние в стране, если бы допущены были это условия необходимые для того, чтобы и села могли постепенно наполняться «русскими людьми», იხ. «Московские ведомости», 1864 г. № 168, ან Собрание передовых статей «Московских Ведомостей». 1864 წ. გვ. 467). ამისათვის ერთ-ერთ ხელშემწყობ საშუალებად მას კავკასიაში და კერძოდ შავი ზღვის სანაპიროზე რუს თავადაზნაურთა გადასახლება მიაჩნდა (იქვე).

მაგრამ ამ დროს რუსეთის მთავრობა რუსების ჩამოსახლებით პოლონეთის გარუსებას ცდილობდა, ამიტომ რუსი პოლიტიკოსები დარწმუნდნენ, რომ ამდენი ხალხი არ ყავ-

დათ, რომ ყველგან გასწდომოდა. ამავე ხანებში სომეხმა მოღვაწემ კანანოვმა საკოლონიზაციოდ შავი ზღვის დასასახლებლად ოსმალეთითგან ზეითუნის სომხების გადმოსახლების პროექტი წამოაყენა. კატკოვმა ამ აზრს, რუსკოლონისტების სიმცირის გამო, მხარი დაუჭირა და პოლიტიკური და ეკონომიური მიზნებით მიზანშეწონილად აღიარა, „სომხები ჩვენი ერთგული მომხრენიც იქნებიან და ვითარცა ვაჭარი ხალხი თან ფულსაც მოგვიტანენო“ (იქვე გვ. 500-502). ამ აზრს, რომ ამიერკავკასიაში დასასახლებლად სომხები ყოფილიყვნენ გამოყენებულნი, ასეთი გავლენიანი რუს შავრაზმელის დასტურის შემდგომ როგორც კატკოვი იყო, მთავრობის ადგილობრივი უმაღლესი წარმომადგენლობა მიემხრო და დასახლებას შეუდგა. სომხებთან ერთად გერმანელების და ესტონელების ჩამოსახლებასაც მიჰყვეს ხელი. რუსები ცოტანი ჩანდნენ. ამგვარად ის მოხდა, რომ თავისუფალი მიწების დასახლება რუსულ საკოლონიზაციო საქმეს სრულებითაც არ ქმნიდა, და თანაც ქართველებს გაფართოების საშუალებას უსპობდა. ეს უკანასკნელი გარემოება კი რუს პოლიტიკოსებს, რასაკვირველია, ოდნავადაც არ აწუხებდა, პირველი — კი აღონებდა კიდეც და თანაც აბრაზებდა. 1867 წ. იგივე მ. კატკოვი უკვე გაჰკიოდა: შავი ზღვის სანაპიროზე ყველას ასახლებენ მცირე აზიითგანაც, ავსტრიითგან და გერმანიითგანაც, მხოლოდ რუსები არ ჩანან, რათგან ვისაც სურდათ იქ არ უშვებენო. კატკოვი საკოლონიზაციო საკითხს პოლიტიკურ-ეროვნულ საკითხად სთვლიდა და რუს მოახალშენეთა გაძლიერებას მოითხოვდა (იხ. „Моск. Ведомости», 1867 г. № 264, და 282. Собр. перед. стат. «Моск. Вед.» 1867, გვ. 687-688.

სომხების საქართველოში ჩამოსახლების პოლიტიკის სულის ჩამდგმელადა და მხურვალე და მარჯვე განმახორციელებლად ალ. და გ. ხატისოვების მამა ივ. სტეფანეს ძე ხატისოვი იყო, რომელიც 1865 წ-თგან-1875 წ. სახელმწიფო ქონებათა და სასოფლო მეურნეობის სამმართველოში ამიერკავკასიაში გავლენიანი თანამდებობის პირად ითვლებოდა, 1875-1883 წ. კავკასიაში მეფის მოადგილესთან საგანგებო მინდობილობათა მოხელედ იყო, ხოლო 1885-93 წწ. სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს უფროსის თანამდებობა ეკავა. მის

დროს და მისი დახმარებით ბევრი სომეხი ჩამოსახლდა საქართველოში — ბორჩალოს, ჯავახეთში და შავი ზღვის სანაპიროს. რაკი შავი ზღვის სანაპირო პოლიტიკურად მნიშვნელოვან ადგილად ითვლებოდა, ეს ადგილიც რომ სომხებისათვის ყოფილიყო განკუთვნილი, მან წამოაყენა აქ ორი მოსაზრება, რაკი ეს ქვეყანა უმაღლეს სამეურნეო კულტურის კერად უნდა იქცეს, აქ დასახლების უფლება ამგვარი კულტურის მცოდნეს უნდა მიეცეს. რუსები სულ სხვა ჰავასა და მარტო ხორბლეულის კულტურას არიან მიჩვეულნი და აქაური ციებისაგანაც დაიხოცებიანო. სომხები და ბერძნები ციებიანს ადგილებს მიჩვეულნი არიან, ამ კუთხეს გააშრობენ და ააყვავებენ და შემდეგ სხვების ე. ი. რუსების დასასახლებლადაც გამოდგებაო. ამგვარი საბუთიანობითა და თავისი დიდი თანამდებობის წყალობით მან თავისი თანამოძმეების ჩამოსასახლებლად საქართველოში ყველაფერი გააკეთა, რის გაკეთებაც შეიძლებოდა, რადგანაც ქართველები პოლიტიკურად არასაიმედო ხალხად ჰყავდა რუს მთავრობას მიჩნეული და მათი მოსახლეობის ასპარეზის გაფართოებას სახიფათოდ სთვლიდა, სომეხთა მიერ პოლიტიკურ დამოუკიდებლობაზე ამიერკავკასიის ფარგლებში ოცნების შესაძლებლობაც კი მას ფიქრად არ მოსდიოდა, ამიტომ სომეხ ახალშენთა ჩასახლება საქართველოში საშიშროებად არ მიაჩნდა, რადგან სამაგიეროდ ქართველთა მოსახლეობის პროცენტი მცირდებოდა და თანაც საქართველოში რუსეთის განუყოფელობის, როგორც მათ ეგონათ, უერთგულესი ქვეშევრდომთა რიცხვი უმრავლდებოდა. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, სომეხთა გადმოსახლების აზრის მომწონებელმა მ. კატკოვმაც დაინახა, რომ აქ უბრალო ოინბაზობა იყო და 1887 წ. ის უკვე სწერდა, რომ თუ შავი ზღვის სანაპიროზე რუსები დაიხოცებიან, განა გერმანელ, სომეხ და ბერძენ მოახალშენეებს — კი იგივე არ დაემართებათო. ცხადია რუსეთის პოლიტიკური აზრი აქ მხედველობაში მიღებული არ არის ((Москв. В. № 13), მაგრამ საქმე უკვე გაკეთებული იყო და აღმოჩნდა, რომ სხვებისათვის თავისუფალი სამოსახლო ადგილი იქ თურმე აღარ არსებობდა. ამ დროს ქართველი ხალხი არავის ახსოვდა. თავის მამაპაპეულ მიწაწყალზე დასახლება ყველაზე უპირველესად რომ მისი უფლება იყო, ამის გაგება და გაგონება არც

რუსეთის მთავრობას და არც მის სომეხ მოხელეებს არ სურ-
დათ ქართველი გლეხკაცობის სასიცოცხლო ეკონომიური
ინტერესები ფეხქვეშ ითელებოდა, მას გადასახლების გზა
თავის სამშობლოში, საქართველოშიც კი შეკრული ჰქონდა
იმ დროს, როდესაც უცხოეთითგან მოყვანილებს მიწაც ეძლე-
ოდათ და ყოველგვარი დახმარებაც.

როდესაც ამიერკავკასიაში ერობის შემოღებაზე ლაპარაკი დაიწყეს და წინასწარ მსჯელობას შეუდგნენ, მაშინ უკვე ყველასათვის ცხადი შეიქმნა, რომ სომეხ პოლიტიკოსებს სომეხთა საქართველოში გადმოსახლება ოსმალეთისაგან დაბეჩავებული თავიანთ თანამოძმეთა მარტო ფიზიკურად გადარჩენის თვალსაზრისით კი არ აინტერესებდათ, არამედ რომ გარკვეული პოლიტიკურ-ეროვნული გეგმის, გაბნეულ სომეხთათვის ერთი მთლიანი ტერიტორიის შესაქმნელად იყო საახალშენედ ადგილები არჩეული. სომხებმა ბორჩალოს მაზრისა და ახალქალაქის მაზრების ტფილისის გუბერნიისაგან გამოყოფა და გუმბრთან (ამჟამად ლენინაკანი. ბ. ა.) შეერთება მოითხოვეს გუმბრის სომხური გუბერნიის შესაქმნელად. ამ დროს მეფის მოადგილედ სომეხთა მწყალობელი გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი და მისი მეუღლე ბრძანდებოდნენ, ხოლო მათ მესაიდუმლე „მრჩევლად", ხალხის უერთგულესი გრძნობების მხურვალედ და ენაწყლიანად გამომხატველად და ფეხთა-მტვერად ივ. ხატისოვის შვილი ალ. ხატისოვი იყო, ხოლო სომეხთა ცხოვრების სადავე დაშნაკელებს ეკავათ ხელთ. ვორონცოვ-დაშკოვმა ბრძანება გასცა, რომ გამოყოფა-შეერთების პროექტის განხორციელების საკითხი განხილული ყოფილიყო. 1913 წ. 6 ნოემბერსა და 18 დეკემბერს საგანგებოდ მოწვეულმა თათბირმა, რომელშიაც სომხებს 6 წარმომადგენელი ჰყავდათ, ქართველებს კი — მხოლოდ 2, ბორჩალოს მაზრის ტფილისის გუბერნიითგან გამოყოფა გეოგრაფიული და ეკონომიური თვალსაზრისით სრულებით შეუძლებლად სცნო. ტფილისის საგუბერნიო განსაკ. საბჭომაც ეს დადგენილება 1914 წ. 24 იანვარს დაადასტურა. ამავე წლებში და ამგვარმავე კომისიამ და ორგანოებმა ახალქალაქის მაზრის გამოყოფა და გუმბრთან შეერთება ამავე გეოგრაფიულ-ეკონომიურ ურყევ მოსაზრებათა გამო ერთხმივ უარჰყო და შეუძლებლად სცნო.

ამ დროს მსოფლიო ომიც ატყდა. რუსეთის მთავრობამ ოსმალეთში სამხედრო მოქმედების გასაადვილებლად დაშნაკელებს ოსმალეთის სომხების აჯანყება ურჩია და თანაც ოსმალეთის სომხეთის განთავისუფლებას და რუსეთის ფარგლებში ავტონომიას, თუ რუსეთის მფარველობის ქვეშ დამოუკიდებლობას შეჰპირდა. სომეხ პოლიტიკოსებმა და დაშნაკელებმა ეს რუსეთის პოლიტიკური ფანდი გულწრფელ დაპირებად მიიჩნიეს და რუს მთავრობის რჩევა განსაზღვრულ დროს აასრულეს კიდეც, მაგრამ საქმე უკუღმართად დატრიალდა და განრისხებული ოსმალები დაშნაკელების და თავიანთ პოლიტიკოსების მიერ გაბრიყვებულ სომეხთა ხალხის საზიზღარ ჟლეტას შეუდგნენ. ვინც მოასწრო გამოქცევა ამიერკავკასიაში, სპარსეთში ან სხვაგან სადმე, გადარჩა, მაგრამ დიდძალი სომხობა დაშნაკელების უგუნურ პოლიტიკასა და ოსმალთა სიმხეცეს მსხვერპლად შეეწირა. სომეხთა გამაბრიყვებელ რუსეთის მთავრობას ეხლა სომეხთა ლტოლვილების ამიერკავკასიაში დატოვება არ სურდა, ხოლო შემდეგში, როდესაც რუსეთის ჯარი კვლავ ოსმალეთში შეიჭრა, სომეხ ლტოლვილებს თავიანთ სამშობლოში დაბრუნების ნებას არ აძლევდნენ და ოსმალეთის სომხეთში ვალაშკერტის (ეხლანდელ-ალაშკერტის) და ბასიანის (პასიანის) ველზე რუს ყაზახების დასახლების გეგმის შემუშავებასაც კი მიჰყვეს ხელი.

რუსეთის რევოლუციამ და რუსთა ჯარის უკან დახევამ ოსმალეთს საშუალება მისცა ყველაფერი წართმეული უკან დაებრუნებინა, ყარსის ოლქიც ხელში ჩაეგდო და ქ. გუმბრს მისდგომოდა. მაგრამ გერმანიის დამარცხების შემდეგ უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილი ოსმალეთიც ფრანგ-ინგლისელებს დაემორჩილა. სტამბოლში და შემდეგ ამიერკავკასიის რესპუბლიკებში ინგლისელების და მის მოკავშირეების საოკუპაციო ჯარი რომ გაჩნდა, დაშნაკელ სომეხთა მთავრობასა და პოლიტიკურ წრეებს დიდი სომხეთის აღდგენის იმედი კვლავ მიეცათ. დამახასიათებელია, რომ სწორედ ამ დროს 1918 წ. სტამბოლში დაიბეჭდა სომხეთის (ვითომც ისტორიული) ფანტასტიკური რუკა, რომელიც შავი ზღვითგან კასპიის ზღვამდე გადაჭიმული და სამსუნის ოდნავ აღმოსავლეთით შავ ზღვამდე მდებარე ადგილთაგან ხმელთაშუა ზღვამდე აღწევს და სელევკიის ჩრდილოეთით მდებარე ადგილთაგან

ქ. არდევილის ოდნავ ჩრდილოეთით მიმავალი ხაზით ამ სრულიად სომხეთის სამზღვარი კასპიის ზღვასთან თავდება; ბათუმი, ახალციხე, თვით მცხეთა და ტფილისიც კი ამ რუკაზე სომხეთშია მოქცეული და საქართველოს პატარა ვიწრო ზოლი-ღა აქვს მიკუთვნებული.

ამავე დროს, იმავე სტამბოლში ზემოხსენებული ფანტასტიკური რუკისდა მიხედვით ახალი სრულიად სომხეთის სახელმწიფოს რუკა იქნა გამოცემული, რომელშიაც სომხეთი უშველებელ სახელმწიფოდ არის წარმოდგენილი და თითქმის იმავე სამზღვრებითაა აღნიშნული. ოსმალეთის დიდი ნაწილი შიგ არის მოქცეული; ტრაპიზონი, ორდუ, ქ. კესარია, ადანა, ედესსა, თვით სპარსეთის ჩრდილოეთი ნაწილიც ქ. თავრიზითა და არდებილით სომხეთის კუთვნილებად არის აღბეჭდილი. ფანტასტიკურ რუკასთან შედარებით აქ საქართველოს ოდნავ დათმობილი აქვს: შავ ზღვაზე საზღვარი ბათუმის სამხრეთით იწყება მახრიალის ჩრდილოეთით, იმიერხევი სომხეთისად არის აღნიშნული, მაგრამ ახალციხე საქართველოშია მოქცეული, სამაგიეროდ, ახალქალაქი სომხეთშია აღნიშნული და აქეთგან მოსაზღვრე ხაზი ჩრდილოეთისკენ იწევს და საქართველოს და სომხეთის სახელმწიფოს შორის სამზღვრადაა გატარებული. შემდეგ სომხეთის სამზღვარი მტკვრის გასწვრივ მიიმართება და ქ. განჯაც სომხეთის კუთვნილებად არის აღნიშნული. ცხადია, რომ ახალი სომხეთის სახელმწიფოსათვის ასეთი საზღვრები ეთნოგრაფიული პრინციპის მიხედვით არ არის შემოფარგლული, ეს გეგმა არც ისტორიულ საფუძველზეა დამყარებული, რადგან არასდროს ასეთი სომხეთი, რომელიც მე-11 საუკუნის შემდეგ პოლიტიკურად აღარ არსებობდა, არ ყოფილა. შეიძლება ითქვას, რომ მის შემდგენელთ ოდნავი ლიტონი საღი გონიერებაც კი არ ატყვიათ.

სომხეთის მთავრობის დელეგაციამ ყველა ამის მიუხედავად ამგვარი რუკა მსოფლიო კონფერენციას წარუდგინა სომხეთის სახელმწიფოს ამ ფარგლებში დასამტკიცებლად. ასეთი ფანტასტიკური რუკის წინააღმდეგ ოსმალეთის დელეგაციას დიდი ბრძოლა არ დასჭირვებია, რათგან მან სტატისტიკური ცნობებით დაამტკიცა, რომ სომეხთა მოსახლეობის ომამდელი არსებული რაოდენობის მიხედვითაც ამ უზარმაზარ სახელმწიფოში ოთხკუთხა ვერსზე — 2-3 სულზე მეტი სომეხი არც

კი ეყოლებოდათ. სომეხთა დელეგაციის წარდგენილი რუკისა და სტატისტიკური ცნობების სიცრუე ყველასათვის ცხადი შეიქნა და თვით ფრანგი, ინგლისელი და ამერიკელი წარმომადგენლების თვალში სომეხთა დელეგაციის ფანტასტიკურ გეგმებს ყოველგვარი ნდობა დაუკარგა. სომეხ დაშნაკელ მთავრობის და მმართველი პარტიების მთელი ეს უცნაური და დაუჯერებელი სიბეცის მომასწავებელი უზარმაზარი სომხეთის გეგმა დაიმსხვრა და საპნის ბუშტივით გაქრა.

მაგრამ სანამ სრულიად სომხეთის ამ ახირებული გეგმის განხილვამდე მიდგებოდა საქმე, დაშნაკ-სომეხთა მთავრობა თავის რუკაზე დასახული გეგმის პრაქტიკულად შესრულებისათვის სამზადისს შეუდგა. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორია ქართველი ერის მოსახლეობას არ გადასცილებია და საქართველომ თავისად მხოლოდ ტფილისის, ქუთაისის და ბათუმის ყოფილი გუბერნიები გამოაცხადა. სომხეთის რესპუბლიკა ოსმალეთის სომხეთის გარდა, რომელიც ხელითგან წაუვიდა, ერევნის გუბერნიას გარდა ყარსის მთელ ოლქსაც არტაან-ართვინითურთ ეპატრონებოდა. მაგრამ არც ამით დაკმაყოფილებულა. წინასწარი ფარული სამხედრო სამზადისის შემდგომ, ინგლისის საოკუპაციო ჯარის უფროს გენერალ უოფესთან შეთანხმებით, 1918 წ. დეკემბრის დამდეგს სომხეთის დაშნაკელთა მთავრობამ თავისი ჯარი საქართველოს შემოუსია და თანაც საგარეო საქმეთა მინისტრის პირით საქართველოს ულტიმატუმად მოსთხოვა ქართლის სამხრეთამდის დაეხია, რათგან ქართლად სომხები გორის მაზრას სთვლიან, ცხადია, რომ ეს ულტიმატუმი ტფილისის დაცლასაც გულისხმობდა და ამგვარად ეს მოთხოვნილება ზემოაღნიშნული სომხეთის ორ რუკათაგან ყველაზე უფრო ფანტასტიკურ, ვითომც ისტორიული რუკის სამზღვრების აღდგენას ლამობდა. ოსმალეთში საქმის წაგებას სომეხ პოლიტიკოსთა მადა საქართველოს წასართმევად და დასაკუთრებისათვის არამც თუ არ დაუკარგვინებია, პირიქით, გაზრდიათ კიდეც — ძველი სომხეთის ვითომც ისტორიული სამზღვრების აღდგენა საქართველოს და ქართველი ხალხის ხარჯზე უნდოდათ ეხლა რომ მოხერხებულიყო.

ამ უგუნურმა მეზობელთაშორისმა ომმა და სისხლისღვრამ სომხეთს გამარჯვება ვერ არგუნა და დაშნაკელთა მთავრობას

ისევ წინანდელით დაკმაყოფილება მოუხდა. ამგვარად, სომხეთის ვითომდა ისტორიული საზღვრების აღდგენის თავისი სამხედრო ძალით შესაძლებლობის იმედი გაუცრუვდა.

სხვა გზით და სხვა საშუალებით დაშნაკელთა ამ გეგმის განხორციელების მცდელობა შემდეგშიც არ შეწყვეტილა იმისდამიუხედავად, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების უმალ ბორჩალოს მაზრაში მცხოვრებთა სურვილის გასაგებად მოხდენილმა შეკითხვამ მათი საქართველოს სსრ რესპუბლიკის ფარგლებში დარჩენის წადილი და გეოგრაფიული და ეკონომიური მოსაზრება-ინტერესებით ნაკარნახევი გადაწყვეტილება კვლავ დაადასტურა, ლორეს რაიონის სომხეთთან შეერთების გეგმის განხორციელებას სომეხთა წრეებმა მიაღწიეს, თუმცა ეს ქართველი ხალხის მესაქონლეობის ინტერესებისათვის საზიანო იყო და არის და ადგილობრივ მცხოვრებთათვის ეს საკითხი მოსაზრებით სასარგებლო არ იყო. 1922 წ. სომეხთა იმავე წრეების ახალი პროექტი იქნა წარმოდგენილი, რომ ჯავახეთის ანუ ახალქალაქის მაზრის უდიდესი ნაწილი ბორჩალოს მაზრასთან ყოფილიყო შეერთებული და ერთი სომხური ადმინისტრაციული ერთეული შექმნილიყო, რათგან სომეხთა ეროვნული ინტერესები ენისა, სკოლისა და ადგილობრივ მმართველობის მხრივ უზრუნველყოფილიყო. თანაც ბორჩალოს მაზრას და ჯავახეთს შორის არაფერია საერთო არც გეოგრაფიულად და არც ეკონომიურად, მათ შორის არსებული მაღალი და გაუვალი მთების გამო ფიზიკური კავშირიც კი შეუძლებელია, ცხადია, ეს გეგმაც მხოლოდ ამ ორი მაზრის საქართველოს სსრ რესპუბლიკის საზღვრებითგან გამოყოფის და სომხეთთან შეერთებისათვის ოსტატურად მოგონილი პირველი საფეხურის პროექტი იყო, რომელსაც აუცილებლად მეორეც მოჰყვებოდა. საკმარისია ადამიანმა დაშნაკელთა რუკებს თვალი გადაავლოს, რომ მისთვის ნათელი გახდეს, რომ აქაც ბრძოლა მხოლოდ იმავე წინანდელი მიზნის სხვა გზით განხორციელებისათვის სწარმოებდა. სსრკ შინაგან საქმეთა კომისარიატმა ახალქალაქის და ბორჩალოს მაზრების მცხოვრებთა აზრის და ეთნოგრაფიულ-ეკონომიური ფაქტორების გამო ამ გეგმის განხორციელება შეუძლებლად სცნო, რაც მან 1/26 თებერვალს 1923 წ. კომუნისტური პარტიის ცენტრ. კომიტეტს № 291/1367 აცნობა კი-

დეც. ცენტრალური კომიტეტის მიერადაც ეს დასკვნა დადასტურებულ იქნა. ამის შემდგომ სომეხთა იმავე წრეების შთაგონებით წამოყენებულ იქნა საქართველოს ყარაია-შირაქის ველის სომხებით დასახლების პროექტი. ეს ადგილი უნდა სარწყავი არხების გაყვანით მორწყულიყო და აქ სომხებს მებამბეობის მეურნეობა უნდა მოეწყოთ, რომელიც მათი სიტყვით, რუსეთის საფეიქრო ინტერესებისათვის ფრიად მნიშვნელოვანია და საჭირო, საგულისხმოა, რომ ამ შემთხვევაშიაც ივ. ხატისოვისებური მოსაზრება იყო წარმოდგენილი, რომ ამავე დროს წყალი ქართველ ხალხს თავისთვისაც არ ჰყოფნის და ამ მინდვრების მორწყვა ქართულ სამეურნეო კულტურის განადგურებას უდრიდა, ამაზე სომეხთა პოლიტიკოსები არ ფიქრობდნენ.

სომეხთა ამ პროექტის განხორციელების სრული შეუძლებლობის დამტკიცება საქართველოს მიწათმოქმედების კომისარიატისათვის არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა და, ამგვარად, ეს პროექტიც უარყოფილ იქნა. დამახასიათებელია, რომ ფრ. ნანსენმაც ტფილისში ჩამოსვლისთანავე ამავე საკითხზე დაიწყო ლაპარაკი და უნდოდა გაეგო, თუ რამდენად შესაძლებელი იყო საქართველოს ამ კუთხეში ლტოლვილი სომხების დასახლება. ცხადია, რომ ფრ. ნანსენსა და აქაურ სომეხთა პოლიტიკოსებს სულის წმინდის შთაგონებით არ მოსვლიათ ერთი და იგივე აზრი, არამედ აქ ჩვენ სომხეთისათვის პოლიტიკური ტერიტორიის ხელოვნურად შექმნის დამნაკელთა ძველი ზემოთ დასახელებულ რუკებზე აღბეჭდილი გეგმის განხორციელების ხელახალ მცდელობასთან გვაქვს საქმე.

დასასრულ ეხლა ორიოდე სიტყვა ვითომც ახალ პროექტზე ჯავახეთისათვის ავტონომიის მინიჭებისა და გამოყოფის აუცილებლობის შესახებ. ყველა ზემონათქვამის შემდგომ ცხადია, საითგან და რისთვის მომდინარეობს ეს პროექტიც. არც გეოგრაფიული და არც ეკონომიური პირობები არ შეცვლილა. სომეხთა ეროვნული ინტერესები ეხლა ხომ საკვირველყოფილია. მაშ რითღა არის ეს ვითომც ახალი გეგმა გამოწვეული, თუ არა იმავე პოლიტიკურ-ტერიტორიალური მიზნის მისაღწევად? ამ გეგმის განხორციელებით ამავე დროს ქართველი მშრომელი ხალხის იმ ნაწილს, რომელიც მე-

საქონლეობას მისდევს, არსებობის უკანასკნელი ლუკმა უნდა ექნეს პირითგან გამოცლილი და მეცხვარეობა საქართველოში უნდა მოისპოს სრულიად. თუ წინანდელი რუსეთის ბატონობის დროს ქართველი ხალხის ინტერესები საქართველოში ფეხქვეშ იყო გათელილი და თავისუფალი მიწა საქართველოში რუს და სომეხ მოხელეების პოლიტიკის წყალობით მხოლოდ სომხებმა და რუსებმა ჩაიგდეს ხელში, ნუთუ ეხლაც შესაძლებელია, რომ ქართველი ხალხის სასიცოცხლო ინტერესები სომეხ დაშნაკელ პოლიტიკურ ეროვნულ პროექტების განხორციელებას შეეწიროს მსხვერპლად? ეს იმდენად დაუჯერებელი რამეა, რომ დარწმუნებული ვარ სსრ მთავრობა ამ პროექტსაც უარყოფს იმდაგვარადვე, როგორც უარყოფილი იყო იმავე წრეებითგან გამომდინარე ზემოაღნიშნული ამისებრვე მსგავსი პროექტები".

მაგრამ დიდი ივანეს ეს დიდი საგოდებელი, მას უკან დღემდე, რჩება ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა...

მისი რექტორობის დრო მაინც იყო დრო უნივერსიტეტის სულიერი და სხეულებრივი სრულქმნისა და აყვავებისა, ხოლო მის შემდგომთა რექტორობა—უფერული, ანემიური და ზოგჯერ ანტიეროვნულიც კი. არც ეს ბოლო განსაზღვრება უნდა მივიჩნიოთ გადაჭარბებად, რადგან უნივერსიტეტის რექტორის სავარძელში (ივანე ჯავახიშვილის სავარძელში!) ზოგჯერ იკალათებდნენ ისეთი „საჭეთმპყრობელებიც", რომელთაც საგულდაგულოდ აეღოთ „ხაზი" ჯავახიშვილისა და „მისი ხაზის" საპირისპიროდ და პირდაპირ სამტროდაც კი. ხოლო „ანტიჯავახიშვილობა" სწორედ ანტიეროვნულობას ნიშნავდა, მიუხედავად იმისა, რომ ეს სულით და გონებით უმწიფარი „მესაჭეები" სწორედ ერის, ანუ „ხალხის ინტერესების დროშით" მოქმედებდნენ, თურმე ივანე ჯავახიშვილმა „ვერ შესძლო მშრომელი ხალხის ახალ მოთხოვნილებებთან დაახლოება, მისი მდგომარეობის გარდაქმნა და გამაუმჯობესებელ ინტენსიურ საქმიანობასთან თავის სკოლის შემოქმედების შეგუება"; თურმე ივანე ჯავახიშვილი და მისი თანამებრძოლნი თავისი „მეფეთა და ეკლესიის ისტორიით... მიაქანებდნენ უნივერსიტეტს საშუალო საუკუნეების კულტურისაკენ" თურმე „ჯავახიშვილის მიერ ისტორიის იდეალისტური გაგება სამსახურს უწევს და ამართლებს ფეოდალურ ექსპლოატაციას", თურმე ჯავახიშვილი „გა-

რკვევით დგას ბატონყმობის სისტემის გამართლების ნიადაგზე“, თურმე ივანე ჯავახიშვილი „საქართველოს ისტორიის ფალსიფიკატორია“.

თითქოს საკვირველიც არაფერი იყო, რამეთუ, როგორც იტყვიან მარტივად — „დრო იყო ისეთი“! სწორედ, დრო, როცა ილია ჭავჭავაძის მკვლელთა მემკვიდრეებმა შესძლეს ერთხანზე ილია ჭავჭავაძის მემკვიდრეთა სულიერი და სხეულებრივი რეპრესირება. ხოლო ივანე ჯავახიშვილი ილია ჭავჭავაძის ყველაზე დიდი სულიერი მემკვიდრე-დიადოხოსი იყო...

და, სავსებით „ბუნებრივად“: ივანე ჯავახიშვილსაც იგივე ბრალდებას უყენებდნენ, რასაც ილია ჭავჭავაძეს ოცდაათი წლის წინათ წიწამურის ერისწყეულნი — ფეოდალიზმისა და ბატონყმობის იდეოლოგობას!..

და იგი აიძულეს სულ წასულიყო უნივერსიტეტიდან, და დადგა მის ცხოვრებაში წლები წამებისა, ვნებისა, გოლგოთისა. ხალხის სახელით აწამებდნენ ხალხის ყველაზე დიდ შვილსა და მსახურს, მაგრამ მაინც ცხოვრობდა იგი, სწორედ ხალხის რწმენით, ხალხის მიმართ უდიდესი მადლისთვის ხალხისგანვე სამაგიერო მადლიერებით!

და საზრდოობდა მისი მშობლიური ერის რწმენით და მადლით, საზრდოობდა და შრომობდა სრულის დატვირთვით, და არასდროს ქართული მეცნიერების ისტორიაში ერთ კაცთაგანს ამოდენა მეცნიერული მემკვიდრეობა არ შეუქმნია — არცა მოცულობით, არცა ღირებულებით:

ქართველი ერის ისტორია,

საქართველოს ეკონომიური ისტორია,

ქართული სამართლის ისტორია,

ძველი ქართული საისტორიო მწერლობა,

ქართული პალეოგრაფია,

ქართული დიპლომატიკა,

ქართული ნუმიზმატიკა-მეტროლოგია,

ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა,

საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები,

ქართული მუსიკის ისტორია,

ძველი სომხური საისტორიო მწერლობა.

1938 წელს, უნივერსიტეტის ოცი წლის თავზე — მას შემდეგ, რაც გამოგონილი „ხალხის მტრების“ წინააღმდეგ თავაწყვეტილ ნამდვილ ხალხის მტრებს თავისი გაუთავდათ — ივანე ჯავახიშვილს დიდის ზარზეიმით ეგებება მისი უნივერსიტეტი, მისი სკოლა, მისი სტუდენტობა.

„გამარჯვებულ და გულმართალ სტუდენტთა გულწრფელი მადლობა საქართველოს დიდ მეცნიერს ივანე ჯავახიშვილს!“ „გაუმარჯოს თბილისის უნივერსიტეტის დაარსების ორგანიზატორს — ივანე ჯავახიშვილს!“

გრიალებდა სააქტო დარბაზი.

და ამ წუთებს შეეძლო სავსებით წაეშალა უმძიმესი წლები წამებისანი...

იმ საიუბილეო დღეს ივანე ჯავახიშვილი კითხულობდა ლექციას — „ბრძოლა საქართველოში უნივერსიტეტის დაარსებისათვის“...

...1939 წლის 28 იანვარს იგი აირჩიეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად.

იყო მრავალი მილოცვა, და მათ შორის — ასეთიც:

„ჩვენო დიდებავ, ჩვენთვის უძვირფასესო ბატონო ივანე!

გულითა და სულით, მთელი ჩემი არსებით გილოცავ აკადემიკოსობას... ბუნების უსამართლობა იმაში გამოიხატა, რომ თქვენისთანა პიროვნებას მტერი არ უნდა ჰყავდეს, სინამდვილემ კი სწვა გვიჩვენა: ორგულებმა და პირმოთნე მედროვე ხალხმა აასისინეს თავისი შხამიანი ენა და ამით სულიერი ტანჯვა მოგაყენეს. რომაელებს დარჩა ერთი კარგი ანდაზა: „მარმარილოს ძეგლს ტალახი არ ეკარებაო“, ესეც თქვენზე არის გამოჭრილი: მტრების მიერ ნასროლი ტალახი თქვენ არ მოგეკარათ, იმიტომ რომ თქვენც მარმარილოსავით სპეტაკი ხართ.. ახლა, როდესაც თქვენმა სიმართლემ გაიმარჯვა, თქვენ მიიღეთ დამსახურებული ჯილდო და პატივი, ახლა თქვენი მოწინააღმდეგენი სოროებში მიიმალნენ ანდა სულმდაბლად გაიძახიან: „არ გვინდოდაო, მაგრამ გვათქმევინესო“,

გაიმარჯვა თქვენმა მეცნიერებამ, თქვენმა კეთილშობილებამ და სულგრძელობამ, შესანიშნავად მოიქეცით, რომ ფინიებს თავი არ გაუყადრეთ და თქვენი დიდსულოვნებით მათ იარაღი დააყრევინეთ... ჩვენ ისე გვიყვარხართ, როგორც

თქვენ გიყვართ ქართველი ერი... და ვინ იცის რამდენი თაობა უნდა გამოიცვალოს, რომ თქვენ ვინმე დაგემსგავსოს.

აკაკი წერეთელს ერთხელ ზეიმზე სიტყვა ვუთხარი და ბოლოს დავძინე: რა ბედნიერი იქნება ქართველი ერი, რომ თითო აკაკი არ გამოელეოდეს — თქვა. ასეთივე ნატვრა ახლა თქვენზე უნდა გავიმეორო. ახლა ხომ არ გყავთ მემკვიდრე, მაგრამ წეტა შორეულ მომავალში მაინც გაჩნდეს ვინმე თქვენი მსგავსი.

არ იფიქროთ, ბატონო ივანე, რომ ამ მოკლე ბარათით მე ვცდილობდე თქვენს შეფასებას, ამას ერთი ტომი არ ეყოფა, მე მხოლოდ ვერ მოვუყარე თავი მოზღვავებულ გრძნობებს და ზოგი მათგანი გამცნეთ.

თქვენ ეკუთვნით ქართველ ერს, კაცობრიობას და მარადისობას. თქვენ უკვე მოიპოვეთ უკვდავება, ვინაიდან სანამ ქართველი ერი იარსებებს, თქვენც მასთან განუყრელი იქნებით".

. . . . .

1940 წელი, 18 ნოემბერი, ორშაბათი, საღამოს 8 საათი.

ხელოვნების მუშაკთა სახლში დანიშნულია ივანე ჯავახიშვილის ლექცია — „ქართული ფილოლოგიისა და ძველი მხატვრული მწერლობის ისტორიის ამოცანები".

დარბაზში ხალხის ტევა აღარაა.

ლექტორი ტაშის ხანგრძლივი გრიალის ქვეშ ადის სალექციო მაგიდასთან.

იგი — მარად მშვენიერი და ბრწყინვალე — იმ დღეს გამორჩეული სიმშვენიერით ბრწყინავდა.

(მაგრამ... ზევსმა ჰექტორი სწორედ სიკვდილის კარიბჭესთან შემოსა გამორჩეული სიმშვენიერით!).

ლექტორს ლექცია მიჰყავდა მისთვის ჩვეული აკადემიური და ესთეტიკური სრულქმნილობით.

დარბაზი ისმენდა სულგანაბული, ჯადოქმნილი.

გავიდა ერთი საათი, კიდევ 40 წუთი.

და... ლექცია შეწყდა.

რამეთუ შეწყდა სიცოცხლე ივანე ჯავახიშვილისა.

მიუსწრეს მისმა მოწაფეებმა და თანამებრძოლებმა, დაცე-

მა არ დაანებეს და... მათ ხელებზე აღესრულა მათივე წინამძღოლი, ქართველი ერის რჩეული შვილი და მოძღვარი.

დაიკრძალა დიდი ეროვნული გლოვით, მისგანვე შექმნილი უნივერსიტეტის ეზოში.

და წევს, ვითარცა ათონელი წმინდა მოძღვარი ივერონის აღსავლის კართან...

შინაარსი

ფარნავაზი	5
„პირველითგან იყო კუართი“	11
ნინო განმანათლებელი	15
პეტრე იბერი	32
ვახტანგ გორგასალი	46
რაჟდენ პირველმოწამე	55
შუშანიკი	61
ცამეტი მამა	75
ევსტათი მცხეთელი	85
დავით და კონსტანტინე	88
არჩილი	98
იბო ტფილელი	101
გრიგოლ ხანძთელი	109
კონსტანტი კახი	121
გობრონ-მიქაელ	124
იოვანე მთაწმიდელი	129
ეფთვიმე მთაწმიდელი	145
გიორგი მთაწმიდელი	155
დავით აღმაშენებელი	206
თამარ შვიდმნათობიერი	253
შალვა ახალციხელი	288
ესი ათასი წამებული	299
დემეტრე თავდადებული	305
გიორგი ბრწყინვალე	322
თევდორე	337
ლუარსაბი	343
ქეთევანი	373
მარაბდელები	392
ბიძინა, შალვა, ელიზბარი	409

სულხან-საბა 418
ანთიმოზ ივერიელი 430
კრწანისელები 435
დიმიტრი ყიფიანი 448
ილია ჭავჭავაძე 472
ექვთიმე თაყაიშვილი 536
ივანე ჯავახიშვილი 562

რედაქციის გამგე ქ. კოროშინაძე
რედაქტორი ტ. ზოზრაშვილი
მხატვარი ვ. ორბელაძე
სამხატვრო რედაქტორი ნ. ლაფაჩი
ტექრედაქტორი თ. მანჯგალაძე
უფრ. კორექტორი ე. ბაბალაშვილი
კორექტორი ნ. დგებუაძე
გამომშვები ლ. დავითური

ИБ № 3954. Пособие для общеобр. шк.

გადაეცა ასაწყობად 30.06.88. ხელმოწერილია დასაბეჭდად 15.12.88. ქაღალდის ზომა 84×108 1/32. საბეჭდი ქაღალდი № 1. გარნიტურა ვენა. ბეჭდვა მაღალი. ნაბეჭდი თაბახი 39+0,25 ფორზ. პირ ნაბეჭდი თაბახი 32,76+0,21 ფორზ. პირ. საღებავგატარება 33,18. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 28,36+0,32 ფორზ.

უე 09491. ტირაჟი 100.000. შეკვ. № 1508.

ფასი 4 მან.

გამომცემლობა „განათლება", თბილისი, ორჯონიკიძის ქ. № 50.
Издательство «Ганатлеба», Тбилиси, ул. Орджоникидзе № 50.
1988

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თბილისის ი. ჭავჭავაძის სახ. წიგნის ფაბრიკა, მეგობრობის გამზირი № 7.

Тбилисская книжная фабрика им. И. Чавчавадзе Государственного комитета Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли, пр. Дружбы № 7.